საქართველოს ისტორიის ნარკვევები

რვა ტომად

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. მელიქიშვილი (მთ. რედაქტორი), პროფ. ი. ანთელავა, პროფ. ვ. დონდუა, პროფ. მ. დუმბაძე, პროფ. ი. კაჰარავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. შ. მესხია, პროფ. ნ. სტურუა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ა. სურგულაძე.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976

საქართველოს ისტორიის ნარკვევები



ტომი VII

საქართველო XX საუკუნის 20—30-იან წლებში

ტომის რედაქტორი
იური კაჭარავა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976

9(C41)
9(47.922)
ს323

წიგნი მოწონებულია და რეკომენდებულია გამოსაქვეყნებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

„საქართველოს ისტორიის“ ნარკვევების მეშვიდე ტომის ავტორები:

ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ი. კაჭარავა — შესავალი, § 1, თავი I, თავი II, §§ 1, 5; თავი III, §§ 1, 2, 4, 6, 7; ისტ. მეცნ. დოქტ. ა. კოჭლავაშვილი — თავი II, §§ 2, 3, 4, 6, 7, 8, 9; თავი III, § 3; ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ი. მირცხულავა — თავი III, § 5; ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. მახარაძე — თავი IV, § 1, 4, 5; ისტ. მეცნ. დოქტ. მ. ნათმელაძე — თავი IV, § 2; ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ბ. ბრეგაძე — თავი IV, § 6; ისტ. მეცნ. კანდ. თ. ულენტი — თავი IV, § 2; ისტ. მეცნ. დოქტ. ი. ჩიქავა — თავი V; ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. დ. მაისურაძე — თავი VI, §§ 1, 2, 3, 4; ამავე თავის § 5 ავტორებია: — ფილოლოგიურ მეცნ. დოქტ., პროფ. ბ. მერკვილაძე (ლიტერატურა), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტ., პროფ. ე. გუგუშვილი (თეატრი), პროფ. პ. ხუჰუა (მუსიკა), კინომცოდნე ა. ბოგოლაძე (კინემატოგრაფია), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტ., პროფ. მ. დუდუჩავა (სახვითი ხელოვნება), პროფ. ნ. ჯაში (ხუროთმოძღვრება), ბ. სიხარულიძე — თავი VI, § 6.

ისტორიოგრაფიული შესავალი და ძირითადი წყაროების მიმოხილვა დაწერეს ისტ. მეცნ. კანდ. ა. ათანელიშვილმა, ჟ. თოფურიძემ და ისტ. მეცნ. დოქტ., პროფ. ი. კაჭარავამ.

К $\frac{0161-097}{М601(08)-76}$ 71—76

I. შესავალი

§ 1. საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმა და მისი განხორციელების ძირითადი ეტაპები

საქართველო დიდხანს განიცდიდა ცარიზმის მხრივ კოლონიურ ჩაგვრას. ცარიზმი, როგორც ცნობილია, ხელოვნურად აფერხებდა განაპირა მხარეების სამრეწველო-ეკონომიურ განვითარებას, რის გამოც საქართველო კიდევ უფრო გლეხურ ქვეყნად რჩებოდა, ვიდრე მეფის რუსეთის ცენტრალური გუბერნიები.

იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების სამწლიანი ანტიხალხური პოლიტიკის შედეგად მთლიანად გაპარტახდა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. კატასტროფულად დაეცა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, საყოველთაო შიმშილმა და სიღატაკემ დაისადგურა სოფლებსა და ქალაქებში. მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანიაც ვერ მალავდა ქვეყნად შექმნილ მძიმე მდგომარეობას და „უკვე კატასტროფამდე მივედით"-ო, აცხადებდა საქვეყნოდ.

ბურჟუაზიულ-მენშევიკურ მთავრობას დიდი ხნით ბატონობა არ ეწერა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა რევოლუციურმა ბრძოლამ ძირი გამოუთხარა მის ბატონობას. საბოლოოდ კი 1921 წლის თებერვალში დაწყებულმა აჯანყებამ, რომელიც საერთო-სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა, წითელი არმიის დახმარებით დაამხო მენშევიკების ანტიხალხური ხელისუფლება. მისმა გაკოტრებულმა მესვეურებმა თავიანთ ბატონ-პატრონებს მიაშურეს დასავლეთ ევროპაში და თავი მათ კალთებს შეაფარეს; ასე გაექცნენ ისინი ხალხის რისხვას.

საქართველოში სოციალისტური საზოგადოების შენება, სსრ კავშირის ცენტრალურ რაიონებთან შედარებით, განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა. ამ ისტორიულ პირობათა თავისებურებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის თავისებურებანი.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ

შექმნილმა კონკრეტულ-ისტორიულმა ვითარებამ, ამ მხარის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიური ცხოვრების გადმონაშთებმა განაპირობეს აქ სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის თავისებურებანი, რომლის მეცნიერული განსაზღვრა მოგვცა ვ. ი. ლენინმა 1921 წელს, როდესაც კავკასიის კომუნისტებისაგან მოითხოვა ქვეყნის ისტორიული ვითარების შესაბამისი თავისებური ტაქტიკის შემუშავება[1].

საქართველო, როგორც ცნობილია, უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი. 1923 წლის აღწერის ცნობებით მოსახლეობის 80 პროცენტამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული. კაპიტალიზმის სუსტი განვითარების გამო საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან რაიონებში, ჭარბად იყო შერჩენილი პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობის გადმონაშთები. გარდა ამისა, ჭრელი ეროვნული შემადგენლობისა იყო საქართველოს მოსახლეობა. აქ, გარდა ქართველებისა, ცხოვრობდნენ სომხები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, აფხაზები, ოსები, გერმანელები, ბერძნები, ლეკები და სხვ.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების პერიოდში საქართველოს თავისებურებანი კიდევ უფრო გაძლიერდა. დაეცა ვაჭრობა-აღებმიცემობა, მოიშალა მრეწველობის კერები, დაეცა ნავთობის, მანგანუმის მადნის ამოღება და სპილენძის მრეწველობა. ჩაკვდა საქონელგაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, გაძლიერდა გლეხური მეურნეობის ნატურალიზაციის პროცესი. საქართველო კიდევ უფრო გლეხური გახდა, ვიდრე იყო იგი ოდესმე. კიდევ უფრო გაიზარდა მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე, როდესაც აქ შემოიხიზნა მრავალი ათასი ლტოლვილი.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა ბატონობამ დაარღვია ამიერკავკასიის ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ნაწილობრივ მივიწყებას მიეცა ინტერნაციონალური სოლიდარობის ტრადიციები. მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში დიდ ისტორიულ გარდატეხას ნიშნავდა მხარის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში. ამასთან საქართველოში თავიდანვე გამომჟღავნდა სოციალისტური მშენებლობის სიძნელეები და ამ სიძნელეთა დაძლევის ხელშემწყობი ფაქტორები.

სოციალისტური მშენებლობისათვის საერთოდ დამახასიათებელ სიძნელეთა შორის, აღსანიშნავია ისინი, რომლებიც მხოლოდ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. ასეთი იყო ჯ ე რ ე რ თ ი, ის, რომ საქართველოს მშრომელებს, რუსეთის მშრომელებისაგან განსხვავებით, ერთდროულად მოუხდათ ისეთი დიდი და სერიოზული ამოცანების გა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 190.

დაწყვეტა, როგორიცაა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და სახალხო მეურნეობის აღდგენა. მ ე ო რ ე, საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროს საქართველოში საბჭოები ფაქტიურად განადგურებული იყვნენ. ამიტომ აქ მთელი ერთი წლის მანძილზე ზემოდან დანიშნული რევოლუციური კომიტეტები (რევკომები) ახორციელებდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის პერიოდში მოქმედებდა სხვა ფაქტორებიც, რომლებიც, საბჭოთა რუსეთთან შედარებით, აქ უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აღნიშნულ სიძნელეთა დაძლევისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის. მათ შორის უნდა აღინიშნოს უმთავრესი:

პ ი რ ვ ე ლ ი ხელშემწყობი ფაქტორი იყო საბჭოთა რუსეთის მხრივ სამხედრო და პოლიტიკური დახმარება საქართველოს მშრომელებისადმი.

მ ე ო რ ე ხელშემწყობი ფაქტორი — საბჭოთა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ძირეული ხასიათის ცვლილებები. ევროპა და მთელი მსოფლიო 1921 წელს უკვე ის არ იყო, რასაც წარმოადგენდა 1917—1918 წლებში. ანტანტამ „ხელი მოიწვა“ რუსეთზე, რაც მას აიძულებდა ერთხანს მაინც ფრთხილად ყოფილიყო.

მ ე ს ა მ ე ხელშემწყობი ფაქტორი იყო ის, რომ საქართველოს შეეძლო უფრო სწრაფად და ადვილად მოეგვარებინა „თანაარსებობა“ და საქონელგაცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან, ვიდრე საბჭოთა რუსეთს, რომელიც მაშინ ეკონომიურად მოწყვეტილი იყო კაპიტალისტური სამყაროსაგან.

მ ე ო თ ხ ე ხელშემწყობი ფაქტორი — საბჭოთა რუსეთისაგან ეკონომიური დახმარების სისტემატურად მიღება. როგორც ცნობილია, საქართველო საბჭოთა რუსეთისაგან დიდ მატერიალურ დახმარებას ღებულობდა როგორც სურსათ-სანოვაგის, ისე სამრეწველო საქონლის სახით და ფულით. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის, რომელიც ვ. ი. ლენინის წინადადებით დაიწყო, საქართველომ რსფსრ მთავრობისაგან მიიღო ჯერ 700 ათასი, შემდეგ დამატებით ერთი მილიონი მანეთი ოქროთი და ა. შ. ქუთაისში დაამონტაჟეს მოსკოვიდან გამოგზავნილი მაუდის ფაბრიკა. ამავე დროს საქართველოში რუსეთიდან შემოიტანეს 3,5 მილიონი ფუთი პური, 70 ვაგონი შაქარი და სხვა პროდუქტები. გარდა ამისა, ამიერკავკასიის რკინიგზა, წითელი არმიის ეროვნული ნაწილები და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმო-დაწესებულებანი გადაიყვანეს ცენტრალურ მომარაგებაზე და სხვ.

მ ე ხ უ თ ე ხელშემწყობი ფაქტორი იყო ის, რომ ამიერკავკასიის მშრომელებს წინ ჰქონდათ საბჭოთა რუსეთში ახალი ცხოვრების მშენებლობის მდიდარი ისტორიული გამოცდილება.

ასეთია ყველა ის ძირითადი თავისებურება, რომლებიც გააჩნდა საქართველოს სოციალიზმის მშენებლობის მთელ პერიოდში. ეს კი საკმაო საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას თავი დაეღწია საბჭოთა და პარტიულ მშენებლობაში რუსული გამოცდილების შაბლონური გამოყენებისაგან.

ვ. ი. ლენინმა საუკეთესოდ იცოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი, ამიტომ აფრთხილებდა იგი კავკასიელ კომუნისტებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

„ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობა, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას... ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917—1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“[1].

ვ. ი. ლენინი მხოლოდ გაფრთხილებით არ კმაყოფილდებოდა. მან კავკასიელ კომუნისტებს მიუთითა იმ ტაქტიკურ გზებზეც, რომლის გამოყენებაც აუცილებელი იყო კავკასიაში. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა:

„უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით“[2].

საქართველოს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის წინაშე გამარჯვების პირველ დღეებშივე დაისახა გადაუდებელი ამოცანები: ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, დანგრეული სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადებში აღდგენა და საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397—399.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 399.

ანობის დამყარება. ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და სოციალიზმის აშენება საქართველოში.

* * *

საქართველოს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის წინაშე მდგარ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა საერთოდ სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმიდან, ჩამოყალიბებული იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი პარტიისა და რევოლუციის ბელადის — ვ. ი. ლენინის წერილებსა და დირექტივებში და ი. ბ. სტალინის მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში". ამ გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასსა და კომუნისტურ პარტიას სათავეში ედგნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, გ. ორჯონიკიძე, შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი, ი. სტურუა, ს. გეგეჭკორი, მ. ჩოდრიშვილი და სხვ.

საქართველოს კომუნისტებს წარმატებით უნდა გადაეწყვიტათ ვ. ი. ლენინის მიერ დასახული შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ჯ ე რ ე რ თ ი, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება საქართველოში. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს არ შეეძლო დამხობილი კლასების დათრგუნვა, ხელისუფლების შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა საკუთარი დიქტატურის განმტკიცების გარეშე. ძალაუფლების აღება ეს მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. არა ნაკლებ დიდი და სერიოზული ბრძოლა მოელოდა მუშათა კლასს შემდეგში, ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, რადგან დამხობილი კლასები, ცნობილ გარემოებათა გამო, კიდევ დიდხანს იქნებოდნენ გამარჯვებულ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი. ამიტომ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ მთავარი იყო მისი შენარჩუნება და განმტკიცება. ამისათვის კი საჭირო იყო ახალი ტიპის, მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა, რაც ესოდენ წარმატებით განახორციელეს საქართველოს მშრომელებმა ვ. ი. ლენინის მზრუნველობითა და დახმარებით.

მ ე ო რ ე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი სახავდა საქართველოს კომუნისტების წინაშე, იყო „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის" განხორციელება წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ.

საქართველოს კომუნისტური პარტია წარმატებით ახორციელებდა ბელადის ამ მითითებასაც სოციალისტური მშენებლობის მთელ პერიოდში.

პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა და განმტკიცდა ჩვენს ქვეყანაში, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის მომწიფებულ ეკონომიურ მოთხოვნილებათა შედეგი. იგი გახდა სოციალისტური მშენებლობის მძლავრი იარაღი. ამ მიმართულებით პროლეტარიატის დიქტატურის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1921 წელს გატარებული მრეწველობის სოციალისტური ნაციონალიზაცია. ასეთივე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო აგრეთვე იმავე წლის 6 აპრილს დეკრეტით გამოცხადებული მიწის ნაციონალიზაცია. ამ ღონისძიებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მშენებლობისათვის საქართველოში. აქ ნაციონალიზაცია არ შეხებია წვრილ სამრეწველო საწარმოებსა და სავაჭრო დაწესებულებებს. საქართველოში ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ერთგვარი ნფარველობაც კი კერძო კაპიტალის მიმართ. ამიტომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, იმის გამო, რომ სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა აქ არც კი შემოუღიათ, დენაციონალიზაციის საჭიროებაც არ ყოფილა, ან თითქმის არ ყოფილა. კერძო კაპიტალისადმი ფრთხილი მიდგომის ტაქტიკით უნდა აიხსნას მანგანუმის მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის დაგვიანება საქართველოში.

ამრიგად, ქვეყნად არსებული კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით იყო ნაკარნახევი მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის სოციალისტური მეურნეობის სისტემად ნელი, მაგრამ სისტემატური გარდაქმნის აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა აგრეთვე გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროდ თვლიდა აგრარული რეფორმის შემდეგ ქვეყნის ელექტრიფიკაციისა და მორწყვის დიდ სამუშაოთა დაწყებას.

მრეწველობის სოციალისტური ნაციონალიზაცია შედარებით უმტკივნეულოდ გატარდა საქართველოში, ხოლო მიწის ნაციონალიზაციის საფუძველზე აგრარული რეფორმის რევოლუციური გზით ჩატარებას, როგორც ცნობილია, წინააღმდეგობას უწევდნენ პარტიის შიგნით ნაციონალ-უკლონისტები, ამის გამო იგი მხოლოდ 1923 წელს დამთავრდა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ჯერ კიდევ აგრარული რეფორმის მიმდინარეობის პროცესში, ასრულებდა რა ბელადის მითითებას, ხელი მოჰკიდა დიდ სამელიორაციო სამუშაოებს. ამის შესახებ 1926 წლის მაისში ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე გ. ორჯონიკიძე ამბობდა: „საირიგაციო მუშაობის სფეროში, მივყვებოდით რა ამხ. ლენინის პირდაპირ დირექტივებს... ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი, მოშლილი ქსელი მორწყვის სისტემისა, არამედ აშენებულია და

შენდება მთელი რიგი ახალი არხები, დიდდება ვარგისი მიწების ფართობი"[1]. ყოველივე ამის შედეგად აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გლეხობის მდგომარეობა საქართველოში. შემდეგში კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გაიშალა მორწყვისა და დაჭაობიანებული ადგილების (კოლხეთი) დაშრობის სამუშაოები. უმიწობითა და მალარიით სულშეხუთული გლეხობა თანდათან წელში სწორდებოდა.

ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ ლენინის დირექტივების საფუძველზე, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მდინარე მტკვარზე თბილისთან ახლოს, მდინარე აბაშაზე და სხვაგან. უკანასკნელ პერიოდში აშენდა და შენდება დიდი ელექტროსადგურები ხრამზე, ლაჯანურზე, ენგურზე... ამრიგად, ელექტრიფიკაციის ლენინურმა გეგმამ მძლავრად შეისხა ფრთები საქართველოში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაშლილმა სამეურნეო და კულტურულმა მშენებლობამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს მძლავრსა და მრავალრიცხოვან ინტელიგენციაზე. ამასთან ერთად, ინტელიგენციისადმი ფრთხილი და გულისხმიერი დამოკიდებულების გამო აქ, როგორც ცნობილია, ადგილი არ ჰქონია საბოტაჟს, ისე როგორც ეს საბჭოთა რუსეთში იყო.

მ ე ს ა მ ე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი სახავდა საქართველოს კომუნისტების წინაშე, იყო „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის" შექმნა. საქართველოს კომუნისტებმა ბელადის ამ დირექტივის განხორციელებას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე მოჰკიდეს ხელი. ამიერკავკასიის ეროვნებათა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა მიერ ჩათესილი ეროვნული შუღლის აღმოფხვრისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიაში კომპაქტურად მოსახლე ძირითად ეროვნებათა მართებული სახელმწიფოებრივი მოწყობა.

კომუნისტურ პარტიას ამიერკავკასიის ძირითად ეროვნებათა სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკეთესო ფორმად მაშინდელ პირობებში მიაჩნდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა. ხოლო ცალკეულ რესპუბლიკათა შიგნით კომპაქტურად მოსახლე ეროვ-

---

[1] «Стенографический отчет широкого краевого Закавказского партсовещания», Тиф., 1926, стр. 144.

ნული ერთეულებისათვის—ავტონომიური უფლებების მინიჭება. ფედერაცია და ავტონომია წარმოადგენდა მაშინ ამიერკავკასიაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის ფრიად საიმედო საშუალებას. საქართველოს კომუნისტური პარტია, ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, წარმატებით სძლევდა ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობას და მტკიცედ ჰკიდებდა ხელს ამიერკავკასიის ფედერაციისა და ცალკეულ რესპუბლიკათა შიგნით ავტონომიური ერთეულების შექმნას.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის საქართველოს კომუნისტებმა 1921 წლის მეორე ნახევრიდან გააჩაღეს დიდი მუშაობა, მაგრამ ფედერაციის იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც, ამიერკავკასიაში საქართველოს ზოგიერთი ეკონომიური და გეოგრაფიული მდგომარეობის უპირატესობიდან გამომდინარე, მოითხოვდნენ საქართველოსათვის პრივილეგიურ მდგომარეობას, რაც ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის საბჭოთა პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

ამიერკავკასიაში ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობას ართულებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აქ ფედერაციაში შედიოდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც ხელს იღებდნენ თავიანთი სუვერენული უფლებების გარკვეულ ნაწილზე ფედერალური ორგანოების სასარგებლოდ. ეს იყო ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობის თავისებურება საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა რუსეთში ფედერაციული მშენებლობისაგან განსხვავებით. საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში შედიოდნენ ისეთი ეროვნული ერთეულები, რომელთაც არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამიტომ მათთვის ცარისტული უნიტარიზმის შემდეგ საბჭოთა ფედერაცია ნიშნავდა ეროვნული უფლებების გაფართოებას, ამიერკავკასიაში და საბჭოთა რუსეთში არ შეიძლებოდა ფედერაციული სახელმწიფოს ერთნაირი ტემპითა და მეთოდებით მშენებლობა.

ამიერკავკასიაში ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობის თავისებურებას აზვიადებდნენ ნაციონალ-უკლონისტები, ხოლო — უგულებელყოფდა მათ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ზოგიერთი ხელმძღვანელი, როდესაც ამიერკავკასიის მასშტაბით ხელისუფლების ორგანოთა ზეცენტრალიზაციის გზას დაადგა. ორივე ეს უკიდურესობა თავის დროზე გაკიცხა კომუნისტურმა პარტიამ.

საქართველოში ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო-

ებრივ მოწყობას. მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობისა, საქართველოს სსრ შემადგენლობაში შეიქმნა აფხაზეთის სახელშეკრულებო სსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი და აჭარის ასსრ.

საქართველოს კომუნისტები, გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, სძლევდნენ რა ანტისაბჭოთა პარტიებისა და ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობას, მიდიოდნენ ეკონომიური და ტერიტორიული ხასიათის გარკვეულ დათმობებზე ამიერკავკასიის მომმე საბჭოთა რესპუბლიკების სასარგებლოდ, რითაც განამტკიცებდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, მომმე რესპუბლიკების კომუნისტებთან ერთად ქმნიდნენ ამიერკავკასიის ერთიან ფედერაციულ რესპუბლიკას. იგი საბოლოოდ გაფორმდა ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე 1922 წლის დეკემბერში და შევიდა საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახში — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში. მან, შეასრულა რა თავისი ისტორიული მისია, იარსება სოციალიზმის გამარჯვებამდე. ამის შემდეგ კი ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები უშუალოდ შედიან სსრ კავშირის შემადგენლობაში.

მ ე ო თ ხ ე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი სახავდა საქართველოს კომუნისტების წინაშე, იყო „კაპიტალისტური დასავლეთის" გამოყენება „კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში". ბელადის ამ დირექტივის განხორციელებას მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქართველოს კომუნისტებმა. მათ განკარგულებაში იყო ბათუმის ღია კარები დასავლეთთან ვაჭრობისათვის. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მთავრობას გამოუყო ოქროს ფონდი დასავლეთთან ვაჭრობის განვითარებისათვის. ამის შემდეგ გაძლიერდა საზღვარგარეთიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის შემოტანა, რაზედაც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ 1922 წელს ამიერკავკასიის ექსპორტის 87,2 პროცენტი საქართველოს საზღვრებიდან გადიოდა, საქართველოს საზღვრებიდანვე შემოდიოდა ამიერკავკასიის მთელი იმპორტის 84,1 პროცენტი. საერთოდ, ამ პერიოდში ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა პასიური ბალანსით იყო წარმოდგენილი.

1922 წლის ბოლოდან ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ზურგი შეაქციეს დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს და პირი იბრუნეს საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის გაფართოებისაკენ. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთს უკვე შეეძლო საკუთარი საქონლით უზრუნველეყო ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის მოთხოვნილება. 1923—24 წელს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების შედეგად ამიერკავკასიის სავაჭრო ბალანსი, ომის შემდეგ, პირველად გახდა აქტიური. 1924 — 25 წლის პირველ კვარტალში ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის

ბალანსის დადებითი სალდო 3,6 მილიონ მანეთს უდრიდა (ომამდელ საბაჟო ფასებში).

მ ე ხ უ თ ე ძირითადი ამოცანა, რომელსაც ვ. ი. ლენინი სახავდა კავკასიელი კომუნისტების წინაშე, იყო „მდიდარი მხარის საწარმოო ძალების“ განვითარება. ბელადის ამ დირექტივის განხორციელებისათვის — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს მთელი ძალების მობილიზაცია. სახალხო მეურნეობის აღდგენის გარეშე, მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის გარეშე შეუძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცება, ხოლო ამის გარეშე შეუძლებელი იყო თვით საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება, და, მაშასადამე, სოციალიზმის აშენება საქართველოში.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. საქართველოს კომუნისტებმა 1921 წლის მეორე ნახევრიდან თანდათანობით გადაიყვანეს ქვეყანა ახალი ეკონომიური პოლიტიკის რელსებზე. მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს ვერ გაითვალისწინეს საქართველოს ის თავისებურება, რომ მას არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის ხანა, რომ აქ ადგილი არ ჰქონია სასურსათო გაწერას და ისე შემოიღეს სასურსათო-ნატურალური გადასახადი, რაც (სურსათზე დადებული გადასახადის ნატურ-გადახდევინება) სრულიად არ იყო აუცილებელი ღონისძიება ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისათვის საქართველოში. სასურსათო-ნატურალურმა გადასახადმა საქართველოში კი არ განავითარა ეკონომიური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, არამედ, პირიქით, ნაწილობრივ კიდეც შეაფერხა. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, გაითვალისწინეს რა ეს გარემოება, საჭიროდ ჩათვალეს ნატურალური გადასახადის ნაწილობრივ ფულადი გადასახადით შეცვლა 1922 წლიდან. 1923 წლიდან კი შემოღებულ იქნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელ საბჭოთა კავშირში.

საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი შედეგები შეაჯამა საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობამ 1923 წელს. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის კომუნისტური პარტიისა და ყველა მშრომელის ბრძოლის პირველსავე წლებს სერიოზული წარმატებები მოჰყვა. კერძოდ, იზრდებოდა და მტკიცდებოდა სოციალისტური მრეწველობა; მისი ხვედრითი წონა ცენზიან მრეწველობაში უდრიდა 72,5 პროცენტს, ხო-

ლო მთელი მრეწველობის 1922—1923 წლის საერთო პროდუქციაში სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 77,4 პროცენტს, კოოპერაციული მრეწველობის პროდუქცია — 5,1 პროცენტს და კერძოკაპიტალისტური მრეწველობის პროდუქცია — 17,5 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაიზარდა რაოდენობრივად მუშათა კლასი. ასევე გაიზარდა მოსამსახურეთა რაოდენობა. 1923 წლის 1 ოქტომბრისათვის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა. გაიზარდა გლეხობის შემოსავალი და მუშათა რეალური ხელფასი. საქართველოში ცხოვრება უფრო იოლი, უფრო უკეთესი გახდა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, 1923—1924 წლებში ჯერ კიდევ საგრძნობი იყო სახალხო მეურნეობის საერთო ჩამორჩენილობა ომამდელ დონესთან შედარებით. ნგრევის შედეგები არ იყო ლიკვიდირებული. მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფდა სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მთელ მოთხოვნილებას.

სოციალისტურ მშენებლობაში ყველაზე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის არსებული დისპროპორცია, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის შეზღუდული საშინაო და საგარეო ბაზრის და მრეწველობის სუსტად განვითარების პირობებში. 1923 წლის შემოდგომისათვის ეს სიძნელე რამდენიმედ გაამწვავა ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევამ, შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპების ჩამორჩენამ სამუშაო ხელფასის ზრდის ტემპებისაგან, საბჭოთა ფულის ნიშნების მერყევმა კურსმა და მოუქნელმა სავაჭრო აპარატმა. ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი „დამსახურება“ მიუძღვით ტროცკისტებს.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობისა და სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების შემდეგ, კომუნისტური პარტია, ეყრდნობოდა რა საზოგადოების განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნას, წარმართავდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონის შესაბამისად. საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მოღვაწეობის შედეგებმა მალე იჩინა თავი. ომამდე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის მთელ პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა უდრიდა 8,3 პროცენტს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა თანდათანობით იზრდება. 1923—24 წელს იგი შეადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციის 13,9 პროცენტს, 1924—25 წელს — 17,0, ხოლო 1925—26 წელს — 21,9 პროცენტს. ასე იკაფავდა გზას საქართველოში სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითა-

რების ობიექტური ეკონომიური კანონი კომუნისტური პარტიისა და საბ-ჭოთა ხელისუფლების ენერგიული მხარდაჭერით.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას შინაპარტიულ წინააღმდეგ-ობათა დაძლევასთან ერთად უხდებოდა ანტისაბჭოთა პარტიების კონტრ-რევოლუციური საქმიანობის ლიკვიდაცია.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გამოცოცხლდა და გააქ-ტიურდა კაპიტალისტური ელემენტები, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა და შინაპარტიული წინააღმდეგობა. ამის გამო საქართველოს კომუნის-ტურ პარტიას, საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით, ერთდროულად უხდებოდა შინაპარტიული წინააღმდეგობის დაძლევა და ანტისაბჭოთა პარტიების კონტრრევოლუციური საქმიანობის ლიკვიდაცია სოციალიზ-მის მშენებლობის მთელ პერიოდში.

ანტისაბჭოთა პარტიებმა გამოიყენეს აღდგენითი პერიოდის სიძნე-ლეები სოფლად, გლეხობასთან პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ზოგიერთი შეცდომა ეროვნულ საკითხში და 1924 წლის აგვისტოში მოაწყვეს კონტრრევოლუციური აჯანყება, რომელიც წმინდა წყლის ავანტიურად იქცა, მას ზურგი შეაქ-ცია ღარიბმა გლეხობამ, მუშათა კლასმა და საშუალო გლეხობისა და ინტელიგენციის უდიდესმა უმრავლესობამ. მენშევიკური ავანტიურა სწრაფად იქნა ლიკვიდირებული მშრომელთა ენერგიული დახმა-რებით.

ანტისაბჭოთა პარტიების გახრწნა, რომელმაც ჯერ კიდევ 1923 წელს მიიღო ფართო ხასიათი, თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ მან კვლავ არაერთგზის გაიბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წი-ნააღმდეგ.

საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის მთელი პერიოდი ხასი-ათდებოდა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლით. იდეოლოგიურ ფრონტზე შემოტევას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ძალები ლოიალობისა და უპარტიობის ნიღბით აწარმოებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების არსებო-ბის პირველ წლებში ლოიალობის ნიღბით გამოდიოდა ყოფილი მენშევი-კების ნაწილი, ლეგალურად არსებული მემარცხენე სოციალისტ-ფედერა-ლისტების პარტია, ესერები, ანარქისტები, რომლებიც თავიანთი გაზე-თების საშუალებით ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის ხელმძღვანელი რო-ლის, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანებისა და საბჭოთა რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის წინააღმდეგ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, ემყარებოდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ მოძღვრებას, წარმატებით ამარცხებდა კლა-სობრივი მტრის შემოტევას იდეოლოგიურ ფრონტზედაც.

* * *

ამის შემდეგ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, თუ ზოგადად მაინც დავახასიათებთ სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ქართველი ხალხის დიდსა და მრავალმხრივი შრომის შედეგებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების ძირითად ეტაპებზე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის თავგანწირულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს კომუნისტებმა, ახორციელებდნენ რა ვ. ი. ლენინის დირექტივებს, ფართოდ გაშალეს მელიორაციული სამუშაოები. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის 100 ათასამდე დესეტინა მიწა ირწყვებოდა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საქმეს. 1923 წლის გლეხურ მეურნეობათა 44,6 პროცენტს არ გააჩნდა ცოცხალი გამწევი ძალა, ხოლო 54,1 პროცენტს— სახნავი იარაღი. 1924 — 1925 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სოფლის მეურნეობას 900 ათასი მანეთის (ოქროთი) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები მიაწოდა. ცოცხალი გამწევი ძალის ენერგორესურსების პოტენციალურმა მარაგმა კი 1925 წელს ომამდელ დონეს 3,9 პროცენტით გადააჭარბა. ამასთან ერთად, გაძლიერდა აგრონომიული დახმარება სოფლის მეურნეობისადმი. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა არა მარტო ნათესი ფართობი, არამედ სამიწათმოქმედო შრომისნაყოფიერება და საერთო მოსავლიანობა.

აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის სერიოზული წარმატებები მოიპოვა საქართველოს მრეწველობამ. 1923—24 წელთან შედარებით ცენზიან საწარმოო-დაწესებულებათა რიცხვი გაიზარდა 183,3 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქცია — 290 პროცენტით.

მრეწველობაში საგრძნობი გახდა შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდა. მრეწველობის ცალკეულ დარგებში შრომის ხელფასი 1924 — 25 წელთან შედარებით 1925 — 26 წლისათვის გაიზარდა არა ნაკლებ 12 პროცენტისა და არა უმეტეს 90 პროცენტისა. სამუშაო ხელფასი დაუახლოვდა ომამდელ დონეს. ზოგიერთ დარგში (ბამბის მრეწველობა და სხვ.) გაასწრო კიდეც. შრომისნაყოფიერებისა და მასთან ერთად ხელფასის ზრდას ხელს უწყობდა საწარმოო საშუალებათა ზრდა, წარმოების მექანიზაციის გაუმჯობესება. ამრიგად, 1925 — 26 წელს ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგები გაუტოლდნენ მრეწველობის ომამდელ დონეს და მთელ რიგ შემთხვევაში გადააჭარბეს კიდეც. მაგრამ ჩვენ საქმე გვქონდა მრეწველობის არა უბრალო

აღდგენასთან, არამედ მის ისეთ აღდგენასთან, რომელიც მოხდა სოციალისტურ საფუძველზე. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის საქართველოს მრეწველობის ძირითადი და წამყვანი ძალა გახდა სოციალისტური სექტორი. სახელმწიფო-სოციალისტურ სექტორს ეკუთვნოდა სამრეწველო საწარმოთა 73,8 პროცენტი, კოოპერაციულს — 9,5 და კერძოკაპიტალისტურს — 16,7 პროცენტი. მრეწველობის საერთო პროდუქციის 78,8 პროცენტს იძლეოდა სახელმწიფო-სოციალისტური სექტორი, 8,0 — კოოპერაციული სექტორი და 13,2 პროცენტს — კერძოკაპიტალისტური სექტორი.

ვაჭრობა აღდგენით პერიოდში წარმოადგენდა ძირითად რგოლს იმ ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც პარტიის წინაშე იყო დასახული. ამიტომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქციეს მისი განვითარებისა და გაფართოების საქმეს. საბჭოთა ვაჭრობა სწრაფი ტემპით ვითარდება 1923—24 წლიდან, რასაც ხელი შეუწყო ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ, ფულის რეფორმამ და გლეხური მეურნეობის საქონლიანობის ზრდამ.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე კერძოკაპიტალისტური. 1925 — 26 წელს კი სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე მოდიოდა 75,2 პროცენტი, კერძოკაპიტალისტურ ვაჭრობაზე კი 24,8 პროცენტი. ვაჭრობის სფეროდან თანდათანობით იდევნებოდა კერძო კაპიტალი.

სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობამ გამოიწვია მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა ხელფასი. გაუმჯობესდა გლეხობის მატერიალური კეთილდღეობაც.

მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველზე უმაგალითოდ გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა. იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა კომუნისტური პარტიის, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა და პროფესიული კავშირების რიგების ზრდით. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის საუკეთესო ნაწილმა მიაშურა კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის რიგებს. მშრომელთა პოლიტიკურმა აქტივობამ თავი იჩინა აგრეთვე საბჭოების მუშაობის შემდგომი გამოცოცხლებით, მის მუშაობაში უპარტიოთა უფრო და უფრო მეტად ჩაბმით, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების მოღვაწეობით, უპარტიოთა კონფერენციების მასობრივად ჩატარებით, ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობით და სხვ.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების ამოცანები გადაუდებლად მოითხოვდნენ მშრომელთა

კულტურული დონის ამაღლებას, ახალი საზოგადოების მშენებელთა კულტურული კადრების შექმნას. ამიტომ კულტურული ფრონტის ერთ-ერთი დაკვრითი ხასიათის ამოცანად პარტიამ გამოაცხადა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. 1921 — 1925 წლებში წერა-კითხვა შეისწავლა მრავალ ათეულ ათასმა მშრომელმა. ერთიორად გაიზარდა დაწყებითი და საშუალო სკოლების რაოდენობა, გაუმჯობესდა უმაღლესი სკოლების მუშაობა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა სოციალური შემადგენლობა. განვითარების ფართო სარბიელი შეექმნა ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას. მ. გორკისა და ვ. მაიაკოვსკის, აგრეთვე ქართული კლასიკური ლიტერატურის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების გავლენით განვითარდა ქართული პროლეტარული მწერლობა. კომუნისტური პარტიის მხარდაჭერით გზას იკაფავდა სოციალისტური რეალიზმი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. საფუძველი ჩაეყარა ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

* * *

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ საბჭოთა ხალხის წინაშე დადგა დიდმნიშვნელოვანი საკითხი — სოციალიზმის ბედის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებით დაიცვა და განავითარა ლენინური თეორია ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. კომუნისტურმა პარტიამ, შეაიარაღა რა მილიონიანი მასები სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენით, წარმატებით ჩააბა ისინი სოციალისტურ მშენებლობაში.

სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გარეშე. სოციალისტურ ინდუსტრიას კი ვერაფრით ვერ შექმნიდა თუნდაც მრავალმილიონიანი მასების მხოლოდ შემოქმედებითი პათოსი, საჭირო იყო მატერიალური რესურსები, საჭირო იყო კადრები. კომუნისტური პარტია შეუდგა ამ პირობების მომზადებას.

ჩვენს ქვეყანაში მძიმე ინდუსტრიის მშენებლობისათვის საჭირო სახსრები პარტიას ქვეყნის შიგნითვე უნდა მოეძებნა. გარედან მისი მიღების შესაძლებლობა გამორიცხული იყო. პარტიამ მოუწოდა ყველა მშრომელს დაეცვა სასტიკი მომჭირნეობის რეჟიმი წარმოებასა და დაწესებულებებში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებამ, ამიერკავკასიის მთელი სახელმწიფოებრივი რესურსების რაციონალურად განაწილებამ და

საკავშირო მთავრობისაგან მიღებულმა ასიგნებებმა შესაძლებელი გახადეს საქართველოს მრეწველობაში დიდძალი თანხების დაბანდება. 1925 — 26 წელს საქართველოს მრეწველობაში დაბანდებული იყო 4 357 ათასი მანეთი. 1927 — 28 სამეურნეო წელს კი — 26 509 ათასი მანეთი. როგორც ვხედავთ, კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო წარმატებებმა გააბოროტა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრები. კვლავ გაილაშქრეს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ტროცკისა და ზინოვიევის მომხრეებმა. ტროცკისტული ოპოზიციის შემოტევამ და ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის გართულებამ გაათამამა დამარცხებული ანტისაბჭოთა პარტიების ნარჩენები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ მათ ვერ პოვეს მხარდაჭერა, პირიქით, ცნობამ ანტისაბჭოთა პარტიების გააქტიურების შესახებ ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართველი ინტელიგენციის საქალაქო კრებამ, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით იყო მოწვეული, ერთხმად დაგმო ანტისაბჭოთა პარტიების გამოლაშქრება.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებების შედეგად მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე მაგალითად, 1925 — 26 წელს უდრიდა 26,2 პროცენტს, 1927 — 28 წელს მან შეადგინა 31,7 პროცენტი, ხოლო მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1913 წლის დონეს 69 პროცენტით გადააჭარბა.

საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციაში გაიზარდა სახელმწიფო-სოციალისტური და კოოპერატიული მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა. ასე მაგალითად, თუ 1925 — 26 წელს იგი აღწევდა 86,8 პროცენტს, 1927 — 28 წლისათვის კი გაიზარდა 95,6 პროცენტამდე, ხოლო კერძოკაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა შემცირდა 13,2 პროცენტიდან 4,4 პროცენტამდე.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ მკვეთრად გამოსახული სოციალისტური ხასიათი მიიღო. მრეწველობის დარგში საკითხი „ვინ — ვის?“ სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა.

* * *

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ამის შემდეგ ახალი გართულების წინაშე აღმოჩნდნენ — მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი მატება, ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის მნიშვნე-

ლოვნად გამრავლება; ყოველივე ამან კი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნილების უჩვეულო ზრდა გამოიწვია. სოფლის მეურნეობის აღდგენის შემდეგ, ძველ ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემდგომი ზრდის პერსპექტივები ნაკლებად სანუგეშო იყო, სოფლის მეურნეობას წვრილ-ინდივიდუალური წარმოების პირობებში უკვე არ შეეძლო მეტი სასაქონლო პროდუქციის მოცემა, რასაც იძლეოდა იგი აღდგენითი პერიოდის ბოლოს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვენს სოფელში კვლავ მიმდინარეობდა გლეხურ მეურნეობათა დაწვრილერთეულება, 1923 წლიდან 1927 წლამდე ჩათვლით გლეხური მეურნეობანი გაიზარდა 6,8 პროცენტით. კიდევ უფრო იკვეცებოდა სოფლიდან სასაქონლო პროდუქციის მიღების შესაძლებლობა.

ასეთ პირობებში საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაზის შემდგომი გაფართოებისათვის, სოფლისა და ქალაქის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. სოფლად შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იყო წვრილგლეხური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა, რაც შექმნიდა პირობებს სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენებისათვის.

საკ. კპ (ბ) XV ყრილობამ 1927 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლისა და კულაკობის წინააღმდეგ შეტევის განვითარების შესახებ. ყრილობამ დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქსელის გაფართოებისა და განმტკიცების გეგმა. ყრილობის ეს ისტორიული გადაწყვეტილება განიხილეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში და შეუდგნენ არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცებასა და ახალ კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბებას. ამ დროისათვის საქართველოში ჯერ კიდევ ცოტა იყო კოლექტიური მეურნეობანი, იგი შეადგენდა სულ 129 სხვადასხვა სახის კოლექტიურ მეურნეობას, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 1500-მდე გლეხური კომლი.

საკ. კპ (ბ) XV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდგომი პოპულარიზაციისა და საკოლმეურნეო მშენებლობის მძლავრი აღმავლობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კოლმეურნეთა I ყრილობამ (1928 წლის იანვარი). მან დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კულაკობის წინაღმდეგ ბრძოლისა და კოლექტიურ მეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილებას „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“.

ამ დოკუმენტში აღნიშნული იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ხაზით პარტიის პოლიტიკის წარმატება საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში მრეწველობის ხვედრითი წონის სამჯერ გადიდება, საქართველოს მუშათა კლასისა და მისი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ზრდა, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების პირობათა გაუმჯობესება, მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლება და მათი ენერგიული მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლისა და განვითარებისათვის კომუნისტების წინაშე დასახა შემდეგი საბრძოლო ამოცანები: მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარება, მრეწველობის დაგეგმვის გაუმჯობესება, მრეწველობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარება, გლეხური მეურნეობის კოოპერირების გაძლიერება, სოფლად შრომატევადი, ტექნიკური კულტურების დანერგვა და განვითარება, შეუნელებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კულაკის როლის მიფუჩეჩების წინააღმდეგ და სხვ.

საქართველოს მშრომელი გლეხობა და მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ირაზმებოდა საკ. კპ (ბ) XV ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის სექტემბრის დადგენილებათა განხორციელებისათვის. კულაკობის წინააღმდეგ შეტევის შესახებ პარტიის პოლიტიკას მხარი დაუჭირა საქართველოს ღარიბმა და უღარიბესმა გლეხობამ. საშუალო გლეხობაც გაჰყვა პარტიას კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს არც თუ ისე იოლად მოხდა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიება, რომლებმაც ღარიბი და საშუალო გლეხობა ჩამოაშორა კულაკის გავლენას და მჭიდროდ დარაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო, ამ ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს: მასობრივ-პოლიტიკური და პარტიული მუშაობის გაძლიერება სოფლად, კულაკობის შეზღუდვა ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებით, კულაკური მეურნეობის შემდგომი გაშლა-განვითარების შესაძლებლობათა შეკვეცა, ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის გრძელვადიანი კრედიტის უზრუნველყოფა, მათი უზრუნველყოფა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, ღარიბი და უღარიბესი გლეხების კოოპერირების დაჩქარება და სხვ.

მაგრამ არც კლასობრივ მტერს ეძინა. ის კარგად ხედავდა, რომ საძირკველი ერყეოდა ძველ ურთიერთობას, რომ რეკდა სოფლად უკანასკნელი საათი ექსპლოატატორთა ლიკვიდაციისა. კულაკებმა არ დააყოვ-

ნეს კონტრზომების მიღება, პარტიაში მემარჯვენე-ოპორტუნისტული გადახრის ჩამოყალიბებით გათამამებულნი აქტიურად ამოქმედნენ, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სოფლად კოლექტივიზაციის გატარებას, ზოგიერთ სოფელსა და მაზრაში ტერორქვეშ დააყენეს ახალი, სოციალისტური სოფლის აქტიური მშენებლობები, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გატეხვა.

საკ. კპ (ბ) XVI კონფერენციამ განიხილა და მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აშენება, სსრ კავშირის გადაქცევა მძლავრ, ინდუსტრიულ ქვეყნად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უახლესი ტექნიკით შეიარაღებას. ამ გეგმის განხორციელების შედეგად იქმნებოდა ისეთი ინდუსტრია, რომელიც ხელახლა შეაიარაღებდა და მთლიანად გადააკეთებდა მრეწველობას, ტრანსპორტსა და სოფლის მეურნეობას. ამიტომ პირველ ხუთწლიან გეგმას სამართლიანად უწოდეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელების პროგრამა.

ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელი იყო სოციალიზმის გამარჯვება წვრილგლეხურ, ინდივიდუალურ მეურნეობათა მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანების გარეშე. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის როგორც კლასის — ლიკვიდაცია.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა საქართველოს სოციალ-ეკონომიური და რიგი ისტორიული თავისებურებანი, 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით საქართველოსათვის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ვადად დანიშნა 1933 წელი. ამას მოითხოვდა საქართველოში სოციალიზმზე უფრო ნელი, ფრთხილი გადასვლის ლენინური პრინციპი. მიუხედავად ამისა, სოფლად ამ დიდი რევოლუციური ღონისძიების გატარება არ მომხდარა უმტკივნეულოდ, შეცდომებისა და დამახინჯებათა გარეშე, რაზედაც ამ წიგნის შესაფერ თავებში დაწვრილებითაა საუბარი.

საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე პირველმა წარმატებებმა თავბრუ დაახვია ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობასაც. ამან, უპირველეს ყოვლისა, თავი იჩინა საქართველოს კომუნისტური პარტიის 1930 წლის იანვრის პლენუმზე, სადაც ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიეცათ მითითება საქარ-

თველოში გლეხურ მეურნეობათა მთლიანი კოლექტივიზაცია, ნაცვლად 1933 წლისა, ძირითადად დაემთავრებინათ 1932 წლის დასაწყისში. ამით დაივიწყეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ჩვენი ქვეყნის ცალკეულ მხარეებში კოლექტივიზაციის განსხვავებული ტემპებისა და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინების შესახებ, დაივიწყეს საკოლმეურნეო მშენებლობაში ლენინური ნებაყოფლობითი პრინციპი. აღნიშნული ხელმძღვანელები წინ უსწრებდნენ მოვლენათა ბუნებრივ-ისტორიულ განვითარებას და ხელოვნურად აჩქარებდნენ კოლექტივიზაციის ტემპებს. გარდა ამისა, პარტიის პოლიტიკის დამახინჯება იყო ისიც, როდესაც განკულაკებას ახდენდნენ არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გაატარეს რიგი ღონისძიება, რომელთა შედეგად აღმოიფხვრა დამახინჯებანი საკოლმეურნეო მშენებლობაში და განმტკიცდა საკოლმეურნეო მოძრაობა.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა მუშათა ბრიგადების, მოწინავე მუშებისა და პარტიული მუშაკების გაგზავნამ სოფლად მუდმივ სამუშაოზე, და ბოლოს, 1933 წლიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან შექმნილმა პოლიტიკურმა განყოფილებებმა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ მოპოვებული წარმატებები და მიუთითა იმ დამახინჯებებზედაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აგრარულ და ეროვნულ საკითხებში. ეროვნულ საკითხში დაშვებული დამახინჯება მდგომარეობდა იმაში, რომ საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაივიწყა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკათა ინტერესები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში და დაუშვა ზედმეტი ცენტრალიზაცია, რამაც ეროვნულ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების გაუპიროვნება გამოიწვია.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას კომუნისტები ყველგან მოწონებით შეხვდნენ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები აქტიურად ჩაებნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პირველი ხუთწლედის მანძილზე დიდი და სერიოზული შრომითი წარმატებები მოიპოვა. ეს წარმატებები განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ პირველ ხუთწლედში: 1. ორგანიზებულად ჩატარდა

მუშახელის შეგროვება სოციალისტური საწარმოებისათვის და გაიზარდა შრომის მექანიზაცია; 2. ბოლო მოეღო მუშახელის დენადობას, ხელფასის გათანაბრების ტენდენციას და გაუმჯობესდა მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები; 3. გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და ბოლო მოეღო გაუპიროვნებას წარმოებაში; 4. სწრაფად გაიზარდა მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია; 5. შეიცვალა დამოკიდებულება ძველი სკოლის ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი, გაბედულად მოხდა მათი ჩაბმა მუშაობაში; 6. დაინერგა და განმტკიცდა სამეურნეო ანგარიშიანობა, გაიზარდა მრეწველობის შინაგანი დაგროვება.

სოციალისტური წარმოების მართვისა და მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მუშათა კლასისა და მისი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ახალი შრომითი აქტივობის აღმავლობას. იგი ვლინდებოდა არა მარტო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში, არამედ მუშათა გამომგონებლობის განვითარებასა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების უფრო ფართოდ დანერგვით სოციალისტურ მრეწველობაში.

პირველი ხუთწლედის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ნავთობისა და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, ანდეზიტის, გუმბრინის, ბარიტისა და სხვათა წარმოება; ჩაის, შაქრის, საფეიქრო, ცემენტისა და სხვა საშენ მასალათა მრეწველობა; მანქანათსაშენი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა და სხვ.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მეურნეობაში დაბანდებული თანხების მოცულობა, მან შეადგინა 786,8 მილიონი მანეთი, რაც 5,7-ჯერ აღემატებოდა წინა ხუთწლედში დაბანდებული თანხის (136,6 მილიონ მან.) მოცულობას.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად საქართველოს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ შეადგინა ომამდელი პროდუქციის 364 პროცენტი, მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ კი — 949 პროცენტი. ელექტროენერგიის გამომუშავება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა ოთხჯერ, 1928 წლის დონესთან შედარებით კი — ორჯერ.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებათა ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია მძიმე მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში. ჯერ კიდევ 1929 — 30 წელს მძიმე მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში შეადგენდა 52,2 პროცენტს.

1927 — 28 წელს მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ დიდად გადააჭარბა ომამდელ დონეს (45,0 მილიონ მან.) და შეადგინა 76,0 მილიონი მანეთი. მუშათა რაოდენობა მსხვილ მრეწველობაში 1913 წლის 10 900 კაციდან 1927—28 წელს გაიზარდა 16 567 კაცამდე. პირველ ხუთწლედში საქართველოს მსხვილი მრეწველობის ძირითადი საწარმოო საშუალებანი 1927—28 წელთან შედარებით გაიზარდა 4,2-ჯერ და შეადგინა 236,5 მილიონი მანეთი. ამავე პერიოდში მრეწველობის საერთო პროდუქცია 1927—28 წელთან შედარებით გაიზარდა 5,6-ჯერ და შეადგინა 427,0 მილიონი მანეთი.

ძირითად საწარმოო საშუალებათა ზრდა იწვევდა მუშახელის რაოდენობის ზრდას მსხვილ მრეწველობაში. იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: პირველ ხუთწლედში მუშახელის რაოდენობა 1927 — 28 წელთან შედარებით გაიზარდა 3,5-ჯერ და შეადგინა 57 127.

მუშახელის რაოდენობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩა მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპს, რაც მიუთითებს საქართველოს მსხვილ მრეწველობაში შრომისნაყოფიერების დიდ ზრდაზე. შრომისნაყოფიერების ზრდამ გამოიწვია ხელფასის ზრდაც. მრეწველობის მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 1932 წლისათვის 1928 წელთან შედარებით გაიზარდა 1,7-ჯერ და შეადგინა 113 მანეთი. ასეთივე სწრაფი ტემპით განვითარდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობაც. მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის 1927 — 28 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგინა 79,9 მილიონი მანეთი.

პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვანი თანხები დააბანდეს საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც. იგი ნაკარნახევი იყო სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ინტერესებით. პირველ ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დააბანდეს 197,4 მილიონი მანეთი, რაც 12,7-ჯერ აღემატებოდა წინა ხუთწლედში დაბანდებული თანხის მოცულობას. ამის გამო პირველ ხუთწლედში დიდად განვითარდა საქართველოს სოფლის მეურნეობაც. 1928 წლის 784,6 ათასი ჰექტარიდან ნათესი ფართობი გაიზარდა 1933 წლისათვის 922,3 ათას ჰექტარამდე, ანუ 9,6 პროცენტით. მათ შორის ტექნიკური კულტურებით დაკავებული ფართობი იმავე პერიოდში გაიზარდა 26,3 ათასი ჰექტარიდან 51,3 ათას ჰექტარამდე, ანუ 97,3 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო მზარდი სოციალისტური მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილებით ნედლეულზე.

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, მიუხედავად საერთო მოსავლის ზრდისა, იძლევა შემცირებას ომამდელ დონესთან შედარებითაც კი, რაც უნდა აიხსნას მაშინ სოფლად მიმდინარე ისტორიული გარდაქ-

მნებით, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სიძნელეებმა თავი იჩინა მესაქონლეობაშიც.

პირველ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1932 წელს საქართველოში არსებობდა 3425 კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანებული იყო 165,7 ათასი გლეხური კომლი ანუ მთელ გლეხურ მეურნეობათა 36,4 პროცენტი, კოლმეურნეობათა წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება 1928 წლის 0,5 მილიონი მანეთიდან 1932 წლისათვის (ჩათვლით) გაიზარდა 87,4 მილიონ მანეთამდე, ხოლო განუყოფელმა ფონდმა შეადგინა 52,5 მილიონ მანეთზე მეტი.

კოლმეურნეობების ჩამოყალიბებასთან ერთად ყალიბდებოდა ახალი და ახალი საბჭოთა მეურნეობებიც. 1928 წლიდან 1932 წლამდე (ჩათვლით) საბჭოთა მეურნეობათა რაოდენობა საქართველოში გაიზარდა 37-დან 168-მდე, ხოლო მათ განკარგულებაში არსებული მიწის ფონდი ამავე პერიოდში — 20,5 ათასი ჰექტარიდან 295,7 ათას ჰექტარამდე, ტრაქტორთა რაოდენობა — 16-დან 418-მდე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად გაიზარდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილი, მოსახლეობის კულტურული დონე, ამასთან დაკავშირებით, მათი მოთხოვნილება გაიზარდა უფრო მეტ და უფრო უკეთეს სამრეწველო საქონელზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ყოველივე ამან გამოიწვია ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის გაძლიერება. 1932 წელს საცალო ვაჭრობის ბრუნვა 1927 — 28 წელთან შედარებით გაიზარდა 163,9 პროცენტით და შეადგინა 726,5 მილიონი მანეთი, რაც მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდაზე მიუთითებს.

საქონელბრუნვიდან თანდათანობით განიდევნა კერძო კაპიტალი. 1929 წლის 1 იანვრისათვის საქონელბრუნვაში კერძო სექტორის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო — იგი უდრიდა 33,2 პროცენტს. მაგრამ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ფართოდ გაშლის შედეგად, საქონელბრუნვაში კერძო სექტორის ხვედრითი წონა შემცირდა 3,4 პროცენტამდე.

* * *

საქართველოში სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის პირობები მოამზადა პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა ახალი, მეორე, კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო და სრული ლიკვიდაციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამამთავრებელი ხუთწლიანი გეგმის მიღება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის აპრილში დაამტკიცა მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები. მეორე ხუთწლიანი გეგმა ეკონომიკის დარგში ითვალისწინებდა მთელი სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის მთლიანად დამთავრებას, ახალი ტექნიკით აღჭურვილ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობას. ყოველივე ამან გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა. ამან, უპირველეს ყოვლისა, თავი იჩინა მეორე ხუთწლედის ფრონტზე პირველი წარმატებებით. ხუთწლედის პირველი ორი წლის პროდუქცია მრეწველობამ მოგვცა ძირითადად ახალი ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ უახლესი ტექნიკით.

მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო უახლესი ტექნიკა მაქსიმალურად გამოყენებული, ტექნიკურად მოუმზადებელმა მუშაკებმა ახალ ტექნიკას ჯერ კიდევ ვერ გამოსწურეს იმის მაქსიმუმი, რომლის მოცემაც მას შეეძლო. საჭირო იყო ტექნიკას დაუფლებული კადრები, ახალი ტექნიკის ათვისება. პარტიამ წარმატებით დაძლია შიმშილი ტექნიკის დარგში, ასევე წარმატებით უნდა დაეძლია შიმშილი კადრების დარგშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი ტექნიკა რკინისა და ფოლადის უბრალო გროვა იქნებოდა მხოლოდ. ამიტომ პარტიამ დროულად მოუწოდა მასებს ახალი ტექნიკის დაუფლებისაკენ.

ტექნიკის დაუყოვნებლივ დაუფლების საჭიროებას კარგად გრძნობდნენ მშრომელები. მთელი ხალხი აღფრთოვანებით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას ტექნიკის დაუფლების შესახებ. გაძლიერდა მშრომელი ახალგაზრდობის ლტოლვა უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლებისაკენ, პროფესიულ-ტექნიკური სწავლების წრეებისა და სკოლებისაკენ. დიდი წარმატებებით იქმნებოდა და ყალიბდებოდა მუშათა კლასის ახალი, საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია. იგი თანდათანობით ცვლიდა ძველი ინტელიგენციის ნაწილს, ხოლო მეორე დიდი ნაწილი უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა სოციალისტურ მშენებლობაში. სწორედ ქართველი ინტელიგენციის ამ ნაწილმა 1935 წლის იანვარში ი. ბ. სტალინს მიმართა წერილით: „ქართველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელმაც დაგმო ყოველგვარი მერყეობა და კონტრრევოლუციური მავნებლობა, დადგა სოციალიზმის დროშის ქვეშ, დაირაზმა ბოლშევიკების პარტიის გარშემო, შეუსისხლხორცდა მას და მთელ თავის ძალებს, ნიჭსა და ცოდნას ახმარს სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეს“.

მუშათა კლასის შრომითმა და პოლიტიკურმა აღმავლობამ, მის მიერ ტექნიკის დაუფლებამ და მატერიალური და კულტურული ცხოვრე-

ბის დონის ამაღლებამ, აგრეთვე შრომის მეცნიერულმა ორგანიზაციამ (რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია), დაბადა სოციალისტური შრომის ახალი ფორმები და მეთოდები, მათ შორის სტახანოვური მოძრაობა. ამ მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალმა მძლავრმა აღმავლობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველყო მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობაში 2023 მილიონი მანეთის დაბანდებას, ხუთწლედის ბოლოს კი ფაქტიურად დააბანდეს 2581,7 მილიონი მანეთი, ე. ი. თითქმის 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ ხუთწლედში. სახალხო მეურნეობაში მთელი დაბანდებული თანხის 37,8 პროცენტი მოხმარდა სოციალისტურ მრეწველობას.

საქართველოს სოციალისტურ მრეწველობაზე გაწეულმა ხარჯებმა ეფექტიც სასურველი მოგვცა. მეორე ხუთწლედში მშენებლობა დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ჰიდროელექტროსადგურები და მთელი რიგი ქარხნები და ფაბრიკები.

მეორე ხუთწლედში ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წარმატებებზე მიუთითებს: სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონის, მრეწველობის პროდუქციის, მუშათა კლასისა და მისი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის, შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა.

მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ზრდამ. იგი 1932 წლის 236,5 მილიონი მანეთიდან 1937 წლის ბოლოსათვის გაიზარდა 873,6 მილიონ მანეთამდე. ამავე პერიოდში მძიმე მრეწველობის პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 427,0 მილიონი მანეთიდან 908,6 მილიონ მანეთამდე. ხოლო მძიმე მრეწველობაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა—57127 კაციდან 82232 კაცამდე.

მეორე ხუთწლედში საქართველოს წვრილ მრეწველობაში დასაქმებული მუშახელის რაოდენობა 1933 წლიდან 1937 წლამდე(ჩათვლით) გაიზარდა 14,766 კაციდან 19,505 კაცამდე, ხოლო ამავე პერიოდში წვრილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 61,8 მილიონი მანეთიდან 137,3 მილიონ მანეთამდე.

ამრიგად, საქართველოში დიდად განვითარდა მძიმე მრეწველობა. სხვადასხვა ჯურის ანტიპარტიული ელემენტები ამაოდ გვირჩევდნენ

გზის აღებას წვრილი და მსუბუქი მრეწველობის განვითარებისაკენ. მაგრამ კომუნისტური პარტია უფრო შორს იხედებოდა, ვიდრე ობივატელური და მტრული „ფილოსოფიის“ მესიტყვენი. პარტიამ უკუაგდო კაპიტულანტური გეგმები და მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის განხორციელებას. მრეწველობის ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედის ბოლოს შეადგენდა 75,2 პროცენტს. საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად.

მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საქართველოს სოფლის მეურნეობამაც. იგი განაპირობა მასში არა მარტო დიდი თანხების (559,9 მილიონი მან.), დაბანდებამ, არამედ საკოლმეურნეო მშენებლობაში ადრე დაშვებული დამახინჯებების გამოსწორებამ, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამტკიცებამ და სხვ. 1937 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საქართველოს მთელ გლეხურ მეურნეობათა 76,5 პროცენტი და მთელი სათესი ფართობის— 82,8 პროცენტი. საქართველოს კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებანი 1932 წლიდან 1937 წლამდე (ჩათვლით) გაიზარდა 87,4 მილიონი მანეთიდან 456,3 მილიონ მანეთამდე. შესაბამისად გაფართოვდა კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობა. 1933 წლიდან 1937 წლამდე ჩათვლით კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი გაიზარდა 150,7 პროცენტით.

სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების ფართოდ გამოყენებამ (1937 წელს საქართველოს სოფელში 2500-ზე მეტი ტრაქტორი მუშაობდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონე 1937 წელს ორნახევარჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 1932 წელს) ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის ზრდას. 1932 წელს კოლმეურნეობებში მარცვლეულის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე უდრიდა 6,8 ცენტნერს, 1937 წელს კი 11,6 ცენტნერს მიაღწია. კოლმეურნეთა შემოსავალი თითოეულ შრომადღეზე 1932 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა 1937 წლისათვის. ამ დროისათვის რესპუბლიკაში მილიონერი კოლმეურნეობა იყო 23.

მეორე ხუთწლედში ასეთივე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მეურნეობის ყველა დარგმა და კულტურამ.

ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებამ გამოიწვია მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობების განუხრელი ზრდა და კულტურული დონის უმაგალითო ამაღლება. პირველ ხუთწლედთან შედარებით 8,3 პროცენტით გაიზარდა მეორე ხუთწლედში მთელ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაო-

დენობა; მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი 1932 წელს უდრიდა 1697 მანეთს, 1937 წელს კი — 3380 მანეთს, ანუ საშუალო წლიური ხელფასი მეორე ხუთწლედში გაიზარდა 99,7 პროცენტით. მოსახლეობის ეკონომიური მოღონიერების შედეგად გაიზარდა მათი სყიდვითი უნარიანობა, რაზედაც მიუთითებს მეორე ხუთწლედში საქონელბრუნვის ზრდა 160 პროცენტით. კერძო კაპიტალი მთლიანად განიდევნა საქონელბრუნვის სფეროდან.

ქართველი ხალხის ესოდენ დიდი მოღვაწეობა საკავშირო მთავრობამ აღნიშნა იმით, რომ სოციალისტური მშენებლობის 300-მდე მოწინავე მუშაკი დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით, ხოლო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — ლენინის ორდენით.

მეორე ხუთწლედის წლებში საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მოისპო კაპიტალისტური ელემენტები და დამთავრდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის პირობები. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. წარმატებით განხორციელდა კულტურული რევოლუციის, პირველი, სოციალისტური ეტაპი.

გაიმარჯვა სოციალიზმმა.

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ეს დიდი გამარჯვება ასახა და საკანონმდებლო წესით განამტკიცა ახალმა კონსტიტუციამ.

სოციალიზმის ძლევამოსილმა გამარჯვებამ განაპირობა ქართველი ხალხის სოციალისტურ ერად ფორმირების დამთავრება.

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ 1939 წელს დაამტკიცა საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზები და საშუალებები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა ჩვეული თავდადებით მოჰკიდეს ხელი მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. მესამე ხუთწლიანი გეგმის პირველი ორი წლის დავალებები წარმატებით სრულდებოდა. 1938 — 1940 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდდა 2 343 მილიონი მანეთი, რაც დიდად აღემატებოდა წინა ხუთწლედის კაპიტალდაბანდებათა მოცულობას. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 33 პროცენტით.

მესამე ხუთწლიანი გეგმის პირველ ორ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ. 1940 წელს მილიონერ კოლმეურნეობათა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. გადიდდა კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. მუშა-

მოსამსახურეთა ხელფასი 1937 წლიდან 1939 წლამდე გადიდდა 15 პროცენტით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ასიგნებანი — 37 პროცენტით და ა. შ.

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი წლების შედეგები მთელი გეგმის ვადამდე და წარმატებით შესრულების იმედს იძლეოდა, მაგრამ ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

ასეთია საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელების ძირითადი ეტაპები.

§ 2. ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია

ძ ი რ ი თ ა დ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია საკმაოდ მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ემყარება. იგი ჯერ კიდევ 1921 წლიდან იწყებს ჩამოყალიბებას საქართველოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელ მუშაკთა, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი, პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის შედეგად. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე იწყება სხვადასხვა ხასიათის დიდძალი ისტორიული მასალის პუბლიკაცია, რომელთა შორის საბჭოთა საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომებს[1].

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს[2].

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა ნაშრომებს გარკვეული ისტორიოგრაფიული ღირებულებაც გააჩნიათ. მათ შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სიტყვა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს პლენუმის სხდომაზე. 1921 წ. 28 თებერვალი (თხზულებანი, ტ. 32); წ ე რ ი ლ ი გ. კ. ორჯონიკიძეს. 1921 წ. 2 მარტი (იქვე); დ ე პ ე შ ა XI არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. 1921 წ. 10 მარტი (თხზულებანი, ტ. 35); დ ე პ ე შ ა გ. კ. ორჯონიკიძეს. 1921 წ. 9 აპრილი (იქვე); აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს. 1921 წ. 14 აპრილი (თხზულებანი, ტ. 32); დ ე პ ე შ ა გ. კ. ორჯონიკიძეს. 1921 წ. 17 ივლისი (თხზულებანი, ტ. 35); პ რ ო ე ქ ტ ი წინადადებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. 1921 წ. 28 ნოემბერი (თხზულებანი, ტ. 33.); წერილი ამხ. ორჯონიკიძეს საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ. 1922 წ. 13 თებერვალი (იქვე); ბ ა რ ა თ ი პოლიტბიუროსადმი დიდმპყრობელურ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ. 1922 წ. 6 ოქტომბერი (იქვე);

ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიულ წარსულსა და აწმყოს. ამიტომ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მკვლევარისათვის მის წერილებსა და დირექტივებს საქართველოს კომუნისტებისადმი. ამ დოკუმენტებში მეცნიერული სიღრმითაა გაშუქებული ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრებისათვის. ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებში კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული საქართველოს სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი ამოცანები, დასახულია ამ ამოცანების განხორციელების გზები და საშუალებები. ვ. ი. ლენინის მოხსენებებში, სიტყვებსა და წერილებში მოცემულია საქართველოში სოციალისტური მშენებლობის გაშლისა და განვითარებისათვის აუცილებელი დირექტივები და მითითებები; ისინი ეხებიან რესპუბლიკის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ღონისძიებები, საქართველოს კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებანი, ამიერკავკასიის ფედერაციის მნიშვნელობა, საქართველოს ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი და სხვ.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სტალინის ნაშრომებს[1]. მის შრომებში

ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ. 1922 წ. 30 დეკემბერი (თხზულებანი, ტ. 36); Телеграмма Г. К. Орджоникидзе. 30 ноября 1921 г. (ПСС, т. 52); Телеграмма Г. К. Орджоникидзе. 5 апреля 1921 г. (Там же); Заключительное слово по докладу о концессиях (на заседании коммунистических фракций ВЦСПС). 11 апреля 1921 г. (ПСС, т. 43); Записка по прямому проводу 12 апреля 1921 г. (в книге «В. И. Ленин о Закавказье», Ереван, 1963, стр. 393); Телеграмма Г. К. Орджоникидзе. 17 апреля 1921 г. (ПСС, т. 52); Телеграмма Г. К. Орджоникидзе. 18 апреля 1921 г. (Там же); И. В. Сталину. 18 или 19 апреля 1921 г. (Там же); Телеграмма в Ростов 7 июля 1921 г. (газ. «Правда Грузии», 14 июля 1921 г.).

[1] ი. ბ. სტალინი, კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მოხსენება საქართველოს კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე. 1921 წ. 6 ივლისი (თხზულებანი, ტ. 5); დამოუკიდებელი ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. საუბარი გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტთან, 1922 წ. 18 ნოემბერი (იქვე); საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ. მოხსენება საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე. 1922 წ. 26 დეკემბერი (იქვე); საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე. 1922 წ. 30 დეკემბერი (იქვე); ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. თეზისები რკპ (ბ) XII ყრილობისათვის, მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ (იქვე); რკპ (ბ) XII ყრილობა. 1923 წ. 17 — 25 აპრილი (იქვე); რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირი ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლ-

მოცემულია ქვეყნად მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესის ლენინური ანალიზი, ვ. ი. ლენინის მითითებებისა და სადირექტივო წერილების საფუძველზე სხარტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, განსაკუთრებით ეროვნული საკითხის მარქსისტული გადაჭრის ღონისძიებები და საშუალებები.

1921 — 1941 წლების საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროები შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტების პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები[1]. ამ დოკუმენტებში განზოგადებულია კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება, კარგად ჩანს პარტიის ხელმძღვანელი როლი ქვეყნის სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობაში, ამასთან დასახულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. წყაროების ამავე ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობების, კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებანი, სტენოგრაფიული ანგარიშები, მასალები ანგარიშებისათვის[2]; ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობე-

---

ქების პასუხისმგებელ მუშაკებთან. 1923 წ. 9—12 ივნისი (იქვე); პ ა რ ტ ი ი ს მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად. სიტყვა სასოფლო უჯრედთა მდივნების თათბირზე რკპ (ბ) ცენტ. კომიტეტთან 1924 წ. 22 ოქტომბერი (თხზულებანი, ტ. 6); პ ა რ ტ ი ი ს ამოცანების შესახებ სოფლად. სიტყვა რკპ (ბ) ცენტრ. კომიტეტის პლენუმზე. 1924 წ. 26 ოქტომბერი (იქვე); პ ა ს უ ხ ი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა მუშების მისალმებაზე, 1926 წ. 8. ივნისი (თხზულებანი, ტ. 8) და სხვ.

[1] „ს ა ქ კ პ ყ რ ი ლ ო ბ ე ბ ი ს, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", ნაწ. I, თბ., 1954, ნაწ. II, თბ., 1955, ნაწ. III, თბ., 1956; «О работе Компартии Грузии (постановление ЦК ВКП (б) от 3 сентября 1928 года», Тб., 1928; «Постановление ЦК ВКП (б) от 31 октября 1931 года, по докладам Заккрайкома, ЦК Грузии, ЦК Азербайджана и ЦК Армении», Тб., 1931 и т. д.

[2] „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) მესამე ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები", თბ., 1924; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) IV ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1925; „მ ა ს ა ლ ე ბ ი საქართველოს კომპარტიის (ბ) IV ყრილობისათვის", თბ., 1925; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) V ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1927; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) VI ყრილობის რეზოლუციები", თბ., 1929; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის ანგარიშის მასალები საქ. კპ (ბ) VI ყრილობისათვის. 1927 წ. ნოემბერი, 1929 წ. ივნისი", თბ., 1929; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) VII ყრილობის რეზოლუციები", თბ., 1930; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) VIII ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1932; „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კომ. პარტიის (ბ) IX ყრილობა" (სტენოგრ.

ბისა და რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მასალები[1], პარტიის თბილისის კომიტეტის წლიური ანგარიშები[2]. ამ დოკუმენტებში ვრცლად არის დახასიათებული საბჭოთა საქართველოს ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძირითადი მხარეები, დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხების კვლევისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს

ანგარიში), თბ., 1935; „საქართველოს კომ. პარტიის (ბ) XI ყრილობა". (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1939; „საქართველოს კომ. პარტიის (ბ) XIII ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1940; «Материалы к отчету ЦК КП (б) Грузии к IV съезду», Тиф. 1925, стр. 235 — 236. «Материалы к отчету ЦК к VII съезду КП (б) Грузии (июнь 1929-май 1930 г.), Тиф. 1930; «Материалы I съезда Компартии Грузии», Тиф., 1923; «Материалы ЦК КП (Б) Грузии и Народного Комиссариата РКИ», Тиф., 1925; «Материалы к отчету ЦК КП (б) Грузии к VIII съезду», Тиф., 1932 и т. д.

[1] «Первый Закавказский съезд Коммунистических организаций» (Стеногр. отчет), Тиф., 1922; Второй съезд Коммунистических организаций Закавказья» (Стеногр. отчет), Тиф., 1923; «Резолюции и постановления II съезда Коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1923; «Отчет Заккрайкома РКП (б) (март 1922 г.-март 1923 г.), Тиф., 1923; Отчет Заккрайкома РКП (б) (март 1923 г. апрель 1924 г.)», ч. I, II, Тиф., 1924; IV съезд Коммунистических организаций Закавказья, Тиф., 1926; «Материалы к отчету ЗКК-НК РКИ ЗСФСР к IV съезду Коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1925; «Материалы к отчету Зак. краевой контрольной комиссии ВКП (б) к V съезду Закавказских партийных организаций», Тиф., 1927; «Материалы к отчету Заккрайкома ВКП (б) (декабрь 1925 г.-ноябрь 1927 г.); к V съезду Коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1927; «Резолюции VI съезда Коммунистических организаций Закавказъя 5 — 12 июня 1930 г.», Тб., 1930; «VI съезд Коммунистических организаций Закавказья» (Стеногр. отчет), Тб., 1930; «Резолюции 3-го Объединенного Пленума ЗКК и ЗККК ВКП (б), июль 1931 г.», Тб., 1931; «VII съезд Коммунистических организаций Закавказья» (Стеногр. отчет), Тб., 1934; «Резолюции II пленума ЗКК ВКП (б) 28 — 31 мая 1934 г.», 1934; «Резолюции IV пленума Заккрайкома ВКП (б) 2 — 4 февраля 1936 г.», Баку, 1936. и т. д.

[2] „ანგარიში თბილისის კომიტეტისა, 1923 წ. მარტი-1924 წ. მარტი", თბ., 1924; „საქართველოს კომ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიში. 1924 წ. დეკემბერი-1925 წ. ოქტომბერი", თბ., 1925; „მასალები საქ. კპ (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიშისათვის (VIII პარტკონფერენციისათვის)", თბ., 1927; „მასალები საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტის ანგარიშისათვის (IX პარტკონფერენციისათვის)", თბ., 1929 და ა. შ.

მთავრობისა და საბჭოთა ყრილობების ანგარიშები[1], ამიერკავკასიის ფედერაციული ორგანოების მოღვაწეობის მასალები[2], აგრეთვე კომკავშირული[3] და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები. საქართველოს სსრ მთავრობის ანგარიშები და საბჭოე-

---

[1] „სრულიად საქართველოს სამაზრო რევკომების თავმჯდომარეთა და მათ მოადგილეთა პირველი ყრილობა", თბ., 1922; „საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1922; „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების ანგარიში", თბ., 1923; „სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1925; „საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში", თბ., 1925; „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მოკლე ანგარიში", თბ., 1925; „სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა", თბ., 1925; „აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ანგარიში 1921 — 1924 წწ." ბათ., 1925; საქართველოს სსრ მთავრობის 1925 წლის მოქმედების ანგარიში", თბ., 1926; „სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1927; „სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების ანგარიში (1925 წ. აპრილი, 1927 წ. თებერვალი)", თბ., 1927; „საქართველოს სსრ მთავრობის 1926—1927 და 1927—1928 წწ. მოქმედების ანგარიში", თბ., 1929; „სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების მოკლე ანგარიში (1927 — 1929 წწ.)", თბ., 1929; „სრულიად საქართველოს საბჭოების მეხუთე ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1929; „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", თბ., 1931; „სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების მოკლე ანგარიში (1931 — 1934 წწ.)", თბ., 1934; „საქართველოს სსრ მთავრობის ანგარიშის მასალები საბჭოების VII ყრილობისათვის (1931 — 1934 წწ.)", თბ., 1935; „სრულიად საქართველოს საბჭოების მეშვიდე ყრილობა", თბ., 1935; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, 1938 წ. 8-11 იელისი" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1938; «Материалы к докладу Правительства ССР Абхазии на сессии ЦИК-а Грузии III созыва в г. Сухуми», 1926; «Краткий обзор деятельности Правительства ССР Грузии в 1925-1926 гг.», Тб., 1927 и т. д.

[2] «Первый Закавказский съезд Советов» (Стеногр. отчет), Тиф., 1923; «Второй Закавказский съезд Советов» (Стеногр. отчет), Тиф., 1924; «Материалы по профдвижению в Закавказье (март-июль 1922 г.)», Тиф., 1922; «Обзор деятельности НКТ ЗСФСР за 1925 г.» Тиф., 1925; «Отчет о деятельности НКТ ЗСФСР (октябрь 1925 г.-октябрь 1927 г.)», Тб., 1928; «Материалы к отчету Закавказского Совета профессиональных союзов за 1928 — 1932 гг.», Тб., 1932 и т. д.

[3] „სსრ. საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, 20 — 27 აგვისტო 1921" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1922; „საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეექვსე ყრილობა", თბ., 1924; „საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში მე-9 ყრილობისათვის", თბ., 1928; „საქართველოს კომკავშირის მე-10 ყრილობის რეზოლუციები", თბ., 1931 და ა. შ.

ბის ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ ახალი, სოციალისტური ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, მისი განმტკიცება-განვითარების ისტორიას, საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფის ისტორიას საქართველოში.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ცალკე უნდა გამოიყოს პროფკავშირული მასალები[1] (გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი), რომლებშიც ნათლად ჩანს საქართველოს მშრომელი მოსახლეობის თავდადებული ბრძოლა ახალი ცხოვრების შენების უძნელეს გზაზე. ამ ჯგუფის მასალებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შესწავლა-გაშუქებისათვის. პროფკავშირული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს საქართველოს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განვითარება-განმტკიცებაში, მუშათა კლასის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი საქართველოს სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის ცალკეული მხარეების შესწავლისათვის უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებულები[2]. ამ ხასიათის მასალაში კარგად

---

[1] „საქართველოს პროფ. საწარმოო კავშირთა პირველი კონფერენციის დადგენილებანი“, თბ., 1921; „სრ. საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა“ (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1922; „საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს 1922 წლის მოღვაწეობის მიმოხილვა“, თბ., 1923; „საქართველოს სსრ პროფესიონალური კავშირები 1923—1924 წწ.“. თბ., 1924; „საქართველოს სსრ პროფკავშირები 1924—1925 წწ.“, თბ., 1925; „საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციები და დადგენილებები“, თბ., 1924; „საქართველოს პროფკავშირთა IV ყრილობა“, თბ., 1925; „სრ. საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის ანგარიში და რეზოლუციები“, თბ., 1926; „საქართველოს პროფკავშირები 1926—1927 წწ. პროფკავშირთა VI ყრილობისათვის“, თბ., 1927; „საქართველოს პროფკავშირთა VI ყრილობის ანგარიში“, თბ., 1927; „სრ. საქართველოს პროფკავშირთა VI ყრილობის რეზოლუციები“, თბ., 1927; „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წწ. პროფკავშირთა VII ყრილობისათვის“, თბ., 1928; „საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს VII მოწვევის VII პლენუმის რეზოლუციები“, თბ., 1929; „საქართველოს პროფკავშირთა VIII ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებები“, თბ., 1932 და ა. შ.

[2] „საქართველოს სსრ შრომის კანონდებულებათა კრებული“, თბ., 1922; „საქართველოს სსრ კანონები. შრომის კანონთა კოდექსი“, თბ., 1922; „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, 1921-1941 წწ.“, ტ. I, თბ., 1941 და ა. შ.

ჩანს, თუ როგორ ვითარდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა საზოგადოება, რა ძირითადი ვალდებულებებით განისაზღვრებოდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვებისათვის მებრძოლი ადამიანების ყოფითი და შრომითი საქმიანობა.

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა. ამ მხრივ საგულისხმო მასალებია თავმოყრილი საქართველოს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოთა მუშაობის ამსახველ დოკუმენტებში[1]. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია როგორც შემაჯამებელი მასალა, ზოგიც — სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტური კრებულების სახით. წყაროთა ამ რიგს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები[2] და მათი შესრულების შედეგების ამსახველი დოკუმენტები[3].

რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის დახასიათებისათვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სახალხო მეურნეობის ცალკე უწყებათა მიერ გამოცემული დადგენილებები, ბრძანებულებები და ცირკულარები[4].

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლაში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი როლი ენიჭება სტატისტიკურ კრებულებსა და სხვადასხვა პროფილის ცნობარებში მოთავსებულ მასალას. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დახასიათებისათვის უმდიდრესი ციფრობრივი მონაცემებია თავმოყრილი იმ სტატისტიკურ კრებულებში, რომლებიც 1921 წლიდან დღემდე არის გამოცემული. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურ კრებულებში მოთავსებული ციფრობრივი მასალა ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტი არ არის, საჭიროებს სხვა წყაროებთან შედარებასა და შევსებას, აღნიშნული კრებულებიდან აღებული მასალა მრავალ ისტორიულ ფაქტსა და მოვლენას ახალ ელერადობას აძლევს და საფუძვლიანად ამაგრებს მათ. 1921 — 1941 წლების საქართველოს

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოქმედების პირველი წელი", თბ., 1922; „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—1925 წწ.", თბ., 1925; „საქართველოს სსრ 1928—1929 წწ. ადგილობრივი ბიუჯეტი", თბ., 1931; «Промышленность Закавказья (материалы обследования фабрично-заводской промышленности, 1925 г.),» Тб., 1928; «Промышленность Грузии за 40 лет 1921 — 1961», Тб., 1961 и т. д.

[2] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ელემენტები", თბ., 1929.

[3] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», Тб., 1934.

[4] „საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში", თბ., 1924.

ისტორიის საკითხებისადმი მრავალი სტატისტიკური კრებულია მიძღვნილი[1].

საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისათვის გასათვალისწინებელია აგრეთვე მოსახლეობის აღწერის მასალები[2], როგორც მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული პირველწყარო.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეთმობა პრესიდან აღებულ მასალას. 1921—1941 წლების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი სხვადასხვა კუთხითაა გაშუქებული იმდროინდელი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. პრესა აქტიურად ეხმაურებოდა (და ეხმაურება დღესაც) ქვეყნის ეკონომიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარ უმნიშვნელოვანეს გარდატეხებს, განსაკუთრებით კი საბჭოთა ადამიანის შრომით საქმიანობას, საინტერესოდ აღწერდა, თუ როგორ და რა პირობებში წარმოებდა შრომის ახალი, სოციალისტური ჩვევების დანერგვა და განმტკიცება, როგორ ხდებოდა რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში წარსულის ჯერ კიდევ ფესვმაგარი გადმონაშთების ამოძირკვა და ახალი ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნა-ჩამოყალიბება. ამ ურთულესი პროცესის ასახვა მხატვრულ-ფილოსოფიურ და ისტორიულ ლიტერატურასთან ერთად ყოველდღიური გაზეთების ფურცლებსაც დაევალა, რის შედეგადაც დაგროვდა ის-

---

[1] საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1921 — 1931 წწ." (სტატ. კრებ.), თბ., 1931; „აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა" (სტატ. კრ.), ბათ., 1958; „საბჭოთა საქართველოს 40 წელი" (სტატ. კრ.), თბ., 1961; „საბჭოთა საქართველოს 50 წელი" (სტატ. კრ.), თბ., 1971; „საქართველოს კომკავშირი, ციფრები და ფაქტები", თბ., 1972; „საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე, 1921—1966", თბ., 1967; «Материалы по отчету ВСНХ за 1922 год» (Стат.-эконом. сб.), Тиф., 1923; «Закавказье. Финанс.-стат. сб. 1918 — 1923 гг.», ч. I, Тиф., 1924; «Труд в ЗСФСР (Стат. справочник за 1922 — 1925 гг)», Тиф., 1926; «Закавказье. Стат.-эконом. сборник, 1925», Тиф., 1926; «Народное хозяйство Закавказья в цифрах», Тиф., 1927; «Труд в ЗСФСР (1931—1932 гг.)», Тб., 1933; «Грузинская ССР за 20 лет» (Стат. сб.), Тб., 1941; «Народное хозяйство Грузинской ССР» (Стат. сб.), Тб., 1941; «Народное хозяйство Грузинской ССР», Тб., 1957; «Страна Советов за 50 лет» (Сб. стат. материалов), М., 1967; «Народное хозяйство Абхазской АССР», Тб., 1967; «Советская Грузия по ленинскому пути» (Стат. сб.), Тб., 1970; «Коммунистическая партия Грузии в цифрах 1921 — 1970 гг. (Сб. стат. материалов), Тб., 1971 и т. д.

[2] „საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა", ნაწ. I, თბ., 1925; „მოსახლეობის სრ. საკავშირო აღწერა 1926 წლის. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკა", განყ. 1, თბ., 1929; იქვე, განყ. III, თბ., 1932; „სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები", ნაწ. I, თბ., 1923; ნაწ. II, თბ., 1924; ა. ხაჩიძე, საქართველოს მოსახლეობა 1926, 1939 წლების აღწერების მიხედვით და 1959 წლის საკავშირო აღწერის ამოცანები, თბ., 1958.

ტორიკოსებისათვის მეტად საინტერესო, მრავალმხრივი და უაღრესად მდიდარი მასალა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში სანდო პირველწყაროს მნიშვნელობაც ენიჭება. აღებული პერიოდის პრესა მრავალ გაზეთსა და ჟურნალს ითვლის[1].

საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტთა კრებულებს[2]. დღეისათვის საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები გაშუქებულია არაერთ თემატური ხასიათის კრებულში. ამ კრებულებში დოკუმენტური მასალა გარკვეული გეგმითაა განლაგებული, დოკუმენტებს წინ უძღვის გამოკვლევა-წერილი, სადაც მოცემულია კრებულში მოთავსებული დოკუმენტების ზოგადი დახასიათება, ხაზგასმულია მოყვანილ დოკუმენტთა მნიშვნელობა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შესწავლისათვის.

ისტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლა 20-იანი წლებიდან იწყება. გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები — ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, გ. ორჯონიკიძე,

---

[1] გ ა ზ ე თ ე ბ ი: „კომუნისტი", „მუშა", «Заря Востока», «Правда Грузии», «Рабочая правда», «Тифлисский Рабочий»; ჟ უ რ ნ ა ლ ე ბ ი: „საქართველოს ეკონომისტი", „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", „პარტიული მშენებლობა", „ბოლშევიკი", „ახალგაზრდა ბოლშევიკი", „შრომის მოამბე", «Экономический вестник Закавказья», «Кавказский вестник труда», «Вестник статистики» და სხვ.

[2] ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ს. მ ა ღ ლ ა კ ე ლ ი ძ ე. საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ისტორიისათვის. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. დოკუმენტები (იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. XVII—XVIII, თბ., 1964); ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ისტორიისათვის. მანქანათმშენებლობა საბჭოთა საქართველოში 1921-1937 წწ. დოკუმენტები (იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. XIX — XX, თბ., 1965); „აჭარის საბჭოების ყრილობები. დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921—1937 წწ.", ბათუმი, 1971; „საისტორიო მოამბე", ტ. 9, თბ., 1956. М. Орахелашвили, Ленин и ЗСФСР (материалы), Тиф., 1925; «Борьба за победу Советской власти в Грузии (1917 — 1921 гг.)», Тб., 1958; «Борьба за упрочение Советской власти в Грузии (1921 — 1925 гг.)», Тб., 1959; «Революционные Комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г.-февраль 1922 г.)», сост. И. Ахалая, Ф. М. Галустян, Д. Н. Нинуа, Сухуми, 1961; «Революционные Комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.)», сост. И. Д. Ахалая, Сухуми, 1963; Революционные Комитеты Аджарии в борьбе за установление и упрочение Советской власти (март 1921 г.-январь 1922 г.)», сост. И. Д. Ахалая, Н. И. Константиниди, В. В. Шарашидзе, Сухуми, 1963; «Трудящиеся Грузии — В. И. Ленину 1921 — 1924 гг.)», сост. М. Натмеладзе, Н. Датешидзе, Тб., 1964; «История индустриализации Грузинской ССР 1926 — 1941 гг (Документы и материалы)», Тб., 1968; «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР 1927 — 1937 гг. (Документы и материалы)», Тб., 1970 и т. д.

მ. ორახელაშვილი, მ. კახიანი და სხვ.[1]. თავიანთ ნაშრომებში, მოხსენებებსა და სტატიებში აანალიზებდნენ მიმდინარე ისტორიულ პროცესებს და ამით პრაქტიკულად ქმნიდნენ ახალი საქართველოს ისტორიოგრაფიის საძირკველს.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლა დღეს წარმატებით მიმდინარეობს ბევრ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაში, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ცხინვალის, თელავისა და გორის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ინსტიტუტები, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში არსებული მუზეუმები.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლის ძირითადი კერაა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება, ხოლო ამ პრობლემის მეცნიერული დამუშავების ფუძემდებელია — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი ხაჭაპურიძე.

დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ 1943 წლიდან, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან შეიქმნა „სამამულო ომის ისტორიისათვის მასალებისა და დოკუმენტების შეგროვების სექცია“. ამ სექციის ხელმ-

---

[1] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, თბ., 1957; ტ. II, თბ., 1961; ფ. მახარაძე, გეგმიანი მეურნეობა და სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ამოცანები, თბ., 1924; მისივე, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, თბ., 1929; მისივე, საბჭოების ახალი ამოცანები, თბ., 1930; მისივე, საკოლმეურნეო მოძრაობის დღეანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1930; მ. ორახელაშვილი, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და საბჭოთა აღმშენებლობის უახლოესი ამოცანები, თბ., 1925; მისივე, პარტიის იდეოლოგიური ფრონტის შესახებ ამიერკავკასიაში, თბ., 1929; მ. კახიანი, ქალაქის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ საქართველოში, თბ., 1927; მისივე, სოციალისტური მშენებლობა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ამოცანები, თბ., 1929; მისივე, საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებისა და ნაკლის შესახებ საქართველოში, თბ., 1930; ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები, თბ., 1928; ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბ., 1927; მისივე, სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, თბ., 1929; ს. მამულია, საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები, თბ., 1931; გ. სტურუა, საქართველოს საშეფო ორგანიზაციების ამოცანები სოფლად, თბ., 1933 და სხვ.

ძღვანელობა დაეკალა გ. ხაჭაპურიძეს. 1944 წლის ბოლოს „სექცია“ გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. იგი ჩამოყალიბდა აკადემიის პრეზიდიუმთან როგორც „სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია“. 1950 წლის იანვრიდან „კომისია“ გარდაიქმნა „საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებად“[1] და გადაეცა ისტორიის ინსტიტუტს, სადაც გ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით განყოფილების მუშაობა ზუსტად განსაზღვრული გეგმის მიხედვით წარიმართა; საქართველოს უახლესი ისტორიის შესწავლა ამ უბანზე უდავო აღმავლობის გზაზე დადგა.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემების მეცნიერული კვლევა ნაყოფიერად გაიშალა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან. მაშინ ეს კვლევა ძირითადად ორი მთავარი მიმართულებით წარმოებდა: მიმდინარეობდა როგორც კონკრეტული (პრობლემური) საკითხების, ისე ცალკეული პერიოდების (ისტორიოგრაფიაში მიღებული პერიოდიზაციის შესაბამისად) ისტორიის მეცნიერული შესწავლა. მაგრამ მეცნიერების ამ უბანზე მოპოვებული წარმატებანი სრულიად არ იყო საკმარისი, პარტია და ხელისუფლება საბჭოთა პერიოდის ისტორიის მკვლევართაგან უფრო მეტს მოითხოვდა. კერძოდ, მოითხოვდნენ სოციალისტური მშენებლობის ისტორიული გამოცდილების, რომელიც ესოდენ უხვად დაეგროვებინა ქართველ ხალხს, მეცნიერულ განზოგადებას. ამით იყო გამოწვეული ის საყვედური, რომელიც გამოითქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მისამართით გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილში 1957 წელს. „წარმატებით ამუშავებენ რა ძველი ისტორიის პრობლემებს, — ვკითხულობთ აღნიშნულ წერილში, — საქართველოს ისტორიკოსები ამასთანავე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საბჭოთა პერიოდის ისტორიის კვლევას. ამ პერიოდის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს სერიოზული მეცნიერული ნაშრომები. ასეთი მდგომარეობა აშკარად არანორმალურია“ [2].

თანამედროვეობის მეცნიერული ისტორიის შექმნის სირთულეზე მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, როდესაც წერდა: „... ჩვენი დროის ისტორიის წერა, ე. ი. კრიტიკული შესწავლა თანამედროვე ურთულეს საზოგადოებრივი მოვლენებისა, მეცნიერული დასკვნები ამ ცოცხალი ისტორიის შესახებ... განსაკუთრებით ძნელი და პასუხსაგები საქმეა...“[3].

---

[1] 1971 წლიდან აღნიშნული განყოფილება „საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილების“ სახელს ატარებს, ხოლო 1975 წლიდან—„საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების“ სახელს.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1957 წლის 2 ივნისი.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 310.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერული დამუშავების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. გ. ხაჭაპურიძეს. გ. ხაჭაპურიძის ნაშრომით „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ [1] ფაქტიურად საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას. აღნიშნულ ნაშრომში მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული თემის ძირითადი საკითხი — საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ნაჩვენებია აგრეთვე მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა სოციალისტური წყობილების განმტკიცებაში.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ შედარებით უკეთ შესწავლილ პერიოდად სახალხო მეურნეობის აღდგენის წლები ითვლება. აღდგენითი პერიოდის გაშუქებას მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია და სტატია[2]. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ მათში ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის წერილების ისტორიული მნიშვნელობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის დაწყებისათვის. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში საინტერესოდაა განხილული აგრეთვე საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისა და გატარების თავისებურებანი, ახლებურადაა გაშუქებული სასურსათო-ნატურალური გადასახადის ფულადი ეკვივალენტით შეცვლის საკითხი. გარდა ამისა, აღნიშნულ მონოგრაფიებში ფართოდაა გაშუქებული აღდგენითი პერიოდის საქართველოს ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა ძირითადი მხარე, საქართველოს მშრომელების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის.

მონოგრაფიულად არის შესწავლილი აგრეთვე საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როგორიცაა საქართველოში სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდი[3].

---

[1] ეს ნაშრომი პირველად ოდნავ შეცვლილი სათაურით 1936 წელს გამოქვეყნდა, შემდეგ იგი რამდენიმეჯერ გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე.

[2] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წ.), თბ., 1958; მ. ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაცია (1921 — 1925 წ.), თბ., 1965; კ. შელია, საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1970; დ. გოგოხია, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 — 1925 წწ.), თბ., 1965; ქ. თოფურიძე, საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის 1921 — 1925 წწ. (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. II, თბ., 1961) და სხვ.

[3] ი. ჩიქავა, საქართველო სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების პერიოდში, თბ., 1969; მისივე, საქართველო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში, თბ., 1972; გ. ჯიჯეიშვილი, სოციალისტური მშენებლობა აჭარაში (1921 — 1937 წწ.), ბათ., 1971; და სხვ.

ამრიგად, 1921 — 1941 წლების საქართველოს ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ პერიოდზე მოიპოვება მონოგრაფიული გამოკვლევები. მეცნიერული კვლევის ძირითად საგანს დღემდე შეადგენს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეული, პრობლემური საკითხები. უკვე გამოქვეყნებულია არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა, მათ შორის ნაშრომები საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის, მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცების, საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისა და განმტკიცების შესახებ. ასევე მონოგრაფიულად არის დამუშავებული საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის ისტორიის საკითხები, ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბებისა და საქართველოში კულტურული მშენებლობის ისტორიის პრობლემები. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის მხილებისათვის.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში შედარებით ფართოდ არის გაშუქებული 1921 — 1941 წლების საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის კარდინალური საკითხები[1], კერძოდ, დამუშავებულია მუშათა კლასის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა საქართველოს მუშათა კლასი და სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში; რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მუშათა კლასის შემადგენლობაში; მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა; მუშათა კლასის როლი საბჭოთა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში; მუშათა

---

[1] მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1921-1932 წწ.), თბ., 1971; ს. შ ა რ ი ქ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, თბ., 1959; მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917 — 1921 წწ.), თბ., 1965; ლ. ბ ა რ ა ბ ა ი ა, საქართველოს მუშათა კლასი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში (1926 — 1932 წწ.), თბ., 1965; ნ. ჩ ა ფ ი ძ ე, ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიიდან საქართველოში (1921 — 1929 წწ.), თბ., 1964; ვ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მშრომელები პირველი ხუთწლეულისათვის ბრძოლაში, თბ., 1959; М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа, Из истории рабочего класса Грузии. Тб., 1961; М. Я. Кантере, Из истории рабочего класса Грузии. Тб., 1970; Его же, История развития культурно-технического уровня рабочего класса Грузии в период строительства социалистического общества (1921 — 1937 гг.), Тб., 1972; А. Куправа, Промышленность и транспорт Абхазии в первые годы Советской власти. Сух., 1969; А. Абшилава, История промышленности Абхазской АССР, 1921 — 1941 гг., Сух., 1969 и т. д.

კლასის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება და სხვ. ყველა აღნიშნული საკითხი დამუშავებულია ფართო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე, რის შედეგადაც მიღებულია ფრიად საყურადღებო დასკვნები.

საქართველოს ისტორიკოსების კვლევის საგანს შეადგენს სოციალისტური მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და ცალკეული სამრეწველო ობიექტების ისტორია, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ისტორიის აქტუალური საკითხები. ამ მიმართულებით ჩატარებულია გარკვეული მუშაობა [1], კერძოდ, საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოში მანქანათმშენებელი მრეწველობის ისტორია — ნაჩვენებია მრეწველობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების კანონზომიერება და მისი როლი ქვეყნის სამეურნეო აღმავლობაში, გაშუქებულია ქართველი მანქანათმშენებელი კადრების შექმნის, მათი დაოსტატების, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ზრდის ისტორია.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის დამუშავება, როგორიცაა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცება სოციალისტური საზოგადოების შენება-განვითარების პირობებში. ამ საკითხს მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი [2].

---

[1] ა. კოჭლავაშვილი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (1921 — 1932 წწ.); თბ., 1966; კ. ტოტოჩავა, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ისტორია, თბ., 1970; მისივე, საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია, თბ., 1973; Л. Прицкер, История освоения Ткварчельского каменноугольного месторождения, Сух., 1966; Л. Беридзе, Борьба трудящихся Грузии за развитие пищевой промышленности 1921-1932 гг. (автореферат к. д.). Тб., 1970; Д. Кекелидзе, Борьба трудящихся Грузии за развитие текстильной промышленности 1921 — 1932 гг. (Автореферат к. д.). Тб., 1970; Н. Датешидзе, Трудящиеся Грузии за развитие химической промышленности в период Великой Отечественной войны Советского Союза и послевоенного мирного строительства 1941 — 1955 гг. (автореферат к. д.), Тб., 1971; М. Гвелесиани, Формирование советской производственно-технической интелигенции в Грузии 1921 — 1932 гг. (автореферат к. д.), Тб., 1971 и т. д.

[2] დ. გოგოხია, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლაში (1921 — 1925 წწ.), თბ., 1965; გ. გამსახურდია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან (1917 — 1929 წ.), თბ., 1962; მ. ჯიჯეიშვილი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის (1917 — 1925 წწ.), თბ., 1970; ლ. ნადირაშვილი, საქართველოში საშეფო მოძრაობის ისტორიიდან (1921—1933 წწ.), თბ., 1972, და ა. შ.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და განმტკიცების ისტორიის შესწავლას. ამ პრობლემაზე უკვე 20 — 30-იანი წლებიდან მოგვეპოვება ნაშრომები, რომელთაც უმეტესად პირველწყაროს მნიშვნელობაც აქვთ. აღნიშნული საკითხის მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებით აქტიურად წარმოებს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, როცა შეიქმნა განმაზოგადებელი ნაშრომები საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხების შესახებ (სახელმძღვანელო, ნარკვევები, მონოგრაფიები საქართველოს უახლესი ისტორიის ცალკეულ პერიოდებზე), აგრეთვე სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევები და ა. შ.

საქართველოს სოფელში სოციალისტური გარდაქმნის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში[1] განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ბრძოლა ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის საქართველოში, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ნაბიჯები, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება-განმტკიცება და მასთან დაკავშირებული ის ღრმა ეკონომიური, სოციალური და კულტურული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სოციალისტურ სოფელში.

იმ პრობლემურ საკითხთა შორის, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში შედარებით საფუძვლიანად არის შესწავლილი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხს. აღნიშნული საკითხი გაშუქებულია როგორც ისტორიკოსების[2],

---

[1] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიიდან საქართველოში 1929 — 1932 წწ. (ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. VII, თბ., 1963); მ ი ს ი ვ ე, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917 — 1921 წწ. II, თბ., 1965; თ. ე ღ ე ნ ტ ი, აფხაზეთის ასსრ სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ისტორია, სოხ., 1955; მ ი ს ი ვ ე, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967; ა. ბ ა უ ჟ ა ძ ე, აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, ბათ., 1962; ს. შ ა რ ი ა, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა (1921 — 1932 წწ.), სოხ. 1970; А. Я. К и к в и д з е, Колхозное строительство в Грузии, Тб., 1961; А. К у п р а в а, Крестьянство Абхазии в годы восстановительного периода. Сух., 1959; е г о ж е, История кооперации Абхазской АССР, Тб., 1968; Р. К о ч л а м а з и ш в и л и, Социально-экономический характер крестьянских хозяйств Грузии 1921 — 1929 гг. (автореферат к. д.). Тб., 1968 и т. д.

[2] ი. მ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921 — 1925 წწ.); მ ი ს ი ვ ე, საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების განვითარებისა და განმტკიცების ისტორიისათვის საქართველოში 1926—1929 წწ. და 1929—1932 წწ. (ჟურნ. „მაცნე", 1967, 5; კრებ. „საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხე-

ისე იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა შრომებში[1]. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რევკომების როლისა და ხასიათის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ი. კაჭარავა, გ. ერემოვი, ნ. სუმბაძე და სხვ.) საქართველოს რევოლუციურ კომიტეტებს განიხილავს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას, სხვები (ვ. მერკვილაძე, ი. ახალაია, ლ. თოიძე, უ. ბახტაძე და სხვ.) რევკომებს არ თვლიან პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად და მას მიიჩნევენ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოებად.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების ისტორიას[2]. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ფართოდ არის განხილული ამ პრობლემის თითქმის ყველა ძირითადი საკითხი, ნაჩვენებია ამ საკითხში ნაციონალ-უკლონისტების პოზიციის უარყოფითი გავლენა სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობაზე, ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაზე.

საქართველოს ისტორიკოსების კვლევის ერთ-ერთ საგანს შეადგენს ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცება-განვითარების ისტორია, ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება-განვითარებისა და საქართველოში ეროვნული საკითხის გადაჭრის ისტორია[3]. ამ პრობლემი-

---

ბი", თბ., 1967); ნ. ჩიქობავა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. XXII, 1960); ლ. თოიძე, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტები საქართველოში (კრებ. „საბჭოთა საქართველოსა და კომუნისტური პარტიის 40 წელი", თბ., 1961); В. Мерквиладзе, Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936 гг.), Тб., 1969 и т. д.

[1] გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თბ., 1960; უ. ბახტაძე, საქართველოს რევკომები (ჟურნ. „მნათობი", 1960, 12); ნ. სუმბაძე, რევკომების საკითხისათვის საქართველოში (თსუ შრომები 1959, ტ. 79); ი. ფუტკარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969 და სხვ.

[2] ი. მელქაძე, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის, თბ., 1954; ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921 — 1925 წწ.); ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბ., 1959; კ. წერეთელი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციისათვის, თბ., 1961; У. Сидамонидзе, К истории Закавказской федерации советских республик (журн. «История СССР», 1961, № I) и т. д.

[3] გ. ბრეგაძე, ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის, თბ., 1959; ბ. ბისეკი, საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული

სადმი მიძღვნილ ნაშრომებში გაშუქებულია ხალხთა მეგობრული ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხები, განხილულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობის განმტკიცებისათვის; შესწავლილია და განზოგადებული სახით გადმოცემულია საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, ნაჩვენებია საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის ბაზაზე ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა, როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დადასტურება.

უკანასკნელ ათწლეულში გაძლიერდა ქართველ ისტორიკოსთა ინტერესი სოციალისტური კულტურის ისტორიისადმი. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში[1] გაშუქებულია საბჭოთა საქართველოს კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხები, დახასიათებულია საქართველოში ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულ-

---

გამოცდილება, თბ., 1970; ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1966; გ. ევანია, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეებისათვის, თბ., 1963; ე. ახობაძე, ს. ჩხარტიშვილი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ბრძოლასა და შრომაში, თბ., 1961; ვ. ჯიქია, საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა საქართველოში (1921 — 1925 წწ.), თბ., 1964; უ. სიდამონიძე, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის ეპოქაში (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. II, თბ., 1961); ვ. მერკვილაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის, თბ., 1957; კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის (1921 — 1926 წწ.), თბ., 1957; М. Агаджанов, Г. К. Орджоникидзе в борьбе за осуществление национальной политики Коммунистической партии в Закавказье (1921 — 1926 гг.), Тб., 1960 и т.д.

[1] ზ. ბაბუნაშვილი, ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე, თბ., 1972; გ. ზაქარიაძე, სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა პირველი ნაბიჯები საბჭოთა საქართველოში (კრებ. „საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1967); დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ., 1964; Д. Майсурадзе, Культура Советской Грузии, Тб., 1965; А. Куправа, Из истории культурного строительства в Советской Абхазии, Сух., 1961; Ц. Каландадзе, Культурная революция в Грузии, Тб., 1963; Д. Струва, За грузинскую социалистическую культуру, Тб., 1970; Б. Плиев, О культурном строительстве в Юго-Осетии в восстановительный период 1921 — 1925 гг. («Известия» ЮОНИИ, вып. 10, 1960); А. Адлейба, К истории культурного строительства в Абхазии., Сух., 1961; Т. Капанадзе, Ликвидация неграмотности в Советской Грузии 1921 — 1937 гг. (автореферат к. д.), Тб., 1972; А. Куправа, Культурное строительство а абхазской деревне (1921 — 1929 гг.), Сухуми, 1973 и т. д.

ტურის განვითარების ისტორიული წანამძღვრები; ნაჩვენებია რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის სურათი, მეცნიერულად ახსნილია საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელების თავისებურებანი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ინტენსიური კვლევის ობიექტია საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის ისტორიის საკითხები. მათ მიეძღვნა არაერთი ნაშრომი[1]. ამ შრომებში განხილულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, მშრომელთა კულტურული დონის ზრდისა და განმტკიცების, მშრომელი მოსახლეობის ინტერნაციონაური სულისკვეთებით აღზრდისათვის, მისი იდეურ-პოლიტიკური დონის განუხრელი აღმავლობისათვის; ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის რიგების შემჭიდროების ნათელი სურათი, განხილულია ის გზები და ღონისძიებები, რომლითაც ხორციელდებოდა სოციალისტური საზოგადოების შენება-განვითარების რთული პროცესი, დახასიათებულია ის სიძნელეები და დაბრკოლებანი, რომელთა დაძლევა ქართველ კომუნისტთა ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, გაშუქებულია საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ერთსულოვანი ბრძოლა ურთულესი სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის.

საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები გაშუქებულია არა მარტო მონოგრაფიული ხასიათის შრომებში, არამედ განმაზოგადებელ ნაშრომებშიც. კერძოდ, საქართველოს XX საუკუნის ისტორია განზოგადებული სახით პირველად 1958 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში[2], 1960 წელს გამოიცა „საქართველოს

---

[1] ა. კინწურაშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების ერთიანობისათვის ბრძოლაში (1921 — 1925 წწ.), თბ., 1964; ლ. თოიძე, საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში (რესპუბლიკის კომუნისტების მოღვაწეობა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკისა და მემარჯვენე გადახრის იდეურ-ორგანიზაციული განადგურებისათვის 1926 — 1930 წწ.), თბ., 1974; დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში (1921 — 1937 წწ.), თბ., 1964; გ. ჟვანია, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები (1917 — 1941 წწ.), თბ., 1964; შ. თეთვაძე, საქართველოს კომუნისტური პარტია მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ორგანიზატორი. 1926 — 1929 წწ. თბ., 1972; Д. Гогохия, А. Куправа, Из истории Абхазской организации КП Грузии (1921 — 1929 гг.). Тб., 1969; Д. Струва, В борьбе за единство рядов партии. Тб., 1972 и др.

[2] „საქართველოს ისტორია“, სახელმძღვანელო VII — X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი), თბ., 1958.

ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ტომი, რომელიც მთლიანად საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიას მიეძღვნა[1].

1963 წელს გამოვიდა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (ნაწილი მეორე), სადაც განზოგადებული სახით მოცემულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ორმოცწლიანი მოღვაწეობის ისტორია[2]. 1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორიის“ III ნაწილი, სადაც ზოგადი კურსის სახით გადმოცემულია საქართველოს ისტორია 1917 წლიდან მიმდინარე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისამდე[3]. 1971 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ[4].

1964 წელს გამოქვეყნდა კოლექტიური ნაშრომი „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“ (ნაწილი მეორე), რომელშიც გაშუქებულია აფხაზეთის უახლესი ისტორიის ძირითადი საკითხები[5].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უჭირავს ისტორიულ და ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევებს, სადაც ზოგადხაზებში განხილულია საბჭოთა საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები[6]. საქართველოს უახლესი ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი გაშუქებულია აგრეთვე ცალკე წერილებში, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა კრებულებისა[7] და პერიოდული გამოცემების ფურცლებზე[8].

---

[1] „საქართველოს ისტორია“, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით (ავტორები: ი. კაჭარავა, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა, ა. სურგულაძე), თბ., 1960.

[2] 1971 წელს განხორციელდა მისი, პირველ ნაწილთან გაერთიანებული, ახალი, შესწორებულ-შევსებული გამოცემა — „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1883-1970“.

[3] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX — XX საუკუნეები, ნაწ. III, საბჭოთა საქართველო, თბ., 1967.

[4] «Очерки истории Коммунистических организаций Закавказья», ч. II, Баку, 1971.

[5] «Очерки истории Абхазской АССР», ч. II, Сух., 1964.

[6] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (1921 — 1971 წწ.)“, პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1971 და სხვ.

[7] იხ. სტატიების კრებულები: „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, თბ., 1957; „საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 40 წელი“, თბ., 1961; „საბჭოთა კავშირის შექმნის 40 წელი“, თბ., 1962, „საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1967; „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1970; იგივე, IV; თბ., 1971, იგივე, V, თბ., 1972; იგივე, VII, თბ., 1973; „საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წელი“, თბ., 1972; „საქართველოში ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების ისტორიიდან“, თბ., 1972 და სხვ.

[8] იგულისხმება რესპუბლიკის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინს-

ქართველი ისტორიკოსების ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომებში გაშუქებულია ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევები და ნაკლოვანებანი საქართველოს XIX—XX საუკუნეთა ისტორიის შესწავლის საქმეში[1].

საქართველოს 1921 — 1941 წლების ისტორიის მეცნიერული შესწავლის მდგომარეობაზე საუბრისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, რომელთა ნაშრომები ხშირ შემთხვევაში ავსებენ ამა თუ იმ ისტორიული პრობლემის შესწავლაში არსებულ ხარვეზს, ან კიდევ ამდიდრებენ საკითხის ისტორიოგრაფიას, მით უმეტეს მაშინ, როცა ნაშრომთა ნაწილი გარკვეულად ისტორიულ-ეკონომიური ხასიათისაა[2]. ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი

ტიტუტების შრომები, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო — „მაცნე“ (ადრე იგი „მოამბის“ სახელით გამოდიოდა).

[1] ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962; „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“, თბ., 1962; ბ. ბაქრაძე, მუშათა კლასის ისტორიის საკითხების შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში („მაცნე“, 1967, № 5); მ. ნათმელაძე, მრეწველობის ისტორიის შესწავლისათვის საბჭოთა საქართველოში („საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1967); გ. თევზაძე, დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიოგრაფია („საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1967); გ. მელიქიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე (ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1971, გვ. 34—55.). А. Кочлавашвили, Состояние изучения истории рабочего класса Грузинской ССР, („საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1967); Ю. М. Качарава, О современном состоянии научного изучения новой и новейшей истории Грузии, Тб., 1969.

[2] ი. მიქელაძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები, თბ., 1966; ბ. ხასია, სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1967; ი. ბაჯაძე, სსრ კავშირის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულება, თბ., 1958; კ. ჩარკვიანი, მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, თბ., 1960; მისივე, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა. ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი (1887 — 1941), ტ. I, თბ., 1965; ტ. II, თბ., 1972; ი. კოდუა, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1961; ვ. მელქაძე, სოციალისტური აღწარმოება საბჭოთა საქართველოში. საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი (წარმოება), თბ., 1966; ლ. ჩიქავა, საქართველოს სსრ კავების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, თბ., 1965; ა. ნუცუბიძე, რა მისცა სოციალისტურმა რევოლუციამ მშრომელ გლეხობას, თბ., 1961; ვ. კახეთელიძე, საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკა, ნაწ. I, თბ., 1962; ნაწ. II, თბ., 1964; ა. ჩანტლაძე, ქალაქ თბილისის ბიუჯეტი და საქალაქო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1957; ვ. ჯიბლაძე, საქართველოს სახლმშენებელი ქარხნები, თბ., 1963; И. Микеладзе, Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР, Тб., 1959.

თვალსაზრისით ერთგვარად საინტერესოა აგრეთვე ეკონომ-გეოგრაფების მიერ შესრულებული სამუშაო[1].

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხები ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, იქცა ფალსიფიკაციის ობიექტად[2]. ანტისაბჭოურობის სულისკვეთებით გაჟღენთილი ბურჟუაზიულ მკვლევართა „თეორიები" მიზნად ისახავდნენ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალ-ეკონომიური და კულტურული გარდაქმნების შინაარსის გაყალბებას. რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ეროვნული რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, უახლესი ისტორიის გადმოცემისას ცდილობენ „გააანალიზონ", ე. ი. დაამახინჯონ სოციალისტური საზოგადოების განვითარების ძირითადი მოვლენების აზრი და მნიშვნელობა, ადამიანთა ახალი სოციალისტური ურთიერთობის ხასიათი, დააკნინონ სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ სამეურნეო-ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინიზმის მტრების — ტროცკისტებისა და სხვათა — დებულებებს ეყრდნობა და ცდილობს „მეცნიერული" საფუძველი მოუძებნოს აღდგენით პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა ფალსიფიკაციას. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკა „პრაქტიკულად წვრილბურჟუაზიული კაპიტალიზმისაკენ მობრუნებაა", ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლები საბჭოთა კავშირში დიდი უკანდახევაა სოციალიზმიდან და სხვ.[3].

მენშევიკების აგრარული რეფორმისაგან განსხვავებით, რომელიც ხელუხლებლად ტოვებდა მიწის კერძო საკუთრებას, საბჭოთა ხელისუფ-

---

А. Гуния, Воспроизводство рабочей силы промышленности Грузинской ССР, Тб., 1961; Его же, О темпах и пропорциях социалистического воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1966; Его же, К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии, Тб., 1969; Н. Ткешелашвили, Очерки развития промышленности Советской Грузии (1921 — 1940 гг.), Тб., 1970; А. Какабадзе, Закономерности развития финансов Грузинской ССР, ч. I, Тб., 1962 и др.

[1] В. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968; Г. Гвелесиани, Развитие и размещение социалистического производства в Грузинской ССР, Тб., 1966.

[2] ა. ათანელიშვილი, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ბურჟუაზიული ისტორიკოსების შრომებში (ჟურნ. „მაცნე", 1972, № 3).

[3] Problems of Communism. Washington, 1961, Jul.-Aug., № 4, vl. X, p. 11; Sven v. Müller. Die Sowjetunion. Kulisse und Hintergrund. Hamburg. 1941, S. 84.

ლების მიერ გამოცემული დეკრეტი აუქმებდა მიწის კერძო საკუთრებას და მთელ მიწებს სახელმწიფოს საკუთრებად აცხადებდა. ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი განზრახ ამახინჯებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული რეფორმის შინაარსს და მას სოციალისტ-რევოლუციონერების იდეებთან აიგივებს. საბჭოთა აგრარული რეფორმა, მათი აზრით, აკნინებს და აფერხებს საქართველოს ეკონომიკას[1]. ფალსიფიკატორებს არ სურთ გაიგონ, რომ აღდგენითი პერიოდის საქართველოში სამრეწველო პროდუქციის ნაკლებობა მრავალი მიზეზით აიხსნება: საქართველო მანამდე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. მემკვიდრეობით მიღებული ძირითადი კაპიტალი თავისი სიდიდით, მუშახელითა და მოწყობილობით ვერ ქმნიდა პროდუქციის ინტენსიური წარმოების შესაძლებლობას; საწარმოთა თითქმის სამი მეოთხედის მოწყობილობა გაცვეთილი იყო, იგრძნობოდა კვალიფიციური მუშახელისა და ინჟინერ-ტექნიკური ძალების უკიდურესი სიმცირე. ამას თან სდევდა საბჭოთა სამეურნეო აპარატის ერთგვარი გამოუცდელობა, ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა ელემენტების მავნებლურ მოქმედებას. ყოველივე ამას უგულებელყოფს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია და აღდგენით პერიოდში სამრეწველო პროდუქციის ნაკლებობას მრეწველობის ნაციონალიზაციის შედეგად მიიჩნევს. სოციალისტური მრეწველობის განვითარებაში დაშვებულ ცალკეულ შეცდომას ან უზუსტობას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საერთოდ სოციალისტური მეურნეობის, სოციალისტური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებად აცხადებს[2].

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხი. ამ საკითხებს ეძღვნება ბურჟუაზიული ისტორიკოსების არაერთი „გამოკვლევა". ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილია როგორც ძალადობრივი, ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიება. ერთ-ერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებას სახავს ისე, თითქოს ამ გაერთიანების წინააღმდეგი იყო ქართველი ხალხი, საქართველოს კომუნისტური პარტია, თითქოს ქართველი კომუნის-

---

[1] D. Charachidze, H. Barbusse, Les Sovjets et la Georgie, Paris, pp. 161-178.

[2] La Georgie sous la domination des armees Bolshevistes, Paris, 1921, p.p. 21-22, 23-25; I. Braumthal. Vom Kommunismus zum Imperialismus. Wien, 1922. S. 17-18. D. Charachidze. H. Barbusse, Les Sovjets., p. 175; A. Jugov. Fünfjahreplan. Berlin, 1931. S. 107; An Introduction to Russian history by Nicholas L. Fr. Chirovsky, New-York, 1967, p. 190.

ტები წინააღმდეგი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციისა იმიტომ, რომ საქართველოსათვის სრულიადაც არ იყო მომგებიანი ფედერაციაში სხვა რესპუბლიკებთან თანაბარი უფლებებით შესვლა[1]. ფედერაციის წინააღმდეგ ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა გამოსვლა აღნიშნულია როგორც დადებითი მოვლენა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ისტორიკოსის წიგნებში[2]. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიის ასეთი გაგება საფუძველშივე მოკლებულია ჭეშმარიტებას და ისტორიული სინამდვილის გაყალბებას წარმოადგენს. რადგან, ჯ ე რ ე რ თ ი, მათი დებულებანი დეკლარაციული ხასიათისაა, ავტორებს არ გააჩნიათ მათი დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი; მ ე ო რ ე, მიმართავენ საქართველოს კომპარტიის გაიგივებას მის მცირე ნაწილთან, ნაციონალისტურ ჯგუფებთან, სრულიად უსაფუძვლოდ ამ უმცირესობას მიიჩნევენ უმრავლესობის მისწრაფებათა გამომხატველად, და ბოლოს, მ ე ს ა მ ე, ნაციონალ-უკლონისტების საქმიანობას დადებით მოვლენად რომ მიიჩნევენ, სრულიად არ აზუსტებენ, თუ ვისთვის იყო იგი დადებითი მოვლენა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თუ დამარცხებული ბურჟუაზიისათვის.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ეყრდნობიან რა ემიგრანტულ ლიტერატურას, ცდილობენ მოგვევლინონ სუვერენულ უფლებებს თითქოს მოკლებულ საქართველოს არამკითხე „დამცველებად"[3]. საინტერესოა, რაღას იტყოდნენ ქართველი ხალხის ეს „დამცველები" მაშინ, რომ მომხდარიყო საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება „ავტონომიზაციის" ფორმით?! მაგრამ რამდენი სიამოვნება წაართვა ვ. ი. ლენინმა ემიგრანტულ მთავრობებსა და მათ მფარველებს, როდესაც საფუძველი ჩაუყარა თავისუფალ და სრულუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობით კავშირს!

---

[1]. E. H. Carr. A History of Soviet Russia. vl. I, The Bolshevik Revolution 1917 – 1923. Baltimore – Maryland, 1966; p.p. 397 – 400; vl. II. Socialism in one country 1924 – 1926. New-York, 1960, p.p. 263 – 264.

[2] W. Kolarz. Die Nationalitätenpolitik der Sowjetunion. Frankfurt am Main. 1956. S. 269; Soviet Russia and the East 1920–1927. A Documentary Survey, by Xenia Jourkoff – Eudin and Robert C. North. Stanford, California, 1957, p.p. 33–41; Soviet Studies series. Soviet National Policy in Practice. Edtd by Robert Conquest, London, Sydney, Toronto, 1967, p.p. 37 – 41, G. Sfökl, Russische Geschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart. Sttutgart, 1965, S. 667; Schriften des Arbeitskreises für Ostfragen, № 11, G. Stokl. Sowjetrussland unter Lenin und Stalin, 1917 – 1953, München, 1963. S. 31; Soviet Russian nationalism. Frederick C. Barghoorn, New-York, 1956, p. 31.

[3] Georgien. Eine wirtschaftliche Studie von Dr. A. Hatschidze. Innsbruck, 1926. S. 4; Der Terror gegen die sozialistischen parteien in Rußland und Georgien. R. Abramovitsch. W. Suchomlin, I. Zereteli, Berlin, 1925, S. 101.

დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა მიერ აღნიშნული საკითხების ამგვარი გაყალბება გარკვეულ მიზანს ემსახურება და ოდნავადაც არ შეესაბამება ობიექტური მეცნიერების ინტერესებს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, კერძოდ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, აღნიშნული საკითხები დამუშავებულია ობიექტურად, ფართო დოკუმენტურ ბაზაზე დაყრდნობით, დასაბუთებულია ამ მოვლენების კანონზომიერება და მათი უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის, ეკონომიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის როლის უგულებელყოფისას ხშირად ეყრდნობა, როგორც პირველწყაროს, ანტისაბჭოთა ძალების (ტროცკისტ-ზინოვიეველთა, ბუხარინელთა და სხვ.) წარმომადგენელთა ნაშრომებს. იგი ისწრაფვის დაამახინჯოს ისტორიული სინამდვილე, მისთვის დამახასიათებელია ინდუსტრიალიზაციის კლასობრივი შინაარსის მიჩქმალვა, ინდუსტრიალიზაციის წლებში ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და ხალხის ინტერესებს შორის დამოკიდებულების დამახინჯება, მოკავშირე რესპუბლიკებში ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის რუსიფიკატორული ტენდენციების მიწერა და სხვ. ზოგი მათგანი იძულებულია აღიაროს ჩვენი წარმატებები ინდუსტრიალიზაციის წლებში, მაგრამ ამ წარმატებების შინაარსს ისეთ ელფერს აძლევს, რომ აშკარაა მათი ცდა — დააკნინონ და დაამახინჯონ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსი[1].

ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ასევე უხეშადაა გაყალბებული ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ისტორია. დასავლეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები აღნიშნული საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რასაც, ცხადია, ერთგვარი საფუძველიც აქვს. იმისათვის რომ დაიცვას კერძო საკუთრების შეურყევლობის იდეა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ისწრაფის უარყოს კოლექტივიზაციის შესაძლებლობა. ჩვენი საუკუნის 50—60-იან წლებში კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული აზიისა და აფრიკის ხალხებს კაპიტალისტური მეურნეობის სამყაროდან თავის დაღწევის ერთ-ერთ შესაძლებლობად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიაჩნდათ; მსოფლიო ხალხები, უპირველეს ყოვლისა, გლეხთა მასები, დაინტერესებული არიან საბჭოთა კავ-

[1] W. Kolarz. Die Nationalitätenpolitik..., S.S. 23, 26, 39 – 40. Die Bücherei des Ostraumes. Kaukasien. Von Dr. Erhorn. Berlin, 1939, S. 16; The Russian Review, An American Journal devoted to Russia's past and present. 1945. Automn, № 1, vl. V. p. 8, 1965, October; № 4, vl. XXIV, p. 328.

შირში გატარებული აგრარული პოლიტიკით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხით. ამიტომაა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ყოველნაირად ცდილობს მიჩქმალოს ის უპირატესობანი, რომელსაც სოციალისტური წყობილება, გლეხობის შრომითი დასაქმების საკოლმეურნეო ფორმა იძლევა.

ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზრით საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა სოციალური და ეკონომიური პირობები, არ იყო საკმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საწარმოო ძალების მომზადების სათანადო დონე. ამიტომ, მათი აზრით, საბჭოთა კავშირში განხორციელებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არ წარმოადგენდა ობიექტურ კანონზომიერებას[1].

ბურჟუაზიული იდეოლოგია განსაკუთრებული მონდომებით ცდილობს გააყალბოს ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებში კოლექტივიზაციის განხორციელების ისტორია. ეროვნულ რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში, დასავლეთ ევროპასა და აშშ ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზრით, კოლექტივიზაციის პროცესი იყო მხოლოდ უხეში ძალადობის, ეკონომიური იძულების, ადმინისტრაციული დაშინების შედეგი[2].

საქართველოში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიის გაყალბების მიზნით ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია მიმართავს ცილისმწამებლურ მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს კოლექტივიზაციის პროცესი წარმოადგენდა რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას[3].

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია უარყოფს კავკასიისათვის კოლექტიური მეურნეობის გამარჯვების კანონზომიერებას და თავგამოდებით იცავს კერძო მეურნეობის სიმტკიცის თეორიას. ბურჟუაზიული იდეო-

---

[1] Soviet Studies. A Quarterly Review of the Social and Economic Institutions of the USSR, 1967, January, № 3; vl. XVIII, p. 369; Schriften des Arbeitskreises für Osterfragen, № 11... s. 46. Otto Baumhauer. UdSSR. Geschichte und Entwicklung der Sowjetunion. Bremen, 1965, S.S. 99 – 101;

[2] The politics of ideas in the USSR (The contemporary Soviet Union series; Institutions and Politics. Edtd by Robert Conquest) New-York, Washington, 1967, p. 48; Horst C. Berlinius, Die Sowjets – Wie sie denken, fühlen, handeln, Stuttgart, 1963, S. 34; Collection N. Serie; „Histoire contemporaine" dirigee par Rene Remond; Pierre Sorlin, La Societe Sovietique 1917 – 1964, Paris, 1964, p.p. 103, 154, 178; The Soviet Middle East. A Communist Model for Development by Alec Nove and I. A. Newth, New-York, Washington, 1967, p. 57. An Introduction to Russian history... p. 191.

[3] A. Sanders (A. Nikuradze) Kaukasien, Nordkaukasien, Aserbeidschan, Armenien, Georgien, München, 1944, S. 311 – 312. Die Bücherei des Ostraumes. Die Landwirtschaft in der Sowjetunion. Von Otte Braütigam. Berlin, 1942, S.S. 144 – 146; W. Kolarz. Die Nationalitätenpolitik..., S. 28.

ლოგები მზად არიან დაეთანხმონ დებულებას, რომ შესაძლებელია კოოპერაციის გავრცელება მხოლოდ ვაჭრობისა და კრედიტის დარგში. ისინი ყველა საშუალებით ცდილობენ უარყონ კოოპერაციის შესაძლებლობა წარმოების სფეროში[1].

საქართველოში გატარებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ისტორიის ბურჟუაზიული ინტერპრეტაცია[2] მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და ლოგიკურობას. სწორედ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, სოფლად კოლექტიური წარმოების დანერგვამ, ახალი სოციალისტური ურთიერთობის დამკვიდრებამ განსაზღვრა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონე, ჩვენი რესპუბლიკის ვენახის, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს მაღალმწარმოებლურ კერად გადაქცევა. ყოველივე ეს ასახულია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საერთოდ, წინამდებარე ნარკვევებში განსაკუთრებით.

* * *

ასეთია ძალიან მოკლედ საქართველოს 1921 — 1941 წლების ისტორიის საკითხების შესწავლის მდგომარეობა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რომელიც დაფუძნებულია კვლევის მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე და ჭეშმარიტად პარტიულობის ლენინურ პრინციპს ემყარება. ამის შედეგად „დიდი წარმატებებია მოპოვებული საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების დარგში, — აღნიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ი. ვეკუამ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, — განსაკუთრებით კარგად არის გაშუქებული ვ. ი. ლენინის როლი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების საქმეში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკების ბრძოლაში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდაში და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ქართული ისტორიოგრაფია მდიდარია გამოკვლევებით უახლესი ისტორიის ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის ეროვნული საკითხის ისტორია, აგრარულ-გლეხური ურთიერთობის ისტორია, საზოგადოებ-

---

[1] კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემები, თბ., 1930, გვ. 67.

[2] Die Bücherei des Ostraumes. Kaukasien.. ss. 16–18; 20–22, 30–33; W. Kolarz. Die Nationalitätenpolitik... s s. 273–274.

რივ-პოლიტიკური აზრის ისტორია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნისა და განმტკიცების ისტორია და სხვ.

ქართველმა ისტორიკოსებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესწავლას. განსაკუთრებით საფუძვლიანად შესწავლილია საბჭოთა მუშათა კლასისა და სოციალისტური მრეწველობის ისტორია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პრობლემები, სოციალისტური შრომის ფორმებისა და მეთოდების დანერგვისა და განვითარების ისტორია, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორია, დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის საკითხები და ომისშემდგომი პერიოდის ისტორია. ქართველი ისტორიკოსები ამჟამად ინტენსიურად სწავლობენ და აშუქებენ მიმდინარე საუკუნის 50—60-იანი წლების საქართველოს ისტორიას"[1].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში შექმნილია მტკიცე მეცნიერული ბაზა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემების შემდგომ გაღრმავებულ შესწავლა-დამუშავებას, საერთოდ, ისტორიული კვლევის ფართოდ გაშლასა და მეცნიერული აზროვნების განვითარებას. ძირითადად მიღწეულია კიდევ ერთი, მთავარი მიზანი: საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე დონე საშუალებას აძლევს საბჭოთა საზოგადოებას — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და, რაც მთავარია, ჩვენს ახალგაზრდობას, რომელსაც უყვარს და აინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორია — უფრო ფართოდ გაიცნოს, უკეთ გაიგოს და შეისწავლოს იგი და ამით კიდევ უფრო აქტიურად ემსახუროს სამშობლოს კეთილდღეობას.

* * *

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების" წინამდებარე ტომის მომზადებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ა. კოპლავაშვილი, დ. მაისურაძე და მ. ჯიჯეიშვილი (რედაქტირება), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ლ. ბერიძე (საძიებლის შედგენა) და რ. კოპლამაზაშვილი (წყაროების შეჯერება).

---

[1] ეურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1973, № 7, გვ. 69.

თავი პირველი

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921 — 1925 წწ.)[1]

§ 1. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოს მუშათა კლასის წინაშე წამოიჭრა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ლიკვიდაციისა და სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნისა და განმტკიცების ამოცანა, მაგრამ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საკმარისი როდი იყო მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების განდევნა ხელისუფლებიდან. საჭირო იყო აგრეთვე ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და ახალი, პროლეტარული, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა.

საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველსავე დღეებში ვ. ი. ლენინმა მოკლედ, მაგრამ მეცნიერული სიზუსტით ჩამოაყალიბა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის დაწყების, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების გეგმა. იგი გადმოცემულია 1921 წლის 2 მარტისა და 14 აპრილის წერილებში და გ. ორჯონიკიძის სახელზე 9 აპრილს გამოგზავნილ დეპეშაში.

ვ. ი. ლენინმა ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებში სა-

---

[1] წინამდებარე წიგნის პირველი თავი წარმოადგენს პროფ. ი. კაჭარავას სადოქტორო დისერტაციის („საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში", თბ., 1958) გადამუშავებულსა და შემოკლებულ ნაწილს; ავტორის მიერ მასში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ნაწილი იმ შენიშვნებისა, რომლებიც გამოითქვა ოფიციალური ოპონენტების — პროფესორების შ. ჩხეტიას, დ. გვრიტიშვილის, ნ. ტყეშელაშვილისა და ი. მელქაძის მიერ საჯარო პაექრობაზე და პროფესორების — გ. ქვანიას, ს. ჩხარტიშვილის, ი. მელქაძის, დ. გვრიტიშვილისა და დოცენტ ვ. ჯიბლაძის მიერ — სხვადასხვა დროს პრესაში (რ ე დ).

ქართველოს კომუნისტების წინაშე დასახა გადაუდებელი ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იყო ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნა და განმტკიცება, შეუძლებელი იყო სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში. ამ ამოცანებს შორის უმთავრესი იყო: 1. ქართული წითელი არმიის დაუყოვნებლივ შექმნა; 2. „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის" განხორციელება ქართული ინტელიგენციის მიმართ; 3. „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის" განხორციელება ყველა წვრილბურჟუაზიული ელემენტის მიმართ; 4. „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის" შექმნა; 5. „მდიდარი მხარის საწარმოო ძალების" მთელი ძალღონით განვითარება; 6. „კაპიტალისტური დასავლეთის" გამოყენება „კონცესიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში"; 7. „საოლქო სამეურნეო ორგანოს" შექმნა მთელი ამიერკავკასიისათვის; 8. გლეხობის მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება; 9. საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება.

აი, ის დიდი ისტორიული ამოცანები, რომელთა წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფდა ბურჟუაზიული საქართველოს გარდაქმნას სოციალისტურ საქართველოდ, ქართველი ბურჟუაზიული ერის გარდაქმნას სოციალისტურ ერად.

საქართველოს კომუნისტებისათვის ამ დიდ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში გზა უკვე გაკვალული იყო რუსი ხალხის ისტორიული გამოცდილებით. საბჭოთა მშენებლობის რუსული გამოცდილების შესახებ ს. კიროვი 1921 წლის ივნისში, მიმართავდა რა თბილისის პირველ საქალაქო პარტიულ კონფერენციას, ამბობდა: „ძნელი და რთული შუშაობა გიდევთ წინ თქვენს გზაზე, მე მინდა გაგახსენოთ, რომ თქვენი მუშაობა საგრძნობლად გაადვილებულია მით, რომ წინ გიდევთ რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის დიდი მაგალითი... მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პარტია გაითვალისწინებს გაკვეთილებს, რომლებსაც საბჭოთა რუსეთი იძლევა და შესძლებს შემოიკრიბოს და შეადუღოს ახალგაზრდა საქართველოს ნამდვილი რევოლუციური ელემენტები და ამით საფუძველი ჩაუყაროს დიდ აღმშენებლობით მუშაობას"[1]. კონფერენციამ „საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ" მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა: „საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში... სავსებით უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს მთელი ის მდიდარი გამოცდილება, რომელსაც იძლევა საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკა რუსეთში"[2].

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 14 ივნისი.

[2] იქვე.

საბჭოთა და პარტიულ მშენებლობაში რუსი ხალხის მდიდარი ისტორიული გამოცდილება ეს ისეთი ნაბიჯი იყო, რომელსაც ადვილად გაჰყვებოდა და გაჰყვა კიდეც ქართველი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მაგრამ ამავე დროს ბელადი არაერთგზის მიუთითებდა საქართველოს კომუნისტებს რუსული გამოცდილების შაბლონური განმეორების დაუშვებლობის შესახებ. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა რუსული გამოცდილების შეხამებას, შეფარდებას იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებთან, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა საქართველოს კომუნისტებს. „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, — აფრთხილებდა ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებს, — არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917 — 1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები“[1].

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა საქართველოს ისტორიული განვითარების იმ თავისებურებებზე, რომლებიც პარტიისაგან მოითხოვდნენ „რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას“, დამთმობლობას „წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“. საქართველოს ისტორიული განვითარების ამ თავისებურებათა შორის უნდა აღინიშნოს უმთავრესი: 1. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ჰქონდა პოლიტიკური და „ცოტაოდენი“[2] სამხედრო დახმარება საბჭოთა რუსეთისაგან; 2. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხელი მოიწვეს საბჭოთა რუსეთში, რის გამოც ისინი იძულებული იყვნენ ერთხანს მაინც ფრთხილად ყოფილიყვნენ. ამრიგად, საქართველოსათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა 1921 წლის საერთაშორისო ვითარება. ევროპაც და მთელი მსოფლიოც 1921 წელს ის აღარ იყო, რაც 1917 და 1918 წლებში; 3. საქართველო კიდევ უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი; 4. საქართველოს უფრო ადვილად შეეძლო ეკონომიური ურთიერთობის მოგვარება კაპიტალისტურ სამყაროსთან, ვიდრე რუსეთს; 5. საქართველოში 1921 წლის 25 თებერვლიდან 1922 წლის 25 თებერვლამდე, პროლეტარიატის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენდა რევოლუციური კომიტეტები. საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, საქართველოში შეიქმნა 1922 წლიდან.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა საქართველოს კომუნისტებს მიუთითა ჩვე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 399.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

ნი ქვეყნის ისტორიული განვითარების იმ თავისებურებებზე, რომელთა გამო საქართველოს კომუნისტები უნდა მორიდებოდნენ რუსულ შაბლონს და უნდა შეემუშავებინათ თავისებური, ადგილობრივ მისაღები ტაქტიკა. მხოლოდ ასეთი ტაქტიკა უზრუნველყოფდა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ლენინის მიერ შემუშავებული გეგმის წარმატებით განხორციელებას.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპია ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ ეტაპზე საქართველოს მუშათა კლასს, გლეხობას, კომუნისტურ პარტიას ერთდროულად მოუხდათ რიგი ურთულესი ისტორიული ამოცანის გადაჭრა: სახალხო მეურნეობის აღდგენა, ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა, ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია და შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევა. ეს გარემოება უდავოდ ართულებდა ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობას საქართველოში. მაგრამ, ამ დიდ საქმეში ქართველი მშრომელი ხალხის სასარგებლოდ მოქმედებდნენ ისეთი ხელშემწყობი ფაქტორები, როგორიც იყო მუშათა კლასისა და გლეხობის დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, საბჭოთა რუსეთის მხრივ სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა და ეკონომიური დახმარება, და ბოლოს, ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის რუსული გამოცდილება.

საქართველოში ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნა-განმტკიცება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევითა და ახალი სახელმწიფო მანქანის შექმნა-განმტკიცებით, ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციით, შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევით, სახალხო მეურნეობის აღდგენით, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და პოლიტიკური აქტივობის აღმავლობით და ა. შ.

საქართველოში ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნისა და განმტკიცების ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია პროლეტარიატის დიქტატურის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და განმტკიცების ისტორიასთან. ამიტომ საბჭოთა საზოგადოების მეცნიერული ისტორია გვერდს ვერ აუვლის საზოგადოებრივი ზედნაშენის პოლიტიკური და იურიდიული ფორმების შესწავლას.

სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებაში განსხვავებული ურთიერთობა მყარდება ბაზისსა და ზედნაშენს შორის, ეკონომიურ საფუძველსა და პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის. სოციალისტურმა რევოლუციამ დაამთავრა ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა საზოგადოების

„წინაისტორია“ და დასაბამი მისცა საზოგადოების ნამდვილ ისტორიას, როდესაც ახალი საზოგადოების არა მარტო გარიჟრაჟზე, არამედ მის ყველა ეტაპზე პოლიტიკური ძალაუფლება და ეკონომიური ცხოვრების განვითარება ერთი და იგივე მიმართულებით მოქმედებენ, როდესაც ადამიანები, საზოგადოების მოძრაობისა და განვითარების ობიექტურ ეკონომიურ კანონებზე დაყრდნობით, შეგნებულად ქმნიან საკუთარ ისტორიას. მასების ამ შემოქმედებითი მოღვაწეობის სათავეში დგას მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტია, როგორც ძირითადი წარმმართავი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში. ამიტომ შეუძლებელია საბჭოთა საზოგადოების ისტორიის, ან მისი რომელიმე პერიოდის მეცნიერული გაშუქება, თუ ზოგადად მაინც არ გაშუქდა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების ისტორია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ნაჩვენები იქნეს კომუნისტური პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის როლი ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში.

საქართველოს მუშათა კლასს არ შეეძლო დამხობილი კლასების დათრგუნვა, ხელისუფლების შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების გარეშე. ძალაუფლების აღება ეს მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. არანაკლებ დიდი და სერიოზული ბრძოლა მოელოდა მუშათა კლასს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, რადგან დამხობილი კლასები, ცნობილ გარემოებათა გამო, კიდევ დიდხანს იქნებოდნენ გამარჯვებულ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი. ამიტომ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ მთავარი იყო მისი შენარჩუნება და განმტკიცება, რისთვისაც, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, საჭირო იყო: პ ი რ ვ ე ლ ი, რევოლუციის მიერ დამხობილი და ექსპროპრირებული კლასების მხრივ წინააღმდეგობის დათრგუნვა, მათ მიერ კაპიტალიზმის ძალაუფლების აღდგენის ყოველგვარი ცდის ლიკვიდაცია; მ ე ო რ ე, პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელის დარაზმვის საფუძველზე მშენებლობის მოწყობა და ამ მუშაობის წარმართვა ისეთი მიმართულებით, რომელიც შექმნიდა პირობებს კლასების ლიკვიდაციისათვის; მ ე ს ა მ ე, რევოლუციის შეიარაღება, რევოლუციის არმიის შექმნა საგარეო საფრთხისაგან თავდასაცავად.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველი რიგის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ახალი ტიპის, პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება. და მართლაც, საქართველოს მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამარჯვების პირველ დღეებშივე მოჰკიდა ხელი დიდსა და სერიოზულ საქმეს — პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობას. ამ დროს დიდი როლი შე-

ასრულეს რევოლუციურმა კომიტეტებმა, როგორც აჯანყებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოებმა.

გამარჯვებულ მუშათა კლასს საქართველოში, სადაც განსაკუთრებით მძლავრი იყო წვრილბურჟუაზიული სტიქია, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და კონტრრევოლუციური პარტიები, ე. ი. სადაც ჯერ კიდევ არ იყო ხელსაყრელი პირობები საბჭოური სისტემით დაშვებული დემოკრატიზმისათვის, არ შეეძლო თავიდანვე, ერთბაშად შეექმნა საბჭოები და გამოეცხადებინა იგი საკუთარი დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად. მაგრამ, როგორც ცნობილია, არ შეიძლება არსებობდეს პროლეტარიატის დიქტატურა რაიმე გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმის გარეშე. ამიტომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აჯანყებული მუშებისა და გლეხების მიერ შექმნილი რევოლუციური კომიტეტები აჯანყებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოებიდან გარდაიქმნენ ხელისუფლების ორგანოებად, ან პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმად მას შემდეგ, რაც ისინი რიგი კონსტიტუციური ხასიათის ღონისძიებათა შედეგად, თავიდან ბოლომდე გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდნენ მწყობრი პოლიტიკური სისტემის სახით.

ამრიგად, საქართველოში საბჭოების როლსა და ფუნქციებს მთელი ერთი წლის მანძილზე ასრულებდნენ რევოლუციური კომიტეტები. ისე როგორც საბჭოები, რევკომებიც იყვნენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებიც და სახელმწიფოებრივი ფორმაც. იმდენად, რამდენადაც რევკომები, ასრულებდნენ საბჭოების როლსა და ფუნქციებს, ასრულებდნენ საბჭოების ორივე ძირითად ფუნქციას — ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფოებრივი ფორმის ფუნქციას; ის გარემოება, რომ 1921 წლის 16 თებერვლიდან ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველო იწოდება „საბჭოთა რესპუბლიკად", მიუთითებს მის უახლოეს მიზანზე, და არა უკვე განხორციელებულ ფაქტზე, ისე როგორც მისი „სოციალისტურად" წოდებაც მიუთითებდა მუშათა კლასის არც თუ ისე შორეულ მიზანზე და არა როგორც განხორციელებულ ფაქტზე. ამიტომ გამოთქმები: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება", „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება" ნიშნავს „საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას", „საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებას". ეს ორი ცნება ერთმანეთის სინონიმად, ერთმანეთის შესატყვის ცნებად, ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებოდა და იხმარება დღესაც, ისე როგორც, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობდნენ „პარიზის კომუნასა" და „პროლეტარიატის დიქტატურას". „ბოლო დროს, — წერდა კ. მარქსი, — სოციალ-დემოკრატიული ფი-

ლისტერი ხელახლა განმკურნებელ შიშის ძრწოლას განიცდის პროლეტარიატის დიქტატურის გაგონებაზე. ძალიან კარგი, ბატონებო: გნებავთ თუ არა იცოდეთ როგორი სანახავია ეს დიქტატურა? შეხედეთ პარიზის კომუნას. ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა"[1]. როგორც ვხედავთ, კ. მარქსი, საკითხის ფართო გაგებით, „პარიზის კომუნასა" და „პროლეტარიატის დიქტატურას" შორის იგივეობის ნიშანს სვამდა; საკითხის ვიწრო გაგებით კი მას „კომუნა" მიაჩნდა მუშათა კლასის მთავრობად, პოლიტიკურ ფორმად. აი, რას წერდა ამის შესახებ კ. მარქსი: „კომუნის მნიშვნელობის სხვადასხვანაირი განმარტება, მის მიერ გამოხატული ინტერესების სხვადასხვაობა ამტკიცებს, რომ იგი მეტისმეტად მოქნილი პოლიტიკური ფორმა იყო, მაშინ როცა წინანდელი მმართველობის ფორმები არსებითად მხოლოდ ჩაგვრის ფორმები იყვნენ. მისი ნამდვილი საიდუმლოება შემდეგში მდგომარეობდა: იგი არსებითად მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა იყო..., დაბოლოს, აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც შეიძლებოდა შრომის ეკონომიური განთავისუფლება მომხდარიყო"[2].

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და რევოლუციური ბრძოლის ისტორიამ შემოგვინახა ზოგი სხვა შემთხვევაც, როდესაც ერთმანეთის სინონიმად, ურთიერთშესატყვისად რომ იყენებენ სახელმწიფოებრივი ფორმისა და მისი კლასობრივი შინაარსის გამომხატველ ცნებებს.

რევოლუციურ კომიტეტებს ხშირად მიიჩნევენ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად, დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმისადმი დაპირისპირებულ ცნებად, რაც სწორი არ არის. საბჭოები ერთი და იმავე დროს ხელისუფლების ორგანოებიცაა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმაც, ისე რომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ. აქ საქმე ეხება არა მათ დაპირისპირებას, არამედ იმას, თუ რა თვალსაზრისით, ისტორიულ მოვლენათა რა ვითარებაშია განხილული ერთი ან მეორე.

ვ. ი. ლენინმა, 1917 წელს თავის ცნობილ თეზისებში, აშუქებდა რა საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ, უკუაგდო რესპუბლიკის პარლამენტარული ფორმა და წამოაყენა რესპუბლიკის საბჭოური ფორმა[3], დაახასიათა საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, მაგრამ, როდესაც იგი ეხებოდა პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლების ორგანოთა განმტკიცების პრაქტიკულ საკითხს, 1917 წლის 5 ნოემბერს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 555.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 601.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 60 — 64.

მიმართავდა რუსეთის მშრომელებს და წერდა: „თ ქ ვ ე ნ ი საბჭოები — ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები“ [1].

ამრიგად, ვ. ი. ლენინს ერთმანეთისათვის არ დაუპირისპირებია სახელმწიფოებრივი ფ ო რ მ ა და სახელმწიფოებრივი ო რ გ ა ნ ო ებ ი. ამიტომ რევკომს, რევკომებს (უფრო ზუსტად „რევკომების სისტემას“), თუ ვაღიარებთ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოდ, თუნდაც განსაკუთრებულ ორგანოდ, მაშინ არ შეიძლება იგი არ ვაღიაროთ პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმადაც.

მაშასადამე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. ამ კავშირის ორგანოს ან პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს საბჭოები, სახალხო დემოკრატია ან შეიძლება დროებით წარმოადგენდეს რევოლუციური კომიტეტების სისტემა ან სხვა რამ.

საბჭოები და რევკომები, წარმოადგენენ რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოებს, ხელისუფლებისათვის უშუალო ბრძოლის პერიოდში მათი, ან მათი როლის შემსრულებელი სხვა ორგანოს არარსებობა გამორიცხავდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირს, ამ კავშირის გარეშე კი შეუძლებელი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

1921 წელს საქართველოში არ არსებობდნენ საბჭოები, ამიტომ 25 თებერვალს დამყარებულ პროლეტარიატის დიქტატურას არ შეეძლო გარკვეული პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ფორმის გარეშე არსებობა, მას გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა მიეღო. ამიტომ, საბჭოების არარსებობის ვითარებაში, პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმად რევოლუციური კომიტეტების სისტემა შეგვრჩა. სხვანაირად შეუძლებელი იყო, ვინაიდან გამარჯვებული კლასის დიქტატურას, როგორც შ ი ნ ა ა რ ს ს, საერთოდ არ შეუძლია არსებობა ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ფ ო რ მ ი ს გარეშე.

1921 წელს საქართველოში რევკომები, იყვნენ რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოები, ასრულებდნენ არა მარტო აჯანყების, ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და ხელისუფლების ორგანოთა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 347.

ფუნქციებს, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის ფუნქციასაც. აქ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ერთ-ერთი მათგანის გამორიცხვასაც კი შეუძლია მიგვიყვანოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის უარყოფამდე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესაძლებლობათა უარყოფამდე. და მართლაც, ვინც უარყოფს რევოლუციური კომიტეტების სისტემას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის თუნდაც დროებით, გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას, უნდა უარყოს სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის არსებობა საქართველოში, და აღიარონ სოციალისტური რევოლუციის იმპორტი, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლად — სამხედრო ძალა, საოკუპაციო რეჟიმი. აი, რატომ არის მეცნიერულად მცდარი და პოლიტიკურად მავნე რევოლუციური კომიტეტების სისტემის როგორც პროლეტარიატის დიქტატურის, თუნდაც გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივი ფორმის უარყოფა.

მართალია, 1917 — 1920 წლებში საქართველოში სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ შეიქმნა მუშათა კლასისა და გლეხობის ისეთი მტკიცე კავშირი, რომლის შესაბამისი ორგანოც იქნებოდა საბჭოები. ამიტომ მუშათა კლასისა და გლეხობის იმ კავშირს, რომელიც საქართველოში არსებობდა სოციალისტური რევოლუციის ბრძოლის პერიოდში, მთლიანად შეესაბამებოდა რევოლუციური კომიტეტები, როგორც ამ კავშირის ორგანოები.

საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში შექმნილი საბჭოების სისუსტე და ხანმოკლეობა განაპირობა იმან, რომ აქ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რიგ გარემოებათა გამო, არც ძალიან ღრმა იყო და არც ძალიან მტკიცე. ეს იყო ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა შეესრულებინა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით დახმარებოდა საქართველოს აჯანყებულ მშრომელებს მენშევიკური, ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმავე მიზეზმა განაპირობა ისიც, რომ მთელი ერთი წელი დასჭირდათ საქართველოს მშრომელებს, არჩევითი ორგანოების — საბჭოების შესაქმნელად.

ყოველივე ზემო თქმულის დადასტურებაა ის შეფასება, რომელსაც აძლევდნენ რევოლუციური კომიტეტების ერთწლიან მოღვაწეობას საქართველოში პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პრესა და ხელმძღვანელი პარტიული მოღვაწეები.

1921 წლის დეკემბერში, საბჭოების არჩევასთან დაკავშირებით, თბილისის საბჭომ გამოაქვეყნა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ რევკომები იყვნენ ხელისუფლების დროებითი რევოლუციური ორგანოები. ამ მიმართვის უპირველესი მიზანი იყო საქართველოში თითქოს „საოკუპაციო რეჟიმის“ არსებობის შესახებ ანტისაბჭოთა ვერსიის გაქარწყლება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თეზისებშიც ხაზგასმითაა აღნიშნული რევკომების მიზნები და ამოცანები, მათი დანიშნულება. „დღევანდლამდე, — ვკითხულობთ აღნიშნულ თეზისებში, — საბჭოების როლს ასრულებდნენ ჩვენში რევკომები. სასტიკი სინამდვილე საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან დაუზოგავ ბრძოლის ატმოსფეროში არ იძლეოდა საშუალებას გადავსულიყავით პროლეტარიატის დიქტატურის არჩევით ორგანოებზე — მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე“[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში — გაზეთ „კომუნისტის“ 1922 წლის 7 იანვრის მოწინავეში — ვკითხულობთ: „1921 წლის 25 თებერვლიდან, თუმცა საქართველო გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად, მაგრამ დღემდე არ გვქონია ეს ნამდვილი მუშათა საბჭოები და მათ როლსა და დანიშნულებას ასრულებდნენ ზემოდან დანიშნული რევოლუციური კომიტეტები“, ხოლო იმავე ნომრის სარედაქციო წერილი აცხადებდა: „საქართველო ნამდვილი გასაბჭოების ხანაში გადადისო“.

1921 წლის 10 დეკემბერს თბილისის საბჭოს პირველი სხდომის გახსნისას მ. ორახელაშვილი ამბობდა: „მხოლოდ დღეიდან იწყება აქ ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლება, რევკომების სისტემა უკვე წარსულს ეკუთვნის“[2]. მ. ორახელაშვილის შემდეგ იმავე სხდომაზე სიტყვით გამოსულმა გ. ორჯონიკიძემ განაცხადა: „ამხ. მამია ორახელაშვილმა მართალი სთქვა: „მხოლოდ დღეიდან იწყება აქ ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლება; რევკომების სისტემა უკვე წარსულს ეკუთვნის“[3]. ასეთივე შეფასება მისცა რევკომების სისტემას საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამ[4].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 371, ფურც. 10.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 13 დეკემბერი.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1921 წლის 14 დეკემბერი.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 1 თებერვალი. საქართველოს რევოლუციურ კომიტეტებზე ასეთივე თვალსაზრისს ანვითარებენ თავიანთ ნაშრომებში: გ. ერემოვი — რას წარმოადგენენ რევკომები საქართველოში (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959 წლის 4 თებერვალი); მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თბ., 1959; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები, თბ., 1960; ნ. ს უ მ ბ ა ძ ე, საქართველოს რევკომების საკითხისათვის (თსუ შრომები, 1959, № 79); ა. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომპარტიის ბრძოლა პარტიის რიგების

საბჭოების არჩევნები საქართველოში მხოლოდ 1921 წლის დეკემბრიდან დაიწყო, როცა რევოლუციურმა კომიტეტებმა შეასრულეს თავიანთი დანიშნულება. ამრიგად, საქართველოში რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობის პერიოდი ეს არის ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევისა და ახალი, პროლეტარული სახელმწიფო მანქანის შექმნისა და განმტკიცების პერიოდი, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების პერიოდი. სხვანაირად შეუძლებელიც იყო, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა „... შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის, ბურჟუაზიული არმიის, ბურჟუაზიული სამოხელეო აპარატის, ბურჟუაზიული პოლიციის დამსხვრევის შედეგად“[1].

მარქსიზმ-ლენინიზმი აგრეთვე გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას და ბურჟუაზიული დემოკრატიის შეცვლას პროლეტარული დემოკრატიით. საბჭოთა რუსეთში ამ „კოლოსალური მუშაობის შესრულება“ მოუხდა საბჭოებს, საქართველოში კი უმთავრესად რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც რუსეთის საბჭოების გამოცდილებით ხელმძღვანელობდნენ.

პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო ორგანოები არ შეიძლებოდა ერთ დღეს შექმნილიყო საქართველოში. იგი ერთბაშად საბჭოთა რუსეთშიც არ შექმნილა, სადაც მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა. რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ მაშინ გაიმარჯვა, როდესაც საბჭოები მუშათა კლასის ხელში იმყოფებოდა, საქართველოში კი მაშინ, როდესაც საბჭოები ბურჟუაზიული პარტიების მიერ პოლიტიკურად იყო განადგურებული. რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მომენტისათვის მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელში საბჭოების ყოფნამ მნიშვნელოვნად გააადვილა და დააჩქარა როგორც ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევა, ისე ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა. ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი რევოლუციურ კლასებს რომ არ შეექმნათ საბ-

---

ერთიანობისათვის, თბ., 1965; გ. ერემოვი და გ. თევზაძე, პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სახელმწიფოებრივი ფორმა საქართველოში (ჟურნ. „მაცნე“, 1968, № 3).

საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რაც მდგომარეობს რევოლუციური კომიტეტების პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის დროებით სახელმწიფოებრივ ფორმებად აღიარების უარყოფაში, განავითარეს გამოქვეყნებულ შრომებში: უ. ბახტაძემ, რევკომები საქართველოში (ჟურნ. „მნათობი“, 1960, № 12); ვ. მერკვილაძემ და ლ. თოიძემ, საქართველოს რევოლუციური კომიტეტების როლის მეცნიერული გაშუქებისათვის (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1965, № 4) და სხვ.

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 134.

ჭოები, საეჭვო იქნებოდაო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში, რადგან, როგორც ცნობილია, ძველი სახელმწიფო აპარატის გამოყენება არ შეეძლო მუშათა კლასს, ხოლო ახალის შექმნა არც ისე ადვილი იყო ერთბაშად.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მომენტში არ არსებობდნენ საბჭოები, რომელთაც შეეძლებოდათ ძალაუფლების აღება. ეს გარემოება ართულებდა საქართველოში სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის ამოცანას. მაგრამ იყვნენ სხვა ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც შედარებით აადვილებდნენ ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას საქართველოში. ამ ფაქტორთა შორის უმთავრესია: საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ყოფნა საქართველოში და აჯანყებულთა მიერ ქალაქად და სოფლად შექმნილი რევოლუციური კომიტეტები. აღნიშნული ფაქტორები, სხვა საერთო ხასიათის ფაქტორებთან ერთად, აჩქარებდნენ და აადვილებდნენ ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევისა და ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პროცესს საქართველოში.

ასეთ ვითარებაში 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც ჯერ კიდევ 16 თებერვალს შეიქმნა, აჯანყების ხელმძღვანელობისათვის, ხელში აიღო მთელი სახელმწიფო ძალაუფლება და 26 თებერვალს სპეციალური დეკრეტითაც აუწყა ეს ქართველ ხალხს[1].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი მაშინვე შეუდგა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების შექმნას. მან, უპირველეს ყოვლისა, შექმნა გაუქმებული მენშევიკური სამინისტროების ნაცვლად სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანოები — სახალხო კომისარიატები და სახალხო კომისართა საბჭო[2].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 მარტის სხდომაზე არჩეულ იქნა რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმი ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით[3]. ამავე სხდომამ მოისმინა საკითხი მმართველობის სისტემის შესახებ და მიიღო დადგენილება: „პრინციპულად აღიარებულ იქნას ორგანიზაცია სამაზრო რევკომებისა, რომლებიც ემორჩილებიან საგუბერნიო რევკომებს, საგუბერნიო რევკომი

---

[1] «Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г.-март 1922 г.)». Сб. документов и материалов. Составитель И. Д. Ахалая (შემდეგში — «Ревкомы Грузии»), Сух., 1963, стр. 15 — 16.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 15 მარტი.

[3] ფ. მახარაძის მოსკოვში ყოფნის გამო საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა მ. ორახელაშვილი (М. Орахелашвили, Ленин и ЗСФСР, Тб., 1925, стр. 4; «Ревкомы Грузии», стр. 78 — 79).

უნდა იყოს სამი: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და აგრეთვე ერთი სოხუმის საოლქო რევკომი. დანარჩენ ადგილებში უნდა დაარსდეს სამაზრო რევკომები“ [1].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტი თავიდანვე შეუდგა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — რევკომების — შექმნას, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, მათ სტიქიურად ქმნიდნენ აჯანყებული მუშები და გლეხები. 25 — 26 თებერვალს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა შექმნა თბილისის დროებითი რევოლუციური კომიტეტი. ამავე დროს დატოვა ქალაქის მმართველობის ძველი ორგანო — ქალაქის გამგეობა, რომელსაც დაევალა განეგრძო მუშაობა „მთელი შტატით და განყოფილებებით“. თბილისის რევოლუციური კომიტეტის შესახებ კი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 26 თებერვლის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ იგი „არის მებრძოლი ორგანო, დამნიშვნელი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა გამგეობის განყოფილებებში კონტროლისათვის“ [2]. როგორც ვხედავთ, ქალაქში ხელისუფლების ძველი ორგანოს მიმართ რევოლუციური ხელისუფლება კმაყოფილდებოდა მხოლოდ კონტროლის უფლებით. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მსგავს გარემოებას, ე. ი. ძველი ხელისუფლების ორგანოების შემორჩენას სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ადგილი ჰქონდა საბჭოთა რუსეთშიც, რევოლუციის გამარჯვების პირველ პერიოდში, 1918 წლის პირველ ნახევრამდე [3].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 მარტის დადგენილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის. აჯანყების დღეებში სტიქიურად შექმნილი ადგილობრივი რევკომების ურთიერთობაში ამ დადგენილებას შეჰქონდა ერთგვარი გარკვეულობა. ამ მიმართულებით მორიგი და უფრო სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ 1921 წლის 8 აპრილს, როდესაც მან გამოსცა დეკრეტი მაზრის, ქალაქისა და თემის რევოლუციური კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ. ეს დეკრეტი განმარტავდა ადგილობრივი რევკომების უფლება-მოვალეობას, მათ ფუნქციებს. დებულების თანახმად თემის, რაიონის და მაზრის რევკომები იყვნენ უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები მოცემული ტერიტორიის საზღვრებში. ასეთივე უფლებით სარგებლობდნენ რაიონისა და მაზრის რევკომებიც, რომლებიც თითოეულ სფეროში ხელმძღვანელობდნენ შესაბამის სა-

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 78.

[2] იქვე, გვ. 72.

[3] «Очерки по истории органов Советской государственной власти». М., 1949, стр. 36.

ხალხო კომისარიატთა დადგენილებებით. სარაიონო რევკომები იქმნებოდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, საჭიროების მიხედვით. თემის რევკომის წევრებს ნიშნავდა მაზრის რევკომი; მაზრისა და ქალაქის რევკომების წევრებს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ხუთი კაცის შემადგენლობით. მაზრის და ქალაქის რევკომი უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს[1].

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მორიგი ნაბიჯი გადადგა ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის საქმეში 1921 წლის 24 მარტს, როდესაც მიიღო დადგენილება საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ[2]. ამის შემდეგ, 21 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა უაღრესად ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ. მან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში შეიტანა წესრიგი და სისტემატურობა[3]. ეს დოკუმენტი რევოლუციური ხელისუფლების პირველი თვეების მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო აქტია. მან განსაზღვრა რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს ხასიათი, მისი კომპეტენციის სფერო, შექმნა სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, განსაზღვრა მათი უფლება-მოვალეობა, ურთიერთდამოკიდებულება, კანონმდებლობის წესით განამტკიცა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

აღნიშნული დეკრეტის პირველმა პარაგრაფმა განსაზღვრა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, როგორც საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო დაწესებულება. აქ, ისე როგორც საბჭოთა რუსეთის პირველ საკონსტიტუციო აქტებში, უარყოფილია ხელისუფლების გაყოფის ბურჟუაზიული პრინციპი. დეკრეტის მეორე პარაგრაფმა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს დააკისრა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მოწვევა, ის საბჭოების ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებულად გახადა. აღნიშნული დეკრეტი აგრეთვე ავალებდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს მმართველობის ცალკეული დარგების საერთო ხელმძღვანელობისათვის დაეწესებინა სახალხო კომისარიატები და სხვა უმაღლესი დაწესებულებები. სახალხო კომისარიატები არ სარგებლობდნენ საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლებით, მათ შეეძლოთ მხოლოდ საკანონმდებლო აქტების პროექტების წარდგენა რევოლუციურ კომიტეტში დასამტკიცებ-

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 93 — 100.

[2] იქვე, გვ. 88.

[3] იქვე, გვ. 115 — 116.

ლად და გამოსაცემად. რევოლუციური კომიტეტი დამოუკიდებლადაც (ე. ი. სახალხო კომისარიატების მიერ პროექტის წარუდგენლად) გამოსცემდა საკანონმდებლო აქტებს.

ყოველი გამარჯვებული რევოლუციის „პირველი მცნების" — ძველი არმიის დამსხვრევისა და მისი ახალი, რევოლუციური არმიით შეცვლის განხორციელებას გამარჯვების პირველ დღეებშივე მოჰკიდა ხელი საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა. მან 26 თებერვალს გამოსცა დეკრეტი მენშევიკური არმიისა და გვარდიის საერთო დემობილიზაციის შესახებ, მაგრამ ეს სრულიად არ იყო საკმარისი. ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ვითარება მოითხოვდა ძველი არმიის მთლიანად დაშლას და ახალი, რევოლუციური არმიის შექმნასა და განმტკიცებას, სხვანაირად შეუძლებელი იყო; საბჭოთა ხელისუფლებას მრავალი მტერი ჰყავდა: ქვეყნის შიგნით — დამარცხებული ბურჟუაზია და მემამულე-თავადაზნაურობა და მათი პოლიტიკური პარტიები: მენშევიკები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვები, რომლებიც არც ისე ადვილად დათმობდნენ ძალაუფლების დაკარგვას; ქვეყნის გარეთ — ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაცია და ინგლისელი, ფრანგი და თურქი იმპერიალისტები, რომლებიც ინტერვენციით შეეცდებოდნენ თავიანთი ბატონობის აღდგენას საქართველოში.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო ვითარებას, პირველმა დასახა საქართველოში ახლადშექმნილი საბჭოთა ხელისუფლების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები, მათი განხორციელების გზები და საშუალებანი. ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეექმნათ ქართული წითელი არმია. 1921 წლის 2 მარტს, იგი გ. ორჯონიკიძეს სწერდა: „პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია"[1]. საქართველოს კომუნისტებმა, ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე და საბჭოთა რუსეთში წითელი არმიის მშენებლობის მდიდარ გამოცდილებათა გათვალისწინებით, მტკიცედ მოჰკიდეს ხელი რევოლუციური არმიის შექმნას.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 11 მარტს დაშლილად გამოაცხადა მენშევიკური არმია და გვარდია. რევკომის მითითებით რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა შ. ელიავა, შეუდგა წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189.

წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნასა და განმტკიცებას ხელს უწყობდა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1921 წლის 21 მაისს დადებული „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“. ეს ხელშეკრულება აღიარებდა ორივე მხარის თვითგამორკვევისა და სუვერენულ უფლებებს, ამყარებდა და განამტკიცებდა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამხედრო და სამეურნეო კავშირს, საქართველოსათვის ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთის მხრივ სამხედრო ხასიათის დახმარებას, კერძოდ, დახმარებას წითელი არმიის ორგანიზაციის საქმეში. ამ ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა დაედო დამატებითი შეთანხმება სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანების საკითხებზე[1], რაც მოამზადებდა პირობებს ქართული წითელი არმიის, საგარეო პოლიტიკური და სამხედრო ტაქტიკური მოსაზრებით, საკავშირო-საჯარისო დანაყოფებში გაერთიანებისათვის.

წითელი არმიის ნაწილების მშენებლობის გზაზე ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა სამხედრო მეთაურთა კადრების სიმცირე. ამიტომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 14 მაისის დეკრეტით თბილისში დაარსდა კურსები წითელი არმიისათვის უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად[2]. წითელი არმიის ნაწილების პოლიტიკური განმტკიცების მიზნით საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 22 თებერვლის პლენუმმა მიიღო დადგენილება წითელი არმიის რიგებში პარტიის 3000 წევრის გაწვევის შესახებ[3], რაც წარმატებით განხორციელდა.

ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით ადევნებდა თვალს საქართველოში წითელი არმიის მშენებლობას; იცოდა რა ამ საქმეში პირველ წარმატებათა შესახებ, არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხოეთის ბურჟუაზიულმა პრესამ გააძლიერა ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ბელადმა საჭიროდ დაინახა წითელი არმიის ქართული ნაწილების გაძლიერება და შემდგომი გაფართოება. 1922 წლის 13 თებერვალს, სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობის გახსნის წინადღეებში, ვ. ი. ლენინი სწერდა გ. ორჯონიკიძეს: „აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ შესრულდეს... ს ა ქ მ ი თ

---

[1] «Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами», вып. III, М., 1922, стр. 18 — 19.

[2] «Ревкомы Грузии», стр. 122.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 17.

რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები, 2 — 3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია"[1].

სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე, რომელიც გაიხსნა 1922 წლის 25 თებერვალს, მოხსენებით გამოვიდა გ. ორჯონიკიძე. მან გააცნო ყრილობას ვ. ი. ლენინის დირექტივები. ყრილობამ მიიღო მიმართვა „წითელი არმიის შესახებ", რაც ხელს უწყობდა ქართული წითელი არმიის განმტკიცებასა და შემდგომ გაფართოებას. იმის გამო, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები და ქართული ემიგრაციის მეთაურები საზღვარგარეთულ პრესაში გამოდიოდნენ საქართველოდან საბჭოთა რუსეთის ჯარების გაყვანის მოთხოვნით, საქართველოს საბჭოების ყრილობამ სპეციალური დადგენილებით სთხოვა მოკავშირე საბჭოთა რუსეთის მთავრობას, არ გაეყვანა წითელი არმიის ნაწილები საქართველოდან[2].

ვ. ი. ლენინის დირექტივებისა და საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საქართველოს კომუნისტებმა ჩაატარეს დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. 1922 წლის მაისიდან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით შემოიღეს საყოველთაო სამხედრო სწავლება 18 — 49 წლის ასაკის მამაკაცებისათვის[3]. ეს ღონისძიება უზრუნველყოფდა წითელი არმიისათვის ღირსეულ შევსებას, განამტკიცებდა საბჭოთა საქართველოს თავდაცვისუნარიანობას.

1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელები ქმნიან მუშურ-გლეხურ მილიციას, როგორც რევოლუციის შეიარაღებულ ძალას. 1922 წლის 2 იანვარს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციული სრულყოფისათვის. აღნიშნული დეკრეტით მილიციას მიეცა ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა „განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებს", რომლებიც მაშინ იქმნებოდა კომუნისტებისა და კომკავშირელთაგან კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. ეს ღონისძიება თითქმის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა ანტისაბჭოთა ელემენტებსა და კარიერისტებს მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში შეღწევისათვის.

საქართველოს რევოლუციური მთავრობის წინაშე მორიგ სერიო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 226.

[2] „საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1922.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 59, ფურც. 17.

ზულ ამოცანად იდგა ახალი სასამართლო ორგანოების შექმნა. რევკომის 1921 წლის 22 მარტის დეკრეტით გაუქმდა მენშევიკური სენატი და სხვა სასამართლო დაწესებულებები, ხოლო 26 ივლისის დეკრეტით—საოლქო სასამართლოები და მომრიგებელი სასამართლო დაწესებულებანი[1]. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შექმნამდე რევკომის 1921 წლის 28 ოქტომბრის დეკრეტით დაარსდა სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო[2].

ბურჟუაზიული სასამართლო წყობილების მსხვრევასთან ერთად საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ აკრძალა ძველ კანონთა კოდექსებით ხელმძღვანელობა. სახალხო სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა კანონთა დროებითი ნორმებით. ახალი სასამართლო წყობილების განმტკიცებისათვის საჭირო იყო მუდმივმოქმედი, სტაბილურ კანონთა კოდექსები. ამიტომ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე 1922 წლის 15 ნოემბრიდან შემოიღეს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, გაუქმდა მანამდე მოქმედი სხვა ყველა დროებითი ნორმები[3].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 27 ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება სასამართლოს რეფორმის შესახებ[4]. ამ დადგენილების შესრულების შედეგად გაუმჯობესდა სასამართლო ორგანოების სოციალური შემადგენლობა და გაადვილდა საბჭოთა კანონმდებლობის, რევოლუციური კანონიერების ზუსტი და მიუდგომელი გატარება.

ამრიგად, რევოლუციურმა კომიტეტმა გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი სასამართლო წყობილების შესაქმნელად. რევოლუციური კომიტეტის მიერ დაწყებული მუშაობა განაგრძო საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა. მან მთლიანად და საბოლოოდ დაამსხვრია ძველი ბურჟუაზიული სასამართლო წყობილება და შექმნა ახალი სასამართლო წყობილება და მისი აპარატი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო.

ახალგაზრდა პროლეტარული სახელმწიფო უთუოდ დაიღუპებოდა, რომ მას არ შეძლებოდა ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციისათვის, საბოტაჟისა და ჯაშუშობისათვის ბოლოს მოღება. ამისთვის პროლეტარიატის დიქტატურას სჭირდებოდა მებრძოლი ორგანო. ასეთი ორგანო გახდა ვ. ი. ლენინის ინიციატივით და ფ. ძერჟინსკის დაუღალავი შრომით

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 138 — 139.

[2] იქვე, გვ. 164 — 165.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. I, ფურც. 1.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 327.

შექმნილი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია. ასეთი საგანგებო კომისია საქართველოს კომუნისტებმა შექმნეს 1921 წლის თებერვალში[1]. ეს ნაკარნახევი იყო მაშინდელ პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე მძლავრი კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მოქმედებით, რომლებიც თავიანთი მუშაობით საფრთხეს უქმნიდნენ ახალგაზრდა პროლეტარულ სახელმწიფოს.

სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისადმი ხელმძღვანელობა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს[2]. საქართველოს რევოლუციური ხელისუფლება ცდილობდა პროლეტარული სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე აეგო, მაგრამ საბჭოების შექმნამდე ამ პრინციპის სრულად განხორციელება მას არ შეეძლო.

სახელმწიფო მმართველობის მოწყობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა, რომელიც საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა შექმნა 1921 წლის 27 აპრილის დეკრეტით[3].

სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, მისი გეგმიურ საწყისებზე წარმართვის ინტერესებმა მოითხოვა ხელისუფლების ორგანოებთან ისეთ სამეურნეო დაწესებულებათა შექმნა, რომელნიც უშუალოდ განახორციელებდნენ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას სამეურნეო-ეკონომიური მშენებლობის დარგში. ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ვ. ი. ლენინი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სთვლიდა ისეთივე მებრძოლ ორგანოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ეკონომიკის სფეროში, როგორიც იყო სახალხო კომისართა საბჭო პოლიტიკის სფეროში[4]. ასეთივე ორგანო სჭირდებოდა ახალგაზრდა რევოლუციურ ხელისუფლებასაც საქართველოში. მას საძირკველი ჩაუყარა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 28 თებერვალს[5], ხოლო 5 აგვისტოს მანვე მიიღო დადგენილება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შექმნის შესახებ[6]. ამ დადგენილებით საქართველოს რევოლუციურ კომიტეტთან დაარსდა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, ეკონომიური ხასიათის სახალხო კომისარიატების მთელი სამეურნეო მოქმედების ხელმძღვანელობისათვის.

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 71 — 72.

[2] იქვე, გვ. 105 — 115.

[3] იქვე, გვ. 118 — 121.

[4] В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 35, стр. 134.

[5] «Ревкомы Грузии», стр. 195 — 196.

[6] იქვე, გვ. 233.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 10 იანვრის დადგენილებას „ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ"[1]. ეს დოკუმენტი აზუსტებდა და ავითარებდა რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 21 აპრილის დეკრეტს.

ამრიგად, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 10 იანვრის დადგენილება ფრიად სერიოზული საკონსტიტუციო მნიშვნელობის აქტია. მან თავისებური გამოხატულება პოვა საბჭოთა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში. კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტი იყო აგრეთვე საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 20 მაისის დეკრეტი „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გერბისა და დროშის დაწესების შესახებ" [2].

საქართველოში 1921 წლიდან 1922 წლის თებერვლამდე სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდნენ რევოლუციური კომიტეტები. ისინი წარმოადგენდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოებს, თუმცა ნაკლებად დემოკრატიულ და ნაკლებად ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების ინტერესები გადაჭრით მოითხოვდნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის უფრო დემოკრატიულ, ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე — საბჭოებზე გადასვლას.

საბჭოების არჩევნები საქართველოში დაიწყო 1921 წლის ბოლოს, იგი მიმდინარეობდა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით. საბჭოებში ყველგან ირჩევდნენ კომუნისტებსა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულ მშრომელებს — მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენტებს. საბჭოები პირველად აირჩიეს თბილისსა და ბათუმში. თბილისის საბჭოს არჩევნებში რკინიგზის რაიონიდან (ამომრჩევლებს ძირითადად მუშები შეადგენდნენ) მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 94 პროცენტმა, მეორე რაიონში — 73, მესამე რაიონში — 82 და მეოთხე რაიონში — 57 პროცენტმა [3]. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა გაიხსნა 1921 წლის 10 დეკემბერს.

საბჭოების არჩევნებში ანტისაბჭოთა პარტიების მიერ გამოყენებული ბოიკოტის ტაქტიკა ჩაიფუშა. საქართველოს მშრომელებმა აირჩიეს საკუთარ დეპუტატთა საბჭოები და შექმნეს პროლეტარიატის დიქტატუ-

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 179 — 181.

[2] იქვე, გვ. 123.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 13 დეკემბერი.

რის სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანოები ცენტრსა და ადგილებზე.

სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 25 თებერვალს. მან აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 93 წევრისა და 3 კანდიდატის შემადგენლობით. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, გ. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ს. თოდრია, ა. ოქუაშვილი, მ. ტოროშელიძე, ს. ქავთარაძე, ა. სვანიძე, მ. ჩოდრიშვილი, ი. ბოლქვაძე, მ. კახიანი, ს. გეგეჭკორი, ა. გიორგაძე, ვ. სტურუა, ნ. ლაკობა, თ. ღლონტი, ს. ხუნდაძე და სხვები. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ შექმნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი, დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული, საბჭოთა მთავრობა. ყრილობის მიერ შექმნილი ხელისუფლების ორგანოები ამიერიდან შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახელით ქვეყნის მართვა-გამგეობას.

ამრიგად, სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ ძირითადად დააგვირგვინა პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოებრივი მანქანის შექმნა. 1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის თებერვალ-მარტამდე მშრომელთა პოლიტიკური აქტივობით იქმნებოდა ახალი, პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. ყოველივე ამის საკანონმდებლო განმტკიცებას წარმოადგენდა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

ამრიგად, რევოლუციური კომიტეტების სისტემის შემდეგ დაიწყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა განმტკიცებისა და განვითარების მეორე ეტაპი. იგი გაგრძელდა ამიერკავკასიის ერთ, ფედერალურ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. 1922 წლის თებერვალ-მარტში ადგილობრივი საბჭოები გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდნენ ერთ, საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, პროლეტარიატის, როგორც გაბატონებული კლასის, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად. ადგილობრივი საბჭოების ასეთმა გაერთიანებამ შექმნა საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოების რესპუბლიკა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობა, აჯამებდა რა პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთი წლის შედეგებს, აღნიშნავდა: „ჩ ვ ე ნ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს უ ძ ნ ე ლ ე ს ი დ ა უ მ ძ ი მ ე ს ი პ ე რ ი ო დ ი უ კ ვ ე გ ა ნ ვ ლ ი ლ ი ა... უ მ თ ა ვ რ ე ს ი გ ე ზ ი ჩ ვ ე ნ ს პ ა რ ტ ი უ ლ ს ა დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ვ მ უ შ ა ო ბ ა ში უ კ ვ ე ცხ ა დ ა დ მ ო ნ ი შ ნ უ ლ ი დ ა მ ო ხ ა ზ უ ლ ი ა“[1].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 199.

§ 2. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება. სსრ კავშირის შექმნა

საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე დადგა პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანა. მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთ-ერთ პირობას მაშინ წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ ამიერკავკასიის ხალხთა შორის გაღვივებული ეროვნული შუღლისა და მტრობის აღმოფხვრა, ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, ე. ი. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის ეროვნული ურთიერთობის მოგვარება. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთადერთ საიმედო საშუალებად კომუნისტურ პარტიას მაშინ მიაჩნდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ჯერ სამეურნეო, შემდეგ კი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გაერთიანება, რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.

ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იყო ჩვენი ქვეყნის ჭრელი ეროვნული შემადგენლობის გლეხობასა და, ამ მხრივ კიდევ უფრო ჭრელი შემადგენლობის, მუშათა კლასს შორის კავშირის განმტკიცება, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური საფუძვლის განმტკიცება. ამიტომ კომუნისტური პარტია ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის ერთადერთ მართებულ გადაწყვეტად თვლიდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებას, და ცალკეულ რესპუბლიკათა ფარგლებში არაძირითადი ეროვნების კომპაქტური მოსახლეობისათვის ავტონომიური უფლებების მინიჭებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა შეუძლებელი იყო კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. საჭირო იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი შინაური კონტრრევოლუციისა და შესაძლო ინტერვენციის წინააღმდეგ.

ამრიგად, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ხასიათის შემდეგი ფაქტორებით: 1. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მძლავრი ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეობით, რაც საფრთხეს უქმნიდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით; 2. იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხით, განსაკუთრებით თურქეთის მხრივ[1], რომელსაც აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ ანტანტის ქვეყნები საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ[2]; 3. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სა-

---

[1] «История дипломатии», т. III, М., 1945, стр. 99 — 100.

[2] საფრანგეთის მხრივ შეიარაღებული დახმარების მიღების იმედით ამიერკავკასიის ემიგრანტულმა „მთავრობებმა" კავშირი შეკრეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1921 წლის 10 ივლისს პარიზში.

ხალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებლობით, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება და სოციალიზმის მშენებლობა ამიერკავკასიაში; 4. ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ ჩათესილი შუღლისა და უნდობლობის აღმოფხვრის, ეროვნული მშვიდობიანობის შექმნისა და განმტკიცების აუცილებლობით; 5. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის აუცილებლობით.

ამიერკავკასიაში ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია, საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, სახალხო მეურნეობის აღდგენა, ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება და სოციალისტური თანამშრომლობის განვითარება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, გარდუვალს ხდიდა შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა განხორციელებას: 1. შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანება; რამდენიმე ანტისაბჭოთა პარტია მოქმედებდა ამიერკავკასიის მასშტაბით, მათ ცალკეულ რესპუბლიკებში ჰქონდათ ფართოდ განშტოებული არალეგალური ორგანიზაციები; 2. წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნა და საერთო სარდლობისადმი მისი დამორჩილება, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობის დამყარება სამხედრო კონვენციის საფუძველზე; 3. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა მიერ დაფლეთილ ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება; 4. ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება; 5. ამიერკავკასიაში ფულის ერთიანი სისტემის შემოღება; 6. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბაჟოებისა და სხვა შემზღუდავ ღონისძიებათა გაუქმება; 7. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საზღვრების მოწესრიგება; 8. ეროვნულ რესპუბლიკათა ეკონომიური ღონისძიებების ერთიანი ეკონომიური გეგმით წარმართვა, ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად; 9. ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ღონისძიებათა გაერთიანება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ერთიანი გეგმით.

ამ ისტორიული მნიშვნელობის კონკრეტულ ამოცანათა განხორციელება არ შეეძლოთ ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიაში საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული სახელმწიფოებრივი არსებობის პირობებში. გარდა საერთო პარტიული ხელმძღვანელობისა, საჭირო იყო კიდევ სახელმწიფო ხელისუფლების საერთო ორგანოები სამივე რესპუბლიკისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების საერთო ორგანოების არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ რესპუბლიკათა რაიმე ფორმით გაერთიანების შემთხვევაში.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საუკეთესო

ფორმად კომუნისტურმა პარტიამ, ყველა მშრომელმა აღიარა მაშინ ფედერაციული გაერთიანება. საბჭოთა ფედერაცია მათ მიაჩნდათ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი კავშირის განსაკუთრებით საჭირო და მისაღებ ფორმად. „რუსეთის გამოცდილებამ... — წერდა ი. ბ. სტალინი, — სავსებით დაადასტურა მთელი მიზანშეწონილობა და მოქნილობა ფედერაციისა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის საერთო ფორმისა“[1].

საბჭოთა ფედერაცია, ჯ ე რ ე რ თ ი, უზრუნველყოფდა ცალკეული რესპუბლიკების, აგრეთვე ფედერაციის ყოველმხრივ განვითარებას; მ ე ო რ ე, იგი უზრუნველყოფდა ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სამეურნეო, კულტურულ და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა გათვალისწინებას და მ ე ს ა მ ე, უზრუნველყოფდა ფედერაციაში შემავალ ერთა მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ძმურ თანამშრომლობას. მაგრამ, რაც მთავარია, საბჭოთა ფედერაცია წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესისათვის ნაციონალურ-კოლონიურ საკითხზე გამზადებული თეზისების პირვანდელ მონახაზში ვ. ი. ლენინი საერთოდ საბჭოთა ფედერაციის უპირველეს ამოცანად საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას თვლიდა „... აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და მხედველობაში გვქონდეს ... ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის“[2].

კავკასიის კომუნისტებისადმი საპროგრამო წერილში 1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ძალღონის გაერთიანების დიდ მნიშვნელობას საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. იგი წერდა: „რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და გავაკეთოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური“[3].

ამრიგად, ამიერკავკასიის კომუნისტებმა, საბჭოთა ფედერაციის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიით და საბჭოთა რუსეთის ფედერა-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 24.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 167.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397.

ციული მშენებლობის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით შეიარაღებულებმა, მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებას.

საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტები, მიჰყვებოდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, ერიდებოდნენ რუსული გამოცდილების შაბლონურად გადმოღებას. განსაკუთრებით შეუძლებელი იყო ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობის რუსული გამოცდილების შაბლონურად გადმოტანა ამიერკავკასიაში. აქ საჭირო იყო გათვალისწინება საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებული იმ ისტორიულ თავისებურებათა, რომლებიც ახასიათებდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს და ქმნიდნენ სერიოზულ დაბრკოლებებს რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების გზაზე.

საბჭოთა რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობასთან შედარებით რთული და მძიმე იყო ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს მშენებლობა. ეს უმთავრესად აიხსნება შემდეგი გარემოებით: ჯერ ერთი, რუსეთის კომუნისტურ პარტიაში ადგილი არ ჰქონია ნაციონალისტურ გადახრას, მაშინ როდესაც ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში ნაციონალისტური გადახრა მძლავრად იყო წარმოდგენილი; მეორე, საბჭოთა რუსეთის ფედერაციას ქმნიდნენ უმთავრესად ისეთი ეროვნული ერთეულები, „რომელთაც წინათ არ ჰქონიათ არც სახელმწიფოებრივი არსებობა, არც ავტონომია“[1], ხოლო ამიერკავკასიის ფედერაციაში შედიოდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ამიტომ პირველ შემთხვევაში ფედერაცია ნიშნავდა ცარისტული უნიტარიზმის შემდეგ ცალკეულ ეროვნებათა უფლების გაფართოებას, რადგან „ფედერაცია არის თანასწორთა კავშირი, კავშირი, რომელიც მოითხოვს საერთო თანხმობას“[2], წინათ გაბატონებულ რუს ერთან ახლა ფედერაციაში შედიოდნენ ყოფილი ჩაგრული ერები, როგორც თანასწორნი თანასწორთან. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ფედერაცია, როგორც კავშირის ერთ-ერთი ფორმა, მოასწავებდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ერთგვარ შეზღუდვას სამოკავშირეო ხელშეკრულების ფარგლებში; მესამე, საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში შემავალ ხალხებს არ მიუღიათ წარსულისაგან ისეთი მძიმე მემკვიდრეობა, როგორიც მიიღეს ამიერკავკასიის ხალხებმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა ბატონობის შედეგად. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება ამიერკავკასიის ხალხთა შორის არსებულ ეროვნულ შუღლს, რაც სერიოზულ დაბრკო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 166.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 598.

ლებას წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების გზაზე. ამიერკავკასიის კომუნისტები, მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, წარმატებით სძლევდნენ ანტისაბჭოთა პარტიებისა და ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობას, მტკიცე საფუძველს ქმნიდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მეგობრობისათვის.

ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 9 აპრილს წინადადება მისცა ამიერკავკასიის კომუნისტებს შეექმნათ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის „საოლქო სამეურნეო ორგანო", როგორც მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალება. „მივიღე თქვენი დაშიფრული დეპეშა, — ატყობინებდა ვ. ი. ლენინი გ. ორჯონიკიძეს, — რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალებანი. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ძალიან გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგეხმაროთ. დ ა ბ ე ჯ ი თ ე ბ ი თ მ ო ვ ი თ ხ ო ვ შ ე ქ მ ნ ა თ ს ა ო ლ ქ ო ს ა მ ე უ რ ნ ე ო ო რ გ ა ნ ო მ თ ე ლ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა თ ვ ი ს"[1].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის აღდგენა და ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება კავკასიის ხალხთა შორის, რასაც ესოდენ დაბეჯითებით მოითხოვდა ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებისაგან. ბელადი იმედს გამოთქვამდა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს"[2].

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე ამ დროს მდგარ ამოცანათა წარმატებით გადაჭრაში დიდი როლი შეასრულა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის ივლისის პლენუმმა. იგი შედგა 3 ივლისს ი. ბ. სტალინის მონაწილეობით. პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებაა, რომელმაც საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებს დაუსახა რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების პროგრამა[3].

ვ. ი. ლენინის ცნობილი დირექტივები საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 510, (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 45, ფურც. 180.

ბიუროს 1921 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ი. ბ. სტალინის მოხსენება „კომუნიზმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, წარმოადგენენ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მოღვაწეობის პროგრამას პოლიტიკურსა და ეკონომიურ სფეროში. მისი წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფდა ეროვნულ მშვიდობიანობას ამიერკავკასიის მშრომელთა შორის, ჩააბამდა მათ სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, დაამარცხებდა ანტისაბჭოთა ელემენტებს ქვეყნის შიგნით და შექმნიდა ამიერკავკასიის მშრომელთა ერთიან ფრონტს შესაძლო ინტერვენციის წინააღმდეგ.

1921 წლის დამლევს, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ზოგიერთი საშეურნეო ორგანოსა და ნაწილობრივ ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა გაერთიანების შემდეგ, გადაჭრით დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ. ჯერ კიდევ 1921 წლის 12 აგვისტოს კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე გ. ორჯონიკიძე, იმოწმებდა რა სამხარეო ეკონომიური თათბირის გადაწყვეტილებას, პარტიის მორიგ საბრძოლო ამოცანად სახავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიური ღონისძიებების შემდგომ გაერთიანებას[1].

1921 წლის 16 აგვისტოს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიური ბიუროს დაარსების შესახებ. კავკასიის ეკონომიური ბიუროს მოვალეობად სახავდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მთელი სამეურნეო ღონისძიების გაერთიანებას. ეს არ ნიშნავდა ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ხელყოფას. ი. სტალინი ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანებასთან ერთად საჭიროდ თვლიდა რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას[2]. მაგრამ კავკასიის ეკონომიური ბიუროს შექმნის წინააღმდეგ მაინც გაილაშქრეს ნაციონალ-უკლონისტებმა, რადგან ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ეროვნული საკითხის გადაჭრისას გამოდიოდნენ არა ინტერნაციონალური თვალსაზრისიდან, არამედ ვიწრო ეროვნული ინტერესებიდან. ისინი საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობის საფუძველზე მოითხოვდნენ პრივილეგიურ მდგომარეობას საქართველოსათვის ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ფედერაციული კავშირი თუ გაერთიანება გამორიცხავდა რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკისათვის პრივილეგიურ მდგომარეობას. პირიქით, კავშირისა და მეგობრობის იდეა გულისხმობდა მეგობარ-მოკავშირეთა მიერ გარკვეულ ურთიერთდათმობებს. ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი დათმობები მოუხდებოდა საქარ-

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები ორ ტომად, ტ. 1, 1957, გვ. 237 — 254.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 109.

თველოს, კერძოდ ტერიტორიული და ეკონომიური ხასიათის საკითხებში და ამიტომაც ისინი მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების თავიდან აცილებას.

რკპ (ბ) ცკ კავკასიის ბიუროს 1921 წლის 16 აგვისტოს დადგენილების გამო ნაციონალ-უკლონისტებმა მიმართეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს სპეციალური წერილით. ისინი მოითხოვდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელ მოძრაობას აცხადებდნენ ზევიდან თავზემოხვეულ მოძრაობად, და ბოლოს, მოითხოვდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კავშირის დამყარებას კონვენციის საფუძველზე. აღნიშნულ წერილზე ხელს აწერდნენ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. მდივანი, რევკომის პრეზიდიუმისა და ცენტრალური კომიტეტის წევრი, იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია, ცენტრალური კომიტეტის წევრი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ტოროშელიძე, ცენტრალური კომიტეტის წევრი და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა[1], რევკომისა და ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ. ცინცაძე, რევკომის წევრი, ფინანსთა სახალხო კომისარი ა. სვანიძე და სურსათის საქმეთა სახალხო კომისარი ა. ერქომაიშვილი[2]. მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვეს, პირიქით, მორიგი ნაბიჯიც გადაიდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებისაკენ, როდესაც 1921 წლის ბოლოს, პრაქტიკულად დაისვა საკითხი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანებიდან უფრო მაღალ ფორმაზე, მათ პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე გადასვლის შესახებ.

1921 წლის 3 ნოემბერს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმი. პლენუმმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული ფორმით გაერთიანების თაობაზე მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული სახელმწიფოებრივი არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე; მტკიცე პოლიტიკური კავშირი მტკიცე გარანტია იქნება კონტრრევოლუციური ძალების ყოველგვარი ხელყოფისაგან და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება შესაძლებლობას მისცემს რესპუბლი-

---

[1] შ. ელიავა ძალიან მალე ჩამოშორდა ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფს.

[2] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 85, оп. 18, д. 325, л. 11,

ქებს საქმით დაამყარონ ერთმანეთს შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირი, რომლის შეკვრის ცდები არაერთხელ ყოფილა. ამავე დროს რესპუბლიკების განკერძოება ამწვავებდა ამიერკავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხთა მასების სიღარიბესა და გაღატაკებას, რამაც გამოიწვია მთელი რიგი გაუგებრობანი რესპუბლიკებს შორის. ამიერკავკასია მთლიან სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს, და მისი ეკონომიური გაერთიანება შეიძლება მხოლოდ მთელი კავკასიის სამეურნეო გაერთიანების ნიშნით წარიმართოს.

ბოლოს, რესპუბლიკებში მრავალი სახალხო კომისარიატისა და დაწესებულებების არსებობა ნთქავს ბევრ ძალასა და სახსარს, ქმნის უსარგებლო პარალელიზმს ბევრი ორგანოს მუშაობაში. ამიტომ საერთო ძალღონით ადმინისტრირება სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარ, უმნიშვნელოვანეს დარგებს გააძლიერებს და გააჯანსაღებს საბჭოთა მუშაობას.

გამომდინარე აქედან, კავკასიის ბიუროს მიაჩნია:

1. გადაუდებლად და აუცილებლად რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა. უწინარეს ყოვლისა, სამხედრო, სამეურნეო-საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

2. აუცილებლად ჩაითვალოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ეკონომიური ცენტრის („სამოკავშირეო საბჭო") შექმნა. მიღებულია ერთხმად"[1].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 3 ნოემბრის პლენუმმა გამოყო კომისია შ. ელიავას თავმჯდომარეობით ამიერკავკასიის რესპუბლიკათა „სამოკავშირეო საბჭოს" კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად. შ. ელიავამ პროექტი 25 ნოემბრისათვის წარუდგინა კავკასიის ბიუროს „სქემის" სახით. ამასთან დაკავშირებით, იმავე დღეს, 25 ნოემბერს საპროტესტო დეპეშას გზავნის ბ. მდივანი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 3 ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ დაადასტურა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 25 ნოემბრის პლენუმმა (პლენუმი შედგა საღამოს, ე. ი. ბ. მდივნის მიერ მოსკოვში დეპეშის გაგზავნის შემდეგ) და დაადგინა კავკასიის ბიუროს აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილ იქნას „სავალდებულო შესასრულებლად".

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების იდეის პოპულარიზაციის მიზნით თბილისში და საქართველოს რაიონებში ტარ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 130 — 131.

დებოდა ხალხმრავალი მიტინგები. თბილისში ჩატარდა 30, ხოლო მაზრებში 45 მიტინგი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კავკასიის ბიუროს წევრთა ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, ადგილობრივი ძალებით ტარდებოდა ასობითა და ათასობით მიტინგები და კრებები საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ იდეას ხალხი ყველგან მოწონებით ხვდებოდა[1].

ამიერკავკასიის ფედერაციისათვის ბრძოლაში კომუნისტურ პარტიას მხარში ამოუდგა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების იდეა მოიწონეს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველმა ლეგალურმა ყრილობამ (1921 წ. 20 — 27 აგვისტო)[2] და კომკავშირის სრულიად კავკასიის პირველმა ყრილობამ (1921 წ. 1—7 სექტემბერი). ორივე ყრილობამ აღიარა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია არის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საფუძველი[3].

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის ნოემბრის გაფართოებულმა პლენუმმა, გ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციით, მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებას[4].

ასე მწიფდებოდა და პოპულარული ხდებოდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების იდეა საქართველოში[5]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 108, ფურც. 52; საქ. 136, ფურც. 110; ფ. 14, საქ. 41, ფურც. 4; სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 262, ფურც. 7.

[2] სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის პირველი ლეგალური ყრილობა, 20 — 27 აგვისტო, 1921 წ. (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1922, გვ. 32 — 33, 37.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 94, საქ. 7, ფურც. 4.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 176, ფურც. 135, 144 — 149.

[5] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიპლომატური ხაზით ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა კიდევ უფრო ადრე მოახდინეს გაერთიანება. ამიერკავკასიის რესპუბლიკები 1921 წელს თურქეთთან მოლაპარაკებაში, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით, ერთიანი დელეგაციით მონაწილეობდნენ, ამიტომ თურქეთი იძულებული გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დაედო ერთიანი ხელშეკრულება ქ. ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს. ყარსის ხელშეკრულება, რომელიც ძირითადად იმეორებდა მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას, განამტკიცებდა ამიერკავკასიის უშიშროებას სამხრეთის საზღვრებზე და საქართველოს უდავო უფლებებს ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. (სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 176, ფურც. 135, 144 — 149).

ციული გაერთიანების წინააღმდეგ თავგამოდებით გამოდიოდა საქართველოს კომპარტიის მცირე ჯგუფი, რომელსაც ეწოდა ნაციონალ-უკლონისტური. ამ ჯგუფში შედიოდნენ ბ. მდივანი, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და სხვ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი 1921 წლის 25 ნოემბერს გაგზავნილი დეპეშით ბ. მდივანი ფედერაციის წინააღმდეგ აჯანყების საფრთხით აშინებდა ზემდგომ ორგანოებს [1]. გარდა ამისა, ნაციონალ-უკლონისტები საქმეს ისე სახავდნენ, თითქოს ი. ბ. სტალინი და გ. ორჯონიკიძე პარტიას ახვევდნენ თავზე ამიერკავკასიის ფედერაციის იდეას, ხოლო ვ. ი. ლენინი მისი წინააღმდეგი იყო. მაგრამ პარტია კარგად ხედავდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორი იყო თვითონ ვ. ი. ლენინი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლების შინაური და გარეშე მტრები. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია აშკარად გამოდიოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ და მოითხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციას[2]. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ ასევე გამოდიოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გაზეთ „ტრიბუნას“ ფურცლებზე[3]. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ იატაკქვეშეთიდან იბრძოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში აღშფოთებულნი იყვნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების გამო და მუქარასაც გამოთქვამდნენ საბჭოეთის მისამართით[4].

1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ შეიმუშავა წინადადებათა პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1921 წლის 29 ნოემბერს[5].

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 191, ფურც. 2 — 3.

[2] გაზ. „შრომა“, 1921 წლის 22 ნოემბერი და 7 დეკემბერი.

[3] გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წლის 16 და 23 ნოემბერი.

[4] ამ აღშფოთების დაგვიანებულ გამოძახილს წარმოადგენს რიჩარდ პაიპსის ნაშრომი. ავტორი, სარგებლობს რა ტროცკის ერთ-ერთი წიგნით და მისივე არქივიდან ამოკრეფილი „საბუთებით“, თავს ესხმის კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, ცდილობს ქართველი ნაციონალ-უკლონისტების რეაბილიტაციას. ამ მიზნით ამახინჯებს ე. წ. „ავტონომიზაციის“ შესახებ ვ. ი. ლენინის წერილების აზრს; ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 64, оп. 262, д. 136, л. 110.

[5] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 252, 253.

ბის საფუძველზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კიდევ უფრო გაიშალა აგიტაცია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის სასარგებლოდ. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია საბჭოების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, ამიტომ საქართველოსა და სომხეთში სასწრაფო ზომები მიიღეს საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად. 1921 წლის 4 დეკემბერს გ. ორჯონიკიძე ტელეგრამით ატყობინებდა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს, რომ „გუშინდელი დღიდან დაიწყო თბილისის საბჭოს არჩევნები. პირველი დღის შედეგებია: ყოველგვარი მოლოდინის გარეშე ყველგან ირჩევენ კომუნისტებს. ფედერაციამ არამც თუ არ უკუაგდო ჩვენგან მასები, არამედ განვითარდა დიდ პოლიტიკურ კამპანიად. საბჭოთა ხელისუფლებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდში პირველად ტარდება საერთოდ ამიერკავკასიის მასშტაბით, პოლიტიკური კამპანია დიდი წარმატებით, მთელ მასალებს თან წამოვიღებ"[1].

გ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მოხსენებათა შემდეგ საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს პლენუმმა 1921 წლის დეკემბერში მოიწონა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების იდეა[2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სამხარეო პარტიულმა თათბირმა 1921 წლის 7 დეკემბერს მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება „საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ფედერაციის სასარგებლოდ კამპანიის მიმდინარეობის შესახებ" და საჭიროდ ჩათვალა ფედერაციის იდეის აგიტაცია-პროპაგანდიდან გადასვლა ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებაზე, რაც საბჭოების საშუალებით უნდა მომხდარიყო. ამიტომ თათბირმა აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად დააყენა საქართველოსა და სომხეთში საბჭოების არჩევნების დაჩქარება და მისი დამთავრება არა უგვიანეს 1922 წლის იანვრის დამლევისა.

1922 წლის დამდეგს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობა. ყრილობამ განიხილა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების საკითხი. ნაციონალ-უკლონისტები კვლავ გამოვიდნენ ფედერაციის იდეის წინააღმდეგ, მაგრამ გადამწყვეტ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ყრილობამ დაადასტურა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანებისათვის წინასწარი მუშაობის დაჩქარების აუცილებლობა, რათა ფედერაციის შესახებ გადაწყვეტილებას სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიეღო სათანადო სანქცია[3].

---

[1] ს ს რ კ სახელმწიფო არქივი (მოსკოვი), ფ. 130, აღწ. 5, № 737, ფურც. 80.

[2] Газ. «Правда», 7 декабря 1921 г.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 199, ფურც. 239.

სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობა, რომელმაც მეტად დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებაში. ყრილობა გაიხსნა 1922 წლის 18 თებერვალს თბილისში. მან მიიღო სათანადო რეზოლუცია, რომელიც პარტიის სამხარეო კომიტეტს ავალებდა: გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას ნაციონალისტური გადახრებისა და ტენდენციების წინააღმდეგ პარტიაში, აგრეთვე ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად მუშაობის გაძლიერებას[1]. ამის შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების იდეას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოების ყრილობებმაც.

ამრიგად, საბჭოების ყრილობებმა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოიწონეს გაერთიანების იდეა და დაადასტურეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის აუცილებლობა, აირჩიეს სრულუფლებიანი წარმომადგენლები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დასადებად, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანებისათვის.

სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო 1922 წლის 12 მარტს. რესპუბლიკების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციამ საზეიმოდ აღიარა ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. აღნიშნულ რესპუბლიკათა შორის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის საჭიროება ხელშეკრულებაში მოტივირებულია თავდაცვისა და სამეურნეო მშენებლობის ინტერესთა ერთიანობით.

სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამოკავშირეო ხელისუფლების ორგანოები. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა რესპუბლიკათა მიერ თანასწორი რაოდენობით არჩეულ— „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციას“. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ გამოყოფილი „სამოკავშირეო საბჭო“.

ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა სამეურნეო ორგანოების მთელი საქმიანობის გაერთიანების მიზნით დაარსდა „უმაღლესი ეკონომიური საბჭო“, რომელიც მოქმედებდა, როგორც „სამო-

---

1 «Первый Закавказский съезд коммунистических организаций» (Стен. отчет). Тб., 1922, стр. 65 — 66, 100 — 101.

კავშირეო საბჭოს“ მუდმივი კომისია. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ ითვლებოდა „სამოკავშირეო საბჭოს“ თავმჯდომარე, ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად — სამხედრო-საზღვაო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისრები, ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ეკონომიური საბჭოების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე და მუშათა და გლეხთა სამოკავშირეო ინსპექციის თავმჯდომარე. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მოვალეობა იყო ერთიანი საკავშირო-სამეურნეო გეგმის შედგენა, მისი შესრულებისადმი მეთვალყურეობა და სხვ. ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილება სავალდებულო იყო ყველა საკავშირო უწყებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიური საბჭოებისათვის. „სამოკავშირეო საბჭოსთან“ შეიქმნა მუშათა და გლეხთა სამოკავშირეო ინსპექცია, რესპუბლიკური ინსპექციების მუშაობის წარმართვისა და გაერთიანებისათვის, აგრეთვე საკავშირო ორგანოთა მოღვაწეობის კონტროლისათვის.

„სამოკავშირეო საბჭო“ და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის“ წინაშე, კონფერენცია, თავის მხრივ, უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა ან გაეუქმებინა „სამოკავშირეო საბჭოს“, უმაღლესი ეკონომიური საბჭოსა და სხვა სამოკავშირეო ორგანოს ყოველი გადაწყვეტილება. სამოკავშირეო ხელშეკრულებით, აგრეთვე განსაზღვრული იყო საბჭოთა რუსეთთან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის საფუძველი და პირობები. კერძოდ, ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირი საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობას ამყარებს სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზეო[1].

ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა 1922 წლის დასაწყისში პროტესტით მიმართეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ. ამის გამო რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 5 აპრილს ხელმეორედ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ. „ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლა, — ნათქვამია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — და ამიერკავკასიის მშრომელი მასების ძმური სოლიდარობა კვლავ წარმოადგენს კომუნისტური პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას. კერძოდ, ცენტრალური კომიტეტი, ერთხელ კიდევ დასტურებს რა თავის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ, ავალებს ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიას აუცილებლად და უყოყმანოდ გაატაროს ცხოვრებაში ეს

[1] «Образование СССР (Сборник документов) 1917-1924», под ред. Э. Б. Генкиной (в дальнейшем «Образование СССР»), М., 1949, стр. 288 — 289.

გადაწყვეტილება"[1]. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, მიუხედავად ამისა, კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ. მათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1922 წლის 21 ოქტომბერს მიაღებინეს გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვდა საქართველოს უშუალოდ შესვლას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის ლიკვიდაციას[2].

რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირი მთლიანად ვერ წყვეტდა ყველა იმ ამოცანას, რომლებიც იდგნენ ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში. ნაციონალ-უკლონისტური წინააღმდეგობის დასაძლევად აუცილებელი იყო რესპუბლიკათა შემდგომი პოლიტიკური დაახლოება, სახელმწიფო ხელისუფლების შემდგომი გაძლიერება და ცენტრალიზაცია. დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის ერთიან ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი[3]. ამასთან დაკავშირებით, ნაციონალ-უკლონისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია ვ. ი. ლენინის სამართლიანი გულისწყრომა, გამოთქმული 1922 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებულ დეპეშაში[4]. ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა ამავე დროს მიიღეს დეპეშა ბუხარინისა და კამენევისაგან, ისინი იტყობინებოდნენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის საკითხი შეიძლება კვლავ განიხილოს ახალმა პლენუმმაო[5]. ეს იყო მათი მხრივ ნაციონალ-უკლონისტების აშკარა წაქეზება პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ[6]. ამიტომ ვ. ი. ლენინს საკმაო საბუთი ჰქონდა გამოეთქვა სამართლიანი გულისწყრომა ქართველი ნაციონალ-უკლონისტების მისამართით. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა, ხედავდა რა, რომ ვ. ი. ლენინი პრინციპულად

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 47, ფურც. 9.

[2] იქვე, ფ. 13, საქ. 16, ფურც. 18.

[3] Е. А. Токаржевский, Очерки истории Советского Азербайджана (1921-1925 гг.). Б., 1956, стр. 95.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 146, ფურც. 212.

[5] იქვე, საქ. 145, ფურც. 7, 8.

[6] საქ. კპ (ბ) თბილისის კომიტეტის 1922 წლის 2 ნოემბრის გაფართოებულ პლენუმზე ფ. მახარაძე ამბობდა: «Телеграмма Бухарина и Каменева как раз говорит за допустимость пересмотра этого вопроса» (პარტიული არქივი, თბილისი. ფ. 17, საქ. 102, ფურც. 31-32). თ. კალანდაძე, ეკამათებოდა რა ა. მიასნიკოვს წერდა: «Пока мы знаем одно, что Зиновьев, Каменев, Троцкий в этом вопросе (как и во всех вопросах надеюсь), кажется, солидарны с нами, не правда ли, товарищ? Будем ждать окончательного вердикта высших партийных инстанций» (იქვე, ფ. 13, საქ. 191, ფურც. 21 — 27).

არ უჭერდა მხარს მათ გამთიშველ მოქმედებას, მათ ბრძოლას ამიერკავ-კასიის ფედერაციის წინააღმდეგ, ლენინისაგან დეპეშის მიღების მეორე. დღეს — 22 ოქტომბერს გადადგა.

1922 წლის 14 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ნაციონალ-უკლონისტების. საკითხის განხილვისას გამოირკვა, რომ ნაციონალ-უკლონისტების მნიშვ-ნელოვანი ნაწილი დასდგომოდა არალეგალური მუშაობის გზას. მათ. მაზრებში დაუგზავნიათ თავიანთი რწმუნებულები, რომლებიც აგიტა-ციას ეწეოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-მიტეტის ახალი შემადგენლობის წინააღმდეგ და ცენტრალური კომიტე-ტის ძველი, გადამდგარი შემადგენლობის ხელმძღვანელობაში დაბრუნე-ბის სასარგებლოდ, აგრეთვე პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევი-სათვის [1].

ნაციონალ-უკლონისტები ზოგიერთ მაზრაში, სადაც სუსტი იყო პარ-ტიული ორგანიზაცია და სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა პარტიულ-პოლი-ტიკური მუშაობა, აღწევდნენ მათთვის სასურველ შედეგებს. 1922 წლის 2 ნოემბერს ოზურგეთის სამაზრო კომიტეტისა და პასუხისმგებელ მუშაკთა კრებამ უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას, მოითხოვა ცენტრალური. კომიტეტის ძველი შემადგენლობის დაბრუნება და საგანგებო ყრილობის. მოწვევა[2].

1922 წლის 13 ნოემბერს ნაციონალ-უკლონისტებმა თბილისში ჩაა-ტარეს არალეგალური თათბირი ზოგიერთ სამაზრო და რაიონული კომი-ტეტის მდივნებთან. თათბირზე მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინააღმდეგ, თათბირის მო-ნაწილეებმა მოითხოვეს საგანგებო ყრილობის მოწვევა. სამაზრო და რა-იონული კომიტეტების უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცენტ-რალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას [3]. მიუხედავად ამისა, ნაციო-ნალ-უკლონისტები ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ. მათ ერთ-ერთ არა-ლეგალურ კრებაზე, როგორც ამის შესახებ მოუთხრო ვ. სტურუამ. რკპ (ბ) XII ყრილობას, გადაწყვიტეს აშკარად გამოსულიყვნენ. ი. ბ. სტალინისა და გ. ორჯონიკიძის წინააღმდეგ და მოეთხოვათ საქართ-ველოს კომუნისტური პარტიის უშუალოდ, რკპ (ბ) გვერდის ავლით, შეს-ვლა მესამე ინტერნაციონალში. ყოველივე ამის გამო 1922 წლის ნოემ-ბერში, ამიერკავკასიის პარტიულმა კონფერენციამ, მოისმინა რა სამხა-რეო კომიტეტის ანგარიში, დაგმო და გაკიცხა საქართველოს კპ (ბ) ცენტ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 24, ფურც. 122 — 123.

[2] იქვე, ფურც. 126.

[3] იქვე, ფურც. 127.

რალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა, რომელიც საპასუხისმგებლო მომენტში მოიხსნა ხელმძღვანელი თანამდებობიდან და მოუწოდა კომუნისტური პარტიის ყველა წევრს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობისათვის მხარდაჭერისაკენ [1].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ 1922 წლის ბოლოსათვის მოამზადა ნიადაგი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის გარდაქმნისათვის ამიერკავკასიის ფედერაციულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1922 წლის ნოემბერს შედგა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთა თავმჯდომარეების თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობის მოწვევის შესახებ. თათბირის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ამიერკავკასიის ფედერაციამ თავისი არსებობის 8 თვის მანძილზე დაამტკიცა არა მარტო თავისი სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მისწრაფება ამიერკავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისაკენ, აგრეთვე მისწრაფება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მათი ძმური ერთიანობისაკენ“ [2].

საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის ამ საპასუხისმგებლო მომენტში თბილისში ჩამოვიდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისია (ფ. ძერჟინსკი, დ. მანუილსკი და სხვ.), რომელიც სწავლობდა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში შექმნილ ვითარებას. კომისიის წევრებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ როგორც ნაციონალ-უკლონისტების, ისე პარტიის სამხარეო კომიტეტის მომხრეთა წარმომადგენლებთან [3].

საქართველოს კომუნისტები წარმატებით ახორციელებდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შემდგომი განმტკიცების პოლიტიკას, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობის მოწვევა. იგი გაიხსნა 1922 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ბაქოში [4]. ყრილობამ მოიწონა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემდგომი სახელმწიფოებრივი დაახლოების იდეა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს: ი. ვაცეკი, ა. გეგეჭკორი,

---

[1] „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პარტკონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში“, თბ., 1922, გვ. 16 — 17.

[2] «Образование СССР», стр. 305.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 191, ფურც. 2 — 3.

[4] «Первый Закавказский съезд Советов» (Стеногр. отчет), Тиф., 1923, стр. 6.

გიორგაძე, გ. დევდარიანი, შ. ელიავა, მ. კახიანი, ს. კიროვი, ს. მაულია, ფ. მახარაძე, ს. მოგილევსკი, ა. მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი, მ. ...ია ორახელაშვილი, მამია ორახელაშვილი, გ. ორჯონიკიძე, ვ. სტურუა, ...ა. ქავთარაძე, ლ. ღოღობერიძე, მ. ცხაკაია, მ. ჩოდრიშვილი და სხვები— სულ 150 წევრი და 50 კანდიდატი. ყრილობაზე არჩეულ იქნენ აგრეთვე საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. საბჭოების პირველმა ყრილობამ კონსტიტუციურად განამტკიცა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა — „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოს რესპუბლიკის კონსტიტუციის“ მიღებით [1].

ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციულ სახელმწიფოს, ჩატარდა ხალხთა მტკიცე მეგობრობის ნიშნით, ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობის შესაქმნელად და საერთო ძალ-ღონით სახალხო მეურნეობის აღსადგენად ვ. ი. ლენინის მითითებით დაწყებულმა საქმემ გაიმარჯვა.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც თავისი ფორმით განსხვავდებოდა საბჭოთა რუსეთის ფედერაციისაგან. საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკებისა და ოლქების გაერთიანება მოხდა „ავტონომიზაციის“ ფორმით, ანუ საბჭოთა რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, მაშინ როდესაც ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტები იყვნენ სუვერენული რესპუბლიკები, რომლებმაც ნებაყოფლობით შეიზღუდეს თავიანთი სუვერენული უფლებები, როდესაც ამ უფლებების ნაწილი გადასცეს ფედერალურ ხელისუფლებას. ასეთი რამ დღემდე გაუგებარი რჩება ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა და სახელმწიფო და სამართლის მკვლევართათვის [2]. ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები იწოდებოდნენ არა მოკავშირე რესპუბლიკებად, არამედ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკებად და მათ არ ჰქონდათ ცალმხრივი აქტით ფედერაციიდან გასვლის უფლება [3].

საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ამიერკავკასიის

---

[1] ამასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი საბჭოთა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში.

[2] Pichard Pieps, The formation of the Sovjet union, Harvard university press, Cambridge Massachusetts, 1954, p. 253-254; П. Милюков, Национальный вопрос, Прага, 1925.

[3] არ არის მართალი ე. ტოკარჟევსკი, როდესაც ამტკიცებს, თითქოს «Все республики обладали правом выхода из ЗСФСР» (Е. А. Токаржевский, Очерки истории Советского Азербайджана (1921-1925 гг.), стр. 96.

ფედერაციულ სახელმწიფოს შესაქმნელად დაემთხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაწყებულ მოძრაობას საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის.

ამ გამაერთიანებელ მოძრაობაში, რომელიც დაიწყო 1918 წლიდან, შეინიშნებოდა ორი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია: ჯერ ერთი, ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკები მიისწრაფოდნენ საბჭოთა რუსეთთან ერთიანობისაკენ; მეორე, საბჭოთა რესპუბლიკებისათვის მაშინ გარკვეული არ იყო გაერთიანების ფორმები. ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში საბჭოთა რუსეთთან ერთიანობა ფაქტიურად ხორციელდებოდა ფართო „ავტონომიზაციის" ფორმით[1].

1920 — 1922 წლებში საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა დაამყარეს კავშირი რსფს რესპუბლიკასთან კონვენციის საფუძველზე. მაგრამ ახალ ისტორიულ ვითარებაში, სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, საკმარისი არ იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კონვენციის საფუძველზე არსებული სამხედრო-პოლიტიკური და სუსტი სამეურნეო კავშირი, საჭირო იყო მათ შორის უფრო მჭიდრო სახელმწიფოებრივი და სამეურნეო-ეკონომიური კავშირი.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების მართებულ და ყველასათვის მისაღებ ფორმით გაერთიანებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო ეს გაერთიანება. ამ საკითხის მოგვარებას, გაერთიანების ფორმის მოძებნას მიეძღვნა ეროვნულ რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა სხდომები საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში; თათბირები მოსკოვში, თბილისში და სხვ. აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები წამოაყენეს აგრეთვე ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა ი. ბ. სტალინმა, გ. ორჯონიკიძემ, ს. კიროვმა, დ. მანუილსკიმ და სხვებმა. მათი შეხედულება არსებითად ერთნაირი იყო. იგი წარმოადგენდა „ავტონომიზაციის" ფორმით გაერთიანების ობიექტურად მიმდინარე პროცესის სუბიექტურ გამოხატულებას, კონსტიტუციური გზით მისი დაკანონების ცდას.

საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი კონკრეტიზაციის საკითხი, სამოქალაქო ომის შემდეგ, პირველად საბჭოთა უკრაინამ დააყენა 1922 წლის მარტში. ამ საკითხის გამო შექმნილი კომისიის მუშაობის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 472 — 473.

პროცესში გამოირკვა, რომ შეუძლებელი იყო შეზღუდვა მხოლოდ საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა უკრაინას შორის ურთიერთობის კონკრეტიზაციით. ამიტომ კომისიამ (ი. ბ. სტალინი, მ. ფრუნზე და სხვ.) დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს სთხოვა განეხილათ საკითხი მათი შემდგომი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ[1].

1922 წლის 24 ივლისს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და მოსკოვში მიმავალ გ. ორჯონიკიძეს დაავალა ამის თაობაზე დაესვა საკითხი რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში[2]. ამ დროს მოსკოვში შედგა „პატარა თათბირი" ი. ბ. სტალინის ინიციატივით. თათბირზე განიხილეს საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. თათბირმა, მიუხედავად საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის წინააღმდეგობისა, მიიღო ი. ბ. სტალინის მიერ შედგენილი თეზისების პროექტი, რომელიც „ავტონომიზაციის" სახელითაა ცნობილი[3].

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ პარტიული მასების ერთი ნაწილი არ ღებულობდა თეზისებს „ავტონომიზაციის" შესახებ, გამოყო კომისია ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ეროვნულ რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან. თეზისების პროექტი განსახილველად დაეგზავნა ეროვნულ რესპუბლიკათა კომუნისტურ პარტიებს.

„ავტონომიზაციის" თეზისების პროექტი მოიწონეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა[4], აზერბაიჯანისა[5] და სომხეთის[6] კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა. იგი მოიწონა დ. მანუილსკიმ, რომელმაც 1922 წლის 4 სექტემბრის წერილით ი. ბ. სტალინის წინაშე დააყენა საკითხი „რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა" და მისი „ფართო რეალური ავტონომიით" შეცვლის შესახებ[7].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „ავტონომიზაციის" თეზისების პროექტი განიხილა 1922 წლის 15 სექტემბერს და დაადგინა: „დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება, რასაც ამხანაგ სტალინის თეზისების საფუძველზე მოითხოვენ, ნაადრევად ჩაითვალოს. საჭიროდ იქნას ცნობილი სა-

---

[1] М. В. Фрунзе, Собрание сочинений, т. I, М., 1929, стр. 476 — 478

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 5, ფურც. 38.

[3] იქვე, ფ. 2, საქ. 304, ფურც. 8.

[4] იქვე, ფ. 13, საქ. 191, ფურც. 18.

[5] იქვე, საქ. 79, ფურც. 2.

[6] იქვე, ფურც. 4.

[7] იქვე, ფურც. 1.

მეურნეო ღონისძიებათა და საერთო პოლიტიკის გაერთიანება, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით"[1]. ამ დადგენილებას ხმა მისცა ცენტრალური კომიტეტის წევრთაგან სხდომაზე დამსწრე ფ. მახარაძემ, პ. საბაშვილმა, ბ. მდივანმა, ს. ქავთარაძემ, ს. თოდრიამ, ხოლო წინააღმდეგ — შ. ელიავამ. სხდომაზე გარეშე დამსწრეთაგან აღნიშნულ დადგენილებას ხმა მისცა გ. დევდარიანმა, ს. თალაკვაძემ, ს. ჯუღელმა, ნ. ოკუჯავამ, ა. სვანიძემ, პ. წულუკიძემ, გ. ვაშაძემ, ა. ოქუაშვილმა და სხვ., ხოლო წინააღმდეგ — გ. ორჯონიკიძემ, ა. ენუქიძემ, ს. კიროვმა, გ. სოკოლნიკოვმა, ლ. ღოღობერიძემ, მ. კახიანმა, თავი შეიკავა მ. ცხაკაიამ.

1922 წლის სექტემბერში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ეროვნული რესპუბლიკებიდან მიიღო ყველა მასალა, რაც დაგროვდა „ავტონომიზაციის" შესახებ თეზისების განხილვასთან დაკავშირებით. 23 — 24 სექტემბერს მიმდინარეობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის სხდომები, სადაც იხილავდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების ფორმის საკითხს. კომისიამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მოიწონა პირვანდელი თეზისები „ავტონომიზაციის" შესახებ[2]. მაგრამ ვ. ი. ლენინმა 26 სექტემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი წერილში გააკრიტიკა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი, უარყო საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" ფორმით გაერთიანება და მოითხოვა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება საკავშირო სახელმწიფოს ფორმით, სრული ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის საფუძველზე. ამის შემდეგ, კომისიის (სტალინი, ორჯონიკიძე, მიასნიკოვი) მიერ ხელმოწერილი რეზოლუციის პირველმა პუნქტმა შემდეგი სახე მიიღო: „ცნობილ იქნეს აუცილებლად ხელშეკრულების დადება უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის ფედერაციის და რსფსრ შორის მათი გაერთიანების შესახებ „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში", მათთვის „კავშირიდან" თავისუფალი გასვლის უფლების შენარჩუნებით"[3].

„ავტონომიზაციის" შესახებ თეზისებსა და სსრ კავშირის შექმნის შესახებ რეზოლუციის პროექტს შორის, არსებითი და პრინციპული ხასიათის განსხვავება იყო. ჯ ე რ ე რ თ ი, პირველ შემთხვევაში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები უნდა შესულიყვნენ რსფსრ-ს შემადგენლობაში, მხოლოდ ავტონომიური უფლებების შენარჩუნებით, მეორე

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 276.
[2] იქვე, ფ. 13, საქ. 6, ფურც. 64 — 72.
[3] იქვე, საქ. 79, ფურც. 5 — 7.

შემთხვევაში კი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს უნდა შეექმნათ საკავშირო სახელმწიფო ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. მ ე ო რ ე, პირველ შემთხვევაში ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები ცალ-ცალკე უნდა შესულიყვნენ რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში, მეორე შემთხვევაში კი ამიერკავკასიის ფედერაციის გზით.

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანებისათვის თვით ეროვნული რესპუბლიკებიდან დაწყებული მოძრაობა დასასრულს უახლოვდება. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფორმა. ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს არც ეს ფორმა აკმაყოფილებდათ, მაგრამ მის წინააღმდეგ აშკარად არ გამოსულან.

ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნეს სპეციალური კომისია კ. ცინცაძის მეთაურობით. მათ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან მოითხოვეს საქართველოსათვის, სამეურნეო და საერთო პოლიტიკის ღონისძიებათა გაერთიანების დროს, „დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნება“.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის პლენუმმა მიიღო ცნობილი დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს „ავტონომიზაციის“ საკითხი არც განუხილავს, რადგან იგი ჯერ კიდევ 27 სექტემბერს უარყო ვ. ი. ლენინმა. რაც შეეხება ნაციონალ-უკლონისტების დანარჩენ მოთხოვნას, იგი ერთხმად უარყო პლენუმმა. ამასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ „ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად უარყო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინადადება გაერთიანების ნაადრევობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ. პლენუმის ასეთი ერთსულოვნობის გამო საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ბ. მდივანი იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინადადებაზე[1]. პლენუმმა უცვლელად მიიღო კომისიის წევრთა: სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვისა და სხვ. წინადადება ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებისა და იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი გაერთიანდეს რსფს რესპუბლიკასთან, უკრაინასთან, ბელორუსიასთან „სოცი-

---

[1] ამის შემდეგ ბ. მდივანი სპეციალური წერილით მოუწოდებდა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მომზადებულიყვნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის პარტიულ ყრილობებზე (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 102, ფურც. 26.).

ალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში". რეზოლუციის ტექსტი მოაქვს ამხ. გ. ორჯონიკიძეს. რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი დირექტივა ენთუზიაზმით იქნება გატარებული"[1].

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა 18 ოქტომბერს მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 6 ოქტომბრის პლენუმის დადგენილების შესახებ. პლენუმმა მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნისა და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლის შესახებ. ამის შედეგად, 19 ოქტომბერს, ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდნენ თბილისის კომიტეტის პლენუმზე ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა და კ. ცინცაძე, რისთვისაც მათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა პარტიული გაკიცხვა გამოუცხადა"[2].

მიუხედავად ამისა, ნაციონალ-უკლონისტებმა საპროტესტო ბარათი მიაწოდეს ვ. ი. ლენინს ბუხარინის საშუალებით. სანამ ლენინისაგან პასუხს მიიღებდნენ, თბილისში დაბრუნდა კ. ცინცაძე და მისი კომისია. კომისიის მუშაობის შედეგებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა კ. ცინცაძის მოხსენება 1922 წლის 21 ოქტომბერს. ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 6 ოქტომბრის დადგენილებას „საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ" და კვლავ მოითხოვა ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია და საქართველოს უშუალოდ შესვლა სსრ კავშირში[3]. მაგრამ მათ თავიანთი დადგენილების გაგზავნაც ვერ მოასწრეს მოსკოვში. იმავე 21 ოქტომბერს მიიღეს დეპეშა ვ. ი. ლენინისაგან, სადაც ვკითხულობთ: „მაკვირვებს არაწესიერი ტონი ცინცაძისა და სხვათა ხელმოწერილი, პირდაპირი მავთულით მიღებული ბარათისა, რომელიც მე გადმომცა ბუხარინმა და არა ცენტრალური კომიტეტის ერთერთმა მდივანმა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ უთანხმოებანი ამოსწურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ ჩემი არაპირდაპირი მონაწილეობით, მდივნის პირდაპირი მონაწილეობით. ამიტომ მე გადაჭრით ვგმობ ლანძღვას ორჯონიკიძის მიმართ"[4]. ამ მარცხის შემდეგ, 22 ოქტომბერს გადადგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 5, ფურც. 63, 67.
[2] იქვე, საქ. 16, ფურც. 12 — 13.
[3] იქვე, საქ. 16, ფურც. 13 — 14.
[4] იქვე, ფურც. 15.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ რესპუბლიკის მაზრებსა და ქალაქებში ფართოდ გაშალა პოლიტიკური კამპანია სსრ კავშირის შექმნისა და მასში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის გზით საქართველოს შესვლისათვის. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 6 ოქტომბრისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 18 ოქტომბრის პლენუმის შედეგებზე მოხსენებით გამოდიოდნენ გ. ორჯონიკიძე, ვ. სტურუა, მ. კახიანი, შ. ელიავა და სხვ.

1922 წლის 11 ნოემბერს შედგა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების II სამხარეო კონფერენცია, რომელმაც მოიწონა სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკების შესვლას სსრ კავშირში[1]. თბილისის საქალაქო საბჭოს 4 დეკემბრის პლენუმმა, მოისმინა რა საკითხი სსრ კავშირის შექმნის შესახებ, მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „თბილისის... საბჭოს პლენუმი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც, ხელშეკრულების საფუძველზე შევლენ: რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია“[2].

ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნისა და მისი სსრ კავშირში შესვლის საკითხის კონსტიტუციური გადაწყვეტისათვის 1922 წლის 10 დეკემბერს გაიმართა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ყრილობის რეზოლუციაში სსრ კავშირის შექმნა და მასში ამიერკავკასიის ფედერაციის შესვლა მიჩნეულია დროულ და აუცილებელ ღონისძიებად[3]. ამის შემდეგ ყრილობამ საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებად აირჩია ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, გ. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ა. მიასნიკოვი და სხვები, რომელთაც დაევალათ ხელის მოწერა საკავშირო ხელშეკრულებაზე[4]. ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. მასში ნათქვამია: „დავამყარეთ რა მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა, როგორც საწინდარი საბჭოთა ხელისუფლების ურყევობისა ამიერკავკასიაში და შემოვდივართ რა ერთიანი ოჯახით სსრ კავშირში, ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობით და კომინტერნის დროშით ჩვენ შევძ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 39, ფურც. 61.

[2] Газ. «Правда Грузии», 6 декабря 1922 г.

[3] «Первый Закавказский съезд Советов» (Стеногр. отчет), Тиф., 1923, стр. 129.

[4] იქვე, გვ. 147 — 148.

ლებთ აქ... საბჭოთა ხელისუფლების მძლავრად განმტკიცებას, ჩვენი ერთიანი მეურნეობის აღორძინებას“ [1].

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა ბელორუსიისა და უკრაინის საბჭოების ყრილობები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის შექმნას. სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ ი. ბ. სტალინის მოხსენების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა ვ. ი. ლენინის მითითებებს, მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ [2].

საბჭოების ყრილობების მიერ რესპუბლიკებში არჩეულმა უფლებამოსილ დელეგატთა კონფერენციამ, მ. კალინინის თავმჯდომარეობით, 1922 წლის 29 დეკემბერს განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის შექმნის შესახებ „დეკლარაციისა“ და „ხელშეკრულების“ პროექტი, ხოლო მეორე დღეს, 30 დეკემბერს, გაიხსნა საბჭოების I საკავშირო ყრილობა. სსრ კავშირის შექმნის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი[3]. ი. ბ. სტალინის მოხსენების შემდეგ ყრილობამ, მ. ფრუნზეს წინადადებით, დაამტკიცა „დეკლარაციისა“ და „ხელშეკრულების“ პროექტი. ამით დასაბამი მისცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს, საბჭოთა ფედერაციის უმაღლეს ფორმას, რომლის სუბიექტებს წარმოადგენდნენ მოკავშირე რესპუბლიკები, სუვერენული სახელმწიფოები. მართალია, მოკავშირე რესპუბლიკებმა ხელი აიღეს სუვერენიტეტის ზოგიერთი ატრიბუტის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებაზე, მაგრამ ისინი მაინც სუვერენულ რესპუბლიკებად რჩებიან, რადგან მათ აღნიშნულ უფლებაზე ხელი აიღეს არა ერთი რომელიმე ზემდგომი, პრივილეგიური სახელმწიფოს, სასარგებლოდ, არამედ იმ საკავშირო სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომლის შემადგენლობაშიც თვითონვე შედიან როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირენი და, ამდენად, თვითონვე მონაწილეობენ აღნიშნულ უფლებათა განხორციელებაში. ამიტომ, მიუხედავად სუვერენული უფლებების ერთგვარი შეზღუდვისა, მოკავშირე რესპუბლიკები, ინარჩუნებენ რა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, რჩებიან სუვერენულ სახელმწიფოებად.

„დეკლარაცია“ და „ხელშეკრულება“ საფუძვლად დაედო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის კონსტიტუციას, რომელიც განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის II სესიამ 1923 წლის 6 ივლისს. სსრ კავშირის კონსტიტუცია განიხილა და მოიწონა სრულიად საქართველოს საბჭოების II ყრილობამ

---

[1] «Первый Закавказский съезд Советов» (Стеногр. отчет), Тиф., 1923, стр. 92 — 93.

[2] «Образование СССР», стр. 324 — 325.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 172.

1924 წლის 3 იანვარს. ასევე განიხილეს და მოიწონეს იგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობებმა, რის შემდეგაც სსრ კავშირის კონსტიტუცია დამტკიცდა საბოლოოდ საბჭოების II სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 31 იანვარს. სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ახალი ტექსტი ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციების შესაბამისად შეტანილი ცვლილებებით[1]. ასე გაფორმდა კონსტიტუციურად თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა სახელმწიფო კავშირი — სსრ კავშირი.

„მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა დიდი ოქტომბრის საქმის, მთელი ქვეყნის მასშტაბებით რევოლუციური გარდაქმნების განგრძობაა, იგი ნაკარნახევი იყო ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით“[2].

ქართული ნაციონალ-უკლონიზმი, რომელსაც კვებავდა წვრილბურჟუაზიული სტიქია, ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა ისეთ საკითხებშიც კი, როგორიც იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულების შექმნა, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხი, საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მოძმე რესპუბლიკების საზიანოდ ზოგიერთი პრივილეგიური უფლების დასაკუთრების საკითხი და სხვ.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის მტკიცე ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის შექმნის შემდეგ შედარებით ადვილად მოწესრიგდა მათ შორის სახელმწიფო საზღვრების საკითხიც, რომელიც სამივე რესპუბლიკაში ნაციონალისტების საქმიანობით დავისა და უკმაყოფილების საგნად იყო გადაქცეული.

საქართველოს კომუნისტებმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხი გადაწყვიტეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით, როდესაც წავიდნენ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე მოძმე ხალხთა სასარგებლოდ, რაც გაუგებარი დარჩა წვრილბურჟუაზიული მოსახლეობისა და ქართველი ინტელიგენციის ნაწილისათვის ესეც თავიდან იქნებოდა აცილებული და ადგილი არ ექნებოდა არავითარ გაუგებრობას, რომ კომუნისტური ორგანიზაციები არ აჩქარებულიყვნენ და დროებით გადაედოთ საზღვრების საკითხი ამიერ-

---

[1] „სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა“, თბ., 1927, გვ. 343.

[2] „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 21 თებერვლის დადგენილება), თბ., 1972, გვ. 7.

კავკასიის ეროვნებათა შორის უნდობლობის აღმოფხვრამდე, ან ყოველ შემთხვევაში, მის შენელებამდე. მით უმეტეს, ამიერკავკასიის კომუნისტებისათვის კარგად იყო ცნობილი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების საკითხისადმი ლენინური მიდგომა. „ის საკითხი,— წერდა ვ. ი. ლენინი, — თუ როგორ განვსაზღვროთ სახელმწიფო საზღვრები ამჟამად... ეს საკითხი არ არის ძირითადი, მნიშვნელოვანი, იგი მეორეხარისხოვანია. ეს საკითხი შეიძლება გადავდოთ და უნდა გადავდოთ, რადგან გლეხების ფართო მასებისა და წვრილი მეპატრონეების ნაციონალური უნდობლობა ხშირად უაღრესად მტკიცეა, და აჩქარებით შეიძლება ის კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ე. ი. ვავნოთ სრული და საბოლოო ერთიანობის საქმეს“[1]. ასეც მოხდა მაშინ საქართველოში, რაც სწრაფად გამოიყენეს საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა, ანტისაბჭოთა ნაციონალისტურმა პარტიებმა.

საქართველოში ეროვნული საკითხის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა რესპუბლიკაში კომპაქტურად მოსახლე აფხაზებისა და ოსების სახელმწიფოებრივი მოწყობა, მაგრამ ნაციონალ-უკლონისტები ამ ღონისძიებასაც წინ აღუდგნენ.

საქართველოს კომუნისტური პარტია, როდესაც მოითხოვდა მათ სახელმწიფოებრივ მოწყობას ავტონომიურ საწყისებზე, გამოდიოდა იმ ისტორიული ფაქტიდან, რომ აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთისა და აჭარის მოსახლეობას ჰქონდა ისტორიულად ჩამოყალიბებული ყოფაცხოვრებითი, ეკონომიური, ენობრივი (აჭარის გამოკლებით) და საერთოდ, კულტურული განვითარების თავისებურებანი. აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა აფერხებდა მათი მოსახლეობის ჩაბმას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ეს გარემოება ხელს უშლიდა სრულიად საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცებას. მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევდნენ ნაციონალ-უკლონისტები.

ქართველმა ნაციონალ-უკლონისტებმა დაივიწყეს, რომ აჭარის მოსახლეობა დიდხანს ატარებდა თურქეთის ბატონობის მძიმე უღელს. თურქთა ასიმილატორული პოლიტიკის განხორციელების მიზნით აგრესორებმა აჭარის ქართველ მოსახლეობას ცეცხლითა და მახვილით მიაღებინეს მუსლიმანური რელიგია. აჭარის მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული განვითარება შეჩერდა, დიდად ჩამორჩა საქართველოს სხვა მხარეთა კულტურისა და ეკონომიკის განვითარებას. აჭარა რუსი და ქართველი ხალხების სისხლით იქნა დახსნილი თურქთა კლანჭებისაგან და

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 348.

კვლავ გაერთიანდა საქართველოსთან. მაგრამ მეფის რუსეთი სრულიად არ ფიქრობდა აღედგინა ქართველთა შორის ეროვნული მთლიანობის შეგნება, რომელიც ესოდენ დასუსტდა და დაუძლურდა თურქთა ასიმილატორული პოლიტიკის შედეგად აჭარაში. მეფის რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის წყალობით, ისე როგორც მეგრელები, იმერლები და ხევსურები, აჭარლებიც ცალკე ეროვნებად იყო ფიქსირებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტებში. ცარიზმი ყოველმხრივ ცდილობდა ჩაეკლა ქართველთა შორის ეროვნული მთლიანობის შეგნება.

აფხაზეთიც თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იყო. თურქთა ასიმილატორული პოლიტიკის განხორციელებისათვის აფხაზეთსაც მიაღებინეს მუსლიმანური რელიგია; ქართული კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების გავლენას დიდი ხნით მოსწყვიტეს აფხაზეთის მოსახლეობა და განუმზადეს მას ხანგრძლივი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. ამ მხრივ არც სამხრეთ-ოსეთი წარმოადგენდა გამონაკლისს, ისიც ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილი მხარე იყო. აფხაზთა მიმართ ქართველი მენშევიკების ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა კიდევ უფრო გააძლიერა მათში თურქ ასიმილატორთა მოღვაწეობისა და ცარიზმის ბატონობის მავნე შედეგები, კიდევ უფრო შეასუსტა ერთიანობის აუცილებლობის შეგნება და მოძმე ხალხთა შორის მტრობა და უნდობლობა ჩათესა.

საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების განმტკიცება შეუძლებელი იყო ხალხთა შორის მტრობისა და უნდობლობის აღმოფხვრის გარეშე. მის აღმოსაფხვრელად, აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობის კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო მათი სახელმწიფოებრივი მოწყობა ავტონომიურ საწყისებზე. 1921 წლის 21 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ[1], ხოლო 9 აპრილს ბათუმში შედგა ამიერკავკასიის ხელმძღვანელ პარტიულ-საბჭოთა მუშაკების თათბირი გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. თათბირს ესწრებოდნენ: ს. ქავთარაძე, შ. ელიავა, ე. ეშბა, ნ. ლაკობა და სხვ. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცნობის შესახებ[2]. შემდეგში, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ განიხილა საკითხი საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის შესახებ და აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო მიზანშეუწონლად, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით[3].

---

[1] აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო არქივი, ფ. 38, საქ. 74, ფურც. 176.

[2] Газ. «Правда Грузии», 13 апреля 1921 г.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 7, ფურც. 35 — 36.

კავკასიის ბიუროს ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელებმა. 1921 წლის დეკემბერში აფხაზეთი ხელშეკრულებით დაუკავშირდა საქართველოს[1]. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით მოეწყო „აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც ნაწილი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა“ [2]. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წლის 31 ოქტომბერს მიიღო დადგენილება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ [3], რაც შემდეგ პრაქტიკულად განხორციელდა 1922 წელს. იგი გაფორმდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის სათანადო დეკრეტით.

ამრიგად, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით საქართველოს კომუნისტური პარტია მიზნად ისახავდა: 1. მენშევიკური ხელისუფლების ნაციონალისტური პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოფხვრას საქართველოში; 2. რესპუბლიკის ისტორიულად დაბეჩავებულ ცალკეულ მხარეთა კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას; 3. დამარცხებული კლასებისა და ანტისაბჭოთა პარტიების იდეურ განიარაღებას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას მთელ საქართველოში; 4. განაპირა მხარეთა მოსახლეობის აქტიურად ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში; 5. საქართველოს მშრომელთა ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღმავლობას, ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას ახალ, სოციალისტურ საფუძველზე.

საქართველოში მოსახლე ეროვნებათა სახელმწიფოებრივმა მოწყობამ ავტონომიის საწყისებზე ჭეშმარიტად გაამართლა თავისი დანიშნულება. მან ბრწყინვალედ გადაწყვიტა ამოცანები, რომელსაც მის წინაშე სახავდა კომუნისტური პარტია საქართველოში.

ყოველივე ამის შემდეგაც არ დაუყრიათ ფარხმალი ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს. ისინი 1921 — 1924 წლების მანძილზე თავგამოდებით იბრძოდნენ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ზედიზედ მარცხდებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარ-

---

[1] აფხაზეთის სსრ 1921 წლის 13 აპრილიდან 1931 წლამდე საქართველოს სს რესპუბლიკასთან დაკავშირებული იყო საკავშირო ხელშეკრულებით (გაზ. «Голос трудовой Абхазии», 28 декабря 1921 г.), საქართველოს საბჭოების მეექვსე ყრილობამ აფხაზეთის სსრ გარდაქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, თვით აფხაზეთის საბჭოების ყრილობის დადგენილების შესაბამისად (გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 20 თებერვალი).

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 14, ფურც. 25.

[3] იქვე, საქ. 223, ფურც. 152.

ტიის II და III ყრილობებზე, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II და III ყრილობებზე.

1923 წლის დამდეგს მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობა. ყრილობაზე ნაციონალ-უკლონისტებმა გაილაშქრეს პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის პოლიტიკური გეზის წინააღმდეგ. მაგრამ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, სარგებლობდა რა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნდობითა და მხარდაჭერით, უკუაგდო ნაციონალ-უკლონისტების ეს გამოლაშქრებაც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის II ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის მუშაობა როგორც პოლიტიკური, ისე ორგანიზაციული მოღვაწეობის სფეროში. ყრილობამ დაადასტურა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია, როგორც აუცილებელი ფორმა და საშუალება ამიერკავკასიაში შოვინიზმის აღმოფხვრისა და ეროვნული მშვიდობიანობის დამკვიდრებისათვის[1]. ამასთან ერთად, ყრილობამ მიიღო თეზისები, რომლითაც დაგმო ნაციონალ-უკლონიზმი და კვლავ მიუთითა ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობაზე [2]. ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა ყველა ჯგუფი და ფრაქცია, აგრეთვე დაავალა ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას აწარმოოს ულმობელი ბრძოლა ფრაქციულობის წინააღმდეგ რკპ (ბ) X და XI ყრილობების დადგენილებათა საფუძველზე[3]. ამის შემდეგ ნაციონალ-უკლონისტების სრული მარცხი ფაქტი იყო, ყრილობაზე 144 ხმიდან მათ ძლივს მოაგროვეს 20 ხმა. მაგრამ ნაციონალ-უკლონისტები კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც აშკარა გახდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე 1923 წლის მარტში. ყრილობაზე რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით გამოვიდა გ. ორჯონიკიძე. მომხსენებელი შეეხო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობას, დაახასიათა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მიღწევები საანგარიშო პერიოდში და მკაცრად გააკრიტიკა ნაციონალ-უკლონისტები.

გ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზა-

---

[1] ეურნ. „უწყებები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა (შემდეგში — „უწყებები"), 1933, № 1, გვ. 21 — 22.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 145, ფურც. 8, 9.

[3] ეურნ. „უწყებები", 1933, № 1, გვ. 23.

ციების II ყრილობა სავსებით იწონებს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს მიმართულს უმთავრესად იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა და მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცების გზით, სწორად სცნობს რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანიზაციულ მუშაობას. ამასთან ერთად, ყრილობამ დაავალა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს მომავალშიც განუხრელად გაატაროს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ერთიანობისა და შემჭიდროების, აგრეთვე ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცებისა და მისდამი ყოველმხრივი მხარდაჭერის ხაზი[1]. ყრილობის რეზოლუცია გამოხატავდა პარტიის ნება-სურვილს, ამიტომ ნაციონალ-უკლონისტების — ბ. მდივნის, კ. ცინცაძისა და სხვათა გააფთრებულმა იერიშებმა ვერ შეარყია ყრილობის ერთსულოვნება. მათ 224 ხმიდან ძლივს მოაგროვეს 10 ხმა.

ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მორიგი დამარცხება მოუტანა რკპ (ბ) XII ყრილობამ 1923 წლის აპრილში. ყრილობაზე პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ ნაციონალ-უკლონისტები — ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, კ. ცინცაძე და სხვ. მაგრამ ყრილობამ გააკრიტიკა მათი საქმიანობა, მიმართული ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინმა ყრილობაზე ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ „ამიერკავკასიაში ძირითადი საკითხი — ესაა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი“[2].

პარტიის XII ყრილობაზე ქართველი ნაციონალ-უკლონისტების დამცველებად კვლავ ტროცკისტ-ბუხარინელები გამოდიოდნენ. მიუხედავად ტროცკისა და ბუხარინის მხრივ გაწეული მფარველობისა, დამარცხდნენ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები, გაიმარჯვა პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ, იგი ყრილობამ მოიწონა და საფუძვლად დაედო კომუნისტური პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობას ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში.

ამრიგად, საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ფორმის საკითხი ამიერკავკასიაში განხილულ იქნა ისე, როგორც ამას მოითხოვდა ვ. ი. ლენინი. ამის შემდეგ ბრძოლა ფედერაციის იდეის წინააღმდეგ ნიშნავდა ბრძოლას პარტიისა და ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ამიტომ იგი დაუშვებელი იყო. „ოღონდ ერთიანობა იყოს ბრძოლაში კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, — წერდა

---

[1] «Второй съезд коммунистических организаций Закавказья» (Стеногр. отчет), Тиф., 1923, стр. 83.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 252.

ვ. ი. ლენინი, — თორემ ნაციონალური საზღვრების, სახელმწიფოთა შორის ფედერაციული თუ სხვა კავშირის საკითხის გამო კომუნისტები არ უნდა გაითიშონ... ამ საკითხების გამო გათიშვა შეუწყნარებელია"[1]. იგი შეუწყნარებელია მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება არა სხვადასხვა რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიებს, არამედ ცალკე აღებულ, ერთი რესპუბლიკის კომუნისტურ პარტიას. ნაციონალ-უკლონისტებმა თავიანთი მუშაობით, რომელსაც ფრაქციული ხასიათი ჰქონდა, კინაღამ გათიშეს საქართველოს კომუნისტური პარტია.

ნაციონალ-უკლონისტები, ბოროტად იყენებდნენ რა ვ. ი. ლენინის წერილს „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის" შესახებ", მისივე წერილს „ქართული საქმის" გამო ტროცკისადმი და დეპეშას ფ. მახარაძისადმი, საქმეს ისე სახავდნენ, თითქოს ვ. ი. ლენინი მხარს უჭერდა მათ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ[2]. მაგრამ პარტიის შეყვანა შეცდომაში მათ, რასაკვირველია, ვერ შეძლეს. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების ინიციატორი და სულისჩამდგმელი თვითონ ვ. ი. ლენინი იყო. ლენინის აღნიშნული დოკუმენტები მიმართული იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „ავტონომიზაციის" ფორმით გაერთიანების წინააღმდეგ, და არა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. იგი მიმართული იყო აგრეთვე იმ უხეშობისა და ადმინისტრირების, იმ აჩქარებული ტემპებისა და ფაციფუცის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, როდესაც წყდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი[3].

ნაციონალ-უკლონისტებს ვერაფერმა უშველა. ისინი იდეურად დამარცხდნენ. პარტიამ მათ არ დაუჭირა მხარი. ნაციონალ-უკლონისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლები, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები — ფ. მახარაძე, ს. თოდრია, ვ. ბოლქვაძე და სხვები გაემიჯნენ ნაციონალ-უკლონიზმს[4], ხოლო ნაციონალ-უკლონისტთა მეორე ნაწილი —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30. გვ. 349—350.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 191, ფურც. 21 — 22.

[3] შემდეგში ტროცკი ვ. ი. ლენინის წერილებს „ავტონომიზაციის" წინააღმდეგ ფრაქციული მიზნით იყენებდა და ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს ამხედრებდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ტროცკის გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ წერილში ცენტრალური კომიტეტის წევრებისადმი 1923 წლის 31 დეკემბერს.

[4] საქ. კპ(ბ) III ყრილობაზე გ. ორჯონიკიძემ განაცხადა: «Давайте выполним то, что Филипп сказал на квартире Сталина, а сказал он следующее: Сталин спросил, когда же вы прекратите драку. Филипп ответил, что драки у нас не было. Сталин сказал, что фракция у вас была... вы дрались и будете драться дальше. В общем после долгих разговоров и рассуждений Филипп сказал, что даю вам

ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვები ტროცკისტული ოპოზიციის ბანაკში გადაბარგდნენ.

ამრიგად, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობის მომენტისათვის (1925 წლის დეკემბერი) ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე განვლილი ეტაპი იყო. ყრილობის მუშაობის შეჯამებისას ს. კიროვი აღნიშნავდა: „თუ კაცობრიობას, თუ მშრომელთ და ჩაგრულთ ნამდვილად სურთ გამონახონ გზა რაიმე ახლისაკენ, რაიმე ისეთისაკენ, რაც ნამდვილად იხსნის ყველა ჩაგრულს მათ უნდა შეიგნონ, რომ ხსნა ახლა მოდის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, რომელიც დააარსა კაცობრიობის დიდმა მოციქულმა ვ. ი. ლენინმა, სწორედ იმ კავშირისაგან, რომელიც ჩვენ ვალდებული ვართ განვამტკიცოთ დღეს და რომლის საფუძველზედაც ჩვენ უნდა წავიყვანოთ კაცობრიობა ბედნიერებისაკენ, სოციალიზმისაკენ, ჭეშმარიტი თანასწორობისაკენ“ [1].

§ 3. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საკმარისი არ აღმოჩნდა. სამხედრო კომუნიზმის რეჟიმი საერთოდ, და სასურსათო გაწერა კერძოდ, უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში. სამხედრო კომუნიზმის მთელი სისტემა უკვე ეჯახებოდა გლეხობის ინტერესებს. უკმაყოფილების სტიქია შეეხო მუშათა კლასსაც. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული მრეწველობა მუშათა კლასს ვერ აძლევდა მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში არსებობის საჭირო საშუალებებს. სამრეწველო პროლეტარიატი — პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი ბაზა — განიცდიდა დეკლასირებას; ერთმა ნაწილმა კუსტარულობას მიჰყო ხელი, მეორემ — სოფელს მიაშურა. ასეთ ვითარებაში პარტიის წინაშე დადგა გადაუდებელი ამოცანა — გამოემუშავებინა პარტიის ახალი გეზი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხზე.

კომუნისტური პარტია შეუდგა სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე ახალი გეზის გამომუშავებას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო დანგრე-

---

честное слово, что я сделаю все, чтобы наша грузинская партия была такой же, какой она была раннее». ი. სტალინისათვის მიცემული სიტყვა პირნათლად გაამართლა ფ. მახარაძემ (М. Кахиани, Два года работы, доклад на V съезда КП (б) Грузии, Тиф., 1927, стр. 110).

[1] «IV съезд Коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1926, стр. 428.

ული სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადებში აღდგენისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის ახალ ეკონომიურ საფუძველზე, მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისათვის. იგი შეიმუშავა კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და დაამტკიცა X ყრილობაზე 1921 წლის მარტში. მან „სამხედრო კომუნიზმისაგან" განსხვავებით მიიღო ახალი ეკონომიური პოლიტიკის სახელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება დაემთხვა რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში „სამხედრო კომუნიზმიდან" ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდს, ამიტომ საქართველოს კომუნისტებმა მაშინვე გაშალეს მუშაობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისათვის. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების წინააღმდეგ საქართველოში გამოდიოდნენ მემარცხენე ელემენტები. ისინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მხოლოდ უკანდახევად, რევოლუციის მონაპოვარზე ხელის აღებად თვლიდნენ[1]. ხოლო ნაციონალ-უკლონისტები მოითხოვდნენ უფრო მეტ დათმობას კერძომეურნეობრივი კაპიტალისათვის, სახალხო მეურნეობის მბრძანებელი სიმაღლეების საკონცესიოდ გადაცემას, ზოგიერთ ნაციონალიზებულ საწარმოს დენაციონალიზაციას, უცხოეთის ფინანსური კაპიტალისათვის კარების ფართოდ გაღებას, და საერთოდ, ორიენტაციის აღებას იმპერიალისტური დასავლეთის კაპიტალზე. ნაციონალ-უკლონისტები, აზვიადებდნენ რა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების თავისებურებებს, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლის დათმობათა ტაქტიკას აქცევდნენ პოლიტიკურ დათმობათა სისტემად.

საქართველოს კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, ძირითადად სწორად და მტკიცედ წარმართავდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინურ კურსს საქართველოში. მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც ქვეყნის ისტორიული განვითარების ყველა თავისებურება არ იყო მთელი მისი სიღრმით გათვალისწინებული. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება იმ თავისებურებას, რომელიც იქმნებოდა იმის გამო, რომ საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის პერიოდი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობის მიერ „სოფლად მუშაობის შესახებ" მიღებულ რეზოლუციაში ამ თავისებურების

---

[1] ასეთივე შეხედულებისა იყვნენ მასზე ანტისაბჭოთა პარტიები საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი საზეიმოდ აცხადებდა: „ბოლშევიკების ახალი კურსი — ესაა გზა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისა, ჩვენი ძველი გზა" (გაზ. „ტრიბუნა", 1921 წლის 15 სექტემბერი).

შესახებ ნათქვამია: „პირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ქართულმა სოფელმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხანაში, რუსული სოფლისაგან განსხვავებით, არ განიცადა სამხედრო კომუნიზმის და სამოქალაქო ომის ზეგავლენა (სასურსათო გაწერა, ღარიბთა კომიტეტები და სხვა, რომელთაც საგრძნობლად შეარყიეს რუსეთში სოფლის ბურჟუაზიის ძალა და სიმძლავრე), გასაბჭოებული ქართული სოფელი ერთბაშად მოექცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, მაგრამ აქ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი: ქართულ სოფელში, კახეთის (თელავისა და სიღნაღის მაზრები) და ნაწილობრივ ბორჩალოს მაზრის (გერმანული ახალშენი და მოლოკნები) გამოკლებით, სოფლის ბურჟუაზია წინათაც საერთოდ სუსტად იყო განვითარებული. სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობისაგან შედგებოდა“[1].

ამრიგად, საქართველოს მშრომელებს „სამხედრო კომუნიზმის“ გაუვლელად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში მოუხდათ — ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შენების დაწყება.

„სამხედრო კომუნიზმის“ გაუვლელად ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლას საქართველოში მოჰყვა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. დადებით შედეგთა შორის უნდა აღინიშნოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის, რომელიც შეიქმნა მენშევიკური დიქტატურისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდგომი განმტკიცება ახალ, ეკონომიურ საფუძველზე. უარყოფით შედეგთა შორის უნდა აღინიშნოს კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა ფრონტის დიდ ხანს, თითქმის ხელუხლებლად შემორჩენა საქართველოში. ეს გარემოება სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდში შეუძლებელი იყო პირდაპირი იერიშით ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია. ამიტომ ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებს მითითებას აძლევდა გამოენახათ მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის მენშევიკური პარტიის ზოგიერთ, ნაკლებად მტრულად განწყობილ ჯგუფებთან, გამოეჩინათ მეტი დამთმობლობა წვრილბურჟუაზიის, ინტელიგენციის და, განსაკუთრებით, გლეხობის მიმართ.

ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებს აფრთხილებდა, მორიდებოდნენ რუსული შაბლონის განმეორებას, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს მითითება ვერ გა-

---

[1] ჟურ. „უწყებები...“, 1924, № 6 — 7, გვ. 70 — 71.

ითვალისწინა და 1921 წლის ივლისში, სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, შემოიღო სასურსათო-ნატურალური გადასახადი, ე. ი. სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინება[1]. 1922 წელს იგი შემოიღეს აჭარასა და აფხაზეთშიაც, მაშინ, როდესაც სასურსათო-ნატურალური გადასახადი (სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინება) სრულიად არ იყო აუცილებელი ღონისძიება საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისათვის.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის ძირითადი მიზეზი, როგორც რკპ (ბ) XIII კონფერენცია მიუთითებდა, იყო „ქალაქსა და სოფელს შორის რაც შეიძლება ფართო გაცვლის დამყარების აუცილებლობა". საქონელგაცვლის განვითარება შეუძლებელი იყო სასურსათო გაწერის პირობებში. ამიტომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პ ი რ ვ ე ლ ი და უმთავრესი ღონისძიება იყო სასურსათო გაწერის გაუქმება. სასურსათო გადასახადი კი წარმოადგენდა „გაწერის გაუქმების უბრალო დამატებას" და იგი ნაკარნახევი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამამზადებელი ორგანიზაციების სისუსტით, ფულადი მეურნეობის მოშლითა და მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის ნედლეულისა და სურსათის აუცილებელი მინიმუმის საჭიროებით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების მ ე ო რ ე ღონისძიება იყო სურსათისა და ნედლეულის დამზადების გადაცემა სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირისათვის. მ ე ს ა მ ე — სახელმწიფო ბანკის, როგორც ქვეყანაში ფულის მიმოქცევის რეგულირების ორგანოს, გახსნა, და მ ე ო თ ხ ე — სახელმწიფო საწარმოთა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. ამ ღონისძიებათა ერთობლიობა შეადგენდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას[2].

საბჭოთა რუსეთში სასურსათო გაწერის მძიმე ტვირთის ნაცვლად შეღავათიანი სასურსათო გადასახადის დაწესებას მშრომელი გლეხები კმაყოფილებით შეხვდნენ. საქართველოში კი სურსათზე დადებულმა ნატურალურმა გადასახადმა ზოგიერთ მაზრაში გლეხობის უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ცნობილია, საქართველოს გლეხობა სასურსათო გადასახადის ძირითადი სახის — პურის მწვავე დეფიციტს განიცდიდა.

---

[1] ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა გაითვალისწინეს თავიანთი რესპუბლიკების ისტორიული განვითარების თავისებურებანი. ამან ხელი შეუწყო, უპირველეს ყოვლისა, სასურსათო გადასახადის წარმატებით განხორციელებას ორივე რესპუბლიკაში (იხ. Е. А. Токаржевский, Очерки истории Советского Азербайджана, стр. 59; А. М. Акопян, История Советской Армении в период восстановления народного хозяйства 1921 — 1925 гг. (Автореферат докторской диссертации), Ер., 1954, стр. 21, 24).

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 136 — 138.

რუსეთის გლეხობა კი სულ სხვა მდგომარეობაში იყო. სასურსათო-ნატურალური გადასახადის შემოღების დროს საბჭოთა რუსეთის გლეხობას საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და სასურსათო გადასახადის შეტანის შემდეგ გასაყიდად შეეძლო გაეტანა 350 მილიონი ფუთი პური. სულ სხვა სურათი იყო 1921 წელს საქართველოში. მოსალოდნელ მოსავალს უნდა მოეცა 29,5 მილიონი ფუთი პური, მაშინ როდესაც მხოლოდ სოფლისათვის საჭირო იყო 32,5 მილიონი ფუთი პური, ე. ი. სოფლის მოსახლეობას აკლდებოდა 3 მილიონი ფუთი პური. საქართველოს გლეხობას არა თუ გადასახადისა და გაყიდვისათვის არ ჰქონდა პური, არამედ არ ჰქონდა იგი საკუთარი ოჯახის გამოსაკვებადაც[1]. ამიტომ სურსათზე დადებული გადასახადის ნატურით გადახდაზე უარს აცხადებდნენ სენაკის, ოზურგეთის, შორაპნის, ქუთაისის, გორის, რაჭისა და სხვა მაზრების გლეხები. ამის მიზეზი იყო შემდეგი:

1. საქართველოში სასურსათო გადასახადის დაწესების დროს არ მომხდარა დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა. სასურსათო გადასახადი, გარდა მარცვლეულისა, დაწესებული იყო აგრეთვე ხორცზე, ღვინოზე, კარაქზე, ყველზე, მატყლზე და სხვ., სულ 11 სახის პროდუქტზე[2].

2. სასურსათო გადასახადის შესახებ კანონი საქართველოში მიღებულ იქნა მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ძირითადად უკვე დამთავრებული იყო — 1921 წლის ივლისში[3]. აქ არ იქნა გათვალისწინებული პარტიის X ყრილობის რეზოლუცია „გაწერის შეცვლის შესახებ ნატურალური გადასახადით“, სადაც ნათქვამია: „კანონი გადასახადის შესახებ იმგვარად უნდა შედგეს და ისეთ დროს უნდა გამოქვეყნდეს, რომ მიწათმოქმედებმა, ჯერ კიდევ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე მიიღონ რაც შეიძლება უფრო ზუსტი ცნობები იმ ვალდებულებათა ოდენობაზე, რომლებიც მათ წილად მოდის“[4]. ყრილობის დადგენილების ამ მუხლის დაცვა, რასაკვირველია, უფრო აუცილებელი და ეფექტიანი იქნებოდა იქ, სადაც საქმე გვქონდა სასურსათო გაწერასთან, მაგრამ მისი დაცვა არც საქართველოში იყო მნიშვნელობას მოკლებული.

3. სასურსათო გადასახადის არაპოპულარობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოს გლეხური მასები ფსიქოლოგიურად არ იყვნენ მომზადებული სასურსათო, ნატურალური გადასახადისათვის.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), საქ. 7, ფურც. 10.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 60, საქ. 2133, ფურც. 259.

[3] იქვე, ფ. 281, საქ. 223, ფურც. 167.

[4] „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, თბ., 1954, ნაწ. I, გვ. 725.

4. საქართველოში პოლიტიკური გადატრიალება დაემთხვა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდს. ამ გარემოებამ, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებებისა, შეაფერხა ხვნა-თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება, მას ხელი შეუშალა აგრეთვე სოფლად ძველ აგრარულ ურთიერთობათა მსხვრევისა და ახლის ჩამოყალიბების გახანგრძლივებულმა პროცესმა. ყოველივე ამან გამოიწვია მოუსავლიანობა 1921 წელს საქართველოს მთელ რიგ მაზრებში, რის გამოც 1921 წელს ხორბალზე დადებული სასურსათო გადასახადის მხოლოდ 8 პროცენტი იქნა აკრეფილი.

5. სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების არაოპერატიული მუშაობა.

6. სასურსათო-ნატურალური გადასახადის წარმატებით გატარებისათვის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე, რითაც ისარგებლეს რა ანტისაბჭოთა პარტიებმა, კულაკურმა ელემენტებმა, გაძვრნენ სასურსათო კომიტეტებში და ცდილობდნენ ზომაზე მეტად დაებეგრათ საშუალო გლეხები, გაეჩაღებინათ კამპანია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ[1].

ასეთ ვითარებაში სასურსათო გადასახადის ნატურალური ფორმით გადახდევინება ვერ ამართლებდა თავის ძირითად დანიშნულებას საქართველოში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი ბერკეტი იყო საქონელგაცვლა, რომელიც უზრუნველყოფდა პროლეტარიატისა და გლეხობის სწორ ურთიერთდამოკიდებულებას, შექმნიდა ამ ორი კლასის ეკონომიური კავშირის სავსებით მტკიცე ფორმას, რაც ესოდენ აუცილებელი იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში[2].

მაგრამ საქართველოში სასურსათო-ნატურალურმა გადასახადმა საქონელგაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის ვერ დააჩქარა, პირიქით, ზოგჯერ უფრო შეაფერხა. სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდამ გლეხი კიდევ უფრო მოწყვიტა ბაზარს, ხელი შეუწყო გლეხის გამოთიშვას სასაქონლო-ფულადი მეურნეობიდან, ფულის ტრიალის შენელებას, ფულის კურსის კატასტროფულ დაცემას. ამავე მიმართულებით მოქმედებდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ნატურალიზაცია და სხვ.

ამრიგად, ქალაქისა და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას საქართველოში სასურსათო-ნატურალურმა გადასახადმა ვერ შეუწყო ხელი. საბჭოთა რუსეთში კი სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლამ განამტკიცა პროლეტარიატისა და

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 61, საქ. 2391, ფურც. 26.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 739.

გლეხობის კავშირი. ამ კავშირის — საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური საფუძვლის — განმტკიცება მოითხოვდა მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის გაცვლის შემდგომ გაცხოველებას, გაადვილებასა და განმტკიცებას[1].

სურსათზე დადებული გადასახადის ნატურით გადახდევინების სირთულემ და სახელმწიფოსათვის გადასახადის ნაკლებეფექტიანობამ სერიოზულად ჩააფიქრა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. სასურსათო გადასახადის ნატურგადახდევინების მიზანშეწონილობის საკითხი სპეციალურად იქნა განხილული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომუნისტური ფრაქციის თათბირზე 1922 წლის 19 აპრილს. სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი მიზანშეწონილად მიიჩნევდა სასურსათო გადასახადის უცვლელი სახით დატოვებას 1922 წელსაც. მოწინააღმდეგენი შემდეგ მოსაზრებებს აყენებდნენ: 1) სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღება თხოულობს დიდი ენერგიის დახარჯვას სახელმწიფოს მხრივ[2], 2) სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღება ძვირი ჯდება[3], 3) სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღება იძლევა მცირე ეფექტს[4], 4) გადასახადის სახით აკრეფილი პროდუქტები მეტისმეტად ცუდი ხარისხისაა, 5) მოსახლეობისაგან მიღებული პროდუქტები ძალიან ჩქარა ფუჭდება შენახვის საქმის მოუგვარებლობისა და ტრანსპორტის მოშლის გამო, 6) სასურსათო გადასახადის პროდუქტებით აკრეფა ხალხში არაპოპულარულია[5], 7) სასურსათო-ნატურალური გადასახადი იწვევს გლეხური მეურნეობის დაქვეითებას, 8) დაბლა ეწევა ფულის კურსს[6], 9) „სასურსათო გადასახადი პოლიტიკუ-

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 758 — 759.

[2] პარტიული და საბჭოთა აპარატი თითქმის მთლიანად გადასახადის საქმეებს უნდება. „არის მომენტები, როცა ნახევრად იკეტება საბჭოთა დაწესებულებანი და სკოლები მობილიზაციის გამო" გადასახადის ასაკრეფად. პარტიულ ორგანიზაციებს ცოტა დრო რჩებათ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისათვის სოფლად" (საქართველოს სახელმწიფო არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 49, ფურც. 1 — 5).

[3] სასურსათო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების შენახვა, აგრეთვე პროდუქტებისათვის ჭურჭლის დამზადება დიდ ხარჯებს ითხოვდა. (იქვე).

[4] 1921 წელს სასურსათო გადასახადმა სახელმწიფოს მისცა 80.000 ფუთი ხორბალი, ე. ი. 10 პროცენტზე უფრო ნაკლები, ვიდრე გადაწყვეტილი იყო (იქვე).

[5] „ყოველი გადასახადი მაშინ იკრიფება კარგად, როდესაც ის რამდენიმედ პოპულარულია, ამ მხრივ ფულით გადასახადი უფრო პოპულარულია, ვიდრე სასურსათო გადასახადი" (იქვე).

[6] „თუ ჩვენ ვცდილობთ აღვადგინოთ ფულის მეურნეობა" უნდა ვერიდოთ ფულის ავტორიტეტის დაცემას, ფულადი გადასახადი „დაუბრუნებს ფულს დაკარგულ თვისებებს — თუ სუყველას არა, ზოგიერთს მაინც". მაგ., ფული ისევ გახდება გადასახადის საშუალებად და უნივერსალურ საქონლად. ამის გამო ფულის კურსი არ აიწევს, ფასები დაეცემა (იქვე).

რად არაა სასარგებლო, იგი იწვევს უკმაყოფილებას ხალხში, აძლევს ჩვენს მტრებს საპროვოკაციო მასალას"[1]. 10) ფულის გადასახადის აპარატი ჩვენში უფრო მოწყობილია, ვინემ სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღების აპარატი და სხვ. მიუხედავად ამ ცოტად თუ ბევრად დასაბუთებულ, და ზოგიერთი სამართლიანი მოსაზრებისა, თათბირმა ხმის დიდი უმრავლესობით საჭიროდ სცნო სასურსათო გადასახადის უცვლელად დატოვება[2].

თბილისის პარტიულმა კონფერენციამ 1922 წლის 26 ივნისს განიხილა სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინების საკითხი და მიიღო შემდეგი დადგენილება: „სურსათზე დადებულ ნატურ გადასახადის არსებობის საჭიროება წარმოადგენს ემისიის რაც შეიძლება მეტი შემცირების მიზნით გამოწვეულ ლოგიკურ აუცილებლობას. საბჭოთა მოსამსახურეებს შრომის ჭირის დიდი ნაწილი რომ ნატურით არ მიეცეს არ იკმარებდა ფულის ნიშნები ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამას გარდა, სასურსათო გადასახადს ეძლევა მეტად დიდი მნიშვნელობა პურის ბაზრის მოწესრიგებაში. ამავე დროს ხელს უწყობს იგი გაიზარდოს სახელმწიფოს გავლენა პურის ბრუნვის სფეროში, რაც საზღვარს უდებს პურით სპეკულაციას"[3].

ამრიგად, სასურსათო გადასახადის ნატურგადახდევინება კვლავ დატოვეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინების მომხრეები გვერდს უვლიდნენ იმ ძირითად მოტივებს, რომლებმაც განაპირობეს სასურსათო გადასახადის შემოღება საბჭოთა რუსეთში და აყენებდნენ ნაკლებმნიშვნელოვან მოტივებს, როგორიცაა, ემისიის შეზღუდვა, პურის ბაზრის მოწესრიგება, ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის გაძლიერება და სხვ. სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღებას, რასაკვირველია, შეეძლო ემისიის ერთგვარი შეზღუდვა, მაგრამ მას მეორე მხრივ უფრო ღრმა და მავნე ეკონომიური შედეგები მოსდევდა, ისეთი შედეგები, როგორიცაა, მაგალითად, უკვე გა-

---

[1] ქუთაისის სამაზრო კომიტეტის 1921 წლის 9 სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში ვკითხულობთ: „პარტიული კომიტეტი ყოველგვარ ზომებს ღებულობს სასურსათო გადასახადის შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად, მაგრამ ითვალისწინებს რა წინასწარ იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ქუთაისის მაზრა, ვარაუდობს, რომ ინსტრუქციაში ჩამოთვლილი სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეუძლებელია მთლიანად შეგროვდეს და, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ თანაგვიგრძნობს, კონტრრევოლუციის ბანაკში შეიძლება აღმოჩნდესო".

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 49, ფურც. 1 — 5.

[3] „სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი", 1922, გვ. 13 — 14.

მოშვებული ფულის ნიშნების გაუფასურება, საშინაო ბაზრის დეზორგანიზაცია — თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა, სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიური კავშირის კიდევ უფრო დასუსტება.

სასურსათო გადასახადის ნატურით ამოღება ერთგვარად ზღუდავდა პურით სპეკულაციას და აძლიერებდა სახელმწიფოს მომწესრიგებელ როლს ბაზარზე. ყოველივე ეს მაშინ იქნებოდა ეფექტური, როდესაც სასურსათო გადასახადით მიღებული პროდუქტებით შესაძლებელი გახდებოდა მათზე არსებული მთელი მოთხოვნილების ძირითადად მაინც დაკმაყოფილება. სასურსათო გადასახადით მიღებული პური კი სრულებით ვერ აკმაყოფილებდა საქართველოში პურზე არსებულ მოთხოვნილებას. საქართველოს პურის ბალანსი, როგორც ცნობილია, მუდმივი დეფიციტით ხასიათდებოდა[1]. 1921 წელს საქართველოს სოფლის მოთხოვნილება პურზე, ნაანგარიშევი იყო 32,5 მილიონ ფუთამდე, ხოლო მოსალოდნელი მოსავალი 29,5 მილიონ ფუთს ძლივს შეადგენდა. ამიტომ პური ჩვენში შემოჰქონდათ რუსეთიდან და უცხოეთიდან[2]. მიუხედავად ამისა, დაგეგმილ იქნა სასურსათო გადასახადის სახით ერთი მილიონი ფუთი პურის ამოღება მოსახლეობიდან.

სასურსათო გადასახადის ნატურგადახდევინებას უფრო მეტი მომხრეები ჰყავდა სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებში. მაგრამ 1922 წლის საგადასახადო კანონის შემუშავების დროს მაინც მოხდა ერთგვარი დათმობა, რაც გამოწვეული იყო 1921 წლის სასურსათო-ნატურალური გადასახადის ნაკლებეფექტიანობით. მთავარი დათმობა ის იყო, რომ გლეხს ნება დაერთო ნატურგადასახადი ფულად ეკვივალენტზე გადაყვანით გადაეხადა. ამ დათმობას სასურსათო სახალხო კომისარიატი ხსნიდა ჩვენი ქვეყნის შეცვლილ ფინანსურ-ეკონომიური კონიუნქტურით, და აღნიშნულ დათმობას, სრულიად სამართლიანად, თვლიდა გლეხობის მდგომარეობის შემამსუბუქებელ გარემოებად. „ეს სიახლე, — ვკითხულობთ აღნიშნული კომისარიატის ორგანოში, — ამჟღავნებს ცხოვრების არსებითს მოთხოვნილებებს, აგრეთვე სოფლისა და ქალაქის ეკონომიური ურთიერთობის გამოცოცხლებას“ [3].

რკპ (ბ) XII ყრილობამ, გამოდიოდა რა სასაქონლო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საქონელბრუნვის კიდევ უფრო გამოცოცხლების აუცილებლობიდან, მიიღო გადაწყვეტილება ნატურალური გადა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოში, თბ., 1954, გვ. 142 — 162.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 2, საქ. 34, ფურც. 8; ფ. 1, საქ. 146, ფურც 31.

[3] „სახალხო სასურსათო კომისარიატის ბიულეტენი“, 1922, № 16.

სახადის ნაწილობრივ ფულადი გადასახადით შეცვლის შესახებ [1]. ამ ღონისძიებამ კიდევ უფრო გააუმჯობესა გლეხობის მდგომარეობა, კიდევ უფრო დააკავშირა იგი ბაზართან. ასეთი ღონისძიების გატარება საქართველოში, არამცთუ სასურველი, არამედ გადაუდებელიც კი იყო, სოფელსა და ქალაქს შორის არსებული შედარებით „ცოცხალი ურთიერთობა" მოითხოვდა ნატურგადასახადის შეცვლას ფულადი გადასახადით, ამიტომ მან დადებითი როლი შეასრულა სოფელსა და ქალაქს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ეკონომიური კავშირის შემდგომ განმტკიცებაში [2].

პარტიის XII ყრილობამ მიიღო ვრცელი დადგენილება „საგადასახადო პოლიტიკის შესახებ სოფლად". ამ დადგენილებაში აღნიშნულია: „საბჭოთა ხელისუფლების ძალა მუშათა და გლეხთა კავშირშია... ამ კავშირის დაცვა და განმტკიცება ახლანდელ ისტორიულ პერიოდში კომუნისტური პარტიის ძირითადი ამოცანაა... მუშათა და გლეხთა საბრძოლო კავშირი შეიქმნა კაპიტალისტური წესწყობილების დამხობისა და მიწის მოპოვების მიზნით. შემდეგ როდესაც საჭირო გახდა მუშათა და გლეხთა მონაპოვართა დაცვა აშკარა სამოქალაქო ომში, ეს კავშირი განმტკიცდა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობას მოუხდა მძიმე მსხვერპლის გაღება პროლეტარიატისა და არმიის გამოსაკვებად... სამოქალაქო ომის ეპოქაში მთელი ეს სიმძიმე დააწვა გლეხობას სასურსათო გაწერის სახით. როგორც კი ეს პერიოდი დამთავრდა, კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლა. ამ გადასვლამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა გლეხობის მდგომარეობა და სავსებით გაამართლა თავი როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. მაგრამ იგი წარმოადგენდა მხოლოდ პირველ ნაბიჯს... სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლა ნიშნავდა გლეხის იმ უფლების აღიარებას, რომ თავისუფლად გამოეყენებინათ თავისი შრომის პროდუქტები, მაგრამ ეს უფლება შეზღუდული იყო იმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოსათვის აუცილებელი იყო მიეღო თავის განკარგულებაში პურის გარკვეული მარაგი, როგორც ძირითადი ნატურალური ფონდი არმიის უზრუნველსაყოფად და მეურნეობისა და ტრანსპორტის აღსადგენად...

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 910.

[2] ზემოთ ჩამოყალიბებული დებულება, სასურსათო გადასახადის ნატურით გადახდევინების მიზანშეუწონლობის შესახებ, პირველად წამოვაყენეთ 1958 წელს ნაშრომში „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში" (გვ. 141 — 149). ეს დებულება ზოგიერთმა მკვლევარმა არ გაიზიარა და კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდნენ პრესაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ფ. ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი ს სტატია ჟურნალ „სკკპ ისტორიის საკითხები" (1964, № 5, რუს.) და მ ი ს ი ვ ე მონოგრაფია, აგრეთვე რუსულ ენაზე „დიადი გადატრიალება" (თბ., 1972, გვ. 68 — 80).

საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრების უკვე დაწყებული საერთო გაჯანსაღების გამო, რაც გამოიხატება საქონელმიმოქცევის გამოცოცხლებითაც და გადიდებითაც. პარტიას ახლა შეუძლია და მან კიდევაც უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯი გლეხობის მიერ მისი შრომის პროდუქტების თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობის გასაფართოებლად. საბჭოთა ხელისუფლებას, ბაზრის მოცულობის გაფართოების შესაბამისად, შეუძლია და მან კიდევაც უნდა გაათავისუფლოს გლეხი სახელმწიფოსათვის თავის გადასახდელთა ნატურალური სახით შეტანის მოვალეობისაგან და მისცეს მას შესაძლებლობა შეიტანოს ამ გადასახდელთა ნაწილი ფულადი ფორმით... ნატურალური დაბეგვრის ნაწილის ფულადი დაბეგვრით შეცვლა ამსუბუქებს გლეხობის მდგომარეობას და ხელსაყრელია გლეხური მეურნეობისათვის არა მარტო გადასახადის შეტანის ხარჯთა შემცირებით, არამედ იმითაც, რომ გლეხს შესაძლებლობას ანიჭებს თავისუფლად შეეგუოს ბაზარს, აირჩიოს ყველაზე უფრო ხელსაყრელი კულტურები, წარმართოს თავისი ძალ-ღონე სარეწაო საქმიანობისაკენ და ა. შ. ამასთან ერთად, ეს ზომა გააუმჯობესებს ქვეყნის საერთო სამეურნეო მდგომარეობასაც, ვინაიდან გამოიწვევს საქონელმიმოქცევის შემდგომ გაფართოებას, გახდება ფინანსური ნგრევის ლიკვიდაციის გზა და უზრუნველყოფს ფულის მიმოქცევის სიმყარეს... ამრიგად, უშუალოდ ამსუბუქებს რა გლეხობის მდგომარეობას, ეს ზომა განამტკიცებს ქვეყნის მთელ მეურნეობას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება გლეხობას უფრო სწრაფად დააღწიოს თავი ნგრევასა და სიღატაკეს, აღადგინოს თავისი ინვენტარი და აამაღლოს თავისი მეურნეობის ტექნიკური დონე... ნატურალური დაბეგვრიდან ფულად დაბეგვრაზე გადასვლის გარდა, კომუნისტურმა პარტიამ, გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, უნდა გააერთიანოს გლეხობის ყველა სახელმწიფოებრივი პირდაპირი გადასახადი (სასურსათო, კომლობრივ-ფულადი და შრომა-ჭაპანზიდვის), აგრეთვე ყველა ადგილობრივი პირდაპირი გადასახადი ერთიან პირდაპირ სასოფლო-სამეურნეო გადასახადად. ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა გადაჭრით უნდა მოუღოს ბოლო დაბეგვრის სიმრავლეს, რომელიც გლეხობის სამართლიან ჩივილს იწვევს და ხელს უშლის მას მტკიცედ გამოიანგარიშოს თავისი ხარჯები და შემოსავალი და ამის შესაბამისად გაუძღვეს თავის მეურნეობას"[1]. ამავე მიმართულებით მოქმედებდნენ სოფლად ახალი ეკონომიური პოლიტიკის ისეთი ღონისძიებანიც, როგორიც იყო მიწის იჯარით გაცემის, გლეხურ მეურნეობაში კერძო მესაკუთრეთა მიერ დაქირავებული მუშახელის გამოყენებისა და სხვ. დაშვება.

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 909 — 911.

ამრიგად, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისაკენ მიმართული პოლიტიკა, სოფლის კაპიტალისტური სექტორის შეზღუდვისა და სოციალისტური სექტორის განვითარების პოლიტიკა იყო. იგი მთლიანად მიმართული იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ. ამიტომ იყო, რომ პარტიამ 1923 წელს უკუაგდო ტროცკისტების წინადადება გლეხობის გაძლიერებული დაბეგვრის შესახებ.

1923 წელს შემოღებულმა ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა ხელი შეუწყო გლეხური მეურნეობის აღმავლობას, სოფლის მეურნეობის აღდგენას, მშრომელი გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარმატებით აკრეფის საფუძველზე, მიიღო დადგენილება 1924 წლის 1 იანვრიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურით აკრეფის შეწყვეტაზე. ფულის რეფორმამ და კოოპერაციული და სხვა დამამზადებელ ორგანიზაციათა მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი რაოდენობით შესყიდვამ შესაძლებელი გახადა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფულადი გადახდევინება 1924 წლიდან.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის აღორძინებასა და განვითარებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდე სამრეწველო პროდუქციის სახელმწიფო დაწესებულებებზე უფასოდ გაცემის პრაქტიკამ საქართველოს ისედაც სუსტი მრეწველობა კიდევ უფრო დააზარალა.

1922 წლის პირველი კვარტალიდან დაიწყო მსხვილ საწარმოო-დაწესებულებათა ტრესტებში გაერთიანება და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი მრეწველობის გამოცოცხლებას, კერძოდ, მანეთით კონტროლის უზრუნველყოფას, საწარმოთა ინიციატივის განვითარებას, მათი ეკონომიკის გაჯანსაღებას, შიდასაწარმოო დაგროვების ზრდას, შრომისნაყოფიერების, და მასთან ერთად, საერთო პროდუქციის ზრდას, შრომის რეალური ხელფასის გადიდებას და სხვ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის კეთილმყოფელმა გავლენამ პირველსავე წელს იჩინა თავი. 1922 წელს მარტო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განმგებლობაში მყოფმა საწარმოებმა მოგვცეს 1921 წლის მთელი სამრეწველო პროდუქციის 137 პროცენტი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგად გაიზარდა შრომის ხელფასი და გაუმჯობესდა მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო-მატერიალური პირობები. მუშის სა-

შუალო ხელფასმა ომამდელი დონის 68 პროცენტს მიაღწია და დიდად გადააჭარბა ხელფასის 1921 წლის დონეს.

მრეწველობის დარგში მოპოვებული წარმატებები განაპირობა იმანაც, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მხოლოდ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაცია, დანარჩენები კი დაუტოვა კერძო მეპატრონეებს. არარენტაბელური, მსხვილი ნაციონალიზებული საწარმოები იჯარით გადასცა კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, ხოლო დანარჩენ არარენტაბელურ საწარმოთა კონსერვაცია მოახდინა. ნაციონალიზაცია არ შეხებია აგრეთვე წვრილ სავაჭრო დაწესებულებებს, ისინი განაგრძობდნენ თავისუფალ საქმიანობას.

1923 წლიდან ხდება სახელმწიფოს ხელში მყოფ წვრილ საწარმოთა კონცენტრაცია. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში მყოფი 69 საწარმოდან შეიქმნა უფრო მსხვილი 33 საწარმო. სამრეწველო საწარმოთა კონცენტრაციამ ხელი შეუწყო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, შრომისნაყოფიერებისა და მუშათა რეალური ხელფასის ზრდას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკით დაშვებული იყო უცხოეთის კაპიტალის გამოყენება კონცესიების გაცემის გზით, მაგრამ ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ვერ პოვა მან ფართო გაქანება. მხოლოდ სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს, 1925 წელს საკონცესიოდ გაიცა ჭიათურის მანგანუმის საბადოები ამერიკელ ჰარიმანზე.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობა მტკიცედ იცავდა მუშათა კლასის უფლებრივსა და ეკონომიურ მდგომარეობას. იგი ზღუდავდა ახალი ეკონომიური პოლიტიკით მრეწველობაში დაშვებული კაპიტალისტური ელემენტების ექსპლოატატორულ მისწრაფებას.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას სასურველი შედეგების მოტანა შეეძლო სახალხო მეურნეობაში გეგმიანი საწყისების განვითარების შემთხვევაში. გეგმიანობას სრულებით არ გამორიცხავდა კერძოკაპიტალისტური ელემენტების დაშვება სახალხო მეურნეობის სფეროში. საერთოდ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა გეგმიანობის უარყოფას კი არ ნიშნავდა, არამედ სახალხო მეურნეობის გეგმების განხორციელებისადმი ახლებურ მიდგომას. მაგრამ, როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში გეგმიანი საწყისი შეზღუდული იყო. ასე მაგალითად, პირდაპირი სადირექტივო დაგეგმვა შეეხებოდა მხოლოდ სოციალისტურ სექტორს. ამასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებდა არაპირდაპირ გეგმაზომიერ ზემოქმედებას კერძომეურნეობრივ სექტორზედაც. იგი ხორციელდებოდა, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებებით, სამრეწველო საქონელზე ფასების ერთიანი სისტემით, სასოფლო-სამეურ-

ნეო პროდუქტების დასამზადებელი ფასების სისტემით, დაკრედიტებით, მიწათმოწყობით და სხვ.[1].

ამრიგად, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობისა და სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების შემდეგ, კომუნისტური პარტია, ეყრდნობოდა რა საზოგადოების განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნას, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას წარმართავდა გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონის შესაბამისად[2].

მეურნეობის გეგმიურობას, როგორც ცნობილია, უაღრესად დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. „ჩვენთან საბჭოთა სახელმწიფოში, — წერდა ფ. ძერჟინსკი, — მუშებისა და გლეხების კავშირი წარმოუდგენელია გეგმიანი მეურნეობის გარეშე — ეს კავშირი არის სწორედ ჩვენი გეგმის შინაარსი“ [3].

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააგროვეს რა ძალები, გამოაცოცხლეს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, განამტკიცეს რა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, მობრუნება მოახდინეს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკისაკენ, მათი შევიწროებისა და სახალხო მეურნეობის სფეროდან თანდათანობით გამოდევნის პოლიტიკისაკენ. სხვაგვარად შეუძლებელი იყო ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ხუთი წყობიდან ერთ, სოციალისტურ წყობაზე გადასვლა. ამიტომ ვ. ი. ლენინმა რკპ (ბ) XI ყრილობაზე, 1922 წლის მარტში განაცხადა: „ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვიხევდით უკან. ახლა უნდა განვაცხადოთ პარტიის სახელით:— კმარა! ის მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდა უკან დახევას, მიღწეულია. ეს პერიოდი თავდება, თუ უკვე გათავდა. ახლა სხვა მიზანი ისახება — ძალთა გადაჯგუფება“ [4] კერძომეურნეობრივ კაპიტალზე შეტევის მოსამზადებლად.

მაგრამ ამის გაგება საქართველოში არ სურდათ ნაციონალ-უკლო-

---

[1] «Очерки развития народного хозяйства Украинской ССР», М., 1954, стр. 205.

[2] 1921 — 22 წელს მოუსავლიანობასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგეგმო კომისიამ პირველად შეადგინა სასურსათო გეგმა. მორიგ 1922-23 წელს შედგა მოუსავლობით დაზარალებული რაიონების მეურნეობის აღდგენის გეგმა და მრეწველობის ცალკეულ დარგთა მოქმედების გეგმები. მთელი მრეწველობის განვითარების წლიური გეგმა პირველად შეადგინეს 1924 წელს. ერთი წლის შემდეგ შეიქმნა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმები, რომლებიც შემდეგ ხუთწლიანმა გეგმებმა შეცვალეს (სოციალისტური მშენებლობის არქივი, (თბილისი), ფ. 303, საქ. 1208).

[3] Ф. Э. Дзержинский, Промышленность СССР, ее достижения и задачи, М.-Л., 1925, стр. 81, 181.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 326.

ნისტებს. მათ დათმობათა ტაქტიკა, რასაც ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საქართველოს კომუნისტებისაგან 1921 წელს და, რომელიც გათვალისწინებული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლებისათვის, აქციეს პოლიტიკურ დათმობათა სისტემად, ფეტიშად[1]. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასძლია როგორც მემარცხენული, ისე ნაციონალ-უკლონისტური წინააღმდეგობა და, მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, მტკიცედ გაატარა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ლენინური კური საქართველოში.

§ 4. სოფლის მეურნეობა

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულაკებისა და მემამულე-თავადაზნაურთა ეკონომიური ძლიერებისათვის ძირის გამოთხრას, მიწის საკითხის რევოლუციურად გადაწყვეტას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 3 აპრილის პლენუმმა განიხილა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის ფ. მახარაძის მიერ წარმოდგენილი დეკრეტის პროექტი მიწის შესახებ[2]. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, დაამტკიცა რა დეკრეტის პროექტი, რევოლუციურ კომიტეტს დაავალა უზრუნველეყო უღარიბესი გლეხებისათვის მიწების დაუყოვნებლივ გადაცემა. დეკრეტი, საბოლოო რედაქტირების შემდეგ, გამოქვეყნდა 1921 წლის 6 აპრილს[3].

საბჭოთა დეკრეტმა მთელი მიწები მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოაცხადა, აკრძალა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა, ამოიღო მიწა ყიდვა-გაყიდვის სფეროდან, მოახდინა მემამულეთა, ეკლესიების, მონასტრებისა და სხვა მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია. ეს მიწები ირიცხებოდა სახელმწიფო ფონდში და გადადიოდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. შემდეგ იქმნებოდა ადგილობრივი „მიწის კომიტეტები", რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით აწარმოებდნენ მიწების განაწილებას გლეხთა შორის. მიწათმფლობელთა ადგილ-მამულის კონფისკაციასთან ერთად ხდებოდა

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 102, ფურც. 31, 32.

[2] იქვე, ფ. 14, საქ. 2, ფურც. 13.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 223, ფურც. 42 — 43.

მათი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და დამხმარე სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა კონფისკაცია.

დეკრეტი მიწის შესახებ ძალადაკარგულად აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბურჟუაზიული მთავრობის მიერ მიწის თაობაზე გამოცემულ ყველა კანონს, სახელდობრ, 1917 წლის 16 დეკემბრის, 1918 წლის 7 მარტის, 1919 წლის 28 იანვრის და 1920 წლის 10 თებერვლის კანონებს[1]. ყოველივე ამან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე. მათი დიდი ხნის ოცნება ფრთებს ისხამდა.

საქართველოს კომუნისტებმა, გაითვალისწინეს რა მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანია, თავი შეიკავეს აგრარული საკითხის რევოლუციური გზით გადაჭრისაგან და ამჯობინეს მოქმედება ევოლუციური მეთოდით: „აგრარული რევოლუცია, — წერდა მამია ორახელაშვილი, — ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა სხვა ხაზით; ამასთან იმის გამო, რომ თესვის დრო იყო, ჩვენ უარი ვთქვით „თავის ნებით მიწის ხელში ჩაგდების“ ლოზუნგზე და დავადექით ევოლუციის გზას“[2]. ნაციონალ-უკლონისტებმა, როგორც ცნობილია, 1922 წლის შემდეგაც არ აიღეს ხელი ევოლუციურ მეთოდზე, რაც დიდად აჭიანურებდა გლეხობისათვის ესოდენ საარსებო საკითხის მოგვარებას საქართველოში. ეს იწვევდა გლეხობაში სამართლიან უკმაყოფილებას.

საქართველოში გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე შეუდგა მემამულე-თავადაზნაურთა მიწების რევოლუციური გზით ურთიერთშორის დანაწილებას, მაგრამ აქ წინ აღუდგნენ გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო პოლიტიკის განყოფილება, უხეშად ერეოდა რა ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლების მიერ აგრარული საკითხის გადაჭრის საქმეში, ხელს უშლიდა მას გლეხობის სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აუქმებდა ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლების გადაწყვეტილებებს მემამულეთა მიწების ჩამორთმევისა და გლეხობისათვის გადაცემის შესახებ. ყოველივე ეს სოფლად ქმნიდა დაძაბულ მდგომარეობას მემამულე-თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. მდგომარეობა მეტისმეტად გამწვავდა გორის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში[3]. ამის გამო, ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი მთავრობის სახელზე გორიდან გამოგზავნილ განცხადებაში წერდა, თუ მიწათმოქმედების სახალ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 223, ფურც. 42 — 43.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1922 წლის 27 იანვარი.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 115, ფურც. 94.

ხო კომისარიატის მოქმედება კანონიერია, მაშინ 1921 წლის თებერვლის „გადატრიალება პოლიტიკური ხუმრობა ყოფილა“, და უარს აცხადებდა იგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე[1].

1921 წლის ნოემბერში სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა I ყრილობამ აგრარული რეფორმის გაჭიანურების გამო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მიწის შესახებ საბჭოთა დეკრეტის დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის[2]. საქართველოს საბჭოთა სამაზრო ყრილობებზე გლეხები დიდი ინტერესით იხილავდნენ მიწის რეფორმის საკითხს და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის გამო[3]. ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობამ აღნიშნა, რომ აგრარული რეფორმის გაჭიანურება სახელს უტეხდა პარტიასა და ხელისუფლებას გლეხობის თვალში. იქ აგრეთვე აღინიშნა შემთხვევები, როდესაც აგრარული რეფორმით უკმაყოფილო გლეხ-კომუნისტებს დაუტოვებიათ პარტიის რიგები[4]. ამრიგად, ნაციონალ-უკლონისტების აგრარული პოლიტიკა იწვევდა მშრომელი გლეხობის უკმაყოფილებას და გლეხობაში თესდა უნდობლობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

გლეხთა უკმაყოფილების ზრდამ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აიძულა 1921 წლის ნოემბერში გაეუქმებინა 1921 წლის 19 აპრილის ცირკულარი, რომელიც ადგილობრივ რევოლუციურ ხელისუფლებას უკრძალავდა „ფაქტიური მფლობელობის“ დარღვევას[5]. მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. სოფლად არსებული მდგომარეობა უცვლელად რჩებოდა 1922 წელსაც.

მიწის შესახებ საბჭოთა დეკრეტის პრაქტიკული განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოწყობის დებულებას. იგი მხოლოდ 1923 წლის მაისში იქნა შემუშავებული და გამოცემული[6]. ამ დებულებას უნდა დაეჩქარებინა აღნიშნული დეკრეტის პრაქტიკული განხორციელება. მას მიწით უნდა უზრუნველეყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები, სახელმწიფო და კერძო სამეურნეო ორგანიზაციები, გლეხთა ურთიერთდამხმარე და კოოპერაციული საზოგადოებანი (არტე-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 6, ფურც. 148—149.

[2] სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევკომების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების პირველი ყრილობა“ (სტენოგრ. ანგ.), თბ., 1922, გვ. 296 — 297.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 311, ფ. 25.

[4] «Второй съезд коммунистических организаций Закавказья», стр. 296.

[5] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 189, ფურც. 670.

[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 60, ფურც. 1 — 3.

ლი, ამხანაგობა, კომუნა), აღნიშნული დებულების საფუძველზე უნდა მომხდარიყო აგრეთვე მჭიდროდ დასახლებული სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა, მიწების ხარვეზიანობის მოსპობა და მათი რაციონალური განაწილება.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული მიწათმოწყობის დებულება განსაზღვრავდა აგრეთვე მიწის ნორმასა და მიწით სარგებლობის წესს. მიწის ნორმების განსაზღვრის საფუძვლად მიღებული იყო ცალკე მეურნეობა (კომლი) და მიწის ხარისხი, ავკარგიანობა. მიწით სარგებლობის ფორმა, დებულების მიხედვით, იქნებოდა იგი საკომლო, საარტელო-საამხანაგო, საკომუნო თუ სათემო — ნებაყოფლობითი იყო. მიწათმოწყობის დებულება გამონაკლის შემთხვევებში უშვებდა მიწის იჯარას და კერძო პირთა მიერ დაქირავებული შრომის გამოყენებას, ხოლო დეკრეტი მიწის შესახებ კრძალავდა როგორც ერთს, ისე მეორეს[1].

მიწათმოწყობის დებულების მეექვსე მუხლის დამატება განსაზღვრავდა მიწის ნორმას. მიწის ნორმის განსაზღვრისათვის საქართველოს მთელი ტერიტორია იყოფოდა ხუთ რაიონად, და მათთვის, მიწის ხარისხის გათვალისწინებით, წესდებოდა მიწის დიფერენცირებული ნორმები. ნორმად დასატოვებელი და გლეხთა შორის განაწილებული მიწის მთელი ფონდი დაყოფილ იქნა ოთხ კატეგორიად, მიწის ავკარგიანობისა და საკარგულთა სახეების მიხედვით, მიწის ნორმა დადგენილი იყო საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახად თვლიდნენ თითოეულ ცალკე კომლს, რომელიც წარმოადგენდა 3 — 5 სულისაგან შემდგარ განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს; როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტი იყო, ნორმას უმატებდნენ თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთ მეათედს და, როცა სამ სულზე ნაკლები იყო, ნორმას აკლებდნენ იმდენივეს თითო ნაკლებ სულზე.

1922 წლის ოქტომბრიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ ხელი მოჰკიდა აგრარული საკითხის რევოლუციური გზით გადაჭრას. 1922 წლის 25 — 26 ნოემბერს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა საქართველოს სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მოითხოვეს მიწის რეფორმის დაუყოვნებლივი გატარება, მაზრებისათვის რეფორმის გატარების საქმეში მეტი უფლებების მინიჭება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მთელი აპარატის გადახალი-

---

[1] დეკრეტი მიწის შესახებ (1921 წ. აპრილი) წინ უსწრებდა სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობას (1921 წ. დეკემბერი), რომელმაც მიიღო დადგენილება იჯარისა და კერძო პირთა მიერ დაქირავებული შრომის გამოყენების დაშვების შესახებ.

სება და სხვ.[1]. თათბირის შედეგები მეორე დღეს, 27 ნოემბერს, განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა პარტიისა და ხელისუფლების დაკვრითი ხასიათის ამოცანად გამოაცხადა აგრარული რეფორმის გატარება. რეფორმის დამთავრების ვადად დანიშნულ იქნა 1923 წლის გაზაფხული. პლენუმმა საჭიროდ ცნო: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატის გადახალისება, რეფორმის შემფერხებელ დადგენილებათა და ინსტრუქციათა გაუქმება, სოფლად ფეოდალიზმის ნაშთების დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია, მიწის რეფორმის რევოლუციური გზით განხორციელება, ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მეტი უფლებების მინიჭება რეფორმის საქმეში და სხვ.[2].

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიამ 1923 წლის იანვარში მოისმინა სახალხო კომისრის ვ. სტურუას მოხსენება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. იგი, აკრიტიკებდა რა ნაციონალ-უკლონისტების აგრარულ პოლიტიკას და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყოფილი ხელმძღვანელების საქმიანობას, აღნიშნავდა, რომ მშრომელი გლეხობა დღემდე ვერ დაკმაყოფილებულა მიწით.

გ. ორჯონიკიძემ, 1923 წლის 25 იანვარს გააკრიტიკა რა ნაციონალ-უკლონისტების საადგილმამულო პოლიტიკა, დასახა კონკრეტული ამოცანები აგრარული რეფორმის დაკვრითი წესით გასატარებლად[3].

ამის შემდეგ საქართველოს სოფლებს მოედო ნამდვილი აგრარული რევოლუცია. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულე-თავადაზნაურებს ფეოდალური მამულებიდან. მათი მიწები, სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა და სხვა ნაწილდებოდა გლეხობაში. მემამულეთა სახლები და სხვა შენობები ცხადდებოდა საზოგადოებრივ საკუთრებად, რომელთაც იყენებდნენ საავადმყოფოებად, სკოლებად, ბიბლიოთეკებად და ადმინისტრაციულ სახლებად. მთელ საქართველოში 1923 წლის გაზაფხულისათვის გლეხობამ მიიღო მემამულე-თავადაზნაურთაგან ჩამორთმეული სულ 142 000 დესეტინამდე მიწა[4]. ამით კმაყოფილი გლეხობა სიხარულით ამბობდა: „მხოლოდ ახლა მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება"[5].

მიუხედავად ამისა, აგრარულ რეფორმას მაინც დაჰყვა ერთგვარი ნაკლი, რაც პირობადებული იყო მიწის ნორმების დადგენისა და გლეხობაში

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 7, ფურც. 80 — 83.

[2] იქვე, საქ. 2, ფურც. 329.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 25 იანვარი.

[4] «Краткий обзор важнейших достижений Советской власти ССР Грузии (25 февраля 1921 — 25 февраля 1926 г.), Тиф., 1926, стр. 12.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 678, ფურც. 14, შდრ. „სრულიად საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობა", გვ. 37.

მიწის განაწილების შესახებ შემუშავებული წესით. მიწის ნორმების დადგენისას, ითვალისწინებდნენ რა კომლის სულადობასა და მიწის ავკარგიანობას, გამოდიოდნენ გლეხური კომლის საარსებო მინიმუმის პრინციპიდან. 1922 წლის 26 მაისის დებულებებით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში უმიწაწყლო გლეხობის მიწით დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა [1]. აღმოსავლეთ საქართველოსათვის მიწის ნორმა დადგენილი იყო საშუალოდ 4 დესეტინა. დასავლეთ საქართველოსათვის — 2,5 დესეტინა[2]. 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობით, საქართველოში იყო 388 480 კომლი. მიწის აღნიშნული ნორმის ფარგლებში მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო 1 219 450 დესეტინა მიწა. სინამდვილეში, 1923 წლის იმავე აღწერის ცნობებით, საქართველოში სოფლის მეურნეობისათვის ვარგისად იყო ცნობილი (ტყისა და საძოვრების გარეშე) 875 606 დესეტინა, ე. ი. დადგენილი ნორმით გლეხური მოსახლეობის დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო კიდევ 344 444 დესეტინა მიწა [3]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნორმაში არ შეჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთი 300-დან 1 299 კვ საჟენამდე, მაშინ ეს უკანასკნელიც არ იყო საკმარისი ნორმის ფარგლებში გლეხების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში გლეხურ მეურნეობათა მიწით უზრუნველყოფის საკითხს კიდევ უფრო ამწვავებდა გლეხურ მეურნეობათა სწრაფი ზრდა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. 1921 წლიდან 1925 წლის ჩათვლით გლეხური მეურნეობანი გაიზარდა 326 360-დან 413 948-მდე, ე. ი. 87 588 ერთეულით [4], რაც არ შეიძლება აიხსნას მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით, თუმცა მოსახლეობის ზრდასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი დიდ გავლენას ვერ მოახდენდა მოსახლეობის კომლობრივ ზრდაზე, რადგან საქართველოს სოფლის მოსახლეობა 1917 წლიდან 1926 წლამდე მხოლოდ 80 ათასი კაცით გაიზარდა [5].

1921 — 1925 წლებში გლეხურ მეურნეობათა ზრდა უმთავრესად აიხსნება მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებით, რაც გამოწვეული იყო ორი გარემოებით: ჯ ე რ ე რ თ ი, მიწის შესახებ საბჭოთა დეკრეტის განხორციელება იწვევდა მსხვილ მემამულურ მეურნეობათა დაშლას, კონფისკებული მიწის ფონდი გადადიოდა გლეხობის ხელში,

[1] ეურნ. „მოამბე", 1924, № 5, გვ. 6 — 9.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 110, ფურც. 2—52.

[3] ზოგიერთი წყარო უფრო დიდ (590 ათას დესეტინაზე მეტ) დანაკლისზე მიუთითებს (სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 215, ფურც. 1).

[4] ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1921 — 1925 წწ. (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1956, გვ. 187—188.).

[5] გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1873 — 1926 წლებში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 7, 1942, გვ. 736).

უსახლკარო, ბოგანო, მოჯამაგირე გლეხები ქმნიდნენ საკუთარ მეურნეობებს [1].

მ ე ო რ ე, მიწათმოწყობის შესახებ 1922 წლის 26 მაისის დებულება ქმნიდა პირობებს მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებისათვის; მიწის დამატებითი ნორმის მიღების მიზნით ხდებოდა მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაყოფა. ასევე იქცეოდნენ კულაკები და მემამულე-თავადაზნაურებიც მათ სარგებლობაში მყოფი მიწების შენარჩუნებისათვის. ყოველივე ამის გამო სწრაფად იზრდებოდა გლეხურ მეურნეობათა რიცხვი საქართველოში. მაგრამ ხელისუფლებამ 1924 წლის მაისის მიწის კოდექსით ნაწილობრივ შეზღუდა გლეხურ მეურნეობათა შემდგომი დაქუცმაცების პროცესი [2].

გლეხურ მეურნეობათა დაწვრილერთეულება ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის აღდგენას, რადგან იგი, ჯ ე რ ე რ თ ი, სპობდა გაუმჯობესებული მანქანების გამოყენების შესაძლებლობას სოფლის მეურნეობაში; მ ე ო რ ე, აძლიერებდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნაკლებობის სიმწვავეს; მ ე ს ა მ ე, ხელს უშლიდა აგროკულტურულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებას; მ ე ო თ ხ ე, დაბლა სცემდა სოფლის მეურნეობის საქონლიანობას, და მ ე ხ უ თ ე, ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის გაფართოებული რეპროდუქციის გზით განვითარებას [3].

ამრიგად, ხელისუფლება, ვერ ითვალისწინებდა რა სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწის მთელ ფონდს, ნორმების დადგენისას უმთავრესად გამოდიოდა კომლის საარსებო მინიმუმის გათვალისწინებიდან. ამიტომ მიწის ნორმების მიღებულმა განსაზღვრამ, მიწის ფონდის საერთო სიმცირის გამო ღარიბი და უღარიბესი, უმიწაწყლო გლეხობა შეძლებულ გლეხობასთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში ჩააყენა. შეძლებულმა გლეხებმა და მემამულე-თავადაზნაურებმა უკლებლივ შეინარჩუნეს ნორმით დადგენილი ადგილ-მამული, მაგრამ ღარიბმა გლეხობამ, მთელ რიგ შემთხვევებში, ვერ მიიღო ნორმით გათვალისწინებული მიწა. გარდა ამისა, მემამულე-თავადაზნაურობა და კულაკობა ნორმის სახით იტოვებდა ყველაზე უკეთეს მიწებს, მრავალწლიან ნარგავებს და სხვ., ხოლო სახელმწიფოს ხელში გადადიოდა მდარე ხარისხის, დაქუცმაცებული, მთელ რიგ შემთხვევებში, სოფლიდან ძალზე დაშორებული ნაკვეთები.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1475, საქ. 13, ფურცლ. 61 — 64.

[2] „საქართველოს სსრ მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“, თბ., 1925, გვ. 78.

[3] სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1956, გვ. 188.

რეფორმის შემდეგაც კი ზოგიერთ მაზრაში უკეთეს პირობებში აღმოჩნდა მემამულე-თავადაზნაურობა და სოფლის კულაკობა, ვიდრე ღარიბი და უღარიბესი გლეხობა. ამრიგად, საარსებო მინიმუმის მიხედვით ნორმების დადგენამ, სახელმწიფო მიწის ფონდის სიმცირის გამო, ძნელი გახადა აგრარული რეფორმის დროს კლასობრივი პრინციპის მტკიცედ გატარება.

ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ინტერესები ყველაზე უკეთ მაშინ იქნებოდა დაცული, თუ მოხდებოდა სოფლის მთელი მიწების ხელახლა გადანაწილება („შავი გადამიჯვნა") [1] გლეხებს შორის. მაგრამ ამ წესით მიწების დანაწილება, მიწათმფლობელობის კომლობრივი ფორმის პირობებში გამოიწვევდა საშუალო გლეხის ინტერესების შელახვას, სოფლის მთელი მიწების ერთიან გადანაწილებას საბჭოთა რუსეთშიც იშვიათად ჰქონდა ადგილი [2].

საარსებო მინიმუმის საფუძველზე დადგენილ მიწის ნორმის ფარგლებში გლეხობის დაკმაყოფილებისათვის საჭირო იყო მიწის ფონდის გადასინჯვა, უპირველეს ყოვლისა, ვარგისი მიწის ახალი მასივის ათვისება (მორწყვის, ჭაობების ამოშრობის და სხვ. გზით). ამ მიზანს ემსახურებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გაჩაღებული სამელიორაციო და საირიგაციო სამუშაოები საქართველოში. ამავე მიზნით რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1923 წლის აგვისტოში მიიღო სპეციალური დადგენილება მიწის ფონდის გადასინჯვის შესახებ. კერძოდ, საქმე ეხებოდა სახელმწიფო მამულებს, მათი ღარიბი და უღარიბესი გლეხებისათვის დანაწილების შესაძლებლობის საკითხს, აგრეთვე მცირემიწიანი რაიონებიდან გლეხების გადასახლებას ახალ, ნაკლებად დასახლებულ ადგილებზე [3]. სახელმწიფო მამულების გლეხობისათვის დანაწილება ინდივიდუალური სარგებლობისათვის მიუთითებს მიწის იმ მწვავე სიმცირეზე, რაც საგრძნობი გახდა მიწის რეფორმის მსვლელობაში. როგორც ვიცით, დეკრეტმა მიწის შესახებ კატეგორიულად აკრძალა კულტურულ მეურნეობათა დაქუცმაცება, ისინი გამოაცხადა სახელმწიფო მამულებად. ორი წლის შემდეგ კი უმაღლესი პარტიული ორგანო იძულებული გახდა მიეღო დადგენილება სახელმწიფო მამულების გლეხებისათვის დანაწილების შესახებ. გეგმიური დასახლება, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებდა, ხელს უწყობდა მიწის შეფარდებითი სიმცირის ლიკვიდაციას, მაგრამ იგი მიწის აბსოლუტურ სიმცირეს, რასაკ-

---

[1] «Черный передел».

[2] Е. Кочетковская, Национализация земли в СССР, М., 1952, стр. 123—124.

[3] Газ. «Заря Востока», 8 августа 1923 г.

ვირველია, ვერ მოსპობდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს საქართველოში საახალშენო ფონდში შედიოდა 31 357 დესეტინა, აქედან მოეწყო 5 სოფელი 3 400 დესეტინა მიწაზე. მოახალშენეთ გაეწია ფულადი დახმარებაც [1]. ასეთი მუშაობა შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ მიწის საკითხი, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, გადაჭრა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მშრომელი გლეხობის ძირითადი ინტერესები. მაგრამ მიწის რეფორმა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დამთავრებული, ზოგან იგი ნელი ტემპით ხორციელდებოდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მოუქნელი მუშაობის შედეგად. ასე მაგალითად, 1923 წლის 13 ივნისის ცნობით, ნელა ტარდებოდა მიწის რეფორმა აჭარაში, კერძოდ, ქედის რაიონში იგი სულ არ იყო ჩატარებული [2]. კიდევ მეტი, 1925 წელსაც კი ჩიოდნენ შორაპნის მაზრიდან გლეხები რეფორმის დაუმთავრებლობის გამო [3]. მაგრამ ასეთი შემთხვევა ერთეული იყო და, რასაკვირველია, მდგომარეობის საერთო სურათს ვერ ცვლიდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის II და საბჭოების III ყრილობებმა [4] მიწის რეფორმის ხაზით ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნეს და პარტიისა და ხელისუფლების წინაშე დასახეს მიწათმოწყობის დაკვრითი ტემპით დამთავრების გადაუდებელი ამოცანა.

საქართველოში აგრარული რეფორმის რევოლუციურად ჩატარებამ საბოლოოდ ჩასცა ლახვარი მემამულურ-თავადაზნაურულ მიწათმფლობელობას; წელში გატეხა კულაკური მიწათმფლობელობა და გზა გაწმინდა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შესაქმნელად. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენის პროცესი სწრაფი ტემპით წავიდა წინ. 1923 წელი გახდა გარდატეხის წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში.

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საკითხები განიხილა ამიერკავკასიის საბჭოების მესამე ყრილობამ 1924 წლის იანვარში. აღნიშნულ საკითხებზე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს მთელი ამიერკავკასიის ფედერაციის მეურნეობის გაუმჯობესებას. ამიერკავკასია, როგორც ეკონომიური ერთეული, პროგრესული გზით მიდის და დგას ჯანსაღი და ნორმალური განვითარების გზაზე... სახალხო მეურნეობის გარდაქმნის

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 190, ფურც. 62.
[2] იქვე, ფ. 61, საქ. 22, ფურც. 13.
[3] „სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა", თბ., 1925, გვ. 24.
[4] ჟურნ. „უწყებები", 1923, № 1, გვ. 21 — 23.

საფუძველია გადასვლა გეგმიურ ხელმძღვანელობაზე და უმაღლეს, ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განვითარების კურსის განხორციელება"[1], ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობამ 1924 წლის მაისში მიიღო რეზოლუცია „პარტიის სამეურნეო ამოცანების შესახებ", სადაც ჩაწერა: „1. სოფლის მეურნეობაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს ძვირფას კულტურათა და მესაქონლეობის განვითარებისაკენ; 2. ყრილობას მიაჩნია, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის სრული აღორძინება და განვითარება მიღწეული იქნება სწორად დაყენებული მელიორაციისა და ირიგაციის პირობებში"[2]. ყრილობამ აგრეთვე განიხილა საკითხი „სოფლად მუშაობის შესახებ" და მიიღო სათანადო რეზოლუცია, რომლითაც აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად აღიარა: 1. მიწათმოწყობის დაჩქარება; მიწის რეფორმის, სადაც იგი არ დამთავრებულა, რევოლუციური გზით გატარება; 2. საძოვრების საკითხის მოწესრიგება ღარიბი და საშუალო გლეხობის სასარგებლოდ; 3. აგრონომიული დახმარების გაძლიერება საშუალო და ღარიბი გლეხური მეურნეობებისადმი; 4. ღარიბ და უღარიბეს გლეხურ მეურნეობათა სახელმწიფო და კოოპერაციული შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა და სხვ.[3].

პარტიულმა ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში კოოპერაციის მნიშვნელობას, კერძოდ, გლეხობის კოოპერირებას საწარმოო საფუძველზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საკითხს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სწორი ორგანიზებისა და გლეხობისადმი მისი დაახლოების მნიშვნელობას.

სახელმწიფო მგეგმავი ორგანოების მიერ სოფლის მეურნეობაში დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის ყრილობამ საჭიროდ ცნო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მაქსიმალურად ჩაბმა მუშაობაში[4]. ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა საქართველოს მშრომელმა გლეხობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობის აღდგენას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და სამიწათმოქმედო შრომისნაყოფიერების ზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას; აგრეთვე აგროკულტურული ღონისძიებების, მელიორაციისა და სხვ. ფართო მასშტაბით განხორციელებას.

---

[1] «Второй Закавказский съезд Советов», стр. 179 — 182.

[2] ჟურნ. „უწყებები", 1924, № 6—7. გვ. 63.

[3] იქვე, გვ. 70 — 73.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 542—543.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები გლეხობის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით მომარაგებისათვის. მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან, დაიწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანა. 1922 წელს გერმანიიდან შემოიტანეს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დიდი პარტია, რაც სასწრაფოდ განაწილდა მაზრებზე. 1924 — 25 წელს საზღვარგარეთიდან შემოიტანეს და გლეხურ მოსახლეობაში გაანაწილეს 150 ათასი ჩერვ. მანეთად ღირებული მანქანა-იარაღები. 1925 — 26 წელს საზღვარგარეთიდან, და ნაწილობრივ საბჭოთა რუსეთიდან, შემოიტანეს და გლეხთა შორის გაანაწილეს 300 ათასი მანეთის, 1927 წელს —.450 ათასი მანეთის მანქანა-იარაღები.

გლეხური მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების „გამქირავებელი პუნქტები". 1924 — 1925 წელს არსებობდა 60 პუნქტი, მომდევნო წელს — 95, ხოლო 1926 — 27 წელს — 130.

ამრიგად, სამი წლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობას მიაწოდა 900 ათასი მანეთის მანქანა-იარაღები, ანუ სამჯერ მეტი, ვიდრე მას გააჩნდა 1924 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგი[1]. ენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგის შედარება 1913 წლის დონესთან (377 739 HP) გვაძლევს შემდეგ სურათს: 1917 წელს იგი უდრიდა ომამდელის 72,2 პროცენტს, 1923 წელს — 64,1, 1925 წელს — 103,9 და 1926 წელს — 108,7 პროცენტს. ყოველივე ეს ეხება ცოცხალი გამწევი ძალის ენერგეტიკული რუსერსების პოტენციალურ მარაგს. მაგრამ ვიცით, რომ საქართველოს მეურნეობაში გამოყენებული იყო მექანიკური ძრავებიც, თუმცა ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით, ამიტომ მაინც სავარაუდებელია რევოლუციამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 1000 ცხენის ძალის მანქანები[2]. ამრიგად, 1913 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგი საერთოდ უდრიდა 378 739 ცხენის ძალას, ხოლო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პოტენციალური მაჩვენებელი — 0,002.

1925 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში მუშაობდა

---

[1] ენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგი ჩვენ მიერაა გაანგარიშებული.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1478, საქ. 109, ფურც. 21 — 30.

დაახლოებით 4 410 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის მანქანები[1]. აქ არ შედის სოფლის მეურნეობაში მომუშავე ავტომობილთა საერთო სიმძლავრე, ამიტომ 1925 წლისათვის მიღებული მექანიკური ენერგეტიკული რესურსების პოტენციალური მარაგი (4 890 HP) მხოლოდ დაახლოებითია. ამრიგად, 1925 წელს ენერგეტიკული რესურსების საერთო პოტენციალური მარაგი უდრიდა 397 422 ცხენის ძალას, ანუ ომამდელთან შედარებით 105,1 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პოტენციალური მაჩვენებელი — 0,01.

სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად ყურადღება მიექცა სოფლისადმი აგრონომიული დახმარების გაძლიერებას. სოფლის მეურნეობისადმი აგრონომიული დახმარება ძლიერდება 1923—24 სამეურნეო წლიდან. მაგრამ ამ წელს სოფლის მეურნეობისადმი აგრონომიულ დახმარებაზე ჯერ კიდევ საშუალოდ იმაზე ნაკლები დაიხარჯა, რაც 1915 — 1917 წწ. იყო დახარჯული წლიურად. 1915 — 1917 წწ. საშუალოდ ერთ დესეტინა კულტურულ მიწაზე აგრონომიული დახმარების სახით იხარჯებოდა წლიურად 39,9 კაპიკი, ხოლო ერთ სულზე — 17,8 კაპიკი. 1923 — 24 წელს კი ერთ დესეტინა მიწაზე ხარჯი აღწევდა მხოლოდ 7,5 კაპიკს, ერთ სულზე — 3,3 კაპიკს. მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ 1923 — 24 წელს საქართველოში აგროდახმარების სახით დაიხარჯა 5,3-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1915 წელს[2].

სოფლის მეურნეობისადმი აგრონომიული დახმარება განსაკუთრებით გაძლიერდა 1924 — 25 წლიდან, მაგრამ სასურველ დონეზე ის 1926 წელსაც არ იდგა, 1926 წელს საქართველოს 3 366 სოფელს ემსახურებოდა 48 აგრონომი და 19 ინსტრუქტორი. თითოეულ აგრონომზე მოდიოდა 5 170 კომლი (26 ათასზე მეტი მცხოვრები), 15 ათასამდე მსხვილფეხა საქონელი, 9 ათასამდე დესეტინა სახნავი და 12 ათასამდე დესეტინა კულტურული მიწა. 1925 — 26 წელს აგრონომიულ დახმარებაზე დაიხარჯა 308 639 მანეთი, აქედან ერთ კომლზე მოდიოდა 96 კაპიკი, ერთ სულზე— 16 კაპიკი, ერთ დესეტინაზე (ნათესზე) — 48 კაპიკი, ხოლო ერთ დესეტინა კულტურულ მიწაზე — 36 კაპიკი[3].

სოფლის მეურნეობისადმი საერთოდ სუსტმა აგრონომიულმა დახმარებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ზრდის დაბალი ტემპები.

სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1856, ფურც. 24.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 1129, ფურც. 3 — 38.

[3] „საქართველოს სსრ მთავრობის 1925 — 26 წწ. მოქმედების ანგარიში", თბ., 1927, გვ. 68, 72.

როლი ეკუთვნის მელიორაციას და ირიგაციას. ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტების წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა მელიორაციულ სამუშაოთა ფართო მასშტაბით გაშლას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სულ ირწყვებოდა დაახლოებით 95 ათასი დესეტინა, რაც ვერ აკმაყოფილებდა გლეხური მეურნეობის მოთხოვნილებას. ამიტომ პარტიამ და ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგეს ვ. ი. ლენინის დირექტივათა განხორციელებისათვის. პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებებს აღფრთოვანებით გამოეხმაურა მშრომელი გლეხობა. მან უმაგალითო ინიციატივა და შრომითი ენთუზიაზმი გამოიჩინა, იკისრა მიწის ყველა სამუშაოთა შესრულება.

მელიორაციული სამუშაოები დიდი მასშტაბით გაიშალა 1922 წლის პირველ ნახევარში. 1921 წლიდან 1925 წლამდე გაყვანილ იქნა ექვსი სარწყავი არხი 114 ვერსის საერთო სიგრძით; ამ არხების საშუალებით ირწყვებოდა 43 500 დესეტინა მიწა, დაიწყო 98 ვერსის საერთო სიგრძის ოთხი ახალი სარწყავი არხის გაყვანა, რომელიც მორწყავდა 26 400 დესეტინა მიწას. მუშაობა დაიწყო აგრეთვე ალაზნისა და ელდარის ველების მოსარწყავად, ყარაიას სარწყავი სისტემის აღსადგენად, კოლხეთის ჭაობების დასაშრობად და სხვ.

1926 წლის მაისში ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე გ. ორჯონიკიძე ამბობდა: „საირიგაციო მუშაობის სფეროში, მივყვებოდით რა ამხ. ლენინის პირდაპირ დირექტივებს (ლენინის წერილი ამიერკავკასიელ ამხანაგებისადმი 1921 წლის 14 აპრილის თარიღით), ჩვენ არა მარტო აღვადგინეთ ძველი, მოშლილი ქსელი მორწყვის სისტემისა, არამედ აშენებულია და შენდება მთელი რიგი ახალი არხები, დიდდება ვარგისი მიწების ფართობი“, საქართველოში მოირწყვება დაახლოებით 100 ათას დესეტინამდე[1].

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ 1923 — 24 წლიდან. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები ძირითადად ომამდელ დონეს გაუტოლდა[2]. ხოლო სოფლის მეურნეობის მთელი შემოსავალი 1925 — 26 წლისათვის 85,5 პროცენტით მიუახლოვდა 1913 წლის დონეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის უმაღლესი ტექნიკური კულტურები, რომლებიც იმპერიალისტური ომისა და მენშევიკური დიქტატურის

---

[1] «Стенографический отчет широкого краевого Закавказского партсовещания», Тб., 1926, стр. 144.

[2] «Продукция сельского хозяйства Закавказья в цифрах», Тиф., 1927, стр. 64.

პერიოდში თითქმის მთლიანად განადგურდნენ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხუთწლედში ნაწილი აღდგენილ იქნა და გადააჭარბა ომამდელი წარმოების დონეს, ხოლო ნაწილი სწრაფად უახლოვდებოდა მას [1].

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების აღდგენისა და განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ტექნიკური კულტურების აღდგენა და განვითარება უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მარცვლეული კულტურებისა. მარცვლეულის მეურნეობის უმთავრესი და გადამწყვეტი როლი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში პირობადებული იყო არა მარტო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობით, არამედ მრეწველობის სუსტი განვითარებითაც. თუ არ არის მოთხოვნილება სამრეწველო ნედლეულზე, მაშინ არ არის სტიმული არც მისი წარმოებისათვის. ამიტომ ჩვენს სოფლის მეურნეობას რევოლუციამდე უმთავრესად მოხმარებითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სასაქონლო. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რევოლუციამდელ საქართველოში განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე იდგა ტექნიკური კულტურები. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისა და მენშევიკური ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად საქართველომ დაკარგა რუსეთის პური, ერთი მხრივ, და რუსეთის ბაზარი ტექნიკური კულტურებისათვის — მეორე მხრივ, რის გამოც კატასტროფულად დაეცა ტექნიკური კულტურების მეურნეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტექნიკური კულტურების მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას საქართველოში. და მართლაც, ტექნიკური კულტურების აღდგენისა და განვითარების ტემპმა დიდად გაუსწრო მარცვლეული კულტურების აღდგენისა და განვითარების ტემპს. ეს აიხსნებოდა არა მარტო სოფლის მეურნეობისადმი პარტიისა და ხელისუფლების ყურადღებით და სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობით, არამედ მრეწველობის განვითარებითაც, რომელმაც სოფლის მეურნეობას წაუყენა გაზრდილი მოთხოვნილება სამრეწველო ნედლეულზე. აქ თავი იჩინა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის მაორგანიზებელმა ზემოქმედებამ სოფლის მეურნეობაზე, თუმცა იგი ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობოდა. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მარცვლეული კულტურების მეურნეობა ნაკლებად რენტაბელური იყო საქართველოში, ვინემ ტექნიკური კულტურები[2] და მეცხოველეობა. ამიტომ პარტია და ხელისუფლება

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1954, ფურც. 48 — 53.

[2] ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში ტექნიკური კულტურები 249 ათას დესეტინიდან იძლეოდნენ 60 მილიონ მანეთის შემოსავალს, მაშინ როდესაც მარცვლეული კულტურები 1,6 მილიონი დესეტინიდან — მხოლოდ 35 მილიონ მანეთის შემოსავალს («Пути развития народного хозяйства Закавказья», Тиф., 1925, стр. 11).

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტექნიკური, შრომატევადი კულტურების განვითარებას. ამას მოითხოვდა ჭარბი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ინტერესებიც. ამიტომ პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, მარცვლეული კულტურებით ნათესი ფართობი 1924—25 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა მხოლოდ 1,6 პროცენტით, მაშინ როდესაც ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი გადიდდა 69 პროცენტით; 1925—26 წელს მარცვლეული კულტურების ფართობი უცვლელი რჩება, ტექნიკური კულტურების ფართობი კი წინა წელთან შედარებით იზრდება 30,7 პროცენტით. თუ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს დავეყრდნობით, მაშინ მარცვლეული კულტურებით ნათესი ფართობი 1924 — 25 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6,8 პროცენტით, ტექნიკური კულტურებით ნათესი ფართობი — 34,4 პროცენტით, ხოლო 1925 — 26 წელს შესაბამისად — 1,8 და 9,8 პროცენტით. გ. ორჯონიკიძემ ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე 1926 წლის მაისში განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩვენ თითქმის მივაღწიეთო მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა ნათესი ფართობის ომამდელ დონეს[1].

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია მარცვლეულ კულტურათა საერთო პროდუქციის ზრდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა იწვევს საერთო პროდუქციის ზრდას — ნათესი ფართობის გადიდება, თუ მოსავლიანობის ზრდა. ამ პერიოდში, როგორც სტატისტიკური მასალები გვიჩვენებენ, ადგილი ჰქონდა ნათესი ფართობის როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით ზრდას, შესაბამისად ამისა იზრდებოდა საერთო პროდუქცია, მოსავლიანობა კი უმნიშვნელოდ დიდდებოდა. ეს გარემოება მიუთითებს სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ სუსტ ტექნიკურ აღჭურვილობაზე და წარმოების შედარებით დაბალ აგროკულტურულ დონეზე. ამიტომ სამართლიანად მიუთითებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, „აგრარული რევოლუციის“ შემდეგ, ახალი „რევოლუციის“ საჭიროებაზე აგროკულტურულ ღონისძიებათა სფეროში[2]. მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ე. ი. ნათესი ფართობის გადიდების გარეშე სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის შემდგომი ზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ეს იყო აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანა, რომელიც წამოიჭრა პარტიისა და ხელისუფლების წინაშე სოფლის მეურნეობაში აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის.

---

[1] «Стенографический отчет широкого краевого Закавказского партсовещания», стр. 143.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1954, ფურც. 16 — 35.

1926 წლისათვის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაუთანაბრდა ომამდელ დონეს[1]. მაგრამ სოფლის მეურნეობის ეს დონეც სრულიად ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას და მზარდ სოციალისტურ მრეწველობას სათანადო ნედლეულით. სოციალისტური მშენებლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა და მშრომელთა მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების ინტერესები, ერთი სიტყვით, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელმაც ის-ის იყო დაიწყო მოქმედება, მოითხოვდა საერთოდ წარმოების, და კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაქსიმალურ ზრდას, რაც შექმნიდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის მყარ საფუძვლებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა მეურნეობებმა. საბჭოთა მეურნეობანი პირველად იწოდებოდნენ „სახალხო მამულებად". ისინი ჩამოყალიბდნენ ყოფილი საუფლისწულო მამულებისა და კერძო მიწათმფლობელთაგან ჩამორთმეულ ე. წ. „კულტურული მამულებისაგან", რომლებსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდათ. სახალხო მამულებს პირველ პერიოდში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი განყოფილება განაგებდა, 1924 წლის ივლისიდან ჩამოყალიბდა სახალხო მამულების ტრესტი, რომელმაც თავის ხელმძღვანელობაში გააერთიანა ყველა სახალხო მამული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას დიდად შეუწყო ხელი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 30 აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებამ. სოფლის მეურნეობის სამეურნეო საჭიროებათა შესახებ პარტიის ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ დადგენილების საფუძველზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა სოფლად მუშაობის პროგრამა, რომლითაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ევალებოდათ: მშრომელი შეძლებული გლეხის განსხვავება კულაკისაგან, რომელიც ცხოვრობს სხვისი შრომის ექსპლოატაციით; ხელის შეწყობა მშრომელი გლეხობისათვის ღარიბი და უღარიბესი გლეხობის კოოპერირების საფუძველზე; მხარდაჭერა მიწათმოქმედი მოსახლეობის შრომით გაერთიანებისათვის დაქუცმაცებულ მიწათსარგებლობიდან მიწის კოლექტიურ სარგებლობაზე გადასვლის გზით, ყოველგვარი იძულების გარეშე მხოლოდ და მხოლოდ დარწმუნების გზით.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი ოფიციალური დოკუმენტი აღნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის წარმატებითი აღდ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1954, ფურც. 15 — 35.

გენა და განვითარება თანამედროვე ეკონომიური კონიუნქტურის პირობებში, რომელიც ხასიათდება გლეხურ მეურნეობაში საბრუნავ საშუალებათა უქონლობით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მეტისმეტი გაცვეთილობით, გლეხური მეურნეობის ნაკლებ საქონლიანობით, შეიძლება მხოლოდ მოსახლეობისათვის ფართო სასოფლო-სამეურნეო, გრძელვადიანი კრედიტის მიცემით, რადგან საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძვირფასი და ტექნიკური კულტურების განვითარება მოითხოვდა აუცილებლად გრძელვადიან კრედიტს[1]. ამის შემდეგ აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია კონკრეტული ღონისძიებანი მევენახეობის, მეღვინეობის, მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვ. აღდგენისა და განვითარებისათვის.

1925 წლის 30 აპრილს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საჭიროებისათვის საკავშირო მთავრობისაგან დამატებით მიიღო 161 250 მანეთი.

სრულიად საქართველოს საბჭოების III ყრილობამ 1925 წლის აპრილში მოისმინა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ანგარიში და დაამტკიცა სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. ყრილობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის: 1. ბაზრის მოპოვება სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის; 2. სოფლის მეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტის გადიდება; 3. საგადასახადო პოლიტიკის შეთანხმება სოფლის მეურნეობის ინტერესებთან; 4. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაჩქარება; 5. სოფლის მეურნეობისათვის მაღალი კვალიფიციური კადრების დაჩქარებით მომზადება და სხვ.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1925 წლის ივლისში მოაწყო თათბირი გლეხური მეურნეობის აღდგენისა და განმტკიცების ღონისძიებათა შესამუშავებლად. თათბირის ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის საკითხებზე სსრ კავშირის საბჭოების III ყრილობის და XIV პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა კონკრეტიზაცია საქართველოსა და ამიერკავკასიის პირობებში. გ. ორჯონიკიძე თათბირის გახსნისას ამბობდა: „ჩვენი მრეწველობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი გლეხური მეურნეობის ამაღლების, მისი შემოსავლიანობის ამაღლების საფუძველზე“, ე. ი. რამდენადაც გადიდდება გლეხის შემოსავალი და მისი სყიდვითუნარიანობა, შესაბამისად განვითარდება მრეწველობა. „ჩვენი მრეწველობა, — ამბობდა იგი, — უმთავრესად განვითარდება ჩვენი შინაური ბაზრის ნიადაგზე, ხოლო ჩვენი შინაური ბაზრის მოცულობა

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1421, ფურც. 3 — 13.

დამოკიდებულია იმაზე, თუ რას წარმოადგენს ჩვენი გლეხი". მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა სოფლად კულაკისათვის ხელის შეწყობას[1]. უპირველეს ყოვლისა, იგი ნიშნავდა ღარიბი და საშუალო გლეხობის ორგანიზებას, მათდამი დახმარებას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას. ხოლო კულაკის წინააღმდეგ პარტია სახავდა ეკონომიური ბრძოლის ღონისძიებას საგადასახადო პოლიტიკის საშუალებით.

თათბირზე მიღებულ ღონისძიებებს უნდა დაეჩქარებინა სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტ ე მ პ ი, რაც ბევრად ჩამორჩა მრეწველობის აღდგენის ტემპებს. თათბირმა მიიღო სათანადო რეზოლუცია. „მიმდინარე ისტორიული მომენტის მოთხოვნილება, — ნათქვამია რეზოლუციაში, — პროლეტარიატისა და გლეხობის საბრძოლო კავშირის ინტერესები, ისე როგორც ჩვენი ნაციონალიზებული მრეწველობის ინტერესები, მოითხოვენ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების გაძლიერებას, მისი საქონლიანობის გადიდებას, რისთვისაც საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა".

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის აპრილის პლენუმისა და საბჭოთა კავშირის საბჭოების III ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის თათბირმა დაადგინა: ა) სამიწათმომწყობო სამუშაოების დამთავრება არა უგვიანეს ხუთი წლის ვადისა; ბ) უღარიბეს გლეხთა მიწათმოწყობის ხარჯების დაკისრება სახელმწიფოსათვის; გ) გლეხობისათვის კრედიტის გაიაფება და გადიდება, დაკრედიტების ვადების გადიდება; დ) სახელმწიფო სახნავ-სათესი მიწების ფონდის გადასინჯვა მცირემიწიან რაიონებში, მცირემიწიანი გლეხებისათვის საჭირო ფართობის გამოყოფის მიზნით; ე) მიწათსარგებლობის თავისუფალი არჩევის უფლების დაცვა, ამავე დროს ზომების მიღება მიწათსარგებლობის ისეთი ფორმების განვითარებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და გლეხობის კოოპერირების საშუალებას იძლევიან და სხვ.[2].

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, სოფლის მეურნეობის სფეროში 1921 — 1925 წლების მანძილზე, მიმართული იყო სათესი ფართობისა და საერთო მოსავლიანობის გადიდებისაკენ, თანამედროვე, გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების დანერგვისა და მეურნეობის ინტენსიფიკაციისაკენ, გლეხური მეურნეობის რენტაბელობის გადიდებისა და ინდუსტრიისათვის ნედლეულის ბაზის შექმ-

---

[1] «Совещание о мероприятиях по поднятию и укреплению крестьянского хозяйства» (Стеногр. отч.), Тиф., 1925, стр. 10 — 11.

[2] იქვე, стр. 154 — 162.

ნის მიზნით ტექნიკური კულტურების განვითარებისაკენ. ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობისაკენ, სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმების დანერგვისა და განვითარებისაკენ [1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ 1925 წლის დეკემბერში, შეაჯამა რა სოფლის მეურნეობის აღდგენის დარგში მოპოვებული მიღწევები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და სოციალისტური გზით წარმართვის აუცილებელ პირობად აღიარა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა კომუნისტური პარტიის ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად [2].

§ 5. მრეწველობა და ტრანსპორტი

საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამ შექმნა პირობები მრეწველობის სოციალისტური ნაციონალიზაციისათვის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის არსებული წინააღმდეგობის, კაპიტალიზმის ამ ძირითადი წინააღმდეგობის ლიკვიდაციისათვის. სოციალისტური ნაციონალიზაცია ართმევს კაპიტალისტებს წარმოების საშუალებებს და ამით სპობს ქვეყანაში ბურჟუაზიის ეკონომიურ ბატონობას; გადასცემს რა მშრომელთ ეკონომიკის წამყვან დარგებს, ქმნის პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიურ ბაზას. ამიტომ სოციალისტური მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილი მრეწველობის — სახალხო მეურნეობის ამ წამყვანი დარგის ნაციონალიზაციას.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 13 ივნისს გამოსცა დეკრეტი მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ [3]. ამ დეკრეტის საფუძველზე აღირიცხა ის წარმოება-დაწესებულებანი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ნაციონალიზაციას. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 30 ივნისისა და 30 ივლისის დადგენილებებით ყველა ისინი გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად [4]. ნაციონალიზებულ საწარმოო-დაწესებულებათა მუშამოსამსახურეები კი დატოვეს თავიანთ ადგილზე და ჩარიცხეს საბჭოთა სამსახურში.

1921 წლის 16 ივნისის დეკრეტით საქართველოს რევოლუციურმა

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 282, საქ. 110, ფურც. 1—52.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1360, ფურც. 681.

[3] «Ревкомы Грузии», стр. 219 — 220.

[4] იქვე, გვ. 220, 224—227, 232—233, 485.

კომიტეტმა მოახდინა ელექტროსადგურების ნაციონალიზაცია [1], ხოლო იმავე წლის 5 ივლისს გამოაცხადა სტამბების, ასოთჩამომსხმელი სახელოსნოების, ლითოგრაფიების, და საერთოდ, პოლიგრაფიული წარმოების მოწყობილობათა, მასალათა და სხვ. ნაციონალიზაცია [2]. ნაციონალიზაცია შეეხო სულ 90-მდე წარმოებას და 35 ნავთსაცავს.

ნაციონალიზებული საშუალო და მსხვილი სამრეწველო საწარმოები ხელისუფლებამ განმგებლობაში გადასცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. წვრილი სამრეწველო საწარმოები კი ჩაირიცხა საიჯარო ფონდში. გამოქვეყნდა ინსტრუქცია სამრეწველო საწარმოთა იჯარით გაცემის წესის შესახებ. იჯარით უნდა გაცემულიყო უმოქმედო და სუსტად მოქმედი საწარმოები. ეს ღონისძიება სახელმწიფოს განტვირთავდა ზედმეტი სამუშაოებისა და ვალდებულებებისაგან, მას საშუალებას მისცემდა ხელი შეეწყო მსხვილი მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, წვრილ საწარმოთა იჯარით გაცემა გამოავლენდა ახალ ძალებსა და საშუალებებს, გაზრდიდა მოსახლეობის მომარაგებას პირველი მოთხოვნილების საგნებით, საერთოდ კი, იგი ხელს შეუწყობდა ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნული ინსტრუქცია მოიჯარადრისაგან მოითხოვდა შრომის საბჭოთა კანონების დაცვას. ამით იგი ზღუდავდა კერძო კაპიტალის ექსპლოატატორულ მისწრაფებას და ხელს უწყობდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას [3].

ნაციონალ-უკლონისტების წყალობით ომამდე ამოღებული მადნის მარაგი დაუტოვეს ძველ მფლობელებს [4]. ნაციონალ-უკლონისტები საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე აცხადებდნენ, ჩვენ ეს შეგნებულად ჩავიდინეთო[5]. მათ გააუქმეს მხოლოდ არსებული ხელშეკრულებები და შეიმუშავეს მანგანუმის საბადოთა ექსპლოატაციის ახალი დებულება და ბოლოს, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა სააქციო საზოგადოების „ჩემოს“ [6] წესდება, რომლის ძალითაც საბჭოთა სახელმწიფო შემოსავლიდან 35-ს, ყოველწლიურად დამუშავებული მადნიდან 10 პროცენტს, სულ კი — არანაკლებ 3 მილიონ ფუთს იღებდა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1921 წელს შეისწავლა საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და აღმოჩნდა შემდეგი: დამ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 223, ფურც. 121.
[2] იქვე, ფ. 303, საქ. 1, ფურც. 49.
[3] იქვე, ფ. 437, საქ. 237, ფურც. 66 — 69.
[4] «Ревкомы Грузии», стр. 201.
[5] „საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა“, ტფ. 1922, გვ. 87.
[6] «Чиатурское Экспортное Марганцепромышленное Общество».

მუშავებელი მრეწველობის გამოკვლეული 392 საწარმოდან 1920 წელს მთელი წლის მანძილზე მუშაობდა 234 (59,7%), ნაწილობრივ მუშაობდა 102 (26,0%), სულ არ მუშაობდა 56 (14,3%). ამრიგად, მენშევიკური ხელისუფლების პირობებში საწარმოო-დაწესებულებათა 40 პროცენტი მუშაობდა ნაწილობრივ ან სულ არ მუშაობდა. 1921 წელს კი (აღწერის მომენტისათვის) გამოკვლეულ საწარმოთა 73 პროცენტი მუშაობდა, არ მუშაობდა 27 პროცენტი. გარდა ამისა, საქართველოს მრეწველობას დიდი ნაკლი გააჩნდა. ძირითადი კაპიტალი თითქმის მთლიანად განადგურებული, მანქანები გაცვეთილი და უვარგის მდგომარეობაში იყო. ტექნიკურად ყველაზე უკეთ აღჭურვილ თამბაქოს მრეწველობაშიც კი დაზგების 61 პროცენტი ვერ მუშაობდა. საერთოდ ნედლეულის უქონლობის გამო არ მუშაობდა სამრეწველო საწარმოთა 35 პროცენტი, მანქანების გაცვეთის გამო კი 65 პროცენტი[1]. ბუნებრივია, ასეთ პირობებში შრომისნაყოფიერება დაბალი უნდა ყოფილიყო, ხოლო სამრეწველო საწარმოთა საერთო წარმადობა — უმნიშვნელო.

მრეწველობის კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინა ხანებში სამრეწველო პროდუქციის უფასოდ გაშვების გამო. ამან გამოიწვია ისედაც უმნიშვნელო სახელმწიფო მარაგის მთლიანად განიავება, საამორტიზაციო ფონდისა და ძირითადი კაპიტალის მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1922 წლის გაზაფხულზე შეისწავლა საწარმოო-დაწესებულებათა ფინანსური მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ ძირითადი კაპიტალის აღსადგენად საჭირო იყო 6 012 000 მან., ხოლო საბრუნავი კაპიტალის ნორმალურ დონემდე ასაყვანად — 2 263 000 მანეთი.

მრეწველობის აღდგენის ხელშემშლელი გარემოება იყო რკინიგზის გაზრდილი ხარჯები. მაგალითად, 1913 წელს 1 ფუთი მანგანუმის მადნის 100 ვერსზე გადატანა რკინიგზით ჯდებოდა 2,22 კაპიკი, 1923 წელს კი 3 კაპიკი (ოქროთი); 1 ფუთი სპილენძისა შესაბამისად 6,67 და 8 კაპიკი, ხოლო 1 ფუთი ტყავისა — 5,55 და 8 კაპიკი[2].

მრეწველობისა და ტრანსპორტის ასეთი მდგომარეობა დაბლა სწევდა შრომისნაყოფიერებას და ზრდიდა სამრეწველო საქონლის თვითღირებულებას. 1921 წელს შრომისნაყოფიერება ტყავის მრეწველობაში უდრიდა ომამდელი დონის 25 პროცენტს, პოლიგრაფიულ მრეწველო-

---

[1] „საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა", 1922, გვ. 87.

[2] «Материалы по отчету ВСНХ за 1922 г.» Статистико-экон. сборник, Тиф., 1923, стр. 2.

ბაში — 50, საფეიქრო მრეწველობაში — 40, ხის დამმუშავებელ მრეწველობაში — 55, ქიმიურ წარმოებაში — 25 პროცენტს[1]. ეს გარემოება იწვევდა შრომის რეალური ხელფასის შემცირებას, რის გამოც მუშების ნაწილი ტოვებდა წარმოებას და მიდიოდა სოფელში. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე წარმოების შეკვეცაც. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოებში ამ დროს სულ მუშაობდა 4166 კაცი. ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო საქართველოში სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განხორციელება.

სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო მრეწველობის, კერძოდ, მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე. მაღალგანვითარებული მსხვილი მრეწველობის გარეშე საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი სოციალიზმზე, მით უფრო გლეხურ ქვეყანაში. მართალია, სოციალისტურმა რევოლუციამ დაამსხვრია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები და წინათ ჩაგრულ ერებსა და ხალხებს მიანიჭა პოლიტიკური თავისუფლება და თანასწორობა, მაგრამ ჯერ კიდევ რჩებოდა ფაქტიური უთანასწორობა წინათ ჩაგრულ ერებსა და ყოფილ გაბატონებულ ერებს შორის. საჭირო იყო ეროვნებათა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის პროლეტარიატი ყოფილ ჩაგრულ ერებს აღმოუჩენდა ნამდვილსა და ხანგრძლივ დახმარებას მათი სამეურნეო და კულტურული წარმატების საქმეში. „ეს დახმარება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს იმით, რომ, — ნათქვამია პარტიის XII ყრილობის დადგენილებაში, — მივიღოთ მთელი რიგი პრაქტიკული ზომები წინათ ჩაგრულ ეროვნებათა რესპუბლიკებში სამრეწველო კერების შესაქმნელად და იქ მაქსიმალურად მოვიზიდოთ ადგილობრივი მოსახლეობა“[2]. და მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ ორ წელში ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა საბჭოთა რუსეთიდან მიიღეს სამი ფაბრიკა, მათ შორის ერთი მაუდისა ქუთაისისათვის, რვა მილიონი მანეთი ოქროთი ფაბრიკა-ქარხნებისა და ელექტროსადგურების ასაგებად, 3,5 მილიონი ფუთი პური, 70 ვაგონი შაქარი და სხვა პროდუქტები. გარდა ამისა, რკინიგზა, არმია და საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები ცენტრალიზებული წესით მარაგდებოდნენ[3].

რუსეთის პროლეტარიატის მხრივ საქართველოსადმი გაწეული დახმარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. მრეწველობის აღდგენასა და განვითარე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 14 ივნისი.

[2] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 920.

[3] Газ. «Заря Востока», 26 января 1923 г.

ბასთან იყო დაკავშირებული სამრეწველო პროლეტარიატის ეროვნული კადრების შექმნა. პარტიის XII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წინათ ჩაგრულ ეროვნებათა რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარებასა და სამრეწველო პროლეტარიატის მძლავრი ეროვნული კადრების შექმნას. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან „ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს ჩვენში მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ემყარება, საბოლოო ანგარიშით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულებას. თავის ხელმძღვანელი მდგომარეობის შენარჩუნება და განმტკიცება მუშათა კლასს, საბოლოო ანგარიშით, შეუძლია არა სახელმწიფოს აპარატის მეშვეობით, არა არმიის მეშვეობით, არამედ მრეწველობის მეშვეობით, რომელიც თვითონ წარმოშობს პროლეტარიატს... მხოლოდ მრეწველობის განვითარება ქმნის პროლეტარული დიქტატურის ურყევ საფუძველს“ [1].

სახალხო მეურნეობის სოციალისტური, სახელმწიფო სექტორის მიმართ ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასა და სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილ საწარმოო დაწესებულებათა ტრესტებში გაერთიანებას. რკპ (ბ) XII ყრილობამ, მოიწონა რა სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთა ტრესტებში გაერთიანება, თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „სახელმწიფო მრეწველობის დიდი ნაწილი ეწყობა ტრესტების, ე. ი. ისეთ გაერთიანებათა სახით, რომლებიც სარგებლობენ ფართო სამეურნეო ავტონომიით და თავისუფლად გამოდიან ბაზარზე, როგორც გაცვლითი მეურნეობანი“ [2]. 1922 წლის 1 აპრილს შეიქმნა ტყიბულ-შროშას კომბინატი, იმავე წლის ბოლოს — თამბაქოს ტრესტი, მასში გაერთიანდა თამბაქოს შვიდი და კოლოფის ერთი ფაბრიკა, შემდეგში იგი კიდევ უფრო გაიზარდა. 1922 წლის ივნისში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ღვინის ტრესტი და გააერთიანა ღვინის ორი, სარექტიფიკაციო სამი და ლუდის ერთი ქარხანა. აგვისტოში შეიქმნა ტყის ტრესტი, აპრილში—საფეიქრო-ზეთსახდელ-საპნის ტრესტი და ა. შ. [3].

სამრეწველო საწარმოთა ტრესტებში გაერთიანებამ და მათი დიდი უმრავლესობის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ ხელი შეუწყო მრეწველობის გამოცოცხლებას ჯერ კიდევ 1922 წელს. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საწარმოებმა 1922 წელს მოგვცეს ომამდელ ფასებში 7 064 800 მანეთის პროდუქცია, რაც ომამდელი პროდუქციის მხოლოდ 18,9 პროცენტს, ხოლო 1921 წლის პროდუქციის 137

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 886.

[2] იქვე, გვ. 895.

[3] «Материалы по отчету ВСНХ за 1922 г.», стр. 18 — 24.

პროცენტს შეადგენდა. აქ საქმე გვაქვს დიდმნიშვნელოვან ზრდასთან, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგია [1].

გაცვეთილი და ნახევრად მწყობრიდან გამოსული მანქანებით მუშაობისა და ნედლი და დამხმარე მასალის ნაკლებობის პირობებში, ბუნებრივია, ნელა იზრდებოდა შრომისნაყოფიერება, რის გამოც შრომის რეალური ხელფასი ჯერ კიდევ დაბალი რჩებოდა 1913 წლის რეალურ ხელფასთან შედარებით, თუმცა არც 1913 წლის ხელფასი შეესაბამებოდა თავის დროზე მუშის საარსებო მინიმუმს, მუშის საშუალო ხელფასი 1922 წელს უდრიდა ომამდელი ხელფასის მხოლოდ 68 პროცენტს [2].

ამრიგად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში გადასული მრეწველობა თითქმის მთლიანად გაერთიანდა ტრესტებში და 1922 წლის პირველი კვარტალიდან გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნაციონალიზებული მრეწველობა განიცდიდა საბრუნავი თანხის მწვავე ნაკლებობას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო მთელ საბჭოთა კავშირში. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს რკპ (ბ) XII ყრილობა ხედავდა „წ ა რ მ ო ე ბ ი ს რ ა დ ი კ ა ლ უ რ კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა ში“[3].

საქართველოს სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის აღდგენაში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის სამეურნეო რესურსების გაერთიანებამ, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციულმა გაერთიანებამ, და ბოლოს, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება, რომელმაც ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენას ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

საკავშირო ბიუჯეტიდან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გაწეული დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო, მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალიზებული მრეწველობიდან გამოიყო მრეწველობის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე დარგები, რომელთა ხელმძღვანელობა და მომარაგება დაეკისრა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მრეწველობის ჩქარი აღდგენის ინტერესებს ემსახურებოდა აგრეთვე რკპ (ბ) XII ყრილობის მიერ მრეწველობის კონცენტრაციის აუცილებლობის აღიარება. იგი ნაკარნახევი იყო წარმოების დაუტვირთაობითა და საბრუნავი თანხის უქონლობით; 1923 წელს საქართველოში მოხდა მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა გაერთიანება, კონცენტრაცია, სახალხო მე-

---

[1] «Материалы по отчету ВСНХ за 1922 г.» стр. 11.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 896.

ურნეობის უმაღლესი საბჭოსადმი დაქვემდებარებულ 69 მოქმედ საწარმოს ნაცვლად დარჩა 53. კონცენტრაციამდე წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა უდრიდა 3457 კაცს, შემდეგ კი — 4 398 კაცს. ასე, რომ წარმოების კონცენტრაციას არც მუშათა რაოდენობის შემცირება მოჰყოლია და არც წარმოების მოცულობისა, პირიქით, როგორც წარმოების მოცულობა, ისე მუშათა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

წარმოების კონცენტრაციამ, რომლის დროსაც მოხდა სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის შემცირება 24 პროცენტით, ხოლო მუშათა კონტინგენტის ზრდა 27,3 პროცენტით, გამოიწვია წარმოების მოცულობის, საერთო პროდუქციისა და შრომისნაყოფიერების ზრდა[1].

ამრიგად, 1922 — 23 წელი ხელსაყრელი წელი აღმოჩნდა მრეწველობის აღდგენისათვის. იზრდება შრომისნაყოფიერება და მუშათა რეალური ხელფასი, ფართოვდება წარმოება და შედარებით სტაბილური ხდება ფასები, რაც ხელს უწყობდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

კომუნისტურმა პარტიამ კარგად იცოდა, რომ შრომისნაყოფიერების განუხრელ ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის და მიიღო გადამწყვეტი ზომები წარმოების აღდგენისა და შრომისნაყოფიერების გასადიდებლად. პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ რკპ (ბ) XII ყრილობის გადაწყვეტილებებით და წარმატებით ახორციელებდნენ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო მუშახელის გეგმიური, სამრეწველო ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისა და მანქანა-დანადგარების რაციონალური გამოყენებისაკენ. ყველა ამ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება, ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მასების დარაზმვის უაღრესად ეფექტური ფორმა იყო წარმოება-დაწესებულებებში შექმნილი საწარმოო თათბირები. საწარმოო თათბირები ხელს უწყობდა არა მარტო საწარმოო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, არამედ მუშათა მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდას, მათ უშუალოდ ჩაბმას წარმოების ხელმძღვანელობაში, ახალი საწარმოო-ტექნიკური კადრების შექმნას, საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ფორმირებას და გამოწრთობას.

რკპ (ბ) XII ყრილობა, ეფასებდა რა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგებს მრეწველობაში, აღნიშნავდა: „ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამაჯანსაღებელი გავლენა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე უდავოა.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 303, საქ. 1234, ფურც. 97 — 100.

ამან თავისი გამოხატულება პოვა სამრეწველო საქმიანობის გამოცოცხლებაში, მრეწველობის მრავალრიცხოვანი და არსებითი დარგების პროდუქციის ზრდაში, შრომისნაყოფიერებისა და პროდუქტების ხარისხის ამაღლებაში, მუშების მდგომარეობის უეჭველ და ძალიან მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში და უწინარეს ყოვლისა — როგორც ძირითადი, ისე კერძო სამეურნეო ამოცანებისადმი უფრო სწორ მიდგომაში, რაც მომავალში მათი ნამდვილად გადაწყვეტის ძირითადი წანამძღვარია. მიუხედავად ამისა, მრეწველობის ფაქტიური მდგომარეობა ჯერ კიდევ მეტისმეტად მძიმე რჩება"[1].

1922 წლის დეკემბრიდან სწრაფი ტემპით ხდებოდა ქართული ფულის ნიშნების გაუფასურება, ფულის ბაზარზე იქმნება პანიკა, ირღვევა ფასების სტაბილური მდგომარეობა, საათობით იზრდებოდა საქონლის მანეთის ინდექსი. 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის თებერვლამდე იგი გაიზარდა 3,5-ჯერ. ასეთმა მკვეთრმა ფორს-მაჟორმა გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიურ, კერძოდ, მრეწველობის მდგომარეობაზე[2]. მუშის რეალური ხელფასის შენარჩუნების მიზნით საბჭოთა მთავრობა, პროფესიული კავშირების მონაწილეობით, ატარებდა ხელფასის გადაანგარიშებას საქონლის მანეთზე[3]. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო მრეწველობის შემდგომი აღდგენა.

1923 წლის მაისისათვის საქართველოში მოქმედებდა 6045 საწარმოო-დაწესებულება, აქედან სახელმწიფო-სოციალისტურ მრეწველობას ეკუთვნოდა 245 (4,1%), კოოპერატიულ მრეწველობას — 29 (0,5%) და კერძოკაპიტალისტურს — 5.771 (95,4%). ყველა საწარმოში მუშაობდა 21 959 მუშა. აქედან, სახელმწიფო საწარმოო-დაწესებულებებში დასაქმებული იყო 10 721 (48,8%), კოოპერატიულში — 423 (1,9%) და

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 889.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 8, საქ. 490, ფურც. 13 — 15.

[3] საქონლის მანეთის გამოანგარიშებისათვის აღებულ იქნა პირველი მოთხოვნილების 24 დასახელების სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტი. ყველა საგნის რაოდენობა აღებული იყო იმდენი, რამდენსაც ომამდე იყიდდა 10 მანეთი, მისი მეათედი ჩათვალეს საქონლის მანეთად. მაგ., 1913 წლის 10 მანეთად ღირებულ პროდუქციათა ფასი 1923 წლის 22 ნოემბერს უდრიდა 287 072 000 მან. (ა-კ. ფულის ნიშნებით). მაშასადამე, საქონლის მანეთი ამ დროისათვის უდრიდა დაახლოებით ოცნის ერთ მეათედს — 27 707 000 მანეთს. ხელფასი ემატებოდა სანაზრო ფასების მომატებასთან ერთად. პროფესიული ფასების შესახებ ცნობებს კრებდნენ სტატისტიკური ორგანოები ქალაქის ბაზრებზე და აგზავნიდნენ შრომის დაცვის სახალხო კომისარიატში, სტატისტიკურ ბიუროში, რომელიც აჯამებდა და გადასცემდა იქვე არსებულ საქონლის მანეთის გამოანგარიშების კომისიას, სადაც შედიოდნენ შრომის დაცვის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფკავშირების, ამიერკავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის, სმუს და ცს სამმართველოს წარმომადგენლები. კომისია საქონლის მანეთის ინდექსს აცხადებდა თვეში ოთხჯერ — 3, 10, 17 და 24 რიცხვში.

კერძოკაპიტალისტურ საწარმოებში — 10 815 (49,3%). ამრიგად, ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა სახელმწიფო მრეწველობის 43,8, კოოპერატიულში — 14,6, და კერძოკაპიტალისტურში — 1,9 მუშა[1]. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს ხელში იყო თავმოყრილი ყველა მსხვილი საწარმო. ამასვე ადასტურებს საქართველოს მრეწველობის 1922 — 23 წლის საერთო პროდუქციაში ცალკეულ სექტორთა პროდუქციის ხვედრითი წონა. სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია მრეწველობის საერთო პროდუქციაში შეადგენდა 77,4 პროცენტს (ანუ 12 033 600 მანეთს ომამდელ ფასებში), კოოპერაციული მრეწველობის პროდუქცია—5,1 (ანუ 793 900 მანეთს)[2], კერძოკაპიტალისტური მრეწველობის პროდუქცია — 17,5 პროცენტს (ანუ 2 720 700 მანეთს). წმინდა სახალხო შემოსავალი (წარმოების ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე)[3] მრეწველობაში 1922 — 23 წწ. უდრიდა 11 564 700 მანეთს[4]. ამრიგად, 1923 — 24 სამეურნეო წელს საქართველოს მრეწველობაში წამყვანი როლი აშკარად ეკუთვნოდა სახელმწიფო-სოციალისტურ სექტორს.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით 1922 წლიდან საქართველოში მყარდება სატარიფო პოლიტიკის ახალი პრინციპები. წინანდელი სატარიფო პოლიტიკა ემყარებოდა ორ ძირითად პრინციპს: თითოეული მშრომელის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და სახელმწიფოს მხრივ უფასო მომსახურებას. მშრომელის ხელფასი გათვალისწინებული იყო წვრილმანი ხარჯებისათვის, სახელმწიფოს უნდა გაეწია კულტურული და სხვა მომსახურება უფასოდ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1921 წლის მეორე ნახევრიდან უარყოფილ იქნა სახელმწიფოს მხრივ უფასო მომსახურების პრინციპი. თანდათანობით ძალაში შედის სამეურნეო ანგარიში. ამასთან დაკავშირებით 1922 წლიდან შემოიღეს ახალი სატარიფო პოლიტიკა.

ახალი სატარიფო პოლიტიკა შრომის ხელფასის გაანგარიშებას ახდენდა მუშაკის მიერ შესრულებული სამუშაოსა და საცხოვრებელი მინიმუმის გათვალისწინებით, შრომის ხელფასის ანაზღაურება ხდებოდა,

---

[1] «Закавказье, стат.-экон. сборник» (в дальнейшем «Закавказье»), 1925, стр. 321.

[2] ომამდელი ფულის კურსის ჩერვონულ კურსზე გადასაყვანად, საკვლევი დროის საქონლის ფასები უნდა შეუფარდდეს ომამდელ ფასებს. შეფარდების კოეფიციენტზე უნდა გამრავლდეს ომამდელი ფასებით მიღებული თანხა და მივიღებთ მის ჩერვონულ გამოხატულებას. 1922—1923 წწ. იანვარ-სექტემბერში შეფარდების კოეფიციენტი უდრიდა 1,2 («Закавказье...» გვ. 352).

[3] წარმოების ხარჯებში შედის ნედლი მასალის ღირებულება 3 300,9 ათასი მან. საათბობის — 270,4 ათასი მან., ამორტიზაციის — 411,2 ათასი მან. სულ 3 982,5 ათასი მანეთი (ომამდელ ფასებში).

[4] «Закавказье», стр. 369.

როგორც ფულის ნიშნებით, ისე ნატურით, რაც განპირობებული იყო ქვეყნად არსებული სასურსათო კრიზისითა და ფულის მერყეევი კურსით. ახალი სატარიფო პოლიტიკით წესდებოდა 17 სატარიფო ქსელი (ნაცვლად არსებული 35-ისა), სამი კატეგორია, ხუთი ზონა და სამი ჯგუფი, რომელთა მიზანი იყო გათანაბრების აღკვეთა, გაწეულ შრომასა და ხელფასს შორის ეკვივალენტობის დაცვა[1].

რეალური სამუშაო ხელფასისა და შრომისნაყოფიერების ზრდაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა წარმოება-დაწესებულებათა გადაყვანამ კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემაზე. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1922 წლის დასაწყისში მიიღო დადგენილება „კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ". კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება ხელს უწყობდა მუშისა და დამქირავებლის ურთიერთობის მოწესრიგებას, მშრომელთა ინტერესების დაცვას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში კაპიტალისტური ელემენტების ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შეზღუდვას, შრომისნაყოფიერების ზრდას და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენას[2]. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შედეგებმა თავი იჩინა შრომისნაყოფიერების ზრდაში. ასე მაგალითად, 1922 წელს შრომისნაყოფიერება ლითონის წარმოებაში კოლექტიური ხელშეკრულების დადებამდე შეადგენდა ომამდელის 150 პროცენტს, კოლექტიური ხელშეკრულების დადების შემდეგ — 200 პროცენტს; თამბაქოს მრეწველობაში შრომისნაყოფიერება გაიზარდა 128-დან 145 პროცენტამდე, ტყავის მრეწველობაში — 60 პროცენტიდან 100 პროცენტამდე[3], პოლიგრაფიულ მრეწველობაში — 75-დან 104,5 პროცენტამდე, საფეიქრო მრეწველობაში — 55-დან 81 პროცენტამდე, ხის დამმუშავებელ მრეწველობაში — 72-დან 93 პროცენტამდე, ქიმიურ საწარმოებში — 45-დან 80 პროცენტამდე და ა. შ.[4].

შრომისნაყოფიერების ზრდას, სრულიად ბუნებრივად, მოჰყვა რეალური და ნომინალური ხელფასის ზრდა[5].

საქართველოს მრეწველობის წამყვან დარგებში შრომისნაყოფიერების ზრდას მთელ რიგ შემთხვევებში გაასწრო ხელფასის ზრდამ. ამ გარემოებამ გამოიწვია სამრეწველო საქონლის თვითღირებულების და, მაშასადამე, საბაზრო ფასების ზრდა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის ფასების დაშორება.

1924 წლის მეორე ნახევარში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინს-

---

[1] ჟურნ. „მოამბე", 1922, №№ 26 — 27.

[2] იქვე, № 32.

[3] შეფარდებულია 1913 წლის დონესთან.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 14 ივნისი.

[5] «Обзор деятельности СНК ЗСФСР за 1923 г.», стр. 274.

პექციის სახალხო კომისარიატმა შეისწავლა შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის შეფარდების მდგომარეობა მრეწველობის წამყვან დარგებში. გამოკვლევის მასალებმა გვიჩვენა, რომ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში 1923 — 24 წელს მთელი წლიური პროდუქცია უდრიდა ომამდელის 81 პროცენტს, ხოლო შრომისნაყოფიერება 1923 წლის ივლისში — ომამდელი დონის 41 პროცენტს, 1924 წლის მაისში კი 66 პროცენტს. ამავე დროს (1924 წლის მაისს) ძირითადი მუშის რეალური ხელფასი უდრიდა ომამდელი ხელფასის 72 პროცენტს, ხოლო დამხმარე მუშისა — 58 პროცენტს. დაახლოებით ასეთივე თანაფარდობა იყო ვ. ი. ლენინის სახ. თამბაქოს ფაბრიკაში, ტყავის პირველ ქარხანაში, ფეხსაცმლის ფაბრიკაში, ბამბის საქსოვ ფაბრიკაში და სხვ.[1].

მაშასადამე, შრომისნაყოფიერება განუხრელად იზრდებოდა 1923 — 24 წელს, მაგრამ იგი მაინც ჩამორჩებოდა მუშათა რეალური ხელფასის ზრდას, თუმცა წარმოების ცალკეულ დარგებში შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპი უფრო დიდი იყო, ვიდრე რეალური ხელფასისა[2].

ამრიგად, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მონაცემები შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის თანაფარდობის შესახებ საფუძველს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ შრომისნაყოფიერების დონე ჩამორჩებოდა ხელფასის დონეს ომამდელთან შედარებით, რაც იწვევდა პროდუქციის თვითღირებულების და, მაშასადამე, საქონლის საბაზრო ფასების ზრდას, დისპროპორციას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასებში[3].

მრეწველობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველ წლებში სრულიად ბუნებრივი იყო ხელფასის შედარებით სწრაფი ზრდა. იგი ერთგვარად უზრუნველყოფდა მუშათა კლასის მოთხოვნილებას აუცილებელი მოხმარების საგნებით და შრომისნაყოფიერების შემდგომ ზრდას. მაგრამ დიდხანს გაგრძელება თანაფარდობისა, რომელიც არსებობდა შრომისნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის, ყოვლად შეუძლებელი იყო. იგი საფრთხეს უქმნიდა მრეწველობის და, საერთოდ, სახელმწიფოს ინტერესებს. საჭირო იყო მათ შორის არსებული თანაფარდობის შეცვლა შრო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 713, ფურც. 812.

[2] სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში შრომისნაყოფიერების ომამდელი დონის მიღწევა ნელა ხდებოდა წარმოების მოშლის, ნედლი მასალის უქონლობის, ტექნიკის გაცვეთის გამო. ხელფასის დონის მიღწევა უფრო ჩქარი ტემპით ხდებოდა ომამდელი ხელფასის დაბალი დონის გამო. შრომისნაყოფიერების ზრდა ტემპებით დიდად ასწრებს, მთელ რიგ დარგებში, ხელფასის ზრდის ტემპებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1924 წელს ხელფასი ომამდელ დონეს უფრო მიუახლოვდა, ვიდრე შრომისნაყოფიერება.

[3] С. Г. Струмилин, Заработная плата и производительность труда в русской промышленности за 1913-1922 гг., М., 1923, стр. 25-39, 40.

შისნაყოფიერების სასარგებლოდ[1]. ამ მიზნით პარტიამ და ხელისუფლებამ მიიღეს ზომები, მაგალითად, ხელფასის ნომინალის გაუდიდებლად საცალო ფასების დაკლება, ხელფასის მომატების გაგრძელება მრეწველობის მხოლოდ ჩამორჩენილ დარგებში, სამრეწველო საწარმოში შრომის რაციონალური ორგანიზაცია, წარმოების კონცენტრაცია, ნედლეულისა და საწვავის ეკონომია და სხვ.

1924 წლის მაისში საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობამ რეზოლუციაში „პარტიის სამეურნეო ამოცანების შესახებ" დასახა რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი აღდგენისა და განვითარების კონკრეტული პროგრამა. ყრილობა აღნიშნავდა, რომ საქართველო წარმოადგენდა უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანას, მაგრამ, ამასთან ერთად, აქ იყო ყველა პირობა მსხვილი მრეწველობის (სამთამადნო, სატყეო მეურნეობის და სხვ.) განვითარებისათვის. ამიტომ, ყრილობა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობდა საქართველოში მსხვილი მრეწველობის განვითარებას[2]. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მუშათა კლასმა უმაგალითო შრომითი აღმავლობით მოჰკიდა ხელი მრეწველობის ბოლომდე აღდგენას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში საქართველოს მრეწველობის მიერ მოპოვებული წარმატებები მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. მრეწველობის აღდგენისათვის ნამდვილად დაძაბული მუშაობა ჯერ კიდევ წინ ედო საქართველოს კომუნისტურ პარტიას, მთელ მშრომელ ხალხს.

საქართველო, როგორც ცნობილია, უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო სუსტად განვითარებული მრეწველობით[3]. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამრეწველო განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის გამოყვანას კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ჩააგდო იმპერიალისტურმა ომმა და მენშევიკების ბატონობამ.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ პირველმა ღონისძიებებმა მოგვცა მრეწველობის გამოცოცხლება, შემდეგში კი მრეწველობის განვითარება ჩქარი ტემპით წავიდა წინ. ასე მაგალითად, თუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 1921 წლის პროდუქციას ჩავ-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 125 — 126.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 542 — 543.

[3] საქართველოს სახალხო მეურნეობის 1922 — 23 წლის მთელ შემოსავალში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა უდრიდა 16,5 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 69,8 პროცენტს (იხ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924 — 1925 წწ.," გვ. 12—13).

თვლით 100-ად, მაშინ 1924 — 25 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა 138 პროცენტს, ხოლო მრეწველობისა — 146 პროცენტს; 1925 — 26 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია უდრიდა 152 პროცენტს, მრეწველობისა კი 219 პროცენტს, როგორც ვხედავთ, მრეწველობის აღდგენა და განვითარება უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე სოფლის მეურნეობისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მაინც უფრო მალე დაუახლოვდა ომამდელ დონეს, ვიდრე მრეწველობა და ეს იმიტომ, რომ მრეწველობა უფრო დაზარალდა იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციის შედეგად, ვიდრე სოფლის მეურნეობა. საქართველოს მრეწველობის პროდუქცია 1921 წელს შეადგენდა ომამდელი პროდუქციის მხოლოდ 13,8 პროცენტს[1], ხოლო სოფლის მეურნეობისა 50 პროცენტზე მეტი იყო. ასეთივე მდგომარეობა იყო ამ დროს საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. მრეწველობის აღდგენის ტემპი ძალიან მაღალი იყო და იგი სჭარბობდა სოფლის მეურნეობის აღდგენის ტემპს, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა პირველს აღდგენის დონის მიხედვითაც[2].

აღდგენითი პერიოდის დასასრულს ტრესტებში გაერთიანებულ საქართველოს სამრეწველო საწარმოებს სრული დატვირთვის შემთხვევაში უნდა მოეცათ 24 203 800 ჩერვ. მანეთის პროდუქცია[3], მაგრამ ფაქტიური გამოშვება უდრიდა მხოლოდ 21 374 170 ჩერვ. მანეთს[4], დატვირთვის პროცენტი — 88,3-ს. საწარმოთა პროდუქტიულობა ჩამორჩებოდა მათ რეალურ შესაძლებლობებს, რაც იმით აიხსნება, რომ საწარმოთა ტექნიკური შეიარაღება უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე მათი უზრუნველყოფა ნედლეულითა და კვალიფიციური მუშახელით.

1925—26 წლამდე ტრესტებში გაერთიანებული მრეწველობის პროდუქციის მოცულობა განსაკუთრებით ჩქარი ტემპით იზრდებოდა. 1924—25 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება უდრიდა 11 101 800 ჩერვ. მანეთს, სასაქონლო პროდუქციის ღირებულება — 9 173 600 ჩერვ. მანეთს; 1925 — 26 წელს საერთო პროდუქციის ღირებულებამ მიაღწია 21 374 170 ჩერვ. მანეთს, სასაქონლო პროდუქ~~ციისა კი 17 788 400 ჩერვ. მანეთს. ზრდა შეადგენდა თითქმის~~, 100 პროცენტს. აღდგენით პერიოდში მრეწველობის პროდუქციის ზრდის მაღა-

[1] «Материалы по отчету ВСНХ за 1922 г.», стр. 11.

[2] Ф. Э. Дзержинский, Промышленность СССР, ее достижения и задачи, стр. 10 — 11.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი, (თბილისი), ფ. 303, საქ. 948, ფურც. 37 — 38.

[4] «Краткий обзор деятельности правительства ССР Грузии 1925 — 1926 гг.», Тиф., 1927, стр. 46.

ლი ტემპი აიხსნება იმით, რომ მისი აღდგენა დაიწყო თითქმის ნულიდან და, რაც მთავარია, აღდგენა ხდებოდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრებასთან ერთად, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ზრდასთან ერთად.

ტრესტებში გაერთიანებულ სამრეწველო-საწარმოებში საერთო პროდუქციის ზრდასთან ერთად დიდდებოდა შრომის ხელფასი, რაც, თავის მხრივ, შრომისნაყოფიერების ზრდაზე იყო დამოკიდებული. შრომის ხელფასი 1925 — 26 წელს წინა სამეურნეო წელთან შედარებით მრეწველობის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. სოციალისტურ მრეწველობაში შრომისნაყოფიერების განუხრელმა გადიდებამ შესაძლებელი გახადა 1925 წლის 1 ოქტომბრიდან შრომის ხელფასის ზრდა 9 პროცენტიდან 13,4 პროცენტამდე მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა ლითონდამმუშავებელი, ნავთის, სამთამადნო, ფაიფურის, ქიმიური და სხვ.[1]. შრომისნაყოფიერებისა და მასთან ერთად შრომის ხელფასის ზრდას ხელს უწყობდა საწარმოო საშუალებათა ზრდა, შრომის პროცესისა და წარმოების მექანიზაციის გაუმჯობესება.

1923 — 24 წელს მრეწველობის „ა" (წარმოების საშუალებათა წარმოება) ჯგუფში კაპიტალური დაბანდება უდრიდა 52,3 ათას ჩერვ. მანეთს, „ბ" (მოხმარების საშუალებათა წარმოება) ჯგუფში — 186,7 ათას ჩერვ. მანეთს. მაშასადამე, 1924 — 25 წლამდე საქართველოს მრეწველობის აღდგენაში მთავარი ყურადღება მსუბუქ მრეწველობას ჰქონდა დათმობილი. როგორც რკპ (ბ) XII ყრილობა აღნიშნავდა, მძიმე მრეწველობის ჩამორჩენა მსუბუქი მრეწველობისაგან წარმოადგენდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის მთავარ პასივს.

1924 — 25 წელს მკვეთრად იცვლება მდგომარეობა. საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობამ დასახა კონკრეტული ამოცანები მსხვილი მრეწველობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ყრილობამ „პარტიის სამეურნეო ამოცანების შესახებ" მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა: 1. საქართველოს აქვს ყველა პირობა მსხვილი, უმთავრესად სამთამადნო მრეწველობის განვითარებისათვის; 2. ამიტომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ სახელმწიფო სამთამადნო მრეწველობის ორგანიზაციას; 3. საქართველოში მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის კარგად მოწყობილი მგეგმავი ორგანოების — საქართველოსა და ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიების — საჭიროება; 4. მსხვილი მრეწველობის განვითარების ძირითადი პირობის — სამრეწველო კრედიტის — სწორი ორგანიზაცია და სხვ.[2].

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი, ფ. 63-ს, საქ. 70, ფურც. 14.

[2] ჟურნ. „უწყებები", 1924, № 6 — 7, გვ. 61 — 63.

საქართველოს მშრომელთა ენერგიული მუშაობა პარტიის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ძალიან მალე გახდა საგრძნობი. 1924 — 25 წელს გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მრეწველობაში. მრეწველობის „ა" ჯგუფში დააბანდეს 805 400 ჩერვ. მანეთი, „ბ" ჯგუფში კი 401 800 ჩერვ. მანეთი. მთელ ნაციონალიზებულ მრეწველობაში 1924—25 წელს დაბანდებული იყო სულ 1,207 200 ჩერვ. მანეთი, 1925-26 წელს კი 4 357 200 ჩერვ. მანეთი[1].

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში ტრესტებში გაერთიანებული სამრეწველო-საწარმოთა ძირითადი კაპიტალი შედგა იმ საწარმოთაგან, რომლებსაც ნაციონალიზაციის გზით დაეუფლა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ყველა ეს საწარმო საკმარისად მოძველებული და გაცვეთილი იყო. ვერც მათი შენობები აკმაყოფილებდნენ ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული წარმოების მოთხოვნილებებს. ამრიგად, საწარმოთა ძირითადი კაპიტალი იმდენად სუსტი იყო, რომ სამრეწველო საქონლით ვერ დააკმაყოფილებდა საქართველოს მაშინდელი ბაზრის შეზღუდულ მოთხოვნილებასაც კი. საჭირო იყო არსებული ძირითადი კაპიტალის ერთგვარი განახლება — კაპიტალური შეკეთებით, გაფართოება — ახალ საწარმოთა შექმნით.

საქართველოს ნაციონალიზებული მრეწველობის ნორმალური მუშაობის პირველი წელი იყო 1925 — 26 წელი. ამ წელს მან მთლიანად გამოავლინა შესაძლებლობანი და მუშაობა წარმართა ნამდვილ გეგმიურ საწყისებზე. 1921 — 23 წლები ძირითადად წარმოადგენდა სამრეწველო საწარმოთა მოწყობის, რეორგანიზაციის, საწარმოო შესაძლებლობათა აღრიცხვის და სხვა ხასიათის სამუშაოთა პერიოდს. უკანასკნელ 1925 — 26 წელს შესაძლებელი შეიქნა სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში გეგმიურობისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის რაციონალური პრინციპების დანერგვა. იმის შემდეგ, რაც აღადგინეს და აამოქმედეს შეჩერებული საწარმოო-დაწესებულებანი, რაც გაფართოვდა მოქმედი საწარმოები და გადაიყვანეს ისინი გეგმიურ მუშაობაზე, გადაუდებელი ამოცანა წამოიჭრა: საწარმოო-დაწესებულებათა შეიარაღებისა ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. საწარმოთა ძველი ტექნიკური აღჭურვილობა გაცვეთილი და უვარგისი იყო წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის, უმნიშვნელო იყო მათი წარმადობა. ეს ამოცანები წარმატებით გადაწყვიტა შემდეგში ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ.

საქართველოს მრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მანგანუმის მადნის დამუშავებას ეკუთვნოდა ჯერ კიდევ ომამდე. ამიტომ საქარ-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 134 — 137.

თველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამთამადნო მრეწველობის, კერძოდ მანგანუმის მადნის ამოღების გაფართოებასა და გაუმჯობესებას.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მანგანუმის მადნის ამოღება სწრაფად ფართოვდება, იწყებს ომამდელ დონესთან მიახლოებას. 1922 წელს უკვე გადააჭარბეს მანგანუმის მადნის ამოღების 1916 წლის დონეს. მადნის ამოღებასთან ერთად გაიზარდა მისი ექსპორტი. მანგანუმის მადნის ამოღებამ 1924 წელს მიაღწია ომამდელი დონის 54 პროცენტს, 1925 წელს — 65,7 პროცენტს. ამავე დროისათვის ექსპორტი უდრიდა ომამდელი დონის მხოლოდ 56,2 პროცენტს[1], რაც, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება ჩვენი საკუთარი, განვითარებადი მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილებით მანგანუმის მადანზე.

1925 — 26 წელს ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგები მრეწველობის ომამდელ დონეს გაუთანასწორდა; მთელ რიგ შემთხვევებში გადააჭარბა კიდეც.

აღდგენით პერიოდში ადგილი ჰქონდა ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობასაც. ამ დროს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა: თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა ბათუმში, მაუდის ფაბრიკა ქუთაისში, აბრეშუმის ძაფსახვევი და საქსოვი ფაბრიკები თბილისში, სამტრედიაში, ოზურგეთში, სარექტიფიკაციო ქარხანა ქობულეთში, საკასრე მასალების საწარმო ბორჯომში, გრეხილ ავეჯის ქარხნები მარელისსა და ცხინვალში და სხვ.[2]. აღდგენით პერიოდში გადაიდგა პირველი ნაბიჯები მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ ყველაზე დიდი სამრეწველო წამოწყება იყო მდინარე მტკვარზე, ზემო ავჭალასთან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება თბილისის საბჭოს 1922 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით.

1922 წელსვე შეიქმნა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კომიტეტი შ. ელიავას თავმჯდომარეობით. კომიტეტში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ნ. იორამაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ბ. ჭიჭინაძე (სამუშაოთა უფროსი), ლ. სუხიშვილი, თ. ჟღენტი და სხვ. 1922 წლის 10 სექტემბერს ზემო ავჭალაში მოეწყო თბილისელი მუშებისა და ახლომახლო მდებარე სოფლების მშრომელთა დიდი კვირაობა (შაბათობა). ამ დღეს საძირკველი ჩაეყარა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესის) მშენებლობას.

---

[1] «Краткий обзор деятельности правительства ССР Грузии (1925 — 1926 годы)», Тиф., 1927, стр. 46.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 142 — 145.

ზაჰესის მშენებლობას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი და საგრძნობ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა მას [1].

1923 წელს დაიწყო აბაშის ჰიდროელექტროსადგურის (აბჰესი) მშენებლობა გეგეჭკორის რაიონში. ამავე პერიოდში აშენდა სხვა რამდენიმე მცირე ძალის ჰიდროელექტროსადგური. აღდგენით პერიოდში საქმე გვქონდა მრეწველობის სოციალისტურ საფუძვლებზე აღდგენასთან. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წარმოებდა სახალხო მეურნეობის სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სექტორებს შორის. 1922 — 23 წელს მრეწველობის სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სექტორებს შორის ჯერ კიდევ არსებობდა ერთგვარი წონასწორობა, მაგრამ აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის ეს წონასწორობა ირღვევა სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ. ჩვენი მრეწველობის ძირითადი და წამყვანი ძალა გახდა სოციალისტური სექტორი [2].

სახალხო მეურნეობის აღდგენაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრანსპორტის წესრიგში მოყვანას. საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ტრანსპორტის აღდგენას. ამაზე დიდად იყო დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის განვითარება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 8 მარტს, როდესაც კახეთის რკინიგზის ნაციონალიზაცია მოახდინა [3].

ამიერკავკასიის რკინიგზა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ მთავრობათა ბატონობის დროს სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ გზად იყო გათიშული. საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის რკინიგზა კვლავ გააერთიანა, რამაც დიდად შეუწყო ხელი არა მარტო რკინიგზის ტრანსპორტის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენას.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის ივლისის პლენუმმა ი. ბ. სტალინის მონაწილეობით და მისი წინადადებით მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის. აქ დასახეს

---

[1] მ. ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ლენინი და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, თბ., 1924; კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა (1887—1941), თბ., 1965; გ. ჩ ო გ ო ვ ა ძ ე, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა, თბ., 1967 და სხვ.

[2] «Краткий обзор деятельности правительства ССР Грузии (1925 — 1926 гг.)», стр. 46.

[3] «Ревкомы Грузии», стр. 196.

რიგი ღონისძიება ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანებისა და რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის [1]. რკინიგზაზე სამუშაოდ გაიგზავნა ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, ყოფილი რკინიგზელები. ამასთან დაკავშირებით მოწესრიგდა საგზაო მეურნეობა, მოძრავი შემადგენლობა, ლოკომოტივ-სავაგონო პარკი შეივსო საბჭოთა რუსეთიდან გამოგზავნილი ახალი მოძრავი შემადგენლობით. რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენასა და განვითარებას ხელი შეუწყო რევკომის ისეთმა ღონისძიებებმაც, როგორიც იყო 1921 წლის 28 ივნისის დეკრეტი რკინიგზაზე ტვირთზიდვის წესების დაცვის შესახებ [2], ამავე წლის 16 ივლისის დეკრეტი რკინიგზის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ [3], 14 სექტემბრის დადგენილება რკინიგზის აღსადგენად შრომის ბეგარის დაწესების შესახებ [4], რკინიგზის ახალი შტოს გაყვანა ნატანებიდან ოზურგეთამდე და სხვ. აღდგენით პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე რევკომის ღონისძიებებს საავტომობილო ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად [5].

ამიერკავკასიის რკინიგზის საექსპლოატაციო ხაზის სიგრძე 1913 წელთან შედარებით 1925 — 26 წლისათვის 18,9 პროცენტით გაიზარდა, ტვირთბრუნვამ მიაღწია ომამდელი დონის მხოლოდ 70,3 პროცენტს. რკინიგზელთა თითქმის მთელი ყურადღება მიქცეული იყო კომერციული მოძრაობის დაჩქარებისაკენ. 1913 წელს კომერციული მოძრაობის სიჩქარე 1 საათში უდრიდა 15,7 კილომეტრს, 1922-23 წელს — 14,2, 1923-24 წელს — 14,5 1924-25 წელს კი 14,7 კილომეტრს [6]. კომერციული სიჩქარის გადიდებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქონლის საბაზრო ფასების დაწევისათვის.

წყლის ტრანსპორტი საერთოდ სუსტად იყო განვითარებული საქართველოში. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 26 აგვისტოს დეკრეტით მოახდინა სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია [7], ხოლო ამავე წლის 18 ნოემბრის დეკრეტით გააერთიანა საქართველოსა და აფხაზეთის საზღვაო ტრანსპორტი [8]. ამასთან ერთად მოაწესრიგა კერძო მფლობელთა, არანაციონალიზებული გემების გამოყენება სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის [9]. 1926 წლისათვის ბათუმის, ფოთისა და

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 202.
[2] იქვე, გვ. 222.
[3] იქვე, გვ. 230.
[4] იქვე, გვ. 245.
[5] იქვე, გვ. 195, 204.
[6] Журн. «Советский Кавказ», 1921, № 1.
[7] «Ревкомы Грузии», стр. 234.
[8] იქვე, გვ. 247 — 248.
[9] იქვე, გვ. 249 — 250.

სოხუმის ნავსადგურების განკარგულებაში იყო 27 სატრანსპორტო ერთეული. შავი ზღვის ნავსადგურების ტვირთბრუნვა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: 1913 წელს შავი ზღვის პორტებიდან შემოიტანეს 533 246 ტონა ტვირთი, გაიტანეს — 2 116 279 ტონა; 1924 — 25 წელს შემოიტანეს 174 966 ტონა, გაიტანეს 7 382 610 ტონა. ამრიგად, 1924 — 25 წელს შემოტანა უდრიდა ომამდელი დონის 32,8 პროცენტს, ხოლო გატანა — 65,3 პროცენტს[1]. შემოტანის დაბალი პროცენტი, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ 1922 წლის მეორე ნახევრიდან დასავლეთის სამრეწველო საქონელზე უარს ამბობს ამიერკავკასია და ორიენტაციას იღებს საბჭოთა რუსეთის საქონელზე. გატანის შედარებით მაღალი პროცენტი მიღწეულ იქნა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაძლიერებული გატანით, რაც ხდებოდა საშინაო ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების აწევისა და გლეხური მეურნეობისათვის ხელშეწყობის მიზნით.

მსოფლიო ომის შედეგად ძალზე დაეცა სოფლის ტრანსპორტიც. 1923 წლისათვის გლეხურ მეურნეობათა 60,7 პროცენტს არ გააჩნდა სატრანსპორტო ინვენტარი. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის მდგომარეობა ამ მხრივ დიდად არ შეცვლილა.

ამრიგად, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაუღალავი მუშაობით მშრომელთა ინიციატივისა და დაძაბული შრომით წარმატებით აღადგინა მრეწველობა და ტრანსპორტი და, რაც მთავარია, აღდგენა მოხდა ახალ სოციალისტურ საფუძველზე. სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში გაიზარდა კერძო-კაპიტალისტურ საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წონის ხარჯზე. მრეწველობის საერთო პროდუქციაში 78,8 პროცენტი მოდიოდა სახელმწიფო მრეწველობაზე. კერძოკაპიტალისტურ მრეწველობაზე კი, მხოლოდ 13,2 პროცენტი, მანგანუმის მრეწველობის (9,8%) ჩათვლით.

მრეწველობისა და ტრანსპორტის ომამდელი დონე, საერთოდ რუსეთში, და განსაკუთრებით საქართველოში, წარმოადგენდა ეკონომიურად და ტექნიკურად უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის დონეს. პარტიისა და ხელისუფლების წინაშე იდგა სახალხო მეურნეობისა და კერძოდ მრეწველობის რეკონსტრუქციის, მძიმე ინდუსტრიის — სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის შექმნისა და განვითარების გადაუდებელი ამოცანა. სხვანაირად შეუძლებელი იყო სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მრეწველობის შემდ-

---

[1] «Народное хозяйство Закавказья в цифрах», стр. 544—565.

გომი განვითარება მას შემდეგ, რაც იგი უკვე გაუტოლდა ომამდელ დონეს, ნიშნავდა მის განვითარებას ახალ ტექნიკურ ბაზაზე, ახალი მოწყობილობის გამოყენებით და ახალი ქარხნების მშენებლობის გაშლით.

აღდგენითი პერიოდის დასასრულს კომუნისტური პარტიის წინაშე მთელი ძალით წამოიჭრა საკითხები ქვეყნის განვითარების შემდგომი პერსპექტივების შესახებ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, აგრეთვე საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვაშენოთ სოციალისტური სახალხო მეურნეობა, რა მხრიდან უნდა დავიწყოთ ეს მშენებლობა და სხვ. ეს საკითხები წამოიჭრა პარტიის წინაშე არა როგორც თეორიული, არამედ როგორც პრაქტიკული მშენებლობის საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ.

ყველა ამ საკითხზე კომუნისტურმა პარტიამ გასცა გარკვეული და ნათელი პასუხი. პარტიამ დასახა კონკრეტული გეგმა ჯერ კიდევ 1917 წელს პოლიტიკურად დამხობილი ბურჟუაზიის ეკონომიური დამარცხებისათვის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის შექმნისათვის. ასეთი გრანდიოზული ამოცანის შესრულება უნდა დაწყებულიყო სოციალისტური ინდუსტრიალიზაციით. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია იყო ის ძირითადი რგოლი, რომლიდანაც უნდა დაწყებულიყო სოციალისტური სახალხო მეურნეობის მშენებლობა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა ამ გეგმის განხილვას XIV კონფერენციაზე, რათა იგი მოწონებული და მიღებული ყოფილიყო, როგორც პარტიის გეზი, როგორც პარტიის კანონი, პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო. ამ გეზის წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრეს ტროცკისტებმა. ბუხარინმა კი აშკარად გამოსვლა ვერ გაბედა და ფარულად მოქმედებდა. პარტიის XIV კონფერენციამ (1925 წლის აპრილი) დაჰგმო აშკარა და ფარული ოპოზიციონერები ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი და სხვ. კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა. საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს პარტიის მიერ შემუშავებულ გეზს და მისი განხორციელებისათვის დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების IV ყრილობის მიერ გ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ყრილობა, აღნიშნავს რა ამიერკავკასიაში ინდუსტრიალიზაციისათვის ძირითადი ელემენტების (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, სპილენძი, მარგანეცი, ქვანახშირი, თეთრი ნახშირი) არსებობას, საკვლევით იწონებს მძიმე მრეწველობის განვითარებისაკენ პარტიის მიერ აღებულ

კურსს, რომლის გარეშეც შეუძლებელია განხორციელდეს გადასვლა მეურნეობის არსებულ ჩამორჩენილ ფორმებიდან სოციალისტურზე"[1].

1925 წლის დეკემბერში გაიხსნა პარტიის XIV ყრილობა. ყრილობა მიმდინარეობდა დაძაბულ შინაპარტიულ ვითარებაში. „ახალი ოპოზიცია" თავს დაესხა პარტიას. იგი უარყოფდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. ყრილობამ უარყო ოპოზიციონერთა კაპიტულანტური გეგმები და პარტიის წინაშე დააყენა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმის აშენების გარდუვალი ამოცანები. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია უზრუნველყოფდა ჩვენს ეკონომიურ დამოუკიდებლობას, განამტკიცებდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ქმნიდა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებელ პირობებს.

პარტიის XIV ყრილობამ თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში ჩაწერა: „ეკონომიური მშენებლობის დარგში ყრილობა ემყარება იმას, რომ ჩვენს ქვეყანას, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას, აქვს „ყოველივე... აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად" (ლენინი). ყრილობა თვლის, რომ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლა ჩვენი პარტიის ძირითადი ამოცანაა"[2]. ამრიგად, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობას ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მან ძირფესვიანად გამოააშკარავა „ახალი ოპოზიციის" შეცდომები, უკუაგდო მისი ურწმენობა და წუწუნი, ნათლად და მკაფიოდ დასახა სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გზა. პარტიას მისცა გამარჯვების პერსპექტივა და პროლეტარიატი შეაიარაღა სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენით.

საქართველოს კომუნისტები, ამარცხებდნენ რა ტროცკისტებსა და სხვა ანტიპარტიულ ელემენტებს, მოწონებით შეხვდნენ პარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. 1926 წლის იანვარში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ ფართოდ იმსჯელა პარტიის XIV ყრილობის შედეგებზე, დაგმო ოპოზიციონერები და მოიწონა ყრილობის გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომუნისტები, გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, მჭიდროდ დაირაზმნენ, ვ. ი. ლენინის დროშისა და ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დაგმეს როგორც ტროცკისტების, ისე სხვა ანტიპარტიული ელემენტების კაპიტულანტური გეგმები და უზრუნველყვეს საქართველოს მიყვანა ახალ ისტორიულ ეტაპთან — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ეტაპთან.

---

[1] «IV съезд коммунистических организаций Закавказья», стр. 435.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 253.

§ 6. ფინანსები და ვაჭრობა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიც, ფინანსები გამოიყენა როგორც ერთ-ერთი იარაღი ექსპლოატატორული კლასების შეზღუდვისა და დათრგუნვისათვის, როგორც სოციალისტური მშენებლობის მძლავრი ბერკეტი. ამ მიზნით ფინანსების გამოყენებას აწესრიგებდა სახელმწიფო ბიუჯეტი, მაგრამ საქართველოში შედარებით მტკიცე და მყარი ბიუჯეტის შექმნა მანამ ვერ მოხერხდა, სანამ არ აღმოიფხვრა მენშევიკური ხელისუფლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ფინანსური კრიზისი, სანამ არ მოხდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშნების უნიფიკაცია, და ბოლოს, ფულის რეფორმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მენშევიკური ბიუჯეტის გაუქმების შემდეგ (1921 წლის 16 აპრილი) გამოსცა დეკრეტი სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა დაფინანსების შესახებ. 1922 წლის 1 იანვრიდან ამ წესებით უნდა ეხელმძღვანელა ყველა დაწესებულებას ცალკეული ნუსხებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენისას[1]. ფრიად უმნიშვნელო იყო სახელმწიფო შემოსავალი, ამის გამო იგი სახელმწიფო ხარჯების მესამედსაც კი ვერ ფარავდა. ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ ემისიით იფარებოდა. ამის გამო საქართველოს სამაზრო რევოლუციური კომიტეტების თავმჯდომარეთა პირველი ყრილობა აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა იზრდებოდეს არა ემისიის წყალობით, არამედ გადასახადების შემოღებით მოსახლეობის შეძლებულ ფენებზე, ხოლო მუშები და მშრომელი გლეხობა განთავისუფლებულ უნდა იქნას გადასახადისაგან“.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით გაიზარდა საქონელბრუნვა, გამოჩნდა გადამალული საქონელი, გაიხსნა კარი ევროპისაკენ. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გამოუყო ოქროს ფონდი დასავლეთთან ვაჭრობის განვითარებისათვის. გაძლიერდა საზღვარგარეთიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის შემოტანა. საქართველოში დაგროვდა დიდძალი საქონელი. თითქმის ყველა საბჭოთა რესპუბლიკა თბილისსა და ბათუმში გზავნიდა თავის წარმომადგენელს საქონლის შესაძენად. საქართველოს უხდებოდა სატრანზიტო როლის შესრულება ევროპასა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

საქართველოში დასავლეთიდან მომავალი სამრეწველო საქონლის თავმოყრამ გამოიწვია საბჭოთა რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფულის დიდძალი ნიშნების დაგროვება. საქართველოს რევკომმა 1921 წლის 27 თებერვალს სავალდებულოდ გამოაცხადა საბჭოთა რუსეთის

[1] «Ревкомы Грузии», стр. 326 — 328.

ფულის ნიშნების მიღება ქართული ბონების თანაბრად[1], ხოლო ამავე წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით იგი გაავრცელა საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა სომხეთის ფულის ნიშნებზე[2]. ყოველივე ეს, ნაციონალ-უკლონისტების აზრით, საფრთხეს უქმნიდა ქართული ფულის კურსს, ამიტომ ქართული ფულის კურსის სტაბილიზაციის მიზნით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ნაციონალ-უკლონისტების მოთხოვნით მიიღო რიგი დადგენილება (1921 წლის ივნისის, 5 ივლისის, 1922 წლის 8 თებერვლის დეკრეტები და სხვ.), რომლებიც აცხადებდნენ საბჭოთა რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფულის ნიშნების თავისუფალი კურსით მიღებას[3].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს საქართველოს ბაზარზე საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების სწრაფი გაუფასურება. გაიზარდა მოთხოვნილება ქართული ფულის ნიშნებზე. საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნები იდევნებოდა მიმოქცევიდან. ქართულმა მანეთმა მიაღწია შედარებით სტაბილურ მდგომარეობას, მაგრამ იგი მყარი არ იყო, რადგანაც, ჯ ე რ ე რ თ ი, იგი მიღწეულ იქნა საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსური მეურნეობისაგან იზოლირებულად; მ ე ო რ ე ც, იგი დასავლეთის შედარებით იაფ საქონელს ემყარებოდა, რომელზედაც დიდხანს არ შეიძლებოდა კურსის აღება, და ბოლოს, მ ე ს ა მ ე, საქართველოს არ შეიძლებოდა დიდხანს ჰქონოდა სატრანზიტო მდგომარეობა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის საფინანსო და საემისიო პოლიტიკა გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიურ იზოლაციას სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, და მეორეც, საბჭოთა რუსეთის სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების აღორძინება გამოიწვევდა საბჭოთა რესპუბლიკების ორიენტაციის შეცვლას საგარეო ვაჭრობაში. და მართლაც, 1922 წლის ბოლოდან საბჭოთა რესპუბლიკები უარს აცხადებდნენ დასავლეთის საქონელზე, საქონლის მომწოდებლის როლში გამოდის საბჭოთა რუსეთი. საქართველო კარგავს თავის პრივილეგიურ მდგომარეობას, როგორც სატრანზიტო ქვეყანა და იწყება ქართული ფულის ნიშნების სწრაფი გაუფასურება. გამოსავალი საფინანსო მეურნეობათა გაერთიანებაში იყო, მაგრამ ამ ღონისძიების წინააღმდეგ თავიდანვე გამოდიოდნენ ნაციონალ-უკლონისტები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო-ეკონომიური გაერთიანება და სახალხო მეურნეობის აღდგენა გადაუდებლად მოითხოვდა ფუ-

---

[1] «Ревкомы Грузии», стр. 315.

[2] იქვე, გვ. 319.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 219, ფურც. 73.

ლის ერთიანი და მყარი სისტემის შექმნას, მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არსებული სეპარატული ემისია და დამოუკიდებელი ბიუჯეტები შეუძლებელს ხდიდნენ ფულის მყარი სისტემის შექმნას. ფულის მყარი სისტემის შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო უარის თქმა სეპარატულ ემისიაზე და გადასვლა რესპუბლიკათა ერთიან ბიუჯეტზე და საერთო ფედერალურ ფულის ნიშნებზე.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, მიუხედავად ქართველი ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობისა, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსური გაერთიანების შესახებ. 1922 წლის 25 ოქტომბრიდან წყდებოდა ეროვნულ რესპუბლიკებში ემისია, იწყებოდა ამიერკავკასიის ფედერალური ფულის ნიშნების გამოშვება საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების თანაბარი კურსით.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ამ დადგენილებას წინაღუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური შემადგენლობა. მან 1922 წლის 12 სექტემბერს განიხილა ამიერკავკასიის ფულის რეფორმის (უნიფიკაციის) საკითხი და სამხარეო კომიტეტის 4 სექტემბრის დადგენილებით აღიარებული საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის ფინანსური გაერთიანება ნაადრევ და უაღრესად საშიშ ღონისძიებად ჩათვალა. ნაციონალ-უკლონისტები მოითხოვდნენ აღნიშნული უნიფიკაციის გადადებას მანამ, სანამ არ გათანაბრდებოდა რუსული მანეთისა და ქართული მანეთის კურსი[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის დავა საბოლოოდ გადაწყვიტა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. მან აღიარა საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსური გაერთიანება, როგორც აუცილებელი ღონისძიება, მაგრამ მხარი არ დაუჭირა სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ფულის ახალი ნიშნების კურსის საბჭოთა რუსეთის ფულის კურსთან გათანაბრების შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართული მანეთის შედარებით სტაბილური კურსი.

ერთიანი ფულის ნიშნებზე გადასვლას მოითხოვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნურად გათიშული სამეურნეო ცხოვრების გაერთიანების აუცილებლობა. ამიერკავკასიის ფულის ნიშნების უნიფიკაცია ნაკარნახევი იყო აგრეთვე იმითაც, რომ ცალკეულ რესპუბლიკათა ფულის

---

[1] ქართული ფულის სყიდვითი უნარიანობა მაშინ 25-ჯერ უფრო დიდი იყო საბჭოთა რუსეთის ფულის სყიდვით უნარიანობასთან შედარებით (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 16, ფურც. 87 — 89).

ნიშნებს ჰქონდათ მსვლელობის ძლიერ განსაზღვრული არეალი, რის გამოც როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების ეკონომიურ კონიუნქტურაში მცირეოდენი ცვლილებაც კი დიდ გავლენას ახდენდა ფულის კურსზე. ფულის მერყეევი კურსი კი აფერხებდა სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეობას მთელ ამიერკავკასიაში. პარტიისა და მთავრობის მიერ განზრახული რეფორმით (უნიფიკაციით) ამიერკავკასიაში უნდა შექმნილიყო ერთიანი ფულის სისტემა ერთიანი ნიშნით, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი ბიუჯეტი და ერთიანი საემისიო ცენტრი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში გატარდებოდა ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა, რაც შესაძლებელს გახდიდა ერთიანი საფინანსო გეგმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა ცალკეული რესპუბლიკების რესურსებისა და გაერთიანებული ფონდების მიზანშეწონილ გამოყენებას.

ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნებზე გადასვლა არ ცვლიდა საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნებთან ურთიერთობას და ტოვებდა ამიერკავკასიის ბაზარზე საბჭოთა რუსეთის ფულისათვის status gvo-ს [1]. ნაციონალ-უკლონისტები, ამის მიუხედავად, მაინც არ უპერდნენ მხარს ამიერკავკასიის ერთიანი ფულის სისტემას. მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ გატეხა მათი წინააღმდეგობა და საბოლოოდ გადაწყდა ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნებზე გადასვლა, რაც უნდა დამთავრებულიყო 1923 წლის დასაწყისში. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების თანახმად რესპუბლიკური ფულის ნიშნები ამიერკავკასიის ფულის ნიშნების გამოსვლიდან ორი თვის განმავლობაში უნდა შეცვლილიყო, შემდეგ კი უქმდებოდა. აზერბაიჯანსა და სომხეთში შეცვლა უნდა მომხდარიყო სალიკვიდაციო კურსით, რომელიც დადგინდებოდა შეცვლის მომენტისათვის (1923 წლის 10 იანვრისათვის) არსებულ საბაზრო კურსთან შედარებით, საქართველოში კი პარიტეტის მიხედვით [2].

1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „სამოკავშირეო საბჭომ" გამოსცა დეკრეტი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოშვების შესახებ" [3]. ამ დღიდან შეწყდა ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სეპარატული ემისია. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებს საფუძვლად ქართული ფული დაედო. ქართული ფულის ერთი, აზერბაიჯანის — 100 და სომხეთის — 150 მანეთი გათანაბრებული იყო ამიერკავკასიის ფულის ერთ მანეთთან [4]. ამიერკავკასიის ფულის მტკიცე კურსის შენარჩუნების მიზნით საკავშირო

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 17 დეკემბერი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 126, ფურც. 56—57.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 10 იანვარი.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 126, ფურც. 56 — 57.

მთავრობის მიერ საქონლისა და ვალუტის ინტერვენციისათვის ამიერკავკასიას გამოეყო 1,5 მილიონი ფუთი პური, 5 მილიონი არშინი მანუფაქტურა და 10 150 ათასი მანეთი ოქროთი, რასაც ნაწილ-ნაწილ ღებულობდნენ ამიერკავკასიაში. ამის შემდეგ წარმატებით ჩატარდა გადასვლა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე.

საქართველოსა და ამიერკავკასიის საფინანსო მეურნეობის გაჯანსაღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციასა და მოწესრიგებას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა რევოლუციურმა კომიტეტმა. მან გააუქმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებული გადასახადები, დატოვა მხოლოდ სახელმწიფო სარეწაო გადასახადი კაპიტალზე, ხოლო კერძო საწარმოთა მოგების პროცენტული გადასახადი გადაიყვანა პროგრესული დაბეგვრის პრინციპზე.

1921 წლის ივლის-აგვისტოში შემოიღეს სასურსათო-ნატურალური გადასახადი. იმის გამო, რომ გადასახადის ნატურალურმა ფორმამ მთლიანად ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება საქართველოში, ვერ შეუწყო ხელი სასაქონლო ურთიერთობის, საქონელბრუნვის და, მაშასადამე, სოფლისა და ქალაქის ეკონომიური კავშირის განვითარებას, იგი თანდათან შეცვალეს გადასახადის ფულადი ფორმით. 1921 წლის 26 ივლისს შემოიღეს ვაჭრების, სპეკულანტებისა, და საერთოდ, ბურჟუაზიული ელემენტების მიმართ „სანიტარული გადასახდელი“.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ცდილობდნენ პირდაპირი გადასახადების ხარჯზე არაპირდაპირი გადასახადების შემცირებას. ამ მიზნით შეცვალეს არაპირდაპირი დაბეგვრის სისტემა. არაპირდაპირი გადასახადების სიმძიმე შეუმსუბუქდა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას. პირველი მოთხოვნილების მთელი რიგი საგნები თავისუფლდებოდა სააქციზო გადასახადებისაგან და იბეგრებოდა მხოლოდ ფუფუნების საგნები, თანახმად რკპ (ბ) XI ყრილობის დადგენილებისა, რომელიც მიუთითებდა, რომ „ფუფუნების საგანთა წარმოებისა და მოხმარების დაბეგვრა განსაკუთრებით მკაცრი უნდა იყოს“[1].

პირდაპირ გადასახადთა შორის ცენტრალური ადგილი ეჭირა როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით 1923 წლის 10 მაისიდან შემოღებულ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. მან შეცვალა სასურსათო-ნატურალური გადასახადი, პროგრესულ-საშემოსავლო, საკომლო და სხვა ადგილობრივი ხასიათის გადასახადებით, რომლებსაც იხდიდა სოფლის მოსახლეობა[2].

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 794.

[2] «Обзор деятельности СНК ЗСФСР за 1923 г.», стр. 34 — 35.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დანიშნულება იყო ჯ ე რ ე რ თ ი, გლეხური მეურნეობის აღდგენისათვის, მისი საქონლიანობის ზრდისათვის ხელის შეწყობა, მ ე ო რ ე, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და გამოდევნა, და ბოლოს, მ ე ს ა მ ე, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფა [1]. სოფლად არსებული სხვადასხვა გადასახადის უნიფიკაცია, გლეხობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება და ნატურით გადახდევინების ნაცვლად გადასახადის ფულად ფორმაზე გადასვლა ხელს უწყობდა გლეხურ მეურნეობათა აღმავლობას, მისი საქონლიანობის ზრდას და, მაშასადამე, სოფლისა და ქალაქის ეკონომიური კავშირის განმტკიცებას. აღნიშნული გადასახადის პროგრესული ხასიათი უღარიბეს გლეხობას ანთავისუფლებდა, ხოლო საშუალო გლეხობას უმსუბუქებდა საგადასახადო ტვირთს და მისი მთელი სიმძიმე კულაკურ-გლეხურ მეურნეობებს აწვებოდა, ზღუდავდა მათი ეკონომიური ძლიერების შემდგომ ზრდას, პროლეტარიატის გარშემო რაზმავდა ღარიბსა და საშუალო გლეხობას.

ამრიგად, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფულის სისტემის უნიფიკაციამ, საგადასახადო სისტემის გარდაქმნამ და მოწესრიგებამ კიდევ უფრო განამტკიცეს სამეურნეო-ეკონომიური კავშირი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის, გააჯანსაღეს ფედერალური საფინანსო მეურნეობა და ხელი შეუწყვეს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

საბჭოთა რუსეთში იმის შემდეგ, რაც ოქროს ათმანეთიანის კურსმა დაიწყო ზრდა, იგი ამოიღეს მიმოქცევიდან, როგორც ანგარიშსწორებისა და გადახდის საშუალება. ასევე მოხდა ამიერკავკასიაშიც. 1923 წლის 22 მაისიდან შემოიღეს ჩერვონეცი, როგორც ანგარიშსწორების საშუალება. 1923 წლის მეორე ნახევრიდან დაცემას იწყებს ამიერკავკასიის ფულის კურსი. 1924 წლის დასაწყისში იგი კატასტროფულ ხასიათს იღებს. ასე მაგალითად, თბილისის ოფიციალურ ბირჟაზე 1 ჩერვონეცი ღირდა 1924 წლის 2 იანვარს 465 მილიონი მანეთი, ხოლო იმავე წლის 14 აპრილს ჩერვონეცის ფასი გაიზარდა 125 მილიარდ მანეთამდე ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

ამრიგად, მტკიცე საბჭოთა ვალუტის — ჩერვონეცის — არსებობის პირობებში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფულის სისტემის არსებობა. ამიტომ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1924 წლის 18 თებერვალს მიიღეს დადგენილება (პრესაში გამო-

---

[1] К. Н. П л о т н и к о в, Очерки истории бюджета Советского государства, М., 1954, стр. 80.

ქვეყნდა 20 თებერვალს) „ამიერკავკასიის სფსრ ტერიტორიაზე სსრკ სახელმწიფო ხაზინის ბილეთების სავალდებულო მიმოქცევის შესახებ“.

1924 წლის 4 აპრილის დეკრეტით ამიერკავკასიის მთავრობამ საკავშირო მთავრობის დავალებით დაიწყო ფულის რეფორმა. 14 აპრილიდან შეწყდა ამიერკავკასიის ფულის ნიშნების ბეჭდვა, გამოშვება კი 15 აპრილიდან. ამავე დროს დაიწყო ამიერკავკასიის ფულის ნიშნების გადაცვლა ჩერვონეცზე. ჩერვონეცის ერთ მანეთზე იცვლებოდა ამიერკავკასიაში ადგილობრივი ფულის ნიშნის 12,5 მილიონი მანეთი.

საქართველოში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო სესხების გავრცელებას. პირველი სახელმწიფო სესხი იყო საქართველოში 1922 წლის 6-პროცენტიანი მომგებიანი სესხი. იგი ვრცელდებოდა იძულებით კაპიტალისტ-მოიჯარადრეთა შორის, ხელშეკრულებით კუთვნილი თანხების გაცემის დროს სახელმწიფოს მიერ მოიჯარადრეებს მისაღები თანხის 15 პროცენტი ეძლეოდათ სახელმწიფო ობლიგაციების სახით. საქართველოში 1924 წლის ივლისისათვის რეალიზებული იყო 160 355 მანეთის ობლიგაცია, 1924 წლის მაისს გამოუშვეს მეორე სახელმწიფო 6-პროცენტიანი, მომგებიანი სესხი. მისი რეალიზაცია ისეთივე წესით ხდებოდა, როგორც პირველ შემთხვევაში. მეორე სახელმწიფო სესხი გავრცელდა 1 065 630 მანეთის რაოდენობით.

1924 წლის ივლისიდან დაიწყო პირველი 5-პროცენტიანი საგლეხო სესხის რეალიზაცია. იგი გავრცელდა 90 500 მანეთის რაოდენობით. 1925 წელს გამოვიდა პირველი მოკლევადიანი სესხი. ეს იყო პირველი სესხი, რომელიც ვრცელდებოდა ნებაყოფლობით, იგი გავრცელდა საქართველოში 169 600 მანეთის რაოდენობით. 1925 წლის ნოემბრიდან დაიწყო მეორე საგლეხო 12-პროცენტიანი, მომგებიანი სესხის ობლიგაციების გავრცელება. იგი გავრცელდა 321 ათასი მანეთის რაოდენობით[1].

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო კრედიტს. ამიტომ პარტიამ და ხელისუფლებამ თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქციეს საკრედიტო სისტემის მოგვარებას. პირველ რიგში მან ბანკებზე დააწესა კონტროლი და შემდეგ მოახდინა მათი ნაციონალიზაცია[2]. სახალხო მეურნეობის დაკრედიტებისა და ფულის ტრიალის რეგულირების ფუნქციები დაეკისრა სახალხო ბანკს, რომელმაც დაიწყო მოქმედება 1921 წლის 1 სექტემბერს. შემდეგში იგი გაიყო ორ დამოუკიდებელ ბანკად — სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო.

---

[1] А. Какабадзе, Закономерности развития финансов Грузинской ССР, 1962, ч. 1, стр. 311 — 313.

[2] «Ревкомы Грузии», стр. 314, 325 — 326.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების საკრედიტო პოლიტიკა, ისე როგორც საგადასახადო პოლიტიკა, მიმართული იყო სოციალისტური სექტორის განვითარება-განმტკიცებისაკენ სახალხო მეურნეობიდან კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობით გამოდევნისაკენ.

ვაჭრობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, სოციალისტურ მრეწველობასა და გლეხურ ეკონომიკას შორის კავშირის განმტკიცება, უპირველეს ყოვლისა, ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ყოველნაირად განვითარების გზით. ამიტომ ვაჭრობა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში წარმოადგენდა ძირითად რგოლს იმ ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც პარტიის წინაშე იყო დასახული. საბჭოთა ვაჭრობის განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო საქონელბრუნვის გაშლა ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური კავშირის განმტკიცება, დანგრეული სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ფეხზე დაყენება.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია ვაჭრობის მართებულ ორგანიზაციას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლებას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში, ვ. ი. ლენინისაგან ჯერ კიდევ დირექტივების მიღებამდე, ადგილი ჰქონდა კერძო ვაჭართა და კერძო სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციათა კუთვნილ სურსათ-სანოვაგისა და სამრეწველო საქონლის რეკვიზიციას, კონფისკაციასა და ნაციონალიზაციას. ამით შეშინებულმა კერძო სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გადამალეს შემორჩენილი საქონლის მარაგი. დაიწყო ფასების ზღაპრული ზრდა[1]. საქმეს ვერ უშველა საქართველოს საგანგებო კომისიის 1921 წლის 6 აპრილის გამოქვეყნებულმა ბრძანებამაც[2]. ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება 1921 წლის ივლის-აგვისტოდან. სავაჭრო დაწესებულებები რამდენიმე დღეში გაივსო სასურსათო და სამრეწველო საქონლით[3]. გაიხსნა კარი ევროპისაკენ — გაჩაღდა ვაჭრობა დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან ბათუმის სავაჭრო გზით. ვაჭრობის გამოცოცხლება, უპირველეს ყოვლისა, დაეტყო საქონლის ფასებს, სასურსათო და სამრეწველო საქონელი შედარებით გაიაფდა, სექტემბერსა და ოქტომბერში შესამჩნევი გახდა ფასების აბსოლუტური დაწევა[4].

---

[1] «Закавказский финансово-статистический сборник 1918—1923 гг.»., Тиф., 1924, стр. 31.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1921 წლის 6 აპრილი.

[3] «Закавказский финансово-статистический сборник 1918 — 1923 гг.», стр. 32.

[4] იქვე.

საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ქვეყნის ეკონომიური ძალების განმტკიცებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის მართებულ ორგანიზაციას. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის მოწესრიგებას დიდად აფერხებდა თვით რესპუბლიკათა შორის ვაჭრობისა, და საერთოდ, ეკონომიური ურთიერთობის მოუგვარებლობა. ამ მხრივ ერთ-ერთ ხელშემშლელ გარემოებას წარმოადგენდა რესპუბლიკათა შორის არსებული საბაჟო და საკონტროლო პუნქტები, რომელთაც დიდხანს ინარჩუნებდნენ ნაციონალ-უკლონისტები. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ ჯერ კიდევ 1921 წლის 2 მაისს მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების შესახებ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს დაავალა სათანადო ღონისძიებათა გატარება საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გასაუქმებლად[1]. საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა 1922 წლის 20 აგვისტოს კატეგორიული წინადადება მიეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, რათა 24 საათის განმავლობაში მოეხსნა ყოველგვარი საკონტროლო პუნქტები, ყოველგვარი შეზღუდვანი საქონლის გატანა-შემოტანაზე [2]. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების საბოლოო და ნამდვილი ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეს ჩამოაშორეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკლონისტური ხელმძღვანელობა.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ვაჭრობის განვითარებისათვის, რესპუბლიკათა შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის და საერთო ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო ვაჭრობის ერთიანი სისტემის მოწყობას. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1921 წლის 2 ივნისს, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ[3]. ამას მოჰყვა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია[4]. ამ კომისარიატის ამოცანას შეადგენდა: საგარეო ბაზრებთან სა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 1, ფურც. 55 — 57.

[2] იქვე, საქ. 47, ფურც. 28.

[3] Газ. «Правда Грузии», 25 июня 1921 г.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 201, ფურც. 132.

ქონელგაცვლის ორგანიზაცია, ხელშეკრულების დამდებ სამივე რესპუბ-ლიკის სავალუტო ფონდების გაერთიანება და საკუთარი სავალუტო ფონდის შექმნა, უცხოური ვალუტის შეძენა და სხვ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებას წინ აღუდგნენ ნაციონალ-უკლონისტები. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ჩასაშლელად. ნაციონალ-უკლონის-ტები უარს აცხადებდნენ საქართველოს სავალუტო ფონდი გადაეცათ გა-ერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის [1]. კიდევ მეტი, ნაციონალ-უკლონისტების დავალებით საქართველოს სახელმწიფო ბანკმა, თავისი აგენტების საშუალებით ფარულად დაიწყო ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტის შეძენა, რაც მაღლა სწევდა ვალუტის ფასს და ძირს უთხრიდა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას [2].

ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ეკონომიური პოლიტიკა სა-გარეო ვაჭრობის დარგში დასავლეთის კაპიტალზე იღებდა ორიენტაციას. ასე მაგალითად, ნაციონალ-უკლონისტები მოითხოვდნენ ბათუმის ნავთის რეზერვუართა დენაციონალიზაციას და მათ საკონცესიოდ გადაცემას ნავთის იმპერიალისტური კონცერნისათვის — „სტანდარტ-ოილისათვის"; საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრე-ზიდიუმის სხდომაზე ჯერ კიდევ 1921 წლის 12 სექტემბერს მოითხოვდა ბ. მდივანი კერძო საკრედიტო დაწესებულებათა გახსნას, მაგრამ მისი მოთხოვნა სამართლიანად უარყვეს [3]. ნაციონალ-უკლონისტები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. ისინი ცდილობდნენ ბათუმში კერძოკაპიტა-ლისტური ბანკის გახსნას კაპიტალისტ ა. ხოშტარიას წინადადებით, მას-თან მოსალაპარაკებლად სპეციალურად გაგზავნეს კაცი სტამბოლში [4].

ნაციონალ-უკლონისტების მიერ დასავლეთის კაპიტალზე აღებული ორიენტაცია, რომ მას წარმატება ჰქონოდა, მოშლიდა და დააუძლურებ-და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ეკონომიურ კავშირს, გააძლი-ერებდა პოლიტიკური სეპარატიზმის ტენდენციებს და, მაშასადამე, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ კავშირს, პირველ რიგში ამიერკავკასიის ფედერაციას. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონტროლს დაექვემდებარე-ბოდა და მთელი ეს მხარე კაპიტალისტური დასავლეთის სასოფლო-სამე-ურნეო დანამატად გადაიქცეოდა. ამიტომ იყო, რომ ნაციონალ-უკლო-ნიზმის ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს კომუნისტები გ. ორჯონიკიძის მეთაურობით.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 5, ფურც. 311.
[2] იქვე, ფ. 12, საქ. 47, ფურც. 57.
[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 192, ფურც. 205.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 5, ფურც. 24.

გ. ორჯონიკიძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე ყრილობაზე 1924 წელს, აკრიტიკებდა რა ნაციონალ-უკლონისტების ეკონომიური კაპიტულაციის პოლიტიკას, ნაციონალ-უკლონიზმის ერთ-ერთ ლიდერს კ. ცინცაძეს მიმართავდა: „სწორედ იმაშია შენი უბედურება, რომ არ გესმის სად რა უნდა აკეთო. როდესაც ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვქმნიდით საქართველოში, ამხ. ლენინმა მოგვცა დირექტივა, გამოგვეყენებინა ბათუმის ღია კარები და გაგვეცა უცხოელებზე კონცესიები. ჩვენ ეს შევასრულეთ. განვლო საკმაო დრომ და ჩვენ ცოტა-ცოტად დავიწყეთ საკუთარ ფეხებზე დგომა, საჭირო იყო ხაზის მოსკოვისაკენ, რუსეთის მრეწველობისაკენ მობრუნება... და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დროა ეს გავაკეთოთ, თქვენ ლაპარაკობთ, ჯერ კიდევ ადრეა, უკეთესია ორიენტაცია ავიღოთ იაფ საქონელზე“[1].

საქართველოს კომუნისტები ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანების, საგარეო ვაჭრობის გაერთიანების, ფულის რეფორმისა და სხვა საკითხთა გადაწყვეტის დროს გამოდიოდნენ ლენინური დებულებიდან: პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში პოლიტიკის უპირატესობის შესახებ ეკონომიკასთან შედარებით, რაც მდგომარეობს სოციალისტური მშენებლობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას პოლიტიკური მიდგომის უპირატესობაში. სწორედ ამ მხარეს უგულვებელყოფდნენ ნაციონალ-უკლონისტები. ისინი ვიწრო ნაციონალისტურ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე პროლეტარულ კლასობრივ პოლიტიკას, ინტერნაციონალისტურ ინტერესებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საბჭოთა ხალხების ურთიერთდახმარებასა და მეგობრულ თანამშრომლობას, მათ საერთო ეკონომიურსა და კულტურულ აღმავლობას. საქართველოს კომუნისტები, ხელმძღვანელობდნენ რა ამიერკავკასიის ხალხთა საერთო, ინტერნაციონალისტური ინტერესებით, წარმატებით სძლევდნენ ნაციონალ-უკლონისტების პოზიციებს და უზრუნველყოფდნენ ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ მშვიდობიანობას, საერთო ძალების გაერთიანებას ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობამ (1923 წლის მარტი) მოისმინა საკითხი სამეურნეო მშენებლობის შესახებ და მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც სერიოზული ყურადღება დაეთმო საშინაო ვაჭრობის საკითხებს. საშინაო ვაჭრობის განვითარება აღიარა სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად. ყრილობამ აღიარა, რომ სავაჭრო ორგანოებს გააჩნდათ მთელი რიგი დეფექტები, როგორიცაა, მაგალითად, გაბერილი სავაჭრო აპარატები, მოუქნელი მუ-

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 122 — 123.

შაობა, მაღალი ზედნადები ხარჯები, საქონელბრუნვის ნელი ტემპით განვითარება და სხვ. ამიტომ ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა გადაუდებელი ამოცანები: სავაჭრო აპარატების გაუმჯობესების, საქონელბრუნვისა და გლეხური ბაზრის გაფართოების, ამიერკავკასიის საშინაო ბაზრის შესწავლის, კოოპერატიული ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და სხვათა შესახებ[1].

ტროცკისტების მავნებლური პოლიტიკის შედეგად ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევამ 1923 წლის შემოდგომისათვის კიდევ უფრო გაამწვავა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო სიძნელეები. მკვეთრად დაშორდა სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები ერთმანეთს. პურის ფასი დაბალი იყო, სამრეწველო საქონლისა კი უზომოდ მაღალი. მრეწველობის მაღალი ზედნადები ხარჯები აძვირებდა საქონელს. ფული, რომელსაც გლეხობა პურის გაყიდვით ღებულობდა, სწრაფად უფასურდებოდა. ასეთ პირობებში გლეხობისათვის ხელსაყრელი არ იყო ქალაქის ნაწარმის შეძენა, რითაც შეფერხდა მისი გაყიდვა. დაიწყო გასაღების კრიზისი. შესუსტდა ქალაქისა და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური კავშირი, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. გაჩნდა სიძნელეები ხელფასის გაცემაში, რაც იწვევდა მუშების უკმაყოფილებას. არც გლეხობა იყო კმაყოფილი, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური საფუძველი — მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი.

ეგრეთ წოდებული „მაკრატლის" საკითხი საქართველოში უფრო მწვავედ დადგა, ვიდრე საბჭოთა რუსეთში. ჯ ე რ ე რ თ ი, სამრეწველო საქონლის ძირითადი მასა მოდიოდა რუსეთიდან და მას ემატებოდა გზის ხარჯები; მ ე ო რ ე ც, საქართველოს მრეწველობის განვითარების შედარებით დაბალი დონე საგრძნობლად ზრდიდა საქონლის თვითღირებულებას და, მაშასადამე, საბაზრო ფასებსაც და მ ე ს ა მ ე, საქართველოს გეოგრაფიული პირობები და სუსტი ტრანსპორტი ხელს უშლიდა საქონელბრუნვის გაშლას სოფელსა და ქალაქს შორის. ყოველივე ამის გამო საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები ომამდელთან შედარებით დაეცა 50 პროცენტით და მეტისმეტად გაიზარდა სამრეწველო საქონლის ფასები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 16 — 18 დეკემბერს თავის გაფართოებულ პლენუმზე მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება „მაკრატლის შესახებ" და დაადგინა:

---

[1] «Резолюция и постановления II съезда коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1923, стр. 27 — 29.

1) ცეკავშირისათვის უპროცენტო სესხის მიცემა ოთხი თვის ვადით (პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და საზღვარგარეთ გატანისათვის)[1]; 2) საბანკო კრედიტის გაიაფება (იგულისხმებოდა კოოპერაციისათვის მიცემული კრედიტი); 3) ტრესტებისა და სამრეწველო საწარმოთა მიერ კოოპერაციისათვის საქონლის კრედიტის გაფართოება; 4) შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ბაზრის მოწესრიგება და მისი უზრუნველყოფა გლეხური მოთხოვნილების საგნებით; 5) ამავე კომისარიატის მიერ გლეხური მეურნეობის პროდუქციის გასაღების სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა; 6) დაკვრითი ხასიათის ამოცანად გამოცხადდეს საქონელზე ზედნადები ხარჯების შემცირება და სხვ.[2]. ამის შემდეგ მიიღეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, წარმოების ნედლეულით მომარაგების, საწარმოთა სრული დატვირთვის, შეძლებისდაგვარად მუშების გამომუშავებაზე გადაყვანის, პრემიალური სისტემის დანერგვის, მუშათა კვალიფიკაციისა და საერთო შეგნებულობის დონის ამაღლების, გამომუშავების ნორმების გადასინჯვისა და სამუშაო დღის შემჭიდროების, სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებისა და სავაჭრო აპარატის გამარტივება-გაიაფებისათვის [3].

1923 წლის დასასრულისათვის მთავრობამ სამრეწველო საქონლის ფასებს საბჭოთა რუსეთში დაუკლო საშუალოდ 28 პროცენტით, საქართველოში — 29 პროცენტით, პროვინციულ ქალაქებში — 43 პროცენტით. პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებულ ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად „მაკრატლის" პირები თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მინიმუმამდე დადიოდა განსხვავება სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასებს შორის.

ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების III ყრილობაზე, 1924 წლის მაისში, თავის საანგარიშო მოხსენებაში გ. ორჯონიკიძე, ეხებოდა რა „მაკრატლის" პრობლემას, აღნიშნავდა, რომ „მაკრატელმა" ბრძოლებში გაუწვრთნელი ადამიანები პანიკაში ჩააგდო, მათ ეგონათ, რომ საბჭოთა ქვეყანა დაიღუპებოდა. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. საბჭოთა მთავრობის მიერ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების შემდეგ 1923 წლის 1 დეკემბრიდან 1924 წლის 2 იანვრამდე სამრეწველო საქონელი გაიაფდა 37 პროცენტიდან 53 პროცენტამდე. 1923 წლის შემოდგომაზე ცეკავშირს მიეცა წინადადება საზღვარგარეთ სიმინდის

---

[1] პურისა და სიმინდის ფასის აწევისათვის საჭირო იყო საქართველოდან საზღვარგარეთ გაეტანათ სასაქონლო სიმინდის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, 2 მილიონი ფუთის რაოდენობით (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 678, ფურც. 17).

[2] იქვე, საქ. 2, ფურც. 418 — 419.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი, ფ. 600, საქ. 713, ფურც. 3 — 49.

გატანის შესახებ. 1924 წლის მაისისათვის უკვე გაიტანა ერთ მილიონ ფუთამდე. ასეთ ღონისძიებათა გატარების შედეგად „მაკრატლის“ პირები დაუახლოვდნენ ერთმანეთს. 1923 წლის ნოემბერში სოფლის მეურნეობის საქონელთა ინდექსი უდრიდა 0,55, სამრეწველო საქონლისა — 1,29, დაშორების პუნქტებში კი—74. დეკემბერში სოფლის მეურნეობის საქონელთა ინდექსი უდრიდა 0,65, სამრეწველო საქონლისა — 1,21, დაშორების პუნქტები — 56. 1924 წლის იანვარში სოფლის მეურნეობის საქონელთა ინდექსი უდრიდა 0,74, სამრეწველო საქონლისა — 1,16, დაშორების პუნქტები კი 42 და ა. შ.[1].

სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასები ერთმანეთს დაემთხვა 1925 წლის მარტში. აპრილში კვლავ დაიწყო დაშორება. მაგრამ ამჯერად საქმე გვქონდა შებრუნებულ პროცესთან — სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების ზრდასთან და სამრეწველო საქონლის ფასების შემდგომ დაცემასთან მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რაც დროებითი, სეზონური ხასიათისა იყო. იგი დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობაში 1924-25 წლის მცირე მოსავლიანობასთან [2].

სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების დაახლოება, „მაკრატლის“ პირების დახურვა ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და გლეხობის, ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებას, მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებასა და კომუნისტურ პარტიას ამით დაკმაყოფილება არ შეეძლო, რადგან „მაკრატლის“ პირის დახურვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საერთოდ ფასების ომამდელი დონის მიღწევას. 1925 წლის 1 იანვრისათვის, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სამრეწველო საქონლის საბითუმო ფასები 1913 წლის სამრეწველო საქონლის საბითუმო ფასების 170 პროცენტს შეადგენდა, საცალო ფასები კი 184 პროცენტს. ასეთივე სურათს გვიჩვენებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები. 1925 წლის 1 იანვრისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საბითუმო ფასები 1913 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საბითუმო ფასების 158 პროცენტს შეადგენდა, საცალო ფასები კი 155 პროცენტს[3]. ამიტომ პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო

---

[1] დაშორების პუნქტები თანდათანობით მცირდება: თებერვალში 1,13 — 0,78 = 35; მარტში 1,13 — 0,81 = 32; აპრილში 1,04 — 0,97 = 7 («III съезд коммунистических организаций Закавказья», Тиф., 1924, стр. 30). პირველია სამრეწველო საქონლის ინდექსი, მეორე სოფლის მეურნეობის საქონლისა, ნაშთია დაშორების პუნქტი.

[2] Ф. Э. Дзержинский. Промышленность СССР, ее достижения и задачи, стр. 60.

[3] იქვე, გვ. 64 — 65.

სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების დაყვანა ომამდელი ფასების დონემდე.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში სამეურნეო სიძნელეების ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის არსებული დისპროპორცია. სამეურნეო სიძნელეების შემდგომ გამწვავებას კი ხელს უწყობდა: ჯ ე რ ე რ თ ი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეზღუდული საშინაო და საგარეო ბაზარი; მ ე ო რ ე, სუსტად განვითარებული მრეწველობა, რის გამოც სამუშაო ხელფასის ზრდის ტემპები დიდად ასწრებდნენ შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპებს, რასაც მოსდევდა სამრეწველო საქონლის თვითღირებულების ზრდა და, მაშასადამე, საბაზრო ფასების ზრდაც; მ ე ს ა მ ე, ფასების საბჭოთა პოლიტიკის დარღვევა, რასაც სჩადიოდნენ სამეურნეო და მგეგმავ ორგანოებში მოკალათებული ტროცკისტები; მ ე ო თ ხ ე, ფულის მერყევი კურსი, და მ ე ხ უ თ ე, საბჭოთა სავაჭრო აპარატის მოუქნელობა და კერძო კაპიტალის მოძალება ვაჭრობის სფეროში, რის გამოც კავშირი სოციალისტურ მრეწველობასა და გლეხურ მეურნეობას შორის გაძნელებული, მოუწესრიგებელი აღმოჩნდა. გასაღების კრიზისი, როგორც ცნობილია, უმთავრესად იყო ამ გაძნელებისა და მოუწესრიგებლობის გამოხატულება[1].

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობისა და სოციალისტური საკუთრების დამკვიდრების შემდეგ კომუნისტური პარტია, ეყრდნობოდა რა საზოგადოების განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნას, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას წარმართავდა გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონის შესაბამისად. საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მუშაობის შედეგებმა ძალიან მალე იჩინეს თავი.

1923 — 1924 წლის სახალხო მეურნეობის პროდუქციაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენდა 86,1 პროცენტს, მრეწველობისა — 13,9 პროცენტს; მათ შორის დამოკიდებულებას გამოხატავდა შეფარდება 1 : 6,2. 1925 — 26 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა აღწევდა 83,0 პროცენტს, მრეწველობისა — 17,0 პროცენტს; მათ შორის დამოკიდებულების შეფარდება იყო 1:4,9. 1925 — 26 წელს, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში შემცირდა 78,1 პროცენტამდე, მრეწვე-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 45.

ლობისა კი გაიზარდა 21,9 პროცენტამდე[1]; მათ შორის დამოკიდებულებას გამოხატავდა შეფარდება 1 : 3,6.

ასე თანდათანობით ვლინდებოდა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონი საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მოღვაწეობის წყალობით. მაგრამ მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ნამდვილი წარმატებებისა და მძიმე ინდუსტრიის — პროლეტარიატის დიქტატურის ამ ერთადერთ მტკიცე ბაზის — აღდგენის კვალობაზე იყო შესაძლებელი და გარდუვალი სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონის შეცვლა ქვეყნის მთელ ეკონომიკაში და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება გლეხური მეურნეობიდან მრეწველობისაკენ[2].

ხელმძღვანელობდა რა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნებით, კომუნისტურ პარტიას სახალხო მეურნეობა გადაჰყავდა გეგმიურ საწყისებზე და ხელს უწყობდა სწორი პროპორციის დამყარებას სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის.

სახალხო მეურნეობის აღდგენაში მოპოვებულმა წარმატებებმა, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გაფართოებამ შესაძლებელი გახადეს ვაჭრობიდან კერძოკაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა. მარტო 1923 — 24 წლის მანძილზე კერძო სავაჭრო-საწარმოთა რაოდენობა 6,23 პროცენტით შემცირდა. 1924 — 25 წლიდან შეიზღუდა კერძო ვაჭრების მომარაგება სამრეწველო საქონლით, დაწესდა აგრეთვე დეფიციტური საქონლის გაცემის მტკიცე ნორმები. ამის შედეგად სავაჭრო ბრუნვაში კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა 1924 — 25 წლის 77 პროცენტიდან დაეცა 1925 — 26 წლისათვის 70 პროცენტამდე, ხოლო ამავე პერიოდში კერძოკაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოებზე პატენტების გაცემა შემცირდა 56,9 პროცენტით[3].

საბჭოთა ვაჭრობა საქართველოში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა 1923 — 24 წლიდან, რასაც ხელი შეუწყო ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ, ფულის რეფორმამ და გლეხური მეურნეობის საქონლიანობის ზრდამ[4].

საბჭოთა ვაჭრობის გაფართოებისათვის საჭირო იყო სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებასთან ერთად ფასების აწევა გლეხური მე-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) V ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1927, გვ. 6 — 7.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 886.

[3] «Промысловое и подоходное обложение в ЗСФСР за 1924 — 1927 гг.», Тб., 1928, стр. 8 — 9.

[4] «Обзор деятельности СНК и ВЭС ЗСФСР за 1924 г.», стр. 53.

ურნეობის პროდუქტებზე, რაც გაზრდიდა გლეხობის სყიდვითუნარიანობას. ამ მიმართულებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა 1923 წლის სიმინდის მოსავლის სასაქონლო ნაწილის ექსპორტის მოგვარება, რაკი არ იყიდებოდა იგი საშინაო ბაზარზე. დასავლეთ საქართველოდან 1,5 მილიონი ფუთი ჭარბი სიმინდის ექსპორტი მნიშვნელოვნად ასწევდა სიმინდზე ფასს და გაზრდიდა გლეხობის სყიდვითუნარიანობას. ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1923 წლის 24 დეკემბრის დადგენილებით „ცეკავშირს" დაევალა 1923 წლის სიმინდის მოსავლიდან ნაჭარბის შესყიდვა და საზღვარგარეთ გატანა. „ცეკავშირი" გლეხისაგან ფუთ სიმინდს ყიდულობდა 50 კაპიკად, მაშინ, როდესაც თავისუფალ ბაზარზე ერთი ფუთი სიმინდი ძლივს იყიდებოდა 25 — 30 კაპიკად. ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1924 წლის 28 თებერვლის დადგენილებით 70 კაპიკამდე გადიდდა სიმინდის დამზადების ფასი.

1923 — 24 წელს „ცეკავშირმა" დაამზადა ერთი მილიონი ფუთი სიმინდი, რითაც ხელი შეუწყო გლეხობის სყიდვითუნარიანობის ზრდას, და საბოლოო ანგარიშში, საქონელბრუნვის განვითარებას, „მაკრატლის" პირების დაახლოებას — სამრეწველო საქონლის ფასების დაკლებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების აწევას. იმავე პერიოდში აიწია ფასმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე [1].

საქართველოს შინავაჭრობის ზრდას გვიჩვენებს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვათა განხილვა. 1924 — 25 წლის პირველი ნახევრიდან 1925 — 26 წლის პირველ ნახევრამდე სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 34,2 პროცენტით, კოოპერაციული ვაჭრობის — 49,6 პროცენტით, ხოლო კერძოკაპიტალისტური ვაჭრობისა — 30,7 პროცენტით[2].

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე კერძოკაპიტალისტური. 1924 — 25 წელს რესპუბლიკის მთელი ვაჭრობის 73,6 პროცენტი სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე მოდიოდა, კერძოკაპიტალისტურ ვაჭრობაზე — 26,4 პროცენტი, 1925 — 26 წელს კი შესაბამისად — 75,2 და 24,8 პროცენტი [3]. ამრიგად, ვაჭრობის სფეროდან თანდათანობით იდევნებოდა კერძო კაპიტალი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მონაწილეობა საერთო სავაჭრო ბრუნვაში 1923 — 24 წლის მეორე ნახევრიდან 1925 — 26 წლის პირველ ნახევრამდე გაიზარდა 389,4 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდში მრეწ-

---

[1] «Обзор деятельности СНК и ВЭС ЗСФСР за 1924 г.», стр. 60.

[2] «Народное хозяйство Закавказья в цифрах», стр. 406 — 407.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 711, ფურც. 3—14.

ველობის პროდუქციის მონაწილეობა საერთო სავაჭრო ბრუნვაში — 415,5 პროცენტით [1]. ყოველივე ეს სოფელსა და ქალაქს შორის საქონელბრუნვის სერიოზული განვითარების, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების მაჩვენებელია.

1924 — 25 წლის სავაჭრო ბრუნვის შესახებ ბირჟის [2] მონაცემები გვიჩვენებენ, რომ შინაური ბაზრის ტევადობა ერთიორად გაზრდილა საქართველოში აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის [3]. 1923—24 წელთან შედარებით თბილისისა და ბათუმის ბირჟათა გაერთიანებული ბრუნვა 1924 — 25 წელს გაზრდილა 125 პროცენტით. 1924 — 25 წელს საფეიქრო სინდიკატის ბრუნვა გაიზარდა 116 პროცენტით, „პურპროდუქტის"— 68,3 პროცენტით, შაქრის ტრესტისა კი — 165,8 პროცენტით. 1924 — 25 წელს წინა წელთან შედარებით. 91,2 პროცენტით გაიზარდა კოოპერაციული საბითუმო ვაჭრობა [4].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით, გამოცოცხლდა საგარეო ვაჭრობა. გაიხსნა ბათუმის კარები დასავლეთთან ვაჭრობისათვის. ვ. ი. ლენინი საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებს მიუთითებდა ბათუმის „ღია კარების" გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამის შედეგად გაჩაღდა სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ასე მაგალითად, 1922 წლის პირველ ოთხ თვეში საზღვარგარეთ გაიტანეს 127 956 5708 მანეთის საქონელი, ხოლო შემოიტანეს 1 037 970,4 მანეთისა [5]. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1922 წლის მეორე ნახევრამდე. შემდეგ საგარეო ვაჭრობის ხაზი დასავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ — მოსკოვისაკენ მოაბრუნეს. 1922 წელს თბილისში შემოტანილი საქონლიდან საზღვარგარეთიდანაა მიღებული 3 648 000 ფუთი, საქართველოსა და რუსეთის ნავსადგურებიდან — 832 000 ფუთი. თბილისიდან გატანილი საქონლიდან საზღვარგარეთ გაიგზავნა 9 595 000 ფუთი, ხოლო საქართველოსა და რუსეთის სადგურებში — 788 000 ფუთი. 1922 წლის შემოდგომიდან მკვეთრად მცირდება საზღვარგარეთთან ვაჭრობა. ჩქარი ტემპით იზრდება საქონლის შემოტანა საბჭოთა რუსეთიდან. ასე მაგალითად, 1922 წლის ნოემბერში საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოიტანეს 56 600 ფუთი საქონელი, საბჭოთა რუსეთიდან კი 844 700 ფუთი [6].

---

[1] «Народное хозяйство Закавказья в цифрах», стр. 408 — 409.

[2] საქართველოში ამ დროს ბირჟა მოქმედებდა თბილისსა და ბათუმში.

[3] შდრ. «Емкость Закавказского рынка», Тиф., 1928.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ 711, ფურც. 3—14.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 342, ფურც. 7—9.

[6] იქვე, ფ. 2, საქ. 34, ფურც. 8.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. საქართველო დასავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველების წლებში გადაიქცა აშკარა „სატრანზიტო სახელმწიფოდ", რომლის ტერიტორიაზე არსებობდნენ ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, ახალციხის, ახალქალაქისა და თბილისის საბაჟოები. ამ საბაჟოებს, მათი გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო შეეძლოთ დიდძალი მოგების მოტანა რესპუბლიკისათვის[1].

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაძაბული და ენერგიული მუშაობის შედეგად წარმატებით გადაიჭრა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა — ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ყოველმხრივი განვითარებისა, რითაც უზრუნველყოფილ იქნა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება საქართველოში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების IV ყრილობაზე გ. ორჯონიკიძემ შეაჯამა რა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის შედეგები, დასახა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გზები და პარტიის უახლოესი ამოცანები: „სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, ცალკეული ტექნიკური კულტურების განვითარება, გლეხების აუცილებლად საჭირო საქონლით მომარაგება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია, გადამწყვეტი ბრძოლა მიწათმოქმედების მაღალ კულტურაზე გადასვლისათვის და მისი მექანიზაცია-ტრაქტორიზაციისათვის, უშენიშვნო კურსი ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციისაკენ"[2].

§ 7. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონტრრევოლუციის რეზერვები, რევოლუციურმა ხელისუფლებამ ამნისტირებულად გამოაცხადა ყველა ანტისაბჭოთა პარტია. მათ შორის, მარტო მენშევიკები თავიანთ რიგებში ათასობით წევრს ითვლიდნენ. ასევე მრავალრიცხოვანი იყო რეაქციული ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურების პოლიტიკური პარტია — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მათ შემდეგ, თავიანთი პოლიტიკური წონისა და რაოდენობის მიხედვით, მოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ., რომლებმაც

---

[1] ლ. კ. კარბელაშვილი, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა 1922 (გაზ. „ტრიბუნა", 1923 წლის 4 ივლისი).

[2] «IV съезд коммунистических организаций Закавказья», стр. 32.

მთელი ორი წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად შეინარჩუნეს თავიანთი ძალები.

მრეწველობის სოციალისტურმა ნაციონალიზაციამ, რევოლუციურმა აგრარულმა რეფორმამ და ეროვნული საკითხის ინტერნაციონალისტურმა გადაჭრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გააააქტიურა დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი მემამულურ-ბურჟუაზიული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიები. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ერთგვარი ეკონომიური ძალა შემატა ექსპლოატატორულ კლასებს, პოლიტიკურად გააააქტიურა სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია. გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა ახალ ისტორიულ პირობებში. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას ბურჟუაზიასა და მემამულე-თავადაზნაურობის წინააღმდეგ სათავეში ედგა საქართველოს კომუნისტური პარტია. ამ ბრძოლაში მშრომელთა წარმატება დიდად იყო დამოკიდებული მათი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის — იდეური ერთიანობისა და ორგანიზაციული მთლიანობის შენარჩუნებაზე.

კომუნისტური პარტიის შიგნით იდეური უთანხმოებისა და შინაპარტიულ წინააღმდეგობათა წარმოშობისათვის მაშინ საკმაოზე მეტი პირობები არსებობდა საქართველოში. კომუნისტური პარტიის რიგებში უთანხმოებათა და წინააღმდეგობათა წარმოშობის წყაროს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა პროლეტარიატსა და მის პარტიაზე, მეორე მხრივ, თვით მუშათა კლასის შემადგენლობის არაერთგვაროვნება.

საქართველოს ეკონომიური განვითარების წვრილბურჟუაზიული ხასიათი, მძლავრი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია და მენშევიკური მთავრობის მიერ შოვინიზმით მოწამლული ატმოსფერო, დამხობილი, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუნადგურებელი კლასები და ანტისაბჭოთა პარტიები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საქართველოს კომუნისტური პარტიის განმტკიცებას. გლეხური და ინტელიგენტური ფენებიდან გამოსულ ადამიანებს კომუნისტური პარტიის რიგებში შეჰქონდათ ბურჟუაზიული და ნაციონალისტური შეხედულებანი, მას თავზე ახვევდნენ გამოუცდელსა და იდეურ-პოლიტიკურად ნაკლებად გამოწრთობილ კომუნისტებს. ყოველივე ეს იწვევდა კომუნისტური პარტიის შიგნით ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების მერყეობასა და გადახვევას პროლეტარული პარტიულობის პრინციპებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმიდან, ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზიდან. ერთ-ერთი ასეთი გადახრა საქართველოს კომუნისტურ პარტიაში იყო ნაციონალ-უკლონიზმი.

სახალხო მეურნეობის აღდგენის სიძნელეებთან ბრძოლა მოითხოვდა პარტიისაგან შეწყობილსა და ენერგიულ მუშაობას. ასე ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ პარტიისა და მუშათა კლასის, სოციალიზმის ერთგული ადა-

მიანები. მაგრამ ასე როდი იქცეოდნენ ტროცკისტები და მათ ბანაკში გადასული ნაციონალ-უკლონისტები. მაშინ, როდესაც ლოგინად იყო ჩავარდნილი პარტიის ბელადი და, როდესაც რევოლუციურმა მოძრაობამ ზედიზედ მარცხი განიცადა დასავლეთში, ტროცკიმ დაიწყო იერიში კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მან გააერთიანა ყველა ანტიპარტიული ელემენტი და შეთითხნა ოპოზიციის პლატფორმა—46 ოპოზიციონერის განცხადება. ამის შემდეგ გამოაქვეყნეს ტროცკის წერილი, რომელშიც წამოყენებული იყო მთელი რიგი ცილისმწამებლური ბრალდება პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ტროცკისტები თავიანთ განცხადებაში წინასწარმეტყველებდნენ მძიმე ეკონომიურ კრიზისსა და საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვას, მოითხოვდნენ ფრაქციულობის დაშვებას, როგორც ერთადერთ გამოსავალს მდგომარეობიდან. ოპოზიციონერებმა თავიანთი ანტიპარტიული დოკუმენტები დაუგზავნეს პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიას თავზე მოახვიეს საერთო პარტიული დისკუსია.

საქართველოში ტროცკისტებთან და ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფთან, რომელიც ამ დროს უკვე დაკავშირებული იყო ტროცკისტულ ოპოზიციასთან, დისკუსია დაიწყო 1923 წლის ოქტომბერში. სადისკუსიო კრებებზე ტროცკისტული პლატფორმით გამოდიოდნენ: კ. ცინცაძე, ბ. მდივანი, ე. ეშბა, ა. თუმანოვი, ნ. რ. კიკნაძე და სხვები. მაგრამ ისინი სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ პარტიული მასების მხრივ, ისინი უფრო და უფრო ირიყებოდნენ პარტიული მასებისაგან.

საქართველოში დისკუსიამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში, მაგრამ თბილისის, ისე როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ერთსულოვნად დაგმეს ტროცკისტული ოპოზიციის გამოლაშქრება და მხარი დაუჭირეს ფრაქციებისა და დაჯგუფებათა აკრძალვას პარტიაში[1].

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1923 წლის დეკემბრის პლენუმი მიეძღვნა შინაპარტიული მდგომარეობის საკითხს. პლენუმმა 106 ხმით 4 წინააღმდეგ და 2 თავშეკავებით მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1923 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილება და მისი შესრულებისათვის რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ 1923 წლის 5 დეკემბერს მიღებული დადგენილება[2]. „ჩვენ მივმართავთ პარტიის ყველა წევრს,—ნათქვამია ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — მხურვალე მო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 23 დეკემბერი.

[2] ეურნ. „უწყებები", 1923 — 1924, № 2 — 3, გვ. 13 — 18.

წოდებით, შესძლონ აღმოფხვრა ყოველგვარი ფრაქციული ბრძოლის როგორც ცენტრში, ისე აქ — ამიერკავკასიაში, სადაც თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა გამოსვლა და ისიც იმავე „უკლონისტების“ წინათ გამოჩენილ ფრაქციისა, რომელიც აერთიანებს ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებს ჩვენს პარტიაში და რომელიც ეფარება ყოვლად დაუმსახურებლად მუშათა დემოკრატიის ლოზუნგებს“[1]. ამრიგად, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და მასთან დაკავშირებული ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფი, მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

1923 წლის 17 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაფართოებულმა პლენუმმა სამაზრო და სარაიონო კომიტეტების მდივნებთან ერთად მოისმინა საკითხი პარტმშენებლობის შესახებ. პლენუმმა მოიწონა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში შინაპარტიული მშენებლობა და შინაპარტიული პოლიტიკა. „პლენუმი, ამასთან ერთად, — ნათქვამია დადგენილებაში, — გადაჭრით გმობს ცალკეული უმნიშვნელო ჯგუფების ცდებს, გამოიყენონ პარტიის ამოცანების შესახებ საკითხის განხილვა ფრაქციული მიზნებისათვის, პარტიის შიგნით ფრაქციის გაძლიერებისა და გაფართოებისათვის... უკანასკნელ დღეებში თბილისში გაშლილი დისკუსია უდიდესი სიცხადითა და დამაჯერებლობით ამჟღავნებს პარტიული ორგანიზაციების ზედაფენებში არსებულ „უკლონისტების“ ფრაქციას, რომელიც ცდილობს შეინიღბოს მუშათა დემოკრატიის ლოზუნგით... ფრაქციული გამოსვლები, რომლებსაც თან ახლავს პარტიის ცალკეულ უპასუხისმგებლო წევრთა დაუშვებელი ნაციონალისტური გამოხდომა... სახელს უტეხს და ძირს უთხრის პარტიის ავტორიტეტს, მის ძალასა და რევოლუციურ მთლიანობას“[2].

ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განიხილა პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა 1923 წლის 20 დეკემბერს. პლენუმმა შ. ელიავას მოხსენების გამო „შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ“ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმო ტროცკისტული ოპოზიციის გამოსვლა. ასევე დაგმო იგი 21 დეკემბერს საერო-საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელსაც ორი ათას ხუთასამდე კომუნისტი ესწრებოდა[3].

ტროცკისტები სასტიკად დამარცხდნენ მთელ საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ, 1924 წლის იანვარში შეიკრიბა პარტიის XIII კონფერენცია, რო-

---

[1] ჟურნ. „უწყებები“, 1923 — 1924, № 2 — 3, გვ. 13 — 18.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 449 — 450. (იხ. აგრეთვე ჟურნ. „უწყებები“, 1923—1924, № 2-3, ფურც. 19—21).

[3] იქვე, ფ. 17, საქ. 208, ფურც. 14.

მელმაც მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება და შეაჯამა დისკუსიის შედეგები. კონფერენციამ დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და განაცხადა, რომ მისი სახით პარტიას საქმე აქვს მარქსიზმიდან წვრილბურჟუაზიულ გადახრასთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1924 წლის 24 თებერვალს მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება XIII პარტიული კონფერენციის შედეგების შესახებ. პლენუმმა მოიწონა კონფერენციის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პარტიის ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის[1]. ამის შემდეგ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1924 წლის აპრილის პლენუმმა, განიხილა რა გ. ორჯონიკიძის მოხსენება „შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ", შეაჯამა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები და მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარი დაუჭირა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს[2].

ტროცკისტებმა, მიუხედავად სასტიკი დამარცხებისა, არ შეწყვიტეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ. 1924 წლის შემოდგომაზე ტროცკიმ გამოაქვეყნა „ოქტომბრის გაკვეთილები", რომელშიც ცდილობდა შეეცვალა ლენინიზმი ტროცკიზმით. ტროცკის „ლიტერატურული გამოსვლა" აშკარად იყო მიმართული პარტიისა და მისი ბელადის — ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ. პარტია აღშფოთებით შეხვდა ტროცკის ამ გამოსვლასაც. იმ დროს, როდესაც სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა და საჭირო იყო შემდგომი ნაბიჯის გადადგმა სოციალიზმისაკენ, პარტიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა ტროცკიზმის იდეური განადგურება. ტროცკიზმის იდეური განადგურებისა და ლენინიზმის დაცვის საქმეში სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბ. სტალინის თეორიულ შრომას „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", რომელიც 1924 წელს გამოვიდა. ეს ნაშრომი წარმოადგენს ლენინიზმის ოსტატურად გადმოცემას და სერიოზულ თეორიულ დასაბუთებას.

1924 წლის 27 ნოემბერს პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მოისმინა მ. კახიანის მოხსენება „ტროცკის უკანასკნელი ლიტერატურული გამოსვლის შესახებ". პლენუმმა ტროცკის გამოსელა ჩათვალა, როგორც დისკუსიის განახლების ცდა, როგორც პარტიის რკინისებური ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის ცდა, და აღნიშნა, რომ „რკპ ახლანდელი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ტროცკის ახალი გამოხდომის საფუძველია..., მისი ცდაა შეცვალოს ლენინიზმი ტროცკიზმით". პლენუმმა აგრეთვე აღნიშნა ტროცკის ბროშურის „ოქტომბრის

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 980, ფურც. 223.

[2] იქვე, ფ. 13, საქ. 561, ფურც. 35 — 39.

გაკვეთილების“ ფალსიფიკატორული ხასიათი. „გმობს რა ტროცკის გამოსვლას, — ვკითხულობთ დადგენილებაში, — კრება აუცილებელ საჭიროდ თვლის გაშალოს ტროცკიზმის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა... ბრძოლა, რომელიც დაეყრდნობა ჩვენი პარტიის ნამდვილ, გაუყალბებელი ისტორიის ფართო პარტიული მასის მიერ სისტემატურად შესწავლის მტკიცე საფუძველზე დაყენებას, პარტიის მრავალწლიან ბრძოლას, არა მარტო მენშევიზმის, არამედ ტროცკიზმის წინააღმდეგაც, აგრეთვე ოქტომბრის რევოლუციის ნამდვილი ისტორიის ზედმიწევნით და დაწვრილებით შესწავლას“[1].

ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის სამაზრო და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციათა გაერთიანებულ კრებას, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში 1924 წლის 8 დეკემბერს. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა რკპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ვ. კუიბიშევი. ვ. კუიბიშევის მოხსენების გამო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ცხადყოფდა საბჭოთა ქვეყნის გარდუვალი ეკონომიური კრიზისის შესახებ ტროცკისტული ვარაუდის უსაფუძვლობას. „კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ც. ს. კ. და მ. გ. ი. დიდ მიღწევებს ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობისათვის დახმარების გაწევის დარგში, შრომისნაყოფიერების გადიდებაში, ვაჭრობაში და ყველა საკითხში, რომელიც ამყარებს პროლეტარიატის კავშირს გლეხობასთან, მიღწევებს წარმოების უკეთ დაყენების საქმეში, ისევე, როგორც პარტიის გაჯანსაღების და მისი მთლიანობის განმტკიცების დარგში“ [2].

1925 წლის 17 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა მოისმინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ინფორმაცია ტროცკის გამოსვლის გამო ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციების შესახებ. პლენუმმა აღნიშნა, რომ „არსებითად თანამედროვე ტროცკიზმი კომუნიზმის ფალსიფიკაციაა ფსევდო-მარქსიზმის „ევროპულ“ ნიმუშებთან მიახლოების სულისკვეთებით, ე. ი. ბოლოს და ბოლოს „ევროპული“ სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით“. ამიტომ შეუძლებლად ცნო ტროცკის შემდგომი მუშაობა სსრ კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში და მისცა გაფრთხილება, დამორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას, შეეწყვიტა ფრაქციული მუშაობა [3].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 342, ფურც. 16 — 17.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 9 დეკემბერი (იხ. აგრეთვე პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 347, ფურც. 45 — 46).

[3] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 140 — 150.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის იანვრის პლენუმის შედეგების შესახებ პარტიის თბილისის კომიტეტის თებერვლის პლენუმმა მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება. პლენუმმა მოიწონა და მხარი დაუჭირა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას, ლენინიზმის რევიზია ჩათვალა დაუშვებლად, ხოლო ტროცკიზმის მავნებლობის განმარტება ფართო პარტიული მასებისათვის — აუცილებელ საჭირო საქმედ [1].

ტროცკისტული ოპოზიცია შეეცადა პარტიის ძველი, ლენინური გვარდია და ახალგაზრდობა დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის, შიგნიდან გაეხრწნა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. ამის გამო რკპ (ბ) XII ყრილობაზე ი. ბ. სტალინი, აფრთხილებდა რა პარტიას, ამბობდა: „ახალგაზრდობის ფრონტი უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით საფრთხეში მყოფ ფრონტად იმის გამო, რომ ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგეებს ამ დარგში განსაკუთრებული დაჟინებით მოაქვთ იერიშები [2]. საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებმა ამ ფრონტზედაც უკუაგდეს ტროცკიზმის შემოტევა. კომკავშირული აქტივისა და პარტიის ახალგაზრდა წევრთა კრებამ 1924 წლის 8 იანვარს განიხილა შინაპარტიული მდგომარეობის საკითხი და მხარი დაუჭირა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ოქტომბრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებას. „ჩვენ ვთვლით, — ნათქვამია კრების რეზოლუციაში, — რომ ამჟამად, როგორც არასოდეს, პარტიის მთელი ახალგაზრდა ნაწილისა და კომკავშირის წინაშე მძაფრად დგას ლენინიზმის შესწავლისა და ათვისების საკითხი. ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს თავისი პარტიის წარსული. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენგან გამოიჭედოს ნამდვილი სალკლდოვანი ბოლშევიკი ლენინელები და მხოლოდ ლენინელები“ [3].

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა დაგმო აგრეთვე ნეიტრალიტეტის ოპორტუნისტული თეორია და ტროცკისტულ-ზინოვიევური წინადადება უპარტიო გლეხი ახალგაზრდობის მუდმივ შემადგენლობიანი სადელეგატო კრების შექმნის შესახებ. უპარტიო გლეხი ახალგაზრდობის მუდმივ შემადგენლობიანი სადელეგატო კრების შექმნა გამოიწვევდა, ჯერ ერთი, საშუალო გლეხური ახალგაზრდობის ჩამოშორებას, მაშინ, როდესაც საჭირო იყო მათი დაახლოება კომკავშირთან და პარტიასთან. მეორე, სადელეგატო კრებები გადაიქცეოდნენ გლეხური ახალგაზრდობის განსაკუთრებულ კავშირებად, დაუპირისპირდებოდნენ (მუშა)

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 12, საქ. 564, ფურც. 1.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 223.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 95, საქ. 118, ფურც. 4.

ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირებს და საფრთხეს შეუქმნიდნენ მას[1].

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით ჩაატარა დიდი და სერიოზული ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მეტად მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა რუსეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა 1924 წლის იანვარში[2].

საქართველოს კომუნისტებს შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევასთან ერთად უხდებოდათ ანტისაბჭოთა პარტიების კონტრრევოლუციური საქმიანობის ლიკვიდაცია. საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ 1921 წლის 25 თებერვალს გამოსცა დეკრეტი, რომლითაც გამოაცხადა ანტისაბჭოთა პარტიების მიმართ ამნისტია. ამ დროს ვ. ი. ლენინი საქართველოს კომუნისტებისაგან მოითხოვდა ქართველი ინტელიგენციისა და წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის“ განხორციელებას. ცნობილია, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენას განიცდიდა. ამიტომ საჭირო იყო დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მძლავრ ანტისაბჭოთა პარტიებთან ფრთხილი მიდგომა. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ლეგალურად გამოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და ზოგიერთი ანტისაბჭოთა ლიტერატურული ჯგუფის ბეჭდვითი ორგანოები. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები შეიყვანეს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. ხელისუფლებამ დაუშვა სოციალისტ-რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტების, დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატ სხიველების, ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერების, ჰანჩაკისტების და სხვ. ლეგალური საქმიანობა. ამიტომ საქართველოს ინტელიგენცია არ დასდგომია საბოტაჟის გზას, პირიქით მასში 1922 და 1923 წლებში შესამჩნევი ხდება „სმენავეხური“ განწყობილება.

ანტისაბჭოთა პარტიებმა და ინტელიგენციის ზოგიერთმა ფენამ, მიუხედავად აღნიშნული დათმობისა, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზა უარყო და არალეგალური, საჯანყებო მუშაობა დაიწყო. ჯერ კიდევ 1921 წელს გასაქცევად გამზადებულმა მენშევიკებმა ბათუმში ჩაატარეს პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდა ნ. ჟორდანია, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მენშევიკები. ისინი თავიანთ პარტიას არწმუნებდნენ, რომ დროებით ტოვებდნენ საქართველოს და მალე დაბრუნდებოდნენ უცხოეთის დახმარებით, მაგრამ ამისთვის საჭიროდ

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 7. გვ. 271 — 272.

[2] Газ. «Правда», 18 января 1924 г.

თელიდნენ: ანტისაბჭოთა მუშაობის დაწყებასა და გაძლიერებას, საქართველოდან საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის გაყვანას, ქართულ წითელ არმიაში შესვლას და მის აფეთქებას შიგნიდან. ამ მიზნით მათ საქართველოში დატოვეს ყოფილი სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე. ამავე დროს უნდა ემოქმედნა „აღორძინების კომიტეტს", კომიტეტის დანიშნულება იყო ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებზე ტერორის მოწყობა[1]. კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიფუჩეჩებისა და კომუნისტური პარტიის მოტყუების მიზნით აქ დარჩენილმა მენშევიკებმა 10 აპრილს ჩაატარეს პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო ს. დევდარიანის მიერ შედგენილი რეზოლუცია, რომელმაც აღიარა პროლეტარიატის დიქტატურის მთავრობასთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რაც ფაქტიურად წარმოადგენდა ბათუმის მენშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ პრაქტიკულად გადადგმულ ნაბიჯს. აპრილის კონფერენციამ სწორად ცნო პარტიის ძველი გზა „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ"[2], ამით თვითონვე აღნიშნა პროლეტარულ დიქტატურასთან თანამშრომლობის ფორმალური ხასიათი. ამაზე მიუთითებდა ისიც, რომ საქართველოს მენშევიკებს სათავეში ედგა ს. ჯიბლაძე, რომელიც ცნობილი იყო თავისი შეურიგებლობით პროლეტარული დიქტატურისადმი; ამიტომ მენშევიკური პარტიისაგან ლოიალობის მოლოდინი ფუჭი ოცნება იყო, რაც ძალიან მალე ცხადი გახდა ყველასათვის.

საქართველოსა და კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა ერთიანი ფრონტის შექმნა. ამ მიზნით მათ ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში გამართეს მოლაპარაკება და იმავე წლის 10 ივნისს პარიზში ხელი მოაწერეს შეთანხმებას კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ეს მაშინვე აცნობეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბრიანს. ბრიანისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში კავკასიელი კონტრრევოლუციონერები აღწერდნენ კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს და იმ სარგებლობას, რომელიც ექნებოდა საფრანგეთს კავკასიიდან, აქ ნაციონალისტურ მთავრობათა აღდგენის შემდეგ.

1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის კონტრრევოლუციის წარმომადგენელთა თათბირზე აირჩიეს სამხედრო კომისია, რომელსაც ევალებოდა კავკასიაში აჯანყების მომზადება და უცხოელთა ინტერვენციის გამოწვევა. საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელები როდი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 45, ფურც. 55.

[2] გ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, ქართველი მენშევიკების „ახალი" პლატფორმა (მოხსენება არსენალის რაიონის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე, 1924 წლის 19 ნოემბერს), გვ. 5.

დაკმაყოფილდნენ კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიების საზღვარგარეთ მომხდარი შეთანხმებებით, ისინი საჭიროდ თვლიდნენ ანტისაბჭოთა პარტიების გაერთიანებას საქართველოშიც. საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების გაერთიანებული ორგანოს ფუნქციებს საზღვარგარეთ ასრულებდა ჯერ „დამფუძნებელი კრების კომისია“ და „პარტიათა წარმომადგენლობა“, რომელიც შემდეგ შეცვალა „პარტიულმა კოლეგიამ“, ეს უკანასკნელი კი შეცვალა „საზღვარგარეთულმა ბიურომ“. ანტისაბჭოთა პარტიებმა ასეთივე გაერთიანება მოახდინეს საქართველოში 1922 წლის აგვისტოში, როდესაც შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, იგივე „პარიტეტული კომიტეტი“.

ანტისაბჭოთა პარტიებმა საქართველოსთან კავშირისათვის სტამბოლში შექმნეს ეგრეთწოდებული „პოლიტიკური კომისია“. იგი აწყობდა ფულის, ლიტერატურისა და ემისრების შემოგზავნას. საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიები საზღვარგარეთთან კავშირს ამყარებდნენ უცხოეთის საელჩოების საშუალებითაც. მათ საქმიანობას მალე ერთგვარი შედეგებიც მოჰყვა. 1921 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ანტისაბჭოთა გამოსვლები სვანეთში, ცოტა გვიან გურიაში, 1922 წლიდან ფშავ-ხევსურეთში.

საქართველოში ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების გააქტიურებას ხელი შეუწყო გენუის კონფერენციამ, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ მენშევიკები და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრები. როგორც კი გამოცხადდა გენუაში კონფერენციის მოწვევა, მენშევიკებმა მაშინვე მიიღეს ზომები, რათა გენუაში არ ყოფილიყო დაშვებული საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი. მაგრამ ინგლისმა, ეძებდა რა საერთო ენას საბჭოთა რუსეთთან, კანნაში მოკავშირეებს მიაღებინა დადგენილება არ დაესვათ საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე იმ ფორმალური მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს და გენუის კონფერენცია არ იხილავდა აზიის ქვეყნების საკითხს[1]. მაშინ ქართველმა მენშევიკებმა იმედები საფრანგეთზე დაამყარეს. ფრანგულ გაზეთ „ტან“-ის 1922 წლის 3 აპრილის ცნობით, საქართველოს მენშევიკური „მთავრობის“ წარმომადგენელი — ა. ჩხენკელი მიიღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა მილიერანმა და მთავრობის თავმჯდომარემ პუანკარემ. ჩხენკელი ითხოვდა გენუის კონფერენციაზე არ დაეშვათ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი და მიეწვიათ იქ მხოლოდ საქართველოს ემიგრანტული „მთავრობა“[2]. მართლაც, საფრანგეთის მმართველმა წრეებმა კატეგორიულად მოითხოვეს საქართველოსა და კავკასიის საკითხის და-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 26 აგვისტო.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 25, ფურც. 202.

ყენება გენუის კონფერენციაზე. მაგრამ, საბჭოთა დელეგაციის შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო, ისინი იძულებული გახდნენ მოეხსნათ თავიანთი წინადადება.

გენუაში კონფერენციის მიმდინარეობის დროს სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ (ბესარიონ ხელაია) საეკლესიო საბჭოსა და ქართველი ხალხის სახელით მიმართა გენუის კონფერენციას თხოვნით, ჩარეულიყო საბჭოთა ქვეყნის შინაურ საქმეში, მიეღწია საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისა და რეფერენდუმის ჩატარებისათვის. მათი მეცადინეობა უშედეგოდ დამთავრდა[1].

ანტისაბჭოთა პარტიებმა თავიანთ საქმიანობაში ჩააბეს მოსწავლე ახალგაზრდობის მცირე ნაწილიც. მათ მიერ მოტყუებულმა მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოსვლები: 1922 წლის 11 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის წლისთავის, ხოლო 24 მაისს — საქართველოს „დამოუკიდებლობის" გამოცხადების 4 წლისთავის გამო. მაისის ამბები, ისე როგორც ყველა კონტრრევოლუციური გამოსვლა, დაგეგმილი იყო „საზღვარგარეთის ბიუროსა" და უცხოელ იმპერიალისტთა მითითებით. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ საზღვარგარეთის რადიო ჯერ კიდევ 21 მაისს აღნიშნავდა საქართველოში მოწაფეთა გამოსვლის ფაქტს, რომელიც მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოხდა[2]. საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად დაგმეს ანტისაბჭოთა პარტიების მიერ პროვოკაციულად ინსცენირებული მოწაფეთა გამოსვლები. იგი დაგმეს თბილისის საბჭოსა[3] და ბათუმის პროფსაბჭოს პლენუმებმა, ბათუმის რკინიგზის კვანძის მუშათა მიტინგმა, თბილისის საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა და სხვ.[4].

ანტისაბჭოთა პარტიები სხვა მხრივაც ემზადებოდნენ გენუის კონფერენციისათვის. მათ სურდათ შეიარაღებული აჯანყების გამოწვევა მთელ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში[5], გურიაში, ფშავ-ხევსურეთში; მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის დავალებით აჯანყებას ამზადებდნენ აგრეთვე ბორჯომის რაიონში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში[6].

1922 და 1923 წლებში თავადაზნაურულ-კულაკურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა გურიაში. მენშევიკებმა და კულაკებმა სიცოცხლეს გამო-

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ამბროსი ნაციონალ-უკლონისტებმა არ დააპატიმრეს. იგი პასუხისგებაში მისცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაღადგა უკლონისტური ხელმძღვანელობა (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 678, ფურც. 13 — 14).

[2] Газ. «Трудовой Батум», 31 мая 1922 г.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 133, ფურც. 39.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 1 ივნისი.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 15, ფურც. 237.

[6] გაზ. „კომუნისტი", 1924 წლის 11 იანვარი.

ასალმეს საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის ერთგული ადამიანები: ქართული სამოსწავლო ბატალიონის კომისარი ა. ობოლაძე, ბატალიონის უფროსი პ. სანიკიძე და რაზმის უფროსის თანაშემწე ჩუბინაშვილი. საბჭოთა ხელისუფლებამ დამსახურებულად დასაჯა ანტისაბჭოთა გამოსვლის მეთაურები [1]. სწრაფად აღდგა საზოგადოებრივი წესრიგი მთელ გურიაში[2].

1922 წლის მარტიდან თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული რაზმები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით. მათ მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ჯერ საქართველოს მთიანეთში და შემდეგ კი მთელ საქართველოში. შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ჩაუდგა მეფისა და მენშევიკების ყოფილი ოფიცერი ქ. ჩოლოყაშვილი. დაიწყეს მშვიდობიანი მშრომელი მოსახლეობის დაწიოკება: იჭერდნენ და ხვრეტდნენ აქტიურ კომუნისტებსა და საბჭოთა მუშაკებს[3].

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ კონტრრევოლუციის შეიარაღებულ რაზმებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა, მათ სამხედრო ოპერაციებს გეგმავდა „პარიტეტულ კომიტეტთან" შექმნილი „სამხედრო ცენტრი". იგი საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, კისრულობდა საერთო აჯანყების ხელმძღვანელობას საქართველოში[4]. მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს. 1923 წლის მარტის დასაწყისში აღმოაჩინეს „სამხედრო ცენტრი" და სასტიკად დასაჯეს მისი წევრები[5].

ამრიგად, საქართველოში ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იარაღს არ ყრიან დამარცხებული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიები. ისინი აჩაღებენ კონტრრევოლუციურ-სააჯანყებო მუშაობას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამ, კერძოკაპიტალისტურ ურთიერთობათა გამოცოცხლებამ კიდევ უფრო გაუცხოველა კაპიტალიზმის რესტავრაციის იმედები საბჭოთა ქვეყნის ყველა მტერს, კიდევ უფრო გააქტიურა დამარცხებული კლასები და ანტისაბჭოთა პარტიები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდნენ მკაცრი რეპრესიული ზომების მიღებას ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ, მაგრამ ამას წინაღუდგნენ ნაციონალ-უკლონისტები და წამოაყენეს მათი „მშვიდობიანი დაძლევისა და გადამუშავების" ტაქტიკა.

მენშევიკურმა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა, გათამამებულებმა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 18 თებერვალი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 91, ფურც. 40 — 45.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1922 წლის 13 სექტემბერი.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 678, ფურც. 10.

[5] გაზ. „ტრიბუნა", 1923 წლის 24 მაისი.

კომუნისტური პარტიის შიგნით არსებული ტროცკისტული და ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიციით, კიდევ უფრო გააძლიერეს ანტისაბჭოთა მუშაობა.

ანტისაბჭოთა პარტიებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავზე მოეხვიათ სამოქალაქო ომი და გამოეწვიათ უცხოელთა ინტერვენცია საქართველოში. მაგრამ საბჭოთა საქართველო მედგრად იგერიებდა შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის იერიშებს, ინტერვენციის გამოწვევის ყოველი ცდა სამარცხვინოდ იფუშებოდა. ანტისაბჭოთა პარტიებმა შეძლეს მხოლოდ თავადაზნაურულ-კულაკური რაზმების შედგენა და ავანტიურისტული გამოსვლების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების მიერ გამოწვეული ანტისაბჭოთა გამოსვლები მხარდაჭერას ვერ პოულობდა ხალხის მასებში, პირიქით, მის წინააღმდეგ ამხედრდა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ისინი უაქტიურეს დახმარებას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას კონტრრევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებში", სამხედრო მეთაურთა სკოლის წითელმა კურსანტებმა და წითელი არმიის ქართული დივიზიის მებრძოლებმა. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული ადამიანები: ა. ობოლაძე, პ. სანიკიძე, ი. ლორთქიფანიძე, დ. სესიაშვილი, ი. საყვარელიძე, ნ. ნუცუბიძე, ა. როსტიაშვილი, ვ. გომელაური და სხვ.[1].

კონტრრევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისა და მამაცობის გამოჩენისათვის 1924 წლის თებერვალსა და მარტში წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს: სამხედრო მეთაურთა სკოლის პოლიტკომისარი ბ. ძნელაძე (გარდაცვალების შემდეგ), ქართული დივიზიის მეთაური ს. ლევქთაძე, ვ. კაჭარავა, ვ. კილაძე; მტრებთან ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები ა. ობოლაძე, პ. სანიკიძე და სხვ. [2].

ამრიგად, კონტრრევოლუციონერთა გამოსვლები სწრაფად ჩააქრეს. ამით დამთავრდა საბჭოთა საქართველოში შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი დასრულდა 1924 წლის აგვისტოს კონტრრევოლუციური აჯანყების დამარცხებით.

პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღეს ლეგალური არსებობის უფლება, ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 232, საქ. 12; ფურც. 22.

[2] იქვე, საქ. 100, ფურც. 2 — 6.

დეგ იდეოლოგიურ ფრონტზედაც. სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე უფრო სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოიჩინეს თავი. შემდეგ მათ მიჰყვებოდნენ ქართველი ესერები და ანარქისტები, რომელთაც აერთიანებდა მარქსიზმისა და მატერიალიზმის, სოციალიზმის სიძულვილი. ისინი სუბიექტურ-იდეალისტური პოზიციებიდან ეწეოდნენ მარქსისტული მატერიალიზმის, მარქსისტული სოციოლოგიის კრიტიკას. კომუნისტური პარტიის მიმდინარე პოლიტიკის კრიტიკას ეწეოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოზიციებიდან. სოციალური და ეროვნული პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში ისინი მენშევიკებთან ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ანტისაბჭოთა პარტიები ვერც ამან იხსნა, მათი დაშლის პროცესი ჩქარი ტემპით განვითარდა 1923 წლიდან. პრესაში მასობრივად გამოჩნდა მუშებისა და გლეხების განცხადებები მენშევიკური პარტიიდან გასვლის შესახებ. ცნობილი მენშევიკები ს. დევდარიანი, კ. სულაქველიძე, ბ. თევზაია და სხვ. პრესაში გამოვიდნენ მენშევიკური პარტიის კრიტიკით. მენშევიკური პარტიის რიგებიდან მასობრივად დაიწყო მუშებისა და გლეხების გამოსვლა [1].

კომუნისტურმა პარტიამ დახმარების ხელი გაუწოდა გამოფხიზლებულ მუშებსა და გლეხებს, მშრომელ ინტელიგენტებს საბოლოოდ განთავისუფლებულიყვნენ მენშევიკური გავლენისაგან. საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, მაზრებსა და რაიონებში სისტემატურად იმართებოდა ყოფილ მენშევიკთა კონფერენციები, თვითლიკვიდაციას ახდენდნენ მენშევიკური ორგანიზაციები [2].

1923 წლის აგვისტოში შედგა სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ამ პარტიის 11 235 წევრი[3]. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა მარტინოვი. იგი მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე კონფერენციებზე თბილისში, ქუთაისში, თბილისის პირველ რაიონში და სხვ. [4]. მენშევიკთა ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და სხვა ხელმძღვანელი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეები. ყრილობის ამოცანას შეადგენდა: პარტიის დაშლა, მაგრამ ზოგიერთი დელეგატი მას წინ აღუდგა და აცხადებდა: „ჩვენ პარტიის ლიკვიდაციის იურიდიული უფლება არა გვაქვსო“[5]. მიუხედავად

---

[1] „მენშევიზმის გახრწნა“ (კრებული მენშევიკთა წერილებისა და მენშევიკ მუშათა და გლეხთა რეზოლუციებისა), თბ., 1923.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 846, ფურც. 1 — 18.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 1 სექტემბერი.

[4] იქვე, 17 და 19 ივლისი.

[5] იქვე, 31 აგვისტო.

მსგავსი გამოსვლისა, ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა, მიიღო დეკლარაცია, რომლითაც აღიარა III ინტერნაციონალის პლატფორმა[1].

მენშევიკური პარტიის ზედაფენამ, რომელიც ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა, ბრძოლა გააჩაღა პარტიიდან გასულთა წინააღმდეგ, მენშევიკური პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი მისივე არალეგალურ ორგანოს — „ჩვენი ერთობის" ფურცლებზე აგიტაციას ეწეოდა დაშლის გზაზე მდგარი პარტიის შენარჩუნებისათვის. მათ საკადრის პასუხს აძლევდა არა მარტო საბჭოთა პრესა, არამედ ყოფილ მენშევიკთა ორგანოებიც—„მოამბე" და „სიმართლის ხმა". ყოფილ მენშევიკთა ყრილობის სახელით წერილი გაეგზავნა ნ. ჟორდანიას. მას ურჩევდნენ ხელი აეღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, დაბრუნებულიყო და მონაწილეობა მიეღო ქართველი ხალხის შემოქმედებით საქმიანობაში, მაგრამ მან არჩია ბარიკადებს გადაღმა დარჩენა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1923 წლის 8 აგვისტოს გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლითაც აცხადებდა პარტიის სალიკვიდაციო კონფერენციის (ყრილობის) მოწვევას[2]. 1923 წლის 28 ოქტომბერს თბილისში შედგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა[3]. ყრილობას ესწრებოდა პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელი მუშაკები. ყრილობამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაშლილად გამოაცხადა, თითქოს არა იმიტომ, რომ ის გაკოტრდა, არამედ იმის გამო, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება, მათი განცხადებით, თვით ახორციელებდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნულ პროგრამას[4].

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში რღვევის ნიშნები ჯერ კიდევ 1920 წელს შეინიშნებოდა. 1921 წელს ეს პარტია ორ ფრთად — მემარცხენედ და მემარჯვენედ გაითიშა. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულება არჩიეს. პირველ ხანებში ისინი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებშიც კი მონაწილეობდნენ. 1923 წლის 8 ნოემბერს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის II ყრილობამ მიიღო დადგენილება კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების შესახებ[5].

1923 წელს დაშლილად გამოცხადდა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური პარტია დაშნაკცუტუნი. 1923 წლის 30 ივლისს ამ პარტიის საქართველოს

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1923 წლის 18 ნოემბერი.

[2] იქვე, 8 აგვისტო.

[3] იქვე, 31 ოქტომბერი.

[4] იქვე, 18 დეკემბერი.

[5] იქვე, 13 ნოემბერი.

ცენტრალურმა კომიტეტმა („აშხატავორ“) საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობის დეკლარაცია გამოაქვეყნა[1], ხოლო ერევნის ყრილობამ 20 ნოემბერს დაშლილად გამოაცხადა დაშნაკციუტუნის პარტია[2].

1923 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ფართოდ განვითარდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციების დაშლის პროცესი. მშრომელი ახალგაზრდობა მასობრივად ტოვებდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციებს. მთელ საქართველოში მიმდინარეობდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სამაზრო და საქალაქო კონფერენციები, სადაც ირჩევდნენ დელეგატებს სრულიად საქართველოს სალიკვიდაციო ყრილობისათვის. 28 ოქტომბერს, წინააღმდეგ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ცენტრალური კომიტეტის ნება-სურვილისა, თბილისში გაიხსნა სალიკვიდაციო ყრილობა, რომელმაც „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა, დაჰგმო ახალგაზრდობის II ინტერნაციონალი, გააუქმა მასში „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის წარმომადგენლის მანდატი და აღიარა III ინტერნაციონალის პლატფორმა[3]. 1923 წლის ოქტომბერშივე დაიშალა აჭარის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაც[4]. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ყრილობის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა მათი ცენტრალური კომიტეტი და ზოგიერთი მცირე ჯგუფი, რომლებიც ანტისაბჭოთა მუშაობას განაგრძობდნენ არალეგალურად.

საქართველოში, გარდა „ახალგაზრდა მარქსისტებისა“, არსებობდნენ სხვა ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციებიც: „ახალგაზრდა მემარჯვენე ფედერალისტთა ორგანიზაცია“, „ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატები“, „ახალგაზრდა დაშნაკთა ორგანიზაცია“, „ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაცია“, „ებრაელ ახალგაზრდათა ორგანიზაცია“; სომხური ნაციონალისტური ორგანიზაციები— „ჰნჩაკ“, დაშნაკური „მიუტიუნ“ და სხვ. ყველა ეს ორგანიზაცია დაიშალა მათი იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიების დაშლასთან ერთად 1923 და 1924 წლებში[5].

ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ზედაფენები და მათი არალეგალური ხელმძღვანელობა ყველა ღონისძიებით ცდილობდა შეეჩერებინა დაშლის პროცესი. ისინი პარტიიდან გასულთა წინააღმდეგ ტერორსაც კი მიმართავდნენ. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. მენშევიკური და სხვა

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1923 წლის 10 აგვისტო.

[2] იქვე, 24 ნოემბერი.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 661, ფურც. 47 — 48, 130.

[4] გაზ. „ბრძოლა“, 1923 წლის 24 ოქტომბერი.

[5] გ. ქ ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, თბ., 1956, გვ. 70 — 84.

ანტისაბჭოთა პარტიების რიგებს მასობრივად ტოვებდნენ მუშები და გლეხები, მშრომელი ინტელიგენტები.

ანტისაბჭოთა პარტიების ლიდერები აშკარად დარწმუნდნენ, რომ დრო მათ წინააღმდეგ მუშაობდა. ამიტომ აჩქარებით დაიწყეს შეიარაღებული აჯანყების მომზადება, დაუკავშირდნენ უცხოელ იმპერიალისტებს და მოუწოდეს მათ საბჭოთა საქართველოში ინტერვენციისაკენ. მენშევიკები ნ. ჟორდანიას მითითებით კავშირის დამყარებას ცდილობდნენ უკიდურეს ნაციონალ-უკლონისტებთან. მენშევიკი ა. ჭიაბრიშვილი 1923 წელს ცდილობდა წერილობით კავშირის დამყარებას ტროცკისთან[1]. იქმნებოდა რაღაც ერთიანი ფრონტისმაგვარი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლისა და თვითლიკვიდაციის მიმდინარე პროცესმა, სამწუხაროდ, ერთგვარი თვითდამშვიდებისა და პოლიტიკური უდარდელობის განწყობილება შექმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელ ხელმძღვანელთა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობამ (1924 წლის მაისი) ანტისაბჭოთა ფრონტის შეუფასებლობა გამოიჩინა. ამით ისარგებლეს ანტისაბჭოთა პარტიებმა და კიდევ უფრო გააჩაღეს არალეგალური კონტრრევოლუციურ-საჯანყებო მუშაობა.

„პარიტეტულმა კომიტეტმა“ შექმნა და ინახავდა შეიარაღებულ რაზმებს: კახეთში ქ. ჩოლოყაშვილისას, ქართლში — ლაშქარაშვილისას, ბორჯომის რაიონში — კასრაძისას, სვანეთში — გარდაფხაძისას, გურიაში — მათითაიშვილისას და სხვ. ამის შემდეგ „პარიტეტულმა კომიტეტმა“ აჯანყების მომენტად აირჩია ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკების დასაწყისი, ე. ი. 1924 წლის თებერვალი. მაგრამ არ ეძინა საქართველოს საგანგებო კომისიასაც. თებერვლის შუა რიცხვებში დააპატიმრეს ცენტრალური „სამხედრო კომისიის“ წევრები: ფაღავა და წინამ-

---

[1] 1923 წლის აპრილსა და ივლისში ტროცკისათვის წერილობით მიუმართავს იაროსლავლის ციხიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების ყოფილ წევრს ა. ჭიაბრიშვილს. ჭიაბრიშვილის წერილებიდან ჩანს, ჯ ე რ ე რ თ ი, ის, რომ იგი თავიდან ბოლომდე იზიარებდა ქართველ ნაციონალ-უკლონისტების თვალსაზრისს ეროვნული და საერთო პოლიტიკის ყველა საკითხში და მ ე ო რ ე, ქართული მენშევიზმისა და ტროცკიზმის იდეური ნათესაობა. აი რას სწერდა ჭიაბრიშვილი თავის ადრესატს: „შეიძლებოდა არ მომემართა თქვენთვის ამ სტრიქონებით, რომ საბოლოოდ დამკარგოდა ყოველგვარი იმედი იმისა, რომ თქვენ და ჩვენ, ასე თუ ისე, მაინც მოგვიხდება მომავალში ერთად ბრძოლა დიდ ეროვნულ ბრძოლებში... აი რატომ გადავწყვიტე სრულიად პატიოსნად და გულახდილად გამომეთქვა თქვენს წინაშე ყოველივე ეს... ერთი წუთითაც არ ვკარგავ იმედს, რომ ჩვენ მხარდამხარ ვიბრძოლებთ ერთ, მსოფლიო მუშათა ინტერნაციონალში ჩვენი კლასის, დიდი იდეალებისათვის“ (სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1, ს. 2133, ფურც. 112 — 113).

ძღვრიშვილი. ცენტრალური სამხედრო კომისიის ფუნქციები იკისრა თბილისის ქვეკომისიამ (ვ. ნოდია და ს. ზალდასტანიშვილი) და „პარიტეტული კომიტეტი“ გაამაგრეს საზღვარგარეთიდან ჩამოსულებმა ვ. ჯუღელმა, ბ. ჩხიკვიშვილმა, ბ. ცენტერაძემ და ვ. ნოდიამ.

ამრიგად, მთელ სამხედრო მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად საოთავეში ედგა „სამხედრო კომისია“. იგი ორი წევრისაგან — მენშევიკისა და ეროვნულ-დემოკრატისაგან შედგებოდა. „სამხედრო კომისია“ ეყრდნობოდა თბილისში სამხედრო ქვეკომისიას, პერიფერიებში — საოლქო პარიტეტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციებს, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობდნენ — საგანგებო სამხედრო რწმუნებულებს.

1924 წლის ზაფხულისათვის „პარიტეტულმა კომიტეტმა“ დაამთავრა აჯანყების სამხედრო მომზადება. ამავე დროისათვის საზღვარგარეთიდან მიიღეს ნ. ჟორდანიას სადირექტივო წერილი — აჯანყების გეგმა. ნ. ჟორდანია დირექტივას აძლევს „პარიტეტულ კომიტეტს“ მოაწყოს ერთდროული აჯანყება მთელი კავკასიის მასშტაბით. „მხოლოდ ამ შემთხვევაში, — წერდა ჟორდანია, — ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და გაგვიწევს დახმარებას“[1]. „პარიტეტულმა კომიტეტმა“ არაერთგზის გაგზავნა თავისი ემისრები აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ჟორდანიას დირექტივას განხორციელება არ ეწერა. მათ ვერ შეძლეს ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში კონტრრევოლუციური გამოსვლის მოწყობა.

1924 წლის ივლისში ანტისაბჭოთა პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა მიიღეს გადაწყვეტილება აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ. 1924 წლის 7 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯუღელი. ამის შემდეგ აჯანყების საკითხი განიხილა „პარიტეტული კომიტეტის“ პლენარულმა სხდომამ 1924 წლის 18 აგვისტოს და ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ, მიუხედავად ჯუღელის მიერ ციხიდან 12 აგვისტოს გამოგზავნილი წერილისა, რომლითაც იგი წინადადებას აძლევდა გარეთ დარჩენილ შეთქმულთ მოეხსნათ აჯანყების საკითხი. 22 აგვისტოს „პარიტეტული კომიტეტის“ სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილის, მ. ჯავახიშვილისა და შ. ამირეჯიბის მონაწილეობით შეიარაღებული გამოსვლის დღედ დაინიშნა 28 აგვისტო. არ ჰქონდათ რა მუშათა კლასის მხარდაჭერის იმედი, მათ გადაწყვიტეს აჯანყების დაწყება პერიფერიებში, და იქ წარმატების შემთხვევაში, მისი გავრცელება თბილისშიც. გამოსვლები დაიწყო 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჭიათუ-

---

[1] მ. კახიანი, მენშევიკები სამუშაოზე, თბ., 1924, გვ. 11, газ. «Правда», 16 сентября 1924 г.

რაში. საქართველოს საბჭოთა მთავრობა მაშინვე გამოვიდა ოფიციალური ცნობებით რესპუბლიკურსა და საკავშირო პრესაში [1].

მენშევიკების შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, სვანეთისა და ნაწილობრივ თბილისის (გარეკახეთი) მაზრებში. ანტისაბჭოთა ელემენტებმა ჭიათურაში დაიკავეს სახელმწიფო დაწესებულებანი, გაძარცვეს დამზღვევი სალარო, წაიღეს 20 ათასი მანეთი, პროფკავშირის 400 მანეთი, სამაზრო მილიციიდან გაიტანეს დასარიგებელი ხელფასი 159 მანეთამდე. მათ ქალაქი შეინარჩუნეს მხოლოდ 29 აგვისტოს დილის 8 საათამდე. ქალაქის დატოვებისას თან წაიყვანეს რამდენიმე კომუნისტი მძევლებად [2].

28 და 29 აგვისტოს ზუგდიდში სერიოზული ბრძოლები მიმდინარეობდა. მილიციისა და კომუნარების მამაცობის შედეგად მენშევიკებმა ვერ შეძლეს მაზრაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ბრძოლაში გმირულად დაეცნენ რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. როგავა, გოგია და ვ. ჩხეტია [3].

ქუთაისის მაზრაში პირველად ვანის რაიონში მოხდა მენშევიკური გამოსვლები. მენშევიკებმა დაიკავეს სოფლები საპაიჭაო, დვალიშვილები, უხუთი, ტობანიერი და, ბოლოს, ვანი, სადაც მოკლეს რაიაღმასკომის თავმჯდომარე და ორი სხვა კომუნისტი. პატრიკეთში მოკლეს კომუნარი დ. ვაჩიბერიძე, სოფელ უკანეთში დაჭრეს კომუნარი გვანცელაძე და მოუკლეს ცოლი, იქვე დაჭრეს ორი სხვა კომუნარიც. მენშევიკებმა ძალაუფლება შეინარჩუნეს ვანის რაიონში ოთხ დღემდე, ბაღდადის რაიონში — სამი, სვირისა და ქუთაისის რაიონების ზოგიერთ თემებში—ორ-ორი დღე. ქუთაისის მაზრაში ბრძოლის დროს დაიღუპა 16 კომუნისტი და ორი უპარტიო მილიციელი [4]. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სხვა მაზრებშიც.

ოზურგეთის მაზრაში გამოსვლებმა შედარებით ფართო ხასიათი მიიღო [5], მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ საქართველოში მომხდარ მენშევიკურ-

---

[1] Газ. «Правда», 31 августа 1924 г.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 185, საქ. 1069, ფურც. 27.

[3] იქვე, ფურც, 28 — 29.

[4] იქვე.

[5] იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 351; საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის კრებაზე 1926 წლის 11 იანვარს გ. ორჯონიკიძე მოხსენებაში „XIV პარტყრილობის შედეგების შესახებ“, ამბობდა: „რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ეს (აჯანყება გურიაში — ავტ.) დავაბრალოთ მენშევიკებს... მაგრამ აჯანყებისათვის იყო ნიადაგი. კარგი ცხოვრების გამო, როგორც ვიცით, არავინ არ აჯანყდება, როგორც ჩანს, გლეხობა ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგან მან დაუჭერა მენშევიკებს და აჯანყდა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 16 იანვარი). გ. ორჯონიკიძე ამ შემთხვევაში გამოდიოდა რკპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებიდან. (ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 17, оп. 2, д. 154).

კონტრრევოლუციურ გამოსვლებზე საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოვიდნენ მეფის ყოფილი ოფიცრები, კულაკები, ვაჭრები, თავადაზნაურები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები.

მენშევიკ-კონტრრევოლუციონერები შეეცადნენ მიწაზე თავადაზნაურულ-მემამულური კერძო საკუთრების აღდგენას, სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვრის ლიკვიდაციას. გლეხობის ფართო მასებმა ზურგი შეაქციეს აჯანყებას. მუშათა კლასი, უღარიბესი და საშუალო გლეხობის ძირითადი მასები მტრულად შეხვდნენ მას. ამიტომ მენშევიკებისა და ანტისაბჭოთა ნაციონალისტური პარტიების მიერ მოწყობილი აჯანყება წმინდა წყლის ავანტიურად გადაიქცა.

მენშევიკები და ანტისაბჭოთა პარტიები ოფიციალურად „დამოუკიდებელი საქართველოს" ლოზუნგით გამოდიოდნენ. ისინი აშკარად არ აყენებდნენ თავიანთ სოციალურსა და ეკონომიურ პროგრამას, და ამ მხრივ, არც აყენებდნენ რაიმე ლოზუნგს, მაგრამ იგი მაშინვე გამომჟღავნდა, როგორც კი რამდენიმე დღით მოექცნენ ზოგიერთი მაზრის ხელისუფლების სათავეში. ასე მაგალითად, ჭიათურის რაიონში წერეთლებმა უკანვე დაიბრუნეს ის ბინები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა გლეხების სასარგებლოდ; აზნაური ჯაფარიძეები იმთავითვე შეუდგნენ ყოფილი მამულებიდან დაუმწიფებელი სიმინდის აღებას და მისაკუთრებას; სენაკის რაიონში მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატები შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ვაჭრებისაგან ჩამორთმეული სახლების დაბრუნებას ყოფილი მესაკუთრეებისათვის. მენშევიკურმა კონტრრევოლუციამ ზოგიერთ მაზრაში რამდენიმე საათით გამარჯვებისთანავე აშკარად გამოაცხადა: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთრებასო"[1]. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ზოგან მენშევიკებმა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებმა, ნახეს რა საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლა არ სარგებლობდა მშრომელთა შორის პოპულარობით, წამოაყენეს „უპარტიო საბჭოების" ლოზუნგი[2]. მაგრამ მათ ვერც ამან უშველა; სწრაფად მოახდინეს მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია წითელი არმიის ნაწილებმა მშრომელი მასების დახმარებითა და მხარდაჭერით.

მენშევიკების სისხლიან ავანტიურას აღშფოთებით შეხვდა საქართველოს მშრომელი ხალხი. საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ხალხმრავალ კრებებსა და მიტინ-

---

[1] გ. ორჯონიკიძე. მენშევიკების ავანტიურა საქართველოში, თბ., 1924, გვ. 10 — 11.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 2, საქ. 02, ფურც. 644 — 648.

გებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებითაც მოითხოვდნენ ავანტიურის სულისჩამდგმელთა სასტიკად დასჯას. მთელ საქართველოში ტარდებოდა უპარტიო გლეხთა საპროტესტო კრებები და მიტინგები, ყველგან ერთხმად გმობდნენ მენშევიკურ ავანტიურას და მის სულისჩამდგმელთ. ავანტიურის დაგმობისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის რეზოლუციებს ღებულობდნენ ჩოხატაურის, ჯუმათის, დვაბზუს, ჯურუყვეთის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, ვანის, სვირისა და სხვ. მშრომელთა კრებები[1].

გლეხობა მარტო საპროტესტო რეზოლუციებს როდი დასჯერდა. მთელ რიგ მაზრებში სტიქიურად დაიწყო გლეხობის მღელვარება. აღშფოთებული გლეხობა ანადგურებდა ყოფილ თავადაზნაურთა სახლ-კარს, ხოცავდა ყველაზე საძულველ და ანტისაბჭოთა საქმიანობაში შენიშნულ ყოფილ მოხელეებსა და თავადაზნაურებს; დანარჩენებს კი გლეხთა სათემო კრებების დადგენილებით ერეკებოდნენ სოფლებიდან და ახდენდნენ მათი ქონების — მიწის, საქონლისა და სახლ-კარის კონფისკაციას. მარტო გორის მაზრიდან გამოდევნეს თავადაზნაურთა 131 ოჯახი, ასეთივე მდგომარეობა იყო სიღნაღის მაზრაში, თელავში და სხვაგან[2]. მოძრაობამ მეტად ფართო და მრისხანე ხასიათი მიიღო. პარტიისა და ხელისუფლების ენერგიული ჩარევით სწრაფად დააშოშმინეს გლეხობა[3]. შემდეგში კი, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა სპეციალური კომისია ვ. სტურუას თავმჯდომარეობით, თავადაზნაურთა სოფლებიდან გამოდევნის შესახებ გლეხთა სათემო კრებების დადგენილებათა გადასინჯვისათვის, სოფლად ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის. კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა. მან მთელ რიგ შემთხვევაში უცვლელად დატოვა გლეხთა სათემო კრებების გადაწყვეტილებანი.

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ხმას თავის ხმა შეუერთა ქართველმა ინტელიგენციამ, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეებმა. 1924 წლის 7 სექტემბერს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია და მთელ ქვეყანას აუწყა, რომ „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად“[4]. ამ დეკლარაციას ხელს აწერდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენი-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1063, ფურც. 5 — 6, საქ. 2, ფურც. 788 და სხვ.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 232, საქ. 52 — 54, ფურც. 1 — 3.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 754 — 768.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 7 სექტემბერი.

ლი მეცნიერები ლ. ანდრონიკაშვილი, გ. ახელედიანი, ი. ბერიტაშვილი, გ. გეხტმანი, ა. დიდებულიძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნათაძე, გ. ნიკოლაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ჩუბინაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი და სხვ.

თბილისის მასწავლებელთა კონფერენციის მიერ 1924 წლის 14 სექტემბერს მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ყოველგვარი კონტრრევოლუციური აჯანყება არსებული მთავრობის წინააღმდეგ მასწავლებლობას მიაჩნია დაუშვებლად და ხალხისათვის დამღუპველად. სავსებით კიცხავს ამ ავანტიურისტული (1924 წლის აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურას — ავტ.) მოძრაობის სულის ჩამდგმელთ და ხელმძღვანელებს და ყოველ პატიოსან ინტელიგენტს მოუწოდებს ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის“ [1].

1924 წლის აგვისტოში მენშევიკურ ავანტიურას აღშფოთებით გამოეხმაურა აგრეთვე საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი და მთელი კავკასიელი ახალგაზრდობა. სექტემბერში საზღვარგარეთ გამართულ საპროტესტო კრებებზე ისინი გმობდნენ საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების საქმიანობას და საქართველოს მშრომელებს აღუთქვამდნენ მხარდაჭერას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მაშინვე, 1924 წლის სექტემბერში, ეცნობა ქართველ ხალხს საბჭოთა მთავრობის სახელზე მოსული დეპეშებით: პარიზიდან — საბჭოთა ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირისაგან, ვენიდან — საბჭოთა ამიერკავკასიის სტუდენტებისაგან, ფრეიბურგიდან — ამიერკავკასიის სტუდენტთა საერთო კრებისაგან, ბერლინიდან — საქართველოსა და ამიერკავკასიის სტუდენტთა საერთო კრებისაგან, საბჭოთა ამიერკავკასიის სტუდენტთა ევროპის კავშირის სამდივნოსაგან, ამავე კავშირის ქართული სექციისაგან და სხვ. [2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმი, გაეცნო რა აჯანყების გამომწვევი მიზეზების გამომკვლევ კომისიის მასალებს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აჯანყების წინ საქართველოში მთელ რიგ დიდ წარმატებებთან ერთად ადგილი ჰქონდა აგრეთვე შეცდომებს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლებიც გამოიყენეს ანტისაბჭოთა პარტიებმა, მათ შორის შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტე, იგი გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, სოფლად პარტიული ორგანიზაციების ნელი ზრდით. საქართველოს სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში, სახალხო მე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2, ფურც. 747.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 432, ფურც. 34 — 80.

ურნეობის აღდგენის პერიოდში, 6 ათასამდე კომუნისტი ირიცხებოდა, მაშინ როდესაც მარტო გურიის მენშევიკური ორგანიზაცია 8 — 10 ათასამდე წევრს ითვლიდა.

2. სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისუსტე. მათ არ ჰყავდათ თავის გარშემო მტკიცედ დარაზმული უპარტიო გლეხთა აქტივი, უპარტიო გლეხობა ნაკლებად იყო ჩაბმული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ამის მიზეზი იყო არა მარტო ის, რომ სოფლად კომუნისტები მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ უპარტიო გლეხობის განწყობილებათა და ზრახვათაგან, რომ კომუნისტებმა ვერ შეძლეს გლეხობისადმი ლენინურად მიდგომა, რის გამოც მათ ნდობის ატმოსფეროს ნაცვლად შექმნეს ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო, არამედ ის, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფისას შემოიღეს სარაიონო სისტემა სათემო სისტემის ნაცვლად. ამით გლეხობა და ხელისუფლების ორგანოები კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს, დასუსტდა პარტიისა და ხელისუფლების გავლენა სოფლად, ამით ისარგებლეს ანტისაბჭოთა პარტიებმა. მასების გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის პირობებში მათ ხელსაყრელი ნიადაგი დახვდათ სოფელში [1]. ამრიგად, როდესაც სოფლად დაიწყო მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდა, სწორედ მაშინ მნიშვნელოვნად დაშორდა ხელისუფლების ორგანოები მშრომელ გლეხობას, შესუსტდა სოფლისადმი პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ყოველივე ამით ისარგებლეს ანტისაბჭოთა პარტიებმა. მათ მთელ რიგ ადგილებში შეძლეს სათავეში ჩადგომოდნენ გლეხობის ერთი, მცირე ნაწილის, პოლიტიკურ აქტივობას და წარემართათ იგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

3. სოფლად საბჭოთა და პარტიული ორგანოების ფუნქციათა ხშირი აღრევა. იგი გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, პარტიული ორგანოების მხრივ წვრილმან მეურვეობაში სოფლის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების საკითხების გადაჭრაში. პარტიული ორგანიზაციების ყურადღება უნებურად შორდებოდა მათ ძირითად დანიშნულებას — სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანებს, პარტიული ორგანიზაციები უხეშად ერეოდნენ საბჭოების, სამეურნეო ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობაში.

4. სოფლად არსებული ზოგიერთი ეკონომიური ხასიათის სიძნელე. ჯერ ერთი, მიწის რეფორმის დროს საშუალო და უღარიბეს გლეხობას, მიწის საერთო სიმცირის გამო, დადგენილ ნორმამდეც ვერ მისცეს მიწა. მაშინ, როდესაც კულაკურ და შეძლებულ გლეხურ მეურნეობებს, მიწის

---

[1] ვ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბ., 1924, გვ. 18 — 19.

ჩამორთმევის შემდეგ, დადგენილი ნორმა მაინც შერჩათ, მათ შეინარჩუნეს აგრეთვე უკეთესი სამეურნეო ინვენტარი და ცოცხალი გამწევი ძალა. ყოველივე ეს ქმნიდა პირობებს სოფლად კულაკობის გავლენის შემდგომი ზრდისათვის, მათი შემდგომი ეკონომიური გაძლიერებისათვის. მ ე ო რ ე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შედარებით კვლავ დაბალი ფასები, სამრეწველო საქონლის ფასებთან შედარებით, ხელს უშლიდა გლეხურ მეურნეობათა სწრაფ აღდგენას. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის ინდექსთა შორის დისპროპორცია იწვევდა გლეხის შემოსავლის მნიშვნელოვან დანაკარგებს, რაც გლეხობის უკმაყოფილებას იწვევდა. მ ე ს ა მ ე, კოოპერაციის შედარებით სუსტი მუშაობა. „კოოპერაციის მუშაობა სოფლად არ არის საგრძნობი გლეხობისათვის,—წერდა მ. კახიანი,—რადგანაც ის ნაკლებად აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. მაშასადამე, სოფლის კოოპერატივი სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელი ცენტრის მაგივრად ზოგიერთ ადგილებში გადაიქცევა ჩვეულებრივ დუქნად და ისიც არა კარგი ღირებულების დუქნად“[1]. მ ე ო თ ხ ე, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერისას, დასაბეგრი ობიექტების არაზუსტი აღრიცხვის გამო, დაშვებული იყო შეცდომები, რაც გლეხობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. გარდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავდა „ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის“ სისტემას, სინამდვილეში იგი წარმოადგენდა გლეხობისათვის თავზე მოხვეულ, იძულებით გადასახადს, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას და მათში უკმაყოფილებას იწვევდა. გარდა ამისა, არსებობდა მთელი რიგი ერთჯროული გადასახადები, მაგალითად, კურორტებზე, რასაც გლეხები დაცინვით „ჰაერის გადასახადს“ უწოდებდნენ. არსებობდა გადასახადი საბჭოდან მოწმობებისა და ცნობების გაცემაზე. ყოველივე ეს ადგილობრივი ხელისუფლების „გამომგონებლობის“ შედეგი იყო და წყალს ასხამდა მტრების წისქვილზე. მ ე ხ უ თ ე, სოფლის ინტელიგენციის შედარებით მძიმე მატერიალური პირობები. მათი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარსულთან შედარებით საერთოდ გაუმჯობესდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო დამაკმაყოფილებელი. სოფლის მასწავლებლებს ხელფასი მოემატათ, მაგრამ მათთან მომატებული ტარიფით ანგარიშის სწორება დიდხანს ვერ მოხერხდა, მხოლოდ 1924 წლის სექტემბერში გახდა შესაძლებელი მასწავლებელთა ხელფასების დავალიანების მოსპობა. უკეთეს მდგომარეობაში არც აგრონომები და ექიმები იყვნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი სოფლის ინტელიგენციის „უმნიშვნელო“ ნა-

---

[1] მ. კ ა ხ ი ა ნ ი, მენშევიკური გამოსელების შედეგები და გაკეთილები, გვ. 20.

წილი იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციურ გამოსვლაში"[1].

5. პარტიის ეროვნული პოლიტიკის გატარების დროს იყო ზოგიერთი დამახინჯება. ჯ ე რ ე რ თ ი, არასაკმარისი პოლიტიკური მუშაობის შედეგად მასებს არ განემარტა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში მომხდარი ცვლილებების პოლიტიკური მნიშვნელობა, ამის გამო წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და კულაკურ გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა მენშევიკურ ვერსიას „ისტორიული საქართველოს დაქუცმაცებისა და დაშლის" შესახებ. მ ე ო რ ე, საერთოდ სუსტად წარმოებდა მასებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის, მისი თეორიისა და პროგრამის პოპულარიზაცია, რის გამოც წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა ნაციონალისტური პარტიების ვერსიას „ბოლშევიკების ეროვნული ნიჰილიზმის" შესახებ. „ყალბი შეხედულება პროლეტარიატის დიქტატურაზე, — ამბობდა ფ. მახარაძე 1925 წლის იანვარში მასწავლებელთა I ყრილობაზე, — მასწავლებელთა ცუდი მატერიალური მდგომარეობა, პედაგოგიური აღზრდის ძველი ტრადიციები, საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის გაუგებრობა იყო უმთავრესი მიზეზი იმ დიდი გაუგებრობისა, რომელიც არსებობდა მშრომელთა წიაღიდან გამოსულ სახალხო მასწავლებლობის, ერთი მხრივ, და ხელისუფლებასა და პარტიას შორის, მეორე მხრივ. დღეს ეს უნდობლობისა და განდგომის ყინული გალღვა და მასწავლებლობა უახლოვდება თავის ბუნებრივ მოკავშირეს — მშრომელთა მთავრობას და პროლეტარიატის ხელმძღვანელ პარტიას, რომელთა მიერ დღეს გაჩაღებულია დიდი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა"[2]. ეს შეფასება ძალაშია არა მარტო სახალხო მასწავლებლების მიმართ, არამედ მთელი ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მიმართაც. ინტელიგენციის ამ ფენის საბჭოთა ხელისუფლებიდან განდგომას ნაწილობრივ ხელს უწყობდა ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ულტრა-მემარცხენული დამოკიდებულება ქართველი ინტელიგენციისადმი, მათი განურჩევლად ნაციონალისტებად და შოვინისტებად გამოცხადება. მ ე ს ა მ ე, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების დროს, და შემდეგაც, ფედერაციული ხელისუფლების ორგანოთა უფლებების მეტისმეტად გაფართოება ეროვნული რესპუბლიკების უფლებათა ხარჯზე, ზომაზე მეტი ცენტრალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების ხარჯზე. ამის გამო წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და კულაკურ გლეხობაში ერთგვარი გასავალი ჰქონდა მენშევი-

---

[1] მ. კ ა ხ ი ა ნ ი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები. გვ. 24.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1925 წლის 6 იანვარი.

კურსა და ნაციონალ-უკლონისტურ ვერსიას „საქართველოს დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის“ შესახებ. ამიტომ იყო, რომ ანტისაბჭოთა პარტიებმა ყველაზე უფრო მომგებიან მოწოდებად „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის“ ლოზუნგი მიიჩნიეს და მხოლოდ იგი წამოაყენეს აჯანყების მზადებისათვის. აი, ყველა ის ძირითადი შეცდომა და ნაკლოვანება, რომელიც გააჩნდა საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, და რომელმაც გაუადვილა ანტისაბჭოთა პარტიებს კონტრრევოლუციური მუშაობა გლეხობასა და ინტელიგენციაში. „არავისთვის დასამალავი არ უნდა იყოს, — წერდა ფ. მახარაძე, — ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც შეუდგა მუშებისა და გლეხების ხელისუფლების განმტკიცებას, ხშირად შემცდარ ნაბიჯებს აკეთებდა, ხშირად უშვებდა შეცდომებს, რაც ადვილი ასახსნელი იყო ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, მაგრამ გაუგებარი სხვებისათვის. ასეთი შეცდომები, რა თქმა უნდა, აბრკოლებდნენ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების მიღებას და ცნობას არა მარტო ჩვენს ორგულთა და მოწინააღმდეგეთა მხრივ, არამედ იმათი მხრითაც კი, ვინც ჩვენ თანაგრძნობით გვიყურებდა. მაგრამ ყველა ეს შეცდომები იყვნენ დროებითი და წარმავალნი; საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობა ამით ვერ დაიჩრდილებოდა. ის თავის გავლენას ახდენდა ყველაფერზე“[1]. და მართლაც, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუშაობა ვერ დაჩრდილა კერძო ხასიათის ზოგიერთმა შეცდომამ, სწორედ ამან განაპირობა ანტისაბჭოთა პარტიების იზოლაცია, მენშევიკური ავანტიურის უსწრაფესი ლიკვიდაცია საქართველოს მშრომელთა აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1924 წლის 25 — 27 ოქტომბრის პლენუმზე მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება „საქართველოს ამბების“ შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელების შედეგად მიღწეულ იქნა საქართველოში მთელი რიგი წარმატებები სოფლად პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში: პარტიული და საბჭოთა მუშაობის ცენტრი სოფლად იქნა გადატანილი, რის გამოც სოფლის პარტიული ორგანიზაციები განმტკიცდნენ და გახდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ-პოლიტიკურ ცენტ-

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წლის 6 დეკემბერი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 6687, ფურც. 70 — 77.

რებად; გამოცოცხლდა საბჭოების მუშაობა, გაძლიერდა უპარტიო გლეხობის აქტივობა და მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობაში.

ამის შემდეგ წარმატებით ხორციელდებოდა ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია საქართველოში. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგანგებო კომისიის ორგანოებმა მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერითა და ენერგიული დახმარებით სწრაფად მოახდინეს მენშევიკური პარტიის არალეგალური ცენტრალური და თბილისის კომიტეტების, სამაზრო და სარაიონო ორგანიზაციების და მათი არალეგალური სტამბების ლიკვიდაცია; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტების არალეგალური ცენტრალური კომიტეტებისა და მათი სტამბების ლიკვიდაცია. ამასთან ერთად, საგანგებო კომისიამ მშრომელთა სიფხიზლის დახმარებით აღმოაჩინა უცხოეთის მთელი რიგი ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მოახდინა მათი სწრაფი ლიკვიდაცია[1].

1924 წლის აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოდ გაუტეხა სახელი მენშევიკებსა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებს საქართველოსა და ყველა ქვეყნის მშრომელთა თვალში. მენშევიკური პარტიის დაშლის პროცესი კიდევ უფრო ჩქარი ტემპით წარიმართა. 1924 წელს შეიქმნა „მუშათა კომისია“ თბილისში და მისი განყოფილებანი — მაზრებში. „მუშათა კომისიამ“ გამოსცა საკუთარი ორგანო — გაზეთი „ახალი გზა“. „მუშათა კომისიამ“ მენშევიკური პარტიის რიგებს 11 ათასამდე მუშა და გლეხი ჩამოაცილა თავისი ერთი წლის მუშაობის მანძილზე[2]. 1925 წლის ოქტომბერში „მუშათა კომისიის“ („ახალგზელთა“) რწმუნებულების თათბირმა ერთი წლის მუშაობის შედეგები შეაჯამა და ს. გეგეჭკორის (თათბირს ესწრებოდა როგორც საქართველოს კპ (ბ) ცკ წარმომადგენელი) წინადადებით გააუქმა „მუშათა კომისია“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა „მენშევიკთა შორის მუშაობის განყოფილება“[3].

საქართველოში კონტრრევოლუციური ავანტიურის ჩაფუშვის შემდეგ ჩქარი ტემპით წავიდა ქართული ემიგრაციის დაშლა საზღვარგარეთ. ემიგრანტთა ერთი ნაწილი ქმნიდა ეგრეთ წოდებულ „საბჭოთა კოლონიას“ და ემზადებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად. ზოგიერთები კიდეც დაბრუნდნენ საქართველოში. მაგრამ ემიგრანტული „მთავრობა“ ბურჟუაზიული პოლიტიკისა და ტერორის საშუალებით ცდილობდა ქართულ ემიგრანტულ წრეებში დაწყებული გათიშვის შეჩერებას. ასე მაგალითად,

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 232, საქ. 100, ფურც. 187 — 199.

[2] «Материалы к отчету ЦК КП (б) Грузии к IV съезду», стр. 235 — 236.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1119, ფურც. 15 — 21.

პარიზში პირველი საბჭოთა კოლონიის დამფუძნებელ კრებას თავს დაესხნენ მენშევიკები და სასიკვდილოდ სცემეს მონაწილეებს: თ. დემეტრაშვილს, ვ. ალიხანოვს, ი. კრიჭაშვილსა და სხვებს. პარიზის პოლიციამ კრების მონაწილენი დააპატიმრა, თავდამსხმელები კი გაანთავისუფლა. ბერლინში საბჭოთა კოლონიის ერთ-ერთ აქტიურ წევრს ემიგრანტ ვ. ყანდარელს რევოლვერის ტყვიით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. თავდამსხმელი დაკითხვის შემდეგ პოლიციამ გაანთავისუფლა. პრაღაში ემიგრანტ მგალობლიშვილს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს, თავდამსხმელი აქაც დაუსჯელი დარჩა. ემიგრანტმა მხეიძემ პარიზში საბჭოთა საელჩოს სთხოვა საქართველოში დაბრუნების ნებართვა. მხეიძე ემიგრანტებმა გაიტაცეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. პარიზის პოლიციამ მხეიძის პროტესტი უყურადღებოდ დატოვა; და ბოლოს, გ. ვეშაპელი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა კონტრრევოლუციურ ემიგრაციასთან, სიცოცხლეს გამოასალმეს[1].

საქართველოში ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძალა და ავტორიტეტი, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, გაიზარდა მშრომელი გლეხობისა და მუშათა კლასის პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობა, რამაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღდგენითი პერიოდის უკანასკნელ წლებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ (1925 წლის დეკემბერი) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა, რომ „ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ცეკას სწორი პოლიტიკის ნაყოფს ეროვნული საკითხის და სამეურნეო-კულტურული პრობლემების გადაჭრაში, იმ პოლიტიკას, რომლის შედეგი იყო ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა საქართველოში და მტკიცე გარდატეხა გლეხთა მასების სულიერ განწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ“[2].

§ 8. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა და მასების პოლიტიკური აქტივობა

საბჭოთა სახელმწიფოში მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი მისი ეროვნული

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), მოგონებების ფონდი, ალ. ხელაძის მოგონება.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 4 დეკემბერი.

შემოსავალია. ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად სახალხო მეურნეობის გაპარტახების გამო, კატასტროფულად დაეცა. 1922 — 1923 წელს იგი შეადგენდა ომამდელი დონის მხოლოდ 35 — 40 პროცენტს[1]. ევროპული რუსეთის 50 გუბერნიის 1913 წლის ეროვნული შემოსავლიდან ერთ სულზე მოდიოდა 101,3 მანეთი, ამიერკავკასიის 1922 — 23 წლის ეროვნული შემოსავლიდან კი — 31,1 ომამდელი მანეთი, ანუ 51,6 ჩერვ. მანეთი[2]. მართალია, საბჭოთა ამიერკავკასიის ეროვნული შემოსავალი სამჯერ და უფრო მეტად ჩამორჩებოდა ომამდელ დონეს, მაგრამ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა სრულებითაც არ იყო სამჯერ უფრო მძიმე ომამდელთან შედარებით. მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება არ ხდებოდა ეროვნული შემოსავლის შემცირების პროპორციულად, რადგან საქმე გვქონდა ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების პირობებში მომხდარ მოვლენებთან. რევოლუციამდე მთელი ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 25 პროცენტი ეკუთვნოდა მშრომელებს, რევოლუციის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 75 პროცენტამდე გაიზარდა.

ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით მუშათა კლასმა და გლეხობამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იგრძნო სახელმწიფოებრივი ზრუნვა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ, ზრუნავდნენ რა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, თავიდანვე მიიღეს გადამჭრელი ზომები მუშათა კლასისა და გლეხობის შრომის უფლებისა და პირობების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა „სამუშაო დროის შესახებ“ 1921 წლის 18 აპრილის დეკრეტით განახორციელა საქართველოში 8-საათიანი სამუშაო დღე მთელი თავისი სისრულით[3]. მენშევიკების მიერ შემოღებული შრომის კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავეებზე. შრომის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობა კი მოიცავდა მთლიანად ყველა დაქირავებულ მუშაკს: სახელმწიფო და კერძო საწარმოო დაწესებულებათა მუშებსა და მოსამსახურეებს, შინამოსამსახურეებს, სოფლის მოჯამაგირეებს და სხვ.

---

[1] პროფ. ბ. პერვუშინის გამოანგარიშებით (იხ. კრ. «Народное государственное хозяйство СССР за 1922 — 1923 гг.»).

[2] რაც მიღებულია უბრალო არითმეტიკული წესით და, რასაკვირველია, ვერ გამოხატავს იგი ნამდვილ მდგომარეობას (ჟურნ. «Экономический вестник Закавказья», 1925, № 9 — 10, стр. 16, 18).

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 12, ფურც. 79.

მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო დაზღვევის საქმეს კომუნისტურმა პარტიამ და რევოლუციურმა კომიტეტმა თავიდანვე მიაქციეს სერიოზული ყურადღება. სადაზღვევო საქმე სახელმწიფომ თავის ხელში აიღო 1921 წლის 11 ივლისის დეკრეტით[1].

სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ რევოლუციურმა კომიტეტმა კიდევ უფრო ადრე, 1921 წლის 2 აპრილს გამოსცა დეკრეტი[2]. ამასთან დაკავშირებით უპატრონოთა ყველა თავშესაფარი, სახელოსნოები, ინვალიდთა სახლები და სხვა მისთანანი გადაეცა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებს, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს, რომლებიც შექმნეს ადგილობრივ რევოლუციურ კომიტეტებთან 1921 წელს.

პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევაზე გაწეული ხარჯები წლითიწლობით იზრდებოდა. ასე მაგალითად, იგი 1924 — 25 წლის 4 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 1925 — 26 წელს თითქმის 7 მილიონ მანეთამდე, ან 59,9 პროცენტით[3]. ხოლო საქართველოში 1926 წელს დაზღვეული იყო მთელი მუშა-მოსამსახურეთა 92 პროცენტი[4].

შრომის დაცვის შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებათა განუხრელად შესრულების სადარაჯოზე მტკიცედ იდგა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 20 აპრილის დეკრეტით შექმნილი „შრომის დაცვის ინსპექცია“[5].

მუშათა კლასის შრომის დაცვასა და მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო წარმოებაში კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემის შემოღებამ. მან გააუმჯობესა საწარმოთა მუშაობა, გაადიდა შრომისნაყოფიერება და, მაშასადამე, შრომის ხელფასიც. 1923 — 24 წლებში შრომის ხელშეკრულებებში მონაწილეობდა 29 ათასამდე, ხოლო 1925 წელს — 32 ათასამდე მუშა და მოსამსახურე. კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემის შემოღების შედეგად მუშათა ხელფასი 20,9 პროცენტით გაიზარდა[6].

საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია მენშევიკური მთავრობისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უმუშევრობის ლიკვიდაციის საქმეს. ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში შეიქმნა სპეციალური კომისია უმუშევრობასთან საბრძოლველად.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 201, ფურც. 109.
[2] იქვე, საქ. 12, ფურც. 67.
[3] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 418.
[4] „საქართველოს სსრ მთავრობის 1925 — 26 წლის მოქმედების ანგარიში“, გვ. 305.
[5] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 12, ფურც. 80.
[6] იქვე, საქ. 11, ფურც. 19.

კომისიის ენერგიული მუშაობის შედეგად რამდენიმედ შემცირდა უმუშევრობა, მაგრამ მისი მთლიანი ლიკვიდაცია დაკავშირებული იყო უშუალოდ სახალხო მეურნეობის აღდგენასთან, წარმოების გაფართოებასთან. ამიტომ უმუშევრობის მთლიანი ლიკვიდაცია ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩებოდა[1].

მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის ინტერესებს ემსახურებოდა პარტიისა და ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები კომუნალური მეურნეობის ხაზით. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 14 მაისის დეკრეტით შექმნა კომუნალური განყოფილებები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან[2]. კომუნალური განყოფილებები განაგებდნენ ადგილობრივი მეურნეობის შემდეგ დარგებს: საბინაო საქმეებს, საერთო სარგებლობის წარმოებებს (წყალსადენი, განათება, ქალაქის ტრანსპორტი, სამრეცხაოები, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი და სხვ.), მათ კეთილმოწყობას, სათბობის განაწილებას და სხვ.

კომუნალური განყოფილებები სათავეში ჩაუდგნენ მუშათა საინიციატივო ჯგუფების მუშაობას მუშათა საყოფაცხოვრებო, საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ჯერ კიდევ თებერვალ-მარტში მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ქალაქი დატოვა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა. მთავრობის განკარგულებით უპატრონოდ მიტოვებულ ბინებში, მათი მუნიციპალიზაციის შემდეგ, ჩაასახლეს 11 ათასი მუშისა და მოსამსახურის ოჯახი, რომლებიც მენშევიკური მთავრობის დროს სარდაფებში ცხოვრობდნენ. ამის შემდეგაც მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდნენ კომუნალური განყოფილებები და მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესების კომისიები. მშრომელთა შორის საბინაო ფონდის უკეთ განაწილების მიზნით საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 23 მაისს გამოსცა დეკრეტი, რომლითაც დადგინდა მშრომელთა ბინებით უზრუნველყოფის წესები[3]. ამ წესებით ხელმძღვანელობდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, კომუნალური განყოფილებები და მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესების კომისიები.

მუშებისათვის ბინების მშენებლობაზე საქართველოში 1925 — 26 წელს დაბანდებული იყო 2 025 400 მანეთი, მომდევნო წლისათვის იგი ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და მიაღწია 4 718 500 მანეთს[4].

1926 და 1927 წლებში სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზა-

---

[1] „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოს მოქმედება 1922 წელს“, თბ., 1923, გვ. 41 — 43.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 281, საქ. 12, ფურც. 89.

[3] იქვე, ფურც. 92.

[4] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 420.

ციების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საქართველოში ააგეს 70 სახლი, 22 116 კვ მეტრის საცხოვრებელი ფართობით. მუშა-მოსამსახურეთა საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელი გახდა მათ მიერ საკუთარი საცხოვრებელი სახლების აგება ქალაქებში. 1927 წელს დამთავრებული საკუთარი სახლებიდან 126 (3 796 კვ მეტრის საცხოვრებელი ფართობით) ეკუთვნოდა მუშებსა და 118 (4 815 კვ მეტრი საცხოვრებელი ფართობით) — მოსამსახურეებს [1].

მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის ძირითადი მაჩვენებელი მუშის ხელფასის დონეა. ხელისუფლებამ მუშათა ხელფასის გადიდების საკითხი ერთ-ერთ ძირითად საბრძოლო ამოცანად დასახა. მუშათა ხელფასის ზრდა დიდად იყო დამოკიდებული მრეწველობის და საერთოდ, სახალხო მეურნეობის აღდგენაზე. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ღონისძიებებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაძლიეს მთელი რიგი დაბრკოლება და აღადგინეს სახალხო მეურნეობა, კერძოდ, მრეწველობა. გაიზარდა შრომისნაყოფიერება და მასთან ერთად მუშის რეალური ხელფასიც [2].

მუშისა თუ მოსამსახურის საშუალო თვიური ხელფასი აბსოლუტური რიცხვებით გამოხატული თავისთავად არაფერს არ ლაპარაკობს. ამიტომ აუცილებელია მუშის ბიუჯეტის შესწავლა და მისი ანალიზიდან სათანადო დასკვნების გაკეთება მუშათა ცხოვრების მატერიალური პირობების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მუშის ბიუჯეტი, ისე როგორც გლეხისა, არ არის მეცნიერულად შესწავლილი. ამ მიმართულებით გადაიდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯები, შეგროვდა ცოტაოდენი მასალა. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუშის შემოსავლის უდიდესი ნაწილი შრომის ხელფასზე მოდიოდა. ასე მაგალითად, მუშის შემოსავალში შრომის ხელფასი შეადგენდა 1922 წელს 78,4 პროცენტს, 1923 წელს — 82,1, 1924 წელს — 74,8, 1925 წელს — 80,9 და 1926 წელს — 81,8 პროცენტს [3]. თბილისელი მუშის ბიუჯეტი, 1925 წლის თებერვლის საბიუჯეტო გამოკვლევის მიხედვით, უდეფიციტო იყო და ოჯახის უფროსის ხელფასი მთელი შემოსავლის 76,9 პროცენტს შეადგენდა.

გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის უდიდეს საშუალებას წარმოადგენდა მიწის აგრარული რეფორმა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიწის საკითხი გლეხობის სასარგებლოდ გადაწყვიტა. საბჭოთა ხელი-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 436, 446.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 648, ფურც. 8 — 11.

[3] «Итоги деятельности Советской власти в цифрах 1917 — 1927 гг.», М., 1927, стр. 348 — 349.

სუფლების მიერ განხორციელებულმა რევოლუციურმა აგრარულმა რეფორმამ საქართველოს მშრომელი გლეხობა გაანთავისუფლა მძიმე ტვირთისაგან — მენშევიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული მიწის გადასახადისაგან 95 მილიონი მანეთის რაოდენობით[1] და სახელმწიფო მიწის ფონდიდან მიწების შესაძენად 252 მილიონი მანეთის გადახდისაგან. ამის გადახდამდე მენშევიკურ საქართველოში გლეხობას უნდა ეხადა წლიურად საღალო — 802 200, საიჯარო — 2 500 000 მანეთი ოქროთი და სხვ. გლეხობას საშუალება მიეცა დანაზოგი სახსრები შემდეგში გამოეყენებინა სოფლად საწარმოო ძალთა განვითარებისათვის [2].

საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამ, ისე როგორც მუშათა კლასის, გლეხობის მდგომარეობაც გააუმჯობესა. ხელისუფლების მიერ მიწის იჯარისა და სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების დაშვება ხელს უწყობდა გლეხურ მეურნეობათა აღდგენას, განსაზღვრულ პერიოდამდე, საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებამდე.

1923 წლიდან, ნაცვლად ნატურალური გადასახადისა, შემოიღეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. მან შეცვალა ყველა პირდაპირი სახელმწიფო გადასახადი, აგრეთვე ადგილობრივი ბეგარები და გამოსაღებნი, რომლებიც მძიმედ აწვებოდა გლეხურ მეურნეობას. ახალი საგადასახადო სისტემა, ითვალისწინებდა რა სოფლის კლასობრივ დიფერენციაციას, აწესებდა შეღავათებს ღარიბი და უღარიბესი გლეხობისათვის, ზღუდავდა კულაკურ მეურნეობათა ექსპლოატატორულ ტენდენციებს [3]. ამრიგად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, დაფუძნებული იყო რა პროგრესული დაბეგვრის პრინციპზე, წარმოადგენდა სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს საბჭოთა სახელმწიფოს ხელში. საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა ღარიბი და საშუალო გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ინტერესებს ემსახურებოდა. ღარიბი და საშუალო გლეხობის ბიუჯეტში სახელმწიფო გადასახადების წილი თანდათან მცირდებოდა, ხოლო შესაბამისად იზრდებოდა იგი კულაკური მეურნეობის ხარჯზე [4].

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია მშრომელ ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მშრო-

---

[1] „პროექტი სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის აღრიცხვისა 1919-1920 წწ.", თბ., 1919, გვ. 44 — 49.

[2] ვ. ი. ჯიბლაძე, სოფლის მეურნეობის გადასახადები საბჭოთამდელ საქართველოში (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953, გვ. 434; გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 21 თებერვალი).

[3] ეერნ. „უწყებები", 1924, № 8 — 9, გვ. 84 — 87.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1419. ფურც. 1 — 48.

მელ ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მათი შრომითი მოწყობის მიზნით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა „მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისია“ [1].

გლეხურ მეურნეობათა აღდგენას და, მაშასადამე, გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას ხელს უწყობდა საკრედიტო ამხანაგობებში გლეხობის მონაწილეობა. საკრედიტო ამხანაგობებს საფუძველი ჩაეყარა დაგვიანებით, 1924 წელს, მაგრამ მისი განვითარება ჩქარი ტემპით წავიდა წინ. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში 1921 საკრედიტო ამხანაგობა არსებობდა. მათში გაერთიანებული იყო მთელი გლეხური მეურნეობის 10,4 პროცენტი. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის გლეხობას საკრედიტო ამხანაგობიდან მიღებული ჰქონდა სესხად 1 891 576 მან., აქედან გრძელვადიანი იყო 25 758 მანეთი, მოკლევადიანი — 1 865 818 მან. საკრედიტო ამხანაგობებში გაერთიანებულ გლეხთა 60 პროცენტს შეადგენდნენ ღარიბი გლეხები, 30 — 40 პროცენტს — საშუალო გლეხები, 3 — 5 პროცენტს — შეძლებული გლეხები [2].

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

1921 წელს საქართველოში მუშაობდა 325 ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1925 წელს საქართველოში მუშაობდა 1 168 ექიმი და 486 ექიმის თანაშემწე, კბილის ექიმი — 292 645, ბებია (მეანი) ქალი — 645, ფარმაცევტი — 264, სხვა სამედიცინო პერსონალი — 3 101 კაცის რაოდენობით [3].

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდას, მათ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ ამავე დროს მასების პოლიტიკური აქტივობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. სოციალისტური რევოლუციის მიერ აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოღვიძებული მასები ავითარებენ შრომისადმი ახლებურ დამოკიდებულებას, მასობრივი შრომითი მამაცობის გზით აღწევენ შრომისნაყოფიერების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის უმაღლესი განვითარებას, რაც, საბოლოო ანგარიშში, მაღლა სწევს მშრო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 184, საქ. 8231, ფურც. 4.
[2] იქვე, ფ. 13, საქ. 1130, ფურც. 48 — 50.
[3] «Итоги деятельности Советской власти 1917 — 1927 гг.»,стр. 106 — 107.

შელთა მატერიალური კეთილდღეობის დონეს. ასე მოხდა საქართველოშიც, სადაც მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო საქართველოს კომუნისტური პარტია, იგი ედგა სათავეში მასების უმაგალითო პოლიტიკურ აქტივობას.

საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე მიუთითებს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს რიგებისაკენ მათი თანდათანობით გაძლიერებული ლტოლვა.

საქართველოში ბურჟუაზიულ-მენშევიკური მთავრობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოში.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად მშრომელთა პოლიტიკურმა აქტივობამ, რომელიც გადაიქცა პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორად, გამოიწვია მუშათა კლასისა და გლეხობის დიდი შრომითი აღმავლობა, მთელი ძალების დაძაბვა დანგრეული სახალხო მეურნეობის უმოკლეს ვადებში აღსადგენად. მთელ ამ მოძრაობას სათავეში ედგა საქართველოს კომუნისტური პარტია. ამიტომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების ზრდა ჯანსაღი, პროლეტარული ელემენტების ხარჯზე, მისი რიგების გაწმენდა შემთხვევითი, მიტმასნილ-კარიერისტული ელემენტებისაგან საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარსა და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით გამოწვეული მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასობრივი ლტოლვა საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებისაკენ. 1921 წელს საქართველოს კომუნისტურ პარტიაში შევიდა 2 320 კაცი, აქედან მუშა 241, გლეხი — 1 623, დანარჩენი კი ხელოსანი და ინტელიგენტი. ამის შედეგად საქართველოს კომუნისტურ პარტიაში მუშები შეადგენდნენ მხოლოდ 13 პროცენტს, ხელოსნები — 7,1, გლეხები — 58, მოსამსახურეები კი 21,9 პროცენტს. არაპროლეტარული ელემენტების მოჭარბებას სხვაგანაც ჰქონდა ადგილი. ამიტომ რკპ (ბ) X ყრილობამ, აღნიშნა რა „წვრილბურჟუაზიული და კომუნისტური სულისკვეთებით დაუმუშავებელი მეშჩანურ-ინტელიგენტური და ნახევრად ინტელიგენტური ელემენტების“ შესვლა პარტიის რიგებში, აღიარა იმის „უკიდურესი აუცილებლობა, რომ პარტიული პოლიტიკის ბერკეტი გადაჭრით შევატრიალოთ მუშათა მოზიდვისაკენ და არაკომუნისტური ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდისაკენ“[1].

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 668.

1924 წლის იანვარში გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი. ბელადის სიკვდილს საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა უპასუხა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით ლენინური პარტიის ირგვლივ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ასობით და ათასობით შევიდა უპარტიო მუშების განცხადებები თხოვნით — მიეღოთ ისინი პარტიაში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი გაუწოდა მოწინავე მუშათა ამ მოძრაობას და გამოაცხადა პარტიაში მოწინავე მუშების მასობრივი მიღება, ლენინური გაწვევა. პარტიაში შევიდა 4 ათასამდე კაცი — მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი, ყველაზე შეგნებული და რევოლუციური, ყველაზე გაბედული და დისციპლინირებული. ლენინური გაწვევის დღეებში საქართველოს მუშათა კლასმა უდიდესი პოლიტიკური აქტივობა გვიჩვენა, იგი მჭიდროდ დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მასებისადმი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ახალი ძალით გაიშალა. მუშათა კლასისა და გლეხობის მიმართ შეუფერხებელი პარტიული ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციების გარშემო მჭიდროდ დარაზმული უპარტიო მასობრივი ორგანიზაციების ფართო ქსელი. ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის ხელში ისეთ იარაღს, ისეთ „ამძრავ ღვედებს“ და „ბერკეტებს“, რომელთა საშუალებითაც პარტია გადასცემს თავის ნებას მუშათა კლასსა და გლეხობას; წარმართავს მასების პოლიტიკურ აქტივობას რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ და გარდაქმნის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის მებრძოლთა ნამდვილ პოლიტიკურ არმიად. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება, სოციალისტური მშენებლობა.

ერთ-ერთი მასობრივი უპარტიო ორგანიზაცია, რომელიც კომუნისტურ პარტიას აკავშირებს კლასთან, უწინარეს ყოვლისა საწარმოო ხაზით, არის მ უ შ ა თ ა პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი. პროფკავშირებს ვ. ი. ლენინმა კომუნიზმის სკოლა უწოდა. ამ სკოლაში ღებულობდა წრთობას ასობით და ათასობით აქტივისტი მუშაკი, საუკეთესო ადამიანი ხელმძღვანელი მუშაობისათვის ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა დარგში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტია პროფესიული კავშირების საშუალებით წარმართავდა მუშათა კლასის პოლიტიკურ აქტივობას. პროფესიული კავშირების ზრდა და განმტკიცება, თავის მხრივ, მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და განვითარების მაჩვენებელია.

საქართველოს პროფესიული ორგანიზაციები, თანახმად რკპ (ბ) X

ყრილობის გადაწყვეტილებისა, მოეწყვნენ საწარმოო პრინციპის მიხედვით, შეიქმნა 20 პროფესიული კავშირი. აგრეთვე ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში შეიქმნა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები. 1921 წლის ივნისში საქართველოს პროფესიულ კავშირთა I კონფერენციამ აირჩია პროფესიულ კავშირთა საბჭო (პროფსაბჭო).

კომუნისტური პარტია პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმის აშენების ღონისძიებებს ახორციელებს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მშრომელთა უპარტიო და მასობრივ ორგანიზაციას. საბჭოების მეშვეობით ახორციელებს პარტია პროლეტარიატის სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას გლეხობის მიმართ. ამრიგად, საბჭოები პარტიას აკავშირებს მუშათა კლასსა და გლეხობასთან სახელმწიფოებრივი ხაზით.

საბჭოები საქართველოში კვლავ შეიქმნა 1921 წლის ბოლოსა და 1922 წლის დასაწყისში. მთელი ერთი წლის განმავლობაში, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის ფუნქციებს ასრულებდნენ რევოლუციური კომიტეტები. მისი წევრები ინიშნებოდნენ ზემდგომი ორგანოების მიერ, რის გამოც პარტიის კავშირი ფართო მშრომელ, უპარტიო მასებთან ყველგან რიდი იყო ისეთი მტკიცე, როგორსაც მოითხოვდა მაშინდელი რთული ისტორიული ვითარება ბოლშევიკებისაგან.

1921 წლის 3 დეკემბერს დაიწყო საბჭოების არჩევნები თბილისსა და ბათუმში. არჩევნები უნდა დამთავრებულიყო 10 დეკემბრისათვის. მენშევიკებმა სცადეს არჩევნების ჩაშლა, მას ბოიკოტი გამოუცხადეს; სცადეს აგრეთვე მუშათა საერთო გაფიცვის გამოწვევა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. თბილისის მუშათა კლასი არჩევნებზე ერთსულოვნად გამოცხადდა. ყველგან ირჩევდნენ კომუნისტებს, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულ მშრომელებს.

1922 წლის იანვარ-თებერვალში მთელ საქართველოში აირჩიეს საბჭოები. 25 თებერვალს გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობა. ყრილობამ მიიღო „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია“, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მონაპოვარი.

საქართველოში საბჭოების პირველი არჩევნები გადაიქცა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობის დემონსტრაციად. მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის დონეზე მიუთითებს არჩევნებში მათი მონაწილეობის ხარისხი, არჩეულთა სოციალური და პარტიული შემადგენლობა. თბილისის საბჭოს არჩევნებში 45 923 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 33 555 ამომრჩეველმა, ანუ 77 პროცენტმა. ცალკე რაიონების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობდა პირველი მუშათა რაიონიდან — 94,0

პროცენტი, მეორე რაიონიდან — 73, მესამე რაიონიდან — 82, ხოლო მეოთხე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტელიგენციის რაიონიდან — 57 პროცენტი. თბილისის პირველი საბჭოს 351 დეპუტატიდან კომუნისტი იყო 305 (87 პროც.); უპარტიო — 36 (10,1 პროც.) და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი — 10 (2,9 პროც.). ასეთივე წარმატებით ტარდებოდა შემდეგშიც საბჭოების არჩევნები.

1925 წელს საბჭოების არჩევნები მკაცრი ზამთრის პირობებში ტარდებოდა, რის გამოც მთიანი ადგილების დიდძალმა მოსახლეობამ არჩევნებში ვერ მიიღო მონაწილეობა. ამის მიუხედავად, ამომრჩეველთა აქტივობა მაინც საგრძნობი იყო. სასოფლო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 56 პროცენტმა, საქალაქო საბჭოების არჩევნებში კი ამომრჩეველთა 73,6 პროცენტმა[1]. ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა მოსახლეობის 2,5 პროცენტს. სათემო (სასოფლო) საბჭოებში 1925 წელს აირჩიეს 21 871 დეპუტატი[2], საქალაქო საბჭოებში კი 1,439, სულ — 23,310 დეპუტატი[3].

საქართველოს საბჭოების III ყრილობას ესწრებოდა 448 დელეგატი, მათ შორის გლეხი იყო 26,8 პროცენტი, მუშა 22,3, მშრომელი ინტელიგენცია 48,3 პროცენტი. დელეგატთა შორის პარტიის წევრი იყო 71 პროცენტი, უპარტიო — 23,6 პროცენტი. უპარტიოთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო მეტი იყო ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში[4].

საბჭოების არჩევნები საქართველოში მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. დამარცხებული პოლიტიკური პარტიები, კულაკები და მემამულე-თავადაზნაურობა ყველა ღონისძიებას მიმართავდნენ საბჭოების ხელში ჩასაგდებად, უკიდურეს შემთხვევაში, საბჭოების არჩევნების ჩასაშლელად[5]. ანტისაბჭოთა პარტიების გამოსვლებს და მათ მიერ საბჭოებში საკუთარი კანდიდატების გაყვანის ცდას ადგილი ჰქონდა ზუგდიდის, შორაპნის, დუშეთისა და სხვა მაზრებში, მაგრამ მათი ცდა სამარცხვინოდ იფუშებოდა. მშრომელები ყველგან ირჩევდნენ კომუნისტებს და უპარტიო გლეხებს, მშრომელ ინტელიგენტებს[6].

საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის აღმაღლობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის მუშაობას თბილისში. იგი გაიხსნა 1925 წლის 3 მარტს. საკავშირო ცაკის წევრები მ. კალინინი,

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 4.
[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 171, ფურც. 8.
[3] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 3 — 4.
[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 171, ფურც. 17.
[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1477, ფურც. 10, 14, 47.
[6] იქვე, საქ. 1427, ფურც. 62 — 63.

ს. ბუდიონი, გ. ჩიჩერინი და სხვები პოლიტიკური მოხსენებებით გამოდიოდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, წარმოებებსა და დაწესებულებებში.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივი, უპარტიო, მაგრამ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მთელ ახალგაზრდობაზე პარტიის იდეური გავლენის გამტარებელი ორგანიზაციაა. კომუნისტური პარტია მისი დახმარებით ზრდის მშრომელ ახალგაზრდობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირების ზრდა და განმტკიცება აგრეთვე წარმოადგენს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდისა და განვითარების ერთ-ერთ უტყუარ ნიშანს.

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს სათავეში ედგნენ და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობას წარმართავდნენ ბ. ძნელაძე, დ. კაჭარავა, გ. დევდარიანი და სხვები.

საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობისა და კომკავშირული ორგანიზაციების გავლენისა და ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებს საქართველოს კომკავშირის რიგების ზრდა სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში. 1921 წლის დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში 3 500 კაცი ირიცხებოდა, წლის ბოლოს კი 12 560 წევრი და კანდიდატი[1]. 1922 წელს ჩატარდა კომკავშირის რიგების წმენდა წვრილბურჟუაზიული, კარიერისტული ელემენტებისაგან. წმენდამ საქართველოს კომკავშირის რიგებში დატოვა 8 958 კაცი[2]. შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა კომკავშირის წევრ-კანდიდატთა რიცხვი მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე. 1923 წლის 1 აგვისტოსათვის კომკავშირში უკვე ითვლებოდა 15 992 წევრი და კანდიდატი[3]. კომკავშირის ასაკის (15 — 23 წწ.) 4 200 მუშა ახალგაზრდიდან კომკავშირელი იყო 3 332 კაცი, ანუ 79,3 პროცენტი, ხოლო ამავე ასაკის 74 000 გლეხი ახალგაზრდიდან — 8 953, ანუ 12,1 პროცენტი[4].

სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა, აგრეთვე ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციების გახრწნამ ხელი შეუწყვეს კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას — კომკავშირის რიგებისაკენ დაიძრა ათასობით მოწინავე მუშა და გლეხი ახალგაზრდა. 1925 წელს საქართველოს კომკავშირის რიგებში ირიცხებოდა

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 661, ფურც. 166.

[2] იქვე, ფურც. 131.

[3] იქვე, ფურც. 157.

[4] იქვე, ფურც. 195.

49 526 წევრი და კანდიდატი[1]. ამავე წელს პარტიაში შევიდა 700-მდე კომკავშირელი.

საქართველოს კომკავშირული ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობა გამოიხატა უპირველეს ყოვლისა, მისი მონაწილეობით სხვადასხვა სამეურნეო და პოლიტიკურ კომპანიებში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. 1925 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო და სამაზრო საბჭოებში მონაწილეობდა 2 500 კომკავშირელი[2].

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, რომელიც 1924 წლის ივნისიდან იწოდება „ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირად", დიდ პოლიტიკურ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობაში პიონერული ორგანიზაციებისა და სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის ხაზით. 1925 წელს საქართველოს პიონერულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა 46 524 ბავშვი, რომელთა 21,6 პროცენტი იყო მუშათა შვილები, ხოლო 41,7 პროცენტი — გლეხთა შვილები[3].

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე მიიღეს ზომები ქალთა უფლებრივი და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეიქმნა ქალთა შორის მუშაობის განყოფილებები, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ქალთა უფლებრივი და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმე. ამ განყოფილებებმა შემოიკრიბეს მუშა და გლეხი აქტივისტი ქალები და მთელ საქართველოში გააჩაღეს ენერგიული მუშაობა მშრომელ ქალთა განათლებისათვის, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მათი ჩაბმისათვის. ამ დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობის სათავეში პარტიამ მარიამ ორახელაშვილი დააყენა.

ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად და საუკეთესო ფორმად პარტიამ სადელეგატო კრებები აღიარა. 1921 წელს მოწვეულ იქნა საქართველოს დელეგატ ქალთა I ყრილობა. მას ესწრებოდა 118 დელეგატი ქალი, ეს იყო ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა საქართველოს ქალთა ისტორიაში. ქართველი მშრომელი ქალი პირველად ალაპარაკდა რესპუბლიკური ტრიბუნიდან საკუთარ ჭირ-ვარამზე.

მშრომელ ქალთა შორის მუშაობა გაიშალა განსაკუთრებით 1922 წლიდან, როდესაც მაზრებში გაიგზავნა პარტიული სკოლის კურსდამთავრებული 16 ინსტრუქტორი სამაზრო კომიტეტების ქალთა განყოფილე-

---

[1] «Материалы к отчету IV съезду КП (б) Грузии», стр. 62 — 64.
[2] ჟურნ. „უწყებები", 1924, № 5, გვ. 170.
[3] «Материалы к отчету IV съезду КП (б) Грузии», стр. 72.

ბების გამგეებად. დელეგატ ქალთა არჩევნების წარმატებით ჩატარების შემდეგ დელეგატ ქალთა რაოდენობა 1 300-მდე გაიზარდა, 1923—24 წელს კი 2 500 მიაღწია.

ამრიგად, მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდამ თავიდანვე მიიპყრო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება. მშრომელ ქალთა აქტივობის სასურველი კალაპოტით წარმართვისათვის პარტიამ გააძლიერა ქალთა შორის მუშაობა. მჭიდროდ დააკავშირა მშრომელ ქალთა მასები პარტიულ ორგანიზაციებთან, ჩააბა ისინი აქტიურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში, რითაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობისა და ინიციატივის განვითარებას. საქართველოს მშრომელმა ქალებმა ღირსეულად დაიკავეს ადგილი მამაკაცთა გვერდით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

პოლიტიკური აქტივობისა და საწარმოო თაოსნობის გამოვლინება იყო მუშათა ენერგიული მონაწილეობა ქარხანა-ფაბრიკებთან არსებულ *საწარმოო თათბირებში*. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს მრეწველობაში ფართოდ დაინერგა სამეურნეო ანგარიშიანობა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემა. ამასთან დაკავშირებით უდიდესი ყურადღება მიექცა შრომისნაყოფიერებისათვის ბრძოლას. ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო და სახელმწიფოებრივ საქმეში მუშები ჩაებნენ საწარმოო თათბირების საშუალებით. საწარმოო თათბირებზე მუშები იხილავდნენ შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ტექნოლოგიის საკითხებს, რაც ხელს უწყობდა საწარმოო მუშაობის გაუმჯობესებას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, შრომის ხელფასის ზრდას. საწარმოო თათბირები ავითარებდნენ მუშებში საზოგადოებრივ ინიციატივას და თაოსნობას, წარმოების გაძღოლის უნარს. ამრიგად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მშრომელთა ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომლებიც საბჭოების სამეურნეო-ადმინისტრაციულ და კულტურულ განშტოებებს ერტყათ გარშემო.

კოოპერაცია, როგორც უპარტიო მასობრივი ორგანიზაცია, უმთავრესად გლეხობის ორგანიზაციაა. იგი აერთიანებს გლეხობას პირველად ვაჭრობის, შემდეგ კი წარმოების სფეროში. კოოპერაციის საშუალებით ახორციელებდა კომუნისტური პარტია გლეხობის ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

საქართველოს კომუნისტური პარტია, კოოპერაციის საშუალებით წარმართავდა რა მშრომელთა პოლიტიკურ აქტივობას, გლეხობაში ნერგავდა კოლექტივიზმის პრინციპებს, ზრდიდა მასებს სოციალისტური სუ-

ლისკვეთებით. კოოპერაციული მოძრაობის ზრდა და განმტკიცება მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდასა და განვითარებაზე მიუთითებდა.

სერიოზული მიღწევები პარტიამ მოიპოვა სამომხმარებლო კოოპერაციაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოები გაიწმინდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. ამის შემდეგ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა 1926 წლის 1 იანვრისათვის შემდეგი სახით წარმოგვიდგება: საქართველოში არსებობდა სულ 148 სამომხმარებლო კოოპერატივი, მათ შორის საქალაქო იყო 21, მუშათა კოოპერატივი — 11, სასოფლო კოოპერატივი — 116, სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რაოდენობა 1926 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა 158 458 კაცს. აქედან საქალაქო კოოპერატივის წევრები იყვნენ 40 338, მუშათა კოოპერატივების — 47 547, სასოფლო კოოპერატივებისა კი 70 573. 1925 წლის 1 იანვრიდან 1926 წლის 1 იანვრამდე სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 35 905 კაცით, ანუ 29,4 პროცენტით[1]. სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა რაოდენობის ზრდა გვიჩვენებს არა მარტო მასების პოლიტიკური აქტივობის ზრდას, არამედ მშრომელთა თვალში კოოპერაციის ავტორიტეტის ზრდასაც, რაც პარტიული და საბჭოთა-სავაჭრო ორგანოების ენერგიული მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი. სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში კომუნისტთა რაოდენობა 1926 წლის 1 იანვრისათვის გაიზარდა 49,4 პროცენტამდე.

კოოპერაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ო ო პ ე რ ა ც ი ა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია „ეწოდება წვრილ მიწათმოქმედთა ან შინამრეწველთა გაერთიანებას იმ მიზნით, რომ აწარმოონ და გაასაღონ სხვადასხვა პროდუქტი როგორც სამიწათმოქმედო, ისე არასამიწათმოქმედო“[2].

სარეწაო კოოპერაცია, როგორც წვრილ საქონელმწარმოებელთა გაერთიანება, წარმოადგენდა სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთ სახეობას[3]. იგი სახელმწიფო კაპიტალიზმის ყველა სახეობათა შორის, ყველაზე უფრო განვითარდა საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

სარეწაო კოოპერაცია ხელს უწყობდა წვრილი მრეწველობის განვითარებას. სოფლის მოსახლეობისათვის ზრდიდა პირველი მოთხოვნილების ისეთ საგანთა დამზადებას, რომელსაც არ სჭირდებოდა მსხვილი სა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 84, ფურც. 84.

[2] იქვე, საქ. 1130, ფურც. 41 — 47.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 438.

ფაბრიკო წარმოება. ამიტომ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი სარეწაო კოოპერაციის განვითარების საქმეს [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მასობრივი მასშტაბით ვითარდება 1924 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც სოფლის მეურნეობა გარკვევით დაადგა გამოჯანსაღების გზას—ე. ი. როდესაც ამაღლდა გლეხურ მეურნეობათა საქონლიანობა და მოიპოვა მან დაკარგული ბაზრები [2]. 1924 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში არსებობდა 25 კოოპერატიული საზოგადოება, რომლებშიც გაერთიანებული იყო 10 447 გლეხური მეურნეობა, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 2,5 პროცენტი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის 15 იანვრის დეკრეტმა [3] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა ჩამოყალიბების შესახებ ახალი ბიძგი მისცა გლეხობის პოლიტიკურ აქტივობას. გლეხობა მასობრივად აარსებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობებს, რის გამოც 1925 წლის 1 იანვრისათვის კოოპერატიულ საზოგადოებათა რაოდენობამ 140 მიაღწია და მასში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობამ 27 512, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 6,6 პროცენტს. 1926 წლის 1 იანვრისათვის კოოპერატიულ საზოგადოებათა რაოდენობა უდრიდა 144, მათში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა კი 38 215, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 9,2 პროცენტს [4].

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა 60 — 70 პროცენტი ეკუთვნოდა ღარიბსა და საშუალო გლეხობას [5]. ღარიბი და საშუალო გლეხობა მასობრივად მიისწრაფოდა აგრეთვე *საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობებისაკენ*. საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსება გადაწყდა 1924 წელს [6]. მთელ საქართველოში უნდა დაეარსებინათ 100 საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა. მაგრამ მისკენ გლეხობის ლტოლვა ისე დიდი იყო, რომ ასის ნაცვლად დააარსეს 121 ამხანაგობა. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობების წევრი იყო 34 299 გლეხური კომლი, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 8,3 პროცენტი [7]. მის წევრთა 50 — 60 პროცენტი იყო ღარიბი, 30 — 40 პროცენტი — საშუალო და 3 — 4 პროცენტი — შეძლებული გლეხი [8].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 468 — 469.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1395, ფურც. 62 — 64.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 9, ფურც. 36.

[4] «Обзор деятельности СНК и ВЭС ЗСФСР (1925-1927 гг.)», Тб., 1927, стр 10.

[5] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 681, ფურც. 31 — 33.

[6] იქვე, საქ. 9, ფურც. 37.

[7] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 376.

[8] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 1130, ფურც. 48 — 50.

კოოპერაციის მაღალ ფორმას წარმოადგენს კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი მ ე-უ რ ნ ე ო ბ ა. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა საქართველოში დაიწყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდან-ვე. ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში შედგა მიწის კოლექტიურად დამმუშავებელი ამხანაგობის პირველი წესდება [1]. მუშაობა თავიდანვე გაძლიერებული ტემპით დაიწყო და მოკლე ხანში 81 კოლექტიური მეურნეობა (არტელი) წარმოიშვა. მაგრამ არტელური შრომისათვის არახელსაყრელი პირობების არსებობამ ხელი შეუშალა მის შემდგომ განვითარებას, უფრო მეტიც, 1921 წელს ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობათა უმეტესი ნაწილი დაიშალა. არახელსაყრელ პირობათა შორის უნდა დავასახელოთ: 1. გლეხობის მძლავრი კერძომესაკუთრული ჩვევები, 2. გამოუცდელობა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის კოლექტიური მეურნეობის რელსებზე გადაყვანისა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი შეცდომები და 3. საბჭოთა და პარტიული ორგანოების მხრივ სუსტი ხელმძღვანელობა. ყოველივე ამის გამო საკოლმეურნეო მოძრაობას სკეპტიკურად დაუწყო ყურება გლეხობამ. ამასთან დაკავშირებით 1922 წელს დაშალეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო განყოფილებასთან არსებული კოლექტიურ მეურნეობათა ქვეგანყოფილება. კომუნებისა და არტელების ჩამოყალიბების საქმე გადაეცა „წარმოკავშირს“, რომელიც მეტ ყურადღებას აქცევდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გამსაღებელსა და გადამმუშავებელ კოოპერაციის განვითარებას, ვიდრე საწარმოო კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას. მაგრამ იმის გამო, რომ საკოლმეურნეო მოძრაობამ კვლავ აიდგა ფეხი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსდა 1924 წლის აგვისტოში კოოპერაციული ბიურო, მას დაეკისრა მშრომელი გლეხობის კოოპერირება კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების გზით [2].

1921 — 1925 წლებში 58 კოლექტიური მეურნეობა არსებობდა საქართველოში. მათში გაერთიანებული იყო 880 გლეხური კომლი, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 0,21 პროცენტი. სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში საკოლმეურნეო მოძრაობას არ მიუღია ფართო ხასიათი, მისთვის ჯერ კიდევ არ იყო ხელსაყრელი პირობები საქართველოში. მაშინ შედარებით ფართოდ განვითარდნენ საბჭოთა მეურნეობანი „სახალხო მამულების“ სახით. მაშასადამე, სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის მშრომელთა პოლიტიკური აქტივო-

---

[1] „მიწათმოქმედების კომისარიატის მოღვაწეობა 1921 წლის 25 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდე“, თბ., 1921, გვ. 61.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 617, საქ. 340, ფურც. 11 — 13.

ბის შედეგად საქართველოში კოოპერირებული იყო მთელი გლეხური მოსახლეობის დაახლოებით 34,9 პროცენტი.

ამრიგად, საბჭოთა წყობილების პირობებში უმაგალითოდ გაიზარდა საქართველოს მშრომელი ხალხის პოლიტიკური აქტივობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის მანძილზე დაახლოებით 500 ათასი მშრომელი ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და მეურნეობის გაძღოლის საქმეში.

ახალი, სოციალისტური საქართველოს მშრომელთა სათავეში იდგა 27 ათასზე მეტი კომუნისტი. ახალი ცხოვრების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის თავდადებულად შრომობდა ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 ათასამდე წევრი, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული 129 ათასამდე მუშა და მოსამსახურე, საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების 26 ათასამდე დეპუტატი, გლეხთა ურთიერთდამხმარე საზოგადოებათა დაახლოებით 100 ათასი წევრი, უპარტიო გლეხთა კონფერენციების 50 ათასამდე და ქალთა სადელეგატო კრებების 10 ათასამდე დელეგატი, 150 ათასზე მეტი კოოპერირებული მშრომელი და სხვ.

ამრიგად, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, როგორც კლასის ავანგარდმა, მუშათა კლასი გადააქცია ნამდვილ პოლიტიკურ არმიად. კომუნისტურმა პარტიამ განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, უზრუნველყო ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი[1]. კომუნისტურმა პარტიამ, ჩააბა რა ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობაში ათეული ათასობით მუშა, გლეხი და ინტელიგენტი, უზრუნველყო მთელი მშრომელი ხალხის ამოძრავება, მათი შემდგომი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ აღნიშნა: „ჩვენ აქტიური ბალანსით გადავლახეთ ხუთი წელიწადი და გამართული ნაბიჯით მივდივართ სოციალიზმისაკენ“[2].

---

1 მ. ჯ ო ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის (1917 — 1925 წწ.), თბ., 1970.

2 „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IV ყრილობა“ (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1928, გვ. 50.

თავი მეორე

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და კერძო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ საქართველოში (1926 — 1929 წწ.)

§ 1. ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება

საქართველოს კომუნისტებმა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საბჭოთა რუსეთის ისტორიული გამოცდილებისა და ვ. ი. ლენინის მითითებათა გათვალისწინებით შედარებით იოლად შეძლეს ახალი, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა. სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მშრომელებს, ისე როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებს, უკვე ერთდროულად უნდა დაეწყოთ სამეურნეო მშენებლობის ახალი ეტაპი — ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. საბჭოთა ხალხებს, მათ შორის ქართველ ხალხს არ გააჩნდა მსხვილი ინდუსტრიის შექმნის დიდი გამოცდილება, არც საჭირო სახსრები და გარედან სესხის მიღების რაიმე იმედი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხალხებს მაინც უნდა მოეკიდათ ხელი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის. ამას მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამასთან დაკავშირებით, საჭირო იყო სოციალიზმის აშენების ძირითადი იარაღის — საბჭოთა სახელმწიფოს — შემდგომი გაუმჯობესება და განმტკიცება.

საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა განმტკიცება-გაუმჯობესებას, განსაკუთრებით კი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის მთელ პერიოდში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სრულყოფა, მმართველობის ორგანოთა სტრუქტურის გაიაფება-გამარტივება და, საერთოდ, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი გარდაქმნები საკანონმდებლო განმტკიცე-

ბას საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში პოულობდნენ. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ რესპუბლიკათა ურთიერთდამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილებები თავიანთ საკანონმდებლო დადასტურებას პოულობდა აგრეთვე საკავშირო, ფედერაციულ და რესპუბლიკურ კონსტიტუციებში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ფაქტიურად წარმოადგენდა ფედერაციულ სახელმწიფოს. მის შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთი სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. გარდა ამისა, საკუთრივ საქართველოს მაზრებსა და ქალაქებში, ზოგან კომპაქტურად, ზოგან კი გაფანტულად ცხოვრობდა მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი. ასე მაგალითად, ავტონომიური ერთეულების გამოკლებით, საქართველოს ტერიტორიაზე 1926 წელს ქართველები შეადგენდა (სოფლებში) მთელი მოსახლეობის 72,9 პროცენტს, სომხები — 7,7, აზერბაიჯანელები, ირანელები და თურქები ერთად — 6,5, ხოლო რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ერთად — 1,5 პროცენტს. არაქართველი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო საქართველოს დაბა-ქალაქებში. აქ ქართველები შეადგენდნენ მცხოვრებთა მხოლოდ 49 პროცენტს, სომხები — 25,5, აზერბაიჯანელები, ირანელები და თურქები — 1,6, ხოლო რუსები, უკრაინელები და ბელორუსები — 13,7 პროცენტს[1].

რესპუბლიკის ასეთი ჭრელი ეროვნული შემადგენლობის პირობებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე მთელი სიგრძესიგანით იდგა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის საკითხი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების, ხალხთა ინტერნაციონალური თანამეგობრობის განმტკიცების ამოცანა.

საბჭოთა მთავრობამ ამ ამოცანათა წარმატებით განხორციელების მიზნით შექმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან „ეროვნულ უმცირესობათა კომისია“ და სათანადო დებულება დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1926 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით[2].

„ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია“ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა კულტურულად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესო-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 20 — 21.

[2] „საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული“ (შემდეგში „კანონთა კრებული“) თბ., 1926, გვ. 232 — 233, 236.

ბათა შორის, თანდათანობით და მეთოდურად აბამდა მათ საბჭოთა აღმშენებლობაში, საერთოდ სოციალისტურ მშენებლობაში.

ასეთივე მუშაობა ტარდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ ამიერკავკასიის ფედერაციაში. საკავშირო მთავრობა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რესპუბლიკებში ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის მიმდინარეობას, მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

1928 წლის 3 იანვარს გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ამიერკავკასიის ერთა ძმური თანამშრომლობისა და მათი სამეურნეო-კულტურული განვითარების შესახებ. ეს დადგენილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიხა ცხაკაიას მოხსენება ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული ურთიერთობისა და მათი სამეურნეო-კულტურული განვითარების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა ამიერკავკასიის მთავრობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის „საერთოდ და მთლიანად დამაკმაყოფილებლად სცნო", მოიწონა ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდა ამიერკავკასიის სფსრ მთავრობა ეროვნული საკითხის გადაჭრის დარგში. ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები ხალხთა მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისათვის, სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მათი ფართოდ ჩაბმისათვის; ერთი სიტყვით, ეროვნებათა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის[1].

ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტა, ეროვნულ სახელმწიფოებთან მართებული ურთიერთობის დამყარება სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცისა და ურყეობის აუცილებელი პირობაა საერთოდ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში კი, განსაკუთრებით. ამიტომ ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ მიმართული იყო

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1928 წლის 3 იანვარი.

უმთავრესად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. მაგრამ ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის წარმოებულ ბრძოლაში იმალებოდა ეროვნული რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების რამდენადმე შეზღუდვის შესაძლებლობა ფედერალური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სასარგებლოდ. მართლაც, ეს შესაძლებლობა მალე სინამდვილედ იქცა, როდესაც დაშვებულ იქნა ზედმეტი ცენტრალიზაცია ფედერალური ხელისუფლების სასარგებლოდ. ამ გარემოებას დროზე მიაქცია ყურადღება პარტიამ და მთავრობამ[1]. პარტიამ მაშინვე მიიღო ენერგიული ზომები დაშვებულ დამახინჯებათა დაუყოვნებლივი გამოსწორებისათვის. მაგრამ სახელმწიფოთა, თუნდაც სოციალისტურ სახელმწიფოთა ფედერაციულ კავშირში ობიექტურად არსებობს შესაძლებლობა ორი ტენდენციის განვითარებისათვის, ერთია — ლტოლვა უფრო და უფრო მეტი ცენტრალიზაციისაკენ, ხოლო მეორე — ლტოლვა უფრო და უფრო მეტი დეცენტრალიზაციისაკენ, როგორც პირველის საპასუხო რეაქცია. ამიტომ პარტია ყოველთვის ფხიზლად იდგა ეროვნულ რესპუბლიკათა როგორც სუვერენული უფლებების, ისე ინტერნაციონალური თანამეგობრობის სადარაჯოზე. ამ მხრივ აღსანიშნავია საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1930 წლის ოქტომბრის სპეციალური წერილი — „მკაცრად ვამხილოთ დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმი". ამ წერილში ვკითხულობთ: „დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ გადახრა ამიერკავკასიაში თავს იჩენს როგორც ზეცენტრალისტური ტენდენციები სამეურნეო პოლიტიკის სფეროში, როგორც ეროვნული რესპუბლიკების ინტერესთა და თავისებურებათა უგულებელყოფა, ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული კულტურების აბუჩად აგდება, „თეორია", რომ უახლოეს წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკა გარდუვალად მთლიანად შთანთქავს მასში შემავალ სამ ეროვნულ სახელმწიფოს. ამ დიდმპყრობელური „თეორიის" მომხრეები ხან იმას იმოწმებენ, რომ ფედერაციული სისტემის პირობებში ძნელია უხელმძღვანელო ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრებას, ხან კიდევ ლენინის იმ ცნობილ დებულებას, რომ ფედერაცია, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა სრულ ერთობაზე გარდამავალი ფორმაა.

საკითხის ასეთ დასმაში თავს იჩენს ბიუროკრატიზმი აპარატის ჩინოვნიკისა, რომელიც მართვა-გამგეობის მოხერხებულობას პროლეტარიატის ეროვნული პოლიტიკის ინტერესებზე მაღლა აყენებს. ლენინის დამოწმება კი თავიდან ბოლომდე ყალბია იმიტომ, რომ სხვადასხვა ერების

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1018, ფურც. 164—175; ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 85, оп. 24, д. 115, лл. 1 — 2.

სრულ შერწყმაზე გადასვლას რამდენიმე წელი კი არა, მთელი ეპოქა დასჭირდება და მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა სოციალიზმი საერთაშორისო მასშტაბით გაიმარჯვებს.

ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატულებას პოვებს ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, უწინარეს ყოვლისა, იმ მისწრაფებაში, რომ შეასუსტოს ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და სამეურნეო როლი"[1].

საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა სამართლიანად მიუთითა დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმის მავნებლობაზე პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის. დიდმპყრობელური შოვინიზმის არსს, როგორც ცნობილია, შეადგენს ენის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ეროვნულ განსხვავებულობათა უარყოფა, ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაციისაკენ მისწრაფება[2]. ამიტომ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დროულად მოუწოდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დიდმპყრობელური შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. მაგრამ ზუსტად ერთი წლის შემდეგ საჭირო გახდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო ჩარევა ამ საქმეში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ფედერაციული ორგანოების მიერ დაშვებული იყო ამიერკავკასიის სამეურნეო და კულტურული მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში ზედმეტი და მავნე ცენტრალიზაცია[3].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, თანმიმდევრულად იბრძოდნენ რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებისათვის, ყოველდღიურად განამტკიცებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, პროლეტარიატის დიქტატურას.

სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელი მოსახლეობის ჩაბმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას. კომუნისტურმა პარტიამ და მისმა დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა, როგორც ცნობილია, თავიდანვე სასტიკი ომი გამოუცხადეს ბიუროკრატიზმს, მშრომელთა ინტერესებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. პარტია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ არა მარტო იდეურ ბრძოლას აწარმოებდა, არამედ ეწეოდა ბრძოლას საკანონმდებლო ღონისძიებებითაც. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის არა-

---

[1] Газ. «Рабочая правда», 5 октября 1930 г.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 394.

[3] Газ. «Правда», 3 ноября 1931 г.

ერთი დადგენილება მიღებული საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მაგალითად, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის 15 ნოემბრის დადგენილება „ბიუროკრატიზმთან და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებთან ბრძოლის შესახებ"[1], მიზნად ისახავდა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში ბიუროკრატიზმის, კაპიტალიზმის ამ მავნე გადმონაშთის, აღმოფხვრას.

ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპების განხორციელება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დაწყება ახალ მოთხოვნებს უყენებდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს, სახელმწიფო აპარატს. ამ ახალ ისტორიულ ვითარებაში სახელმწიფო აპარატის გამარტივება და გაიაფება, მასებთან მისი მიახლოება და ბრძოლა საერთოდ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა" ხდებაო — აღნიშნულია პარტიის XVI კონფერენციის დოკუმენტებში[2].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დიდი და სერიოზული მუშაობა გააჩაღა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, დემოკრატიული ცენტრალიზმის შემდგომი განმტკიცებით და სხვ. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა საბჭოთა ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების სისტემატური ჩატარება.

1927 წლის დასაწყისში საქართველოში მიმდინარეობდა საბჭოების საარჩევნო კამპანია. იგი მოეწყო მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური აქტივობის პირობებში[3]. კომუნისტური პარტია, ხედავდა რა ანტისაბჭოთა ელემენტების გააქტიურებას, მათ წინააღმდეგ იყენებდა მოქალაქეობრივი უფლების შეზღუდვის კანონს. ასე მაგალითად, თუ 1926 წელს მოქალაქეობრივ უფლებაშეზღუდულთა (საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეულთა) რაოდენობა 23 ათასზე ცოტა მეტი იყო, 1927 წლისათვის იგი აღწევდა 57 ათასამდე.

საბჭოთა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ამომრჩეველთა აქტიურობის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტია ატარებდა რიგ ღონისძიებას. პარტიამ ისიც გაითვალისწინა, რომ მოსალოდნელი იყო კულაკურ და ნეპმანურ ელემენტებს ხელი შეეშალათ არჩევნებში მოჯამაგირეთა მონაწილეობისათვის, ამიტომ მსგავსი შემთხვევების აღკვეთისათვის საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს 1927 წლის 17 იანვარს დაუგზავნა ცირკულარი. მიმდინარე საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ერთ

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1783, ფურც. 32 — 33.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 765.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2250, ფურც. 149—151.

უმთავრეს მიზანს, შეადგენდა რა მშრომელთა ფართო მასების, განსაკუთრებით კი სოფლის პროლეტარიატის (მუშა-მოჯამაგირეებისა და მწყემსების) ჩაბმა საბჭოების არჩევნებში, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღნიშნული ცირკულარი ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა არჩევნებში სოფლის პროლეტართა მონაწილეობისათვის ხელის შეწყობას, მოსახლეობისათვის განმარტებას შრომის კანონთა კოდექსის 191 მუხლისას, რომლითაც დამქირავებელს ნება არ ჰქონდა დაებრკოლებინა მუშა-მოჯამაგირეთა მონაწილეობა მშრომელთა კრებებში, როდესაც იგი სამუშაო დროს საბჭოს დეპუტატთა არჩევისათვის იყო მოწვეული; შრომის კანონთა კოდექსის აღნიშნული მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევდა დამქირავებლის მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში[1].

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ხელისუფლების ორგანოების მასებთან მიახლოების მიზნით 1927 წლის 25 იანვარს მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ქალაქებში საბჭოების მუშაობის შესახებ. ეს დადგენილება ძირფესვიანად აუმჯობესებდა საქართველოს საბჭოების მუშაობას, მასებთან მათი დაახლოების აზრით[2].

საბჭოების ამ არჩევნებში, 1925 წელთან შედარებით, ამომრჩეველთა მონაწილეობის პროცენტი არ იყო მაღალი (აქ გარკვეული როლი შეასრულა არჩევნების დროს უამინდობამ). მაგალითად, თუ 1925 წელს საქალაქო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 73,6 პროცენტი — 1927 წელს საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ 53,4 პროცენტი, მიუხედავად ამისა, საბჭოთა ორგანოებში არჩეულთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი იყო. 1925 წელს სათემო (სასოფლო) საბჭოებში არჩეული იყო 21 ათასზე მეტი მშრომელი, სათემო აღმასკომში — 1500-მდე კაცი, საქალაქო საბჭოებშიც — დაახლოებით ამდენივე; სამაზრო ყრილობებზე გაიგზავნა 3 ათასზე მეტი დელეგატი, ხოლო სამაზრო აღმასკომებში აირჩიეს ხუთასზე მეტი. 1927 წლის არჩევნებიდან რამდენადმე განსხვავებული შედეგები მივიღეთ: მაშინ სათემო (სასოფლო) საბჭოებში არჩეული იყო 25 ათასზე მეტი მშრომელი, სათემო აღმასკომში — 2 ათასამდე კაცი, საქალაქო საბჭოებში — დაახლოებით ამდენივე, სამაზრო ყრილობებზე გაიგზავნა 3 ათასზე მეტი დელეგატი, ხოლო სამაზრო აღმასკომებში აირჩიეს ათასამდე კაცი[3]. როგორც ვხედავთ, ქვეყნის მართვა-გამგეობაში თანდათან მეტი და მეტი მშრომელი ღებულობდა მონაწილეობას.

---

[1] „კანონთა კრებული", თბ., 1927, გვ. 15 — 16.

[2] იქვე, გვ. 13 — 14.

[3] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 2 — 3.

სამაზრო ყრილობებზე არჩეული დელეგატებისაგან შედგა სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობა, რომელიც გაიხსნა 1927 წლის მარტის ბოლო რიცხვებში. ყრილობამ განიხილა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები და დაამტკიცა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელიც შედგენილი იყო სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის შესაბამისად და სავსებით ემყარებოდა საბჭოთა რესპუბლიკების სსრ კავშირში გაერთიანების დიდ ისტორიულ აქტს[1]. ყრილობამ აირჩია საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 191 წევრისა და 83 კანდიდატის შემადგენლობით, რომელმაც თავის მხრივ აირჩია პრეზიდიუმი ფ. მახარაძის, ს. თოდრიას, მ. კახიანის, ლ. ქართველიშვილის, ი. სტურუას, ვ. ჯაფარიძისა და სხვათა შემადგენლობით. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფილიპე მახარაძე. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცდა შალვა ელიავა.

საბჭოების IV ყრილობამ შეაჯამა აღდგენითი პერიოდის შედეგები და აღნიშნა, რომ „მრეწველობის ომამდელი დონე აღდგენილია და სწარმოებს სრულიად ახალი სამრეწველო მშენებლობა. ომის წინანდელ მდგომარეობას საერთოდ გავუთანასწორდით აგრეთვე სოფლის მეურნეობაში, ხოლო ზოგიერთ დარგში კიდეც გადავაცილეთ მას. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მუშათა და გლეხთა ნივთიერი მდგომარეობა“. ამის შემდეგ ყრილობამ განიხილა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი გეზი. ყურადღება გაამახვილა სახალხო მეურნეობაში გეგმიანი საწყისების განვითარებისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის აუცილებლობაზე. ასეთი ხაზი განაპირობა იმან, რომ „ყრილობას მოუხდა შეკრება მაშინ, როცა საერთოდ დამთავრდა მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი და ჩვენ ფეხი შევდგით მისი რეკონსტრუქციის ხანაში. ამ გარემოებამ ყრილობის საქმიანობას განსაზღვრული ხასიათი და მიმართულება მისცა“ [2].

სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ იგი „სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ აღებულ ხაზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტრიფიკაციის საქმეში“.

საბჭოების IV ყრილობის მთელი მუშაობა, ისე როგორც საბჭოების საარჩევნო კამპანია და თვით არჩევნების მიმდინარეობა, მაჩვენებელია კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის შემდგომი ზრდისა და განმტკიცებისა, აგრეთვე, ხალხის მზარდი პოლიტიკური აქტივობის საფუძველზე

---

[1] „საქართველოს ისტორია“, ტ. III, თბ., 1961, გვ. 69.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 5 აპრილი.

მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობისა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. ყოველივე ეს ფართოდ აღნიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის აგვისტოს პლენუმმა, რომელმაც განიხილა ფ. მახარაძის მოხსენება საბჭოების გადარჩევების შედეგების შესახებ. პლენუმის აზრით საბჭოების 1927 წლის გადარჩევები უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა, ვიდრე წინა წელს. „გადარჩევებმა დაადასტურეს ჩვენს რესპუბლიკაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, ცხადყვეს მუშათა მასების პოლიტიკური და კლასობრივი მოწიფულობა"[1].

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში წარმმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის რიგების სიმტკიცესა და სიწმინდეს, მის გაწმენდას მიტმასნილი, კარიერისტული და ანგარებიანი ელემენტებისაგან. ამიტომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად ატარებდა პარტიის რიგების წმენდა-შემოწმებას.

რკპ (ბ) X ყრილობის დადგენილებით, 1921 წელს ჩატარდა ჩვენი პარტიის გენერალური წმენდა. იმავე წლის სექტემბერში ვ. ი. ლენინი წერდა: „პარტია უნდა გაიწმინდოს გაიძვერებისაგან, გაბიუროკრატებულთაგან, უპატიოსნო, მერყევი კომუნისტებისა და იმ მენშევიკებისაგან, რომლებმაც გარეგნულად ფერი შეიცვალეს, გულში კი მენშევიკებად დარჩნენ"[2].

1924 წელს ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლებისა და საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების წმენდა, 1925 წელს კი საოფლო პარტიული ორგანიზაციების შემოწმება. პარტიის რიგების შემოწმების მიზნით 1927 წელს ჩატარდა სრულიად საკავშირო პარტიული აღწერა.

საკ. კპ (ბ) XVI კონფერენციის დადგენილებით 1929 — 1930 წლებში მოეწყო პარტიის მეორე გენერალური წმენდა, რომლის მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი და სერიოზული მუშაობა გასწიეს. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები განთავისუფლდნენ მერყევი და სხვა ანტიპარტიულ-ოპოზიციური ჯგუფების ნამსხვრევებისაგან. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში წმენდა გაიარა 30 760 კომუნისტმა. აქედან გარიცხულ იქნა პარტიის 4 010 (13 პროც.) წევრი და წევრობის კანდიდატი, რომელთაგან ფრაქციული მუშაობისათვის გაირიცხა — 3,3 პროცენ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2250, ფურც. 149.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 26.

ტი, ლოთობისათვის — 6,6, კლასობრივად უცხო ელემენტი იყო — 24,8, ბიუროკრატიზმის, სამსახურებრივი დარღვევებისა და გამდიდრებისაკენ მიდრეკილებისათვის — 8,4 პროცენტი[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგების წმენდის შედეგები განიხილა პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა და მიიღო სათანადო დადგენილება, სადაც, შეფასებულია რა წმენდის შედეგები, აღნიშნულია, რომ „უმაღლესი ხელმძღვანელი პარტორგანოების მიერ დაყენებული ამოცანები პარტიის რიგების წმენდასთან დაკავშირებით — საქართველოს პარტორგანიზაციაში შესრულებულია დამაკმაყოფილებლად"[2].

ის ფაქტი, რომ პარტიიდან გარიცხულთა ნახევარზე მეტს (53 პროც.) შეადგენდნენ კლასობრივ-იდეოლოგიურად უცხო, მიტმასნილი ელემენტები, ადასტურებს შემმოწმებელი კომისიებისა და პარტკოლეგიის მიერ აღებული ხაზის სისწორეს. ამასთან ერთად, წმენდამ დაადასტურა აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციის წარმატებანი ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის რიგების წმენდამ და შემოწმებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური სიმტკიცე და შემჭიდროება საკავშირო კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

პარტიის რიგების შემოწმებამ და წმენდამ, ჩატარებულმა გაშლილი თვითკრიტიკისა და „პიროვნებათა განურჩევლად" წარმოებული კრიტიკის პირობებში, სოფლის და ქალაქის მშრომელთა ფართო ფენების უშუალო მონაწილეობით და უდიდესი აქტივობით, კიდევ უფრო განამტკიცა მასებთან პარტიის კავშირი, გააძლიერა მათზე პარტიის გავლენა და ამით უფრო მეტად გაამაგრა სოციალისტური მშენებლობის საფუძვლები.

სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განმტკიცება-გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესებას. საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის XVI კონფერენციამ წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას მოაწყოს პროფკავშირების მონაწილეობით, მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა ფართო მასების კონტროლით საბჭოთა აპარატის წმენდა ისეთი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 3155, ფურც. 144 — 152; საქ. 3158, ფურც. 389.

[2] „საქართველოს კომპარტიის (ბ) რიგების წმენდისა და შემოწმების შედეგების მასალები", თბ., 1930, გვ. 25, 50.

ელემენტებისაგან, რომლებიც ამახინჯებდნენ საბჭოთა კანონებს, ბიუროკრატიულად ეკიდებოდნენ მშრომელთა საარსებო საჭიროებებს[1].

1929 — 1930 წლებში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით შიმდინარეობდა საქართველოში საბჭოთა აპარატის წმენდა. აპარატიდან აძევებდნენ სოციალურად უცხო ელემენტებს, გაბიუროკრატებულ ადამიანებს, უქნარებს, მექრთამეებსა და კარიერისტებს. საბჭოთა აპარატიდან გაძევებულთა ადგილს იკავებდნენ ახალი კადრები — დაწინაურებულები.

კომუნისტური პარტია, რომელმაც სახელმწიფო ძალაუფლება აიღო ისე, რომ არ ჰყავდა სახელმწიფო და სამეურნეო-კულტურული მმართველობის გამოცდილი კადრები, იძულებული იყო ერთხანს გამოეყენებინა ძველი სახელმწიფო აპარატის მოხელენი. მაგრამ ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვდა სამეურნეო-პოლიტიკური მმართველობის გაუმჯობესებას, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას, რაც გადაუდებლად აყენებდა პარტიის წინაშე მუშებისა და გლეხების წრიდან ერთგული, მცოდნე, ნიჭიერი და შრომისუნარიანი ადამიანების დაწინაურების ამოცანას.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სახელმწიფო აპარატში მუშებისა და გლეხების დაწინაურების შესახებ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაავალა პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანოებს: 1. შეარჩიონ ისეთი თანამდებობანი, რომელზედაც შეიძლება ახალი კადრის წამოწევა, 2. შეარჩიონ დასაწინაურებელი კადრები და აცნობონ ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს, 3. შექმნან დასაწინაურებელი კადრების რეზერვები და სხვ.[2]. ჩანს, ადგილებზე, მოკავშირე რესპუბლიკებში არ აღმოჩნდა ასეთი ღონისძიებანი საკმარისი, ამიტომ საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მუშათა და გლეხთა აქტივის სახელმწიფო აპარატში დაწინაურების საკითხი კვლავ დაუყენებია და განუხილავს 1928 წლის 24 მარტს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა სახელმწიფო აპარატის „გამუშურებას". პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ მუშათა დაწინაურებას, სუსტად აწინაურებენ გლეხებს, ქალებს, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს და სხვ.

მუშათა და გლეხთა დაწინაურების ხაზით მუშაობა საქართველოში გეგმაზომიერად წარიმართა პარტიის XIII ყრილობის დადგენილების

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 771.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2257, ფურც. 387-389.

შემდეგ. 1926 წლისათვის საქართველოში დაწინაურებული იყო 657 კაცი, აქედან მუშა — 218, გლეხი — 439. თბილისში 142 დაწინაურებულიდან 104 იყო მუშა. დაწინაურებულთაგან პროფკავშირულ სამუშაოზე გამოყენებული იყო 40 პროცენტი, პარტიულ სამუშაოზე — 19, საბჭოთა-ადმინისტრაციულზე — 4, საფინანსო-საკრედიტო სამუშაოზე — 3, საწარმოო ხაზით — 5 პროცენტი [1]. გაზეთი „პრავდა", აშუქებდა რა ამიერკავკასიაში დაწინაურების მიმდინარეობას, 1926 წლის ოქტომბერში წერდა: „უხეირო დაწინაურების შემთხვევები ცოტაა. დაწინაურებათა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ყველაზე კარგი ხელმძღვანელები დგებიან კვალიფიციური დარგის მუშებისაგან" [2].

კომუნისტური პარტია სერიოზულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო აპარატში მუშათა და გლეხთა საუკეთესო წარმომადგენლების დაწინაურების საქმეს. პარტიის XVI კონფერენციამ მას დაუთმო ფართო ადგილი [3]. ჯერ კიდევ 1928 წლის ივნისში დაწინაურებულთა რესპუბლიკური თათბირიც კი ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ინიციატივით[4].

დაწინაურებულთა სრულიად საქართველოს თათბირმა ს. ხვედელიძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ მუშებისა და მუშა ქალების დაწინაურების საკითხზე ხელმძღვანელმა ორგანოებმა არაერთხელ მიიღეს გადაწყვეტილება, ამ საქმეს დღემდე არ უთმობენ სათანადო ყურადღებას საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები და პროფკავშირები" [5]. ამის შემდეგ მუშაობას ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო, რაზედაც მიუთითებს დაწინაურებულთა რაოდენობის ზრდა. 1927 წლის 1 ოქტომბრიდან მარტო 1 წლის მანძილზე თბილისში დააწინაურეს 154 მუშა და 33 მოსამსახურე, მუშათა შორის ქალი იყო 6,9 პროცენტი, დაწინაურებულთაგან კი უპარტიო — 12,8 პროცენტი [6]. აჭარაში დააწინაურეს 71 კაცი [7], საქართველოს ცხრა მაზრაში — 82 მუშა და 16 მოსამსახურე [8].

დაწინაურებულთა შორის პარტიის წევრი და კანდიდატი იყო: ქალაქებში — 85,1 პროცენტი, სოფლად — 59,2; კომკავშირელი ქალაქებში —

---

[1] Газ. «Заря Востока», 8 августа 1926 г.

[2] Газ. «Правда», 19 октября 1926 г.; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2943, ფურც. 80 — 105.

[3] „სკკპ რეზოლუციებში" ნაწ. II, გვ. 772.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2893, ფურც. 7.

[5] იქვე, საქ. 2966, ფურც. 2.

[6] იქვე, საქ. 2934, ფურც. 38.

[7] იქვე, ფურც. 83.

[8] იქვე, საქ. 2975, ფურც. 3, 4.

2,1, სოფლად — 12,2; უპარტიო ქალაქებში — 12,8, სოფლად — 28,6 პროცენტი [1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1929 წლის 28 მაისს მიიღო დადგენილება „სახელმწიფო აპარატის წმენდასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშათა დაწინაურების შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების შესახებ პარტიის XVI კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ამიერკავკასიისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია იწყებენ საბჭოთა აპარატის წმენდას. წმენდა პირველ რიგში უნდა შეეხოს იმ დაწესებულებებს (სამიწათმოქმედო და სასამართლო ორგანოები, ფინსახკომი, შრომის სახალხო კომისარიატი და ა. შ.), რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მასებთან. ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა აპარატის წმენდას მჭიდროდ უკავშირებდა რა ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშათა დაწინაურების საკითხს, პროფკავშირებისაგან, მოითხოვდა დასაწინაურებელთა რეზერვების გაფართოებას და ფართო მასების ჩაბმას დაწინაურებისა და აპარატის წმენდის საქმეში [2].

ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშათა დაწინაურების საკითხი კვლავ განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის სამდივნომ 1929 წლის 16 ნოემბერს და აღნიშნა, რომ „მუშათა დაწინაურება სახელმწიფო სამეურნეო აპარატში, სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ურთულესი ამოცანების, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანების, სახელმწიფო-სამეურნეო აპარატის გარდაქმნა-განმტკიცებისა და მასში ჩვენი კლასობრივი მტრების გამოვლენის დაძლევათა შესრულების საქმეში ღებულობს უაღრესად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას". დადგენილებაში აღნიშნულია ისიც, რომ „სახელმწიფო აპარატში მუშათა დაწინაურების საქმეში საფუძვლიანი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა", და, რომ „ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს" [3]. მიუხედავად ამისა, მუშებიდან და გლეხებიდან დაწინაურებულთა დიდი უმრავლესობა ჩინებული ხელმძღვანელები ხდებოდნენ. მათ თან მოჰქონდათ ახლის გრძნობა და გაბედულად ებრძოდნენ რუტინას, დახავსებულობას.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასობრივი კონტროლის გაძლიერებას, მუშათა შეფობას დაწესებულებებზე შესრულების შემოწმებას. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციები და პრესა.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2966, ფურც. 5.
[2] იქვე, საქ. 3163, ფურც. 8.
[3] იქვე, საქ. 3164, ფურც. 197.

სახელმწიფო ხელისუფლების ძალისა და ძლიერების მაჩვენებელია საბჭოთა აპარატის უნაკლო მუშაობა. მაგრამ საბჭოთა აპარატი ჩვენში როდი მუშაობდა ყოველთვის უნაკლოდ, იმ ამოცანების შესაბამისად, რომელთაც აყენებდა ცხოვრება, საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა აპარატის მუშაობის ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ იგი ყოველთვის თავის დროზე და ზუსტად ვერ ასრულებდა პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებებს. ამიტომ ჩვენი პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა მიღებული გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებას[1], რაზედაც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პარტიის XVI კონფერენციამ, როდესაც აღნიშნა, რომ „ფაქტიური შესრულების შემოწმება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის წარმოებული მთელი მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდებაო“[2].

XVI პარტიულმა კონფერენციამ შესრულების შემოწმების საქმის წარმატება სამართლიანად დაუკავშირა შემოწმების საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას; ასეთი შემოწმება უფრო და უფრო მეტად გადაიქცეოდა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების მეთოდად. კონფერენციამ აგრეთვე მხარი დაუჭირა დაწესებულებათა დროებითი საკონტროლო კომისიების შექმნას[3].

სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის მიღებულ გადაწყვეტილებათა დროული და ზუსტი შესრულებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამრეწველო საწარმოთა შეფობას სახელმწიფო დაწესებულებებზე. სახელმწიფო აპარატზე მუშათა მასობრივი შეფობა ძირითადად ჩაისახა იმ პერიოდში, როდესაც ტარდებოდა სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატების წმენდა. შემდეგში ამ ფორმის განვითარებამ მოგვცა მრავალი ძვირფასი მაგალითი იმისა, თუ როგორ აუმჯობესებდნენ, ამარტივებდნენ და აიაფებდნენ სახელმწიფო აპარატს მუშები, რომლებიც სრულებით არ ყოფილან ამ დარგის სპეციალისტები[4].

სახელმწიფო დაწესებულებებზე მუშათა შეფობა თანდათანობით მასობრივ ხასიათს ღებულობდა. ასე მაგალითად, 1932 წელს თბილისში უკვე 40 საშეფო წარმოება იყო: მექანიკური ქარხანა შეფობას უწევდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „ზარია ვოსტოკას“ სტამბა — ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა — ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 260.

[2] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 768.

[3] იქვე.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 804, საქ. 4137, ფურც. 1 — 3.

სახელმწიფო დაწესებულებებზე მუშათა შეფობის გაძლიერების ღონისძიებანი დასახა ამიერკავკასიის პროფსაბჭოს თათბირმა 1932 წლის 10 იანვარს[1].

სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას ისახავდა ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის ინიციატივით შექმნილი „მსუბუქ კავალერისტთა“ მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა 1928 წელს, ჯერ კიდევ სოციალისტური რეკონსტრუქციის დაწყების სტადიაში, სოფლად და ქალაქად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში.

„მსუბუქ კავალერისტთა“ მუშაობის ამოცანები და მეთოდები ნათლად იყო ჩამოყალიბებული კომკავშირის ყრილობაზე „ჩვენ უნდა შევქმნათ განსაკუთრებული ტიპის სახელდახელო „არაოფიციალური“ კონტროლი. კომკავშირელთა საგანგებო ჯგუფებმა უნდა იარონ მაღაზიებში, დაწესებულებებში, ბაზრებში, დუქნებში, კომისარიატებსა და სხვა ადგილებში. ისინი უნდა მივიდნენ იქ არა როგორც კონტროლიორები, არა მანდატებით, არა ტალონებითა და ოფიციალური მოთხოვნით. ისინი უნდა მივიდნენ ან როგორც უბრალო მყიდველები, ან როგორც მომჩივნები, მომსვლელები, ერთი სიტყვით, როგორც ჩვეულებრივი მოკედავები, სხვებთან ერთად. ასეთი გზით ისინი შეიძენენ მასალას, აღრიცხავენ იმას, რაც ამ გამოკვლევების დროს მიიღეს.

ეს მსუბუქი კავალერია იმისათვის გვჭირდება, რომ მხოლოდ ასე, მხოლოდ არაოფიციალური რევიზიით შეგვიძლია ნამდვილად გამოვჩხრიკოთ ბიუროკრატიული მოწინააღმდეგე, შიგ გულში ჩავწვდეთ ბოროტმოქმედებას, ადგილზე წავასწროთ მტერს“[2].

სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის სრულიად არ იყო საკმარისი მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათის ღონისძიებებით მოქმედება საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერაციულ აპარატზე, მთავარი და შედარებით გადამწყვეტი მაინც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ღონისძიებანია. განსაკუთრებით საჭირო და გადაუდებელი იყო ამ ხასიათის ღონისძიებათა გატარება სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, რადგან, როგორც პარტიის XVI კონფერენციის დადგენილებაშია აღნიშნული, „ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დაჩქარებული ტემპის განხორციელების დარგში საბჭოთა ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება მოითხოვს სახელმწიფო მმართველობის მთელი აპარატის სისტემატურ გარდაქმნას იმ აზრით,

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 804, საქ. 4137, ფურც. 60 — 80.

[2] იქვე, ფურც. 7, 8.

რომ იგი შეეფარდოს ჩვენი მეურნეობის სისტემას და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს“ [1].

პარტიის XVI კონფერენციამ მიზანშეწონილად ჩათვალა ახალ ისტორიულ პირობებში (სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში) სახელმწიფო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისაკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმა მმართველობის ფუნქციების დეცენტრალიზაციის მიმართულებით. ასეთი ღონისძიება ქვეყნის ახალ ადმინისტრაციულ დარაიონებასთან ერთად, ხელს შეუწყობდა ხელისუფლების ორგანოების მასებთან დაახლოებას, მასების უფრო და უფრო ფართო ფენების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

პარტიის XVI კონფერენციის აღნიშნულ დადგენილებაში მითითება „მმართველობის ფუნქციების დეცენტრალიზაციაზე“ სრულებით არ ნიშნავდა ხელის აღებას სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმზე. პარტია დეცენტრალიზაციას უჭერდა მხარს მმართველობის მხოლოდ ერთ სფეროში, ხოლო მეორე, უფრო ძირითად და გადამწყვეტ სფეროში მხარს უჭერდა ცენტრალიზმის პრინციპის შემდგომ განვითარებას. ამის შესახებ იმავე დადგენილებაში ვკითხულობთ: „აპარატის სისტემატური გარდაქმნა უნდა მიმდინარეობდეს ოპერატიული ფუნქციების დ ე ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ხაზით და ამავე დროს ძირითად საკითხებში დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის გზით“ [2]. კონფერენციამ ამ საფუძველზე მუშგლეხინის სახალხო კომისარიატისაგან მოითხოვა საკავშირო და რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ურთიერთდამოკიდებულების გადასინჯვა, მათი მუშაობის სფეროსა და სისტემის გარკვევა.

აქედან გამომდინარე, საქართველოში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, როგორც ჩანს, წინადადებით მიუმართავს სახალხო კომისარიატებისადმი, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი სახელმწიფო აპარატის შესაძლო რეორგანიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ალ. გეგეჭკორის მოხსენებითი ბარათი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისადმი, სადაც ჩამოთვლილია სახელმწიფო აპარატის სტრუქტურასა და საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, მაგალითად, გახშირებული საუწყებათაშორისო თათბირები, გაზვიადებული საკანცელარიო მიწერ-მოწერა, რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ზოგიერთი უფლების შეზღუდვა ფედერალური ორგანოების სასარგებლოდ, პარალელიზმი მუშაობაში [3].

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 775.

[2] იქვე.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. II, საქ. 1866, ფურც. 174.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გარდაქმნა-გადაკეთებას ადგილი ჰქონდა, რასაკვირველია, პარტიის XVI კონფერენციამდეც. კომუნისტურ პარტიას საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილება არ ჰქონია. ამიტომ იგი მუდამ უკეთესის ძიებაში იყო, რის გამოც არაერთხელ უხდებოდა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო დაწესებულებათა გარდაქმნა-გადაკეთება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი იყო სპეციალური კომისია სახელმწიფო აპარატის გამარტივებისათვის[1]. ამ კომისიის 1927 წლის 19 მარტის სხდომაზე განიხილეს რიგი სახალხო კომისარიატების გარდაქმნის საკითხი. სხდომის მიერ მიღებული რეკომენდაციების შედეგად გაუქმდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, მისი ფუნქციები განაწილდა სხვადასხვა კომისარიატსა და დაწესებულებას შორის. ასე მაგალითად, სამაზრო აღმასკომების ხელმძღვანელობის ფუნქცია გადაეცა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, კომუნალური მეურნეობის განყოფილების ფუნქცია — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საპატიმრო ადგილების მმართველობა — იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ადმინისტრაციულ-სამილიციო და სისხლის სამართლის სამძებრო ფუნქციები — სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, მასვე გადაეცა, აგრეთვე, უცხოეთის განყოფილება და ა. შ. გაუქმდა აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი და მისი ფუნქციები და აპარატი გადაეცა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ინვალიდთა სახლი კი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს[2]. სახელმწიფო აპარატის ასეთივე გამარტივება მოხდა აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში[3].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1927 წლის 26 მაისის სხდომაზე გამოყო კომისია ფ. მახარაძის, შ. ელიავას, ი. ვარძიელის, ლ. სუხიშვილის, ნ. სვანიძის, შ. მათიკაშვილის, გ. გაბუნიას, ე. ბედიას, ა. დოლიძის, გ. მგალობლიშვილის, სტ. ვარდანიანისა და სხვათა შემადგენლობით საოლქო სასამართლოების სამაზრო სასამართლოებად გარდაქმნის თაობაზე[4]. კომისიამ შეიმუშავა სათანადო პროექტი და სასამართლო წყობის შემდეგი სტრუქტურა: სახალხო სასამართლო — სამაზრო სასამართლო — უზენაესი სასამართლო. კიდევ უფრო ადრე, 1927 წლის 12 იანვარს ი. ვარძიელმა ცენტრალურ

---

[1] კომისიაში შედიოდნენ ბ. გოგია (თავმჯდომარე), ნ. სვანიძე, ვ. ბოლქვაძე, ი. ვარძიელი, მ. კვარაცხელია და სხვ.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2253, ფურც. 39.

[3] იქვე, ფურც. 504.

[4] იქვე, ფურც. 603.

კომიტეტში შეტანილი მოხსენებითი ბარათით მოითხოვა არსებული ორი საოლქო პროკურატურის გაუქმება[1].

საოლქო სასამართლოსა და საოლქო პროკურატურის ინსტიტუტი მექანიკურად იყო გადმოღებული საბჭოთა რუსეთიდან მაშინ, როცა საქართველოში არ არსებობდა გუბერნიებად დაყოფა და არც საოლქო სასამართლოები და საოლქო პროკურატურები იყო საჭირო.

სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს საფუძვლად ედო შემდეგი მოსაზრებანი: 1. სასამართლო ორგანოების დაახლოება მშრომელებთან, 2. სასამართლოებისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელება უზენაესი სასამართლოს მიერ, 3. საქმეების სწრაფად განხილვა, 4. სასამართლო ხარჯების შემცირება, ეკონომიის რეჟიმის გატარება და სხვ.[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1927 წლის 7 ივლისის სხდომაზე ი. ვარძიელის მოხსენების საფუძველზე დაამტკიცა საოლქო სასამართლოების გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოების შექმნის პროექტი, რაც უნდა განხორციელებულიყო ახალი საბიუჯეტო წლიდან[3].

სოციალისტური კანონიერების დაცვისა და განმტკიცების მიზნით, მართლმსაჯულების გაუმჯობესებისა და სასამართლო-საგამომძიებლო საქმეთა ბიუროკრატიული გაჭიანურების აღსაკვეთად საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1927 წლის 31 ოქტომბრის ერთობლივი დადგენილებით გააუქმეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოები და საოლქო პროკურატურები, შექმნეს სამაზრო სასამართლოები და სამაზრო პროკურატურები ყველა მაზრაში[4].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია ა. დოლიძის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა გადაეხინჯა საბჭოთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობანი. ამ კომისიის სხდომა შედგა 1928 წლის 8 მარტს, რომელსაც თავმჯდომარის გარდა ესწრებოდნენ ვ. ქურდაძე, შ. მათიკაშვილი, გ. მგალობლიშვილი, დ. ქუჩულორია, რასულ-ზადე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ა. კალანდაძე და სხვები. მოხსენება „საბჭოთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობის

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2253, ფურც. 614 — 622.
[2] იქვე, ფურც. 627.
[3] იქვე, საქ. 2254, ფურც. 153.
[4] „კანონთა კრებული", 1927, გვ. 334 — 337.

გაფართოების შესახებ" გააკეთა რასულ-ზადემ. წარმოდგენილი პროექტი ძირითადად მოიწონეს[1].

საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა სხდომამ 1928 წლის 21 მაისს განიხილა საკითხი — „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების შემოწმების შედეგების შესახებ" და მიიღო სათანადო დადგენილება, სადაც ვკითხულობთ: „პარტიისა და მთავრობის იმ არაერთ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც ამ ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელდა საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, საქართველოში საბჭოთა მუშაობა საერთოდ წინ წავიდა... მიუხედავად ამისა... პარტიული ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს, მეტადრე სოფლად, მშრომელთა ფართო მასების ნამდვილად ჩაბმას სახელმწიფო მშენებლობაში"[2].

სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ხელს შეუწყობდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოება. ამ მიზნით სათანადო ღონისძიებაც იქნა გატარებული. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დიდმა პრეზიდიუმმა 1928 წლის 27 ივნისს განიხილა საკითხი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ[3].

საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც საკუთარი სახსრებით ქმნიდა მძიმე ინდუსტრიას, არ შეეძლო მომჭირნეობით არ ეხარჯა ყოველი კაპიკი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა ხალხი მტკიცედ ატარებდნენ მომჭირნეობის რეჟიმს. ყოველი დაზოგილი მანეთი შედიოდა სოციალისტური ინდუსტრიის ფონდში. მომჭირნეობის რეჟიმი ხორციელდებოდა, უპირველეს ყოვლისა, არამწარმოებლური შრომის დარგებში. ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივებით ადმინისტრაციული, სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მმართველობის ხარჯები 1927 — 28 საბიუჯეტო წელს უნდა შემცირებულიყო 20 პროცენტით.

არამწარმოებლური ხარჯების შემცირება ხდებოდა უზომოდ გაბერილი შტატების შემცირებით, რთული სახელმწიფო და სამეურნეო-კოოპერაციული აპარატის გამარტივებით, დამხმარე სამეურნეო ხარჯების შემცირებით და ა. შ.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2736, ფურც. 155—171.
[2] იქვე, ფურც. 276, 277.
[3] იქვე, ფურც. 341 — 348.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების დაძაბულ მუშაობას სასურველი შედეგი მოჰყვა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1928 წლის 3 მარტს მოისმინა საკითხი სამეურნეო ადმინისტრაციული და მმართველობის ხარჯების შემცირების წინასწარი შედეგების შესახებ და აღნიშნა: „საერთოდ და მთლიანად წარმატებით შესრულდა პარტიისა და მთავრობის დირექტივები 1927—28 საბიუჯეტო წელს ადმინისტრაციული, სამეურნეო და მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების შესახებ, რის შედეგადაც მთელ საქართველოში ავტონომიურ ერთეულებიდან (გაერთიანებული კომისარიატებისა და მაზრების) არამწარმოებლური ხარჯები შემცირდა 2 361 ათასი მანეთით, ანუ საშუალოდ 13,3 პროცენტით“[1].

სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სწორ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე. რევოლუციამდე საქართველო, როგორც ცნობილია, დაყოფილი იყო ორ გუბერნიად და ბათუმისა და სოხუმის ოლქებად, მაზრები — სამამასახლისოებად, ხოლო ეს უკანასკნელნი — სასოფლო საზოგადოებებად. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ფაქტიურად არაფერი შეცვლილა.

საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლიდან გააუქმა სათემო სისტემა და მომჭირნეობის მიზნით შექმნა მსხვილი სასოფლო საბჭოები და რაიონები. მაგრამ სასოფლო საბჭოები მოკლებულნი აღმოჩნდნენ ყველაზე ელემენტარულ უფლებებს[2]. ამ გარემოებამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები რამდენადმე მოწყვიტა მშრომელთა ფართო მასებს. ამიტომ დროზე ვერ აუღეს ალღო 1924 წლის აგვისტოს ამბების წინ გლეხობაში არსებულ უკმაყოფილებას. ამის გამო იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმმა მიიღო დადგენილება სოფლების დაწვრილერთეულების შესახებ[3]. ეს გადაწყვეტილება საკანონმდებლო წესით გაატარა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ, შეიქმნა 537 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული[4].

1925 წელს კვლავ აღადგინეს სათემო სისტემა, შეიქმნა 420 თემი. მაგრამ იმის გამო, რომ თავი იჩინა მისწრაფებამ თემების გამსხვილები-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2735, ფურც. 278, 279.

[2] ასე მაგალითად, ყოველგვარი მოქალაქეობრივი აქტების დამოწმებისათვის, კერძოდ, ჭორწინების, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციისათვის გლეხებს რაიონულ ცენტრში უხდებოდათ წასვლა.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2735, ფურც. 598.

[4] «Краткий обзор деятельности правительства ССР Грузии за 1924—1925 гг.», стр. 11.

საკენ, 1929 წლის მარტისათვის მათი რაოდენობა დაყვანილ იქნა 353 ერთეულამდე. ცვლილებები შეეხო მაზრებსაც.

მიუხედავად ამ დაუსრულებელი ადმინისტრაციული დაყოფა-განაწილებისა, ადმინისტრაციული დარაიონების რაციონალური სისტემის შექმნა მაინც მომავლის საქმედ რჩებოდა. ამ გარემოებამ აიძულა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე 1928 წლის 3 ოქტომბერს სპეციალური მოხსენებითი ბარათი წარედგინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისათვის. აი, რას წერდა ფ. მახარაძე: „უკანასკნელ ხანებში მომხდარმა ადმინისტრაციულმა გადაჯგუფებამ — ზოგიერთი მაზრების გაერთიანებამ და აგრეთვე თითქმის ყველა მაზრებში თემერთეულების შემცირებამ გამოიწვია მოსახლეობის ძალზე დაშორება ხელისუფლების ორგანოებისაგან.

მთელ რიგ მაზრებში გაერთიანებული თემების შიგნით არ არის მოწყობილი სასოფლო საბჭოები.

უკანასკნელი გარემოება კიდევ უარეს მდგომარეობას ქმნის მოსახლეობისათვის, ვიდრე ეს იყო რაიონული სისტემის დროს, 1924 წელს.

ამისათვის ც.ა.კ.-ი სთხოვს ცეკას პრეზიდიუმს უახლოეს დროში განიხილოს საკითხი არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ და გამოიტანოს სათანადო სახელმძღვანელო დადგენილება“[1].

ამავე დროს პლენუმმა დაავალა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს პროექტის საბოლოო ტექსტის მომზადება. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საქართველოს დარაიონების საკითხი ორჯერ განიხილა და დარაიონების პროექტში შეიტანა ზოგიერთი შესწორება, რის შედეგადაც საკითხი კვლავ გაიტანა იმავე წლის აპრილის პლენუმზე განსახილველად[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის აპრილის პლენუმმა მოიწონა საქართველოს დარაიონების საბოლოო პროექტი და დაადგინა: „გადაწყვეტილ იქნეს საკითხი საქართველოს დარაიონების შესახებ შემდეგი შემადგენლობით: 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთის, აჭარისტანი), ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთი) და 6 ოლქი...[3]“.

საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის არც ეს სისტემა აღმოჩნდა სრულყოფილი. იგი კვლავ გახდა მსჯელობის საგანი და მალეც შეიცვალა.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 3155, ფურც. 45.

[2] იქვე, ფურც. 56.

[3] იქვე, საქ. 3156, ფურც. 107.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განუწყვეტლივ ხდებოდა რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფის თანდათანობით (მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანებებისა) გაუმჯობესება, ხელისუფლების ორგანოების მოსახლეობის ძირითად მასებთან მიახლოების თვალსაზრისით. მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელებს ეს მაინც არ მიუჩნევიათ დამაკმაყოფილებლად და, როგორც ითქვა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის აპრილის პლენუმმა მიიღო უკვე აღნიშნული დადგენილება რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მისი ორგანოების შემდგომი განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავტონომიური ერთეულების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნიფიკაციას სსრ კავშირის მასშტაბით. როგორც ცნობილია, რევოლუციის პირველ დღეებში თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული ცენტრალიზმით სულშეხუთული ხალხები ავლენენ მიდრეკილებას მაზრის, გუბერნიის, ოლქის მასშტაბით სახალხო კომისართა საბჭოების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვ. შექმნისაკენ. რევოლუციის პირველ დღეებში ასეთ მიდრეკილებას პარტია მაინცა და მაინც ხელს არ უშლიდა, რადგან საჭირო იყო რევოლუციური მასების შემოქმედებითი ინიციატივის მაქსიმალური გამოვლინება და გამოყენება ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესაქმნელად. მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმატებით იქნა დაძლეული პირველი რიგის დაბრკოლებანი ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზაზე და რაც გარკვეული სახე მიიღო ახალმა სახელმწიფოებრივმა მშენებლობამ, საჭირო გახდა მმართველობის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა მთელი კავშირის მასშტაბით. ამის გამო 1929 წელს სამხრეთ ოსეთშიც მოხდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გარდაქმნა სხვა ავტონომიური ოლქების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შესაბამისად[1].

პარტიას საბჭოები მიაჩნდა იმ ბერკეტად, რომლის საშუალებითაც უნდა ეშენებინა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ საბჭოები, როგორც ცნობილია, ახალი ისტორიული ვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდისათვის ვერ აღმოჩნდნენ საკმაოდ მომზადებული. ამას დროზე მიაქცია ყურადღება პარტიამ. იგი რეკონსტრუქციის პერიოდში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანი-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: 1. სსრ კავშირის პრეზიდიუმის 1926 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმი № 38; 2. საქართველოს სსრ, ც.ა.კ-ის 1928 წლის სექტემბრის მასალებში: «Краткая история вопроса о реорганизации высших органов власти авт. области Юго-Осетии» (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2738, ფურც. 8-10, 13).

ჭებდა საბჭოებს, მისი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და განვითარებას, საბჭოების უფლებათა გაფართოებასა და მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ამიტომ ჯერ კიდევ 1927 წლის 11 ივლისს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, ხოლო 1928 წლის თებერვალში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა „სსრ კავშირში საქალაქო საბჭოების ორგანიზაციის ძირითადი დებულება", ამასთან ერთად, წერილით მიმართა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს „საქალაქო საბჭოების მუშაობის გაძლიერების შესახებ".

1929 წლის დასაწყისში მთელ საქართველოში ტარდებოდა საბჭოთა საარჩევნო კამპანია. კულაკობა ძალების დაძაბვით ცდილობდა საბჭოებში თავისი ხალხის გაყვანას, ან, თუ ამას ვერ მოახერხებდა, — არჩევნების ჩაშლას. ამიტომ საბჭოების საარჩევნო კამპანია განსაკუთრებით გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. კულაკები ცდილობდნენ სოფლის აქტივისტების მიმართ მუქარისა და დაშინების გამოყენებას, საშუალო გლეხობის ნაწილის მოტყუებას და თავის მხარეზე გადაბირებას, ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ნაწილის მოსყიდვას საჩუქრებით, სესხის მიცემით და სხვ. გარდა ამისა, კულაკები ათასგვარი საშუალებებით ცდილობდნენ საარჩევნო კრებების ჩაშლას, მიმართავდნენ ზარების რეკვას, ხანძრის გაჩენას საარჩევნო კრებების დროს პანიკის გამოსაწვევად და სხვ.[1].

კულაკობის ყველა ცდა იფუშებოდა.

საბჭოთა არჩევნებში კულაკობის იზოლაცია და კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო გამარჯვება თავისთავად, თვითდინებით როდი მოუპოვებია ხელისუფლებას. კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების — საბჭოების — გაჯანსაღებასა და მისი მუშაობის გამოცოცხლებას.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მტკიცედ შეკავშირებული გამოვიდა საბჭოების არჩევნებში. ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ტარდებოდა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა კრებები და კონფერენციები, მშრომელ ქალთა სადელეგატო კრებები, სადაც მათ განუმარტავდნენ არჩევნების პოლიტიკურ მნიშვნელობას. თავის მხრივ, კომკავშირიც დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა არჩევნებისათვის. კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ტარდებოდა მოჯამაგირე ახალგაზრდობის კონფერენციები, ღარიბ

[1] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 29 იანვარი.

გლეხთა ჯგუფების, ახალგაზრდა ამომრჩეველთა თათბირები და სხვ.[1]. არჩევნების დღეებში (მაშინ არჩევნები რამდენიმე დღე გრძელდებოდა) სოფლად და ქალაქად იმართებოდა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები[2]. ასე მაგალითად, 28 იანვარს გაიმართა რკინიგზის თბილისის კვანძის მუშათა დემონსტრაცია ლოზუნგით — „არცერთი კულაკი და ნეპმანი საბჭოებში". დემონსტრანტებმა თავისუფლების მოედანზე (ამჟამად ვ. ი. ლენინის სახ. მოედანი) გამართეს მიტინგი და ამომრჩევლებს მოუწოდეს პოლიტიკური სიფხიზლისაკენ, საბჭოებში მუშათა კლასისა და გლეხობის ერთგულ ადამიანთა არჩევისაკენ. 29 იანვარს გაიმართა მელითონე მუშათა დემონსტრაცია, 30 იანვარს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია[3]. ყველა დემონსტრაცია კულაკებისა და ნეპმანების პოლიტიკური იზოლაციისაკენ მოუწოდებდა მშრომელებს. ამრიგად, საბჭოების არჩევნები მთელ საქართველოში დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩატარდა. მშრომელებმა წარმატებით აირჩიეს თავიანთი წარმომადგენლები საბჭოებში, ხოლო კულაკები და ანტისაბჭოთა პარტიები სრულიად იზოლირებული აღმოჩნდნენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში. თუ წინა ორ არჩევნებში არჩევნების დროს ამომრჩეველთა 53,4 პროცენტი მონაწილეობდა, 1929 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა უკვე 74,8 პროცენტმა, ხოლო სათემო (სასოფლო) საბჭოს არჩევნებში — ამომრჩეველთა 70,3 პროცენტმა ნაცვლად წინა ორი არჩევნების 51,2 და 52,2 პროცენტისა[4]. საქალაქო და სასოფლო, აგრეთვე სამაზრო საბჭოებში ამომრჩეველთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. უფრო და უფრო მეტი მშრომელი ებმებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, რაც სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უპირველესი მაჩვენებელია.

სამაზრო საბჭოთა ყრილობების მიერ არჩეულმა დელეგატებმა შეადგინეს სრულიად საქართველოს საბჭოების V ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1929 წლის აპრილში. ყრილობამ მოიწონა საქართველოს საბჭოთა მთავრობის საქმიანობა, დასახა საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის კონკრეტული ამოცანები, და ბოლოს, მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ.

---

[1] „საქართველოს ისტორია", ნაწ. III, გვ. 363 — 364.

[2] იქვე.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 13 თებერვალი.

[4] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 4.

საბჭოების V ყრილობაზე „საქართველოს დარაიონების შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა გ. მგალობლიშვილი. მოხსენება ყრილობამ მოიწონა და მიიღო სათანადო რეზოლუცია. ამის შემდეგ საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ[1]. ამ დადგენილების შესაბამისად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა გატარდა სამსაფეხურიანი სისტემით — ოლქებად, რაიონებად და სოფლის საბჭოს მიერ გაერთიანებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. აღნიშნული დადგენილებით მოეწყო შემდეგი ოლქები: 1. თბილისის ოლქი — თბილისისა და ბორჩალოს მაზრებისაგან, ცენტრით — ქალაქი თბილისი; 2. კახეთის ოლქი — კახეთის მაზრისაგან, ცენტრით — სოფელი გურჯაანი; 3. გორის ოლქი — გორის მაზრისაგან, ცენტრით — ქალაქი გორი; 4. ქუთაისის ოლქი — ქუთაისის, შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის მაზრების შემადგენლობით, ცენტრით — ქალაქი ქუთაისი. ცალკე მაზრებად დატოვეს ახალქალაქის, ახალციხის, ოზურგეთის, სენაკის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის მაზრები, რომლებიც დაიყო რაიონებად, რაიონები კი სოფლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. მთელი ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ძალაში შედიოდა იმავე 1929 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ ახალმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ მიღებული დაყოფისაგან რამდენადმე განსხვავებულმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამაც იმედები ვერ გაამართლა, პირიქით, ოლქების შექმნით „შეიქმნა ახალი ბიუროკრატიული კედელი მშრომელ გლეხკაცობასა და ხელისუფლებას შორის“. ამას თავიდანვე გრძნობდა გ. ორჯონიკიძე და იგი არ უჭერდა მხარს საქართველოში ოლქების შექმნას[2]. გ. ორჯონიკიძის ვარაუდი გამართლდა. გარდა ამისა, 1929 წლის ბოლოსა და 1930 წლისათვის რესპუბლიკის სამსაფეხურიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა იმიტომაც აღმოჩნდა გამოუსადეგარი, რომ ადგილი ჰქონდა „დიად გარდატეხას“, არსებითი ხასიათის სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებს ჩვენს ქვეყანაში.

საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრი განვითარება, საბჭოთა სოფელში მომხდარი ძირეული ხასიათის გარდაქმნები ეკონომიკასა და კლასობრივ ძალთა ურთიერთობაში, და ბოლოს, მთელი ფრონტით სოციალიზმის გადამწყვეტი შეტევის — სოციალისტური მშენებლობის ამ ახალი ეტა-

---

[1] „კანონთა კრებული“, თბ., 1929, გვ. 408 — 409.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 3 ივლისი.

პის — ძირითად ამოცანათა წარმატებით განხორციელება გადაუდებლად მოითხოვდა საბჭოთა და პარტიული აპარატის გარდაქმნას ქვეყნის შეცვლილი ეკონომიკის, მზარდი კულტურული დონისა და მასების უფრო და უფრო აღმავალი პოლიტიკური აქტივობის ინტერესთა შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით უფრო და უფრო იზრდებოდა სოფლად რაიონების როლი, საკვანძო პუნქტისა, სადაც ხორციელდებოდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივები[1]. ამიტომ რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სამსაფეხურიანი სისტემის შეცვლა ორსაფეხურიანი სისტემით მომწიფდა საკავშირო მასშტაბით. ეს საკითხი განიხილეს საკ. კპ (ბ) XVI კონფერენციაზე და XVI ყრილობაზე[2]. პარტიამ აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებად ჩათვალა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სამსაფეხურიანი სისტემიდან ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა. ამის საფუძველზე სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება ოლქებისა და მაზრების გაუქმებისა და რაიონების სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების შესახებ. ამ დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1930 წლის 30 ივლისს მიიღეს სპეციალური დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ოლქებისა და მაზრების გაუქმების შესახებ“[3].

საბჭოთა რესპუბლიკების ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით უქმდებოდა სამსაფეხურიანი სისტემა და მყარდებოდა ორსაფეხურიანი სისტემა — სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და რაიონი. ამ რეფორმის დამთავრება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1930 წლის 15 სექტემბრისა. რეფორმის დროულად და ნორმალურად ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან შეიქმნა სპეციალური კომისია ს. მამულიას თავმჯდომარეობით. კომისიამ წარმატებით შეასრულა დავალებული ამოცანა: მოახდინა ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად ჩამოაყალიბეს 48 რაიონული ერთეული, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად.

1930 წლის 18 — 22 სექტემბერს მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 780.

[2] იქვე, გვ. 775 — 782.

[3] „კანონთა კრებული“, თბ., 1930, გვ. 492 — 494.

ოლქებისა და მაზრების გაუქმებისა და რაიონების სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების შესახებ[1]. პლენუმმა მოიწონა საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი რესპუბლიკის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ და დასახა კონკრეტული ამოცანები პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე სოფლად მუშაობის გაუმჯობესებისა და ახალი ვითარების შესაბამისად მისი დაუყოვნებლივი გარდაქმნისათვის[2].

რესპუბლიკათა ახალი ადმინისტრაციული დარაიონება მაშინ მთელ საბჭოთა კავშირში ტარდებოდა და მტკიცედ იყო დაკავშირებული ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებთან. „ჩვენ თავს ვერ გავართმევდით უდიდეს მუშაობას სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად და საკოლმეურნეო მოძრაობის განსავითარებლად, დარაიონება რომ არ გაგვეტარებინაო", — ამბობდა ი. ბ. სტალინი პარტიის XVI ყრილობაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ცენტრიდან რაიონებში მუდმივ და დროებითი ხასიათის სამუშაოზე გაიგზავნა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების ჯგუფი 481 კაცის რაოდენობით. მიღებული იყო ზომები რაიონების სამეურნეო-ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად[3].

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა განხილული ღონისძიება მიმართული იყო პროლეტარიატის დიქტატურის, მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განმტკიცებისაკენ, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და მოსახლეობის ფართო ფენებთან მისი მიახლოვებისაკენ.

§ 2. კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ და მისი განხორციელების პირველი ღონისძიებანი

მრეწველობის მნიშვნელოვანი გაფართოების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასაწყისში კვლავ მკვეთრად გამოხატულ აგრარულ ხასიათს ატარებდა. მრეწველობის აღდგენა საქართველოში მოხდა უმთავრესად ძველ ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც აღდგენით პერიოდში, მართალია ზრდიდა

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი); ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 3460, ფურც. 3—8.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 365.

[3] რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ დაწვრილებით იხ. ვ. ვ. ე ზ უ გ ბ ა ი ა, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921—1932 წწ.,) თბ., 1937.

სამრეწველო პროდუქციის წარმოებას, მაგრამ მაშინ, როდესაც მრეწველობის წინაშე ფართო პერსპექტივები დაისახა სოციალიზმის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიმართულებით, ნათლად გამოჩნდა, რომ არსებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა ვეღარ უზრუნველყოფდა მრეწველობის შემდგომ აღმავლობას, პირიქით, იგი გარდუვალად გადაიქცეოდა სწრაფი სამრეწველო აღმავლობის დამაბრკოლებელ ფაქტორად, შეაფერხებდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის უკვე დაწყებულ პროცესს.

ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე კურსის აღებით აღინიშნა საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის ახალი, თვისებრივად უფრო მაღალი საფეხურის დასაწყისი. აღდგენით პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობის შედარებით უფრო სწრაფ განვითარებას. სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში კი წინა პლანზე დადგა მრეწველობის სწრაფი თვისებრივი განვითარების ამოცანა.

ამასთან დაკავშირებით, კომუნისტურ პარტიას უნდა დაესახა კონკრეტული გზები ინდუსტრიალიზაციის ლენინური იდეისა და XIV ყრილობის დირექტივების განხორციელებისათვის, შეემუშავებინა სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპის შესაბამისი სამეურნეო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შემუშავებისას პარტიას უხდებოდა შემოქმედებითად გადაეწყვიტა მრავალი ახალი და ერთობ რთული პრობლემა, რადგან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია უნდა წარმართულიყო სრულიად გაუკვალავი გზით. ოპოზიციასთან მწვავე ბრძოლებში პარტიამ დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა[1].

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის აპრილის პლენუმმა შეაჯამა მიღწეული წარმატებები სამეურნეო მშენებლობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში და დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკული ამოცანები. ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არათანაზომიერად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რომ სოფლის მეურნეობას, დაბალი ტექნიკური ბაზის გამო, ჯერ კიდევ არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მრეწველობისა და მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილება. პლენუმზე სერიოზული ყურადღება დაეთმო ტრანსპორტის ჩამორჩენას, აგრეთვე მრეწველობის ცალკე დარგებს შორის დისპროპორციის არსებობას, რასაც შეეძლო შეეფერხებინა ინდუსტრიალიზაციის განვითარება. პლენუმ-

---

[1] «Ленинский план социалистической индустриализации и его осуществление», М., 1969, стр. 81.

მა დააკონკრეტა XIV ყრილობის დირექტივები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ და ხაზი გაუსვა პირველ რიგში მძიმე მრეწველობის დარგების — მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული და სათბობი მრეწველობის, ელექტროენერგიის წარმოების, სამშენებლო მასალათა წარმოებისა და ტრანსპორტის სწრაფი ზრდის აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით, პლენუმი ითვალისწინებდა კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვან გადიდებას, ხოლო ამისათვის — სოციალისტური დაგროვების აუცილებელ ზრდას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ახალ ტექნიკურ ბაზაზე, დამოკიდებულია აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე და საჭიროდ მიიჩნია მათი გაფართოება [1].

პლენუმმა მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება მეურნეობის იმ დარგებისადმი, რომელთა განვითარება უზრუნველყოფდა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას.

კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციისაგან განსხვავებით, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია გეგმაზომიერი, ორგანიზებული ხასიათისაა. კომუნისტური პარტია, სამეურნეო პოლიტიკას რომ სახავდა, ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის მუშათა კლასის ბრძოლის ძირითად პოლიტიკურ ორგანოს, რომელმაც უნდა განამტკიცოს გეგმიური საწყისები, სახელმწიფო ორგანოთა მუშაობაში დანერგოს გეგმიური დისციპლინა. ამის შესაბამისად, პლენუმი აღნიშნავდა, რომ ყოველგვარი „ხარჯები ახალი მშენებლობის დარგში შეთანხმებული უნდა იქნეს საერთო სამეურნეო გეგმასთან", აღიკვეთოს სახსრების დაქსაქსვა და მათი არაეკონომიური გამოყენება. პლენუმი მოითხოვდა დაგეგმვის ცენტრალიზაციას, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიაჩნდა ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივის ფართოდ განვითარება, შუალედი ინსტანციებისა და რგოლების შემცირება [2], სახელმწიფო აპარატის გამარტივება და გაიაფება.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა სოფლის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებას, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წარმოების გარ-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 340.

დაქმნას, საქონელბრუნვას, ვაჭრობას, სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებას, მუშათა ხელფასის გადიდებას, და ყოველივე ამის საფუძველზე შრომისნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის წარმოების მუდმივ გაფართოებას, თვითღირებულების შემცირებას და დაგროვების ზრდას.

ხელმძღვანელობდა რა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმით, პლენუმმა შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. პარტიამ ეს პოლიტიკა შეიმუშავა და დაიცვა ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, ანტიპარტიულ ელემენტებთან გააფთრებული ბრძოლის პირობებში[1].

საქართველოს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პლენუმის ლენინურ გადაწყვეტილებებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ[2].

ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირში ხორციელდებოდა სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებათა და პრინციპების საფუძველზე. მაგრამ პარტია ამავე დროს ითვალისწინებდა ადგილობრივ პირობებსაც. კერძოდ, საქართველოს ინდუსტრიული განვითარება დაკავშირებული იყო რიგ სიძნელეებთან, რომლებსაც აპირობებდნენ ისტორიულად შექმნილი ადგილობრივი თავისებურებანი. ამ სიძნელეთა დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმში გადასვლა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებებით და საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ტემპების დასახვისას მტკიცედ ითვალისწინებდა რესპუბლიკის ყველა თავისებურებას — საქართველოს მშრომელთა სოციალ-ეკონომიური, ეროვნული და ყოფითი პირობების განვითარების დონეს. ადგილობრივი თავისებურებანი გამოიხატებოდა იმაში, რომ საბჭოთა საქართველო რეკონსტრუქციის დასაწყისშიც ჯერ ისევ წარმოადგენდა უფრო გლეხურ ქვეყანას რუსეთთან შედარებით; აქ ჯერ კიდევ არ იყო მსხვილი მრეწველობის მშენებლობის გამოცდილება. ეს დარგი თავის განვითარებას იწყებდა ერთობ დაბალი დონიდან, ასეთივე ტექნიკურ და ენერგეტიკულ ბაზაზე. წარმოების საშუალებათა წარმოების სფეროში რამდენადმე გაიზარდა კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა, უმთავრესად ჭიათურის მრეწველობაში ამერიკული კონცესიის ხარჯზე[3]. მცირე იყო კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების რაოდენობა; შეუსწავლელი იყო ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრენი; აგრეთვე

---

[1] «История Коммунистической партии Советского Союза», т. IV, книга первая (1921-1929 гг.), М., 1970, стр. 445.

[2] „საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია“, თბ., 1936, გვ. 5; «Очерки истории Коммунистической партии Грузии», ч. II, стр. 66.

[3] Н. Ткешелашвили. Очерки истории развития промышленности Советской Грузии, Тб., 1970, стр. 165 — 166.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა საქართველოს მუშათა კლასისა და საერთოდ, მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობა, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავებული რაიონების არსებობა რესპუბლიკაში, სხვადასხვა ეროვნული თავისებურებათა გამო, სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით მრეწველობაში, ქალთა უმნიშვნელო მონაწილეობა. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამეურნეო ღონისძიებებში საჭირო იყო როგორც მთელი ქვეყნის, ისე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა, აგრეთვე საქართველოს სსრ შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ეკონომიური ინტერესების გათვალისწინება.

კომუნისტური პარტია ითვალისწინებდა აღნიშნულ ადგილობრივ თავისებურებებს და ამავე დროს ქვეყნის შემდგომი განვითარების ამოცანებს. ამიტომ საქართველოს ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის პარტიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდანვე მძიმე მრეწველობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, არსებული დარგების გაფართოება და ახალი ინდუსტრიული დარგების შექმნა, მრეწველობის უზრუნველყოფა საჭირო კადრებით მკვიდრი მოსახლეობის ხარჯზე.

ინდუსტრიალიზაციის ასეთი უზარმაზარი ამოცანების შესრულებისათვის საჭირო იყო განვითარების კიდევ უფრო მაღალი ტემპები, ხოლო ამისათვის — კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მაქსიმალური გადიდება. მაგრამ საბჭოთა საქართველოს იმ დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისათვის საჭირო სახსრები.

ამასთან დაკავშირებით, თავიდანვე ფართოდ დაისვა საკითხი კაპიტალურ დაბანდებათა გასადიდებლად დამატებითი წყაროების გამონახვის შესახებ. ამ პრობლემის გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის მაის-ივნისის პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და მიიღო კონკრეტული ღონისძიებები, რომელთაც საფუძვლად დაედო სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დირექტივები[1]. პლენუმმა განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება მიაქცია მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის გატარების ამოცანას და წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა მომჭირნეობისათვის ბრძოლა განეხილათ როგორც მუდმივმოქმედი საბრძოლო ამოცანა და მისი წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაებათ მშრომელთა ფართო მასები, წარემარ-

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1753, ფურც. 3 — 12.

თათ ბრძოლა „ყოველგვარი არამწარმოებლური ზედმეტი ზედნადები ხარჯების შემცირებისა და აღმოფხვრისაკენ, ყოველგვარი უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის ამოძირკვისაკენ“ [1].

პარტიის მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები და ინჟინერ-ტექნიკოსთა საზოგადოებანი [2]. 1926 წლის შემოდგომისათვის სსრ კავშირის სოციალისტურმა მრეწველობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და შეიქმნა პირობები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართოდ გაშლისათვის. უმოკლეს დროში მიღწეულმა წარმატებებმა მოითხოვეს პარტიის ახალი ამოცანების დასახვა სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი აღმავლობისათვის.

ასეთი ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდისათვის განსაზღვრა სკპ (ბ) XV კონფერენციამ (1926 წ. 26 ოქტომბერი — 3 ნოემბერი). კონფერენციამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ძირითადი საწარმოო ფონდების გაფართოება და ამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის გარდაქმნა უფრო მაღალ ტექნიკურ ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით, გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა მანქანათმშენებლობას, რომლის მძლავრი აღმავლობის გარეშე შეუძლებელი იყო სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური აღჭურვა. კონფერენციამ გაითვალისწინა ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა წარმოების ორგანიზაციის დაჩქარების აუცილებლობა და იმ მიზნით, რათა სსრ კავშირი განთავისუფლებულიყო კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებისაგან, საჭიროდ მიიჩნია მანქანათმშენებლობის ყოველმხრივი განვითარება. „ამ მიმართულებით, — აღნიშნავდა კონფერენცია, — უნდა წარიმართოს მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოების მთავარი ძალები... საუკეთესო ტექნიკური ძალები და საუკეთესო კომუნისტი-ადმინისტრატორები“ [3].

სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა ძირითად პირობად კონფერენციამ მიიჩნია მსხვილი სოციალისტური მრეწველობის წარმმართველი როლის განმტკიცება ქვეყნის ეკონომიკაში.

უდიდესი სამეურნეო, ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური მრეწველობის განვითარების ტემპების განსაზღვრის საკითხს. XV კონფერენციამ, ხელმძღვანელობდა რა ლენინის მითითებით, წამოაყენა საბრძოლო ლოზუნგი: „აუცილებლად უნდა ვესწრაფოდეთ იმას, რომ შედარებით მინიმალურ ისტორიულ ვადაში დავეწიოთ, ხოლო შემ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1753, ფურც. 595-596.

[2] იქვე, ფ. 236, აღწ. 4, საქ. 65, ფურც. 16; «История индустриализации Грузинской ССР (1926 — 1941 гг.)», стр. 33.

[3] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 395.

დეგ კიდევაც გადავაჭარბოთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიული განვითარების დონეს“ [1].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში აქტუალურ პრობლემად იქცა კაპიტალურ დაბანდებათა მიმართულების საკითხი. პარტია ნათლად ითვალისწინებდა, რომ ინდუსტრიის განვითარება მხოლოდ ახალ კაპიტალურ მშენებლობათა ბაზაზე არ შეიძლებოდა წარმართულიყო ისე სწრაფად, როგორც აღდგენითი პერიოდის ბოლო წლებში, მაგრამ მან გადაჭრით უარყო ურწმუნოთა და პანიკიორთა წინადადება იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპი და, მაშასადამე, კაპიტალური დაბანდებანიც შემცირებულიყო რევოლუციამდელ დონემდე. XV კონფერენციამ მიუთითა: ამ მოთხოვნის ავტორები არ ითვალისწინებენ იმას, რომ სამრეწველო მშენებლობის გეგმის განხორციელების შესაბამისად შეიქმნება ახალი შესაძლებლობანი როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ტემპის გადიდებისათვის, გაიხსნება ქვეყნის ყველა შინაგანი რესურსების გამოყენების სულ ახალი პერსპექტივებიო.

ინდუსტრიალიზაციის პირველი წლების შედეგებმა დაადასტურა პარტიის ამ ვარაუდის სისწორე. მრეწველობა ჩვენში უფრო მაღალი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

XV ყრილობამ (1927 წ. 2 — 19 დეკემბერი) ხაზგასმით აღნიშნა ეს დიდი წარმატება და პარტიის ამოცანად დასახა მრეწველობის დარგში მიღწეული ტემპის განმტკიცება, მისი შემდგომი გაძლიერება უახლოეს მომავალში, რათა შექმნილიყო ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა დაწეოდა და შემდეგ გაესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის [2]. ყრილობამ მიუთითა პარტიას, რომ ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის მაღალი ტემპების პრობლემა განხილულიყო არა როგორც უახლოესი წლების, არამედ როგორც მუდმივი ამოცანა. ეს მითითება საფუძვლად დაედო პარტიის, მუშათა კლასის სამეურნეო მოღვაწეობას, ხუთწლიანი გეგმების შედგენას.

სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთ რთულ საკითხს წარმოადგენდა ფასების პოლიტიკა, რომელიც აერთიანებდა საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემას. ამიტომ პარტია ყოველთვის, როდესაც ამ საკითხს იხილავდა, ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ფასების მოგვარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული მტკიცე და ნორმალური ეკონომიური კავშირი სოციალისტურ მრეწველობასა და წვრილგლეხურ მეურნეობას შორის. ამ პრობლემას განსა-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 383.

[2] «Пятнадцатый съезд ВКП (б)», Стен. отчет, ч. I, М., 1961, стр. 62.

კუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც მთელი სიღრმე-სიგანით დაისვა საკითხი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებს შორის არსებული განსხვავების, დისპროპორციის აღმოფხვრის შესახებ. პარტიას მიაჩნდა, რომ ამ მწვავე პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა საცალო სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირებით. ეს ხელს შეუწყობდა სამრეწველო საქონლის სწრაფ რეალიზაციას და ქალაქსა და სოფელს შორის საქონელგაცვლის გაფართოებას. სამრეწველო საქონლის ჩაწოლას იწვევდა უმთავრესად მისი მაღალი ფასი, რომლის განსაზღვრაში ადგილი ჰქონდა საწარმოთა ხელმძღვანელების თვითნებობას, განსაკუთრებით 1926 წლიდან, როდესაც მრეწველობის მართვის სისტემის რეორგანიზაციის შედეგად საწარმოებს მეტი ავტონომიური უფლებები მიეცათ. საწარმოთა ხელმძღვანელები, გატაცებული იყვნენ რა წარმოების მეტი მოგებით, საბრუნავი კაპიტალის გადიდებით, თვითნებურად ზრდიდნენ პროდუქციის ფასს. პარტიას აღარ შეეძლო ასეთი არანორმალური და პოლიტიკურადაც ერთობ საზიანო მდგომარეობის შენარჩუნება. იგი შეაფერხებდა ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპებით განვითარებას, მოშლიდა სოფლის მეურნეობას. ამიტომ პარტიამ კატეგორიულად უარყო ოპოზიციონერთა მოთხოვნა სამრეწველო საქონელზე ფასების გადიდების შესახებ და, პირიქით, გადაწყვიტა მათი დაკლება.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაშლასა და მისი მაღალი ტემპით განვითარების აუცილებლობასთან დაკავშირებით, პარტიამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებას, სამეურნეო აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესებას, მეურნეობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის ფართოდ დანერგვას. ერთიან გეგმიურ ხელმძღვანელობასთან ერთად პარტია ითვალისწინებდა ადგილობრივი ორგანიზაციების, თვით ცალკეულ საწარმოთა უფლებების გაფართოებას, მათთვის მეტ დამოუკიდებლობას და მეტი ინიციატივის განვითარებას.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპებით განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშათა კლასის წამყვან როლს. მუშათა კლასმა პარტიის იდეოლოგიური მუშაობისა და ეკონომიური ღონისძიებების შედეგად ადრევე გამოამჟღავნა თავისი მაღალი შეგნებულობა და თავდადებული შრომა. ახლა, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პერიოდში, მუშათა კლასის წამყვანი როლი უფრო მეტად გაიზარდა. პარტია ფართო ღონისძიებებს სახავდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შემდგომი გაძლიერების მიმართულებით: წარმოების მართვაში მისი ფართოდ ჩაბმა, საწარმოო თათბირების მუშაობის გაფართოება და სრულყოფა, მუშათა დროებითი საკონტროლო კომისი-

ების შექმნა, რომლებიც ოპერატიულად გადაწყვეტდნენ წარმოების აქტუალურ საკითხებს.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დაწყება, სახალხო მეურნეობის გადაყვანა თანამედროვე მანქანური ინდუსტრიის საფუძველზე ჯერ კიდევ აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის გადაიქცა ობიექტურ აუცილებლობად.

საჭირო იყო მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია ახალი, მოწინავე ტექნიკის ბაზაზე, ხოლო ამისათვის საკუთარი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის შექმნა, ურომლისოდაც ვ. ი. ლენინს საერთოდ შეუძლებლად მიაჩნდა სოციალიზმის აშენება. სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც.

სოციალიზმის აგების ლენინური გეგმის ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. ვ. ი.ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივების მეცნიერულ შემუშავებას, კერძოდ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსის სრულყოფილად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებას. 1920 წლის დამლევს „შენიშვნებში ელექტრიფიკაციის შესახებ“ ვ. ი. ლენინმა მოგვცა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსის გასაოცრად ლაკონიური, მაგრამ ყოვლისმომცველი განსაზღვრა: „1. თანამედროვე ტექნიკა. 2. საწარმოო ძალების აღდგენა, მათი გადიდება. 3. ცენტრალიზაცია — maximum. 4. კომუნიზმი — საბჭოთა ხელისუფლება+ელექტრიფიკაცია. 5. საერთო და ერთიანი გეგმა: ხალხის ყურადღებისა და ძალების ცენტრალიზაცია. 6. კულტურის (მშრომელთა კულტურის) აღმავლობა. 7. მარტო წერა-კითხვის ცოდნა კი არა“[1].

მაშასადამე, საწარმოო ძალების განვითარება თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე, ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაცია საერთო-სახელმწიფო გეგმის საფუძველზე, ხალხის მთელი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია და მათი წარმართვა ინდუსტრიული განვითარების ამოცანათა შესრულებისაკენ, არა მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, არამედ მშრომელთა მასების კულტურის საერთო აღმავლობა და მათი დაკავშირება საკაცობრიო კულტურასთან — ასეთია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის არსის ლენინური ფორმულირების შინაარსი.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია — მსხვილი მრეწველობის, პირ-

---

[1] „ვ. ი. ლენინი მძიმე მრეწველობის განვითარებისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ“, თბ., 1958, გვ. 110.

ველ რიგში, მძიმე ინდუსტრიის მაღალი ტემპებით განვითარება — უზრუნველყოფდა მთელი სახალხო მეურნეობის ძირეულ, ტექნიკურ გარდაქმნას, ეკონომიკაში სოციალისტური ფორმების გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიურ აღმავლობას.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი იყო მხოლოდ სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის—მძლავრი განვითარებით. ამიტომ აუცილებელი გახდა ჩვენში თანამედროვე მძიმე ინდუსტრიის მთელი რიგი დარგების ხელახლა შექმნა. ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია და წარმოების საშუალებათა წარმოების ახალი მძლავრი საწარმოების აგება. ისტორიულად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყანა საჭიროებდა პირველ რიგში წარმოების საშუალებათა საკუთარ წარმოებას. საბჭოთა კავშირისათვის საჭირო იყო არა მარტო, ვთქვათ, ჩითის წარმოება, არამედ ჩითის წარმოებისათვის საჭირო მანქანების საკუთარი წარმოებაც, არა მარტო ავტომობილების დამზადება, არამედ ავტომობილების დამამზადებელი მანქანების წარმოებაც[1]. ამოცანა კონკრეტულად მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა მანქანებისა და მოწყობილობის შემომტანი ქვეყნიდან გადაქცეულიყო ამ მანქანებისა და მოწყობილობის მწარმოებელ ქვეყნად[2]. ამის მიღწევა კი შეიძლებოდა მხოლოდ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. საჭირო იყო მსხვილი მრეწველობის მაღალი ტემპებით განვითარება, რათა უმოკლეს ისტორიულ დროში აღმოფხვრილიყო შეუსაბამობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივ წყობილებასა და მის სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შორის. ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის რადიკალური გარდაქმნით უნდა შექმნილიყო ყველა პირობა, რათა საბჭოთა კავშირი დაწეოდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც და შემდეგ გაესწრო კიდეც.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, მათ შორის საბჭოთა საქართველოსათვის, რადგან მხოლოდ ინდუსტრიული განვითარებით შეიძლებოდა ლიკვიდაცია ცარიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიური ჩამორჩენილობისა, რომელიც განაპირობებდა ინდუსტრიულად განვითარებულ რესპუბლიკებთან საქართველოს ფაქტიურ უთანასწორობას. ამისათვის საჭირო იყო მრეწველობის რევოლუციამდელი მახინჯი, ცალმხრივი სტრუქტურის ძირეული შეცვლა, მსხვილი მრეწველობის უფრო სწრაფი ტემპებით განვითარება და

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 389.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 388.

სახალხო მეურნეობაში მანქანური ინდუსტრიის ხვედრითი წონის გადიდება.

წინათ ჩაგრული ერების ეკონომიური ჩამორჩენილობისა და მის საფუძველზე მათთვის დამახასიათებელი ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის საკითხი წარმოადგენდა ჩვენი პარტიის მუდმივი ზრუნვის ამოცანას. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა მიმართული იყო ჩამორჩენილი ხალხების ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობისა და მოწინავე ხალხებთან მათი გათანაბრებისაკენ.

რესპუბლიკებში მრეწველობის შედარებით უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას სერიოზული ყურადღება დაეთმო აგრეთვე პარტიის XIV ყრილობაზე, რადგან ამას მოითხოვდა მთელი ქვეყნის საყოველთაო აღმავლობის ინტერესები. „ჩვენ არ შეგვიძლია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში, — მთელი ყურადღება მივაპყროთ მხოლოდ საკავშირო მრეწველობის განვითარებას... ადგილების ინტერესებთან და სარგებლობასთან ცენტრის ინტერესებისა და სარგებლობის დაუკავშირებლად, ჩვენ ვერ გადავწყვეტთ მშენებლობითი ინიციატივის ამოქმედების პრობლემას, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სამეურნეო აღმავლობის პრობლემას, ქვეყნის უსწრაფესი ინდუსტრიალიზაციის პრობლემას“[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ (1925 წ. 30 ნოემბერი — 5 დეკემბერი) მხარი დაუჭირა რკპ (ბ) XIV კონფერენციის გადაწყვეტილებებს და XIV ყრილობისათვის გამოქვეყნებული თეზისების შესაბამისად დასახა ფართო ღონისძიებები რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის დარგში.

XIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს ბოლშევიკებმა და მშრომელებმა. 1926 წლის იანვარში შედგა თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის გაფართოებული კრება, რომელმაც მოისმინა სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის გ. ორჯონიკიძის მოხსენება XIV ყრილობის შედეგების შესახებ. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრება... თვლის მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებებს აბსოლუტურად სწორად და მთლიანად და სავსებით უერთდება მათ... კრება მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრს ყრილობის ყველა გადაწყვეტილებათა ყურადღებით შესწავლისა და მათი გადაუხვევლად ცხოვრებაში გატარებისაკენ“[2].

საქართველოს კომუნისტური პარტია ემყარებოდა პარტიის დირექ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 347.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 12 იანვარი.

ტივებს და კონკრეტულ ამოცანებს სახავდა რესპუბლიკის სწრაფი ინდუსტრიული აღმავლობისათვის. იგი ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას, ელექტრომშენებლობის გაშლას, მსუბუქი და კვების მრეწველობის, აგრეთვე სამშენებლო მასალათა წარმოებისა და სხვა დარგების გაფართოებას, სოფლის მეურნეობის აღმავლობას და ა. შ.

ამ ამოცანათა შესრულება დაკავშირებული იყო დიდძალი სახსრების დაბანდებასთან სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, მრეწველობის სფეროში. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდანვე უმნიშვნელოვანეს საზრუნავ ამოცანად დაისახა კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებისათვის საჭირო სახსრების დასაგროვებლად დამატებითი წყაროების გამონახვა. რესპუბლიკის შიგნით დაგროვების ამოცანის დადებითად გადაჭრა მნიშვნელოვანწილად წყვეტდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ბედს, რადგან საბჭოთა ხალხს საერთოდ მარტოდმარტო უხდებოდა ამ ამოცანის გადაწყვეტა, გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე. კაპიტალისტური გარემოცვა დაინტერესებული არ იყო ჩვენი წარმატებით, პირიქით, იგი ყოველნაირად ცდილობდა ჩაეშალა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირში, მათ შორის საბჭოთა საქართველოში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ეწინააღმდეგებოდნენ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მობოგინე მტრებიც.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აგრეთვე იმ დიდი სიძნელეებისა, რომლებიც წინ ეღობებოდა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, პარტია მტკიცედ შეუდგა თავისი გენერალური ხაზის განხორციელებას და ამისათვის სოციალისტური დაგროვების ყველა წყაროს მაქსიმალურად გამოყენებას. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის აპრილის პლენუმი მიუთითებდა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ექსპროპრიაცია, მეფის ვალების გაუქმება, მრეწველობის, საშინაო და საგარეო ვაჭრობისა და მთელი საკრედიტო სისტემის სახელმწიფოს ხელში თავმოყრა და სხვა, თავისთავად, საშუალებას იძლევა თვით ქვეყნის შიგნით შეიქმნას ისეთი დაგროვება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების აუცილებელ ტემპს[1]. პარტიის ასეთი ხაზი სავსებით ნათლად ახასიათებს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, რომელიც თავისი არსითა და ხასიათით მკვეთრად განსხვავდება კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციისაგან როგორც დანიშნულებით, ისე მისი განვითარებისათვის საჭირო სახსრების წყაროებით.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით, პარტიამ საჭირო სახსრების დაგროვების მთავარ წყაროდ მიიჩნია თვით მრეწველო-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 338.

ბის შიგნით დაგროვებათა ზრდა. ამასთან, შიდასაწარმოო დაგროვება უნდა წარმართულიყო უმთავრესად სოციალისტური მსხვილი მრეწველობის ხაზით, რადგან კერძო სექტორი ამ დარგში განუწყვეტლივ მცირდებოდა. დაგროვების იმედი არ შეიძლებოდა გვქონოდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში, რადგან მრეწველობის ამ მნიშვნელოვან დარგში უცხოურმა კონცესიამ საერთოდ ვერ გაამართლა.

ამიტომ საჭირო იყო სიმძიმის ცენტრის გადატანა დაგროვების სხვა წყაროებზე. ამისათვის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის აპრილის პლენუმმა საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა თავდადებული ბრძოლა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის, შრომისნაყოფიერების განუხრელი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასმა, მშრომელმა მასებმა პარტიის ხელმძღვანელობით ფართოდ გაშალეს ბრძოლა დაგროვების პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციას, რომელიც აერთიანებდა მოძმე რესპუბლიკათა სამეურნეო შესაძლებლობებს და წარმართავდა მათ თითოეული რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარებისათვის. ამავე დროს, ამიერკავკასიის რესპუბლიკები თავიანთ სამეურნეო ღონისძიებებში ცალ-ცალკე ითვალისწინებდნენ მოძმე რესპუბლიკათა, მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ინტერესებს და ფართო კოორდინაციას ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისათვის[1].

1926 წლის 28 აპრილს თბილისში შედგა ქალაქის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც აღნიშნა დაგროვების დიდი მნიშვნელობა ძველი სამრეწველო საწარმოების ტექნიკური რეკონსტრუქციისა და ახალი საწარმოების მშენებლობაში. კრებამ დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა გაეშალათ მასების ენერგიული ბრძოლა მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმისათვის სახელმწიფო სახსრების გამოყენებაში, მიეღწიათ დაგროვების გადიდებისათვის მოსახლეობის სესხებისა და ანაბრების გადიდების გზით[2].

მომჭირნეობისა და დაგროვებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა აქტივის თათბირმა (1926 წ. მაისი), რომელმაც განიხილა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ დასახულ სამეურნეო ამოცანათა განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებები.

---

[1] «IV съезд Коммунистической партии (большевиков) Грузии». Стен. отчет, Тиф., 1925, стр. 56.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 576.

მომჭირნეობისათვის ფართოდ გაშალეს მუშაობა აგრეთვე პროფესიულმა კავშირებმა. 1926 წლის 20 მაისს საქართველოს პროფსაბჭომ სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებს, აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტებს, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მომჭირნეობისათვის ბრძოლაში და დაერაზმათ მასები პარტიის საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის [1].

პარტიის მითითებით, ფაბრიკებსა და ქარხნებში შეიქმნა მომჭირნეობის გატარებისათვის ხელისშემწყობი კომისიები მუშათა შემადგენლობით. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ დავალების შესრულებისათვის, ავლენდნენ წარმოების ნაკლოვანებებს, მონაწილეობდნენ მათ აღმოფხვრაში, სახავდნენ ღონისძიებებს მომჭირნეობის სასტიკი რეჟიმის დაცვისათვის. ამ ბრძოლაში თავი ისახელა მუშა-ახალგაზრდობამ კომკავშირის მეთაურობით. კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით და ხელმძღვანელობით სისტემატურად ეწყობოდა ახალგაზრდების კონკურსები საუკეთესო მუშაკის სახელისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და მასალების დაზოგვით გამოყენებაზე [2]. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ მომჭირნეობისათვის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მომჭირნეობისათვის ბრძოლის საკითხები ფართოდ შუქდებოდა ადგილობრივ პრესაში. გაძლიერდა მუშა-კორესპონდენტთა ბრძოლა არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. მომჭირნეობისათვის ენერგიულად იბრძოდნენ ქალთა სადელეგატო კრებები.

მასების თაოსნობისა და ენერგიული ბრძოლის შედეგად მნიშვნელოვნად იზოგებოდა სახსრები, მასალები, ელექტროენერგია, სათბობი.

მაგრამ, მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან დამახინჯებებსაც, პარტიის ხაზის აშკარა გამრუდების ფაქტებს. 1926 წლის ივლისში შედგა რესპუბლიკური სატარიფო თათბირი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ის სამწუხარო ფაქტი, რომ „ზოგიერთმა სამეურნეო ორგანომ მომჭირნეობის რეჟიმი გაიგო, როგორც მარტო შტატების შემცირება. თათბირი, არ ეწინააღმდეგება რა შტატების მიზანშეწონილ შემცირების ჩატარებას, დასძენს, რომ ეს უნდა მოხდეს არა ეფექტისათვის, არამედ ზედმეტი ხარჯების შემცირების მიზნით. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საქმის რაციონალურად დაყენებას და სხვა ზედნადები ხარჯების მოწესრიგებას და არა მარტო შტატების შემცირებას“. თათბირმა გადაჭრით დაგმო ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის არაჯანსაღი მისწრაფება — ჩაატაროს მომჭირნეობა მუშა-მოსამსახურეე-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)», стр. 32.
[2] იქვე, стр. 87.

ბისათვის საბჭოთა შრომის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შეკვეცის გზით, რაც გამოიხატა ხელფასის შემცირებაში, გამომუშავების ნორმების დაუსაბუთებლად გადიდებაში, თანრიგების მასობრივ გადასინჯვაში, მათი დაკლების მიზნით და სხვ.[1].

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და პრესამ ამხილეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში დაშვებული შეცდომები და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მათ. ადგილობრივი ორგანიზაციები რაზმავდნენ პარტიულ და მუშათა მასებს პარტიის ხაზის სწორად გატარებისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის 1926 წლის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ მშრომელი მასები თანდათანობით სწორად ითვისებენ მომჭირნეობის რეჟიმის მნიშვნელობას, როგორც სოციალისტური დაგროვებისა და ჩვენი მრეწველობის აღმავლობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას. პლენუმმა აღნიშნა, რომ მომჭირნეობის გატარებას აბრკოლებდა ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში გაბატონებული ბიუროკრატიზმი.

სოციალისტური დაგროვების გადიდებისა და მომჭირნეობითი მუშაობისათვის ბრძოლა ფართოდ გაიშალა აგრეთვე საქართველოს მაზრებში, რაიონებსა და ავტონომიურ ერთეულებში. 1926 წლის 27 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა დეტალურად განიხილა აჭარის მრეწველობის მდგომარეობა, გამოავლინა მნიშვნელოვანი ნაკლი, სახელმწიფო სახსრების არასწორად გამოყენების ფაქტები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვისათვის: გაუქმდა ყველა წამგებიანი წარმომადგენლობა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციაში, აიკრძალა სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, საჭიროდ მიიჩნიეს აჭარმრეწვაჭრობის აპარატის გაჯანსაღება, წარმოების რაციონალიზაცია, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და პასუხისმგებლობის ამაღლება[2].

პარტიამ დიდი როლი დააკისრა საწარმოო თათბირებსა და ეკონომიურ კომისიებს მომჭირნეობის რეჟიმის გატარების, წარმოების რაციონალიზაციისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის მაის-ივნისის პლენუმმა აღნიშნა მუშათა ამ ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა და ადგილობრივ ორგანიზაციებს მიუთითა, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასა და სოციალისტური დაგროვების გადიდებაში „ფრიად თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ საწარმოო

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 1004, ფურც. 3.

[2] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)», стр. 34-36.

თათბირებმა და ეკონომიურმა კომისიებმა, როგორც ძირეულმა მასობრივმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა"[1].

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭომ ადგილობრივ ორგანიზაციებს დაავალა: მკვეთრად გარდაქმნან საწარმოო თათბირების მუშაობა, ფართოდ ჩააბან მუშათა მასები და სამეურნეო ხელმძღვანელობასთან ერთად უზრუნველყონ სახსრების მაქსიმალურად დაზოგვა, მუშები დააკავშირონ წარმოების ფაქტიურ მართვასთან და ა. შ.[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ორგანიზატორული მუშაობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საწარმოო თათბირებისა და ეკონომიური კომისიების მუშაობა. უწინარეს ყოვლისა, გაიზარდა მუშათა მონაწილეობა — დაახლოებით 20 ათასიდან (1926 წ.) 84 ათას კაცამდე 1928 წელს. ამავე პერიოდში წამოყენებულ იქნა შესაბამისად 1841 და 7609 წინადადება. მარტო 103 საწარმოში, ე. ი. საწარმოთა საერთო რაოდენობის მეოთხედში დანერგილი და მხოლოდ პრემირებული წინადადებების საერთო ეკონომია 1928 წელს შეადგენდა დაახლოებით 959 ათას მანეთს. თუ მხედველობაში მივიღებთ დანარჩენ საწარმოებსაც, მაშინ წინადადებათა მატერიალური შედეგი ფაქტიურად არანაკლებ სამჯერ-ოთხჯერ მეტი უნდა ვივარაუდოთ. საინტერესოა, რომ ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს სასოფლო მუშათა კოლექტივებმაც[3]. ამასთან აღსანიშნავია, რომ საწარმოო თათბირებისა და ეკონომიური კომისიების მიერ იხილებოდა არა წვრილმანი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხები და უმთავრესად კი წარმოების რაციონალიზაციის, მომჭირნეობის, პროდუქციის წარმოების ზრდისა და, ამის საფუძველზე, დაგროვების სისტემატური გადიდების საკითხები. საგულისხმოა, რომ განხილულ წინადადებათა 70 პროცენტი წამოყენებული იყო მუშათა მიერ. საწარმოო თათბირების მუშაობა 1929 წელს უფრო გაიშალა და მეტი შედეგები გამოიღო დაგროვების ზრდაში.

მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისა და დაგროვების გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მრეწველობის ხელმძღვანელობის სისტემის რეორგანიზაციამ, რომელიც 1926 წელს ჩატარდა. ინდუსტრია-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1753, ფურც. 595 — 596.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 987, ფურც. 18.

[3] «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР (1928—1929 гг)». Сб. документов, М., 1956, стр. 146; «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг)», стр. 73, 128; შ. თ ე თ ვ ა ძ ე, საქართველოს კომუნისტური პარტია მუშათა კლასის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ორგანიზატორი (1926 — 1932 წწ.), თბ., 1972, გვ. 103.

ლიზაციის კურსის პრაქტიკულად განხორციელებისა და მსხვილი მრეწველობის თანდათან განვითარების პირობებში განსაკუთრებით საჭირო იყო მეურნეობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, ერთმმართველობის განმტკიცება და ამავე დროს ადგილობრივი თაოსნობის განვითარება, სამეურნეო ცხოვრებაში მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობა, ფართო კონტროლი ქვევიდან.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის სისტემის რეორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საწარმოთა დირექტორების უფლებანი, განამტკიცა ერთმმართველობა, მკვეთრად შეამცირა შუალედი რგოლები საწარმოთა და ტრესტებს შორის, რამაც სასურველი გავლენა მოახდინა წარმოების მუშაობის გაუმჯობესებაზე, განავითარა ადგილობრივი თაოსნობა საწარმოთა მომგებიან სამეურნეო ერთეულად გადაქცევისათვის, შეამცირა არამწარმოებლური ხარჯები, ხელი შეუწყო სახსრებისა და მასალების დაზოგვას, ბაზართან წარმოების უშუალოდ დაკავშირების შედეგად კაპიტალის ბრუნვის დაჩქარებას, მოგების ზრდას. რეორგანიზაციამ ხელი შეუწყო მრეწველობის შიგნით დაგროვების ზრდის მთავარი ფაქტორის — შრომისნაყოფიერების — გადიდებას.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი დამმუშავებელი საწარმო (მაგ., ყოფ. არსენალი, ბათუმის თუჯსასხმელი), რომელიც აღდგენით პერიოდში წამგებიანად ითვლებოდა და ფიქრობდნენ მათ დახურვას, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველსავე წლებში მომგებიან საწარმოებად გადაიქცნენ. ისინი ხელს უწყობდნენ მრეწველობის შიგნით დაგროვების მნიშვნელოვან ზრდას.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად 1928 — 29 წელს მარტო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაქვემდებარებულ მრეწველობაში საკუთარი კაპიტალი და დაგროვების თანხა 60,5 მილიონი მანეთიდან გაიზარდა თითქმის 78 მილიონ მანეთამდე, ხოლო შინაგანი რესურსების მობილიზაციით მრეწველობამ დამატებით მიიღო 2,7 მილიონი მანეთი[1].

დაგროვების ზრდაში გარკვეული წვლილი შეიტანეს რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ახალგაზრდა მანქანათმშენებელთა თაოსნობა. მათ 1926 წლიდან დაიწყეს მანამდე უკვე ათვისებული აბრეშუმის ძაფსახვევი რთული მანქანების მასობრივად გამოშვება, შეწყდა იტალიიდან ამ მანქანების შემოტანა და სახელმწიფოს დაუზოგეს რამდენიმე ათეული

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)», стр. 200-201, 207.

ათასი მანეთი ოქროთი, რაც რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას მოხმარდა.

დაგროვების გადიდებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს მრეწველობის მსუბუქი და კვების დარგები, რომელთა პროდუქციის გარკვეული ნაწილი იგზავნებოდა ექსპორტში, რაც ხელს უწყობდა სავალუტო ფონდის ზრდას და ამის საფუძველზე მძიმე მრეწველობისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობის შემოზიდვას საზღვარგარეთიდან.

საქართველოს მანქანათმშენებლობის გაფართოების საფუძველზე აბრეშუმის პარკის ადგილზე გადამუშავებისა და საფეიქრო წარმოების მოწყობის შედეგად პარკის მოსავლის თითქმის 85 პროცენტი მუშავდებოდა ადგილზე და მსოფლიო ბაზარზე იგზავნებოდა უფრო ძვირადღირებული ნახევარფაბრიკატი. მარტო 1926 წელს საქართველოში დამზადდა 160 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი, რომლის ძირითადი მასა აქვე, ადგილზე გადამუშავდა [1]. 1928 წელს საქართველომ გამოუშვა აბრეშუმის ქსოვილის პირველი 59,4 ათასი მეტრი [2], რამაც ხელი შეუწყო დაგროვების გადიდებას. 1929 წელს რესპუბლიკას უკვე საკუთარი წარმოების გრენა ჰქონდა, რომლის საგრძნობი ნაწილიც საზღვარგარეთ გადიოდა. ამავე დროს მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის ინდუსტრიული წარმოება გადაიქცნენ უმნიშვნელოვანეს დარგებად, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დაგროვების ზრდას, რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობას და აგრეთვე სოფლის ტექნიკურ და სოციალურ რეკონსტრუქციას[3].

ამავე სფეროში საგრძნობი წვლილი შეჰქონდა საქართველოს გემოკვების მრეწველობასაც, რომელიც არსებითად ის-ის იყო აღმოცენდა და საკმაოდ ვითარდებოდა. მარტო 1928 წელს მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 3 679,2 ათას მანეთს 1926 — 1927 წლის ფასებში. 1922 — 1927 წწ. საექსპორტოდ გაიგზავნა დაახლოებით 46 ათასი ტონა თამბაქო, ხოლო 1928 წელს — 300 ათასი მანეთის ღვინო.

დაგროვებისა და სავალუტო ფონდის ზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამრეწველო საქონლის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ექსპორტისაგან შემოსავალს. ამავე დროს, ექსპორტი სათანადოდ არ იყო გაშლილი, რაც აფერხებდა სამეურნეო მშენებლობას, უფრო აღრმავებდა არსებულ სიძნელეებს მეურნეობაში. „სიძნელენი, —

---

[1] „საქართველოს სსრ პროფკავშირთა VI ყრილობის ანგარიში", თბ., 1927, გვ. 65.

[2] «Социалистическое строительство СССР (1933—1938 гг.). Стат. сборник, М.-Л., 1939, стр. 169, 173.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 514, საქ. 3463, ფურც. 20 — 21.

ამბობდა ი. ბ. სტალინი, — რომლებიც მეურნეობის დარგში გვაქვს, აიხსნება ექსპორტის ნაკლებობით“ [1]. ამიტომ პარტია ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს სისტემატურად ავალებდა ყოველმხრივ გაეფართოებინათ საექსპორტო საქონლის წარმოება. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ, მშრომელმა გლეხობამ.

გლეხობამ აგრარული რეფორმის შედეგად დიდი დახმარება მიიღო საბჭოთა სახელმწიფოსაგან. იგი განთავისუფლდა მიწის დიდძალი გადასახადისაგან, რაც 1920 წელს შეადგენდა 95 მილიონ მანეთს, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან მიწის გამოსასყიდი თანხა 250 მილიონ მანეთს აღემატებოდა. განთავისუფლდა რა ასეთი უზარმაზარი გადასახადისაგან, გლეხობას საშუალება მიეცა ამ თანხების ნაწილი გამოეყენებინა სოფლის საწარმოო ძალების განვითარებისათვის [2]. მშრომელი გლეხობა უშუალოდ იყო დაინტერესებული ინდუსტრიალიზაციის განვითარებით და ამიტომ აქტიურად ეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლებას ამ ამოცანის შესრულებაში. იგი ქალაქის მოსახლეობისათვის სურსათის, მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების გაფართოებასთან ერთად თანდათანობით ზრდიდა საექსპორტო საქონლის—აბრეშუმი, თამბაქო, ბამბა, ღვინო, ხილი, კონსერვები, მეცხოველეობის პროდუქტები, ხე-ტყე, კაკალი, წაბლი, ბზა და სხვ. — მოცულობას. აღსანიშნავია, რომ გლეხები ხშირად თავიანთი თანხმობით ადიდებდნენ საექსპორტო საქონლის დამზადებას [3].

1926 — 1929 წლებში ამიერკავკასიიდან საექსპორტოდ გაგზავნილი საქონლის (ნავთისა და მანგანუმის მადნის გამოკლებით) მოცულობა სისტემატურად იზრდებოდა, რაშიც საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა [4].

აღსანიშნავია, რომ 1928 — 29 წელს საქართველოდან გატანილი საქონლის მთლიან მოცულობაში თუ სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა შეადგენდა 37,3 პროცენტს (1948 ათასი მან.), სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა — 46,3 პროცენტს (5434 ათასი მან.) [5].

თანდათანობით იზრდებოდა აგრეთვე სამრეწველო საქონლის გატანა, კერძოდ ჭიათურის მანგანუმის მადნის ხარჯზე, განსაკუთრებით ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის შემდეგ. მანგანუმის მადნის გარდა ექსპორტის საგანს წარმოადგენდა დიატომიტი, ბარიტი, ქართული ფლორი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 335.

[2] „საქართველოს ისტორია“, ტ. III, გვ. 20.

[3] ანრი ბარბიუსი, აი რა უყვეს საქართველოს, თბ., 1970, გვ. 178 — 179.

[4] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 202—203.

[5] იქვე, გვ. 203.

დინა (გუმბრინი), ლითოგრაფიული ქვა, მარმარილო, გლაუბერის მარილი, ოზოკერიტი, გრანიტი და სხვ. [1].

საქართველოს მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გადიდების უმნიშვნელოვანეს სახსარს 1926 — 1929 წლებში წარმოადგენდა ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი გამოყოფდა ექსპორტიდან შემოსული თანხებიდან. საგარეო ვაჭრობაზე მონოპოლიის განმტკიცებამ საბჭოთა სახელმწიფოს საშუალება მისცა შეექმნა და თანდათანობით გაედიდებინა სავალუტო ფონდები. საბჭოთა მთავრობა ხშირად იძულებული ხდებოდა საზღვარგარეთ გაეტანა სახალხო მოხმარების საგნები, რათა გაედიდებინა დაგროვება და უზრუნველეყო მაღალი ტემპით ინდუსტრიის განვითარება, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ადგილზე მანქანური გადამუშავება.

დასასრულ, ინდუსტრიალიზაციის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მშრომელთა მზარდმა პატრიოტიზმმა. საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. ისინი თავგანწირვით შრომობდნენ ქვეყნის საერთო აღორძინებისათვის. ამავე დროს საკუთარი დანაზოგებითაც ეხმარებოდნენ სოციალისტურ სამშობლოს.

მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მობილიზაციაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1927 წლიდან შინაგანი სახელმწიფო სესხების გამოშვებას. საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები, ერთსულოვნად გამოეხმაურა ამ ღონისძიებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობამ (1927 წ. ნოემბერი) აღნიშნა, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელისმოწერამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა, რესპუბლიკამ დიდად გადააჭარბა გათვალისწინებულ გეგმას, ამ გზით საქართველოში უკვე შეგროვილია 1,5 მილიონ მანეთზე მეტი [2].

საგულისხმოა, რომ „ინდუსტრიალიზაციის სესხს“ ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკის მშრომელი გლეხობაც. სოფლებში მასობრივად ტარდებოდა სესხზე ხელის მოწერა[3].

წარმატებით ჩატარდა ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზეც. 1650 ათასი მანეთის ნაცვლად საქართველოში გავრცელდა 2,5 მილიონი მანეთის ობლიგაციები. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ხელის მოწერა საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხზეც, რომლის საკონტროლო ციფრები 22 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. მიუხედავად ამისა, ინდუსტრიალიზა-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 204—205.

[2] იქვე, стр. 59.

[3] გაზ. „ახალი სოფელი“, 1927 წლის 29 სექტემბერი.

ციის სესხის ობლიგაციები ფართოდ ვრცელდებოდა სოფლებშიც[1]. ზოგიერთ მაზრაში საგლეხო სესხის ობლიგაციები დამატებით იქნა გაგზავნილი მსურველთა დიდი რაოდენობის გამო[2].

საქართველოს მშრომელებმა კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმი გამოამჟღავნეს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გავრცელებაში. ჯერ კიდევ 1929 წლის თებერვალში ჭიათურის მანგანუმის მაღაროების მუშებმა მოითხოვეს ახალი სესხის გამოშვება[3]. 1929 წლის შემოდგომაზე სესხის გამოშვების პირველ დღეებშივე მთელმა რიგმა სამრეწველო რაიონებმა დამატებით მოითხოვეს ობლიგაციები[4]. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხს ფართოდ გამოეხმაურნენ სოფლის მშრომელები. საგარეჯოს რაიონის მშრომელმა გლეხობამ წამოაყენა ლოზუნგი: „ქალაქის მუშებს არც ჩვენ ჩამოვრჩებით!“. გლეხობას არც სოფლის ინტელიგენცია ჩამორჩებოდა[5].

საქართველოს მშრომელებმა 1926 — 1929 წლებში თავიანთი დანაზოგით მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სოციალისტურ სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციისათვის სახსრების დაგროვებაში.

თანდათანობით იზრდებოდა სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების მეანაბრეთა რაოდენობა და სალაროებში შეტანილი თანხები. თუ 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის შემნახველ სალაროებში ანაბრების საერთო თანხა შეადგენდა 500 ათას მანეთს, 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის — 1 775 612 მანეთს. 1929 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული ერთთვიურის შედეგად მეანაბრეთა რაოდენობა გაიზარდა 24 242 კაცით, ხოლო ანაბრების ჯამი 737 288 მანეთით[6].

საბჭოთა საქართველომ მარტო ინდუსტრიალიზაციის სესხებიდან მიღებული თანხების საკავშირო გადანაწილების წესით რესპუბლიკის ინდუსტრიული აღმავლობისათვის მიიღო 28 მილიონი მანეთი[7]. მაგრამ როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის შიგნით დაგროვება, მას არ შეეძლო მთლიანად უზრუნველეყო სამრეწველო მშენებლობის ის უზარმაზარი პროგრამა, რომელსაც პარტია სახავდა საქართველოში მძიმე ინდუსტრიის განვითარების დარგში. რესპუბლიკური ბიუჯეტი ინდუსტრიალიზაციის დაწყებით პერიოდში დეფიციტური იყო.

პარტია ითვალისწინებდა, რომ სოციალიზმი საჭიროებს ხალხის შე-

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1928 წლის 14 სექტემბერი.

[2] გაზ. „ახალი სოფელი“, 1928 წლის 10 თებერვალი.

[3] Газ. «Заря Востока», 21 февраля 1929 г.

[4] იქვე, 4, 8, 15 აგვისტო და 7 სექტემბერი; გაზ. „ახალი სოფელი“, 1929 წლის 22 აგვისტო.

[5] გაზ. „ახალი სოფელი“, 1929 წლის 8 აგვისტო.

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 1 სექტემბერი; 1929 წლის 23 მაისი.

[7] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, გვ. 575.

მოქმედებით შესაძლებლობათა გაერთიანებას, ისეთ სამეურნეო ორგანიზაციას, რომლის პირობებში თითოეულ ხალხს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში[1] და ხელს უწყობდა საბჭოთა ხალხის ლენინური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების გაღრმავებას, კერძოდ, დაგროვების ზრდაში. ეკონომიური თანამშრომლობა ვარაუდობს ურთიერთ ყოველმხრივ დახმარებას. დასაწყისში ეს თანამშრომლობა უპირატესად ერთმხრივი დახმარების სახეს ატარებდა მოწინავე რესპუბლიკების, პირველ რიგში, საბჭოთა რუსეთის მხრივ. ასეთ ვითარებაშიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც თითოეულ ხალხს თავისი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში[2]. ასე მაგალითად, საბჭოთა საქართველო დიდ დახმარებას ღებულობდა მოწინავე რესპუბლიკებიდან, მაგრამ თვითონაც მონაწილეობდა სხვა რესპუბლიკების ეკონომიურ განვითარებაში, აწვდიდა რა მათ მანგანუმის მადანს, ქვანახშირს, აბრეშუმის ძაფსახვევ და სხვა მანქანებს, თუჯს, ლითონის ნაკეთობას, აბრეშუმს, ბამბას და სხვ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის დროს თვით ერები არ შემოიფარგლებიან ურთიერთობის წმინდა ეკონომიური მოტივებით[3]. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოთა რესპუბლიკათა შორის დახმარება და თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმითა და მიმართულებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც იწვევდა ერების დაახლოებას, როგორც ისტორიულ აუცილებლობას. მაგრამ ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში რესპუბლიკათა ურთიერთობაში მთავარი იყო ეკონომიური თანამშრომლობა და დახმარება დაგროვების გადიდებაში, ინდუსტრიის სახელმწიფოებრივ დაფინანსებაში. ამის გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოს სწრაფი ინდუსტრიული განვითარება.

საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტს, როგორც დეფიციტურს, არ შეეძლო უზრუნველეყო მძიმე ინდუსტრიის ფართო განვითარება. ამ დეფიციტს ფარავდნენ ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან. საბჭოთა კავშირის საერთო ეროვნული შემოსავლის გადანაწილების წესით 1927 — 1928 წელს საკავშირო ბიუჯეტიდან რესპუბლიკებს გამოეყო ეროვნული შემოსავლის 29 პროცენტი[4]. გარდა ამისა,

---

[1] «Братское содружество союзных республик в развитии народного хозяйства СССР 1917—1971», М., 1973, стр. 8.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 21, 34.

[4] Я. Г. Л и б е р м а н, Государственный бюджет и проблемы социалистического воспроизводства, М., 1966, стр. 242.

რესპუბლიკებს ეძლეოდა გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხებიც, აგრეთვე დოტაცია საერთო-საკავშირო სახსრებიდან[1].

ყოველივე ამის შედეგად ფართოდ გაიშალა სამრეწველო მშენებლობა. საბჭოთა ხალხების სახელმწიფოებრივი დახმარებით რეკონსტრუქციის პირველ წლებში დაიწყო და აშენდა საქართველოში ისეთი მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები, როგორიცაა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, კასპის ცემენტის ქარხანა, რიონჰესი და სხვ. მაგალითად, რიონჰესის ასაშენებლად გათვალისწინებული 13 მილიონი მანეთიდან საკავშირო ბიუჯეტმა გამოყო 9,7 მილიონი, ხოლო რესპუბლიკურმა — 3,3 მილიონი მანეთი[2]. საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შესაძლებელი გახდა ზაჰესის მშენებლობის დამთავრება და სადგურის ამუშავება. საქართველოში მსხვილ საწარმოებს აშენებდნენ საკავშირო ორგანიზაციებიც. ყოველივე ამაში მკაფიოდ ვლინდებოდა საბჭოთა ხალხის უანგარო ძმური ურთიერთდახმარება, ხალხთა ლენინური მეგობრობა.

§ 3. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება და ახალი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ფორმირება

კვალიფიციური კადრების მომზადება და აღზრდა წარმოადგენდა ახალ ტექნიკურ ბაზაზე მრეწველობის გადაყვანის აუცილებელ პირობას. მაგრამ საქართველოში ერთობ მცირე იყო მაღალკვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების რაოდენობა. ინდუსტრიული კადრების უკმარისობა უფრო საგრძნობი გახდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დაწყებით ეტაპზე. კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განსაკუთრებით მსხვილი მრეწველობა განიცდიდა[3], რადგან მკვიდრი მუშახელის რეზერვები საქართველოში სწრაფად ამოიწურა და მუშათა რიგების შევსება წარმოებდა ძირითადად სოფლებიდან მოსული სამრეწველო წარმოებისათვის სრულიად მოუმზადებელი კადრებით. ამის გარდა, თვით მკვიდრი კვალიფიციური მუშების პროფესიული კვალიფიკაციაც უკვე ჩამორჩებოდა იმდროინდელი ტექნიკის დონეს.

შეიცვალა მუშათა კლასის შემადგენლობა ასაკისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით, მიმდინარეობდა მუშათა კლასის ინტენსიური „გაახალგაზრდავება“ 18 — 24 წლის ასაკის მუშებით, ხოლო ზოგიერთ საწარმო-

---

[1] «Братское содружество союзных республик в развитии народного хозяйства СССР 1917—1971», стр. 149.

[2] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг)», стр. 89.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 328, საქ. 62, ფურც. 9—14.

ში მომუშავე პერსონალი თითქმის მთლიანად ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, რომელთა საწარმოო სტაჟი 1 — 2 წლით განისაზღვრებოდა.

საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა არაკვალიფიციური მუშახელის ხარჯზე იწვევდა წარმოებაში კვალიფიციური შრომის დონის დაცემას. ამავე დროს უფრო სწრაფად განვითარებადი მრეწველობა დიდ მოთხოვნილებას აყენებდა მაღალკვალიფიციურ კადრებზე.

მემარჯვენე ოპორტუნისტები კადრების სიმცირითაც ცდილობდნენ თავიანთი ანტიინდუსტრიული ხაზის „დასაბუთებას" და მოითხოვდნენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას. პარტიამ გადაჭრით დაგმო მემარჯვენეთა წინადადება და საჭიროდ მიიჩნია კადრების დაჩქარებით და მასობრივად მომზადება თვით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით განვითარების პროცესში. ეს იყო ერთობ რთული, მაგრამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

საქართველოს ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა თავიდანვე სერიოზული ყურადღება დაუთმეს კვალიფიციური მუშა კადრების მომზადებას. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად კომკავშირი დიდ მუშაობას ეწეოდა მოზარდი მუშების აღზრდისა და მომზადების საქმეში. მსხვილ საწარმოებსა და ქალაქებში დაარსდა მოკლე და გრძელვადიანი სპეციალური კურსები კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად საფეიქრო მრეწველობისა და ლითონდამმუშავებელი საწარმოებისათვის. კვალიფიციურ კადრებს ამზადებდა აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატი. თბილისში გაიხსნა „მოწაფეთა სახლი", სადაც ჩამოყალიბდა ასამდე უმუშევარი მოზარდის მოსამზადებელი კურსები.

ახალგაზრდა ინდუსტრიული მუშები მზადდებოდა უმთავრესად საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საშუალებით, რომელთა ქსელი გაფართოვდა. გაიხსნა ახალი სკოლები ლითონდამმუშავებელი ქარხნებისათვის, პოლიგრაფიული მრეწველობისათვის, სამშენებლო საქმისათვის, ერთი სკოლა სპეციალურად ქალიშვილებისათვის და სხვ. რესპუბლიკაში ყველაზე მსხვილი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი იყო კამოს სახელობის სკოლა, სადაც 1926 წელს 240 მოწაფე სწავლობდა. განათლების სახალხო კომისარიატის სახელოსნო სასწავლებელში მზადდებოდა 290 კვალიფიციური ახალგაზრდა მუშა მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის. ახალი კადრები მზადდებოდა აგრეთვე ჭიათურაში, ტყიბულში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომსა და სხვაგან. 1927—28 წელს მარტო საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სისტემაში სწავლობდა 900 ახალგაზრდა[1].

---

1 „საბჭოთა საქართველოს 13 წელი (სტატისტიკური კრებული)", თბ., 1934, გვ. XXVI.

ამრიგად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან საქართველოში მუშათა კლასის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად თანდათანობით მიმდინარეობდა მისი თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. მაგრამ ის, რაც 1926 — 1927 წწ. გაკეთდა ახალი კადრების მომზადებასა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა სამრეწველო კადრებზე მზარდ მოთხოვნილებას. მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქცია დაჟინებით მოითხოვდა დიდი რაოდენობით ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომელთა გარეშე შეუძლებელი იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელება.

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობდა რა ლენინური ეროვნული პოლიტიკით, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავდა საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული კადრების, მათ შორის ტექნიკური ინტელიგენციის შექმნას. მაგრამ საქართველოს, ისე როგორც ზოგიერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკასაც, არ შეეძლო საკუთარი საშუალებებით ამ პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტა მოძმე ხალხების დახმარების გარეშე, რადგან საქართველოს მაშინ ამისათვის არ გააჩნდა საჭირო სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეროვნული კადრების მომზადებაში საქართველოს დიდი დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთმა და სხვა მოძმე რესპუბლიკებმა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით სისტემატურად იზრდებოდა საკავშირო ბიუჯეტიდან სახსრებისა და სასწავლო მოწყობილობის გამოყოფა. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთისა და უკრაინის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში საქართველოდან ყოველწლიურად იგზავნებოდა ახალგაზრდათა საგრძნობი რაოდენობა განათლების მისაღებად. 1923 — 1928 წლებში რუსეთისა და უკრაინის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა 4,7 ათასი ახალგაზრდა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ საქართველოდან გაგზავნილებიც[1]. საქართველოს საფეიქრო მრეწველობისათვის 1928 წელს მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკებში კვალიფიკაციას იძენდა რესპუბლიკიდან გაგზავნილი ახალგაზრდა მუშათა დიდი ჯგუფი.

საკავშირო მთავრობის ფინანსური და მატერიალური დახმარების შედეგად საქართველოში 1928 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა კონტინგენტი. 1927 — 1928 სასწავლო წელს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა 1924 — 1925 სასწავლო წელთან შედარებით თუ სსრ კავშირში გაიზარდა 3,46-ჯერ, საქართველოში — 15,4-ჯერ. ამავე დროი-

---

[1] «Братское содружество союзных республик в развитии народного хозяйства СССР 1917 — 1971»; стр. 129.

სათვის საქართველოში ტექნიკური ინტელიგენციის რაოდენობამ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1913 წლის დონეს [1].

ასეთი მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად საქართველოს მრეწველობა, სამრეწველო მშენებლობა და ტრანსპორტი უზრუნველყოფილი არ იყო საკმაო რაოდენობის სპეციალისტებით. ამასთან ერთად, დაბალი იყო ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების ტექნიკური მომზადება, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა წარმოების სწორ ორგანიზაციაზე. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის აპრილის პლენუმმა დონბასში კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის („შახტის საქმე") აღმოჩენასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სამეურნეო მუშაობაში არსებულ იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რომლებმაც განაპირობეს მავნებელთა ფარული ძირგამომთხრელი და დაუსჯელი მოქმედება. პლენუმმა ერთ-ერთ მთავარ ნაკლად აღნიშნა ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების დაბალი ტექნიკური დონე და წითელი სპეციალისტების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობით მომზადება [2].

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინა კადრების სიმცირე საქართველოში და თავის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ" საჭიროდ მიიჩნია კვალიფიციური მუშების გეგმაზომიერი მომზადება ინდუსტრიული ტექნიკუმებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების საშუალებებით, აგრეთვე მუშათა სისტემატური მივლინებებით სსრ კავშირის მოწინავე სამრეწველო რაიონებში [3]. ამასთან დაკავშირებით, კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ოქტომბრის პლენუმზე, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მუშათა ეროვნული კადრების მომზადებაზე [4].

საქართველოს პროფკავშირთა VII ყრილობამ (1928 წ. ნოემბერი) აუცილებლად მიიჩნია კადრების მომზადებაში მტკიცე გეგმიურობა, მშენებარე საწარმოების ხარჯთაღრიცხვებში სპეციალური სახსრების გათვალისწინება, აგრეთვე საგანგებო ფონდის შექმნა ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის[5].

ახალგაზრდა კვალიფიციური მუშახელის მომზადების ძირითად ფორმას ამ პერიოდშიც წარმოადგენდა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სის-

---

[1] «СССР — страна социализма». Стат. сб., М., 1936, стр. 148; «Страна Советов за 50 лет» (Стат. материалы), М., 1967, стр. 333.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 647.

[3] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 102.

[4] იქვე, გვ. 105.

[5] იქვე, გვ. 112.

ტემა, რომლის ქსელი უფრო გაფართოვდა, გაუმჯობესდა სწავლების პროგრამები და მეთოდები. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მოსწავლენი ეუფლებოდნენ ზოგად განათლებას, პოლიტიკურ და პროფესიულ-ტექნიკურ ცოდნას. 1928 — 29 წელს საქართველოში აღნიშნულმა სკოლებმა მოამზადეს 1200 კვალიფიციური მუშა [1].

მაგრამ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს მაინც არ შეეძლოთ სრულად უზრუნველეყოთ მრეწველობა საჭირო კვალიფიციური მუშახელით. ამიტომ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმები, ხოლო შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ", ითვალისწინებდნენ კვალიფიციური კადრების (ათისთავები, ოსტატები, ტექნიკოსები) მომზადების სხვა საშუალებებსაც.

ბათუმში ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების მშენებლობასთან დაკავშირებით ბაქოდან ჩამოსული ოსტატების საშუალებით ადგილზე მზადდებოდა კვალიფიციური მუშები აჭარის სოფლებიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდებისაგან, რომელთა შორის იყვნენ ქალიშვილებიც. ამავე მიზნით აჭარიდან ბაქოში გაიგზავნა ახალგაზრდა მუშების ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით პროფესიათა შესასწავლად [2]. 1927 წელს თბილისში მშენებარე მაუდის ფაბრიკისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ადგილზე სპეციალური კურსების მოწყობის გარდა სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 55 მუშა გაგზავნა მოსკოვის ფაბრიკებში ერთი წლის ვადით [3]. 1929 წელს ფაბრიკის ამუშავების დროისათვის სსრ კავშირის სხვადასხვა საწარმოში მომზადდა 350 კვალიფიციური მუშა და დამატებით გაიგზავნა 230 კაცი, აქედან 30 მუშა ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში კვალიფიკაციის მისაღებად [4]. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა დამუშავებისათვის კადრების მოსამზადებლად უკრაინიდან ჩამოვიდა კვალიფიციურ მეშახტეთა ჯგუფი.

მოძმე საბჭოთა ხალხების მუშათა უანგარო დახმარებით რამდენიმე ათასი ახალგაზრდა ქართველი დაეუფლა ინდუსტრიულ პროფესიებს. კადრების მომზადების აღნიშნული ფორმები ხელს უწყობდა მუშათა კლასის, მშრომელი მასების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაღრმავებას.

კვალიფიციური კადრების მომზადებაში დიდ მუშაობას ეწეოდა და საგრძნობ თანხებს ხარჯავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღ-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 24.

[2] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)», стр. 105.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 22 ივნისი.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 7 ივნისი.

ლესი საბჭო, რომელმაც მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში არსებულ სპეციალურ კურსებზე გაგზავნა 154 კაცი, ადგილობრივი სპეციალური კურსების საშუალებით კვალიფიკაცია აუმაღლა 1351 კაცს, მოამზადა 40 მუშა-ცეცხლფარეში, 50 ქრონომეტრაჟისტი, გახსნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ახალი კურსები 570 მუშისათვის, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში გაგზავნა 22 მოწინავე მუშა[1].

1929 წლისათვის მარტო პროფკავშირების ხაზით არსებულ 35 პროფტექნიკურ სკოლასა და 16 კურსებზე სწავლობდა 3255 მუშა[2]. საწარმოებში არსებობდა აგრეთვე მიზნობრივი ტექნიკური წრეები, რომელთა მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ტექნოლოგიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის შესწავლა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება.

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადებაში დიდ თაოსნობას იჩენდა ქართველ ინჟინერ-ტექნიკოსთა საზოგადოებრიობა[3].

კვალიფიციური მუშა-ქალების მომზადებაში ფართო ღონისძიებებს ახორციელებდნენ ქალთა განყოფილებები, რომელთა ინიციატივით 1926 — 1929 წლებში რამდენიმე ათასი ქალი დაეუფლა ინდუსტრიულ პროფესიას.

ადგილობრივი კურსების დამთავრების შემდეგ მუშათა გარკვეული ნაწილი ცოდნას იღრმავებდა საღამოს მუშათა სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და წარმოებაში მუშაობას განაგრძობდა.

1927 წელს საქართველოში დაარსდა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტექნიკა მასებს", რომელმაც ფართოდ გაშალა მასებში ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა.

1926 — 1929 წლებში საქართველოს მუშათა კლასის აბსოლუტური უმრავლესობა უკვე გამსჭვალული იყო ინდუსტრიალიზაციის ლენინური იდეით და დიდ ლტოლვას იჩენდა პროფტექნიკური სწავლებისადმი. ეს იყო ახალგაზრდა საბჭოთა მუშათა კლასის თვისებრივი ზრდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ახალი ნიშან-თვისება. ყოველივე ამის შედეგად თანდათანობით რიცხვმრავალი ხდებოდა საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია.

ამ პერიოდში მუშათა კლასი განვითარების ისეთ ფაზაში შევიდა, როდესაც მას, როგორც ახალი საზოგადოების ხელმძღვანელ კლასს, უნდა შეექმნა საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. „იგი ვალდებულია, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალი-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 303, საქ. 1565, ფურც. 55 — 97.

[2] Газ. «Заря Востока», 24 февраля 1929 г.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 1293, ფურც. 2, 9.

ნი, — შექმნას ასეთი ინტელიგენცია, რადგან საზოგადოების ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი გაბატონებული კლასი, რომელსაც არ ეზრუნა თავისი ინტელიგენციის შექმნისათვის. მუშათა კლასმაც, როგორც ახალი საზოგადოების მშენებელმა და ხელმძღვანელმა, აუცილებლად უნდა გადაჭრას ეს ამოცანა და შექმნას საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია"[1].

როგორი უნდა ყოფილიყო თავისი შემადგენლობით ეს ახალი, მანამდე არნახული ტიპის ინტელიგენცია? საბჭოთა მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია უნდა შექმნილიყო „არა მარტო ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც უმაღლესი სკოლა გაიარეს", იგი უნდა შევსებულიყო „აგრეთვე ჩვენი საწარმოების პრაქტიკოსი მუშაკებისაგან, კვალიფიციური მუშებისაგან და მუშათა კულტურული ძალებისაგან ქარხანაში, ფაბრიკაში, მაღაროში" [2].

საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუშფაკებმა, რომლებიც მუშების, გლეხებისა და მოჯამაგირეთა ფენებიდან „მუშათა კულტურულ ძალებს" ამზადებდნენ. 1926 წელს საქართველოში უკვე არსებობდა ოთხი მუშფაკი ათასი სტუდენტით [3]. მუშფაკებში ლექტორებად და მასწავლებლებად მოწვეული იყვნენ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე, მაღალკვალიფიციური ძალები, მათ შორის გიორგი ახვლედიანი, სიმონ ხუნდაძე, მარიამ ორახელაშვილი, სერგო გორგაძე, მხცოვანი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი, დიმიტრი მგელაძე, გიორგი ხაჭაპურიძე, მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი, არკადი ჩხენკელი და სხვ.

1927 წელს მ. კახიანის სახელობის ქართულმა მუშფაკმა გამოუშვა 113 კურსდამთავრებული, აქედან მუშები — 86, მოჯამაგირე — 17, მოსამსახურე — 10. კურსდამთავრებულთა შორის იყო ცხრა ქალი[4].

მუშფაკელთა ნაწილი სწავლების პერიოდშივე დაწინაურდა პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ნაწილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში და ბევრი მათგანი სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი გახდა, მათ შორის აღსანიშნავია გ. მამუჩაშვილი, არ. მამუჩაშვილი, გ. მეცხვარიშვილი, ი. ბოჭორიშვილი, გ. ხეცურიანი და სხვ. მუშფაკის კურსდამთავრებულთა ნაწილი რჩებოდა წარმოებაში. აქედან ბევრი სხვადასხვა საწარ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 458.

[2] იქვე.

[3] Газ. «Заря Востока», 7 июля 1927 года.

[4] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 24; გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 24 იანვარი.

მოს მეთაური გახდა. ისინი თანდათანობით ავსებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს.

საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საწარმოო თათბირები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მუშათა ტექნიკური ცოდნის ამაღლებას, საწარმოთა მართვაში ფართო მონაწილეობას, ქმნიდნენ დასაწინაურებელ რეზერვებს მოწინავე მუშათა რიგებიდან. დასაწინაურებლად გამოყოფილი მუშებისათვის ეწყობოდა სპეციალური მოსამზადებელი კურსები, რომელთა საშუალებით მუშები ეცნობოდნენ მომავალ სამუშაოს, მის ამოცანებს, იმაღლებდნენ პოლიტიკურ, კულტურულ დონეს და, ამრიგად, პროლეტარული წრიდან ყალიბდებოდნენ ახალი ტიპის ინტელიგენტებად. მაგალითად, ყოფილი ზეინკალი, ძველი რევოლუციონერი ბაგრატა მაჩაიძე დაწინაურდა და წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა ჯერ მელითონეთა პროფკავშირის გამგეობის, ხოლო შემდეგ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას; რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სამსხმელო საამქროს მელითონე მუშა ვასო თანიაშვილი წლების მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორი[1]. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშა-გამომგონებელი კ. გამეზარდაშვილი დაწინაურდა ჭიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველის მოადგილედ და ა. შ.

მუშათა დაწინაურება ყოველწლიურად იზრდებოდა. 1927 — 1930 წლებში საქართველოს მრეწველობიდან სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურდა სულ 2250 მუშა[2]. ხელმძღვანელ სამუშაოებზე დაწინაურება მიმდინარეობდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეთა წრიდანაც.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დასაწყისიდან მუშათა კლასის რიგები ივსებოდა სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოსული ახალი მუშებით, უმთავრესად გლეხებით, რომელთაც ესაჭიროებოდათ მუშათა კლასის სულისკვეთებით აღზრდა და მომზადება. პარტიული ორგანიზაციები ფართო იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ახორციელებდნენ მუშათა ამ ფენებში. ამავე მიმართულებით მუშაობდნენ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — პროფესიული კავშირები და კომკავშირი.

წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მასობრივ კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებების შედეგად თანდათანობით იზრდებოდა მთელი მუშათა კლასის კლასობრივი შეგნებულობა, იცვლებოდა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 3 აგვისტო.

[2] Б. Мачандзе, Лицом к производству, Тиф., 1930, стр. 32.

წარმოებისადმი ძველებური დამოკიდებულება თვით ახალი მუშების მხრიდანაც, რომლებიც მკვიდრ მუშებთან ერთად აქტიურად იღწვოდნენ სოციალისტური წარმოების გაუმჯობესებისათვის. თანდათანობით იზრდებოდა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე.

უმაღლესი კვალიფიკაციის საბჭოთა სპეციალისტების მომზადება სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. საქართველოში 1925 — 26 წელს მოღვაწეობდა 654 ინჟინერი და ტექნიკოსი[1], რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებას. საჭირო გახდა ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტების მომზადების დაჩქარება და ამავე დროს ძველი ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის მაქსიმალურად გამოყენება.

ძველი ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის მეტი ნაწილი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე მტკიცედ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე[2]. მაგრამ ინტელიგენციის მცირე ნაწილი შემდგომშიც ამჟღავნებდა მერყეობას და ზოგჯერ ანტისაბჭოურ განწყობილებასაც. ამიტომ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ძველი ინტელიგენციის გადმოყვანა ხელისუფლების მხარეზე მოითხოვდა პარტიის განსაკუთრებულ ტაქტიკას, კერძოდ, საქართველოს პირობებში ინტელიგენციისადმი დამოკიდებულებაში მეტ სირბილეს, სიფრთხილეს და დამთმობლობას[3].

პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა ამ მითითებებს; ყველა ზომას მიმართავდა, რათა ძველი ინტელიგენციის კადრები დაეახლოებინა მუშათა კლასთან, აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში, უქმნიდა მათ მატერიალურ და მორალურ პირობებს ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ხალხის სასარგებლოდ. კომუნისტური პარტია დიდად აფასებდა ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის ნიჭსა და უნარს, დიდი ნდობა გამოუცხადა მას, როდესაც სსრ კავშირის მთავრობამ ქართველ ინჟინრებს დაავალა დნეპროჰესის მშენებლობის პროექტის განხილვა და დასკვნის წარმოდგენა[4]. ძველი ინტელიგენციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორიც იყო ბესარიონ ჭიჭინაძე, 1926 წელს დაინიშნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ[5], საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებით მიმავალ გ. ნიკოლა-

---

[1] «Итоги Всесоюзной переписи населения 1959 года. Грузинская ССР», М., 1963, стр. 115, 125.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 1293, ფურც. 244.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 398.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 1293, ფურც. 12.

[5] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 27 ივნისი.

ძეს დაავალა გაცნობოდა ევროპაში მეტალურგიისა და აზოტის წარმოებას [1].

ლენინურმა პოლიტიკამ და პარტიის სამეურნეო ამოცანებმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს ქართველ ტექნიკურ ინტელიგენციაზე. აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში მისი პროგრესული და დემოკრატიული ნაწილი, მათ შორის ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ ბ. ჭიჭინაძე, გ. ნიკოლაძე, ლ. დიასამიძე, გ. გედევანიშვილი, ვ. კაკაბაძე, კ. ამირეჯიბი, გ. წულუკიძე, ი. ყიფშიძე, ზ. ქურდიანი, ბ. მიქელაძე, ო. მელიქ-ფაშაევი, ა. კაციტაძე, გ. ჩხეიძე, ბ. კალანდაძე, ნ. გვარამაძე, ლ. მაისუროვი (მაისურაძე), ვ. წერეთელი, ბ. ქავთარაძე, სპ. ჩომახიძე, ა. ვაწაძე, ნ. კორინთელი, ვ. გორგილაძე, გ. გეგეჭკორი, ივ. მარდალეიშვილი, ი. შენგელია და ბევრი სხვა.

საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებდა მათ თავდადებულ მოღვაწეობას. მთავრობამ ქართველი ინტელიგენციიდან ლევან დიასამიძეს პირველს მიანიჭა „შრომის გმირის" მაღალი წოდება.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას ქართველი ინტელიგენცია დიდად აფასებდა და გულწრფელად მიილტვოდა სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისაკენ, მუშათა კლასთან მეგობრული თანამშრომლობისაკენ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში [2].

ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების საქმეში პარტიის სავსებით ნათელი პოლიტიკის მიუხედავად, ზოგიერთ საწარმოში მაინც ადგილი ჰქონდა ძველი სპეციალისტებისადმი არანორმალური დამოკიდებულების ფაქტებს, რასაც ზოგჯერ იწვევდა ცალკეული ძველი სპეციალისტის მოქმედებაც (მასებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება, კოლექტივისაგან განდგომა და სხვ.)[3].

კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ და სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა არსებითად შეცვალეს როგორც ძველი ინტელიგენციისადმი მუშათა კლასის, ისე საბჭოთა წყობილებისადმი ძველი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება.

ქართული ემიგრაციის ახალი ავანტიურისტული საქმიანობისადმი პროტესტის ნიშნად [4], დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით 1927 წლის 5 აგვისტოს თბილისში შედგა ინტელიგენციის კრება,

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 303, საქ. 1709;

[2] იქვე, ფ. 819, საქ. 1293, ფურც. 12.

[3] იქვე, ფურც. 490.

[4] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 348, გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის '17 ივლისი; 1927 წლის 19 და 26 ივნისი.

რომელზეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ღოღობერიძემ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო ვითარებისა და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობის შესახებ. ნ. ნიკოლაძემ კრების დამსწრეთ და მთელ ქართველ ხალხს მოუწოდა ახალი ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირისაკენ. „ექვსი წლის საერთო მუშაობამ, — განაცხადა მან, — ბევრი ეჭვი და უნდობლობა შემუსრა, ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს ქვეყანას, ბევრი თვალსაჩინო ძეგლი ააგო ერთობის, სიკეთისა. მარტო ერთი ზაჰესი რად ღირს! ეხლა იწყება უფრო დიდი რიონჰესის შენება და მრავალი და მრავალი სხვა ქარხნების, გზების, სასწავლებლების მოწყობა, რომელთაც მთელი საუკუნე ნატრობდა ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა. ჩვენი ქვეყანაც გამოდის მტკიცე აღმავლობის გზაზე“. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია იმპერიალისტებისა და ემიგრანტთა ავანტიურისტული ზრახვები [1]. თბილისის ინტელიგენციას მხარი დაუჭირა საქართველოს მთელმა ინტელიგენციამ.

1929 წლის მაისში პოლონეთის მთავრობის თაოსნობითა და ხელშეწყობით ვარშავაში ქართველმა ემიგრანტებმა ახალი პროვოკაცია წამოიწყეს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ქართველმა მეცნიერებმა ამის გამო გამოაქვეყნეს საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა 26 ცნობილი ქართველი მეცნიერი: ივ. ჯავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. კეკელიძე. ან. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაიშვილი და სხვ.[2].

მიუხედავად ამისა პარტია კვლავ ღებულობდა გადამჭრელ ზომებს ინტელიგენციაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, სოციალისტურ მშენებლობაში მისი კიდევ უფრო აქტიურად ჩაბმისათვის[3].

ინტელიგენციისადმი ფრთხილი და დათმობითი პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე საქართველოს კომპარტიამ დიდ წარმატებებს მიაღწია ძველი ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის გარდაქმნისა და სოციალიზმის მშენებლობაში მისი ჩაბმის მიმართულებით. ასრულდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა იმაზე, რომ საბჭოთა ქვეყნის „მთელი გამოცდილება ინტელიგენციას აუცილებლად და საბოლოოდ მოიყვანს ჩვენს რიგებში[4], რომ ინჟინერი თავისი მეცნიერების მონაცემთა საშუალებით უეჭველად მივა კომუნიზმის ცნებამდე.

მაგრამ ძველი ქართველი ტექნიკური ინტელიგენცია ჯერ კიდევ

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 7 აგვისტო.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 12 ივნისი.

[3] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1946 гг.)», стр. 103.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 267.

მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. საჭირო იყო ტექნიკური ინტელიგენციის პროლეტარული კადრების შექმნა. ამავე დროს საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში ძალზე მცირე რაოდენობით მზადდებოდა სპეციალისტები ინდუსტრიული დარგებისათვის.

მაღალკვალიფიციური საბჭოთა სპეციალისტების მომზადების დაჩქარების აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა დონბასში ძველ სპეციალისტთა მავნებლური ორგანიზაციის მხილების შემდეგ. მართალია, საქართველოში ადგილი არ ჰქონია „შახტის საქმის" მსგავს მოვლენას ასეთი ფართო მასშტაბით, მაგრამ მისი ცალკეული ელემენტები მაინც გამომჟღავნდა[1].

პარტიის დირექტივების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივნისის პლენუმმა საჭიროდ ცნო ახალი სპეციალისტების მომზადების მაქსიმალურად დაჩქარება და ამისათვის დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი[2]. ამის შედეგად განხორციელდა არსებული უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია და შეიქმნა რამდენიმე ახალი დარგობრივი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებსა და სპეციალურ ტექნიკუმებში. 1928 — 29 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ირიცხებოდა 10,3 ათასი სტუდენტი[3]. მომდევნო 1929 — 30 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა უკვე 15196 სტუდენტი[4]. 1928 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ სტუდენტთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდუსტრიულ სპეციალობებზე მიღებულთა რაოდენობა. უმაღლეს სასწავლებლებში მუშებისა და გლეხთა შვილების მიღებით გაუმჯობესდა სტუდენტთა სოციალური შემადგენლობა.

საგრძნობლად გაფართოვდა სპეციალური ტექნიკუმების ქსელიც. 1928 წელს საქართველოს 40 სპეციალურ ტექნიკუმში სწავლობდა 5714, ხოლო მომდევნო წელს — 7,6 ათასი ახალგაზრდა.

1929 წელს მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ინჟინერთა უკმარობა. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შესაძლებლად მიიჩნია, როგორც გამონაკლისი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან 208 სტუდენტის ვადამდე გამოშვება[5].

---

[1] მ. ყ ა ხ ი ა ნ ი, ჩვენი ნაკლოვანებანი და საქართველოს კომპარტიის ამოცანები (მოხსენება ცენტრალური კომიტეტის 11 ივნისის (1928 წ.) პლენუმზე, თბ., 1928, გვ. 26).

[2] იქვე, გვ. 28.

[3] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 24.

[4] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 56 — 58.

[5] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 154—155.

საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ (1929 წ. ივლისი) არადამაკმაყოფილებლად ცნო სპეციალისტთა მომზადებისათვის ხუთწლედით ნავარაუდევი ნორმა (1 სპეციალისტი 20 მუშაზე), აგრეთვე საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ძირითადი ბაზის — კვალიფიციური მუშების — მომზადება სწავლების არსებული ფორმების საშუალებით და ცენტრალურ კომიტეტსა და სათანადო სამეურნეო ორგანოებს დაავალა, რათა ხუთწლიან გეგმაში შეეტანათ საჭირო ცვლილებები[1].

მრეწველობის მზარდმა მოთხოვნილებამ სპეციალისტებზე და მუშათა მასობრივმა ლტოლვამ უმაღლესი განათლებისაკენ საჭირო გახადა დამატებით ახალი დარგობრივი ინსტიტუტების შექმნა და სპეციალური ტექნიკუმების ქსელის გაფართოება. საქართველოში 1929 — 30 სასწავლო წელს არსებობდა უკვე შვიდი უმაღლესი სასწავლებელი და 58 ტექნიკუმი, რომლებშიც სწავლობდა 26365 ახალგაზრდა[2].

მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა მუშფაკებშიც. 1929 წელს არსებულ ექვს მუშფაკში სწავლობდა 2204 კაცი, უმთავრესად მუშები, მათ შორის მოჯამაგირენი.

საკავშირო ხელმძღვანელი ორგანოები, ითვალისწინებდნენ რა საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების უკეთეს სასწავლო-ტექნიკურ და მატერიალურ პირობებს, აგრეთვე ეროვნული ახალგაზრდების ლტოლვას მოწინავე უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, საქართველოს სისტემატურად უდიდებდნენ ამ სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდების მისაღებ რაოდენობას. საბჭოთა საქართველოს ჯერ კიდევ 1927 წელს გამოეყო 100 ადგილი კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში[3].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა 1928 წლიდან უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გაგზავნილიყო არანაკლებ 1 ათასი კომუნისტი, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ პარტიული, საბჭოთა ან პროფესიული მუშაობის სერიოზული სკოლა. ეს ღონისძიება ყოველწლიურად უნდა გატარებულიყო უახლოესი წლების განმავლობაში[4]. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა „პარტათასეულის“ ხარჯზე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში 1928 — 29 წელს პარტიული მობილიზაციის წესით მიავლინა „პარტათასეულთა“ პირველი ჯგუფი 10 მოწინავე მუშა-კომუნისტის შემადგენლობით, მათ შორის კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკი ა. პერვუშინი, კავშირგაბმულობიდან — ლომაია, რკინიგზის მთავარ სახელოსნოების ზეინკალი ე. კოჭლავაშვილი, ხარატები — ხითაროვი, ბ. ვართანოვი

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926-1941 гг.)», стр. 143.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 54, 57.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 16 აპრილი.

[4] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 677.

და სხვები, რომლებიც უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ გახდნენ წარმოების ინჟინრები, მსხვილ საწარმოთა მეთაურები, უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელები და სხვ.

პარტიის ღონისძიებათა შედეგად მკვეთრად შეიცვალა სტუდენტთა სოციალური შემადგენლობა, გაიზარდა პროლეტარული ფენა. 1929 — 30 სასწავლო წელს საქართველოს სტუდენტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი შედგებოდა მუშებისაგან[1].

საქართველოს რამდენიმე მუშა სწავლობდა მოსკოვის დაუსწრებელ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. ზოგიერთ მსხვილ საწარმოსთან (თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა) შეიქმნა ეგრეთ წოდებული „სასწავლო კომბინატი", სადაც მუშები სწავლობდნენ საღამოს ტექნიკუმის სასწავლო პროგრამით და ამ გზით მზადდებოდა საშუალო განათლების სპეციალისტები მუშათა რიგებიდან.

პარტიამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ხელმძღვანელ კომუნისტ-სამეურნეო მუშაკთა ტექნიკური დონის ამაღლება. ამის საფუძველზე საქართველოში დაიწყო საწარმოთა ხელმძღვანელების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ტექნიკური სწავლება. თბილისში დაარსდა აგრეთვე წითელი დირექტორების კურსები. მრეწველობის მეთაური მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად მოსკოვში არსებულ სამრეწველო აკადემიაში საქართველოდან გაიგზავნა ზოგიერთი მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელი, აგრეთვე პარტიული და კომკავშირული მუშაკები. რომლებიც აკადემიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდნენ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში, მრეწველობის სხვადასხვა უბნებზე ხელმძღვანელებად.

საბჭოთა საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ზრდაში დიდი როლი შეასრულა პარტიის ლოზუნგმა: „ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას!". ამ ლოზუნგისათვის ბრძოლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობდნენ კომუნისტები, კომკავშირლები და უპარტიო მუშათა ფართო მასები. დაიწყო ბრძოლა ტექნიკის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის. მუშები ეუფლებოდნენ არა მარტო მინიმალურ ტექნიკურ ცოდნას, არამედ მის თანამედროვე მიღწევებსაც.

ტექნიკის დაუფლებისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალისტური მრეწველობის სწრაფი და თვისებრივი განვითარების ამოცანებთან. ამ ბრძოლის პროცესში მუშები იმაღლებდნენ ტექნიკური ცოდნის დონეს და ხელს უწყობდნენ წარმოების რაციონალიზაციას.

1929 წლის დამლევისათვის საქართველოში ჯერ კიდევ საბოლოოდ

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 57, 66.

არ იყო გადაწყვეტილი ახალი, საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრობლემა. მაგრამ ამ მიმართულებით უკვე გადადგმული იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. თანდათანობით იზრდებოდა ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის რიგები პროლეტარული კადრებით და მიმდინარეობდა მისი სოციალური სახის შეცვლა, თვისებრივი ზრდა. ყოველივე ეს თანდათანობით ამტკიცებდა საქართველოს მუშათა კლასის პოზიციებს, ამაღლებდა მის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების რაოდენობა, რამაც ხელი შეუწყო მრეწველობის სწრაფ თვისებრივ აღმავლობას საქართველოში.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისათვის პარტია ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა როგორც ადგილობრივი პარტიული, ისე საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ (1927 წ. 28 მარტი — 3 აპრილი) სხვა საკითხებთან ერთად განიხილა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება მრეწველობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით. ყრილობამ ფართო ღონისძიებები დასახა საქართველოს ინდუსტრიული განვითარების დაჩქარებისათვის.

გამოცოცხლდა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა. ისინი ფართოდ მონაწილეობდნენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელი მასების კეთილდღეობის, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის ღონისძიებებში.

რეკონსტრუქციის დასაწყისიდან სოციალისტური წყობილების შემდგომი განვითარებისა და ექსპლოატატორული კლასების შეზღუდვის გაძლიერების შედეგად, მრეწველობისა და სამრეწველო მშენებლობის მნიშვნელოვან გაფართოებასა და ტრანსპორტის ზრდასთან დაკავშირებით საგრძნობლად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის კლასობრივი სტრუქტურა. 1927 — 28 წელს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მუშათა რაოდენობა 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 1,5-ჯერ. პარტია მიუთითებდა, რომ მატერიალური წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლასთან ერთად საბჭოთა მუშათა კლასი კისრულობს ხელმძღვანელ როლს მასების კლასობრივი შეგნებულობისა და კულტურული დონის ამაღლებაში. იზრდებოდა მშრომელი მასების აქტივობა პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად და ნახევრადმტრულად განწყობილი ელე-

მენტების წინააღმდეგობაც. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო მასების შემდგომი სწორი აღზრდა და დარაზმვა. პარტიამ ამ საქმეში დიდი როლი მიაკუთვნა მუშათა კლასის მასობრივ ორგანიზაციას — პროფკავშირს. პარტიის XIV ყრილობამ განსაზღვრა პროფკავშირების პრაქტიკული ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში: „პროფკავშირები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა იყვნენ მშენებლობის, ინიციატივის, აქტივობის, მუშათა ძალების მჭიდროდ დარაზმვის, მათი საყოველთაო ორგანიზაციის სკოლა, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასის ჩაბმის, კულტურის ამაღლების სკოლა, ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის სკოლა, — ერთი სიტყვით, კომუნიზმის ნამდვილი სკოლა“[1].

მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა ამ პერიოდში მიმდინარეობდა შევსების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ხარჯზე, რომელთაგან ძირითად წყაროს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სექტორი. აგრარული მოსახლეობის სიჭარბის ზრდამ გამოიწვია ქალაქებისა და სამრეწველო მშენებლობისაკენ გლეხთა ნაწილის ლტოლვა, გარე სამუშაოებზე წასულ გლეხთა რაოდენობის სისტემატური გადიდება. არასრული ცნობებით, თუ 1925 — 26 წელს გარე სამუშაოებზე სოფლებიდან წავიდა 60,7 ათასი კაცი და ქალი, მომდევნო წელს — თითქმის 73 ათასი კაცი[2].

მართალია, ამ დროისათვის მრეწველობა, სამრეწველო მშენებლობა, ტრანსპორტი საგრძნობლად გაფართოვდა, მაგრამ ამ დარგებს მაშინ არ შეეძლოთ მთლიანად დაესაქმებინათ სოფლებიდან მოზღვავებული გლეხობის უზარმაზარი მასა. გლეხთა ამ ნაწილის ხარჯზე იზრდებოდა უმუშევრობა ქალაქებში. 1927 წელს უმუშევართა რაოდენობამ 29 ათასს გადააჭარბა.

სამრეწველო მუშათა რიგებს ავსებდნენ აგრეთვე ქალაქებისა და სოფლების შინამრეწველები და ხელოსნები, რომელთა საერთო რაოდენობა საქართველოში რამდენიმე ათეული ათასი კაცით განისაზღვრებოდა. 1926 წლის აღწერით, შინამრეწველურ-ხელოსნურ მრეწველობაში დასაქმებული იყო მოსახლეობის 3,52 პროცენტი, მაშინ როდესაც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1,45 პროცენტს[3].

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრეწველობის

---

1 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 278.

2 Журн. «Экономический вестник Закавказья», 1928, № 15 — 16, стр. 2 — 4; მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია, თბ., 1970, გვ. 275.

3 «Краткий статистический справочник по народному хозяйству ССР Грузии 1921—1929 гг.», Тиф., 1929, стр. 22—23.

ამ დარგს, რადგან მსხვილ მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეეძლო უზრუნველეყო მოსახლეობა პირველი მოხმარების საგნებით. ამიტომ სახელმწიფო მას ეხმარებოდა ფინანსურად, ნედლეულით, საწარმოო ტექნიკით, მატერიალურად და ხელს უწყობდა მათ კოოპერირებას. მიუხედავად ამისა, შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის ზოგიერთი დარგის მთლიანად უზრუნველყოფა მასალებით და ნედლეულით მაშინ შეუძლებელი იყო. ამიტომ მელითონეები და მჭედლები იძულებული ხდებოდნენ ქალაქებში წასულიყვნენ მსხვილ საწარმოებში სამუშაოდ[1].

საქართველოს ქალაქებში უმუშევართა რიგებს ემატებოდნენ მცირე რაოდენობით სხვა რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან მოსულებიც. მუშათა რიგებში ხვდებოდნენ ყოფილი აზნაურები, მღვდლები, დიაკვნები, კულაკები და სხვა სოციალურად უცხო ელემენტები[2].

ამრიგად, მუშათა კლასის რიგების შევსების წყაროები არ იყო სოციალურად ერთგვაროვანი. მუშათა ახალი ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან. აქედან მომდინარეობდა წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენა მუშათა გარკვეულ ფენებზე. სოფლის პროლეტარული ფენაც, თვით მოჯამაგირეებიც კი, შორს არ იმყოფებოდნენ წმინდა გლეხური მსოფლმხედველობისაგან. მ. კალინინის გამოთქმით, მოჯამაგირენი გლეხურ გარემოში იმყოფებოდნენ, გლეხებს შორის ტრიალებდნენ და ამიტომ თავისუფალი არ იყვნენ წმინდა გლეხური აზრისა და მსოფლმხედველობისაგან, პატარა მესაკუთრედ გახდომის მიდრეკილებისაგან[3]. მუშათა ჩამორჩენილ ფენებზე გავლენას ახდენდნენ მუშათა კლასისადმი მიტმასნილი სოციალურად უცხო და მტრული ელემენტებიც.

მუშათა ახალი შევსება უმეტეს წილად იყო სრულიად უწიგნური, საწარმოებისათვის მოუმზადებელი, პროფესიულ კვალიფიკაციას მოკლებული. ამ ჯგუფის მუშებს პირველად უხდებოდათ მუშაობა ახალი ტექნიკით აღჭურვილ სოციალისტურ საწარმოში, რომელიც მუშისაგან მოითხოვდა შეგნებულ დისციპლინას, წარმოებისადმი სოციალისტურ დამოკიდებულებას.

ეს გარემოება, აგრეთვე სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპით განვითარების აუცილებლობა, ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცი-

---

[1] К. Илуридзе, Годы, прожитые вместе, Тб., 1971.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 295, საქ. 448, ფურც. 30—34, პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3160, ფურც. 156 — 175.

[3] М. Н. Шумилов, Октябрьская социалистическая революция и исторические судьбы батрачества, М., 1967, стр. 164.

ების წინაშე გადაუდებელ ამოცანად აყენებდა წარმოებაში ახლად მოსული მუშათა კადრების იდეურ-პოლიტიკურსა და პროფესიულ აღზრდას, მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. ამ ღონისძიებათა განხორციელება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ ახლად მოსული მუშების რაოდენობა სამრეწველო მუშათა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენდა[1].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფ აღმავლობასთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირები ფართოდ აბამდნენ მასებს სოციალისტურ მშენებლობაში, ხელს უწყობდნენ კადრების მომზადებას, სისტემატურად აუმჯობესებდნენ საწარმოო-ეკონომიურ და კულტურულ-აღმზრდელობით მუშაობას, ამაღლებდნენ მუშათა კლასობრივ შეგნებულობას. მკვეთრად გაუმჯობესდა პროფკავშირთა ხელმძღვანელობა საწარმოო და ეკონომიურ თათბირებზე. გაფართოვდა მუშათა მონაწილეობა თათბირების მუშაობაში. გაიზარდა საწარმოო თათბირების წინადადებათა ეკონომიური შედეგებიც — წარმოებაში დანერგილი წინადადებებით მრეწველობამ მიიღო 4 მილიონი მანეთის ეკონომია[2]. გაძლიერდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობაც.

სოციალისტური წარმოების რაციონალიზაციის დარგში დიდი წვლილი შეიტანეს 1927 წლიდან დაარსებულმა მუშათა დროებითმა საკონტროლო კომისიებმა, რომლებიც ოპერატიულად ეხმარებოდნენ სამეურნეო ხელმძღვანელებს წარმოების ორგანიზაციაში.

მუშათა შრომითი ენთუზიაზმის ზრდას, შრომისადმი ახლებური დამოკიდებულების განვითარებას ხელი შეუწყო 1928 წლიდან შრომაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის „შრომის გმირის“ საპატიო წოდების მინიჭების დაწესებამ. შრომის გმირთა კანდიდატურების შერჩევა და მუშამოსამსახურეთა საერთო კრებაზე მათი დამტკიცება დავალებული ჰქონდათ პროფორგანიზაციებს, რაც ხელს უწყობდა მათი ავტორიტეტის ზრდას მასებში.

მუშათა აღზრდაში მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა უპარტიო მუშათა კონფერენციების მოწვევის პრაქტიკა, რომელიც შემოიღეს 1928 წლიდან. პირველ ხანებში კონფერენციებზე იხილებოდა საერთაშორისო საკითხები, ხოლო შემდეგ — ქვეყნის ეკონომიური აღორძინების პრაქტიკული ამოცანები.

პროფკავშირები ერთდროულად ზრუნავდნენ მუშათა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისა და საერთო კეთილდღეობისათვის, საბინაო მშენებლობისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მუშაობის გაშლი-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 146.

[2] „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები, 1905 — 1970“, თბ., 1972, გვ. 309 — 310.

სათვის, დიდ მუშაობას ეწეოდნენ მუშათა ჯანმრთელობის დაცვისათვის, უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. ზრუნავდნენ უმუშევართა სამუშაოზე მოწყობისათვის. დამზღვევ ორგანოთა დახმარება უმუშევრებისათვის 347 ათასი მანეთიდან (1927 წ.) გაიზარდა 1170 ათას მანეთამდე 1928 წელს[1]. უმუშევრებისათვის ეწყობოდა უფასო სასადილოები, კვალიფიციური კადრების მოსამზადებელი კურსები და სხვ. ამ ღონისძიებათა შედეგად რამდენადმე შემცირდა უმუშევართა რაოდენობა, განსაკუთრებით პირველი ხუთწლედის დასაწყისიდან.

განუხრელად იზრდებოდა პროფკავშირთა ავტორიტეტი მასებში. ამის მკაფიო დამადასტურებელია აგრეთვე პროფკავშირების წევრთა საერთო რაოდენობის სისტემატური და მნიშვნელოვანი ზრდა. ასე მაგალითად, 1926 წელს საქართველოს პროფკავშირები აერთიანებდნენ 136 ათასს, 1927 წელს — 168 ათასს, 1928 წლის აპრილისათვის — 190451 წევრს[2]. პროფკავშირების წევრთა რაოდენობის ზრდა მიმდინარეობდა მკვიდრი ეროვნული კადრების ხარჯზე. 1929 წელს პროფკავშირების წევრთა შორის ქართველების ხვედრი წილი შეადგენდა თითქმის 61 პროცენტს[3].

მრეწველობაში ქალთა მასობრივად ჩაბმისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირები და ქალთა განყოფილებები, განსაკუთრებით მუშა და გლეხ ქალთა პირველი რესპუბლიკური ყრილობის (1927 წ. ოქტომბრის) შემდეგ. გაფართოვდა ქალთა შრომის გამოყენება სახალხო მეურნეობაში და შესაბამისად მათი ხვედრითი წონა პროფკავშირების წევრთა საერთო რაოდენობაში — 17,7 პროცენტიდან (1925 წ.) გაიზარდა 20,2 პროცენტამდე (36446 კაცი) 1928 წლისათვის[4].

საქართველოს პროფკავშირები დიდ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე სოფლად სასოფლო-სამეურნეო მუშებსა, მოჯამაგირეებსა და მოსამსახურეთა შორის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოჯამაგირეთა ხვედრითი წონა პროფკავშირის წევრთა საერთო რაოდენობაში. გაუმჯობესდა მოჯამაგირეთა აღრიცხვა და უმთავრესად ამის შედეგად გაიზარდა მათი საერთო რაოდენობა. ასე მაგალითად, საქართველოში 1926 წლის

---

[1] „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები. 1905 — 1970“, გვ. 316.

[2] „საქართველოს პროფკავშირების VI ყრილობის ანგარიში“, თბ., 1927, გვ. 6; „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წლებში პროფკავშირთა VII ყრილობისათვის“, თბ., 1928, გვ. 7.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 2523, ფურც. 15; საქ. 2577, ფურც. 11.

[4] იქვე, საქ. 1014, ფურც. 6 — 7; „საქართველოს სსრ პროფკავშირები 1926 — 1927 წწ.“, გვ. 16; „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წწ.“, გვ. 18.

ივნისისათვის, მიწა-ტყის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის არასრული მონაცემებით, ირიცხებოდა 14286 მოჯამაგირე [1], ხოლო წლის დამლევს — 18818 კაცი [2], მომდევნო წლის ნოემბრისათვის — 20 ათასზე მეტი [3], ხოლო 1928 წელს — უკვე თითქმის — 22,5 ათასი [4].

1927 — 28 წელს რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა მოჯამაგირეთა 62 კომიტეტი, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოჯამაგირეთა აღზრდისა და დარაზმვის მიმართულებით. ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძოდნენ მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათი პოლიტიკური და კლასობრივი შეგნებულობის ამაღლებისათვის, კულაკობის წინააღმდეგ დარაზმვისათვის. მოჯამაგირეებისათვის დაარსდა წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები, ხოლო მოჯამაგირე ქალებისათვის — აგრეთვე პროფტექნიკური წრეები. სისტემატურად ტარდებოდა მოჯამაგირეთა სათემო კონფერენციები. 1927 წლის ოქტომბრიდან დაიწყო გაზეთ „მოჯამაგირის ხმის" გამოცემა 10 ათასი ცალი ტირაჟით. გაზეთის კორესპონდენტთა 70 პროცენტი შედგებოდა მოჯამაგირეებისაგან[5]. გაიზარდა მოჯამაგირეთა ხელფასი, შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა. თემაღმასკომებთან შეიქმნა მომრიგებელი კამერები[6]. ამაღლდა მოჯამაგირეთა პოლიტიკური აქტივობა, გაძლიერდა კულაკობის წინააღმდეგ მათი ბრძოლა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოჯამაგირეთა დაწინაურება ადგილობრივ საბჭოებში, კოოპერაციაში, პროფკავშირებისა და კომკავშირის ორგანოებში. სამი წლის მანძილზე მოჯამაგირეთა რაოდენობა კომუნისტურ პარტიაში 65-დან გაიზარდა 626 კაცამდე [7]. მოჯამაგირეთა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა აგრეთვე ლენინურ კომკავშირში — 3,3 პროცენტიდან (1927 წ.) გაიზარდა 5,6 პროცენტამდე 1929 წელს [8].

პოლიტიკური და კლასობრივი შეგნებულობის ამაღლებით მოჯამაგირეთა ნაწილი თანდათანობით თავს აღწევდა კულაკობის გავლენას, მათი გარკვეული ნაწილი წყვეტდა კულაკებთან მუშაობას და სამუშაოდ

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1926 წლის 1 ივნისი.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 589.

[3] ვ. ცხოვრებაშვილი, გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა შორის მუშაობა (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1927 წლის 6 ნოემბერი).

[4] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 589; ი. კოდუა, საქართველოს სსრ მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1961, გვ. 54.

[5] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1928 წლის 28 სექტემბერი.

[6] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1927 წლის 6 ნოემბერი.

[7] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 585.

[8] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1928 წლის 3 ივლისი; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 96. საქ. 170, ფურც. 81.

შიდიოდა ქალაქებში სამრეწველო საწარმოებში. მოჯამაგირეთა და სოფლის მშრომელთა ორგანიზაციულმა დარაზმულობამ პროფკავშირებში, მათმა ბრძოლამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში.

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში პარტიას დიდ დახმარებას უწევდა მისი უახლოესი თანაშემწე — ლენინური კომკავშირი. იგი აერთიანებდა ათეული ათასობით ქალიშვილსა და ჭაბუკს და წარმატებით ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მშრომელ ახალგაზრდობას ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში. კომკავშირელები წარმოადგენდნენ მუშათა კლასის მნიშვნელოვან დამკვრელ რაზმს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ მრეწველობაში, სამრეწველო მშენებლობასა და ტრანსპორტზე. რესპუბლიკის მარტო სოციალისტურ მრეწველობაში 1927 წელს ჩაბმული იყო 8 ათასი კომკავშირელი[1]. ისინი გამოდიოდნენ ბევრი ახალი საწარმოო წამოწყების თაოსნებად და პირადი მაგალითით აბამდნენ მუშა ახალგაზრდობას მრეწველობის აღმავლობისათვის შრომაში. აქტიურად შრომობდნენ წარმოების რაციონალიზაციისათვის, მომჭირნეობის, სახსრების დაგროვების, ახალი კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის. კომკავშირელები პარტიის მოწოდებით ენერგიულად იბრძოდნენ პროდუქციის გამოშვების გაფართოებისა და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კომკავშირის ღონისძიებებში ფართოდ მონაწილეობდა კავშირგარეშე მუშა-ახალგაზრდობა. კომკავშირელთა თაოსნობა ბიძგს აძლევდა მოზრდილ მუშებსაც შრომისადმი ახლებურ დამოკიდებულებასა და სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიდ ამოცანებთან დაკავშირებით პარტიამ საჭიროდ ცნო მრეწველობის ხელმძღვანელობის სისტემის გარდაქმნა. 1926 წელს დაიწყო და მომდევნო წლის დასაწყისში დამთავრდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაცია: გამარტივდა აპარატი, გაიზარდა მისი ოპერატიულობა, აღმოიფხვრა საწარმოებისადმი წვრილმანი მეურვეობა, პარალელიზმი მუშაობაში. გაფართოვდა საწარმოთა დირექტორების უფლებები. ახალი მშენებლობის უკეთ წარმართვისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება. მნიშვნელოვნად შემცირდა ხელმძღვანელობის მრავალსაფეხურიანობა, განმტკიცდა ერთმმართველობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ფუნქციები, კერძოდ ცენტრალიზებული დაგეგმვის დარგში.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს ქვეყნის ინდუსტრია-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 589.

ლიზაციის აღმავლობას. რეორგანიზაციის შედეგად დამთავრდა საწარმოთა ტრესტირება, საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელთა როლი საწარმოთა მუშაობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებაში. რეორგანიზაცია სავსებით შეესაბამებოდა მრეწველობის ახალ ამოცანებს. ხელმძღვანელობის სისტემის შეცვლამ, ახალი მეთოდებისა და ფორმების დანერგვამ პარტიის სხვა ღონისძიებებთან ერთად ხელი შეუწყო მუშათა კლასის შემოქმედებითი თაოსნობის აღმავლობას.

§ 4. მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში

სოციალიზმის აშენების სამეურნეო ამოცანების წარმატებით შესრულების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის ზრდა, მშენებლობაში ფართო მასების ჩაბმა. „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, — მიუთითებდა პარტიის XV კონფერენცია, — შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართო მასებს ნათლად ექნებათ წარმოდგენილი როგორც ის ამოცანები, რომლებიც დგას მუშათა კლასის წინაშე მრეწველობის გაფართოების საქმეში, ისე მთელი სახალხო მეურნეობის მშენებლობის სიძნელეებიც“ [1].

საქართველოს პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ პარტიის მითითებათა შესრულებისათვის. პარტია მასებს განუმარტავდა ქვეყნის სამეურნეო ამოცანათა მნიშვნელობას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარების აუცილებლობას და ამავე დროს არ აუბრალოებდა და არ უმალავდა მათ მომავალ სიძნელეებს, პირიქით, ხაზს უსვამდა მას და ამავე დროს კონკრეტულად მიუთითებდა ამ სიძნელეთა დაძლევის პრაქტიკულ საშუალებებზე, ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებზე. პარტია შთააგონებდა მასებს, რომ სიძნელეთა დაძლევა დამოკიდებულია მათ შემოქმედებით აქტივობაზე.

კომუნისტური პარტია საქართველოს მუშათა კლასის საბრძოლო პროგრამად სახავდა ისეთ ამოცანებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფდა რესპუბლიკის სწრაფ ინდუსტრიულ აღმავლობას, ძირეულ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებს. 1926 წლის 25 აპრილს გამოქვეყნდა პარტიის მოწოდება მომჭირნეობისათვის ბრძოლის გაშლის შესახებ. პარტია მოუწოდებდა მასებს დაუყოვნებლივ აღმოეფხვრათ უყაირათობა მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მრეწველობასა და მშენებ-

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 401.

ლობაში, ბოლო მოეღოთ უზარმაზარი ზედნადები ხარჯებისათვის, დაეზოგათ ელექტროენერგია, ნედლეული და მასალები.

საქართველოს მუშათა კლასი პარტიის ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურა. წარმოება-დაწესებულებებში შეიქმნა მომჭირნეობისადმი ხელისშემწყობი მუშათა კომისიები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს მუშაობა დაზოგვისათვის. მუშაობა გააცხოველეს საწარმოო და ეკონომიურმა თათბირებმა, აგრეთვე მუშათა დროებითმა საკონტროლო კომისიებმა, გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა.

წარმოების რაციონალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედებმა, რომლებმაც მრავალი ღონისძიება განახორციელეს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს მუშათა კლასმა, მშრომელმა მასებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფებისათვის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის. სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა აპარატის პერსონალის შემადგენლობის გამუშურება. ამ იდეის განხორციელებისათვის პარტიის მითითებით საწარმოებში შეირჩა დასაწინაურებელ მუშათა სარეზერვო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ სწავლობდნენ სახელმწიფო აპარატში მუშაობის საკითხებს. სახელმწიფო აპარატის გამუშურებას დიდი წინააღმდეგობა გადაეღობა. მიუხედავად ამისა, პარტია ენერგიულად ახორციელებდა ლენინის იდეას, გაბედულად აწინაურებდა მუშებს, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ახალ რთულ სარბიელზე, ენერგიულად ებრძოდნენ და სდევნიდნენ ბიუროკრატიზმს[1].

მუშათა ინიციატივით, 1928 წელს საწარმოებში ჩამოყალიბდა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მიამაგრეს ცალკეულ დაწესებულებებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად[2].

სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ნაყოფიერ ბრძოლას ეწეოდნენ კომკავშირული ორგანიზაციები, ამ ორგანიზაციებთან არსებული „მსუბუქი კავალერიის“ რაზმები, რომლებიც დაუნდობლად ამხელდნენ ბიუროკრატიზმს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჩახშობის მოვლენებს[3]. „კავალერისტები“ ებრძოდნენ შრომის დისციპლინის დარღვევას, ეხმარებოდნენ მუშათა კომისიებს, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნა 1928 წელს. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად

---

[1] Газ. «Заря Востока», 25 января 1927 г.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 4 ივლისი.

[3] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1928 წლის 7 აგვისტო.

გაუმჯობესდა სახელმწიფო აპარატის მუშაობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპით განვითარებისათვის. საქართველოში ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა 12 პროცენტით. პარტიისა და მთავრობის მითითებით მოსამსახურეთა რაოდენობა ზოგიერთ უწყებაში უმტკივნეულოდ შემცირდა 40 — 45 პროცენტით [1] და ამით დაზოგილი თანხები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას მოხმარდა.

მომჭირნეობისათვის ბრძოლა არ ითვალისწინებდა მარტოოდენ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის შემცირებას, არამედ მათი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას, წარმოების რაციონალიზაციას, ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურად გამოყენებას, ნაწარმის თვითღირებულების შემცირებას, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას, მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის განმტკიცებას, ხოლო ყოველივე ეს — სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყველა პირობას უქმნიდნენ მუშათა საწარმოო აქტივობის განვითარებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ეს ხელს უწყობდა მასების თაოსნობას, კერძოდ წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და წუნის აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერებას. ზოგიერთ საწარმოში, სადაც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, მუშები თვით იწყებდნენ საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმებას მათი გამოცოცხლების მიზნით [2].

საქართველოს მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის ზრდა მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. მუშათა ჩამორჩენილი ფენა ზოგჯერ ადვილად ვარდებოდა მტრული ელემენტების გავლენაში და ეწინააღმდეგებოდა მასების აქტივობის აღმავლობას, წარმოების რაციონალიზაციას. მაგრამ პარტია საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით წარმატებით სძლევდა ჩამორჩენილ ფენათა წინააღმდეგობას. ამის შედეგად იზრდებოდა მუშათა აქტივობა, პროდუქციის წარმოება, უმჯობესდებოდა ნაწარმის ხარისხი, მცირდებოდა პროდუქციის თვითღირებულება, მტკიცდებოდა შრომის დისციპლინა.

საქართველოს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია 1926 წლის 26 თებერვალს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მილოცვამ ქართველი ხალხისადმი [3].

მშრომელთა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 13 სექტემბერი.

[2] Газ. «Заря Востока», 29 января 1929 г.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 27 თებერვალი.

გომ ზრდაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1927 წელს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 10 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში 7-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას.

საქართველოს მუშათა კლასის შეგნებული დამოკიდებულება ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისადმი, მისი შესრულებისათვის აქტივობა გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ მუშათა თაოსნობით 1929 წლის დამლევს ორჯერ ჩატარდა „ინდუსტრიალიზაციის დღე". ამ დღეს სამუშაოდ გამოვიდნენ შვებულებაში მყოფი მუშებიც კი და მთელი გამომუშავებული თანხა ინდუსტრიალიზაციის ფონდში შეიტანეს [1].

მუშათა კლასის აქტივობა სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რისი თვალსაჩინო დამადასტურებელია კომუნისტურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მათი რაოდენობის ხვედრითი წონის მუდმივი ზრდა. საქართველოს კომუნისტური პარტია თუ 1926 წელს აერთიანებდა 10414 მუშა-კომუნისტს, ანუ 36,1 პროცენტს, 1928 წლის დამლევს — 15491 მუშა-კომუნისტს. ანუ 46,5 პროცენტს[2].

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის პროცესში, 1928 წლის იანვარში, ქვეყნის მოწინავე სამრეწველო ცენტრების მუშათა თაოსნობით აღმოცენდა ახალი მოძრაობა — საწარმოთა საზოგადოებრივი დათვალიერება. „რაბოჩაია პრავდას" ინიციატივით თბილისში დაიწყო კოოპერირებაში მყოფი ფაბრიკებისა და ქარხნების საზოგადოებრივი დათვალიერება. საქართველოს პროფსაბჭომ მოიწონა რედაქციის ეს თაოსნობა და მიზანშეწონილად მიიჩნია დათვალიერების ჩატარება სხვა საწარმოებშიც [3]. ამ მოძრაობის ამოცანას შეადგენდა ერთობლივი ძალებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა ხელმძღვანელობისათვის დახმარება წარმოების მუშაობის გაუმჯობესებაში. ამ მოძრაობაში სულ პირველად აქტიურად ჩაება თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშათა კოლექტივი. ორკვირიანი დათვალიერების პერიოდში მუშებმა წამოაყენეს 595 წინადადება წარმოების გაუმჯობესებისათვის [4].

მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი მუდმივად ახლის ძიებაში იმყო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 1456, ფურც. 39 — 40.

[2] «Коммунистическая партия Грузии в цифрах 1921—1970», Сб. стат. мат., Тб., 1971, стр. 36, 44.

[3] «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР (1928 — 1929 гг.)», Сборник материалов, М., 1956, стр. 99.

[4] Газ. «Рабочая Правда», 18 января, 1928 г.; «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР» (1928 — 1929 гг.)», стр. 558.

ფებოდა. სოციალისტური რეკონსტრუქციის დასაწყისიდან შემოქმედებითი თაოსნობა უფრო გაფართოვდა, განსაკუთრებით, სოციალისტური შრომის ფორმათა განვითარებაში. მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების დაწყებამდე დამკვრელობა და შეჯიბრება პრაქტიკულად უკვე ხორციელდებოდა ზოგიერთ საწარმოში. ეს ნიშნავდა იმას, რომ მუშათა გარკვეულმა ნაწილმა უკვე შეიგნო საკუთარი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ცდილობდა უკეთესი წარმატებებისათვის მიეღწია, რისთვისაც მუშები აწყობდნენ ურთიერთშეჯიბრებას [1].

1926 წელს საბჭოთა ქვეყნის მოწინავე სამრეწველო რაიონების მუშათა თაოსნობით აღმოცენდა დამკვრელი ბრიგადები. ამ ახალ წამოწყებას გამოეხმაურა აგრეთვე საქართველოს მუშათა კლასი. რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სამჭედლო საამქროს კომკავშირელებმა ჩამოაყალიბეს ახალგაზრდა მუშებისაგან შემდგარი დამკვრელი ბრიგადა. იგი მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა დანარჩენი მუშებისაგან შრომის დისციპლინით, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებითა და კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით [2]. თბილისის მოწინავე საწარმოებში 1926 წელს ჩამოყალიბდა აგრეთვე ახალგაზრდა მუშების რამდენიმე ეგრეთ წოდებული საჩვენებელი ბრიგადა „ერთობლივი დამკვრელური შრომისათვის“ [3].

1927 წლის პირველ ნახევარში თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სამ საწარმოში, რომლებშიც 700 ახალგაზრდა მუშა იყო გაერთიანებული, კომკავშირის ინიციატივით დაიწყო შეჯიბრება-კონკურსი საუკეთესო მუშა-ახალგაზრდასა და მოწაფეზე. იგი მიზნად ისახავდა წარმოებისადმი მუშათა დაინტერესების ამაღლებას, გაცდენების აღმოფხვრასა და შრომისნაყოფიერების გადიდებას [4]. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო მასობრივი კონკურსი საუკეთესო ახალგაზრდა მუშასა და ოსტატზე. ეს იყო პირველი კონკურსი ამიერკავკასიაში. იგი ჩატარდა ლოზუნგით: „კარგი მუშა უნდა იყოს კარგი საზოგადოებრივი მუშაკიც!“ ქარხნის 150 მუშიდან კონკურსში მონაწილეობდა 136 ახალგაზრდა [5].

კონკურსების პერიოდში ახალგაზრდა მუშებმა წამოიწყეს ახალი მნიშვნელოვანი მოძრაობა — ბრძოლა მაღალხარისხოვანი პროდუქციისა და ამ მიზნით ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ამასთან დაკავშირე-

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 27 იანვარი.
2 Газ. «Рабочая Правда», 22 января 1927 г.
3 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1927 წლის 22 იანვარი.
4 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 იანვარი და 23 აპრილი.
5 იქვე, 23 აპრილი და 8 ივნისი.

ბით, სამრეწველო საწარმოებში ახალგაზრდებისათვის დაარსდა ტექნიკის შემსწავლელი წრეები [1].

კონკურსი-შეჯიბრების ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვან შედეგს ამ პერიოდში წარმოადგენდა ის, რომ თანდათანობით ფართოვდებოდა ახალგაზრდა მუშებს შორის ნებაყოფლობითი შეჯიბრება, იზრდებოდა დამკვრელ ბრიგადათა რაოდენობა. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მუშების თაოსნობით დაწყებული მოძრაობა, თავისი შედეგებით, კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მოზრდილ მუშებზე და მათაც აბამდა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. სწორად შენიშნავდა იმდროინდელი კომკავშირული გაზეთი: „თანდათანობით ფეხს იკიდებს შეჯიბრების სისტემა... ეწყობა შეჯიბრება საუკეთესო მბეჭდავზე, ნოქარზე და ა. შ.“ [2].

ამრიგად, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივით აღმოცენდა სოციალისტური შრომის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, რომელთაც ნიადაგი მოუმზადეს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების დაწყებას [3].

§ 5. კომუნისტური პარტიის ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოში

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია სრულიად ბუნებრივად იწვევდა საზოგადოებრივი კლასების პოლიტიკური აქტივობის ზრდას. უკანასკნელი ექსპლუატატორული კლასი — კულაკობა აშკარად გრძნობდა, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ამიტომ გააფთრებით აღუდგა წინ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო და პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ. კულაკობის წინააღმდეგობის გატეხვა მშვიდობიანი გზით შეუძლებელი აღმოჩნდა, კლასობრივმა ბრძოლამ უაღრესად გამწვავებული ხასიათი მიიღო. ამან თავისი გამოხატულება პოვა მმართველი პარტიის შიგნითაც: თავი წამოყვეს ოპოზიციურმა ჯგუფებმა და სხვადასხვა ანტიპარტიულმა ელემენტებმა, მათ შორის მთავარ საფრთხეს ამ უტაპზე წარმოადგენდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია [4].

პარტიის XIV ყრილობაზე „ახალი ოპოზიციის“ დამარცხების შემდეგ

---

[1] „საქართველოს პროფკავშირთა VI ყრილობა“, გვ. 54.

[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1927 წლის 16 აპრილი.

[3] იქვე, 1929 წლის 2 თებერვალი და 6 მარტი.

[4] «История Коммунистической Партии Советского Союза» (в шести томах), т. IV, кн. I, М., 1970, стр. 451—465.

1926 წლის ზაფხულში ტროცკიზმის პლატფორმაზე გაერთიანდნენ ზინოვიეველები და ტროცკისტები, მათ შემოიკრიბეს ყველა დამარცხებული ოპოზიციური დაჯგუფება და ამ ანტიპარტიული ბლოკის სახით ახალი, ანტილენინური პარტიის შეკოწიწებას შეუდგნენ. სხვადასხვა ჯურის ყველა ეს ანტიპარტიული ელემენტები ასახავდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური კლასების ნაშთების ინტერესებს, ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედაფენის უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით. ისინი წარმოადგენდნენ კლასობრივი მტრების აგენტურას პარტიის შიგნით, მტრული კაპიტალისტური გარემოცვის რუპორს[1].

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკთან, როგორც ცნობილია, პარტიის პრინციპული უთანხმოების ძირითადი საკითხი იყო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, ტროცკისტები უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. პარტიას, ემყარებოდა რა იგი ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში არის ყველაფერი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, მტკიცედ მიჰყავდა საბჭოთა ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისაკენ.

ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას პირველ რიგში იერიში მიჰქონდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის წინააღმდეგ და რაღაც საეჭვო „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმით გამოდიოდა. იგი უარყოფდა გლეხური მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარების შესაძლებლობას და მოითხოვდა გლეხების დაბეგვრას მაღალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია გლეხურ მეურნეობას განიხილავდა როგორც „კოლონიას“, რომელსაც უნდა დაეფინანსებინა ტროცკისტული „ზეინდუსტრიალიზაციის“ გეგმები. ლენინური პარტია, რასაკვირველია, ასეთ გზას ვერ დაადგებოდა, პროლეტარიატის მოკავშირის — გლეხობის მიმართ იგი ტროცკისტულ პოლიტიკას ვერ გაატარებდა, რადგან პარტიას არ შეეძლო ეშენებინა სოციალიზმი მუშათა კლასთან გლეხობის კავშირის გარეშე, უფრო მეტიც, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გარეშე შეუძლებელი იყო თვით პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაც. ამიტომ პარტიამ სამართლიანად დაახასიათა ტროცკისტული პლატფორმა როგორც კაპიტულანტური.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი, ხედავდა რა პარტიის მხრივ მტკიცე წინააღმდეგობას, ცდილობდა თავისი ხაზის გატარების უზრუნველსაყოფად მიეღწია ფრაქციებისა და ჯგუფების თავისუფალი არსებო-

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, თბ., 1973, გვ. 498 — 499.

ბისათვის პარტიაში, ძირს უთხრიდა პარტიის ერთიანობის შესახებ რკპ (ბ) X ყრილობის ლენინურ გადაწყვეტილებას, სახელს უტეხდა პარტიულ აპარატს და, ვითომდა ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით, ცდილობდა ლენინიზმი შეეცვალა ტროცკიზმით.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი კაპიტულანტურ პლატფორმაზე იდგა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებშიც და დეზორგანიზატორულ-გამთიშველ ხაზს ატარებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, კომუნისტურ ინტერნაციონალში.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის გაერთიანებულმა პლენუმმა საფუძვლიანად ამხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ანტიპარტიული, გამთიშველი ხასიათი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება პარტიულმა მასებმა მოიწონეს ყველგან, მოიწონეს საქართველოშიც, როდესაც ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციას გამოუჩნდნენ მიმდევრები საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1926 წლის ივლისის პლენუმზე სერიოზულად გააფრთხილა ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის მონაწილენი, მაგრამ ისინი უკვე არაფერს უწევდნენ ანგარიშს. პირიქით, 1926 წლის შემოდგომაზე ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ანტიპარტიულმა ბლოკმა აშკარა გამოხდომა მოაწყო პარტიის წინააღმდეგ მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. მან განსახილველად წამოაყენა საკუთარი პლატფორმა, სადისკუსიოდ იწვევდა პარტიას.

საქართველოში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ხელმძღვანელები — კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე, ბ. კალანდაძე, პ. ზალუცკი, ნ. რ. კიკნაძე და სხვები, — რასაკვირველია, ვერ ჩამორჩებოდნენ ცენტრს და იმავე 1926 წლის შემოდგომაზე თბილისში, როდესაც პარტიული ორგანიზაციების აქტივი იხილავდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგებს[1], თავს დაესხნენ პარტიას. მათ სურდათ ჩაეშალაი პარტიული კრებები და განხეთქილება გამოეწვიათ ორგანიზაციაში. მაგრამ ოპოზიციონერთა გამოხდომა, ისე როგორც ცენტრში, აქაც სრული მარცხით დამთავრდა. პარტიული აქტივის კრებაზე დამსწრე 3 ათასი კომუნისტიდან ოპოზიციას მხარი დაუჭირა მხოლოდ 25 კაცმა[2].

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 349 — 376.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 10 ოქტომბერი.

ადგილობრივი ოპოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრა თბილისის პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1926 წლის 9 ოქტომბერს [1], ამავე საკითხს მიეძღვნა თბილისის კომიტეტის პლენუმი იმავე წლის 14 ოქტომბერს. აქ ოპოზიციის ანტიპარტიულ-გამთიშველი საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მ. კახიანი, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრეს ისეთმა ძველმა ბოლშევიკებმა, როგორიც იყვნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ვ. სტურუა და სხვები [2].

ტროცკისტულ-ზინოვიევურ გამოლაშქრებას საკადრისი პასუხი გასცეს საქალაქო და სამაზრო პარტიული აქტივებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. ოპოზიციონერებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს 1926 წლის 8 ოქტომბერს ქუთაისის რკინიგზის სკოლის პარტიულ კრებაზე, 10 ოქტომბერს ხონში პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ მხარი დაუჭირა მომხსენებლის — ფ. მახარაძის რეზოლუციას. 17 ოქტომბერს სამტრედიის პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულმა კრებამ, რომელსაც ესწრებოდნენ ალ. გეგეჭკორი, გ. სტურუა და ე. კვანტალიანი, დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია. 20 ოქტომბერს ტყიბულსა და ვანში პარტიისა და კომკავშირის გაერთიანებულ კრებებზე მხარი დაუჭირეს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს [3].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ დიდ ქალაქებში პარტიული აქტივის კრებებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები. სოხუმის საქალაქო პარტიულ კრებაზე 1926 წლის 19 ოქტომბერს გამოვიდა მიხეილ კალინინი. მან აღნიშნა, რომ „პარტიამ სასტიკი პასუხი გასცა ყველა იმათ, ვინც შეეცადა რღვევის შეტანას მის რიგებში, ოპოზიციის ხმების უმნიშვნელო რაოდენობამ დაამტკიცა, თუ რამდენად შეურყეველია ჩვენი პარტიის რიგები. ვერავითარი ოპოზიციური ბრძოლა ვერ შეარყევს პარტიის მთლიანობას, ვინაიდან თვით მასები დგანან ამ მთლიანობის სადარაჯოზე“ [4]. ყველგან გმობდნენ პარტიული მასები ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიულ საქმიანობას. ასეთივე ბედი ეწია ოპოზიციას მთელ საბჭოთა კავშირში, ისინი პარტიული მასებისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერები უკვე მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად წაუვიდოდათ და გადაწყვიტეს ერთხელ კიდევ შეეყ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1756, ფურც. 303 — 304.

[2] იქვე, ფ. 17, საქ. 824, ფურც. 44 — 46.

[3] იქვე, ფ. 14, საქ. 1927, ფურც. 1—14.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 20 ოქტომბერი.

ვანათ პარტია შეცდომაში, შეენარჩუნებინათ თავი პარტიის რიგებში და ფარულად განეგრძოთ თავიანთი ანტიპარტიული საქმიანობა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში განცხადებით შეავიდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერები — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, სოკოლნიკოვი და ევდოკიმოვი. ისინი გმობდნენ თავიანთ ფრაქციულ მუშაობას, ინანიებდნენ ცოდვებს და თან განაგრძობდნენ ფარულ ძირგამომთხრელ მუშაობას პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია არ იყო გულწრფელი პარტიისა და ხალხის წინაშე. სიტყვით აცხადებდა ერთს, საქმით აკეთებდა მეორეს, როდესაც საწევრო ანარიცხებს კრეფდა ოპოზიციის წევრებისაგან, ქმნიდა არალეგალურ სტამბებს, ბეჭდავდა და ავრცელებდა ანტიპარტიულ დოკუმენტებს, მართავდა არალეგალურ კრებებს და სხვ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის მხილების საქმეში დიდი როლი შეასრულა XV პარტიულმა კონფერენციამ, ამ კონფერენციაზე და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმზე მოხსენებებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. მან ილაპარაკა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. ი. ბ. სტალინის მოხსენებებმა და კონფერენციისა და პლენუმის გადაწყვეტილებებმა უზრუნველყვეს ლენინური პარტიის შემდგომი შემჭიდროება და ტროცკიზმის იდეური მარცხი[1].

XV პარტიული კონფერენციის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო მიღებული დადგენილება „ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომპარტიაში", წარმოადგენს ტროცკისტული ოპოზიციის მენშევიკური არსის ღრმა და ამომწურავ შეფასებას. კონფერენციამ ნათლად ჩამოაყალიბა ოქტომბრის რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ ლენინური თვალსაზრისი და ამხილა ტროცკისტული შეხედულების თეორიული უსუსურობა და პოლიტიკური მავნებლობა. კონფერენციამ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა პოზიცია ჩათვალა „სოციალ-დემოკრატიულ გადახრად ჩვენს პარტიაში"[2] და დაასაბუთა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში.

პარტიის XV კონფერენციის შედეგები ფართოდ განიხილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის სასოფლო, სამაზრო და სარაიონო, საოლქო და საქალაქო, რესპუბლიკური აქტივის კრებებზე. კომუნისტებმა მოიწონეს კონფერენციის ლენინური გადაწყვეტილებანი და ყველგან დაგმეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის ანტილენინური, დეზორგანიზატორული საქმიანობა.

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 510.

[2] იქვე, გვ. 431.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პარტიულმა აქტივმა 1926 წლის 15 ნოემბერს მოისმინა მამია ორახელაშვილის მოხსენება „საკ. კპ (ბ) XV კონფერენციის შედეგების შესახებ". აქტივმა დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობა და მიიღო სათანადო რეზოლუცია, სადაც ვკითხულობთ: „აქტივის კრება მოუწოდებს თბილისის მთელ ორგანიზაციებს იმისაკენ, რომ ერთსულოვნად იქნეს ცხოვრებაში გატარებული მე-15 პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილება და შემდეგშიც შეურიგებელი ბრძოლა იქნეს წარმოებული ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიულ გადახრასთან, სანამ იგი დაძლეული არ იქნება სავსებით.

აქტივი მოითხოვს ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელობისაგან (ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე, ნ. რ. კიკნაძე და ბ. კალანდაძე) ყოველგვარი პირობების გარეშე აღიარონ თავიანთი შეცდომები და უარი განაცხადონ ფრაქციულ მუშაობაზე"[1].

საქართველოს კომუნისტური პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი იარაღს მაინც არ ყრიდა. ოპოზიციონერები არ წყვეტდნენ ანტიპარტიულ საქმიანობას. ისინი ასეთი საქმიანობის უფლებასაც კი იტოვებდნენ თავიანთი ორპოფული განცხადებებით[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ 1926 წლის 6 ნოემბერს იმსჯელა ადგილობრივი ოპოზიციის საქმიანობის შესახებ. კომისიამ მიიღო დადგენილება ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელების — კ. ცინცაძის, ნ. კიკნაძის, ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის — პარტიიდან გარიცხვის შესახებ, ხოლო მ. ოკუჯავასათვის საყვედურის გამოცხადებაზე[3]. რამდენიმე დღის შემდეგ, 10 ნოემბერს მ. ოკუჯავამ, ნ. კიკნაძემ, ლ. დუმბაძემ, ბ. კალანდაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს საპროტესტო განცხადებით და მოითხოვეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის 6 ნოემბრის დადგენილების გადასინჯვა. ეს განცხადება 17 ნოემბერს განიხილეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ავტორთა თანდასწრებით. პრეზიდიუმმა ოპოზიციონერებს მოსთხოვა შეცდომების გულწრფელი აღიარება, ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღება[4]. ამის შემდეგ, ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელებმა — ნ. კიკნაძემ, ლ. დუმბაძემ, მ. კალანდაძემ 19 ნოემბერს ახალი განცხადება შეიტანეს ცენტრალურ კომი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 16 ნოემბერი.

[2] იხ. ე. წ. „ექვსის განცხადება" (გაზ. „პრავდა", 1926 წლის 17 ოქტომბერი) და ნ. კიკნაძისა და სხვათა განცხადება (გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 21 ნოემბერი).

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1756, ფურც, 405 — 406, 416.

[4] იქვე, ფურც. 344 — 404.

ტეტში, რაც მეორე დღესვე გამოქვეყნდა პრესაში. ამ განცხადებაში ისინი წერდნენ: „აშკარად ვაღიარებთ პარტიის წინაშე რომ, როდესაც ივლისის პლენუმზე წარმოშობილ ახალ ოპოზიციას ვემხრობოდით ჩვენი შეხედულებებით, რომელთა ნიადაგზე ვდგავართ დღესაც, — ჩვენ და ჩვენმა თანამოაზრეებმა ამ შეხედულებათათვის ბრძოლაში დაუშვეს პარტდისციპლინის დამრღვევი ნაბიჯები, რომლებიც გასცილდნენ პარტიის მიერ დაშვებული იდეური ბრძოლის ფარგლებს და შესდგნენ ფრაქციულობის გზაზე.

ვსცნობთ რა ამ ნაბიჯებს სრულიად დაუშვებელ შეცდომად, საბოლოოდ და გადაჭრით ვაცხადებთ უარს ჩვენს შეხედულებათა დაცვის ფრაქციულ მეთოდებზე... მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს, რომელნიც იზიარებენ ჩვენს შეხედულებებს, რომ დაუყოვნებლივ დაშალონ ყველა ფრაქციული დაჯგუფება იქ, სადაც ასეთები წარმოიშვნენ ოპოზიციის შეხედულებათა გარშემო“ [1].

ამ განცხადებაში, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფილია მხოლოდ ბრძოლის ფრაქციული მეთოდი და არა ტროცკისტული შეხედულებანი, პარტიამ საჭიროდ ჩათვალა შეეცვალა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერთა—ლ. დუმბაძის, კ. ცინცაძის, ნ. რ. კიკნაძისა და ბ. კალანდაძის — პარტიიდან გარიცხვის შესახებ ადრე მიღებული დადგენილება. ისინი დატოვებულ იქნენ პარტიაში. გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ერთი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავების აკრძალვით [2]. ეს დადგენილება მაჩვენებელია იმისა, რომ პარტია შეხედულებისათვის კი არ სდევნიდა ვინმეს, არამედ ანტიპარტიულ შეხედულებათა ფრაქციულ-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, პარტიის წინააღმდეგ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერთა აღნიშნული განცხადება, მიუხედავად მისი ორჭოფული ხასიათისა, სერიოზულ დარტყმას წარმოადგენდა ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ. იგი სახელს უტეხდა ამ ოპოზიციას პარტიული მასების თვალში, ამიტომ მისი ავტორების მიმართ პარტიას არ შეეძლო არ ყოფილიყო შედარებით ლმობიერი.

მაშასადამე, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის პლენუმის შემდეგ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ხასიათდებოდა ოპოზიციური ჯგუფების გამოცოცხლებით და მათი გადასვლით აშკარა ფრაქციულ მუშაობაზე. ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას სათავეში ედგნენ ქართ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1926 წლის 21 ნოემბერი.

[2] იქვე, 27 ნოემბერი.

ველი ნაციონალ-უკლონისტების ყოფილი ლიდერები — კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა, ლ. დუმბაძე და სხვები. ადგილობრივი ოპოზიციის ყველა გამოსვლა მარცხით დამთავრდა. მათი უილაჯობა საბოლოოდ ამხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა 1926 წლის 15 ოქტომბერს. ადგილობრივი ოპოზიცია, რჩებოდა რა თავის თვალსაზრისზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციებისადმი 1926 წლის 21 ნოემბრის მიმართვით მოითხოვდა ოპოზიციის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის გაძლიერებას[1].

ტროცკისტული ოპოზიცია ბოროტად იყენებდა პარტიის სულგრძელობას და არ ყრიდა იარაღს, პარტიის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა, უცდიდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს. ასეთი მომენტიც მალე შეიქმნა. ეს იყო საბჭოთა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში 1927 წელს შექმნილი გართულება[2]. ტროცკისტებმა დაუყოვნებლივ სცადეს მისი გამოყენება. მათ მოაწყვეს ახალი თავდასხმა პარტიაზე. გამოვიდნენ ეგრეთ წოდებული „83-ის პლატფორმით", რომელსაც ხელს აწერდნენ გ. ევდოკიმოვი, გ. ზინოვიევი, ს. ქავთარაძე, ა. პეტროსიანი, ი. პიატაკოვი, კ. რადეკი, ლ. სერებრიაკოვი, ი. სმილგა, ს. თუმანოვი, ლ. ტროცკი და სხვები.

„83-ის პლატფორმა" იყო ყალბი, ფარისეველური, ნავარაუდევი პარტიისა და მუშათა კლასის მოსატყუებლად. ტროცკისტები და ზინოვიეველები სიტყვით პარტიის გათიშვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მხარს უჭერდნენ ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ამავე დროს აღნიშნული პლატფორმა სახელს უტეხდა პარტიასა და მის აპარატს.

„83-ის პლატფორმის" მონაწილენი ებრძოდნენ პარტიას საგარეო პოლიტიკის, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისა და სამეურნეო-ეკონომიური მშენებლობის საკითხებში. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს მთავარი საკითხები: ა) ჩინეთის რევოლუციის მდგომარეობისა და პერსპექტივის, ბ) ინგლისის მუშათა მოძრაობისადმი დამოკიდებულების, გ) ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის, დ) ქვეყნად კლასობრივ ძალთა თანაფარდობის, ე) ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური განვითარებისა და სხვ.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 21 ნოემბერი.

[2] ინგლისის კონსერვატორული მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა 1927 წლის 26 მაისს, საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის პ. ლ. ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში, საბჭოთა წარმომადგენლებზე და დაწესებულებებზე თავდასხმა პეკინში, ლონდონში და სხვ.

განვიხილოთ პარტიასა და ოპოზიციას შორის უთანხმოების ზოგიერთი საკითხი: „83-ის პლატფორმაში“ ლაპარაკი იყო აღდგენითი პერიოდის მიღწევებზე, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ აღდგენითი პერიოდის ბოლოსათვის დაისახა დიდი სიძნელეები. ეს სიძნელენი, რომლებიც აღმოცენდნენ საწარმოო ძალთა არასაკმაო განვითარებიდან, ჩვენი სამეურნეო ჩამორჩენილობიდან, ღრმავდებოდნენ, ოპოზიციონერთა აზრით, იმის გამო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მათ (ამ სიძნელეებს) თითქოს უმალავდა პარტიულ მასებს. პროლეტარიატის დიქტატურის ნამდვილი მდგომარეობის მარქსისტული ანალიზის ნაცვლად, მათი აზრით, პარტია სთავაზობდა თითქოს მცდარ „წვრილბურჟუაზიულ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ“, რომელსაც, ოპოზიციონერთა აზრით, „არაფერი ჰქონდა საერთო მარქსიზმთან, ლენინიზმთან“. ასეთ მდგომარეობას ოპოზიცია ხსნიდა იმით, რომ პარტიას თითქოს არ შესწევდა უნარი გაეგო მიმდინარე ეკონომიური პროცესების კლასობრივი შინაარსი. ამის გამო, მათი აზრით, პარტია ატარებდა არასწორ კლასობრივ პოლიტიკას, რაც თითქოს იწვევდა პროლეტარიატის დიქტატურისადმი მტრული კლასობრივი ძალების — კულაკის, ნეპმანისა და ბიუროკრატის ზრდას. ამ გარემოებას, მათი აზრით, ისიც უწყობდა ხელს, რომ, თითქოს, პარტია ჩქმალავდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესს და კურსს იღებდა „წელმაგარ გლეხობაზე“— კულაკობაზე, თითქოს ამცირებდა კულაკური საფრთხის მნიშვნელობას სოფლად. ყოველივე ეს, ოპოზიციის აზრით, იწვევდა ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის პოლიტიკურ პასივობას, და, თითქოს, პარტია არ ზრუნავდა მათი პოლიტიკური აქტივობის ზრდისათვის.

„83-ის პლატფორმის“ მონაწილენი ცილისმწამებლურ-დემაგოგიური ბრალდებებით ებრძოდნენ პარტიას სამეურნეო და ეკონომიური მშენებლობის საკითხებშიც. „83-ის პლატფორმაში“ პარტიას ბრალს დებდნენ ხელფასის ზრდის შეჩერებაში, უფრო მეტიც, მუშათა ზოგიერთი ჯგუფისათვის ხელფასის შემცირებაშიც კი. ისინი უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში შრომისნაყოფიერების კვალობაზე სამუშაო ხელფასის ზრდის ფაქტებს, ცილს სწამებდნენ პარტიას, თითქოს იგი მხარს უჭერდა სამუშაო ხელფასის ზრდას შრომის ინტენსივობის გაძლიერების საფუძველზე, ე. ი. პარტიას შემოუღია, მათი აზრით, ისეთი წესი, რომლითაც საბჭოთა კავშირში მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდებოდა არა მეურნეობის ზრდა-განვითარების კვალობაზე, არა ტექნიკის განვითარების შესაბამისად, არამედ მხოლოდ ინტენსიური შრომის, მეტი ფიზიკური ენერგიის ხარჯვის, მუსკულების მეტი დაჭიმვის შედეგად. აქედან ოპოზიცია ადვილად მივიდა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის

უარყოფამდე[1], ამით ოპოზიციამ შეაიარაღა ანტისაბჭოთა ძალები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

„83-ის პლატფორმა“ აბუჩად იგდებდა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებისათვის შინაგანი რესურსების მობილიზაციის ისეთ საშუალებას, როგორიც იყო მომჭირნეობის რეჟიმი. ოპოზიციას სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების არც საბჭოთა პოლიტიკა მოსწონდა[2].

ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთავის აღსანიშნავად პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო მანიფესტი, რომელშიც აღნიშნული იყო შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლა. ხალხის მიერ მოწონებული მანიფესტის წინააღმდეგ გამოვიდა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია, რითაც გამოააშკარავა თავისი პოლიტიკის ანტიხალხური არსი.

„83-ის პლატფორმის“ შემდეგ აღსანიშნავია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეტანილი ოთხეულის (ზინოვიევის, კამენევისა და სხვათა) განცხადება, რომელმაც შემდეგში „ოთხეულის ფრაქციული პლატფორმის“ სახელი მიიღო. „ოთხეულის პლატფორმა“ პარტიას ებრძოდა: ა) საშუალო გლეხისადმი დამოკიდებულების, ბ) კოოპერაციისა და სახელმწიფო კაპიტალიზმის, გ) სოფლის ფენებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის, დ) ახალი ეკონომიური პოლიტიკის საერთო შეფასებისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხებში.

„ოთხეულის პლატფორმას“ წერილობით გასცეს პასუხი პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ი. ბ. სტალინმა, ფ. ძერჟინსკიმ, მ. კალინინმა, ვ. კუიბიშევმა, ი. რუძუტაკმა და სხვ.[3].

„ოთხეულის პლატფორმა“ ბრალს დებდა პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს სოფლად კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თითქოს „ქედს იხრიდა კულაკის „წინაშე“ და თითქოს პარტია მიჰყავდა „კულა-

---

[1] ამასთან დაკავშირებით, ტროცკისტულმა ოპოზიციამ შემდეგში, 1928 წელს, როდესაც მიმდინარეობდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია, მუშათა შორის გაავრცელა პროკლამაცია, სადაც წერდნენ: «Надо разяснить антипролетарский характер т. н. «ударников», т. е. группы рабочих, которые за особо-высокую плату обязуются поднимать вверх норму выработки... Разъяснить всем и каждому, что это есть «потогонная» система крайней эксплуатации рабочих» (ПА ГФ ИМЛ при ЦК КПСС, ф, 14, оп. I, ч. II, д. 2760, л. 12). ასეთი დემაგოგიით ცდილობდნენ ტროცკისტები მუშათა კლასის ამხედრებას კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მუშათა კლასი ოპოზიციის ყველა ასეთ გამოსვლას ახალი შრომითი აღმავლობით პასუხობდა.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. II, საქ. 2267, ფურც. 110 — 119.

[3] იქვე, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 25 — 52.

კური გადაგვარებისაკენ". „ოთხეული", ყოველმხრივ აზვიადებდა კულაკის როლს სოფლად და ამცირებდა საშუალო გლეხობის როლს. ზინოვიევისათვის „შეძლებული გლეხი იყო კულაკი". გოლენდო კი პრესაში ამტკიცებდა, რომ სასაქონლო პურის 61 პროცენტი გლეხობის ამ მესამე ფენის, შეძლებული გლეხობის — კულაკობის ხელშია და ამავე დროს, პანიკით მოცული წერდა, რომ პურზე ფასების მოსალოდნელი დაცემის წინაშე ვდგევართო. ამის გამო თავიანთ პასუხში ი. ბ. სტალინი, ფ. ძერჟინსკი, ვ. კუიბიშევი და სხვები წერდნენ: „თუ ზინოვიეველთა კულაკის ხელშია თავმოყრილი სასაქონლო პურის 61 პროცენტი, მაშინ პურზე მაღალი ფასების პოლიტიკა აშკარა ჯილდოა კულაკობისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის ძირითადი მასების საზიანოდ. ვისთვის იღვწვიან ამხანაგები კამენევი, ზინოვიევი და გოლენდო? ვისთვის უნდათ მათ მაღალი ფასები პურზე? გოლენდოს მიხედვით კულაკისათვის, ე. ი. კულაკთან კავშირისათვის"[1].

ამრიგად, კულაკის ინტერესებს ფაქტიურად „ოთხეულის პლატფორმა" და მისი სულისჩამდგმელები — ზინოვიევი და კამენევი — იცავდნენ და არა ლენინური ცენტრალური კომიტეტი. ზინოვიევის აზრით, „ხალხი" (ე. ი. გლეხობა, ხალხის უმრავლესობა) ოცნებობდა „თანასწორობაზე" და რომ „ხალხის" ამ მისწრაფებას პარტია უნდა ჩაუდგესო სათავეში. ამის წინააღმდეგ გარკვევით იყო ნათქვამი „ოთხეულის პლატფორმის" საპასუხოდ შედგენილ წერილში: „არაფერი ამის მსგავსი. ისინი ოცნებობენ... ინდივიდუალური მეურნეობის გაფართოებაზე, მუშებისა და გლეხების ყველა უფლებათა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გათანაბრებაზე. ეს არის კლასობრივი სიმართლე, და საერთოდ არა ის, რასაც ამბობს ზინოვიევი. პარტია სოციალიზმამდე მიიყვანს გლეხობას, არა იმიტომ, რომ „ჩვენს დღეებში" გლეხობას სწყურია სოციალიზმი, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნად ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა ობიექტური გადახლართვა, პარტიის სწორი პოლიტიკის პირობებში ქმნის, ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც გლეხობა ჩაბმული იქნება სოციალისტურ მშენებლობაში, მიუხედავად თავისი კერძო-სამეურნეო მოტივებისა, მიზნებისა, მისწრაფებებისა". ასეთივე ამომწურავი პასუხია გაცემული ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხებზეც[2].

პარტიის ლენინური ერთიანობის წინააღმდეგ ტროცკი გამოვიდა 1927 წლის მაისში კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VIII პლენუმზე. პლენუმმა ტროცკის გამოსვლა ერთხმად

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 25 — 52.
[2] იქვე, 37—52.

დაახასიათა, როგორც ანტიპარტიული. ამავე 1927 წლის 27 ივნისს „საპრონოვის ჯგუფმა“ განცხადება შეიტანა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 15 კაცის ხელის მოწერით („15-ის პლატფორმა“). ამ პლატფორმის მონაწილენი სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათ პარტიის XIII კონფერენციის მიერ აღებული კურსი სამრეწველო საქონლის ფასების დაკლებაზე მიაჩნდათ „წვრილი ბურჟუაზიის უტოპიური მოთხოვნისადმი დათმობად“. აბუჩად იგდებდნენ აგრეთვე პარტიის ლოზუნგს ხელფასის მომატების შესახებ, ხელფასის ზრდის ფაქტორთა შორის ვერ ხედავდნენ ან არ სურდათ დაენახათ სხვა ფაქტორი, გარდა შრომის ინტენსიფიკაციისა, შრომის ანაზღაურების საბჭოურ პრინციპს აცხადებდნენ წმინდა კაპიტალისტურ პრინციპად, და მოითხოვდნენ ხელფასის გათანაბრებას[1]. მომჭირნეობის რეჟიმი, მათი აზრით, გადაიქცა „მუშაზე დაწოლის“ რეჟიმად. ილაშქრებდნენ წარმოებაში ადმინისტრაციის როლის ზრდის წინააღმდეგ და მუშათა კლასსა და პროფესიულ ორგანიზაციებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ, ფაქტიურად მოითხოვდნენ გაფიცვების თავისუფლებას. უმუშევრობის ლიკვიდაციის მიზნით გადაჭრით მოითხოვდნენ ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარებას, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, და საერთოდ, ეკონომიური პოლიტიკის შეცვლას.

„15-ის პლატფორმის“ მონაწილეთა აზრით, პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ზღუდავდნენ პროლეტარიატის აქტივობას და ავითარებდნენ ანტიპროლეტარული მასების აქტივობას, მათივე აზრით, „საბჭოების გამოცოცხლების“ ლოზუნგი წარმოადგენდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარებას, ამიტომ ისინი მას ცვლიდნენ „საბჭოების აღდგენის“ ლოზუნგით[2].

„15-ის პლატფორმის“ მონაწილეთა ასეთმა გამოსვლამ ვერ შეანელა პარტიის ყურადღება 1927 წლის მაისში კომინტერნის აღმასკომის VIII პლენუმზე ტროცკის ანტიპარტიული გამოსვლისადმი, პირიქით, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველგან განიხილეს ტროცკის ეს გამოსვლა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენ-

---

[1] შრომის ანაზღაურების აი როგორ პრინციპს სთავაზობდნენ პარტიას „15-ის პლატფორმის“ მონაწილენი, როდესაც წერდნენ: «Нужно отбросить совершенно реакционное рассуждение о том, что повышение зарплаты может производиться лишь в результате повышения производительности труда. Повышение уровня жизни рабочего само является одним из важных факторов производительности труда и потому должно не следовать за производительностью труда, а постоянно предшествовать ей» (ПА ГФ ИМЛ при ЦК КПСС, ф. 14, оп. I, ч. II, д. 2267, л. 307). სამუშაო ხელფასისა და შრომისნაყოფიერების ურთიერთობა გაუგებარი დარჩენილა პლატფორმის მონაწილეებისათვის.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 303 — 312.

ტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივნისის გაერთიანებულ პლენუმზე ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მიხა ცხაკაია. პლენუმმა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი ტროცკის, რომელმაც აშკარად დაარღვია პარტიული დისციპლინის დაცვის თაობაზე 1926 წლის 16 ოქტომბერს ნაკისრი ვალდებულება, ცენტრალური კომიტეტის წევრობიდან გარიცხვის შესახებ. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ადგილობრივი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მ. ოკუჯავას ანტიპარტიული გამოსვლის საკითხიც. მ. ოკუჯავამ, როგორც ცნობილია, დაარღვია რა 1926 წლის ივნისში ნაკისრი ვალდებულება, კვლავ გამოვიდა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე პარტიის ლენინური კურსის წინააღმდეგ. პლენუმმა მ. ოკუჯავას ეს გამოსვლა შეაფასა როგორც დანაშაულებრივი ქმედობა და გარიცხა ის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან, დააყენა საკითხი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე მ. ოკუჯავას სამხარეო კომიტეტის შემადგენლობიდანაც გარიცხვის შესახებ [1]. ამ დადგენილების მიღების შემდეგ, 22 ივნისს მ. ოკუჯავამ მიმართა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს წერილობით, სადაც, ნაცვლად საკუთარი შეცდომების შეგნება-მონანიებისა, დიდი მონდომებით ცდილობდა გაემართლებინა ტროცკისა და ზინოვიევის ანტიპარტიული საქმიანობა [2].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის საკითხი განიხილა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა 1927 წლის ივლის-აგვისტოში. პლენუმმა მოისმინა გ. ორჯონიკიძის მოხსენება და 9 აგვისტოს მიიღო ვრცელი რეზოლუცია „ზინოვიევისა და ტროცკის მიერ პარტიული დისციპლინის დარღვევის შესახებ". ამ რეზოლუციაში მოკლედ გადმოცემულია უკანასკნელ წლებში ტროცკისტულ ოპოზიციასთან პარტიის ბრძოლის ისტორია. ამასთან ერთად, აქ გამართულმა კამათმა პლენუმი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე:

1. ოპოზიცია (ტროცკი, ზინოვიევი) ისეა დაბრმავებული ფრაქციულობით, რომ დგება გზაზე, რომელსაც იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში ის მიჰყავს სსრ კავშირის უცილობელი და უსიტყვო დაცვის წინააღმდეგ. ამასთან, ოპოზიცია ცდილობს ეს მცდარი ხაზი იმით დაასაბუთოს, თითქოს კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები თერმიდორიანელები არიან და ამის გამო, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ამ ორგანოების შეცვლა, რათა შემდეგ

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2250, ფურც, 96, 97.
[2] იქვე, საქ. 2264, ფურც. 6 — 12.

მოეწყოს სსრ კავშირის თავდაცვა (ტროცკის თეზისი კლემანსოს შესახებ)[1]. 2. ოპოზიცია დგება კომუნისტური ინტერნაციონალის პირდაპირი გათიშვის გზაზე. 3. ოპოზიცია დგება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ ახალი პარტიის შექმნის გზაზე, პარტიის აშკარა გათიშვის გზაზე[2].

ყველა ეს დებულება, რომელიც დაადასტურა პლენუმმა, პარტიას აყენებდა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გამოეყენებინა ოპოზიციის წინააღმდეგ პარტიის ერთიანობის შესახებ X ყრილობის მიერ მიღებული ლენინური დადგენილება, რომელიც ავალებდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს პარტიის აშკარა გამთიშველებისა და დეზორგანიზატორების პარტიიდან გარიცხვას. მაგრამ პარტია ამ ნაბიჯს არ დგამდა, ჯერ კიდევ მოელოდა, რომ ოპოზიციის ლიდერები გამოასწორებდნენ თავიანთ შეცდომებს და დაკმაყოფილდა წინადადებით ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ ტროცკი და ზინოვიევი ცენტრალურ კომიტეტში, წინადადება მისცეს მათ მიეღოთ რამდენიმე ელემენტარული პირობა, რომლებიც სავსებით სავალდებულო იყო პარტიის წევრისათვის და აუცილებელი პარტიაში მშვიდობის დასამყარებლად. სახელდობრ: 1. ომის საფრთხის წინაშე ტროცკის ნახევრად პორაჟენცული თეორიის (ტროცკის თეზისი კლემანსოს შესახებ) უარყოფა, პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების თერმიდორული გადაგვარების შესახებ ოპოზიციური ცილისწამების დაგმობა; 2. კომინტერნის გათიშვის პოლიტიკის უარყოფა. კომინტერნის ყველა გადაწყვეტილების განხორციელება; 3. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) გათიშვის პოლიტიკის უარყოფა, მეორე პარტიის შესაქმნელად მიმართული ცდების დაგმობა, ფრაქციის დაშლა, პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილების განხორციელება[3].

ოპოზიციის ლიდერებმა, მიუხედავად პლენუმის დამთმობლობისა, უარი განაცხადეს აღნიშნული პირობების მიღებაზე. მაგრამ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პლენუმმა მიიღო რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ, ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, მიეღოთ ძირითადად აღნიშნული პირობები და გამოექვეყნებინათ სათანადო „განცხადება". ამასთან დაკავშირებით, პლენუმმა მოხსნა საკითხი ცენტრალური კომიტეტიდან ტროცკისა და ზინო-

---

1 „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 504.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 505 — 506.

ვიევის გარიცხვის შესახებ [1]. მიუხედავად ამისა, პლენუმს არ ჰქონდა მტკიცე საფუძველი დაეჯერებინა ოპოზიციის გულწრფელობა, მითუმეტეს აღნიშნული „განცხადება“ როდი იყო უშენიშვნოდ გამოქვეყნებული, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ ოპოზიცია ჯერ კიდევ არ იღებდა ხელს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ანონიმი ავტორის ერთი წერილი, რომელიც, პასუხობდა რა ამხანაგს შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს იგი პლენუმის მიერ ტროცკისა და ზინოვიევის დატოვებას ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, წერდა: „ტროცკისა და ზინოვიევის ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხვაზე უარის თქმა არის ოპოზიციის უდიდესი გამარჯვება და სტალინური ფრაქციის უკანდახევა. ოპოზიცია ამ „განცხადებაში“ ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მას არა აქვს განზრახვა დათმოს ერთი მტკაველიც კი უბრძოლველად, რომ არ წავა „დამპალ კომპრომისზე“, რომ არ დაუთმობს თავის ლენინურ პოზიციებს წვრილბურჟუაზიულ გარემოცვას“ [2]. ამ ტროცკისტული გამოხდომიდანაც კარგად ჩანს, რომ სრულიად მართებულად მოქცეულა პლენუმი, როდესაც დაავალა ოპოზიციას ფრაქციის დაუყოვნებლივი დაშლა, როდესაც მოუწოდა პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა წევრს ფრაქციულობის, ფრაქციული გამოსვლებისა და დაჯგუფებების აღსაკვეთად გადამწყვეტი ზომების მიღებისაკენ [3].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივლის-აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის შედეგები ფართოდ განიხილეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. ამ პლენუმის შედეგებს მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იმავე წლის 24 — 25 აგვისტოს გაერთიანებული პლენუმი. პარტიის ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა მამია ორახელაშვილი, ხოლო ადგილობრივი ოპოზიციის ანტიპარტიული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ანდრო დოლიძემ. პლენუმმა დაგმო ოპოზიციონერთა ანტიპარტიული საქმიანობა და მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ოპოზიციის დასაცავად გამოვიდა მხოლოდ ნ. აქირთავა [4].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის ივლის-აგვისტოს პლენუმის შედეგები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შემდეგ განიხილეს საოლქო, სამაზრო და სათემო პარტი-

---

1 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 506.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2271, ფურც. 5, 6.

3 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 508.

4 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2480, ფურც. 225—226.

ული ორგანიზაციების კრებებზე. 3 სექტემბერს აფხაზეთის სამაზრო კომიტეტთა მდივნების თათბირმა დაგმო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია და მხარი დაუჭირა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს გუდაუთის, გალისა და კოდორის მაზრების კომუნისტებმა, ძველი სენაკის, ახალქალაქის, აბაშის, ნოქალაქების, ლუქსემბურგის, დუშეთის, დიდიჭყონის, მარტვილისა და სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ივლის-აგვისტოს გაერთიანებული პლენუმის შემდეგაც არ წყვეტდნენ ოპოზიციონერები ფრაქციულ, არალეგალურ საქმიანობას. პირიქით, ადგილობრივმა ოპოზიციამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა. მან შექმნა თავისი არალეგალური ორგანიზაციები: ქუთაისში, ფოთში, სენაკში, შორაპანში და სხვ. ოპოზიციონერები კრეფდნენ პარტიის საწევრო ანარიცხებს, ჰქონდათ თავიანთი ტექნიკური აპარატი ვ. ცინცაძის, კ. იაშვილის, მ. სოლოვიანის, რ. გლადკოვისა და სხვათა შემადგენლობით. ამ აპარატის ფუნქციაში შედიოდა ანტიპარტიული, ტროცკისტული ლიტერატურისა და დოკუმენტების ბეჭდვა-გავრცელება[2].

ადგილობრივი ტროცკისტული ოპოზიცია შეეცადა კომკავშირული ახალგაზრდობის გადაბირებას. მას იმედი ჰქონდა, რომ მოატყუებდა პოლიტიკურ ბრძოლაში ნაკლებად გამოწრთობილ ახალგაზრდობას, მათ წინაშე ოპოზიციონერები მლიქვნელობდნენ კიდეც. მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირი მტკიცედ მიჰყვებოდა ბოლშევიკურ პარტიას[3].

1927 წლის 12 სექტემბერს აღმოაჩინეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ოპოზიციური ცენტრის ანტიპარტიული დოკუმენტები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ტროცკისტული არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია სასწრაფოდ (22 სექტემბერს) დაუგზავნა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

საქართველოს საქალაქო და სამაზრო პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მოხსენებით გამოდიოდნენ ი. რუძუტაკი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ნ. ლაკობა და სხვები. რესპუბლიკის პარტიულმა

---

[1] პარტიული არქივი, (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 1927, ფურც. 1 — 60, 89, 92.

[2] ლ. თ ო ი ძ ე. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (1926 — 1927 წწ.). (კრებ. „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", 1967, № 15, გვ. 90);

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 594 — 595.

ორგანიზაციებმა ერთხელ კიდევ დაგმეს ოპოზიციის გამთიშველი საქმიანობა.

1927 წლის 4 ოქტომბერს შედგა სოხუმის საერთო საქალაქო პარტიული კრება, რომელსაც დაესწრო პარტიის 410 წევრი და კანდიდატი, აგრეთვე 105 კომკავშირელი. კრების დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობა ტროცკისტული არალეგალური სტამბის აღმოჩენის შესახებ და 2. შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ი. რუძუტაკი. მოხსენების წინააღმდეგ გამოვიდნენ ს. მეძმარიაშვილი და ტოლკაჩევი. მაგრამ კრებამ სათანადო რეზოლუციით დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზი[1]. კრებაზე ჭარბად იყო ტროცკისტული ხასიათის შეკითხვები, ბევრი ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ იყო მიმართული. ერთ-ერთ ასეთ შეკითხვაზე ი. რუძუტაკმა უპასუხა: „ამხანაგი ლაპარაკობს, რომ უკეთესი იქნებოდა პარტიის ერთიანობის ინტერესებისათვის სტალინის მოხსნა გენერალური მდივნის პოსტიდან. ჩვენ ამას გავაკეთებდით, რომ მას შეეძლოს მშვიდობის უზრუნველყოფა პარტიაში, მაგრამ საქმე სტალინში როდია, არამედ ტროცკში, ზინოვიევში და კამენევში. სტალინი ერთხელაც არ წასულა უმრავლესობის წინააღმდეგ... ის ემორჩილება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. რატომ უნდა მოვხსნათ სტალინი, რომელიც ემორჩილება ცენტრალურ კომიტეტს და დავტოვოთ ტროცკი და ზინოვიევი, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს? სანამ სტალინს მოვხსნიდეთ, უნდა ვიკითხოთ, რისთვის მოვხსნათ იგი? თუ უხეშობისათვის, მაშინ მე მგონია, რომ ნაზი საინსტიტუტო განათლება ჩვენთან არავის მიუღია. ამიტომ მე ვფიქრობ ჩვენ უნდა ვუსმინოთ არა იმას, თუ როგორაა ნათქვამი, არამედ იმას, თუ რა არის ნათქვამი"[2].

ტროცკისტული ოპოზიციის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შემდეგ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს უკვე არაფერი დარჩენოდათ, გარდა გადამჭრელი ზომების მიღებისა ფრაქციონერთა წინააღმდეგ. 1927 წლის 19 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან მიიღო მითითება პარტიიდან ფრაქციონერთა გარიცხვის შესახებ[3]. მაგრამ ასეთ გადამწყვეტ ზომებს ფრაქციონერთა წინააღმდეგ აქ ჯერ კიდევ არ ღებულობდნენ, კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ პასუხსაგები თანამდებობებიდან მათი გადაყენებით, რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ გაგზავნით

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 1927, ფურც. 60.
[2] იქვე, საქ. 1967, ფურც. 57 — 58.
[3] იქვე, საქ. 2264, ფურც. 1.

და სხვ.[1]. მიუხედავად ამისა, ყველა ამ ღონისძიებას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ოპოზიცია.

ასეთ დაძაბულ შინაპარტიულ ვითარებაში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა 1927 წლის 27 სექტემბერს პარტიის ყველა წევრს და კანდიდატს, პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს, მიმართეს წერილით, რომელშიც საბოლოოდ ამხილეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მტრული ხასიათი. ამ წერილში აღნიშნულია, რომ ოპოზიცია არა მარტო დაეშვა ბურჟუაზიული დემოკრატიის პოზიციებზე, არამედ იგი უფრო აღრმავებს ტროცკის თეზისს კლემანსოს შესახებ[2], რომ ოპოზიცია არა მარტო დაადგა მეორე პარტიის შექმნის გზას, არამედ იგი სსრ კავშირის აშკარა მტრების დაცვის გზასაც დაადგა, რომ მან, ოპოზიციამ, მეორეჯერაც მოატყუა პარტია, როდესაც უხეშად დაარღვია თავისი 8 აგვისტოს „განცხადება" და ბოლოს, შეჯამებულია რა ყოველივე ეს, ცენტრალური კომიტეტის წერილში ნათქვამია: „ამრიგად, ოპოზიცია ამხელს თავის თავს, როგორც ძალას, რომელიც ობიექტურად ეხმარება ჩემბერლენსა და ბრიანს ძირი გამოუთხარონ პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმს"[3].

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებამ მეტისმეტად შეაშფოთა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები. მათ 1927 წლის 13 ოქტომბერს საპროტესტო წერილით მიმართეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს „83-ის პლატფორმაზე" ხელის მომწერთა წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღების გამო და მოითხოვეს პარტიული ორგანოების საარჩევნო კამპანიის შედეგების გაუქმება და ხელახალი არჩევნების ჩატარება, რომელიც თითქოს უზრუნველყოფდა ოპოზიციონერთა წარმატებას. ამასთან ერთად არ დაერიდნენ ცილისწამებასა და შეურაცხყოფას პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მისამართით. აი რას წერდნენ ისინი: „ჩვე-

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1927 წლის 13 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ნ. აქირთავას საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის კონტროლიორად როსტოვში და ასეთივე თანამდებობაზე ხარკოვში ლ. დუმბაძის დანიშვნის შესახებ (პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2254, ფურც. 383).

[2] ტროცკის განუცხადებია, რომ იმპერიალისტური ომის დროს საფრანგეთის მთავრობაში იყვნენ მერყეები ადამიანები. მაშინ მოვიდა კლემანსო და, როცა გერმანელები პარიზს 70 კილომეტრით მიუახლოვდნენ, მან დაამხო მთავრობა და ხელში აიღო ძალაუფლება. იგივე უნდა გავაკეთოთო ჩვენ, როდესაც მტერი მიუახლოვდება 70 კილომეტრით მოსკოვს (ი. რუძუტაკის მოხსენებიდან სოხუმის საქალაქო პარტიულ კრებაზე 1927 წლის 4 სექტემბერს).

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 201.

ნი პარტიის ხელმძღვანელი სტალინური ფრაქცია უფრო და უფრო შორდება ლენინიზმს თავის პოლიტიკაში. უფრო და უფრო დაჟინებით ცვლის ლენინური იდეების რევოლუციურ აზრს სტალინშჩინის წვრილბურჟუაზიული ცენტრისტული შინაარსით"[1]. ამ დოკუმენტზე ხელს აწერდა 15 ოპოზიციონერი: მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, ა. თუმანოვი, რ. ჯღამაძე, დ. ლორთქიფანიძე, ნ. აქირთავა, ბ. კალანდაძე, ლ. მიროტაძე, კ. ოკუჯავა, გ. ლაფანაშვილი, პ. გაზარიანი, ნ. რ. კიკნაძე და სხვ.

ოპოზიციონერები არ დაჯერდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა შეურაცხყოფას, მეორე დღესვე, 14 ოქტომბერს განცხადება შეიტანეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კოტე ცინცაძის ხელისმოწერით. ისინი პოლიტიკურ უნდობლობას უცხადებდნენ საქართველოს მთავრობისა და პარტიის, ქართული პრესისა და კულტურულ დაწესებულებათა, თითქმის მთელ მაშინდელ ხელმძღვანელობას. განცხადების ავტორი „გუშინდელ ფედერალისტთა" შორის ასახელებდა ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. კახიანს, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს შ. ელიავას, ა. ურუშაძეს, ა. გიორგაძეს, ს. მამულიას, გ. მუშიშვილს, ა. თათარაშვილს, თ. ღლონტს, ნ. მიწიშვილს, კ. ჟოჟიკაშვილს და სხვებს[2]. ამით ადგილობრივ ოპოზიციას სურდა ერთადერთ ჭეშმარიტ პროლეტარულ რევოლუციონერებად დაესახათ თავიანთი თავი, რომელთა ჩამოშორება ხელისუფლების ორგანოებისაგან, მათი აზრით, რევოლუციის მონაპოვართა განწირვა, პარტიისა და ხელისუფლების თერმიდორიანული გადაგვარება იქნებოდა.

ადგილობრივი ოპოზიციის 13 ოქტომბრის განცხადების საპასუხოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს 19 ოქტომბერს დაუგზავნა მიმართვა, სადაც საფუძვლიანადაა მხილებული ოპოზიციონერთა განცხადების ნამდვილი აზრი[3].

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერთა ერთმა ჯგუფმა (ლ. დუმბაძე, ბ. კალანდაძე, ნ. აქირთავა და კ. ოკუჯავა) იმავე 19 ოქტომბერს ახალი „განცხადება" შეიტანა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიიღეს ცენტრალური კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის მოწერილობა ახალ სამუშაო ადგილებში დაუყოვნებლივ გამგზავრების შესახებ. ოპოზიციონერები თავიანთ განცხადებაში ამ ფაქტს ადარებდნენ „პოლიტიკურ გასახლებას", და შემდეგ, ისევ ძველი ბრალდებებით თავს ესხმოდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, და პირადად ი. ბ. სტალინს. მათი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2265, ფურც. 64.

[2] იქვე, ფურც. 69 — 75.

[3] იქვე, საქ. 2254, ფურც. 411 — 412.

აზრით, „სტალინის ფრაქციამ“, თითქოს მთელი რიგი ზიანი მიაყენა პროლეტარიატს. მათ შორის ისინი ასახელებდნენ: ჩინეთის რევოლუციის დამარცხებამდე მიყვანას, ერთიანი ფრონტის ტაქტიკით სერიოზული დარტყმების მიყენებას საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, სოფლად კულაკობის ზრდას და ღარიბთა ხვედრითი წონის შემცირებას, სახალხო მეურნეობაში კერძო კაპიტალის ზრდას და ეროვნულ შემოსავალში მუშათა კლასის წილის შედარებით შემცირებას, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, უმუშევრობის ზრდას, თერმიდორიანული ძალების გამოცოცხლებას, პროლეტარიატის პოზიციების შესუსტებას, პარტიის შიგნით მემარჯვენე ფრთის გაძლიერებასა და მემარცხენე ფრთის დასუსტებას, პარტიის დაყენებას განხეთქილების საფრთხის წინაშე [1]. ასეთივე „განცხადება“ შეიტანეს მათ 21 ოქტომბერს პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტშიც [2].

ტროცკისტული ოპოზიცია, სისტემატურად არღვევდა რა პარტიის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, „მესამე ძალისადმი“, უპარტიო მასებისა და საბჭოთა წყობილების მტრებისადმი მიმართვის გზას დაადგა. ამიტომ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1927 წლის ოქტომბრის გაერთიანებული პლენუმი იძულებული გახდა 23 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გაერიცხა ტროცკი და ზინოვიევი [3]. იმავე პლენუმმა მიიღო დადგენილება პარტიის XV ყრილობის დღის წესრიგის საკითხებზე, კერძოდ, პირველი ხუთწლიანი გეგმის თეზისების გამოქვეყნებისა და მათზე საერთოპარტიული დისკუსიის გაშლის შესახებ [4].

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, ისე როგორც ყველგან, ნოემბრის პირველი რიცხვებიდანვე დაიწყო საერთო პარტიული დისკუსია, რაც ოპოზიციას არაფერს სასიკეთოს არ უქადდა. ოპოზიციონერებმა გადაწყვიტეს მიემართათ „მესამე ძალისადმი“. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთავის დღეს ტროცკისტებმა ანტისაბჭოთა გამოხდომა მოაწყვეს. მასების მძლავრი დემონსტრაციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ლენინიზმის ლოზუნგებით მიმდინარეობდა, ერთმა მეჭა ტროცკისტებმა ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის მეთაურობით უხეშად დაარღვიეს საბჭოთა კანონები და მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებში გამოვიდნენ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ლოზუნგებით“[5].

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 2265, ფურც. 74 — 77.

2 იქვე, ფურც. 83.

3 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 557.

4 იქვე, გვ. 555 — 556.

5 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, გვ. 551.

ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერებმა „მესამე ძალაზე“ მიმართვით ფაქტიურად პარტიის გარეშე დააყენეს თავიანთი თავი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გარიცხეს ტროცკი და ზინოვიევი. ოპოზიციის საკითხი განსახილველად გადაეცა პარტიის XV ყრილობას.

კრებებზე კომუნისტები იხილავდნენ არა მარტო პირველი ხუთწლიანი გეგმის, არამედ XV ყრილობის დღის წესრიგის საკითხებსაც, მათ შორის ტროცკისტული ოპოზიციის, პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის საკითხებს. ამ დისკუსიაში პარტიულმა მასებმა გამოავლინეს მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება. ეს აშკარად ჩანს დისკუსიის მასალებიდან, რომლებსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღებულობდა სამაზრო პარტიული ორგანიზაციებიდან საერთო-პარტიული დისკუსიის შედეგების შესახებ.

1927 წლის 18 ნოემბერს სოხუმის ქალაქის პარტაქტივის კრებამ მოისმინა ვ. ლადარიას მოხსენება ოპოზიციის ლიდერთა უკანასკნელი გამოსვლისა და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. კრებამ მოიწონა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და მხარი დაუჭირა ადგილობრივი ოპოზიციის მონაწილეთა გარიცხვას პარტიის რიგებიდან[1].

თელავის სამაზრო კომიტეტი თეზისების განხილვას შეუდგა 8 ნოემბრიდან. ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში მომხსენებლებად იგზავნებოდნენ სამაზრო პარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც პარტიის ყველა წევრსა და კანდიდატს თავისუფალ პირობებს უქმნიდნენ საკუთარი აზრის გამოთქმისათვის განსახილველი საკითხების გარშემო. თელავის მაზრაში მთლიანად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და დაგმეს ოპოზიციონერთა ანტიპარტიული საქმიანობა[2]. წარმატებით ჩატარდა დისკუსია გურიის პარტიულ ორგანიზაციებშიც, აქ ოპოზიციას მხარი დაუჭირა პარტიის წევრ-კანდიდატთა მხოლოდ 4,4 პროცენტმა, ანუ 34 კაცმა[3]. ფოთის რაიონში სადისკუსიო კრებებს ესწრებოდა პარტიული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 62,2 პროცენტი, ანუ 474 კაცი. ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ერთმა კაცმა, პარტიის თეზისებს კი ხმა მისცა ყველა კომუნისტმა. ფოთის რაიონში დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სულ 6 ოპოზიციონერმა, მაგრამ ბოლოს ისინიც

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 1967.

[2] იქვე, ფურც. 2.

[3] იქვე, ფურც. 64.

საერთო ერთსულოვნების გამო იძულებული გახდნენ სმა მიეცათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებისათვის [1].

სენაკის პარტიულ ორგანიზაციებში დისკუსია დაიწყო 9 ნოემბრიდან და დასრულდა 26 ნოემბერს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების წინააღმდეგ არც ერთ კომუნისტს და არც ერთ ოპოზიციონერს არ მიუცია ხმა. ყველგან იწონებდნენ თეზისებს და პარტიის კურსს ოპოზიციის მიმართ. ასე მაგალითად, 15 ნოემბერს ბანძის თემის (სენაკის მაზრა) პარტორგანიზაციის კრებამ, რომელსაც ესწრებოდა პარტიის 23 წევრი და კანდიდატი და 8 კომკავშირელი, მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები და დაგმო ოპოზიციის ანტისაბჭოთა საქმიანობა[2]. ასეთივე ვითარება იყო მთლიანად სენაკის მაზრაში, რასაც ადასტურებს სამაზრო კომიტეტის მდივნის ს. მამულიას მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი [3].

1927 წლის 16 ნოემბერს შედგა ქუთაისის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელსაც 511 კაცი დაესწრო. მოხსენება „ოპოზიციონერთა მუშაობისა და ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ“ გააკეთა ი. გვასალიამ. კრებამ მოიწონა ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვა პარტიიდან. ამავე კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება პარტიიდან ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის, ნ. აქირთავას, ნ. ოკუჯავასა და ნ. კიკნაძის გარიცხვის შესახებ. ამასთანავე მოითხოვა პარტიიდან მ. ოკუჯავას, კ. ცინცაძის, დ. ლორთქიფანიძის, ლ. მიროტაძის, რ. ჯღამაძის, ს. თუმანოვის, გ. ლაფანაშვილის, პ. გაზარიანისა და პ. ვირაპის გარიცხვა [4].

დუშეთის მაშინდელი სამაზრო კომიტეტის მდივნის ვ. ბაქრაძის ცნობით საერთო-პოლიტიკური დისკუსია მაზრაში დაიწყო 10 ნოემბრიდან და დამთავრდა 28 ნოემბრისათვის. დუშეთის პარტიული ორგანიზაციის გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა ვ. ბაქრაძისა და გ. კარანაძის მოხსენებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესახებ — პირველი ხუთწლიანი გეგმისა და სოფლად მუშაობის საკითხებზე. კრებამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის თეზისები და დაგმო ტროცკისტული კონტრთეზისები [5]. დისკუსიის მიმდინარეობამ და მისმა შედეგებმა აჩვენეს, რომ მაზრაში „უჯრედების იდეური შეკავშირება საკმაოდ მტკიცეა

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1967, ფურც. 80.

2 იქვე, ფურც. 94.

3 იქვე, ფურც. 94 — 118.

4 იქვე, ფურც. 134 — 135.

5 იქვე, ფურც. 203.

და რამდენადმე შესამჩნევ ოპოზიციურ განწყობილებას უჯრედებში, და საერთოდ, ორგანიზაციაში ადგილი არა აქვს. ის ფაქტი, რომ 291 კომუნისტიდან, რომელნიც დაესწრნენ კრებებს, მხოლოდ 6 კომუნისტმა მისცა ხმა ცენტრალური კომიტეტის თეზისების წინააღმდეგ... აშკარა დამამტკიცებელია ორგანიზაციის იდეური სიმტკიცისა" [1].

დუშეთის პარტიულ ორგანიზაციაში იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც პარტიულ კრებაზე წამოყენებულ იქნა ტროცკისტული ოპოზიციისადმი შემრიგებლური რეზოლუცია, ეს იყო სოფელ ნატახტრისა და მისაქციელის გაერთიანებულ პარტიულ კრებაზე [2]. ეს რეზოლუცია, ვ. ბაქრაძის ცნობით, უარყვეს „ყველა ხმებით, ორის წინააღმდეგ" [3].

საქართველოში პარტიული დისკუსიის მიმდინარეობის დროს პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები განიხილა 591 პირველადმა ორგანიზაციამ, სოფლად მუშაობის საკითხი — 586 პირველადმა ორგანიზაციამ, პირველი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების განხილვისადმი მიძღვნილ პარტიულ კრებებს ესწრებოდა 18 869 კომუნისტი, აქედან კამათში მიიღო მონაწილეობა 1707 კომუნისტმა. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისებს მხარი დაუჭირა მოკამათეთაგან 1506 კომუნისტმა (88,3 პროც.), ოპოზიციონური ცენტრის თეზისებს — 201 კაცმა (11,7 პროც.). კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 733 კომუნისტმა. აქედან პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს მხარი დაუჭირა 16 381 კომუნისტმა (97,9 პროც.), ოპოზიციური ცენტრის თეზისებს — 272 კაცმა (1,6 პროც.). სოფლად მუშაობის საკითხების განხილვისას ოპოზიციამ ძლივს მოაგროვა ხმების 1,6 პროცენტი [4].

ამრიგად, საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, „სადისკუსიო კრებებმა ცხადყო პარტიის წევრთა პოლიტიკური სიმწიფე, მათი დარაზმულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო... ანტიპარტიული ბლოკი სასტიკად დამარცხდა. გ ა ი მ ა რ ჯ ვ ა პ ა რ ტ ი ი ს ლ ე ნ ი ნ ურ მ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა მ" [5]. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1927 წლის 12 — 19 ნოემბერს. ყრილობა კომუნისტური ინტერნაციონალისადმი გაგზავნილ მისალმებაში აღნიშნავდა: „ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკების V ყრილობის დელეგატები, ვაცხადებთ, რომ მტკიცედ ვდგავართ ლენინის მიერ ნაჩვენებ გზაზე, მუდამ მზად ვართ იმ დიდი საქმის ყოველმხრივი დახმარებისათვის, რომელსაც კომუნისტური

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 1967, ფურც. 163.

[2] იქვე, ფურც. 204.

[3] იქვე, ფურც. 163.

[4] „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", 1967, № 15, გვ. 96.

[5] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", გვ. 503.

ინტერნაციონალი და მისი მოწინავე რაზმი — საკავშირო კომუნისტური პარტია ახორციელებს.

ყველა მათ, ვისაც სურს ლენინიზმი შესცვალოს ტროცკიზმით, ვინც ლამობს მსოფლიო რევოლუცია ოპორტუნისტულ ჭაობში ჩააღრჩოს... ჩვენ ვეუბნებით: „ჩვენ და თქვენ ერთი გზა არა გვაქვს, ჩამოდექით კომინტერნის მებრძოლი რაზმების გზიდან“ [1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობამ სერიოზული დარტყმები მიაყენა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ანტიპარტიულ ბლოკს, განსაკუთრებით კი ადგილობრივ ოპოზიციას. ყრილობამ პარტიიდან გარიცხა ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერები: კ. ცინცაძე, ა. თუმანოვი, პ. გაზარიანი, დ. ლორთქიფანიძე, რ. ჯღამაძე, გ. ლაფანაშვილი, ლ. მიროტაძე და სხვ. პარტიის ცენტრალურ ორგანოებს დაავალა ყოველგვარი ჯგუფებისა და ფრაქციების დასაშლელად გადამჭრელი ზომების მიღება.

ადგილობრივი ოპოზიცია მაინც არ ყრიდა იარაღს. მას ამხნევებდა ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერთა აქტიური ბრძოლა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. ასე მაგალითად, 1927 წლის 11 ნოემბერს ტროცკმა და ზინოვიევმა განცხადებით მიმართეს პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს. ამ განცხადებაში ისინი პროტესტს აცხადებდნენ პარტიიდან მათი XV ყრილობამდე გარიცხვის გამო [2].

1927 წლის 14 ნოემბერს ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ლიდერებმა და აქტიურმა მონაწილეებმა ახალი განცხადებით მიმართეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. ისინი კვლავ აცხადებდნენ პროტესტს ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის გამო. მოსალოდნელ დაპატიმრებებთან დაკავშირებით ისინი წერდნენ, რომ ასეთი ღონისძიებები ვერ დააფრთხობს ოპოზიციას, ხელს ვერ ააღებინებს საკუთარ შეხედულებათა დაცვაზე. „ვერავითარი რეპრესიები... — წერდნენ ისინი, — ვერ გვაიძულებენ ჩვენ უკან დავიხიოთ ჩვენი პრინციპული პოზიციებიდანო“ [3]. ამ განცხადებაზე ხელი მოუწერია ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევს, ლ. კამენევს, გ. ევდოკიმოვს, ი. სმილგას, კ. რადეკს, ს. ქავთარაძეს და სხვებს, სულ 31 კაცს.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის ხელმძღვანელთა აღნიშნული ორივე განცხადების ასლი საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მისი პოლიტბიუროსა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ერთობლივი პასუხით დაუგზავნა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცი-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) V ყრილობა“, (სტენ. ანგარიში), 1927, გვ. 1 — 2.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 15—16.

[3] იქვე, ფურც. 20.

ების ხელმძღვანელ ორგანოებს, მათ შორის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ „პასუხ-შეტყობინებაში“ აღნიშნულია, რომ 7 ნოემბრის ტროცკისტული „დემონსტრაციის“ შემდეგ, 11 ნოემბერს პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ ოპოზიციის ლიდერებს წაუყენა მოთხოვნა: 1. დაუყოვნებლივ შეწყვიტონ არალეგალური, ანტიპარტიული კრებების მოწყობა, 2. დაუყოვნებლივ უარი თქვან შინაპარტიული დავის პარტიის გარეშე გატანაზე, ე. ი. უარი თქვან „მესამე ძალისადმი“ მიმართვაზე. მიუხედავად ამ მოთხოვნათა ელემენტარულობისა და პარტიის ყველა წევრისათვის უთუო სავალდებულობისა, მის შესრულებაზე ტროცკიმ და ზინოვიევმა უარი განაცხადეს და დემონსტრაციულად დატოვეს სხდომა. მას შემდეგ, რაც პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო დადგენილება, ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, მათ გამოგზავნეს ზემოთ აღნიშნული 11 ნოემბრის განცხადება, რომელშიც პარტიიდან XV ყრილობამდე მათი გარიცხვა მიჩნეულია დანაშაულად და მოითხოვდნენ პარტიაში დატოვებას XV ყრილობამდე. მაგრამ უკვე გვიან იყო. პარტიიდან მათი გარიცხვის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება, „საკდესის“ საშუალებით, უკვე მიღებული ჰქონდათ პრესის ორგანოებს.

ოპოზიციონერთა 14 — 15 ნოემბრის განცხადება გაჟღენთილი იყო ფრაქციული შეურიგებლობის, პარტიისადმი მტრობის სულისკვეთებით, სიტყვიერად მიდიოდნენ ნახევარკაპიტულაციამდე, რასაც პარტიამ მიაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავის რიგებიდან გააძევა ოპოზიციის ლიდერები — ტროცკი და ზინოვიევი. ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოპოზიციის 14 — 15 ნოემბრის განცხადება ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და დაურთო პარტიის XV ყრილობისათვის გადასაცემ მასალებს[1].

ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ადგილობრივმა ოპოზიციამ სერიოზული მარცხი განიცადა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების V ყრილობაზე (1927 წლის 21 — 25 ნოემბერი). აქ ტროცკისტებმა კვლავ დააყენეს საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ყრილობამ ამ საკითხშიც უკუაგდო მათი მოთხოვნა და აღიარა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანებაა, რომელიც მთლიანად შეესაბამებაო ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებს[2].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2267, ფურც. 11 — 14.

[2] «V съезд партийных организаций Закавказья» (Стеногр. отчет), Тб., 1928, стр. 285.

ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ სრული და საბოლოო მარცხი განიცადა პარტიის XV ყრილობაზე (1927 წლის 2 — 19 დეკემბერი). ყრილობამ, მოისმინა რა სპეციალური კომისიის მოხსენება, დაადასტურა:

1. რომ ოპოზიცია იდეოლოგიის დარგში ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადავიდა პროგრამული ხასიათის უთანხმოებაზე, რითაც იგი დაქანდა მენშევიზმის პოზიციისაკენ და გადაიქცა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად საბჭოთა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის დამხმარე რაზმად საზღვარგარეთ;

2. რომ ოპოზიციამ ტაქტიკურ დარგში გაამწვავა მუშაობა პარტიის წინააღმდეგ, გადალახა არა მარტო პარტიის წესდების ფარგლები, არამედ, საერთოდ, საბჭოთა ლეგალობის ფარგლებიც, რითაც იგი ფაქტიურად დადგა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის აშკარა მტრების გვერდით;

3. რომ ოპოზიცია ორგანიზაციული საკითხების დარგში ფრაქციული მუშაობიდან გადავიდა საკუთარი ტროცკისტული პარტიის შექმნაზე, ასეთმა ორგანიზაციულმა პრაქტიკამ ტროცკისტული ოპოზიცია მიიყვანა უპარტიო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებთან კავშირამდე, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მხრივ მხარდაჭერამდე[1]. ამის შემდეგ ყრილობამ შეუძლებლად ცნო ოპოზიციის მონაწილეთა დატოვება პარტიის რიგებში და მისი 75 აქტიური მონაწილე გარიცხა პარტიიდან, მათ შორის, ი. ბაკაევი, ი. ვარდინი, გ. ევდოკიმოვი, პ. ზალუცკი, ლ. კამენევი, ს. ქავთარაძე, მ. ლაშევიჩი, ნ. მურალოვი, ა. პეტერსონი, ი. პიატაკოვი, კ. რადეკი, ქრ. რაკოვსკი, ი. სმილგა, ი. ნ. სმირნოვი, ო. თარხანოვი, ე. ეშბა და სხვ. მათთან ერთად პარტიიდან გარიცხეს საპრონოვის ჯგუფი, როგორც აშკარა ანტირევოლუციური, სულ 23 კაცის შემადგენლობით[2].

პარტიის XV ყრილობამ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე გაეწმინდათ თავიანთი რიგები ტროცკისტული ოპოზიციის „ყველა აშკარად გამოუსწორებელი ელემენტებისაგან“ და ჩაეტარებინათ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ტროცკისტული ოპოზიციის რიგით მონაწილეებთან.

პარტიის XV ყრილობის დამთავრებიდან არ გასულა დიდი ხანი და ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციიდან დაიძრა განცხადებების ნაკადი, სადაც აღიარებდნენ ტროცკიზმთან კავშირის გაწყვეტას და თხოულობდნენ პარტიაში დაბრუნებას. მაგრამ პარტიას არ შეეძლო დაეჯერებინა მათთვის და ხელაღებით დაებრუნებინა ისინი ორგანიზაციაში. მათგან მსგავსი დაპირებები ბევრი სმენია პარტიას, მაგრამ ერთხელაც არ შეუსრულებიათ საკუთარი დაპირებანი, ამიტომ პარტიამ მათ მოსთხოვა სრული იდეური და ორგანიზაციული განიარაღება, საკუთარ შეხედულე-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 630 — 632.

[2] იქვე, გვ. 633.

ბათა აშკარად დაგმობა, როგორც ანტილენინური შეხედულებებისა, პარტიისა და მისი ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა დაცვა და ცხოვრებაში გატარება. ამასთან ერთად, განცხადების შემომტანისათვის დაწესდა ექვსი თვის გამოსაცდელი ვადა, რომლის გასვლის შემდეგ, თუ დარწმუნდებოდა პარტია, რომ განმცხადებელმა შეასრულა და ასრულებს ზემოაღნიშნულ პირობებს, დასვამდა საკითხს თითოეული განცხადების პერსონალურად განხილვის შესახებ.

გარიცხულთა უმრავლესობამ შეასრულა ეს ვალდებულებანი და აღადგინეს პარტიის წევრთა უფლებებში, მაგრამ, როგორც შემდგომმა ამბებმა ცხადყო, ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მოქმედება თვალთმაქცური იყო. ისინი პარტიაში დაბრუნდნენ იმავე პროვოკაციული მიზნით — შიგნიდან გაეხრწნათ პარტია, დაემხოთ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ხელთეგდოთ ხელმძღვანელობა პარტიაში და ჩაეშალათ სსრ კავშირში სოციალიზმის შენება.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის საქმიანობა კვლავ გრძელდებოდა, უფრო შენიღბულად, უფრო თვალთმაქცურად, მაგრამ არა მონოლითურად. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მონოლითურობა თავიდანვე იყო გამორიცხული, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და შეხედულების ადამიანთა უპრინციპო ბლოკისა. ამ ბლოკში თავი მოიყარა ყველა ანტილენინურმა ჯგუფმა თუ მიმდინარეობამ, მათ აერთიანებდა საერთო სიძულვილი ლენინიზმისადმი, ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი და მისი გენერალური მდივნისადმი — ი. ბ. სტალინისადმი, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობდა პარტიის ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის უპრინციპობა მაშინვე გამომჟღავნდა, როგორც კი სერიოზული მარცხი განიცადა ჯერ კიდევ პარტიის XV ყრილობამდე. ყრილობის შემდეგ ოპოზიციურ ბლოკში გაჩნდა ბზარი, რომელიც თანდათან იზრდებოდა, თუმცა მათ ერთხელ კიდევ შეძლეს გაერთიანება პარტიის წინააღმდეგ. კ. ცინცაძე ბახჩისარაიდან ტროცკისადმი 1928 წლის 17 მაისს მინაწერ ბარათში უკმაყოფილებას გამოთქვამდა „მათი სარუსეთო ლიდერების“ მოქმედების გამო, მათი „აუჩქარებლობისა“ და „ინდივიდუალიზმის“ გამო. ეს აღშფოთება, როგორც წერილიდან ჩანს, გამოუწვევია სარქისის განცხადებას, რომელიც, ცინცაძის აზრით, არის „არსებითად — სისულელე, ფორმით — საძაგლობა და საერთოდ კი რაღაც აბდაუბდა“. კ. ცინცაძე ზინოვიევსაც გადაწვდა თავის წერილში. იგი ადრესატს სწერდა: „თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება ზინოვიევისადმი საერთოდ: მე მას და მის მომხრეებს არ ვენდობი არც ერთი იოტით. ისინი უხერხემლო ხალხია ყოველმხრივ“[1]. მიუხედავად

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2271, ფურც. 79.

იმისა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციაში არსებობდა ასეთი „ნდობის ატმოსფერო“, ისინი მაინც ახერხებდნენ თავიანთი ძირგამომთხრელი, ფრაქციული მუშაობის გაგრძელებას გადასახლების ადგილებიდანაც კი. იგივე კ. ცინცაძე ყირიმიდან გ. ორჯონიკიძისადმი მოწერილ ბარათში ლაფში სვრიდა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საერთოდ პარტიის ლენინურ უმრავლესობას.

აღნიშნული ბარათი კ. ცინცაძის მიერ იწერებოდა მაშინ, როდესაც პარტიაში გაძლიერებას იწყებდა მემარჯვენე საფრთხე. იგი კარგად ხედავდა, რომ პარტია მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგაც ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას, მაგრამ არ სურდა ამის აღიარება, პირიქით, იგი ირწმუნებოდა, რომ პარტიის ლენინურ უმრავლესობას არ შესწევსო უნარი „თერმიდორიანული ელემენტების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ კ. ცინცაძე თავის წერილში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოპოზიცია ისტორიული განვითარების ტენდენციებს პარტიაზე უფრო ადრე და პარტიაზე უფრო ზუსტად განსაზღვრავდა, ხოლო პარტია, თითქოს, გვიან მოდიოდა გონს. ამის დასამტკიცებლად კ. ცინცაძე თავის წერილში მოაგონებდა გ. ორჯონიკიძეს:

1. რომ ოპოზიცია ორი წლის წინ იძლეოდა წინადადებას ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების შესახებ, თქვენ კი ეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ აღიარეთ, ისიც სიტყვიერად;

2. რომ ოპოზიცია ორი-სამი წლის წინ აკეთებდა გაფრთხილებას მემარჯვენეების გაძლიერების შესახებ და წინადადებას იძლეოდა მათთან დაუნდობელი ბრძოლა გვეწარმოებია, თქვენ კი ეს ორი წლის შემდეგ აღიარეთ, ისიც სიტყვიერად;

3. რომ ოპოზიციამ ორი წლის წინ დაინახა კულაკური საფრთხე და წინადადებას იძლეოდა მასთან დაუნდობელი ბრძოლა გვეწარმოებია. თქვენ კი ორი წლის შემდეგ შენიშნეთ კულაკი და აღიარეთ კულაკური საფრთხის არსებობა, ისიც სიტყვიერად;

4. რომ ოპოზიცია ორი წლის წინ იძლეოდა წინადადებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების გაძლიერების შესახებ, თქვენ კი ეს ორი წლის შემდეგ გაიგეთ და აღიარეთ, ისიც სიტყვიერად, ასევე შინაპარტიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და სხვ.[1]. ყოველივე ეს იმაზე კი არ მიუთითებს, როგორც ამას მისი ავტორი ფიქრობდა, რომ ოპოზიცია სხვაზე ადრე და სხვაზე შორს, სხვაზე უკეთ ხედავდა, არამედ, მხოლოდ იმაზე, რომ ოპოზიციას და მის ლიდერებს, თუ უფრო მეტი არა, ისტორიული რეალობის — დროის, ადგილისა და პირობების — აღქმის უნარი ჰქონიათ

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2265, ფურც. 29.

დაკარგული. სხვათა შორის, უადგილო არ იქნება მოვიგონოთ, რომ ასეთ ვითარებაში ადრეც ჩავარდნილა კ. ცინცაძე, როდესაც სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში, მას საგარეო ვაჭრობის საკითხებზე დავა ჰქონდა გ. ორჯონიკიძესთან. გ. ორჯონიკიძის მაშინდელი პასუხი კ. ცინცაძისადმი ამ შემთხვევაშიც გამოდგება.

აი, რას ეუბნებოდა მაშინ გ. ორჯონიკიძე კ. ცინცაძეს: „სწორედ იმაშია შენი უბედურება, რომ არ გესმის სად რა უნდა აკეთო. როდესაც ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას ვქმნიდით საქართველოში, ამხ. ლენინმა მოგვცა დირექტივა, გამოგვეყენებინა ბათუმის ღია კარები და გაგვეცა უცხოელებზე კონცესიები. ჩვენ ეს შევასრულეთ. განვლო საკმაო დრომ და ჩვენ ცოტ-ცოტად დავიწყეთ საკუთარ ფეხებზე დგომა, საჭირო იყო ხაზის მობრუნება მოსკოვისაკენ, რუსეთის მრეწველობისაკენ... და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დროა ეს გავაკეთოთ, თქვენ ლაპარაკობთ, ჯერ კიდევ ადრეა, უკეთესია ორიენტაცია ავიღოთ იაფ საქონელზე“[1].

ასეთი „მეცნიერული თეორიით“ აღჭურვილი ტროცკისტები — გასახლებულნი თუ გაუსახლებელნი — ისევ ცოდვილობდნენ, ისევ აკოწიწებდნენ რაღაც არალეგალური პარტიისმაგვარს თავის ცენტრებითა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებით.

საქართველოში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ადგილობრივი ცენტრები სოკოებივით აღმოცენდებოდა ხოლმე. დ. ლორთქიფანიძის, ვ. წივწივაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით არსებული ცენტრების ლიკვიდაციის შემდეგ კვლავ წარმოიშვა 1928 წლის ნოემბერ-დეკემბერში რიგით მეოთხე ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ვ. ხუტულაშვილი, თ. გორგასლიძე, ი. ჯავახია, ს. თალაკვაძე, ა. ოქუაშვილი, ლ. ჩანტლაძე, მ. მეძმარიაშვილი და სხვ. თბილისის ტროცკისტული ორგანიზაცია გაყოფილი იყო ოთხ რაიონად, თითოეულს სათავეში ედგა სამეული, ჰქონდა ორი საბეჭდი მანქანა და სტეკლოგრაფი, ავრცელებდნენ ტროცკისტულ ლიტერატურას[2]. საქართველოში არსებობდა ტროცკისტული ცენტრალური კომიტეტი და მათი ორგანიზაციები. ასე მაგალითად, ახალი სენაკის ტროცკისტულ ორგანიზაციას ცენტრიდან ხელმძღვანელობდნენ მ. კაჭარავა, ვ. ნადარეიშვილი, ა. კოკაია, თ. ფრანგიშვილი და ი. ხუხია. 1927 წლის 29 სექტემბერს ცენტრიდან ჩასულ ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით ქობულეთში ჩამოყალიბდა გურიის ტროცკისტული კომიტეტი[3]. ტროცკისტული ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო მ. ოკუჯავა[4]. ტროცკისტული ოპოზიცია უფრო ადრე, 1927

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 122 — 123.
[2] იქვე, საქ. 2760, ფურც. 14 — 21.
[3] „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, 1967, № 15, გვ. 95.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2254, ფურც. 196 — 199.

წლის ზაფხულში, ამიერკავკასიის მასშტაბითაც გაერთიანებულა ბ. მდივნისა და მ. ოკუჯავას ინიციატივით [1].

ადგილობრივი ტროცკისტული ოპოზიცია ასეთ მუშაობას ეწეოდა არა მარტო პარტიის XV ყრილობამდე, არამედ ამ ყრილობის შემდეგაც. სხვაგვარად მათვან არც იყო მოსალოდნელი. საქართველოდან გასახლების შემდეგაც არ წყვეტდნენ ტროცკისტები და ანტისაბჭოთა პარტიების წევრები კავშირს თავიანთ თანამოაზრეებთან. ისინი ხშირად უგზავნიდნენ მათ გამამხნევებელ წერილებს. ერთ-ერთი ასეთი წერილია ა. ბზეკალავას მიერ გამოგზავნილი ყაზახეთიდან [2] თბილისში [3] ინჟინერ ნ. ჩაჩიკაშვილის სახელზე. ამ ბარათში სხვათა შორის, ვკითხულობთ: „ჩვენი გასახლების ვადა სამი წელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ მასში, რომ ჩვენი თანამემამულე [4] ამ პოლიტიკას ვერ შეინარჩუნებს სამი წლის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი გვიჩვენებს" [5]. მომავალმა მართლაც გვიჩვენა... მაგრამ არა ლენინური პარტიის პოლიტიკის კრახი, არამედ ანტილენინური ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის იდეური გაკოტრება და ორგანიზაციული განადგურება.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის მიერ ანტიპარტიული მუშაობის გაძლიერებამ აიძულა პარტია საბჭოთა ქვეყნიდან გაეძევებინა მათი ლიდერი ტროცკი. მაგრამ ტროცკი ახლა საზღვარგარეთ აგრძელებდა ბრძოლას კომუნისტური პარტიის ლენინური ერთიანობის წინააღმდეგ. 1928 წლის თებერვლიდან ტროცკი იწყებს სტატიების ბეჭდვას ბურჟუაზიულ პრესაში, კერძოდ, კონსერვატიულ გაზეთ „დეილი-ექსპრესში". ამით არ კმაყოფილდება და საბჭოთა კავშირშიც გზავნის წერილებს. ერთ-ერთი ასეთი წერილი — „საბჭოთა კავშირის ყველა მუშას" — მან კონსტანტინოპოლიდან შემოგზავნა. იგი გამოსცა და გაავრცელა ოპოზიციონერთა მოსკოვის ჯგუფმა.

ყველა დოკუმენტი, რაც კი ტროცკისა და ტროცკისტების სახელთანაა დაკავშირებული, წარმოადგენს აშკარა ცილისწამებას პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ. ამიტომ მათი პოლიტიკური ქმედითობა არარაობამდე უმნიშვნელო იყო. 1928 წლის 28 თებერვალს სტატიაში— „რას ვფიქრობ მე სტალინის შესახებ", რომელიც „დეილი ექსპრესმა" გამოაქვეყნა, ტროცკი — ბოროტი ცილისწამების გროვას ახვევს

---

[1] ლ. თ ო ი ძ ე. ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის ისტორიიდან (1926 — 1927 წწ.) („საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", 1967, № 15, გვ. 94).

[2] ყაზახეთის სსრ, პავლოდარის ოლქი, სოფ. ბარანასელიდან.

[3] სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო განყოფილებაში.

[4] იგულისხმება ი. ბ. სტალინი.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2265, ფურც. 31.

ი. ბ. სტალინის წინააღმდეგ. იგი ცდილობს გააბიაბრუოს სტალინის ცნობილი ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ი. ბ. სტალინმა სწორედ აღნიშნულ ნაშრომში ამხილა და თეორიულად გაანადგურა ტროცკიზმი, დაიცვა ლენინიზმი. ტროცკი უსუსური ბრალდებების წამოყენებასაც არ მოერიდა სტალინის წინააღმდეგ, გასაკვირია ტროცკის მიერ სტალინისადმი ბრალდებად წაყენება იმისა, რომ სტალინს არ გააჩნდა „პოლიტიკური გამოცდილება საკუთარი პარტიის გარეშე“. აქ ძნელია შეეკამათო ტროცკის; მართალია, სტალინი მენშევიკური პარტიიდან ან სხვა რაიმე პოლიტიკური დაჯგუფებიდან არ მოსულა ლენინის პარტიაში ტროცკივით — „პოლიტიკური გამოცდილებით“ დატვირთული! ტროცკის არ მოსწონდა ი. ბ. სტალინის შემოქმედებითი მიდგომაც პრაქტიკული ცხოვრების საკითხებისადმი, ტროცკის აზრით, „ყოველი სიტუაციისათვის ის იგონებდა შესაბამის თეორიას“. ტროცკი არ მოერიდა ვ. ი. ლენინის „ანდერძის“ შინაარსის დამახინჯებასაც კი, ოღონდ სტალინისათვის ჩრდილი მიეყენებინა[1].

* * *

საქართველოში ტროცკიზმისათვის ხელსაყრელ იდეურ გარემოს ქმნიდა მენშევიზმი და ნაციონალ-უკლონიზმი, ამიტომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დიდი ბრძოლა ჩაატარა მენშევიზმისა და ნაციონალ-უკლონიზმის იდეური განიარაღებისათვის, რითაც მოამზადა ნიადაგი ტროცკიზმის, ხოლო შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტული მიმდინარეობის განადგურებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ კურსს დიდხანს ებრძოდა ტროცკიზმი ეგრეთ წოდებული „ზეინდუსტრიალიზაციის“ კურსის მოთხოვნით. პარტიამ თავის დროზე საჯაროდ, მთელი პარტიის წინაშე ამხილა ტროცკიზმი, როგორც სოციალიზმის მტერი, დაამარცხა იგი იდეურად და გაანადგურა ორგანიზაციულად. ამ ბრძოლაში, როგორც ვნახეთ, დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ დიდი ბრძოლა ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის დასაცავად.

მენშევიკები და სხვა მემარჯვენე — ოპორტუნისტული ელემენტები — ეგრეთ წოდებული „შინაგანი ემიგრაცია“ — აშკარად, დღისითმზისით თავს ესხმოდნენ სოციალისტური მშენებლობის ლენინურ გეგმას, კერძოდ, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსს. ისი-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2271, ფურც. 131.

ნი ბევრს წერდნენ და კამათობდნენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ, მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ეს საკითხი უკვე სრულად და ამომწურავად იყო გაშუქებული და გადაწყვეტილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის IV ყრილობამ მთავარი ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის სამრეწველო განვითარებას. პარტიის XIV კონფერენციის მიერ დასახული კურსის შესაბამისად ყრილობამ კურსი აიღო რესპუბლიკაში მძიმე ინდუსტრიის განვითარებაზე.

ყრილობამ მტკიცედ განაცხადა, რომ „საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმე არ შეიძლება ამიერკავკასიის დანარჩენი რესპუბლიკის და კავშირის სხვა ნაწილების განვითარებას გამოეყოს; იგი მოითხოვს სრულ შეთანხმებას სხვა რესპუბლიკების სამრეწველო აღმშენებლობის გეგმებთან, როგორც სამრეწველო დარგების შერჩევისა და მათი გეოგრაფიული გაადგილების მხრივ, ისე აღმშენებლობის მორიგეობისა და მისი ფინანსურად უზრუნველყოფის მხრივ[1]. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფკავშირთა V ყრილობაზე შ. ელიავამ განაცხადა: „როცა ჩვენ საქართველოს ინდუსტრიალიზაციაზე ვლაპარაკობთ, მთელი ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციაც მხედველობაშიაო მიღებული“[2].

სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხს კვლავ და კვლავ უბრუნდებოდნენ ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები. საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1928 წლის დასაწყისში გამოაქვეყნა თეზისები სამეურნეო მშენებლობის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ მთავარ მიზნად ვერ დავისახავთ სამეურნეო უნივერსალიზმს, პირიქით, ჩვენ რაც შეიძლება მკაფიოდ უნდა გავადიდოთ სპეციალიზაციის ხაზები. საფუძვლად უნდა იქნეს აღებული შრომის განაწილება მთელ კავშირში“[3].

საქართველოს კომუნისტური პარტია კმაყოფილებით შეხვდა პარტიის XIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. 1926 წლის 11 იანვარს გამართულმა თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოიწონა პარტიის მიერ კურსის აღება ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე. მაგრამ მას მოწონებით ვერ შეხვდნენ საბჭოთა ქვეყნის შინაური და გარეშე მტრები, მეგობართა შორისაც გაჩნდნენ სკეპტიკოსები, მათ საეჭვოდ მიიჩნიეს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. აი, ასეთ ვითარებაში, როგორც აღვნიშნეთ, „შინაგანი ემიგრაცია“

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) IV ყრილობა“, (სტენ. ანგარიში), გვ. 67.

[2] „სრულიად საქართველოს პროფკავშირთა V ყრილობა (ანგარიში და რეზოლუციები)“, თბ., 1926, გვ. 13.

[3] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 1.

აშკარად გამოდიოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის 1926 წლის დეკემბრის პლენუმმა მოისმინა საკითხი საქართველოს მრეწველობის შესახებ და რეზოლუციაში ჩაწერა, რომ სამრეწველო აღმშენებლობის გეგმის შედგენისა და კაპიტალურ სამუშაოებზე დიდი სახსრების ხარჯვისას გათვალისწინებული უნდა იყოს: „ჩვენი ქვეყნის დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება მძიმე ინდუსტრიის შექმნისა და განვითარებისათვის (სათბობი, ლითონი), ვინაიდან მსხვილი მრეწველობის განვითარება სოციალისტური აღმშენებლობის მთავარი წინასწარი პირობაა“[1]. მიუხედავად ამისა, „შინაგანი ემიგრაცია“ უარყოფდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.

საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ (1927 წლის მარტი) განიხილა რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების პერსპექტივები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო — გაზეთი „კომუნისტი“, აჯამებდა რა ყრილობის მუშაობის შედეგებს, აღნიშნავდა საქართველოს ეკონომიური განვითარების ინდუსტრიალიზაციის ნიშნით წარმართვის საჭიროებას, ამასთან დაკავშირებით, მოითხოვდა განვითარებას ტექნიკური კულტურებისას, რომლებიც საჭირო ნედლეულს მიაწვდიდნენ მრეწველობას; საბოლოო ანგარიშით, დაასკვნის გაზეთი, „გლეხური მეურნეობის თანდათანობითი კოლექტივიზაცია — აი ძირითადი გზა, რომლითაც უნდა წავიდეს სოფელი. გლეხურ მეურნეობათა ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია — ასეთი ხაზი დასახა IV ყრილობამ“[2].

ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „ყრილობა სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ აღებულ ხაზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტრიფიკაციის საქმეში... ყრილობა ავალებს მთავრობას... მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მომზადდეს ნიადაგი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის“[3].

შემდეგ „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მაღალ ტექნიკურ ბაზაზე ჩვენი მრეწველობის დაფუძნების პრობლემა, პრობლემა სოციალისტური რაციონალიზაციისა — უნდა იყოს სახელმძღვანელო დირექტივა და ჩვენი სამეურნეო მშენებლობის უმთავრესი ამოცანა“[4].

ან კიდევ: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 14 იანვარი.

[2] იქვე, 5 აპრილი.

[3] „სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა“ (სტენ. ანგარიში), თბ., 1927, გვ. 356.

[4] იქვე, გვ. 351.

ინდუსტრიის (სათბობი მასალის მრეწველობა და მეტალურგია) დანერგვას და განვითარებას“ [1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობაზე (1927 წლის ნოემბერი) მ. კახიანი აღნიშნავდა, რომ „ახლა საქართველო ინდუსტრიული ქვეყანა ხდება“ [2]. ამას ადასტურებს საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მონაცემს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების შედარებისათვის. ქვეყნის ელექტრიფიკაციაზე სახელმწიფო ხარჯები, წინა წელთან შედარებით, 1925 — 26 წელს გაიზარდა 2,3 პროცენტით, 1926 — 27 წელს — 7,6 პროცენტით, მთლიანად ზრდა კი უდრიდა 434,5 პროცენტს; მრეწველობაზე სახელმწიფო ხარჯები, 1925 — 26 წელს, აგრეთვე წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8,2 პროცენტით, 1926 — 27 წელს — 217,0 პროცენტით, მთლიანად ზრდა აღწევდა 240,4 პროცენტს; სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო ხარჯები 1925 — 26 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 12,5 პროცენტით, 1926 — 27 წელს — 16,0 პროცენტით, მთლიანად ზრდა შეადგენდა 110,1 პროცენტს [3]. როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობასთან შედარებით მრეწველობის განვითარების ტემპი ორჯერ და უფრო მეტია, ელექტრიფიკაციისა კი ოთხჯერ მეტი.

სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო ჩქარი ტემპით მრეწველობის განვითარება მეტ-ნაკლებად ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის იყო დამახასიათებელი. იგი, მეტ-ნაკლებად ასეთივე საგრძნობი იყო ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. თუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 1923 — 24 წლის დონეს ჩავთვლით 100-ად, მაშინ 1924 — 25 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების მაჩვენებელი იქნება 138 პროცენტი, მრეწველობისა კი 146 პროცენტი; 1925 — 26 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების მაჩვენებელი იქნება 152 პროცენტი, მრეწველობისა — 219 პროცენტი [4].

ასეთი თანაფარდობა, რომელიც არსებობდა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებაში, უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შედეგად. ბოლო ელებოდა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებს შორის ისტორიულად

---

1 „სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა“ (სტენ. ანგარიში), გვ. 352.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2246, ფურც. 65.

3 ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1927, № 1 — 2, გვ. 187.

4 М. Кахиани, Год работы (доклад на VII тифлисской партконференции), Тиф., 1927, стр. 8—9.

არსებულ დისპროპორციას. ამის გამო სწორად მოიქცა საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობა, როდესაც მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, რადგან „ამ პოლიტიკის წყალობით, — როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, — ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა მრეწველობისა და ტრანსპორტის ინდუსტრიალიზაციისა და რეკონსტრუქციის გზას"[1]. ყოველივე აღნიშნული. ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოში ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობას, რომელმაც განაპირობა მისი პირველი წარმატებებიც. ეს აღნიშნულია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში, სადაც ვკითხულობთ: „იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ატარებს პარტია საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში, მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დროს ერთი-სამად გადიდდა"[2].

საქართველოს საბჭოების V ყრილობამ (1929 წლის აპრილში) საჭიროდ ცნო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემდგომი გაძლიერება, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებისადმი[3]. იმავე 1929 წლის ივლისში საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ „ცენტრალური კომიტეტის სწორი ხაზის შედეგად ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ გაშლილი შეტევის საფუძველზე"[4]. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას და მის წარმატებებს მტრულად შეხვდნენ არა მარტო საზღვარგარეთ მენშევიკურ ემიგრაციაში, არამედ „შინაგანი ემიგრაციის" რიგებშიც; „საბჭოთა ხელისუფლების მტრები, — ამბობდა მ. კახიანი საქართველოს კომპარტიის V ყრილობაზე, — ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ჩვენში ეკონომიური განვითარება საერთოდ შეფერხებულია და საქართველოს არ გააჩნია საფუძველი ინდუსტრიალიზაციისათვის"[5]. ასეთი ოპორტუნისტული იდე-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) V ყრილობა" (სტენ. ანგარიში), თბ., 1927, გვ. 14.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1928 წლის 4 სექტემბერი; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 2734, ფურც. 180 — 181.

[3] „სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა" (სტენ. ანგარიში), თბ., 1929, გვ. 40.

[4] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობის რეზოლუციები", თბ., 1929, გვ. 3.

[5] „საქართველოს კომპარტიის (ბ) V ყრილობა", გვ. 6.

ოლოგიის ტყვეობაში აღმოჩნდა საქართველოში ზოგიერთი საბჭოთა, სამეურნეო და პარტიული მუშაკიც.

ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში 1928 წელს გამოითქვა აზრი, რომელთა ავტორები ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ საქართველოს მეურნეობის ინტერესები საკავშირო მეურნეობის ინტერესებისადმი. ასეთი თვალსაზრისის გამო მათი ავტორები სამართლიანად გააკრიტიკა მამია ორახელაშვილმა საქართველოს კომუნისტური პარტიის 1928 წლის მაისის პლენუმზე. ხოლო საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1929 წლის მარტის პლენუმმა თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია წარმოადგენს „კავშირის ნაწილს, რომელიც მუშაობს შრომის განაწილების პრინციპით“.

ქართულ პრესაში მენშევიკური, მემარჯვენე-ოპორტუნისტული პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსს, აგრეთვე პარტიის გლეხურ-აგრარულსა და საფინანსო პოლიტიკას, სოციალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და სხვ. ამ მხრივ „შინაგანი ემიგრაციისათვის“ ტონის მიმცემი იყო კონტრრევოლუციური მენშევიკური ემიგრაციის მეთაურის ნ. ჟორდანიას გამოსვლა. იგი ემიგრაციის გაზეთ „ბრძოლაში“ წერდა: „საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა არავითარ ნიადაგს ქვეყნის სამრეწველო აღორძინებისათვის, ინდუსტრიალიზაციის მართებული განვითარებისათვისო“ [1]. ჟორდანიას ასეთი გამოსვლა წარმოადგენდა სიგნალს მისი აშკარა თუ ფარული თანამოაზრეთათვის საქართველოში სოციალისტური გარდაქმნების წინააღმდეგ ბრძოლის გასაჩაღებლად. ამ გამოსვლამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გააერთიანა ყველა მემარჯვენე-ოპორტუნისტულად განწყობილი ადამიანი, ყოფილი მენშევიკი თუ მერყეევი საბჭოთა მუშაკი, კონდრატიეველი თუ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ნამსხვრევები საქართველოში.

მენშევიკმა დ. თოფურიძემ ჯერ კიდევ 1926 წელს გამოსცა წიგნი „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები“, სადაც, იძლეოდა რა „საქართველოს სიმდიდრისა და ეკონომიური პრობლემების კალეიდოსკოპურ სურათს“, წინადადებას აყენებდა „ეკონომიურად მთელ საქართველოს აღორძინებისათვის“ უზრუნველგვეყო „უცხო კაპიტალის დახმარებით დიდი საალმშენებლო სააქციო საზოგადოების დაარსება, რაც შესაფერ პირობებში სრულიად მოსახერხებელი საქმეა“ [2]. ასეთ „რჩევას“ ვერ მიიღებდა კომუნისტური პარტია, რომელსაც ლენინის მოძღვრების საფუძველზე უკვე მეცნიერულად ჰქონდა ჩამოყალიბებული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საბჭოური მეთოდი, რომელიც გამორიცხავდა ქვეყნის

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის იანვარი.

[2] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 1, გვ. 3 — 7.

ჩავარდნას კაპიტალისტურ კაბალაში, საითკენაც გვექაჩებოდა მენშევიკი თოფურიძე.

უფრო აშკარად ეწეოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის კრიტიკას ს. დევდარიანი. კომუნისტური პარტიის XIV კონფერენციის, XIV და XV ყრილობებისა და საქართველოს სადირექტივო ორგანოების ზემოთ განხილულ ღონისძიებათა შემდეგაც ს. დევდარიანი არ გრძნობდა რაიმე უხერხულობას განეცხადებინა, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში „საჭიროა პროპორციის შეცვლა მსუბუქი მრეწველობის სასარგებლოდ“ [1]. ან კიდევ: „საქართველოს ეკონომიური განვითარების გზები ჩვენ კიდევ არ გვაქვს ზედმიწევნით გათვალისწინებული. სასოფლო მეურნეობისაკენ, თუ მრეწველობისაკენ აქვს საქართველოს შესაძლებლობა, მსხვილი მრეწველობის ქვეყნად გადაიქცეს, თუ ის უნდა დარჩეს მხოლოდ ნედლეულის არედ და ნედლ მასალას უგზავნიდეს სხვა ქვეყნების მრეწველობას?“ ასეთ ქვეყნად დარჩენას უწინასწარმეტყველებდა ს. დევდარიანი საქართველოს, როდესაც გამორიცხავდა ყველა შესაძლებლობას მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში; და ბოლოს, აყენებდა რა კითხვას პირდაპირ — „შესაძლებელია თუ არა საქართველოს გადაქცევა მსხვილი მრეწველობის ქვეყნად? — თვითონვე უპასუხებდა: „მსოფლიო ბაზრის და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისათვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრეს ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რომ თავის მხრივ საფუძვლად დაედოს ჩვენში კაპიტალის დაგროვებას და ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებას“ [2].

ამრიგად, ს. დევდარიანის აზრით, თანამედროვე წარმოების წესის პირობებში საქართველო ვერ გახდება ინდუსტრიული ქვეყანა. იგი დარჩება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ნედლეულის ბაზად, სასოფლო-სამეურნეო დანამატად. ამიტომ, დევდარიანის აზრით, უარი უნდა ვთქვათ წარმოების სოციალისტურ წესზე და დავუბრუნდეთ წარმოების კაპიტალისტურ წესს! არ არის რთული და ძნელად გასაგები მენშევიკური, მემარჯვენე ოპორტუნისტული „ფილოსოფია“.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეორე მენშევიკის ბ. თევზაიას სადისკუსიო წერილს „ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ [3]. აქ თევზაია გვევლინება ხუთწლიანი გეგმის იმ ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა დასში, რომლებიც უარყოფდნენ სოციალისტური მეურნეობის დაგეგმვას სახელმწიფოებრი-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1926, № 1, გვ. 100.
[2] იქვე, 1928, № 1, გვ. 3 — 7.
[3] იქვე, გვ. № 2 — 3.

ვი მასშტაბით და საბჭოთა სამეურნეო გეგმების რეალობას საეჭვოდ, ფანტაზიად მიიჩნევდნენ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის შეუძლებლობის დასასაბუთებლად თევზაია განიხილავდა და იწუნებდა სამეურნეო გეგმების შედგენის მეთოდებს. მეტისმეტად აზვიადებდა სიძნელეებს, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს, აფეტიშებდა ობიექტურ ეკონომიურ კანონებს და საქმეს ისე სახავდა, რომ ხუთწლიანი გეგმის შედგენა თითქოს საერთოდ შეუძლებელი იყო ან მას სჭირდებოდა უაღრესად დაძაბული, ხანგრძლივი მუშაობა და ამდენად, თევზაიას აზრით, 1928—1932 წლებისათვის მისი შედგენა შეუძლებელი იყო. თევზაია მენშევიკური ეკონომიური მატერიალიზმის თეორიასაც იშველიებდა ბოლშევიკების „იდეალისტური გატაცების წინააღმდეგ". სწორედ ასეთი ხალხი ჰყავდა მხედველობაში მ. კახიანს, როდესაც 1928 წლის ივნისში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ შესამჩნევი გახდა ქალაქის ინტელიგენციის ნაწილსა და კულაკობაში შოვინიზმის ერთგვარი ზრდა, რაც ვლინდება მხატვრულსა და ეკონომიური ხასიათის ლიტერატურაში. ამ უკანასკნელ სფეროში, აღინიშნა სწორედ „შინაგანი ემიგრაციის" — ს. დევდარიანის, ა. ჭუმბურიძის, ბ. თევზაიასა და სხვათა გააქტიურება[1].

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის განხორციელებისადმი სკეპტიკურად განწყობილთა შორის აღმოჩნდა სახელმწიფო მგეგმავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი, კომუნისტური პარტიის ცალკეული წევრებიც კი. ასე მაგალითად, საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ნაადრეობაზე წერდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი ხელმძღვანელი, მათ შორის ბ. ჭიჭინაძე, ვ. ავაქოვი და სხვ.[2]. ბ. ჭიჭინაძე, რომელიც ელექტრომშენებლობისა და მრეწველობის ერთ-ერთი ცნობილი ხელმძღვანელი იყო, თავის სტატიაში „ჩვენი მრეწველობის განვითარების მთავარი ხაზები", განიხილავდა რა საქართველოს სამრეწველო განვითარების პერსპექტივებს, წერდა: „ფართო ინდუსტრიული განვითარება შეუძლებელია მეტალურგიის და ქვანახშირის ან ნავთის მრეწველობის განუვითარებლად... მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ საქართველოსათვის ამჟამად მეტალურგიის და მსხვილ, ქვანახშირის ან ნავთის მრეწველობის განვითარების ხაზის დასახვა უაზრობა იქნებოდა", რადგან, „ჩათახის ბუდობი, კიდეც რომ არ მოხდეს ამ ქარხნის საბოლოო დახურვა მადნის დანაკლისის გა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. II, საქ. 1713, ფურც. 35 — 46.

[2] ა. კ ო ტ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (1921 — 1932 წწ.), თბ., 1966, გვ. 163.

მო, მაინც არ იქნება რკინის მეტალურგიისათვის სერიოზული ობიექტი... ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც ამჟამად ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებით არის წარმოდგენილი, არაა იმდენად განვითარებული, რომ სამრეწველო ცხოვრების ბაზად გადაიქცეს... ტყვარჩელის ქვანახშირის მძლავრი საბადოები, ჯერ მხოლოდ გარკვევის პროცესშია" და ბოლოს, აქედან გამომდინარე დაასკვნიდა: „ასეთ პირობებში მძიმე ინდუსტრიაზე უახლოეს პერიოდისათვის იმედის დამყარება შეუძლებელია. ეს წაგვიყვანდა განვითარების არაბუნებრივი გზით და მეტად მძიმე ეკონომიურ შედეგს მოგვცემდა... საქართველოს სახალხო მეურნეობის პირველი სამრეწველო ნაბიჯები უნდა შეეხოს: ტყეს, აბრეშუმს, მატყლს, სამთო-ქიმიურსა და ელექტრო-ქიმიურ დარგებს და, განსაკუთრებით, თეთრ ნახშირს... ჩვენი ხაზი უნდა იქნეს: პარკის და სართავ საქმის ფართო განვითარება; ვიდრე ამ სახით მკვიდრ და ძირითად ბაზას შევქმნიდეთ აბრეშუმის მრეწველობისათვის, მანამდე საქსოვ ქარხნების აგებაზე უარი უნდა ვთქვათ"[1].

ასეთივე თვალსაზრისს ავითარებდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ავაქოვი სტატიაში „სამრეწველო ამშენებლობის ზოგიერთი მორიგი საკითხი". „მრეწველობის ახალი დარგების შექმნა და განვითარება, — წერდა იგი, — უნდა ემყარებოდეს ქვეყნის რეალურ შესაძლებლობათა აღრიცხვას... საქართველოს მრეწველობის ძირითად დარგებს უნდა წარმოადგენდეს სამთამადნო და ქიმიური მრეწველობა. მიუხედავად ამისა, მძიმე ინდუსტრიის ყველა დარგებიდან გარკვეული პერსპექტივები აქვს მხოლოდ ქვანახშირისა და სამთო-ქიმიურ მრეწველობას, რასაკვირველია, არაფერს ვამბობთ შავი ქვის მრეწველობის შესახებ. ცხადია, ლაპარაკიც მეტია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, თუ მხოლოდ მრეწველობის ეს დარგები გვექნა და არ განვითარდა თუჯის და ფერადი ლითონების მეტალურგია[2]... ამიტომ ამ პირობებში მძიმე

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1926, № 1, გვ. 5 — 7.

[2] საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეტალურგიის განვითარების შესახებ გაცხოველებული კამათი წარმოებდა სადირექტივო ორგანოებსა და პრესაში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ამ საკითხის განხილვა სსრ კავშირის სმუს-ში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საკითხის ეკონომიური შესწავლის შესახებ. ყურადღებას იმსახურებს საქართველოს კპ (ბ) ც. კ-ის 1928 წლის მაისის პლენუმზე მ. ორახელაშვილის გამოსვლა. აგრეთვე საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1929 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილება და სხვ. აღნიშნული საკითხის გარშემო თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ცნობილმა ინჟინრებმა და სამეურნეო დარგის მუშაკებმა: ვ. ა ვ ა ქ ო ვ მ ა — „ტყვარჩელ-ჭიათურა-დაშქესანი" (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1926, № 3); გ. წ უ ლ უ კ ი ძ ე მ — „დაშქესან-ტყვარჩელ-ჭიათურა" (იქვე, № 4); ა. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ მ ა — „დაშქესან-ტყვარჩელ-ჭიათურის მეტალურგიული კომბინატი"

ინდუსტრიის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ცხადია, უპირველესად ჩვენ უნდა ავიღოთ მრეწველობის განვითარების სხვა გეზი; თავდაპირველად უნდა განვითარდეს მრეწველობის ისეთი დარგები, რომლისთვისაც გვაქვს ნედლეულის რეალური ბაზისი და, რომელიც მალე მოგვცემს საწარმოო და ფინანსურ ეფექტს.

ჩვენ ღარიბი ვართ და არ გაგვაჩნია ზედმეტი თანხები, ამიტომ თანხები მრეწველობის ისეთ დარგებს უნდა მოვახმაროთ, სადაც ის სწრაფად დატრიალდება და მოგვცემს აგრეთვე დაგროვებას. ასეთი დარგებია: სატყეო, აბრეშუმის, თამბაქოს, ქიმიური, კონიაკის და სპირტის წარმოებანი, ე. ი. მსუბუქი ინდუსტრია" [1].

საქართველოში მაშინ სახალხო მეურნეობის განვითარებაში უნივერსალიზმის გზას, რასაკვირველია, არავინ ადგა, მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს ჭიჭინაძეს, ავაქოვს და სხვებს, რომლებიც ასე აშკარად გვთავაზობდნენ ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტურ მეთოდს. ჩანს, მათ მაშინ კიდევ არ ჰქონდათ წარმოდგენა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საბჭოურ მეთოდზე, ან შეგნებულად უვლიდნენ მას გვერდს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს განსახილველად წარმოუდგინა მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა". აქ აღნიშნული იყო, რომ მაშინდელ პირობებში არ შეიძლებოდა უშუალოდ კურსის აღება მძიმე ინდუსტრიაზე, მასში მოთხოვნილი იყო უპირატესი ყურადღების დათმობა მსუბუქი ინდუსტრიისადმი, მძიმე მრეწველობიდან კი სამთო-ქიმიური (ქვანახშირი, ნავთობი) მრეწველობისადმი [2].

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ დოკუმენტში მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა ახსნილია ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპებით, და იგი, ავტორის აზრით, გამოსწორდება მაშინ, როდესაც „დაწყებული ინდუსტრიალიზაციის აჩქარებული ტემპი ცოტათი შენელდება" [3]. აღსანიშნავია, რომ ეს აზრი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უმრავლესობამ არ გაიზიარა[4].

(იქვე), ვ. სვერდლოვმა — „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეტალურგია" (გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1926 წლის 12 იანვარი); ა. გულისაშვილმა — „ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობა" (იქვე, 1926 წლის 6 თებერვალი); მ ი ს ი ვ ე — „დაშქესან-ტყვარჩელის კომბინატი" (ჟურნ. „ტექნიკა და ცხოვრება", 1926, № 7) და ა. შ.

1 ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1926, № 2, გვ. 6 — 9.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1756, ფურც. 84.

3 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 309, საქ. 1572, ფურც. 14.

4 იქვე, საქ. 809, ფურც. 8.

ბ. ჭიჭინაძე 1928 წელსაც იცავდა შემცდარ თვალსაზრისს. სტატიაში „საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების მთავარი გეზი“, იგი წერდა: „საქართველოს მრეწველობის განვითარება მთლიანად, რასაკვირველია, ადგილობრივი ნედლეულის და ენერგეტიკული წყაროების გამოყენებას უნდა ემყარებოდეს. ამ მხრივ მიზანშეწონილად უნდა ვაღიაროთ — აბრეშუმის, მატყლის, ხე-ტყის, თამბაქოს და ტყავის მრეწველობის განვითარების აღებული გეზი“[1].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის წინააღმდეგ აშკარად თუ შენიღბულად, სხვებთან ერთად, გამოდიოდა ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ზოგიერთი მუშაკიც[2]. ვ. ავაქოვისა და სხვათა მიერ მძიმე ინდუსტრიის წინააღმდეგ წამოყენებული „სიღარიბის არგუმენტისა“ და სკეპტიკოსთა მოსაზრებების ფაქტიურ გაბათილებას წარმოადგენდა ფ. მახარაძის სტატია „ექვსი წლის შემდეგ“. „საიდან, რა წყაროებით უნდა მოხდეს ან ხდება საქართველოს ინდუსტრიალიზაცია? — კითხულობდა ფ. მახარაძე და თვითონვე პასუხობდა, — იმ საშუალებათა უდიდეს ნაწილს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი ინდუსტრიალიზაციისათვის, ის ღებულობს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სალაროდან, როგორც თანასწორი წევრი საბჭოთა რესპუბლიკის კავშირისა“[3].

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ იმავე ნომერში, სადაც ფ. მახარაძის აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა, დაიბეჭდა ვ. ავაქოვის სტატიაც — „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი უახლესი პერსპექტივები“. ამ სტატიაში ავაქოვი უკვე შედარებით სწორ თვალსაზრისს ავითარებდა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ. „რა გზას უნდა დავადგეთ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში?, — აყენებდა კითხვას ავაქოვი და იქვე პასუხობდა, — უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ძირითადი ხაზი უნდა მიემართოს სამთო-საქარხნო და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებისაკენ. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში საწარმოო საშუალებათა წარმოება, ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა მძიმე ინდუსტრიის განვითარება“[4]. რასაკვირველია, მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, საჭირო იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებაც, რაც დასახელებულ სტატიაში სწორად არის აღნიშნული. ასევე სწორ თვალსაზრისს სახავდა შემდეგში ბ. ჭიჭინაძეც. არტ. კვირიკაძე, ემყარებოდა რა

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 9 — 10, გვ. 18.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა“, 1921, გვ. 34 — 35, 45 — 46.

[3] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1927, № 1 — 2, გვ. 10 — 11.

[4] იქვე, გვ. 25.

მსხვილი მრეწველობის განვითარების შესახებ სტატისტიკურ ცნობებს, 1928 წელს დაასკვნიდა, რომ „ჩვენში არის მსხვილი მრეწველობის განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თითქმის ყველა აუცილებელი პირობა“[1].

ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ 1927 წლის მეთორმეტე და 1928 წლის პირველ ნომრებში დაიბეჭდა ა. ჭუმბურიძის წერილი „ნედლეულის პრობლემა“, სადაც ავტორი ეხება სპეციალურ კულტურათა განვითარების გზებს ნედლეულის დამზადება-რეალიზაციის საკითხთან დაკავშირებით და მიდის ისეთ დასკვნამდე, თითქოს, მაშინ არსებული პირობები ხელს არ უწყობდა სპეციალურ, ტექნიკურ კულტურათა განვითარებას საქართველოში, რომ სახელმწიფო საკმაო ყურადღებას არ აქცევდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხებს.

განვიხილოთ საკითხი არსებითად. ა. ჭუმბურიძე დასახელებულ სტატიაში აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად ღებულობდა აქციზის სახით საქართველოდან გაზიდულ თამბაქოს, პარკისა და მატყლის პროდუქციაზე 26,5 მილიონ მანეთს, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გრძელვადიანი კრედიტის ჩათვლით ხარჯავდა წლიურად მხოლოდ 12 668 ათას მანეთს. ამრიგად, დაასკვნიდა ავტორი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამრეწველო ნედლეულის მომცემ დარგებს სახელმწიფო ბიუჯეტი გაცილებით უფრო ნაკლებს აძლევს, ვიდრე ის თვით ღებულობს აღნიშნულ დარგებიდან. ეს ხდება იმ დროს, როდესაც იგივე ბიუჯეტი სისტემატურად მეტს ხარჯავს მრეწველობაზე, ვიდრე ის იღებს მრეწველობიდან“[2]. გამოდიოდა რა აქედან, ავტორი გვთავაზობდა საკუთარ გეგმას: „მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ამ დარგში (ტექნიკურ კულტურათა ნედლეულის მწარმოებელი და მისი გადამმუშავებელი — ავტ.) ერთიმეორეზე არის მტკიცედ გადაჯაჭვული და მათი დაშორება მოუხერხებელია, რადგან ერთის განვითარება პირობებს ქმნის მეორის განვითარებისათვის. ეს გარემოება სწორუფლებიანობას ანიჭებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის სამრეწველო ნედლეულის მომცემ დარგებს ბიუჯეტის წინაშე. ამიტომ ის ყურადღება, რომლითაც მრეწველობა სარგებლობს დღეს ბიუჯეტიდან, უნდა გავრცელდეს იმ ნედლეულის მომცემ კულტურებზე, რომლებიც მრეწველობის საძირკველს შეადგენენ“ [3].

ამის შემდეგ ა. ჭუმბურიძე აკრიტიკებდა ფასების საბჭოთა პოლიტიკას, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე, განსაკუთ-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 11 — 12, გვ. 12.

[2] იქვე, 1927, № 12, გვ. 14.

[3] იქვე, გვ. 17.

რებით ტექნიკური კულტურების პროდუქციაზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულ დამზადების ფასებს. მართალია, სამრეწველო ნედლეულის ფასები საერთოდ უფრო მაღალი იყო ომამდე, ვიდრე რევოლუციის შემდეგ, ამის გამო, ჭუმბურიძის აზრით, გლეხობას არ უნაზღაურებდნენ პროდუქციის თვითღირებულებასაც კი. აქ ავტორი არ ითვალისწინებდა ყველა იმ სარგებლიანობას, რასაც გლეხი ღებულობდა რევოლუციის შედეგად გატარებული ღონისძიებებისაგან და ისე ასკვნიდა: „აშკარაა, რომ ისეთი ფასების არსებობის დროს ჩვენი ნედლეულის მეურნეობას არ შეუძლია განვითარდეს სასურველი ტემპით და გამოამჟღავნოს მთელი თავისი შესაძლებლობა"[1]. და ბოლოს, ჭუმბურიძის აზრით, კრედიტი, რკინიგზის ტარიფი, ისე როგორც ფასების საბჭოთა პოლიტიკა, მიმართული იყო „სოფლის გაძარცვისაკენ" [2].

არჩ. რუხაძემ სტატიაში „ყალბი ხაზი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში", ძირითადად სწორად გააკრიტიკა ჭუმბურიძის დებულებები და აღნიშნა, რომ პროპორციის დაცვა აღნიშნულ დარგთა შორის კაპიტალდაბანდების დროს ფაქტიურად ნიშნავს იმ ხაზის დაცვას, რომელიც რესპუბლიკას ტოვებს აგრარულ ქვეყნად და უარყოფს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას. გარდა ამისა, არჩ. რუხაძეს არსებითი ხასიათის კორექტივი შეჰქონდა სამრეწველო ნედლეულის ფასების ჭუმბურიძისეულ სკალაში. ასე მაგალითად, ფუთი თამბაქოს 1927 წლის დამზადების ფასად ჭუმბურიძეს ნაჩვენები ჰქონდა 21 მანეთი და 78 კაპიკი, მაშინ, როდესაც, არჩ. რუხაძის ცნობით, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ყოფილა აფხაზეთის პირველი ხარისხის ერთ ფუთ თამბაქოზე დამზადების ფასი 51 მან. და 20 კაპ., მეორე ხარისხის თამბაქოზე — 38 მან. და 40 კაპ., მესამე ხარისხის თამბაქოზე — 25 მან. და 60 კაპ., მეოთხე ხარისხის თამბაქოზე — 12 მან. და 96 კაპ., ლაგოდეხის თამბაქოს პირველ ხარისხზე — 26 მან., სამეგრელოს „სამსუნის" ჯიშის თამბაქოზე — 49 მან., „ტრაპეზუნდის" ჯიშის თამბაქოზე — 27 მან., გურიის თამბაქოზე — 30 მან. როგორც ჩანს, ჭუმბურიძეს მთელ საქართველოსათვის ერთი ფუთი თამბაქოს ფასი (21, 78 მან.) გამოუყვანია საშუალო არითმეტიკული წესით და დაუპირისპირებია იგი კონკრეტულად აფხაზეთში ერთი ფუთი თამბაქოს თვითღირებულებისათვის[3], რაც მეთოდოლოგიურად და მეცნიერულად გაუმართლებელია.

მართალია, რიგ შემთხვევაში სამრეწველო ნედლეულის ფასი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მისი თვითღირებულება, მაგრამ მათ შორის არ იყო

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1928, № 1, გვ. 41.
[2] იქვე, გვ. 44.
[3] იქვე, № 2 — 3, გვ. 72.

ისეთი კონტრასტი, როგორც ამას ფიქრობდნენ ჭუმბურიძე და სხვა სკეპტიკოსები. სამრეწველო ნედლეულზე საბჭოთა ფასების პოლიტიკის კრიტიკისას ჭუმბურიძე არ ითვალისწინებდა იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს, მათ შორის: 1. საბჭოთა მთავრობის მიერ სპეციალურ კულტურათა რაიონების გაძლიერებულ დასაქონლებას იაფი სამრეწველო საქონლით (მანუფაქტურა, პური და სხვ.); 2. გლეხობის უზრუნველყოფას საჭირო ავანსით (კონტრაქტაციის საშუალებით); 3. იაფფასიანი და ხანგრძლივი სასოფლო-სამეურნეო კრედიტით დახმარებას გლეხობისადმი; 4. განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და ინდუსტრიის განვითარებაზე გაწეულ ხარჯებს; 5. ბევრად უფრო ნაკლებ პირდაპირ გადასახადებს საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ვიდრე რევოლუციამდე; 6. რევოლუციის მიერ გლეხობის განთავისუფლებას მიწის სასყიდლისა და საიჯარო ქირის გადახდისაგან; 7. საბჭოთა მთავრობის მხრივ სისტემატურ მატერიალურ დახმარებას გლეხობისადმი და ა. შ. თუ ამ ფაქტორებს გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები იქნება, თუ რატომ იხდიდა გლეხობა ზედმეტს სამრეწველო საქონელში და რატომ უხდიდნენ მას ნაკლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებში[1].

არჩ. რუხაძის მიერ ძირითადად მართებული კრიტიკის მიუხედავად, ჭუმბურიძემ საჭიროდ ჩათვალა გამოსვლა საპასუხო წერილით — „ყალბი ხაზი თუ უბრალო ხმაური"[2], მან არსებითად ვერაფრით იმართლა თავი, მხოლოდ ერთგვარად დააზუსტა ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო ბიუჯეტის წინაშე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის თანასწორუფლებიანობის აუცილებლობის შესახებ[3]. მაგრამ მისი დებულება „დაზუსტების" შემდეგაც არ არის სწორი. ამიტომ არჩ. რუხაძე იძულებული გახდა კვლავ გამოსულიყო პასუხის პასუხით: „კილო ქმნის მუსიკას", სადაც აღნიშნავდა, რომ ჭუმბურიძის მიერ წამოყენებული დებულებანი „ფაქტიურად არაა ინდუსტრიალიზაციის ხაზი და თვით სოფლის მეურნეობის განვითარებასაც ვერ შეუწყობს ხელს". ამოცანას შეადგენდა ნედ-

---

[1] ჭუმბურიძე არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ მის მიერ აღნიშნული სამრეწველო ნედლეულიდან მხოლოდ ნედლი პარკი იყიდებოდა მთლიანად დამზადების ფასებში, დანარჩენების მნიშვნელოვანი ნაწილი კი იყიდებოდა თავისუფალ ბაზარზე მნიშვნელოვნად მაღალ ფასებში, რის გამო ის, რაც გლეხს დამზადების ფასებით აკლდებოდა, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც იფარებოდა თავისუფალ ბაზარზე მათი გაყიდვიდან.

[2] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1928, № 4.

[3] იქვე, № 12, გვ. 17. იხ. აგრეთვე, Б. А. Абрамов, Коллективизация сельского хозяйства — великая революция в социально-экономических и во всем укладе жизни крестьянства, М., 1967, стр. 18—22.

ლეულზე არა ფასების აწევა, არამედ ნედლეულის წარმოების თვითღირებულების შემცირება რაციონალიზაციის, მექანიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით.

დასასრულ, ამ დისკუსიის შედეგები შეაჯამა ჟურნალის „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქციამ და გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება: „ა. ჭუმბურიძის წერილში გამოთქმული მოსაზრებანი რედაქციას მიაჩნია იდეოლოგიურად ყოვლად გაუმართლებლად, რადგან არსებითად იგი ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის მიერ აღებულ სამეურნეო კურსს:

1. ჭუმბურიძის დებულება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გათანასწორების შესახებ ბიუჯეტის წინაშე, ჩვენ მიგვიყვანს მრეწველობის არა იმ ტემპით და არა იმ მასშტაბით განვითარებამდე, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმით...

2. ჭუმბურიძის მოსაზრებანი მეთოდოლოგიურადაც გაუმართლებელია იმ მხრივ, რომ მან მთელი თავისი გამოანგარიშება ააგო სოფლის მეურნეობის ნედლეულის სრული თვითღირებულებით გაყიდვის პრინციპზე, ხოლო ეს კიდევ უფრო გააძვირებს ნედლეულს და მით საბოლოო ჯამში ხელს შეუშლის მრეწველობის გაფართოებას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას“[1].

სწორედ ასეთ, ჭუმბურიძისეულ სამეურნეო მშენებლობის ხაზზე ამბობდა ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ პარტიის XIV ყრილობაზე, რომ ეს ხაზი არსებითად მოითხოვს ჩვენი ინდუსტრიის შეცვლას, „ამ ხაზს იქითკენ მივყავართ, რომ არასოდეს, ან თითქმის არასოდეს, არ მოხდებოდა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია, საშინაო ბაზარზე დამყარებული, ეკონომიურად დამოუკიდებელი ერთეულიდან ჩვენი ქვეყანა ობიექტურად უნდა გადაქცეულიყო საერთო კაპიტალისტური სისტემის დანამატად. ეს ხაზი ჩვენი მშენებლობის ამოცანების უკუგდებას ნიშნავს. ეს ჩვენი ხაზი არ არის“[2].

ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტია, სძლევდა რა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგობასა და მენშევიკური, მემარჯვენე-ოპორტუნისტული იდეოლოგიის რეციდივებს, განუხრელად ახორციელებდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინურ პოლიტიკას[3].

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 4, გვ. 21.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 328.
[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, გვ. 600.

§ 6. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი შედეგები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მუშათა კლასის პატრიოტული ინიციატივით დღითი-დღე ფართოვდებოდა მატერიალური საშუალებანი სამრეწველო მშენებლობის შემდგომი გაშლისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისათვის.

სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის მთავარი მიმართულება განსაზღვრა პარტიის XIV ყრილობამ. ყრილობის დირექტივების შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1926 წლის დეკემბრის პლენუმმა დაამტკიცა თეზისები მრეწველობის განვითარების შესახებ.

თეზისებში აღნიშნული იყო, რომ მრეწველობის შემდგომი განვითარება საქართველოში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მოქმედ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის განახლებით უახლესი ტექნიკის საფუძველზე, აგრეთვე ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ელექტროსადგურების აშენებით; რესპუბლიკის უხვი ბუნებრივი რესურსების (წიაღისეულის, სათბობის, ლითონის, ჰიდროენერგორესურსების) გამოყენებით, მძიმე ინდუსტრიის დარგების დანერგვითა და გაშლით. პლენუმი მოითხოვდა ისეთი საწარმოების აშენებასა და განვითარებას, რომლებისთვისაც საქართველოში არსებობდა საკმაო და ადვილად დასამუშავებელი სანედლეულო რესურსები (აბრეშუმი, ხე-ტყე, ყურძენი, შაქრის ჭარხალი, ხილი, თამბაქო, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვ.), აღნიშნულის გარდა, პლენუმმა საჭიროდ ცნო ადგილობრივი მრეწველობის სწრაფი განვითარება[1].

პლენუმმა, ხელმძღვანელობდა რა ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმით, აღნიშნა, რომ სამრეწველო მშენებლობა უნდა ემყარებოდეს ელექტრიფიკაციის ფართო განვითარებას წყლის უხვი ენერგიის გამოყენებით. ამიტომ, ზაჰესის, აწჰესისა და აბჰესის მშენებლობის დამთავრებასთან ერთად პირველი რიგის ობიექტებად მიიჩნია რიონჰესის, აგრეთვე აფხაზეთსა და კახეთში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა; სამრეწველო მშენებლობის ცემენტით უზრუნველყოფის მიზნით კავთისხევში ცემენტის ქარხნის აშენება.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ეკონომისტები უკანასკნელ წლებში ხშირად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირში ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ თითქოს თავიდანვე მოსპო შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება. ამის უსაფუძვლობას ნათლად გვიჩვენებს აღნიშნუ-

---

1 «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 49.

ლი პლენუმის დირექტივებიც, სადაც ნათქვამია: „ახალ სამრეწველო მშენებლობასა და არსებული სახელმწიფო მრეწველობის განვითარებასთან ერთად აუცილებელი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე შინამრეწველთა მრეწველობას... განხორციელდეს ღონისძიებები დაქსაქსულად არსებული ცალკეული შინამრეწველებისა და არტელებისადმი დახმარებისა და მათი ორგანიზაციის, აგრეთვე „შინამრეწველური მრეწველობის სხვადასხვა დარგების შემდგომი დანერგვისათვის"[1].

პლენუმმა ფართო ღონისძიებები დასახა მრეწველობისა და სამრეწველო მშენებლობისათვის კვალიფიციური მუშახელის მოსამზადებლად საფაბრიკო-საქარხნო სწავლების, მუშათა საღამოს სკოლების, პროფტექნიკური კურსების ქსელის გაფართოებისა და გაძლიერების გზით, აგრეთვე მოწაფეთა ბრიგადული და ინდივიდუალური მომზადების შემდგომი გაფართოების საშუალებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებდა, რომ მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ბაზას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და ამიტომ მან ერთდროულად ფართო ღონისძიებები დასახა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუდმივი პროპორციული განვითარებისათვის.

საქართველოში სოციალისტური მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა და ეკონომიკის სფეროებიდან კაპიტალისტური ელემენტების საბოლოოდ განდევნა დაკავშირებული იყო უზარმაზარ კაპიტალურ დაბანდებასთან. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების გმირული შრომის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიური შესაძლებლობანი და სოციალისტური დაგროვება. უმოკლეს დროში შეიქმნა პირობები კაპიტალურ დაბანდებათა სისტემატური და სწრაფი ტემპით გადიდებისათვის საქართველოს მრეწველობაში[2]. კაპიტალური დაბანდებანი სამრეწველო მშენებლობის სახით განსაკუთრებით ინტენსიურად იზრდებოდა 1926 — 29 წლებში. ამ პერიოდში დაიხარჯა სულ 55070,4 ათასი ჩერ. მანეთი. აქედან მეტი წილი — ახალ კაპიტალურ მშენებლობაზე. მარტო 1928 — 29 წელს დაბანდება შეადგენდა თითქმის 23 მილიონ მანეთს, ანუ ამ წლის კაპიტალურ დაბანდებათა მთელი მოცულობის 80 პროცენტზე მეტს[3].

საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, განუხრელად ახორციელებდნენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, სისტემატურად ზრდიდნენ ავტონომიური ერთეულების მრეწველობაში კაპიტა-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 50.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 132 — 133.

[3] იქვე, გვ. 131 — 138.

ლურ დაბანდებათა სახსრებს. ამასთან, კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპი ავტონომიურ ერთეულებში, მაგალითად, აფხაზეთში, უფრო მაღალი იყო, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირსა და საქართველოში[1].

კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვანმა ზრდამ უზრუნველყო სამრეწველო მშენებლობის ფართოდ გაშლა, დააჩქარა საწარმოთა ტექნიკური რეკონსტრუქცია და გაფართოება, ახალი დარგების აღმოცენება და განვითარება.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ელექტრომშენებლობა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს დარგად გადაიქცა. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ვარაუდობს მსხვილი მრეწველობის უპირატეს და სწრაფ განვითარებას. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, „მსხვილი მანქანური ინდუსტრია მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაციას ნიშნავს და სხვას არაფერს"[2].

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო ამ დარგის განვითარებას. ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია არსებითად ელექტრიფიკაციით დაიწყო ჯერ კიდევ 1922 წელს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ზაჰესის მშენებლობას. რეკონსტრუქციის პერიოდის დასაწყისიდან კი საბჭოთა ხელისუფლებამ უფრო ფართო პროგრამა დასახა ელექტრომშენებლობის დარგში — ეს იყო ზაჰესის მშენებლობის დამთავრება და რიონჰესის აგება, ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა სიმძლავრის, მათ შორის სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ამასთან დაკავშირებით, სოციალისტური დაგროვების ზრდის შესაბამისად, თანდათანობით იზრდებოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ელექტრომშენებლობაში, მას ხმარდებოდა მრეწველობაში დაბანდებული სახსრების მესამედზე მეტი.

ელექტრიფიკაციის ლენინურმა იდეამ ფართო მხარდაჭერა პოვა საქართველოს მშრომელ გლეხობაშიც. მშრომელი გლეხობის თაოსნობით, სახსრებით და უშუალო მონაწილეობით ფართოდ გაიშალა სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ახალციხის გლეხობამ საკუთარი ინიციატივით, თვითდაბეგვრის წესით, შეაგროვა ხორბალი და იგი ელექტროსადგურის მშენებლობის ფონდში შეიტანა. ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის სახსრებით აშენდა სოფელ ველისციხის 60 ცხენისძალიანი, ხოლო ხონში — 80 ცხ. ძ. ელექტრო-

---

[1] А. А. Абшилава, История промышленности Абхазской АССР (1921—1941 гг.), Тб., 1969, стр. 91.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 628.

სადგურები[1]. ასეთივე სახალხო მშენებლობის წესით აშენდა შოვის, ონის, ახალქალაქის, აბასთუმნის, ახალციხის, აწყურისა და სხვა დაბებისა და სოფლების სადგურები. მარტო 1926 წელს საქართველოში მუშაობდა შვიდი სასოფლო ჰიდროელექტროსადგური[2]. საგულისხმოა, რომ ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უკვე მაშინ გამოიყენებოდა არა მარტო განათებისათვის, არამედ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (წისქვილი, ლეწვა, ხე-ტყის დახერხვა და სხვ.).

1926 — 1929 წლებში საქართველოში შენდებოდა ისეთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიცაა ზაჰესი (20 000 ც. ძ.), რიონჰესი (30 000 ც. ძ.), აწჰესი (16 000 ც. ძ.), აგრეთვე აბჰესი (1 600 ც. ძ.). ალაზანჰესი (4 800 ც. ძ) და სხვა, სულ 93 500 კვტ-ის საერთო სიმძლავრით[3].

პარტიის, მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება მიპყრობილი იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი პირმშოს — ზაჰესის მშენებლობისადმი. 1926 წლის ზაფხულში იგი დაათვალიერა ი. ბ. სტალინმა, ესაუბრა მშენებლებს. მშენებლობა აგრეთვე დაათვალიერა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ.

ზაჰესის უზარმაზარ მშენებლობას, მშენებელთა უსაზღვრო შრომით ენთუზიაზმსა და თავდადებას აღტაცებაში მოჰყავდა საბჭოთა ხალხი, აგრეთვე საზღვარგარეთელი მუშათა დელეგაციები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებისას თავიანთ წარმოგზავნილებს უამბობდნენ ქართველი ხალხის შრომითი გმირობის ფაქტებზე, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა კაპიტალისტური ქვეყნების მუშებზე. ამიტომ ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ აღშფოთებით წერდა: ინგლისის მუშათა დელეგაციამ „თავისი თავი კომუნისტური პროპაგანდის იარაღად გახადა მთელ მსოფლიოში“ [4].

მზარდი ტემპით მიმდინარეობდა ზაჰესის მშენებლობა. მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ბაქოს, საქართველოს საწარმოები დაკვრითი წესით ასრულებდნენ მშენებლობის დაკვეთებს. დაუცხრომელი ენერგიით იბრძოდნენ მშენებელი მუშები — საქართველოს გუშინდელი გლეხები, რომელთაგან ბევრი დაეუფლა ინდუსტრიულ პროფესიას და ელექტრომშენებლობის მუდმივი კადრი გახდა. ზაჰესის მშენებლობის პროცესში

---

[1] ნ. ჩ ა ფ ი ძ ე, ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიიდან საქართველოში (1921 — 1929 წწ.), თბ., 1964, გვ. 117.

[2] Газ. «Заря Востока», 7 ноября 1926 г.

[3] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის 1928 — 1929 და 1929 — 30 წწ.“, თბ., 1931, გვ. 45 — 46.

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წლის 3 დეკემბერი.

აღიზარდნენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებელი ქართველი ინჟინრები და ტექნიკოსები, მაღალკვალიფიციური მუშები.

მშენებელთა ჭეშმარიტად გმირული შრომის შედეგად ზაჰესის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დამთავრდა 1926 წლის გაზაფხულისათვის, ანუ სამ წელიწადში—იმ დროისათვის სარეკორდო ვადაში. 1927 წლის 3 აპრილს ამუშავდა ზაჰესის პირველი აგრეგატი და პირველი დენი სადგურმა თბილისის ქვესადგურს მიაწოდა, ხოლო 9 აპრილს დედაქალაქის ქუჩები ზაჰესის დენით განათდა[1]. მაისის დამლევისათვის ახალ ელექტროდენზე გადაყვანილი იყო 143 საწარმო, მათ შორის თბილისის ტრამვაი, წყალსადენი, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ზოგიერთი საამქრო. „ილიჩის ნათურები" აკაშკაშებდნენ მახლობელ სოფლებსა და გლეხთა სახლებს.

ზაჰესის საზეიმო გახსნა დაინიშნა 1927 წლის 26 ივნისისათვის. საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელმა ორგანოებმა გაითვალისწინეს რესპუბლიკის მშრომელთა სურვილი და ზაჰესს მიაკუთვნეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, ზაჰესის სულის ჩამდგმელის — ვ. ი. ლენინის სახელი.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ უდიდეს წარმატებას საქართველოს მშრომელებთან ერთად ზეიმობდა მთელი საბჭოთა ხალხი, რომელთა მეგობრულმა დახმარებამ უზრუნველყო ზაჰესის უმოკლეს ვადებში აშენება და ამუშავება. ზაჰესის მშენებლობაში დაიხარჯა 15,7 მილიონი მანეთი, აქედან დაახლოებით 11 მილიონი მანეთი, ანუ 70 პროცენტი—საკავშირო ბიუჯეტიდან[2], რაშიც მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა ხალხის ლენინური მეგობრობა და ურთიერთდახმარება. ამის გამო ფ. მახარაძე ზაჰესის გახსნის დღეს სამართლიანად წერდა, რომ ზაჰესის ამუშავება — ეს არის მთელი საბჭოთა ხალხის შრომის ზეიმი[3].

ზაჰესის საზეიმო გახსნას დაესწრო მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი. საქართველოს ესტუმრნენ მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები. ზეიმში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონის დელეგაციები, აგრეთვე ფოთიდან ჩამოსული საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეზღვაურები.

საბჭოთა მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა ზაჰესის ხელმძღვანელი მშენებელი ინჟინრები ბ. ჭიჭინაძე, ბ. მიქელაძე და სადგურის პროექტის ავტორი ო. მელიქ-ფაშაევი.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 3 და 10 აპრილი.

[2] კ. ჩარკვიანი, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა, ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი (1887 — 1941), თბ., 1965, გვ. 86; გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 26 ივნისი.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 2 ივნისი.

ზაჰესს ჯერ კიდევ მშენებლობის პერიოდში შესანიშნავი ლექსები მიუძღვნეს ქართველმა პოეტებმა. ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ დაწერა კანტატა „დიდება ზაჰესს“, რომელიც სადგურის გახსნის დღეს შესრულდა ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

1927 წლის 26 ივნისს ზემოავჭალასა და მცხეთას შორის მტკვრის მარცხენა მხარე სავსე იყო მოზეიმე ხალხით. აქვე ესწრებოდნენ მ. კალინინი, ამიერკავკასიის და საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი მუშაკები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ლ. ქართველიშვილი, ლ. სუხიშვილი, გ. ყურულაშვილი და სხვ. მ. კალინინმა საქართველოს მშრომელებს მიულოცა დიდი წარმატება — ზაჰესის ამუშავება და აღნიშნა, რომ ზაჰესი — ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოციალიზმის აშენების გზაზე [1]. საზეიმო სხდომის შემდეგ 7 საათსა და 15 წუთზე პირველი ტურბინა აამუშავა მ. კალინინმა, ხოლო შემდეგი ტურბინები თანამიმდევრულად — მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ და ლ. სუხიშვილმა [2].

ზაჰესის ამუშავებას განუსაზღვრელი აღფრთოვანებით შეეგება საქართველოს მშრომელი გლეხობა და მუშათა კლასი. ერთ-ერთი მუშა წერდა: „ამიერიდან მტრები ვეღარ იტყვიან პროლეტარიატს არ შეუძლია მშენებლობა“[3].

საქართველოს მშრომელთა ამ უდიდეს მიღწევას ღვარძლიანი დაცინვით შეხვდნენ ჩვენი მტრები, მათ შორის ქართველ ემიგრანტთა მესვეურები.

საბჭოთა საქართველოში ელექტრომშენებლობას წინაღუდგნენ საბჭოთა ორგანოებში მოკალათებული მემარჯვენეები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ პარტიის კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დარგში. მათ ფუფუნებად მიაჩნდათ საქართველოში რიონჰესის აშენება. მაგრამ პარტიამ გაითვალისწინა საქართველოში მრეწველობის სწრაფი აღმავლობის პერსპექტივები და აუცილებლად მიიჩნია აქ ელექტროენერგეტიკული ბაზის შემდგომი გაფართოება, კერძოდ მდ. რიონზე ახალი, უფრო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის (რიონჰესი) აგება. სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1927 წლის 6 მაისს მიიღო გადაწყვეტილება სადგურის მშენებლობის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ [4].

ზაჰესის საზეიმოდ გახსნის შემდეგ, 1927 წლის 28 ივნისს, ქუთაისის მახლობლად სოფელ ჭომას მიდამოებში, საღამოს 5 საათზე, მომავალი რიონჰესის გვირაბის სათავესთან მ. კალინინმა, მ. ცხაკაიამ და შ. ელიავამ ქუთაისის მშრომელთა თანდასწრებით სამი ნაღმით ააფეთქეს კლდე და ამით

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 52-53.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 29 ივნისი.

[3] იქვე.

[4] იქვე, 7 მაისი.

დაიწყო ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ხალხმრავალ მიტინგზე მ. კალინინმა განაცხადა: ამ სამი აფეთქებით საძირკველი ჩაეყარა დიად საქმეს, რომელმაც უშრეტი ენერგია უნდა მოგვცეს მხარის მრეწველობის აღმავლობისათვის. აფეთქებებმა წარმოშვეს ახალი ქუთაისი[1]. გვირაბის სათავის აფეთქებას ესწრებოდა ბაქოს მუშათა დელეგაცია, რომელმაც წერილით მიმართა საქართველოს მშრომელებს და აღნიშნა: ამ დიდი საქმის შესრულებაში ბაქოს პროლეტარიატი თქვენთან იქნებაო[2].

რიონჰესის ასაშენებლად საჭირო იყო საკმაოდ დიდი თანხა — 13 მილიონი მანეთი. საბჭოთა საქართველოს იმ დროს, ცხადია, არ შეეძლო საკუთარი ბიუჯეტიდან ასეთი უზარმაზარი სახსრების გაღება და სადგურის დამოუკიდებლად აშენება. ამ მშენებლობაშიც საქართველოს მშრომელებს უდიდესი დახმარება გაუწიეს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებმა. სსრ კავშირის მთავრობამ სადგურის მშენებლობას დასაწყისში საკავშირო ბიუჯეტიდან გამოუყო 300 ათასი მანეთი. ამავე დროს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით რიონჰესის აშენებისათვის საჭირო 13 მილიონი მანეთიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტს უნდა გამოეყო 3,3 მილიონი მანეთი, ხოლო დანარჩენი — საკავშირო ბიუჯეტს[3]. საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურმა მეგობრობამ უზრუნველყო ამ ახალი დიდი მშენებლობის წარმატებაც.

1928 — 29 წლიდან რამდენადმე გაფართოვდა აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის (აწჰესი) მშენებლობა. საკავშირო ორგანოებმა საქართველოს გამოუყვეს დამატებითი სახსრები მშენებლობის დასაჩქარებლად. ფართოდ გაიშალა ელექტრიფიკაციის მოსამზადებელი სამუშაოები აფხაზეთში, კერძოდ გუმისთის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად[4].

სწრაფი ტემპით შენდებოდა აბჰესი, რომლის პირველი ტურბინა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1928 წლის 1 მაისს, ხოლო მეორე — 1929 წელს. აბჰესის დენის გამოსაყენებლად აშენდა გადამცემი ხაზი აბჰესი—ფოთი—ქუთაისი — ხონი. შენდებოდა აგრეთვე მეორე მაღალი ძაბვის დენის გადამცემი ხაზი ზაჰესი — ქუთაისი — ხონი — სამტრედია. აბჰესმა დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ელექტრიფიკაციასა და რიონჰესის მშენებლობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში.

ამრიგად, 1926 — 1929 წლებში ელექტრიფიკაციის ლენინური იდეის წარმატებით განხორციელების პროცესში თანდათანობით გაფართოვდა ელექტრომშენებლობა, გაიზარდა საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზა. თუ 1913 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის საერთო

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 29 ივნისი.

2 იქვე, 2 ივლისი.

3 იქვე, 28 აპრილი.

4 აფხაზეთის ასსრ ცსა (სოხუმი), ფ. 1, საქ. II, ფურც. 24 — 27.

სიმძლავრე 8 ათას კილოვატს არ აღემატებოდა, ხოლო მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 20 მილიონ კილოვატსაათს[1], 1927 — 28 წელს ელსადგურებმა გამოიმუშავეს 42,0 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ ორჯერ მეტი 1913 წელთან შედარებით. მარტო რაიონული ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე შეადგენდა თითქმის 13 ათას კილოვატს, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა აღემატებოდა 20 მილიონ კილოვატსაათს. რამდენადმე გაფართოვდა აგრეთვე სოფლის ელექტრიფიკაცია. 1927 — 28 წელს სოფლის ყველა ელსადგურის საერთო სიმძლავრე შეადგენდა 190 კილოვატს, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 210 ათას კილოვატსაათს, ხოლო 1928 — 29 წელს შესაბამისად — 210 კილოვატს და 225 ათას კილოვატსაათს[2].

ელექტროენერგეტიკული ბაზის ასეთი გაძლიერების მიუხედავად, იგი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, რადგან მიმდინარეობდა ფართო სამრეწველო მშენებლობა, მწყობრში ჩადგნენ ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმოები: ნაწილობრივ ამუშავდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, კასპის ცემენტის ქარხანა, თბილისის მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის საფეიქრო საწარმო, ლითონის კონსტრუქციათა ახალი ქარხანა, მცხეთის ხე-ტყის სახერხი, გაფართოვდა არსებული საწარმოები.

ამასთან დაკავშირებით, 1929 წლის დამდეგიდან ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ელექტრომშენებლობაში. უწინარეს ყოვლისა, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 4757 ათასი მანეთიდან (1927 — 28 წ.) გაიზარდა 8478 ათას მანეთამდე 1928 — 29 წელს, ანუ თითქმის ორჯერ. აქედან სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის გამოიყო 181,0 ათასი მანეთი[3]. დაჩქარდა რიონჰესის მშენებლობა, ახალი ჰიდროელექტროსადგურების პროექტების შედგენა, სასწრაფოდ შედგენილ იქნა ელექტრომშენებლობის ახალი ფართო პერსპექტიული გეგმა, რომელიც ვარაუდობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპთან შედარებით ელექტრომშენებლობის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა წარმოადგენდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს დარგს. მოთხოვნილება მანგანუმის მადანზე კოლოსალურად იზრდებოდა. ამიტომ აუცილებელი გახდა ჭიათურაში მადნის მოპოვების გაფართოება საწარმოს ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე. ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინა ამერიკულ ფირმას „ჰარიმანი და კომპანიას", რომელსაც

---

[1] ი. ბაჯაძე, საქართველოს სსრ ინდუსტრიული განვითარების ტემპის შესახებ (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1941, გვ. 156).

[2] «13 лет Советской Грузии», стр. 53.

[3] იქვე, გვ. 28.

1925 წლიდან გადაცემული ჰქონდა ჭიათურის მანგანუმის მადნების საბადოთა ექსპლოატაცია კონცესიის საწყისებზე[1].

მაგრამ უცხოურმა კონცესიამ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში ვერ გაამართლა, რადგან კონცესიონერი შეგნებულად თავს არიდებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. მართალია, 1926 წელს საბჭოთა კავშირში მოპოვებული მანგანუმის მადნის 43,8 პროცენტი მოდიოდა უცხოურ კონცესიაზე[2], მაგრამ შემდგომში ეს მაჩვენებელი სწრაფად მცირდებოდა, ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჭიათურაში მანგანუმის ამოღების შეკვეცაც. ჰარიმანი მსხვილ მონოპოლიათა ინტერესებს იცავდა და თავს იკავებდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებისაგან. იგი, პირიქით, მას განუწყვეტლივ ამცირებდა[3].

ასეთ ვითარებაში ჭიათურის მანგანუმის საკონცესიო მრეწველობას არ შეეძლო და სინამდვილეში ვერც შეძლო რაიმე დადებითი როლი შეესრულებინა რესპუბლიკის ინდუსტრიულ განვითარებაში. პირიქით, შეფერხდა მისი აღმავლობა.

ამიტომ ჯერ კიდევ 1928 წლის დამდეგს ადგილობრივი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები დაჟინებით მოითხოვდნენ კონცესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და საკუთარი საშუალებებით საბადოების დამუშავებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ყოველივე ზემოაღნიშნული და 1928 წლის ივლისში მიზანშეწონილად ცნო კონცესიის გაუქმება. საკავშირო ორგანოებმა დაადასტურეს პრეზიდიუმის დადგენილება და 1928 წლის აგვისტოდან დაიწყო ჭიათურის მრეწველობის ახალი ისტორია.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის სწრაფი და მძლავრი აღმავლობა დაიწყო იმის შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანები, საქართველოს მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკოსები. კონცესიონერმა უმძიმეს მდგომარეობაში დატოვა ჭიათურის მრეწველობა — 35 მაღარო და ფაბრიკიდან მუშაობდა მხოლოდ ერთი ფაბრიკა და ორი მაღარო.

პარტიისა და მთავრობის დახმარებით, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მუშების თავდადებული შრომით ტრესტმა რამდენიმე თვეში — 1929 წლის თებერვლისათვის — აღადგინა 17 მაღარო და 11 ქარხანა. სამოდე თვეში მადნის გარეცხვა ნახევარი მილიონი ფუთიდან გაიზარდა 5 მი-

---

[1] Н. М. Ткешелашвили, Очерки истории развития промышленности Советской Грузии, стр. 116—122.

[2] М. Н. Черноморский, Промышленность СССР в первые годы индустриализации 1926-1927 гг. (Журн. «Вопросы истории», 1972, № 1, стр. 31).

[3] სოციალისტური შენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 361, საქ. 60, ფურც. 65; საქ. 64, ფურც. 76.

ლიონ ფუთამდე, ხოლო მოპოვება 800 ათასი ფუთიდან 4,5 მილიონ ფუთამდე. ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით შორაპნის, ქუთაისისა და გორის მაზრებში ჩატარდა ურმების მობილიზაცია, საურმე გზების შეკეთება, ჭალის ხევში აიგო საბაგირო გზა. თბილისიდან გადაეცა ელექტროძრავები, გაუმჯობესდა ჭიათურის სურსათით მომარაგება, გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა თანხები და სხვ.

ფართოდ გაიშალა კაპიტალური მშენებლობა და მაღაროების რეკონსტრუქცია. გაფართოვდა სამუშაოთა მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია, უმჯობესდებოდა მადნის გადაზიდვა. დამთავრდა მაღაროსა და რკინიგზას შორის საჰაერო-საბაგირო გზის პროექტის შედგენა.

მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით სწრაფად იზრდებოდა მუშათა რაოდენობა. 1928 წლის სექტემბრისათვის უშუალოდ მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებული იყო 8100 კაცი, ტრესტის მექანიკურ სახელოსნოში—105, მშენებლობაზე—330, დამხმარე მეურნეობებში—520, ანუ სულ 9285 მუშა-მოსამსახურე. გარდა ამისა, მადნის გადაზიდვაზე მუშაობდა რამდენიმე ათასი მეურმე გლეხი[1].

ჭიათურის მუშებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. 1928 — 29 წელს ჭიათურიდან საზღვარგარეთ გაიგზავნა 634 ათასი ტონა გარეცხილი და 117 ათასი ტონა გაურეცხავი მადანი. მიღწეულ წარმატებებში გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშათა თავდადებულმა შრომამ და სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც 1929 წლის მეორე ნახევრიდან ფართოდ გაიშალა, კერძოდ, ჭიათურისა და ნიკოპოლის მეშახტეთა შორის ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

ს ა თ ბ ო ბ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დარგს. რადგან საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი მძლავრი ელექტროენერგეტიკული ბაზა, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო ღონისძიებები განახორციელა ქვანახშირის მრეწველობის გაფართოებისათვის. პირველ რიგში მთავარი ყურადღება დაეთმო ტყიბულის მაღაროებს, სადაც ქვანახშირის ამოღებამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

მაგრამ ტყიბულის მოქმედ მაღაროებს არ შეეძლოთ ქვანახშირზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მათი ტექნიკური დონის ამაღლების გარეშე. თანდათანობით იზრდებოდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, მაღაროების ტექნიკის დონე, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, გაიზარდა მუშათა ხელფასი, მომზადდა კადრები. 1927 წელს ამუშავდა ფხვიერი ქვანახშირის საბრიკეტო ფაბრიკა, გაფართოვდა წარმოების ელექტრიფიკაცია და მექანიზაცია ქვანახშირის მონგრევასა და გადაზიდ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3152, ფურც. 190, 204.

ვაში. მუშებისათვის აშენდა საცხოვრებელი სახლები, შეკეთდა საავადმყოფო, გაუმჯობესდა მუშათა მომარაგება სურსათითა და სამრეწველო საქონლით.

ინჟ. დ. ყიფიანის მეთოდით ტყიბულში დაინერგა ქვანახშირის მექანიკური გამდიდრება, რის შედეგად თითქმის მთლიანად მოისპო დანაკარგები, გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი, შემცირდა თვითღირებულება. ეს მეთოდი შემდგომში მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა.

საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ (1927 წ. ნოემბერი) ტყიბულის მაღაროების გარკვეულ წარმატებებთან ერთად აღნიშნა მათი დიდი ჩამორჩენაც და დასახა პრაქტიკული ღონისძიებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მეშახტეები თავდადებით შრომობდნენ. ისინი ეუფლებოდნენ სამთო ტექნიკას და სისტემატურად ზრდიდნენ შრომისნაყოფიერებას. ამის შედეგად ქვანახშირის მოპოვება 87,9 ათასი ტონიდან (1925 — 26 წ.) გაიზარდა 91,1 ათას ტონამდე 1926 — 27 წელს. გაიზარდა მაღაროებში დასაქმებული მუშების რაოდენობაც. 818 კაციდან (1925 — 26 წ.) — 1208 კაცამდე 1928 წელს[1]. 1928 წელს ტყიბულის საბრიკეტო ფაბრიკამ გამოუშვა 1513 ტონა დაბრიკეტებული ქვანახშირი, ხოლო 1929 წელს ტყიბულის მრეწველობამ სახალხო მეურნეობას მიაწოდა 97 ათასი ტონა ქვანახშირი.

ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი გაფართოების მიზნით საკავშირო და რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა საჭიროდ მიიჩნიეს ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა გეოლოგიური შესწავლის დაწყება, რისთვისაც მათ სათანადო თანხებიც გამოუყვეს.

1927 წელს, ფ. მახარაძის თაოსნობით, გაფართოვდა კახეთისა და გურიის ნავთობის საბადოთა გეოლოგიური შესწავლა. იტალია-ბელგიის საკონცესიო კომპანიამ 1927 — 1928 წლებში შირაქში დაიწყო ღრმა ბურღვა და გაჭრა 540 მეტრის სიღრმის ჭაბურღილი. ამით ამოიწურა უცხოური კონცესიის მოღვაწეობა. 1926 წლიდან საქართველოს ნავთობის მრეწველობის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევდა კადრებითა და სათანადო ტექნიკით ბაქოს ნავთობის მრეწველობის გაერთიანება „აზნეფტი“.

ყოველწლიურად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებისათვის, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ 1927 წლიდან ბათუმში ფართოდ გაიშალა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების მშენებლობა.

ამავე პერიოდში დაიწყო საქართველოს ტორფის საბადოთა ნაწილობრივი ექსპლოატაცია.

---

[1] Н. М. Ткешелашвили, Очерки истории развития промышленности Советской Грузии, стр. 87.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სწრაფი გაფართოება და თვისებრივი ზრდა საქართველოს ინდუსტრიული აღმავლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია. მრეწველობის ამ დარგებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდათ დათმობილი საქართველოს ინდუსტრიულ აღმავლობაში.

რეკონსტრუქციის დასაწყისიდან სპეციალურ მანქანებზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა საქართველოს მანქანათმშენებლობის სპეციალიზაცია, ლითონდასამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურის შეცვლა და არსებულ საწარმოთა ტექნიკური დონის ამაღლება. ამისათვის მნიშვნელოვნად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდება. წარმოებაში დაინერგა პროგრესული ოპერაციები: ავტოგენური შედუღება, ტვიფვრა, გაფართოვდა სამუშაოთა მექანიზაცია, წარმოების რაციონალიზაცია.

საქართველოს ლითონდამმუშავებელი მრეწველობა ემსახურებოდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობას. მაგრამ არსებულ საწარმოებს ფიზიკურად არ შეეძლოთ მთელი მხარის დაკმაყოფილება. ამიტომ 1927 წლის დასაწყისში გადაწყდა დიდუბეში (თბილისი) ახალი მსხვილი მექანიკური ქარხნის აშენება; იმავე წელს დაიწყო და მომდევნო წელს დამთავრდა მ. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქცია, გაფართოვდა სხვა ძველი საწარმოებიც, ამაღლდა მუშათა კვალიფიკაცია, გაიზარდა შრომითი აქტივობა.

ყოველივე ამან განაპირობა ლითონტრესტის საწარმოთა მთლიანი პროდუქციის წარმოების ორჯერ მეტად გადიდება 1637,4 ათასი მანეთიდან (1925 — 26 წ.) 3990,0 ათას მანეთამდე 1927 წელს[1]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლითონდამუშავება სხვა დარგებთან შედარებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ამიტომ მისი მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი აღემატებოდა საკავშირო მაჩვენებლებს. ასე მაგალითად, 1913 წელთან შედარებით ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია 1927 — 28 წელს გაიზარდა სსრ კავშირში — 1,7-ჯერ, საბჭოთა რუსეთში — 1,8-ჯერ, უკრაინაში — 1,6-ჯერ, ხოლო საქართველოში — 1,9-ჯერ[2].

წარმოების გაფართოების შესაბამისად იზრდებოდა მუშათა რაოდენობა. 1928 წლის დამლევისათვის ლითონტრესტის მრეწველობაში მუშათა საერთო რაოდენობა 2131 კაცამდე გაიზარდა. საგულისხმოა, რომ

---

[1] თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის საუწყებო არქივი, აღწ. 1, საქ. 12, ფურც. 12 — 14.

[2] «Социалистическое строительство Союза ССР (1933 — 1938 гг.)», Стат, сборник, стр. 146.

პროდუქციის წარმოების ზრდა მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა მუშათა საერთო რაოდენობის ზრდას.

საქართველოში განსაკუთრებით მზარდი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა. ერთობ სწრაფად ფართოვდებოდა შრომატევადი პროდუქციის წარმოება, იზრდებოდა მისი ხვედრითი წონა ლითონტრესტის მთლიან პროდუქციაში. საგრძნობლად გაიზარდა აბრეშუმის ძაფსაღები მანქანების, რკინიგზის ხიდების, საყრდენი ანძების, სასწორებისა და სხვათა წარმოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926 — 27 წელს ლითონტრესტის მრეწველობამ გამოუშვა 48 აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანა, მომდევნო წელს კი 600 ცალი[1].

ლითონტრესტის საწარმოებში ჯერ კიდევ 1927 — 28 წელს მკვეთრად გაიზარდა წმინდა მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება. იგი გამოწვეული იყო მანქანებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდით არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით თურქესტანისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების აბრეშუმის მრეწველობის მხრით. მარტო თურქესტანმა საქართველოს დაუკვეთა 800 აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანა.

საქართველოს მანქანათმშენებლები მეგობრულ დახმარებას უწევდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებს აბრეშუმის მრეწველობის განვითარებაში. ისინი დიდი რაოდენობით უგზავნიდნენ მათ თბილისში დამზადებულ აბრეშუმის ძაფსართავ მანქანებს. 1927 — 1928 წლებში საქართველოდან გაიგზავნა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში დამზადებული 600-ზე მეტი მანქანა, აქედან მარტო თურქესტანში — 432.

აღსანიშნავია, რომ თბილისში დამზადებული აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანები თავიანთი ტექნიკური დონის მხრივ ბევრად სჯობდნენ იტალიურ მანქანებს, რის გამოც მათ სახელი გაითქვეს მთელ საბჭოთა კავშირში.

ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო 1928 წლის აპრილში სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს აცნობებდა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მანქანების დამზადება მომავალში მთელი საბჭოთა კავშირისათვის აწარმოოს მხოლოდ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ[2]. მართლაც, 1928 წლიდან აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანები საბჭოთა კავშირისათვის მზადდებოდა მხოლოდ თბილისში. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრო-

---

[1] ა. კოპლატაძე, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (1921 — 1932 წწ.), გვ. 172.

[2] «История индустриализации Грузинской ССР (1926 — 1941)», стр. 98.

ბამ მიიღო გადაწყვეტილება საზღვარგარეთიდან ამ მანქანათა იმპორტის შეწყვეტაზე.

ამრიგად, საქართველოს მანქანათმშენებლობამ პირველ ხუთწლედამდე აითვისა აბრეშუმის ძაფსახვევი რთული მანქანების წარმოება და საბჭოთა კავშირი გადაიქცა აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობისათვის მანქანების შემომტანი ქვეყნიდან მათ მწარმოებელ ქვეყნად.

საქართველოს მანქანათმშენებლობამ 1926 — 1928 წლებში აითვისა აგრეთვე აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო სხვა მანქანებისა და აპარატურის წარმოება. 1927 წელს ქართველმა მანქანათმშენებლებმა გამოუშვეს აბრეშუმის პარკის მექანიკური საშრობი მანქანა, რომელიც უცხოურ ნიმუშზე უკეთესი აღმოჩნდა. ამ მანქანამ ტექნიკური გადატრიალება გამოიწვია აბრეშუმის წარმოებაში. მან სამუდამოდ განდევნა კუსტარული და მავნე წესი, გაზარდა პროდუქციის ხარისხი, შრომისნაყოფიერება, შეამცირა კაპიტალური დაბანდებანი, გაშრობის დრო, — რაც უწინ თვეობით გრძელდებოდა, ახლა 8 საათით განისაზღვრებოდა. ამის გარდა, მანქანა უვნებელი აღმოჩნდა მუშათა ჯანმრთელობისათვის.

საქართველოში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი აბრეშუმის გადამმუშავებელი ახალი ფაბრიკების მშენებლობას. 1926 წლის მეორე ნახევარში თითქმის ერთდროულად ამუშავდა ახალი და რეკონსტრუირებული ძაფსახვევი ფაბრიკები ოზურგეთში, ხონში და თელაკში; ოზურგეთში ამუშავდა ძაფსაგრეხი ფაბრიკა, გაფართოვდა თბილისისა და სამტრედიის ფაბრიკები და მეაბრეშუმეობამ საქართველოში მკვეთრად გამოსახული სამრეწველო ხასიათი მიიღო. იგი გადაიქცა ინდუსტრიული განვითარებისათვის საჭირო სახსრების დაგროვების ერთერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ. 1927 წლიდან დაიწყო ქუთაისისა და მახარაძის აბრეშუმის გადამმუშავებელი ფაბრიკების მშენებლობა, მახარაძისა და წულუკიძის ძველი ფაბრიკების გაფართოება.

სამეურნეო ღონისძიებათა დასახვისას პარტია ეკონომიურ საკითხებთან ერთად ყოველთვის ითვალისწინებდა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, სახელდობრ, უმუშევრობისა და აგრარული მოსახლეობის სიჭარბის ლიკვიდაციას. ამიტომ საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ჩაისა და აბრეშუმის მრეწველობის ფართოდ განვითარება[1].

საბჭოთა მთავრობა დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა მეაბრეშუმე გლეხებს, რის შედეგად სწრაფად იზრდებოდა გლეხების მონაწილეობა მეაბრეშუმეობაში. 1928 წელს ამ დარგში ჩაბმული იყო 103 ათასი

---

[1] „საქართველოს კომპარტიის (ბ) V ყრილობა“ (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 20.

ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა[1]. ამ წელს დამზადდა აბრეშუმის პარკი 163 ათასი ფუთის რაოდენობით. გაიზარდა გლეხობის შემოსავალიც. თუ წინა წლებში იგი შეადგენდა 3 მილიონ მანეთს, 1928 წელს უკვე 7 მილიონ მანეთს მიაღწია.

პარტია და მთავრობა სანედლეულო ბაზის გაფართოებასთან ერთად ენერგიულ ზომებს ღებულობდნენ პარკის მთელი მოსავლის გადასამუშავებლად საჭირო მძლავრი ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ამ მიზნით ყოველწლიურად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი.

მანქანათმშენებლობის განვითარებამ ხელი შეუწყო აბრეშუმის მრეწველობის გაფართოებას და ამ დარგში დასაქმებულ მუშათა საერთო რაოდენობის ზრდას. 1928 წელს აბრეშუმის მრეწველობაში უკვე ითვლებოდა 3500 მუდმივი მუშა. მათ უმეტესობას შეადგენდნენ მახლობელი სოფლებიდან მოსული გლეხი ქალები. ხონის ძაფსახვევ ფაბრიკაში, მაგალითად, თითქმის მთლიანად ადგილობრივი ქალები მუშაობდნენ[2].

მანქანათმშენებლობამ უზრუნველყო რესპუბლიკაში ახალი ინდუსტრიული დარგის შექმნა, მსუბუქი მრეწველობის გაფართოება და უკვე აღნიშნულ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის დაჩქარება.

საქართველოს მანქანათმშენებლობამ იმავე პერიოდში დაიწყო ჩაის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოებაც, რამაც ხელი შეუწყო ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის სწრაფ განვითარებას. საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა ამ დარგების განვითარებას. ამის შედეგად სისტემატურად იზრდებოდა ჩაის პლანტაციათა საერთო ფართობი და ფოთლის გადამმუშავებელი ფაბრიკების ქსელი. საქართველოში ჩაის პლანტაციებს თუ 1925 წელს ეკავა 1325 ჰექტარი ფართობი, 1929 წელს — 7841 ჰექტარი, ანუ 6-ჯერ მეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელი გლეხების მონაწილეობა ჩაის კულტურის განვითარებაში. 1926 წელს ამ დარგში მონაწილეობდა 2008 გლეხური მეურნეობა, 1929 წელს— 17744 მეურნეობა[3]. ამრიგად, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა და, მაშასადამე, აგრარული ჭარბი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მჭიდროდ დაუკავშირდა ინდუსტრიულ წარმოებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ჩაის მეურნეობის სწრაფი განვითარების შესაბამისად იზრდებოდა ჩაის მწვანე ფოთლის ყოველწლიური მოსავალი. მაგრამ იმ დროს მოქმედ ჩაის ექვს ფაბრიკას არ შეეძლო გადაემუშავებინა ჩაის ფოთლის მთელი მოსავალი, მისი ნაწილის გადამუშავებას გლეხები კუსტარული წესებით აწარმოებდნენ. ამიტომ ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად ინდუს-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3463, ფურც. 20.

[2] იქვე, საქ. 3160, ფურც. 156 — 175.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2736, ფურც. 180; საქ. 3152, ფურც. 55.

ტრიულ-ტექნიკური ბაზის შექმნა გადაიქცა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. საჭირო იყო არსებული ფაბრიკების ტექნიკური რეკონსტრუქცია ადგილზე დამზადებული მანქანების გამოყენებით, რადგან ინგლისთან ურთიერთობის გაუარესების გამო შეუძლებელი გახდა იქ ჩაის მანქანების შეძენა. საქართველოს მანქანათმშენებლობამ დაიწყო ჩაის წარმოებისათვის როლერების წარმოებაც. ამრიგად, რესპუბლიკის ახალგაზრდა მანქანათმშენებლობა პირველდამწყებად გამოვიდა საბჭოთა კავშირში აგრეთვე ჩაის მანქანათა წარმოებაში და აქაც მან მონოპოლიური მდგომარეობა დაიმკვიდრა.

ლითონტრესტის საწარმოებში, აღნიშნულის გარდა, 1926 — 1928 წლებში მზადდებოდა, თუმცა არა მასობრივად, ელექტროტექნიკური ნაკეთობანი, ავტოსატრანსპორტო დანადგარები, საელექტრიფიკაციო ანძები, თავდაცვის მრეწველობის სპეციალური დაკვეთები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ. საქართველოში მანქანათმშენებლობის განვითარების მაჩვენებელია მისი ხვედრითი წონის ზრდა ლითონტრესტის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში. 1929 წლის დამლევისათვის ლითონტრესტის ზოგიერთი ქარხანა უკვე საკავშირო მნიშვნელობის მანქანათსაშენებელ საწარმოდ გადაიზარდა.

საქართველოს მანქანათმშენებელთა მაღალ დახელოვნებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა მოძმე რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, თურქესტანი) აბრეშუმის ახალ საწარმოთა დამონტაჟებაში. მაგალითად, ქუთაისის საწარმოს ცნობილი გამომგონებელი, რაციონალიზატორი ალექსანდრე მაჭარაძე წარმატებით ასრულებდა თავის მოვალეობას ნუხის აბრეშუმის კომბინატის დანადგარების მონტაჟში.

1929 წელს ლითონტრესტის მთლიან პროდუქციაში მანქანათმშენებლობის პროდუქციის ხვედრითი წონა წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, მან შეადგინა 874 ათასი მანეთი, ანუ 14,2 პროცენტი[1].

ხუთწლედის პირველ წელს საქართველოში გაიზარდა აგრეთვე ლითონდასამუშავებელი მრეწველობა. ლითონტრესტის საწარმოებმა 1927—28 წელს გამოიმუშავეს 3644,4 ათასი მანეთის ნაწარმი, 1928 — 29 წელს კი თითქმის 5,5 მილიონი მანეთის ნაწარმი[2].

ამრიგად, 1929 წლის დამლევისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ლითონდამუშავება, ისე მანქანათმშენებლობა, რომელთა მიღწევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 304, აღწ. 31, საქ. 7, ფურც. 4;
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3903, ფურც. 76 — 78.

მსუბუქი და კვების მრეწველობა საქართველოში არსებითად საბჭოთა პერიოდში განვითარდა. საბჭოთა ხელისუფლება, ითვალისწინებდა რა რესპუბლიკის თავისებურებებს, აგრეთვე ინდუსტრიალიზაციისათვის სახსრების დაგროვების გადიდების აუცილებლობას, მძიმე მრეწველობასთან ერთად სათანადო ყურადღებას უთმობდა მსუბუქი და კვების მრეწველობის სანედლეულო და საწარმოო-ტექნიკური ბაზების შექმნას.

აღნიშნული დარგების განვითარებას პარტია უკავშირებდა აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: მშრომელთა პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, და ყოველივე ამის საფუძველზე — აგრარული მოსახლეობის სიჭარბისა და უმუშევრობის აღმოფხვრას.

გამოდიოდა რა აქედან, საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ზრდიდა მსუბუქ და კვების მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებებს, რის შედეგადაც 1926 — 1928 წლებში ამუშავდა რამდენიმე მსხვილი საწარმო, გაუმჯობესდა ძველ საწარმოთა საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რამდენადმე გაფართოვდა შრომის მექანიზაცია, მომზადდა ახალი კადრები, ამაღლდა მუშათა კვალიფიკაცია, კულტურულ-ტექნიკური და ზოგადი განათლების დონე, გაიზარდა შრომისნაყოფიერება და ა. შ. ყოველივე ამის შედეგად მოხმარების საშუალებათა წარმოების 43 საწარმომ 6481 მუშით გამოუშვა დაახლოებით 16,8 მილიონი მანეთის ნაწარმი. აქედან პროდუქციის 67 პროცენტი მოდიოდა ახალ მსხვილ საწარმოებზე, უმთავრესად აბრეშუმის ძაფსახვევ და საფეიქრო ფაბრიკებზე[1]. ასევე გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებიც, კერძოდ, საფეიქრო წარმოება. 1927 წლის 7 ნოემბერს თბილისში საფუძველი ჩაეყარა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მშენებლობას. გაფართოვდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში მომზადდა კვალიფიციური კადრები, ამაღლდა მუშათა კვალიფიკაცია. შეიქმნა საკმაოდ მძლავრი სანედლეულო ბაზა. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პირველი რიგის აგრეგატთა ამუშავების შემდეგ მატყლის გადამუშავება საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. საფეიქრო მრეწველობამ 1928 წელს გამოუშვა 864,5 ათასი მანეთის ღირებულების შალის ქსოვილი, ხოლო მომდევნო წელს — 1271,7 ათასი მანეთისა.

გაფართოვდა ბამბის საწარმოო ბაზა. 1926 წლის დამლევს ამუშავდა

---

[1] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის“, გვ. 17 — 18.

უახლესი ტექნიკით აღჭურვილი და ელექტრიფიცირებული ქუთაისის, გარდაბნისა და შულავერის ბამბის საპენტი ფაბრიკები. პირველ წელს ფაბრიკებმა გადაამუშავეს 2,2 ათასი ტონა ნედლეული და გამოუშვეს 623 ტონა გაპენტილი ბამბა. საფეიქრო მრეწველობის ზრდა საბჭოთა კავშირში დამოკიდებული იყო მებამბეობის განვითარებაზე. ამიტომ საჭიროდ აღიარეს მებამბეობის განვითარება აგრეთვე საქართველოში. 1928 წელს ბამბის პლანტაციათა ფართობები 1923 წელთან შედარებით გაიზარდა 5,5-ჯერ[1].

სოფლის მეურნეობის აღმავლობამ ხელი შეუწყო აგრეთვე კვების მრეწველობის განვითარებას საქართველოში[2]. მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს აბანდებდა ამ დარგის გაფართოებისათვის. ათი წლის მანძილზე დაიხარჯა 3750 ათასი მანეთი, აქედან მარტო 1926 — 1929 წლების პერიოდში 1050 ათასი ჩერვონული მანეთი, უმთავრესად ახალ მსხვილ საწარმოთა მშენებლობაზე[3].

გაფართოვდა ჩაის მრეწველობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ღვინის წარმოებაც, რომლის პროდუქციის დიდი ნაწილი გადიოდა რესპუბლიკის ფარგლებიდან, საზღვარგარეთაც კი, ასეთი იყო, განსაკუთრებით კონიაკი, სპირტი და არაყი.

სწრაფად ფართოვდებოდა თამბაქოს წარმოება, მისი ტექნიკური ბაზა. აშენდა ახალი ფაბრიკები, გარდაიქმნა ძველი საწარმოების ტექნიკური შეიარაღება, დაინერგა ახალი ტექნიკა და გაიზარდა შრომისნაყოფიერება. 1927 წელს თამბაქოს წარმოების მთლიანმა პროდუქციამ 26 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო 1928 წელს წინა წელთან შედარებით იგი 23,2 პროცენტით გაიზარდა და სახელმწიფოს მისცა 6,4 მილიონი მანეთის თამბაქოს პროდუქცია. 1926 — 1928 წლებში საზღვარგარეთ გაიგზავნა 45960 ტონა თამბაქო. აქედან მიღებული შემოსავლის საგრძნობი ნაწილი მოხმარდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებას.

საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა საკონსერვო წარმოებაც. 1928 წელს ნაწილობრივად ამუშავდა გორის საკონსერვო ქარხანა, რომელმაც გამოუშვა 140 ტონაზე მეტი პროდუქცია, მათ შორის 1,5 მილიონი პირობითი ქილა სხვადასხვა კონსერვი, რომლის ნაწილს საექსპორტო დანიშნულება ჰქონდა. გორსა და ქუთაისში დაიწყო დიდი საკონსერვო ქარხნების მშენებლობა.

---

[1] «Братское содружество Союзных республик в развитии народного хозяйства СССР (1917—1971 гг.), стр. 138.

[2] ლ. ჩ ი ქ ა ვ ა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, თბ., 1965, გვ. 134.

[3] Л. Б е р и д з е, Борьба трудящихся Грузии за развитие пищевой промышленности 1921—1932 гг. (автореферат к. д.), Тб., 1970, стр. 57, 60,

სავალუტო რესურსების ზრდაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხილის საშრობი ფაბრიკების ამუშავებას მეჯვრისხევში, შინდისსა და ახალციხეში, კაკლის სარჩევი საწარმოების მოწყობას ზუგდიდსა და მახარაძეში. ზუგდიდის ქარხანა, მაგალითად, წელიწადში 75 ათას ფუთზე მეტ კაკალს ამუშავებდა.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში ამუშავდა ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელი საწარმოები, ფართო ღონისძიებები ჩატარდა აგარაში შაქრის ქარხნის ასაშენებლად.

აჭარასა და აფხაზეთში სწრაფად ვითარდებოდა ღვინის, არყისა და სპირტის წარმოება. ქობულეთში, გუდაუთასა და გალში ამუშავდა სპირტსახდელი ქარხნები, აფხაზეთში დაიწყო კონსერვების, მურაბებისა და ჩირის წარმოება. კვების მრეწველობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა აფხაზეთში[1].

ამ პერიოდში აღსანიშნავია საქართველოს სამრეწველო განვითარების ერთი თავისებურება. 1928 წლის ბოლომდე მოხმარების საგანთა წარმოება ერთობ სწრაფად იზრდებოდა და იგი რამდენადმე უსწრებდა კიდეც წარმოების საშუალებათა წარმოებას. მხოლოდ 1929 წლიდან, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტური დაგროვება და ამის შედეგად კაპიტალური დაბანდებანი, მწყობრში ჩადგნენ მძიმე მრეწველობის ახალი მსხვილი ქარხნები, წარმოების საშუალებათა წარმოებამ დაიწყო სწრაფი ტემპით ზრდა[2]. იზრდებოდა მოხმარების საშუალებათა წარმოებაც.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან ფართოდ გაიშალა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გეოლოგიური შესწავლა. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგებმა ა. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძის, კ. გაბუნიას მეთაურობით. ამის შედეგად დიდად გაიზარდა სანედლეულო ბაზები საქართველოს ინდუსტრიული განვითარებისათვის.

ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე საქართველოში 1926 წლიდან რამდენადმე გაფართოვდა ქ ი მ ი უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა, რომელიც ამზადებდა ბარიტს, ლაქსაღებავებს, სამკურნალო-ფარმაცევტულ პროდუქციას, საპონს, მუხროვანის გლაუბერის მარილს, ნახშირმჟავა გაზს და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის V ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დაიწყო ქიმიური მრეწველობის ძირითადი პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. სწრაფად გაფართოვდა ბარიტის წარმოება.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (სოხუმი), ფ. 59, საქ. 696, ფურც. 197; газ. «Заря Востока», 24 февраля 1929 г.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 202.

საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალხარისხოვანი აღმოჩნდა საქართველოს ბარიტი, რომლის ბაზაზე შემდგომში რამდენიმე ქიმიური ქარხანა მოეწყო. ქართულ ბარიტს დიდი რაოდენობით მოითხოვდა მსოფლიო ბაზარი. ამასთან დაკავშირებით ბარიტის წარმოება ქუთაისში მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

საბჭოთა კავშირში ნავთის მრეწველობის დიდი პერსპექტივების დასახვასთან დაკავშირებით ფართოდ გაიშალა საქართველოს გუმბრინის (ფლორიდინი) საბადოთა შესწავლა. 1928 წლის დამლევს ა. თვალჭრელიძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ქუთაისში მოეწყო გუმბრინის საცდელი ქარხანა, რომელმაც მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა[1]. დაიწყო ბაქოს ნავთობის მრეწველობის მომარაგება ქართული ფლორიდინით.

1928 წლის დამლევს სოფელ ქისატიბში (ახალციხის მაზრა) ამუშავდა დიატომიტის საფქვავი ქარხანა, რის შედეგად პროდუქციის წარმოება ორჯერ გაიზარდა. დაფქვილი დიატომიტის ნაწილი იგზავნებოდა საზღვარგარეთ.

ყაზბეგის რაიონში გაფართოვდა ანდეზიტის მოპოვება, რის გამოც შეწყდა საზღვარგარეთიდან მისი შემოტანა. პირიქით, ადგილზე მოპოვებული ანდეზიტის ნაწილი განკუთვნილი იყო ექსპორტისათვის. ყაზბეგის რაიონის ამ ერთადერთ საწარმოში დასაქმებული იყო 600-ზე მეტი ადგილობრივი გლეხი.

უმთავრესად ექსპორტისათვის მზადდებოდა აგრეთვე ალგეთის ლითოგრაფიის ქვა, რომლის მოპოვება და დამუშავება მნიშვნელოვნად იზრდებოდა.

დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი საქართველოს ხე-ტყის მრეწველობას, როგორც ინდუსტრიალიზაციისათვის უმნიშვნელოვანეს დარგს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში აშენდა ხე-ტყის სახერხი რამდენიმე ქარხანა, მათ შორის მცხეთასა და აფხაზეთში. ჩატარდა ფოთის, ბაღდადის, ახმეტისა და სხვა რაიონების ძველი ხე-ტყის სახერხი ქარხნების რეკონსტრუქცია. 1927 — 28 წელს საქართველოს ხეტყის ქარხნებმა გამოუშვეს 1182,2 ათასი მანეთის პროდუქცია[2].

1927 წელს ბორჯომში ამუშავდა საკავშირო მნიშვნელობის საკასრე და ტკეჩის ქარხნები, გაფართოვდა ფანერის წარმოება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ფურცლოვანი სპილენძისა და შროშის ცეცხლგამძლე აგურის წარმოება, განვითარდა პოლიგრაფიული მრეწველობა, ბევრ სტამბაში დაიდგა უახლესი მანქანები.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1928 წლის 25 დეკემბერი.

[2] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 11 — 12.

საქართველოს კინომრეწველობამ 1927 წელს გამოუშვა სრულმეტრაჟიანი 10, ხოლო 1929 წელს 20 ფილმი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს მუშაობა საკავშირო მთავრობის დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 1926 — 1929 წლებში საქართველოს რკინიგზამ საბჭოთა რუსეთიდან მიიღო ახალი მძლავრი ორთქლმავლები, დიდი რაოდენობით ვაგონები და სალიანდაგო მასალები. გაიზარდა კაპიტალური დაბანდება. მნიშვნელოვნად გაძლიერდა ტრანსპორტის საწარმოო-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოების მუშაობა. დიდი სამუშაოები ჩატარდა სალიანდაგო მეურნეობის, კვანძებისა და სადგურების ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. გაფართოდა დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაცია. გაიზარდა მატარებლების სადღეღამისო გარბენის სიჩქარე, წლიური ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა.

1926 წლიდან გაიშალა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა ახალი სენაკი-ზუგდიდისა და ზუგდიდი-სოხუმის უბნებზე. მშენებლობაში ჩაება ათასობით ადგილობრივი გლეხი. მშენებლობას დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს ლითონდამმუშავებელი საწარმოები, რომლებმაც დაამზადეს და ააგეს ლითონის ოთხი, მათ შორის ყველაზე დიდი და რთული კონსტრუქციის ხიდი მდ. ცივზე.

დიდი ფინანსური და ტექნიკური სიძნელეების მიუხედავად, 1927 წლის I მაისიდან ამუშავდა სენაკი-ზუგდიდის რკინიგზის უბანი. დაჩქარდა ზუგდიდი-სოხუმის ხაზის მშენებლობა. 1928 წელს დაიწყო საბჭოთა კავშირში პირველი სამაგისტრალო რკინიგზის ურთულესი უბნის — სურამის უღელტეხილის (63 კმ სიგრძის) — ელექტრიფიკაცია, რასაც ხელმძღვანელობდნენ ინჟინრები ვ. ჩიქოვანი, ვ. ჭანკოტაძე და სხვ.

სარკინიგზო მშენებლობის შედეგად საქართველოს რკინიგზის ხაზების საერთო სიგრძე 728 კმ-დან (1913 წ.) გაიზარდა 912,3 კმ-მდე 1928 წელს. რკინიგზის გაფართოებასთან დაკავშირებით გაიზარდა რკინიგზელ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა — 1928 წელს რკინიგზაზე, მშენებელთა გარდა, მუშაობდა 28552 მუშა-მოსამსახურე.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან გაფართოვდა საზღვაო ტრანსპორტი. დიდი სამუშაოები ჩატარდა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურების რეკონსტრუქციისათვის. გაფართოვდა ტვირთის დამუშავების მექანიზაცია, გაიზარდა ნავსადგურების გამტარუნარიანობა და ტვირთბრუნვა.

საქართველოში თანდათანობით ვითარდებოდა ავტოტრანსპორტიც. რესპუბლიკაში 1926 წელს მუშაობდა 138 ავტომობილი (კოოპერაციის მანქანათა გამოკლებით), ხოლო 1929 წლის დამლევს — დაახლოებით 1000 ავტომობილი. საავტომობილო გზების სიგრძე 1928 წლისათვის გაიზარ-

და 6,4 ათას კილომეტრამდე. ყოველწლიურად ფართოვდებოდა საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობა. გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის მოცულობა. საგზაო მშენებლობაში ფართოდ მონაწილეობდა მშრომელი გლეხობა. საავტომობილო ტრანსპორტის გაფართოებამ ხელი შეუწყო სოფლის დაკავშირებას ქალაქებსა და მაზრებთან, რაიონების ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

კავშირგაბმულობა საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოთა რაოდენობა 176 ერთეულიდან (1924 — 25 წ.) გაიზარდა 190 ერთეულამდე 1928 წელს. მოეწყო 171 სააგენტო, ხუთი სატელეფონო სადგური, ორი რადიომიმღები. საგრძნობლად გაიზარდა საფოსტო გზების, ტელეგრაფისა და სატელეფონო ხაზების სიგრძე. 1928 წელს სატელეფონო გაყვანილობის სიგრძემ უკვე 7 ათას კილომეტრს გადააჭარბა. დაიწყო საფოსტო ეტლების ავტომობილებით შეცვლა. გაიზარდა სატელეფონო დანადგარების რაოდენობა. გაფართოვდა რაიონების რადიოფიკაცია. რადიო შეიჭრა შორეულ მთიან რაიონებშიც.

ვაჭრობა რეკონსტრუქციის პერიოდში უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს, იგი ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას, სოფლის დაკავშირებას მრეწველობასთან.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ქმედითი დახმარებით თანდათანობით განმტკიცდა სოციალისტური სექტორის პოზიციები საბითუმო საქონელბრუნვაში. სახელმწიფო ვაჭრობის ზრდის მიუხედავად საცალო ვაჭრობაში მაინც დიდი იყო კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა. განსაზოგადოებული წარმოებისა და ვაჭრობის გაფართოების მიუხედავად ბაზარზე მაინც იგრძნობოდა პირველი მოთხოვნილების საქონლის დიდი უკმარობა. ამით სარგებლობდა კერძო კაპიტალი და განუწყვეტლივ ზრდიდა საქონლის საბაზრო ფასებს, რამაც დაამძიმა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა, შეაფერხა მუშათა რეალური ხელფასის ზრდა.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა წვრილი კერძო კაპიტალისადმი დროებითი დათმობითი პოლიტიკა თანდათანობით ეკონომიური დაწოლის ღონისძიებებით შეეცვალა. ერთდროულად ხელი შეუწყო ვაჭრობაში სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას. გაფართოვდა კოოპერაციული ვაჭრობა და გაძლიერდა სოფლიდან კერძო ვაჭრების, შუამავლების, მევახშეთა და სპეკულანტების თანდათანობით განდევნა. ეკონომიური ზომების შედეგად კერძო კაპიტალი ბრძოლებით სთმობდა პოზიციებს.

1928 — 29 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა, მიმდინარეობდა კერძო კაპიტალის ხვედრითი წონის განუწყვეტელი შემცირება. გაიზარდა საცალო ვაჭრობის ბრუნვა, 1924—25 წელს მისი მოცულობა 158,3 მილიონი მანეთით განისაზღვრებოდა, 1927 — 28 წელს უკვე 290,2 მილიონ მანეთამდე გადიდდა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვამ 1929 წლის დამლევს 708 მილიონ მანეთს მიაღწია.

საბჭოთა ვაჭრობის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა პარტიის პოლიტიკამ ფასების დარგში. წინააღმდეგ ტროცკისტების მოთხოვნისა, პარტიამ 10 პროცენტით შეამცირა იგი, რამაც ხელი შეუწყო ქალაქსა და სოფელს შორის საქონელგაცვლის გაფართოებას, გაადიდა სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1926 — 1929 წლებში საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობამ და ამის საფუძველზე მათი პროდუქციის წარმოების ზრდამ[1].

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე საგარეო ვაჭრობის გაფართოებამ და მასში სახელმწიფო მონოპოლიის განმტკიცებამ. საგარეო ვაჭრობის გაშლაში მუშათა კლასთან ერთად სერიოზული როლი შეასრულა საბჭოთა საქართველოს გლეხობამ.

ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა მოთხოვნილება როგორც პურსა და ფართო მოხმარების საგნებზე, ისე სამრეწველო ნედლეულზე. მაგრამ იმ დროს წვრილგლეხურ სოფლის მეურნეობას არ შეეძლო სრულად დაეკმაყოფილებინა ეს მზარდი მოთხოვნილება. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს უშლიდნენ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური და სხვა მტრული ელემენტები, რომლებიც გააფთრებით იბრძოდნენ საბჭოთა წყობილების, პარტიისა და მთავრობის სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიებების წინააღმდეგ. ისინი აფერხებდნენ პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებას, ქმნიდნენ კრიზისულ მდგომარეობას პურის ფრონტზე. ამიტომ 1928 წლის დამლევიდან საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა შემოღო მოსახლეობის ნორმირებული მომარაგება საბარათო სისტემის გამოყენებით. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა ასეთ პირობებშიც წარმატებით ასრულებდა თავის ამოცანას.

ამრიგად, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში არ

---

[1] В. И. Абуладзе, Внутренняя торговля Грузинской ССР 1921—1932 гг., Тб., 1962, стр. 212.

დარჩენილა საქართველოს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი მეტნაკლები ზრდისა და განვითარების გარეშე.

პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასის თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგად 1926 წლიდან განუხრელად იზრდებოდა და ვითარდებოდა რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა. სამრეწველო განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მზარდმა სოციალისტურმა დაგროვებამ, რომლის საფუძველზე იზრდებოდა კაპიტალური დაბანდება. კაპიტალური დაბანდება მნიშვნელოვნად იზრდებოდა აგრეთვე საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში. აფხაზეთის მრეწველობაში იგი 141 ათასი მანეთიდან (1925 — 26 წ.) გაიზარდა 1275 ათას მანეთამდე 1928 წელს, ხოლო ძირითადი საწარმოო ფონდები 585,7 ათასი მანეთიდან (1926 წ.) გაიზარდა 1957 ათას მანეთამდე 1928 წელს[1].

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდამ უზრუნველყო სამრეწველო მშენებლობის შემდგომი გაშლა, მსხვილ საწარმოთა ამუშავება, ძველი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია და გაფართოება, ახალი სამრეწველო დარგების აღმოცენება, მრეწველობის გაადგილება მოხმარებისა და სანედლეულო ბაზების შესაბამისად. 1926 — 1928 წლებში ამუშავდა რამდენიმე ათეული მსხვილი საწარმო, რომლებშიც დასაქმებული იყო 10 ათასი მუშა[2].

საქართველოს მრეწველობა მაღალი ტემპით იზრდებოდა. ასე მაგალითად, თუ 1927 წელს მრეწველობის საშუალო წლიური ზრდა 1925 — 26 წელთან შედარებით შეადგენდა 17 პროცენტს, 1928 წელს — 20,3, 1929 წლის 10 თვეში უკვე აღწევდა 37 პროცენტს[3]. მრეწველობის სწრაფ აღმავლობას თან სდევდა ძირითადი ფონდების ზრდა და გაუმჯობესება უახლეს ტექნიკურ ბაზაზე. 1927 წელს ცენზიანი მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 16,6 მილიონ ჩერვონულ მანეთს მიაღწია[4].

მრეწველობის განვითარების შესაბამისად, თანდათანობით იზრდებოდა მუშათა საშუალო წლიური რაოდენობაც. 1925 — 26 წელს მსხვილ მრეწველობაში ირიცხებოდა 14637 მუშა, ხოლო 1927 — 28 წელს — 16161 მუშა[5]. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობაც. მუშათა რაოდენობის ზრდა მიმდინა-

---

[1] А. А. Абшилава, История промышленности Абхазской АССР (1921—1941 гг.), стр. 89, 91—92; «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 248.

[2] «13 лет Советской Грузии», стр. 56—57.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა“ (სტენ. ანგარიში), გვ. 29.

[4] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 156.

[5] იქვე, გვ. 101.

რეობდა უმთავრესად ეროვნული კადრების ხარჯზე, მათი ხვედრითი წონა 65 პროცენტს აღემატებოდა.

ახალი საწარმოების ამუშავებისა და მუშათა რაოდენობის გადიდების შესაბამისად გაიზარდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციაც 57777 ათასი მანეთიდან (1925—26 წ.) 74306 ათას მანეთამდე 1927—28 წელს [1].

მრეწველობის დარგში მიღწეულ წარმატებათა შედეგად საგრძნობლად შეიცვალა სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ურთიერთფარდობა მრეწველობის სასარგებლოდ. 1927—28 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 69,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მრეწველობისა, პირიქით, გაიზარდა 31,7 პროცენტამდე[2]. ეს ზრდა მიმდინარეობდა მსხვილი მრეწველობის ხარჯზე, რომელმაც 1928 წელს ომამდელ დონეს გადააჭარბა 68,9 პროცენტით. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1928 წელს შეადგენდა მთელი სამრეწველო პროდუქციის 29,3 პროცენტს, ახალ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა საქართველოს მრეწველობის მუშათა საერთო რაოდენობის 32,8 პროცენტს, ხოლო ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის ძირითადი ფონდების — 65,5 პროცენტს [3].

მაშასადამე, სოციალისტური რეკონსტრუქციის პირველსავე წლებში საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა აგრარული საქართველოს ინდუსტრიულ რესპუბლიკად გარდაქმნის პროცესი.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა განხორციელებამ მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები მოახდინა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, საგრძნობლად შემცირდა ქალაქებში უმუშევრობა, ხოლო სოფლად — აგრარული მოსახლეობის სიჭარბე.

მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით შეიცვალა რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურაც. ქალაქის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა აბსოლუტურად და შეფარდებით. მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა სოფლადაც, მაგრამ ამ მოსახლეობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მაინც მცირდებოდა. ეს ცვლილებანი ინდუსტრიული განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი წლების მიღწევათა შედეგად შეიცვალა აგრეთვე მრეწველობის სოციალურ ფორმათა ურთიერთფარდობა. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გატარებულ ეკონომიურ ღო-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 101.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა", გვ. 29.

[3] Н. М. Ткешелашвили, Очерки истории развития промышленности Советской Грузии, стр. 175, 181.

ნისძიებათა შედეგად მრეწველობაში სოციალურ ფორმათა ფარდობა მკვეთრად შეიცვალა სოციალისტური სექტორის სასარგებლოდ. ცენზიანი სოციალისტური მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 46,4 მილიონი მანეთიდან (1925 — 26 წ.) გაიზარდა 85 მილიონ მანეთამდე 1928 — 29 წელს. ამავე პერიოდში კაპიტალისტური სექტორის მთლიანი პროდუქცია 7,2 მილიონი მანეთიდან შემცირდა 0,7 მილიონ მანეთამდე, ხოლო ჭიათურაში ამერიკული კონცესიის გაუქმების შემდეგ კაპიტალისტური სექტორი ცენზიან მრეწველობაში თითქმის მთლიანად მოისპო.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში სამრეწველო კერები შეიქმნა აგრეთვე საქართველოს წმინდა სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, წარმოიშვა მუშათა კლასის ახალი რაზმები უმთავრესად ადგილობრივი გლეხების ხარჯზე, აღმოცენდა ახალი სამრეწველო დასახლებანი. ასეთია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დაწყებითი ეტაპის ძირითადი სოციალ-ეკონომიური შედეგები.

ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში საბჭოთა საქართველოს მიღწევები განაპირობეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარებამ, სახელმწიფოს მხრივ ფართო დახმარებამ, საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთთანამშრომლობამ და დახმარებამ, საქართველოს მუშათა კლასის სოციალისტური შეგნებულობის ზრდამ და ამის საფუძველზე შრომითი აქტივობის აღმავლობამ, ენერგიულმა ბრძოლამ წარმოების გაუმჯობესებისა და შრომისნაყოფიერების გადიდებისათვის.

§ 7. სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა

პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ერთიან გეგმიურ საწყისზე სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. იგი იყო კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ სოციალიზმის მთელ ფრონტზე გეგმაშეწონილი შეტევის, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებისა და აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულ ქვეყნად გარდაქმნის გაშლილი პროგრამა.

სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველწლიური საკონტროლო ციფრებისა და გეგმების შედგენის მანამდე არსებული პრაქტიკა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპით განვითარების პირობებში აღარ შეესაბამებოდა პარტიის მიერ ხანგრძლივი დროისათვის გათვალისწინებულ დიდ ამოცანებს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ვადებისა და პერსპექტივების განსაზღვრა, დარგების თანაზომიერი განვითარება, მრეწვე-

ლობის რაციონალური განლაგება, საბსრების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება, და ყოველივე ამის შედეგად, უდიდესი სოციალ-ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტა შეიძლებოდა უფრო ხანგრძლივი დროისათვის დაგეგმვით, მხოლოდ ერთიანი, ხუთწლიანი გეგმით.

პარტიის XV ყრილობის დირექტივების საფუძველზე დაიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი (1928 — 1932 წწ.) გეგმის შედგენა. ყრილობამ ხუთწლედის მთავარ ამოცანად დასახა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აშენება და ამისათვის მძიმე ინდუსტრიის შექმნა და განვითარება, რაც უზრუნველყოფდა სსრ კავშირის გარდაქმნას აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან მის დამოუკიდებლობას. ყრილობის დირექტივები ითვალისწინებდნენ პირველ ხუთწლედში წარმოების საშუალებათა წარმოების მაქსიმალურად უპირატეს განვითარებას, ქალაქად და სოფლად სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას, კაპიტალისტური ელემენტების განდევნას, სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა მასების ჩაბმას, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის დაძლევას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების განმტკიცებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

ყრილობა ხელმძღვანელობდა ლენინური ეროვნული პოლიტიკით და პირველი ხუთწლედის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვალისწინებდა ეროვნული რესპუბლიკებისა და ჩამორჩენილი რაიონების უფრო სწრაფ სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას, მათი ხვედრითი წონის ზრდას ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში, უახლოეს პერიოდში მათი ფაქტიური უთანაბრობის ლიკვიდაციას, ხოლო ამისათვის საწარმოო ძალთა სწორ გაადგილებას, მრეწველობის მიახლოებას სანედლეულო წყაროებთან[1].

ყრილობის დირექტივების საფუძველზე 1928 წლიდან დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის თებერვლის პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა დირექტივები აღნიშნული გეგმის შესადგენად. პლენუმი, უწინარეს ყოვლისა, გამოდიოდა იქიდან, რომ საქართველოს სსრ პირველი ხუთწლიანი გეგმა, როგორც საერთო-საკავშირო გეგმის შემადგენელი ნაწილი, შეხამებული უნდა ყოფილიყო საერთო-საკავშირო ამოცანებთან. დირექტივები ავალებდა მგეგმავ ორგანოებს, რათა მტკიცედ დაეცვათ ამიერკავ-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 600.

კასიის რესპუბლიკათა შორის შრომის განაწილების პრინციპი და არ დაეშვათ პარალელიზმი დარგების განვითარებასა და სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში. დირექტივებით განსაზღვრული იყო მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპები და სახალხო მეურნეობაში მისი ხვედრითი წონის ზრდა, არსებული სამრეწველო დარგების გაფართოება, ახალი დარგების შექმნა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. პლენუმმა საჭიროდ ცნო მთავარი ყურადღება დათმობოდა ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა სამთამადნო-მომპოვებელი, ხე-ტყის, ქაღალდის, აბრეშუმის, გემოკვების (თამბაქო, ჩაი და სხვ.), სამშენებლო მასალები, აგრეთვე საკავშირო მნიშვნელობის ქიმიურ-ფარმაცევტული და სხვ. წარმოებას. დირექტივები ითვალისწინებდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა დამუშავების დაწყებას და ამასთან დაკავშირებით საქართველოში მეტალურგიის დანერგვის შესაძლებლობათა შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელექტრომშენებლობის გაფართოებას და ამ მიზნით რესპუბლიკის მდინარეთა, მათ შორის მდინარე ენგურის ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას. დირექტივები ითვალისწინებდა ერთდროულად ადგილობრივი და შინამრეწველ-ხელოსნური მრეწველობის შემდგომ განვითარებას. ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის მნიშვნელოვანი ამაღლება, უმუშევრობისა და სოფლად აგრარული მოსახლეობის სიჭარბის აღმოფხვრა, კვალიფიციური კადრების მომზადება.

დირექტივებში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს: შრომატევადი ძვირფასი და ტექნიკური კულტურების (ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო, ჩაი, ყურძენი, კენაფი და სხვ.) და ინტენსიური მეცხოველეობის პროდუქციის (მატყლი, ხორცი, რძის ნაწარმი და სხვ.) წარმოების განვითარებას; მარცვლეულის მეურნეობის, მისი ტექნიკის რაციონალიზაციას და მოსავლიანობის გადიდებას, აგრონომიულ ღონისძიებათა ფართოდ დანერგვას; სოფლის მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას მაშინიზაციისა და ელექტრიფიკაციის საფუძველზე.

მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზის შექმნისა და მწვავე მცირემიწიანობასთან ბრძოლის ამოცანებთან დაკავშირებით პლენუმმა საჭიროდ ცნო ხუთწლედში სამელიორაციო სამუშაოთა გაშლა, სარწყავი არხების მშენებლობის დაჩქარება, ახალი სარწყავი სისტემების პროექტების შედგენა და მათი მშენებლობის დაწყება.

პლენუმმა მთავარ ამოცანად დასახა წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია საწარმოო კოოპერირების გაფართოების გზით. პლენუმმა აგრეთვე საჭიროდ ცნო არსებული საბჭოთა და კოლექტიურ მეურ-

ნეობათა მუშაობის გაუმჯობესება, ახალი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გაფართოება, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოს მხრით ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაძლიერება.

დირექტივებში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ტრანსპორტს, როგორც ხუთწლედის წარმატებით შესრულების აუცილებელ საშუალებას[1].

ხუთწლიანი გეგმის შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშათა და გლეხთა მასები.

1929 წლის დასაწყისში დამთავრდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენა. გეგმა განიხილა საქართველოს საბჭოების V ყრილობამ (1929 წ. 8 — 15 აპრილი), რომელმაც დააზუსტა მთელი რიგი საკითხები, ამასთანავე ყრილობამ ყურადღება გაამახვილა მძიმე ინდუსტრიის სწრაფ განვითარებასა და ხუთწლედის მეორე წლის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საკითხებზე[2].

სახალხო განხილვისა და მოწონების შემდეგ ხუთწლიანი გეგმა საბოლოოდ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ (1929 წ. ივლისი). ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე სახალხო მეურნეობის სწრაფ აღმავლობას და კულტურული მშენებლობის ფართოდ გაშლას. ამისათვის ნავარაუდევი იყო სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება 664,5 მილიონ მანეთამდე, რაც ექვსჯერ მეტად აღემატებოდა წინა ხუთი წლის მანძილზე დაბანდებულ თანხებს. კაპიტალურ დაბანდებათა მესამედზე მეტი (249 მილიონი მანეთი) გათვალისწინებული იყო მრეწველობისათვის, 190 მილიონი მანეთი — ტრანსპორტისათვის, ხოლო 168 მილიონი მანეთი — სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის[3]. მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა 84 პროცენტი განკუთვნილი იყო ახალ საწარმოთა მშენებლობისათვის. სამრეწველო პროდუქციის ზრდა ხუთწლედის დამლევისათვის ნავარაუდევი იყო 2,5-ჯერ. განისაზღვრა ინდუსტრიალიზაციის ზრდის ახალი პროპორციები — მძიმე მრეწველობის პროდუქციის ზრდა 414, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა — 395 პროცენტით.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საქართ-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР» (1926—1941 гг.), стр. 74—78; «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», (1927—1937 гг.)», Сб. документов и материалов, Тб., 1970, стр. 76—78.

[2] „სრულიად საქართველოს საბჭოთა V ყრილობა (სტენ. ანგარიში)", გვ. 328.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 615.

ველოს ხუთწლიანი გეგმა ეარაუდობდა მრეწველობის უფრო მაღალი ტემპით განვითარებას, ვიდრე საერთოდ საბჭოთა კავშირის მრეწველობისათვის იყო ნავარაუდევი. ამის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა ხუთწლედის დამლევისათვის 31 პროცენტიდან უნდა გაზრდილიყო 52 პროცენტამდე [1]. ხუთწლედი ფართო ამოცანებს სახავდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდისა და კულტურული შშენებლობის დარგში. სამჯერ მეტად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგებში.

საქართველოს სსრ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა რესპუბლიკის ავტონომიური ერთეულების მრეწველობის კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას, ამისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებას. ხუთწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევი იყო საქართველოს მრეწველობაში აჭარის მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა 2,3 პროცენტიდან 3,2 პროცენტამდე, აფხაზეთისა შესაბამისად — 1,9-დან 3,7 პროცენტამდე და სამხრეთ ოსეთისა — 0,1-დან 0,6 პროცენტამდე. ამ გეგმაში არ შედიოდა საკავშირო მნიშვნელობის მშენებარე ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო.

საქართველოს კომპარტიის VI ყრილობამ ადგილობრივ პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაავალა მტკიცედ დაერაზმათ მშრომელები, განევითარებინათ მათი შემოქმედებითი თაოსნობა და უზრუნველეყოთ დასახულ ამოცანათა შესრულება.

ბრძოლა ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა გეგმის დამტკიცებისთანავე. საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელი მასები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ხუთწლიან გეგმას, რაც მკაფიოდ გამოხატეს მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების დაწყებითა და მისი სწრაფი გავრცელებით.

საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, პირველი ხუთწლედისათვის შექმნილი იყო ყველა პირობა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების დასაწყებად [2]. მუშათა კლასს უკვე გააჩნდა საამისო გამოცდილება: მუშაობის შედეგების საჯარო განხილვა, გამოცდილების გაზიარება, ჩამორჩენილებისადმი ამხანაგური დახმარება, პირველი დამკვრელი ბრიგადები, კონკურსები საუკეთესო მუშის წოდებისათვის, საწარმოთა დათვალიერება და სხვ.

მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება ჩვენში 1929 წლის 9 მარტს

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები". გვ. 616.

[2] «Ленинский план социалистической индустриализации и его осуществление», стр. 136.

დაიწყო გაზეთ „რაბოჩაია პრავდას“ რედაქციის ინიციატივით. რედაქციამ მიმართა საწარმოო კოლექტივებს, რათა ჯანსაღი და ამხანაგური შეჯიბრებით უზრუნველეყოთ პარტიის დავალება — განემტკიცებინათ შრომის დისციპლინა, მიეღწიათ მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის და შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება.

მიმართვას პირველად გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე რაზმი — თბილისის პროლეტარიატი, რომელმაც მალე თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა შრომისნაყოფიერების გადიდებაში, სახსრების მომჭირნეობაში და დისციპლინის გაუმჯობესებაში. შეჯიბრებამ აამოძრავა საწარმოთა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გააცხოველა საწარმოო თათბირების, ახალგაზრდობის მუშაობა[1]. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეჯიბრებაში გამოიწვია ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნისა და თბილისის ტრამვაის ახალგაზრდა მუშები. მისაბაძ წარმატებებს მიაღწია საქართველოს მოწინავე საწარმოს — ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. მოწინავე მუშებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება[2].

თბილისის პროლეტარიატის პატრიოტული თაოსნობა მყისვე გავრცელდა მთელ ამიერკავკასიაში. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული პრესა ფართოდ აშუქებდა თბილისის მუშათა ამ მოძრაობას.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანოები და მათი ხელმძღვანელობით საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ დასაწყისშივე ინდივიდუალური შეჯიბრების გაშლასთან ერთად წარმოიშვა შეჯიბრება მთელ საწარმოო კოლექტივებს შორის. ისინი ეჯიბრებოდნენ აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების მონათესავე კოლექტივებს[3]. სოციალისტური შეჯიბრების პირველი ხელშეკრულება საქართველოში გაფორმდა 1929 წლის აპრილში[4]. მაისის დასაწყისში ჭიათურის მეშახტეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თბილისის მრეწველობის მუშები[5], ხოლო თბილისის პარტიულმა და

---

[1] «История социалистической индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 125—127, 135.

[2] იქვე, გვ. 133, 136.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 27 აპრილი.

[4] С. Чхартишвили, История развития форм социалистического труда в промышленности Грузии (1921—1965 гг.) (Автореферат докт. дис.), Тб., 1969, стр. 37.

[5] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 6 მაისი.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — ბაქოს, ერევნის, ბათუმის, ჭიათურისა და ტყიბულის ორგანიზაციები.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი მძლავრი აღმავლობა, მისი ნამდვილად მასობრივ მოძრაობად გადაზრდა დაიწყო სკპ (ბ) XVI კონფერენციის მიერ საბჭოთა კავშირის ყველა მუშისა და მშრომელი გლეხისადმი მიმართვისა და ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 9 მაისის „ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ დადგენილების შემდეგ. კონფერენციამ აღნიშნა, რომ „შეჯიბრება და ხუთწლედი განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული“ და იგი უნდა გადაიქცეს სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მუდმივ მეთოდად[1].

საქართველოს მუშათა კლასმა, მშრომელმა მასებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი პარტიის მოწოდებას ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ. 1929 წლის აპრილ-ივნისში გაფორმდა სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულებანი როსტოვისა და თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნების, ჭიათურისა და ნიკოპოლის მეშახტეთა, მოსკოვისა და თბილისის აბრეშუმის ფეიქართა, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელ და ბაქოს ლითონის ქარხნების საწარმოო კოლექტივებს შორის.

სოციალისტური შეჯიბრების პროცესში გაძლიერდა საწარმოო თათბირების მუშაობა, გაიზარდა მათში მუშათა მონაწილეობა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა. ჭიათურის მეშახტეთა 273 წინადადების ეკონომიურმა ეფექტმა შეადგინა 2 მილიონი მანეთი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მრეწველობის მთელ რიგ დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომისნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და შემცირდა ნაწარმის თვითღირებულება[2].

მუშათა კლასის პატრიოტულმა ბრძოლამ ხელი შეუწყო სოციალისტური შეჯიბრების სწრაფ აღმავლობას, მასში მშრომელთა მონაწილეობის ზრდას. 1929 წლის ნოემბრისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობდა მუშა-მოსამსახურეთა 26,2 პროცენტი[3]. მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების ძირითად ფორმას დაწყებით ეტაპზე წარმოადგენდა დამკვრელობა. 1929 წლის დამლევისათვის 59 საწარმოს მუშათა მესამედი დამკვრელი იყო[4].

---

1 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 803, 805.

2 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 879, საქ. 1532, ფურც. 208 — 216.

3 იქვე, ფ. 814, საქ. 1688, ფურც. 59 — 60.

4 С. Чхартишвили, История развития форм социалистического труда в промышленности Грузии (1921—1965 гг.), стр. 45.

მუშები აღარ კმაყოფილდებოდნენ დამკვრელი ბრიგადებით. მათ წამოაყენეს ახალი ლოზუნგი — „დამკვრელი ბრიგადებიდან — დამკვრელი სამქროებისა და საწარმოებისაკენ". ამის ინიციატორად გამოვიდა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივი. თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშებმა შემოიღეს ერთდროულად სამ-სამ დაზგაზე მუშაობა. აქვე ჩაეყარა საფუძველი მრავალ დაზგოსნობას.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში გაძლიერდა აგრეთვე გამომგონებლობა და რაციონალიზატორთა მოძრაობა.

დიდი როლი შეასრულა დამკვრელ ბრიგადათა პირველმა რესპუბლიკურმა ყრილობამ (1929 წ. ნოემბერი) სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შემდგომ გაძლიერებაში. ყრილობამ გამოავლინა არსებული ნაკლი, რომელთა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებები, წამოაყენა საბრძოლო ლოზუნგი — „არც ერთი კაცი შეჯიბრების გარეშე". ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგად გაიზარდა შეჯიბრებაში მონაწილეთა და დამკვრელთა რაოდენობა, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი. 1929 წლის დამლევისათვის რესპუბლიკის მარტო ინდუსტრიულ საწარმოთა დამკვრელ ბრიგადებში გაერთიანებული იყო 20 ათასზე მეტი მუშა[1].

საქართველოს მუშათა კლასმა მტკიცედ დაუჭირა მხარი 1929 წლის ბოლოს ქვეყნის მოწინავე სამრეწველო რაიონების მუშათა მიერ წამოყენებულ ახალ საბრძოლო ლოზუნგს — „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში".

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ზრდას, მათი კულტურულ-ტექნიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ხელმძღვანელ სამუშაოებზე მუშათა დაწინაურებას. 1927 — 1930 წლებში საქართველოში დააწინაურეს 2250 მუშა[2]. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა, ახალი საწარმოოტექნიკური ინტელიგენცია.

1929 წელი სსრ კავშირის ისტორიაში შევიდა როგორც სოციალიზმის მშენებლობაში დიადი გარდატეხის წელი. იგი მნიშვნელოვანი გარდატეხის წელი იყო აგრეთვე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. პარტია და მთავრობა ითვალისწინებდნენ მუშათა კლასის შრომითი აქტივობის შედეგებს და შესაძლებლად მიიჩნიეს 1929 — 30 წლისათვის დავალებათა გადიდება, ეკონომიკის უფრო სწრაფი ტემპების განვითარება.

---

1 „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 619.

2 Б. Мачавдзе, Лицом к производству, Тб., 1930, стр. 32.

1929 წლის ზაფხულში, როდესაც საბჭოთა ხალხი განაგრძობდა თავდადებულ შრომას ხუთწლედის ამოცანათა შესრულებისათვის, მსოფლიო იმპერიალიზმი ხელახლა შეეცადა ომში ჩაეთრია ჩვენი ქვეყანა. ამერიკის იმპერიალისტთა წაქეზებითა და ხელშეწყობით ჩინელმა მილიტარისტებმა მაისში პროვოკაციული თავდასხმა მოაწყვეს ხარბინში საბჭოთა გენერალურ საკონსულოს შენობაზე, ივლისში დაიპყრეს სსრ კავშირის კუთვნილი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა და საბჭოთა მიწა-წყალზე შემოიჭრნენ. იმპერიალისტების თავხედობამ აღაშფოთა მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელებიც. მათ მოითხოვეს აგრესორთა საპასუხოდ ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის გამოშვება. ქართველი მშრომელი ახალგაზრდები მასობრივად მოითხოვდნენ ჩინელი იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად შორეულ-აღმოსავლეთის ახლად შექმნილ არმიაში გაგზავნას.

ჩინელი მილიტარისტებისაგან ჩვენი ტერიტორიის გაწმენდის შემდეგ იმპერიალიზმის დასაყრდენად გადაიქცა პოლონეთის მთავრობა, რომლის ანტისაბჭოთა მოქმედებას მხარს უჭერდა კონტრრევოლუციური ქართველი ემიგრაცია. საქართველოს მშრომელები, მოწინავე ინტელიგენცია გულგრილად ვერ იქნებოდა მტრების მიმართ, იგი მხარში ამოუდგა საკუთარ საბჭოთა მთავრობას.

შექმნილ საერთაშორისო და საშინაო ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1929 წლის გაზაფხულიდან კაპიტალური დაბანდება 7,8 მილიონი მანეთიდან (1927 წ.) გადიდდა 12,5 მილიონ მანეთამდე[1]. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო მშენებლობის ტემპი, კაპიტალდაბანდებათა ორ მესამედზე მეტი ხმარდებოდა მძიმე ინდუსტრიის მთავარი დარგების განვითარებას. ყოველივე ამის შედეგად 1929 წელს მწყობრში ჩადგა მსხვილ საწარმოთა საგრძნობი რაოდენობა, მათ შორის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკა, თბოსადგურები, სამშენებლო მასალათა საწარმოები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნები. იმავე წელს დაიწყო ან უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ზესტაფონის ფერომანგანუმისა და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების (მეორე რიგი), კასპის ცემენტისა და თბილისის ახალი მექანიკური ქარხნების, ზაჰესი II-ისა და რიონჰესის, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროსა და შავი ზღვის რკინიგზის და ადგილობრივი ბარიტის ბაზაზე ქუთაისის ლითოფონის ქარხნის და სხვა საწარმოთა მშენებლობა. მშრომელთა აქ-

---

[1] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის“, გვ. 26 — 27.

ტიური მონაწილეობით მზარდი ტემპით მიმდინარეობდა ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროების ტექნიკური რეკონსტრუქცია.

საქართველოს მრეწველობა 1929 წლის დამლევისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1928—29 წლის გეგმა მრეწველობის დარგში შესრულდა 104 პროცენტით[1]. გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. ცენზიანი მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება 16,6 მილიონი მანეთიდან (1927 წ.) გაიზარდა 19,6 მილიონ მანეთამდე 1929 წელს[2].

საქართველოს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1929 წელს გაიზარდა თითქმის 84 პროცენტით 1925—26 წელთან შედარებით, ხოლო 1927—28 წელთან შედარებით—50,6 პროცენტით[3]. საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერება 1927—28 წელთან შედარებით გაიზარდა 21,4 პროცენტით[4]. რესპუბლიკის მრეწველობაში განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა გაიზარდა 99,4 პროცენტამდე, ხოლო კერძოკაპიტალისტური სექტორისა შემცირდა 0,6 პროცენტამდე 1929 წლის დამლევისათვის. მძიმე მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 16,7 მილიონი მანეთიდან (1927—28 წ.) გაიზარდა 32,5 მილიონ მანეთამდე 1929 წელს, ანუ ორჯერ[5].

მუშათა კლასის შრომის დიდ წარმატებას წარმოადგენდა ის, რომ რესპუბლიკის მთელ მრეწველობაში მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წონა 67 პროცენტიდან (1928 წ.) გაიზარდა 79 პროცენტამდე, ე. ი. წარმატებით შესრულდა ხუთწლედით გათვალისწინებული ზრდის მაღალი ტემპი. მრეწველობის დარგში მიღწეულ წარმატებათა შედეგად მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში 26,2 პროცენტიდან (1925—26 წ.) გაიზარდა 36,7 პროცენტამდე[6]. მძიმე მრეწველობის ნამატი ამ პერიოდში ორჯერ მეტად აღემატებოდა მოხმარების საგანთა წარმოების ნამატს[7].

მრეწველობის გაფართოების შესაბამისად სწრაფად იზრდებოდა მუშათა რაოდენობაც. მუშათა საერთო რაოდენობა მრეწველობაში 16161 კაციდან (1928 წ.) გაიზარდა 22678 კაცამდე 1929 წელს, ანუ ორჯერ მე-

---

[1] С. Чхартишвили, История развития форм социалистического труда в промышленности Грузии (1921—1965 гг.), стр. 40.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 156.

[3] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 2.

[4] იქვე, გვ. 17—18.

[5] იქვე, გვ. 17.

[6] «История Грузии» (Учебное пособие), Тб., 1968, III, стр. 72.

[7] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 620.

ტად [1]. ორჯერ მეტად გაიზარდა ქალთა დასაქმება მრეწველობაში. მუშათა რაოდენობა გადიდდა ტრანსპორტზეც.

ტექნიკური რეკონსტრუქციის გაფართოებისა და მუშათა რაოდენობრივი ზრდის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 74,3 მილიონი მანეთიდან (1928 წ.) გაიზარდა თითქმის 112 მილიონ მანეთამდე 1929 წელს. ამ წელს მნიშვნელოვან წარმატებებს ჰქონდა ადგილი წარმოების საშუალებათა წარმოებაში.

1929 წლიდან წარმოების საშუალებათა წარმოების წინ გამსწრები ტემპით განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობაც.

საქართველოს მრეწველობის უფრო მძლავრ აღმავლობაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმს, რომელმაც შეაჯამა ხუთწლედის პირველი წლის შედეგები და ახალი, უფრო დიდი ამოცანები დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპით განვითარებისათვის.

პარტიის ახალი დირექტივების შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის დეკემბრის პლენუმმა დაამტკიცა კონკრეტული ღონისძიებები რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის უსწრაფესი ტემპით განვითარებისათვის. ამავე დროს პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა ხუთწლედის პირველი წლის მანძილზე საქართველოს მუშათა კლასის გმირულ შრომას.

§ 8. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მთავარი ამოცანა და საბოლოო მიზანია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ქვეყნის ეკონომიური გაძლიერების კვალობაზე უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისად სისტემატურად იზრდებოდა მოსახლეობის დასაქმების დონე, ქალაქებისა და მათი მოსახლეობის რაოდენობა.

1926 წელს მთელ სახალხო მეურნეობაში მუშაობდა 128 ათასი მუშა და მოსამსახურე, 1928 წელს კი 143 ათასზე მეტი. აქედან მრეწველო-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 101.

ბაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1928 წელს შეადგენდა 24,7 ათასს, ხოლო მშენებლობაზე — 14,8 ათასს [1]. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშები და მოსამსახურენი თავდადებით შრომობდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერის სწრაფი აღმავლობისა და განმტკიცებისათვის.

მუშათა კლასისა და გლეხობის ენერგიული შრომით საქართველოს ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის განვითარებამ სათანადო პირობები შექმნა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიგვითითებს მუშა-მოსამსახურეთა წლიური ხელფასის ფონდის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ 1926 წელს იგი შეადგენდა 14,5 მილიონ მანეთს, 1928 წელს უკვე 20,2 მილიონ მანეთს მიაღწია [2].

ამავე პერიოდში თვალსაჩინოდ ამაღლდა საქართველოს მუშის საშუალო თვიური ხელფასი. თუ 1924 — 25 წელს იგი შეადგენდა 50 მან. 18 კაპ., 1926 წლის დასასრულს მან მიაღწია 66 მან. 60 კაპიკამდე ჩერვონეცით [3]. მუშის ნომინალური ხელფასი შემდგომ წლებში უფრო გაიზარდა და 1928 წელს იგი უკვე 92 მან. 97 კაპ. აღწევდა. აგრეთვე საგრძნობლად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი. 1928 წელს იგი შეადგენდა 846 მანეთს [4]. ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა მუშათა რეალური ხელფასიც.

სოფლის მეურნეობის თანდათანობით განვითარებამ და სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებამ, რასაც პარტია მტკიცედ ახორციელებდა, მშრომელი გლეხობისათვის ახალმა შეღავათებმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებში მნიშვნელოვნად გაზარდა გლეხობის შემოსავალიც, გაუმჯობესდა მისი მატერიალური მდგომარეობა.

მუშის ბიუჯეტი საერთო ზრდასთან ერთად განიცდიდა შემდგომ სტრუქტურულ გაუმჯობესებას, რაც გამოიხატა, უწინარეს ყოვლისა, იმაში რომ მუშის ბიუჯეტის შემოსავალ ნაწილში 1927 წლის ნოემბრისათვის მნიშვნელოვნად შემცირდა საკუთარი ნივთებისა და კვების პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხების ხვედრითი წონა, მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუჯეტის შემოსავალში მევახშისაგან სესხად აღებული თანხა, რაც მუშათა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს. ამავე გარემოებაზე მიუთითებს ისიც, რომ საზოგადოებრივი კვე-

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", პ. გუგუშვილის რედაქციით. გვ. 417.

[2] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 12.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 3 აპრილი.

[4] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 417.

ბის რამდენადმე გაუმჯობესების შედეგად (სასადილოების ქსელის გაფართოება, ფასების შემცირება და სხვ.) მუშის ბიუჯეტის გასავალ ნაწილში შემცირდა კვებაზე დანახარჯების მოცულობა. სამაგიეროდ, რამდენადმე გაიზარდა მუშის ბიუჯეტის დანახარჯები ტანსაცმელსა და ტუალეტზე, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე [1].

მშრომელთა, კერძოდ სამრეწველო მუშათა, მატერიალური კეთილდღეობის დონე არ განისაზღვრება მარტო ნომინალური ხელფასის ზრდით. საბჭოთა ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი ადგილი უკავია იმ სახსრებსაც, რომლებსაც სახელმწიფო ხარჯავს მშრომელების მატერიალური, კულტურული და სხვ. პირობათა გაუმჯობესებისათვის, მათ შორის, აღსანიშნავია: მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა, საბინაო მშენებლობა, კომუნალური მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვა, სახალხო განათლება, შრომის პირობების გაუმჯობესება და დაცვა, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირება, საზოგადოებრივი კვება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა, ქალაქების კეთილმოწყობა, ტრანსპორტი და მრავალი სხვა. პროლეტარული სახელმწიფოს ეს საერთო ღონისძიებები მნიშვნელოვნად ადიდებდა მშრომელთა რეალურ ხელფასს, ამაღლებდა ხალხის მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონეს.

მუშათა რეალური ხელფასის ზრდას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს უწყობდა აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც სისტემატურად ადიდებდა მუშებისათვის გრძელვადიანი კრედიტების თანხებს. მიუხედავად ამისა, მუშათა ბიუჯეტის ძირითადი სახსრები (67,2 პროცენტი) იხარჯებოდა კერძო ბაზარზე, რაც დიდ სიძნელეებს უქმნიდა მუშათა კლასს, საერთოდ მშრომელ მასებს.

1926 — 1929 წლებში პროფკავშირებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომელთა შედეგად საგრძნობლად გაიზარდა დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა. მარტო 1926 წელს 24 ათასზე მეტად გაიზარდა დაზღვეულთა რიცხვი, ხოლო თითოეულ დაზღვეულზე სოციალური დაზღვევის თანხა გაიზარდა თითქმის 82 მანეთამდე[2].

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავდა მშრომელი ხალხის სოციალური უზრუნველყოფის დარგში. თუ 1926 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოიყო 8 მილიონი მანეთი[3],

---

[1] Н. М. Ткешелашвили, Очерки истории развития промышленности Советской Грузии, стр. 187—188.

[2] „საქართველოს პროფკავშირთა VI ყრილობის ანგარიში", გვ. 86.

[3] იქვე, გვ. 90.

1927 წელს — 11,7 და 1928 წელს — უკვე თითქმის 15 მილიონი მანეთი, სულ 1926 — 1928 წლებში — თითქმის 35 მილიონი მანეთი [1]. 1929 წელს ერთ დაზღვეულზე დახარჯული თანხა სოციალური უზრუნველყოფის დარგში გაიზარდა 129 მანეთამდე, ნაცვლად 82 მანეთისა 1926 წელს [2].

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაფართოვდა საპენსიო უზრუნველყოფა. მარტო 1926 წლის დამლევისათვის პენსიონერთა რაოდენობა გაიზარდა 3308 კაცამდე [3]. ყოველწლიურად იზრდებოდა მათი რაოდენობა და საპენსიო თანხებიც.

საბჭოთა ხელისუფლება თანდათანობით აუმჯობესებდა მუშათა საბინაო პირობებს. რესპუბლიკის პარტიული და პროფკავშირული ორგანოები სისტემატურად იხილავდნენ ამ საკითხს და ბევრ ღონისძიებას ახორციელებდნენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით თითოეული სამრეწველო ობიექტის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა ერთდროულად მუშა-მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მნიშვნელოვნად შემცირდა საბინაო ქირის ნორმა, ჩატარდა დიდი კერძო სახლების ნაციონალიზაცია და 2 ათასზე მეტი სახლი გადაეცა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას, საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს [4]. გარდა ამისა, მიმდინარეობდა მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სახელმწიფოს სახსრებით. მაგრამ ახლად აშენებული სახლები და არსებული საბინაო ფონდი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამიტომ მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1927 — 28 წ. გამოიყო 17 მილიონი მანეთი [5], ანუ 11-ჯერ მეტი 1925 — 26 წელთან შედარებით [6].

საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფას.

1926 — 1928 წლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაი-

---

[1] „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წწ. პროფკავშირთა VII ყრილობისათვის“, გვ. 70; „საბჭოთა საქართველოს 13 წელი“, გვ. 21.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 10.

[3] „საქართველოს პროფკავშირთა VI ყრილობის ანგარიში“, გვ. 86.

[4] „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წწ. პროფკავშირთა VII ყრილობისათვის“, თბ., 1928, გვ. 67; გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 5 აპრილი.

[5] „საქართველოს პროფკავშირების VI ყრილობის ანგარიში“, გვ. 17.

[6] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 143.

ზარდა საავადმყოფოებისა და მათში საწოლების რაოდენობა, გაფართოვდა საექიმო პუნქტების, ამბულატორიების, დისპანსერების, საბავშვო ბაღების, სახლების, საკონსულტაციო ბიუროებისა და აფთიაქების ქსელი. აშენდა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. 1928 წელს დასასვენებელ სახლებში დაისვენა 4721 კაცმა, რომელთა 75 პროცენტს მუშები შეადგენდნენ. გარდა ამისა, პროფკავშირებმა საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით სანატორიუმებში გაგზავნა 2180, ხოლო დასასვენებელ სახლებში 2250 მუშა[1].

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს ფართო ღონისძიებებს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. 1926 წლიდან საბჭოთა მთავრობამ დიდი სამუშაოები წამოიწყო საქართველოში სამელიორაციო მშენებლობის ხაზით, უმთავრესად კოლხიდის დაბლობში, ალაზნის ველზე და სხვაგან. 1928 წლისათვის მარტო სუფსა-ჭალადიდის უბანზე ამოშრობილ იქნა 6 ათასი დესეტინა ჭაობიანი ადგილი.

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფართო მოხმარების საგანთა წარმოების გაფართოებას. მთავრობის დახმარებით სოციალისტური წვრილი მრეწველობა მნიშვნელოვნად გაფართოდა და განმტკიცდა. ამ სფეროდან კაპიტალისტური ელემენტების თანდათანობით განდევნის შედეგად გაიზარდა მასებისათვის პირველი მოთხოვნილების საგანთა წარმოება.

მშრომელთა ბიუჯეტის ზრდამ გაადიდა მათი მყიდველობითი უნარი, რაც ჩანს კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში საქონელბრუნვის მოცულობის მუდმივი გაფართოებიდან[2].

პურის მოხმარების ნორმირებისა და სურსათის სიმცირის პირობებში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრივი კვების ფართო ორგანიზაციას. მთავრობის დახმარებით გაფართოდა საზოგადოებრივი კვების ქსელი, საწარმოებში გაუმჯობესდა მუშათა სასადილოები. სამრეწველო საქონელზე ფასების 10 პროცენტით შემცირებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მშრომელთა მომარაგება, გაზარდა მათი ბიუჯეტის ეფექტიანობა.

1926 — 1929 წლებში მნიშვნელოვნად გაფართოდა საცხოვრებელი ბინების ელექტრიფიკაცია, წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, გაიზარდა აბანოების რაოდენობა, ბინების შეკეთება; გაფართოდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა — მუშათა უბ-

---

[1] „საქართველოს პროფკავშირები 1927 — 1928 წწ. პროფკავშირთა VII ყრილობისათვის", გვ. 71.

[2] „საბჭოთა საქართველო ციფრებში 1921 — 1929 წწ." (სტ. კრ.), თბ., 1931, გვ. 278 — 279.

ნებში აშენდა კლუბები და კინოთეატრის შენობები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები; დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის. დედაქალაქში გაფართოვდა ტრამვაის ხაზების ქსელი, გაიზარდა ტრამვაის ვაგონების რაოდენობა, მგზავრთა გადაყვანა. საქართველოში თანდათანობით იზრდებოდა ავტომობილების პარკი და რაიონებს შორის მიმოსვლა.

მშრომელთა კულტურული მომსახურების დარგში საქართველოს პროფსაბჭოს ინიციატივით კიდევ ერთი სასარგებლო ნაბიჯი გადაიდგა. თბილისის აკადემიურ თეატრებში მუშათა დასწრების გადიდების მიზნით დაწესდა ეგრეთ წოდებული „მუშათა ზოლი“, ანუ 50 პროცენტის შეღავათიანი ბილეთები მუშებისათვის.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის თანდათანობით ზრდის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია ისიც, რომ სახელმწიფო შემნახველ სალაროებში გამუდმებით იზრდებოდა მათ მიერ შეტანილი ანაბრების თანხა.

საბჭოთა ხალხის მზარდი მატერიალური კეთილდღეობისა და მაღალი პატრიოტიზმის მაჩვენებელია აგრეთვე შინაგანი სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა მასობრივად და გადაჭარბებით გავრცელება. საქართველოს მშრომელებმა მარტო 1927 — 1929 წლებში საკუთარი დანაზოგიდან სახელმწიფოს მისცეს სესხად 3,6 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხალხის მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა სოციალისტური მშენებლობის პროცესში ობიექტურად აღმოცენებულ სიძნელეებს, კერძოდ, პურის პრობლემას. სასაქონლო პურის წარმოება ამ პერიოდში დიდად ჩამორჩებოდა მოთხოვნილებას. დაქუცმაცებულ წვრილგლეხურ მეურნეობას ფიზიკურად არ შეეძლო გაედიდებინა სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო პროდუქცია. ამის შედეგად წარმოიშვა დიდი სიძნელეები მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის დარგში. შექმნილი სიძნელეები გამოიყენეს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურმა ელემენტებმა (კულაკებმა და სპეკულანტებმა) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სახელმწიფოს მიერ პურის დამზადების ჩასაშლელად.

ამრიგად, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე არსებობდა, რაც აფერხებდა ხალხის ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გარდაქმნას. მიუხედავად ამისა, საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, შეგნებულად ხვდებოდნენ ყოველგვარ სიძნელეს და თავდადებით შრომობდნენ რესპუბლიკის ინდუსტრიული აღმავლობისათვის.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი წლების ისტორია აღსავსეა ჩვენი ხალხის უსაზღვრო თავდადების მაგალითებით.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჭეშმარიტად გმირული შრომით სძლევდა სიძნელეებს, ზრდიდა სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს და მყარ ნიადაგს უქმნიდა ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას.

§ 9. კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ.

საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური დახმარებით 1926 წლიდან რამდენადმე გაძლიერდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ წელს რესპუბლიკის სოფლებში უკვე 41 ტრაქტორი მუშაობდა, მაშინ როდესაც რევოლუციამდელ საქართველოში არც ერთი ტრაქტორი არ გამოიყენებოდა სოფლად და ქართველი მშრომელი გლეხობისათვის უცნობი იყო ეს მანქანა. აღდგენითი პერიოდის შემდეგ თანდათანობით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღებითა და ინვენტარით, რომელთა ნაწილი მზადდებოდა საქართველოს როგორც ლითონდამამუშავებელი ქარხნების, ისე სოფლის სამჭედლო სახელოსნოების მიერ. მიუხედავად ამისა, წვრილგლეხური ერთპიროვნული მეურნეობების მეტი ნაწილი მაინც პრიმიტიულ ტექნიკას ემყარებოდა (სახნისსა და კავს). ძალზე მცირე იყო სოფლად მუშა საქონელი, ხოლო დასავლეთ საქართველოში გლეხობის 35,5 პროცენტს იგი სრულიად არ გააჩნდა.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობას იმ დროს არ შეეძლო დიდი რაოდენობით ეწარმოებინა სამიწათმოქმედო მანქანა-იარაღები, ხოლო ხელისუფლებას, სახსრების სიმცირის გამო — საზღვარგარეთიდან მათი საკმაო რაოდენობით შემოტანა. თვით წვრილგლეხურ მეურნეობებს კი საერთოდ უნარი არ შესწევდათ შეეძინათ გაუმჯობესებული იარაღები, ინვენტარი და მით უფრო მსხვილი მანქანები. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კვლავ ხელით შრომა იყო გაბატონებული.

პარტიისა და მთავრობის ენერგიული დახმარებით, საქართველოს სოფლის მეურნეობა შედარებით სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. იზრდებოდა მისი ხვედრითი წონაც საქართველოს ეროვნულ შემოსავალში. 1925 — 26 წელს სოფლის მეურნეობამ ქვეყანას მისცა 143 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ანუ ომამდელთან შედარებით 40 მილიონი მანეთით მეტი[1]. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპს. მაგალითად, 1926 — 1929

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1856, ფურც. 218 — 222.

წლებში, თუ სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 68 პროცენტით, ანუ ყოველწლიური მატება შეადგენდა 17 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადიდდა სულ 4,7 პროცენტით, ე. ი. საშუალო წლიური მატება არ აღემატებოდა 1,6 პროცენტს[1].

სოფლის მეურნეობის ასეთი დაბალი დონე ვერ აკმაყოფილებდა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათსა და სამრეწველო ნედლეულზე. იგი ასეთი მდგომარეობით აშკარა საფრთხეს უქმნიდა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას. ამიტომ საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1926 წლის ივლისის გაფართოებულმა პლენუმმა ინდუსტრიალიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით ფართო ღონისძიებები დასახა საექსპორტო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოების გადიდებისათვის[2]. პლენუმის დირექტივების საფუძველზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ რამდენადმე გაზარდა საექსპორტო პროდუქციის წარმოება, მაგრამ ამ დარგშიც იგი საერთოდ ჩამორჩებოდა.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მისი დაბალი საქონლიანობა გამოწვეული იყო იმითაც, რომ მისი დარგობრივი სტრუქტურა და მიწათმოქმედების კულტურული დონე უკვე აღარ შეესაბამებოდა მრეწველობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს. მაგრამ მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მთელი მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილი იყო დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობებით. ი. ბ. სტალინი, განიხილავდა რა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის შეუსაბამობას, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი განპირობებული იყო როგორც ტექნიკური ბაზის მეტისმეტი ჩამორჩენილობითა და ერთობ დაბალი კულტურული დონით, ისე „განსაკუთრებით, იმით, რომ ჩვენს დაქსაქსულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არა აქვს ის უპირატესობანი, რომლებიც აქვს მსხვილ გაერთიანებულ ნაციონალიზებულ მრეწველობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოება, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალიზებული და გაერთიანებული კი არ არის, არამედ დაქსაქსული და გაფანტულია ნაკუწებად. მისი გაძღოლა არ ხდება გეგმიანი წესით და ჯერჯერობით იგი უმეტესად ემორჩილება წვრილი წარმოების სტიქიას“ [3].

აღნიშნულის გარდა, საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, წვრილგლეხურ მეურნეობათა დაწვრილერთეულების პროცესი სოფლად კვლავ მიმდინარეობდა განსაკუთრებით აგრარული

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 103.

[2] Газ. «Заря Востока», 31 июля 1926 г.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 326.

რეფორმის შემდეგ, როდესაც ღარიბმა გლეხობამ და სასოფლო-სამეურნეო მუშებმა სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიიღეს მიწის ნაკვეთები. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობის გადიდებას იწვევდა აგრეთვე მოსახლეობის ზრდა. სოფლის მოსახლეობის გადიდებას თან სდევდა გლეხურ კომლთა სისტემატური გაყოფა-გამრავლება. 1926 წელს საქართველოს სოფლებში ითვლებოდა დაახლოებით 414 ათასი გლეხური კომლი, 1929 წელს კი მათი რაოდენობა 444 ათასამდე აღწევდა [1].

სოფლის მეურნეობის განვითარება ინდუსტრიის აღმავლობის შესაბამისად შეუძლებელი იყო წვრილგლეხურ დაქუცმაცებულ და ჩამორჩენილ მეურნეობათა პირობებში. გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებულობა აყოვნებდა სოფლის ეკონომიურ აღმავლობას, მშრომელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და კულაკობის ექსპლოატაციისაგან მის განთავისუფლებას.

მიწის უკმარისობამ, მუშა საქონლის დიდმა სიმცირემ, უკიდურესად პრიმიტიულმა სამიწათმოქმედო ტექნიკამ, ხოლო აქედან — გლეხურ მეურნეობათა დაბალმა მწარმოებლურობამ ხელი შეუწყო მიწის ფარულად ყიდვა-გაყიდვის შემთხვევათა ზრდას. მარტო 1926 წელს მუშგლეხინის მიერ საქართველოში გამოვლენილ იქნა მიწის ყიდვა-გაყიდვის 1162 შემთხვევა [2]. მიწებს უმთავრესად ყიდულობდა კულაკობა. ამან თავისი გამოხატულება პოვა სოფლად დაქირავებული შრომის რამდენადმე ზრდაშიც.

გლეხური მოსახლეობის კლასობრივ დიფერენციაციასთან დაკავშირებით რამდენადმე გაიზარდა სოფლად დაქირავებული შრომის გამოყენება, სოფლის მუშებისა და მოჯამაგირეთა რაოდენობა. დაქირავებულ შრომას მიმართავდნენ როგორც კულაკური, ისე საშუალო გლეხური და კოლექტიური მეურნეობებიც [3].

არასრული მონაცემებით, სოფლად დაქირავებული მუშების საერთო რაოდენობა 1926 — 27 წელს დაახლოებით 60 ათასამდე ივარაუდება. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პირველი ორი წლის მანძილზე, მართალია, ადგილი ჰქონდა სოფლად დაქირავებული შრომის გამოყენების რამდენადმე გაფართოებას და, ამასთან დაკავშირებით, მოჯამაგირეთა რაოდენობის ზრდას, მაგრამ სოფლად დაქირავებული შრომის ზრდამ უმაღლეს დონეს მიაღწია 1927 წლის მეორე ნახევარში, რომლის შემდეგ

---

[1] თ. ყ ე ნ ტ ი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967, გვ. 78, 105.

[2] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР (1927—1937 гг.)», стр. 123.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 19.

დაიწყო მოჯამაგირეთა რაოდენობის შემცირება[1]. ამას ხელი შეუწყო კულაკების გაძლიერებულმა შეზღუდვამ, აგრეთვე ღარიბი, უღარიბესი გლეხებისა და მოჯამაგირეთა ეკონომიური მდგომარეობის ერთგვარმა გაუმჯობესებამ. მიწითა და წარმოების სხვა საშუალებით ღარიბი და მოჯამაგირეთა უზრუნველყოფის ზრდამ მნიშვნელოვნად აამაღლა მათი ეკონომიური მდგომარეობა, მეორე მხრივ, კულაკობამ შეკვეცა მუდმივად დაქირავება, რამაც გამოიწვია უკვე 1928 წლის დასაწყისისათვის მოჯამაგირეთა რაოდენობრივი შემცირება 31,5 პროცენტამდე (6895 კაცამდე). 1927 წლის ნოემბრისათვის მარტო მიწა-ტყის მუშათა პროფკავშირი აერთიანებდა 4882 ახალგაზრდა მოჯამაგირეს[2].

გლეხურ მეურნეობათა გაძლიერებულმა დაწვრილერთეულებამ აშკარად შეაფერხა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ტექნიკური და სპეციალური შრომატევადი კულტურების უფრო სწრაფი განვითარება. ამიტომ მუშახელის დასაქმება სოფლად ძალიან ნელა იზრდებოდა. ამასთან დაკავშირებით უფრო და უფრო იზრდებოდა ჭარბი აგრარული მოსახლეობა[3]. იგი მძიმე ტვირთად აწვა, უწინარეს ყოვლისა, თვით სოფლის მეურნეობას, აფერხებდა მის საქონლიანობას და ამავე დროს განუწყვეტლად ზრდიდა ქალაქად არაკვალიფიციურ უმუშევართა არმიას.

სოფლად ჭარბი აგრარული მოსახლეობისა და ქალაქად მზარდი უმუშევრობის ლიკვიდაცია წარმოადგენდა უმძიმეს სოციალურ პრობლემას, რომლის გადაჭრისაკენ მიმართული იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიება. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, მრეწველობისა და სამრეწველო მშენებლობის გაშლასთან, ხოლო, მეორე მხრივ, თვით სოფლის მეურნეობის განვითარებასთან. საქართველოში, როგორც აგრარულ რესპუბლიკაში, ეს პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო უმთავრესად ისევ სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ძირეული შეცვლით, შრომატევადი ძვირფასი და ტექნიკური კულტურების გაფართოებით, მეცნიერების უახლეს მიღწევათა დანერგვის საფუძველზე.

სოფლად კლასობრივ ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებები დაკავშირებული იყო პარტიისა და მთავრობის ფართო პოლიტიკურ-იდეოლოგიური და ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებთან. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არსებითად შეიცვალა სოფლის მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფის ხასიათი. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა:

---

1 «ЦСУ. Батрачество и пастушество»; М., 1929; М. Н. Шумилов, Октябрьская революция и исторические судьбы батрачества, М., 1967, стр. 131.

2 ვ. ცხოვრებაშვილი, მოჯამაგირეთა შორის მუშაობა (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1927 წლის 6 ნოემბერი).

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 19.

„კაპიტალიზმის დროს იზრდება უკიდურესობანი: ღარიბი გლეხობა და კულაკობა, ხოლო საშუალო გლეხობა მცირდება. ჩვენში კი, პირიქით, იზრდება საშუალო გლეხობა ღარიბი გლეხობის განსაზღვრული ნაწილის ანგარიშზე, რომელიც საშუალო გლეხობად იქცევა, იზრდება კულაკიც, ღარიბი გლეხობა კი მცირდება"[1].

მას შემდეგ, რაც მოისპო სოფლად კაპიტალისტური დაგროვების ერთ-ერთი ძირითადი წყარო — მიწაზე ქერძო საკუთრება, იცვლებოდა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფებისადმი გლეხური მეურნეობის მიკუთვნების კრიტერიუმიც, ძირითადად — მეურნეობათა ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლის, მუშახელის, მუშასაქონლისა და ინვენტარის დაქირავება-გაქირავების[2], ხოლო უკანასკნელ დროს საგადასახადო დაბეგვრის ზომის მიხედვით[3].

წვრილგლეხურ მეურნეობათა უწყვეტმა დაქუცმაცებამ, მიწის ისედაც უკმარობის პირობებში, უფრო გააღრმავა მიწის კრიზისი საქართველოში. გლეხური მოსახლეობის ერთ სულზე მოსავლიანი მიწა მოდიოდა 0,64 ჰექტარი. ამან საბაბი მისცა ადგილობრივ მემარჯვენე ელემენტებს ემტკიცებინათ, რომ ჩვენში თითქოს არ არსებობდა ბაზა კულაკურ მეურნეობათა განვითარებისათვის და, მაშასადამე, ასკვნიდნენ ისინი, არც კულაკი არსებობსო. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი მუშაკი, განიხილავდა რა გლეხურ მეურნეობათა სოციალური დიფერენციაციის საკითხს, წერდა: „თუ უსაფუძვლო და უნიადაგოა ლაპარაკი კულაკურ მეურნეობათა ზრდის საშიშროებაზე რუსეთში, ეს საშიშროება მით უფრო უსაფუძვლო და უნიადაგოა ჩვენს სინამდვილეშიო". ამასთან, იგი უარყოფდა კულაკის არსებობას საერთოდ საბჭოთა კავშირში და ამის დასაბუთებას ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებით, რომლებმაც გზა გადაუღობეს კულაკობის ხელში მიწების კონცენტრაციას[4].

ასეთი მტკიცების უნიადაგობას ადასტურებს 1926 და 1929 წლებში გლეხურ მეურნეობათა შერჩევითი აღწერის მონაცემები. მეურნეობათა ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლის მიხედვით საინტერესო სურათი ისახება 1927 წელს სოფლად კლასობრივ ძალთა თანაფარდობის სფეროში: პირველი ადგილი ეკავა საშუალო გლეხს როგორც ქონებრივი

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 338.

[2] რ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის შესწავლის ისტორიისათვის („საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები", 1967, გვ. 221, 228).

[3] П. Н. Л о м а ш в и л и, Ликвидация кулачества как класса в Закавказских советских республиках (Автореферат док. диссерт.), Тб., 1971, стр. 21 — 22.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 664, საქ. 2511, ფურც. 5.

მდგომარეობის (62,9 პროცენტი), ისე შემოსავლის მიხედვით — 68,3 პროცენტი. ღარიბ გლეხობას შესაბამისად 32,1 და 20,1, ხოლო შეძლებულ ფენას — 5 და 21,6 პროცენტი[1]. ამასთან ერთად, საგულისხმოა სოფლის მოსახლეობის სოციალური ჯგუფების ხვედრითი წონის დინამიკაც. 1925 — 1927 წლებში ღარიბ გლეხთა ფენის ხვედრითი წონა 41,2 პროცენტიდან შემცირდა 32,1 პროცენტამდე, კულაკების — 6,8-დან 5 პროცენტამდე, ხოლო საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა, პირიქით, 52 პროცენტიდან გაიზარდა თითქმის 63 პროცენტამდე[2].

ამრიგად, როგორც ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლის სიდიდის, ისე ხვედრითი წონის მიხედვით მცირდება ღარიბ გლეხთა ფენა და კულაკობა, ხოლო საშუალო გლეხობა ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით იზრდებოდა და იგი 1927 წელს უკვე სოფლის ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა. ამავე მონაცემებიდან ისიც გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ პერიოდში კულაკური და შეძლებული გლეხობის ფენის ხვედრითი წონა თუმცა შემცირდა, მაგრამ მისი ადგილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ჯერ ისევ საგრძნობია (21,6 პროცენტი შემოსავალში) და შემდგომი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებს, რადგან მტკიცდებოდნენ საშუალო მეურნეობანი და მათი მცირერიცხოვანი ზედაფენის სფეროში მიმდინარეობდა კულაკობისაკენ გადაზრდა.

სოფლის ცენტრალურ ფიგურად საშუალო გლეხობის გადაქცევასა და შემდგომ მის ზრდას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ღარიბი გლეხობის დიდმა ნაწილმა, რომელმაც სახელმწიფოსაგან მიწა და სხვა დახმარება მიიღო, მოაწყო საკუთარი მეურნეობა და თანდათან საშუალო გლეხთა ფენაში გადაიზარდა. მისი მცირე ნაწილი კი დაქუცმაცებულ წვრილგლეხურ მეურნეობათა დიდი რაოდენობის პირობებში, უმნიშვნელო მოცულობით ფლობდა წარმოების საშუალებებს, ამიტომ ღარიბთა მცირე ნაწილი პროლეტართა რიგებში გადადიოდა და საშუალო გლეხთა ნაწილთან ერთად იძულებული ხდებოდა იჯარით აეღო მიწა კულაკისაგან, საკუთარი მუშაძალა გაეყიდა და კულაკურ კაბალაში მოქცეულიყო.

სოფლის მეურნეობაში კულაკური მეურნეობის მიერ საგრძნობი ადგილის შენარჩუნებისა და მისი რამდენადმე ზრდის პირობებშიც კი საშუალო გლეხობის, როგორც სოფლის წამყვანი ძალის, პოზიცია პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის შედეგად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. უფრო სწრაფად იზრდებოდა მისი საწარმოო ძალები, მეურნეობრივად იგი უფრო ძლიერდებოდა, ვიდრე შეძლებული ფენა. მაგრამ საშუალო გლეხობის შიგნითაც ადგილი ჰქონდა ისეთ წინააღმ-

---

[1] თ. ჟღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, გვ. 101 — 102.

[2] იქვე, გვ. 102.

დეგობრივ პროცესებს, რომლებიც აფერხებდნენ მის უფრო სწრაფ განვითარებასა და შემდგომ განმტკიცებას — ერთი მხრივ, გრძელდებოდა საშუალო გლეხურ მეურნეობათა დაწვრილერთეულება და, მეორე მხრივ, მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი თუმცა იზრდებოდა, მაგრამ სასაქონლო პურის წარმოების ის ნაწილი, რომელიც საშუალო გლეხობას ბაზარზე მიჰქონდა, მნიშვნელოვნად მცირდებოდა. ეს მოვლენა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც კულაკობა ორწლიან გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ და 1927 წლის შემდეგ შეწყვიტა პურის ნებაყოფლობით მიცემა სახელმწიფოსათვის.

ამ დროისათვის სოფლად შექმნილ რთულ ვითარებაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის აუცილებელი პურის, სურსათისა და სამრეწველო ნედლეულის, აგრეთვე კულაკური წინააღმდეგობის დაძლევის პრობლემას წყვეტდა ის, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა წვრილგლეხური მეურნეობა — დარჩებოდა იგი ისევ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობად, თუ დაადგებოდა ახალ გზას, რომელსაც პარტია ურჩევდა გლეხობას ლენინური კოოპერაციული გეგმის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს წვრილგლეხური მეურნეობა, რომელიც შეუჩერებლად ქუცმაცდებოდა, ვერ იხსნიდა გლეხობას მუდმივი გაჭირვებისა და კულაკური ექსპლოატაციისაგან, ისე როგორც ვერ უზრუნველყოფდა განვითარებად მრეწველობას ნედლეულით.

აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების ახალი გზა, ახალი საწარმოო ფორმა. ასეთი ერთადერთი სწორი გზა და ფორმა უკვე გამონახული ჰქონდა კომუნისტურ პარტიას. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი ასწავლიდა პარტიას: „თუ გლეხურ მეურნეობას შეუძლია შემდგომ განვითარდეს, საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ შემდგომი გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განცალკევებული გლეხური მეურნეობა თანდათან გაერთიანდეს და გადაიქცეს საზოგადოებრივ, მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობად“[1].

ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ საბჭოთა მეცნიერების წინააღმდეგ შემოტევის მთავარ სარბიელად გაიხადა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ისტორია. აქ იგი დაჟინებით ცდილობს დაამციროს ლენინური კოოპერაციული გეგმის საერთაშორისო მნიშვნელობა. ბურჟუაზიული მეცნიერები აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირში 30-იან წლებამდე თითქოს საერთოდ არ არსებობდა არავითარი წანამძღვრები

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 357 — 358.

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. მართალია, თვით ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც მთლიანად არ იზიარებენ თავიანთი კოლეგების შეხედულებებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათაც განაგრძონ საბჭოთა სინამდვილის დამახინჯება და ცილი დასწამონ ჩვენს ქვეყანას[1]. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ამ მზაკვრობის მხილებისათვის საკმარისია თვალი გავადევნოთ საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მსვლელობას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჩვენს ქვეყანაში ერთბაშად არ განხორციელებულა. საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ამ უზარმაზარ და რთულ რევოლუციურ გარდატეხას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომლის დროსაც პარტიისა და სახელმწიფოს მიერ იქმნებოდა საჭირო წანამძღვრები. როდესაც საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის უმაგალითო მიღწევებს ეხებოდა, ი. ბ. სტალინი 1929 წელს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს წარმატებანი აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით და მათ შორის, „უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა, იმით, რომ პარტია ახორციელებდა მასების აღზრდის ლენინურ პოლიტიკას, თანმიმდევრულად აახლოებდა გლეხთა მასებს კოლმეურნეობებთან კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის საშუალებით“[2]. ამავე დროს, პარტია წარმატებით ებრძოდა როგორც „მემარცხენე“ ფრაზიორებს, რომლებიც ცდილობდნენ გაესწროთ მოძრაობისათვის და დეკრეტებით განევითარებინათ კოლმეურნეობანი, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომლებიც უკან ეწეოდნენ პარტიას და ცდილობდნენ მოძრაობის კუდში დარჩენილიყვნენ.

„ასეთი პოლიტიკა რომ არა, პარტია ვერ გადააქცევდა საკოლმეურნეო მოძრაობას თვით გლეხების ნამდვილ მასობრივ მოძრაობად“[3]. მეორე მხრივ, უმაგალითო წარმატება, — განაგრძობდა სტალინი, — აიხსნება იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორად გაითვალისწინა გლეხობის მოთხოვნა ახალ ტექნიკაზე და დროზე მოაგვარა მშრომელი გლეხობისათვის მრავალმხრივი საწარმოო დახმარება. დასასრულ, ეს უმაგალითო წარმატებანი აიხსნება იმით, რომ ეს საქმე თავიანთ ხელში აიღეს ქვეყნის მოწინავე მუშებმა, რომელთა ბრიგადები გაფანტული არიან ძირითად რაიონებში. „მუშებმა — წერდა ი. ბ. სტალინი, — შეძლეს დაერწმუნებინათ გლეხები მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში ინდივიდუალურ წვრილ მეურნეობასთან შედარებით, მით უმეტეს,

---

[1] В. И. Салов, Современная западно-германская буржуазная историография, М., 1968, стр. 232 — 233.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 140.

[3] იქვე, გვ. 140 — 141.

რომ არსებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ამ უპირატესობის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ?"[1].

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზულ ამოცანებთან დაკავშირებით პარტიისა და მთავრობის, მუშათა კლასის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა მისი სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველზე. პარტია ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა გლეხური მასების აღსაზრდელად ლენინური პოლიტიკის შესაბამისად, სოფლად უკვე არსებული სოციალისტური წარმოებით ურთიერთობის ნორჩი ყლორტების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის იდეოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური წანამძღვარების შესაქმნელად.

1926 — 1929 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობები, ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, პრეზიდიუმი სისტემატურად იხილავდნენ სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის ფართო ღონისძიებებს. ცენტრალური კომიტეტი ოპერატიულად ეხმარებოდა სოფლის ორგანიზაციებს გლეხური მასების ლენინურ აღზრდაში, საკოლმეურნეო მოძრაობაში მათი თაოსნობის განვითარებასა და ხელმძღვანელობაში. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ლენინური კოოპერაციული გეგმის სწორად განხორციელებას, ამ გეგმის იდეის ფართო პროპაგანდასა და აგიტაციას მასებში და, ამის საფუძველზე, გლეხთა დარაზმვას და ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

წვრილგლეხურ მეურნეობათა სოციალისტური კოოპერირების, მთელი საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა გლეხთა შეგნებული და ნებაყოფლობით გაერთიანების ლენინური პრინციპი. ვ. ი. ლენინი, ითვალისწინებდა რა წვრილგლეხურ მეურნეობათა წარმოების ყველა თავისებურებას, მათ სპეციფიკას, გლეხობის ორმაგ ბუნებას, საკუთრებისადმი მონური მიჯაჭვულობის ოდინდელ ტრადიციას, ამის საფუძველზე გამომუშავებულ ფსიქოლოგიას, ჩვევებს, ადათებს, არაერთგზის აღნიშნავდა სოციალიზმის გზაზე ასეთი მასის გადაყვანის უდიდეს სირთულეს. იგი აფრთხილებდა პარტიას, რომ აღნიშნული ფაქტორების გამო გლეხობა უცბად ვერ წავიდოდა სოციალიზმისაკენ.

პარტია ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მსხვილ საზოგადოებრივ წარმოებაზე წვრილგლეხურ მეურნეობათა გადაყვანა, ასეთი მკვეთრი, თვისებრივად ახალი გადასვლა დაკავშირებული იყო ხანგრძლივ პერიოდ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 142.

თან, რომლის დროსაც აუცილებელია გლეხობასთან დაუცხრომელი მუშაობა, გლეხური მასების ყოველმხრივ მომზადება — ეკონომიურად, იდეოლოგიურად და ფსიქოლოგიურად.

მხოლოდ ასეთი წინასწარი მუშაობა — „კადრების აღზრდის ლენინური პოლიტიკა“ — უზრუნველყოფდა გლეხური მასების ნებაყოფლობით გადასვლას სოციალიზმში. პარტია სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ღონისძიებებს რომ სახავდა, ხელმძღვანელობდა ლენინის დებულებით, საზოგადოების მხოლოდ ისეთი რევოლუციური გარდაქმნა შეიძლება იყოს მტკიცე და ცხოვრებისეული, რომელიც ხდება მასების შეგნებული, ორგანიზებული და ნებაყოფლობითი მონაწილეობით. ამიტომ „კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლას პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს მხოლოდ უდიდესი სიფრთხილითა და თანდათანობით, მაგალითის ძალით, ყოველგვარი ძალადობის გარეშე საშუალო გლეხობის მიმართ“[1].

ლენინმა ამავე დროს დაამუშავა და პარტიას უჩვენა კოლექტიურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის პრაქტიკული საშუალებები. ლენინური კოოპერაციული გეგმა ითვალისწინებდა იმას, რომ კოოპერაციის უმარტივეს ფორმათა მთელი სისტემის გავლით ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი თანდათანობით შეეთვისებოდნენ მეურნეობის საზოგადოებრივ წარმოებას. მაგრამ, ამავე დროს ლენინი აუცილებლად თვლიდა, რათა კოოპერაციის უმარტივეს ფორმებში მონაწილეობის პროცესშივე მიმდინარეობდეს კოლექტივიზმის სულისკვეთებით გლეხობის აღზრდა, რომ მან შეიგნოს არა მარტო კოლექტიური გასაღებისა და მომარაგების სარგებლიანობა, არამედ კოლექტიური წარმოების მთელი უპირატესობაც. ვ. ი. ლენინს აუცილებლად მიაჩნდა კოოპერაციის უკვე მოძველებული მარტივი ფორმების უფრო მაღალი ფორმებით დროული შეცვლა, ამასთან, სავალდებულო არ იყო გლეხური მეურნეობისათვის მკაცრი თანმიმდევრობით გავლა კოოპერაციის ყველა საფეხურისა.

ყველა ვითარებაში ურყევ კანონად რჩებოდა ლენინური ნებაყოფლობითი პრინციპი. ლენინი გადაჭრით გამორიცხავდა ყოველგვარ ძალდატანებას და იძულებას.

საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავდნენ ამ მითითებებს. 1926 წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სპეციალურ დადგენილებაში „კოლმეურნეობათა მშენებლობაში ორგანიზაციული მუშაობის ამოცანები“ ხაზგასმით მიუთითებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ „ახალ კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება უნდა მიმდინარეობდეს ნებაყოფ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 180.

ლობით, რათა ისინი გლეხობის თვალში გახდნენ კოლექტივიზაციის უპირატესობის ცოცხალი მაგალითები"[1]. ანალოგიურ მითითებათა საფუძველზე ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გლეხობას განუმარტავდნენ პარტიის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დარგში.

პარტიის ღონისძიებანი 1926 — 1928 წლებში მიმართული იყო იქითკენ, რათა გაეძლიერებინა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა სოფლად, გაეშალა აგიტაცია-პროპაგანდა მშრომელ გლეხობაში, მათი კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღსაზრდელად. ღარიბი გლეხები უფრო დარაზმულად და აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოების, კოოპერაციის გამგეობათა არჩევნებისა და სხვა ღონისძიების გატარების დროს კულაკების წინააღმდეგ. გაიზარდა ღარიბთა რაოდენობა საბჭოებსა და კოოპერაციაში. შეიქმნა რიცხვმრავალი აქტივი, სხვადასხვა სახის ამხანაგობანი, რომელთა საშუალებით მასობრივად იზრდებოდა ახალი ტიპის გლეხები. სოფლად აშკარად იგრძნობოდა მასების თვითმოქმედების ზრდა[2].

გლეხობის ლენინურ აღზრდასა და დარაზმვაში, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და გლეხურ მეურნეობათა კოოპერირებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის V ყრილობამ, რომელმაც განიხილა ფ. მახარაძის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ და განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საწარმოო კოოპერაციას როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის იარაღს. ყრილობამ დაავალა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოთ სხვადასხვა ფორმის საზოგადოებრივ მეურნეობაში ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართოდ ჩაბმისათვის[3]. ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა კოოპერაციას გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირებაში, გლეხური მასების კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლების გზით[4].

მშრომელი გლეხობის აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგრეთვე პროფესიულმა ორგანიზაციებმა. 1926 — 1928 წლებში საქართველოს პროფესიული კავშირები სისტემატურად იხილავდნენ სოფლის

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1756, ფურც. 58.

[2] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 34—36.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 597.

[4] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 58—62.

მეურნეობის საკითხებს და სოფლად პროფესიულ ორგანიზაციათა მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებს [1].

განსაკუთრებით დიდი წარმატებით მუშაობდა სოფლად მიწა-ტყის მუშათა კავშირი, რომლის წევრთა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა სოფლისა და ტყის მეურნეობის მუშებისა და მოჯამაგირეთა ხარჯზე.

სოფლად სოციალისტური ელემენტების განვითარებაში განსაკუთრებით დიდ თაოსნობას იჩენდა საქართველოს კომკავშირი. იგი აქტიურად ეხმარებოდა პარტიას სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და გარდაქმნაში, გლეხური ახალგაზრდობის მობილიზაციასა და აღზრდაში. კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები ეხმარებოდნენ ღარიბ გლეხებს, ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელებს, ამხანაგობებს და კომუნებს. სისტემატურად იწვევდნენ თათბირებს კოლექტივიზაციის იდეის ფართო პროპაგანდის მიზნით.

საკოლმეურნეო მშენებლობაში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში როგორც 1926 — 1928 წლებში, ისე შემდგომაც ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობის პოლიტიკის დამახინჯების შემთხვევებს, ადგილობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობას. პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ყოველგვარი გადახვევისა და დამახინჯების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, აფხაზეთის ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში ანგარიშს არ უწევდა აფხაზეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების თავისებურებას და მას მექანიკურად გადმოჰქონდა რუსული სოფლის გამოცდილება, რაც იწვევდა გლეხობის უკმაყოფილებას. ამასთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი 1929 წლის 19 ოქტომბერს აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ნ. ლაკობას და პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს პ. მელაძეს მიუთითებდა ასეთი მეთოდის მიუღებლობაზე [2].

საქართველოს კომუნისტური პარტია მტკიცედ იცავდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირებაში ნებაყოფლობის ლენინურ პრინციპს და ამავე დროს ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ გლეხობის საწარმოო კოოპერირება არ შეიძლება განხორციელდეს თვითდინებით, სტიქიურად. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ კოლმეურნეობათა ალალბედზე დატოვება არ შეიძლება და საჭიროა მათზე ხელმძღვანელობა [3]. ამ მითითების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა

---

1 „საქართველოს სსრ პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები" გვ. 309. 312, 317 — 318.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 2960, ფურც. 5 — 6.

3 იქვე, ფ. 14, საქ. 1756, ფურც. 59.

საგრძნობლად გააუმჯობესეს საკოლმეურნეო მშენებლობაში მონაწილეობა და ხელმძღვანელობა. პარტიის მითითებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ჯერ კიდევ 1926 წელს შეიქმნა სპეციალური ინსპექცია, რომელმაც 1926 — 1927 წლებში გარკვეული მუშაობა ჩაატარა: შეადგინა საკოლმეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, მობილიზაცია გაუკეთა რესპუბლიკის მცირერიცხოვან აგრონომებს და ისინი კოლმეურნეობებს მიამაგრა აგრონომიული დახმარებისათვის, მაზრის აგრონომებს დაავალა დახმარება აღმოეჩინათ არსებული კოლმეურნეობებისათვის ორგანიზაციულ-საწარმოო გეგმების შედგენასა და მათ შესრულებაში, კრედიტების მიღებასა და მათი სწორად გამოყენებაში. გარდა ამისა, მიწსახკომმა დახმარება გაუწია ადგილობრივ ორგანიზაციებს კოლმეურნეთა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებასა და შეღავათიან პირობებში საშენი მასალის მიღებაში. შეძლებისდაგვარად გაფართოვდა პირველ რიგში კოლმეურნეობათა მიწათმოწყობის სამუშაოები.

სამაზრო აღმასკომებმა და გლეხთა კომიტეტებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა კოლექტივიზაციის იდეის პოპულარიზაციისათვის.

კოლექტივიზაციის იდეის პოპულარიზაციაში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკურმა და სამხარეო გაზეთებმა. ისინი ფართოდ აშუქებდნენ სოფლის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს, კერძოდ, კოლმეურნეობათა მუშაობას, აგრეთვე აგრონომიულ საკითხებს. გაზეთები დიდი რაოდენობით ვრცელდებოდა სოფლებში და სათანადოდ სწრაფად იზრდებოდა მათი ტირაჟიც. მარტო „ახალი სოფელი“ 8 ათასი ცალიდან (1925 წ.) გაიზარდა 55 ათასამდე 1927 წელს.

გაფართოვდა სოფლის რადიოფიკაცია. რადიო შეიჭრა შორეულ მთიანეთშიც, კერძოდ, ხევსურეთში. რადიო სისტემატურად გადასცემდა საუბრებს ლენინური კოოპერაციული გეგმის შესახებ, კოლმეურნეობათა მნიშვნელობისა და მათი მუშაობის შედეგებზე. ამავე მიმართულებით ფართო მუშაობას ატარებდნენ გლეხთა სახლებიც.

პარტიის ღონისძიებებმა გლეხური მასების აღზრდის მიმართულებით სასურველი შედეგები გამოიღო. გლეხობა გაეცნო ლენინურ კოოპერაციულ გეგმას, ახალ საფუძველზე მოწყობილი კოლექტიური შრომის წარმატებებს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ. საქართველოს მიწსახკომი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად ჩვენ ვხედავთ 1926 — 27 წელს საკოლმეურნეო მშენებლობის ერთგვარ გამოცოცხლებას (კოლმეურნეობათა) მატერიალურ და ორგანიზაციულ გაჯანსაღებას“[1].

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 188, საქ. 2243, ფურც. 85.

სახელმწიფოს მხრივ მატერიალურ-ფინანსური დახმარება სოფლისადმი წარმოადგენდა გადამწყვეტ საშუალებას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. ვ. ი. ლენინი კოოპერატიული გეგმის შემუშავებისას დაწვრილებით ეცნობოდა სოფლის ცხოვრებას, კოოპერაციის მუშაობას სოფლად, ესაუბრებოდა მშრომელ გლეხებსა და გამოცდილ კოოპერატორებს. იმდროინდელი ერთ-ერთი ცნობილი კოოპერატორი ა. ლეჟავა თავის მოგონებაში აღნიშნავდა, რომ პარტიის X ყრილობამდე ორი-სამი კვირით ადრე მას ესაუბრა პირადად ლენინი, რომელმაც გამოჰკითხა მას, როგორც კოოპერატორს, თუ როგორ წარმოუდგენია კოოპერაციის მუშაობა ახალ ვითარებაში [1].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ გლეხთა კოოპერირებას უნდა მიეცეს ორგანიზებული, მასობრივი ხასიათი, რომ შეცდომაა კოოპერატიული წყობილების შეუფასებლობა და მოითხოვდა პარტიისა და სახელმწიფოსაგან გლეხთა კოოპერირებისადმი მაქსიმალურ ყურადღებასა და ყოველგვარ დახმარებას — მატერიალურს, ფინანსურს, პოლიტიკურსა და ორგანიზაციულს. „ჩვენ, — ამბობდა იგი, — არ ვიქნებოდით კომუნისტები და სოციალისტური მეურნეობის შემოღების მომხრენი, რომ არ ვახორციელებდეთ სახელმწიფო დახმარებას ყოველგვარი კოლექტიური სამიწათმოქმედო წამოწყების მიმართ“ [2], რადგან „ყოველი საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარებით“[3]. პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკური, ფინანსური და მატერიალური დახმარებით შეიქმნა საბჭოთა რუსეთში კოლექტიური მეურნეობანი[4]. ასეთივე გზით აღმოცენდნენ საბჭოთა საქართველოში პირველი საბჭოთა მეურნეობები, კომუნები, არტელები და ამხანაგობანი.

საბჭოთა სახელმწიფო დიდად ზრუნავდა მშრომელი გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გარდა იმისა, რომ საქართველოს გლეხობამ აგრარული რეფორმის შედეგად სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ მიიღო 900 ათასი ჰექტარი მიწა და სამუდამოდ განთავისუფლდა მიწის იჯარისა და გამოსყიდვისათვის ყოველწლიურად მილიონი ოქროს მანეთის გადასახადებისაგან, სახელმწიფო დიდ თანხებს ახმარდა სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას. გლეხობისათვის ფინანსური და მატერიალური დახმარება რეკონსტრუქციის პირველ წლებში უფრო გაძლიერდა. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდებოდა, კერძოდ საბჭოთა

---

[1] «Ленинский сборник», IV, стр. 38.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 225.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 554.

[4] «Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление», стр. 33.

და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ხაზით[1]. თუ 1925—26 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაიხარჯა 3340 ათასი მანეთი, 1927—28 წელს უკვე — 5304 ათასი მანეთი[2].

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნასა და გლეხების აღზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანიზაციამ, რომლის ძირითადი თანხები შედგებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან. საკრედიტო ორგანიზაცია ყოველწლიურად აფართოებდა თავის მუშაობას, გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებების დაფინანსება-დაკრედიტებას. 1926—1928 წლებში კოლმეურნეობათა საგრძნობი ნაწილი საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით შეიქმნა. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის 13 მარტის დადგენილების შესაბამისად საკრედიტო ორგანიზაციამ უფრო გააფართოვა კოლმეურნეობებისათვის მიზნობრივი კრედიტებით დახმარება, ხელი შეუწყო მათ საწარმოო ტექნიკის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ტრაქტორებისა და სხვა მანქანების შეძენით. 1926—27 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან გაცემული კრედიტების თანხა ერთი წლის მანძილზე გაიზარდა 2,5-ჯერ[3]. კრედიტების გაცემა იზრდებოდა აგრეთვე ავტონომიურ ერთეულებში. მარტო 1926 წელს „აბსელბანკმა" აფხაზეთის სოფლის მეურნეობას მისცა დაახლოებით 2 მილიონი მანეთი[4].

სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ეკონომიური და სოციალური წანამძღვრების შექმნაში უდიდეს როლს ასრულებდა საბჭოთა სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა. 1926 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, კაპიტალისტური ელემენტების შემდგომ შეზღუდვას და ადგილობრივი მშენებლობისათვის ფინანსური ბაზის შექმნას. ამ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდა უღარიბესი გლეხი, აგრეთვე ღარიბი და საშუალო გლეხობის საგრძნობი ნაწილი. წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტად შემცირდა საგადასახადო თანხა, რამაც ხელი შეუწყო მშრომელი გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მუშათა კლასსა და ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი ითვალისწინებდა

---

[1] ა. რ უ ხ ა ძ ე, სოფლის მეურნეობა საბჭოთა საქართველოს 10 წლისთავზე (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1931, № 2, გვ. 57—58).

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2742, ფურც. 18.

[3] იქვე.

[4] А. К у п р а в а, История кооперации Абхазской АССР, Тб., 1968, стр. 184.

მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზის შექმნას, ამ მიზნით ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებას, ხოლო როგორც წამახალისებელ ზომას, დაბეგვრის ნორმების მნიშვნელოვან შემცირებას ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონებში.

პარტია და მთავრობა ამავე პერიოდში იძულებული გახდნენ დროებით რამდენადმე გაედიდებინათ გლეხთა საგადასახადო დაბეგვრა, მაგრამ ასეთ პირობებშიც დაბეგვრა შეეხო გლეხობის საერთო შემოსავლის მხოლოდ ნაწილს და ისიც საგადასახადო თანხა არ აღემატებოდა გლეხთა საერთო შემოსავლის 4,62 პროცენტს. სამაგიეროდ, დაბეგვრის სიმძიმე გადატანილ იქნა კულაკობისა და შეძლებულთა ფენებზე. კულაკობა დაიბეგრა 5 — 6-ჯერ მეტად საშუალო ფენასთან შედარებით, ხოლო ღარიბი გლეხობა უფრო მეტად განთავისუფლდა გადასახადისაგან[1].

1927 წლიდან სოფლის მეურნეობაში დაინერგა სახელმწიფოს მხრით დახმარების კიდევ ერთი ღონისძიება — კონტრაქტაცია. იგი წარმოადგენდა სოციალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელ ახალ ფორმას, მუშათა კლასისა და გლეხობის, მრეწველობასა და სოფელს შორის კავშირის გაღრმავების ახალ საშუალებას. კონტრაქტაციამ ხელი შეუწყო გლეხობაში კოლექტივიზმის სულისკვეთების გაღრმავებას, გაერთიანებული შრომისაკენ ლტოლვას, გლეხის გადაქცევას სამრეწველო წარმოების მონაწილედ, სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებას. კონტრაქტაცია სწრაფად ინერგებოდა უმთავრესად ძვირფასი და ტექნიკური კულტურების დარგში[2].

პარტიის ღონისძიებათა საფუძველზე ამაღლდა გლეხური მასების შეგნებულობა, გაფართოვდა მათი თაოსნობა საკოლმეურნეო მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაში. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა მაინც ჩამორჩებოდა და საჭიროებდა დამატებით ღონისძიებას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენდა მისი ტექნიკური ბაზის გაფართოება და გაძლიერება, არსებული ტექნიკის, მათ შორის გლეხური ინვენტარის მაქსიმალურად გამოყენება.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციისათვის თითქოს საერთოდ შექმნილი არ

---

[1] П. Н. Ломашвили, Ликвидация кулачества как класса в Закавказских республиках (Автореферат докт. дисс.), стр. 21—22.

[2] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის“, გვ. 67, 197.

იყო აუცილებელი წანამძღვრები, განსაკუთრებით ტექნიკური ბაზა[1]. სამწუხაროდ, ანალოგიურ შეხედულებას გამოთქვამდა ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც, რაც გაკრიტიკებულ იქნა პარტიულ პრესაშიც[2].

ბურჟუაზიული იდეოლოგები განზრახ აყალბებენ ვ. ი. ლენინის შეხედულებას ტექნიკური ბაზის როგორც კოლექტივიზაციის საფუძვლის შესახებ, შეგნებულად გვერდს უვლიან ვ. ი. ლენინის ყველა გამონათქვამს ამავე საკითხის ირგვლივ და ამით ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ცნობილია, რომ სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმა სოფლის მეურნეობის სრული სოციალისტური გარდაქმნის ძირითად ეკონომიურ პირობად ვარაუდობს ელექტრიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, მიწათმოქმედების გადაყვანას მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე და ამის საფუძველზე გლეხური მასების თანდათანობით გარდაქმნას. „წვრილი მიწათმოქმედების, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიის და ჩვევათა გადამუშავების საქმე მთელ თაობათა საქმეა, წვრილი მიწათმოქმედების მიმართ ამ საკითხის გადაწყვეტა, მთელი მისი ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი მასშტაბით გამოყენებას, მასობრივი მასშტაბით მოწყობილ ელექტრიფიკაციას“[3].

ემყარებიან რა ლენინის ამ და სხვა ანალოგიურ გამონათქვამებს, მოწინააღმდეგენი ასე მსჯელობენ: რადგან საბჭოთა კავშირში 20-იან წლებში შექმნილი არ იყო ასეთი „მასობრივი მასშტაბის“ წანამძღვრები, მაშასადამე, არც კოლექტივიზაცია იყო კანონზომიერი. ისინი განზრახ „ივიწყებენ“ იმას, რომ ვ. ი. ლენინი წვრილგლეხურ მეურნეობათა კოოპერირების დაწყებით ეტაპზე არა თუ არ გამორიცხავდა, არამედ, პირიქით, გულისხმობდა გლეხური ტექნიკის როლსა და მნიშვნელობას. ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ გლეხური ინვენტარის უბრალო შეერთებაც კი და მისი ამხანაგურად (კოლექტიურად) გამოყენება მოგვცემს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას, გლეხობის მატერიალური ცხოვრების ამაღლებასო[4]. კომუნისტური პარტიის მეორე

---

[1] В. Я. Климушев, Современная идеологическая борьба, М., 1971, стр. 25.

[2] В. Голиков, С. Мурашев, И. Чхиквишвили, Н. Шатагин, С. Шаумян, За ленинскую партийность в освещении истории КПСС (Журн. «Коммунист», 1969, № 3, стр. 79).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 263.

[4] «Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление» стр. 49.

პროგრამა, რომელიც ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა, ითვალისწინებდა სოციალიზმის მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის შესაძლებლობას აგრეთვე გლეხური ინვენტარის შემკეთებელ სახელოსნოებსა და სამელიორაციო ღონისძიებებში მონაწილეობით[1].

ხელმძღვანელობდა რა ლენინური დებულებებით, ი. ბ. სტალინმა აგრარიკოს მარქსისტთა კონფერენციაზე (1929 წ. დეკემბერი) ხაზი გაუსვა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა უპირატესობას წვრილ მეურნეობებთან შედარებით და განაცხადა: „მე ვლაპარაკობ არა მარტო განვითარებულ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო ბაზა აქვთ, არამედ პირველადს კოლმეურნეობებზეც, რომლებიც საკოლმეურნეო მშენებლობის, ასე ვთქვათ, მანუფაქტურულ პერიოდს წარმოადგენენ და გლეხურ ინვენტარს ეყრდნობიან. მხედველობაში მაქვს ის პირველადი კოლმეურნეობები, რომლებიც... ეყრდნობიან წარმოების გლეხური იარაღების უბრალო შეერთებას“.

შემდეგ იქვე, შენიშნავდა: „კოლმეურნეობათა წიაღში გლეხური იარაღების უბრალო შეერთებამ კი ისეთი ეფექტი მოგვცა, რომელზედაც არც კი ოცნებობდნენ ჩვენი პრაქტიკოსები... გლეხები, რომლებიც უძლურნი იყვნენ ინდივიდუალური შრომის პირობებში, უდიდეს ძალად გადაიქცნენ, როდესაც თავიანთი იარაღები შეაერთეს და კოლმეურნეობებში გაერთიანდნენ“[2].

საკოლმეურნეო მშენებლობის „მანუფაქტურულ პერიოდში“, უეჭველია, გარკვეული როლი შეასრულეს ხალხში შემორჩენილმა დადებითმა ტრადიციებმა (ურთიერთდახმარება მუშა ძალით, იარაღებით, მუშა საქონლით), რომელთა რაციონალურად გამოყენებას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის შემოკლების ერთ-ერთ საშუალებას გარდამავალ პერიოდში[3]. საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებით ეტაპზე ქვეყნის ინდუსტრიული ბაზის სისუსტე, რა თქმა უნდა, ქმნიდა სიძნელეებს კოოპერირების საქმეში, განსაკუთრებით, მსხვილი სოციალისტური მეურნეობის მთელი უპირატესობის წარმოჩენაში[4]. მაგრამ ამ ვითარებაშიც, როგორც აღინიშნა, ძირითადად მაინც ნათლად ვლინდებოდა გლეხური იარაღების უბრალო შეერთებაზე დაყრდნობილი პირველადი კოლმეურნეობების უპირატესობა წვრილგლეხურ, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 249 — 250.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 368.

[3] К. М а р к с, Ф. Э н г е л ь с, Сочинения, т. 22, стр. 446.

[4] «Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление», стр. 49.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას კოლექტივიზაციის არსი დაყავს შიშველ ტექნიკამდე და უგულებელყოფს სოფლად მომხდარ სხვა ცვლილებებს, როგორც კოოპერირების სოციალურ და ეკონომიურ წანამძღვრებს. ვ. ი. ლენინი გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირების პრობლემას სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებით განიხილავდა. ითვალისწინებდა რა იგი ჩვენი ქვეყნის პირობებში სოციალ-ეკონომიური და ტექნიკური რეკონსტრუქციის ურთიერთგანპირობებულობას, 1921 წელს აღნიშნავდა: „მინიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა ისე გაგვემართა მსხვილი მრეწველობა, რომ მას სოფლის მეურნეობის დასამორჩილებლად ფონდი შეექმნა, ათი წლით განისაზღვრება“[1]. მოწინააღმდეგენი „ივიწყებენ“ იმასაც, რომ ვ. ი. ლენინი 1923 წელს სოფლად სოციალისტური, ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობილების, ე. ი. საკოლმეურნეო წყობილების შექმნას განიხილავდა როგორც მთელ ეპოქას. „უკეთეს შემთხვევაში ამ ეპოქის გავლა, — აღნიშნავდა იგი, — ჩვენ შეგვიძლია ერთი-ორი ათწლეულის განმავლობაში“[2]. მაგრამ ეს არ გამორიცხავდა ამ ახალ წყობილებაზე გადასვლის დაწყებას მანამდე, ვიდრე მსხვილი მრეწველობა შექმნიდა სოფლის მეურნეობის სრული დაქვემდებარებისათვის საჭირო ფონდს. სინამდვილეში ამ ახალი წყობილების შექმნა დაიწყო სწორედ გლეხური იარაღების უბრალო შეერთების საფუძველზე.

მაშასადამე, ლენინის იდეით, სოფლად „ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობილების“ შექმნის გრძელი გზის დაწყებით ეტაპზე ხდება გადასვლა მექანიკურ წევაზე, მანქანურ ტექნიკაზე, და ეს რადიკალურად ცვლის გლეხური მასების შეგნებულობას, აჩქარებს მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე მათ გადასვლას; მეორე ეტაპზე, საკოლმეურნეო წყობილების არსებობისას, იქმნება საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ახალი პირობები[3]. ამ პერიოდისათვის ლენინი პირველი რიგის ამოცანად სახავდა უკვე „გიგანტური მსხვილი მანქანური მეურნეობების“ შექმნას[4], მთელი მიწათმოქმედების გადაყვანას მანქანურ წარმოებაზე და ელექტრიფიცირებას მასობრივი მასშტაბით. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულებისათვის ჩვენს ქვეყანას დასჭირდებაო არა საუკუნეები, არამედ ათეული წლები[5].

ასეთია საკოლმეურნეო მშენებლობაში ტექნიკური ბაზის როლი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 307.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 555.

[3] «Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление», стр. 49—50.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 643.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 263.

ვ. ი. ლენინის შეხედულებით, რომელსაც განზრახ ამახინჯებს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია.

ამრიგად, წვრილგლეხურ მეურნეობათა კოოპერირებისათვის დაწყებით ეტაპზე სავალდებულო არ არის „მასობრივი მასშტაბით" სოფლის მეურნეობის მანქანური წარმოება და ელექტრიფიკაცია, როგორც კოლექტივიზაციის აუცილებელი წანამძღვარი. ამ დებულების სრული სისწორე დაადასტურა საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო-მშენებლობის ისტორიულმა გამოცდილებამ. შემთხვევითი არ იყო, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლის პერიოდში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმი ხაზგასმით რომ მიუთითებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს: „უინვენტარო გლეხურ მეურნეობათა დიდი პროცენტის არსებობის დროს, ტრაქტორებისა და რთული მანქანების მწვავე ნაკლებობის დროს, საკოლმეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ახლანდელ პერიოდში ის არის, რომ, მოწინავე ტექნიკურ ბაზაზე კოლექტივიზაციის უმაღლესი ფორმების მშენებლობასთან ერთად, ხელი შეეწყოს მილიონობით გლეხურ მეურნეობებს გადიდებული ეფექტურობით გამოიყენონ წარმოების უფრომარტივი იარაღებიც უმარტივეს კოლმეურნეობათა და კოოპერაციულ საწარმოო გაერთიანებათა ფარგლებში" [1]. პლენუმი ამავე დროს საჭიროდ მიიჩნევდა, რათა კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანებებს რთულ მანქანებთან ერთად გაეერთიანებინათ „წვრილი კოლმეურნეობანი საწარმოების, სატრაქტორო კოლონების და ცხენით თუ შერეული გამწევი ძალით მომუშავე მსხვილი სამანქანო სადგურების ერთობლივი მშენებლობისათვის". „ამრიგად, — აღნიშნავდა პლენუმი,— მსხვილ კოლმეურნეობათა მშენებლობა უნდა ვითარდებოდეს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ფორმით" [2].

საგულისხმოა ისიც, რომ პარტია ამ ღონისძიებებს სახავდა მაშინაც, როდესაც საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო მშენებლობა თავისი განვითარების პირველ ეტაპს ამთავრებდა. ეს გარემოება მიგვითითებს იმაზე, რომ სოფლად მანქანური წარმოებისა და ელექტრიფიკაციის მასობრივი მასშტაბებით უქონლობის პირობებშიც საკოლმეურნეო მშენებლობა ამ ეტაპზე უკვე საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებდა ყოველივე ამას, აგრეთვე იმას, რომ ზოგიერთ რაიონში მანქანების უკმარისობის მომიზეზებით აყოვნებდნენ საკოლმეურნეო მშენებლობას და თავის 1930

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 841 (ხაზი ჩვენია — ავტ.).

[2] იქვე, გვ. 842.

წლის 5 იანვრის დადგენილებაში „კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც შემდეგ პარტიის XVI ყრილობამ დაამტკიცა, ხაზგასმით აღნიშნავდა: „აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარ ცდასთან — შეაფერხონ საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარება ტრაქტორებისა და რთული მანქანების ნაკლებობის გამო“ [1].

პარტიამ საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებით ეტაპზე ახალი ტექნიკური ბაზის შექმნის რიგ ღონისძიებებთან ერთად უზრუნველყო გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების გაფართოება და ძირითადად გლეხური ინვენტარის უბრალო შეერთებაზე დამყარებულ კოლმეურნეობათა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.

გლეხური ინვენტარის მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება, რასაკვირველია, ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ზრდას, მაგრამ სოფლად ეს ინვენტარიც ერთობ განსაზღვრული იყო და, მეორე მხრივ, არც შეიძლებოდა ამ სახის საწარმოო საშუალებებზე დიდხანს დაყრდნობა. იგი დააყოვნებდა სოფლად ნავარაუდევი სოციალ-ეკონომიური პროცესების სწრაფ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას.

პარტია და მთავრობა ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ფართო ღონისძიებებს ახორციელებდნენ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სწრაფი და მძლავრი განვითარებისათვის.

თანდათანობით იზრდებოდა საბჭოური მანქანების, მათ შორის ტრაქტორების, სათესი, სამკელი და სხვა მანქანებისა და გუთნების გამოშვება. რამდენადმე გაიზარდა საზღვარგარეთიდან სამიწათმოქმედო ტექნიკის შემოტანაც. მიმდინარეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება.

საბჭოთა სახელმწიფო დახმარებას უწევდა გლეხობას ტექნიკის შეძენაში, ადიდებდა საკრედიტო თანხებს და სესხის დაფარვის ვადებს. ამის შედეგად 1927 წელს საქართველოს სოფლებში უკვე 222 ტრაქტორი მუშაობდა.

სოფლად ახალი ტექნიკის შეტანა და განაწილება გადაიქცა კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხად. კულაკობა ყველა ზომას მიმართავდა, რათა ხელში ჩაეგდო ახალი ტექნიკა, გაეძლიერებინა თავისი მეურნეობა, განეგრძო მშრომელთა ექსპლოატაცია და ამით გაეძლიერებინა ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების გამო კულა-

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 869 (ხაზი ჩვენია — ა ვ ტ.).

კები აქა-იქ ახერხებდნენ სამანქანო ამხანაგობაში შეღწევას, ზოგჯერ ირღვეოდა კლასობრივი ხაზი მანქანების განაწილებისას.

საბჭოთა ხელისუფლება ითვალისწინებდა კულაკობის მისწრაფებას და ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა, რათა ჩაეშალა კლასობრივი მტრის ცდები და ხელმისაწვდომი გაეხადა მანქანა-იარაღები მხოლოდ მშრომელთათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სოფლად ტექნიკური ბაზის რამდენადმე გაფართოების მიუხედავად, ტექნიკის დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობის წინაშე დასმულ ამოცანებს, რაც აფერხებდა გლეხობის კოოპერირებას. ასეთ პირობებში გარკვეულ როლს ასრულებდნენ მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გლეხურ მეურნეობათა გადაყვანას. ისინი აწარმოებდნენ მიწის დამუშავებას, თესლეულის გაწმენდას, მინერალური სასუქების შეტანას, აწყობდნენ საჩვენებელ ნაკვეთებს და ავრცელებდნენ აგროტექნიკურ ცოდნას გლეხობაში.

თანდათანობით ფართოვდებოდა საბჭოთა მეურნეობების როლი საკოლმეურნეო მშენებლობაში. იზრდებოდა თვით საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა და მაშასადამე, მათი როლიც გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნაში. 1927 წლის დამლევს საქართველოს მიწსახკომის დაქვემდებარებაში ირიცხებოდა 53 საბჭოთა მეურნეობა, აფხაზეთში — დაახლოებით 30. ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აჭარა.

საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ეხმარებოდა საბჭოთა მეურნეობებს, აღიდებდა კაპიტალურ დაბანდებებს მათი ფინანსური და საწარმოო-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მთავრობამ საბჭოთა მეურნეობებზე კაპიტალურ დაბანდებათა სახით 1926 — 1928 წლებში უკვე დახარჯა 1,5 მილიონ მანეთზე მეტი[1]. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-ტექნიკური ბაზა, ხოლო ამის საფუძველზე — შრომისნაყოფიერება და საერთო პროდუქცია. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური წარმოება გახდა, კიდევ უფრო გაიზარდა მათი ავტორიტეტი და გლეხობაზე ზემოქმედების ძალა.

საბჭოთა მეურნეობები დახმარებას უწევდნენ გლეხურ მეურნეობებს, მათ დიდი როლი შეასრულეს სოფლად ტექნიკური კულტურების განვითარებაში. პირველად მათ შეასწავლეს გლეხებს ჩაის, ციტრუსოვანთა და სხვა ძვირფასი კულტურების მოშენება, მოვლა და წარმოება. საბ-

---

1 „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 59.

ჭოთა მეურნეობებში მომზადდა სოფლის მეურნეობის ოსტატები, ტრაქ-ტორისტები, მონტიორები და სხვ.

სოფლად ახალი სამიწათმოქმედო ტექნიკის გავრცელებამ დიდი როლი შეასრულა გლეხური მასების ფსიქოლოგიურ გარდაქმნასა და კოლმეურნეობებისაკენ მათი ლტოლვის გაძლიერებაში.

ქართველი გლეხკაცობა საერთოდ დიდი ხნით ადრე გაეცნო მანქანის მნიშვნელობას მიწათმოქმედებაში, მაგრამ მანქანის მემამულურ-კაპიტალისტურმა გამოყენებამ, სიძვირემ და ადგილობრივი ნიადაგისათვის შეუფერებლობამ სახელი გაუტეხა მას გლეხობაში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მანქანისადმი გლეხების დამოკიდებულება სწრაფად შეიცვალა. საბჭოთა ხელისუფლებამ მანქანა ხელმისაწვდომი გახადა გლეხებისათვის, ხოლო პირველმა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მანქანების ახლებურად გამოყენებით მრავალჯერ დაარწმუნეს გლეხები მათ დიდ უპირატესობაში. ყოველი ახალი მანქანის, ტრაქტორისა, თუ გუთნის გამოცდა გლეხების დასწრებით ეწყობოდა[1]. აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად გლეხობაში სწრაფად იზრდებოდა მანქანების კოლექტიურად შეძენის სურვილი, რაც ხელს უწყობდა გლეხთა მეურნეობრივ შეკავშირებას. იყალთოს დიდი საბჭოთა მეურნეობის გავლენით სოფელ რუისპირში დაარსდა ამხანაგობა, რომელმაც თავისი ნაკვეთები დაამუშავა „მანამდე უცნობი მანქანა-იარაღებით", სიმინდიც მანქანით დათესა და ჰექტარზე 200 ფუთი მოსავალი აიღო, ხოლო მეზობელმა ინდივიდუალურმა გლეხებმა — მხოლოდ 60 — 70 ფუთი. ამხანაგობა არტელად გადაკეთდა, ამის შემდეგ უფრო მეტი წარმატებები მოიპოვა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სხვა გლეხებზე და ისინიც კოლექტიური შრომისათვის შეკავშირდნენ.

გლეხების ფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენდნენ სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, სოფლად მზარდი სოციალისტური საწყისების დადებითი შედეგები, რომლებსაც პარტია ფართოდ იყენებდა თავის ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში, ეკონომიური პოლიტიკის შემუშავებაში. პარტია მოწინავეთა მაგალითზე რაზმავდა მშრომელ გლეხობას ახალი ცხოვრებისათვის საბრძოლველად. ამის შედეგად უმთავრესად გლეხთა თაოსნობით იზრდებოდა კოლექტიურ მეურნეობათა რაოდენობა. გლეხთა თაოსნობა განსაკუთრებით ფართოვდებოდა 1926 წლიდან. თუ ამ წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის საქართველოში გლეხების ინიციატივით არსებობდა 31 სხვადასხვა კოლექტიური მეურნეობა, ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა უკვე 58 აღწევს.

რასაკვირველია, კოლმეურნეობათა ეს რაოდენობა არ იყო დიდი,

---

[1] აპ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1926 — 1929 წწ. (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1958, გვ. 142 — 143).

რადგან მათში გაერთიანებული იყო სულ 388 კომლი. მაგრამ ამასაც, როგორც მაგალითის ძალას, იმ დროს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის სოციალისტურად აღზრდისათვის. ზემოაღნიშნული ცვლილება გვიჩვენებს სულ ცოტა ოთხ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელთაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე წლით ადრე ფართო საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებამდე საქართველოში: უწინარეს ყოვლისა, ეს ცვლილება ყურადღებას იპყრობს განვითარების ტემპის თვალსაზრისით (კოლმეურნეობათა რაოდენობის ზრდა სამი თვის მანძილზე თითქმის ორჯერ), მეორე, ახალი კოლმეურნეობების შექმნა ხდებოდა გლეხური ინვენტარის უბრალო შეერთების საფუძველზე; მესამე, მშრომელი გლეხების მეტი ნაწილი მიილტვოდა კოლექტიური შრომის მაღალი ფორმისაკენ — ამხანაგობიდან არტელისაკენ[1]. და ბოლოს, მეოთხე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია, კოლმეურნეობათა ეს რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებანი ხდებოდა უმთავრესად მშრომელი გლეხების ინიციატივით.

ყოველივე ეს წარმოადგენდა პარტიისა და მთავრობის სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის, მოწინავე მეურნეობათა მაგალითის პირდაპირ შედეგს.

საკოლმეურნეო მშენებლობაში განსაკუთრებული როლი შეასრულა სოფელ ზემო ქედის მამია ორახელაშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კომუნამ, რომლის დაარსების თაოსნად 1926 წელს გამოვიდა ყოფილი მოჯამაგირე, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე კობა ჩოხელი. კომუნაში თავდაპირველად გაერთიანდა ექვსი ღარიბი, შვიდი საშუალო გლეხი და ხუთი მოჯამაგირე. წევრთა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა. კომუნა წარმატებით სძლევდა სიძნელეებს. თუმცა იგი თავისუფალი არ იყო ცალკეული მნიშვნელოვანი შეცდომებისაგანაც, მაგრამ ეკონომიურად მაინც სწრაფად იზრდებოდა. გაფართოვდა კომუნის ტექნიკური ბაზა უახლესი მანქანა-ტრაქტორებით. სწრაფად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება და სასაქონლო პროდუქცია, კომუნის წევრთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. კომუნა დიდ დახმარებას უწევდა ერთპიროვნულ ღარიბ და საშუალო გლეხებს. ორიოდე წელიწადში იგი გადაიქცა ერთ-ერთ მძლავრ საწარმოდ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირებაში[2].

კოლმეურნეობის იდეამ საქართველოს შორეულ მთიანეთშიც შეაღწია. საგულისხმოა, რომ 1926 წელს გლეხთა თაოსნობით კომუნები დაარსდა ფშავ-ხევსურეთშიც[3]. გლეხთა თაოსნობით კოლექტიურ მეურნეობა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 19 აგვისტო.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1971 წლის 10 ივლისი.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 17 და 20 თებერვალი.

თა აღმოცენებას დასაწყისში ხელი შეუწყო გლეხობაში შემორჩენილი დადებითი ტრადიციების გამოყენებამაც. საქართველოში ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო მიწის დამუშავება საერთო ძალითა და იარაღებით [1] „ალო", „ნადი", და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის ამოცანა მოითხოვდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, სოფლის ძირითადი მასების დარაზმვას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობათა დასაძლევად, საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებასა და მასებში მათი ავტორიტეტის ამაღლებას.

ამ პერიოდის დამახასიათებელ მოვლენად იქცა სოფლის ყველა სოციალური ფენის პოლიტიკური აქტივობის ზრდა, კლასობრივი ბრძოლის უფრო გამწვავება. თითოეული სოციალური ფენა ცდილობდა საბჭოებში თავისი წარმომადგენლების შეყვანით მაქსიმალური გავლენა მოეხდინა საბჭოებზე. ამიტომ საბჭოების არჩევნები კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს სარბიელად გადაიქცა.

კულაკობამ ფართოდ გაშალა ბრძოლა საბჭოებისათვის, ამ მიზნით იგი რიგ უღირს მეთოდებსა და ფორმებს მიმართავდა. მიუხედავად ამისა, იგი ზოგჯერ გარკვეულ წარმატებასაც აღწევდა ჩამორჩენილი ელემენტების მხარდაჭერით. ასე მაგალითად, გორის მაზრის ზოგიერთ თემში კულაკებმა ჩაატარეს ფარული კრებები და შეიმუშავეს საბჭოების არჩევნებში ერთობლივად გამოსვლის პროგრამა, სპეციალურ წვეულებებს მართავდნენ გლეხების გადასაბირებლად, ადგენდნენ თავიანთი კანდიდატების სიებს [2]. სოფლის საბჭოების შემადგენლობის დისკრედიტიზაციის მიზნით აფხაზეთის ზოგიერთ მაზრაში კულაკებმა ხმები გაავრცელეს: საბჭო ხელს უწყობს ჩაის გაშენებას, თუმცა იცის, რომ იგი შხამიან ეკალს გააჩენსო. კულაკები მუქარითაც მიმართავდნენ მოჯამაგირეებს, სამუშაოდან დათხოვნით ემუქრებოდნენ, თუ ისინი მხარს არ დაუჭერდნენ მათ კანდიდატებს. საბჭოებისათვის ბრძოლაში კულაკობას მხარს უჭერდნენ შენშევიკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. მიუხედავად ამისა, პარტიის მიერ დარაზმულმა ღარიბმა და საშუალო გლეხობამ ამხილა მტრების მზაკვრობა, მათი კანდიდატები გააშავა და მხარი დაუჭირა საბჭოებში ღარიბთა და საშუალო გლეხთა ბლოკის კანდიდატებს. ამან განაპირობა 1926—1927 წლებში საბჭოებში არჩევნების წარმატებანი — ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეულ იქნენ მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები. საბჭოებში გლეხთა რაოდენობა გაიზარდა 73,8 პროცენტამდე, ხოლო თემსაბჭოებში — 78,3 პროცენტამდე, მათ შორის

---

[1] მ. ჯ ა შ ი, სოფლის მექანიზაციის ამოცანები (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1926 წლის 2 ივლისი).

[2] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 5 მარტი.

ქალთა რაოდენობა შეადგენდა 8,6 პროცენტს. საბჭოებში აირჩიეს 36 მოწინავე მოჯამაგირე.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოების როლი სოფლის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ ირგვლივ დაირაზმა ღარიბი და საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეები. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს სოფლის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა. პოლიტიკური იზოლაციის მიუხედავად, კულაკობამ იარაღი არ დაყარა და უფრო გააძლიერა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა წინააღმდეგ, საშუალო გლეხობის გადაბირებისათვის. ამასთან დაკავშირებით, 1926 — 1927 წლებში პარტიის ხელმძღვანელობით გაძლიერდა ღარიბთა შორის მუშაობა, გამოცოცხლდა ღარიბთა ჯგუფების საქმიანობა, გაფართოვდა მათი მოქმედების არე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ღარიბთა ჯგუფების რაოდენობა. განუხრელად იზრდებოდა ღარიბებისადმი სახელმწიფოს მხრივ მატერიალური და ფინანსური დახმარება, ღარიბებისა და მოჯამაგირეების კოოპერირება. ყოველივე ამის შედეგად ამაღლდა ღარიბთა და მოჯამაგირეთა პოლიტიკური და კლასობრივი შეგნებულობა, მათი აქტივობა. პარტიამ მნიშვნელოვნად განამტკიცა ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების ბლოკი საშუალო გლეხობასთან, მათი ორგანიზებული ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ. გაიზარდა ღარიბთა ჯგუფების ავტორიტეტი მასებში[1]. ღარიბთა კრებები გადაიქცა კლასობრივი ბრძოლის არენად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა ღარიბთა ჯგუფების შეუფასებლობას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში გადაჭრით უარყოფდნენ ღარიბთა შორის მუშაობის აუცილებლობას[2]. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო ასეთი და სხვა აშკარად მემარჯვენე ოპორტუნისტული გამოვლინების პრაქტიკა.

სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გაიზარდა გლეხი ქალების აქტივობაც. სოფლებში შეიქმნა გლეხ ქალთა სადელეგატო კრებები და პუნქტები, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით ენერგიულად მონაწილეობდნენ სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

გაფართოვდა ხელმძღვანელ ორგანოებში მშრომელი გლეხების დაწინაურების პრაქტიკა, მათი ლტოლვა კომუნისტური პარტიისაკენ. 1927 წელს პარტიის წევრებისა და კანდიდატების საერთო რაოდენობის 40,3 პროცენტს შეადგენდნენ გლეხები, მოჯამაგირეთა რაოდენობა პარტიაში 65 კაციდან გაიზარდა 626 კაცამდე 1928 წელს[3]. საქართველოს კომკავ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2254, ფურც. 294 — 295; ფ. 25, საქ. 31, ფურც. 657 — 660.

[2] Газ. «Заря Востока», 27 октября 1926 г.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 583, 585.

შირში ახალგაზრდა ღარიბ გლეხთა ხვედრითი წონა შეადგენდა 58,6 პროცენტს, ხოლო მოჯამაგირეებისა — 3,7 პროცენტს [1].

თანდათანობით, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა ღარიბთა და საშუალო გლეხთა მონაწილეობა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

სოფლის მეურნეობის შემდგომმა ინტენსიფიკაციამ და სოციალისტურად გარდაქმნის აუცილებლობამ მოითხოვა მომზადებული, მაღალ კვალიფიციური კადრები. სოფლის მეურნეობას ესაჭიროებოდა როგორც მასობრივი კვალიფიკაციის კადრები, ისე უმაღლეს და საშუალო განათლების სპეციალისტები.

კადრების პრობლემის გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული გლეხური მოსახლეობის საერთო კულტურული დონის ამაღლების ამოცანასთან, ხოლო ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის აღმოფხვრასთან. საქართველოს სოფლის მოსახლეობაში 1927 წლისათვის წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 34,3 პროცენტამდე გაიზარდა [2], მაგრამ უწიგნურობა მაინც დიდი იყო გლეხობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც 1926 წელს რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში შეადგენდა 32,3 პროცენტს[3].

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ენერგიული ღონისძიებები განაზორციელეს გლეხურ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოდ. ამ საქმეში პარტიასა და მთავრობას დიდ დახმარებას უწევდნენ კომკავშირი, მიწატყის პროფკავშირი და წითელი არმიის ქართული ნაწილები. ამის შედეგად 1926 — 1928 წლებში ათასობით გლეხმა შეისწავლა წერა-კითხვა.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადებისათვის გამოიყენებოდა სწავლების მრავალი ფორმა. 1926 წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა ცხრაწლედების ქსელი სასოფლო-სამეურნეო განხრით. ზოგიერთ მაზრაში დაარსდა დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. 1928 წლისათვის დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლებში სწავლობდა 8356 გოგონა და ჭაბუკი [4]. მოსწავლენი ეუფლებოდნენ ელემენტარულ აგრონომიულ ცოდნასა და მეურნეობაში მუშაობის წესებს.

მასობრივი პროფესიის კადრების მომზადებაში დიდი როლი შეასრულეს გლეხი ახალგაზრდობის სკოლებმა, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. მათი რაოდენობა რესპუბლიკაში 1926 წელს 22-მდე გაიზარდა, 1927 წელს—უკვე 60-მდე, ხოლო 1928 წელს—93-მდე,

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1928 წლის 3 ივლისი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1928 წლის 5 აპრილი.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 3322, ფურც. 21.

[4] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1928 წლის 21 თებერვალი.

რომლებშიც სწავლობდა 5309 ახალგაზრდა გლეხი[1]. გლეხი ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლენი იძენდნენ აგრონომიულ ცოდნას, ეუფლებოდნენ მეურნეობაში მუშაობის პრაქტიკას და ერთდროულად იმაღლებდნენ ზოგადი განათლებისა და პოლიტიკური ცოდნის დონეს. 1928 წელს მოკლევადიანი აგრონომიული კურსები დაამთავრა 2638 კაცმა[2]. 1926 წლიდან თბილისის ტრაქტორისტთა კურსებზე დაიწყო ტრაქტორისტების, მონტიორების, ზეინკლებისა და სხვა პროფესიის კადრების მომზადება. ამ წელს გამოუშვეს 120 ტრაქტორისტი. 1927 წელს ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გაძლიერების მიზნით შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელიც გამოიყენებოდა ტრაქტორისტთა კურსებისა და ტრაქტორთა შემკეთებელი სახელოსნოების მოსაწყობად, სატრაქტორო საქმის ინსტრუქტორების, ოსტატებისა და მონტიორების მოსამზადებლად[3].

ტრაქტორისტებს ამზადებდა მიწსახკომის თბილისის სახელოსნო, ხოლო ზოგიერთ რაიონში — მსხვილი საბჭოთა მეურნეობაც.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები მოითხოვდნენ საშუალო და უმაღლესი განათლების სპეციალისტებსაც. საქართველოს სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით აგრონომების დიდ უკმარობას განიცდიდა. რესპუბლიკაში 1926 წელს სულ 82 აგრონომი მუშაობდა, ხოლო 1928 წელს — 95. ეს რაოდენობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მოთხოვნილებას. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები იმ დროს ძალზე მცირე რაოდენობით უშვებდნენ აგრონომებს და საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა სპეციალისტებს. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების სტუდენტთა კონტინგენტი, უმთავრესად მუშებისა და მშრომელი გლეხების შვილების ხარჯზე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე 1926 წელს სწავლობდა 865 სტუდენტი, მათ შორის 320 ქალი, ხოლო 1927 — 28 სასწავლო წელს რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებს სწავლობდა 1725 სტუდენტი[4]. მათგან 1928 წელს გამოუშვეს 253 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით[5].

---

[1] Газ. «Молодой ленинец», 4 мая 1928 г.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 17.

[3] Газ. «Заря Востока», 16 января 1927 г.

[4] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 134.

[5] «Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции» (стат. сб.), Тб., 1967, стр. 235.

1926 — 1928 წლებში საგრძნობლად გაიზარდა სასოფლო-სამეურ-ნეო ტექნიკუმების რაოდენობა. ტექნიკუმები იქმნებოდა სოფლის საშუა-ლო სკოლების ბაზაზე ან საბჭოთა მეურნეობებთან.

1927 — 28 სასწავლო წელს სპეციალურ ტექნიკუმებში სწავლობდა 1144 ახალგაზრდა. სპეციალურმა ტექნიკუმებმა 1928 წელს გამოუშვეს 788 სპეციალისტი საშუალო განათლებით.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარება და, ამის საფუძველზე, მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან, მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის შემდგო-მი გაფართოებისა და განმტკიცების ამოცანასთან. ამიტომ მუშათა კლასს, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ კლასს, უნდა უზრუნ-ველეყო თავისი ყველაზე მრავალრიცხოვანი და უახლოესი მოკავშირის — მშრომელი გლეხობის — დარაზმვა საწარმოო ძალების სწრაფი განვითა-რებისათვის სოფლად. პარტია, ითვალისწინებდა რა მუშათა კლასის ხელ-მძღვანელი როლის დიდ მნიშვნელობას, საჭიროდ მიიჩნევდა მის უშუა-ლო მონაწილეობას წვრილსაქონლურ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ, სოციალისტურ მეურნეობრივ წარმოებაზე გადაყვანაში[1]. ამან განსაზღვ-რა რეკონსტრუქციის პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, მათი ურთიერთდახმარების გაფართოების ამოცანა, ამ კავშირურთიერთო-ბის ახალ ფორმათა გამონახვის საჭიროება. სოციალისტური ინდუსტრია-ლიზაციის სწრაფი ტემპით განვითარების აუცილებლობისა და კლასობ-რივი ბრძოლის გამწვავების პირობებში საჭირო იყო მუშათა კლასის მხრივ ხელმძღვანელობისა და გავლენის გაძლიერება ქვეყნის მთელ სოციალურ ცხოვრებაზე[2]. ამრიგად, მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების ხელმ-ძღვანელ ძალას, პრაქტიკულად უნდა შეესრულებინა თავისი მისია — უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის აუცილებელი წანამძღ-ვრები.

საქართველოს მუშათა კლასი აქტიურად გამოეხმაურა პარტიის ლო-ზუნგს „პირით სოფლისაკენ". მუშათა ინიციატივით გაფართოვდა სო-ფელზე ქალაქის შეფობის ფორმები. შეიცვალა შეფობის ორგანიზაციუ-ლი მხარე და შინაარსი. შეფობის კულტურულ-საგანმანათლებლო ხასია-თის მუშაობას დაემატა მთავარი ფუნქცია — სოფლისადმი საწარმოო დახმარება, ცალკეულ წარმომადგენელთა ნაცვლად მუშათა კომპლექსუ-რი ბრიგადების გაგზავნა სოფლებში.

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 613.

[2] იქვე, გვ. 687.

საშეფო საზოგადოების მუშაობა საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა პარტიის XV ყრილობის შემდეგ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვა დიდ ქალაქებში შეიქმნა საშეფო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების ფართო ქსელი[1]. საქართველოს საშეფო საზოგადოებამ მალე მოწინავე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში. ყველაზე მსხვილი საშეფო ორგანიზაცია იყო თბილისის, სადაც 126 საშეფო უჯრედი აერთიანებდა 20 ათას წევრს.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა განვითარებამ უფრო გააძლიერა მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობა და ხელმძღვანელი როლი სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში. მუშები უფრო მეტად დაინტერესდნენ სოფლის მეურნეობის მომავალი სვე-ბედით. ეს აიხსნება იმითაც, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ ისევ დაკავშირებული იყო სოფელთან მეურნეობრივად. მაგრამ გადამწყვეტი აქ მაინც ის იყო, რომ მთელი მუშათა კლასი თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად გრძნობდა და კარგად ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის როლს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებისა და საერთოდ, ეკონომიკის აღმავლობაში.

მრეწველობის რეკონსტრუქცია არ საჭიროებდა ამ დარგში სოციალ-ეკონომიური ბაზის შეცვლას. მუშათა კლასი ხედავდა, რომ სულ სხვა ეტარება იყო სოფლად, სადაც ტექნიკური ბაზის გარდაქმნა მოითხოვდა ძველი სოციალ-ეკონომიური წყობის მსხვრევას და ყველაზე რიცხვმრავალი ექსპლოატატორული კლასის (კულაკობის) ლიკვიდაციას. მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის საშუალებით იცოდა, რომ სოფლის მშრომელთა რევოლუციური ენერგია და აქტივობა უნდა წარმართულიყო მთლიანი კოლექტივიზაციისა და ამის საფუძველზე კულაკის როგორც კლასის ლიკვიდაციისაკენ. ამისათვის კი აუცილებელი იყო გლეხობის პოლიტიკური აღზრდა და მათი დარწმუნება კოლმეურნეობის უპირატესობაში. მუშათა კლასის წარგზავნილები იყვნენ საკოლმეურნეო მოძრაობის საუკეთესო პროპაგანდისტები გლეხთა მასებში. მუშა-პროპაგანდისტები უშუალოდ უკავშირდებოდნენ ღარიბ, უღარიბეს, მოჯამაგირე და საშუალო გლეხებს და ხელს უწყობდნენ მათ პოლიტიკური აქტივობის ზრდას, რაზმავდნენ კულაკობის წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ კოლმეურნეობებში გაერთიანებისაკენ.

მუშათა შეფობა სოფელზე წარმოადგენდა გლეხობის მიმართ მუშათა კლასის იდეური ზეგავლენისა და ხელმძღვანელობის ერთ-ერთ მნიშ-

---

[1] ლ. ნადირაშვილი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების ისტორიისათვის (საშეფო მოძრაობა 1921 — 1933 წწ.), საკანდ. დისერტაცია, თბ., 1972, გვ. 21; გრ. ჯიჯეიშვილი, სოციალისტური მშენებლობა აჭარაში, თბ., 1971, გვ. 120.

ვნელოვან ფორმას. მუშათა ბრიგადები დიდ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად. ისინი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ სოფლისადმი საწარმოო დახმარებას — ტექნიკის შეკეთებას, მოსავლის აღებას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, კადრების მომზადებას, ეხმარებოდნენ საწარმოო კოოპერირებას, კოლექტივიზაციის გაფართოებას. საშეფო ბრიგადებმა რამდენიმე სოფელში გაიყვანეს წყალსადენი, ააშენეს ხიდები და სკოლები, აქტიურად მონაწილეობდნენ მიწათმოწყობაში, ახალი ამხანაგობებისა და არტელების დაარსებაში. თბილისის საშეფო საზოგადოების დახმარებით საშეფო სოფლებში ჩამოყალიბდა 24 ახალი კოლმეურნეობა და ერთი კომუნა; ოთხ სოფელში დაამთავრეს მიწათმოწყობა, გაიყვანეს ცხრა სარწყავი არხი, მოაწყვეს რვა საჩვენებელი აგრონომიული ნაკვეთი, დააარსეს წერა-კითხვის შემსწავლელი 94 პუნქტი და ოთხი შრომის სკოლა, 61 ქოხ-სამკითხველო, 15 კლუბი, ათი წითელი კუთხე, ჩაატარეს ოცამდე სხვადასხვა სააგიტაციო კამპანია და სხვ. ბრიგადები სპეციალურ საუბრებს ატარებდნენ გლეხობის სოციალური დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ. საგულისხმოა, რომ ღარიბი გლეხები უფრო მეტ აქტივობას იჩენდნენ იმ კრებებზე, რომლებსაც მუშათა ბრიგადის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საშეფო უჯრედებთან გამოყოფილმა ქალთა კომისიებმა საშეფო სოფლებში მოაწყვეს გლეხი ქალებისათვის ჭრა-კერვის წრეები, გადაუგზავნეს საკერავი მანქანები, სახელმძღვანელოები და სხვ. ქალთა კომისიების თაოსნობით შეკეთდა რამდენიმე სკოლის შენობა.

საშეფო საზოგადოება მუშათა ბრიგადების საშუალებით ფართოდ მონაწილეობდა სოფლის საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებაში. 1928 წელს საბჭოების საგადარჩევო კამპანიის პერიოდში სოფლებში გაიგზავნა სპეციალური მუშათა ბრიგადები, რომლებიც ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად რაზმავდნენ მშრომელ გლეხებს კულაკების ძირგამომთხრელი მოქმედების წინააღმდეგ.

საქართველოს მუშათა კლასი სოფელზე დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეში სხვა ფორმებსაც იყენებდა. კერძოდ, 1927 — 1929 წლებში მუშათა ბრიგადებს უფრო ხანგრძლივი დროით (1 — 2 თვით) აგზავნიდა საშეფო სოფლებში სამუშაოდ.

სოფელზე შეფობის გაძლიერების საქმეში პარტიას უდიდეს დახმარებას უწევდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი მუშა-ახალგაზრდობა. მუშათა კლასი საშეფო სოფლებს ეხმარებოდნენ ელექტრიფიკაციის საქმეშიც. ძველი ბოლშევიკის შამშე ლეჟავას ინიციატივით და თბილისის მელითონე მუშათა დახმარებით შოვსა და ონში აშენდა ჰიდროელექტროსადგურები; ქალაქის მუშათა დახმარებით აშენ-

და პატარა ჰიდროელექტროსადგურები ახალციხეში, აბასთუმანში, ცხინვალში, ბოლნისში და სხვაგან.

სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საირიგაციო სამუშაოთა ფართოდ გაშლამ. საბჭოთა მთავრობა დიდ თანხებს აბანდებდა ამ დარგში. მარტო 1926 — 1927 წლებში დახარჯა 7 მილიონ მანეთზე მეტი[1]. სარწყავი არხების მშენებლობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობდნენ ქალაქებიდან დიდი რაოდენობით გაგზავნილი მუშები და წითელი არმიის ქართული ნაწილები. საერთო-საკავშირო ბიუჯეტის სახსრებით სრულდებოდა ალაზნისა და ტირიფონის სარწყავი სისტემები, კოლხეთის ჭაობის ამოშრობა, სამგორის მშენებლობის მომზადება. 1926 — 27 წლებში დაიწყო სამურზაყანოს, დიღმის, ქსნის, დიმი-როკითის, ყანდაურას, აჯამეთის, დოესი-გრაკლის, ქობულეთისა და სხვ. შედარებით პატარა არხების მშენებლობა.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ დარგში მელიორაციულმა ამხანაგობებმაც, რომელთა რაოდენობა 1928 წელს უფრო გაიზარდა. ამხანაგობებს დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა სახელმწიფო. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა შედეგად 1928 წლის დამლევისათვის საგრძნობლად გაფართოვდა საირიგაციო მშენებლობა. ამუშავდა ახალი არხები, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დიდი რაოდენობით გადაეცა კოლხეთის ამოშრობილი მიწები. 1928 წლის დამლევისათვის უკვე ირწყვებოდა 130,4 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, რამაც ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ო ო პ ე რ ა ც ი ა საკოლმეურნეო მოძრაობის უმნიშვნელოვანესი რგოლია. იგი მოიცავს გლეხობისათვის ყველაზე გასაგებსა და ხელმისაწვდომ კოოპერაციულ ფორმებს, რომელთა განვითარება ნიადაგს უმზადებს წვრილგლეხურ მეურნეობებს მსხვილ, კოლექტიურ წარმოებაზე მასობრივად გადასვლას.

საბჭოთა ხელისუფლება ფართო ღონისძიებებს ახორციელებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ფორმის განვითარებისა და გლეხური მოსახლეობის ფართო კოოპერირებისათვის. სახელმწიფო დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა კოოპერაციას, რომელსაც 1926 წლისათვის სახელმწიფო ბანკიდან მიღებული ჰქონდა კრედიტად 11 მილიონი მანეთი. სახელმწიფოს სახსრებით იქმნებოდა ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეთა მასობრივი კოოპერირების სპეციალური ფონდი, რომელიც ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მთავრობა ეხმარებოდა კოოპერაციას საჭირო კადრების მომზადებაში. თბილისში დაარსდა საფი-

---

[1] ბ. ხ ა ს ი ა. სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში, II, თბ., 1968, გვ. 231.

ნანსო-კოოპერატიული ინსტიტუტი, სხვადასხვა ქალაქში კოოპერატიული ტექნიკუმები, სპეციალური კურსები. რესპუბლიკის ცხრაწლედების ნაწილს მიეცა კოოპერატიული განხრა. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს კოოპერატიულ კურსებზე გაიგზავნა რამდენიმე ათეული ქართველი ახალგაზრდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის დიდ მუშაობას ატარებდნენ სოფლის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრონომები, მასწავლებლები და კულტურის დარგის სხვა მუშაკები. სოფლის კომუნისტები და კომკავშირელები ენერგიულად იბრძოდნენ კოოპერატიულ მშენებლობაში პარტიის კლასობრივი პოლიტიკის დასაცავად, კოოპერაციიდან აძევებდნენ მტრულ ელემენტებს, ყოფილ ვაჭრებს, ბიუროკრატებს. მათ ნაცვლად კოოპერაციაში სამუშაოდ აგზავნიდნენ კომუნისტებსა და კომკავშირელებს, მოწინავე ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს.

განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა სოფლად კოოპერაციას საქართველოს მუშათა კლასი. კოოპერაციაში აერთიანებდა გლეხებს, აწყობდა მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტებისა და სამანქანო ამხანაგობათა სახელოსნოებს, რაზმავდა მშრომელ გლეხობას კულაკობის წინააღმდეგ.

პარტიისა და მთავრობის დაძაბული მუშაობით სოფლად თანდათანობით იზრდებოდა და ვითარდებოდა ყველა სახის კოოპერაცია, იზრდებოდა გლეხური მოსახლეობის კოოპერირების დონე. ცეკავშირის ხაზით სამომხმარებლო კოოპერაციაში თუ 1926 წლის აპრილისათვის ირიცხებოდა 140 ათასი, ოქტომბრისათვის მეპაიეთა რაოდენობა გაიზარდა 271 ათასამდე და შეადგინა გლეხური მოსახლეობის 40 პროცენტი.

სწრაფად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. საქართველოში თუ 1925 წლის ოქტომბრისათვის არსებობდა ყველა სახის 275 კოოპერატიული ამხანაგობა, 1927 წლის ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა არასრული მონაცემებით 327-მდე. აქედან საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა იყო — 153, სპეციალური სასოფლო-სამეურნეო — 73 და სამანქანო-სატრაქტორო — 90 ამხანაგობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა ერთი ნაწილი თავისი განვითარებით უკვე ვეღარ თავსდებოდა საწარმოო გაერთიანების ამ ყველაზე დაბალი ფორმის ვიწრო ჩარჩოებში და მიმდინარეობდა არტელად მისი გადაზრდა; მცირე ნაწილი კი თვით წყვეტდა არსებობას.

მძლავრ გაერთიანებას სოფლად წარმოადგენდა საკრედიტო კოოპერაცია, რომლის 121 ამხანაგობაში 1926 წლის მესამე კვარტალში ჩაბმული იყო 46123 გლეხური მეურნეობა. სისტემატურად იზრდებოდა მისი საბალანსო და საკრედიტო თანხები. საკრედიტო კოოპერაციას საკუთარი

კაპიტალის ხვედრითი წონის მიხედვით (13,7 პროცენტი) თვალსაჩინო ადგილი ეკავა რესპუბლიკაში. ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა აფხაზეთს, სადაც 12 საკრედიტო ამხანაგობაში კოოპერირებული იყო 9715 გლეხური მეურნეობა.

საკრედიტო კოოპერაცია მკვეთრად გაიზარდა 1927 წელს. ოქტომბრისათვის საქართველოში უკვე არსებობდა 153 ამხანაგობა 100062 გლეხური მეურნეობით და 32,4 მილიონი მანეთის საბრუნავი თანხით[1]. გაიზარდა ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერირების ფონდიც, რამაც ხელი შეუწყო უკანასკნელთა განსაკუთრებით სწრაფ კოოპერატიულ შეკავშირებას.

საკრედიტო კოოპერაცია, ისე როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ გაერთიანებათა უმეტესობა, 1926 — 27 წლებში წარმატებით ასრულებდა გლეხთა კოოპერირების გეგმებს. მიუხედავად ამისა, გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების დონე საკრედიტო ამხანაგობებში მაინც ჩამორჩებოდა. 1927 წელს იგი შეადგენდა 21,8 პროცენტს. კოოპერირების ასეთი დაბალი დონე აიხსნება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უფრო მეტად გატაცებული იყო სავაჭრო ოპერაციებით და შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა თავის ძირითად ამოცანას — გლეხურ მეურნეობათა საკრედიტო და საწარმოო კოოპერირებას[2].

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამანქანო ამხანაგობები. ამ ამხანაგობებს მეტად მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში უხდებოდათ მუშაობა. კულაკები მათ წინააღმდეგობას უწევდნენ, შიგნიდან უნდოდათ მისი დაშლა. პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა დასჭირდათ, რათა სამანქანო ამხანაგობანი გაეწმინდათ უცხო ელემენტებისაგან.

სამანქანო ამხანაგობათა რაოდენობა 1926 — 1927 წლებში უმნიშვნელოდ გაიზარდა, რადგან სამანქანო კოოპერაცია ვერ ეგუებოდა საწარმოო გაერთიანების დაბალ ფორმას. 1927 წლის ოქტომბრისათვის საქართველოში არსებობდა მხოლოდ 90 ამხანაგობა 2610 გლეხური მეურნეობით[3].

სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა სარეწაო კოოპერაციამაც, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა მონაწილე-

---

[1] „მასალები საქართველოში სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 195.

[2] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, თბ., 1968, გვ. 18.

[3] „საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობისათვის", გვ. 6.

ობა ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვაში. სარეწაო კოოპერაცია, ისე როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაც, გასაღება-მომარაგების საქმიანობიდან თანდათანობით იწყებს სოფლის საწარმოო ცხოვრებაში შეჭრას, უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მონაწილეობას.

საკოლმეურნეო მშენებლობის სწრაფი აღმავლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწათმოწყობასთან. ამ ღონისძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, სადაც უფრო მეტად, ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა რესპუბლიკაში, მწვავედ იგრძნობოდა მიწის სიმცირე, მეურნეობათა დაქუცმაცება. მოუგვარებელი იყო სოფელთა შორის მიწათმოწყობაც. 1928 წლისათვის საქართველოს 4 ათასი სოფლიდან მიწათმოწყობა ჩატარებული იყო მხოლოდ 800 სოფელთა შორის. უფრო მეტად მოუგვარებელი იყო სოფლების შიგნით მიწათმოწყობა. რესპუბლიკის მასშტაბით სოფელში მიწათმოწყობის წილი არ აღემატებოდა 17, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — 10 პროცენტს[1].

საქართველოში მიწათმოწყობის საქმე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1928 წლიდან. დაჩქარდა მიწისმზომელი კადრების მომზადება, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა მიწათმოწყობის სამუშაოთა გაფართოებისათვის. პირველ რიგში დაიწყო კოლმეურნეობათა მიწათმოწყობა და 1928 წლის დამლევისათვის მიწათმოწყობა დამთავრდა 274 კოლმეურნეობაში, რაც შეადგენდა კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის ნახევარს.

მიწათმოწყობის დარგში ამ უმნიშვნელო მიღწევამაც გარკვეული როლი შეასრულა საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ აღმავლობაში. ამ წარმატებათა მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. დაბალი იყო მისი საქონლიანობა და ზრდის ტემპები. საჭირო იყო რადიკალური ზომები ამ დარგის უფრო სწრაფი აღმავლობისათვის. ასეთი ღონისძიებები პარტიის XV ყრილობამ დასახა.

კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, რომელიც პარტიის XV ყრილობამ დასახა, ითვალისწინებდა ურთულეს ამოცანას — სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, მილიონობით წვრილგლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გადაყვანას. ეს არ წარმოადგენდა შემთხვევითსა და მოულოდნელ ამოცანას. პარტიის საპროგრამო ამოცანებიდან იგი პრაქტიკულ ამო-

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 79, 123.

ცანად გადაიქცა, რაც განაპირობა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებამ.

პარტიისა და მთავრობის ფართო ღონისძიებათა შედეგად მზარდი ტემპით ვითარდებოდა სოციალისტური მრეწველობა; წარმოიშვა თანამედროვე ინდუსტრიული დარგები, სწრაფად იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება და მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობაც, გაიზარდა მისი მთლიანი პროდუქციის მოცულობა, რამდენადმე გაძლიერდა სოციალისტური სექტორი სოფლად. მიუხედავად ამისა, ეს დარგი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარებას. მისი ჩამორჩენილობა აფერხებდა მრეწველობის უფრო სწრაფ აღმავლობას.

XV ყრილობამ დაწვრილებით განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ი. ბ. სტალინმა ანალიზი გაუკეთა სოფლის ჩამორჩენის მიზეზებს და განსაზღვრა სოფლის სოციალური და ტექნიკური რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრიმიტიულ ტექნიკაზე დამყარებულ წვრილგლეხურ დაქუცმაცებულ მეურნეობათა პირობებში უფრო გაიზარდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დისპროპორცია, შეუსაბამობა. სოფლის მეურნეობა საკმაო რაოდენობით არ იძლეოდა სასაქონლო პურს, რამაც სერიოზული სიძნელეები შექმნა წითელი არმიისა და ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაში. მეორე მხრივ, სოციალისტური რეკონსტრუქციის გაშლასთან დაკავშირებით უფრო გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, გააქტიურდა კულაკობა და გაიზარდა მისი აქტივობა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. გამწვავდა საერთაშორისო ვითარებაც. იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და, იმედს ამყარებდნენ რა ქვეყნის შიგნით კაპიტალისტურ ელემენტებზე, გამალებით ამზადებდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1927 წელს ომის მუქარა უფრო გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა პურის სახელმწიფო მარაგის შექმნა, რის საშუალებასაც არ იძლეოდა წვრილი გლეხური მეურნეობა, რომლის დაწვრილერთეულება კვლავ გრძელდებოდა და ეს უფრო მეტად აძნელებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნას, პურის პრობლემის დადებითად გადაწყვეტას და შეუძლებელს ხდიდა საერთოდ სოციალისტური მშენებლობის ნორმალურ განვითარებას.

„გამოსავალი ის არის, — ამბობდა ი. ბ. სტალინი პარტიის XV ყრილობაზე, — რომ წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობანი თანდათან, მაგრამ განუხრელად, არა იძულებით, არამედ მაგალითის ჩვენებით და დარწმუნების წესით, გავაერთიანოთ მსხვილ მეურნეობებად, მიწის

საზოგადოებრივი, ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, ამასთან გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები, გამოვიყენოთ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხები. სხვა გამოსავალი არ არსებობს"[1].

საკ. კპ (ბ) XV ყრილობამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ლენინური კოოპერატიული გეგმით, ითვალისწინებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის უახლოეს ამოცანებს, აიღო კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ. ყრილობამ ეს კურსი პარტიის ძირითად ამოცანად დასახა[2].

კოლექტივიზაციის კურსი კანონზომიერად გამომდინარეობდა იმ ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური და იდეოლოგიური წანამძღვრებიდან, რომლებიც უკვე შექმნილი იყო პარტიისა და პროლეტარული სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად[3].

პარტიამ დასახა მასობრივი კოლექტივიზაციის მოსამზადებელი გზებიც: სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაფართოება და სოფლის უზრუნველყოფა ახალი ტექნიკით, განსაკუთრებით ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შემდგომი განვითარება, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის საწარმოო კავშირის განმტკიცება, სახელმწიფო კრედიტის როლის გაძლიერება ღარიბი და საშუალო გლეხური მასების საწარმოო კოოპერირებაში, არსებული საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა და გლეხობისადმი მათ მხრივ დახმარების გაძლიერება, მანქანათა გამქირავებელი და აგრონომიული პუნქტების, ტრაქტორთა კოლონების მოწყობა. სოფლად „ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობის" გამარჯვებას პარტია მჭიდროდ უკავშირებდა სოფლად კულტურული რევოლუციის განხორციელების ამოცანას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის ყველაზე რთულსა და მძიმე ამოცანას. მისი განხორციელება მოითხოვდა სათანადო მომზადებას.

XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1928 წლიდან საქართველოში უფრო ენერგიულად გაიშალა მუშაობა კოლექტივიზაციის მოსამზადებლად. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ გააძლიერეს ყოველმხრივი დახმარება სოფლისადმი, განსაკუთრებით მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებით, ინფორმაციის ყველა საშუალებებით გლეხურ

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 327.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 613.

[3] იქვე.

მასებში კოლექტივიზაციის ლენინური იდეისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის გაძლიერებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ფართო ორგანიზატორულ ღონისძიებებს ახორციელებდა მშრომელი გლეხობის დასარაზმავად, გლეხთა თვითმოქმედების განვითარებისა და სოფლად სოციალისტური ელემენტების გამრავლებისათვის, ამავე მიზნით იყო მოწვეული კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობა.

საქართველოს კოლმეურნეთა I ყრილობა წარმოადგენდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებას მასობრივი კოლექტივიზაციის მომზადებაში. იგი შეიკრიბა XV ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ — 1928 წლის იანვრის პირველ დღეებში. კოლმეურნეთა ყრილობას ესწრებოდნენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო არტელების, კომუნებისა და ამხანაგობათა მიერ წარგზავნილი დელეგატები. ყრილობის მთავარ ამოცანას შეადგენდა საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგების შეჯამება და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა დასახვა. ყრილობის მთელ მუშაობას საფუძვლად დაედო XV ყრილობის დირექტივები საკოლმეურნეო მშენებლობის სფეროში.

საქართველოში კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ, რომელმაც კონკრეტულად მიუთითა კოლმეურნეობათა მუშაობაში როგორც დიდ მიღწევებზე, ისე სერიოზულ ხარვეზებზე. ყრილობაზე აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდისა და განმტკიცების მიუხედავად საკოლმეურნეო მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ყრილობის მოწვევის მომენტისათვის საქართველოში სულ არსებობდა 162 კოლექტიური გაერთიანება, მათ შორის 25 არტელი, შვიდი კომუნა და 130 სხვადასხვა ამხანაგობა.

ყრილობის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ეს გაერთიანებები უმეტესწილად მუშაობდნენ უგეგმოდ და სახსრების გარეშე. კოლმეურნეობებისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად ზოგიერთ კომუნაში შეიპარნენ კულაკური ელემენტები, რომლებიც შიგნიდან ებრძოდნენ კოლმეურნეობებს. აღნიშნავდნენ, რომ არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული ანგარიშსწორება, ხოლო ზოგიერთ მეურნეობაში იგი საერთოდ არ წარმოებდა, ადგილი ჰქონდა სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, შრომის ორგანიზაციისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობას. ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ გლეხობა ჯერ მომზადებული არ არის კომუნისათვის და საჭიროა კოლექტივიზაცია წარიმართოს უმარტივესი ფორმების გზით.

ყრილობაზე გამოსულმა დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა გამოწვეული იყო როგორც ცენტრიდან, ისე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრით სუსტი ხელმძღვანელობით. მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით დელეგატებმა მოითხოვეს სპეციალური ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა, ადგილებზე მანქანათა შემკეთებელი სახელოსნოების მოწყობა, აგროდახმარების გაძლიერება, კოლექტიური გაერთიანებების სამეურნეო სპეციალიზაცია[1].

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა „ღონისძიებანი საქართველოში კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების შესახებ". ამ მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უღარიბესი გლეხობა უკვე დაადგა ორგანიზაციული შეკავშირების გზას.

საკოლმეურნეო მოძრაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და კოლმეურნეობათა მუშაობის სწორი წარმართვის მიზნით ყრილობამ აირჩია კოლმეურნეთა სექცია 28 კაცის შემადგენლობით და კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატები: ლ. ქართველიშვილი, ვ. ცაგარელი, კ. ჩოხელი და სხვ.

ყრილობის მიერ არჩეული სექცია შევიდა „სოფლის კავშირისა" და კოლმეურნეობათა რესპუბლიკურ საბჭოში. მაგრამ სექცია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ხელმძღვანელ ორგანოს, რადგან იგი ერთდროულად ექვემდებარებოდა ორ სხვადასხვა ორგანიზაციას და შეუძლებელს ხდიდა სექციაში არჩეულ კოლმეურნეთა თაოსნობას. კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის შემდეგ საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით, 1928 წლის სექტემბრიდან აღნიშნული საბჭო გარდაიქმნა „კოლმეურნეობათა ცენტრად". ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის შემდეგ როგორც საკოლმეურნეო მშენებლობას, ისე კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას უფრო სისტემატური და გეგმიური ხასიათი მიეცა.

ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოლმეურნეობისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, აგრონომიული დახმარება.

სოფლად მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის თებერვლის პლენუმის შემდეგ. პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი „საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით სოფლად მუშაობის შესახებ". პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყო-

---

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 69—70.

ფილებლად, ზოგიერთ შემთხვევაში კი სრულიად არ ხელმძღვანელობს გლეხთა მზარდ საკოლმეურნეო მოძრაობას[1].

პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე რესპუბლიკის რაიონებში გაძლიერდა ბრძოლა XV ყრილობის დირექტივების შესასრულებლად. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ოპერატიულად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სოფლის კოოპერაციას, მშრომელ გლეხობას. ამის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივნისის პლენუმზე უკვე აღინიშნა საკოლმეურნეო მშენებლობის სწრაფი განვითარების ფაქტი. თუ 1927 წელს საქართველოში ითვლებოდა 85 კოლექტივი, მათ შორის იყო შვიდი კომუნა, 19 არტელი და 59 მიწის ერთობლივად დამამუშავებელი ამხანაგობა, 1928 წლის ივნისისათვის უკვე არსებობდა 212 კოლექტივი, რომლებშიც შეკავშირებული იყო 3537 გლეხური კომლი. პლენუმმა კონკრეტული ღონისძიებები დასახა საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაუმჯობესდა მგეგმავი ორგანოების მუშაობაც. ცენტრალური კომიტეტის მითითებით 1928 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის შედგენა. მგეგმავი ორგანოები გეგმის შედგენისას ითვალისწინებდნენ რაიონების რთულ თავისებურებებს და ამის მიხედვით განსაზღვრავდნენ რაიონებში კოლექტივიზაციის ტემპებსა და ფორმებს[2].

საქართველოს მიწსახკომმა 1928 წელს განახორციელა წვრილ კოლმეურნეობათა ნაწილის გამსხვილება, შექმნა კოლმეურნეობათა ჯგუფური გაერთიანებანი, ჩაატარა კოლმეურნეობათა ნაწილის სპეციალიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კოლმეურნეობათა ორგანიზაციული მხარე და ხელი შეუწყო მათ ეკონომიურ აღმავლობას.

სახელმწიფოს შემდგომი ფართო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობისათვის წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს ამ დარგის სოციალისტურ გარდაქმნაში. საქართველოს კომუნისტური პარტია კარგად ხედავდა, რომ მსხვილ მანქანურ, კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა მოითხოვდა დიდ დროს, რომ უახლოესი წლების განმავლობაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარება წარიმართებოდა უმთავრესად წვრილგლეხურ მეურნეობათა ხაზით, ამიტომ პარტიის კურსი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებისაკენ არ გამორიცხავდა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხობისადმი მატერიალურ დახმარებას, პირიქით, ეს საჭირო იყო როგორც

---

1 «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 79.

2 იქვე, გვ. 97 — 102.

უმნიშვნელოვანესი ღონისძიება მსხვილ, საზოგადოებრივ წარმოებაზე მათი გადასვლის გასაადვილებლად. ამიტომ 1928 წლიდან უფრო გაძლიერდა სოფლისადმი ფინანსური და მატერიალური დახმარება. სოფლის მეურნეობის დაფინანსება მიზნად ისახავდა მემინდვრეობის, მესაქონლეობისა და ტექნიკური კულტურების სწრაფ განვითარებას, სოფლის ინდუსტრიალიზაციის გაფართოებას, აგრეთვე ძირითადი და სპეციალური სახსრების გაძლიერებას. სოფლის მეურნეობის დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა. 1927 — 28 წელს მარტო კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით სოფლად დაიხარჯა 5332 ათასი მანეთი[1]. 1928 წელს სახელმწიფო სახსრების დაბანდება შეადგენდა 6,5 მილიონ მანეთზე მეტს. აქედან ამიერკავკასიის ფედერაციის ბიუჯეტიდან 1237,9 ათას მანეთს, საერთოსაკავშირო სახსრებიდან — 2146,4 ათას მანეთს, ხოლო საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან — 3146,3 ათას მანეთს[2].

სოფლის მეურნეობის დაკრედიტების საერთო თანხამ 1928 წლის ოქტომბრისათვის მიაღწია 13,8 მილიონ მანეთს, ანუ 1925 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა. კაპიტალური დაბანდება საერთოდ განსაზოგადოებულ სექტორში შეადგენდა თითქმის 8 მილიონ მანეთს. დიდი მოცულობით განხორციელდა მიწათმოწყობა. თუმცა ამ დარგში კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი[3]. გაიზარდა 1928 წლის თესვის კამპანიის დაფინანსებაც.

აღსანიშნავია, რომ 1927 წლიდან მნიშვნელოვნად შეიცვალა დაკრედიტების ხასიათი, რაშიც მკაფიოდ აისახა სოფლად მიმდინარე სოციალისტური ძვრები. ამ წელს გრძელვადიანი კრედიტის ხვედრითი წონა კრედიტის საერთო თანხაში შეადგენდა 19,2 პროცენტს, ხოლო 1928 წელს — უკვე 35,2 პროცენტს, ანუ გრძელვადიანი კრედიტის თანხა აღნიშნულ პერიოდში ორჯერ მეტად გაიზარდა. სახელმწიფოს მხრივ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გადიდებამ ხელი შეუწყო სოფლად ახალი მანქანა-იარაღების შეტანის გაფართოებას. 1925 — 1928 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო 14515 გუთანი, 460 სათესი მანქანა, 510 სამკალი, 220 სათიბი, 360 ტრიერი, 267 ტრაქტორი და სხვა მანქანა-იარაღები[4].

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეობათა დაკრედიტე-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა", გვ. 11.

[2] „მასალები საქ. სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 96.

[3] „საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობისათვის", გვ. 80, 82, 133.

[4] Газ. «Заря Востока», 24 февраля 1929 г.

ბა სპეციალურად მანქანა-ტრაქტორების შესაძენად და ზოგიერთი კულტურების განვითარებისათვის. კოლმეურნეობათა დაკრედიტება 1928 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 151,4 პროცენტით, ხოლო კრედიტით შეძენილი წარმოების საშუალებათა ღირებულება — 85 პროცენტით[1].

მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის დაკრედიტება. აფხაზეთის სოფლის მეურნეობას სასოფლო ბანკმა თუ 1926 წელს გამოუყო დაახლოებით 2 მილიონი მანეთის კრედიტი, 1928 წელს — 4,6 მილიონ მანეთზე მეტი[2]. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობას 1928 წელს მიეცა 177841 მანეთის კრედიტი და ამ წელს უკვე 382 მანქანა-იარაღი გამოიყენებოდა ოლქის სოფლის მეურნეობაში[3].

სახელმწიფო დაკრედიტების გადიდებამ ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელში გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების ზრდას.

პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფომ დიდი დახმარება გაუწია მშრომელ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადებში შეღავათების გადიდების გზით. მემარჯვენე ოპოზიციის მესვეურნი პარტიას ბრალს დებდნენ გლეხობის ეგრეთ წოდებულ „სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაში". უკვე აღინიშნა, რომ მუშათა კლასსა და გლეხობას გარკვეული თანხა შეჰქონდათ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფონდში, რომლითაც დიდად იყო დაინტერესებული გლეხობაც.

კომუნისტურმა პარტიამ კატეგორიულად დაგმო როგორც აშკარა ტროცკისტული კოლონიური ძარცვის თეორია, ისე მემარჯვენეთა უსაფუძვლო ბრალდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, მაგალითად 1928 წელს, შეადგენდა 270 მილიონ მანეთს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა — 2 475 ათას მანეთს. ამავე დროს, ყოველწლიურად იზრდებოდა გადასახადებისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა რაოდენობა და შეძლებულ ფენათა დაბეგვრის ხვედრითი წონა. საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს ასიგნება თითოეულ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 22 მან. 53 კაპ., მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით თითოეულმა მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა საშუალოდ 6 მან. 85 კაპ., ე. ი. სამჯერ ნაკლები, ვიდრე მან სახელმწიფოსა-

---

1 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 634, საქ. 4397, ფურც. 4 — 6, 10; ფ. 288, საქ. 2703, ფურც. 5 — 7.

2 А. Куправа, История кооперации Абхазской АССР, стр. 184.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3391, ფურც. 2.

გან მიიღო. აქედან ნათლად ჩანს, რამდენად უნიადაგო იყო ლაპარაკი გლეხობის „სამხედრო-ფეოდალურ“ ექსპლოატაციაზე.

XV ყრილობის შემდეგ მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი დახმარების გაფართოების შედეგად 1928 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდუსტრიულ საშუალებათა გამოყენება როგორც მიწათმოქმედებაში, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებაში. საბჭოთა მთავრობა თანდათანობით ზრდიდა საქართველოს სოფლებში მანქანა-იარაღების შეტანას. მარტო 1928 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო 5645 ათასი მანეთის მანქანა-იარაღი. აქედან რთული მანქანები იყო 279 ათასი მანეთის. ტრაქტორები და სხვა რთული მანქანები კრედიტით ეძლეოდათ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს, მანქანა-იარაღების გამქირავებელ პუნქტებს, სამანქანო და ინდივიდუალურ ამხანაგობებს.

ტრაქტორები და სხვა რთული მანქანები 1927 — 28 წლამდე უმეტესად ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში გამოიყენებოდა. ტრაქტორების დატვირთვა არ აღემატებოდა 50 — 60, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში 25 პროცენტსაც კი. ტრაქტორების არარაციონალურად გამოყენებას იწვევდა, ერთი მხრივ, ტრაქტორისტთა დაბალი კვალიფიკაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ რაიონებს შორის ტრაქტორების განაწილებისას არ ითვალისწინებდნენ რაიონის ნიადაგს, რელიეფს და სხვა თავისებურებას. მიუხედავად ამისა, ტრაქტორების გამოყენებამ სოფლად მაინც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა გლეხების ფსიქოლოგიის გარდაქმნაზე. იგი პირადად დარწმუნდა მანქანის დიდ ღირსებაში, მაგრამ ამავე დროს იმაში, რომ ეს „ცეცხლის გუთანი“ დაქუცმაცებულ წვრილგლეხურ მეურნეობათა პირობებში მაინც არ იძლეოდა სასურველ ეფექტს და გლეხებში თანდათანობით მტკიცდებოდა აზრი წვრილ მეურნეობათა მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობებად გაერთიანების აუცილებლობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, წარმოიშვა ტრაქტორთა გამოყენების ახალი ფორმის გამონახვის აუცილებლობა. ასეთ ფორმას იმ პერიოდში წარმოადგენდა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წინამორბედი — ტრაქტორთა კოლონა, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებასა და კოლექტივიზაციისაკენ გლეხური მასების შემობრუნებაში.

XV ყრილობის მითითებათა საფუძველზე საქართველოში ჩამოყალიბდა ტრაქტორთა კოლონები. 1928 წელს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ გარდაბნის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში მოაწყო პირველი სამი ტრაქტორთა კოლონა 82 ტრაქტორით, რომლებიც კოლექტიური და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების მიწებს

ამუშავებდნენ. მომდევნო წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში შეიქმნა კიდევ სამი კოლონა — აფენში, შირაქსა და სუფსაში.

დიდი წვლილი მიუძღვით სოფლის მეურნეობის განვითარებაში მანქანა-იარაღების გამქირავებელ პუნქტებს, რომელთა ქსელი თანდათანობით ფართოვდებოდა სახელმწიფოს სახსრებით. გაიზარდა სამანქანო ამხანაგობათა რაოდენობაც. 1928 წლის ოქტომბრისათვის 101 ამხანაგობა აერთიანებდა 2856 გლეხურ მეურნეობას. ტრაქტორთა კოლონები და სამანქანო ამხანაგობანი ამუშავებდნენ 153 ტრაქტორს.

მაშასადამე, 1925 — 1929 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო დაახლოებით 28 ათასი მანქანა-იარაღი და ინვენტარი, მათ შორის: ტრაქტორები, ბამბისა და სიმინდის სათესი, სამკალი და ძნის შემკვრელი, სათიბი, სალეწი, სიმინდის საფშვნელი, სანიავებელი მანქანები, ათასობით გუთნები, ფარცხები და სხვ. მანქანა-იარაღების ნაწილი საქართველოშიც მზადდებოდა. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი დახმარება.

ამრიგად, XV ყრილობის შემდეგ, 1928 წლიდან, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საერთო აღმავლობის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მნიშვნელოვან ცვლილებებს, მაგრამ იგი კვლავ საგრძნობლად ჩამორჩებოდა. კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის წინ კიდევ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“ წარმოადგენდა პარტიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას საქართველოში სოციალისტური მშენებლობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის დარგში. საგრძნობლად გაიზარდა მრეწველობის ადგილი სახალხო მეურნეობაში, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური კვალიფიკაციის დონე და პოლიტიკური მოწიფულობა. გაუმჯობესდა მუშათა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები. ამასთან ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა მნიშვნელოვნად განავითარეს და განამტკიცეს სოფლის მეურნეობა, გააუმჯობესეს მშრომელი გლეხობის საერთო მდგომარეობა. ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის დიდმნიშვნელოვან მიღწევად ჩათვალა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელება და ამის საფუძველზე ხალხთა შორის მტრობისა და უნდობლობის აღმოფხვრა და ა. შ. ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივი განვითარება.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამავე დროს აღნიშნა მთელი რიგი სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა სოფლის მეურნეობის დარგში. პარტიამ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია სოფლის მეურნეობის აღმავლობის ტემპი და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი შედეგია იმისა, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხებს.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ბოლშევიკების წინაშე დასახა სოციალისტური მშენებლობის გაშლილი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უფრო სწრაფ განვითარებას ადგილობრივი ნედლეულის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე, მრეწველობის დაგეგმვის გაუმჯობესებას, ახალი დარგების განვითარებას, კულტურული მშენებლობის გაშლას განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას, რათა ძირეულად გაეუმჯობესებინა იდეოლოგიური მუშაობა, გაეძლიერებინა პოლიტიკური მუშაობა სოფლად; მეტი ყურადღება დაეთმო საბჭოურად განწყობილი ინტელიგენციის ფართო მასების აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის, მუშურ-გლეხური ინტელიგენციის აღზრდისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადების საკითხებისათვის; ფართოდ გაეშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანებს. პარტიამ დაავალა საქართველოს კომუნისტებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, ტექნიკური და სოციალური რეკონსტრუქციისათვის, კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე ყოველმხრივ განევითარებინათ შრომატევადი ტექნიკური კულტურები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის მცირემიწიანობის პირობებში. დადგენილებაში აღნიშნული იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სუსტი მუშაობა და გლეხობის კოოპერირების დაბალი დონე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტურ პარტიას დაევალა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის, გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების, მისი გასაღებისა და კონტრაქტაციის გაძლიერება. პარტიამ დიდი ყურადღება დაუთმო მელიორაციისა და საირიგაციო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მეტი ყურადღების დათმობა სოფლად

საბჭოთა მშენებლობაში მშრომელი მასების ფართოდ ჩაბმისათვის, ღარიბთა შორის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის საკითხების ღრმად შესწავლისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა ღარიბებისა და მოჯამაგირეთა დარაზმვა, სოფლად პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის განმტკიცება[1].

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის შემდგომ აღმავლობაში, კერძოდ საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებაში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მოძრაობისადმი. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად გაშალეს ბრძოლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური გარდაქმნისათვის. გარდაიქმნა მიწსახკომისა და „კოლმეურნეცენტრის" მუშაობა. აღმოიფხვრა მათ შორის პარალელიზმი, საქართველოს სამაზრო აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მიწის განყოფილებებთან შეიქმნა საკოლმეურნეო კოლეგიები, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს. გაიზარდა ადგილობრივი საბჭოების მონაწილეობა გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციაში[2].

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა, კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობის სისტემის დეცენტრალიზაციამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს საკოლმეურნეო მშენებლობის სწრაფ განვითარებაზე.

პარტიისა და მთავრობის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ ღონისძიებათა შედეგად ფართოვდებოდა საკოლმეურნეო მშენებლობა, ხოლო კულაკობა თანდათანობით კარგავდა ეკონომიურ პოზიციებს, ძლიერდებოდა კულაკობის პოლიტიკური იზოლაცია, მისი ექსპლოატატორული ტენდენციების შემდგომი შეზღუდვა. წარმატებით მზადდებოდა სოციალიზმის მთლიანი ფრონტით შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად იზრდებოდა კულაკობის წინააღმდეგობა, უფრო მეტად მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მუშაკი, მეტწილად მათი დაბალი თეორიული დონის გამო, ვერ ამჩნევდნენ სხვადასხვა ფორმაში ამ ბრძო-

---

1 «О работе Компартии Грузии (Постановление ЦКВКП (б) от 3 сентября 1928 г.)», Тиф., 1928.

2 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 2324, ფურც. 7.

ლის გამწვავებას და ფიქრობდნენ, რომ საქართველოში ეკონომიურად გაფორმებული კულაკი თითქოს არ არსებობდა[1]. ცალკეული ორგანიზაციები ვერ ჩაწვდნენ გლეხური მოსახლეობის კლასობრივი დიფერენციის პროცესის არსს და ხელაღებით უგულებელყოფდნენ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. ეს ხელს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კულაკის ბრძოლის გააქტიურებას, რასაც მხარს უჭერდნენ მენშევიკებიც.

კულაკობის წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1928 წელს პურის დამზადების პერიოდში. კულაკები მიმართავდნენ ტერორს კოლმეურნეთა წინააღმდეგ, ცეცხლს უკიდებდნენ და ანადგურებდნენ კოლმეურნეთა ქონებას, საგანგებო წვეულებებს აწყობდნენ ღარიბი, მოჯამაგირე და საშუალო გლეხის მოსამხრობად. ცალკეულ რაიონში კულაკები კიდევაც ახერხებდნენ ზოგიერთი მათგანის გადაბირებას. ასეთი მოვლენები აიხსნებოდა ღარიბთა შორის ადგილობრივი ორგანიზაციების სუსტი მუშაობით.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა.

საზოგადოებრივი მიწათმოქმედებისაკენ გლეხთა ლტოლვა ნელა, მაგრამ სისტემატურად იზრდებოდა. სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდა მიმდინარეობდა არა მარტო ერთ რომელიმე ვიწრო გეოგრაფიულ გარემოში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა საკოლმეურნეო მოძრაობის წინა პერიოდში. საგრძნობლად გადიდდა მარცვლეულითა და ტექნიკური კულტურებით დაკავებული ფართობი. საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური დახმარებით დაჩქარდა სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების განვითარება, გაფართოვდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. გაძლიერდა ეკონომიური კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, მომზადდა თითქმის ყველა პირობა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2742, ფურც. 14.

თავი მესამე

სოციალიზმის მთლიანი ფრონტით შეტევა და საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში (1929—1932 წწ.)

§ 1. ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება

საქართველოს მშრომელებისა და კომუნისტური პარტიის წინაშე სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე — მთელი ფრონტით სოციალიზმის შეტევის პერიოდში — გადაუდებელ ამოცანად იდგა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, მთელი სახელმწიფო აპარატის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. სხვაგვარად შეუძლებელი იყო. საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ცნობილია, სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენდა, მისი ყოველმხრივი სრულყოფა და გაუმჯობესება წარმატებით უზრუნველყოფდა სოციალისტურ მშენებლობას ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც იყო მაშინ საქართველო.

საქართველოს მშრომელებსა და კომუნისტებს ამ დიდსა და რთულ საქმეში სისტემატურ დახმარებას უწევდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის სექტემბრისა და 1931 წლის ოქტომბრის ისტორიული დადგენილებანი წარმოადგენდნენ საქართველოს კომპარტიის ეკონომიური, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის პროგრამას. დადგენილებაში „საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ“ დადებით მომენტებთან ერთად, აღნიშნული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ახსნილი იყო მისი მიზეზები და დასახული მათი გამოსწორების ღონისძიებანი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე გა-

დაუდებელ ამოცანად დააყენა მუშების, საშუალო და უღარიბესი გლეხობის მონაწილეობის კიდევ უფრო გაძლიერება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის 3 სექტემბრის დადგენილების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფდა საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შემდგომ განვითარებას, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას საქართველოში. ამავე თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ[2].

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მოხსენებები და მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციებმა უკანასკნელ პერიოდში მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში, კერძოდ, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ამასთან ერთად, დადგენილებაში აღნიშნულია ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებული სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში. ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლის პერიოდში, მიაქციეს რა უმთავრესი ყურადღება მუშაობის ტექნიკურ მხარეს, ვერ უზრუნველყვეს გლეხობის ღარიბი და საშუალო მასებისადმი სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამან ყველაზე მკაფიო გამოხატულება პოვა პურის დამზადებისა და კოლექტივიზაციის გატარების საქმეში. იგი ყველაზე უფრო საგრძნობი იყო საქართველოში.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, მიაღწია ერთგვარ წარმატებას ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკურ განმტკიცებაში. მაგრამ ვერ უზრუნველყო ფედერაციაში შემავალი ეროვნული რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა, დაუშვა მეტისმეტი ცენტრალიზაცია ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. ამასთან ერთად, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი საჭირო მთლიანობას და

---

[1] «О работе компартии Грузии (Постановление ЦКВКП (б) от 3 сентября 1928 г.)», Тиф., 1928.

[2] Газ. «Правда», 3 ноября 1931 г.

ბოლშევიკურ დარაზმულობას. ამის შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარებისათვის, პარტიის ერთიანობისა და დარაზმულობის უზრუნველყოფისათვის.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორივე—1928 და 1931 წლების—დადგენილება საფუძვლად დაედო საქართველოს კომუნისტური პარტიის სამეურნეო, ეკონომიურ, კულტურულ, პარტიულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდში. მან შეაიარაღა საქართველოს კომუნისტური პარტია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მთელი სახელმწიფო აპარატის, პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ახალმა, 1930 წელს გატარებულმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამ უაღრესად დადებითი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, სახელმწიფო აპარატის შემდგომ განმტკიცებაში. მან კიდევ უფრო დაუახლოვა ხელისუფლების ცენტრალური და განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანოები მოსახლეობის ძირითად მასებს, კიდევ უფრო გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა, და მაშასადამე, მათი მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაჭრაში. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა სახელმწიფო ხელისუფლების ზოგი ცენტრალური ორგანოს ერთგვარი რეორგანიზაცია, მათი გაიაფება, გამარტივება და უფრო მოქნილი სახით ჩამოყალიბება, რაც ძირითადად სწორად ტარდებოდა.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა აღნიშნული რეორგანიზაცია პირველ რიგში დაიწყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან. სრულიად საქართველოს საბჭოების მეხუთე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1930 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით — „საბჭოთა აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და რაციონალიზაციისათვის, აგრეთვე მისი მასებთან დაახლოებისათვის და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიმართ ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო მოქმედების სფეროში მოქნილი და ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის“—გაუქმდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და მისი ფუნქციები განაწილდა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა შორის. ასე მაგალითად, ფუნქციები, რომლებითაც ხორციელდებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოებისადმი ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის სფეროში, მეთვალყურეობა იმ საზოგადოებათა და კავშირთა

დაარსებისა და მოქმედებისათვის, რომელნიც მოგების მიღების მიზანს არ ისახავდნენ, მეთვალყურეობა რელიგიური ორგანიზაციებისადმი და სხვ. გადაეცა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას; ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა საერთო და საუწყებო, აგრეთვე სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის მოქმედებისადმი გადაეცა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს; საპატიმრო ადგილების მმართველობისა და სხვა მსგავსი საკითხების გამგებლობა გადაეცა საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, სახანძრო ინსპექცია გადავიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში.

სრულიად საქართველოს საბჭოების მეხუთე მოწვევის მეორე სესიამ იმავე 1930 წლის 17 იანვარს იუსტიციის სახალხო კომისარიატის შესახებ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია: „1. საბჭოთა აპარატის მუშაობაში პარალელიზმისა და გაურკვევლობის თავიდან აცილებისათვის და ამ აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და რაციონალიზაციისათვის რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ სასამართლო მმართველობა და რევოლუციური კანონიერების ზედამხედველობა ქვემოთ აღნიშნული მუხლების საფუძველზე"[1]. ამ მუხლებით კი გაუქმდა იუსტიციის სახალხო კომისარიატი, როგორც დამოუკიდებელი სახალხო კომისარიატი. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, გარდა იმ ფუნქციებისა, რაც დაკისრებული ჰქონდა კანონით, დამატებით დაეკისრა საერთო ხელმძღვანელობა, ორგანიზება, ინსტრუქტირება და ადმინისტრირება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სასამართლო დაწესებულებისა, აგრეთვე ნოტარიატისა და სასამართლოს აღმასრულებელთა ინსტიტუტისა. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილება, რომელიც სასამართლო, ადმინისტრაციულ და სამეურნეო დაწესებულებათა მიმართ ახორციელებდა უმაღლესი ზედამხედველობის ფუნქციას, რეორგანიზებულ იქნა რესპუბლიკის პროკურატურად და მას უშუალოდ დაექვემდებარა ადგილობრივი პროკურატურა. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების ფუნქციები გადაეცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს სარედაქციო-იურიდიულ განყოფილებას.

მაგრამ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ასეთმა რეორგანიზაციამ მთლად ვერ გაამართლა, განსაკუთრებით გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რის გამოც საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო იძულებულნი გახდნენ აღედგინათ იუსტიციის სახალხო კომისარიატი, როგორც დამო-

---

[1] „კანონთა კრებული", 1930, გვ. 161 — 162.

უკიდებელი სახალხო კომისარიატი. ამის შესახებ 1933 წლის 4 იანვრის დადგენილებაში ნათქვამია: „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო — სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე, კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების პირობებში — სცნობენ აუცილებელ საჭიროებად ერთიანი ხელმძღვანელობით იუსტიციის ორგანოების გაერთიანებას და რევოლუციური კანონების სფეროში ამ ორგანოების მუშაობის განმტკიცების მიზნით ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების სისტემაში იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოქცეულ იქნეს... საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო მისი ქვემდებარე სახალხო სასამართლოებით და სახელმწიფო პროკურატურა საგამომძიებლო აპარატით"[1].

მმართველობის აპარატის გამარტივებისა და მისი გაიაფების თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს გაერთიანება, რაც საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებით გატარდა[2]. ასეთი გაერთიანება მოხდა საკავშირო მთავრობისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1933 წლის 23 ივნისის დადგენილების საფუძველზე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბითაც.

სახელმწიფო მმართველობის ხარჯების შესამცირებლად გარდა აღნიშნულისა, პარტია და ხელისუფლება სხვა, სპეციალურ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ბაქოს მუშათა ინიციატივა, სახელმწიფო აპარატის ხარჯების შესამცირებლად ერთთვიურის ჩატარების შესახებ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1930 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით. ერთთვიური დიდი აღმავლობით მიმდინარეობდა იმავე წლის 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. ერთთვიურის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სათანადო დაწესებულებათა წინა, 1929 — 30 წლის ფაქტიური ხარჯების შემოწმება, ამ ხარჯების შედარება დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასთან და შემოწმების საფუძველზე 1931 წელს შესამცირებელი ხარჯისა და შესამ-

---

[1] „კანონთა კრებული"..., 1933, გვ. 120 — 121.

[2] „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული (1921 — 1940 წწ.)", ტ. I, თბ., 1959, გვ. 296 — 299.

ცირებელ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრა. ამ შემოწმებას ატარებდნენ მუშათა ბრიგადები, მათ ეხმარებოდნენ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან, ხოლო ერთთვიურის მიმდინარეობის ხელმძღვანელობისათვის ამიერკავკასიის თითოეულ რესპუბლიკაზე მიმაგრებული იყო ამიერკავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თითო წევრი[1].

კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. იქ, სადაც კარგად იყო დაყენებული შესრულების შემოწმება, უნაკლოდაც მუშაობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, პარტიული ორგანიზაციები. უფრო მჭიდრო და სისტემატური იყო მათი კავშირი მასებთან, ხოლო მასების პოლიტიკური აქტივობა — უფრო მაღალი. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შესრულების შემოწმებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად თვლიდნენ. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 31 მარტის დადგენილება შესრულების შემმოწმებელი კომისიების მოწყობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. საქართველოს მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება არ იყო დამოუკიდებელი საკანონმდებლო მოღვაწეობის შედეგი. ასეთივე დადგენილება, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1931 წლის 13 თებერვალს მიიღო სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ.

შესრულების შემმოწმებელ კომისიებს ევალებოდათ „მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების შემოწმება და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში, მათ შორის სამეურნეო ორგანიზაციებში, დისციპლინის განმტკიცება“.

სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე არა მარტო სახელმწიფო მმართველობის ზოგი უმაღლესი ორგანოს რეორგანიზაცია იყო საჭირო, არამედ აუცილებელი იყო აგრეთვე რიგი სამეურნეო-ეკონომიური ხასიათის სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაციაც.

ჩვენში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში სამეურნეო ეკონომიური ხასიათის სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებანი შეეხო უმთავრესად იმ

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 21 ოქტომბერი.

დაწესებულება-ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობას ემსახურებოდნენ.

საკოლმეურნეო მშენებლობის უკეთ დაფინანსების მიზნით საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1930 წლის 16 აპრილის დადგენილებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი გარდაიქმნა კოლმეურნეობათა საკავშირო ბანკის ამიერკავკასიის კანტორის საქართველოს განყოფილებად[1]. ამ ღონისძიებას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის, არსებულ კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცებისათვის. ბანკი, რომელიც საერთოდ სოფლის მეურნეობის დაფინანსებას ემსახურებოდა, ამიერიდან გარკვეულ მიზნობრივ ამოცანათა შესრულებას უნდა მომსახურებოდა; გარდა ამისა, იგი საკავშირო და ფედერაციულ სისტემაში ექცეოდა, რაც ხელს უწყობდა მისი ფინანსური ძალის შემდგომ ზრდასა და გაფართოებას.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინეს რა სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპის — სოციალიზმის გაშლილი ფრონტით შეტევის პერიოდის — დიდი და რთული ამოცანები, რომლებიც იდგნენ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მართვისა და ხელმძღვანელობის წინაშე, მიზანშეწონილად ცნეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გაუქმება და მეურნეობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის ცალკე, დამოუკიდებელი სახალხო კომისარიატების შექმნა. ეს რეორგანიზაცია ხორციელდებოდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 5 იანვრის დადგენილებით „მძიმე, მსუბუქი და ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატების მოწყობის შესახებ“ და იმავე წლის 27 მარტის დადგენილებით „სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის მოწყობის შესახებ“. ამ დროს არსებული სარეწაო კოოპერაციის სისტემა უკვე ვერ აკმაყოფილებდა ახალ ვითარებაში მისთვის წაყენებულ მოთხოვნილებას. იგი, — სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის მართვის არსებული სისტემა, — შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით[2], საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან ჩამოყალიბდა სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი.

სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის ხელმძღვანელობისა და მმართველობის სისტემა, საჭიროებდა შემდგომ გაუმჯობესებას, არა-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 2797, ფურც. 39.
[2] იქვე, აღწ. I, საქ. 2621, ფურც. 2.

მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ, საერთოდ საბჭოთა კავშირში. ამაზე მიუთითებდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 26 თებერვლის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო-მშენებლობის თაობაზე", რომლის განხორციელებამდე საქართველოს საბჭოთა მთავრობას, როგორც დავინახეთ, საჭიროდ უცვნია ყოველი სახის სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის დაგეგმვისა და მოწესრიგების ფუნქციების გადაცემა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის.

საქართველოში წყალთა მეურნეობის მოწესრიგებასა და გაუმჯობესებას ყოველთვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ისტორიულად ცნობილია საირიგაციო სამუშაოებისადმი საქართველოს მშრომელთა დიდი ინტერესი. იგი უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო ჩვენი ქვეყნის თავისებური გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. ამიტომ, ბუნებრივად, ჩვენში იქმნებოდა წყალთა მეურნეობის დიდი ტრადიციები და მისი გაძღოლის მაღალი კულტურა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში საბჭოთა მთავრობამ და პირადად ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოში მორწყვის საქმის გაუმჯობესებას. ამას მაშინ არა მარტო ეკონომიური, არამედ დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა.

მელიორაციულ ღონისძიებათა მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში. ცხოვრება გადაუდებლად მოითხოვდა წყალთა მეურნეობის განვითარებასა და მისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 4 მაისს მიიღო დადგენილება საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ. ამ ღონისძიებას საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 27 მარტს დამტკიცებული დებულება „ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების შესახებ". საქართველოს სახკომსაბჭოს აღნიშნული დადგენილებით საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო გადაკეთდა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოდ; ამავე დადგენილებით, საერთო-საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად, კოლხეთის დაბლობის ამოშრობისა და მისი სამეურნეო გამოყენების სამუშაოები, აგრეთვე სამგორის ველზე საირიგაციო-ენერგეტიკული პრობლემის განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოები, როგორც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სამუშაოები, გამოეყო წყალთა მეურნეობის ორგანოთა გამგებლობიდან და გადაეცა „დამოუკიდებელ სამშე-

ნებლო სამმართველოს", რომლებიც შედიოდნენ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში და ექვემდებარებოდნენ ამ კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც იმყოფებოდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები მოითხოვდნენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას. სოფლის მეურნეობისადმი უშუალო ხელმძღვანელობას, როგორც ცნობილია, ახორციელებდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით[1], რომელიც, თავის მხრივ, ემყარებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1932 წლის 20 დეკემბრის დადგენილებას, მოახდინა საკოლმეურნეო ცენტრის ლიკვიდაცია და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია. საკოლმეურნეო ცენტრის ლიკვიდაციასთან ერთად გააუქმეს სხვა მრავალი საკოლმეურნეო დარგობრივი ცენტრებიც[2], რითაც ბოლო მოეღო უსარგებლო პარალელიზმს საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მათ ნაცვლად შეიქმნა 18 სექტორი 175 საშტატო ერთეულით, რითაც მოხდა სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, მის მართვაში მშრომელ გლეხთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის იანვრის დადგენილებით სასოფლო საბჭოებთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო თათბირები[3]. ეს ორგანიზაციები, ისე როგორც საწარმოო თათბირები, ხელს უწყობდნენ მშრომელთა პოლიტიკური და სამეურნეო-საწარმოო აქტივობის ზრდას, სოფლის მეურნეობის მართვაში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას. მაგრამ საწარმოო თათბირების სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტურობა უფრო მტკიცე და საგრძნობი აღმოჩნდა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო თათბირებისა. სა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 4240, ფურც. 54 — 55.

[2] ასე მაგალითად, გააუქმეს: «Молококолхозцентр», «Овцеводколхозцентр», «Свиноводколхозцентр», «Пчеловодколхозцентр», «Птицеинкубаторцентр», «Коневодколхозцентр», «Табакколхозцентр» და სხვ. გააუქმეს აგრეთვე მათი რაიონული განყოფილებები.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 9 იანვარი.

სოფლო-სამეურნეო თათბირები ადვილად შეცვალეს კოლმეურნეთა საერთო კრებებმა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა უჩვეულოდ აფართოებდა სოციალისტური აღრიცხვისა და დაგეგმვის სფეროს. ამიერიდან საერთო-სახელმწიფოებრივ დაგეგმვას ექვემდებარებოდა სოციალისტური სახალხო მეურნეობა მთლიანად. იწყებოდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი ეტაპი. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა სახელმწიფო აღრიცხვის უკეთ ორგანიზება. ამ ამოცანას ემსახურებოდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 დეკემბრის, ამიერკავკასიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 1 აპრილის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 26 ივლისის დადგენილებები „სააღრიცხვო-სტატისტიკური ორგანიზაციის შესახებ". აღნიშნულ დადგენილებათა აღსრულებისათვის საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 13 მაისის დადგენილებით საქართველოს საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სექტორი გარდაქმნა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოდ. ეს ღონისძიება გატარდა აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

მსოფლიო-ისტორიული ხასიათის დიად სოციალისტურ გარდაქმნაში აქტიურად მონაწილე ადამიანთა კულტურული და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება უაღრესად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიება იყო. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის კულტურული და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილება, რომლითაც მოხდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს გარდაქმნა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად. მთავრობის ეს ღონისძიება ნაკარნახევი იყო იმით, რომ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველო ვერ აკმაყოფილებდა, ან ვერ უზრუნველყოფდა დიდი მასშტაბით გაშლილ კომუნალური მშენებლობისადმი ეფექტურსა და ოპერატიულ ხელმძღვანელობას. კომუნალური მეურნეობის სამმართველოს დამოუკიდებელ სახალხო კომისარიატად ჩამოყალიბება კი ზრდიდა მის არა მარტო ვალდებულებას, არამედ უფლებებსაც, რაც

აუცილებელი იყო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გაშლილი კომუნალური მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის.

ჩვენში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობისა და არმიის მომარაგება. ამიტომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადებისა და სახელმწიფოებრივი შესყიდვის რაციონალური ორგანიზაცია. ეს საკითხი 1932 წლის 2 აპრილს განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო სათანადო დადგენილება. იმის გამო, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობის მრავალი სახის პროდუქტთა დამზადებას, ამასთან მცირე მოცულობით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა დამზადების რამდენიმე მომიჯნავე სექციის გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობდა დამზადებულ პროდუქტებზე ზედნადები ხარჯების შემცირებას და დამამზადებელი კადრების უფრო რაციონალურ გამოყენებას. ამის შესაბამისად პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადების სისტემაში შემდეგი აუცილებელი გარდაქმნები. 1. ღვინის დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების ადრე არსებული ორი ორგანიზაციისა — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და „საქართველოს ღვინოს“ ნაცვლად დატოვება ერთისა, კერძოდ პირველისა, რომელსაც ეკისრებოდა ღვინის კონტრაქტაციის, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციები; 2. ბამბის კონტრაქტაცია და დამზადება ეკისრებოდა სპეციალურ დამამზადებელ ორგანიზაციას, რომელიც შედიოდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს მომარაგების კომიტეტის სისტემაში; 3. თამბაქოს დამზადება და კონტრაქტაცია — „საქართველოს თამბაქოს“, რომელიც შედიოდა მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში; 4. ხილისა და ბოსტნეულის დამზადება და გადამუშავება, — მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ „საქხილბოსტანს“; 5. მატყლის დამზადება დარჩა „მატყლდამზადების“ (როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის) უფლებებში; 6. იქმნებოდა რძის პროდუქტთა, საქონლისა და ტყავის დამამზადებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციები ცალ-ცალკე, ხოლო კვერცხისა და ფრინველის დამზადება ევალებოდა სამომხმარებლო კოოპერაციას. შესაბამისი ცვლილებები იყო გათვალისწინებული აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვისაც[1].

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. III, საქ. 4237, ფურც. 134.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ეს ღონისძიება გამომდინარეობდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 თებერვლის დადგენილებიდან „დამამზადებელი აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე“ და ამიერკავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 7 მარტის დადგენილებიდან „ამიერკავკასიაში დამამზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებათა აღსრულების მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 10 აგვისტოს მიიღო სპეციალური დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს დაარსების შესახებ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან. მაგრამ, სანამ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით განისაზღვრებოდა სამმართველოს უფლება-მოვალეობანი, თვითონ განსაზღვრა მისი ფუნქციები. ამით აღნიშნულ სამმართველოს მიეცა რესპუბლიკის მასშტაბით დამზადების მთელი სისტემის კონტროლისა და ხელმძღვანელობის სრული უფლება, რაც ხორციელდებოდა სათანადო სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური რესპუბლიკური ორგანიზაციების მეშვეობით.

მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის გაშლაგაფართოებას, ვაჭრობის მართებულ ორგანიზაციას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს ხალხისათვის ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების დაუბრკოლებელ მიწოდებას. ყოველივე ეს დიდადაა დამოკიდებული დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების რიტმულ და ენერგიულ მუშაობაზე. ამას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. ამიტომ მათ საჭიროდ ჩათვალეს, სხვა სავაჭრო დაწესებულება-ორგანიზაციათა გვერდით შექმნა ახალი დაწესებულებისა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი რეგულირებისა და გაუმჯობესებისათვის. მართლაც, სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ 1932 წლის 1 აპრილს „შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის მოწყობის შესახებ“ მიღებული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 23 მაისს მიიღო დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოსთან „სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს“ შექმნის შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დროებით, ვიდრე საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით განსაზღვრული იქნებოდა „სასაქონლო ფონდებისა და ვაჭრობის მომწესრიგებელი კომიტეტის რწმუნებულის“ უფლება-მოვალეობანი, შემდეგი სახით ჩამოაყალიბა მისი ფუნქ-

ციები: 1. ადგილობრივი სასაქონლო ფონდების განსაზღვრა და ზემოაღნიშნული კომიტეტის მიერ გამოყოფილი სასაქონლო ფონდების საქართველოს ტერიტორიაზე განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის საქონლის გამტარ ქსელში, 2. ფართო მოხმარების საქონლის მოწოდების გეგმის შესრულებისა და სასაქონლო ფონდის გამოყენების შემოწმება, 3. ვაჭრობის ორგანიზაციისა და რეგულირების საკითხების გადაწყვეტა და სხვ.

მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად გატარებულ ღონისძიებათა ჯგუფს აგრეთვე შეიძლება მივაკუთვნოთ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 აპრილის დადგენილება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში სახელმწიფო დაზღვევის დამოუკიდებელი ორგანოების მოწყობის შესახებ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილება მიღებული იყო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 15 მარტისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის იმავე წლის 20 მარტის დადგენილებათა შესაბამისად. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში მოეწყო სახელმწიფო დაზღვევის დამოუკიდებელი სამმართველო („საქსახდაზღვევა").

მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი გაფართოების ინტერესები მოითხოვდა სათანადო ხელმძღვანელ სახელმწიფო ორგანოთა მუშაობის გაუმჯობესებას. საქართველოში სასკოლო მშენებლობის არნახული ზრდა (4 400-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლა ნახევარი მილიონი მოსწავლით) გადაჭრით მოითხოვდა განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციას მის წინაშე მდგარი ახალი ამოცანების შესაბამისად. რესპუბლიკის მაშინდელი სახალხო კომისარიატის სტრუქტურა არ შეესაბამებოდა პარტიისა და მთავრობის მითითებათა საფუძველზე სასკოლო საქმის გარდაქმნის ამოცანებს, ფუნქციების არსებული დაქსაქსულობითა და გაუპიროვნებით. ყოველივე ამის გამო, საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია, რათა მას უზრუნველეყო სკოლისადმი ოპერატიული და მაღალხარისხოვანი ხელმძღვანელობა და მასწავლებლებისადმი სისტემატური მეთოდური დახმარება, პედაგოგიური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება. ამ მიზნით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში გაუქმდა რიგი სექტორი და მოეწყო ახალი სამმართველოები და განყოფილებები: 1. დაწყებითი და სა-

შუალო სკოლის სამმართველო ოთხი სექტორით, 2. მასწავლებელთა მომზადების სამმართველო სამი სექტორით, 3. სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა სამმართველო სამი სექტორით, 4. თეატრებისა და სანახაობათა საწარმოების სამმართველო ორი სექტორით. სამმართველოთა გარდა მოეწყო შვიდი დამოუკიდებელი განყოფილება.

განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში დატოვებულ იქნა: ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველო („მთავლიტი") და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა („სახელგამი"). განათლების სახალხო კომისარიატთან მოეწყო პარტიისა და მთავრობის მიერ სახალხო განათლების ხაზით მიღებული დიდი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემმოწმებელი ინსპექტურა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა კომიტეტი, ზემოაღნიშნულის შესაბამისად ხდებოდა განათლების ადგილობრივი ორგანოების რეორგანიზაციაც.

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთთან სახელმწიფოებრივი კავშირურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას. როგორც ცნობილია, აფხაზეთი 1921 წლის 16 დეკემბრამდე რჩებოდა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად, ამის შემდეგ იგი საქართველოსთან დაკავშირებული იყო 1931 წლამდე სამოკავშირეო ხელშეკრულებით. 1930 წელს აფხაზეთის საბჭოთა ყრილობამ და აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეხუთე მოწვევის მესამე სესიამ მიიღო დადგენილება ხელისუფლების ორგანოთა გამარტივებისა და მართვა-გამგეობის გაიაფების შესახებ. ამ დადგენილებაში აღინიშნა, რომ 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებულმა სამოკავშირეო ხელშეკრულებამ ყველა თავის ნაწილში დაკარგა რეალური მნიშვნელობა, რის გამოც კონსტიტუციაში აფხაზეთის „სახელშეკრულებო რესპუბლიკის" ნაცვლად უნდა იწოდებოდეს „ავტონომიურ რესპუბლიკად"[1].

საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დააკმაყოფილა აფხაზეთის საბჭოთა ყრილობის შუამდგომლობა და 1931 წლის 19 თებერვალს მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ა. იმ მიზნით, რათა წარმატებით შესრულებულ იქნეს სსრკ მშრომელთა წინაშე მდგარი ამოცანები ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა — სახალხო მეურნეობის ერთიანი გეგმის საფუძველზე — საჭიროდ სთვლის საქართველოს სოციალისტური

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (სოხუმი), ფ. I, აღწ. 2, საქ. 305, ფურც. 5 — 6.

საბჭოთა რესპუბლიკისა და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და მეურნეობრივ გაერთიანებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ უკანასკნელი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული ზრდა ორივე რესპუბლიკის მუშათა და მშრომელ გლეხთა ერთად მშვიდობიანი ცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის პირობებში და, ბ. იმისდა შესაბამისად, რომ აფხაზეთის მშრომელებმა აფხაზეთის მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე თავისუფლად გამოთქმული ნებასურვილით გადაწყვიტეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონის (კონსტიტუციის) მე-9 მუხლის თანახმად აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შევიდეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გავრცელებულ იქნეს აღნიშნული ძირითადი კანონის IV თავის მოქმედება.

2. საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის ქალაქ თბილისში 1921 წლის 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვალოს"[1].

სოციალისტური მშენებლობის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების — საბჭოების — გამოცოცხლებასა და მათ შემდგომ განმტკიცებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მაქსიმალურად გაიზარდა წინა არჩევნებთან შედარებით მშრომელთა მონაწილეობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საბჭოების — არჩევნებში, რაც წინ უძღოდა სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლის პერიოდს. ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა, კულაკური ცდები საბჭოების არჩევნების მათ სასარგებლოდ გამოყენებისა, ზედიზედ იფუშებოდა. მათ ვერ მიაღწიეს საბჭოების არჩევნების ჩაშლას, თავიანთი კანდიდატების გაყვანას, საბჭოებიდან კომუნისტების გამოდევნას და ვერც საბჭოების როლის დამცირებასა და მისი ფუნქციების გადაცემას კოლმეურნეობებისათვის.

კომუნისტური პარტიის ენერგიული ზომებით ძირშივე აღიკვეთა კოლექტივიზაციის ზოგიერთ რაიონში საბჭოების როლის დამცირების, კიდევ მეტი, მათი ლიკვიდაციისა და საბჭოების ფუნქციათა კოლმეურნეობებისათვის დაკისრების კულაკური ცდა. ამის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის 1930 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ლაყბობა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში საბჭო-

---

[1] „კანონთა კრებული...", თბ., 1931, გვ. 195 — 196.

ების ლიკვიდაციის შესახებ გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი, როგორც კულაკობის მისწრაფება, რომელიც მიზნად ისახავს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების გაუქმებას, პროლეტარული გავლენის შესუსტებას სოფლად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დაუშვებლად მიაჩნია სასოფლო საბჭოების უფლებებისა და ფუნქციების გადაცემა კოლმეურნეობებისათვის. პლენუმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე სახავს შემდეგ ამოცანას: სასოფლო საბჭოების მუშაობის განმტკიცება და გაცხოველება, მათი პასუხისმგებლობის გადიდება კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა კოლმეურნეობრივ მოძრაობაში"[1].

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავისი 1930 წლის 25 იანვრის დადგენილებაში „სოფლად ფართოდ გაშლილ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ", აღნიშნავდა: „ქალაქის საბჭო ნამდვილად უნდა დაეხმაროს სოფლის საბჭოს ქალაქის საბჭოს წევრთაგან, აქტივისტ მუშათაგან შექმნილი საგანგებო ბრიგადების გაგზავნით სოფლის საბჭოში დროებით ან მუდმივ სამუშაოზე"[2].

საბჭოების როლის დამცირების ცდა ადგილებზე ისე ძლიერი იყო, რომ მასზე სპეციალურად გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ (1930 წ. ივნისი). ამის შესახებ ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: „ყრილობა გმობს საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში სასოფლო საბჭოს როლის შეუფასებლობის თვალსაზრისს, რაც ადგილებზე გამოვლინდა, და პარტორგანიზაციებს ავალებს გადაჭრით ებრძოლონ ამ მოვლენას. პარტორგანიზაციებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა სასოფლო საბჭოების მუშაობა გამოაცოცხლონ და გარდაქმნან ისე, რომ ისინი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმის ნამდვილი ხელმძღვანელები გახდნენ"[3].

1930 წლის 9 აპრილს თბილისში შედგა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ფ. მახარაძე. მან დაახასიათა სოციალისტური რეკონსტრუქციის ისტორიული მნიშვნელობა და ფართოდ აღნიშნა საბჭოების უდიდესი როლი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში. ფ. მახარაძემ

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 21 იანვარი.

[2] Газ. «Правда», 26 января 1930 г.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3517, ფურც. 19 — 26.

გააკრიტიკა მოსაზრება, რომელიც წარმოიშვა კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საბჭოების როლისა და ამოცანების შესახებ. ზოგიერთი თეორიულად და პოლიტიკურად ნაკლებ გამოწრთობილი მუშაკი უარყოფდა საბჭოების საჭიროებას მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში[1]. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ „სოფლის საბჭოების თვალსაჩინო ნაწილი, — ნათქვამია თათბირის რეზოლუციაში, — სათავეში ვერ ჩაუდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესებს, მათ ვერ გამოიყენეს მინიჭებული უფლებები და მეტ წილად საკმარისად ვერ ჩაებნენ კოლექტივიზაციის საქმეში“[2].

თათბირმა საბჭოების წინაშე დასახა რიგი გადაუდებელი ამოცანა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის წარმატებით განხორციელებისათვის და დაგმო საბჭოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა—უარყოფა. „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში,—ნათქვამია თათბირის რეზოლუციაში, — ტენდენცია ობიექტური გამოხატულებაა კულაკობისა და ანტისაბჭოთა ელემენტების მისწრაფებისა, რომელთაც, რასაკვირველია, თავისი კონტრრევოლუციური მიზნებით ძალიან უნდათ შეასუსტონ საბჭოების — პროლეტარიატის დიქტატურის ამ ორგანოების — ძალა და გავლენა. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობები გადაჭრით მოითხოვენ არა საბჭოების ლიკვიდაციას, არამედ, პირიქით, იმას, რომ ეს საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ყოველნაირად იქნენ განმტკიცებულნი“[3].

საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის გაუმჯობესებისათვის, მასებთან მისი დაახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ იმსჯელა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკაში. ეს არ იყო პირველი და არ იქნებოდა უკანასკნელიც, რადგან ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, — როგორც აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — პარტიის „წინაშე მუდამ იდგომება, ვიდრე ჩვენში არის სახელმწიფო ხელისუფლება, ვიდრე არსებობს სახელმწიფო“. ამიტომ საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ თავის რეზოლუციაში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ აღნიშნა: „ყრილობა აშკარად არასაკმაოდ სთვლის სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში მიღწეულ წარმატებებს და წინადადებას იძლევა გაძლიერდეს ც. ს. კომისიისათვის და მ. გ. ი.-სათვის დახმარების

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოების ახალი ამოცანები, თბ., 1930, გვ. 24 — 25.

[2] იქვე, გვ. 44.

[3] იქვე, გვ. 43.

გაწევა საბჭოთა-სამეურნეო აპარატის წმენდის ჩატარების დროს, რისთვისაც უნდა გაიშალოს საწარმოების შეფობა დაწესებულებებზე და უფრო გაბედულად დაწინაურებულ იქნან მოწინავე პარტიული და უპარტიო დამკვრელი მუშები სახელმწიფო აპარატში"[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობას საკმარისად არ მიაჩნდა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მას სრულიად არ უარყვია ამ ბრძოლის დადებითი შედეგები და, ამდენად, უვარგისად არ გამოუცხადებია საბჭოთა სახელმწიფო აპარატი ისე, როგორც ეს ჩაიდინა საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელმა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1930 წლის 5 ოქტომბერს „მიმართვის" სახით გამოაქვეყნა დადგენილება, რომელიც ლაფში სვრიდა ამიერკავკასიის მთელ პარტიულსა და საბჭოთა აპარატს, დემაგოგიურად მიმართავდა მუშათა კლასს და ამხედრებდა მას საბჭოთა აპარატის, ობიექტურად კი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ: „აღმაშფოთებელი ბიუროკრატიზმი, — ნათქვამია აღნიშნულ „მიმართვაში", — უპასუხისმგებლობა, მასებისაგან მოწყვეტა, ბატონკაცური დამოკიდებულება მუშათა და გლეხთა საჭიროებებისა და ინტერესებისადმი, პარტიის დირექტივების უგულებელყოფა და დამახინჯება და აშკარა ოპორტუნიზმი სუფევს ჯერ კიდევ ბევრ ჩვენს საბჭოთა დაწესებულებაში"[2].

აღნიშნული „მიმართვის" მთელი შინაარსი ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, ამიტომ იგი უფრო მეტად აყენებდა ზიანს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს, საბჭოთა აპარატს, ვიდრე ეხმარებოდა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თვითკრიტიკის ასეთი მეთოდის თაობაზე, ჯერ კიდევ პარტიის XV ყრილობა აღნიშნავდა: „ბიუროკრატიზმის ელემენტები რომ მოიპოვებიან ჩვენს სახელმწიფო აპარატშიც,... და პარტიულ აპარატშიც, ეს უეჭველია. ბიუროკრატიზმის ელემენტებთან ბრძოლა რომ აუცილებელია... ესეც ფაქტია.

მაგრამ მაინც საჭიროა საზღვარი იცოდე. სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმის მიყვანა იქამდე, რომ მოსპო სახელმწიფო აპარატი, სახელი გაუტეხო სახელმწიფო აპარატს, ეცადო მის დამსხვრევას, — ეს იმას ნიშნავს, რომ წახვიდე ლენინიზმის წინააღმდეგ"[3].

ასე დაემართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ზოგიერთ მაშინდელ ხელმძღვანელს.

მალე შემოწმდა საბჭოთა აპარატის მუშაობის მდგომარეობა ამიერ-

---

[1] „საქართველოს კომპარტიის (ბ) VII ყრილობის რეზოლუციები", 1930, თბ., გვ. 7.

[2] Газ. «Рабочая правда», 5 октября 1930 г.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 342.

კავკასიაში. შედეგმა სრულიად საწინააღმდეგო გვიჩვენა. შემოწმების შედეგების ამსახველ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია: „ამიერკავკასიის სფსრ საბჭოთა აპარატს უთუოდ კოლოსალური მიღწევები აქვს. სახელმწიფო აპარატის გასამარტივებლად ამ ბოლო წლებში გაწეულმა უდიდესმა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა. წმენდამ, საბჭოთა სისტემის ბევრი უსარგებლო, დრომოჭმული რგოლის და მეტადრე საოკრუგო რგოლის გაუქმებამ, აპარატში მუშათა დაწინაურებამ, თვითკრიტიკის გაშლამ, ქვემოდან მასობრივი კონტროლის გაძლიერებამ, საბჭოების სექციების და დეპუტატთა ჯგუფების მნიშვნელოვნად გამოცოცხლებულმა მუშაობამ და სხვ. ყოველივე ამან გააუმჯობესა სახელმწიფო აპარატის მუშაობა და განსაკუთრებით სოციალური შემადგენლობა, მიაახლოვა იგი მშრომელთა ფართო მასებს“ [1].

ამასთან ერთად, ამ დოკუმენტებში აღინიშნა საბჭოთა აპარატის ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი.

ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად აუმჯობესებდნენ და განამტკიცებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, სახელმწიფო აპარატს და, საბოლოო ანგარიშში — პროლეტარიატის დიქტატურას ახალი ისტორიული ეტაპის — მთელ ფრონტზე სოციალიზმის შეტევის პერიოდის — ძირითად ამოცანათა შესაბამისად.

§ 2. საბჭოთა სოფლის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა საკოლმეურნეო მშენებლობის წინა ხანაში

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გლეხობის სოციალურსა და ეკონომიურ მდგომარეობაში, სოფლის სოციალურ სტრუქტურაში. ეს ცვლილებები ყოველთვის იპყრობდა ისტორიკოსთა, ეკონომისტთა და სოციოლოგთა ყურადღებას [2].

საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლებიდანვე გაამახვილა ყურადღება სოფლად მიმდინარე სოციალ-ეკონომიური ხასიათის მოვლენებისადმი. საბჭოთა სოფელში მიმდინარე პროცესების მართებულად გაგების საკითხმა, კერძოდ, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის საკითხმა სპეციალური დისკუსიაც კი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო გამოკვლევა

---

1 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 804, საქ. 3447, ფურც. 2.

2 В. П. Данилов, Изучение истории советского крестьянства (сб., статей «Советская историческая наука от XX к XXI съезду КПСС», М., 1962, стр. 451).

გამოქვეყნდა; მათ შორის აღსანიშნავია: ს. სტრუმილინის, ა. გაისტერის, ლ. კრიცმანის, ვ. იაკოვცევსკის, ვ. კავრაისკის, ი. იაკოვლევის, ვ. ნემჩინოვის, მ. კუბანინის, ა. ხრიაშჩევას, ი. ნუსინოვის, ი. ანისიმოვის, ი. ვერემენიჩევის, კ. ნაუმოვისა და სხვათა გამოკვლევები[1]. ამ მიმართულებით კი ძალიან ცოტა იყო გაკეთებული საქართველოში; შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ ზ. ჩახვაძის, ა. რუხაძის, გ. სარუხანოვისა და სხვათა გამოკვლევები, ზოგი ცალკე წიგნად, ზოგი კი ჟურნალებში გამოქვეყნებული[2].

აღსანიშნავია ის დისკუსია, რომელიც 1927 და 1928 წლებში მიმდინარეობდა რუსეთსა და საქართველოში სოფლად გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის შესახებ. სადისკუსიო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია პრესაში[3].

გარდამავალი პერიოდის საბჭოთა სოფელში მიმდინარე პროცესების კვლევისას საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დააყენა რიგი საინტერესო საკითხი, თუმცა ყველა მათი გადაჭრა ერთნაირი სიღრმითა და სისრულით მან დღემდე ვერ შეძლო, მაგრამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ არა მარტო

---

[1] С. Струмилин, Расслоение советской деревни (журн. «Плановое хозяйство», 1928, № 3); А. Гайстер, Расслоение советской деревни, 1928; Л. Крицман, Пролетарская революция в деревне, 1929; Его же, Классовое расслоение советской деревни, М., 1926; В. Яковцевский, Аграрные отношения в СССР в период строительства социализма, М., 1964; В. Кавраайский, Классовое расслоение в деревне и политика партии, М., 1929; Я. Яковлев, Расслоение деревни, М.-Л., 1925; В. Немчинов, Опыт классификации крестьянских хозяйств («Вестник статистики ЦСУ СССР № 124, 1928); М. Кубанин, Классовая сущность процесса дробления крестьянских хозяйств, М., 1929; А. Хрящева, Группы и классы крестьянства, 1927; Я. Анисимов, И. Верменичев, К. Наумов, Производственная характеристика крестьянских хозяйств различных социальных групп, М.-Л., 1927, и др.

[2] З. Чахвадзе, Социально-экономическая структура грузинской деревни, Тиф., 1929; Р. Кочламазашвили, Социально-экономический характер крестьянских хозяйств в Грузии (1921—1929 гг.) (автореферат канд. диссертации, Тб., 1968); ზ. ჩახვაძე, ჩვენი გლეხობის ქონებრივი დაფენება (ჟურნ. „სოფლის კომუნისტი“, 1929, № 6); მისივე, გლეხის ბიუჯეტის სტრუქტურა საქართველოში (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 7—8); ა. რუხაძე, სოციალ-ეკონომიური ფენები საქართველოს გლეხურ მეურნეობაში (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1927, № 8—9); მისივე, კერძო კაპიტალი და სოციალური წინააღმდეგობა საქართველოს სოფელში (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 11-12); გ. სარუხანოვი, დიფერენციაციის პრობლემის შესახებ (ჟურნ .„საქართველოს ეკონომისტი“, 1928, № 5).

[3] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1926, № 1; 1927, № 8-9; 1928, № 2-3; Журн. «Пути сельского хозяйства», 1927, № 45; 1928, № 6—8.

სათანადო მასალის დაგროვებით, არამედ არაერთი განმაზოგადებელი დებულების წამოყენებითა და დასაბუთებით. მათ შორის რიგი დებულება თუ დასკვნა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინ გლეხთა წარმოებითი ურთიერთობის ხასიათსა და კოლექტივიზაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის საკითხს რომ ეხება, დღესაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობასა და მეცნიერულ დავას. ამიტომ არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული აღნიშნული საკითხების გაშუქება, უმთავრესად ადგილობრივი მასალების გამოყენებით[1].

1952 წელს გამოვიდა ი. ბ. სტალინის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". ამ ნაშრომში კოლექტივიზაციის წინა პერიოდის გლეხობის წარმოებითი ურთიერთობა დახასიათებულია, როგორც კაპიტალისტური. ამ განსაზღვრას ზოგი საბჭოთა ისტორიკოსი არ თვლის საკმარისად, იგი მიაჩნია ცალმხრივად[2]. კოლექტივიზაციამდელი კულაკური გლეხთა წარმოებითი ურთიერთობა გ. ე. გლეზერმანს მიაჩნია კაპიტალისტურ ურთიერთობად, ხოლო „ურთიერთობას წვრილ სასაქონლო მეურნეობაში" უწოდებს „წვრილსაქონელმწარმოებელთა ურთიერთობას"[3]. ასეთსავე აზრს იცავდნენ სახელმძღვანელოს — „სსრ კავშირის ისტორია. სოციალიზმის ეპოქა" — ავტორები. ისინი, აჯამებდნენ რა აგრარული რევოლუციის შედეგებს, აღნიშნავდნენ, მიუხედავად ღრმა სოციალური ძვრებისა, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, გამოიხატა გლეხობის გასაშუალებაში, „წარმოების წესი სოფლად დარჩაო წინანდელი"[4], ე. ი. ისეთი, როგორიც იყო 1917 წლის ოქტომბრამდე—ბურჟუაზიული. ან კიდევ: „სოფლად დარჩა წვრილსასაქონლო და კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი", რაც გარდუვალად იწვევდა „გლეხობის ფენებად დაშლის პროცესს და კლასობრივი ბრძოლის განვითარებას"[5].

საქართველოში საბჭოთა სოფლის სოციალ-ეკონომიური განვითარების მოკლე და ზოგადი მიმოხილვაც დაგვარწმუნებს შემდეგში: 1. რომ კოლექტივიზაციამდელ საბჭოთა სოფელში გლეხთა წარმოებითი ურთი-

---

[1] გარდა დასახელებულ ავტორთა ნაშრომებისა, ჩვენ მიერ გამოყენებულია შემდეგი მასალები: საბჭოთა საქართველო ციფრებში (საქ. სსრ სახალხო მეურნეობის მოკლე სტატისტიკური ცნობები 1921—1929 წწ.), თბ., 1929; „საბჭოთა საქართველოს 10 წელი"; «Закавказский финансово-статистический сборник 1918—1923 гг», ч. I, Тб., 1924; «Народное хозяйство Закавказья в цифрах», Тб., 1927; «Итоги десятилетия Советской власти 1917 — 1927 гг.», М., 1927; ПА ГФ ИМЛ, ф. 14, д. 1419, 2655, 3092, 3100, 3104.

[2] «Советская историческая наука от XX к XXI съезду КПСС», стр. 464.

[3] Г. Глезерман, Базис и надстройка в советском обществе, М., 1954, стр. 146—147.

[4] «История СССР, Эпоха социализма», М., 1957, стр. 352.

[5] «Советская историческая наука от XX к XXI съезду КПСС», стр. 307, 426.

ერთობა თავისი ხასიათით ძირითადად კაპიტალისტური იყო, 2. გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია მიმდინარეობდა უმთავრესად არა განგლეხების გზით, არამედ გაგლეხების გზით და, ბოლოს, 3. კლასობრივი ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდებოდა, მაგრამ არა ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის, არამედ უმთავრესად, ერთი მხრივ, ღარიბ და საშუალო გლეხობასა და, მეორე მხრივ, კულაკობას შორის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობის, მისი განვითარების პერსპექტივებისა და კანონზომიერების დასადგენად, სოფლად მიმდინარე სოციალური დიფერენციაციისა და კლასობრივ ძალთა თანაფარდობის შესასწავლად, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევისწავლოთ გლეხური მეურნეობის სოციალური ხასიათი და მისი განმსაზღვრელი ეკონომიური ფაქტორები. ამ მიზნით ეკონომისტები და ისტორიკოსები გლეხურ მეურნეობებს აჯგუფებენ შემდეგი ნიშნების მიხედვით: ნათესის, მუშა საქონლის, პირობითი წმინდა შემოსავლის, იჯარის, საწარმოო იარაღთა ღირებულების, სამუშაო ძალის გაქირავება-დაქირავებისა და სხვათა მიხედვით.

განვიხილოთ საქართველოს გლეხური მეურნეობანი აღნიშნული ნიშნების მიხედვით.

ნ ა თ ე ს ი ფ ა რ თ ო ბ ი ს მიხედვით[1] გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფების მონაცემებით ძნელია რაიმე სანდო დასკვნის გაკეთება საქართველოს გლეხობის სოციალური სტრუქტურის შესახებ. 1927 წლის ცნობების წინა წლის ცნობებთან შედარება გვიჩვენებს, რომ პროცენტულად თითქმის ყველა ჯგუფში შემცირებულა ნათესის მქონე გლეხური მეურნეობანი, ხოლო გაზრდილა უნათესო ან ძალიან მცირე ნათესიანი გლეხური მეურნეობანი დაახლოებით 2,8 პროცენტით, მომდევნო ჯგუ-

---

[1] გლეხობის სოციალური დიფერენციაციის შესწავლის მიზნით გლეხურ მეურნეობათა ნათესი ფართობის მიხედვით დაჯგუფებას მხარს უჭერდა ა. ხ რ ი ა შ ჩ ე ვ ა. წარმოების საშუალებათა ღირებულების მიხედვით დაჯგუფებას — ა. გ ა ი ს ტ ე რ ი, ღ. კ რ ი ც მ ა ნ ი და სხვ.

კომუნისტური აკადემიის მიერ აგრარული რეოლუციის შესწავლის მიზნით გამოყოფილი კომისია, აგრეთვე მ. გ უ რ ვ ი ჩ ი, ვ. კ ა ვ რ ა ი ს კ ი, ი. ნ უ ს ი ნ ო ვ ი და სხვ. მხარს უჭერდნენ დაჯგუფების კომბინირებულ მეთოდს — მუშა საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაოდენობათა გათვალისწინებით დაჯგუფებას. ზოგი — პირობითი წმინდა შემოსავლის ან კიდევ წარმოების საშუალებათა ღირებულების ოდენობით დაჯგუფების მეთოდს, ზოგიც — წარმოების საშუალებათა ღირებულების ოდენობისა და სოციალური მომენტების (სამუშაო ძალის დაქირავება-გაქირავება, სამეურნეო ინვენტარის დაქირავება-გაქირავება, იჯარა და სხვ.) გათვალისწინებით შემუშავებულ კომბინირებულ მეთოდს. უკანასკნელმა მეთოდმა მეტი პოპულარობა მოიპოვა. იგი ჩვენც მიგვაჩნია უფრო მართებულ მეთოდად სოფლის სოციალური სტრუქტურის გამოსაკვლევად.

ფის მეურნეობანი კი 1,8 პროცენტით. ეს გარემოება, უწინარეს ყოვლისა, უნდა აიხსნას აღნიშნულ პერიოდში ტექნიკური და ძვირფასი კულტურების ფართო გავრცელებით, რასაც ენერგიულად უწყობდნენ ხელს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები.

ცოტა განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს 10-პროცენტიანი შერჩევითი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები. ამ მასალების საფუძველზე პირველ ჯგუფს მიაკუთვნეს ისეთი გლეხური მეურნეობანი, რომელთაც არ გააჩნდათ ნათესი, ან ჰქონდათ 0,09 დესეტინამდე. მეორე ჯგუფს — ისეთი მეურნეობანი, რომელთაც ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში 0,6 დესეტინიდან 4,09 დესეტინამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 0,6 დესეტინიდან 3,9 დესეტინამდე ნათესი. მესამე ჯგუფს კი — ისეთი მეურნეობანი, რომელთაც ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში ნათესი 4,1 დესეტინაზე ზევით, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 3,1 დესეტინაზე ზევით.

10-პროცენტიანი შერჩევითი სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების საფუძველზე ნათესი ფართობის მიხედვით დაჯგუფებულ მეურნეობათა ურთიერთპროცენტული შეფარდება გვიჩვენებს შემდეგ სურათს: 1926 წელს პირველი ჯგუფის ხვედრითი წონა უდრიდა 25,6 პროცენტს, ხოლო 1927 წელს — 30,6 პროცენტს; მეორე ჯგუფის ხვედრითი წონა 1926 წელს უდრიდა 71,6 პროცენტს, მომდევნო 1927 წელს კი — 67,8 პროცენტს; მესამე ჯგუფის ხვედრითი წონა 1926 წელს უდრიდა 2,8 პროცენტს, ხოლო მომდევნო წელს შემცირდა და შეადგინა 2,0 პროცენტი.

განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა ნათესი ფართობის ნიშნით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებაში 1929 წელს. სტატისტიკური მონაცემებით 1929 წლისათვის 1927 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულა უნათესო და მცირენათესიან (0,1 ჰექტარამდე) გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა. ასე მაგალითად, უნათესო და მცირენათესიან გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა 1929 წლისათვის 1927 წელთან შედარებით, შემცირებულა: ა) მევენახეობის (გურჯაანის) რაიონში 17,1-დან 9,1 პროცენტამდე; ბ) მეხილეობის (გორის) რაიონში — 17,2-დან 15,9 პროცენტამდე; გ) მემინდვრეობის (აბაშა) რაიონში — 4,8-დან 2,3 პროცენტამდე; დ) მესაქონლეობის (დუშეთის) რაიონში გაზრდილა 0,4 — 0,7 პროცენტამდე[1]; მეთამბაქოეობის (სოხუმის) რაიონში შემცირებულა 4,5-დან 1,5 პროცენტამდე[2].

საერთოდ, ნათესი ფართობის ზრდას ადგილი აქვს 1929 წლისათვის თითქმის მთელ რესპუბლიკაში. ასე მაგალითად, 1927 წელთან შედარე-

---

[1] რაც მესაქონლეობის შემდგომი განვითარებითაც შეიძლება აიხსნას.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 298.

ბით ნათესი ფართობი 1929 წლისათვის გაზრდილა: მევენახეობის რაიონში 29,0 პროცენტით, მეხილეობის რაიონში — 5,9, მემინდვრეობის რაიონში — 7,0, მეთამბაქოეობის რაიონში — 20,1 პროცენტით, მხოლოდ მესაქონლეობის რაიონში შემცირებულა 9,9 პროცენტით[1].

ნათესი ფართობის მიხედვით, როგორც დავინახეთ, გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებისას პირველი ჯგუფის ხვედრითი წონის ზრდა, ერთი შეხედვით, წარმოადგენს გამონაკლისს, ნამდვილად კი აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმე უნდა გვქონდეს მარცვლეულის მეურნეობიდან მრავალწლიან ძვირფას და ტექნიკურ კულტურებზე გადასვლასთან. ეს გარემოება საბჭოთა სოფლის განვითარების საერთო კანონზომიერებას კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ადასტურებს მას, რადგან აქ ადგილი აქვს ღარიბი გლეხობის გადასვლას ექსტენსიური მეურნეობიდან ინტენსიურ მეურნეობაზე, რაც მათ ეკონომიურ მოღონიერებაზე მიუთითებს. ამითვე უნდა აიხსნას მეორე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონის შემცირების მიზეზებიც, ხოლო, რაც შეეხება მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა შემცირებას 0,8 პროცენტით, იგი კულაკურ მეურნეობათა მიმართ ეკონომიური შეზღუდვისა და შევიწროების შედეგი უნდა იყოს.

ამრიგად, ნათესი ფართობის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებისას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონის ზრდა 5,0 პროცენტით, რაც უმთავრესად ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლით უნდა აიხსნას. ხოლო ყველაზე მეტნათესიან გლეხურ მეურნეობათა, მეორე და მესამე ჯგუფის, ხვედრითი წონა მცირდება შესაბამისად 4,6 და 0,8 პროცენტით, რაც საბჭოთა სოფლის განვითარების საერთო კანონზომიერებას გამოხატავს. ამ კანონზომიერებას კიდევ უფრო ცხადყოფს პირველი ჯგუფის — უნათესო ან მცირენათესიან — გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონის შემცირება ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში, გარდა მესაქონლეობის რაიონისა. ყოველივე ამით ჯერ კიდევ ძნელია საბჭოთა სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე სწორი წარმოდგენის შემუშავება; როგორც ცნობილია, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის ასახსნელად არ შეიძლება საიმედო და უტყუარი იყოს გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება ნათესი ფართობის ოდენობის ნიშნით, ისიც საქართველოში.

ვ. ი. ლენინი ნათესი ფართობის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებას თვლიდა „ძალიან მოხერხებულ წესად“, რომელიც „საშუალებას გვაძლევს ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ ყოველი ჯგუფის მეურნეობაზე“, მაგრამ ერთი პირობით, თუ „ამ მხარეში სჭარბობს მეურნეო-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 298.

ბის მარცვლეული სისტემა ექსტენსიური მიწათმოქმედების პირობებში"[1]. ვ. ი. ლენინს ნათესი ფართობის ან მუშა საქონლის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება საკმარისად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ექსტენსიურ, მარცვლეულის მეურნეობასთან. სხვა შემთხვევებში ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფების სხვადასხვა „სისტემის კომბინაცია"[2]. ამდენად, შეიძლება და აუცილებელიცაა გავაგრძელოთ გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება სხვა ნიშნების თუ სისტემების მიხედვით, რათა მათი კომბინაციით წარმოვადგინოთ საქართველოს გლეხურ მეურნეობათა ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის დაახლოებითი სურათი მაინც.

ვ. ი. ლენინი გლეხობის შესახებ კომლობრივი მონაცემების დამუშავების დროს არ სჯერდებოდა ნათესის ან, საერთოდ, მეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის მიხედვით დაჯგუფებას. ვ. ი. ლენინის აზრით, გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფების „ეკონომიურმა სტატისტიკამ... აუცილებლად უნდა დაუდოს საფუძვლად მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ა დ ა ტ ი პ ე ბ ი"[3]. სწორედ ეს მითითებაა ძირითადად გათვალისწინებული ჩვენ მიერ გამოყენებულ სტატისტიკურ მასალებში, როდესაც აქ გლეხური მეურნეობანი დაჯგუფებულია რამდენიმე ნიშნის მიხედვით — ერთ შემთხვევაში სამ, სხვა შემთხვევაში კი ხუთ ჯგუფად ან ტიპად.

გლეხობის ფენებად დაყოფისათვის შედარებით ყველაზე საიმედოდ ისტორიულსა და ეკონომიურ მეცნიერებას მიაჩნია გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება მუშა საქონლით უზრუნველყოფის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ თავის სტატისტიკურ-ეკონომიურ ძიებაში ამ მეთოდს ფართოდ იყენებდა ვ. ი. ლენინი.

მ უ შ ა ს ა ქ ო ნ ლ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს ნ ი შ ნ ი თ გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებისას პ ი რ ვ ე ლ ჯ გ უ ფ ს მიაკუთვნეს ისეთი მეურნეობები, რომელთაც არ ჰყავდათ მუშა საქონელი, მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ს — ისეთი მეურნეობები, რომელთაც ჰყავდათ 1-დან 3 სულამდე მუშა საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 1-დან 2 სულამდე — დასავლეთ საქართველოში, მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ს — ისეთი მეურნეობები, რომელთაც ჰყავდათ სამ სულზე მეტი მუშა საქონელი.

მუშა საქონლით უზრუნველყოფის ნიშნით დაჯგუფებულ გლეხურ მეურნეობათა ურთიერთპროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ საქართველოში პ ი რ ვ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი ს გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 66.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 109.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 106.

წონა 1926 წელს უდრიდა 37,5 პროცენტს, 1927 წელს კი 34,4 პროცენტს; მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი ს გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა 1926 წელს უდრიდა 60,2 პროცენტს, 1927 წელს კი 62,4 პროცენტს; მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი ს გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა 1926 წელს უდრიდა 2,3 პროცენტს, 1927 წელს კი 3,2 პროცენტს.

საქართველოში უმუშასაქონლო გლეხურ მეურნეობათა[1] რიცხვის შემცირება 1926 წლის 37,5 პროცენტიდან 1927 წლისათვის 34,4 პროცენტამდე, აშკარად მიუთითებს ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ნაწილის გადასვლაზე შეძლებულთა, საშუალო გლეხთა მდგომარეობაში. ამასვე ადასტურებს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგადასახადო აღრიცხვის მასალებიც. ამ მასალების მიხედვით ღარიბ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა 1926 წელთან შედარებით 1927 წელს შემცირდა: აღმოსავლეთ საქართველოში 6,7 პროცენტით, დასავლეთ საქართველოში 17,2, აფხაზეთში 5,05, აჭარაში 18,1 და სამხრეთ ოსეთში 17,6 პროცენტით. საშუალოდ მთელ საქართველოში კი 6,5 პროცენტით. საშუალო გლეხთა კატეგორია გაიზარდა 5,45 და კულაკური მეურნეობანი უმნიშვნელოდ — 1,07 პროცენტით.

ზემოთ მოტანილი მასალები გვიჩვენებს, რომ ინტენსიურად იზრდებოდა საშუალო გლეხური მეურნეობანი ღარიბ და უღარიბეს გლეხურ მეურნეობათა ხარჯზე, მაშინ, როდესაც კულაკურ მეურნეობათა ზრდა უმნიშვნელო პროცენტებით გამოიხატებოდა, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ დროს საქართველოს სოფელში ადგილი არ ჰქონდა გლეხობის ორმხრივი დიფერენციაციის გაძლიერებულ პროცესს, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური ეპოქისათვის[2], თუმცა ამ დროს საქართველოში გლეხური წარმოებითი ურთიერთობა კვლავ წერილსასაქონლო-კაპიტალისტური ხასიათისა იყო.

გლეხურ მეურნეობათა პირველი ჯგუფის ხვედრითი წონის შემცირება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში აიხსნება იმით, რომ მისი მცირე ნაწილი ავსებდა ქალაქისა და სოფლის პროლეტართა რიგებს, ხოლო მეორე და უდიდესი ნაწილი გადადიოდა მეორე ჯგუფში. ღარიბი გლეხები გადადიოდნენ საშუალო გლეხთა კატეგორიაში, საშუალო გლეხი თანდათანობით ხდებოდა სოფლის ძირითადი ფიგურა.

ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ი ა რ ა ღ ე ბ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ-

---

[1] რევოლუციამდელ რუსეთში ყველა უცხენო და ერთცხენიან გლეხთა უმრავლესობას ვ. ი. ლენინი მიაკუთვნებდა სოფლის პროლეტართა კატეგორიას. რასაკვირველია, ეს იყო მხოლოდ მასობრივი დაახლოებითი გაანგარიშება, რომელიც სხვადასხვა რაიონში, ადგილობრივი პირობების მიხედვით, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდა (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 192).

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1419, ფურც. 14 — 15.

ყ ო ფ ი ს ნ ი შ ნ ი თ გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება აუცილებელია სოფლად მიმდინარე სოციალური დიფერენციაციის შედარებით სრული სურათის წარმოსადგენად. ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ ზოგიერთი სტატისტიკური მასალა გლეხურ მეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს ხუთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონის მთელ საწარმოო საშუალებებში შეიძლება გლეხურ მეურნეობათა სოციალური ჯგუფების ხვედრითი წონისა და მათი წილის შესახებ ვიმსჯელოთ საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მასალებით, რომელიც ქვემოთ მოგვაქვს[1].

ც ხ რ ი ლ ი 1

გლეხური მეურნეობანი და მათი წილი წარმოების საშუალებებში

სასოფლო-სამეურნეო რაიონები	ღარიბი და უღარიბესი გლეხური მეურნეობანი		საშუალო გლეხური მეურნეობანი		კულაკური გლეხური მეურნეობანი	
	% მეურნეობის საერთო ჯამისადმი	% საწარმოო საშუალებათა საერთო ჯამისადმი	% მეურნეობის საერთო ჯამისადმი	% საწარმოო საშუალებათა საერთო ჯამისადმი	% მეურნეობის საერთო ჯამისადმი	% საწარმოო საშუალებათა საერთო ჯამისადმი
შემინდვრეობის (აბაშა)	30,9	15,0	67,3	81,2	1,8	3,8
მევენახეობის (გურჯაანი)	25,6	8.0	68,5	75,0	5,9	17,0
მეხილეობის (გორი)	6,9	1,5	73,5	59,1	19,6	39,4
მეთამბაქოეობის (სოხუმი)	12,0	1,8	63,6	55,4	24,4	42,8
მესაქონლეობის (დუშეთი)	54,2	17,4	41,4	54,4	4,4	28,2

გლეხური მოსახლეობის ძირითადი მასა, როგორც ცხრილიდან ჩანს, წარმოდგენილია საშუალო გლეხურ მეურნეობებში და მათივე განკარგულებაში არის მთელი საწარმოო საშუალებათა 54,4 პროცენტიდან 81,2 პროცენტამდე ხუთივე სასოფლო-სამეურნეო რაიონში.

გლეხურ მეურნეობათა ნიველირების პროცესი, რომელიც აღდგენით პერიოდში დაიწყო, გრძელდებოდა საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებამდე. ამაზე მიგვითითებს გლეხურ მეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებში საწარმოო საშუალებათა დაგროვების მდგომარეობა. სტატისტი-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 3094, ფურც. 241 — 242.

კური მასალები ნათლად გვიჩვენებენ საწარმოო საშუალებათა დაგროვების დინამიკას გლეხურ მეურნეობაში 1927 წლიდან 1929 წლამდე იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

გლეხურ მეურნეობებში საწარმოო-საშუალებათა დინამიკა 1927—1929 წლებში[1] (%-ობით)

სასოფლო-სამეურნეო რაიონები	I ჯგუფი (პროლეტარული)		II ჯგუფი (ნახევრად პროლეტარული)		III ჯგუფი (საქონლის წვრილმწარმოებელი)		IV ჯგუფი (წვრილკაპიტალისტური)	
	გადიდება	შემცირება	გადიდება	შემცირება	გადიდება	შემცირება	გადიდება	შემცირება
მემინდვრეობის (აბაშა)	90,7	9,3	82,4	17,6	76,7	23,3	53,8	46,2
მეევნახეობის (გურჯაანი)	65,1	34,9	56,4	43,6	53,1	46,9	56,4	43,6
მეხილეობის (გორი)	78,8	21,2	77,0	23,2	64,7	35,3	50,7	49,3
მეთამბაქოეობის (სოხუმი)	82,4	17,6[2]	86,0	12,3	62,3	37,4	38,5	61,5
მესაქონლეობის (დუშეთი)	93,0	6,7	85,5	14,2	77,4	22,6	69.2	30,9

ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ჯერ ერთი, საქართველოს სოფელში გლეხობის ყველა სოციალურ ფენაში ადგილი ჰქონდა საწარმოო საშუალებათა ზრდას, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე 1927 — 1929 წლებში; მეორე, ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში ყველაზე მეტად საწარმოო საშუალებანი იზრდებოდა უღარიბეს (პროლეტარულ) გლეხურ მეურნეობებში, ყველაზე ნაკლებად — კულაკურ (წვრილკაპიტალისტურ) მეურნეობებში, საწარმოო საშუალებანი ყველაზე ნაკლებ მცირდებოდა უღარიბეს გლეხურ მეურნეობებში და ყველაზე მეტად — კულაკურ მეურნეობებში. ასეთი მდგომარეობა შეიძლება აიხსნას, პირველ რიგში, პარტიისა და ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკით, კულაკურ მეურნეობათა მიმართ შეზღუდვისა და დანარჩენ გლეხური მეურნეობის მიმართ ეკონომიური და პოლიტიკური მხარდაჭერის პოლიტიკით.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოფელი უფრო და უფრო საშუალო გლეხური ხდებოდა. საშუალო გლეხის მდგომარეობაში გადადიო-

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 192 — 193.
[2] წყაროში შეცდომით „41,2 პროცენტია".

და ღარიბი და უღარიბესი გლეხობის უდიდესი ნაწილი და მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი კარგავდა საწარმოო საშუალებებს, რომელთა კიდევ უფრო უმნიშვნელო ნაწილი წყვეტდა სოფლად სამეურნეო საქმიანობას და გადადიოდა მოჯამაგირეთა, ან ქალაქის მუშათა რიგებში.

სოფლად გლეხურ მეურნეობათა ამა თუ იმ ჯგუფის თუ კატეგორიის შემცირების ან ზრდის გათვალისწინებისათვის საჭიროა ანგარიში გაეწიოს გლეხურ მეურნეობებში მომხდარ ისეთ ორგანულ ცვლილებებს, როგორიცაა გლეხური კომლის (და, მაშასადამე, მეურნეობის) რამდენიმე კომლად გაყრა (გაყოფა), დაწვრილერთეულება ან რამდენიმე გლეხური კომლის (და, მაშასადამე, მეურნეობის) ერთ მეურნეობად შეყრა (შეერთება), გამსხვილება. ამ მხრივ საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავენ: შესწავლილია ხუთი ტიპიური სამეურნეო რაიონი, თითოეულ მათგანში გამოკვლეულია გლეხურ მეურნეობათა ორგანული ცვლილებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1927 წლიდან 1929 წლამდე ჩათვლით.

ამრიგად, გაყოფათა ყველაზე დიდი პროცენტი მოდის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში წვრილკაპიტალისტურ მეურნეობებზე, მემინდვრეობის რაიონში — 6,3 პროცენტი, მევენახეობის — 24,1, მეხილეობის — 13,1 და მეთამბაქოეობის — 11,8 პროცენტი. მესაქონლეობის რაიონის შესახებ ცნობები არ შემონახულა[1]. ეს გარემოება, გლეხურ მეურნეობათა პირობითი — წმინდა შემოსავლის მიხედვით დაჯგუფებისას შეიძლება გახდეს შეცდომის წყარო, რადგან აქ, წვრილკაპიტალისტური მეურნეობა, იმის გამო რომ გაყოფის შედეგად მისი შემოსავალი შემცირდა, ადვილად შეიძლება მოხვდეს საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვში; მეორე შემთხვევაში, სხვა შეცდომაცაა მოსალოდნელი, როდესაც გაყოფილი მეურნეობანი გაყოფის შემდეგაც ინარჩუნებენ შემოსავლის დადგენილ მინიმუმს (350 ან 500 მანეთს ზევით), ისინი დარჩებიან თავიანთ სოციალურ ჯგუფში და იქმნება ილუზია, თითქოს საბჭოთა სოფელში იზრდებოდეს წვრილკაპიტალისტურ მეურნეობათა რაოდენობა იმაზე მეტად, რაც დასაშვებია პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ვითვალისწინებთ რა ამას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კულაკურ მეურნეობათა ზრდა საქართველოში 1926 წლიდან 1927 წლამდე 1,07 პროცენტით, ნაწილობრივ, გამოწვეული იყო გაყოფით.

გაყოფას, როგორც ვნახეთ, ყველაზე მეტად წვრილი კაპიტალისტური (კულაკური) მეურნეობანი მიმართავდნენ: ჯერ ერთი, კულაკური მეურნეობა თუ კომლი სულადობით უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდ-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 188 — 189.

რე ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობა ან კომლი და, მ ე ო რ ე, რაც მთავარია, გაყოფით კულაკური მეურნეობა თავს აღწევდა საბჭოთა პროგრესულ საგადასახადო პოლიტიკას და პარტიისა და მთავრობის სხვა შემზღუდველ ღონისძიებებს.

იმავე 1927 — 1929 წლების პერიოდში ადგილი ჰქონდა გლეხურ მეურნეობათა გამსხვილებას. გამსხვილებათა ყველაზე დიდი პროცენტი მოდის ყველა სამეურნეო რაიონში უღარიბეს (პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ) გლეხურ მეურნეობებზე. მემინდვრეობის რაიონში 2,4 პროცენტი, მევენახეობის რაიონში 3,5 და მესაქონლეობის რაიონში 0,8 პროცენტი [1]. დანარჩენზე ცნობები არ შემონახულა. უღარიბეს გლეხურ მეურნეობათა გამსხვილება, უნდა ვიფიქროთ, რომ გამოწვეული იყო უმთავრესად მათი ნაკლები უზრუნველყოფით მუშა-საქონლითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, ძირითადი საწარმოო საშუალებებით.

საქართველოში, როგორც ცნობილია, რევოლუციამდე და თვით სოფლის მეურნეობის მთლიან კოლექტივიზაციამდეც კი არსებობდა ჭ ა რ ბ ი ა გ რ ა რ უ ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა. ამიტომ გლეხობის ერთი ნაწილი სამუშაოს ეძებდა სოფლის მეურნეობის გარეთ, ქალაქებში. კაპიტალიზმის განვითარებამ არა მარტო მიწა აამოძრავა და აქცია ყიდვა-გაყიდვის საგნად, არამედ მიწაზე საუკუნეობით მიჯაჭვული გლეხიც მოსწყვიტა მას, აქცია იგი სამუშაო ძალის გამყიდველად, გარესამუშაოს მაძიებლად. ეს მოვლენა დიდხანს შეიმჩნეოდა საბჭოთა სოფელშიც. ასე მაგალითად, 1925 — 26 წელს გარესამუშაოზე გასული იყო 61 ათასამდე (სოფლის მოსახლეობის 2,9 პროც.), მომდევნო 1926 — 27 წელს კი, მათი რაოდენობა 73 ათასამდე (3,5 პროცენტამდე) გაიზარდა. მათ შორის გარესამუშაოზე რესპუბლიკის გარეთ იყო ერთ შემთხვევაში 7500-ზე მეტი, მეორე შემთხვევაში—11 ათასზე მეტი კაცი. 1925—26 წლის გარესამუშაოზე გასულთაგან 18 ათასზე მეტი მუშაობდა სოფლის მეურნეობაში, მომდევნო 1926 — 27 წელს კი — 24600-მდე, დანარჩენები ორივე შემთხვევაში მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, შინამოსამსახურეებად და ა. შ. [2].

კოლექტივიზაციის წინ სასოფლო-სამეურნეო რაიონების ყველა სოციალური ჯგუფი მეტ-ნაკლებად იძლეოდა დასაქირავებელ მუშათა კონტინგენტს. სტატისტიკური მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ყველაზე მეტად მუშათა კონტინგენტს ავსებდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობა, ყველაზე ნაკლებად შეძლებული და კულაკური გლეხობა.

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 188 — 189.

[2] დ. ჭ ო რ ი ძ ე, აგრარულ ურთიერთობათა განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1970, გვ. 187 — 188.

მუშახელის გაქირავებას ხუთივე სასოფლო-სამეურნეო რაიონში ყველაზე მეტად ადგილი ჰქონდა პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ ჯგუფებში. ხუთივე რაიონის პროლეტარულ ფენაში მუშახელის გამქირავებელთა პროცენტი მერყეობდა 89,3 პროცენტიდან 97,3 პროცენტამდე, ნახევრადპროლეტარულ ფენაში — 20,1 პროცენტიდან 80,6 პროცენტამდე. საქონლის წვრილმწარმოებელთა ფენაში — 23,1 პროცენტიდან 64,7 პროცენტამდე და წვრილკაპიტალისტურ მწარმოებელთა ფენაში — 3,6 პროცენტიდან 35,9 პროცენტამდე[1].

საქართველოს სოფელში ამ დროს ერთი საინტერესო მოვლენაც შეინიშნებოდა. 1927 წელს გლეხობის ყველა სოციალური ფენა აქირავებდა მუშახელს, გამქირავებელთა უდიდესი პროცენტი აქირავებდა სოფელშივე, ამუშავებდა სოფლის მეურნეობაში. მხოლოდ მცირე ნაწილი გზავნიდა სოფლიდან გარესამუშაოზე, ან უფრო ზუსტად, არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე.

1927 წელს მუშახელის გამქირავებელ გლეხურ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა სოფლად, სოფლის მეურნეობაში ასაქმებდა მუშახელს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დაქირავებული მუშახელის გამოყენება კულაკურ მეურნეობებში ჯერ კიდევ ნებადართული იყო. გამქირავებელ მეურნეობათა უმეტესობას იძლეოდა ღარიბი და უღარიბესი მეურნეობანი. გარესამუშაოზე (არასასოფლო-სამეურნეო) გასულთა უმრავლესობასაც აღნიშნული ფენები იძლეოდნენ.

სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა 1929 წელს. სოფლად მიმდინარე სოციალურ პროცესებთან დაკავშირებით გარესამუშაოზე (არასასოფლო-სამეურნეო) გამგზავნ მეურნეობათა დიდი უმრავლესობა მოდიოდა წვრილსაქონელმწარმოებელ და წვრილკაპიტალისტურ (III და IV ჯგუფის) მეურნეობებზე. ყველაზე მეტად მუშახელით უზრუნველყოფილი იყო სწორედ III და IV ჯგუფის გლეხური მეურნეობანი. წვრილკაპიტალისტური ჯგუფის თითოეულ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით ჰყავდა 3,0 — 4,7 მუშახელი, წვრილსაქონელმწარმოებელთა მეურნეობას — 2,3 — 3,0, ხოლო პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მეურნეობებს — 1,7 — 2,0 მუშახელი[2]. 1929 წლიდან, საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოებასთან დაკავშირებით, შეძლებული გლეხები კოლმეურნეობაში გზავნიდნენ მხოლოდ ერთ მუშახელს, დანარჩენი კი — სოფლიდან გადიოდა სამუშაოს საძებრად. ამიტომ ორი უკანასკნელი ჯგუფი (III და IV) პროცენტულად მეტ მუშახელს გზავნიდა არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე.

---

1 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 300 — 301.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 3094, ფურც. 241 — 242.

ამრიგად, როგორც ჩანს, მეურნეობათა უმნიშვნელო პროცენტი გზავნიდა მუშახელს გარესამუშაოზე (არასასოფლო-სამეურნეო) ისეთი რაიონებიდან, როგორიც იყო მევენახეობისა და მეთამბაქოეობის რაიონები. ჯ ე რ ე რ თ ი, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის ორივე დასახელებული დარგი მეტად შრომატევადია, ამიტომ იქვე, სოფელშივე ხერხდებოდა ჭარბი მუშახელის დასაქმება, შ ე ო რ ე მიზეზი ისიც იყო, რომ მეურნეობათა აღნიშნული დარგების კოლექტივიზაცია შედარებით დაბალი ტემპით მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, კოლექტივიზაციის პროცენტი 1929 წელს (ანუ 1930 წლის 1 იანვრისათვის) მევენახეობის რაიონში (გურჯაანი) უდრიდა 8,3 პროცენტს, მეთამბაქოეობის რაიონში (მთლიანად აფხაზეთში) — 20,7 პროცენტს, მაშინ, როცა მემინდვრეობის რაიონში (აბაშა) იგი იმავე პერიოდში უდრიდა 24,8 პროცენტს, მეხილეობის რაიონში (გორი) — 28,1 პროცენტს და მესაქონლეობის რაიონში (დუშეთი) — 17,0 პროცენტს[1]. ამიტომ მევენახეობისა და მეთამბაქოეობის რაიონებში ჯერ კიდევ არსებობდა დაქირავებული მუშახელის, აგრეთვე მუშახელის მთელი მარაგის, თუმცა შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც გამოყენების შესაძლებლობა.

მეხილეობის, მემინდვრეობისა და მესაქონლეობის რაიონებიდან გარესამუშაოზე (სოფლიდან) გასულთა რაოდენობა 1929 წელს 2 — 3-ჯერ გაიზარდა 1927 წელთან შედარებით. ეს აიხსნება ჯ ე რ ე რ თ ი, იმით, რომ ამ რაიონებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტივიზაციის შედარებით მაღალი პროცენტის გამო დაქირავებული მუშახელის ადგილობრივად გამოყენების საშუალება მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მ ე ო რ ე, კოლმეურნეობებში ძირითად საწარმოო საშუალებათა გაერთიანებით, მ ე ს ა მ ე, კოლმეურნეობებში სამუშაოთა მექანიზაციის ზრდით, მ ე ო თ ხ ე, შეძლებულ მეურნეობათა მიერ (რომელიც მუშახელით პირველი და მეორე ჯგუფის მეურნეობებზე უკეთ იყო უზრუნველყოფილი), კოლმეურნეობებში სამუშაოდ მხოლოდ ნაწილის გაგზავნით, დანარჩენის გარესამუშაოზე წასვლით, მ ე ხ უ თ ე, კულაკური მეურნეობა, რომელიც კიდევ უფრო მეტად იყო უზრუნველყოფილი მუშახელით, თითქმის მთლიანად გზავნიდა ზედმეტ მუშახელს გარესამუშაოზე. კულაკური მეურნეობიდან გამოსული მუშახელის ნაწილი ქალაქებში, სამრეწველო საწარმოებში პოულობდა გამოყენებას, აქ ხდებოდა მათი, კულაკური ელემენტების, შრომითი აღზრდა.

სოფლის სოციალისტური სტრუქტურის, გლეხთა სოციალური ფენების დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გ ლ ე ხ უ რ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა ხ ე ლ ი ს გ ა მ ო ყ ე-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 660, საქ. 6694, ფურც. 1—2.

ნების მასშტაბი. იგი ნათელყოფს მეურნეობათა სოციალურ ხასიათსა და გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის დონეს. როგორც ცნობილია, უმეტესად წვრილი და უწვრილესი (ღარიბი და უღარიბესი) გლეხური მეურნეობანი იძლევიან გასაქირავებელ მუშახელს, რადგან მათ განკარგულებაში არსებული მცირე წარმოების საშუალებანი, აღნიშნულ მეურნეობათა მთელი სამუშაო ძალის დასაქმებისას, საკუთარ მეურნეობაში გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევიან[1].

სამუშაო ძალის დაქირავება ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელია მსხვილგლეხური მეურნეობების კაპიტალისტური განვითარებისა. წვრილგლეხურ მეურნეობებშიც გვხვდება დაქირავებული შრომის გამოყენების ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ისინი ვერ სცვლიან მეურნეობის სოციალურ ხასიათს[2]. ასევე, მუშახელის გაქირავება (ზოგჯერ სამეურნეო ინვენტარით და გამწევი ძალით) მსხვილ, შეძლებულ გლეხურ მეურნეობათა მიერ, სრულებით არ სცვლის მათი მეურნეობის სოციალურ ხასიათს, ისინი ამ შემთხვევაშიც გამოდიან, როგორც ექსპლოატატორები საჭირო მუშახელსა და წარმოების საშუალებებსმოკლებულ მეურნეობათა მიმართ.

გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფება წარმოების საშუალებათა ღირებულების მიხედვით გვაძლევს მხოლოდ ქონებრივი დიფერენცირების სურათს. იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ ქონებრივი დიფერენცირების გადასვლას კლასობრივ დიფერენცირებაში, საჭიროა შესწავლილ იქნას დამოკიდებულებისა და ექსპლოატაციის დონე და ხარისხი, ე. ი. აუცილებელია შესწავლა ნიშნებისა, რომლებითაც ხასიათდებიან წარმოებითი ურთიერთობანი. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოებით ურთიერთობათა დამახასიათებელი პირდაპირი ნიშნები საკმარისი არ არის სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის შესწავლისათვის. აქვე უნდა გაირკვეს, თუ რა სიდიდისა და სიმძლავრის მეურნეობებში ვლინდება წარმოებითი ურთიერთობის პირდაპირი ნიშნები, რადგან ღარიბ და უღარიბეს მეურნეობებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამუშაო ძალის გაყიდვა ამ მეურნეობათა ექსპლოატაციის წყაროა, მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის გაყიდვა შეძლებულ და კულაკურ მეურნეობათა მიერ სხვა მეურნეობათა ექსპლოატაციის წყაროა. ასე, რომ გლეხურ მეურნეობათა კლასობრივი დიფერენციაციის გამოსარკვევად საჭიროა წარმოების საშუალებათა ღირებულებისა და წარმოებით ურთიერთობათა დამახასიათებელი ნიშნების კომბინაციის გზით შესწავლა[3].

---

[1] იხ. А. Гайстер, Расслоение Советской деревни, стр. 92.

[2] იქვე, გვ. 101.

[3] В. Каврайский, Н. Нусинов, Классовая борьба в современной деревне, стр. 32—104.

მუშახელის დაქირავებას, ამა თუ იმ მასშტაბით, მიმართავდა გლეხთა ყველა სოციალური ფენა. საქართველოში 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით, დაქირავებული მუშახელით სარგებლობდა მოსახლეობის 33,4 პროცენტი. აქედან მუდმივად დაქირავებული მუშახელით სარგებლობდა 0,28 პროცენტი. 1925 — 26 წელს დაქირავებული მუშახელით სარგებლობდა გამოკვლეულ მეურნეობათა 16,9 პროცენტი, მათ შორის მუდმივად დაქირავებული მუშახელით — 1,5 პროცენტი. როგორც ვხედავთ, 1923 წელთან შედარებით 1925 — 26 წლისათვის იზრდებოდა მუდმივად დაქირავებული მუშახელის გამომყენებელ მეურნეობათა პროცენტი და მცირდებოდა პროცენტი იმ მეურნეობათა, რომლებიც საერთოდ იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ გლეხურ მეურნეობაში დაქირავებულთა 72,5 პროცენტი, 1926 წლის გამოკვლევის ცნობებით, ცხოვრობდა დამქირავებელთან, ე. ი. წარმოადგენდა მოჯამაგირეს[1]. აქაც, საბჭოთა სოფელშიც შეინიშნება ის კანონზომიერება, რაც რუსეთის რევოლუციამდელ სოფლის ცხოვრებაში. „დიდად საინტერესოა აღინიშნოს, — წერდა ლენინი, — რომ დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვის შეფარდება მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვთან კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს გ ლ ე ხ ო ბ ი ს დ ა ბ ა ლ ი ჯ გ უ ფ ე ბ ი დ ა ნ უ მ ა ღ ლ ე ს ი ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ა კ ე ნ. დაბალ ჯგუფებში დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვი ყოველთვის აღემატება, და ბევრადაც აღემატება, მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რიცხვს. უმაღლეს ჯგუფებში კი, პირიქით, მოჯამაგირეების დამქირავებელ მეურნეობათა რაოდენობა ზოგჯერ უფრო მეტიც არის, ვიდრე დღიური მუშების დამქირავებელ მეურნეობათა რაოდენობა“[2].

საქართველოს საბჭოთა სოფელში სხვა მომენტებიც, თუ სხვა პირობებიც უწყობენ ხელს აღნიშნული კანონზომიერების წარმოჩენას. საბჭოთა სოფელში 1923 წლიდან ადგილი ჰქონდა დაქირავებული მუშახელის გამოყენების შემცირებას საერთოდ, მიუხედავად მისთვის ხელშემწყობ გარემოებათა არსებობისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

დაქირავებული მუშახელის გამოყენების საერთოდ შემცირება აიხსნება 1923 წლიდან აგრარული რეფორმის „დაკვრითი წესით“ ჩატარებით. გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დამატებით მიიღო მიწა, რის გამოც ის ძველებურად ვერ ქირავდებოდა, ხოლო შეძლებულ გლეხთა და მემამულეთა ნაწილმა, რომელიც მუშახელის ძირითადი დამქირავებელი იყო სოფლად, დაკარგა მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რის გამოც მას ძვე-

[1] «Народное хозяйство Закавказья в цифрах», стр. 148—149.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 111.

ლებურად აღარ სჭირდებოდა მუშახელი, ე. ი. შემცირდა გამქირავებელთა და დამქირავებელთა რაოდენობა, და მაშასადამე, შემცირდა საერთოდ დაქირავებული შრომის გამოყენების პროცენტი საბჭოთა სოფელში.

1923 წლის ჩათვლით, უმიწო და მცირემიწიანი გლეხები ქმნიდნენ სოფლად მუშახელის მუდმივ ბაზარს, საიდანაც შეძლებულ და კულაკურ გლეხურ მეურნეობებს თავისუფლად შეეძლოთ საჭირო მუშახელის მიღება ყოველთვის, წლის ყოველ დროს, ამიტომ ისინი უმეტესად მიმართავდნენ სეზონურად, ერთდროულად, დღიურად დაქირავებას, ვიდრე მუდმივად. ვ. ი. ლენინი სოფლის ბურჟუაზიის დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა მუშების დღიურად დაქირავებას[1]. აგრარული რეფორმის რევოლუციური განხორციელების შემდეგ ვითარება შეიცვალა, სასოფლო-სამეურნეო შრომის ბაზარზე მუშახელის მიწოდება შემცირდა. შეძლებულ და კულაკურ მეურნეობებს ყველა საჭირო შემთხვევაში არ ჰქონდათ საშუალება დაექირავებინათ იაფი მუშახელი, ამიტომ იძულებულნი იყვნენ დაექირავებინათ მუშახელი მუდმივად, რაც ზრდიდა მუდმივდამქირავებელთა რაოდენობას.

მევენახეობის, მეხილეობის, მემინდვრეობისა და მესაქონლეობის რაიონებში პირველი სამი ჯგუფის მეურნეობებში 50 დღეზე მეტი ხანგრძლივობით მუშახელის დაქირავება 1927 წელს 5 პროცენტს არ ასცილებია, 1929 წელს კი — 3 პროცენტს. 50 დღეზე მეტი ხანგრძლივობით მუშახელის დაქირავებას მევენახეობის რაიონში 1927 წელს მიმართავდა წვრილკაპიტალისტურ მეურნეობათა 48,7 პროცენტი, 1929 წელს — 23,6 პროცენტი. მეხილეობის რაიონში — 1927 წელს — 36,6 პროცენტი, 1929 წელს — 5,6 პროცენტი, მემინდვრეობის რაიონში — 1927 წელს — 15,4 პროცენტი, 1929 წელს — არც ერთი, მესაქონლეობის რაიონში — 1927 წელს 46,2 პროცენტი, 1929 წელს — 15,4 პროცენტი. გამონაკლისს შეადგენდა მეთამბაქოეობის რაიონი, სადაც დაქირავებულ მუშახელს დიდი გამოყენება ჰქონდა გლეხთა ყველა სოციალურ ჯგუფში. ამ რაიონში დაქირავებულ მუშახელს ყველაზე ნაკლებად იყენებდნენ პირველი ჯგუფის მეურნეობანი (11,7 პროცენტით) და ყველაზე მეტად — მეოთხე ჯგუფის მეურნეობანი (97,4 პროცენტი). მაგრამ აქაც, ისე როგორც ოთხ პირველ რაიონში, მაქსიმალურად მცირდება ამ ჯგუფის მეურნეობათა მიერ დაქირავებული მუშახელის გამოყენების პროცენტი 1929 წლისათვის[2]. ეს სრულიად კანონზომიერი და, ამდენად, გასაგები მოვლენაა საბჭოთა სოფელში.

ინტერესმოკლებული არ იქნება საბჭოთა სოფლის სრული სოციალ-ეკონომიური დახასიათებისათვის ზოგადად მაინც გადავავლოთ თვალი

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 95.

2 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 306 — 307.

სტატისტიკას გლეხურ მეურნეობაში იჯარის გამოყენების შესახებ.

1927 წლის გამოკვლევის მასალებით მევენახეობის რაიონში პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხური მეურნეობიდან მიწის იჯარით ამღები იყო 19,6 პროცენტი, უკანასკნელი ჯგუფის (შეძლებული, კულაკური) გლეხური მეურნეობიდან — 52,8 პროცენტი. მეხილეობის რაიონში, შესაბამისად — 13,4 და 49,0, მეთამბაქოეობის რაიონში, შესაბამისად — 16,4 და 40,1 და მესაქონლეობის რაიონში, შესაბამისად — 3,2 და 5,2 პროცენტი[1]. ვნახოთ, როგორია მიწის იჯარით გაცემის სურათი იმავე სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. მევენახეობის რაიონში პირველი ჯგუფის გლეხური მეურნეობებიდან მიწის იჯარით გამცემი იყო 39,3 პროცენტი, უკანასკნელი ჯგუფის გლეხური მეურნეობიდან — 29,2; მეხილეობის რაიონში, შესაბამისად — 53,9 და 19,6; მეთამბაქოეობის რაიონში, შესაბამისად — 38,5 და 26,0; მემინდვრეობის რაიონში, შესაბამისად 35,6 და 16,0; მესაქონლეობის რაიონში, შესაბამისად — 4,0 და 21,1 პროცენტი[2].

1929 წლის გამოკვლევის მასალებით ირკვევა, რომ იჯარის აღებასა და გაცემაში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. მევენახეობის რაიონში მიწას იჯარით იღებდა პირველი ჯგუფის მეურნეობათა 23,3 პროცენტი. ამ ჯგუფში მიწის იჯარით ამღებ ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 0,6 ჰექტარი, ამ რაიონში ყველაზე მეტი მიწის იჯარით ამღები მეურნეობა მოდიოდა უკანასკნელ ჯგუფზე, აქ, იგი უდრიდა 69,2 პროცენტს. თითოეულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 1,9 ჰექტარი მიწა. მიწის იჯარით გაცემაში კი, საწინააღმდეგო სურათი გვაქვს. გაცემის ყველაზე მეტი პროცენტი — 39,0 — მოდიოდა პირველ ჯგუფზე, სადაც ერთ მეურნეზე გაცემა მოდიოდა 0,72 ჰექტარის რაოდენობით; იჯარით გაცემა ყველაზე ნაკლები მოდიოდა უკანასკნელ ჯგუფზე — 15,4 პროცენტი, ერთ მეურნეზე მოდიოდა 1,13 ჰექტარი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო მეხილეობის, მემინდვრეობისა და, ნაწილობრივ, მესაქონლეობის რაიონში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მეთამბაქოეობის რაიონი, სადაც, წინააღმდეგ სხვა რაიონებში არსებული მდგომარეობისა, იჯარით მიწის აღებაში ყველაზე უფრო მეტად მონაწილეობდა (11,8 პროცენტი) პირველი ჯგუფის გლეხობა[3], ყველაზე ნაკლებად (8,2

---

[1] არ. რ უ ხ ა ძ ე, კერძო კაპიტალი და სოციალური წინააღმდეგობანი საქართველოში (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 11—12, გვ. 59).

[2] იქვე, გვ. 60.

[3] მეთამბაქოეობის რაიონში მუშასაქონლით უზრუნველყოფაში დიდი კონტრასტი არ შეიმჩნევა გლეხურ მეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებს შორის, ამიტომ აღნიშნული გამონაკლისის ახსნა შეიძლება, ალბათ, იმ კანონზომიერებითაც, რომელიც ვ. ი. ლენინს

პროცენტი) — უკანასკნელი ჯგუფის გლეხობა. იჯარით მიწის გაცემაში ყველაზე ნაკლებად (5,9 პროცენტი) მონაწილეობდა პირველი ჯგუფის გლეხობა, და ყველაზე მეტად (7,2 პროცენტი) — უკანასკნელი ჯგუფის გლეხობა [1].

მოტანილი ცნობებიდან ვრწმუნდებით, რომ, რაც უფრო წელმაგარი იყო გლეხური მეურნეობანი, მით უფრო მეტი პროცენტი იღებდა მიწას იჯარით და უფრო დიდი რაოდენობითაც — თითოეული მათგანი. მიწის იჯარით გაცემას კი, უფრო მეტად სუსტი, ღარიბი გლეხური მეურნეობანი მიმართავდნენ. ერთი სიტყვით, რაც უფრო წელმაგარი იყო გლეხური მეურნეობანი, მისი მით უფრო მეტი ნაწილი იღებდა მიწას იჯარით და, შესაბამისად, ნაკლები ნაწილი გასცემდა იმავე მიწას იჯარით; რაც უფრო სუსტი იყო გლეხური მეურნეობანი, მისი უფრო მეტი ნაწილი გასცემდა მიწას იჯარით, და, შესაბამისად, ნაკლები ნაწილი იღებდა მიწას იჯარით. ეს კანონზომიერება ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ რევოლუციამდელი რუსეთის სოფლის მეურნეობაში შენიშნა. „რაც უფრო შეძლებულია გლეხობა, მით უფრო მ ე ტ მიწას იღებს ის იჯარით, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, რომ ის სანადელო მიწით უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი“ [2].

საბჭოთა სოფლის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის, გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესის შედარებით სწორი და უტყუარი სურათის შესადგენად საჭიროა „მისი განხილვა კიდევ მეორე მხრით— გლეხური ბიუჯეტების შესახებ ყველაზე უფრო კონკრეტული ცნობების მიხედვით“ [3]. ამის შემდეგ საშუალება გვექნება ბიუჯეტის ცნობები შევუდაროთ ზემოთ გარჩეულ კომლობრივი აღწერის ცნობებს [4]. „ბიუჯეტის ცნობებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ საშუალოთა გამოყვანით გლეხობის ყოველი ცალკე ჯგუფისათვის“[5].

ჩვენც ძირითადად ასე დავამუშავეთ გ ლ ე ხ უ რ ი ბ ი უ ჯ ე ტ ი ს ც ნ ო ბ ე ბ ი.

გლეხურ მეურნეობათა ერთ სულზე შემოსავლის რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებისას პ ი რ ვ ე ლ ჯ გ უ ფ ს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მიაკუთვნა ისეთი გლეხური მეურნეობანი, რომელთა შემოსავლიდან ერთ სულზე მოდიოდა 20 მანეთამდე, მ ე ო რ ე

შეუნიშნავს რუსეთის რევოლუციამდელ სოფელში: „განა თავისთავად ცხადი არ არის, რომ მუშა პირუტყვის თ ა ნ ა ბ ა რ ი რაოდენობის პირობებში, რაც უფრო ნაკლებია საკუთარი მიწა, მით უფრო მეტია იჯარა?“ (თხზულებანი, ტ. 3, გვ. 99).

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 308 — 309.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 96.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 157.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 158.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 159.

ჯგუფს — ისეთი მეურნეობანი, რომელთა შემოსავლიდან ერთ სულზე მოდიოდა 20 მანეთიდან 80 მანეთამდე, ხოლო მესამე ჯგუფს — ისეთი მეურნეობანი, რომელთა შემოსავლიდან ერთ სულზე მოდიოდა 80 მანეთზე მეტი.

ერთ სულზე შემოსავლის რაოდენობის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა პროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ საქართველოში 1926 წელს პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა უდრიდა 51,5 პროცენტს, ე. ი. გლეხური მოსახლეობის ნახევარზე მეტი შედარებით მძიმე პირობებში ცხოვრობდა. 1927 წლისათვის გლეხური მეურნეობის ამ ჯგუფის ეკონომიურ მდგომარეობას ოდნავ გაუმჯობესება დაეტყო. მათი რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ იგი მაინც შეადგენდა 45,0 პროცენტს. მეორე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა 1926 წლის 45,5 პროცენტიდან გაზრდილა და 1927 წელს მიუღწევია 51,0 პროცენტამდე. ასეთივე სურათი იყო მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა განვითარებაში. აქ მათი ხვედრითი წონა 1926 წლის 2,93 პროცენტიდან გაიზარდა 4,0 პროცენტამდე 1927 წელს.

ამრიგად, ერთ მჭამელზე შემოსავლის რაოდენობის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებისას მცირდება გლეხურ მეურნეობათა პირველი ჯგუფის ხვედრითი წონა 6,5 პროცენტით, მეორე ჯგუფის — იმატებს 5,5 პროცენტით, ხოლო მესამე ჯგუფისა—1,07 პროცენტით. მაშასადამე, გლეხურ მეურნეობათა საშუალო მასა (მეორე ჯგუფი) ინტენსიურად იზრდება პირველი ჯგუფის ხარჯზე, უმნიშვნელო ზრდასთან გვაქვს საქმე მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობებში.

განვიხილოთ გლეხურ მეურნეობათა მდგომარეობა პირობითი წმინდა შემოსავლის ნიშნით დაჯგუფების გზით. პირველ რიგში შეიძლება ვიმსჯელოთ 1924 — 25 და 1925 — 26 წლების მონაცემებით[1], და ბოლოს 1929 წლის მონაცემებიც მოვიშველიოთ დინამიკისათვის თვალის გასადევნებლად.

პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხურ მეურნეობათა 1924 — 25 წლის ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეურნეობათა პირობით წმინდა შემოსავალში საკუთარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან (საკუთარი მეურნეობიდან) მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა შეადგენდა 81,9 პროცენტს, 1925—26 წელს კი — 80,0 პროცენტს. ეს შემცირება გამოწვეული უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ღარიბი გლეხობის ერთი ნაწილის მიერ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო

[1] უფრო გვიანდელი პერიოდის შესახებ სათანადო მასალები არ გაგვაჩნია, ამიტომ 1924 — 25 და 1925 — 26 წლების მასალების გამოყენებით ვცდილობთ ვაჩვენოთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო ტენდენცია საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებამდე.

საქმიანობის შეკვეცით, მოჯამაგირეობაზე გადასვლით და სარეწაო საქმიანობის გაფართოებით. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ 1925—26 წელს წინა წელთან შედარებით ღარიბი გლეხის პირობით წმინდა შემოსავალში 1,04 პროცენტით გაზრდილა სამუშაო ძალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა, ხოლო საკუთარი სარეწავიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა — 5,84 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საქონლის იჯარით გაცემიდან 1924 — 25 წელს ღარიბ გლეხურ მეურნეობას არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა, რადგან არ გასცემდა მათ იჯარით, თვითონ იყენებდა, მაგრამ 1925 — 26 წელს ღარიბი გლეხობა იჯარით აძლევდა სამეურნეო ინვენტარსა და საქონელს, ალბათ ღარიბი გლეხობის ნაწილი ხელს იღებდა საკუთარ სამიწათმოქმედო მეურნეობაზე. ასეთი იჯარიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა საერთო პირობით წმინდა შემოსავალში უდრიდა 8,44 პროცენტს.

დასავლეთ საქართველოში საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ: აქ გაიზარდა 1925 — 26 წლის პირობითი წმინდა შემოსავალი საკუთარი მეურნეობიდან, მისი ხვედრითი წონა საერთო შემოსავალში ნაცვლად 1924 — 25 წლის 71,5 პროცენტისა, უდრიდა 77,4 პროცენტს. შემოსავალი სამუშაო ძალის გაყიდვიდან პირობით წმინდა შემოსავალში შემცირდა 14,3 პროცენტიდან 7,1 პროცენტამდე, ასევე შემცირდა შემოსავლის ხვედრითი წონა პირადი სარეწავიდან.

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ჯგუფის გლეხის ბიუჯეტის გასავლის ნაწილი გვიჩვენებს შემდეგ სურათს: 1924 — 25 წლის მთელი გასავლის 59,3 პროცენტი მოდიოდა პირად მოხმარებაზე, მომდევნო 1925 — 26 წელს იგი შემცირდა 0,25 პროცენტით. სამეურნეო მნიშვნელობის სამრეწველო საქონელზე 1924 — 25 წელს გლეხი ხარჯავდა მთელი გასავლის 33,2 პროცენტს, ხოლო მომდევნო 1925 — 26 წელს ეს ხარჯები მცირდება 6,7 პროცენტით. დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს დასავლეთ საქართველოშიც.

ამრიგად, პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა პირობითი წმინდა შემოსავალი აბსოლუტურად გაიზარდა, რაც ამ ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ეკონომიური მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების მაჩვენებელია. რაც შეეხება ამ ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის გასავლის ნაწილს, აქ თვალში გვეცემა ის გარემოება, რომ ღარიბი გლეხი ხარჯავდა პირობითი წმინდა შემოსავლის ძირითად ნაწილს პირად მოხმარებაზე, მცირე ნაწილს — დაგროვებასა და წარმოების საშუალებათა გაფართოებაზე. როგორც ჩანს, საბჭოთა სოფელში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ის კანონზომიერება, რაც ვ. ი. ლენინმა აღნიშნა რევოლუციამდელი რუსეთის სოფლის მეურნეობაში. ის ფაქტი, რომ „მთელ პირად მოხმა-

რებაზე გასავლის ფულადი ნაწილი ყველაზე მეტია დ ა ბ ა ლ ჯგუფებში („ა" ჯგუფში ფულადი ხარჯი შეადგენს მთელი ხარჯის თითქმის ნახევარს), მაშინ როცა უმაღლეს ჯგუფებში ფულადი გასავალი მაღლა არ იწევს და შეადგენს მხოლოდ ერთ მესამედამდე... უმაღლეს ჯგუფებში ფ უ ლ ა დ ი გასავალი უნდება უმთავრესად წ ა რ მ ო ე ბ ი თ ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს (მეურნეობის გასავალი), მაშინ როცა დაბალ ჯგუფებში — პ ი რ ა დ მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ს"[1].

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი ს (საშუალო) გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ აქაც გაზრდილა პირობითი წმინდა შემოსავალი, რაც მათი საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების თანაფარდობაც.

როგორც პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობებში, აქაც მნიშვნელოვანი იყო შემოსავლის ხვედრითი წონა სოფლის საკუთარი მეურნეობიდან. იგი უდრიდა მთელი შემოსავლის 80 — 86 პროცენტს. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ არასასოფლო-სამეურნეო შემოსავალი აღემატება მიწათმოქმედებიდან მიღებულ მთლიან შემოსავალს გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ უკიდურეს (პირველი და მესამე) ჯგუფებშიო[2], ე. ი. სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის ხვედრითი წონა ყველაზე მეტი ყოფილა საშუალო (მეორე) ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

მეორე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტში სამუშაო ძალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა 1925 — 26 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულა 10,5 პროცენტიდან 8,3 პროცენტამდე, მაშინ როდესაც იგი მნიშვნელოვან ზრდას უჩვენებს პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხურ მეურნეობაში.

მეორე ჯგუფის (საშუალო) გლეხური მეურნეობის ბიუჯეტში სამუშაო ძალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონის შემცირება საშუალო გლეხობის სამეურნეო-ეკონომიური მოღონიერების მაჩვენებელია. ამასვე ადასტურებს მუშასაქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გაქირავების ფაქტი.

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს ღარიბი გლეხებიც აქირავებდნენ, იმიტომ, რომ უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ მათ განკარგულებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გაქირავება და საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა. საშუალო გლეხი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს აქირავებდა უმთავრესად იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3. გვ. 177.
[2] ვ ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 162.

ტარით მისი მეურნეობა უფრო უზრუნველყოფილიყო, ვიდრე ღარიბი გლეხური მეურნეობა.

აღმოსავლეთ საქართველოში, ისე როგორც დასავლეთ საქართველოში, სამეურნეო საჭიროებაზე, ე. ი. დაგროვებასა და წარმოების საშუალებათა წარმოებაზე, ხარჯები ორივე (პირველ და მეორე) ჯგუფში შეადგენდა მთელი ხარჯების 30 პროცენტს, როგორც 1924 — 25, ისე 1925 — 26 წლებში. მაგრამ მთელი ხარჯებიდან სამეურნეო ხარჯებისათვის 30 პროცენტის გადადება მეორე ჯგუფის (საშუალო) გლეხურ მეურნეობაში ნიშნავდა გარკვეულ დაგროვებას და მეურნეობის ერთგვარ ინტენსიფიკაციას, რადგან საშუალო გლეხური მეურნეობა საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო წარმოების საკუთარი საშუალებებით. მაგრამ პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხურ მეურნეობას საერთო ხარჯებიდან სამეურნეო ხარჯებისათვის 30 პროცენტის გამოყოფის შემთხვევაში არ შეეძლო რამდენიმედ მნიშვნელოვანი დაგროვება და მეურნეობის ოდნავი ინტენსიფიკაციაც კი, რადგან ღარიბ გლეხურ მეურნეობაში ადგილი ჰქონდა წარმოების საკუთარ საშუალებათა ქრონიკულ ნაკლებობას და, საერთოდ, დეფიციტს. ამრიგად, ღარიბი გლეხური მეურნეობისაგან განსხვავებით, დაგროვებას ადგილი ჰქონდა საშუალო გლეხურ მეურნეობაში, მაგრამ ეს დაგროვება მისთვის უზრუნველყოფდა მეურნეობის მხოლოდ უდეფიციტო წარმართვას.

მ ე ს ა მ ე ჯ გ უ ფ ი ს (შეძლებულ) გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ ჯგუფში კიდევ უფრო გაზრდილა პირობითი წმინდა შემოსავალი (იგი აღმოსავლეთ საქართველოს შეძლებულ გლეხთა მეურნეობაში უფრო მეტი იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოს იმავე ტიპის მეურნეობაში). ეს გარემოება ამ ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა ეკონომიური სიმძლავრის ზრდაზე მიუთითებს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების თანაფარდობაც. შეძლებული გლეხის მთელ პირობით წმინდა შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შემოსავალს სოფლის საკუთარი მეურნეობიდან. იგი 86 — 96 პროცენტს უდრიდა ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში. სამუშაო ძალის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა შეძლებულ გლეხურ მეურნეობაში კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობაში. მისი ხვედრითი წონა აღმოსავლეთ საქართველოში 1924 — 25 წელს უდრიდა 2,2 პროცენტს, 1925 — 26 წელს — 2,3, დასავლეთ საქართველოში, შესაბამისად — 1,5 და — 2,9 პროცენტს[1]. როგორც ვხედავთ, სამუშაო ძალის გაყიდვიდან მიღებული

[1] კულაკური მეურნეობიდან საშუალოდ ერთ მეურნეზე წლის განმავლობაში მოდიოდა გარე, ანუ არასამიწათმოქმედო სამუშაოდ 5 დღე, რაც მას აძლევდა 20 მანეთის შემოსავალს (შრომადღის ღირებულება უდრიდა 4 მანეთს), საშუალო გლეხური

შემოსავლის ხვედრითი წონა ყველაზე მეტია პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობაში, ყველაზე ნაკლები კი მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობაში. აქ თვით ქირაობენ მუშახელს, წარმოების გაფართოების მიზნით. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სოფლად გლეხური მეურნეობის სასაქონლო-ფულადი ხასიათი ყველაზე მეტადაა გამოხატული პირველი და მესამე ჯგუფის მეურნეობებში. „ორივე ცხოვრობს, უმთავრესად, საქონლის გაყიდვით, ოღონდ ერთისათვის ასეთ საქონელს წარმოადგენს მისი სამუშაო ძალა, ხოლო მეორისათვის — პროდუქტი, რომელიც გასაყიდად შექმნილია დაქირავებული შრომის მნიშვნელოვანი გამოყენებით“ [1].

გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის ანალიზმა აგრეთვე გვიჩვენა, რომ მუშა საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა პირობით წმინდა შემოსავალში ყველაზე მეტი იყო პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობაში და ყველაზე ნაკლები მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობაში. ამ უკანასკნელი ჯგუფის მეურნეობაში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა იმდენად დიდი იყო, ე. ი. მეურნეობა იმდენად მძლავრი იყო, რომ მუშა საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა უმნიშვნელო ადგილს იკავებდა საერთო პირობით წმინდა შემოსავალში.

მესამე ჯგუფის (შეძლებული) გლეხური მეურნეობის ბიუჯეტის გასავლის ნაწილი რამდენადმე თავისებური შედგენილობისაა. ამ ჯგუფის მეურნეობაში პირად მოხმარებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა საერთოდ ნაკლები იყო, ვიდრე საშუალო შეძლების გლეხურ მეურნეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ასე იყო რევოლუციამდელი რუსეთის სოფელშიც, რაზედაც თავის დროზე გაამახვილა ყურადღება ვ. ი. ლენინმა. სოფლის პროლეტარები, როგორც ლენინი წერდა, ყიდულობდნენ უფრო მეტს, თუმცა ხმარობდნენ უფრო ნაკლებს, ვიდრე სოფლის ბურჟუაზია და საშუალო გლეხი [2]. „სოფლის პროლეტარი, საშუალო გლეხთან შედარებით, — წერდა ლ ე ნ ი ნ ი, — უფრო ნ ა კ ლ ე ბ ს ხ მ ა რ ო ბ ს, ამასთან ხმარობს უარესი ღირსების პროდუქტებს, ...მ ა გ რ ა მ მ ე ტ ს ყ ი დ უ ლ ო ბ ს“[3].

შეძლებულ გლეხურ მეურნეობაში პირად მოხმარებაზე გაწეული

მეურნეობიდან — 16 სამუშაო დღე, რაც მას აძლევდა 40 მანეთის შემოსავალს (შრომადღის ღირებულება უდრიდა 2,8 მანეთს); ღარიბი გლეხური მეურნეობიდან — 70 სამუშაო დღე, რაც მას აძლევდა 18 მანეთის შემოსავალს, შრომადღის ღირებულება უდრიდა 0,25 მანეთს (იხ. „თბილისის მაზრის გლეხის ბიუჯეტი 1924 — 1925 წწ.“, თბ., 1927].

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 165.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, 3, გვ. 176.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 196 — 197.

ხარჯების მცირე ხვედრითი წონა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმით, რომ შეძლებული მეურნეობა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობასთან შედარებით თავიანთი ბიუჯეტის გასავლის ნაწილში საკმაოდ მსხვილ თანხებს გამოყოფდნენ სამუშაო ძალის დასაქირავებლად, რათა გაედიდებინათ მეურნეობის წარმადობა და შეექმნათ შემდგომი სამეურნეო დაგროვებისათვის მტკიცე ბაზა.

დასასრულ, გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტის ანალიზმა გვიჩვენა აგრეთვე ისიც, რომ პირობითი წმინდა შემოსავალი სამივე ჯგუფის გლეხურ მეურნეობებში მნიშვნელოვნად გაზრდილა. გარდა ამისა, ყველაზე ჩქარი ტემპით გაზრდილა პირველი ჯგუფის (ღარიბ) გლეხურ მეურნეობებში, ყველაზე ნელი ტემპით — მესამე ჯგუფის (შეძლებულ) გლეხურ მეურნეობებში (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

გლეხურ მეურნეობათა პირობით წმინდა შემოსავლის ზრდა 1925 — 26 წელს წინა წელთან შედარებით (%-ობით)

გლეხურ მეურნეობათა ჯგუფები	აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო
I ჯგუფი	62,3	71,1
II ჯგუფი	59,9	45,3
III ჯგუფი	39,9	32,9

ზემომოტანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ წმინდა პირობითი შემოსავალი იზრდება გლეხური მეურნეობის ყველა ჯგუფში და ორივე სასოფლო-სამეურნეო რაიონში, ამასთან, ზრდა უკუპროპორციულია მეურნეობის სიმძლავრისა, ე. ი. რაც უფრო მსხვილი და მძლავრია მეურნეობა, მით უფრო დაბალია წმინდა პირობითი შემოსავლის ზრდის ტემპი. ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ ხელისუფლების ეფექტური მხარდაჭერით წლითიწლობით უმჯობესდებოდა მცირე და საშუალო შეძლების გლეხური მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა და იზღუდებოდა შეძლებულ, კულაკურ მეურნეობათა განვითარება.

გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტი, რომლის ზოგადი ანალიზი ზემოთ იყო მოცემული, ემყარებოდა მხოლოდ ორი ძირითადი სამეურნეო რაიონის (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს) მონაცემებს. ამის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია ისევ მოკლედ და ზოგადად განვიხილოთ 1925 — 26 წლის გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტი, რომელიც ემყარება 9 სასოფლო-სამეურნეო რაიონის მონაცემს.

საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 1925 — 26 წლის ბიუჯეტის შესწავლის მიზნით საქართველოს მთელი ტერიტორია დაყვეს 9 სასოფ-

ლო-სამეურნეო რაიონად მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის მიხედვით. თითოეულ რაიონში შეისწავლეს რამდენიმე გლეხური მეურნეობა და პირობითი წმინდა შემოსავლის მიხედვით დაყვეს სამ ჯგუფად, ღარიბ, საშუალო და შეძლებულ გლეხურ მეურნეობად. ამ უკანასკნელში მოაქციეს კულაკური მეურნეობანიც ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონისა, უფრო მეტიც, ყოველ ჯგუფში შესწავლილია მეურნეობათა სხვადასხვა რაოდენობა, რაც უდავო ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამ მდგომარეობას ოდნავ ამსუბუქებს წმინდა შემოსავლის გაანგარიშება ერთ სულზე, რაც ბიუჯეტის შემდგენთ მოუციათ.

საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 1925—26 წლის ბიუჯეტის მოკლე ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი:

1. სასოფლო-სამეურნეო რაიონების ერთ ნაწილში გლეხურ მეურნეობათა უმეტესობას მოხმარებითი ხასიათი ჰქონდა. ასეთ სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ: ა) მემინდვრეობა-სუბტროპიკების (აჭარა, გურია), ბ) მემინდვრეობა-მეამბრეშუმეობის (ქუთაისის, სენაკის მაზრა), გ) მემინდვრეობა-მეცხოველეობის (ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკის მაზრა) სამეურნეო რაიონები. აქ გლეხურ მეურნეობათა საბაზრო ბრუნვაში შესყიდვა სჭარბობდა გაყიდვას.

2. სასოფლო-სამეურნეო რაიონების მეორე ნაწილში გლეხური მეურნეობები უფრო მეტად სასაქონლო ხაზით განვითარებულან. ასეთ სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ: ა) მევენახეობა-მეღვინეობის (კახეთი), ბ) მემინდვრეობის (გორის მაზრა), გ) მესაქონლეობის (მთიულეთი), დ) მევენახეობა-მეღვინეობის (იმერეთი), ე) მეთამბაქოეობის (აფხაზეთი) სამეურნეო რაიონები. აქ გლეხურ მეურნეობათა საბაზრო ბრუნვაში გაყიდვა სჭარბობდა შესყიდვას.

მთლიანად თუ განვიხილავთ ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონის გლეხურ მეურნეობათა მონაწილეობას საბაზრო ბრუნვაში, იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: საქართველოს გლეხობა საბაზრო ბრუნვაში 1925—26 წელს მონაწილეობდა უმთავრესად როგორც გამყიდველი, მიმწოდებელი, ვიდრე მყიდველი.

3. სოფლის საკუთარი მეურნეობიდან ყველაზე ნაკლებ შემოსავალს ღებულობდა პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხური მეურნეობა, ყველაზე მეტს — მესამე ჯგუფის (შეძლებული, კულაკური) მეურნეობა.

4. სოფლის მეურნეობის გარეშე შემოსავალს ყველაზე დიდი ადგილი ეკავა პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხურ მეურნეობაში, ყველაზე ნაკლები — მესამე ჯგუფის (შეძლებული, კულაკური) მეურნეობაში.

5. პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხური მეურნეობის საბაზრო ბრუნვაში შესყიდვაზე უფრო დიდი პროცენტი მოდიოდა, ვიდრე გაყიდვაზე. ამის შემდეგ მოდიოდა მეორე ჯგუფის (საშუალო, გლეხური მეურნეობა)

და, ბოლოს, ამ მხრივ უკანასკნელ ადგილზე იყო მესამე ჯგუფის (შეძლებული, კულაკური) მეურნეობა.

6. პირველი და მესამე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა შესყიდვაში ძალიან მცირე პროცენტი მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეძენაზე, ყველაზე მეტი — მეორე ჯგუფის გლეხურ მეურნეობაზე.

7. გლეხურ მეურნეობათა მიმდინარე ხარჯებში სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების პროცენტი თითქმის ერთნაირია გლეხურ მეურნეობათა ყველა ჯგუფში. რიგ შემთხვევებში კი, პირველი ჯგუფის გლეხური მეურნეობანი ამ მხრივ აჭარბებენ სხვებს.

ვ. ი. ლენინი, იკვლევდა რა რევოლუციამდელი რუსეთის სოფლის სოციალურ სტრუქტურას, გლეხობის პროლეტარიატად და ბურჟუაზიად დიფერენცირების ერთ-ერთ ნიშნად თვლიდა თითოეული ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა გასავლის საერთო ჯამში მეურნეობაზე გაწეული ხარჯების ოდენობას[1]. რევოლუციამდელ რუსეთში გლეხურ მეურნეობათა ცალკეული ჯგუფების მიერ მეურნეობაზე გაწეული ხარჯები მეტისმეტად კონტრასტული იყო, რაც აღნიშნულ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავების ერთ-ერთი ფაქტორიც კი იყო. მაგრამ ეს — რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა წყობილების პირობებში „გლეხობა წინანდელზე გაცილებით უფრო საშუალო გახდა, წინააღმდეგობანი შენელდა, მიწით სარგებლობა გაცილებით უფრო გათანაბრებულია, კულაკს ფრთები შეეჭრა... მაგრამ საერთოდ და მთლიანად... მოხდა სოფლის განიველირება, გათანასწორება, ე. ი. შენელდა მკვეთრი დაყოფა კულაკად და უყანო გლეხად. ყველაფერი უფრო თანაბარი შეიქნა, გლეხობა საერთოდ საშუალო გლეხის მდგომარეობაში აღმოჩნდა“ [2]. ვ. ი. ლენინი ამით არ შლიდა ზღვარს გლეხურ მეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ასე მაგალითად, განხილული ბიუჯეტიდან ჩანს, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში პირველი ჯგუფის გლეხურ მეურნეობებს ყველაზე ნაკლები ჰქონდათ სახნავ-სათესი, ნაკლები ჰყავდათ ან სულ არ ჰყავდათ ცოცხალი გამწევი ძალა და, ამის შესაბამისად, შემოსავალიც ნაკლები ჰქონდათ, ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონდათ მესამე ჯგუფის (შეძლებულ, კულაკურ) გლეხურ მეურნეობებს. აქედანაც ჩანს ღარიბ გლეხურ მეურნეობათა არარენტაბელობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საქონლიანობის დონე ძალიან ნელი ტემპით იზრდებოდა [3]; ამას ცხადყოფს აგრეთვე საბაზრო ბრუნვაში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 262.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 262.

[3] საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1925—26 წელს შეადგენდა 257 260 ათას მანეთს, აქედან სასაქონლო ნაწილზე მოდიოდა 68 722 ათასი მან. (26 პროც.); 1926—27 წელს — შესაბამისად — 272 820 ათასი მან. და

სამივე ჯგუფის გლეხურ მეურნეობათა მონაწილეობის ხარისხი, მოცულობა თუ დონე. ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, რომელიც შედგენილია გლეხური ბიუჯეტების მასალების საფუძველზე [1].

ცხრილი 4

გლეხურ მეურნეობათა მონაწილეობა საბაზრო ბრუნვაში (%-ობით)

გლეხურ მეურნეობათა ჯგუფები	მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გაყიდვაში	მონაწილეობა სამრეწველო და სხვა საქონლის შესყიდვაში
I ჯგუფი	12,3	17,8
II ჯგუფი	28,3	31,5
III ჯგუფი	59,4	50.7

ამრიგად, საბაზრო ბრუნვაში მთავარ როლს შეძლებული გლეხი (მათ შორის კულაკი) თამაშობდა. ამიტომ კულაკის მიმართ საბჭოთა ხელისუფლება სჯერდებოდა მის შეზღუდვას მხოლოდ ეკონომიური ხასიათის ღონისძიებებით.

გლეხურ მეურნეობათა როგორც კომლობრივი აღწერის, ისე საბიუჯეტო მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გლეხურ მეურნეობათა დახასიათება ნათესი ფართობის, მუშა საქონლის, საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფის, იჯარის, სამუშაო ძალისა და საწარმოო საშუალებათა დაქირავება-გაქირავების, პირობითი წმინდა შემოსავლისა და საბაზრო ბრუნვაში მონაწილეობის ნიშნის მიხედვით, გვიჩვენებს, რომ საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მის კლასობრივ დიფერენციაციას უმთავრესად უკიდურეს ჯგუფებში.

გლეხურ მეურნეობათა აღნიშნულ დამახასიათებელ ნიშანთა გათვალისწინებამ ძირითადად დაადასტურა საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა სოციალური ჯგუფებისა გლეხობაში. როგორც ცნობილია, საქართველოს ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სპეციალური გამოკვლევის შედეგად საქართველოს გლეხური მეურნეობანი პირობითი წმინდა შემოსავლის საფუძველზე დაყო სამ ქონებრივ ჯგუფად: პ ი რ ვ ე ლ ქ ო ნ ე ბ-

---

76 202 ათასი მან. (27,9 პროც.); 1927 — 28 წელს — 252 010 ათასი მან. და 70 994 ათასი მან. (28,1 პროც.) და 1928 — 29 წელს — 268 220 ათასი მან. და 75 207 ათასი მან. (28,4 პროც.) (იხ. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1929, № 1).

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921 — 1925 წწ.), გვ. 355 — 356.

რ ი ვ ჯ გ უ ფ ს (ღარიბ გლეხთა კატეგორიას) მიაკუთვნა ის გლეხური მეურნეობანი, რომელთაც 100 მანეთამდე ჰქონდათ შემოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში, 75 მანეთამდე კი დასავლეთ საქართველოში. მეორე ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ჯ გ უ ფ ს (საშუალო გლეხთა კატეგორიას) მიაკუთვნა ის გლეხური მეურნეობანი, რომელთაც 500 მანეთამდე ჰქონდათ შემოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში, 350 მანეთამდე კი დასავლეთ საქართველოში. ხოლო მ ე ს ა მ ე ქ ო ნ ე ბ რ ი ვ ჯ გ უ ფ ს (შეძლებულ, მათ შორის კულაკურ ან, უმთავრესად, კულაკურ) მიაკუთვნა ის გლეხური მეურნეობანი, რომელთაც შემოსავალი ჰქონდათ 500 მანეთზე ზევით აღმოსავლეთ საქართველოში და 350 მანეთზე ზევით — დასავლეთ საქართველოში[1].

საქართველოს მთელ გლეხურ მეურნეობებს თუ ამ ნიშნით დავაჯგუფებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: საქართველოში მთელი გლეხური მეურნეობის (432617) 32,1 პროცენტს შეადგენდა ღარიბი გლეხური მეურნეობანი, ისინი მოიცავდნენ მთელი მოსახლეობის 24,3 პროცენტს, საშუალოდ თითო მეურნეობაზე მოდიოდა 3,9 სული. მთელი გლეხური შემოსავლის მხოლოდ 10,1 პროცენტი მოდიოდა გლეხთა ამ (ღარიბთა) კატეგორიაზე. საშუალო გლეხური მეურნეობანი შეადგენდნენ 62,9 პროცენტს, ისინი აერთიანებდნენ მთელი მოსახლეობის 67,5 პროცენტს, გლეხობის ამ კატეგორიაზე მოდიოდა მთელ გლეხურ მეურნეობათა შემოსავლის 68,3 პროცენტი. შეძლებულ (კულაკურ) გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წონა შეადგენდა 5,0 პროცენტს, იგი მთელი მოსახლეობის 8,2 პროცენტს მოიცავდა, თითო მეურნეობაზე საშუალოდ 8,6 სული მოდიოდა და გლეხთა ამ კატეგორიას მთელი გლეხური შემოსავლის 21,6 პროცენტი ეკუთვნოდა[2].

ამრიგად, ღარიბი და უღარიბესი გლეხური მეურნეობანი წარმოადგენდნენ მთელ გლეხურ მეურნეობათა ერთ მესამედზე ცოტა ნაკლებს, მაგრამ მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა მთელ გლეხურ მეურნეობათა საერთო შემოსავლის მხოლოდ ერთ მეათედს.

საქართველოს გლეხურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობა წარმოადგენდა წვრილსაქონელმწარმოებელს — საშუალო გლეხობას, იგი მთელ გლეხურ მეურნეობათა 62,9 პროცენტს შეადგენდა. დაახლოებით ასეთივე ან ცოტათი მეტი (68,3 პროცენტი) იყო მისი შემოსავლის ხვედრითი წონა საერთო გლეხურ შემოსავალში. მაგრამ სულ სხვა სურათი გვაქვს კულაკურ-გლეხურ მეურნეობებთან. ისინი მთელ გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ მათი შემოსავლის ხვედრითი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3092, ფურც. 194 — 197.

[2] იქვე.

წონა საერთო გლეხურ შემოსავალში თითქმის 22 პროცენტს შეადგენდა.

ამრიგად, 1929 წლისათვის საქართველოში კულაკურ მეურნეობათა რაოდენობა მერყეობდა 2,8 პროცენტიდან 5 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა, მათი როგორც ეკონომიური ფაქტორის როლი, მაშინ ჯერ კიდევ საგრძნობი იყო ქართულ სოფელში. 1929 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მასა, მართალია, საშუალო გლეხობის ხელში იყო[1], მაგრამ კულაკობას ჯერ კიდევ შეეძლო სამჯერ მეტი სასაქონლო პროდუქციის მოცემა, ვიდრე საშუალო გლეხობას; საშუალო გლეხობისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რაზედაც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ძალაშია საბჭოთა სოფლის მიმართაც. ეს თავისებურება ის არის, რომ იგი, საშუალო გლეხობა, განირჩეოდა და „განირჩევა სასაქონლო მეურნეობის ყველაზე ნაკლები განვითარებით"[2].

1. ამრიგად, შესაძლებელი ხდება საქართველოს სოფელში ცალკეული სოციალური ფენებისა და კლასების ხვედრითი წონის მიახლოებითი განსაზღვრა: სოფლის პროლეტარიატი, ანუ უღარიბესი გლეხობა შეადგენდა მთელი გლეხური მოსახლეობის 7,7 პროცენტს, ნახევრად პროლეტარიატი, ანუ ღარიბი გლეხობა — 22,2 პროცენტს, წვრილსაქონელმწარმოებლები, ანუ საშუალო გლეხობა — 66,6 პროცენტს (მათ შორის შეძლებულები — 5,1 პროცენტს) და, ბოლოს, წვრილკაპიტალისტური მეურნეობა — 2,8 პროცენტს[3].

2. საქართველოს საბჭოთა სოფელში სოციალისტური რეკონსტრუქციის დაწყებამდე გლეხობაში მიმდინარე სოციალური დიფერენციაცია არსებითად განსხვავდებოდა რევოლუციამდელ სოფელში მიმდინარე სოციალური დიფერენციაციისაგან: იქ გლეხობის საშუალო ფენა იშლებოდა ორ უკიდურეს ფენად, რასაც ვ. ი. ლენინმა „განგლეხების პროცესი" უწოდა. აქ, საბჭოთა სოფელში კი გლეხობის საშუალო ფენა იზრდებოდა უკიდურესი ფენების ხარჯზე, მიმდინარეობდა „განგლეხების" საწინააღმდეგო მოვლენები, რასაც ჩვენ „გაგლეხებისპროცესს" ვუწოდებთ[4].

3. მესამე ჯგუფის (შეძლებული, კულაკი) გლეხები, მათ განკარგულებაში არსებული დიდძალი წარმოების საშუალებათა და დაგროვების სათანადო ფონდების გამოყენების გზით რენტაბელურად წარმართავდნენ

---

[1] Р. Кочламазашвили, Социально-экономический характер крестьянских хозяйств в Грузии. 1921—1929 гг. (автореферат к. д.).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 196.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3092, ფურც. 241 — 242.

[4] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921 — 1925 წწ.), გვ. 345.

საკუთარ მეურნეობას; უზრუნველყოფდნენ მეურნეობის არა მარტო უდეფიციტო, არამედ გაფართოებულ კვლავწარმოებასაც, ე. ი. არსებობდა ეკონომიური პირობები ღარიბი და საშუალო გლეხობის ხარჯზე შეძლებულ, კულაკურ მეურნეობათა ზრდა-გაფართოებისათვის. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა საიმედოდ იზღუდებოდა, აქ გადამწყვეტი ფაქტორი იყო კულაკობის შეზღუდვის საბჭოთა პოლიტიკა.

4. მეორე ჯგუფის (საშუალო) გლეხის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა დაგროვებას, მაგრამ ეს დაგროვება მისთვის უზრუნველყოფდა მეურნეობის მხოლოდ უდეფიციტოდ წარმართვას. ეს კი მხოლოდ დროებითი ხასიათის მოვლენა იყო. ამ კატეგორიის გლეხური მეურნეობის ბიუჯეტი უმეტეს შემთხვევაში არ იძლეოდა გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობას.

5. პირველი ჯგუფის (ღარიბი) გლეხურ მეურნეობებში კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა. ისინი ძლივძლივობით ბოგინობდნენ, არარენტაბელურნი, ზოგჯერ დეფიციტურნიც იყვნენ და, საერთოდ, გაფართოებული კვლავწარმოების არავითარ პერსპექტივას არ ამჟღავნებდნენ. წვრილ, ინდივიდუალურ მეურნეობად მათ დიდხანს დარჩენა აღარ შეეძლოთ. როგორც ცნობილია, „ახალი ეკონომიური პოლიტიკით შექმნილ სამეურნეო ურთიერთობას, რომელიც აძნელებს ხელმოკლე გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილის განვითარებას და იწვევს მათი სხვა ნაწილის გაღარიბებას, იქითკენ მივყავართ, რომ ძლიერდებიან უმთავრესად საშუალო და შეძლებული მეურნეობანი"[1]. ამიტომ ღარიბი გლეხობისათვის და, საერთოდ, სოფლის მეურნეობისათვის ერთადერთი გამოსავალი იყო: ჯ ე რ ე რ თ ი, მანქანათმშენებლობის, ინდუსტრიის განვითარების შედეგად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით სოფლის შეიარაღება და, მ ე ო რ ე, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა საკოლმეურნეო წყობილების რელსებზე. ქვეყნად არსებული ვითარება გადაუდებლად მოითხოვდა სოფლის მეურნეობის როგორც ტექნიკურ, ისე სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

§. 3. საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი

საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდა 1927 — 1928 წლებში განაპირობეს პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განვითარებისათვის. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაფართოვდა მსხვილი მრეწველობის პროდუქციის, მათ შორის, მანქანათმშენებლობის

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 964.

ნაწარმის გამოშვება, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა წარმოება. ინდუსტრიის სწრაფმა აღმავლობამ და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაფართოებამ შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარება ახალ ტექნიკურ ბაზაზე. სამიწათმოქმედო მარტივი მანქანების, აგრეთვე ინვენტარის წარმოება რამდენადმე გაფართოვდა საქართველოშიც. რესპუბლიკის მანქანათმშენებლობამ დიდ წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი მანქანების წარმოების დარგში. ამის შედეგად თანდათანობით გაფართოვდა და გაძლიერდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მშრომელ გლეხობას, საერთოდ სოფლის მეურნეობას, ამ დარგის სწრაფი განვითარებისათვის, სოფლად სოციალისტური ყლორტების ზრდისა და გავრცელებისათვის. მუშათა კლასის ფართო სახელმწიფოებრივმა დახმარებამ სახსრების, ტექნიკისა და კადრების სახით დიდი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდისა და ფართო იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად თანდათანობით იზრდებოდა გლეხური მასების თვითმოქმედება, ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, სოფლად ახალი წარმოებითი ურთიერთობის შექმნისათვის. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1927 — 1928 წლებში თანდათანობით იქმნებოდა იდეოლოგიური და მატერიალური წანამძღვრები საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი გარდაქმნისათვის.

XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარეობდა სოფლის სოციალური და ტექნიკური რეკონსტრუქცია, ხოლო ამის საფუძველზე — თანდათანობით იზრდებოდა გლეხური მასების ლტოლვა კოლექტიური, საზოგადოებრივი შრომისაკენ, რაც ნათლად გამოჩნდა კოლექტიურ მეურნეობათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდით.

საქართველოში თუ 1925 წლის ოქტომბრისათვის არსებობდა 17 კოლექტიური მეურნეობა, 1926 წლის იმავე დროისათვის — 32, 1927 წლის ოქტომბრისათვის კი, უკვე 85 კოლმეურნეობა იყო. აქედან არტელი იყო 19, კომუნა — 7, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა — 59. კოლმეურნეობებში შეკავშირებული იყო 1454 გლეხური მეურნეობა, მათ შორის არტელებში — 157, ამხანაგობებში კი — 1195 მეურნეობა.

კოლმეურნეთა შორის სისტემატურად იზრდებოდა საშუალო გლეხთა რაოდენობა და, შესაბამისად, მისი ხვედრითი წონაც. აღსანიშნავია, რომ საშუალო გლეხები თანდათანობით უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენდნენ არტელებში გაერთიანებისადმი. თუ 1925 — 1926 წლებში საშუალო

გლეხთა რაოდენობა საერთოდ კოლმეურნეობებში ერთეულებით განისაზღვრებოდა, 1926 წლის დამლევიდან აშკარად ჩანს მათი რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით არტელებში, სადაც საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა თითქმის 37 პროცენტს აღემატებოდა. ასეთი ფარდობა არც ისე მცირე იყო იმ დროისათვის.

თანდათანობით იზრდებოდა არტელების საწარმოო-ტექნიკური ბაზაც. 1927 წლის ოქტომბრისათვის მათ მუშა საქონლის, ძროხებისა და წვრილი ინვენტარის გარდა, ჰქონდათ ექვსი ტრაქტორი, სამ-სამი ტრიერი და სალეწი მანქანა, 32 გუთანი და სხვ.[1] ამრიგად, არტელები უკვე იმ პერიოდში ტექნიკითა და მუშა საქონლით არც ისე ცუდად იყვნენ უზრუნველყოფილი — ყოველ სამ არტელზე მოდიოდა ერთი ტრაქტორი. ტექნიკის მხრივ უფრო ნაკლებად იყვნენ აღჭურვილნი მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობები, რომელთაც სულ ჰქონდათ ხუთი ტრაქტორი, ერთი კულტივატორი, სამი ტრიერი და მარტივი გლეხური ინვენტარი.

მაშასადამე, საქართველოში კოლმეურნეობათა რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში ხუთჯერ გაიზარდა და ამის შედეგად გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის დონეც — 0,1-დან — 0,32 პროცენტამდე 1927 წელს[2]. კოლმეურნეობათა რაოდენობა გადიდდა ავტონომიურ რესპუბლიკებშიც—აფხაზეთსა და აჭარაში. მიუხედავად ამისა, 1927 წელს კოლექტივიზაციის დონე საქართველოში მაინც დაბალი იყო. საკოლმეურნეო მშენებლობა განსაკუთრებით ჩამორჩებოდა სამხრეთ ოსეთში[3].

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა 1928 წლიდან უფრო გაფართოვდა, განსაკუთრებით შემოდგომიდან, როდესაც მთელ რესპუბლიკაში უფრო ფართოდ გაიშალა ბრძოლა საკ. კპ (ბ) XV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებისათვის. 1927 წლის ოქტომბრისათვის, როგორც აღინიშნა, საქართველოში არსებობდა 85 კოლმეურნეობა, 1928 წელს კი უკვე 239, რომლებშიც გაერთიანებული იყო 3574 გლეხური მეურნეობა, ე. ი. კოლექტივიზაციის დონე 0,32 პროცენტიდან გაიზარდა 0,9 პროცენტამდე. თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ 15 მეურნეობა და 12 ჰექტარი ნათესი მიწა[4].

კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობიდან სასოფლო-სამეურნეო

---

[1] თ. ე ღ ე ნ ტ ი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, გვ. 114.

[2] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის“, გვ. 65.

[3] «Колхозы Грузии», Тиф., 1930, стр. 79.

[4] Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции», стр. 114, 133; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 647, ფურც. 74—76; სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 1972, ფურც. 1—15.

ირტელი იყო 135, ანუ ნახევარზე მეტი, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა — 93 და კომუნა — 11. ამრიგად, თუ 1927 წელს კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობაში ჭარბობდა აღნიშნულ ამხანაგობათა რაოდენობა (70 პროცენტი), 1928 წელს უკანასკნელთა ხვედრითი წონა 30 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო არტელების რაოდენობა შვიდჯერ და მეტად გაიზარდა.

მნიშვნელოვნად შეიცვალა კოლმეურნეთა სოციალური შემადგენლობაც. საგრძნობლად გაიზარდა საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა, ხოლო შეძლებულებისა, პირიქით, შემცირდა 0,7 პროცენტამდე [1].

სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის 24,2 პროცენტი მოდიოდა მეჩაიეობის, ხოლო 21,6 პროცენტი — მარცვლეულობის დარგებზე.

საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში პარტიის XV ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1928 წელს კოლმეურნეობათა რაოდენობა სამჯერ და მეტად გაიზარდა. იმ დროისათვის ეს იყო მნიშვნელოვანი მიღწევა. საგულისხმოა, რომ ამ მიღწევაში გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს სოფლის პროლეტარიატმაც. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის ამ სოციალური ფენის როლს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. ამიტომ მოითხოვდა მის შეკავშირებას დამოუკიდებელ კლასობრივ ორგანიზაციად და მის პოლიტიკურ აღზრდას. მიწა-ტყის მუშათა პროფკავშირი დიდ მუშაობას ეწეოდა ამ მთავარი ამოცანის შესრულებისათვის, ამაღლებდა სასოფლო პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებულობას, თაოსნობასა და აქტივობას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პროცესში სოფლის პროლეტარიატი უფრო და უფრო ფართოდ მონაწილეობდა სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დანერგვაში, არაიშვიათად კოლექტიურ მეურნეობათა ინიციატორადაც გამოდიოდა, განსაკუთრებით პარტიის XV ყრილობის შემდეგ. თბილისის, კახეთისა და ზოგიერთ სხვა მაზრაში საკმაოდ გაიზარდა მოჯამაგირეებისა და მწყემსების ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ. ეს მზარდი მოძრაობა ნაწილობრივ უნდა აიხსნას უმიწობითა და ნაკლებმიწიანობითაც, მაგრამ ძირითადად ახალი, პროგრესულისადმი მისწრაფებით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ, სოფლის პროლეტართა ამ ლტოლვას აფერხებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაბალი დონე. იგი მხარს არ უჭერდა მათ თაოსნობას. ასეთ ვითარებაში მიწა-ტყის მუშათა პროფკავშირი ენერგიულად იბრძოდა მოჯამაგირეთა და მწყემსების კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებისათვის.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 1972, ფურც. 1 — 15.

ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ფართო ღონისძიებებს ახორციელებდნენ, რათა უფრო გაეღვივებინათ კოლმეურნეობებისადმი მოჯამაგირეთა მისწრაფება. ამის შედეგად, როგორც იმდროინდელი ერთ-ერთი გაზეთი წერდა: „რაიონებში მოჯამაგირეობა დაიძრა კოლმეურნეობებისაკენ. ისინი აარსებენ ახალ კოლმეურნეობებს ღარიბ გლეხებთან ერთად"[1]. კახეთის მაზრის სოფელ კარდანახიდან იტყობინებოდნენ: 1928 წლის დამლევს „კახეთის მოჯამაგირეობამ უკვე შეიგნო, რომ მხოლოდ კოლმეურნეობა იხსნის მას გაჭირვებიდან. კახეთში დაარსდა მევენახეობის კოლექტივი, სადაც გაერთიანდნენ მოჯამაგირეები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ კოლექტივის საქმიანობაში. კოლექტივმა შეიძინა მანქანა-იარაღები და შეუდგა ვენახის დამუშავებას. კოლექტივის გარეთ დარჩენილი მოჯამაგირეებიც მოითხოვენ კოლექტივში გაერთიანებას"[2]. ქვემო ქედის სასოფლო-სამეურნეო კომუნის წევრთა ნახევარი მოჯამაგირეებისაგან შედგებოდა, ხოლო კომუნას ყოფილი მოჯამაგირე ხელმძღვანელობდა[3].

მოჯამაგირეთა თაოსნობით კოლმეურნეობები სხვა რაიონებშიც დაარსდა. 1928 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 229 მოჯამაგირე, ანუ კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის 2 პროცენტი[4].

ეს მიღწევები, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში უნაკლოდ და მით უფრო მაღალი ტემპით ვითარდებოდა. მას წინ ეღობებოდა სერიოზული სიძნელეები და ეს აფერხებდა საკოლმეურნეო მშენებლობას. ამასთან, მაშინ ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაკლსა და შეცდომებს. ზოგ რაიონში მიმართავდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის ხელოვნურად დაჩქარებას (მაგ., ოზურგეთის მაზრა), აარსებდნენ ძალზე წვრილ კოლმეურნეობებს. მაგალითად, პატარა სოფელ ბოდბეში (სიღნაღის მაზრა) დააარსეს სამი არტელი, რომელთაგან ერთი აერთიანებდა ხუთ, მეორე — რვა, მესამე — ათ გლეხს. ასეთივე წვრილი კოლმეურნეობები შეიქმნა აჭარაში. ეს შეცდომები აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის თებერვლის პლენუმზე[5].

ნაჩქარევად დაარსებული კოლმეურნეობების მეტი ნაწილი მალე წყვეტდა არსებობას კოლმეურნეობათა მცირე შემოსავლიანობის გამო,

---

[1] გაზ. „მოჯამაგირის ხმა", 1928 წლის 30 დეკემბერი.

[2] გაზ. „მოჯამაგირის ხმა", 1929 წლის 26 მარტი.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 826, საქ. 941, ფურც. 16.

[4] გაზ. „მოჯამაგირის ხმა", 1930 წლის 12 იანვარი.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2730, ფურც. 759; საქ. 3774, ფურც. 364.

ჟოლმეურნეთა ნაწილი კოლმეურნეობებიდან გადიოდა. კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში მოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება, დაბალი იყო ტექნიკური ბაზის დონე, დიდი იყო კადრების უკმარობა და სხვა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, აფერხებდა საკოლმეურნეო მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ნაკლის მიუხედავად, არსებულმა კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობაში.

საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აღმავლობა საქართველოში დაიწყო 1929 წელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევრიდან. ეს გარდატეხა განაპირობეს საბჭოთა კავშირში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, სოციალ-ეკონომიური განვითარების მთელმა მსვლელობამ, იმ დიდმა ღონისძიებებმა, რომელთაც ხელისუფლება ახორციელებდა პარტიის XV ყრილობის დირექტივების საფუძველზე მასობრივი კოლექტივიზაციის მოსამზადებლად.

1929 წელს ქვეყნად შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება დაჟინებით მოითხოვდა დაჩქარებულიყო იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ნიადაგს მოუმზადებდნენ მასობრივ კოლექტივიზაციაზე გადასვლას. სოფლის მეურნეობის სწრაფი გარდაქმნის აუცილებლობას აპირობებდნენ სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლის, სოფლის საწარმოო ძალების აღმავლობის, პურის პრობლემის გადაწყვეტისა და ქვეყნის თავდაცვის შემდგომი გაძლიერების ამოცანები.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოში 1929 წლიდან უფრო ფართოდ გაიშალა ბრძოლა პარტიის XV ყრილობის დირექტივების შესრულებისათვის. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელობით საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციები ენერგიულად იღვწოდნენ, რათა დაეჩქარებინათ სოფლის მეურნეობის აღმავლობა და გარდაქმნა ახალ ტექნიკურ საფუძველზე, უზრუნველეყოთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მოემზადებინათ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის საჭირო ხელმძღვანელი და მასობრივი კვალიფიკაციის კადრები, აემაღლებინათ სოფლის მეურნეობის კულტურული დონე.

1929 წლის მარტის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობის ფართო ღონისძიებები. საქართველოს საბჭოების V ყრილობამ (1929 წ. აპრილი) ფართოდ განიხილა და კონკრეტული ზომები დასახა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად კოოპერატიული მშენებლობის შესახებ.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და საკოლმეურ-

ნეო მოძრაობის შემდგომ გაშლაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ (1929 წ. ივლისი), რომელმაც სპეციალურად განიხილა სოფლის მეურნეობის საკითხები. ყრილობამ აღნიშნა სოფლის მეურნეობის მიღწევები და, ამავე დროს, მიუთითა მისი წამყვანი დარგების დიდ ჩამორჩენაზე. ყრილობამ აუცილებლად ცნო მსხვილი საზოგადოებრივი სამიწათმოქმედო წარმოების გაფართოება, მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის სწრაფი განვითარება. ეს ამოცანები არ იყო იოლად გადასაწყვეტი, რადგან სოფლად სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ მხოლოდ 3,02 პროცენტს თუ შეადგენდა. ყრილობამ საჭიროდ ცნო მთელი ძალებისა და საშუალებების გამოყენება სოციალისტური სექტორის გაძლიერებისათვის.

1929 წლიდან უფრო გაფართოვდა სახელმწიფოს დახმარება სოფლის მეურნეობისათვის. ამ წელს სახელმწიფო სახსრების დაბანდება სოფლად გაიზარდა დაახლოებით 10 მილიონ მანეთამდე.

მნიშვნელოვნად შეიცვალა დაკრედიტების სტრუქტურაც. მკვეთრად შემცირდა მოკლევადიანი კრედიტების თანხები, ხოლო გრძელვადიანი სახსრების ხვედრითი წონა, პირიქით, 19,2 პროცენტიდან (1927 წ.) გაიზარდა 74,6 პროცენტამდე 1929 წელს, რაც შეადგენდა 14,5 მილიონ მანეთზე მეტს.

საგრძნობლად გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საბჭოთა მეურნეობებში. მარტო საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით 1925 — 1929 წლებში დაბანდდა 3 მილიონ მანეთზე მეტი, აქედან 1929 წელს — 1134,3 ათასი მანეთი, რაც ექვსჯერ აღემატებოდა 1925 წელს დაბანდებულ თანხას. კოლმეურნეობებმა 1929 წელს სახელმწიფოსაგან კრედიტად მიიღეს 1587 ათასი მანეთი. აქედან 422 ათასი მანეთი, ანუ სამჯერ მეტი 1927 წელთან შედარებით — წარმოების საშუალებათა გაფართოებისათვის. აღნიშნული თანხით კოლმეურნეობებმა შეიძინეს 90 ტრაქტორი, 21 სალეწი მანქანა და სხვ.[1].

1929 წლიდან, საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, უფრო ფართოდ დაისვა საკითხი სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების შესახებ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა იანვრის დასაწყისში სპეციალური დადგენილება მიიღო ამ საკითხზე და აღნიშნა, რომ სოფელი მხოლოდ 14 პროცენტით არის დაკმაყოფილებული გუთნებით, ხოლო ტექნიკის შეტანის გეგმა არადამაკმაყოფილებელია, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევა-

---

1 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 634, საქ. 4397, ფურც. 4—10.

ლა, პირველ რიგში, ახალი ტექნიკით კოლმეურნეობების უზრუნველყოფა, ხოლო ღარიბი და საშუალო გლეხობის უზრუნველყოფა — განვადებული კრედიტის საფუძველზე — წვრილი ინვენტარით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაევალა გაეფართოებინა რკინის გუთნების ადგილობრივი წარმოება [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ საგრძნობლად გააფართოვა სოფლად მანქანა-იარაღების შეტანა. 1929 წელს სოფელს მიაწოდა 9812,9 ათასი მანეთის ახალი ტექნიკა. 1926 — 1929 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ სახელმწიფოს დახმარებით სულ მიიღო 19 მილიონი მანეთის მანქანა-იარაღები [2]. კოოპერაციამ 1928 — 29 წელს სოფელს მიაწოდა გარედან შემოტანილი 10074 რკინის გუთანი, ანუ სამჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. რკინის გუთნებს ამზადებდნენ აგრეთვე საქართველოს ლითონტრესტის ქარხნები, რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ტრესტი „საქჩაის“ სახელოსნო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელოსნო, სარეწაო კოოპერაციის მელითონეთა არტელები და სოფლად მჭედლები. მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო ადგილობრივი პირობების მიხედვით მანქანა-იარაღების, მათ შორის, გუთნების ეგრეთ წოდებულმა დარაიონებამ. თუ მანამდე საქართველოში შემოჰქონდათ 65 ტიპის გუთანი, დარაიონების შემდეგ — მხოლოდ 15 მარკის, რითაც საგრძნობლად გაიზარდა გუთნის ეფექტიანობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობამ 1929 წელს დიდი რაოდენობით მიიღო აგრეთვე რკინის ფარცხები, კულტივატორები, ტრიერები, სათესი, სამკალი, სათიბი და სხვადასხვა დანიშნულების მანქანები. მარტო პირველ კვარტალში რესპუბლიკამ მიიღო და რაიონებში გაიგზავნა 22 ტრაქტორი, 3436 გუთანი, 18 კულტივატორი, 404 ფარცხი და სხვ[3]. ამის შედეგადაც, ტრაქტორების შემოტანა საქართველოში განუწყვეტლივ იზრდებოდა.

1929 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკაში მოეწყო მანქანა-ტრაქტორების პირველი სამი სადგური — აბაშის, აგარისა და ბორჩალოს რაიონებში. 1425 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის 133 ტრაქტორით მტსები ამუშავებდნენ 135 ათას ჰექტარ მიწას. ახლად მიღებული ტრაქტორები პირველ რიგში იგზავნებოდა ბამბის, ჩაის, ხორბლეულის, აბრეშუმისა და კენაფის მტს-ებისა და სატრაქტორო კოლონებისათვის[4]. სატრაქტორო პარკის გაძლიერების შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3158, ფურც. 81.

[2] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის“, გვ. 199.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 7 აპრილი.

[4] გაზ. „ახალი სოფელი“, 1929 წლის 6 ოქტომბერი.

მტს-ებისა და სატრაქტორო რაზმების შექმნა. ამასთან დაკავშირებით, მიწათმოქმედების კომისარიატთან შეიქმნა მტს-ების მომწყობი ცენტრალური კომისია პროფესორ კ. ამირაჯიბის თავმჯდომარეობით[1]. 1929 წლის შემოდგომისათვის საქართველოში მუშაობდა 524 ტრაქტორი, აქედან 502 სოფლად, მათ შორის კოლმეურნეობებში — 155, ხოლო დანარჩენი — საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და სატრაქტორო კოლონებში, რაზმებში, მანქანა-იარაღების გამქირავებელ პუნქტებში. იმავე წელს საქართველოში გამოჩნდა პირველი კომბაინი[2].

საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ახალი სამიწათმოქმედო მანქანები და იარაღები კრედიტით ეძლეოდათ ღარიბ და საშუალო გლეხებს, ამან დიდი როლი შეასრულა საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებაში, კოლმეურნეობებისაკენ საშუალო გლეხების ლტოლვაში.

სოფლის მეურნეობაში, მანქანა-იარაღების შეტანის 1929 წლის გეგმის შეუსრულებლობის მიუხედავად, ტექნიკის შემოტანა წინა წელთან შედარებით მაინც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1928 წელს, ტრაქტორების გარდა, შემოტანილ იქნა დაახლოებით 4 ათასი სხვადასხვა მანქანა-იარაღი, 1929 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 7,6 ათასამდე[3].

მშრომელ გლეხობას, მტს-ებსა და სატრაქტორო რაზმებთან ერთად, დიდ დახმარებას უწევდნენ მანქანა-იარაღების გამქირავებელი პუნქტები. 1929 წელს თესვის კამპანიის დროს მათ დახნეს 1804 და დაფარცხეს 1650 ჰექტარი, ჩაატარეს სწრაფად თესვა 1377 ჰექტარზე, ხოლო კულტივატორით დაამუშავეს 1503 ჰექტარი[4].

მიწათმოქმედებაში მანქანების გამოყენებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სოფლის საწარმოო ძალების განვითარება და გაზარდა სასაქონლო პროდუქციის წარმოება. გაფართოვდა მარცვლეულის, განსაკუთრებით კი ტექნიკური კულტურების მეურნეობა. 1929 წელს ბამბასა და თამბაქოს ეკავათ სულ 128 ჰექტარი ფართობი, ანუ 242,1 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით.

პროლეტარული სახელმწიფოს ფინანსურმა და სხვა დახმარებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა სოფლის მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, გააღრმავა სოციალური ძვრები სოფლის ცხოვრებაში, გააფართოვა საკოლმეურნეო მშენებლობა და, რაც მთავარია, უფრო გააძლიერა სოფლის ცენტრალური ფიგურის — საშუალო გლეხობის — ლტოლვა კოლმეურნეობისაკენ.

---

1 გაზ. „ახალი სოფელი", 1929 წლის 25 აგვისტო.

2 იქვე. 11 ივლისი.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 15.

4 იქვე.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის რამდენადმე ზრდის მიუხედავად, იგი ვერ აკმაყოფილებდა განვითარებადი მეურნეობის მოთხოვნილებას. ახალი ტექნიკით (უმთავრესად ტრაქტორებით) კოლექტიურ მეურნეობათა უზრუნველყოფის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპს. თითოეულ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 0,4 ტრაქტორი (15 ცხენის ძალიანზე გადაყვანით)[1]. ასეთი შეუსაბამობის შედეგად კოლმეურნეობებში მექანიზაციის დონე 61,8 პროცენტიდან (1928 წ.) შემცირდა 45,7 პროცენტამდე 1929 წელს. მეურნეობათა დიდი უმეტესობა უზრუნველყოფილი არ იყო ახალი მანქანა-იარაღებით და იგი ძირითადად გლეხურ ინვენტარს ემყარებოდა[2].

სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ფონდების შექმნა მოითხოვდა გარკვეულ დროს, ხოლო გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობებში გაერთიანებისაკენ სისტემატურად და სწრაფად იზრდებოდა. ამიტომ პარტია ადგილობრივ ორგანიზაციებს აფრთხილებდა, რათა ტრაქტორების უკმარისობის მომიზეზებით არ შეეფერხებინათ საკოლმეურნეო მოძრაობა, მაქსიმალურად გამოეყენებინათ არსებული ტექნიკა და გლეხური ინვენტარი, უფრო მეტად განევითარებინათ სოფლად კოოპერაცია, როგორც გლეხური მასების კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიურ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა კოოპერირებულ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა. 1929 წლის ოქტომბრისათვის მათი რაოდენობა უკვე აღწევდა 297206 ერთეულს[3] და 98775 მეურნეობით სჭარბობდა წინა წლის მაჩვენებელს. კოოპერირებულ მეურნეობათა რაოდენობის ზრდას ადგილი ჰქონდა აგრეთვე აფხაზეთში (134,1 პროცენტი), აჭარასა (141,8 პროცენტი) და სამხრეთ ოსეთში (139,9 პროცენტი)[4]. გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების მხრივ ყველაზე მეტად (ადრე) სამხრეთ ოსეთი ჩამორჩებოდა, მაგრამ 1929 წელს კოოპერირების დონე აქაც გაიზარდა[5].

1929 წლის ოქტომბრისათვის საქართველოში, ავტონომიური ერთეულების გამოკლებით, გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების დონე წინა

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 1972, ფურც. 1 — 15.

[2] იქვე.

[3] „საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობისათვის", გვ. 6.

[4] „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის მოქმედების ანგარიშისათვის", გვ. 193.

[5] Б. З. Плиев, Краткая история коллективизации сельского хозяйства Юго-Осетии («Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института АН ГССР», вып. XV, 1968, стр. 78).

წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1926 წლის ოქტომბრისათვის გლეხურ მეურნეობათა კოოპერირება უდრიდა 25,9 პროცენტს, 1929 წლის ოქტომბრისათვის მან უკვე მიაღწია 64,6 პროცენტს. აქედან აფხაზეთში უდრიდა 64, აჭარაში — 53,3 და სამხრეთ ოსეთში — 23,2 პროცენტს [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის თვალსაჩინო მიღწევები განაპირობა აგრეთვე ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერირების ფონდის გაძლიერებამ. აღნიშნული ფონდის ნაწილობრივად გამოყენების პირობებშიც კი, კოოპერაციას მიემატა თითქმის 17 ათასი ღარიბი და მოჯამაგირე. კოოპერირებულ ქალთა რაოდენობა 497 სულიდან (1928 წ.) გაიზარდა 2298-მდე 1929 წელს [2]. კოოპერაციაში ქალთა რაოდენობის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა აიხსნება სოფლად ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის გაძლიერებით, რამაც მშრომელი ქალი უფრო ფართოდ და აქტიურად ჩააბა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. 594 კოლმეურნეობაში გაერთიანებულ 12 ათასი კომლიდან 446 კომლის (3,7 პროცენტი) მეთაური იყო გლეხი-ქალი. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოების — გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების — შემადგენლობაში ქალთა ხვედრითი წონა უფრო მეტი იყო (14 პროცენტი), ვიდრე მათი მეურნეობების ხვედრითი წონა კოლმეურნეთა საერთო რაოდენობაში.

რამდენადმე გაიზარდა ქალთა მონაწილეობა სოფლის საბჭოებშიც, კერძოდ, აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთში ლიხნის, ბომბორისა და ზოგიერთი სხვა სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ღარიბი აფხაზი ქალები[3].

კონტრაქტაცია 1929 წლიდან უფრო გაფართოვდა. ამ წელს მისი ხვედრითი წონა სოციალისტურ სექტორთან ერთად სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კონტრაქტაცია განსაკუთრებით გაფართოვდა თავთავიანი კულტურების, ვენახის, ჩაის, ბამბის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, კენაფის კულტურათა დარგებში. კონტრაქტაცია ფართოვდებოდა აგრეთვე მეცხოველეობის დარგში, კერძოდ, მეცხვარეობაში. კონტრაქტაციის გაფართოებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქებიდან გაგზავნილი მუშათა ბრიგადებიც.

დამამზადებელ-გამსაღებელმა კოოპერაციამ 1929 წელს გლეხობას მიაწოდა თითქმის 35 მილიონი მანეთის საქონელი და დიდი რაოდენობით დაამზადა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რითაც საგრძნობლად შე-

---

1 „მასალები საქართველოს სსრ მთავრობის ხუთწლედის პირველი ორი წლის ანგარიშისათვის", გვ. 194.

2 იქვე, გვ. 195.

3 Газ. «Заря Востока», 13 января 1929 г.

ამცირა კაპიტალისტური ელემენტების როლი სოფლის ბაზარზე. გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ადგილი სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების, აგრეთვე, მეცხოველეობის დარგში.

რაიონებში გაფართოვდა სარეწაო კოოპერაციის მუშაობაც. გარდაბანსა და დმანისში აღდგენილ იქნა საექსპორტო ხალიჩების ქსოვა, რისთვისაც სახელმწიფომ ამ სარეწებს გადასცა 120 საქსოვი დაზგა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, განუხრელად ახორციელებდნენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულმა ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა 1928 წლის დასაწყისში ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას დაავალა მხარის ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივი განვითარება და ამის საფუძველზე მათი ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია[1].

საქართველოს კომუნისტური პარტია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სწრაფი აღმავლობის ღონისძიებათა დასახვისას ყოველთვის ითვალისწინებდა გლეხური მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასაც და ადგილობრივ ორგანიზაციებს ავალებდა ფართოდ გაეშალათ მუშაობა გლეხური მოსახლეობის ყველა ეროვნული ჯგუფის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამასთან, ითვალისწინებდა არაქართველ მოსახლეთა სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეს, ეროვნულ ტრადიციებს და შესაბამის ღონისძიებებს სახავდა მათი სწრაფი ეკონომიური და კულტურული დონის ზრდისა და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მებამბეობის ამხანაგობებში კოოპერირებულთა საერთო რაოდენობის 64 პროცენტს შეადგენდნენ საშუალო გლეხები, ხოლო ღარიბები — 33 პროცენტს. საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა იზრდებოდა სხვა დარგის ამხანაგობებშიც, რამაც ხელი შეუწყო საკოლმეურნეო მოძრაობაში საშუალო გლეხობის მონაწილეობის მნიშვნელოვან ზრდას.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის გაცხოველებულ მზადებასთან დაკავშირებით 1929 წლიდან უფრო გაძლიერდა მუშათა კლასის საშეფო მუშაობა სოფლად. საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში თბილისის საშეფო ორგანიზაციამ 93 სოფელში გაგზავნა 200 კაცისაგან შემდგარი 28 ბრიგადა. მათ შეაკეთეს 5 ათასზე მეტი მანქანა-იარაღი, საზოგადოების სახსრებით განახორციელეს აგროტექნიკური ღონისძიებები. ბრიგადირების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო 9 ამხანაგობა და 17 არტელი.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1928 წლის 3 იანვარი.

მუშათა ბრიგადები იყვნენ არა მარტო მანქანა-იარაღების შემკეთებელნი, არამედ ამავე დროს პოლიტიკური ორგანიზატორებიც სოფლად პარტიის დირექტივების განხორციელებაში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კონტრაქტაციის გაფორმებისას კლასობრივი ხაზის დაცვაში. მათი თაოსნობით დაინერგა სოფლად საწარმოო თათბირები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მეურნეობის გაუმჯობესებაში. მარტო მიწა-ტყის მუშათა პროფკავშირის ხაზით 1928 წელს საწარმოო თათბირების წინადადებათა დანერგვის ეკონომია შეადგენდა 4290 მანეთს[1].

მნიშვნელოვან პოლიტიკურ წამოწყებას წარმოადგენდა მუშათა თაოსნობით ქალაქისა და სოფლის საწარმოო გამოძახება, რომლის შედეგად გლეხები უშუალოდ მონაწილეობდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გაუმჯობესებაში.

სოფლის მეურნეობისადმი მუშათა კლასის ზრუნვის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს მუშათა კლასის ინიციატივით 1929 წლის 14 ოქტომბერს მოწყობილი „კოლექტივიზაციის დღე". რესპუბლიკის საწარმოებში ამ საკითხის განხილვისას მუშებმა გადაწყვიტეს თავიანთი დღიური და ნახევარდღიური ხელფასის 1—2 პროცენტის თანხის კოლექტივიზაციის ფონდში გადარიცხვა, რაც შეადგენდა 35 ათას მანეთს. საქართველოს პროფსაბჭომ ამ თანხას დაუმატა 35000 მან. და ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებისათვის შეიძინა ტრაქტორთა კოლონა სახელწოდებით „საქართველოს პროფკავშირები"[2]. აღსანიშნავია, რომ მუშები სოფლისათვის ტრაქტორის შეძენას განიხილავდნენ არა იმდენად მატერიალური დახმარების ღონისძიებას, რამდენადაც გლეხობაზე მუშათა კლასის იდეური ზემოქმედების გაძლიერებისა და მშრომელი მასების დარაზმვის საშუალებას. ამ დღესთან დაკავშირებით თბილისისა და გორის მაზრებში გაგზავნილმა მუშათა ბრიგადებმა მოხნეს მიწა და მიღებული თანხა შეიტანეს კოლექტივიზაციის ფონდში.

საქართველოს მუშათა კლასი „ინდუსტრიალიზაციის დღეს", რომ ატარებდა, ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობაზე დახმარებასაც, მუშები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ ღონისძიების ჩატარებას. ზოგიერთი მათგანი შვებულებიდან დაბრუნდა, რათა მონაწილეობა მიეღო ამ სახალხო წამოწყებაში. საწარმოო კოლექტივებმა სოფლებში გაგზავნეს მუშათა ბრიგადები, რომლებშიც შედიოდნენ კვალიფიციური მუშები, აგრონომები და ექიმები. ბრიგადები განუმარტავდნენ გლეხებს კო-

---

[1] «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР (1928—1929 гг.)», стр. 146.

[2] «История индустриализации Грузинской ССР (1926 — 1941 гг.)», стр. 173.

ლექტივიზაციის დანიშნულებას, ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო კლუბების, სკოლებისა და სხვ. შეკეთებაში, ახალი საზოგადოების გაერთიანებების დაარსებაში. „ინდუსტრიალიზაციის დღეს“ ბრიგადების მონაწილეობით გორის მაზრაში მოეწყო ოთხი, ხოლო აფხაზეთში 22 ახალი კოლმეურნეობა. თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში ქალაქიდან ჩასული მუშათა ბრიგადის მოხსენების შემდეგ ხუთმა მუშა-ქალმა თავიანთ ქმრებს წინადადება მისცეს, რათა კოლმეურნეობაში შესულიყვნენ.

უფრო ფართო მასშტაბით მოეწყო 1929 წლის 25 დეკემბერს მეორე „ინდუსტრიალიზაციის დღე“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს მუშებისა და მოსამსახურეთა თითქმის მთელი შემადგენლობა[1]. ამ დღეს გამომუშავებული თანხის ნაწილი გადაირიცხა კოლექტივიზაციის ფონდში.

1929 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში საშეფო სოფლებში დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე საქართველოს კომკავშირმა. წლის დასაწყისიდანვე კომკავშირის ორგანიზაციები ფართოდ გამოეხმაურნენ მ. ცხაკაიას მოწოდებას „კომკავშირი-კოლმეურნეობათა შეფია!“. თბილისის ორგანიზაციამ სოფლებში გაგზავნა ახალგაზრდათა 22 ბრიგადა და რკინიგზის მაგისტრალურ ხაზზე ეგრეთ წოდებული „მფრინავი ვაგონები“. თბილისის მაგალითს მიბაძეს სხვა ორგანიზაციებმაც.

საქართველოს მუშათა კლასმა ფართო მონაწილეობა მიიღო „მოსავლის აღებისა და კოლექტივიზაციის დღის“ ჩატარებაში. ამ დღეს მუშათა ბრიგადების მონაწილეობით დიდი სამუშაოები ჩატარდა სოფლად. მარტო საგარეჯოს რაიონში გაიგზავნა 500 მუშა, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს გლეხებს მინდვრის სამუშაოებში, სახელმწიფო სესხის გავრცელებაში, დააარსეს ახალი კოლმეურნეობები, კოოპერაციაში ჩააბეს გლეხთა ახალი ფენები[2].

პურის დამზადებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირიც, რომელმაც დაიწყო მასობრივი „ლაშქრობა მოსავლისათვის“.

პურის დამზადებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლად სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის გაშლას ხელს უწყობდნენ მუშათა კლასის წარგზავნილები. ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობისა და იგოეთის „გლეხის იმედის“ არტელებს შორის, ითვალისწინებდა არტელის გამსხვილებას მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მოზიდვით, 10 პროცენტით ნათესების გადიდებას, მოსავლის 15 პროცენტით ზრდას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას,

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926 — 1941 гг.)», стр. 174.

[2] გაზ. „ახალი სოფელი“, 1929 წლის 17 და 20 ოქტომბერი.

შრომისნაყოფიერების ამაღლებას, არტელის წევრთა შორის უწიგნურობის ლიკვიდაციას[1].

მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ერთობლივი ბრძოლით პურის დამზადების წლიური გეგმა საქართველოში შესრულდა 130,6 პროცენტით, ანუ სახელმწიფოს ჩაბარდა 653,2 ათასი ფუთი პური[2].

საშემოდგომო თესვასთან დაკავშირებით პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტმა სოფლებში დიდი რაოდენობით გაგზავნა დამკვრელი ბრიგადები. მუშათა ბრიგადები გაგზავნეს პროფკავშირებმაც. ბრიგადებმა უსასყიდლოდ შეაკეთეს მანქანა-იარაღები. საუბრები ჩაატარეს გლეხობაში თესვის ღონისძიებებთან დაკავშირებით. ბრიგადები თავდადებით იბრძოდნენ მუშების დავალებათა შესრულებისათვის. მარტო თბილისიდან გაგზავნილი მუშათა ბრიგადების თაოსნობით და ხელშეწყობით დაარსდა 24 ახალი კოლმეურნეობა, მოეწყო საწარმოო თათბირები, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. სოფლებში იგზავნებოდა სპეციალური სააგიტაციო ბრიგადებიც[3].

საქართველოს საშეფო საზოგადოების ინიციატივით მარტო 1929 წელს ჩამოყალიბდა 149 ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელი და ოთხი კომუნა. საზოგადოებამ თავისი სახსრებით შეიძინა და კოლმეურნეობებს გადასცა 7 ტრაქტორი და დიდი რაოდენობით სხვადასხვა ინვენტარი.

მუშათა ბრიგადებს ერთობ რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. კულაკობა ხედავდა მუშათა ბრიგადების კეთილმყოფელ გავლენას გლეხობაზე და ცდილობდა ხელი შეეშალა მათთვის, ყოველნაირ ჭორებს ავრცელებდა, რათა სახელი გაეტეხა მუშათა ბრიგადებისათვის[4]. მიუხედავად ამისა, მუშათა ბრიგადებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში. სოფლის კომუნისტებსა და კომკავშირელებთან ერთად ისინი რაზმავდნენ სოფლის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მასებს, ხელს უწყობდნენ საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებას, კერძოდ, საბჭოების არჩევნების პერიოდში.

საქართველოს მუშათა კლასი დახმარებას უწევდა გლეხობას კადრებითაც. თავის მოწინავე და გამოცდილ წარმომადგენლებს მუდმივ სამუშაოდ აგზავნიდა სოფლებში.

ამრიგად, საქართველოს მუშათა კლასის უშუალო და სახელმწიფოებრივმა დახმარებამ გლეხობისადმი დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მასობრივი კოლექტივიზაციის მომზადების პერიოდში. ამან

---

[1] გაზ. „ახალი სოფელი", 1929 წლის 28 ივნისი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3463, ფურც. 13.

[3] გაზ. „ახალი სოფელი", 1929 წლის 19 და 26 სექტემბერი.

[4] გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 26 აპრილი.

ხელი შეუწყო სოფლად სოციალისტური ელემენტების ზრდასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

1929 წლიდან უფრო დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება. ადგილებზე გაიხსნა მოკლევადიანი კურსები და სკოლები 3560 მოსწავლით[1]. საქართველოში არსებობდა 13 სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და გლეხი ახალგაზრდობის 104 სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 10 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი[2]. კახიანის სახელობის მუშფაკში სწავლობდა 90 ახალგაზრდა გლეხი და 31 მოჯამაგირე[3]. სპეციალურ კურსებზე მზადდებოდნენ ტრაქტორისტები, მექანიზატორები, ზეინკლები, მჭედლები და ელექტრიკოსები. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაარსებული კურსები სხვადასხვა დროს, დაამთავრა 350 კაცმა. 1929 წელს უკვე არსებობდა 100 აგრონომიული და 80 ვეტერინარული სასწავლო პუნქტი, რომლებიც ამზადებდნენ საშუალო კვალიფიკაციის კადრებს. 1929 წელს დაარსდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელშიც 2460 სტუდენტი სწავლობდა. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები 1928 წლიდან ყოველწლიურად საშუალოდ უშვებდნენ 1174 სპეციალისტს, ხოლო სპეციალური საშუალო სასწავლებლები — 2443 კაცს[4]. აგრონომთა რაოდენობა 86 კაციდან (1926 წ.) გაიზარდა 500 კაცამდე 1929 წელს. ამ წელს სოფლებში მუშაობდა 113 ვეტექიმი[5].

კულაკობა, უკანასკნელი და ყველაზე ექსპლოატატორული კლასი, საბჭოთა წყობილების უბოროტესი მტერი იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე. 1929 წლიდან იგი უფრო გააქტიურდა საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობასა და პურის დამზადებასთან დაკავშირებით. ხელისუფლების წინააღმდეგ კულაკობა იყენებდა ბრძოლის ყოველგვარ ფორმებს და მეთოდებს — პროვოკაციებს, ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლების გავრცელებას, მშრომელი გლეხების მოქრთამვას, ღარიბთა კრებებზე თავდასხმებს, ცრუკოლმეურნეობებისა და ამხანაგობათა შექმნას, სოფლის აქტივისტების მიმართ ტერორს და, ბოლოს შეიარაღებულ გამოსვლასაც კი.

ამ ბრძოლაში კულაკობა მოხერხებულად იყენებდა ჩვენი ქვეყნის სწრაფი განვითარების შედეგად წარმოშობილ სიძნელეებს, ადგილებზე

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 17.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 606.

[3] Газ. «Заря Востока», 10 марта 1929 г.

[4] „საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობისათვის", გვ. 73 — 77.

[5] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1967, ყოველწლეული", თბ., 1968, გვ. 292.

დაშვებულ შეცდომებს, არსებულ ნაკლოვანებებს, რელიგიას. ამისი მაგალითია 1929 წლის დასაწყისში ხულოს რაიონის (აჭარა) გლეხთა ჩამორჩენილი ფენების გამოსვლა, რომლის მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უხეშად დაარღვია პარტიის პოლიტიკა რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში და მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა და მეცნიერული ანტირელიგიური პროპაგანდა, ტლანქი ადმინისტრირებით შეცვალა — ბრძანებით ჩადრის მოხსნა, მედრესების დახურვა და მათი საბჭოთა სკოლებად გადაკეთება. ყოველივე ეს თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ანტისაბჭოთა ძალებმა — კულაკებმა, მენშევიკებმა, ყოფილმა ბეგებმა და ხოჯებმა, პოლიტიკურმა ბანდიტებმა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ თურქეთის სადაზვერვო ორგანოებთან. ისინი გახდნენ შეუგნებელ გლეხთა გამოსვლის წამომწყებნი და მეთაურები, რის გამოც ხულოს გლეხთა გამოსვლამ მალე კონტრრევოლუციური ხასიათი მიიღო. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ფაქტს პარტიის წინააღმდეგ ხელი ჩასჭიდეს მემარჯვენეებმა, რომლებიც კულაკობის ინტერესებს გამოხატავდნენ[1].

კონტრრევოლუციის მიერ ხულოში მოწყობილი გამოსვლის მთავარი მიზეზი ახსნა ი. ბ. სტალინმა. მამია ორახელაშვილისადმი გამოგზავნილ დეპეშაში იგი წერდა: „როგორც ჩანს, თქვენ შეცდომა დაუშვით. ჩადრის მოხსნის ჩატარების დროს ძალადობა გამოგიჩენიათ ან, ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობა ძლიერ შეგივიწროვებიათ. ასეთი პოლიტიკა არ არის ჩვენი პოლიტიკა, იგი არსებითად შემცდარია. წინადადებას გაძლევთ ჯარები არ გამოიყენოთ, არავითარ სროლას და დახვრეტას ადგილი არ ექნეს. მოელაპარაკეთ ე. წ. აჯანყებულებს და განუმარტეთ მათ, რომ მომავალში რელიგიისა და, კერძოდ, ჩადრის მოხსნის მიმართ, არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ექნება. თუ ე. წ. აჯანყებულთა შორის ჩვენი მტრების აგენტები ურევია, მათი შეპყრობა შეიძლება“[2].

ხულოს კულაკობა და სხვა მტრული ძალები, რელიგიის დაცვის საბაბით, მიზნად ისახავდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის ჩაშლას, რომელიც აჭარაში თანდათანობით ფართოვდებოდა. კულაკობასთან დაკავშირებული ხოჯები მორწმუნე გლეხებს რელიგიურ მომსახურებაზე უარს უცხადებდნენ იმ მოტივით, რომ ხელისუფლება გვიკრძალავსო. ამით სურდათ გლეხობაში უკმაყოფილება გამოეწვიათ. ისინი მეჩეთებში ეწეოდნენ აშკარა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, მხარს უჭერდნენ კულაკებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში. გლეხებს ფიცს ადებინებ-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3157, ფურც. 34, 133 — 147.

2 იქვე.

დნენ, რომ არ შევიდოდნენ კოლმეურნეობებში[1]. კულაკობასთან რელიგიის მსახურთა ასეთ კავშირს ადგილი ჰქონდა სხვა რაიონებშიც. ამიტომ პარტიამ სპეციალურად გააფრთხილა ადგილობრივი ორგანიზაციები, რათა არ დაეშვათ რელიგიასთან ბრძოლაში პარტიის ხაზის გამრუდება, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენდა საკოლმეურნეო მოძრაობის „შემდგომი ზრდის ძირითად დაბრკოლებას და ჩვენი კლასობრივი მტრების აშკარა დახმარებას"[2].

პარტიის იდეოლოგიური მუშაობისა და სამეურნეო ღონისძიებების შედეგად ძლიერდებოდა კულაკობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა, განსაკუთრებით პურის დამზადების პერიოდში, როდესაც კულაკებმა მოასწრეს პურის გადამალვა და სხვებსაც მოუწოდებდნენ პური არ ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის. ამასთან დაკავშირებით, კაკაბეთის თემის (კახეთი) გლეხთა ყრილობამ გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა ყველასათვის, ვინც პურს არ ჩააბარებდა[3].

მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კულაკობის ძირგამომთხრელ მოქმედებას უპირისპირებდა ფართო ეკონომიურ ღონისძიებებს, ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეთა დარაზმვას, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას, კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტი შეტევის უფრო ინტენსიურ მომზადებას.

1929 წლის მეორე ნახევრიდან მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის საბჭოების, გლეხთა კომიტეტებისა და პროფკავშირების მუშაობა. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი, რომელიც მაშინ 37 ათასზე მეტ სოფლის მუშაკს აერთიანებდა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მშენებლობისადმი. გაფართოვდა კომკავშირის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და საკოლმეურნეო მოძრაობაში. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „კოლმეურნეცენტრმა" გააფართოვეს სოფლად ახალი ტექნიკის შეტანა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვა.

გაუკვალავი გზით მიმდინარე უზარმაზარი მნიშვნელობის გარდაქმნას სოფლად თან სდევდა ზოგიერთი შეცდომაც. მაგრამ ამ ისტორიული გარდატეხის პროცესში მთავარი და განმსაზღვრელი იყო არა შეცდომები და გადახვევები, არამედ ის, რომ პარტიისა და სახელმწიფოს იდეოლოგი-

---

[1] დ. დიასამიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ., 1964, გვ. 88, 97 — 110, 117 — 118.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 873.

[3] გაზ. „ახალი სოფელი", 1929 წლის 22 სექტემბერი.

ური მუშაობისა და მატერიალური მხარდაჭერის შედეგად სოფლად ახალი წყობილებისათვის ამოძრავდნენ გლეხური მასები და საკოლმეურნეო მშენებლობის გაფართოებაში თაოსნობა უმეტეს შემთხვევაში ეკუთვნოდა თვით გლეხობას.

პარტიისა და სახელმწიფოს ენერგიულმა ღონისძიებებმა ლენინური კოოპერატიული გეგმის განხორციელებისათვის, დაძაბულმა ბრძოლამ XV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და, ბოლოს, ღარიბ და მოჯამაგირე გლეხთა მასების მზარდმა ლტოლვამ კოლმეურნეობებისაკენ მნიშვნელოვნად შეცვალეს 1929 წლის მეორე ნახევრიდან საკოლმეურნეო მოძრაობის ხასიათი და მასშტაბი. თუ მანამდე გლეხთა თაოსნობით არსდებოდა ერთეული კოლმეურნეობები, ახლა იქმნებოდა ათეულობით, მათ შორის — ჩაის, მევენახეობის, მარცვლეულის, მეხილეობის დარგებში.

1929 წლიდან გაუმჯობესდა კოლექტიური მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. უკეთესობისაკენ შეიცვალა მათი სამეურნეო მდგომარეობა, გაძლიერდა გლეხობის ეკონომიური სტიმულირება და, მაშასადამე, საკოლმეურნეო მოძრაობაც.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ამ პერიოდში თავი იჩინა საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩრდილოვანმა მხარეებმაც, კერძოდ, გლეხთა თაოსნობის განვითარებასთან ერთად ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობითობის ლენინური პრინციპის დარღვევის შემთხვევებს. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე მ. ცხაკაია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მართალია, „გლეხობაში დიდი ლტოლვაა კოლმეურნეობებისაკენ, მაგრამ ადგილი აქვს იძულების ფაქტებსაცო“[1]. ეს გარემოება აღნიშნეს სხვა დელეგატებმაც. ყრილობამ გადაჭრით დაგმო ასეთი მავნე მოვლენები.

ყრილობის შემდეგ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა სოფლად, კერძოდ, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. გაძლიერდა კოლმეურნეობებისადმი ფინანსური და მატერიალური დახმარება. სოფელში ახალი ტექნიკის შეტანა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა, მნიშვნელოვნად განვითარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. გაუმჯობესდა სასოფლო საბჭოების მუშაობა, ისინი უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში. გაუმჯობესდა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა სოფლად, მეურნეობის ყველა უბანზე. კომკავშირელები თვითონ შედიოდნენ კოლმეურნეობებში, აარსებდნენ ახალ კოლმეურნეობებს, პირადი მაგალითით ფართოდ აბამდნენ გლეხ ახალგაზრდობას სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. 1928 წლის აპრილისათვის კოლმეურ-

1 „საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა“, გვ. 219.

ნეობებში გაერთიანებული იყო სულ 266 კომკავშირელი, ანუ სოფლის კომკავშირელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,6 პროცენტი, 1930 წლის ოქტომბრისათვის უკვე თითქმის 21 ათასი კომკავშირელი იყო კოლმეურნეობებში (ექვსი რაიონის გამოკლებით), რაც შეადგენდა კომკავშირელთა საერთო რაოდენობის 41,9 პროცენტს [1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობის შემდეგ 1929 წლის შემოდგომაზე სწრაფად იზრდება კოლმეურნეობათა რაოდენობა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო არტელების ხარჯზე. 1929 წლის აპრილისათვის, საქართველოში იყო 665-მდე კოლმეურნეობა, სექტემბრის დამლევისათვის კი 978, ანუ 313 კოლმეურნეობით მეტი. აქედან არტელი იყო 719 (73,5 პროც.), მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობა — 190 (19,4 პროც.), სამანქანო ამხანაგობა — 46 (4,7 პროც.) და კომუნა — 23 (2,4 პროც.). კოლმეურნეობები აერთიანებდნენ 16180 მეურნეობას, ანუ გლეხურ მეურნეობათა სამ პროცენტს. განსაზოგადებელი იყო 30212 ჰექტარი მიწა, ანუ 2,5 პროცენტი. კოლმეურნეობებს ჰქონდათ 296 ტრაქტორი, ერთი ტრაქტორი მოდიოდა სამ კოლმეურნეობაზე [2].

1929 წლის უკანასკნელ თვეებში ადგილი ჰქონდა საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის მნიშვნელოვნად აჩქარებულ ტემპს. უფრო გაიზარდა ღარიბი გლეხობის ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ, ამაღლდა მშრომელი გლეხების აქტივობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში. გაფართოვდა კოლმეურნეობათა ქსელი, საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაება გლეხთა ახალი ფენები [3]. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში, დააჩქარა წვრილგლეხურ მეურნეობათა მსხვილ მეურნეობებში გაერთიანების პროცესი.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა დაწვრილებით განიხილა საკოლმეურნეო მშენებლობაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად პლენუმმა მიიჩნია ის, რომ ღარიბ გლეხობასთან ერთად კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა საშუალო გლეხობაც და რომ

---

[1] ვ. ე ვ ა ნ ი ა, საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები (1917 — 1941), თბ., 1964, გვ. 207.

[2] ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, თბ., 1968, გვ. 43; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 7; გაზ. „ახალი სოფელი", 1929 წლის 7 ნოემბერი.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3248, ფურც. 9 — 10, საქ. 3164, ფურც. 93.

საკოლმეურნეო მოძრაობამ ქვეყნის რიგ რაიონებში მასობრივი ხასიათი მიიღო.

პლენუმმა აგავე დროს აღნიშნა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობას ახასიათებდა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც, რომელნიც აბრკოლებდნენ კოლექტივიზაციის უფრო სწრაფ აღმავლობას, კერძოდ, კოლმეურნეობათა ტექნიკური ბაზის დაბალი დონე, შრომის არასწორი ორგანიზაცია, შრომისნაყოფიერების ნელი ზრდა, კადრების დაბალი კვალიფიკაცია, ზოგიერთი კოლმეურნეობის დანაგვიანება სოციალურად უცხო ელემენტებით. პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს, არადამაკმაყოფილებლად ეხმარებოდნენ მათ მუშაობაში.

კოლექტივიზაციის შემდგომი სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად პლენუმმა დასახა ფართო ღონისძიებები: სახელმწიფოს მხრივ სოფლისათვის დახმარების გაძლიერება, სოფლად ახალი ტექნიკის შეტანის გადიდება, საკოლმეურნეო კადრების მასობრივად მომზადების დაჩქარება, გლეხობასთან ადგილობრივი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, საკოლმეურნეო მოძრაობაში სასოფლო საბჭოების როლის ამაღლება, მუშათა კლასის დახმარებისა და ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, ამ მიზნით სოფლად მუდმივ სამუშაოდ 25 ათასი გამოცდილი და სოფლის მეურნეობის მცოდნე მოწინავე მუშის გაგზავნა, სოფლად კულტურული მშენებლობის გაშლა, გლეხური მასების პოლიტიკური დონის ამაღლება და სხვ.

საქართველოს მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააძლიერა სოფლად მუშაობა 1929 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ, გააძლიერა გლეხობისადმი დახმარება, ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით განამტკიცა კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის, დარაზმა მოჯამაგირეობა, აამაღლა მათი კლასობრივი შეგნებულობა და პოლიტიკური აქტივობა. მუშათა კლასი სისტემატურად აგზავნიდა საშეფო სოფლებში თავის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან შემდგარ მუშათა ბრიგადებს.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას სოფლად მუდმივ სამუშაოდ მოწინავე მუშების გაგზავნის შესახებ საქართველოს მუშათა კლასი ფართოდ გამოეხმაურა. სოფლად წასვლის მსურველთა რაოდენობამ ბევრად გადააჭარბა მოლოდინს. პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში უწყვეტ ნაკადად შედიოდა მათი კოლექტიური და ინდივიდუალური განცხადებები. მაგალითად, საქართველოს მარტო მელითონეთა პროფკავშირში, რომელსაც განაწილებით 20 მუშა უნდა შეერჩია, შევიდა 46 განცხადება, მათ შორის 6 მუშა-ქალის. განმცხადებელთა შორის იყო კომუ-

ნისტი 13, კომკავშირელი — 6, კვალიფიციური ზეინკალი — 12, ხარატი— 5, მჭედელი — 3, ელექტრომონტიორი — 5 და სხვ.[1] ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა სხვა ორგანიზაციებშიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეირჩა სოფლად მუდმივ სამუშაოზე გასაგზავნად 400 მოწინავე მუშა, აქედან კოლმეურნეობებში სამუშაოდ — 200 კაცი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში — 75, საკრედიტო ორგანიზაციებში — 25, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 50 და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ — 50 მუშა[2]. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ამის გარდა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში სამუშაოდ გამოყო 250 მუშა, მათ შორის 60 კომკავშირელი[3].

შერჩეული მუშების სიები დამტკიცდა მუშათა საერთო კრებებზე. 1929 წლის დამლევს საქართველოს სოფლებში მუდმივ სამუშაოებზე გაიგზავნა მოწინავე მუშათა პირველი რაზმი 150 კაცის შემადგენლობით[4]. გაიგზავნა აგრეთვე 46 მელითონე[5].

ნოემბრის პლენუმის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა მანქანა-იარაღების შეტანა სოფლად. გაძლიერდა სოფლის ტექნიკური ბაზა, კერძოდ, სატრაქტორო პარკი. სოფლად გაიზარდა სხვა მანქანა-იარაღების რაოდენობაც, გაუმჯობესდა მანქანა-ტრაქტორთა და სატრაქტორო კოლონების ტექნიკური აღჭურვილობა. 1929 წლის დამლევისათვის საქართველოში არსებობდა სოფელთაშორისო სამი მტს-ი და ექვსი სატრაქტორო კოლონა, რომელთა მომსახურების არე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის დონე საქართველოში 2 პროცენტიდან (1928 წ. ნოემბრის ბოლო) გაიზარდა 6,3-მდე 1929 წლის 1 დეკემბრისათვის. მიწის განსაზოგადოება შესაბამისად 1,3-დან გაიზარდა 4,7 პროცენტამდე. ამავე დროისათვის თითოეულ კოლმეურნეო-

---

[1] «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР (1928—1929 гг.)», стр. 546.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3164, ფურც. 292; «Молодой ленинец», 18 декабря 1929 г.

[3] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1929 წლის 24 დეკემბერი.

[4] М. Натмеладзе, К вопросу союза рабочего класса с крестьянством Грузии в период первой пятилетки (Сообщения АНГССР, 1958, т. 20, № 3, стр. 380).

[5] «Политический и трудовой подъем рабочего класса СССР (1928—1929 гг.)», стр. 546.

ბაზე მოდიოდა 21 მეურნეობა და ვარგისი მიწა 40,6 ჰექტარის რაოდენობით[1]. ამასთან, თუ წინათ კოლმეურნეობები იქმნებოდა უპირატესად მემინდვრეობაში, ახლა, 1929 წლის მეორე ნახევარში, კოლექტივიზაციამ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითადი დარგი მოიცვა. მაგალითად, 1142 კოლმეურნეობიდან მარცვლეულის დარგში კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა შეადგენდა 32,4 პროცენტს, მეჩაიეობაში — 27,8, მეცხოველეობაში — 8,6, მეთამბაქოეობაში — 6,7, მევენახეობაში— 5,9 და მემინდვრეობა-მევენახეობის დარგში — 5,2 პროცენტს[2].

1929 წლის ოქტომბრიდან საკოლმეურნეო მოძრაობაში შეიმჩნევა ახალი მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებანი, რაც გამოიხატა კოლმეურნეობის ფორმათა როგორც ზრდის ტემპების, ისე ამ ფორმათა შორის ფართობის მნიშვნელოვან ცვლილებაში. 1928 წლის ოქტომბრიდან 1929 წლის ოქტომბრისათვის კომუნათა რაოდენობა გაიზარდა 130 პროცენტით, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობებისა — 42,5 და არტელებისა კი — 282,4 პროცენტით[3]. მაშასადამე, საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში 1929 წლიდან უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა და, რაც მთავარია, ეს ზრდა მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო არტელების ხაზით. 1929 წლის მარტო ოქტომბერში თუ კომუნათა რაოდენობა გაიზარდა 207 და ამხანაგობათა — 231,6, არტელებისა — 266,5 პროცენტით. ამრიგად, თუ წინა პერიოდში ამხანაგობათა ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კომუნების ზრდის ტემპს, ახლა მდგომარეობა შეიცვალა ამხანაგობათა სასარგებლოდ. სასოფლო-სამეურნეო არტელების ზრდის ტემპი კვლავ პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

ამხანაგობათა რაოდენობის ზრდის ტემპის გადიდება აიხსნება იმით, რომ კოლექტივიზაციისაკენ დაიძრა იმ რაიონების (აჭარა, სამხრეთ ოსეთი, მესხეთი და სხვ.) გლეხობის ნაწილი, რომლისთვისაც ადგილობრივი თავისებურებების გამო უფრო მეტად ხელსაყრელ ფორმას ამ ეტაპზე წარმოადგენდა მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობა. გლეხთა ეს ნაწილი შედგებოდა უმთავრესად ღარიბი და მცირეშეძლებიან საშუალო გლეხთა ფენებისაგან.

1929 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შეიცვალა კოლმეურნეობათა ქსელში ფორმათა ურთიერთფარდობაც. მაგალითად, კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობაში კომუნათა ხვედრითი წონა შეადგენდა უკვე 1,9 პროცენტს, ამხანაგობებისა — 20 და არტელებისა — 77,6 პროცენტს. მაშასადამე, მნიშვნელოვნად გაზრდილა ამხანაგობათა ხვედრითი წონა,

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 2837, ფურც. 109 — 111.

[2] იქვე.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3160, ფურც. 323 — 324.

ხოლო კომუნებისა და არტელებისა, პირიქით, შემცირებულა. მიუხედავად ამისა, არტელების რაოდენობა ამ ორ თვეში გაიზარდა 387 ერთეულით, ანუ 1927 წლის აპრილის დონესთან შედარებით 20-ჯერ.

საშუალო გლეხები უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ არტელებში გაერთიანებისაკენ. დადგენილია, რომ კოლმეურნეობებში განსაზოგადოებელი მიწათსარგებლობის გადიდებას აპირობებდა კოლმეურნეთა შორის საშუალო გლეხთა ხვედრითი წონის მუდმივი ზრდა. თუ 1928 წლის ოქტომბრისათვის საშუალო გლეხთა რაოდენობა კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენდა, 1929 წლის დამლევისათვის — 21,6 პროცენტს, ხოლო ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეთა ხვედრითი წონა — 78,4 პროცენტს[1].

საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფონდები მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა. გაიზარდა გლეხთა მონაწილეობაც ამ ფონდების შექმნაში. წინა წლებში საკოლმეურნეო მშენებლობას ახასიათებდა კოლმეურნეთა მიწების განსაზოგადოების ერთობ დაბალი დონე. მიწის განსაზოგადოება საგრძნობლად ჩამორჩებოდა კოლმეურნეთა რაოდენობის ზრდის ტემპს, რის გამოც კოლმეურნეობათა მიწის ფონდში წევრთა მიერ განსაზოგადოებული მიწის ფართობი მეხუთედსაც კი ძლივს აღწევდა. 1929 წლის დამლევისათვის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ამ დროისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობები ფლობდნენ სულ 25,5 ათას ჰექტარ მიწას, აქედან კოლმეურნეების მიერ განსაზოგადოებული მიწები შეადგენდნენ 14,5 ათას ჰექტარს, ანუ ნახევარზე მეტს[2]. ეს ცვლილებაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა კოლმეურნეთა საერთო რაოდენობაში საგრძნობლად გაიზარდა. მაშასადამე, საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობებისაკენ საერთოდ გლეხობის ლტოლვაც. ამასთან დაკავშირებით, გამსხვილდნენ კოლმეურნეობები. თითოეულ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 17,5 კომლი, ხოლო სათესი მიწა — 32,7 ჰექტარი[3].

საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა კოლექტივიზაციის დონე. 1929 წლის დეკემბრისათვის გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირების დონე, როგორც აღინიშნა, გაიზარდა 6,3 პროცენტამდე, ხოლო განსაზოგადოებული მიწათსარგებლობის ხვედრითი წონა — 4,7 პროცენტამდე[4].

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 13 წელი", გვ. 81.

[2] „საქართველოს სოფლის მეურნეობა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობისათვის", გვ. 109.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3160, ფურც. 323 — 324.

[4] ი. მ ი რ ცხ ულ ა ვ ა, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, გვ. 43; სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 288, საქ. 2897, ფურც. 109 — 111.

ღარიბთა და მოჯამაგირეთა დარაზმვისა და მათი პოლიტიკური აქტივობის შედეგად სწრაფად ხდებოდა კულაკის პოლიტიკური იზოლაცია, კულაკების მიერ მოწყობილი ბევრი ცრუკოლმეურნეობა გამომჟღავნდა და დაიშალა, კოლმეურნეობათა საგრძნობი ნაწილი გაიწმინდა მტრული ელემენტებისაგან, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა სოციალური შემადგენლობა.

კოლმეურნეთა პოლიტიკური დონისა და ორგანიზაციული გამოცდილების ამაღლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროლეტარული ელემენტების მონაწილეობა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოებში. მოჯამაგირეთა ბირთვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 10-ჯერ, ღარიბი გლეხობისა — 3,5-ჯერ, საშუალო გლეხების — დაახლოებით 6-ჯერ, სოფლის მუშათა — 23-ჯერ[1].

საკავშირო კპ (ბ) XV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად განუხრელად ვითარდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. იზრდებოდა მისი მთლიანი პროდუქციის მოცულობა. თუ 1927 — 28 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1926/27 წლის უცვლელ ფასებში 256138,7 ათას მანეთს, 1928 — 29 წელს უკვე 270002,5 ათასი მანეთი შეადგინა[2].

ამრიგად, პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1926 — 1929 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტური ელემენტები. სოციალისტური სექტორის, აგრეთვე მშრომელი გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო სოფლის საწარმოო ძალების აღმავლობას. ამით ნათლად დადასტურდა სოფლის მეურნეობის „დეგრადაციის“ შესახებ მემარჯვენეთა „მტკიცების“ სრული უსაფუძვლობა.

§ 4. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პირველ ხუთწლედში დიდსა და სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში. საქართველო აგრარული ქვეყნიდან გარდაიქმნა აგრარულ-სამრეწველო ქვეყნად. შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მრეწველო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 284, საქ. 1972, ფურც. 1 — 15.

[2] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 202, 203.

ბისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. ამასთან ერთად, პარტიისა და მთავრობის რიგმა სხვა ღონისძიებამაც ხელი შეუწყო სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის მომზადებას. მათ შორის უნდა აღინიშნოს: ჯ ე რ ე რ თ ი, სოციალისტური სექტორის გეგმიური, გარდამქმნელი გავლენა სოფლის ეკონომიკაზე[1], მ ე ო რ ე, კომუნისტური პარტიის მიერ სოფლად კოოპერატიული საზოგადოებრიობის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოველმხრივ გაშლა და განვითარება, მ ე ს ა მ ე, 1928 და 1929 წლებში პარტიის მიერ პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით კულაკობასთან ბრძოლის გაჩაღება, რაც სერიოზულად უთხრიდა ძირს სოფლად კულაკობის გავლენას და ხელს უწყობდა საბჭოებისა და პარტიული ორგანიზაციების გარშემო ღარიბი და საშუალო გლეხობის დარაზმვას, მ ე ო თ ხ ე, პირველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დადებით გამოცდილებათა ფართოდ დანერგვა და გავრცელება, რასაც დიდი შთამაგონებელი ძალა ჰქონდა ღარიბ და საშუალო გლეხობაზე და მ ე ხ უ თ ე, მუშათა კლასის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა (სოფლად გაგზავნილი მუშათა ბრიგადების მიერ გლეხობისადმი დახმარება კულაკობასთან ბრძოლაში და სხვ.).

ასეთ ვითარებაში იწყებოდა სოციალიზმის ეკონომიკის საძირკვლის აშენება. ამისთვის იყო გამიზნული პირველი ხუთწლიანი გეგმა. იგი წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის პროგრამას. პირველი ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების საფუძველზე ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შემდგომი განდევნა მათი სრულ ლიკვიდაციამდე[2].

ასეთი დიდი ამოცანების წინაშე იდგა კომუნისტური პარტია; იგი თავს ვერ გაართმევდა ამ ამოცანებს, თუ ვერ უზრუნველყოფდა საკუთარი რიგების ლენინურ მთლიანობას, მის გაწმენდას კარიერისტული და მერყევი ელემენტებისაგან. ამ მიზანს ისახავდა XVI პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით 1929 წელს პარტიის რიგების წმენდა. პარტიის რიგებიდან მაშინ გააძევეს მისი მთელი შემადგენლობის ათი პროცენტი. ამან პარტიის ძალა და ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა. პარტიის რიგებში მოდიოდა ღარიბი და უღარიბესი გლეხების, მოჯამაგირეების, მოწინავე მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციის ახალი და ახალი რაზმები. პარტია კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა. იგი სათავეში ჩაუდგა მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას — ბრძოლას ხუთწლედის

---

1 1928 და 1929 წლებში კონტრაქტაციით მოცული იყო გლეხურ მეურნეობათა მესამედზე მეტი.

2 „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, გვ. 525.

ოთხწლედში შესრულებისათვის. ფართოდ გაიშალა მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. წარმატებით შესრულდა პირველი ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალებანი. ხუთწლედის პირველი წლის შედეგები შეაჯამა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა.

პლენუმის მუშაობაში ძირითადი იყო საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხი. პლენუმმა აღნიშნა, რომ გლეხობის ძირითადი მასების შემობრუნება სოციალიზმისაკენ, რაც საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაფართოებით გამოიხატა, „მ ო ა ს წ ა ვ ე ბ ს ა ხ ა ლ ი ს ტ ო რ ი უ ლ ე ტ ა პ ს ჩ ვ ე ნ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი“[1]. ამ ეტაპს პარტიამ უწოდა მ თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ზ ე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს შ ე ტ ე ვ ი ს პ ე რ ი ო დ ი, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაძაბული შრომით, ყველა საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომითა და ბრძოლით მზადდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში.

სოციალიზმის მთელ ფრონტზე შეტევა ხორციელდებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ყველა ანტისოციალისტური ძალის მთავარ დასაყრდენს ქვეყნის შიგნით წარმოადგენდა კულაკობა, რომელიც ყველა ღონისძიებით ცდილობდა საკოლმეურნეო მშენებლობის, სოციალისტური მშენებლობის ჩაშლას.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ გამოხატულება პოვა კომუნისტური პარტიის რიგებში და სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების დამცველის როლში პარტიას მოევლინა მემარჯვენეთა კაპიტულანტური ჯგუფი ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მეთაურობით. ამ ჯგუფის სათავეში შემთხვევით არ აღმოჩნდა ბუხარინი. იგი ჯერ კიდევ 1925 წელს გამოდიოდა კულაკებისადმი მხარდაჭერის ლოზუნგით და მოითხოვდა შეძლებულ, კულაკურ გლეხურ მეურნეობათა მიმართ ყოველგვარ შემზღუდავ ღონისძიებათა გაუქმებას და გლეხებს მოუწოდებდა „გამდიდრებისაკენ“[2], ხოლო, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ლენინური გზით მიდიოდა, მოინდომა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და, ბოლოს,

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 808.

[2] ნ. ბუხარინი, სტატიაში „ახალი ამოცანები ჩვენი საგლეხო პოლიტიკის დარგში“, წერდა: «Наша политика по отношению к деревне должна развиваться в таком направлении, чтобы раздвигались, а отчасти уничтожались многие ограничения, тормозившие рост зажиточного и кулацкого хозяйств. Крестьянам, всем крестьянам надо сказать: Обогашайтесь, развивайте свое хозяйство и не беспокойтесь, что вас прижмуть» (газ. «Правда», 24 апреля 1925 г.).

გადაწყვიტა მათი, როგორც კლასის ლიკვიდაცია, ვერ მოითმინეს კლასობრივი მტრის ფარულმა დამცველებმა — მემარჯვენე ოპორტუნისტებმა — და სააშკარაოზე გამოვიდნენ.

ამრიგად, საბჭოთა ქვეყანამ, მოიშუშა რა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით, ინტერვენციით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა დანგრეული სახალხო მეურნეობა, დაიწყო სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელება. ამან კიდევ უფრო გააბოროტა და გააქტიურა კონტრრევოლუციური ძალები ქვეყნის შიგნით და უცხოელი იმპერიალისტები და მათ კალთებს ამოფარებული ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაცია ქვეყნის გარეთ. მათ გადაწყვიტეს ომის მუქარით ჩაეშალათ გაშლილი სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების მტრულ გამოხდომებში (ჩინეთი, პოლონეთი) მცირე როლი როდი ეკუთვნოდა ქართულ კონტრრევოლუციურ ემიგრაციას. იგი 1929 წლის მაისში დაუკავშირდა უკრაინიდან ემიგრირებულ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და პოლონეთის მთავრობის დახმარებით ვარშავაში მოაწყო პროვოკაციული გამოსვლები საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

გაკოტრებული მენშევიზმისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების მეთაურთა გამოხდომებმა ქართველი ხალხის გულისწყრომა გამოიწვია. მთელ რესპუბლიკაში მძლავრი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა. თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში და სხვა ქალაქებში და სოფლებში მშრომელები ერთსულოვნად გამოთქვამდნენ გულისწყრომას იმპერიალიზმის მსახურთა წინააღმდეგ. „ფიცსა ვდებთ,— ნათქვამი იყო ტყიბულის მუშების რეზოლუციაში, — რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ სოციალისტური მშენებლობისათვის“. ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მკაცრი პროტესტით გამოვიდნენ ქართველი სტუდენტები და მეცნიერები. 11 ივნისს გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერების საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ: ი. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. კეკელიძე, ან. რაზმაძე, დ. უზნაძე, გ. ნათაძე, მ. პოლიევქტოვი, ალ. ჯავახიშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები[1]. წერილში აღნიშნული იყო, რომ მეცნიერებას მძლავრი განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა. მეცნიერებმა სასტიკად დაგმეს კონტრრევოლუციური ემიგრაციის სამხედრო ავანტიურების ცდები, მიმართული მშვიდობიანობის წინააღმდეგ. „ეროვნული კულტურული აღორძინება საჭიროებს მშვიდობიანობას და ვერ მოითმენს მუდმივ მუქარას ამ მშვიდობიანობის წინააღმდეგ მიმართულს“, წერდნენ ქართველი მეცნიერები.

[1] „საქართველოს ისტორია“, ტ. III, გვ. 91 — 92.

ქართველმა ხალხმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, არაერთხელ გამოავლინა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და მჭიდრო კავშირი კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობასთან. იგი მტკიცედ მიჰყვებოდა პარტიის ლენინურ კურსს. მაგრამ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ძალები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სწორი გზიდან აეცდინათ კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი. მათ შორის უკანასკნელ ადგილზე როდი იყვნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ნამსხვრევები და მემარჯვენე-ოპორტუნისტები.

ბუხარინის მემარჯვენე ოპორტუნისტული ჯგუფი ყველა საკითხში დაშორდა კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს. მათ საქმე მიჰყავდათ საბჭოთა ქვეყანაში ბურჟუაზიული ურთიერთობის რესტავრაციისაკენ. მართალია, ისინი სიტყვით აღიარებდნენ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, მაგრამ საქმით ეწინააღმდეგებოდნენ მძიმე ინდუსტრიის განვითარების პოლიტიკას, რომლის განხორციელების გარეშე შეუძლებელი იყო სოციალიზმის აშენება, მისი გამარჯვება საბჭოთა კავშირში.

მემარჯვენეები ქადაგებდნენ კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სოციალიზმში კულაკობის მშვიდობიანად შეზრდის „თეორიას". აქედან გამომდინარე, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სოციალიზმის შეტევას მთელ ფრონტზე და კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის პოლიტიკას. მათი აზრით, სოფლის სოციალისტურ რელსებზე გადასაყვანად საჭირო არ იყო გლეხობის კოოპერირება საწარმოო ხაზით, ამისათვის სრულიად საკმარისად მიაჩნდათ მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის ფართოდ განვითარება, რითაც ფაქტიურად უარყოფდნენ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას[1].

მემარჯვენეთა თეორიული კრედო მარტო აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მათ ჰქონდათ ოპორტუნისტულ შეხედულებათა მთელი სისტემა. ისინი მოითხოვდნენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას, საგადასახადო სისტემაში კულაკისა და ღარიბი გლეხის გათანაბრებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე დამზადების ფასების მომატებას, ე. ი. კულაკობისადმი მატერიალური მხარდაჭერის გაძლიერებას, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტები მნიშვნელოვანი რაოდენობით მხოლოდ კულაკებს ჰქონდათ გასაყიდი.

მემარჯვენე, ოპორტუნისტულ შეხედულებათა დამცველები და გამტარებლები საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებშიც აღმოჩნდნენ[2] და, ეს სრულებით არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან საქართველოში მემარ-

---

[1] «Очерки истории коммунистических организации Закавказья (1921—1937 гг.), ч. II, стр. 143.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 608.

ჯვენე ოპორტუნისტული „თეორიებისათვის“ ადრიდანვე არსებობდა ხელსაყრელი სოციალ-ეკონომიური ვითარება და მძლავრი მენშევიკური იდეოლოგია, რომელსაც აშკარადაც უწევდნენ პოპულარიზაციას მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნამსხვრევები მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლების ქართულ პრესაში. ამ გარემოებამ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებშივე განაპირობა ნაციონალ-უკლონიზმის მემარჯვენული პოზიციები აგრარულ, საშინაო და საგარეო ვაჭრობის, ფინანსების, ანტისაბჭოთა პარტიებისადმი დამოკიდებულებისა და სხვა საკითხებში. ასეთმა „საერთო ნიადაგმა“ განაპირობა მენშევიზმის, ნაციონალ-უკლონიზმისა და ტროცკიზმის იდეური და ზოგჯერ, ორგანიზაციული კავშირიც კი. ცოტა გვიან კიდევ უფრო ადვილად აღმოჩნდნენ ამ „საერთო ნიადაგზე“ კონდრატიეველებიც და მემარჯვენე ოპორტუნისტებიც.

მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლის მეცნიერული გაშუქებისათვის საჭიროა შემოწმდეს ის იდეური არსენალი, რომელიც მიმდინარე საუკუნის 20-იანი, აგრეთვე 30-იანი წლების დასაწყისში აიარაღებდა ყველა ანტიპარტიულ ჯგუფს, მათ შორის, ყველაზე ეფექტურად — მემარჯვენე ოპორტუნისტულ ჯგუფს საქართველოში.

ანტიმარქსისტული იდეური არსენალის სისტემატურად შევსებას, „გამდიდრებას“ დაბეჯითებით ეწეოდა მენშევიკური ემიგრაცია, პირველ რიგში, ნ. ჟორდანია, რომლის მეთაურობითაც მენშევიკურ და სხვა პარტიათა პუბლიცისტები ეხმაურებოდნენ საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ხასიათის ყველა ღონისძიებას, მათთვის სახელის გატეხვის მიზნით. მენშევიკური ემიგრაციის ყოველი გამოსვლის ექო საკმაოდ ძლიერი იყო მაშინდელ საქართველოში. ამ უცხო და მტრულ ხმებს, რომლებიც უცხოეთიდან არალეგალურად შემოაღწევდა ხოლმე, მყისვე აიტაცებდა ეგრეთ წოდებული „შინაგანი ემიგრაცია“ და ეწეოდა მათ პოპულარიზაციას.

„შინაგანი ემიგრაციიდან“, როგორც ცნობილია, ერთი უარყოფდა საქართველოს სამრეწველო განვითარების შესაძლებლობას, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის განხორციელების შესაძლებლობას და გვიწინასწარმეტყველებდა საქართველოს დარჩენას მრეწველურად განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო დანამატად, თუ არ შეიცვლებოდა წარმოების სოციალისტური წესი. „შინაგანი ემიგრაციის“ მეორე წარმომადგენელი „გვიმტკიცებდა“ საქართველოს სოფლის მეურნეობის დეგრადაციას მრეწველობის განვითარების ჩქარი ტემპების შედეგად, ხოლო მესამე წარმომადგენელი გამორიცხავდა სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმიური განვითარების შესაძლებლო-

ბას, უკიდურეს შემთხვევაში, დიდი ხნით მაინც. მათი გავლენით კომუნისტური პარტიის სამეურნეო პოლიტიკის რიგი საკვანძო პრობლემის მიმართ ზოგიერთი პარტიული თუ სამეურნეო მუშაკიც აღმოჩნდა სკეპტიკურად განწყობილი. ყოველივე ეს ხელსაყრელ იდეურ გარემოს ქმნიდა საქართველოში მემარჯვენე ოპორტუნიზმისათვის, სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის ბუხარინული კრიტიკისათვის, მაგრამ საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც მტკიცედ მიჰყვებოდნენ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სწრაფად და გადაჭრით უკუაგდეს ბუხარინელთა გამოლაშქრება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მემარჯვენეები, ბუხარინელები მაშინ საქართველოში ისე აშკარად და ორგანიზებულად არ გამოსულან, როგორც გამოდიოდნენ თავის დროზე ნაციონალ-უკლონისტები, „ახალი ოპოზიცია", ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი. ისინი ადრევე გაერთიანდნენ მენშევიკური იდეოლოგიის საფუძველზე[1]. ამას ხელი შეუწყო განსაკუთრებით ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა და, ბოლოს, საერთო სიძულვილმა და მტრობამ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიმართ.

ბუხარინ-რიკოვის მემარჯვენე ოპორტუნისტული ჯგუფის საკითხი განიხილა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ნოემბრის პლენუმმა და მოუწოდა პარტიას ეწარმოებინა ბრძოლა ამ ჯგუფის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, აგრეთვე, ამ ჯგუფისადმი ყოველგვარი შემრიგებლობის წინააღმდეგ. ამასთან, პლენუმი კვლავ მოაგონებდა პარტიულ ორგანიზაციებს არ შეესუსტებინათ ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგაც. პლენუმმა მიიღო დადგენილება ბრძოლის გაძლიერების შესახებ ორ ფრონტზე — „ლენინური ხაზისაგან როგორც მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრის წინააღმდეგ, ისე სოციალ-დემოკრატიული, ტროცკისტული, „მემარცხენე", ე. ი. არსებითად იგივე მემარჯვენე, მაგრამ მემარცხენე ფრაზით შენიღბული გადახრის წინააღმდეგ"[2]. იგი არც შემცდარა, ტროცკიზმი იარაღს არ ჰყრიდა, ამიტომ შემთხვევით არ შეუკოწიწებიათ 1929 წლის დასაწყისში მემარჯვენეებსა და ტროცკისტებს კავშირი პარტიის წინააღმდეგ, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები განიხილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო, სამაზრო კომიტეტების პლენუმებმა და პარტიული აქტივის კრებებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის თებერვლის პლენუმმა ოპოზიციის ლიდერები-

---

[1] ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. ამავე წიგნის თავი II, § 5.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 697.

საგან კატეგორიულად მოითხოვა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ მორიგ პლენუმზე თავიანთი შეცდომების აშკარად აღიარება. „წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია იძულებული იქნება დააყენოს საკითხი პოლიტბიუროდან მათი გამოყვანის შესახებ“ [1].

ბუხარინ-რიკოვის ანტიპარტიული საქმიანობის საკითხი კვლავ განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1929 წელს აპრილსა და ნოემბერში [2]. ნოემბრის პლენუმმა მემარჯვენეთა ოპორტუნისტული იდეების პროპაგანდა შეუთავსებლად მიიჩნია პარტიაში ყოფნასთან, ბუხარინი გამოიყვანა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, ხოლო რიკოვი და ტომსკი სერიოზულად გააფრთხილა.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთსულოვნად დაგმეს მემარჯვენე გადახრა და ერთხმად აღიარეს, რომ საკ. კპ (ბ) XV ყრილობისა და მომდევნო პლენუმების მიერ დასახული პარტიის გენერალური ხაზი წარმოადგენს ერთადერთ სწორ ხაზს, და, რომ არ დაუშვებენ პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებების არავითარ რევიზიას [3].

მემარჯვენე ბუხარინულ და „მემარცხენე“ ტროცკისტულ ოპორტუნისტული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ივნისის წერილის შემდეგ, რომელმაც ყველა პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიის წევრს მოუწოდა დაუცხრომლად ებრძოლათ მემარჯვენე გადახრის, ტროცკიზმისა და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ. ეს წერილი განიხილეს პარტიის სამაზრო და საქალაქო კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული და კომკავშირული უჯრედების კრებებზე.

ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად საქართველოს კომუნისტები უფრო გაბედულად ამხელდნენ ადგილობრივ ტროცკისტულ და მემარჯვენულად განწყობილ ჯგუფებს, რომლებსაც ეკავათ პასუხსაგები თანამდებობანი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, აგრეთვე, ქართული დივიზიის ნაწილებში. მხილებულ ოპოზიციონერებს პარტიიდან რიცხავდნენ [4].

საქართველოს კომუნისტური პარტია მტკიცედ გამოვიდა ბუხარინ-რიკოვის მემარჯვენე ოპორტუნისტული ჯგუფის წინააღმდეგ, მას აშკარად არავინ იცავდა ხელმძღვანელ პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკთა შორის, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს საქართველოში მემარ-

---

1 «Очерки истории коммунистических организации Закавказья», стр. 147—148.

2 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 710 — 736, 810 — 812.

3 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. I, საქ. 3393, ფურც. 4.

4 „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, გვ. 612.

ჯვენე ოპორტუნისტული გადახრის არსებობის უარყოფისათვის[1]. „არის თუ არა საქართველოში მემარჯვენე გადახრა? — კითხულობდა ლ. ღოღობერიძე საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე და თვითონვე პასუხობდა, — რამდენიც გნებავთ! პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ ვხვდებით მას ქალაქშიც და სოფელშიც... ჩვენ არ გვყავს მემარჯვენე გადახრის თეორეტიკოსები... მაგრამ მემარჯვენე გადახრის პრაქტიკოსი იმდენია, რამდენიც გნებავთ. მათ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით"[2]. ამას თვალნათლივ ადასტურებდა არაერთი კორესპონდენცია, რომლებიც ბლომად იბეჭდებოდა მაშინდელ პრესაში, „თითო-ოროლა უიმედო პარტიულ „ობივატელის" გარდა, — ვკითხულობთ გაზეთ „კომუნისტში", — ახლა ყველას სჯერა, რომ მემარჯვენე გადახრას ნამდვილად აქვს ადგილი ჩვენი პარტიის ცალკე ნაწილებში... ბევრ ამხანაგს მემარჯვენეობა მარტო თეორიის საკითხად მიაჩნია. ის გარემოება კი, რომ მემარჯვენე თეორიას თან სდევს გაცილებით უფრო მავნე და საშიში აშკარად ოპორტუნისტული პრაქტიკა, მათ სათანადოდ ვერ შეუთვისებიათ. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს ზოგიერთ პარტორგანიზაციაში მომხდარი ამბებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ყველაფერი, რასაც თეორიულად „ასაბუთებს" ბუხარინი და „მისი სკოლა", პრაქტიკულად ტარდება ცხოვრებაში ბუხარინის შეგნებულ და შეუგნებელ მიმდევრების მიერ". ამის საილუსტრაციოდ ავტორს არაერთი მაგალითი მოაქვს, უმთავრესად, სოფლის პარტორგანიზაციების მოღვაწეობიდან[3].

საქართველოში მემარჯვენე-ოპორტუნისტული პრაქტიკის მრავალი ფაქტი აღნიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს. ზოგი დელეგატი უარყოფდა კულაკურ საშიშროებას, რადგან „ჩვენი კულაკობა პოლიტიკურად უმეცარია, უკულტუროა და შეუკავშირებელი, რის გამოც მას არ შეუძლია აქტივობა გამოიჩინოს". ზოგი კი აცხადებდა: „თქვენ გვირჩევთ ვებრძოლოთ კულაკებს, კულაკები კი ჩვენ გვჭირდება. ისინი რომ არ გვეხმარებოდნენ, ჩვენ შიმშილით ამოვწყდებოდით... ისინი სამუშაოს გვაძლევენ". კულაკობის ასეთ დაცვას იმით ამართლებდნენ, რომ ზოგიერთი მათგანი ღარიბ გლეხებსა და თვით საბჭოთა ორგანიზაციებსაც კი აძლევდა უპროცენტო სესხს. ასეთ კულაკს მტრობას ვერ უსაყვედურებდნენ, ზოგიერთი პოლი-

---

[1] ლ. თ ო ი ძ ე, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორიიდან (იხ. კრებული „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", 1971, № 17, გვ. 113).

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა" (სტენ. ანგარიში), გვ. 558.

[3] კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, ოპორტუნიზმის პრაქტიკა (გაზ. „კომუნისტი", 1929 წლის 30 ოქტომბერი).

ტიკურად მოუმზადებელი კომუნისტის აზრით. ზოგ მაზრასა თუ რაიონში საბჭოების არჩევნების დროს კულაკები და ვაჭრები სარგებლობდნენ საარჩევნო ხმის უფლებით. მაგალითად, სოფელ თელეთში, როდესაც ერთ-ერთი ვაჭრისათვის საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა მოითხოვეს, აღმასკომის თავმჯდომარეს განუცხადებია: „თუ მას ხმის უფლებას ჩამოართმევთ, თქვენ დაბრძანდით აღმასკომის თავმჯდომარედ, მე კი წავალო". იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი საკრედიტო ორგანო უარს აცხადებდა ღარიბი გლეხებისათვის სესხის მიცემაზე, როგორც ნაკლებ გადახდისუნარიან კლიენტისათვის. მათი აზრით, არ იყო საჭირო ღარიბი გლეხობისათვის კრედიტების მიცემა, რადგანაც ჩვენ ის პურს არ გვაძლევს; უკეთესია კრედიტი მივცეთ საშუალო გლეხს და კულაკს, რადგან მათგან ვალის ამოღებაც უფრო იოლიაო[1].

ყოველივე ეს საკმაო საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობას თავის რეზოლუციაში ჩაეწერა შემდეგი: „სოფლის კომუნისტებს შორის ადგილი აქვს მემარჯვენე გადახრას, რომელიც სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს. მთავარი ამ ფორმებს შორის შემდეგია: 1. არასწორი პოლიტიკა საკრედიტო კოოპერაციაში (კრედიტების მიცემა კულაკურ მეურნეობათათვის); 2. საკმაო წინააღმდეგობის გაუწევლობა კულაკებისადმი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში; 3. კოლექტივიზაციის მნიშვნელობის შეუგნებლობა და წინააღმდეგობის გაწევა კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი: 4. კომუნისტების სუსტად ჩაბმა კოლმეურნეობებში; 5. პასივობა მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში, ზოგჯერ ხელის შეწყობაც კი მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის და პირდაპირი მონაწილეობა ამ საქმეში: 6. არასაკმაო ბრძოლა ანტირელიგიურ ფრონტზე; 7. სუსტი ბრძოლა საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმთან სოფლად; 8. არასაკმაო ყურადღება კულაკების წინააღმდეგ ღარიბთა და მოჯამაგირეთა შეკავშირების საკითხისადმი და სხვ." [2].

მემარჯვენე ოპორტუნისტები, როდესაც იბრძოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლისა და კულაკობის, როგორც კლასის. ლიკვიდაციის წინააღმდეგ, არგუმენტად, სხვათა შორის, ეროვნულ რესპუბლიკათა განვითარების თავისებურებას აყენებდნენ, აზვიადებდნენ ცალკეულ რესპუბლიკათა სოციალ-ეკონომიურსა და ყოფით თავისებურებებს, ჩქმალავდნენ იმ საერთოსა და ზოგადს, რაც ერთნაირად მოსდგამდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკას და წინ სწევდნენ იმ კერძოსა და სპეციფიკურს, რომელიც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას განასხვავებდა მეორისაგან. ამიტომ მემარ-

---

[1] „საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 87—88.
[2] იქვე, გვ. 715.

ჯვენე ოპორტუნისტულმა გადახრამ ეროვნულ რესპუბლიკებში ნაციონალისტური გადახრის ხასიათიც მიიღო. ამის შესახებ აღნიშნა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1928 წლის ოქტომბრის პლენუმმა[1] და, შემდეგ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის მარტის პლენუმმაც[2]. ამიტომ სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ მემარჯვენე გადახრის განმასხვავებელ ნიშნად ამიერკავკასიაში მის უშუალო კავშირს ადგილობრივ ნაციონალიზმთან.

იმის გამო, რომ მემარჯვენე გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმის სახითაც ვლინდებოდა ხოლმე, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამდე დაჰყავდათ ხშირად, რაც შეცდომა იყო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე მ. კახიანი აღნიშნავდა, რომ „ზოგიერთი ამხანაგი ზოგჯერ ისე მსჯელობდა და ზოგიერთი პარტორგანიზაციის რეზოლუციაში ისე გამოდის — თითქოს მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ეს, რასაკვირველია, სწორი არ არის. ნაციონალიზმი არის მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთი გამოხატულება, მისი ერთ-ერთი შტო. მემარჯვენე გადახრა ბევრად უფრო ფართოა, ეს ანტილენინურ შეხედულებათა მთელი სისტემაა. ამის გამო ჩვენ უნდა შევიარაღდეთ მის დასაძლევად. მემარჯვენე გადახრა ეს ისეთი გადახრაა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის ყველა სფეროში: ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევისა, თვითკრიტიკის გაშლა-განვითარებისა და სხვა სფეროში, და, როდესაც... ამბობენ, რომ საქართველოში ჩვენ არა გვაქვს მემარჯვენე გადახრაო... ამით სურთ მიაფუჩეჩონ ეს საკითხი“[3].

ამრიგად, საქართველოს კომუნისტურ პარტიას სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში თითქმის ერთდროულად უხდებოდა ბრძოლა ერთ, მენშევიკური იდეოლოგიის პლატფორმაზე გაერთიანებულ „შინაგანი ემიგრაციის“, კონდრატიევშჩინის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ტროცკიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიისა და ორგანიზაციის, ისე როგორც ყველა ანტილენინური მიმდინარეობის იდეური განადგურების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის შრომებმა.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, საქ. 2491, ფურც. 31 — 32.

[2] იქვე. ფ. 14, საქ. 3155, ფურც. 54.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) VI ყრილობა“ (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 86 — 87.

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის პერიოდში მყვირალა რევოლუციური ფრაზებით გამოვიდა პარტიულ და კომკავშირულ მოღვაწეთა მცირე ჯგუფი (შაკინი, კოსტროვი, სტენი, გეგეჭკორი, ხომასურიძე და სხვ.). ეს ჯგუფი „პარტიული ობივატელობის", „პოლიტიკური ჭაობისა" და „ფილისტერობის" წინააღმდეგ ბრძოლის დროშით ცდილობდა მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან ჩამოეშორებინათ კომუნისტებისა და კომკავშირლების ყურადღება [1]. ამ ჯგუფის მონაწილენი კომუნისტური პარტიის უმრავლესობას, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხაზისადმი მხარდაჭერის გამო, მიიჩნევდნენ „იდეური სიმხდალის მიკრობით დაავადებულად". ამიტომ ისინი პარტიის უმრავლესობას ეჭვის თვალით უყურებდნენ, და, მათ „თეორიული აზრის მოდუნებას" აბრალებდნენ და მოითხოვდნენ „ღარიბთა კავშირის" შექმნას. სოფლად ღარიბთა ასეთივე ორგანიზაციის შექმნა მოითხოვა ბ. ლომინაძემ XVI პარტიულ კონფერენციაზე 1929 წლის აპრილში [2]. ამას ი. ბ. სტალინმა უწოდა „საშინელი მერყეობა", ხოლო მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ — „მემარცხენე გადახრა", რაც კატეგორიულად უარყო „ბ. ლომინაძემ აღნიშნული პარტიული ორგანიზაციისადმი გაგზავნილ წერილში" [3]. ამ წერილს გაეცნენ პოლიტბიუროს წევრები, ამასთან დაკავშირებით, ბ. ლომინაძისადმი მათ ერთობლივ წერილში (1929 წლის 22 ივლისი) დაუსაბუთებლადაა ცნობილი ლომინაძის მიმართ ბრალდება „მემარცხენეობის" შესახებ, მაგრამ ისიცაა აღნიშნული, რომ ამის საბაბს იძლეოდა ბ. ლომინაძის ადრინდელი მოღვაწეობა, კერძოდ, პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგის წამოყენება მაშინდელი ჩინეთისათვის, კოსტროვის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამო პროტესტი და, ბოლოს, „ღარიბთა კავშირის" შექმნის მოთხოვნა [4].

კომუნისტურმა პარტიამ მაშინვე გამოიცნო შაკინის ჯგუფის რევოლუციურ ფრაზეოლოგიაში „მემარცხენე" ოპორტუნიზმი და სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა მას [5]. საქართველოშიც დროულად გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის 1929 წლის სექტემბრის პლენუმმა მოისმინა რა მ. ორახელაშვილის მოხსენება ორ ფრონტზე მემარჯვენე და „მემარცხენე" — გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების შესახებ, დაგმო როგორც ერთი, ისე მეორე გადახრა და მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს ორივე ფრონტ-

---

[1] Газ. «Комсомольская правда», 18 и 26 июля, 1929 г.

[2] იქვე.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3175, ფურც. 6 — 15.

[4] ლ. თ ო ი ძ ე, საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში, გვ. 411.

[5] Газ. «Правда», 9 августа 1929 г.

ზე იდეოლოგიური ბრძოლის გაჩაღებისაკენ. „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი დაგმეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის სხდომაზე, პარტიის გორის საოლქო კომიტეტის პლენუმზე [1], პარტიის ხაშურის რაიკომის გაფართოებულ პლენუმზე [2], საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის საოლქო კომიტეტისა და რაიკომების ბიუროთა გაერთიანებულ სხდომაზე[3]; ბათუმის პარტიული აქტივის საერთო-საქალაქო კრებამ, მოისმინა რა ს. მამულიას მოხსენება „ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ“, დაგმო „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი და მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს შეუნელებელი ენერგიით ბრძოლისაკენ როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ [4]. ასევე გმობდნენ ყველგან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში „მემარცხენე“ ოპორტუნიზმს, როგორც ტროცკიზმის გამოვლენის თავისებურ ფორმას.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მისმა ხელმძღვანელებმა საფუძვლიანად გააკრიტიკეს „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი და ამხილეს იგი როგორც ტროცკისტული ოპოზიციის ნაირსახეობა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ჯავახაძის წერილში — „კიდევ ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ“ — დასაბუთებული იყო მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის აუცილებლობა [5]. ა. კოჭლავაშვილი („ალანელი“) სტატიაში „განვაგრძოთ ორ ფრონტზე ბრძოლა“, აღნიშნავდა: „მიუხედავად „იმისა“, რომ მემარჯვენეებმა დაყარეს იარაღი, მათ წინააღმდეგ, ისე როგორც „მემარცხენეების“ წინააღმდეგ, ბრძოლა არ შეიძლება შევწყვიტოთ“. წერილში მხილებულია ოპოზიციონერები, რომლებიც პარტიის ბრძოლას ორ ფრონტზე სახავდნენ ცენტრიზმად [6].

„მემარცხენე“ ოპორტუნისტებმა მალე აღიარეს თავიანთი შეცდომები და პარტიას აღუთქვეს ლენინური გენერალური ხაზისათვის თავდადებული ბრძოლა[7]. ბ. ლომინაძე, შემდეგში მუშაობდა რა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად, უშვებდა „მომემარცხენო“ ხასიათის შეცდომებს. მან 1930 წლის 4 ოქტომბერს დაწერა და სამხარეო კომიტეტის სახელით გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „მიმართვა“, სადაც დაშვებულია პოლიტიკური ხასიათის შეცდომები. ლომინაძე და მისი მომ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1929 წლის 6 სექტემბერი.

[2] იქვე, 15 სექტემბერი.

[3] იქვე, 8 სექტემბერი.

[4] პარტიული არქივი (ბათუმი), ფ. I, საქ. 1221, ფურც. 1 — 2.

[5] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1929 წლის 22 ოქტომბერი.

[6] იქვე, 6 დეკემბერი.

[7] იქვე, 26 ნოემბერი; Газ. «Молодой ленинец», 13 ноября, 1929 года.

ხრეები სირცოვი, შაკინი, სტენი და სხვები დუმილით უვლიდნენ გვერდს იმ მუშაობას, რომელსაც ეწეოდა პარტია საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის, იქიდან ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის, აგრეთვე შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლისათვის. ისინი პარტიას ბრალად სდებდნენ შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევას, ცილს სწამებდნენ საბჭოთა აპარატს, სახელს უტეხდნენ მას ხალხის თვალში[1].

ბ. ლომინაძისა და მის თანამოაზრეთა გამოსვლა პარტიულმა ორგანოებმა და პრესამ მაშინ დაახასიათეს, როგორც „ანტიპარტიული მემარჯვენე-მემარცხენეთა ბლოკი". მათი საკითხი განიხილეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე, რომელმაც მკაცრად დაგმო ლომინაძისა და მის თანამოაზრეთა შეხედულებანი. ამ დადგენილების შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა 1930 წლის ნოემბერში მოისმინა ს. კიროვის მოხსენება და მოიწონა იგი. პლენუმმა აღნიშნა, რომ ლომინაძისა და მის თანამოაზრეთა „იდეოლოგია და პლატფორმა მთლიანად ეთანხმება მემარჯვენე ოპორტუნიზმის პლატფორმას... ისინი ცილს სწამებენ პარტიას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას მუშათა შრომის ხელფასის გადიდებისათვის და მატერიალურ-კულტურული ყოფის გაუმჯობესებისათვის, იმ განცხადებით, ვითომ შრომის რეალური ხელფასის დონე დაბლა იწევს. ასეთივე ცილისწამებაა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარება, საბჭოთა აპარატის მხრივ მუშათა და გლეხთა საჭიროებებისა და ინტერესებისადმი „ბატონ-კაცური ფეოდალური დამოკიდებულება" და სხვ. პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გარიცხა ლომინაძე და ჩაპლინი, გამოიყვანა ლ. ღოღობერიძე და ვ. დარახველიძე. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანეს ლ. ქართველიშვილი, ხოლო ბიუროში აირჩიეს: ვ. დევდარიანი, შ. ელიავა, ე. კვანტალიანი, ს. მამულია, ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ლ. სუხიშვილი, ლ. ქართველიშვილი, მ. ცხაკაია და სხვ. სულ 15 კაცი[2].

ანტიპარტიული, ანტილენინური ოპოზიციის წინააღმდეგ პარტია რიგი ორგანიზაციული ხასიათის ზომებსაც ახორციელებდა. ასე მაგალითად, მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 1931 წელს მთლიანად გადაირჩეს კასპისა და თელავის პარტიის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობა. უფრო ადრე, 1929 წლის ზაფხულ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 12 ნოემბერი, Газ. «Правда», 10 ноября 1930 г.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 21 ნოემბერი.

ში, საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციაში მემარჯვენე გადახრის ფაქტების გამოაშკარავების შედეგად დაშალეს მშენებელ მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური გამგეობა, საბჭოთა აპარატისა და ეაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების აჭარის საოლქო კომიტეტი, რკინიგზელთა პროფკავშირის სამტრედიის რაიონული კომიტეტი და სხვ.[1]. მაგრამ მემარჯვენეები ფუ შეეცდებოდნენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას, პარტია მათ წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებსაც ღებულობდა. ამის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის თავმჯდომარე გ. სტურუა ამბობდა: „საანგარიშო პერიოდში (1932 — 1934 წწ.) ჩვენ გვქონდა მემარჯვენე ელემენტების ორგანიზაციული ჩამოყალიბების ერთი ცდის შემთხვევა. ნ. ლაბარტყავა, მიმინოშვილი და ვ. მიქელაძე, იყვნენ რა პარტიის წევრები, ამავე დროს იყვნენ მემარჯვენეების არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრები და აწარმოებდნენ პარტიის წინააღმდეგ აქტიურ მუშაობას. ისინი თავის რიგებში აბამდნენ უკმაყოფილო პირებს ანტისაბჭოთა ბანაკიდან, სამივე გარიცხულია პარტიიდან და ანტისაბჭოთა მუშაობისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში“[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ აღნიშნა, „რომ მემარჯვენე ოპორტუნისტთა მტკიცების მიუხედავად, საქართველოს კომპარტიამ გასული წლის განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის განვითარებაში, მან გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმით დასახული ვარაუდები და რეკონსტრუქციის პერიოდის პირობებში უზრუნველყო სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების ტემპების შემდგომი გაძლიერება“[3].

მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად აუცილებელი იყო ბრძოლა ეგრეთ წოდებულ „კონდრატიევშჩინასთან“. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1931 წლის 2 იანვარს მიიღო სპეციალური დადგენილება „კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის შესახებ საქართველოს სინამდვილეში“, სადაც ვკითხულობთ: „მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საქართველოში არ არსებობს პირობები კონდრატიევშჩინის აღმოცენებისა და განვითარებისათვის — მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს... უდავო ფაქტია კონდრატიეველთა მთლიანი პლატფორმის არსებობა, რომლის თეორეტიკოსებსაც წარმოადგენდნენ ჭუმბურიძე, გონჩა-

---

[1] «Материалы к VIII съезду профсоюзов Грузии», Тиф., 1929, стр. 169.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობა“ (სტენ. ანგარიში), თბ., 1935, გვ. 167.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობის რეზოლუციები“, თბ., 1930, გვ. 3.

როვი, სავიცკი, ავერბახი და სხვ., რომელნიც ისევე როგორც რუსეთის კონდრატიეველები, იმედს ამყარებდნენ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ჩაშლაზე,... უარყოფენ მსხვილი საბჭოთა მეურნეობების შექმნის აუცილებლობას, საჭიროდ სთვლიან საგარეო ვაჭრობის შესუსტებას და სხვ. ქართული სინამდვილის სპეციფიურ პირობებში, ამ აშკარა კონდრატიეველთა ჯგუფის გარდა, არიან აგრეთვე სხვა ჯგუფები, რომლებიც უარყოფენ კონდრატიევშჩინის არსებობას საქართველოში, იმ თეზისით, რომ კონდრატიევშჩინა შეუთავსებელია ქართული კულტურისა და ეროვნული განვითარების ინტერესებთან". ცენტრალური კომიტეტი ამ ჯგუფს მიაკუთვნებდა ს. დევდარიანის, თევზაძის, იმნაიშვილისა და სხვათა ტიპის „ყოფილ" ქართველ მენშევიკებს [1].

მიუხედავად ამისა, ქართულ პრესაში კვლავ იბეჭდებოდა მენშევიკების, კონდრატიეველთა და სხვა ჯურის მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტთა „თეორიული წერილები". კერძოდ, თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი". მაშინ, როდესაც წყდებოდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კარდინალური საკითხი — სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხი — იგი გახდა მემარჯვენე კაპიტულანტებისა და საბჭოთა წყობილების აშკარა მტრების — კონდრატიეველთა — თავშესაფარი. აქედან ებრძოდნენ ისინი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის ღონისძიებებს. ამისათვის „საქართველოს ეკონომისტი" არაერთგზის გაუკრიტიკებია პარტიულ პრესას მიმდინარე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. მაგრამ იგი 30-იან წლებშიც აგრძელებდა იდეოლოგიურად მავნე წერილების ბეჭდვას, რისთვისაც კვლავ მკაცრად აკრიტიკებდნენ მას პარტიული პრესის ფურცლებზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა განეხილა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" მუშაობის საკითხი 1931 წლის 26 ივლისს. სხდომამ დაადგინა:

1. გაზ. „ზარია ვოსტოკაში" (№ 136, 1931) და გაზეთ „კომუნისტში" (№ 166, 1931) გამოქვეყნებული წერილები, „საქართველოს ეკონომისტის" იდეოლოგიური შეცდომებისა და პარტიის გენერალური ხაზისათვის სუსტად ბრძოლის შესახებ, ჩაითვალოს ჟურნალის სრულიად სწორ შეფასებად;

2. ჟურნალი იმის მაგივრად, რომ შებრძოლებოდა კონდრატიეველებს, ფართოდ უთმობდა მათ ადგილს, და, ამრიგად, ავრცელებდა მენშევიკურ იდეოლოგიას მოწინავე წერილის სახითაც კი სარედაქციო შენიშვნების გარეშე (ს. დევდარიანი, ბ. თევზაია, ა. ჭუმბურიძე, პ. გოთუა და სხვ.);

[1] გაზ. „კომუნისტი", 1931 წლის 10 იანვარი.

3. ჟურნალი არ აწარმოებდა გაშლილ ბრძოლას მემარჯვენე — „მემარცხენე“ გადახრებისა და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ;

4. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა მთელი რიგი ავტორების (ა. ერქომაიშვილის, აკ. კალაძის) წერილები, რომლებიც პოპულარიზაციას ახდენდნენ ბუხარინის ოპორტუნისტული თეორიისას საბჭოთა მეურნეობის რეგულატორისა და „კულაკის სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის შესახებ“.

5. ჟურნალს თავის დროზე მიუთითა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ (№ 69, 1929) მის ფურცლებზე კონდრატიეველთა თარეშის შესახებ, მაგრამ არ გამოასწორა თავის შეცდომები.

6. ჟურნალს არ გაუკრიტიკებია ბუხარინი მას შემდეგაც, რაც ის ამხილეს. პირიქით, 1930 წლის № 1 — 2-ში ათავსებს ა. ერქომაიშვილის სტატიას, სადაც საბჭოთა მეურნეობების რეგულატორის შესახებ კვლავ ბუხარინის თეორიის პოპულარიზაციას აქვს ადგილი[1].

არსებული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „დღეს — წერდა კ. გორდელაძე 1931 წელს, — უდავოა ის ფაქტი, რომ მემარჯვენე გადახრის... პოზიციები ძირითად მომენტებში ობიექტურად ემთხვევა კონდრატიევ-გრომანების იდეოლოგიას“. ამასთანავე იგი აღნიშნავდა ორგანული კავშირის არსებობას „კონდრატიევშჩინასა და მენშევიკურ იდეოლოგიას“ შორის[2]. ამრიგად, აშკარად შეინიშნებოდა სამწევრიანი ფორმულა: მენშევიზმი — კონდრატიევშჩინა — მემარჯვენე ოპორტუნიზმი; ისინი ერთიან ფრონტს ჰქმნიდნენ საქართველოში სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

§ 5. საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისათვის

საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო მოძრაობის სწრაფმა ზრდამ გამოააშკარავა საკოლმეურნეო მშენებლობის ახალი სიძნელეები და ნაკლოვანებანი, რომელთაგან საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია კოლმეურნეობათა ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე; წარმოების არადამაკმაყოფილებელი

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1931, № 6, გვ. 29 — 30.

[2] კ. გ ო რ დ ე ლ ა ძ ე, კონდრატიევშჩინა საქართველოში (სიტყვა საქ. საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტში კონდრატიევშჩინას გარშემო გამართულ კამათში წარმოთქმული 1930 წლის 3 დეკემბერს), თბ., 1931, გვ. 12 — 13. ამ პარაგრაფში განხილული საკითხები უფრო დეტალურადაა გაშუქებული ლ. თოიძის ნაშრომში „საქართველოს კომპარტია ლენინიზმისათვის ბრძოლაში“, გვ. 345 — 424.

ორგანიზაცია და დაბალი შრომისნაყოფიერება, საკოლმეურნეო კადრების დიდი ნაკლებობა, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ხელმძღვანელ ორგანოთა სუსტი მუშაობა და სხვ.

აქედან გამომდინარე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მოიწონა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილება ტრაქტორთმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის გეგმის გადიდების შესახებ, საჭიროდ ცნო აგრეთვე ელექტროსადგურებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამმუშავებელი მანქანების მშენებლობის გაფართოება.

კოლმეურნეობებში შრომისნაყოფიერების, მოსავლიანობისა და სასაქონლო პროდუქციის გადიდების მიზნით პლენუმმა საჭიროდ ცნო განსაკუთრებული ყურადღების დათმობა შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების დანერგვის საფუძველზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლება, თითოეული კოლმეურნის მატერიალური დაინტერესების უზრუნველყოფა შრომისნაყოფიერების ამაღლებაში.

საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით, პლენუმმა საჭიროდ ცნო საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორების, აგრონომების, ინჟინერ-ტექნიკოსების, საფინანსო-საანგარიშო და სხვა დარგების მუშაკთა მოსამზადებელი სისტემის პროგრამებისა და მეთოდების ძირფესვიანი გარდაქმნა, „კოლმეურნეცენტრთან“ მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ორგანიზატორთა მოსამზადებლად ცენტრალური სკოლის მოწყობა. პლენუმმა სოციალისტური მიწათმოქმედების მშენებელთა ხელმძღვანელი კადრების მძლავრ რეზერვად მიიჩნია რა ინდუსტრიული მუშები, დაადგინა: „გაიგზავნოს სოფლად კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ჯგუფურ გაერთიანებებში და სხვაგან სამუშაოდ სულ ცოტა 25 ათასი მუშა, რომლებსაც ექნებათ საკმაო ორგანიზაციულ-პოლიტიკური გამოცდილება“[1].

საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შემდგომ განვითარებას. ამიტომ პლენუმმა საბჭოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ყურადღების გაძლიერება კოლექტივიზაციის საქმისადმი, კოლმეურნეობათა ანგარიშგება საბჭოების წინაშე და სხვ.

პლენუმის ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაშლისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად განმტკიცებისათვის.

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 844.

საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, პარტიულმა ორგანიზაციებმა პლენუმის ეს დადგენილება საფუძვლად დაუდეს საკოლმეურნეო მშენებლობას. ყველა ორგანიზაცია იხილავდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებს და სახავდა ღონისძიებებს ცხოვრებაში მათ განსახორციელებლად. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდნენ კოლექტივიზაციის ფრონტზე. ფართოვდებოდა სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი. გლეხობა სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა კოლმეურნეობათა უპირატესობაში. ისინი ნებაყოფლობით შედიოდნენ კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო მოძრაობა ახალ ეტაპზე გადადიოდა.

ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირში უკვე არსებობდა საკმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა კულაკობას და მისი წარმოება შეცვლილიყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით.

1929 წლის დამლევს პარტიამ და მთავრობამ მთელი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკაში კლასობრივი ძალების გადაჯგუფებისა და კოლმეურნეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საფუძველზე დაიწყეს კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან, ახალ პოლიტიკაზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლა. გააუქმეს კანონები მიწის იჯარისა და შრომის გაქირავების შესახებ. მოიხსნა განკულაკების აკრძალვა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპისა და სახელმწიფოს მხრივ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“ განამტკიცებდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის ცალკეული მხარეების პირობათა სხვადასხვაობა, კოლექტივიზაციისათვის მომზადების სხვადასხვა დონე. მათი გათვალისწინებით დაწესდა სხვადასხვა ოლქისათვის კოლექტივიზაციის განსხვავებული ტემპები. სსრ კავშირის ოლქები კოლექტივიზაციის ტემპების მიხედვით დაიყო სამ ჯგუფად: მესამე ჯგუფში შედიოდა მოსკოვის ოლქი, ამიერკავკასიისა და სხვ. ამ ჯგუფში შემავალი რაიონებისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების ვადა ყველაზე ბოლოს იყო ნავარაუდევი.

ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები, ისე როგორც თავის დროზე ტროცკისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული დამახინჯებები, თითქოს პარტიის პოლიტიკის არსიდან გამომდინარეობდა. ამ მონაჭორის გასაბათილებლად ერთი საბუთიც საკმარისია, კერძოდ, საკ. კპ (ბ)

ცენტრალური კომიტეტის დირექტივა შუა აზიის ბიუროსადმი, რომელმაც 1930 წლის დამდეგს საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა ნებართვა შუა აზიაში კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპით ჩატარებაზე. საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და უპასუხა: „კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპის გადატანა სსრ კავშირის ცენტრიდან შუა აზიის რაიონებში მიგვაჩნია მიზანშეუწონლად. საჭიროა ამ რაიონების სპეციფიკური პირობების დეტალური შესწავლა, განსაკუთრებით ტაჯიკისტანისა. მოეკიდეთ ამ გაფრთხილებას სერიოზულად და კოლექტივიზაციის საქმე წარმართეთ მასების ნამდვილი ჩაბმის მიხედვით“[1].

1930 წლის 11 — 14 იანვარს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც სპეციალურად განიხილა საკითხი „კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ საქართველოში“. პლენუმზე ითქვა იმ მნიშვნელოვან წარმატებათა შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნა კოლმეურნეობების მშენებლობაში საქართველოს კპ (ბ) VI ყრილობის შემდეგ.

1930 წლის დასაწყისში თბილისის საწარმოთა მუშებმა სურვილი გამოთქვეს წასულიყვნენ სოფლად. 30 იანვარს მათ სპეციალური წერილით მიმართეს ამიერკავკასიის მუშებს, მუშა ქალებს, მშრომელ გლეხობას და გლეხ ქალებს: ჩვენ, მუშები, — ნათქვამი იყო წერილში, — საქართველოს პროფკავშირების დახმარებით, ბრიგადებად დარაზმულნი მივდივართ სოფლად მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად, სოფლად პარტიის პოლიტიკის მტკიცედ გასატარებლად და მოვუწოდებთ ყველა მუშას და მუშა ქალს არ დაიშურონ ძალა და ენერგია საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებისათვისო[2].

საქართველოს პროფკავშირებმა კოლმეურნე გლეხობისათვის საწარმოო დახმარების აღმოჩენის მიზნით შეარჩიეს და გაგზავნეს სოფლად 300-მდე საუკეთესო კვალიფიციური მუშა. ესენი იყვნენ „25 ათასიანელები“. 1930 წლის იანვარში კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე მარტო თბილისიდან გაიგზავნა 120 მუშა.

საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. კოლმეურნეობის წინააღმდეგ კულაკობის ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი გახდა აგიტაცია კოლმეურნეობაში შესვლის წინ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გაყიდვის შესახებ. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმმა დაავალა პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული ყუ-

---

[1] Журн. «Вопросы истории КПСС», 1969, № 2, стр. 105.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 30 იანვარი.

რადღება მიექციათ კოლმეურნეობებში არა მარტო მიწის ფონდების გაერთიანების, არამედ წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოებისათვისაც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში დაშვებული იყო პოლიტიკური შეცდომაც. პლენუმმა საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი გაშლისათვის პარტორგანიზაციებს მისცა არასწორი მითითება — 1932 წლისათვის კოლექტივიზაციის დამთავრების შესახებ[1]. მცდარი იყო მითითება აგრეთვე განკულაკების შესახებ. დადგენილებაში განკულაკება დასაშვებად იყო აღიარებული არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, არამედ სხვა დანარჩენ, არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებშიც.

ასეთი არასწორი ორიენტაციის შედეგად ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაიწყეს პარტიული ხაზის დამახინჯება, შიშველი ადმინისტრატირება, „მომემარცხენო“ ხასიათის ნახტომები, მავნე „შეჯიბრებები“ და სხვ.

ამრიგად, საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ სერიოზულ მიღწევებთან ერთად, გამოაშკარავდა პარტიის ხაზის გამრუდება, პარტიისა და მთავრობის დირექტივების აშკარა დარღვევები და უხეში პოლიტიკური შეცდომები. მარცვლეულის მოწინავე რაიონების კოლექტივიზაციის ტემპები და მეთოდები მექანიკურად გადმოიტანეს საქართველოში, მოხდა საკოლმეურნეო მოძრაობის დეკრეტირება — მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადება ისეთი რაიონებისა, სადაც კოლექტივიზაციის დონე მხოლოდ 10 — 11 პროცენტს აღწევდა. მარცვლეულისა და მეცხოველეობის რაიონებში კოლექტივიზაციის გატარებისას ადგილი ჰქონდა არადიფერენცირებულ მიდგომას. ნაცვლად იმისა, რომ გლეხობისათვის განემარტათ პარტიის პოლიტიკის არსი, მიმართავდნენ გლეხობის დაშინებას, მათ მიმართ მბრძანებლობას. „შავ სიაში“ შეტანითა და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით აშინებდნენ გლეხობას. ასე და ამრიგად, ირღვეოდა კოლმეურნეობებში გლეხობის ნებაყოფლობითი შესვლის ლენინური პრინციპი.

1930 წლის 30 თებერვლიდან 5 მარტამდე საკოლმეურნეო მოძრაობის ადმინისტრაციული ღონისძიებებით განხორციელებამ წარმოშვა კოლექტივიზაციის თავბრუდამხვევი ტემპები და უშველებელი პროცენტი მოგვცა. ამ დროს მთელ რესპუბლიკაში კოლმეურნეობათა რაოდენობამ მიაღწია 2894, მათში გაერთიანებული აღმოჩნდა 295 131 გლეხური მეურნეობა, ანუ მთელი გლეხური მეურნეობის 65,25 პროცენტი[2].

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 17 იანვარი.

2 იქვე, 25 თებერვალი.

დამახინჯებული იყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაც. მთელ რიგ რაიონებში ერთმანეთში ურევდნენ კულაკსა და საშუალო გლეხს, რის შედეგად ხშირად განკულაკების მსხვერპლი ხდებოდა საშუალო გლეხი. დაივიწყეს ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „არაფერია იმაზე უფრო სულელური, როგორც თვით აზრი ძალმომრეობის გამოყენებისა საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობის სფეროში.

აქ ამოცანა მდგომარეობს არა საშუალო გლეხის ექსპროპრიაციაში, არამედ იმაში, რომ გავითვალისწინოთ გლეხის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, იმაში, რომ ვისწავლოთ გლეხებისაგან უკეთეს წყობაზე გადასვლის წესები და არ გავბედოთ მბრძანებლობა“ [1].

დაშვებული დამახინჯებებით დაუყოვნებლივ ისარგებლა კლასობრივმა მტერმა. იგი ყოველ ღონისძიებას იყენებდა საკოლმეურნეო მშენებლობის ჩასაშლელად. საკოლმეურნეო მშენებლობის დასაწყისში კულაკები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კოლექტივიზაციისათვის აგიტაციის საშუალებით. შემდგომ პერიოდში ისინი უკვე აშკარად აწყობდნენ გამოსვლებს, მიმართავდნენ ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, კოლმეურნეობის ნათესების განადგურებას, ეწეოდნენ აგიტაციას საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების წინააღმდეგ, ურჩევდნენ გლეხებს დაეხოცათ მუშა საქონელი და სხვ.

საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის ხაზის გამრუდებათა შედეგად და კლასობრივი მტრის აქტივობის გაძლიერების გამო თებერვლის მეორე ნახევარში თავი იჩინა გლეხობის სერიოზულმა უკმაყოფილებამ და შეიქმნა ანტისაბჭოთა გამოსვლების საფრთხე.

სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში 1930 წლის 2 მარტს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია: „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რომელშიც სასტიკად იყო დაგმობილი „მემარცხენე“ გადახვევები და დამახინჯებანი კოლექტივიზაციის დარგში. ეს სტატია დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომები და ჩაეფუშათ კლასობრივი მტრების ვარაუდები.

1930 წლის 7 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მიუთითა საკოლმეურნეო მშენებლობის იმ დამახინჯებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და დასახა ღონისძიებები მათს გამოსასწორებლად. მაგრამ აქვე დაუშვა შეცდომა,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 239.

როცა მიუთითა რესპუბლიკის ფარგლებიდან მხოლოდ არამკვიდრი ეროვნების კულაკური ოჯახების გასახლების აუცილებლობაზე[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის მარტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში მორიგი ამოცანების შესახებ. ამ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის უდიდესი ზრდა, რაც გამოიხატა საქართველოს გლეხურ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის კოლექტივიზაციაში. ამასთან, პლენუმი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა და კიდევ აქვს საკოლმეურნეო პოლიტიკის უხეშ დამახინჯებებს[2].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განკულაკებულთა უმრავლესობა დარჩა „მთლიანი" კოლექტივიზაციის რაიონებში, რამაც საშუალება მისცა მათ გაეშალათ აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „კულაკი, იყენებს რა ამ დამახინჯებებს, აძლიერებს ბრძოლას კოლმეურნეობების წინააღმდეგ, ზეგავლენას ახდენს საშუალო გლეხობაზე, სარგებლობს მისი მერყეობით და ცდილობს ტერორის ქვეშ დააყენოს ღარიბი გლეხობა"[3]. მართლაც, კულაკური ელემენტების ანტისაბჭოურ აგიტაციას საქართველოს მთელ რიგ ადგილებში მოჰყვა კულაკების პირდაპირი მოთხოვნები: უარი გვეთქვა საკოლმეურნეო მშენებლობაზე, დაშლილიყო ყველა კოლმეურნეობა, გადარჩეულიყო სოფლის საბჭოები და სხვ.[4].

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული გადახვევებისა და შეცდომების ბოლომდე აღმოფხვრისათვის საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 14 მარტს მიიღო დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ", რომელშიც დასახული იყო დაშვებული შეცდომების ბოლომდე აღმოფხვრის ღონისძიებები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველა ეს გამრუდება შედეგია პარტიის პოლიტიკის ა შ კ ა რ ა დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა აშკარა დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა" და წინადადებას იძლეოდა: „მუშაკები, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ, გ ა დ ა ა ყ ე ნ ო ნ თანამდებობიდან და შ ე ც ვ ა ლ ო ნ სხვებით"[5].

საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის შესახებ

---

1 პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 3, საქ. 3463, ფურც. 203.

2 გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 12 მარტი.

3 იქვე.

4 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 3, საქ. 3463, ფურც. 257.

5 „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 874.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებით საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისათვის სამუშაოდან გაანთავისუფლეს ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები: მ. კახიანი, ა. ნაზარეტიანი, კ. კოსტანიანი და სხვ.

1930 წლის 3 აპრილს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის სტატია „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს", რომელშიც ნაჩვენები იყო გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვები და მთავარი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში, რაც გამოიხატა საშუალო გლეხობისადმი არასწორ მიდგომაში, კოლმეურნეობათა შექმნის დროს ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევაში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარის ადგილობრივ-ეროვნულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობაში, არტელისადმი გვერდის ავლასა და უშუალოდ უმაღლეს საფეხურზე — კომუნაზე — გადასვლაში და სხვ. სტატიაში დასახული იყო ღონისძიებები დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად და საკოლმეურნეო მშენებლობის ჯანსაღ ნიადაგზე დასაყენებლად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა პარტიის მითითებანი და თავის 1930 წლის 13 აპრილის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მთლიანად და სავსებით იზიარებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 2 აპრილის დირექტივას — ამხ. სტალინის წერილს „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს"... და ღებულობს მას სახელმძღვანელოდ"[1]. ამავე დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში დაშვებული იყო უხეში პოლიტიკური შეცდომები, კერძოდ:

ა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ გავრცელდეს ქალაქის ახალ ბურჟუაზიაზე;

ბ) 1930 წელს მთელი რ ი გ ი ო ლ ქ ე ბ ი და მაზრები გამოცხადებულ იქნა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად და, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მიუხედავად, აღებულ იქნა ორიენტაცია საქართველოს მთლიანი კოლექტივიზაციისა 1931 წლის დამლევისათვის ან 1932 წლის გაზაფხულისათვის მაინც;

გ) მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება განკულაკების საკითხის შესახებ, რომელიც განკულაკების განხორციელებას დასაშვებად ხდიდა არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, არამედ დანარჩენ რაიონებშიც;

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 15 აპრილი.

დ) საკმაო ანგარიში არ ეწეოდა საქართველოს ცალკეული რაიონების სპეციალურ პირობებს[1].

1930 წლის 28 — 31 მაისს ჩატარდა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობა, რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს. ყრილობამ აღნიშნა, რომ მრეწველობის განვითარების გეგმები წარმატებით სრულდება, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, რაშიც დიდი როლი შეასრულა შრომის სოციალისტური ფორმების, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებამ, რომ გაიზარდა შრომისნაყოფიერება და შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება საშუალოდ 9,5 პროცენტით.

ყრილობამ სპეციალურად განიხილა საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები, მოხსენება გააკეთა ფ. მახარაძემ. ყრილობამ აღნიშნა, რომ „საკოლმეურნეო მშენებლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა უაღრესად უხეში შეცდომები და პარტიის ხაზის დამახინჯება დაუშვეს იმით, რომ ფაქტიურად დეკრეტებით შექმნეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი გაავრცელეს არა მხოლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებზე, არამედ აგრეთვე ქალაქის ახალ ბურჟუაზიაზეც. ამ შეცდომებმა გამოიწვიეს ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა კოლმეურნეობათა მოწყობის დროს, ადმინისტრაციული ზეგავლენის ზომები, მოძრაობის დაუმთავრებელ ფორმებზე გადახტომა და სხვ.“ [2].

ამასთან ერთად, ყრილობამ აღნიშნა ის მუშაობა, რაც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების საქმეში. ამ პერიოდში საქართველოში უკვე არსებობდა ისეთი მტკიცე კოლმეურნეობები, რომლებსაც შეეძლოთ გადაქცეულიყვნენ თავიანთი რაიონების გლეხობის ძირითადი მასებისათვის მომავალი საკოლმეურნეო მშენებლობის დასაყრდენ ბირთვად.

ყრილობამ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საქართველოს ცალკეულ რაიონებში პარტორგანიზაციებმა გადამჭრელ გარდატეხას ვერ მიაღწიეს დაშვებული შეცდომების გამოსწორების, კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებთან კავშირის განმტკიცებაში და პარტიულ ორგანიზაციებს უპირველეს ამოცანად დაუსახა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების ბოლომდე გამოსწორება; „ყოველ მხრივ განმტკიცებულ იქნას კოლმეურნეობა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 15 აპრილი.

[2] იქვე, 20 ივლისი.

თა არსებული რაოდენობა და გადაქცეულ იქნან ისინი საჩვენებელ მეურნეობებად. ამავე დროს, არც ერთი წუთით არ უნდა შეწყდეს ფართო კამპანია იმისათვის, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს ფართოდ განემარტოს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, საშუალო გლეხის მიმართ პარტიის პოლიტიკის საკითხში. ეს განმტკიცება უნდა მიმდინარეობდეს, როგორც კოლმეურნეობებისათვის თავის დროზე მატერიალური დახმარების გაწევის, ისე მათი შინასაორგანიზაციო გაუმჯობესების ხაზით" [1].

ყრილობამ პარტორგანიზაციებს მოუწოდა გაეთვალისწინებინათ ყველა ის სირთულე, რაც დაკავშირებული იყო ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლასთან. განსაკუთრებული უურადღება მიექციათ ეროვნულ უმცირესობათა და მთაგორიანი ზონის ჩამორჩენილი რაიონებისათვის, გაეშალათ იქ მოსამზადებელი მუშაობა. ყრილობა აფრთხილებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობაში წარმატება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ კოლმეურნეობებს საკმაოდ ეყოლებოდათ ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრები. ამიტომ ყრილობამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა მოგვარებულიყო კადრების სისტემატური და საფუძვლიანი მომზადების საქმე. ამ მიზნით ცენტრალურ კომიტეტს დაავალა მიეღო შესაბამისი ზომები საკოლმეურნეო მუშათა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის, სოფლად სამუშაოდ გაეგზავნა რესპუბლიკური მასშტაბის 25 მუშაკი და სამაზრო მასშტაბის მუშაკთა სათანადო რაოდენობა.

ყრილობის დირექტივების შესაბამისად, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1930 წლის ივნისში განსაზღვრა კოლმეურნეობებიდან გლეხობის გასვლის პირობები: თუ კოლმეურნე გლეხი მოისურვებდა სასოფლო-სამეურნეო არტელიდან გასვლას, მისთვის უნდა დაებრუნებინათ განსაზოგადოებული ქონება. კოლექტიურად დათესილი მიწების საერთო ფართობის დანაწილების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა ზომები, რათა კოლმეურნეობას შეენარჩუნებინა მთელი განსაზოგადოებული სახნავი ფართობი მოსავლის აღებამდე. ასეთ შემთხვევაში არტელიდან გასული გლეხი, როგორც წესი, მონაწილეობას იღებდა საკოლმეურნეო შრომაში საკუთარი ინვენტარით, ვიდრე მოსავალი მთლიანად აღებული არ იქნებოდა [2].

კოლმეურნეობათა წარმატებების შემდგომი განმტკიცების მიზნით პარტიამ დამატებით დასახა რიგი სხვა ღონისძიებაც. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 2 აპრილის დადგენილების („კოლმეურნე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 1 ივლისი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი,) ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, ფურც. 403.

ობებისათვის შეღავათების შესახებ") თანახმად, კოლმეურნეები და კოლმეურნეობები ორი წლით განთავისუფლდნენ პირუტყვის გადასახადით დაბეგვრისაგან. კოლმეურნეობებს სახელმწიფო ფონდიდან უპროცენტოდ მიეცა სესხად სათესლე მარცვალი, გაფართოვდა მანქანა-იარაღებით დახმარება და სხვ.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად საკოლმეურნეო მოძრაობამ ძირითადად ჯანსაღი განვითარების ხასიათი მიიღო. კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული წესით გაერთიანებული პირები და გლეხობის მერყეევი ნაწილი გამოდიოდნენ კოლმეურნეობებიდან და იქ რჩებოდნენ მხოლოდ მტკიცე გლეხები. 1930 წლის მაისიდან კოლმეურნეობებიდან მასობრივი განთესვა შეწყდა. შემდეგ ადგილი ჰქონდა გლეხობის კოლმეურნეობებიდან გასვლის ცალკეულ შემთხვევებს. 1930 წლის 1 სექტემბრისათვის კოლმეურნეობათა რაოდენობა შემცირდა 129 ერთეულით, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა — 86 274-მდე, ხოლო კოლექტივიზაციის დონე — 19,6 პროცენტამდე. მაგრამ მომდევნო თვეებში, სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით კვლავ იწყება კოლმეურნეობებში გლეხობის ახალი, უფრო მძლავრი და სწრაფი ნაკადის შესვლა. 1930 წლის 23 ნოემბრისათვის 1 ოქტომბერთან შედარებით კოლმეურნეობებს მიემატა 190 ერთეული, გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 4 178 ერთეულით და კოლექტივიზაციის დონე — 20,6 პროცენტამდე[1].

საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაშლისა და განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) XVI ყრილობას (1930 წლის ივნის-ივლისში), რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის ყრილობა.

პარტიის XVI ყრილობამ სპეციალურად განიხილა საკითხი „საკოლმეურნეო მოძრაობის და სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ" და აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ენიჭებოდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობას. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „თუ მემამულეებისაგან მიწის კონფისკაცია ოქტომბრის რევოლუციის პირველი ნაბიჯი იყო სოფლად, კოლმეურნეობებზე გადასვლა წარმოადგენს მეორე და ამასთან გადამწყვეტ ნაბიჯს, რომელიც განსაზღვრავს უმნიშვნელოვანეს ეტაპს სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აგების საქმეში" [2].

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1473, საქ. 233, ფურც. 3.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 80.

ყრილობამ ამოცანად დასახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია ახალ, თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე, რომელიც აადვილებდა სოფლის მეურნეობაში ძველი სოციალ-ეკონომიური წყობის გარდაქმნას, აჩქარებდა წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებას და სსრ კავშირის ეკონომიკაში კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრას.

ამრიგად, დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორების შემდეგ საკოლმეურნეო მშენებლობა ისევ სწორი გზით წავიდა. შემდგომში თუ რომელიმე რაიონში ადგილი ჰქონდა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევას, დამახინჯებას, იგი კერძო, ლოკალურ ხასიათს ატარებდა. ამდენად, მთელი კოლექტივიზაციის პროცესის მთლიანი შეცდომებისა და დამახინჯებათა სერიად შეფასება, როგორც ზოგჯერ აღინიშნებოდა ისტორიული ლიტერატურის ერთ ნაწილში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. პარტიის მიერ აღებული კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ სწორი იყო, სოფლად მწარმოებლური ძალების შენარჩუნებისათვის ბრძოლამ დააჩქარა მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია.

1931 წლის 5 მარტს გაიხსნა საქართველოს კოლმეურნეთა II ყრილობა. თავის შესავალ სიტყვაში ფ. მახარაძემ დაახასიათა საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობა, მისი განვითარების პერსპექტივები [1]. ყრილობაზე გამოსულმა კოლმეურნეებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ნაკლი და საჭიროდ ცნეს მათი დაუყოვნებლივ აღმოფხვრა. ამასთან, მოითხოვეს ცენტრიდან კოლმეურნეობების მიმართ ხელმძღვანელობის გაძლიერება.

სსრ კავშირის საბჭოების VI ყრილობის დადგენილების შესაბამისად 1931 წლის აპრილიდან საქართველოს კოლმეურნეობებში დაწესდა შრომადღეები, რომელთა საფუძველზე ხდებოდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, შემოიღეს საწარმოო ბრიგადების სისტემა, რომლის მიხედვით ბრიგადები გაპიროვნებული იყვნენ სამუშაოს გარკვეულ უბნებზე. შემოიღეს აგრეთვე ყველა სამუშაოს სანარდო სისტემა. ამით ბოლო ეღებოდა გათანაბრებას შრომის ანაზღაურებაში, იზრდებოდა შრომის პროდუქტიულობა, იქმნებოდა კოლმეურნეობებში მტკიცე მატერიალური ბაზა და განუხრელად უმჯობესდებოდა კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობა.

მაგრამ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ამ პერიოდში ზოგიერთი ორგანიზაციის მხრივ მიშვებული

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 6 მარტი.

იყო თვითდინებაზე. ეს ფაქტიურად მოასწავებდა საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ ახალი ნაკადის შეჩერებას. ამავე დროს, საქმეს ართულებდა საქართველოს „კოლმეურნცენტრის“ მხრივ პარტიის ხაზის „მომემარცხენო“ დამახინჯება.

საქართველოს „კოლმეურნცენტრმა“ გადაწყვიტა „დაეზუსტებინა“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილება, რომელიც 1931 წლისათვის საორიენტაციოდ აყენებდა კოლექტივიზაციის პროცენტის აყვანას 20-დან 30-მდე. „კოლმეურნცენტრმა“ კი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეუთანხმებლად, რაიონებს დაუგზავნა დირექტივები კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრების შესახებ 1931 წლის გაზაფხულისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 29 მაისს განიხილა საკითხი „კოლმეურნცენტრის“ დირექტივებისა და კოლექტივიზაციის მდგომარეობის შესახებ საქართველოში“. ცენტრალურმა კომიტეტმა გააუქმა აღნიშნული „დირექტივები“ საკონტროლო ციფრების შესახებ.

პარტია და ხელისუფლება ყველა ღონისძიებას მიმართავდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის ჯანსაღ ნიადაგზე დასაყენებლად. მიუხედავად ამისა, 1931 წელს კვლავ იქნა დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: საქართველოს „კოლმეურნცენტრის“ საგეგმო განყოფილებამ 1932 წლის 1 იანვრისათვის დააწესა კოლექტივიზაციის პროცენტი და შეადგინა სპეციალური ცხრილი — „კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრები 4 კვარტალში“[1].

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ცენტრალური კომიტეტის მითითებით, გააუქმა რა რაიონებისათვის მიცემული „კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრები“, ამასთან დაუშვა ახალი პოლიტიკური შეცდომა იმით, რომ განკარგულება გასცა „კოლექტივიზაციის საკონტროლო ციფრების“ ადგილობრივ, თვით რაიონების მიერ შედგენის შესახებ.

საქართველოს მიწსახკომის 1931 წლის საშემოდგომო კამპანიის გეგმით, რომელიც საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ იყო დამტკიცებული, საკოლმეურნეო სექტორს დაევალა საშემოდგომო მარცვლეულის, ბაღჩეულისა და ტექნიკური კულტურების დათესვა, აგრეთვე, 322 583 ჰექტარი ანეულის მოხვნა, მაშინ როცა ყველა განსაზოგადოებული სექტორის სათესი ფართობი საქართველოში 1931 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგენდა მხოლოდ 254 713 ჰექტარს. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ მიწსახკომის გეგმის შესრულებისათვის საჭირო იყო კოლექტივიზაციის

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 30 მაისი.

აჩქარებული ტემპი. აღნიშნულმა გეგმამ აშკარად შეუშალა ხელი საშემოდგომო თესვის დროზე და ორგანიზებულად ჩატარებას.

ასეთმა გეგმებმა და დირექტივებმა გამოიწვიეს ის, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა კოლმეურნეობათა რაოდენობრივ ზრდაზე, რის გამოც იძულება და შიშველი ადმინისტრირება კვლავ მეორდება საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ეს უხეში პოლიტიკური შეცდომები 1930 წლის გაზაფხულზე დაშვებული შეცდომების გაღრმავებას და გაგრძელებას წარმოადგენდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ სოფლად დაიძაბა მდგომარეობა და ჩაიშალა 1931 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანია. 1931 წლის შემოდგომიდან დაიწყო კოლმეურნეობებიდან გლეხთა გასვლა. საჭირო გახდა საქმეში ისევ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ჩარევა. 31 ოქტომბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის „სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში; ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომლებმაც საგრძნობი მუშაობა გაშალეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, უმთავრესად, ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტექნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველყვეს გლეხობის (ღარიბი და საშუალო მასების) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამან ყველაზე მკაფიო გამოხატულება პოვა პურის დამზადებაში, სადაც დაშვებულ იქნა მთელი რიგი უაღრესად უხეში გადახვევები — განსაკუთრებით საქართველოში — კოლექტივიზაციის გატარებაში საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის და არსებული კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების გარეშე მთელ რიგ რაიონებში. ამის შედეგად, მიუხედავად ამიერკავკასიის გლეხობის ძირითადი მასების მობრუნებისა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ, კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს საშუალება მიეცათ გამოეყენებინათ დაშვებული შეცდომები და გადახვევები სოფლად თავიანთი გავლენის გამოსაცოცხლებლად. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა თავის დროზე ვერ გამოააშკარაევეს და ვერ გამოასწორეს ეს შეცდომები და მათ გამოსწორებას შეუდგ-

ნენ მხოლოდ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შემდეგ"[1].

1931 წლის 13 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი თბილისის პარტაქტივთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას. პლენუმმა სავსებით მოიწონა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ის შეფასება, რომელიც მოცემული იყო აღნიშნულ დადგენილებაში. პლენუმმა დასახა ღონისძიებები საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად გასატარებლად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ენერგიულად შეუდგნენ შეცდომების გამოსწორებას და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების განხორციელებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ შეაჯამა სოციალისტური მშენებლობის შედეგები საქართველოში და დასახა ახალი ამოცანები. მან დიდი ადგილი დაუთმო საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს[2].

1932 წლის 11 — 14 ივლისს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესახებ სოფლად. პლენუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტებმა თავდადებული მუშაობით ბოლო მოუღეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებას, პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დააყენეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების საკითხი, დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს სურსათით იქ, სადაც პურის დამზადების პერიოდში დაშვებული იყო უხეში შეცდომა, დიდი მუშაობა ჩაატარეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რაიონული და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანიზაციები განამტკიცეს სათანადო კადრებით. ცენტრიდან რაიონებში გაიგზავნა 1 300 მუშაკი და რაიონებიდან ძირეულ სამუშაოზე — 1 000-მდე კაცი[3].

ამ ღონისძიებამ უდიდესი როლი შეასრულა დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში. მუშაკთა საქმიანმა შერჩევამ და განაწილებამ, პარ-

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1931 წლის 3 ნოემბერი.

2 „საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში", თბ., 1932.

3 გაზ. „კომუნისტი", 1932 წლის 15 ივნისი.

ტიულ-მასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრის ძირეულ რგოლში გადატანამ სწრაფად გამოიღო შედეგები. კოლმეურნეობებში ბრიგადების მოწყობისა და საწარმოო სისტემის დანერგვით საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, განხორციელდა კოლმეურნეობების გაწმენდა კულაკურ და სხვა უცხო ელემენტებისაგან. საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების შედეგად საქართველოს სოფელში საბოლოოდ დამკვიდრდა საკოლმეურნეო წყობილება.

§ 6. საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება და სახალხო მეურნეობა სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში

ა. საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება

საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში სოციალისტური მრეწველობის, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი ყველასათვის აშკარა იყო. მან შექმნა საკოლმეურნეო წყობილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენს ქვეყანაში, მეტ-ნაკლებად ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ამის შემდეგ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა მთელ ქვეყანაში. 1929 წლის დამლევს კომუნისტური პარტია გადავიდა კულაკობის შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკიდან — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე. ამ პოლიტიკის არსი ის იყო, რომ კულაკობისათვის წაერთმია არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროები[1]. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა დაქირავებული მუშახელის გამოყენებისა და იჯარის უფლება და შეუდგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა კულაკობასთან გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში. გლეხები მოითხოვდნენ ხელისუფლებისაგან კულაკობის სრულ ექსპროპრიაციასა და სოფლებიდან მათ განდევნას. ამიტომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ნება დართეს გაესახლებინათ შორეულ რაიონებში ყველაზე მავნე კულაკები და ჩამოერთმიათ მათთვის წარმოების ყველა საშუალება (პირუტყვი, მანქანები და სხვა ინვენტარი) და გადაეცათ ისინი კოლმეურნეობებისათვის საკუთრებად. ეს იყო კულაკობის სრული ექსპროპრიაცია. რევოლუციური ხასიათის ეს დიდი ღონისძიება უმტკივნეულოდ, უშეცდომოდ როდი გატარებულა საბჭოთა სოფელში.

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, გვ. 541.

ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობდა „ახლებურად“ გაეშუქებინა სოფლად კოლექტივიზაციის დროს დაშვებული შეცდომებისა და პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევების მიზეზები. მათი აზრით, „ჩვენს ლიტერატურაში დიდი ხნის განმავლობაში ამ გამრუდებებისა და დამახინჯებებისათვის ბრალს სდებდნენ მთლიანად ადგილობრივ მუშაკებს. ეს ცალმხრივი და წინასწარგამიზნული ინტერპრეტაცია წამოყენებული იყო სტალინის მიერ, რათა მთლიანად მოეხსნა თავიდან პასუხისმგებლობა დაშვებული მძიმე შეცდომებისათვის. სკკპ XX ყრილობის შემდეგ ისტორიკოსებმა დაიწყეს ხელის აღება თეზისზე „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რამდენადაც ეს არ დასტურდებოდა ფაქტებით“ [1].

ფორმულა „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „წარმატებად“ გულისხმობს გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის არა მხოლოდ უკვე მიღწეულ პროცენტს, არამედ 1929 წლის ბოლოსა და 1930 წლის დასაწყისში საშუალო გლეხობაში მომხდარ გარდატეხას, რაც გამოიხატა მათი მობრუნებით კოლექტივიზაციისაკენ. სწორედ ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებში იზრდებოდა საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა, მიუთითებდა გლეხობის მობრუნებაზე სოციალიზმისაკენ. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში — „საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობის შესახებ“ — ნათქვამია: „აღსანიშნავია გლეხობის საშუალო ფენების პროცენტის ზრდა კოლექტივებში 14,5 პროცენტით, რაც ადასტურებს იმას, რომ საქართველოშიც მოხდა გარდატეხა ამ მხრივ და საშუალო გლეხობაც მიისწრაფვის კოლექტივებისაკენ“ [2]. ამიტომ შეუძლებელი იყო ი. ბ. სტალინს კოლექტივიზაციის მხოლოდ პროცენტული მაჩვენებელი ჰქონოდა მხედველობაში და არა საშუალო გლეხობის — სოფლის ცენტრალური ფიგურის მობრუნება სოციალიზმისაკენ, როდესაც თავის სტატიაში „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ წერდა: „ს ო ფ ლ ი ს ძ ი რ ე უ ლ ი მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ უ კ ვ ე უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ა დ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჩ ა ი თ ვ ა ლ ო ს“[3].

აღნიშნული ფორმულა კოლექტივიზაციის მხოლოდ მიღწეულ პროცენტს რომ ემყარებოდეს და მხოლოდ ასეთი „წარმატება“ იწვევდეს „თავბრუდახვევას“, მაშინ გაუგებარი იქნებოდა ადგილობრივი პარტორგანიზაციების მიერ კოლექტივიზაციის ტემპების ხელოვნურად დაჩქარება. მაგალითად, 1930 წლის იანვარში, როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება,

---

[1] «Советская историческая наука от XX к XXII съезду КПСС», стр. 478.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 1473, საქ. 233, ფურც. 2 — 31.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 209.

რომელიც ხელოვნურად აჩქარებდა კოლექტივიზაციის ტემპებს, არაფერი ჰქონდა კოლექტივიზაციის პროცენტული მაჩვენებლებით „თავბრუდახვევი". რადგან 1929 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის კოლექტივიზაციის მაჩვენებელი შეადგენდა 3,4 პროცენტს, იმავე წლის 1-ლი დეკემბრისათვის — 6,3, ხოლო თვით პლენუმის მომენტისათვის — 10 პროცენტს. კიდევ მეტი, როგორც ვნახეთ, პირველ ორ თვეში კოლექტივიზაციის პროცენტი დაახლოებით ორჯერ გადიდდა, მაგრამ მომდევნო ორ თვეში ტემპი არა თუ გაზრდილა, არამედ შემცირებულა კიდეც, ასე რომ „თავბრუდახვევისათვის" კოლექტივიზაციის პროცენტული მაჩვენებელი არ გამოდგებოდა.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, შეცდომა და გადახვევები დაუშვეს იმიტომ, რომ მათ ზუსტად ვერ შეაფასეს სოციალიზმისაკენ საშუალო გლეხობის მოძრაობის ძალა და მასშტაბი. გადაჭარბებით შეაფასეს საკუთარი და ვერ გაითვალისწინეს მოწინააღმდეგის (კულაკობის) ძალები. აი „თავბრუდახვევის" მიზეზი. ამის შედეგად არ მიიღეს სათანადო ზომები სოციალიზმისაკენ საშუალო გლეხობის მობრუნების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, ვერ უზრუნველყვეს ღარიბი და უღარიბესი გლეხობის კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმვა კულაკის წინააღმდეგ და ყოველივე ამის გარეშე დასახეს კოლექტივიზაციის ხელოვნურად გაბერილი პროცენტები. მაგრამ ყველა საშუალო გლეხი არც თუ ისე ადვილად ფიქრობდა კოლმეურნეობებში შესვლას, როგორც ეს პირველად ჩანდა. კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა ამაში გარკვეული როლი შეასრულეს. ამასთან დაკავშირებით, პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საჭიროდ დაინახეს ზოგჯერ იძულების მეთოდის გამოყენება, აქედან დაიწყო საკოლმეურნეო მშენებლობაში შეცდომები და გადახვევა პარტიის გენერალური ხაზიდან. ამიტომ უარის თქმა ფორშულაზე „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" არ არის მართებული.

საინტერესოა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში შეცდომებისა და გადახვევების დაშვებისა და შემდეგ მათი გამოსწორებისათვის ბრძოლის ისტორია. არც ეს ისტორია ლაპარაკობს კრიტიკით გატაცებული ზოგიერთი ისტორიკოსის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის ყველა რაიონი, როგორც ცნობილია, ეკონომიურად და პოლიტიკურად ერთნაირად როდი იყო მომზადებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის. ეს გარემოება დროზე გაითვალისწინა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით „კოლექტივიზაციის ტემპის და საკოლმეურნეო მშენებლობაზე სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ" საბჭოთა კავშირის რაიონები დაყო სამ ჯგუფად. საქართველო მოხვდა

მესამე ჯგუფის რაიონებთან, სადაც მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრება ნავარაუდევი იყო პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის. მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ დაარღვია პარტიის ეს მითითება და რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დაადგა კოლექტივიზაციის ხელოვნურად დაჩქარების გზას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის მასალებით 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა რაოდენობა აღწევდა 3,4 პროცენტს, ხოლო განსაზოგადოებული მიწის ფართობი — 2,5 პროცენტს. იმავე წლის 1-ლი დეკემბრისათვის გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი შეადგენდა 6,3, განსაზოგადოებული მიწის ფართობი კი 4,7 პროცენტს[1]. ამასთან ერთად, პლენუმი აღნიშნავდა: კოლმეურნეობათა წევრების მიერ საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დაბალ დონეს, წვრილ კოლმეურნეობათა სიჭარბეს, კოლექტივიზაციის მეტად დაბალ პროცენტს მრავალწლიან ნარგავთა რაიონებში და, განსაკუთრებით, მესაქონლეობის რაიონებში, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შემოსავლის განაწილების მოუწესრიგებლობას, საკოლმეურნეო მოძრაობაში მოჯამაგირეთა სუსტ მონაწილეობას, ზოგიერთ კოლმეურნეობაში კულაკების შეპარვის ფაქტს და სხვ. მიუხედავად ყოველივე ამისა (რაც სრულიად არ ქმნიდა „თავბრუდახვევის" საშიშროებას), პლენუმმა დაადგინა: „საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების პროცესთა ასეთი სისწრაფის შედეგად უკვე შეგვიძლია მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცენტი მიმდინარე წლის გაზაფხულზე ავიყვანოთ 30-მდე, ხოლო 1930 წლის დამლევისათვის არსებითად დავამთავროთ კოლექტივიზაცია კახეთის, გორისა და თბილისის ოლქებში და ზუგდიდის მაზრაში. 1931 წელს ან, უკიდურეს შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულისათვის საერთოდ დამთავრდება კოლექტივიზაცია მთელ საქართველოში". პლენუმი მხარს უჭერდა საკოლმეურნეო მშენებლობის საარტელო საფეხურის გაუვლელად საკომუნო მშენებლობის სტადიაზე გადასვლას, აგრეთვე, მევენახეობისა და მესაქონლეობის, ე. ი. არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, განკულაკების შესაძლებლობას[2].

პლენუმის დადგენილების ანალიზი ცხადყოფს საქართველოში მთლიანი კოლექტივიზაციის ასეთი ტემპით განხორციელების შეუძლებლობას. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაარღვიეს გლეხობის კოოპერირების ლენინური ნებაყოფლობის პრინციპი და დაუშვეს

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 204 — 210

[2] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1930 წლის 21 იანვარი.

მთელი რიგი შეცდომები და გადახვევები სოფლად პარტიის გენერალური პოლიტიკის გატარებაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომები მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, რომ დაივიწყეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ჩვენი ქვეყნის მხარეებში კოლექტივიზაციის განსხვავებული ტემპების შესახებ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები გამოეკიდნენ კოლექტივიზაციის ხელოვნურად გაბერილ პროცენტებს და უზომოდ დააჩქარეს მისი განხორციელების ტემპები; პარტიის ხაზის დამახინჯება იყო აგრეთვე ისიც, რომ განკულაკებას ახდენდნენ არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში. ასეთივე დამახინჯებას ადგილი ჰქონდა სხვა რესპუბლიკებშიც. ერთი სიტყვით, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა შიერ დაშვებულ მთავარ შეცდომათა ფესვები იყო: არასწორი მიდგომა საშუალო გლეხისადმი, საკოლმეურნეო მშენებლობაში ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევა, ადგილობრივი თავისებურებათა დავიწყება და სხვ.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული უხეში შეცდომები გამოიყენეს კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა საკოლმეურნეო მოძრაობისათვის სახელის გასატეხად, საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და ავტორიტეტის შესარყევად სოფლად.

საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის პოლიტიკის დარღვევას მაშინვე მოჰყვა არასასურველი შედეგები სოფლად. ალაგ-ალაგ დაიწყო გლეხობის მღელვარება, საპროტესტო დემონსტრაციები და ზოგჯერ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიმართ შეიარაღებული წინააღმდეგობაც კოლმეურნეობათა ჩამოყალიბების გამო[1]. ექსცესებს მანამდე სხვაგანაც ჰქონია ადგილი, რაც ცნობილი გამხდარა არა მარტო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, არამედ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვისაც. ამან გამოიწვია, ჩვენი აზრით, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის დირექტივები. ეს დირექტივები და მ. კახიანისა და ლ. ღოღობერიძის ინფორმაციები „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში" მოგზაურობის შედეგებზე მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1930 წლის 1-ლ თებერვალს. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილებით, 1930 წლის გაზაფხულისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად ჩაითვალა გორისა და კახეთის ოლქები, გაუქმდა თბილისის ოლქისა და ზუგდიდის მაზრის გამოცხადება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად და საოლქო და სა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 370.

მაზრო კომიტეტებს დაევალათ ხუთი დღის ვადაში წარმოედგინათ ცენტრალურ კომიტეტში დასამტკიცებლად სია იმ რაიონებისა, რომლებიც მომზადებული იყვნენ მთლიანი კოლექტივიზაციისათვის. ამასთან ერთად, გადაწყდა მტკიცედ დაეცვათ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ მხოლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, დანარჩენ რაიონებში კი კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის გაგრძელება; გარდა ამისა, პარტიულ კომიტეტებს მიეთითათ ძირშივე აღეკვეთათ საკოლმეურნეო მშენებლობაში ადმინისტრირების მეთოდი და თავი შეეკავებინათ დიდი რაოდენობით კომუნების შექმნისაგან, ხელი შეეწყოთ ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში საკოლმეურნეო მშენებლობის დაბალი ფორმების განვითარებისათვის[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმმა 1930 წლის 7 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ლ. ღოღობერიძის მივლინების შესახებ მოსკოვში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეულ თათბირზე „ეროვნულ რესპუბლიკებში კოლექტივიზაციის მიმდინარეობისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ"[2].

13 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ საოლქო და სამაზრო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად დასახა თბილისის ოლქში — გარეკახეთი, მცხეთა-მუხრანი, თბილისის გარეუბანი (ყარაიაზის გამოკლებით), ქუთაისის ოლქში — სამტრედიის, ხონის, ქუთაისის, ბაღდადის, ვანისა და ზესტაფონის რაიონები[3]. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიეცათ აღნიშნული დადგენილებებიდან გამომდინარე მითითებანი.

1930 წლის 22 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ლ. ღოღობერიძის ინფორმაცია საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ჩატარებული თათბირის შესახებ. ლ. ღოღობერიძის ინფორმაცია საქმეში დაცული არ არის, მაგრამ პრეზიდიუმის დადგენილებიდან ნათლად ჩანს, თუ რა თვალთახედვით განიხილა მოსკოვის თათბირმა საკითხი „ეროვნულ რესპუბლიკებში კოლექტივიზაციის მიმდინარეობისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. III, საქ. 3471, ფურც. 27.

[2] იქვე, ფურც. 155

[3] იქვე, ფურც. 133.

რეზოლუციებში. მ. კახიანის მოხსენების გამო პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, სადაც ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს კომპარტიის წინაშე დგას საკ. კპ (ბ) ცკ-ის მიერ დაყენებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა — ახალი ბურჟუაზიისა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია“, შეიცვალა შემდეგი ტექსტით: „საქართველოს კომპარტიის წინაშე დგას საკ. კპ (ბ) ცკ-ის მიერ დაყენებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე“. აგრეთვე შესწორდა პლენუმის მიერ ლ. ღოღობერიძის მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციაც. მას დაემატა, რომ სოფლად პარტიის წინაშე მდგარ ამოცანათა განხორციელება „გვიკარნახებს ღარიბი და საშუალო გლეხობის კოლმეურნეობებისაკენ მასობრივად მობრუნების ორგანიზაციულად განმტკიცების აუცილებლობას, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, არამთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის გაგრძელებას, პარტიის გარშემო ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის დარაზმვას, მათ ორგანიზებას კულაკობის წინააღმდეგ“[1].

ამრიგად, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის საქმეში პარტიის ხაზის დამახინჯებათა შესახებ თავიდანვე იცოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებიდან საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც[2]. როგორც ვნახეთ, ისინი თავიდანვე ღებულობდნენ ზომებს დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად[3], მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ნაკლებ ქმედითუნარიანი აღმოჩნდა. საქართველოში აქა-იქ კვლავ გრძელდებოდა კოლექტივიზაციის ხელოვნურად გაბერილი პროცენტებისადმი გამოდევნება, რაც, ბუნებრივია, იწვევდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაში ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევას. ამით აიხსნება საქართველოში კოლექტივიზაციის პროცენტის გადიდება 1930 წლის იანვრის 10 პროცენტიდან იმავე წლის 5 მარტისათვის 60 პროცენტამდე[4], რაც მიღწეული იყო ადმინისტრირების მეთოდით მთლიანი კოლექტივიზაციის დაჩქარების მიზნით. ამას ადასტურებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1930 წლის 4 მარტის დადგენილება, რომელიც წარმოადგენდა მისივე 1-ლი და

---

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 257—258.

[2] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 870.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3815, ფურც. 95, 127; საქ. 3463, ფურც. 202 — 210; გაზ. „კომუნისტი“, 1930 წლის 15 აპრილი.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 205.

13 თებერვლის დადგენილებათა დამატებას[1]. ამ დადგენილებით მხოლოდ ოდნავ იზღუდებოდა მთლიანი კოლექტივიზაციის მასშტაბი.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების რადიკალური აღმოფხვრა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარება-განმტკიცება დაიწყო პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ რადიკალურ ღონისძიებათა შემდეგ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე მიაქცია ყურადღება ადგილებიდან მიღებულ სიგნალებს და დაუყოვნებლივ მიიღო ზომები დარღვევებისა და პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯებათა გამოსასწორებლად. ჯერ კიდევ 1930 წლის 30 იანვარს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაუგზავნა წერილები. იგი სასტიკად გმობდა მთლიანი კოლექტივიზაციის გარეშე განკულაკების პრაქტიკას.

ადგილებზე დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისადმი იყო მიძღვნილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1930 წლის 20 თებერვალს მიღებული დადგენილება ამიერკავკასიაში, შუა აზიასა და საბჭოთა რუსეთის ეროვნულ რაიონებში კოლექტივიზაციის გატარების წესების შესახებ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით 1930 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა „სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება“ და ი. ბ. სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, სადაც დასახული იყო ადგილებზე დაშვებულ დამახინჯებათა აღმოფხვრის გზები. მაგრამ მაშინ ბევრმა ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა მუშაკმა სწორად ვერ გაიგო ი. ბ. სტალინის სტატიის შინაარსი და უარყოფითად შეხვდნენ მას. ასეთ მდგომარეობას საქართველოში ჰქონდა ადგილი. ასე მაგალითად, საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობაზე ფ. მახარაძე ამბობდა: „აშკარად და გულახდილად უნდა განვაცხადოთ აქ, რომ ადგილობრივი მუშაკების დიდი ნაწილი, რომლებიც ატარებენ კოლექტივიზაციას, უკმაყოფილო დარჩნენ სტალინის სტატიის გამოქვეყნებით, იყო შემთხვევები, როდესაც ამ წერილს მალავდნენ და არ უნდოდათ მისი გამოჩენა. აი, სახელდობრ, ამით ისარგებლეს კულაკებმა“. ე. ი. ბევრი ადგილობრივი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ მიხვდა დაშვებული შეცდომების საშიშროებას და ხელს არ იღებდნენ ძალდატანებაზე საშუალო გლეხის მიმართ[2].

---

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 275 — 276.

[2] А. Метревели, Коммунистическая партия Грузии в борьбе за социалистическое преобразование сельского хозяйства и победу колхозного строя 1921 — 1937 гг. (автореферат док. диссертации), Тб., 1971, стр. 64 — 67.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით გაერკვნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მათ მიერ დაშვებული შეცდომების საშიშ ხასიათში, რომელსაც საქმე მიჰყავდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩაშლამდე, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის დამხობამდე.

აღსანიშნავია ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც ტარდებოდა 1930 წლის 2 მარტის შემდეგ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წლის 7 მარტის დადგენილებაში აღნიშნულია განსაზოგადოებული სექტორის უდიდესი ზრდა სოფლის მეურნეობაში, რაც გამოიხატა მთელ გლეხურ მეურნეობათა თითქმის ნახევრის გაერთიანებით კოლმეურნეობებში. გარდა ამისა, ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაცია, უმთავრესად არტელური ფორმით რომ წარმოებდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა უფრო ნელი ტემპით უნდა წასულიყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის მარცვლეულის მოწინავე რაიონებში, აქაც აღინიშნა გლეხობის ძირითადი მასის ძირეული მობრუნება სოციალიზმისაკენ.

ამასთან ერთად, ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა პარტიის საკოლმეურნეო პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას, რაც გამოიხატა აგრეთვე მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში გამოყენებულ ღონისძიებათა მექანიკური გადმოტანით ჩამორჩენილ რაიონებში, სადაც „საწარმოო კოოპერირებისათვის, კულაკობის იზოლიაციისა და მშრომელთა დარაზმვისათვის პარტიის ლოზუნგების გარშემო სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესახებ წინასწარმა მუშაობამ ჯერ კიდევ ვერ შექმნა საკმაოდ მტკიცე პოზიციები მთლიანი კოლექტივიზაციისათვის და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის“[1].

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქართველოში არის მნიშვნელოვანი რაიონები (აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დიდი ნაწილი), სადაც ჯერ კიდევ არ არის კულაკობა და სასულიერო წოდება იზოლირებული და მათი გავლენა აღმოფხვრილი, სადაც ჯერ კიდევ სუსტია მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის გავლენა გლეხობაზე. ამასთან ერთად, აჭარა და ახალციხის მაზრა ესაზღვრებიან კაპიტალისტურ საველმწიფოს, საიდანაც კონტრრევოლუციური ელემენტები ეწევიან თავიანთ გამხრწნელ მუშაობას. ამიტომ ყველა რაიონის გამოცხადება მთლი-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 196 — 214.

ანი კოლექტივიზაციის რაიონად და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია წარმოადგენდა პარტიის პოლიტიკის დამახინჯებას. ამ გარემოებას იყენებდა კულაკობა, რომელიც სარგებლობდა საშუალო გლეხობის ერთი ნაწილის მერყეობითა და ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ტერორიზებას ეწეოდა, ცდილობდა ძირი გამოეთხარა საკოლმეურნეო მოძრაობისათვის სოფელში. ასეთ ვითარებაში პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იყო ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის ორგანიზება, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება, უკვე შექმნილ კოლმეურნეობათა გამაგრება, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, გადაჭრით ლიკვიდაცია და სხვა რაიონებში მისი ყოველმხრივი შეზღუდვა[1].

საქართველოში კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, სადირექტივო ორგანოების მითითებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 7 მარტს დასახა შემდეგი ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდა: 1. კონტრრევოლუციური კულაკური აქტივის (I კატეგორია) განკულაკებას და რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასახლებას (უოჯახოდ) და პატიმრობას; 2. სხვა კულაკურ მეურნეობათა და პირველი კატეგორიის კულაკთა ოჯახის წევრების განკულაკებას და მათ გასახლებას მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონის ფარგლებიდან მიწის მდარე ხარისხიან ნაკვეთებზე; 3. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში განკულაკების დამთავრებას თესვის კამპანიის დაწყებამდე, ე. ი. 1930 წლის 15 მარტამდე; 4. განკულაკებულთათვის სურსათის აუცილებელი მარაგის დატოვებას, მარაგისას, რაც მათ ოჯახს უზრუნველყოფდა ახალ მოსავლამდე; საბინაო მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის მიყიდვას და სხვ.; 5. გასახლებულ კულაკთა ოჯახის წევრთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა ჩატარებას მათი ხელახალი აღზრდის მიზნით; 6. კულაკური ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდათა შრომით მოწყობას სამშენებლო, სამელიორაციო, საგზაო, ტყის დამზადებისა და სხვა სახის სამეურნეო ობიექტებზე. ყოფილი კულაკური ახალგაზრდობისათვის არტელების შექმნას სამშენებლო მასალების (აგურისა და კრამიტის) დამზადებისა და მესაქონლეობის განვითარების ხაზით; 7. კულაკების გასახლებას არაუმეტეს 30—40 ოჯახისა საზღვრისა და რკინიგზისაგან დაშორებულ ადგილებში; 8. განსაკულაკებელ მეურნეობათა რაოდენობის განსაზღვრას მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონის მთელ მეურნეობათა 2 — 3 პროცენტით;

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურცელ. 196 — 214.

9. ზოგიერთ ეროვნებათა კულაკური მეურნეობების გასახლებას რესპუბლიკის ფარგლებიდან არაუმეტეს 80 ოჯახისა; 10. თესვის კამპანიის დაწყებამდე ყველა კულაკურ მეურნეობათა გასახლების შეუძლებლობას, ამიტომ პირველ რიგში ითვალისწინებდა გორის ოლქიდან 200 ოჯახის, კახეთის ოლქიდან 400 ოჯახის და ქუთაისის ოლქიდან 150 ოჯახის გასახლებას; დანარჩენ განკულაკებულთა დატოვებას ადგილზე, მათთვის ღარიბთა ქოხების მიცემას და აგრეთვე მიწის ნაკვეთის გამოყოფას კოლმეურნეთა მიწების ფარგლებს გარეთ. ამ მიწების დასამუშავებლად ითვალისწინებდნენ მათთვის საოჯახო მოხმარების აუცილებელ საგნებს გარდა, მუშა პირუტყვის მიცემას დასავლეთ საქართველოში 10 ჰექტარზე და აღმოსავლეთ საქართველოში 5 ჰექტარ მიწაზე ერთი უღელი ხარის რაოდენობით, აგრეთვე სათესლე მასალის მიცემას და სხვ.

მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებას სრულიადაც არ აუღია კურსი სსრ კავშირში კულაკობის ფიზიკურად მოსპობაზე, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. მათი „მტკიცების" ცილისმწამებლურ ხასიათზე მიუთითებს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ზემოთ განხილული ღონისძიებანი და მისი პრაქტიკული განხორციელების მასალები.

სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების ბოლომდე აღმოფხვრის დასაჩქარებლად საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც უკვე ითქვა, 1930 წლის 15 მარტს გამოაქვეყნა დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ", ხოლო 3 აპრილს — ი. ბ. სტალინის სტატია „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს". პარტიის ღონისძიებებმა მალე სასურველი შედეგები გამოიღო. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადასინჯეს თავიანთი აჩქარებული მოღვაწეობის შედეგები, ანალიზი გაუკეთეს მათ და დაიწყეს ბრძოლა დაშვებული შეცდომების აღმოფხვრისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1930 წლის მარტის პირველ ნახევარში ღებულობდა სერიოზულ ღონისძიებებს სოფლად დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად და საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ამის შესახებ დაწვრილებით მოახსენებდა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი 1930 წლის 16 მარტს. ამ მოხსენებიდან ჩანს, რომ საქართველოში ფრიად მნიშვნელოვანი ზომები განხორციელდა კოლმეურნეობათა კვალიფიციური კადრებით გამაგრებისა და კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის მოსაწყობად, კოლექტივიზაციაში დაშვებული ეგრეთ წოდებული ადმინისტრირების შედეგების აღმოსაფხვრელად; სე-

რიოზული ნაბიჯი გადაიდგა საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისათვის ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტების ზედაფენების დაპატიმრებით, ბანდიტიზმის (როგორც პოლიტიკური, ისე სისხლის სამართლის) წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონიდან კულაკთა გასახლებისათვის ღონისძიებათა დასახვით, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხთა ჯგუფების შექმნითა და განმტკიცებით, ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით და ადგილებზე სუსტი ხელმძღვანელების შეცვლით და სხვ. [1].

ადგილებზე დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისათვის რაიონებზე მიამაგრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრები: კახეთის ოლქზე — შ. ელიავა, ქუთაისის ოლქზე — ლ. ღოღობერიძე, ოზურგეთის მაზრაზე — ფ. მახარაძე და ა. შ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმმა 1930 წლის 3 აპრილს განიხილა „საქართველოში კოლექტივიზაციის მიმდინარეობის საკითხი". მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად უდავო მიღწევებისა კოლექტივიზაციის დარგში, ადგილებზე მაინც შეინიშნება პარტიის ხაზის უხეში დარღვევები (კოლმეურნეობათა შექმნისას ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა, ცალკეული რაიონების თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა), საკოლმეურნეო მშენებლობაში მისი დაბალი ფორმიდან უმაღლესი ფორმისაკენ — კომუნისაკენ ნახტომის ცდა. ყველა ეს გამოიყენეს კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა იმისათვის, რომ გლეხობის უკმაყოფილება წარემართათ კოლექტივიზაციის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გამრუდებათა მიზეზად აღნიშნული დადგენილება ასახელებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების „არასწორ გაგებას", რაც სწორი არ არის, რადგან პლენუმის აღნიშნული დადგენილება სწორედ შეცდომებისაკენ უბიძგებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 3 აპრილის დადგენილებაში გაკრიტიკებულია ის კომუნისტებიც, რომლებმაც ი. ბ. სტალინის სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან" მიიჩ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 204 — 210.

ნიეს უკან დახევად, რითაც სურდათ ადრე დაშვებული შეცდომების გამართლება. დასასრულ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს განეხორციელებინათ ღონისძიებანი, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორება და საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებულ მიღწევათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება[1]. არც ამ დადგენილებას მოჰყოლია დიდი შედეგები, მაგრამ ისიც კი, რისი განხორციელებაც მოასწრეს, მნიშვნელოვნად სწორ და ჯანსაღ ნიადაგზე აყენებდა საკოლმეურნეო მშენებლობას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საკოლმეურნეო მშენებლობის ერთგვარ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას, ჩამოაშორა მას კოლმეურნეობებში იძულებით გაერთიანებული გლეხობა, შეპარული კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ასე მაგალითად, 1930 წლის მარტში კახეთის ოლქის კოლმეურნეობებიდან გავიდა 50 პროცენტი, გორის ოლქის კოლმეურნეობებიდან — 25 პროცენტამდე, ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებიდან — 20 პროცენტი. საქართველოში კოლმეურნეობებიდან გავიდა მათში გაერთიანებულთა საშუალოდ 30 პროცენტი[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1930 წლის 13 და 14 აპრილის დადგენილებებში აშკარად აღიარა დაშვებული შეცდომები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის[3]. 15 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 13 აპრილის დადგენილება „გამოვასწოროთ საკოლმეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებანი". დადგენილება აღნიშნავდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის იანვრის პლენუმის მიერ დაშვებულ შეცდომებს და ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის ფართოდ გაშლას ამ შეცდომათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის. სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების აღმოსაჩენად გაიგზავნა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები და მოწინავე მუშები. „25 ათასიანელთა" ანგარიშში რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებიდან სოფლად სამუშაოდ გაიგზავნა 200-ზე მეტი, ხოლო დროებით სამუშაოდ — 500-ზე მეტი მუშა.

---

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 283—288.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 204 — 210.

[3] იქვე, ფ. 14, საქ. 3615, ფურც. 106 და საქ. 3661, ფურც. 5 — 15.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებას საქართველოს მუშათა კლასი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. სოფლად მუდმივ სამუშაოდ წასვლაზე სურვილს აცხადებდა 1200 მუშა. კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ წამსვლელთათვის მოეწყო ორკვირიანი კურსები. 1930 წლის 1-ლი თებერვლისათვის გაგზავნილები უკვე ადგილებზე იყვნენ, ხოლო ისინი, დროებით სამუშაოზე წასულნი, სულ 73 საწარმოო ბრიგადად იყო დაკომპლექტებული. ბრიგადირები ხშირად ჩადიოდნენ ქალაქში სოფლად წამოჭრილი ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად სათანადო კონსულტაციების მისაღებად. „25 ათასიანელთა“ ანგარიშში გაგზავნილები დიდ პოლიტიკურ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ გლეხობაში, გარდა ამისა, საწარმოო ბრიგადებმა 1-ლი თებერვლიდან იმავე 1930 წლის აპრილის ბოლომდე შეაკეთეს კოლმეურნეობათა 16 ათასი ერთეული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მათ შორის 47 ტრაქტორი, 74 ტრიერი, 2255 გუთანი[1].

ყველა ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო. 1930 წლის მაისიდან მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, არსებითად შეწყდა კოლმეურნეობებიდან გლეხობის გასვლა, ზოგი გასული უკანვე დაბრუნდა, იკლო კულაკურმა ბანდიტიზმმა. თბილისის ოლქში მოქმედი ისახანის ბანდა ხელისუფლებას ჩაბარდა, აჭარაში დააპატიმრეს „სედაი მილეთელების“ მეთაურებიც. ეს ორგანიზაცია ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყო გურიის მენშევიკებთან. როგორც ცნობილი გახდა, 1930 წლის გაზაფხულისათვის იგი აჯანყებასაც კი ამზადებდა. ყოველივე ამის შესახებ ლ. ღოღობერიძე მოახსენებდა საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 1930 წლის აპრილში[2].

საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაშლისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კომუნისტური პარტიის VII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობა აღნიშნავდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებულ სერიოზულ შეცდომებს, და ამასთან ერთად, ხაზს უსვამდა უკანასკნელ პერიოდში იმ გარდატეხასა და აღმავლობას, რასაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. ეს მიღწევები, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა ნათესი ფართობის შემდგომი გაფართოებით, ტექნიკური და სპეციალური კულტურების (ჩაი, თამბაქო, ბამბა, აბრეშუმი და სხვ.) ხვედრითი წონის გადიდებით, სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი მექანი-

---

[1] Газ. «Заря Востока», 24 апреля 1930 г.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 3463, ფურც. 211 — 214.

ზაციით. სოციალისტურ რეკონსტრუქციაში მომხდარ გარდატეხაზე მეტყველებდა 1930 წლის 10 მაისისათვის რესპუბლიკის გლეხურ მეურნეობათა 20 პროცენტის ნებაყოფლობითი გაერთიანება კოლმეურნეობებში, იგი ზოგიერთ რაიონში 50 პროცენტამდეც კი აღწევდა[1].

ამრიგად, საშუალო გლეხის მიმართ ძალდატანების გამო საქართველოში 1929 წლის ბოლოდან შეიქმნა „მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა", ე. ი. ხელოვნურად გამოწვეული „მოძრაობა", რომლის საფუძველზე შეუდგნენ საქართველოში კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას.

საკოლმეურნეო მშენებლობაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ პარტიის VIII ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ს. მამულია ამბობდა: „ჩვენ მოვიწადინეთ ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მოხდენა მეტად სწრაფად, ხელის ერთი დაკვრით. ჩვენ ადგილებს გადასინჯვის უფლების გარეშე ისეთ გეგმებს ვაძლევდით, რომელთაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ჩვენი გლეხური პოლიტიკის დამახინჯებანი და გადახვევები... ი. ბ. სტალინი სრულიად სამართლიანად გვისაყვედურებდა, რომ კოლექტივიზაციის საქმეში ავჩქარდით... ი. ბ. სტალინმა სრულიად სწორად მიგვითითა, რომ სულ სხვანაირი მიდგომაა საჭირო საქართველოში, სადაც თვითეული გლეხი ციხე-სიმაგრეში ზის"[2]. ეს იყო ნამდვილად გულწრფელი აღიარება.

მთლიანი კოლექტივიზაცია ნიშნავს მთელი მიწის ფონდის განსაზოგადოებას, კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაციას. „ახლა განკულაკება, — წერდა ი. ბ. სტალინი, — მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უბრალო ადმინისტრაციული ღონისძიება აღარ არის. ახლა იქ განკულაკება კოლმეურნეობების შექმნისა და განვითარების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს"[3]. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში ავტომატურად ხდებოდა კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია, მათი მიწისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ექსპროპრიაცია; მთლიანი კოლექტივიზაცია ნამდვილი იყო იგი თუ არა, განკულაკება მაინც ნამდვილად ხდებოდა. თვით გლეხური მასები ეწეოდნენ კულაკთა განდევნას „მთლიანი" კოლექტივიზაციის რაიონში მოყოლილი მათი მიწებიდან. ამიტომ მთავარი შეცდომა კულაკობის ლიკვიდაცია კი არ იყო, არამედ ნაძალადევი

---

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 302.

[2] „საქართველოს კომპარტიის (ბ) VIII ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში", თბ., 1932, გვ. 90 — 91.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 186.

კოლექტივიზაცია, რაც განხორციელდა საშუალო გლეხის მიმართ ლენინური მიდგომის დაცვით, საშუალო გლეხის მიმართ ძალდატანების პოლიტიკის განხორციელებით. „რა არის გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების ფ ე ს ვ ი? — ეკითხებოდნენ ი. ბ. სტალინს და იგი უპასუხებდა, — „საშუალო გლეხისადმი არასწორი მიდგომა, საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობის ხაზით ძალდატანების დაშვება“ [1], აქედან გამომდინარე, ი. ბ. სტალინს საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებიდან უმთავრესად მიაჩნდა „ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა“ საშუალო გლეხობის მიმართ და არა კულაკის მიმართ.

მართალია, 1930 წლის მარტიდან, ცნობილი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, საპნის ბუშტივით გაქრნენ ცრუკოლმეურნეობანი და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება მეორე ხუთწლედის ამოცანა გახდა, მაგრამ აღნიშნული შეცდომის ერთგვარი დადებითი შედეგი იყო ამიერკავკასიის მასშტაბით „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში“ კულაკობის ეგრეთ წოდებული „პირველი და მეორე კატეგორიის“, ან მთელი კულაკობის 20 — 25 პროცენტის ლიკვიდაცია [2]. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა სამუდამოდ ლიკვიდირებული. ზემო აღნიშნული პირველი და მეორე კატეგორიის კულაკობის ერთმა ნაწილმა მიაშურა მაღაროებს, ხე-ტყის დამზადების ბრიგადებს და სხვა სამრეწველო ობიექტებს, ხელახალ აღზრდას გადიოდნენ სოციალისტურ საწარმოებში. მეორე ნაწილმა საბჭოთა ხელისუფლებასთან იარაღით ბრძოლის გზა აირჩია და კულაკური გამოსვლებით, პოლიტიკურ და სისხლის სამართლის ბანდიტიზმთან კავშირში ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი გაანადგურა.

როგორი მდგომარეობა იყო საქართველოში 1930 წლის მეორე ნახევარში? მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები მაშინ თითქმის არ იყო. „მთლიანი კოლექტივიზაციის ყოფილ რაიონებში“ კულაკობა, როგორც კლასი, ძირითადად ლიკვიდირებული აღმოჩნდა. იბადება კითხვა, ხომ არ შეიქმნა საქართველოში ის საფრთხე, რასაც ერიდებოდა კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება, როდესაც კულაკობას, როგორც კლასის, ლიკვიდაციას კრძალავდნენ მთლიანი კოლექტივიზაციის გარეშე? რასაკვირველია, არა. და აი რატომ: ჯ ე რ ე რ თ ი, საქართველოში მთლიანი კოლექტივიზაციის მხოლოდ „კუნძულები“ არსებობდა და ამიტომ ამ „კუნძულებზე“ კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაციის ეკონომიური შედეგები დიდ გავლენას ვერ მოახდენდა მთლიანად ეკონომიურ რაიონზე; მ ე ო რ ე, ამ დროს საქართველოში, როგორც ჩანს, თითქმის საკმაო მატერი-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ 12. გვ. 222.

[2] Ф. Л о м а ш в и л и, Великий переворот, 1972, стр. 265.

ალური ბაზა არსებობდა საკოლმეურნეო მოძრაობისათვის; მ ე ს ა მ ე, ასეთი მატერიალური ბაზაც რომ არ არსებულიყო აქ, საქართველოში, კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია უარყოფითად მაინც ვერ იმოქმედებდა სახალხო მეურნეობაზე, რამდენადაც საქართველო არ იყო თვითკმარი სამეურნეო-ეკონომიური ერთეული, და საკოლმეურნეო მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობდა მთლიანად საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით.

აი, ასეთ პირობებში პრაქტიკულად არ მოჰყოლია რაიმე სერიოზული პოლიტიკური თუ ეკონომიური გართულება საქართველოში კულაკობის, როგორც კლასის, მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის გარეშეც, ვინაიდან, ჩვენი აზრით, „შეცდომების ეპოქაში", კულაკობის პირველი და მეორე კატეგორია ლიკვიდირებული იყო და ამიტომ დარჩენილი, მესამე კატეგორიის კულაკთა მიმართ საკმარისი აღმოჩნდა ეკონომიური ღონისძიებაც. მაგრამ ეს ეკონომიური ღონისძიება სრულიად არ ყოფილა მშვიდობიანი ხასიათის. ის იყო ნამდვილი იძულებითი ხასიათის ღონისძიება. ამიტომ საქართველოში კვლავ გრძელდებოდა დარჩენილი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

კულაკური მეურნეობა ინდივიდუალური წესით იბეგრებოდა, ე. ი. თუ კულაკური მეურნეობის შემოსავალი 1000 მანეთს არ აღემატებოდა, მაშინ შეაწერდნენ გადასახადს 350 მანეთის რაოდენობით, თუ ათას მანეთზე მეტი ჰქონდა შემოსავალი, მაშინ პროგრესული განაკვეთით იბეგრებოდა, რაც მაქსიმალურად უდრიდა შემოსავლის 70 პროცენტს[1].

კოლმეურნეზე შეწერილი ყველა გადასახადი უდრიდა 34,5 მანეთს, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე — 79 მანეთს, ხოლო კულაკურ მეურნეობაზე — 3736,9 მანეთს, ამის გამო კულაკი იძულებული იყო გადასახადის გასასტუმრებლად გაეყიდა წარმოების საშუალებათა ნაწილი, რადგან მას გადასახადი შემოსავალზე მეტი ჰქონდა შეწერილი. კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა 1934 წლიდან. ამ წელს თითოეული კულაკური მეურნეობის ფაქტიური შემოსავალი საფინანსო ორგანოების მიერ გაანგარიშებული იყო საშუალოდ 1 637 მანეთამდე, ხოლო კულაკური მეურნეობის გადასახადების ჯამი შეადგენდა 5374 მანეთს, ე. ი. 3,3-ჯერ მეტს[2]. საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1-ლი ცხრილი[3].

---

[1] თ. ე ღ ე ნ ტ ი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, გვ. 179.

[2] იქვე, გვ. 181.

[3] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1956, გვ. 96.

წლები	კულაკურ მეურნეობათა რაოდენობა	მათი საერთო შემოსავალი	ყველა გადასასადის ჯამი (ათას მან.)	გადასახადების ამოღების %
1928—29	6659	5023,5	972,9	19,3
1929—30	9754	9033,4	1644,2	18,2
1930—31	6048	3473,0	1690,6	48,6
1931	3522	4328,9	4964,5	114,6
1933	1054	1952,7	3946,7	202,1
1934	242	396,2	1300,7	328,3
1935	103	416,5	981,1	235,6

ასეთი საგადასახადო პოლიტიკა სრულებით არ ნიშნავდა კულაკობის, როგორც კლასის, მშვიდობიან ლიკვიდაციას.

ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტია 1929 წლის მეორე ნახევრიდან იღებს კურსს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე[1]. ამ კურსის შედეგი იყო ძალადობა საშუალო გლეხის მიმართ და ამ გზით „მთლიანი კოლექტივიზაციის“ რაიონების შექმნა, ამ რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, დაკვრითი წესით ლიკვიდაცია. შემდეგ წლებში საქართველოს კომპარტია კულაკობის წინააღმდეგ იყენებს ეკონომიური დაწოლის იარაღს, რაც ნიშნავდა დარჩენილი მესამე კატეგორიის კულაკობის თანდათანობით ლიკვიდაციას. ეს არ იყო კულაკობის შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკისაკენ მობრუნება, თუნდაც რაიმე ახალი სახეცვლილებით. იგი ისევ ის კურსი იყო, რაც საქართველოს კომპარტიამ აიღო 1929 წლის მეორე ნახევრიდან — კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის კურსი. აქ მხოლოდ ფორმის შეცვლასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. რაც შეეხება მეთოდს, იგი არსებითად დარჩა უცვლელი — იძულებითი. ეკონომიური ღონისძიებები სრულებით არ ყოფილა მშვიდობიანი გზით კულაკობის, როგორც კლასის, გამოდევნის ღონისძიება და ეს ამ გზით შეუძლებელიც იყო.

საბჭოთა კავშირის ყველა რაიონის, ყველა რესპუბლიკის მიმართ კანონზომიერ მოვლენად უნდა ვაღიაროთ კულაკობის, როგორც კლასის, ძალადატანებითი ლიკვიდაციის აუცილებლობა. იგი სხვანაირად არც განხორციელებულა. როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის თეორიული მემკვიდრეობიდან, არსად საბჭოთა კავშირში და, მაშასადამე, არც საქართველოში არ შეიძლებოდა კულაკობის, როგორც კლასის, საგადასახადო და

[1] «Ещё в ноябре-декабре 1929 года был взят курс на сплошную коллективизацию сельского хозяйства и ликвидации кулачества как класса» (см. П. Ломашвили, Ликвидация кулачества как класса в Закавказских советских республиках (автореферат докт. дисс., Тб., 1971, стр. 28).

სხვა შემზღუდველი ღონისძიებებით მშვიდობიანი გამოდევნა. აღნიშნული ღონისძიებებით შეიძლებოდა კულაკობის მხოლოდ ცალკეული რაზმების თუ ფენების გამოდევნა. მაგრამ ეს პოლიტიკა არ კმაროდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო ამ კლასის წინააღმდეგობის დაძლევა აშკარა პირდაპირ ბრძოლაში, მისთვის არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროების მოსპობა.

კოლმეურნეობების ეკონომიური განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ მომარაგებას გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით. 1930 წელს მანქანა-იარაღებით სოფლის მეურნეობის მომარაგება საშუალოდ ექვსჯერ და უფრო მეტად გაიზარდა 1925 წელთან შედარებით. უკვე ყოველ ჰექტარ მიწაზე მოდიოდა 15 მანეთის მანქანა-იარაღი, მაშინ, როდესაც რევოლუციამდელ საქართველოში ჰექტარზე ძლივს მოდიოდა 3 მანეთის მანქანა-იარაღი. კოლმეურნეობათა სამეურნეო განმტკიცებისათვის განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნა.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა სოფლად მუშათა ბრიგადების მოწინავე მუშებისა და ხელმძღვანელი მუშაკების გაგზავნამ მუდმივ სამუშაოზე და, ბოლოს, 1933 წლიდან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან შექმნილმა პოლიტიკურმა განყოფილებებმა.

საქართველოში, აგრეთვე ამიერკავკასიაში, კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდში ადგილი ჰქონდა პარტიის ხაზის დამახინჯებას ეროვნულ საკითხშიც. საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაივიწყა ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკათა ინტერესები და დაუშვა ზედმეტი ცენტრალიზაცია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც ეროვნულ რესპუბლიკათა სახელმწიფო ორგანოების გაუპიროვნება გამოიწვია.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ მოპოვებული წარმატებები და მიუთითა გლეხობისა და ეროვნულ საკითხში დაშვებულ დამახინჯებათა აღმოფხვრის აუცილებლობაზე[1].

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების შედეგად, როგორც აღვნიშნეთ, ცრუკოლმეურნეობანი, რომლე-

---

[1] Газ. «Правда», 3 ноября 1931 года.

ბიც ადმინისტრირებით იყვნენ შექმნილნი, დაიშალნენ. დანარჩენი კოლმეურნეობანი თანდათანობით მტკიცდებოდნენ როგორც ეკონომიურად, ისე ორგანიზაციულად. ანტისაბჭოთა, კულაკურ აგიტაციას სწრაფად ეცლებოდა ნიადაგი.

უფრო დეტალურად გავეცნოთ სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობას 1929 — 1932 წლებში. 1929 წელს საქართველოში არსებობდა 839 კოლექტიური მეურნეობა, რომელიც აერთიანებდა 13 ათასამდე გლეხურ მეურნეობას, 1930 წელს — 2024 კოლმეურნეობა — 96 ათასამდე გლეხურ მეურნეობას, ხოლო 1931 წელს არსებული 2552 კოლმეურნეობა — 120 ათასამდე გლეხურ მეურნეობას. როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობათა შექმნა და მათში გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა სოფლად პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელებისას დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების შედეგად.

კოლექტიური მეურნეობანი საწესდებო ფორმების მიხედვით არ იყვნენ ერთგვაროვანი. სასოფლო-სამეურნეო კომუნების რაოდენობა კვლავ იზრდებოდა, მაგრამ ნელა. 1929 წლის 21-დან 1930 წელს გაიზარდა 36-მდე. არსებობდნენ აგრეთვე მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი, რომელთა რაოდენობა 1930 წლისათვის 600-მდე აღწევდა. მაგრამ საკოლმეურნეო მშენებლობაში გლეხური მოსახლეობის კოოპერირების ძირითად ფორმას მაინც სასოფლო-სამეურნეო არტელი წარმოადგენდა; თუმცა მისი ხვედრითი წონა 1930 წელს, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა. ასევე, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო კომუნათა პროცენტული მაჩვენებელიც, 1,6 პროცენტით გაიზარდა მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობათა რაოდენობა. ეს გარემოება გამოწვეული იყო სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების მიზნით ცრუკოლმეურნეობათა დაშლისა და მათი ნაწილის მიწის საზოგადოებრივ შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებად გარდაქმნით.

როგორც ცნობილია, წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობებად არც თუ ისე დიდხანს შეეძლო არსებობა ღარიბ და უღარიბეს გლეხურ მეურნეობებს. საშუალო გლეხურ მეურნეობას, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ ერთხანს შეეძლო თავისი არსებობის შენარჩუნება, რადგან მასში საკმაოდ ნათლად იყო გამოსახული ერთგვარი გაფართოებული კვლავწარმოების ნიშნები. მაგრამ ასე როდი იყო საქმე ღარიბ და უღარიბეს გლეხურ მეურნეობებში. მათთვის ერთადერთ გამოსავალს მხოლოდ საკოლმეურნეო რელსებზე გადასვლა წარმოადგენდა. და მართლაც, ღარიბი და უღარიბესი გლეხები პირველნი შედიოდნენ კოლმეურნეობებში, რაზედაც აშკარად მიუთითებს ამ პერიოდის კოლმეურნეობათა წევრების სოციალური და პარ-

ტიული შემადგენლობა. 1929 წელს კოლმეურნეობის წევრთა 78,4 პროცენტი ღარიბი გლეხობა იყო, ხოლო საშუალო გლეხობა — მხოლოდ 21,6 პროცენტი. ცოტა უფრო გვიან, როდესაც საშუალო გლეხობამ პირი იბრუნა კოლმეურნეობებისაკენ, სურათი იცვლება; 1930 წელს კოლმეურნეობების წევრთა შორის საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა გაიზარდა 36,1 პროცენტამდე, ღარიბი გლეხობის ხვედრითმა წონამ კი შეადგინა 55,6 პროცენტი[1].

საკოლმეურნეო მოძრაობის ავანგარდში იდგნენ სოფლის კომუნისტები და კომკავშირელები. 1929 წელს კოლმეურნეობათა წევრებს შორის პარტიის წევრი იყო 13,5, ხოლო კომკავშირის წევრი — 7,1 პროცენტი. 1930 წელს პარტიის წევრთა ხვედრითი წონა შემცირდა 4,2 პროცენტამდე, მიუხედავად მისი აბსოლუტური რაოდენობის ექვსჯერ და უფრო მეტად გადიდებისა — 2028 კაციდან 6230 კაცამდე. კომკავშირელთა აბსოლუტური რაოდენობა 1930 წელს დაახლოებით 15-ჯერ გაიზარდა, გახდა 15065, ხვედრითი წონა კი 10,2 პროცენტამდე[2].

საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობა წარმოადგენდა საკოლმეურნეო მოძრაობის უფრო ჩქარი ტემპით გაშლისა და განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებას. როგორც ცნობილია, მარცვლეული კულტურების რაიონში უფრო ადვილად ვითარდებოდა საკოლმეურნეო მოძრაობა, ვიდრე მრავალწლიან ძვირფას და ტექნიკური კულტურების რაიონში. ამითაც იყო განპირობებული საქართველოსა და ამიერკავკასიის მიკუთვნება კოლექტივიზაციის მესამე ზონისადმი, სადაც სხვებზე გვიან იყო ნავარაუდევი მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრება.

საქართველოშიც საკოლმეურნეო მოძრაობა უფრო ინტენსიურად მარცვლეულის რაიონებში გაიშალა. ყველაზე მეტი რაოდენობის კოლმეურნეობანი ამ რაიონებში ჩამოყალიბდა. ამიტომაც საქართველოს კოლმეურნეობათა საწარმოო პროფილიც ძირითადად მარცვლეულობის მეურნეობამ განსაზღვრა. საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) 1930 წელს მარცვლეულის მეურნეობათა საწარმოო განხრით იყო კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის 60,2 პროცენტი, მეთამბაქოეობის — 8,4, მებამბეობის — 1,4, მევენახეობის—6,2, მებაღეობის — 2,9, მებოსტნეობის — 0,9, ჩაის — 17,2, მესაქონლეობის — 1,9 და შერეული — 0,9 პროცენტი[3]. 1930 წელს საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა მარცვლეულით დაკავებული მიწის ფართობი 90,8 ჰექტარის რაოდე-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 226.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 227.

ნობით, ვენახით — 3,2 ჰექტარის და ჩაით — 3,1 ჰექტარის რაოდენობით [1].

საქართველოს კოლმეურნეობებში კოლოსალურად გაიზარდა განსაზოგადოებული საქონლის რაოდენობა. 1930 წელს თუ კოლმეურნეობათა რაოდენობა 1929 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, მათში განსაზოგადოებული საქონლის რაოდენობა სულ ცოტა ხუთჯერ მაინც გადიდდა. 1929 წელს კოლმეურნეობებში განსაზოგადოებულ მუშა ცხენის რაოდენობა უდრიდა 535, 1930 წელს კი 2568, მუშა ხარისა და კამეჩის რაოდენობა 1924 სულიდან გაიზარდა 86371 სულამდე. სულ ცოცხალი გამწევი ძალა (ცხენის ძალაზე გადაყვანით) გაიზარდა 1497-დან 45753-მდე, ძროხისა და ფურ-კამეჩის რაოდენობა — 798 სულიდან 7380 სულამდე. ასევე გაიზარდა წვრილფეხა საქონლის რაოდენობაც [2].

განსაზოგადოებული საქონლის რაოდენობის ასეთი ზრდა გამოიწვია კოლმეურნეობებში საშუალო გლეხობის შესვლამ. 1930 წლამდე კოლმეურნეობებში უმრავლესობას უსაქონლო ღარიბი და უღარიბესი გლეხობა წარმოადგენდა, ხოლო 1930 წლიდან საშუალო გლეხობის შესვლამ კოლმეურნეობებში გაზარდა განსაზოგადოებული საქონლის რაოდენობა. ამრიგად, კოლმეურნეობებისაკენ საშუალო გლეხობის ლტოლვის გაძლიერება სოციალიზმის არა მარტო დიდი პოლიტიკური წარმატება იყო, არამედ იგი ეკონომიურადაც განამტკიცებდა სოციალიზმის საძირკვლებს საბჭოთა სოფელში. სოფლის მეურნეობის შედარებით დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო გლეხობის საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებას და კულაკურ მეურნეობათა საწარმოო საშუალებების კონფისკაციას კოლმეურნეობათა სასარგებლოდ.

1929 წელს საქართველოში (აფხაზეთის გარეშე) საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (ცოცხალი და არაცოცხალი), სამეურნეო ნაგებობანი და სარეწაო დაწესებულებანი ფულადი გამოხატულებით 5169,3 მანეთად ღირებული. 1930 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა საწარმოო საშუალებებით. მათი ღირებულება უკვე შეადგენდა 8598,2 მანეთს და ზრდა აღწევდა 60,7 პროცენტს, 1929 წელს კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული იყო 465 მუშა ცხენი, 1792 მუშა ხარ-კამეჩი და 744 ძროხა და ფურკამეჩი, ხოლო 1930 წელს მუშა ცხენი — 2560, მუშა ხარ-კამეჩი — 86963 და 7 380 ძროხა და ფურკამეჩი.

გამწევი ძალა ერთეულ კოლმეურნეობაში ცხენის ძალაზე გადაყვა-

---

1 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 228.

2 1930 წლის ცნობებში აფხაზეთი არ შედის.

ნით 1928 წელს უდრიდა 2,9, 1929 წელს — 3,5, 1930 წელს — 23,8 ცხენის ძალას. იგივე 100 ჰექტარზე შეადგენდა 1928 წელს — 32,0, 1929 წელს — 25,4 და 1930 წელს კი 39,7 ცხენის ძალას. ამ მონაცემების საფუძველზე მაშინდელი ეკონომიური პრესა „თამამად აცხადებდა", რომ „კოლმეურნეობები მუშა საქონლის გამწევი ძალით თითქმის სავსებით უზრუნველყოფილნი არიანო"[1].

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ზოგიერთ მონაცემს სოფლის მეურნეობაში საერთოდ, კოლმეურნეობებში განსაკუთრებით, სახელმწიფოს მიერ 1930 — 31 წელს შეტანილ საწარმოო საშუალებათა ოდენობას.

1930 — 31 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში შეტანილი იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები სულ 7690,6 ათას მანეთად ღირებული, აქედან კოლმეურნეობებში — 50,3 პროცენტი; საჯიშე მასალა — 394,5 ათას მანეთად ღირებული, აქედან კოლმეურნეობებში — 53,9 პროცენტი; სანერგე და სათესლე მასალა 550,0 ათას მანეთად ღირებული, მათ შორის კოლმეურნეობებში — 50,5 პროცენტი; სასუქი 526,9 ათას მანეთად ღირებული, აქედან კოლმეურნეობებში — 60,0 პროცენტი[2]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროს საქართველოს გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ ერთი მესამედია გაერთიანებული კოლმეურნეობებში, მაშინ ნათელი გახდება რა გაძლიერებულად ეხმარებოდა სახელმწიფო კოლმეურნეობებს, თუ მთელი სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილ საწარმოო საშუალებათა 50 პროცენტზე მეტი კოლმეურნეობებს ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, სათანადო დონეზე არ იდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის, კერძოდ, კოლმეურნეობათა წარმოების მექანიზაცია. 1930 წელს კოლმეურნეობათა მუშა საქონლის გამწევი ძალა (ცხენის ძალაზე გადაყვანით) უდრიდა 46041,5, ყველა ტრაქტორის გამწევი ძალა — 2234, მთელი გამწევი ძალა — 48275,5 ცხენის ძალას[3]. ამრიგად, მექანიკური გამწევი ძალა კოლმეურნეობებში 4,6 პროცენტამდე აღწევდა. ეს კი მაშინდელი ეკონომიური ლიტერატურის მიხედვით, საკმარისად ითვლებოდა სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის კონსტანტაციისათვის[4].

ამრიგად, საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებათა გამოსწორებამ, ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის მტკიცედ დამკვიდრებამ, კოლმეურნეობათა საწარმოო საშუალებებით

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1930, № 8 — 9, გვ. 42 — 44.
[2] იქვე, გვ. 51.
[3] იქვე, გვ. 45.
[4] იქვე, გვ. 34; 1931, № 2, გვ. 77.

გაძლიერებამ ხელი შეუწყო 1931 წლიდან ჯანსაღი საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობას, რის შედეგადაც გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებამ კოლმეურნეობებში 36,4 პროცენტამდე მიაღწია[1]. საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემომოყვანილი გრაფიკი[2].

1931 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში მიუხედავად საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისა, კვლავ საგრძნობი იყო რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებდათ არსებულ კოლმეურნეობებს. ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა მ. ტოროშელიძემ სრულიად საქართველოს კოლმეურნეობათა II ყრილობაზე, 1931 წლის მარტში[3]. ამ ნაკლოვანებათა შორის შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: 1. მუშა საქონლის განსაზოგადოების დაბალი პროცენტი (8,3); 2. მრავალწლიან ნარგავთა განსაზოგადოების დაბალი დონე (ვენახებისა 11,2 პროცენტი, ბაღებისა — 11,5 პროცენტი); 3. კოლმეურნეობებში განუყოფელი ფონდებისა და ცოცხალი გამწევი ძალისათვის სამეურნეო შენობების უკმარისობა; 4. საშუალო გლეხთა ჯერ კიდევ დაბალი ხვედრითი წონა კოლმეურნეობებში; 5. შრომის დაბალი ორგანიზაცია; 6. სანარდო მუშაობის სისტემის სუსტად დანერგვა; 7. მუშახელისა და საწარმოო საშუალებათა დაუნაწილებლობა ბრიგადებად; 8. შრომის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების მოუწესრიგებლობა შრომადღეების მიხედვით; 9. შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების (სოციალისტური შეჯიბრი, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, შემხვედრი გეგმები და სხვ.) სუსტად დანერგვა და ა. შ.[4].

ამრიგად, საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში, ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ბევრ სხვა რესპუბლიკასთან შედარებით, ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სწორედ ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, გეოგრაფიული პირობებისა და, აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომების გამო დაგვიანდა საქართველოში მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება[5]. იგი მეორე ხუთწლედის ამოცანად დარჩა.

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, პირ-

---

[1] «Народное хозяйство Грузинской ССР» (Стат. сборник), Тб., 1957, стр. 51.

[2] თ. ეღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, გვ. 147 — 148.

[3] საქართველოს კოლმეურნეობათა I ყრილობა ჩატარდა 1928 წლის თებერვალში.

[4] „სრულიად საქართველოს კოლმეურნეობათა მეორე ყრილობის დადგენილებანი", თბ., 1931, გვ. 7 — 8.

[5] «История СССР от древнейших времен до наших дней», т. IX, М., 1964, стр. 240.


სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია
საქართველოში 1929-1932 წწ.
%
60
50
40
30
20
1.VII.29
1.I.30
1.I.31
1.I.32
1.I.33
65.25
59.0
50.8
3425
3392
3415
3547
3556
3329
3306
3214
2387
2119
1974
1.VII.32
1.V.32
1.III.32
1.II.32
1.XII.31
1.VII.31
1.VI.31
1.V.31
1.II.31
23.XI.30
23.X.30
10.X.30
10.V.30
1.III.30
10.II.30
20.II.30
1.XI
1.X.29
36.1
29.6
37.5
38.5
31.2
37.4
36.9
32.3
20.6
19.5
19.6
16.6
17.1
2094
2854
2587
2395
4.7
6.3
2.5
3.1
2.2

ველი ხუთწლედის ბოლოსათვის საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე არსებულ სურათს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს მე-2 ცხრილი[1].

ცხრილი 2

კოლმეურნეობის რაოდენობა		კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა		კოლექტივიზაციის % %		კოლმეურნეობების სათესი ფართობი (ათას ჰექტ.)	
1928 წ.	1932 წ.	1928 წ.	1932 წ.	1928 წ.	1932 წ.	1928 წ.	1932 წ.
239	3.425	3.574	165.671	0,9%	36,10	2,1	24242

ბ. სოფლის მეურნეობა

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა გამოიწვია ქალაქური მოსახლეობის სწრაფი ზრდა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ხარჯზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე როგორც ნედლეულზე მზარდი მრეწველობისათვის, ისე სურსათზე ქალაქის გაზრდილი მოსახლეობის გამოსაკვებად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ასეთი გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალუძდა ჩვენს სოფლის მეურნეობას, რომელიც 1921 — 1925 წლების დაძაბული მუშაობის შემდეგ ძლივს აღმოჩნდა ომამდელ დონეზე. მისი საქონლიანობა კი ომამდელ დონესაც ვერ გაუთანასწორდა, რადგან რევოლუციის შემდეგ სოფლად გლეხურ მეურნეობათა დაწვრილერთეულების პროცესი კვლავ გრძელდებოდა. ასე მაგალითად, თუ 1921 წელს საქართველოში სულ 326 360 გლეხური კომლი იყო, 1929 წელს მისმა რიცხვმა უკვე 443,627 ერთეულს მიაღწია, ე. ი. გაიზარდა 33,6 პროცენტით, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა ამავე პერიოდში მხოლოდ 9,5 პროცენტით გადიდდა. ამის გამო, სოფლის მეურნეობის საქონლიანობა მცირდებოდა. მის შემცირებას ხელს უწყობდა ისიც, რომ გლეხი რევოლუციის შემდეგ საერთოდ უკეთ იკვებებოდა და ამიტომ მას კიდევ უფრო ნაკლები რჩებოდა გასაყიდი. მიუხედავად ამისა, მაინც შეიმჩნევა საქართველოს სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ერთგვარი ზრდა, მაგრამ უმნიშვნელოდ. საქართველოში სოფლის მეურნეობის საქონლიანობა 1928 — 29 წლისათვის შედარებით 1925 — 26

[1] „ამიერკავკასიის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები", 1934, გვ. 209.

წელთან, გაიზარდა 0,7 პროცენტით და შეადგინა 26,8 პროცენტი[1]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მემინდვრეობის დარგი (უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობა) ყველაზე დაბალი საქონლიანობით ხასიათდებოდა, იგი უდრიდა 2,4 პროცენტს, ტექნიკური კულტურების საქონლიანობა კი ყველაზე მაღალი იყო და შეადგენდა 95,7 პროცენტს. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მაინც მარცვლეულის მეურნეობა იყო. პური კი უფრო და უფრო ნაკლები იგზავნებოდა სოფლიდან ქალაქში. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა ქვეყნის მრეწველობა, როგორც ცნობილია, მსხვილი და ცენტრალიზებული იყო, სოფლის მეურნეობა კი — წვრილი და დაქუცმაცებული; მსხვილი მრეწველობა ემყარებოდა წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებას, გლეხური მეურნეობა კი — წარმოების საშუალებათა (გარდა მიწისა) კერძო საკუთრებას; სოციალისტური მრეწველობა გეგმიან საწყისს ექვემდებარებოდა, წვრილ სასაქონლო გლეხურ მეურნეობაზე კი ჯერ კიდევ გავლენას ახდენდა ბაზრის სტიქია; მსხვილი სოციალისტური მრეწველობა განუწყვეტლივ აღიჭურვებოდა ახალი ტექნიკით და ვითარდებოდა გაფართოებული კვლავწარმოების პრინციპით, წვრილი გლეხური მეურნეობა კი მოკლებული იყო თანამედროვე მანქანების გამოყენების საშუალებას და თავისი პრიმიტიული იარაღებით ვერ უზრუნველყოფდა ზოგჯერ მარტივ კვლავწარმოებასაც კი[2]. ეს უკანასკნელი დებულება ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს. თუ წვრილი გლეხური მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა მარტივ კვლავწარმოებასაც კი, ე. ი. მას ამოუწურია თავისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობა, მაშინ როგორ მოხდა ის, რომ წვრილი გლეხური მეურნეობები ბევრ ეროვნულ რესპუბლიკაში და, მათ შორის საქართველოშიც, მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების შემდეგაც არსებობდნენ და არა მარტო არსებობდნენ, არამედ კოლმეურნეობათა გვერდით ერთგვარად ვითარდებოდნენ კიდეც.

„მართალი არ არიან ის ამხანაგები, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომლებიც ამტკიცებენ, რომ წვრილმა გლეხურმა მეურნეობამ ამოწურა თავისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი და რომ, მაშასადამე, აღარ ღირს მისთვის დახმარების გაწევა. ეს სრულებით არ არის სწორი. განვითარების შესაძლებლობანი ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას ჯერ კიდევ ცოტა როდი აქვს“[3]. მიუხედავად ამისა, არ იცვლებოდა გლე-

---

[1] თ. ჟ ღ ე ნ ტ ი, საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მომზადების ისტორიიდან (ჟურნ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, 1963, № 2, გვ. 47).

[2] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია“, გვ. 510 — 511.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 198.

ხურ მეურნეობათა განვითარების ძირითადი კანონზომიერება და, ამიტომ, გადაუდებელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, რადგან „სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ჩვენში არ ამოიწურება, — როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, — მისი ტექნიკური ბაზის გარდაქმნით, არამედ, პირიქით, ამასთანავე მოითხოვს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას. აქ მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, სოფლის მეურნეობა. მრეწველობაში... ტექნიკურ რეკონსტრუქციას უკვე აქვს ძირითადად მზა სოციალურ-ეკონომიური ბაზა. რეკონსტრუქციის ამოცანა აქ ის არის, რომ გაძლიერდეს მრეწველობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნის პროცესი. მაგრამ ასე მარტივი როდია საქმის ვითარება სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქცია, რა თქმა უნდა, იმავე მიზნებს ისახავს. მაგრამ ჩვენში სოფლის მეურნეობის თავისებურება ის არის, რომ იქ ჯერ კიდევ ჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომ წვრილი მეურნეობა მოკლებულია შესაძლებლობას — აითვისოს ახალი ტექნიკა, რომ, ამის გამო, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის გარდაქმნა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, თუ ამავე დროს არ გარდაიქმნა ძველი სოციალურ-ეკონომიური წყობა, თუ არ მოხდა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანება მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, თუ სოფლის მეურნეობაში არ აღმოიფხვრა კაპიტალიზმის ფესვები“[1]. ამრიგად, სოფლად სოციალური, უფრო ზუსტად, სოციალისტური რეკონსტრუქცია რამდენიმედ წინ უსწრებდა ტექნიკურ რეკონსტრუქციას. ეს საბჭოთა სოფლის განვითარების საერთო კანონზომიერება იყო.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ნიშნავდა სოფლად უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობის ღონისძიების გატარებას, დიდ რევოლუციურ გარდაქმნას, რაც, როგორც დავინახეთ, დაკავშირებული აღმოჩნდა რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეთა დაძლევასთან. ეს პროცესი უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებზე. ცნობილია, რომ ერთპიროვნული ინდივიდუალური სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ახალ, საკოლმეურნეო რელსებზე გადაყვანის საორგანიზაციო პერიოდმა, რომელმაც ბევრი დრო და ხარჯები მოითხოვა, წინასწარ განსაზღვრა, როგორც სოფლის მეურნეობის აღმავლობის ტემპები, ისე პირუტყვის სულადობის განვითარებაში დაქვეითების შედარებით ხანგრძლივი პერიოდი.

სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო გაჩაღებული რეორგანიზაციის წლები იყო 1931 და 1932. ამ წლებში აღნიშნავენ სოფლის მეურ-

---

1 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 328 — 329.

ნეობის განვითარების დაბალ ტემპს, შედარებით მრეწველობის განვითარების ტემპთან, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარების ეს ტემპიც კი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მას ადგილი ჰქონდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის პირობებში. ამიტომ სწორი არ არის მტკიცება „კოლექტივიზაციის შემდეგ სოფლის მეურნეობის შენელებული ტემპით განვითარების შესახებ“ [1]. ეს დებულება ორ შენიშვნას მაინც იმსახურებს: ჯერ ერთი, საკ. კპ (ბ) XVII ყრილობაზე ლაპარაკი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალ ტემპზე არა საერთოდ, არამედ მრეწველობის განვითარების მხოლოდ მაღალ ტემპებთან შედარებით, მეორე, სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებით დაბალ ტემპებს ადგილი ჰქონდა კოლექტივიზაციის (საორგანიზაციო) პერიოდში და არა „კოლექტივიზაციის შემდეგ“.

საკ. კპ (ბ) XVII ყრილობაზე, როგორც ცნობილია, აღინიშნა კოლექტივიზაციის საორგანიზაციო პერიოდში ნათესი ფართობის განუხრელი ზრდა. ასე მაგალითად, 1929 წელს ნათესი ფართობი შეადგენდა 118,0 მილიონ ჰექტარს, 1930 წელს — 127 მილიონს, 1931 წელს — 136,3, 1932 წელს—134,4 და 1933 წელს—129,7 მილიონ ჰექტარს. ორ უკანასკნელ წელს ადგილი ჰქონდა ნათესი ფართობის ერთგვარ შემცირებას. ნათეს ფართობთა შესახებ მონაცემები, როგორც ცნობილია, არ შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის განვითარების სავსებით დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლად. ამიტომ საჭირო ფართობების მონაცემები შევავსოთ მონაცემებით საერთო პროდუქციის შესახებ. 1929 წელს მარცვლეულმა კულტურებმა მთელ საბჭოთა კავშირში მოგვცეს 717,4 მილიონი ცენტნერი მოსავალი, 1930 წელს — 835,4, 1931 წელს — 694,8, 1932 წელს — 698,7 და 1933 წელს 898,0 მილიონი ცენტნერი. როგორც ვხედავთ, მარცვლეულის მოსავლის ერთგვარ დაკლებას ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობათა საორგანიზაციო პერიოდში — 1931 და 1932 წლებში. მაგრამ ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ პირველი, 1933 წელი წარმოადგენს გარდატეხის წელს მარცვლეული (აგრეთვე ტექნიკური) კულტურების განვითარებაში. ეს ფაქტები არ მიუთითებენ სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალ ტემპებზე არა თუ კოლექტივიზაციის შემდეგ, არამედ თვით კოლექტივიზაციის საორგანიზაციო პერიოდშიც კი. პირიქით, ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ პირველი, 1933 წელი მიწათმოქმედების მძლავრი აღმავლობით აღინიშნა, თუმცა იგივე არ შეიძლება ითქვას მესაქონლეობის შესახებ. აქ ჯერ კიდევ კარგახანს გრძელდებოდა პირუტყვის სულადობის შემცირება, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, „მსხვილკულაკური ელემენტების უდიდესი სიმრავლით სოფლის მეურნე-

---

[1] «Советская историческая наука», стр. 473.

ობის მეცხოველეობის დარგებში და, მეორე მხრივ, გაძლიერებული კულაკური აგიტაციით პირუტყვის დაკვლისათვის, რასაც ხელსაყრელი ნიადაგი ჰქონდა რეორგანიზაციის წლებში".

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში. განსაზოგადოებულ სექტორში ნათესი ფართობი 1929 წელს შეადგენდა მთელი ნათესი ფართობის 1,6 პროცენტს, 1930 წელს — 16,9 პროცენტს[1], 1931 წელს — 26,8, 1932 წელს — 28,5, 1933 წელს — 29,7 და 1934 წელს — 31,8 პროცენტს[2]. როგორც ვხედავთ, განსაზოგადოებულ სექტორში ნათესი ფართობი განუხრელად იზრდება. თუ ნათესი ფართობების ცნობებს შევავსებთ მოსავლიანობის ან საერთო მოსავლის ცნობებით და 1931 წელს აღვნიშნავთ 100-ით, მაშინ ნათელი გახდება, რომ ერთი კოლმეურნის შემოსავალი 1934 წელს გაზრდილა 227,5 პროცენტით, ხოლო ერთ შრომადღეზე შემოსავალი — 175 პროცენტით[3]. ე. ი. განსაზოგადოებულ სექტორში ნათესი ფართობიც და შემოსავალიც გაზრდილა, როგორც კოლექტივიზაციის საორგანიზაციო პერიოდში, ისე მის შემდეგაც.

ახლა ვნახოთ მთელი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა საერთო პროდუქციის მიხედვით. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია (ან საერთო შემოსავალი) 1929 წლიდან, სოფლის მეურნეობის სარეორგანიზაციო პერიოდში მკვეთრად ეცემა, მაგრამ სარეორგანიზაციო პერიოდის დამთავრებისთანავე დაიწყო სოფლის მეურნეობაში საერთო შემოსავლის ზრდა. ასე მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება (1926 — 27 წლის უცვლელი ფასებით) 1931 წელს შეადგენდა 180 136 ათას მანეთს, 1932 წელს — 158 432 ათას მან., 1933 წელს — 177 799 ათას მან. და 1934 წელს კი 193 321 ათას მანეთს[4]. საქართველოშიც, როგორც ჩანს, სარეორგანიზაციო პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთგვარი შეფერხების მიუხედავად[5], უშუალო მომდევნო წლებში, ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის აღმავლობას როგორც განსაზოგადოებულ სექტორში, ისე მთლიანად.

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 170 — 171.

[2] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов» (1931—1934 гг.).

[3] იქვე, გვ. 71.

[4] იქვე, გვ. 65: შდრ. „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 188.

[5] იგი გამოწვეული იყო იმითაც, რომ მთლიან კოლექტივიზაციას ატარებდნენ ტექნიკური კულტურებისა და მესაქონლეობის რაიონებშიც, სადაც ჭარბად იყო მსხვილი კულაკური მეურნეობანი, სოფლად პარტიის ხაზის დამახინჯების შედეგად საშუალო გლეხობის ერთი ნაწილის განკულაკებასაც ახდენდნენ, რასაც არ შეეძლო არ დაეცა სოფლის მეურნეობის საერთო მოსავლიანობა.

უკვე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდებოდა მრეწველობასთან შედარებით სარეორგანიზაციო პერიოდის დამთავრების შემდეგ, მაგრამ უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სიჭარბის პერიოდში. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც.

საქართველოს მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების ზრდის დინამიკა პროცენტობით შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1926 წელს წინა წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის საერთო მოსავლის ღირებულების ზრდა უდრის 6,7 პროცენტს; 1927 წელს, წინა წელთან შედარებით, გვაქვს დაკლება 10,6 პროცენტით; 1928 წელს, წინა წელთან შედარებით, საერთო პროდუქციის ღირებულების ზრდა უდრის 7,55 პროცენტს, ხოლო 1929 წელს, წინა წელთან შედარებით, ისევ დაკლება გვაქვს — იგი უდრის 3,6 პროცენტს [1]. ამას შევადაროთ სურათი, რომელსაც გვაძლევს საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულების ზრდა სარეორგანიზაციო პერიოდის დამთავრების შემდეგ: 1933 წელს წინა წელთან შედარებით ზრდა უდრიდა 12,2 პროცენტს, ხოლო 1934 წელს—8,6 პროცენტს. აქ აშკარაა სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპი, კოლექტივიზაციამდელ ტემპებთან შედარებით. მოვიტანოთ სხვა მონაცემებიც. კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი თუ 1932 წელს შეადგენდა 73,6 მილიონ მანეთს, 1937 წელს შეადგინა 365,5 მილიონი მანეთი. როგორც აქედან ჩანს, შემოსავალი გაიზარდა ერთ მეურნეზე (შესაბამისად) 524 მანეთიდან 1004 მანეთამდე, ხოლო შრომადღის ღირებულება 0,9 მანეთიდან 2,2 მანეთამდე. კოლმეურნეობათა მთელი შემოსავალი კი 46,0 მილიონი მანეთიდან 315,0 მლნ მანეთამდე [2]. ამრიგად, „კოლმეურნეობათა წიაღში გლეხური იარაღების უბრალო შეერთებამ... ისეთი ეფექტი მოგვცა, რომელზედაც არც კი ოცნებობდნენ ჩვენი პრაქტიკოსები“ [3], და რომელიც დღესაც არ სჯერათ „სწავლულ თეორეტიკოსებს“.

1927 წლისათვის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა მრეწველობისაგან იყო არა მარტო სოციალური ხასიათის, არამედ მას ტექნიკურ-ეკონომიური ხასიათიც ჰქონდა. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. აღდგენით პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალი უდრიდა 15,5 მილიონ მანეთს, რაც ძლივს ჰყოფნიდა სოფლის შეურნეობის აღდგენას, მის ტექნიკურ აღჭურვილობაში რაიმე არსებითი გაუმჯობესების შეტანა აღნიშნული თანხით, მოსალოდნელი არც იყო. რაც

[1] აბსოლუტური მონაცემები აღებულია კრებულიდან „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 188.

[2] «Грузинская ССР за 20 лет», Тб., 1941, стр. 48 — 50.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 169.

შეეხება მრეწველობას, მასში კაპიტალდაბანდება 3,6-ჯერ მეტი იყო, იგი უდრიდა 55,0 მლნ მანეთს. ასეთი კაპიტალდაბანდება შესაძლებელს ხდიდა მრეწველობის არა მარტო ომამდელი დონის აღდგენას, არამედ მის შემდგომ განვითარებასაც, მრეწველობის ახალი დარგებისათვის საფუძვლის ჩაყრას, რიგი დარგების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ფონდების შექმნას. აი, სად უნდა ვეძიოთ საქართველოში სოფლის მეურნეობის მრეწველობისაგან ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენის მიზეზები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ითვალისწინებდა მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის არა მარტო სოციალური, არამედ ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. პირველი ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 217,0 მილიონი მანეთი, მრეწველობაში კი 305,5 მილიონი მანეთი [1]. სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდების დიდი მოცულობა ნაკარნახევი იყო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანებით — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არა მარტო სოციალური, არამედ ტექნიკურ-ეკონომიური დისპროპორციის ლიკვიდაციით.

მარცვლეული კულტურების მეურნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგი იყო. მარცვლეული კულტურებით დაკავებული ფართობი საქართველოში თითქმის ყოველდღიურად იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მთელი ნათესი ფართობი. იგი 1928 წელს შეადგენდა 788 000 ჰექტარს, 1932 წელს კი 851 850 ჰექტარამდე მიაღწია. მიუხედავად ნათესი ფართობის ზრდისა, მარცვლეული კულტურებით ნათესი ფართობი შემცირდა, იგი 1928 წელს უდრიდა 744 900 ჰექტარს, 1932 წელს კი შეადგინა 729 320 ჰექტარი. ეს ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ჯერ ერთი, სარეორგანიზაციო პერიოდის სიძნელეებითა და მეორე, ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავი კულტურების ფართოდ განვითარებით [2]. ტექნიკურ კულტურებს 1928 წელს თუ ეკავათ 23 800 ჰექტარი, 1932 წელს დაიკავეს 61 200 ჰექტარი ფართობი[3]; 1928 წელს ბაღებს (მათ შორის ციტრუსებს) ეკავა 17 400 ჰექტარი, ვენახებს — 35 380 და ჩაის — 4010 ჰექტარი; 1929 წელს ბაღებს (მათ შორის ციტრუსებს) ეკავა 17 900 ჰექ-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 660.

[2] ბ. ხასია, საქართველოს სსრ მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1954, გვ. 29 — 30.

[3] «Итоги выполнения первого пятилетного плана развития народного хозяйства ЗСФСР», Тб., стр. 206.

ტარი, ვენახებს — 35 100, ჩაის — 7830 ჰექტარი; 1930 წელს (წინასწარი ცნობებით) ბაღებს (და მათ შორის ციტრუსებსაც) ეკავა 18 500 ჰექტარი; ვენახებს — 35 100, ჩაის — 14 484 ჰექტარი [1]. სწორედ ამათ დაეთმოთ ადრე მარცვლეულით დაკავებული სათესი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ ტექნიკურ კულტურათა განვითარებას. ამას მოითხოვდა ჭარბი აგრარული მოსახლეობისა და მზარდი მრეწველობის ინტერესები.

1930 წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად იზრდება ტექნიკური კულტურებითა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები. მრავალწლიანმა ნარგავებმა, რომელთაც 1931 წელს ეკავათ 79000 ჰექტარი, 1934 წლისათვის დაიკავეს 100 ათასამდე ჰექტარი ფართობი. განსაკუთრებით გაიზარდა ჩაით დაკავებული ფართობი.

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარება მიზნად ისახავდა სსრ კავშირის მოთხოვნილების უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების ჩაით. ამიტომ ჩაის კულტურის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. 1932 წელს ჩაის კულტურას ეკავა 32 133 ჰექტარი ფართობი. თანდათან იზრდებოდა ჩაის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. 1932 წელს 1 ჰექტარიდან იღებდნენ საშუალოდ 701 კილოგრამ ჩაის, 1933 წელს — 803 და 1934 წელს — 1093 კილოგრამს. ჩაის საერთო მოსავალი 1931 წელს შეადგენდა დაახლოებით 1 400 ათას კილოგრამს, 1932 წელს—1.600 ათასზე მეტს, 1933 წელს კი 3 200 ათასამდე კილოგრამს[2]. ჩაის ამ მწვანე მასის გადამუშავებას აწარმოებდა 1931 წელს—11, 1932 წელს — 14 და 1933 წელს — 15 ჩაის ფაბრიკა. ასეთი დიდი წარმოება დიდ კაპიტალდაბანდებასაც მოითხოვდა. 1931 წელს ტრესტ „საქართველოს ჩაიმ" დააბანდა 13 851 ათასი მანეთი, 1932 წელს კი — 21 964 ათასი მანეთი [3].

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი კულტურაა ვაზი. მევენახეობას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო მას საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მევენახეობა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველაზე უფრო შრომატევადი დარგია, იგი ყველაზე მეტ მუშახელს საჭიროებს, ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჭარბი აგრარული

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 168 — 169.

[2] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 75 — 76. ამ წყაროდან მოტანილი რიცხვები ყველგან დამრგვალებულია: 500-მდე აკლდება, 500-ზე ზევით ემატება.

[3] იქვე, გვ. 79.

მოსახლეობის დასაქმებისათვის. ამის გამო მევენახეობის განვითარების ღონისძიებანი იმავე დროს ჰარბი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის დასაქმების ღონისძიებაც იყო.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ყველაზე უფრო გაჩაღებულ წლებში (1931 — 1932 წწ.), ისე როგორც მეურნეობის სხვა დარგების, მევენახეობის განვითარებამაც განიცადა ერთგვარი შეფერხება, თუმცა უმნიშვნელო. 1929 წლიდან 1931 წლამდე ვენახების ფართობი 4200 ჰექტარით გაიზარდა[1], 1932 წელს კი შემცირდა უმნიშვნელოდ — 116 ჰექტარით. სარეორგანიზაციო პერიოდის დამთავრების შემდეგ მომდევნო 1933 წელს ვენახების ფართობი 400-ზე მეტი ჰექტარით გაიზარდა და შეადგინა 39591 ჰექტარი, იგი ჯერ კიდევ 10 ათასამდე ჰექტარით ჩამორჩებოდა ომამდელ დონეს[2].

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პერიოდში ადგილი ჰქონდა მევენახეობის საერთო მოსავლის მცირე, მაგრამ მაინც ზრდას. 1931 წელს მევენახეობის პროდუქციამ შეადგინა 147 ათასი ტონა, 1932 წელს — 154 ათასი, 1933 წელს — 156 ათასი და 1934 წელს — 157 ათასი ტონა[3].

ომამდე, 1913 წელს თამბაქოს კულტურას 10,5 ათასამდე ჰექტარი ფართობი ეჭირა. მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში თამბაქოს მეურნეობა მთლიანად დაეცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა მისი აღდგენა და განვითარება. 1928 წლის 13 ათასი ჰექტარიდან 1931 წლისათვის თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობი გაიზარდა 25 ათას ჰექტარამდე. სარეორგანიზაციო პერიოდში დაიწყო თამბაქოთი დაკავებული ფართობის შემცირება, იგი 1934 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ საერთო მოსავლიანობამ მნიშვნელოვნად იმატა, 1932 წლის 122 ათასი ცენტნერიდან თამბაქოს მოსავალი 1933 წლისათვის 134 ათას ცენტნერამდე გაიზარდა[4].

სარეორგანიზაციო წლებში ადგილი ჰქონდა მებაღეობის განვითარებას. 1931 წელს ბაღებს ეკავათ 18 ათასი ჰექტარი, 1932 წელს — 21 ათასი, 1933 წელს — 22 ათასი და 1934 წელს — 23 ათასი ჰექტარი. ამავე წლებში მებაღეობის საერთო პროდუქციაც, მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება, 1931 წლის 13 ათასიდან — 1934 წელს 15 ათას ტონამდე[5].

---

1 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 168.

2 «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 79.

3 იქვე, გვ. 82.

4 იქვე, გვ. 86.

5 იქვე.

სარეორგანიზაციო წლებში ადგილი ჰქონდა აგრეთვე მებაღეობა-მებოსტნეობისა და ციტრუსების მეურნეობის განვითარებას [1].

ძირითადად, ასეთი სახით წარმოგვიდგება საქართველოში კვების მრეწველობის, როგორც ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგის, სანედლეულო ბაზის მდგომარეობა საქართველოში.

სარეორგანიზაციო პერიოდი უფრო მტკივნეულად გადაიტანა სოფლის მეურნეობის ისეთმა დარგმა, როგორიცაა მესაქონლეობა. საქონლის სულადობის შემცირება დაიწყო 1930 წლიდან: 1930 წლის 1-ლი ივლისიდან 1931 წლის 1-ლ ივლისამდე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობა შემცირდა 10,7 პროცენტით, კამეჩებისა — 24,6, ცხვრისა — 33,5, თხისა — 31,1 და ღორებისა — 44,3 პროცენტით. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ცხენები, მათი სულადობა აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა 106 ათასიდან 150 ათასამდე [2]. საქონლის სულადობის შემცირებას უფრო მეტად ჰქონდა ადგილი მესაქონლეობის რაიონებში, სადაც საქონლის დიდი რაოდენობა ჰყავდათ კულაკებსა და შეძლებულ გლეხებს [3]. საქონლის სულადობის შემცირების პროპორციულად შემცირდა მესაქონლეობის პროდუქციაც [4].

საირიგაციო-სამელიორაციო სამუშაოების მართებულ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე დაისვა საკითხი მორწყვის საქმის გაუმჯობესების შესახებ საქართველოში. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის დირექტივებმა კავკასიის კომუნისტებისადმი. საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მაშინვე შეუდგნენ ჩვენში სარწყავი არხების მშენებლობას; გლეხობის შრომითი მონაწილეობის შედეგად სერიოზული წარმატებაც მოიპოვეს. 1925 — 1927 წლებში მოირწყა 35 ათასამდე, ხოლო ამოაშრეს — ათასამდე ჰექტარი მიწა. 1928 — 1930 წლებში კი უფრო მეტი, მოირწყა 49 ათასზე მეტი და ამოაშრეს 3200 ჰექტარი მიწა [5].

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა სამელიორაციო-საირიგაციო სამუშაოები საქართველოში. წყალთა მეურნეობაში თუ 1927 — 28 წლიდან 1929 — 30 წლამდე სულ დაბანდებული იყო 10,3 მილიონი მანეთი (საშუალოდ ერთ წელზე — 3,4 მლნ მან.), 1931 წლიდან 1934 წლამდე ჩათვლით დააბან-

---

[1] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 82.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 89.

[4] იქვე, გვ. 93 — 94.

[5] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 378.

დეს 52,6 მილიონი მანეთი (საშუალოდ ერთ წელზე — 13,2 მილიონი მანეთი). ასეთ დიდ კაპიტალდაბანდებათა შედეგად მელიორირებული მიწის ფართობი 1931 წლიდან 95 ათასი ჰექტარიდან 1934 წლისათვის 230 ათას ჰექტარამდე გაიზარდა [1].

ამ პერიოდში წყალთა მეურნეობის მთავარი ობიექტი იყო კოლხეთის დაბლობი, 209 ათასი ჰექტარი ფართობით. კოლხეთისა და ქობულეთის ჭაობების ამოშრობისათვის პირვანდელი საპროექტო ღირებულება უდრიდა 230 მილიონ მანეთს. კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები დაიწყო 1929 წელს და 1934 წლის 1 იანვრამდე დაიხარჯა 16 მილიონი მანეთი, ხოლო 1934 წელს — 15,4 მილიონი მანეთი. 1932 წლიდან 1934 წლამდე ჩათვლით კოლხეთში დააშრეს 14,3 ათასი ჰექტარი, საიდანაც 9,3 ათასი ჰექტარი მაშინვე აითვისეს [2].

დამთავრდა ტირიფონის არხისა და მისი სარწყავი ქსელის მშენებლობა, რომელიც 30 ათას ჰექტარს რწყავდა. ამავე პერიოდში ჩატარდა ყარაიაზისა და ბორჩალოს სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქცია. შენდებოდა მაშველისა და საბჭოთა არხების შემაერთებელი არხი და სხვ.

ასეთია მოკლედ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა მისი ძირითადი მაპროფილებელი დარგების მიხედვით კოლექტივიზაციის საორგანიზაციო პერიოდში. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის მხოლოდ მესაქონლეობის დარგმა განიცადა დაღმავლობა, სხვა დარგები მძლავრ აღმავლობას მართალია არ განიცდიდნენ, მაგრამ მაინც ვითარდებოდნენ უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე კოლექტივიზაციის დაწყებამდე.

6. მრეწველობა და ტრანსპორტი

საქართველოში მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება, მისი რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის მტკიცედ გატარების საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს საქართველოს სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა უდრიდა 26,2 პროცენტს, ხოლო 1927 — 28 წელს მან სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ჯერ კიდევ პირველ წარმატებათა შედეგად 33,7 პროცენტს მიაღწია [3]. ამასთან, აღსანიშნავია მრეწველობის სოციალური სტრუქტურის შეცვლაც. ასე მაგალითად, საქართველოს მთელი მრეწველობის 1925 — 26 წლის პროდუქციაში სახელმწი-

---

1 «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 94—95.

2 იქვე, გვ. 95.

3 «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 289.

ფო და კოოპერატიული მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 86,3 პროცენტიდან 1927 — 28 წლისათვის გაიზარდა 95,6 პროცენტამდე, ხოლო იმავე პერიოდში შემცირდა კერძოკაპიტალისტური მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 13,2 პროცენტამდე. ამრიგად, საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მრეწველობამ ძალიან მალე მიიღო მკვეთრად გამოხატული სოციალისტური ხასიათი.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას რიგი დაბრკოლება ახლდა, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტია, საკავშირო მთავრობის დახმარებით, წარმატებით სძლევდა.

საქართველოს მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა საერთოდ მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და თვით კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. ჯერ კიდევ 1927 — 28 წელსაც რესპუბლიკის მრეწველობა მძიმე მდგომარეობას განიცდიდა იმის გამო, რომ მას არ გააჩნდა კვალიფიციური კადრები, რომელთაც შეძლებოდათ გამომუშავების ახალი ნორმების დადგენა და გამომუშავების შეფასება. ამის გარეშე შეუძლებელი იყო შრომისნაყოფიერების ზრდისა და ხელფასის მოძრაობის რეგულირება. ამაში უნდა ვეძიოთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მრეწველობაში შრომისნაყოფიერება 1927 — 28 წელს შემცირდა წინა წელთან შედარებით 2,8 პროცენტით, მაშინ როდესაც ხელფასი გაიზარდა 6,2 პროცენტით[1]. ასეთი პროცენტული შეფარდება შრომისნაყოფიერებასა და ხელფასის ზრდას შორის, მრეწველობას არაფერს სასიკეთოს არ უქადდა. ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს სასწრაფო ზომები, რათა ჩვენს მრეწველობას დროზე აეთვისებინა საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა უკრაინის გამოცდილება გამომუშავების დანორმვისა და შეფასების საქმეში. ამ მიზნით მოსკოვიდან მოიწვიეს სპეციალისტები, გახსნეს კურსები ტექნიკური ნორმირების მუშაკთა მოსამზადებლად და მალე საქართველოს მრეწველობამ ტექნიკური ნორმირებისა და შეფასებისათვის მიიღო მაღალი კვალიფიკაციის 10 ინჟინერი, 36 ნორმადარი და 71 ქრონომეტრაჟისტი, სულ 117 მუშაკი[2]. გარდა ამისა, მრეწველობისათვის იმავე 1927 — 28 წელს მომზადდა 134 მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი და ტექნიკოსი, 1929 წელს — 220, 1930 წელს — 300 და ინტელექტუალური დარგის სხვა მუშაკი 480 კაცის რაოდენობით[3]. ამავე პერიოდში, მიუხე-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 193—194.

[2] კურსების გახსნამდე კი მუშაობდა 1 ინჟინერი, 2 ნორმადარი და 3 ქრონომეტრაჟისტი.

[3] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 195—243.

დავად არსებული უმუშევრობისა, მრეწველობა განიცდიდა კვალიფიციური მუშახელის მწვავე ნაკლებობას. ამიტომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი ორგანოები სისტემატურად ზრუნავდნენ კვალიფიციური მუშახელის მოსამზადებლად. ასე მაგალითად, 1928 — 29 წელს მომზადდა კვალიფიციური მუშახელი მრეწველობისათვის 920 კაცის რაოდენობით, მომდევნო 1929 — 30 წელს მომზადდა 1980 მშენებელი, 1553 ინდუსტრიულ საწარმოთა, 440 ტრანსპორტისა და 736 სხვადასხვა სამრეწველო დარგის მუშა [1].

მრეწველობის შემდგომ განვითარებასა და მუშათა კლასის შრომის პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღესა და უწყვეტ საწარმოო კვირაზე. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 19 იანვრის დადგენილებით შეიქმნა ამიერკავკასიის მთავრობის კომისია 7-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლის პრაქტიკულად განხორციელებისათვის. კომისიამ წინადადება მისცა შესაბამის რესპუბლიკურ კომისიებს შესდგომოდნენ იმ წარმოებათა სიების შედგენას, რომელთა გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღეზე შესაძლებელი იქნებოდა. ასეთ საწარმოთა სიის შედგენისას ითვალისწინებდნენ: ა) წარმოების რაციონალიზაციის დონეს, ბ) წარმოების ნედლი მასალითა და გასაღების ბაზრით უზრუნველყოფის დონეს, გ) თვითღირებულების აუცილებელი შემცირების შესაძლებლობას, დ) ხელფასის გადიდებისა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ხარისხს და სხვ. [2].

ამიერკავკასიის მთავრობის კომისიამ 1928 — 29 წელს 7-საათიან სამუშაო დღეზე გადასაყვანად საქართველოდან წარადგინა 11 საწარმო, ორი ათასამდე მუშით (7,8 პროც.), რაც დამტკიცებულ იქნა. პირველ სამ კვარტალში მათი უმეტესობა გადაიყვანეს 7-საათიან სამუშაო დღეზე. მომდევნო 1929 — 30 წლისათვის გათვალისწინებული იყო მუშათა 20 პროცენტის გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღეზე და, ამის შესაბამისად, შეუდგნენ კიდეც სათანადო საწარმოთა სიების შედგენას [3]. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1929 წლის 28 აგვისტოს დაამტკიცა 7-საათიან სამუშაო დღეზე გადასაყვან საწარმოთა საორიენტაციო სია. მათ შორის, გათვალისწინებული იყო სამთამადნო დარგის რვა საწარმო, საშენ მასალათა წარმოების ხაზით — ათი საწარმო, სამშენებლო დარგის — 21

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 195—243.

[2] «Обзор деятельности правительства ЗСФСР (1927 — 1929 гг.)», Тиф., 1929, стр. 292.

[3] იქვე, გვ. 106 — 293.

საწარმო, საფეიქრო წარმოების — შვიდი საწარმო და სხვ. სულ 16 დარგის 110 საწარმო [1].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 24 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1929 წლის 9 ოქტომბერს დაამტკიცა კომისიის გადაწყვეტილება საქართველოში წარმოება-დაწესებულებების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის შესახებ 1929 — 30 წელს [2]. იმავე წლის 17 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა საკითხი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს გადასვლა ხდება მეტად ნელი ტემპით, რის გამოც განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასულან მხოლოდ სამშენებლო წარმოების ცალკეული დარგები, სახელმწიფო დაწესებულებანი და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი. ამის გამო, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებდა პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ფართოდ გაეშალათ მუშაობა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ სადირექტივო წერილის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლას [3].

საქართველოს მრეწველობისადმი ხელმძღვანელობაში, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისა, მაინც შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები. ასე მაგალითად, 1929 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი საკითხი სამეურნეო ანგარიშსა და ერთმმართველობაზე საწარმოთა გადაყვანის შესახებ. მხოლოდ 1929 წლის 1-ლი აპრილიდან მიიღო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტი ღონისძიებანი საწარმოთა გადასაყვანად სამეურნეო ანგარიშზე. მაგრამ ერთმმართველობის პრინციპი, მიუხედავად საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 5 სექტემბრის დადგენილებისა, საწარმოებმა დიდხანს ვერ შეითვისეს; საწარმოთა ხელმძღვანელები, პერსონალური პასუხისმგებლობის შიშით, კვლავ კოლეგიური პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები კვლავ უხეშად ერეოდნენ ადმინისტრაციის ფუნქციებში, რაც იწვევდა გაუპიროვნებას, საწარმოთა რიტმული მუშაობის შეფერხებას, წუნსა და მოშვებულობას [4]. ნაწილობრივ ამანაც განაპირობა 1928 — 29 და 1929 — 30 წლებში საქართველოს მრეწველობის ჩამორჩენა საწარმოო გეგმების შესრულებაში. ამ წლებში საწარმოო გეგმების შესრულების მაქსიმუმს წარმოად-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 3160, ფურც. 89 — 91.

2 იქვე, ფურც. 99.

3 იქვე, საქ. 3164, ფურც. 89. იქვე, საქ. 3160, ფურც. 92.

4 «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 195.

გენდა 97,5 პროცენტი [1]. მაგრამ ამის მიუხედავად, საერთო პროდუქციის მოცულობა აღნიშნულ წლებში მაინც გაიზარდა 74,3 მილიონი მანეთიდან 159,5 მილიონ მანეთამდე [2].

პირველი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს აღნიშნული ჩამორჩენის გამოსწორებისა და ახალი წარმატებების მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 3 სექტემბრის მიმართვას „მუშათა მასების შრომითი აღმავლობის შესახებ". ამ დოკუმენტს ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასიც; უჩვეულოდ გაიზარდა მუშათა მასების ახალი შრომითი აღმავლობა. ასე მაგალითად, მანგანუმის წარმოებაში სექტემბრის პირველი ხუთდღიურის პროდუქციას 45 ათასი ფუთით გადააჭარბა მეორე ხუთდღიურის პროდუქციამ. იმავე ხუთდღიერში 95 ათასი ფუთით მეტი მადანი გაირეცხა. ფეხსაცმელების ფაბრიკამ სექტემბერში ერთი ათასამდე წყვილით მეტი ფეხსაცმელი გამოუშვა, ვიდრე აგვისტოში, ტყავის ქარხანამ სექტემბრის ერთ დეკადაში ათასამდე მეტი ტყავი გამოუშვა, ვიდრე წინა თვის ერთ დეკადაში [3].

მუშათა მასების შრომითი აღმავლობისა და, მაშასადამე, სამრეწველო წარმოების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირში გამოცხადებულ კონკურსს „საუკეთესო საწარმოს" სახელისათვის. ამ კონკურსში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა. მათ შორის, თბილისის 26 კომისრების სახელობის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკამ, თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკამ, ტყიბულის ქვანახშირის მაღარომ, რგანის მანგანუმის მადნის მაღარომ, თბილისის ტრამვაიმ, თბილისის სამკერვალო ფაბრიკებმა და სხვ. [4].

1928 — 29 წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში (მანგანუმის მადნის გარეშე) პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა მხოლოდ 6,9 პროცენტით, მაშინ როდესაც საკავშირო ორგანოების გეგმით პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ნავარაუდევი იყო 7 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით — 8 პროცენტით. ეს გარემოება ნაწილობრივ განაპირობა ნედლეულზე და დამხმარე მასალებზე ფასების აწევამ. 1929 — 30 წლის პროდუქციის თვითღირებულება ცენზიან მრეწველობაში წინა წელთან შედარებით შემცირდა 7,6 პროცენტით და შრომისნაყოფიერება გაიზარდა 20 პროცენტით, მათ შორის, მრეწველობის „ა"

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 289—293.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 225.

[4] იქვე, გვ. 226 — 227.

ჯგუფში — 20 პროცენტით და მრეწველობის „ბ“ ჯგუფში — 23 პროცენტით [1].

სოციალისტური მრეწველობის ეს წარმატებები თავიდანვე განაპირობა მუშათა კლასის შრომითმა აღმავლობამ, დიდმა პატრიოტულმა მოძრაობამ, რომელიც გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრების განვითარების შესახებ კომუნისტური პარტიის მოწოდების შედეგად.

საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად მოწინავე მუშები ქმნიდნენ „დამკვრელ ბრიგადებს“. ამ მოძრაობამ ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ 1929 წლის ნოემბერში შესაძლებელი გახდა „დამკვრელი ბრიგადების“ პირველი რესპუბლიკური ყრილობის მოწვევა თბილისში.

მუშათა კლასის პოლიტიკურმა და შრომითმა აღმავლობამ შესაძლებელი გახადა ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება. ამ წარმატებათა საფუძველზე მოწინავე მუშებმა წამოაყენეს ლოზუნგი „ხუთწლედი-ოთხწლედში“. საქართველოს მუშათა კლასიც ჩაება ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის საყოველთაო სახალხო მოძრაობაში.

საქართველოს მუშათა კლასმა ეშმარიტად დიდი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის ყველა დარგის განვითარებაში, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში, ამის შესახებ სამართლიანად იყო აღნიშნული საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში. ამავე დადგენილებაში დასახული იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შემდგომი განვითარების კონკრეტული ამოცანებიც.

საქართველოს მუშათა კლასის შრომითი აქტივობის გამოვლინება იყო არა მარტო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, არამედ მუშათა გამომგონებლობა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი და ახალი ფორმების დანერგვა. 1929 წელს საქართველოს მუშებმა 400-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს. წარმოებაში ამ წინადადებათა დანერგვამ სახელმწიფოს ნახევარ მილიონამდე მანეთის ეკონომია მისცა. 1931 წელს კი მუშათა სამ ათასამდე რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ სახელმწიფოს მისცა სამი მილიონი მანეთის ეკონომია.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უმაღლეს ფორმებს წარმოადგენდნენ ცვლათა შემხვედრი გეგმები და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები. ისინი საწარმოო გეგმების შესრულებისათვის მასების

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 196-197.

მობილიზაციის მძლავრ ბერკეტებს წარმოადგენენ. ცვლის შემხეედრი გეგმების პირველ პიონერებად საქართველოში გამოვიდნენ ჭიათურის მანგანუმის მადნის მაღაროთა დამკვრელი მუშები. დიდად გაიზარდა სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების რაოდენობაც. 1932 წლისათვის 1200-ზე მეტ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადაში გაერთიანებული იყო 14 ათასამდე დამკვრელი მუშა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პერიოდში სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. 1929 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმული იყო 7 ათასამდე მუშა, ხოლო 1932 წლის 1-ლი აპრილისათვის მათმა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ყოველმხრივ გაშლასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამკვრელთა II რესპუბლიკურმა ყრილობამ, რომელიც შედგა 1931 წლის აპრილში.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულდა პირველი ხუთწლიანი გეგმა. პირველი ხუთწლედის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ნავთობისა და ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობა, ანდეზიტის, გუმბრინის, ბარიტისა და სხვათა წარმოება; ჩაის, შაქრის, საფეიქრო მრეწველობა, ცემენტისა და სხვა საშენ მასალათა წარმოება; განვითარდა მანქანათმშენებლობა, ელექტროენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა და სხვ. პირველი ხუთწლედის მანძილზე სერიოზული წარმატება მოიპოვა ლითონდამმუშავებელმა მრეწველობამ.

სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში კაპიტალურმა დაბანდებამ პირველ ხუთწლედში 717,5 მილიონი მანეთი შეადგინა. მრეწველობაში დაბანდებული იყო 305,5 მილიონი მანეთი, აქედან 253 მილიონი მანეთი — მძიმე მრეწველობაში. თუ 1928 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება (1926 — 27 წლის ფასებით) შეადგენდა 37,5 მილიონ მანეთს, 1932 წლისათვის მან მიაღწია 257,5 მილიონ მანეთს. საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა პირველ ხუთწლედში 291 პროცენტით გაიზარდა. ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მძიმე მრეწველობა, რომლის პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 9,5-ჯერ გაიზარდა[1].

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად საქართველოს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", 1971, გვ. 660.

შეადგინა ომამდელი პროდუქციის 364 პროცენტი, მსხვილი მრეწველობის პროდუქციამ კი — 949 პროცენტი; ელექტროენერგიის გამომუშავება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა ოთხჯერ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სამრეწველო მშენებლობას საქართველოში ახასიათებდა ზოგიერთი თავისებურება. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განსაზღვრულ ეტაპზე, უწინარეს ყოვლისა, მისი განხორციელების პირველ წლებში, საერთო-საკავშირო მრეწველობისაგან განსხვავებით, უპირატეს განვითარებას განიცდიდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. საქართველოს მსუბუქი და კვების მრეწველობის ბევრი დარგი არა მარტო რესპუბლიკის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ მას საერთო-საკავშირო მნიშვნელობაც ჰქონდა. ასე მაგალითად, ჩაის, კონსერვების, ღვინის, ფეხსაცმელების, ტრიკოტაჟის, აბრეშუმის წარმოების პროდუქცია მთელი საბჭოთა ქვეყნის ბაზრებზე იგზავნებოდა.

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებზე პირველ ხუთწლედში მეტყველებენ სახალხო მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის თანდათანობით ზრდა და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონის თანდათანობით შემცირება, რაზედაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი [1].

ცხრილი 3

წლები	მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა	სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა
1926—27	33,7	66,3
1930	42,8	57,2
1931	46,0	54,0
1932	58,4	41,6
1933	59,8	40,2

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებათა ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია მძიმე მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში. ჯერ კიდევ 1929 — 30 წელს მძიმე მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციაში 52,2 პროცენტს შეადგენდა [2].

საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ასეთი წარმატებები განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ: 1. ორგანიზებულად წარმოებდა მუშახელის შეგროვება სოციალისტური საწარ-

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 289—364.

[2] „საქართველოს ისტორია“, ტ. III, გვ. 371 — 372.

მოებისათვის და თანდათანობით იზრდებოდა შრომის მექანიზაცია, 2. მცირდებოდა მუშახელის დენადობა, უქმდებოდა ხელფასის გათანაბრების ტენდენცია და უმჯობესდებოდა მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, 3. უმჯობესდებოდა შრომის ორგანიზაცია და ბოლო ეღებოდა გაუპიროვნებას წარმოებაში, 4. სწრაფად იზრდებოდა მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია, 5. იცვლებოდა დამოკიდებულება ძველი სკოლის ინჟინერ-ტექნიკოსებისადმი, გაბედულად ხდებოდა მათი ჩაბმა მუშაობაში და 6. ინერგებოდა და მტკიცდებოდა საშეურნეო ანგარიშიანობა, იზრდებოდა მრეწველობის შინაგანი დაგროვება. ასეთია, ზოგად ხაზებში, საქართველოს მრეწველობაში პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის სურათი და შედეგები.

განვიხილოთ საკითხი უფრო დეტალურად. საქართველოს მრეწველობაში პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა 4 წელსა და სამ თვეში. 1928 — 29 წელს საქართველოს მრეწველობაში დაბანდებული იყო 33,6 მილიონი მანეთი, აქედან მრეწველობის „ა" ჯგუფზე მოდიოდა 26,7 მილიონი მანეთი. 1932 წელს მთელ მრეწველობაში კაპიტალდაბანდებამ შეადგინა 121,8 მილიონი მანეთი, აქედან მრეწველობის „ა" ჯგუფში — 92,3 მილიონი მანეთი, სულ 4 წლისა და 3 თვის მანძილზე საქართველოს მთელ მრეწველობაში კაპიტალდაბანდება აღწევდა 305,5 მილიონ მანეთს, აქედან მრეწველობის „ა" ჯგუფში — 253,3 მლნ მანეთს, რაც მთელი კაპიტალდაბანდების ორ-მესამედზე მეტს შეადგენდა.

ამრიგად, საქართველოს კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1928 — 29 წელთან შედარებით ხუთწლედის ბოლოს მთელ მრეწველობაში გაიზარდა 362,5 პროცენტით, ხოლო მრეწველობის „ა" ჯგუფში — 345,7 პროცენტით[1].

საქართველოს მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა განუხრელი ზრდა, ბუნებრივია, იწვევდა საერთო პროდუქციის ზრდას. საქართველოს მსხვილი (ცენზიანი) მრეწველობა 1913 წელს იძლეოდა (1926 — 27 წლის უცვლელი ფასებით) 24,8 მილიონი მანეთის საერთო პროდუქციას. აქედან 14,5 მილიონ მანეთს, ანუ 58,5 პროცენტს იძლეოდა მრეწველობის „ა" ჯგუფი. 1928 წელს მთელი მრეწველობა იძლეოდა 37,5 მილიონი მანეთის პროდუქციას, აქედან მრეწველობის „ა" ჯგუფი—20,7 მილიონი მანეთისას, ანუ 55,2 პროცენტს, 1932 წლის მთელი მრეწველობა, ინდუსტრიალიზაციის წარმატებათა შედეგად, იძლეოდა 257,1 მილიონი მანეთის პროდუქციას, აქედან მრეწველობის „ა" ჯგუფი — 153,0 მილიონი მანეთისას, ანუ 59,5 პროცენტს[2].

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 199. Таб. 4.

[2] იქვე, გვ. 200, ტაბ. 5.

ამრიგად, საქართველოს ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 936,7 პროცენტით, ხოლო 1928 წელთან შედარებით — 585,6 პროცენტით [1].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია არა მარტო სამეურნეო-ეკონომიურ ძლიერებას განამტკიცებდა, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივ ბაზასაც. იგი ქმნიდა ყოფილ აგრარულ ქვეყანაში მუშათა კლასის მძლავრ არმიას, იცვლებოდა მთელი ქვეყნის სოციალური სტრუქტურა პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ.

1928 — 29 წელს საქართველოს მრეწველობაში დასაქმებული იყო 29,5 ათასი მუშა, 19,5 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. 1929 — 30 წელს — 36,4 ათასი, ე. ი. 23,3 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ამავე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მუშათა საშუალო წლიური ხელფასი. 1928 — 29 წელს მუშის საშუალო წლიური ხელფასი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 50,3 პროცენტით და შეადგინა 861,6 მანეთი, 1929 — 30 წელს კი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით და შეადგინა 939,4 მანეთი [2].

საქართველოს მრეწველობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რაოდენობა 1928 წელს შეადგენდა 24,7 ათას კაცს, აქედან მსხვილ (ცენზიან) მრეწველობაში მუშაობდა 18,2 ათასი მუშა და მოსამსახურე [3]. ხუთწლედის ბოლოსათვის მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. 1932 წელს საქართველოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობამ 53,3 ათასს მიაღწია, აქედან მსხვილ (ცენზიან) მრეწველობაში კი — 42,7 ათასს.

პირველი ხუთწლედის მანძილზე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატების შედეგად თითქმის სრულიად გაქრა კერძო დაქირავებული მუშახელი. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ სოფლად შექმნა ინდუსტრიული ტიპის მუშათა ახალი კადრები (ტრაქტორისტი, კომბაინერი, შოფერი და სხვ.) [4].

უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასის რაოდენობის ზრდა უმთავ-

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 200.

[2] ვ. ცხაკაია, სოციალისტური მშენებლობა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები საქართველოში, თბ., 1930, გვ. 4 — 5.

[3] იქვე.

[4] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 156.

რესად ეროვნული კადრების ხარჯზე ხდებოდა. იგი კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის თვალსაჩინო დადასტურება იყო. საქართველოს მუშათა კლასის შემადგენლობაში ძირითადი ეროვნების მუშათა რაოდენობა პირველ ხუთწლედში 110 პროცენტით გადიდდა[1].

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობაში. საჭირო იყო მათი დახსნა „შინაური მონობისაგან" და სოციალიზმის აქტიურ მშენებლად გადაქცევა. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა ქალთა ნამდვილი ემანსიპაციისათვის. პირველი ხუთწლედის მანძილზე გაფართოვდა საბავშვო დაწესებულებათა, აგრეთვე, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა ქსელი. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა ყოველდღიური საოჯახო საქმიანობისაგან. მათ სოციალისტურ სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს მიაშურეს. 1931 წელს საქართველოს მრეწველობაში მუდმივ სამუშაოდ მოვიდა 24 554 ქალი. მათი დიდი ნაწილი ჩაება მძიმე მრეწველობაში. აქ მათი რაოდენობა ხუთწლედის ბოლოს, 1928 წელთან შედარებით, ოთხჯერ და უფრო მეტად გაიზარდა[2].

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით განხორციელების შედეგად არსებითი ხასიათის ცვლილება მოხდა საქართველოს სოფლის მოსახლეობასა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობაში. 1929 წლის დასაწყისში ქალაქის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 22,9 პროცენტს შეადგენდა. ხუთწლედის ბოლოსათვის მისი ხვედრითი წონა გაიზარდა და შეადგინა 25,9 პროცენტი[3].

საქართველოს მრეწველობის რეკონსტრუქციამ და მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ზრდამ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდებოდა სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში, აგრეთვე სოციალისტური შრომის ახალი და ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში, გამოიწვია შრომისნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა და ასევე მნიშვნელოვანი შემცირება პროდუქციის თვითღირებულებისა, შესაბამისად — შრომის ხელფასის განუხრელი გადიდება. ასე მაგალითად, ამიერკავკასიის მრეწველობაში შრომისნაყოფიერება ოთხი წლის მანძილზე გაიზარდა 54,4 პროცენტით. შრომისნაყოფიერება მრეწველობის ცალკეულ დარგებში 1932 წელს გადიდდა 1928 წლის დონესთან შედარებით: ქვანახ-

---

1 «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 156.

2 მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, თბ., 1958, გვ. 114.

3 «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 159.

შირის მრეწველობაში — 177,1 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 37,3, მანგანუმის მადნის მრეწველობაში — 80,9, ცემენტის მრეწველობაში — 82,4, სატყეო მრეწველობაში — 41,7, ბამბეულის წარმოებაში — 22,4 და მატყლეულის წარმოებაში — 79,0 პროცენტით[1].

მრეწველობის ზრდა-განვითარება იწვევდა მუშათა კლასის რეალური და ნომინალური ხელფასის ზრდას. საქართველოს მრეწველობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი 1928 წელს უდრიდა 862 მანეთს, ხოლო ხუთწლედის ბოლოს მან მიაღწია 1 730 მანეთს, ე. ი. 1928 წელთან შედარებით გაიზარდა 100,7 პროცენტით. ამასთან ერთად, გაიზარდა ცენზიან მრეწველობაში მუშათა თვიური ხელფასიც. 1928 წელს იგი საქართველოში უდრიდა 67,9 მანეთს, 1932 წელს კი — 113,3 მანეთს, ე. ი. გაიზარდა 66,9 პროცენტით[2].

მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების განხილვისას აშკარად ჩანს ისეთი დარგების სწრაფი განვითარება, როგორიცაა ქიმიური, წიაღისეული მინერალების, საშენ მასალათა მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სატყეო და მსუბუქი მრეწველობა. ამ დარგების განვითარების ტემპები გვიჩვენებენ, რომ სახალხო მეურნეობაში გამოწვეული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციით არსებითი ხასიათის ძვრები ხდება. ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ ძირფესვიანად შეცვალა სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების თანაფარდობა, დაარღვია საზოგადოებრივი შრომის განაწილების ადრინდელი პროპორცია და შექმნა ახალი. ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში მრეწველობის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა თუ 1927 — 28 წელს უდრიდა 57 პროცენტს, 1931 წელს მან მიაღწია 73 პროცენტს[3].

საქართველოს, როგორც ცნობილია, გააჩნია მანგანუმის მადნის მთელი მსოფლიო მარაგის ერთი მესამედი, ხოლო საბჭოთა კავშირის მთელი მარაგის ნახევარზე მეტი. საქართველო პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე იძლეოდა მანგანუმის მადნის მსოფლიო მოპოვების 40 პროცენტს. მაგრამ მსოფლიო ომისა და მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში მანგანუმის მადნის ამოღებამაც განიცადა დაცემა. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი 1925 წელს საკონცესიოდ გადასცა ჰარიმანს. კონცესიონერი ვალდებული იყო მნიშვნელოვანი თანხები დაებანდებინა მანგანუმის მადნის ამოღებაში, მოეხდინა მისი მაღაროების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და გაეფართოებინა მანგანუმის მადნის გასაღების ბაზარი. კონ-

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 159—160.

[2] იქვე, გვ. 161.

[3] იქვე, გვ. 35.

ცესიონერმა არამც თუ არ შეასრულა საკონცესიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, არამედ, პირიქით. მოშალა მთელი წარმოება. 1928 წლის აგვისტოში საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გააუქმა საკონცესიო ხელშეკრულება. 1929 წლის ივლისიდან მანგანუმის მადნის ამოღების საქმე გადაეცა სათანადო ტრესტს. პირველივე წელს წარმოების აღდგენით სამუშაოებზე დაიხარჯა 1,7 მილიონი მანეთი, მუშათა საბინაო მშენებლობაზე — ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი [1]. საბჭოთა ადამიანების მზრუნველმა ხელმა ფეხზე წამოაყენა მანგანუმის მადნის გაპარტახებული მრეწველობა. 1932 წელს მან უკვე ქვეყანას მისცა 297,5 ათასი ტონა გარეცხილი მანგანუმის მადანი, ნაცვლად 1928 წლის 193,4 ათასი ტონისა.

საბჭოთა კავშირში გაიზარდა ფოლადის წარმოება, ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მანგანუმის მადნის ფერომანგანუმის სახით გაყიდვის რენტაბელობა, და ბოლოს, ყველა საჭირო პირობების (ნედლეულის, ტრანსპორტის) არსებობამ პრაქტიკულად დააყენა საკითხი საქართველოში ფერომენადნობთა წარმოების მოწყობის შესახებ. ამიტომ პირველ ხუთწლედში აშენდა ფერომანგანუმის ქარხანა ზესტაფონში 150 ათას ტონა ფერომანგანუმის საერთო საპროექტო სიმძლავრით. ფერომანგანუმის პირველი შენადნობი მიღებულ იქნა 1933 წელს [2].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის იყო საწვავი მასალის არსებობა. ნავთობის შემდეგ ამ მხრივ პირველი ადგილი ქვანახშირს ეჭირა. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების აღდგენა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო. პირველ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიშალა მუშაობა ტყიბულის ქვანახშირის წარმოების გაშლა-გაფართოებისათვის. ამ პერიოდში ქვანახშირის წარმოებაში დაბანდდა 32,560 ათასი მანეთი, აქედან ახალ (ტყვარჩელი) საწარმოო ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯა 27 080 ათასი მანეთი, ხოლო ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის — 5 550 ათასი მანეთი [3].

მანქანათმშენებლობა სრულიად ახალი დარგია საქართველოში. ადრე ლითონდამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, წარმოდგენილი იყო კუსტარული ტიპის წვრილი მექანიკური სახელოსნოებით. პირველ ხუთწლედში მოქმედ საწარმოთა რიგში ჩადგა ლითონკონსტრუქციის ქარხანა თბილისში. ამავე პერიოდში დაიწყო მშენებლობა თბილისში „ცენტროლიტისა“ და ჩაის წარმოების მო-

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 53.

[2] იქვე, გვ. 55.

[3] იქვე, გვ. 59.

წყობილობათა მშენებელი ქარხნისა ბათუმში. ჩატარდა თბილისის 26 კომუნართა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნების ძირეული რეკონსტრუქცია მათი სიმძლავრისა და სპეციალიზაციის გაფართოებით" [1].

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა წიაღისეულ მინერალთა დამუშავებასა და გამოყენებას. ჩვენში, მართალია დიდი ხნიდან წარმოებდა ბარიტის (1901 წ.), დიატომიტის (1895 წ.), გლაუბერის მარილის (1878 წ.) დამუშავება, მაგრამ იგი სრულიად უმნიშვნელო იყო პირველი ხუთწლედის დაწყებამდე. პირველი ხუთწლედის პერიოდში აღმოაჩინეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ლითოგრაფიული ქვის ახალი საბადო, გუმბრინი (სოფ. გუმბრაში) და ანდეზიტი, რითაც მნიშვნელოვანი ვალუტა დაიზოგა, გათავისუფლდა რა სახელმწიფო უცხოეთში მათ შემცვლელთა შეძენისაგან [2].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, პირველ რიგში, სამრეწველო საწარმოთა, მუშათა საცხოვრებელი სახლებისა და სხვათა გაძლიერებულ მშენებლობას მოითხოვდა. მაგრამ საშენ მასალათა წარმოება მეტად ჩამორჩენილი იყო. თბილისში აგურის რამდენიმე ქარხანა სრულიად ვერ უზრუნველყოფდა გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობას ჩვენს რესპუბლიკაში. პირველ ხუთწლედში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კასპის ცემენტის ქარხანა 720 ათასი კასრი მაღალხარისხოვანი ცემენტის გარანტირებული სიმძლავრით. ხუთწლედის მანძილზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შედარებით მსხვილი და მექანიზებული კირის ქარხნები მოწამეთში (წლიური 11 ათასი ტონა), სურამში (წლიური 10 ათასი ტონა) და სენაკში (წლიური 5 ათასი ტონა)[3].

რევოლუციამდე საქართველოში სუსტად იყო განვითარებული არა მარტო მძიმე ინდუსტრიის, არამედ მსუბუქი მრეწველობის დარგებიც. ბამბეულის დამმუშავებელი მრეწველობა თითქმის არ იყო საქართველოში. იგი აქ წარმოდგენილი იყო ორი, ნახევრად კუსტარული (აშენდა 1910 წ.) სართავი ფაბრიკით და ერთი ბამბის ქარხნით, რაც ადგილობრივი ნედლეულის მხოლოდ 3 პროცენტს თუ გადაამუშავებდა. აბრეშუმის მრეწველობაც ძალიან ჩამორჩენილი იყო. რევოლუციამდე მხოლოდ ერთი, ძველი კონსტრუქციის ქარხანა მუშაობდა სამტრედიაში. აბრეშუმის პარკის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადიოდა. რევოლუციამდე შალეულის წარმოება, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკა-

---

1 დაწვრილებით იხ. ა. კ ო ბ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში 1921 — 1932 წწ., თბ., 1966.

2 «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 67.

3 იქვე, გვ. 71.

სიაშიც არ იყო, მიუხედავად აქ საკმაო სანედლეულო ბაზის არსებობისა, მთელი მატყლი საზღვარგარეთ, უმეტესად ამერიკაში გაჰქონდათ[1].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მსუბუქი მრეწველობის განვითარება იწყება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთიდან მიღებული მაუდის ფაბრიკის გამართვა ქუთაისში. ოზურგეთში აშენდა აბრეშუმის ძაფსართავი ახალი ფაბრიკა, ჩატარდა ხონის, სამტრედიისა და თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების რეკონსტრუქცია. პირველ ხუთწლედში ამუშავდა თბილისის მაუდის ფაბრიკა, საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის აბრეშუმსაქსოვი და ქუთაისის აბრეშუმსახვევი ფაბრიკები. ასევე განვითარდნენ კვების მრეწველობის ცალკეული დარგები. ამას მოითხოვდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის ინტერესები.

რევოლუციამდელ საქართველოში ელექტროენერგიის გამოყენება ძალზე უმნიშვნელო იყო. ელექტროენერგიის წარმოებაში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა მენშევიკური ხელისუფლების წლებშიც.

ენერგეტიკული მეურნეობის ნამდვილი განვითარება საქართველოში იწყება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან. ელექტროენერგიის წარმოების ფართოდ გაშლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „გოელროს გეგმას“ და პირადად ვ. ი. ლენინის სადირექტივო მითითებებს საქართველოსა და კავკასიის კომუნისტებისადმი. ჩვენი ქვეყნის ელექტრომრეწველობის პირველ პირმშოს წარმოადგენდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური მდინარე მტკვარზე. ზაჰესმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა საქართველოს ინდუსტრიულ საწარმოთათვის მტკიცე ენერგეტიკული ბაზის შექმნაში. ელექტროენერგიის წარმოება სისტემატურად იზრდებოდა. აშენდა აბაშის ჰიდროელექტროსადგური (აბჰესი), დაიწყო აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგურის (აწჰესი) მშენებლობა. თუ ომამდე ელექტროსადგურების სიმძლავრე საქართველოში უდრიდა 5 ათას კვტ. საათს, 1927 — 28 წლისათვის მან 26,3 ათას კვტ. საათამდე მიაღწია, ხოლო 1932 წელს — ხუთწლედის ბოლოს 33,1 ათას კვტ. საათამდე გაიზარდა. პროპორციულად გაიზარდა გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობაც. 1927 — 28 წელს 38,9 მილიონ კვტ. საათიდან 1932 წელს მიაღწია 128,0 მილიონ კვტ. საათს[2].

კარგად ორგანიზებული ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და მაღალგანვითარებული კულტურის მაჩვენებელია. ამიტომ

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 78-79.

[2] კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, საბჭოთა საქართველოს ელექტროენერგეტიკა, ტ. I, გვ. 258.

ჩვენში სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა სატრანსპორტო საშუალებათა მოწესრიგებასა და განვითარებას. პირველ ხუთწლედში ტრანსპორტის დარგში დააბანდეს 58,6 მილიონი მანეთი [1].

პირველ ხუთწლედში მეტად დიდი ღონისძიებანი დაგეგმეს რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებისათვის, კერძოდ, რკინიგზის მშენებლობისა და სატრანსპორტო საშუალებათა რეკონსტრუქციის ხაზით. საქართველოს მუშათა კლასის დაძაბული შრომით პირველი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები ძირითადად წარმატებით შესრულდა. ხუთწლედის ბოლოს ამიერკავკასიის რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა მარტო გაფართოვდა, არამედ მოხდა მისი საერთო რეკონსტრუქციაც, ფართოდ დაინერგა ახალი და უახლესი ტექნიკის მიღწევები[2]. ყოველივე ამის გამო შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ამოცანები მოითხოვდა გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობათა გაშლას. ტექნიკისა და საშენ მასალათა გადატან-გადმოტანას, სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქალაქის, ხოლო სამრეწველო პროდუქციით სოფლის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვდა მათ შეუფერხებელ გადაზიდვას ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში. ყოველივე ეს ტრანსპორტის, კერძოდ, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას მოითხოვდა. პირველ ხუთწლედში გატარებულმა ღონისძიებებმა ყველა პირობა შეუქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტს ძირითადად წარმატებით გაერთმია თავი მის წინაშე მდგომი ამოცანებისათვის. ასე მაგალითად, 1932 წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ 1928 წელთან შედარებით (ტონაკილომეტრებით) 162,6 პროცენტით მეტი ტვირთი გადაზიდა, რაც 2,5-ჯერ სჭარბობდა ომამდელ ტვირთზიდვას ამიერკავკასიის რკინიგზაზე. 1932 წელს მგზავრები გადაყვანილ იქნა 1913 წელთან შედარებით 154 პროცენტით მეტი, ხოლო 1928 წელთან შედარებით — 291 პროცენტით მეტი [3].

პირველ ხუთწლედში ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია უმთავრესად გამოიხატა: წევის ელექტრიფიკაციით, ავტობლოკირებით, გზის, კვანძებისა და სადგურების გადაკეთებით, ორთქლმავალთა სიმძლავრის გაზრდით, ავტოდამუხრუჭების და-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 660.

[2] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 129.

[3] იქვე, გვ. 130.

ნერგვით და სხვ. პირველ ხუთწლედში დიდი მუშაობა გაჩაღდა რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიცირებისათვის. 1928 წელს დაიწყო და 1932 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთი ყველაზე რთული უბნის — ხაშური-ზესტაფონის (63 კმ) — ელექტრიფიცირება. ეს იყო საბჭოთა კავშირში ძნელი სამთო მაგისტრალის სატვირთო უბნის ელექტრიფიკაციის პირველი ცდა. მაგრამ მას წარმატებით გაართვეს თავი საქართველოს რკინიგზელებმა. ხაშური-ზესტაფონის მაგისტრალზე 1932 წელს დაიწყო ელექტრიფიცირებული წევის საცდელი ექსპლოატაცია და მაშინვე შეუდგნენ უფრო დიდი მაგისტრალის ხაშური-ნავთლუღის (127 კმ) ელექტრიფიცირებას [1].

პირველ ხუთწლედში ამიერკავკასიის რკინიგზელებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს დასაკავშირებლად უმოკლესი მანძილით სსრ კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრებთან. პირველ ხუთწლედში გაიშალა 350 კილომეტრის სიგრძის რკინიგზის შავი ზღვის მაგისტრალის მშენებლობა ახალსენაკიდან ტუაფსემდე, განშტოებებით ზუგდიდსა და ტყვარჩელისაკენ. ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ 630 — 1000 კილომეტრით შემცირდა მანძილი სსრ კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრებამდე.

პირველ ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტს, საავტომობილო შარაგზების შეკეთებასა და ახალთა მშენებლობას. ეს ნაკარნახევი იყო ქვეყნის შიგნით სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონების მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის ინტერესებით. ასეთი კავშირი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდი ეკონომიური და სოციალური ძვრების პირობებში არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენდა. ამ პერიოდში ჩატარდა რიგი საავტომობილო გზების კაპიტალური რემონტი. გარდა ამისა, გაიყვანეს ახალი შარაგზებიც, როგორიცაა მაგალითად, წნორის წყალ-წითელი წყაროს (34 კმ), ჭუთაისი-გუმბრინ-წყალტუბოს (12 კმ) და სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი მაგისტრალები. საავტომობილო გზების დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობის გამო საქართველოში პირველ ხუთწლედში ინტენსიური საგზაო მშენებლობა მიმდინარეობდა. ამის შედეგად ჯერ კიდევ 1928 წელს ყველა კატეგორიის გზათა საერთო სიგრძე 7109 კილომეტრამდე გაიზარდა, 1933 წლისათვის კი — 8975 კილომეტრამდე [2].

მნიშვნელოვნად შეივსო რესპუბლიკის საავტომობილო პარკიც, ამ პერიოდში საქართველოში სულ ექსპლოატაციაში იყო 1636 ავტომანქანა,

---

[1] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 131; „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", თბ., 1967, გვ. 385.

[2] იქვე, გვ. 389.

რომლის 60 პროცენტს სატვირთო მანქანები შეადგენდა, ულიანდაგო ტრანსპორტის განვითარებისათვის პირველი ხუთწლედის მანძილზე საქართველოში დაიხარჯა 30 852 მანეთი[1].

პირველი ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად განვითარდა აგრეთვე საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტიც. დიდი მუშაობა ჩატარდა ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და სხვ. ნავსადგურთა მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქციისათვის, გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა ნავსადგურების გამტარუნარიანობა. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა თუ 1913 წელს შეადგენდა 2673 ათას ტონას, 1928 წელს შეადგინა 2947 ათასი ტონა, ხოლო პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის — 5519 ათასი ტონა[2]. 1929 წელს ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვამ, მისი რეკონსტრუქციის, ახალი ტექნიკით აღჭურვის შემდეგ, მიაღწია დაახლოებით 2 მილიონ 900 ათას ტონამდე, 1932 წლისათვის იგი გაიზარდა 4 მილიონ 600 ათას ტონამდე. 1913 წელთან შედარებით ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა გაიზარდა 279,9 პროცენტით[3].

სწრაფი ტემპით განვითარდა და გაუმჯობესდა კავშირგაბმულობა საბჭოთა საქართველოში. კულტურულმა საბჭოთა სოფელმა თუ ქალაქმა მას მაღალი მოთხოვნილება წაუყენა. 1932 წელს წერილდამტარებელთა რაოდენობა 1700-მდე გაიზარდა. გაფართოვდა სატელეფონო ქსელი, შორეული სოფლები და კოლმეურნეობები ჩაერთო სატელეფონო ქსელში. 1932 წელს მოქმედებდა 9,3 ათასი სატელეფონო დანადგარი. ფართოდ განვითარდა კავშირგაბმულობის ისეთი ახალი სახეობა, როგორიც იყო რადიოკავშირი. იგი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში შეიჭრა, როგორც მასების კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი იარაღი.

დ. ვაჭრობა და ფინანსები

სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარების, კერძოდ, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილის ზრდამ გამოიწვია საქონელბრუნვის გაძლიერება, სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიური კავშირის გაფართოება, ქალაქების როლის ზრდა სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში, მუშათა კლასისა და გლე-

---

1 «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 136.

2 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 333.

3 შ. ჯაფარიძე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია სოციალისტური სახოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, თბ., 1971, გვ. 93.

ხობის კავშირის შემდგომი გაღრმავება, და, მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური საფუძვლის კიდევ უფრო განმტკიცება საქართველოში.

საქონელბრუნვაში კერძოკაპიტალისტურმა სექტორმა უფრო მეტი გამძლეობა გამოიჩინა, ვიდრე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. 1928 წლიდან 1930 წლამდე ჩათვლით რესპუბლიკაში არსებული სავაჭრო დაწესებულებათა თითქმის ნახევარი მოდიოდა კერძოკაპიტალისტურ სექტორზე, უფრო ადრე კი — 80 პროცენტზე მეტიც. აღებულ პერიოდში სავაჭრო დაწესებულებათა ხაზით სახელმწიფო ვაჭრობის ხვედრითი წონა გაიზარდა 3,7 პროცენტიდან 6,2 პროცენტამდე, კოოპერატიული ვაჭრობისა — 14,4 პროცენტიდან 46,5 პროცენტამდე, ხოლო კერძოკაპიტალისტური სექტორის წონა შემცირდა 81,9 პროცენტიდან 47,3 პროცენტამდე[1]. ასევე შემცირდა კერძოკაპიტალისტური ვაჭრობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მთელი ვაჭრობის ბრუნვაში. იგი 1927 — 28 წლის ბრუნვაში უდრიდა 24,3 პროცენტს, 1928 — 29 წლის ბრუნვაში — 14,9, 1929 — 30 წლის ბრუნვაში კი 7,3 პროცენტს[2]. სახელმწიფო ვაჭრობის ხვედრითი წონა ვაჭრობის მთელ ბრუნვაში 1927 — 28 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10,9 პროცენტით, 1928 — 29 წელს — 20,4 და 1929 — 30 წელს, აგრეთვე წინა წელთან შედარებით — 27,0 პროცენტით. ასევე გაიზარდა კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვის ხვედრითი წონა — 1927 — 28 წელს 40,2 პროცენტით, 1928 — 29 წელს — 42,4 და 1929 — 30 წელს — 82,7 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვაში ცოტა განსხვავებული სურათი იყო. 1929 — 1932 წლებში კოოპერაციული ვაჭრობა წარმოადგენდა რესპუბლიკის საქონლის გამტარ ძირითად სავაჭრო სისტემას, მისი ხვედრითი წონა ცალობრივ საქონელბრუნვაში 1932 წელს შეადგენდა 68,3 პროცენტს[3].

წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა კერძოკაპიტალისტური ვაჭრობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის ვაჭრობის მთელ ბრუნვაში. ასე მაგალითად, 1927 — 28 წელს მისი ხვედრითი წონა შემცირდა 17,6 პროცენტით, 1928 — 29 წელს — 15,3 და 1929 — 30 წელს — 30,4 პროცენტით[4]. მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში ვაჭრობის, საქონელბრუნვის სფეროდან კერძო კაპიტალი იდევნება სრულიად. ასე მაგალითად, 1931 წელს რესპუბლიკის მთელი საცალო ბრუნვა უდრიდა 494,2 მილიონ მანეთს, აქედან განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა 454,4 მილიონი მანეთი; 1932 წელს — 726,5 მილიონი მანეთი, აქედან გან-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 480.

[2] იქვე, გვ. 282.

[3] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1961 წწ.", გვ. 395.

[4] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 482.

საზოგადოებულ სექტორზე — 710,9 მილიონი მანეთი, და ბოლოს, 1933 წელს მთელი საქონელბრუნვის 953,2 მილიონი მანეთი მთლიანად განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა[1].

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ფართოდ გაშლა, კერძო კაპიტალის გამოდევნა საქონელბრუნვის სფეროდან, ხელს უწყობდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ინტერესები მოითხოვდა საქონელბრუნვაში სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის ზრდას. ამიტომ დიდი როლი ეკისრებოდათ საქართველოში დამამზადებელ ორგანიზაციებს.

1928 — 29 წელს განსაზოგადოებულ სექტორში დამზადდა სახელმწიფოსათვის (ამ წლის დამზადების ფასებით) 19 052,0 ათასი მანეთის სამრეწველო ნედლეული და 14 785,7 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქტები, სულ — 33 837,7 ათასი მან. სამრეწველო ნედლეული და პროდუქტები. 1929 — 30 წელს დამზადდა 20 711,4 ათასი მან. სამრეწველო ნედლეული და 20 720,1 ათასი მან. სასურსათო პროდუქტები, სულ — 41 431,5 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქტები და სამრეწველო ნედლეული[2].

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ორგანიზებული დამზადება დადებით გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზარზე. იგი ქალაქის მოსახლეობისათვის უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა, უმჯობესდებოდა მათი ცხოვრების მატერიალური პირობები. როგორც ცნობილია, 1933 წლის ბოლოს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და ფოთში მოეწყო პურით და სხვა სასურსათო საქონლით სახელმწიფო კომერციული ვაჭრობა[3]. ჩატარებულმა ღონისძიებებმა უაღრესად დადებითი გავლენა იქონია საბაზრო ფასებზე.

სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1933 წელს მოახდინა ფასების დაკლება სახელმწიფო ღია ვაჭრობის ქსელში სასურსათო პროდუქტებზე. გამომცხვარ პურზე ფასმა დაიკლო 24,0 პროცენტით, ზეთზე — 34,4 რძეზე — 25,1 და მარგარინზე — 37,5 პროცენტით. ამავე წელს მოხდა ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზეც: სამეურნეო საპონზე — 23,9 პროცენტით, ძაფზე — 56,8 და მაუდზე — 15 პროცენტით. 1934 წელს სახელმწიფომ ფასების დაკლება ჩაატარა აგრეთვე კომერციული ფონდის სასურსათო საქონელზე: შაქარზე — 50, და კანფეტებზე — 5,25 პროცენტით. მართალია, ფასების დაკლება სასურსათო და სამრეწველო საქონ-

---

[1] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 117.

[2] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 491.

[3] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 118.

ლის მხოლოდ რამდენიმე სახეს შეეხო, მაგრამ იგი სხვა ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, უაღრესად დადებით გავლენას ახდენდა საერთოდ საბაზრო ფასებზე. ასე მაგალითად, 1934 წლის 25 ოქტომბრისათვის წინა წლის 25 ივლისთან შედარებით, თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები, კერძოდ, პურზე — 62,5 პროცენტით, ძროხის ხორცზე — 23,0, ერბოზე — 45,4, კარტოფილზე — 65.7, ლობიოზე — 70,0 და კვერცხზე — 30,0 პროცენტით[1].

დამამზადებელი ორგანიზაციები სოფელს, კოლმეურნეობებს მათგან მიღებული პროდუქციისათვის საწარმოო-ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. 1934 წელს 1-ლი ოქტომბრისათვის საქართველოს საკონვენციო ბიურომ კოლმეურნეობებთან დადო 542 კონვენცია ან ხელშეკრულება 7150,6 ათასი მანეთის საერთო მოცულობით. ამ ბიუროს ცნობით „საზოგადოებრივი კვების თბილისის ტრესტმა“ ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში მოაწყო საბავშვო სახლი 85 საწოლით, აგრეთვე იმავე რაიონების კოლმეურნეებს საქონლის სადგომთა ასაშენებლად მისცა ხე-ტყის მასალა, ლურსმანი, მინა და სხვ. სოფლის საბჭოში (ახალციხის რაიონი) გამოიყვანეს წყალი, მისცეს ორი ვაგონი საშენი მასალა, შეაკეთეს სკოლები ხონისა და ლანჩხუთის რაიონებში. თბილისის მაუდის ფაბრიკამ კოლმეურნეობას ათხოვა ტრაქტორი და შეიძინა კოლმეურნეობისათვის მაღალპროდუქტიული მეწველი საქონელი[2]. ასეთი ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებას. ასე მაგალითად, 1932 წელს დაამზადეს 7 249 ტონა მარცვლეული, 1933 წელს კი 36 210 ტონა. მატყლის დამზადება გაიზარდა 1196,1 ტონიდან 1236,7 ტონამდე, ღვინისა და ყურძნისა — 25207 ტონიდან 27585 ტონამდე და ა. შ.[3].

სოფლის მეურნეობის პროდუქტების კონტრაქტაციიდან სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების მტკიცე გეგმებზე გადასვლამ მკვეთრად გააუმჯობესა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ცენტრალიზებული დამზადება.

საქონელბრუნვის განვითარებაში, როგორც აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა სამომხმარებლო კოოპერაცია; მის სისტემაში შედიოდა 1929 წელს 200 კოოპერატიული დაწესებულება, მათ შორის ქალაქად იყო 34, სოფლად — 166. მათ სოფლად ჰქონდათ 978 სავაჭრო, ქალაქად — 1288 სავაჭრო. ამ დროისათვის სამომხმარებლო კოოპერა-

---

[1] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 118.

[2] იქვე, გვ. 126.

[3] იქვე, გვ. 127.

ციის წევრად ითვლებოდა 558 884 კაცი, მათ მიერ შეტანილი საპაიო თანხა შეადგენდა 5 226,9 ათას მანეთს. 1930 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა. სავაჭროთა რაოდენობა გაიზარდა 27,8 პროცენტით, წევრთა რაოდენობა — 64,5 და საპაიო თანხის რაოდენობა — 89,0 პროცენტით[1]. ამასთან ერთად, გაიზარდა სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა. 1928 — 29 წელს საცალო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 141 592,4 ათასი მანეთი, 1929 — 30 წელს იგი გაიზარდა 51,1 პროცენტით და შეადგინა 213 935,0 ათასი მანეთი. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ბრუნვა უფრო მეტად გაიზარდა სოფლის კოოპერატივებში, ვიდრე ქალაქისაში. 1929 — 30 წელს სავაჭრო ბრუნვა ქალაქებში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 42,1 პროცენტით, სოფლებში კი — 77,4 პროცენტით. სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვან ზრდას გვიჩვენებს საბითუმო ვაჭრობაც. 1928 — 29 წელს იგი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 37,9 პროცენტით, ხოლო 1929 — 30 წელს 79,9 პროცენტით[2]. 1929 — 30 წელს რესპუბლიკაში შემოტანილი იყო 130 მილიონ 681 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი, ანუ 43 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს[3].

ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ კერძო სექტორის ხვედრითი წონა პურეულით ვაჭრობაში. 1928 — 29 წელს პურეულ-ფურაჟით ვაჭრობაში მთელი სავაჭრო ბრუნვის 86,3 პროცენტი მოდიოდა სახელმწიფო ვაჭრობაზე, 5,1 პროცენტი კოოპერატიულ ვაჭრობაზე და 8,6 პროცენტი კერძო ვაჭრობაზე. გამომცხვარი პურისა და საკონდიტრო ნაწარმის სავაჭრო ბრუნვაში სახელმწიფო ვაჭრობაზე მოდიოდა 0,5 პროცენტი, კოოპერაციულ ვაჭრობაზე — 84,1 და კერძო ვაჭრობაზე — 15,4 პროცენტი[4].

პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვან ზრდას გვიჩვენებს რესპუბლიკის ექსპორტი. ამიერკავკასიის ექსპორტში საქართველოს ხვედრითი წონა ადრეც საგრძნობი იყო. ასე მაგალითად, 1926 — 27 წელს იგი უდრიდა 41,1 პროცენტს, 1927 — 28 წელს — 42,8, 1928 — 29 წელს — 43,5 პროცენტს. აქედან სამრეწველო საქონლის ექსპორტში საქართველოს წილი უდრიდა 37,3 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ექსპორტში კი 46,3 პროცენტს. 1929 — 30 წელს საქართველომ საზღვარგარეთ გაიტანა 20 მილიონი მანეთის, ხოლო 1931 წელს 31 მილიონი მანე-

---

1 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 483.

2 იქვე.

3 მ. ცხაკაია, სოციალისტური მშენებლობა და საბჭოთა ხელისუფლების აპოცანები საქართველოში", გვ. 4 — 5.

4 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 483.

თის საქონელი[1]. ყოველივე ეს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებასა და განმტკიცებაზე მეტყველებს[2].

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი. საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების გაცნობა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა განუხრელად უმჯობესდებოდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. განსაკუთრებით მაღალი ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდება 1928 — 29 და 1929 — 30 წლების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები.

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტის) მოცულობის ზრდა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: 1926 — 27 წელს ბიუჯეტის მოცულობა უდრიდა — 55,7 მილიონ მანეთს, 1927 — 28 წელს — 62,3, 1928 — 29 წელს — 80,9, 1929 — 30 წელს — 98,0, 1931 წელს — 133,7 და 1932 წელს — 238,6 მილიონ მანეთს.

ამრიგად, პირველ ხუთწლედში ბიუჯეტის საერთო მოცულობამ შეადგინა სულ 669,2 მილიონი მანეთი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა 1932 წლის შემდეგ. ყოველივე ამან გამოიწვია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების გაფართოება[3].

სახელმწიფო, თუ საკუთარი ხალხის ექსპლოატაციის პოლიტიკას არ ეწევა, მაშინ მის ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადებიდან შემოსულობათა ზრდა ქვეყნის ეკონომიური ძლიერების აღმავლობის მაჩვენებელია. საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტიც სწორედ ამაზე მიუთითებს. მასში პირდაპირი გადასახადებიდან შემოსულობათა ზრდა მაჩვენებელია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ხალხის გადახდისუნარიანობის ზრდისა. შვიდი წლის განმავლობაში, 1923 — 24 წლიდან 1929 — 30 წლის ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადებიდან შემოსულობა გაიზარდა 17-ჯერ და უფრო მეტად და მიაღწია 41 033,6 ათას მანეთს, აქედან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებზე 1923 — 24 წელს მოდიოდა 4,3 პროცენტი, აღდგენითი პერიოდის დასასრულს, 1925 — 26 წელს — 20,3 პროცენტი, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მოღონიერების უდაო მაჩვენებელია. მაგრამ შემდეგ წლებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ხვედრითი წონა კლებულობს, რაც უნდა აიხსნას: ჯ ე რ ე რ თ ი იმით, რომ სხვა დარგები-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 293—293.

[2] იხ. დაწვრილებით В. А б у л а д з е, Внутренная торговля Грузинской ССР 1921—1932 гг., ч. I, стр. 238—250.

[3] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 400 — 401.

დან იზრდება შემოსულობა, და, მ ე ო რ ე, 1929 და 1930 წლებში სოფლად საკოლმეურნეო მოძრაობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შედეგად, როგორც ზემოთ ვნახეთ, სოფლის მეურნეობის აღმავლობამ ერთგვარი, დროებითი ხასიათის შეფერხება განიცადა. ყოველივე ამის გამო 1928 — 29 წლის ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხვედრითი წონა შემცირდა 12,2 პროცენტამდე. 1929 — 30 წლებში იგი კიდევ უფრო შემცირდა და შეადგინა 7,2 პროცენტი[1].

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის, ე. ი. ხალხის გადახდისუნარიანობის ზრდის, ერთ-ერთი მაჩვენებელია შემოსავალზე დადებული გადასახადის დინამიკა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ზრდაზე მიგვითითებს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი. იმავე შვიდი წლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა დაახლოებით 14-ჯერ და შეადგინა 7 126,5 ათასი მანეთი. აქედან, საშემოსავლო გადასახადზე 1923 — 24 წელს მოდიოდა 22,4 პროცენტი, აღდგენითი პერიოდის დასასრულს— 1925 — 26 წელს — 29,1 პროცენტი, შემდეგ საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წონა მცირდება და 1928 — 29 წელს შეადგენს 20,0 პროცენტს, ხოლო 1929 — 30 წელს — 17,3 პროცენტს.

საგადასახადო შემოსულობაში საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წონის გამორკვევა საკმარისი არ არის მისი ზრდის საჩვენებლად. ამიტომ ვნახოთ, თუ როგორ იზრდებოდა იგი წინა წელთან შედარებით. აღდგენითი პერიოდის დასასრულს, 1925 — 26 წელს საშემოსავლო გადასახადების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 61,1 პროცენტით. 1928 —29 წელს — 33,5 პროცენტით, 1929 — 30 წელს, აგრეთვე, წინა წელთან შედარებით, — 45,4 პროცენტით.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე შემუშავდა 1932 წლის (მუშავდებოდა შემდეგ წლებშიც) სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი 1931 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 108,9 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო სამეურნეო ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციითა და რიგი სამრეწველო საწარმოო-ორგანიზაციების რესპუბლიკების განმგებლობაში გადაცემით[2].

სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის განუხრელი ზრდა. 1931 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალი განსაზოგადოებული სექტორიდან ვერ შესრულდა,

---

[1] პროცენტები აქ და შემდეგ ჩვენ მიერაა გაანგარიშებული, აბსოლუტური მაჩვენებლები ავიღეთ კრებულიდან „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 448.

[2] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 183.

მაგრამ მეორე, 1932 წელს ბიუჯეტი შესრულდა დიდი გადაჭარბებით, გათვალისწინებული 65 მილიონი მანეთის ნაცვლად შემოვიდა 79 მილიონ მანეთამდე. ასეთივე სურათს იძლევა შემდეგი წლების ბიუჯეტებიც [1].

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას თვალში გვეცემა ასიგნებათა ზრდა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით. 1931 წლის ბიუჯეტით სახალხო განათლებისადმი ასიგნებული იყო 12,38 მილიონი მანეთი, 1932 წლის ბიუჯეტით კი 22,06 მილიონი მანეთი, ე. ი. 78,2 პროცენტით მეტი, 1933 წელს, წინა წელთან შედარებით, იგი გაიზარდა 97,7 პროცენტით. ჯანმრთელობის დაცვაზე 1931 წელს ასიგნებული იყო 2,72 მილიონი მანეთი, 1932 წელს — 8,87 მილიონი მანეთი, ე. ი. 226,1 პროცენტით მეტი, 1933 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 4,6 პროცენტით [2].

პირველ ხუთწლედში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში გაიზარდა 689,7 პროცენტით, გასავლის ნაწილში —343,7 პროცენტით[3]. იგი გადაჭარბებით შესრულდა: შემოსავლის ნაწილში — 9,7 პროცენტით, გასავლის ნაწილში — 9,6 პროცენტით [4]. დაახლოებით ასეთივე სურათს გვიჩვენებს ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზიც [5].

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფო კრედიტზე. საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას აკრედიტებდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კანტორა, სასოფლო-სამეურნეო ბანკები, საქართველოს კომუნალური ბანკი და სხვ. ყველა აღნიშნული ბანკის მიერ მრეწველობის დაკრედიტება 1925 წლიდან 1930 წლამდე ჩათვლით 22,2-ჯერ გაიზარდა და 1930 წლის პირველი აპრილისათვის შეადგინა 89 058 ათასი მანეთი. სოფლის მეურნეობის დაკრედიტება იმავე პერიოდში გაიზარდა 2,6-ჯერ და 1930 წლის პირველი აპრილისათვის შეადგინა 11490 ათასი მანეთი. მრეწველობის დაკრედიტების ასეთი დიდი ზრდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკით იყო საკარნახევი. სოფელსა და ქალაქს შორის საქონელბრუნვის, ვაჭრობის განვითარების ინტერესები მოითხოვდა სავაჭრო საქმიანობის მნიშვნელოვნად დაკრედიტებას, და მართლაც, 1925 წლიდან 1930 წლამდე ჩათვ-

---

1 «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 183.

2 იქვე, გვ. 186.

3 იქვე, გვ. 218.

4 იქვე, გვ. 187.

5 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 452 — 457.

ლით სავაჭრო საქმიანობის დაკრედიტება გაიზარდა 4,6-ჯერ და 1930 წლის პირველი აპრილისათვის შეადგინა 28619 ათასი მანეთი[1].

1925 — 1930 წლების პერიოდში მაქსიმალურად შემცირდა კერძო კლიენტურის დაკრედიტება, რაც დაკავშირებული იყო სოციალისტური სექტორის განუხრელი ზრდისა, და ბოლოს, მთლიანად გაბატონებასთან სახალხო მეურნეობაში. აღნიშნულ პერიოდში კერძო კლიენტურის დაკრედიტება 3472 ათასი მანეთიდან შემცირდა 547 ათას მანეთამდე. კერძო მრეწველობას უკანასკნელად მიეცა კრედიტი 1927 წელს ათასი მანეთის რაოდენობით, ამავე წელს მიეცა კრედიტი, აგრეთვე უკანასკნელად, კერძო ვაჭრობას 25 ათასი მანეთის რაოდენობით. სოფლის მეურნეობამ 1928 წელსაც მიიღო, მაგრამ უმნიშვნელო — 5 ათასი მანეთის კრედიტი. ამით დამთავრდა საერთოდ კერძო კლიენტურის დაკრედიტება საქართველოში[2].

§ 7. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა. მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა

ა. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიის უპირველესი ამოცანაა. პირველი საბჭოთა დეკრეტებიდან დაწყებული არაერთი რადიკალური ხასიათის ღონისძიება გაუტარებიათ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება მიწის ნაციონალიზაცია და მისი უსასყიდლოდ გადაცემა გლეხობისათვის, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, ქალაქად კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება. გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის უზრუნველყოფა გრძელვადიანი და იაფი კრედიტით, სოციალური დაზღვევისა და უფასო სამედიცინო მომსახურების გაძლიერება, უმუშევრობის ლიკვიდაცია და პრძოლა შრომის მაღალი ანაზღაურებისათვის და ა. შ.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელებამ საქართველოში გამოიწვია მრეწველობის ჩქარი განვითარება, მასთან დაკავშირებით მუშათა კლასის რიგების ზრდა, ჭარბი აგრარული მოსახლეობის თანდათანობით დასაქმება, მაგრამ, მიუხე-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 464 — 465, 468.

[2] А. Какабадзе, Закономерности развития финансов Грузинской ССР, ч. 1.

დავად ამისა, უმუშევრობა ჩვენში მაინც იზრდებოდა 1929 წლამდე. ინდუსტრიალიზაციის პირველ პერიოდში შეუძლებელი გახდა სოფლისა და ქალაქის ზედმეტი მუშახელის ჩაბმა წარმოებაში. ამას ჯერ კიდევ ადრე ამჩნევდა პარტია. ამიტომ იყო, რომ საკ. კპ (ბ) XIV კონფერენციამ 1925 წელს თავის ერთ-ერთ დადგენილებაში ჩაწერა შემდეგი: „მიუხედავად ქალაქის, აგრეთვე სოფლის მწარმოებლურ ძალთა სწრაფი განვითარებისა, ის მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა სოფლის მთელი ნამეტი მოსახლეობის გამოყენებისათვის. ამიტომ აუცილებელია სოფლად არსებული მუშახელის მნიშვნელოვანი მასებისათვის გამონახულ იქნას მწარმოებლური გამოყენება. ამის მიღწევა შეიძლება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით, მრეწველობის შემდგომი ზრდით; შინამრეწველობისა და გარესარეწების განვითარებით, სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შემსუბუქებით და მიწის მოკლევადიანი იჯარით, აგრეთვე, გადასახლების მოწყობით და ხელმოკლე გლეხური მეურნეობებისადმი ფართო საწარმოო დახმარების გაწევით“[1].

1929 წლის შემდეგ უმუშევრობის ზრდა შეწყდა, რასაც ხელი შეუწყო ახალ სამრეწველო საწარმოთა გაძლიერებულმა მშენებლობამ და სოფლად ახალ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლის დაწყებამ. თუ ხუთწლედის პირველ წელს — 1928 წელს — საქართველოში 33 ათასამდე უმუშევარი პროფკავშირის წევრი ირიცხებოდა, 1930 წელს მათი რაოდენობა 10 ათასამდე შემცირდა[2]. 1930 წლის დამლევისათვის უმუშევრობა საქართველოში მოისპო.

საქართველოში დაქირავებულ შრომის პირთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა, 1928 — 29 წელს უდრიდა 152279 კაცს, ერთი წლის შემდეგ იგი 18,7 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 180760. აქედან მუშა იყო 25945. მათი რაოდენობა 1925 — 26 წელთან შედარებით გაიზარდა 87,9 პროცენტით[3].

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ქალთა სრული განთავისუფლების აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ქალების ფართოდ ჩაბმა არა მარტო სახელმწიფო მმართველობაში, არამედ საზოგადოებრივი შრომის ყველა დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და კულტურულ მშენებლობაში.

სოციალისტური რევოლუციით განთავისუფლებულ ქალთა ათასებმა მიაშურა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ურთულეს ფრონტებს. 1925 — 26 წელს დაქირავებულ შრომაში ჩაბმულ

---

1 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 190 — 191.

2 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“, გვ. 410.

3 «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 40.

ქალთა რაოდენობა 17360-მდე აღწევდა; მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა სოციალისტური მშენებლობის მასშტაბის ზრდასთან ერთად. 1929 — 30 წელს დაქირავებულ შრომაში მათი რაოდენობა 74,9 პროცენტით გაიზარდა 1925 — 26 წელთან შედარებით და მიაღწია 30366-ს, აქედან მრეწველობაში დასაქმებული იყო 18,4 პროცენტი.

პირველი ხუთწლედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სამუშაო ხელფასის ზრდა, რაც მუშათა კლასის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების აუცილებელი პირობა იყო. დაქირავებულთა საშუალო წლიური ხელფასი 1928 — 29 წელს უდრიდა 900 მანეთს, წინა წელთან შედარებით ის 8,7 პროცენტით გაიზარდა. 1929 — 30 წლისათვის იგი გადიდდა 9,0 პროცენტით და შეადგინა 981 მანეთი. 1925 — 26 წლის საშუალო წლიურ ხელფასთან შედარებით, 1929 — 30 წელს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გაიზარდა 29,4 პროცენტით.

მრეწველობაში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 1925 — 26 წელთან შედარებით 1928 — 29 წელს 20,5 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 853 მანეთი, ხოლო 1929 — 30 წლისათვის — 32,1 პროცენტით და შეადგინა 935 მანეთი. ცენზიან მრეწველობაში შედარებით უფრო მაღალი იყო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. ასე მაგალითად, იგი იმავე 1925 — 26 წელთან შედარებით 1928 — 29 წლისათვის გაიზარდა 18,8 პროცენტით და შეადგინა 909 მანეთი, 1929 — 30 წლისათვის — 29,7 პროცენტით გაიზარდა 1925 — 26 წელთან შედარებით და შეადგინა 992 მანეთი[1].

ჩვენ მიერ აქამდე მოყვანილი ცნობები სამუშაო ხელფასის შესახებ შეეხებოდა ყველა დაქირავებულ პირს (მუშას, მოსამსახურეს და სხვ.). ახლა ვნახოთ, თუ როგორ იზრდებოდა საკუთრივ მუშათა ხელფასი. მრეწველობაში დასაქმებული მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1928 — 29 წლისათვის 1925 — 26 წელთან შედარებით გაიზარდა 17,9 პროცენტით, რამაც აბსოლუტური გამოხატულებით შეადგინა 71 მანეთი და 59 კაპიკი, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი გადიდდა 15,2 პროცენტით და აბსოლუტური გამოხატულებით შეადგინა 2 მანეთი და 96 კაპიკი; 1929 — 30 წლისათვის მუშათა საშუალო თვიური ხელფასი იმავე 1925 — 26 წელთან შედარებით, გაიზარდა 28,6 პროცენტით, ანუ 78 მანეთსა და 11 კაპიკამდე, საშუალო დღიური ხელფასი — 28,9 პროცენტით, ანუ 3 მანეთი და 31 კაპიკამდე[2].

ამრიგად, საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი განუხრელად იზრდებოდა, იგი 1929 — 30 წლისათვის საშუალოდ გაიზარდა 28 —

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 412 — 413.

[2] იქვე, გვ. 414 — 416.

32 პროცენტით 1925 — 26 წლის ხელფასთან შედარებით. ნომინალური ხელფასის ზრდა ყოველთვის არ ნიშნავს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მთავარია რეალური ხელფასის დონე. მაგრამ ამ დონის განსაზღვრა ყოველთვის როდია ადვილი ან საერთოდ შესაძლებელი რიგი სტატისტიკური მასალების უქონლობის გამო. იმ მასალით, რომელიც ჩვენს ხელთ არის, შეიძლება გაკეთდეს რეალური ხელფასის დინამიკის მხოლოდ არასრული მონახაზი. ერთადერთი წყარო, რომელსაც სტატისტიკური კრებულები გვაწვდიან, ეს არის საბაზრო ფასების მოძრაობა პირველი მოთხოვნილების სამრეწველო საქონელზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

ჩვენ ვაჩვენეთ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის ზრდის დინამიკა. ახლა ვნახოთ იმავე პერიოდში როგორი იყო სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფასების დინამიკა. ყოველივე ეს შეიძლება გამოიხატოს ქვემოთ მოტანილი ცხრილით:

ცხრილი 4

წლები	მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდის პროცენტები წინა წელთან[1] შედარებით	პირველი მოთხოვნილების საგნებზე საცალო ფასების ზრდა (+) ან (—) დაკლება პროცენტობით წინა წელთან შედარებით						
		პური[2]	ხორცი (ძროხის)	ერბო (კარაქი)	შაქარი	ნარმა	საპონი	ნავთი
1926—27	3,6	—1,3	+6,6	+7,7	—6,4	—14,0	+15,8	—2,0
1927—28	5.5	+19,2	+0,3	+7,7	—3.7	—12,5	—2,4	+2,1
1928—29	8,7	+54,7	+7,2	+6,6	+0,9	0,0	—1,2	+3,1
1929—30	9,0	+28,4	+9,6	+19,6	+0,3	—2,5	+2,1	+19,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება პირველი მოთხოვნილების ძირითად საგნებზე ფასების ზრდის ტემპს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გასარკვევად. მისი დაახლოებით მაინც დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ მუშა-მოსამსახურის ხელფასის რა ნაწილი იხარჯებოდა 1926 — 27 წელს პირველი მოთხოვნილების ყველაზე მნიშვნელოვან საგნებზე და რა ნაწილი იხარჯებოდა იმავე საგნებზე მუშა-მოსამსახურის ხელფასიდან

[1] ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის „საბჭოთა საქართველოს 10 წელი" მასალების საფუძველზე (იხ. გვ. 412 — 413, და 492 — 493).

[2] პურის ფასებში იგულისხმება ხორბლის საბაზრო ფასი, დანარჩენი საგნების ფასები კოოპერატიული ვაჭრობის მასალებიდანაა აღებული.

1929 — 30 წელში, მათი შედარება კიდევ უფრო დააზუსტებს ჩვენს ცნობებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

ქალაქის მოსახლეობის (ძირითადად მუშა-მოსამსახურენი) ერთი სული 1926 წელს ერთ დღეში მოიხმარდა 530,1 გრამ პურს, 69,5 გრამ ხორცს, 42,2 გრამ შაქარს, 10,2 გრამ ერბო-კარაქს[1]. თუ კომლში ხუთ სულს ვიანგარიშებთ, მაშინ აღნიშნული პროდუქტების დღიური ხარჯვა იქნება: პური — 2 კგ. და 650,5 გრამი, ხორცი — 347,5 გრამი, შაქარი — 211,0 გრამი, ერბო-კარაქი — 51,0 გრამი.

ახლა ვნახოთ, იგივე კომლი პროდუქტების რა რაოდენობას მოიხმარდა 1928 წელს[2]. მუშა-მოსამსახურის (ან ქალაქის მოსახლის) ერთი სული 1928 წელს ხარჯავდა 503,5 გრამ პურს, 67 გრამ ხორცს, 50,1 გრამ შაქარს, 10,0 გრამ ერბო-კარაქს. ამრიგად, ერთი კომლი ხარჯავდა პურს — 2 კგ. და 517,5 გრამს, ხორცს — 335,0 გრამს, შაქარს — 250,0 გრამს და ერბო-კარაქს — 50 გრამს.

მუშა-მოსამსახურის ძირითადი სასურსათო პროდუქტების დღიური ხარჯვა და დანახარჯის ღირებულება შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ცხრილი 5

წლები	პროდუქტები (გრამებით) და მისი ფასები (კაპიკობით)[3]							
	პური		ხორცი		შაქარი		ერბო-კარაქი	
	წონა	ფასი	წონა	ფასი	წონა	ფასი	წონა	ფასი
1926	2.651,0	31,8	348,0	25,4	211.0	16,7	51,0	15,3
1928	2.518,0	99,7	335,0	26,6	251.0	19,3	50,0	17,0

ცხრილიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ჯერ ერთი, მოხმარების ნორმები არ განიცდიან რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას; მეორე, ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ფასების მხრივაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პურის ფასს, რომელიც სამჯერ გაზრდილა, რაც აიხსნება მაშინ პურის ფრონტზე შექმნილი სიძნელეებით.

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, 1926 წელს ქალაქის მაცხოვრებელს (მათ შორის მუშის ოჯახს) პურის, ხორცის, შაქრისა და ერბო-კარაქის დღიური ნორმის შესაძენად ეხარჯებოდა სულ 89,2 კაპიკი, ხოლო 1928 წელს — 162,6 კაპიკი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პურზე გაწეულ ხარჯს, მაშინ მუშის ოჯახს სამი სახის პროდუქტზე 1926 წელს ეხარჯებოდა 57,4 კაპიკი, 1928 წელს კი 62,9 კაპიკი. 1926 წელს (უფრო

---

1 „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 424 — 425.

2 შემდეგი წლების ცნობები არა გვაქვს.

3 წონისა და ფასების მაჩვენებლები დამრგვალებულია.

ზუსტად 1926 — 27 წელს) მუშის საშუალო დღიური ხელფასი უდრიდა 2,64 მანეთს, 1928 — 29 წელს — 2,96 მანეთს[1]. ამრიგად, ოთხივე სახის პროდუქტზე გაწეული დღიური ხარჯები შეადგენდა მუშის ოჯახის 1926 წლის საშუალო დღიური ხელფასის 33,6 პროცენტს, 1928 წელს კი 54,9 პროცენტს. მხოლოდ უკანასკნელ სამ (ხორცი, შაქარი და ერბო-კარაქი) პროდუქტზე გაწეული ხარჯები 1926 წელს შეადგენდა მუშის დღიური ხელფასის 21,7 პროცენტს, ხოლო 1928 წელს — 21,2 პროცენტს. როგორც ვხედავთ, ცხოვრების გაძვირების მთავარი მიზეზი პურის მაღალი ფასებია. მაგრამ პურის ფასები აღებული გვაქვს საბაზრო ფასების მიხედვით, რადგან ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არ არის ცნობები პურის იმდროინდელი სახელმწიფო და კოოპერაციული ფასების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა ყოფილიყო საბაზრო ფასებთან შედარებით. მუშის შემოსავალში უნდა ვიანგარიშოთ სახელმწიფოს მიერ სოციალურ დაზღვევაზე, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები. აგრეთვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პურის გაძვირებით გამოწვეული მუშის ზედმეტი ხარჯის გადაფარვა ხდებოდა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებით მიღებული დანაზოგით. ასე მაგალითად, 1926 — 27 წელს საპნის, ნარმის, ძაფის, ლურსმნის, ნავთისა და ასანთის (ზომის შესაფერ ერთეულზე — მეტრი, კოჭი, კილოგრამი, ლიტრი და 10 კოლოფი) ფასებმა 187,1 კაპიკიდან 1928 — 29 წლისათვის დაიკლო 176,1 კაპიკამდე[2]. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ შედარებით უკეთესი სურათი წარმოგვიდგება.

პურის ფრონტზე არსებული სიძნელეების გამო 1933 წელსაც რჩებოდა მაღალი ფასები პურზე. 1933 წლის ბოლოდან თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და ფოთში სახელმწიფომ მოაწყო პურის კომერციული გაყიდვა, 1934 წელს იგი მოეწყო დამატებით 17 ქალაქში. კომერციული პურითა და სხვა სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობამ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა საბაზრო კონიუნქტურაზე. 1934 წლის 25 ოქტომბრისათვის 1933 წლის 25 ივლისის ფასებთან შედარებით, როგორც ზევითაც ვნახეთ, საკოლმეურნეო ბაზრებზე დაეცა ფასი: პურზე— 62,5 პროცენტით, ძროხის ხორცზე — 23,0, კარაქზე — 45,4, კარტოფილზე — 65,7, ლობიოზე — 70,0 და კვერცხზე — 30,0 პროცენტით. ამავე პერიოდში მოხდა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებაც. სახელმწიფო სავაჭროში ფასებმა დაიკლო ხორბლის გამომცხვარ პურზე — 20,0 პროცენტით, ზეთზე — 25,1 პროცენტიდან — 34,4 პროცენტამდე, რძეზე — 25,1 და მარგარინზე — 37,5 პროცენტით. ფასების დაკლება ჩა-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 416.

[2] იქვე, გვ. 492.

ტარდა აგრეთვე კომერციული ფონდის სასურსათო პროდუქტებზედაც (შაქარი, კანფეტი და სხვ.) [1].

მართალია, 1928 — 29 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე მუშის ხარჯები, მაგრამ არც ხელფასის დონე იყო გაყინული. ისიც იზრდებოდა თანდათანობით, 1928 — 29 წლიდან კი უფრო ჩქარი ტემპით. 1928 წელთან შედარებით 1932 წელს საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი გაიზარდა 862 მანეთიდან 1730 მანეთამდე, ანუ 100,7 პროცენტით, ხოლო ცენზიანი მრეწველობის მუშათა თვიური ხელფასი — 67,9 მანეთიდან 113,3 მანეთამდე, ანუ 66,9 პროცენტით [2].

მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ კომუნალურ მეურნეობას, მის განვითარებას. პირველი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო კომუნალურ მეურნეობაში 42 601 ათასი მანეთის კაპიტალდაბანდება, მაგრამ დააბანდეს გაცილებით უფრო მეტი — 55,3 მილიონი მანეთი. აქედან მარტო თბილისში — 71,7 პროცენტი[3].

კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებული კაპიტალის უმეტესი ნაწილი მოხმარდა წყალგაყვანილობის (2814,0 ათასი მან.), ქალაქის ტრანსპორტის (1963,1 ათასი მან.), ელექტრომეურნეობის (1339,1 ათასი მან.), ქალაქის კეთილმოწყობის (3969,0 ათასი მან.) და სხვათა სამუშაოებს; აგრეთვე, მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდა სასტუმროების, აბანო-სამრეცხაოების, კანალიზაციისა და სხვათა მშენებლობასა და კეთილმოწყობას [4].

1932 წლამდე კომუნალური მეურნეობის ხაზით დიდმნიშვნელოვან სამუშაოებს განეკუთვნებიან ნატახტარის წყალსადენის მშენებლობის დაწყება, ტრამვაის მეურნეობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ქუთაისის წყალგამტარის მშენებლობის დაწყება, სოხუმისა და ბათუმის კანალიზაცია, აბანოებისა და სასტუმროების მშენებლობა ზუგდიდში, ცხაკაიაში და სხვ. [5]. 1932 — 1934 წლების დიდმნიშვნელოვანი მშენებლობანი იყო: ჩელუსკინელთა ხიდის მშენებლობა, კალიაევის (ახლა ბარათაშვილის) აღმართის შეკეთება, სანაპიროს მშენებლობა, ტრამვაის ფართოლიანდა-

---

[1] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 119.

[2] «Итоги выполнения первого пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 161.

[3] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 129.

[4] იქვე, გვ. 130.

[5] იქვე, გვ. 131.

გიან გზაზე გადასაყვანად მუშაობის დაწყება, ვერის აბანოსა და პარკის მშენებლობა, ფედერაციის (ახლა ლენინის) სახელობის მოედნის რეკონსტრუქცია და სხვ.[1]. მიუხედავად ასეთი დიდი მშენებლობისა, კომუნალური მეურნეობის განვითარება ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ქალაქის ზრდის ტემპებს. 1926 — 27 წლიდან 1933 წლამდე ჩათვლით საქართველოს ქალაქთა მოსახლეობა გაიზარდა 35,3 პროცენტით, ამავე პერიოდში ქალაქების წყლით მომარაგება გაიზარდა მხოლოდ 23,0 პროცენტით, აბანოების გამტარუნარიანობა — 7,0 პროცენტით[2].

საქართველოში ქალაქების ზრდის ტემპებს კიდევ უფრო ჩამორჩებოდა საბინაო მშენებლობა. ასე მაგალითად, როდესაც თბილისში 1926 წლიდან 1933 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 37,7 პროცენტით, საცხოვრებელი ფართობი გადიდდა მხოლოდ 14,2 პროცენტით[3]. საქართველოში საბინაო მშენებლობის სტატისტიკა შემდეგ სურათს გვიჩვენებს[4] .(იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

წლები	კაპიტალდაბანდ. ათას მანეთებში	სამშენებლო ობიექტები	საცხოვრებელი ფართობი კვ. მეტრობით
1927—28	4640,0	468	24427
1928	—	705	35 137
1929	—	685	37256
1930	—	635	34562
1931	14844.0	907	47757
1932	19030,0	475	26221
1933	19926,8	ცნობები არ არის	ცნობები არ არის
1934	27420,0	„ „	„ „

განსაკუთრებით დიდი იყო საბინაო მშენებლობის მასშტაბი თბილისში, მაგრამ მოსახლეობის ზრდის ტემპებს მაინც ჩამორჩებოდა, რის გამოც ერთ სულ მოსახლეზე საბინაო ფართობის ნორმა მცირდებოდა. მაგალითად, 1926 წელს, როდესაც თბილისში ცხოვრობდა 280 ათასზე მეტი კაცი, ხოლო ქალაქის საბინაო ფართობი შეადგენდა 1 926 545 კვადრატულ მეტრს, თითოეულ სულზე საშუალოდ საბინაო ფართობი მოდიოდა 6,9 კვ მეტრის რაოდენობით. 1927 წლიდან 1932 წლამდე აშენდა და ქალაქის საბინაო ფონდს შეემატა 118 300 კვ მეტრის ფართობი, საცხოვრებლად გადაკეთდა 54 390 კვ მეტრის ფართობი. ამავე პერიოდში ქუჩე-

---

1 «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 131 — 132.

2 იქვე, გვ. 133.

3 იქვე, გვ. 135.

4 იქვე, გვ. 137.

ბის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ან მეტისმეტი მოძველების გამო აღებულ იქნა 131 600 კვ მეტრი ფართობის სახლები. ასე, რომ 1926 წლიდან 1933 წლის 1 იანვრისათვის თბილისში ნამატი ბინის ფართობი იყო 41 080 კვ მეტრი. დაახლოებით ამავე დროს (1927 წლიდან 1933 წლის 1 იანვრამდე) თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 78 091 კაცით. ამის გამო შემცირდა ერთ სულზე საცხოვრებელი ფართობის საშუალო ნორმა 1926 წლის 6,9 კვ მეტრიდან 5,9 კვ მეტრამდე 1932 წლის ბოლოსათვის[1].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მშრომელთა სოციალური დაზღვევის საქმეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში დაზღვეული იყო მხოლოდ 10 ათასამდე კაცი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაზღვეულთა რიცხვი სწრაფად იზრდება. 1931 წელს დაზღვეული იყო 222 ათასზე, ხოლო 1932 წელს — 271 ათასზე მეტი, იგი თანდათანობით იზრდებოდა შემდეგ წლებშიც. ასევე იზრდებოდა სოციალურ დაზღვევაზე გაწეული ხარჯებიც, 11579,1 ათასი მანეთიდან (1927 — 28 წელს) — 28669,9 ათას მანეთამდე 1931 წელს. თითოეულ დაზღვეულზე 1931 წელს დაიხარჯა საშუალოდ 130 მანეთი, 1934 წელს კი 160 მანეთი[2]. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ 1932 წელს სოციალურ უზრუნველყოფაზე ირიცხებოდა 10,4 ათასზე მეტი პენსიონერი და წითელარმიელთა ოჯახის წევრები[3].

განსახილველ პერიოდში დიდი სოციალური ხასიათის გარდაქმნებს ჰქონდა ადგილი საბჭოთა სოფელშიც. მიუხედავად სოფლად ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობა, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, გლეხური მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მყარ საფუძველს წარმოადგენდა.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრუნვაზე მიუთითებენ აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ხაზით პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ფართოდ გაიშალა საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა. 1913 წელს 36 საექიმო პუნქტი და 38 საავადმყოფო (2 ათასამდე საწოლით) არსებობდა საქართველოში. 1920 წელს მხოლოდ 109 საექიმო პუნქტი და 45 საავადმყოფო იყო ათასზე ცოტა მეტი საწოლით.

---

[1] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 138.

[2] იქვე, გვ. 176 — 177.

[3] იქვე, გვ. 179.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დასასრულს, 1925 წლის ბოლოს, საქართველოში მუშაობდა 219 საექიმო პუნქტი და 68 საავადმყოფო 3200-ზე მეტი საწოლით. 1929 წლისათვის საექიმო პუნქტების რაოდენობა გაიზარდა 245-მდე და საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობამ 3700 გადააჭარბა. 1931 წელს საქართველოში უკვე 329 საექიმო პუნქტი მუშაობდა[1]. საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა 5300-მდე გაიზარდა, ერთი წლის შემდეგ კი 6 ათასამდე[2]. გარდა აღნიშნულისა, 1929 წლიდან 1931 წლამდე ჩათვლით იზრდებოდა დისპანსერების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ბავშვთა ბაგების, აფთიაქებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა რაოდენობა.

სამკურნალო დაწესებულებათა ზრდა, რასაკვირველია, წარმოუდგენელია სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე. 1913 წელს საქართველოში 261 ექიმი მუშაობდა, აღდგენითი პერიოდის დასასრულს — 811, 1929 წელს — 1475. ერთი წლის შემდეგ — 1615, 1931 წელს — 1701. როგორც ვხედავთ, ექიმების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 1913 წელს ერთ ექიმზე მოდიოდა 8716 კომლი, 1925 წელს — 3146, 1930 წელს კი — 1761 კომლი[3].

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებანი ერთდროულად ფინანსდებოდა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ხაზითაც. 1925 წლიდან 1930 წლამდე ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯები გაიზარდა 5 481 ათასი მანეთიდან 13949 ათას მანეთამდე. ერთ სულ მოსახლეზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები 0,60 მანეთიდან (1913 წ.) გაიზარდა 4,91 მანეთამდე 1930 წელს[4]. ჯანმრთელობის დაცვაზე 1931 წლიდან 1932 წლამდე ჩათვლით დაიხარჯა 24 მილიონი მანეთიდან 37 მილიონ მანეთამდე[5]. საკურორტო მშენებლობაზე 1931 წლიდან 1932 წლამდე ჩათვლით დაიხარჯა 3 მილიონი მანეთიდან 10 მილიონ მანეთამდე. აღნიშნული თანხები იხარჯებოდა წყალტუბოს, ბორჯომის, აბასთუმნის, ახტალის, ბახმაროს, ახალათონის, გაგრის, ქობულეთისა და სხვათა კეთილმოწყობაზე.

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 86.

[2] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 165.

[3] „საბჭოთა საქართველოს 10 წელი", გვ. 91.

[4] იქვე.

[5] «Материалы по отчету правительства ССР Грузии к VII съезду Советов», стр. 169.

საქართველოს ისტორიის 1929 — 1932 წლების მონაკვეთი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ეტაპია ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს არის ჩვენი ხალხის ისტორიული განვითარების ის პერიოდი, როდესაც იგი დევგმირული ძალითა და ურყევი გადაწყვეტილებით შეუდგა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საძირკვლის აგებას, რომ შემდეგ მასზე ამოეყვანა უკლასო საზოგადოების, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალი საზოგადოების მტკიცე კედლები. დიდი იდეები დიდ ენერგიასაც ბადებენ. სოციალისტური მშენებლობის იდეებით შეიარაღებული ადამიანები შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ბრწყინვალე და უმაგალითო ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

საქართველოს მუშათა კლასის შრომითი აქტივობის საუკეთესო გამოვლინება იყო ჯერ კიდევ აღდგენით პერიოდში სოციალისტურ სამრეწველო საწარმოებში საწარმოო თათბირების შექმნა. საწარმოო თათბირებს არა მარტო დიდი ეკონომიური, არამედ დიდი პოლიტიკური ეფექტიც ჰქონდა. საწარმოო თათბირები აღმოჩნდა საუკეთესო სკოლა მუშათა კლასის მოსამზადებლად წარმოების ხელმძღვანელობისათვის. აქ სწავლობდნენ მუშები სოციალისტური სამრეწველო საწარმოს გაძღოლას. საწარმოო თათბირებზე წყდებოდა შრომისნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისა და სხვა საკითხები.

საწარმოო თათბირები შემდეგში სოფლის მეურნეობაშიც შეიქმნა, მათ ქმნიდნენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან. მაგრამ საწარმოო თათბირებმა ამ პერიოდში სოფლად ვერ მიიღო ფართო განვითარება.

სოფლად და ქალაქად სოციალისტური მშენებლობის პირველი ნაბიჯებიდანვე ინერგებოდა ახალი სოციალისტური შრომის ფორმები და მეთოდები. ისინი პირველი შაბათობებიდან იღებენ სათავეს. შაბათობებში ვ. ი. ლენინი ხედავდა „დიად წამოწყებას", ახალი სოციალისტური შრომის სათავეს, რომელიც დიდ გაქანებას აძლევდა მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო დავალებების, საზოგადოებრივი სამუშაოების ვადაზე ადრე და წარმატებით შესრულებისათვის. „სოციალიზმი არათუ არ აქრობს შეჯიბრებას, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიაში — „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება", რომელიც „პრავდამ" გამოაქვეყნა 1929 წლის 20 იანვარს, — არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფ ა რ თ ო დ, ნამდვილად მ ა ს ობ რ ი ვ ა დ, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ

თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა"[1].

სოციალისტური შეჯიბრების ლენინურ იდეას პირველი გამოეხმაურენ ლენინგრადელი მუშები „კრასნი ვიბორჟეციდან" 1929 წლის 5 მარტს. მათ იმავე წლის 9 მარტს მხარი დაუჭირა თბილისის გაზეთმა „რაბოჩაია პრავდამ" და მოუწოდა მუშებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლისაკენ. 1929 წლის აპრილში პარტიის XVI კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ყველა მშრომელს პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა სოციალისტური შეჯიბრება გამოაცხადა სამეურნეო გეგმის შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად[2].

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. თბილისელმა მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოსა და ერევნის მუშათა კოლექტივები, შეჯიბრებაში ჩაებნენ საქართველოსა და უკრაინის მანგანუმის მადნის სარეწების მუშები. სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მოწინავე მუშები ქმნიდნენ „დამკვრელ ბრიგადებს". პირველი „დამკვრელი ბრიგადები" მოეწყო 1929 წელს სამთამადნო მრეწველობაში, მელითონე და ხე-ტყის წარმოების მუშათა შორის.

1929 წლის ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა მუშათა „დამკვრელი ბრიგადების" პირველი რესპუბლიკური ყრილობა. აქ მოხდა „დამკვრელი ბრიგადების" მიერ დაგროვილ გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების მდგომარეობის შემოწმება და მისი შემდგომი გაფართოების პერსპექტივების დასახვა[3].

იმავე წლის დეკემბერში შეიკრიბა „დამკვრელი ბრიგადების" პირველი საკავშირო ყრილობა მოსკოვში. მან ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მოუწოდა „გადააქციეთ შეჯიბრება თქვენი მუშაობის სისტემად, სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდად, ხუთწლედის შესრულების ძირითად იარაღად"[4].

საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი აქტივობის შედეგად ხუთწლედის პირველი წლის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა ყველგან, მთელ საბჭოთა კავშირში. ამ წარმატებათა საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მოწინავე

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი. ტ. 26, გვ. 471 — 472.
2 „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. II, გვ. 819.
3 „საქართველოს ისტორია", ნაწ. III, გვ. 366.
4 Газ. «Правда», 11 декабря 1929 г.

მუშებმა წამოაყენეს ლოზუნგი „ხუთწლედი-ოთხწლედში“. საქართველოს მუშათა კლასიც ჩაება ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მუშათა კლასს არც გლეხობა ჩამორჩა. 1929 წლის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა კოლმეურნეობებისაკენ არა მარტო ღარიბი, არამედ საშუალო გლეხობის ლტოლვაც. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქებიდან სოფლებში გაიგზავნა მრავალი მოწინავე მუშა, ერთ შემთხვევაში 150, მეორე შემთხვევაში — 200 და, ბოლოს, ცენტრიდან, თბილისიდან, საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკების არაერთი ნაკადი, 1300 კაცის რაოდენობით, გაიგზავნა რაიონულ ცენტრებში სამუშაოდ, რაიონული ცენტრებიდან კი ათასზე მეტი მუშაკი — ძირეულ ორგანიზაციებში სამუშაოდ. მუშათა კლასის წარგზავნილებმა საქართველოს გლეხობას დიდი დახმარება გაუწიეს საკოლმეურნეო მშენებლობაში და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაში.

საქართველოს გლეხობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა სოფლად გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში უდიდესი გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორი იყო. კულაკობის წინააღმდეგ პურის დამზადების კამპანიის წარმატებით ჩატარება, საბჭოების არჩევნებში კულაკებისა და ანტისაბჭოთა პარტიების ნამსხვრევთა იზოლაცია, საარჩევნო კამპანიაში მშრომელთა მონაწილეობის შედარებით მაღალი პროცენტი, კოლმეურნეობებში ღარიბთა რაოდენობრივი ზრდა და მათი დარაზმვა კულაკობის წინააღმდეგ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში და სხვ. წარმოადგენდნენ მშრომელი გლეხობის პოლიტიკური აქტივობის უტყუარ მაჩვენებლებს. ყოველივე ამის შედეგად 1929 წელი აღინიშნა ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებითა და საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობით. „აი, ეს ორი უდიდესი ნაკადი პროლეტარიატის და გლეხობის აქტივობის ზრდისა, — ამბობდა ვ. კუიბიშევი დამკვრელთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1929 წლის დეკემბერში, — რომელიც 1928 — 29 წწ. შეერთდა სოციალისტურ შეჯიბრებად და დამკვრელ ბრიგადებად, ხდიან 1928 — 29 წელს ზღვარად ახალი ეპოქისა, სრულიად სხვა ტემპების, სრულიად ახალი მასშტაბისა და სოციალიზმის მშენებლობის გაფართოებისა“[1]. ამიტომ 1929 წელი საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში შევიდა როგორც „დიადი გარდატეხის წელი“.

პირველი ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის მოძრაობამ საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. მთელ ქვეყანას მოე-

---

1 ვ. კუიბიშევი, სოციალიზმის ბრიგადები, თბ., 1930, გვ. 4.

დო სოციალისტური შეჯიბრება. იქმნებოდა სოციალისტური შრომის ახალი ფორმები და მეთოდები — სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, „საზოგადოებრივი ბუქსირი", შემხვედრი გეგმები, სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები და სხვ. [1].

საქართველოს მუშათა კლასის შრომითი აქტივობის გამოვლინება იყო არა მარტო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, არამედ მუშათა გამომგონებლობა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი და ახალი ფორმების დანერგვა. 1929 წელს საქართველოს მუშებმა 400-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის უმაღლეს ფორმებს წარმოადგენდნენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცვლათა შემხვედრი გეგმები და სამეურნეო ანგარიშის ბრიგადები. ისინი წარმოადგენდნენ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის მასების მობილიზაციის მძლავრ ბერკეტებს. საქართველოში ცვლის შემხვედრი გეგმების პირველ პიონერებად გამოვიდნენ ჭიათურის მანგანუმის მაღაროების დამკვრელი მუშები, რაც შეეხება სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებს, ისინი ძალიან გამრავლდნენ, 1932 წლისათვის 1200-ზე მეტ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადაში გაერთიანებული იყო 14 ათასამდე დამკვრელი მუშა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პერიოდში სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. 1929 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში ჩაბმული იყო 7 ათასამდე მუშა, ხოლო 1932 წლის 1-ლი აპრილისათვის მათმა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა.

სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ყოველმხრივ გაშლასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამკვრელთა მეორე რესპუბლიკურმა ყრილობამ, რომელიც შედგა 1931 წლის აპრილში [2].

საქართველოს მუშათა კლასის, მისი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის შრომითი აქტივობის შედეგად სახეს იცვლიდა და ვითარდებოდა სოციალისტური მრეწველობა, იგი თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სახალხო მეურნეობაში. „მთელი მრეწველობის საერთო ზრდასთან ერთად 1931 წელს,—ამბობდა პარტიის XVII კონფერენციაზე გ. ორჯონიკიძე,—მოხდა უღრმესი გარდატეხა თვით მრეწველობის შიგნით. პარტიის სამეურნეო მუშაკების, ორგანიზაციების, პროფკავშირების, დამ-

---

[1] დაწვრილებით იხ. მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი, მრეწველობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, გვ. 40 — 58.

[2] „საქართველოს ისტორია", ნაწ. III, გვ. 371.

კვრელების და საუკეთესო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მეცადინეობით, მთელი მუშათა კლასის მეცადინეობით ტარდებოდა ახალი ტექნიკის ფართო მასშტაბით დანერგვა და ახალ წარმოებათა მოწყობა"[1].

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებებმა უზრუნველყვეს უმუშევრობის ლიკვიდაცია 1930 წელს. პირველი ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებამ ხელი შეუწყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა პირობას მუშათა კლასის ახალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის აღმავლობისათვის.

მუშათა კლასის შრომითი აქტივობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. ამ ბრძოლისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობას ქმნიდნენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ცნობილია, რომ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია წინა, ძველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას ამარცხებდა იმით, რომ იგი აღწევდა შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას. „სოციალიზმი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას" [2].

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისა და მუშათა კლასის მაღალი შრომითი აქტივობის შედეგად მიღებულ იქნა შრომისნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა ამიერკავკასიის მრეწველობაში. მრეწველობის „ა" ჯგუფში შრომისნაყოფიერება 1928 წელთან შედარებით 1932 წელს გაიზარდა 62,6 პროცენტით, მრეწველობის „ბ" ჯგუფში — 65,2 პროცენტით. ქვანახშირის მრეწველობაში შრომისნაყოფიერება გადიდდა 177,1 პროცენტით, მანქანათმშენებლობაში — 37,3, მანგანუმის მადნის მრეწველობაში — 80,9, ცემენტის წარმოებაში — 82,4, სატყეო მრეწველობაში — 41,7, ბამბეულის წარმოებაში — 22,4, მატყლის წარმოებაში — 79,0, ტყავის მრეწველობაში — 51,4, სამკერვალო წარმოებაში — 55,2 და თამბაქოს მრეწველობაში — 121,7 პროცენტით[3].

მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური აქტივობის მძლავრი აღმავლობა დაიწყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დაწყებასთან ერთად. დიდი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა საბჭოების არჩევნები საქართველოში 1929 წელს. არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 70,3 პროცენტი, მაშინ როდესაც ყველა წინა არჩევნებში (ცალ-

---

[1] გ. ორჯონიკიძე, სოციალისტური მრეწველობის მიღწევები და ამოცანები, თბ., 1932. გვ. 97.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 499.

[3] «Итоги выполнения пятилетнего плана развития народного хозяйства ЗСФСР», стр. 160.

ცალკე) ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებელი 56 პროცენტს არ ასცილებია. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მონაწილეობა. 1929 წელს სათემო საბჭოში აირჩიეს 27 ათასი მშრომელი, აქედან 16 პროცენტი იყო ქალი, სათემო აღმასკომებში — 2600, აქედან ქალი — 14,4 პროცენტი; საბჭოების სამაზრო ყრილობაზე არჩეული 3400 დელეგატიდან ქალი იყო 15,2 პროცენტი, ხოლო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეული 1300 კაციდან — 11,7 პროცენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია არა მარტო ის, რომ ხელისუფლების ორგანოებში გზა ფართოდ გაეხსნა საერთოდ მშრომელი დემოკრატიის წარმომადგენლებს, არამედ ისიც, რომ ქალების ხვედრითი წონა სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შედარებით წინა წლებთან, როდესაც ხელისუფლების ორგანოებში ქალთა ხვედრითი წონა საშუალოდ 8 — 9 პროცენტს არ აღემატებოდა.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე მიუთითებს კომუნისტური პარტიის, ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რიგების განუხრელი ზრდა 1923 — 1932 წლების პერიოდში[1].

ამრიგად, საქართველოს მშრომელებმა წარმატებით გადაწყვიტეს პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები. გეგმა მთლიანად შეასრულეს ოთხ წელიწადსა და სამ თვეში. გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, გაიზარდა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. შეიქმნა სოციალიზმის მყარი ეკონომიური საფუძველი.

---

[1] «Коммунистическая партия Грузии в цифрах (1921—1970 гг.)», стр. 36—57.

თავი მეოთხე

საქართველო სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში (1933 — 1938 წწ.)

§ 1. სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის მიღება, მასების მოგბილიზაცია მისი განხორციელებისათვის

საბჭოთა ხალხმა პირველი ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. ამ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებასა და კლასობრივ სტრუქტურაში. ხუთწლედის მანძილზე ბევრად წავიდა წინ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღჭურვა ახალი მანქანა-იარაღებით. შეიქმნა და განვითარდა მრეწველობის მრავალი ახალი დარგი. გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია საკოლმეურნეო მოძრაობამ.

ხუთწლედის წარმატებების შედეგად განმტკიცდა სოციალიზმის პოზიციები სსრ კავშირში. გაიზარდა საბჭოთა ქვეყნის მნიშვნელობა და ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატება, გეგმიანი მეურნეობის გაძღოლის მნიშვნელოვანი გამოცდილება და მასების დიდი შრომითი აღმავლობა შესაძლებლობას აძლევდნენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მეორე ხუთწლედში სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო ფართო ამოცანები დაესახათ.

ეს საკითხი განიხილა სკპ (ბ) კონფერენციამ, რომელიც 1932 წლის 30 იანვარს შეიკრიბა. კონფერენციამ მიიღო „დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად". დირექტივების საფუძველზე შედგა მეორე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც განიხილა და მიიღო სკკპ XVII ყრილობამ 1934 წლის 26 იანვარს. ყრი-

ლობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით საგრძნობ სამეურნეო და კულტურულ ზრდას ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რაიონებში, რომლებიც სწრაფად მიდიან თავიანთი ჩამორჩენილობის საბოლოო ლიკვიდაციის გზით"[1]. ეს დახასიათება საქართველოსაც შეეხებოდა.

მეორე ხუთწლედის ძირითადი პოლიტიკური ამოცანა იყო კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, სრული მოსპობა იმ მიზეზებისა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას, ერთი ადამიანისაგან მეორის ექსპლოატაციას, დაძლევა კაპიტალიზმის გადმონაშთებისა ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში, ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

ხუთწლედის ძირითად და გადამწყვეტ სამეურნეო ამოცანად ყრილობამ დასახა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, ახალი ტექნიკური ბაზის შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაციას და სახალხო შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას უნდა უზრუნველეყო მუშებისა და კოლმეურნე მასების, გლეხობის, ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო სწრაფი აღმავლობა, „რეალური ხელფასის საგრძნობი ზრდა, მშრომელთა მოხმარების დონის 2—3-ჯერ ამაღლება"[2].

ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელი იყო მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გზით. ხოლო სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების გადამწყვეტ პირობას მეორე ხუთწლედში წარმოადგენდა ახალი ტექნიკისა და ახალი წარმოებების ათვისება.

ხუთწლედის წინაშე მდგარი ამ ამოცანის შესახებ ი. ბ. სტალინი ამბობდა, რომ ახალი მშენებლობის პათოსი უნდა შევავსოთ ახალი ქარხნებისა და ახალი ტექნიკის ათვისების პათოსით, შრომისნაყოფიერების სერიოზული ამაღლების, თვითღირებულების სერიოზული შემცირებითო[3]. ამ ამოცანების შესრულება უზრუნველყოფდა კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის — განხორციელებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის ხუთწლედის შესაბამისად შედგა და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სოციალისტური მშენებლობის ამ ახალი პროგრამის შემუშავება დაიწყო პირველი ხუთწლედის დამთავრებამდე.

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, 1956, გვ. 281.

[2] იქვე.

[3] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 196.

1932 წლის 30 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ახალი ხუთწლედის ამოცანები, შემდეგ შედგენილ იქნა და იმავე წლის 6 ივლისს გამოქვეყნდა „დირექტივები სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ მეორე ხუთწლედში“[1]. პროექტის განხილვა მოეწყო რესპუბლიკის სამრეწველო-სამეურნეო ცენტრებში და სარაიონთაშორისო კონფერენციებზე[2]. 1932 წლის 21 აგვისტოს ასეთი კონფერენცია ჩატარდა ბათუმში, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკები, პრესის წარმომადგენლები. კონფერენციამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედის შესახებ და ბევრი საქმიანი და ანგარიშგასაწევი მოსაზრება გამოთქვა საბჭოთა საქართველოსა და განსაკუთრებით აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. კონფერენციები მოეწყო აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალსა და ბევრ სხვა ადგილას. ჩატარებული მუშაობის საფუძველზე საბოლოოდ შემუშავდა სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედის გეგმა.

გამოქვეყნებულ დირექტივებში გარკვეულია სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულება და ამოცანა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებამ, XVII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია რესპუბლიკის ენერგეტიკული და მდიდარი ნედლეულის ეფექტურად გამოყენების ბაზაზე[3].

საქართველოს მრეწველობის განვითარება, — ნათქვამია დირექტივებში, — უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ შემდგომშიც უზრუნველყოს ელექტროენერგიის გამომუშავების აღმავლობა, სათბობი მრეწველობის (ნავთი, ქვანახშირი) განვითარება, შეიქმნას ელექტროტევადი წარმოება (ელექტრომეტალურგია, ფეროშენადნობი და სხვ.) და ფერადი მეტალურგია (სპილენძი, ტყვია, თუთია, ალუმინი). საგრძნობლად განვითარდეს მინერალური მადნეულის მრეწველობა და მინერალების სამრეწველო გადამუშავება, მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა სოფლად ტექნიკური კულტურების განვითარებასთან მჭიდრო კავშირში.

დირექტივები დეტალურად განიხილავდნენ მეორე ხუთწლედის ამო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1932 წლის 6 ივლისი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 4258, ფურც. 93.

[3] იქვე, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 4237, ფურც. 188, 189.

ცანებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის ყველა დარგში.

მრეწველობის ხაზით ახალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ელექტრომრეწველობის განვითარებას. „საქართველოს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია მაღალტექნიკურ საფუძველზე,— ნათქვამია დირექტივებში, — მოითხოვს მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას. საქართველოს განსაკუთრებული სიმდიდრე წყლის ენერგეტიკული რესურსებით გამოყენებული უნდა იქნეს სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. ახალი ელექტროსადგურების მშენებლობამ მეორე ხუთწლედში უნდა უზრუნველყოს დაწყებული ელსადგურების დამთავრება და ამიერკავკასიის მთლიანი ჯგუფის შექმნა[1].

აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ახალი ჰიდროელექტროსადგურების — ხრამჰესის, რიონჰესის მეორე რიგისა და სხვა ობიექტების — აგება, თბოსადგურების აშენება ტყვარჩელსა და შირაქში. ხუთწლედის ბოლოს, 1937 წელს, ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეს უნდა მიეღწია 650—700 ათას კილოვატამდე.

დირექტივები ითვალისწინებდა შავი მეტალურგიის განვითარებას, განსაკუთრებით ფერომანგანუმის წარმოების გადიდებას 150 ათას ტონამდე ხუთწლედის ბოლოსათვის.

მანგანუმის ამოღება უნდა გადიდებულიყო იმდენად, რომ სავსებით უზრუნველეყო საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის მოთხოვნილებანი და ექსპორტი, მანგანუმის წარმოებას უნდა მიეღწია 1,5 მილიონ ტონამდე წლიურად.

აღსანიშნავია, რომ დირექტივები განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ქიმიური მრეწველობის განვითარების ამოცანებს, აღნიშნავდნენ მრეწველობის ამ დარგის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის. „ის გარემოება, — ნათქვამია დირექტივებში, — რომ პირველ ხუთწლედში სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო გაშლილი ქიმიური მრეწველობა საქართველოში, საჭიროდ ხდის მის დაჩქარებას მეორე ხუთწლედში. ძირითად ამოცანად ქიმიური მრეწველობის განვითარების დარგში დაისახოს სასუქის წარმოების ორგანიზაცია (აზოტი, სუპერფოსფატი) მოსავლიანობის გასადიდებლად და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა წარმოება“.

ასევე დიდი ამოცანები დაისახა მანქანათმშენებლობის დარგში. გათვალისწინებული იყო მრეწველობის ამ დარგის განვითარების როგორც უახლესი, ისე შორეული პერსპექტივები. „მანქანათმშენებლობის დარგ-

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1932 წლის 6 ივნისი.

ში, — ნათქვამია დირექტივებში — აღებულ იქნეს კურსი მოქმედი საწარმოების (აბრეშუმის, ჩაის, მეღვინეობისა და სხვ.) მოწყობილობათა შემდგომ განვითარებაზე და მთელი რიგი ახალი საწარმოების (სამთამადნო, ელექტრომოტორის, საგზაო მშენებლობის, სამანქანო-საკაბელო) საწარმოების შექმნაზე".

მსუბუქი მრეწველობის ხაზით დირექტივები ითვალისწინებდნენ ახალი ფაბრიკების აგებას ისეთი მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივი ნედლეულის მთლიან გადამუშავებას. კერძოდ, უნდა აშენებულიყო აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები რაიონებში, სამკერვალო ფაბრიკა — თბილისში. გათვალისწინებული იყო ბათუმის ფაბრიკის გაფართოება, ფეხსაცმელების ფაბრიკის ამუშავება თბილისში და, აგრეთვე, სხვა საწარმოთა მოწყობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

დირექტივები ითვალისწინებდა კვების მრეწველობაში ხილ-ბოსტნეულის საერთო მოსავლის 10 პროცენტის გადამუშავებას, საკონსერვო წარმოების გაფართოებას 200 მილიონ პირობით ქილამდე წლიურად; თამბაქოს მრეწველობის გაფართოებას არსებული ფაბრიკების გადიდებისა და ახლების აგების გზით.

სოფლის მეურნეობის ხაზით დირექტივები ითვალისწინებდა კოლექტივიზაციის დამთავრებასა და კოლმეურნეობის შემდგომ სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას.

საქართველოში უფრო სწრაფად უნდა განვითარებულიყო ტექნიკური და სპეციალური კულტურები: სამრეწველო მეხილეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა-მეღვინეობა. „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, — ნათქვამია დირექტივებში, — საკავშირო მნიშვნელობის მქონე კულტურებს, რომელთა განვითარებისათვის საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთ შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს სუბტროპიკული კულტურებიდან — ჩაის, დაფნის, რამის კულტურას. ციტრუსოვანი კულტურებიდან — ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს, ეთეროვან მცენარეებს და ტექნიკურ მერქანს"[1].

რკინიგზების მშენებლობის ხაზით ნავარაუდევი იყო შავი ზღვის რკინიგზის დამთავრება, საქართველოს რკინიგზის ელექტრიფიკაციის გაფართოება, რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის რკინიგზის შტოს — ზუგდიდი — ჯვარი, ბორჯომი — ახალციხე და სხვ. გაყვანას.

ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული იყო სამკურნალო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საკურორტო მშენებლობის გაშლა.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1932 წლის 6 ივლისი.

დირექტივებში მოცემულია კულტურული მშენებლობის გაშლის ვრცელი პროგრამა.

საქართველოში მეორე ხუთწლედის სამუშაოთა მოცულობა ბევრად აღემატებოდა პირველი ხუთწლედის სამუშაოთა მოცულობას. სახალხო მეურნეობაში ნავარაუდევი დაბანდებანი შეადგენდა 2023 მილიონ მანეთს[1], ნაცვლად პირველ ხუთწლედში დაბანდებული 717,5 მილიონი მანეთისა. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1933 წლის იანვრის გაერთიანებული პლენუმის დადგენილების შესაბამისად შეიმუშავეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. იგი მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა ხუთწლედის უკანასკნელი წლის სამეურნეო გეგმას და მიზნად ისახავდა ხელის შეწყობას ხუთწლედის დროზე ადრე შესრულებისათვის.

ეს გეგმა ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებებს 330 მილიონი მანეთის რაოდენობით. აქედან მრეწველობაში — 115,7 მილიონ მანეთს, სოფლის მეურნეობაში — 58 მილიონ მანეთს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სუბტროპიკული კულტურების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ჩაის მეურნეობას, აგრეთვე ციტრუსოვანი და სხვა ძვირფასი კულტურების განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა პარტიის XVII კონფერენციაზე, ხუთწლედის ამოცანების დასახვისას. სავსებით ნათელია,—აღნიშნავდა ე. კუიბიშევი თავის მოხსენებაში — რომ ისეთი კულტურების განვითარება, როგორიცაა ყურძენი, ფორთოხალი, მანდარინი და ლიმონი, ერთ-ერთ ამოცანად უნდა იდგეს ამიერკავკასიის წინაშე. ამ კულტურებზე მუშაობა ამიერკავკასიისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი მთელი კავშირის მეურნეობის თვალსაზრისითო[2]. ამ ამოცანის შესასრულებლად საბჭოთა კავშირის მთავრობამ და რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს.

ბრძოლა ხუთწლედის შესრულებისათვის თავიდანვე ენერგიულად დაიწყო. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ქმედით ღონისძიებებს სახავდნენ მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად. ახალი ხუთწლედის პირველი დღე — პირველი იანვარი გამოცხადებულ იქნა დამკვრელთა დღედ. 12 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საწარმოო თათბირების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. ამ

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში)", თბ., 1939, გვ. 18.

[2] XVII конференция Всесоюзной коммунистической партии (б)» (стеногр. отчет), М., 1932, стр. 173.

დადგენილების საფუძველზე მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნა საამქროებში, ბრიგადებში. მოეწყო საწარმოო თათბირები ტრესტებთან. განხორციელდა სხვა მრავალი ღონისძიება საწარმოო თათბირების საქმიანობაში მუშათა ფართო მასების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად [1].

ხუთწლიანი გეგმის დროულად შესრულებისათვის მუშაობა გააცხოველეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ბევრ საწარმოში მთლიანად ჩაებნენ კომკავშირელები სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობაში. გაუმჯობესდა კომკავშირელ რაციონალიზატორთა მუშაობა, განმტკიცდა სამეურნეო ანგარიშზე გადასული კომკავშირული ბრიგადების მუშაობის ხარისხი [2].

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს მზრუნველობა მშენებლობებზე. ბევრმა მსხვილმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეფობა აიღო რესპუბლიკის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ახალშენებზე [3]. ბევრ საწარმოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნიკური პროპაგანდის საქმე. ასე მაგალითად, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაარსდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ახალი წრეები, მოეწყო საკონსულტაციო ბაზა, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ასეთივე ღონისძიებები განხორციელდა რესპუბლიკის ბევრ სხვა ფაბრიკა-ქარხანაში.

წინა წლების საწარმოო გეგმების სანიმუშოდ შესრულებისათვის ბევრ საწარმოო კოლექტივს და მოწინავე მუშას გადაეცათ მთავრობის მაღალი ჯილდო. ყოველივე ეს ხელს უწყობდა შრომის წახალისებას, მუშათა საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომის კულტურისა და შრომისნაყოფიერების ზრდას, რაზმავდა მშრომელ ფართო მასებს ახალი ხუთწლედის განხორციელებისათვის.

მაგრამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე იგრძნობოდა სერიოზული სიძნელეები და დაბრკოლებანი.

პირველ ყოვლისა, ეს იყო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ნაკლებობა, კვალიფიციური მუშახელის სიმცირე. ცნობილია, რომ რევოლუციამდელ საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია იყო, მაგრამ იგი წარმოადგენდა დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მოსამსახურეთა კადრებს (მასწავლებლები, სამხედრო მომსახურეები, სა-

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 4858, ფურც. 6.

2 იქვე, საქ. 663, ფურც. 4.

3 იქვე.

სამართლოს მუშაკები და სხვ.). ტექნიკური ინტელიგენცია მრეწველობის განვითარების დაბალი დონის გამო, ძალზე მცირე იყო. მცირე იყო აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა კადრები. მართალია, ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში შეიქმნა კარგად გამართული სისტემა კვალიფიციური მუშების მომზადებისათვის, უმაღლესი სასწავლებლებიც უშვებდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მაგრამ ამათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საჭირო პრაქტიკული გამოცდილება. „ინჟინერი, რომელმაც დღეს დაამთავრა სწავლა და სკოლის მერხიდან წარმოებაში მოვიდა, ჯერ კიდევ არ არის ინჟინერი. მან უნდა იმუშაოს ქარხანაში რიგით მუშაკად", — სამართლიანად ამბობდა გ. ორჯონიკიძე ასეთი სპეციალისტების შესახებ[1].

ამ წლებში, როცა სოციალისტური მშენებლობის ფრონტი გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა, მისი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი სიძნელე იყო წარმოების ათვისება და შრომის ორგანიზაცია. ამ დროს გამოჩნდა და დაწინაურდა ბევრი ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დიდი ისტორიული ამოცანის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის ბევრმა თვალსაჩინო მოღვაწემ, რომლებმაც მასების აღზრდის დიდი გამოცდილება ჯერ კიდევ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მიიღეს. ასეთები იყვნენ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გ. ორჯონიკიძე, რომელსაც საბჭოთა ადამიანები მძიმე მრეწველობის სარდალს უწოდებდნენ; ა. მიქოიანი, რომელიც მსუბუქი და კვების მრეწველობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო წლების მანძილზე; ხ. ლობოვი, პიტერის მუშა, რომელმაც მეურნეობის ხელმძღვანელობის დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა, მისი მეთაურობით ჩაეყარა საფუძველი სატყეო მრეწველობას; ი. თევოსიანი, რომლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფერადი და შავი მეტალურგიის განვითარება სსრ კავშირში და ბევრი სხვა.

საქართველოშიც სახალხო მეურნეობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა, მისი სხვადასხვა დარგის უმნიშვნელოვანესი საწარმოების მოწყობა მოუხდათ აგრეთვე პარტიულ მუშაკებს, რომლებიც მასების ხელმძღვანელობის საქმეს რევოლუციამდე დაეუფლნენ. ასეთები იყვნენ გ. ყურულაშვილი, ყოფილი თერძი, ძველი კომუნისტი, საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელი, შემდეგ ამიერკავკასიის უმაღლესი სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე. ი. პევცოვი — ბათუმელი მუშა, ბათუმისა და სოხუმის სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე. შემდეგ საქართველოს თამბაქოს მრეწველობის ხელმძღვანელი და რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ვ. ჯიქია, — სამოქალაქო ომის

---

[1] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ნაწ. 2, გვ. 166.

გმირი, ვოლხოვის ჰიდროსადგურის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი, შემდეგ რიონჰესის მშენებლობის უფროსი. ს. ჯუღელი — ძველი კომუნისტი, ჩაის მრეწველობის ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარი, ქ. თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე. ბ. არუთინოვი, მუშა-კომუნისტი, პროფკავშირების ხელმძღვანელი მუშაკი, ჰიათურის მანგანუმის ტრესტის მმართველი მეორე ხუთწლედის დროს, შემდეგ სსრ კავშირის გზათამიმოსვლის სახალხო კომისრის მოადგილე.

ქართველი რევოლუციონერების ძველი თაობის წარმომადგენლებმა დიდი მუშაობა გასწიეს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, როგორც მრეწველობისა და ტრანსპორტის ორგანიზატორებმა. ისინი დიად ლენინურ ტრადიციებზე ზრდიდნენ საქართველოს მუშათა კლასის ახალგაზრდა კადრებს.

მეორე ხუთწლედის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულება მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და ინტელიგენციის მთელი ძალების დარაზმვას და მიზანსწრაფულ მოქმედებას მოითხოვდა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოებმა, პროფკავშირებმა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებმა, რაც დასახული მიზნის მიღწევის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

საქართველოს ბოლშევიკების IX ყრილობამ (1934 წლის 10 იანვარი) აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განმტკიცდა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, გაიზარდა მისი ხელმძღვანელი როლი სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ყრილობამ ფართოდ დაახასიათა სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ და დასახა მომავალი მუშაობის ამოცანები. ყრილობამ აღნიშნა, რომ ნაწილობრივ გამოსწორებულია 1930 — 1931 წლებში დაშვებული პარტიის ხაზის დამახინჯებები და პოლიტიკური შეცდომები, რის შედეგად გაძლიერდა საკოლმეურნეო მშენებლობა, განმტკიცდა მდგომარეობა სოფლად. მენშევიკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ძალებმა, რომლებიც შეეცადნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებით ესარგებლათ და გამოეცოცხლებინათ თავიანთი მუშაობა, სასტიკი მარცხი განიცადეს.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მრეწველობამ: დაჩქარდა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა, რომლებიც წინათ მთელი წლების განმავლობაში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მოქმედ ფაბრიკა-ქარხნების რიგში ჩადგა საქართველოს ინდუსტრიის ბევრი სა-

წარმო. ამავე დროს განუხრელად იზრდებოდა სოფლის მეურნეობა, ფართოვდებოდა საკოლმეურნეო მოძრაობა.

1932 წლიდან გაძლიერდა მუშაობა ვენახისა და ხეხილის ფართობების გადიდებისა და მათი მოვლის გასაუმჯობესებლად. ყურძნის დამზადების ფასების გადიდებამ და მთავრობის მიერ ჩატარებულმა სხვა ღონისძიებებმა ეს ძვირფასი კულტურა აღმავლობის გზაზე დააყენა.

დიდი ყურადღება მიექცა კულაკებისა და მავნებლების მიერ დაზიანებული მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის აღდგენის საქმეს. პოლიტგანყოფილებებისა და პროლეტარიატის დიქტატურის სხვა ორგანოებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გასაწმენდად კლასობრივი მტრებისაგან.

მოკლე ხნის განმავლობაში წინსვლა დაეტყო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს. ყრილობამ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ვრცელი პროგრამა დასახა. ამასთან ერთად, დიდი ადგილი დაუთმო პარტიის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. დიდი ზიანი მიაყენა ქართულ კულტურას, კერძოდ, ისტორიულ მეცნიერებას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ ამ პერიოდში ბერიას სახელით გამოსულმა წიგნაკმა. იგი აყალბებდა ისტორიულ სინამდვილეს, ამახინჯებდა ხალხისა და პარტიული ორგანიზაციების როლს, უარყოფით გავლენას ახდენდა ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, აფერხებდა კულტურის შემოქმედებით განვითარებას.

სრულიად საქართველოს საბჭოების VII ყრილობა (1935 წლის იანვარი) მიეძღვნა რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობისა და სახალხო განათლების ამოცანების განხილვას. იგი მოწვეულ იქნა წინა ყრილობიდან 4 წლის შემდეგ. განვლილი პერიოდის მანძილზე საბჭოთა ქვეყანამ წარმატებით და ვადაზე ადრე დაამთავრა სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლედი და წინ წავიდა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. ბევრი დიდმნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ყრილობის წინ ჩატარებულ საბჭოების არჩევნებში მშრომელთა მასები კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, ვიდრე წინა არჩევნებში. არჩევნებმა უჩვენეს მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის პოლიტიკური აქტივობის ზრდა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. თუ წინა ყრილობის დროს, 1931 წელს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 72,14 პროცენტმა, 1935 წელს არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და 81,87 პროცენტს მიაღწია. ეს იყო სოციალიზმის პო-

ზიციების განმტკიცებისა და კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის შედეგი.

ყრილობამ განიხილა: 1. საქართველოს სსრ მთავრობის ანგარიში (მომხს. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი), 2. საკითხი კოლხიდის მშენებლობის შესახებ (მომხს. კოლხიდმშენის უფროსი ბ. გოგია). 3. განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ (მომხს. განათლების სახალხო კომისარი ა. თათარიშვილი). ყრილობამ განიხილა აგრეთვე საკონსტიტუციო საკითხები, აირჩია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი 320 წევრის შემადგენლობით და დელეგატები ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე გასაგზავნად.

უდიდესი გამარჯვებით, მტკიცედ დარაზმული ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მივიდა პარტია თავის XVII ყრილობაზე (1934 წლის იანვარი). ამ დროს სოციალისტურ სექტორს სახალხო მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა. სოციალისტური მრეწველობა მთელი მრეწველობის 99 პროცენტს შეადგენდა.

ყრილობაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. ყრილობამ აღნიშნა, რომ თუმცა პარტიის მტრები ტროცკისტები, მემარჯვენე კაპიტულანტები, ნაციონალ-უკლონისტები დამარცხებული არიან, მაგრამ მათი შეხედულებების ნაშთები ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრილი. კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკაში და განსაკუთრებით ადამიანთა შეგნებაში წარმოადგენენ ხელსაყრელ ნიადაგს დამარცხებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის გამოსაცოცხლებლად. ადამიანთა შეგნება ჩამორჩება მათ ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ ბურჟუაზიულ შეხედულებათა ნაშთები ადამიანთა შეგნებაში კიდევ არსებობენ, თუმცა კაპიტალიზმი ეკონომიკაში უკვე ლიკვიდირებულია.

ყრილობა განსაკუთრებით შეჩერდა ეროვნულ საკითხზე და პარტიის ყურადღება გაამახვილა როგორც ველიკორუსული შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის აუცილებლობაზე. ამასთან აღნიშნა, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმი, თუ მასთან ბრძოლა შეასუსტეს, შეიძლება მტრულ ძალებს დაუკავშირდეს, სახელმწიფოებრივ საფრთხედ გადაიქცეს.

ყრილობამ მოუწოდა პარტიას გაეძლიერებინა იდეურ-პოლიტიკური მუშაობა და დაუღალავად ეწარმოებინა ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველა მტრის წინააღმდეგ.

ყრილობამ, როგორც აღნიშნული იყო, განიხილა და მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც პირველ ხუთწლიან გეგმასთან შედარებით კიდევ უფრო გრანდიოზულ ამოცანებს ითვალისწინებდა. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულო-

ბა ორჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა პირველი ხუთწლედის სამუშაოებს. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება უზრუნველყოფდა მრეწველობის შემდგომ აღმავლობას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, დიდ სამუშაოთა ჩატარებას ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვის საქმეში ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულებისათვის დიდი როლი შეასრულა საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობამ, რომელიც 1937 წლის 15 მაისს გაიხსნა. ყრილობამ შეაჯამა სოციალისტური მშენებლობის წარმატებები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის დაძაბული შრომის შედეგად წარმატებით ხორციელდებოდა მეორე ხუთწლიანი გეგმა. განმტკიცდა სოციალიზმის პოზიციები. სწორად ვითარდებოდა მრეწველობა, მისი ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში ახლა 75 პროცენტს აღემატებოდა. ნახევარი წლით ვადაზე ადრე შესრულდა ხუთწლედი მრეწველობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიღწევები ქვეყნის ელექტრიფიკაციის დარგში. იმ დროს მშენებარე ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე ორჯერ აღემატებოდა ყველა მოქმედი ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს.

გაიზარდა მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც იყო მანგანუმის, ქვანახშირის, ბარიტის, დიატომიტისა და სხვა წიაღისეულის წარმოება. დიდი წარმატება იქნა მიღწეული შრომის მექანიზაციის საქმეში, განსაკუთრებით მიწისქვეშა სამუშაოებზე. ხელით შრომა თანდათან ადგილს უთმობდა მანქანებს. განვითარდა სოფლის მეურნეობა. ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად მიღწეულია კოლმეურნეობების მნიშვნელოვანი განმტკიცება.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედის წარმატებით განხორციელების ამოცანის გადაწყვეტაში თავისი ღირსეული წვილი შეიტანა საქართველოს კომკავშირმა. მაღალი პატრიოტული გრძნობით და დიდი ოსტატობით, მტკიცედ დარაზმული პარტიული ორგანიზაციების გარშემო შრომობდნენ კომკავშირელები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ისტორიამ შეინახა არაერთი კომკავშირელის სახელი, რომლებმაც ამ დროს თავი გამოიჩინეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის სხვადასხვა დარგში და ამით ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. კომკავშირი იყო ბევრი სახელოვანი საქმის წამომწყები. არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ამ დროს ლენინური ახალგაზრდობის მატიანეში.

გაიზარდა კომკავშირის ავტორიტეტი, იგი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს აერთიანებდა თავის რიგებში. 1938 წლის დასაწყისში საქართველოს კომკავშირში ირიცხებოდა 170 ათასი ახალგაზრდა, აქედან 42 ათასი ქალი იყო. მარტო ერთი წლის განმავლობაში 1937 წლის მაისიდან მომდევნო წლის ივნისამდე კომკავშირში შევიდა 63 ათასი მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდა.

1936 წლის 13 თებერვალს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XII ყრილობა (იგი შეიკრიბა წინა ყრილობიდან თითქმის 4 წლის შემდეგ, რაც უჩვეულო მოვლენა იყო, რადგან ადრე კომკავშირის ყრილობები თითქმის ყოველწლიურად იმართებოდა). ყრილობამ განიხილა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, ამხილა ნაკლოვანებანი კომკავშირის მუშაობაში და დასახა ვრცელი ღონისძიებანი ახალგაზრდობის მონაწილეობის გასაძლიერებლად სოციალისტურ მშენებლობაში. ყრილობამ გამოავლინა კომკავშირის ისტორიის დამახინჯებების შემთხვევები. მოუწოდა კომკავშირელებს გაეძლიერებინათ მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის; გაამახვილა ყურადღება კომკავშირის ძირეული აქტივის მომზადების საკითხზე. კერძოდ „მსუბუქი კავალერიის". კედლის გაზეთების, ფიზკულტურული მუშაობის ამოცანებზე.

ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ქალთა შორის მუშაობის გაშლას. აღნიშნა, რომ მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ადგილი აქვს ქალთა როლის შეუფასებლობას, კომკავშირის მნიშვნელოვან ამოცანად დასახა ბრძოლის გაძლიერება მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ. ყრილობამ გაითვალისწინა რა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება და ომის საფრთხის გაძლიერება, დასახა ამოცანები კომკავშირში სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ყრილობის მთელი მუშაობა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის სულისკვეთებით ჩატარდა.

კომკავშირის მუშაობის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომკავშირის შემდგომი XIII ყრილობა, რომელიც 1937 წლის 5 ოქტომბერს გაიხსნა.

ყრილობამ ყურადღება გაამახვილა კომკავშირის პოლიტიკური აღზრდისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საკითხებზე. დიდი ადგილი დაუთმო კომკავშირის მონაწილეობას ახალი კონსტიტუციის პროპაგანდისა და უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების მომზადებაში.

ყრილობამ გამოავლინა და გადაჭრით დაგმო კრიტიკის ჩახშობის შემთხვევები. მოუწოდა კომკავშირელებს ფართოდ გამოეყენებინათ კრი-

ტიკა და თვითკრიტიკა, როგორც მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მძლავრი მეთოდი.

ყრილობამ განიხილა ლენინგრადის კომკავშირელთა მიმართვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით და მიიღო დადგენილება ფართოდ გაეშალათ მოსამზადებელი მუშაობა დიადი დღესასწაულის შესახვედრად და უზრუნველეყოთ ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ ნოვატორთა თაოსნობისათვის, ენერგიულად ებრძოლათ სტახანოველთა მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობის საკითხებს. მოუწოდა კომკავშირელებს და მთელ ახალგაზრდობას გაეფართოებინათ თავდაცვითი ღონისძიებების პროპაგანდა მოსახლეობაში.

სოციალიზმის წარმატებებმა გააბოროტა კლასობრივი მტრის ნაშთები. ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ სოციალისტური მშენებლობის შეფერხებას, თავიანთი არსებობის გახანგრძლივებას.

საქართველოს ძველი ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილი ქვეყნის მძლავრი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ზეგავლენით მტკიცედ იდგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პოზიციებზე და აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტურ მშენებლობაში, მაგრამ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ ახარებდათ საბჭოთა საქართველოს წარმატებები. ისინი მიზნად ისახავდნენ ხელი შეეწყოთ კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებისათვის, შეევიწროებინათ ღარიბი და საშუალო გლეხობა, გამოეწვიათ მათი უკმაყოფილება. ესენი იყვნენ ყოფილი ოფიცრები, შენიღბული ტროცკისტები, შემარჯვენეები; ასევე შენიღბულად მოქმედებდნენ მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ. მათი მიზანი იყო არევ-დარევა შეეტანათ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში და ამით მოსახლეობის უკმაყოფილება გამოეწვიათ, შეეფერხებინათ მრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია.

1934 წლის 1 დეკემბერს ხალხის მტრებმა ლენინგრადში ვერაგულად მოკლეს ს. კიროვი, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, რევოლუციის შესანიშნავი ტრიბუნი. ს. კიროვი ქართველი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მან დახმარება გაუწია საქართველოს მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში. 1921 წლის თებერვალში ს. კიროვი გ. ორჯონიკიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა წითელ არმიას, რომელიც მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებული საქართველოს მუშებისა და გლეხების მოწვევით საქართველოში შემოვი-

და. მან მნიშვნელოვნად დააჩქარა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

1921 — 1925 წლებში ს. კიროვი აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიისა და რუსეთის კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო. ამ დროს მან დიდი მუშაობა ჩაატარა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული მშვიდობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად. საქართველოს ბოლშევიკებს, თბილისის მუშებს ბევრჯერ მოუსმენიათ რევოლუციის ამ ბრწყინვალე ტრიბუნის მგზნებარე სიტყვა.

ს. კიროვის მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის მშრომელებში. ამასთან დაკავშირებით, ბოლშევიკურმა პარტიამ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისა და პარტიის რიგების განმტკიცების მიზნით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის რიგების წმენდას, რომელიც გვიან, 1933 წელს დაიწყო, და პარტიული დოკუმენტების შეცვლას. პარტიული დოკუმენტების გამოცვლის დროს გამოირკვა, ზოგიერთ ორგანიზაციაში საკმაო ყურადღება არ ექცეოდა პარტიული მეურნეობის მოვლა-პატრონობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რაც ხელს უწყობდა პარტიის განმტკიცებას, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

მაგრამ ამ ღონისძიების გატარებისას ადგილი ჰქონდა შეცდომებს, რის შედეგადაც პარტიის რიგებიდან გაირიცხა ბევრი პატიოსანი ადამიანი, პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი[1], რომლებიც შემდეგში აღადგინეს თავიანთ უფლებებში.

მეორე ხუთწლედში ბევრად უფრო გაფართოვდა სოციალისტური მშენებლობის ფრონტი, რამაც მწვავედ დააყენა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების დიდი ამოცანა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობის 1934 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის რეორგანიზაცია „კომისარიატის მუშაობაში და აპარატის აგებულებაში არსებული ნაკლის ლიკვიდაციის მიზნით“[2]. ამ დადგენილებით ჩატარდა განათლების კომისარიატის რეორგანიზაცია, გაუქმდა კომისარიატის კოლეგია, მის მაგიერ შეიქმნა საბჭო 35 კაცის შემადგენლობით. აქედან ადგილების 50 პროცენტი რაიონების წარმომადგენლებს მიეცათ. გაფართოვდა სამმართველოებისა და განყოფილებების უფლებები. გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა, მოხდა კადრების შერჩევა-განაწილების ცენტრალიზაცია, შეიქმნა საატესტაციო კომისია და განხორციელდა რიგი სხვა ღო-

---

[1] „საქართველოს კომპარტიის XI ყრილობა“ (სტენოგრაფიული ანგარიში), გვ. 80.
[2] „კანონთა კრებული“..., თბ., 1934, გვ. 287 — 289.

ნისძიება, რაც ხელს უწყობდა სახალხო განათლების მთელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას. დასახეს ვრცელი გეგმა პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. საბჭოთა მთავრობამ მასწავლებელთა კადრებს შეუქმნა ხელსაყრელი პირობები კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასეთ მასწავლებლებს განათლების ცენზის შესაბამისად მიეცათ უფლება ჩარიცხულიყვნენ უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის კურსებზე და დაუსწრებლად მიეღოთ საჭირო განათლება. მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრებულიყო 1939 წლისათვის. დაუსწრებლად მოსწავლეებს მიეცათ შეღავათები და დახმარება. დაუსწრებელი სწავლების ერთი წელი მათ ორი წლის პედაგოგიურ სტაჟად ეთვლებოდათ. სესიებზე მიმოსვლის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებდა და სხვ. ამ ღონისძიებას დიდი შედეგი ჰქონდა. მან აამაღლა სკოლის კულტურა, ხელი შეუწყო სახალხო განათლების საქმის მკვეთრ გაუმჯობესებას, კულტურული რევოლუციის დაჩქარებას.

საბჭოთა მთავრობის 1934 წლის 14 ივნისს კანონით მოეწყო მსუბუქი მრეწველობის კომისარიატის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია უყვეს ზედმეტ რგოლებს და ხელმძღვანელობა დაუახლოვეს წარმოებას. 16 ივნისს ჩატარდა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია.

ახალი ვითარების შესაბამისად გაიზარდა ვაჭრობის როლი, იგი მშრომელთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მძლავრი საშუალება გახდა, ამასთან დაკავშირებით მომარაგების სახალხო კომისარიატი, ვერ პასუხობდა რა ახალ პირობებს, გაუქმდა და მთავრობის 1934 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით გარდაიქმნა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატად. ცოტა უფრო გვიან, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 16 სექტემბრის დადგენილებით შეიქმნა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი[1]. ასეთივე კომისარიატები შეიქმნა აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ხოლო სამხრეთ-ოსეთში — შესაბამისი სამმართველო.

ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის კომიტეტი. ამ ღონისძიებამ უზრუნველყო მთელი ადგილობრივი მრეწველობის მართვა-გამგეობის განვითარება ერთ ხელმძღვანელ ორგანოში და მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა.

---

1 „კანონთა კრებული...", თბ., 1934, გვ. 566 — 568.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე საბჭოთა მეურნეობებთან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან შეიქმნა პოლიტგანყოფილებები. საქართველოში ამ დროს 171 საბჭოთა მეურნეობა და 25 მანქანა-ტრაქტორის სადგური იყო. რესპუბლიკის პარტორგანიზაციებმა პოლიტგანყოფილებებში წარგზავნეს გამოცდილი და ენერგიული მუშაკები. პოლიტგანყოფილებები ხელს უწყობდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. საბჭოთა მეურნეობები კოლმეურნეობებს უჩვენებდნენ მუშაობის მაღალ სტილს, უწევდნენ მათ ქმედით დახმარებას.

პოლიტგანყოფილებებმა რაიონულ კომიტეტებთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიულ-კომკავშირული ჯგუფების შექმნას კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

პოლიტგანყოფილებებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება სწრაფად დაეტყო სოფლის მეურნეობას, ბევრად უფრო უკეთესი მაჩვენებლებით, ვიდრე წინათ, დამთავრდა 1934 სამეურნეო წელი. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად მოიხადეს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე. 1934 წელს საქართველოში დამზადებულ იქნა ხორბალი 33 ათასი ტონა, ანუ გეგმის 124 პროცენტი, ბამბა — 4697 ტონა (154 პროც.), ჩაი—6642 ტონა (109,3 პროც.), თამბაქო — 12 341 ტონა (99,9 პროც.), რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა წლებში დამზადებულ თამბაქოს რაოდენობას.

მას შემდეგ, რაც პოლიტგანყოფილებებმა შეასრულეს თავისი დანიშნულება, პარტიის XVII ყრილობის დადგენილების საფუძველზე მოხდა მათი გაერთიანება ტერიტორიალურ რაიონულ კომიტეტებთან, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო განყოფილებები. პოლიტგანყოფილებების მუშაკთა უმეტესი ნაწილი, რომელიც ქალაქიდან იყო წარგზავნილი, დარჩა რაიონულ სამუშაოზე. ისინი კარგად იყენებდნენ მდიდარ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობდა ადგილებზე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას.

სოციალისტური მშენებლობის ეს წარმატებანი უმთავრესად განპირობებული იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასის მიერ შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განვითარებით, სახალხო მეურნეობაში შრომის ახალი, სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრებით.

§ 2. სოციალისტური შრომის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება მრეწველობაში

სოციალისტური ეკონომიკის ზრდა-განვითარების გეგმები მშრომელი მასების სისხლხორცეულ დაინტერესებას იწვევენ, რადგან ისინი მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მიზანს ემსახურებიან. მშრომელთა ასეთი ინტერესი კი, თავის მხრივ, ამ გეგმების წარმატებით განხორციელების საწინდარია. ამიტომ სავსებით ბუნებრივია მუშათა კლასის ის დიდი შრომითი აღმავლობა, რომელიც მეორე ხუთწლიანი გეგმის მიღებამ გამოიწვია. საქართველოს მთელ რიგ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში გამართულ კრებებზე საწარმოთა კოლექტივები გამოთქვამდნენ მზადყოფნას ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის[1]. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1932 წლის 23 ნოემბერს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს კოლექტივი თბილისის მრეწველობის მუშათა წინაშე გამოვიდა მოწოდებით — შეხვედროდნენ მეორე ხუთწლედს სამრეწველო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ 1933 წლის 18 იანვარს მიმართა ამიერკავკასიის ყველა სამრეწველო საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას შეხვედროდნენ მეორე ხუთწლედის პირველ წელს ახალი, კონკრეტული ვალდებულებებით, რომელნიც უზრუნველყოფდნენ პოლიტიკური და მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების პრაქტიკული გზების დასახვას, ამ მუშაობის აყვანას სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების სიმაღლეზე.

მეორთქლმავლეთა ამ მოწოდებამ, რომელსაც მხარი დაუჭირეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა, დიდად შეუწყო ხელი მუშათა მასების დარაზმვას სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შემდგომი გაშლისათვის.

პირველი ხუთწლედის პერიოდში წარმოიშვა და დაინერგა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმები საქართველოს მრეწველობაში. სოციალისტური შეჯიბრების ფორმების მრავალფეროვნება განსაზღვრებოდა სამეურნეო-ეკონომიური ამოცანების თავისებურებებითა და ხასიათით. მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, რომელიც პირველ ხუთწლედთან შედარებით უფრო გრანდიოზულ ამოცანებს ითვალისწინებდა, მოითხოვდა შეჯიბრების უკვე არსებული მეთოდების გამოყენებასთან ერთად მასების შრომითი აქტივობის შემდგომ ზრდას. შეჯიბრების უფრო მასობრივ მოძრაობად განვითარებას, სოციალისტური შრომის ახალი გზების ძიებას.

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 2029, ფურც. 12.

მეორე ხუთწლედის დასაწყისიდანვე სოციალისტური შეჯიბრება წარმართა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის ნიშნით. ეს განასხვავებდა სოციალისტურ შეჯიბრებას ამ პერიოდში, პირველი ხუთწლედის წლებში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებებისაგან. მისი მიზანი ახლა უფრო ფართო და უფრო კონკრეტული იყო.

მეორე ხუთწლედი რესპუბლიკის მუშათა კლასმა დაიწყო ტექნიკის ათვისების მასობრივი დათვალიერებით, რამაც სტიმული მისცა ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის გაძლიერებას და ამასთან დაკავშირებით ტექნიკური პროპაგანდის გაშლას.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წლის თებერვალში გამოაცხადეს კონკურსი (რომელიც ოქტომბრამდე გაგრძელდა) ტექნიკის ათვისების საქმეში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის. კონკურსი ჩატარდა მონათესავე საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე.

1933 წელს სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ფორმა გახდა შინასაქარხნო კონკურსი. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათშენებელი ქარხნის გადაყვანამ 1933 წლიდან საფეიქრო დაზგების გამოშვებაზე მოითხოვა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ტექნიკური ცოდნის ამაღლება, 1933 წლის აპრილიდან ქარხნის კოლექტივმა დამკვრელთა ინიციატივით დაიწყო შინასაქარხნო კონკურსი რთული საფეიქრო მანქანების ათვისებისათვის. კონკურსის მიზანი იყო ტექნიკურ სწავლებაში მუშების ფართოდ ჩაბმა, მოწყობილობათა სწორი და ეფექტური გამოყენება, შინაგანი რესურსების მობილიზაცია, ეკონომიის რეჟიმის განხორციელება. შინასაქარხნო კონკურსის დაწყებით ქარხანა ჩაება ტექნიკის ათვისებისათვის გაშლილ საკავშირო კონკურსში. კონკურსმა ძლიერი ბიძგი მისცა სისტემატური და სერიოზული სწავლების გაშლას, ახალი მანქანების ათვისება აქცია მასობრივ მოძრაობად[1]. 1930 წლის მაისისათვის (კონკურსიდან ერთი თვის შემდეგ) ქარხანას ჰყავდა 271 დამკვრელი, რომელთაც პრემია მიეცათ კონკურსის მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებისათვის.

კონკურსები საწარმოთა შიგნით სწორი ორგანიზაციის პირობებში წარმოადგენდა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის საუკეთესო მეთოდს.

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის მუშათა ფართო მასების მობილიზაციის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება გახდა თბილისის დამკვრელთა საქალაქო კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 1933 წლის 17

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 12 июня 1933 г.

აგვისტოს [1]. კონფერენციამ მიიღო მიმართვა თბილისის ყველა მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი, რომელშიც მიუთითა დამკვრელობის შემდგომი გაფართოებისა და სამეურნეო გეგმების შესრულებაში არსებული გარღვევების ლიკვიდაციის გზებზე.

1933 წლის აგვისტოდან ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამრეწველო საწარმოები გამოვიდნენ ახალი ინიციატივით — ტექნიკური სამრეწველო გეგმების შედგენის დაწყებით. ტექნიკურ-სამრეწველო გეგმა მიზნად ისახავდა საწარმოს ახალ შესაძლებლობათა გამოვლინებას, შრომისნაყოფიერების ამაღლებას, რისთვისაც საჭირო იყო სამუშაო დროის შემჭიდროება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ტექნიკურ-სამრეწველო გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა სამუშაო დღის შემჭიდროების საკითხზე ჩატარებული კონფერენციები თბილისის მსხვილ სამრეწველო საწარმოებში.

1933 წლის 19 ოქტომბერს თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში სამუშაო დღის შემჭიდროებისადმი მიძღვნილ კონფერენციას ლენინგრადის ქარხნის „ბოლშევიკისა“ და „ელექტროსილას“ მაგალითისამებრ, წინ უძღოდა ქარხანაში სამუშაო დღის გამოყენების მდგომარეობის შემოწმება, რომელმაც უჩვენა, რომ სამუშაო დღის არამწარმოებლურად გამოყენების შედეგად ქარხანა კარგავდა 49 225 კაც-საათს თვიურად [2]. მაგრამ მარტოოდენ სამუშაო დღის შემჭიდროებისადმი ყურადღების გამახვილება არ იყო საკმარისი ტექნიკურ-სამრეწველო გეგმის შედგენისათვის, არამედ იგი გულისხმობდა ტექნოლოგიური პროცესის ყველა დეტალის სერიოზულ შესწავლას, მთელი საწარმოო საზოგადოებრიობის აუცილებელ მონაწილეობას მის შედგენაში. ასე მაგალითად, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შეიქმნა ხუთი ბრიგადა საამქროების მიხედვით ტექნიკურ-სამრეწველო გეგმის ცალკეული საკითხების შესამუშავებლად. ბრიგადებმა შეკრიბეს მდიდარი მასალა ქარხნის საწარმოო მდგომარეობის შესაფასებლად, რის საფუძველზეც შეიმუშავეს საამქროების, ეგრეთწოდებული ტექნიკურ-სამრეწველო გეგმის საგზური რაციონალიზატორული წინადადებებით. ეს იყო ქარხანაში შემუშავებული „საკუთარი მეთოდი“ ტექნიკურ-სამრეწველო გეგმის შედგენისა, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აქტივობა. სხვაგვარად იქნა შემუშავებული ტექნიკურ-სამრეწველო გეგმა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მუშახელის ნაკლებობის საკითხს დაეთმო, ნაცვლად 418 მუშისა ტექნიკურ-სამრეწველო გეგმით, საკმარისი გახდა 408, გეგმის 10 პროცენტით გადიდების პირობებში. ამან გავლენა მოახდინა ხელფასის ზრდაზე, თვითღირებულების

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 2066, ფურც. 196.

2 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 2029, ფურც. 96.

შემცირებაზე, საამქროთა უწყვეტ მუშაობაზე. ამ გზით ტექნიკურ-სამრეწველო გეგმა ქარხანას დიდ ეკონომიას ჰპირდებოდა [1].

აღნიშნულ საწარმოთა გამოცდილება გამოიყენეს რესპუბლიკის რიგმა სამრეწველო საწარმოებმა ტექნიკურ-სამრეწველო გეგმების შესამუშავებლად. ტექნიკურ-სამრეწველო გეგმების შემუშავების გამოცდილების გაზიარების საქმეში დიდი როლი შეასრულა თბილისის სამრეწველო საწარმოთა პირველმა საქალაქო კონფერენციამ. კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული პროგრამა ტექნიკურ-სამრეწველო გეგმების შედგენისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საკითხებზე [2].

რესპუბლიკის მუშათა კლასი არა მარტო დროულად ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრების მუშათა წამოწყებებს, არამედ თვითონაც არაერთხელ გამოსულა ახალ თაოსნობათა ინიციატორად.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის ბოლოს საქართველოში, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში, ფართოდ გაიშალა ნამდვილი მასობრივი საწარმოო „ლაშქრობა" საკ. კპ (ბ) XVII ყრილობისადმი ახალი საწარმოო მიღწევებით შესახვედრად.

ქვანახშირის შახტის ცნობილი მნგრეველის ნ. იზოტოვის მაგალითისამებრ ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" № 1 მაღაროს პირველი უბნის ბრიგადის ხელმძღვანელმა ქ. ბეშქენაძემ ქვანახშირის ამოღების გეგმას ოთხჯერ გადააჭარბა. მის მაგალითს მიბაძეს ამავე ბრიგადის წევრებმა ტ. ძოწენიძემ, ლ. ცნობილაძემ, ი. ობოლაძემ, ი. ცეცხლაძემ და სხვ. [3]. მაღაროელ მუშათა მეორე ტექნიკურმა კონფერენციამ 1933 წლის 7 დეკემბერს წამოაყენა შემხვედრი გეგმა 5000 ტ ქვანახშირის ამოღების შესახებ და დეკემბერი გამოაცხადა XVII პარტიული ყრილობის სახელობის დამკვრელ თვედ. აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოებში ყრილობისათვის მზადების პერიოდში შეიქმნა XVII ყრილობის სახელობის 145 დამკვრელი ბრიგადა და 130 ტექნიკური მინიმუმის წრე, რომელშიც 2994 კაცი იყო ჩაბმული, მარტო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მოეწყო 41 ტექნიკური წრე [4].

პირველ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქცია ძირითადად მზადდებოდა ძველ ან განახლებულ საწარმოებში, რომელთა ტექნიკა ათვისებული იყო. მეორე ხუთწლედის პერიოდში სამრეწველო აღმავლობის უმნიშვნელოვანეს პირობას და სოციალისტური შეჯიბრების დამახასიათებელ თავისებურებას ახალი წარმოების ათვისება წარმოადგენდა.

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 29 ноября 1933 г.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 2025, ფურც. 43; საქ. 2079, ფურც. 128 — 130.

[3] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 670.

[4] Газ. «Тифлисский рабочий», 28 января 1934 г.

მოძრაობამ ტექნიკის დაუფლებისათვის მუშათა შრომითი აქტიეობის მრავალი ახალი ფორმა წამოაყენა. ტექნიკის ათვისების საქმეში კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ტექნიკურ პროპაგანდას. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები წარმოებაში მთელ პოლიტიკურ-სამეურნეო მუშაობას მჭიდროდ უკავშირებდნენ მუშათა ტექნიკური განათლების გაფართოებას. ტექნიკური წრეების დაკომპლექტება ხდებოდა მუშათა პროფესიების მიხედვით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წამყვანი პროფესიების მუშათა ტექნიკურ სწავლებას. 1933 წლის პირველ ნახევარში ტექნიკურ სწავლებაში ჩაბმული იყო თბილისის მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მომუშავე 5447 კაცი, ამიერკავკასიის რკინიგზის მარტო თბილისის კვანძში შექმნილ 345 წრეში მეცადინეობდა 8624 კაცი[1].

ტექნიკური პროპაგანდის სხვადასხვა ფორმას შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ტექნიკურ კონფერენციებს საწარმოებში, რომლებიც სახავდნენ პრაქტიკულ გზებს ახალი ტექნიკის ათვისების საფუძველზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომისნაყოფიერების ასამაღლებლად.

1933 წლის 27 აპრილს ჭიათურის მანგანუმის მაღაროებში ჩატარებულმა საწარმოო-ტექნიკურმა კონფერენციამ, რომელმაც განიხილა ტექნიკის ათვისების მდგომარეობის საკითხი, აღნიშნა, რომ ზოგიერთ მაღაროში მუშაობის ჩამორჩენის მიზეზს წარმოადგენდა მუშათა დაბალი ტექნიკური დონე. კონფერენციაზე შეტანილ საქმიან წინადადებათა საფუძველზე დაისახა კონკრეტული ამოცანები ტექნიკის ათვისების ღონისძიებათა გასაფართოებლად.

1933 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა ლითონის, ნავთისა და ქვანახშირის მრეწველობის დამკვრელთა შეკრება. უკავშირებდნენ რა სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობის გაფართოებას ახალი ტექნიკის ათვისებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების საკითხებს, შეკრების მონაწილენი თავიანთ მიმართვაში ყველა მუშისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი ხაზს უსვამდნენ მაგალითის ძალის უდიდეს მნიშვნელობას ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მუშათა კლასი მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნების დამკვრელთა ინიციატივას ტექნიკური გამოცდების შემოღების შესახებ. ტექნიკური გამოცდების მიზანი იყო ყოველი მუშისათვის სავალდებულო გაეხადა ტექნიკური ცოდნის იმ მინიმუმის შეთვისება, რომელიც მისცემდა მას დაზგის სრულად მართვის შესაძლებლობას. ტექნიკური მინიმუმის წრეების შექმნა, ტექნიკური გამოც-

---

[1] ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1933, № 10, გვ. 27.

დების ჩატარება ტექნიკის ათვისების ღონისძიებათა სისტემაში გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრების მაღალი ეტაპის — სტახანოვური მოძრაობის წარმოშობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებამ, ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლის წარმატებამ უზრუნველყო მიღწევები საქართველოს მრეწველობის განვითარებაში მეორე ხუთწლედის პირველ წელს.

საქართველოს კომპარტიის IX ყრილობამ (1934 წლის 10 — 14 იანვარი) შეაჯამა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედის პირველი წლის შედეგები და დასახა ახალი ამოცანები მეორე ხუთწლედის მეორე წლისათვის. ყრილობა თავის რეზოლუციაში მრეწველობის დარგში დასახული ამოცანების განსაზღვრისას მოითხოვდა ყველა სამრეწველო საწარმოში ტექნიკური დანორმვის გადასინჯვას და სწორად მოწყობას, ტექნიკურ-საფინანსო გეგმის დანერგვას, სამუშაო დღის შემჭიდროებას, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლას, შრომისნაყოფიერების ზრდით მუშათა მატერიალური წახალისების უზრუნველყოფას.

1934 წლის ივნისში თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში გაიშალა დიდი მუშაობა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ფაბრიკის კოლექტივის ყურადღების ცენტრში იდგა ბრძოლა წუნის წინააღმდეგ, რომელიც ფაბრიკაში 30 — 40 პროცენტს აღწევდა. ამ მიზნით შეიქმნა საზოგადოებრივი კონტროლი პროდუქციის ხარისხზე. ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წუნდების შემოღების შედეგად რიგმა საამქრომ მნიშვნელოვნად შეამცირა წუნი. საამქროების მიხედვით შეიქმნა სპეციალური ბრიგადა წუნმდებელთა შესამოწმებლად. ორმაგმა კონტროლმა შედეგი გამოიღო. ამ მიმართულებით გატარებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ხარისხის შემოწმება ყოველი ცვლის ბოლოს. ამ მომენტის საგალდებულო გათვალისწინება ხელს უწყობდა მუშათა დაინტერესებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. აღნიშნული კამპანიის დროს მიმდინარეობდა ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ მუშათა წინადადებების შეგროვებაც[1].

კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მრეწველობის ახლებურად მართვის ორგანიზაციის საკითხს. სწორი ორგანიზაციული გარდაქმნები წარმოებაში გამოხატულებას პოულობს საწარმოო ეფექტში. ასეთი გარდაქმნების შედეგად რამდენადმე გაუმჯობესდა მდგომარეობა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, სადაც ადგილი ჰქონდა შრომის არასწორ განაწილებას საამქროებ-

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 4 января 1934 г.

ში, გათანაბრებას, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშათა გამომუშავების შეუსაბამო ნორმების არსებობას, რაც გავლენას ახდენდა ხელფასის პოლიტიკის სწორად გატარებაზე.

საწარმოო ლაშქრობა პროდუქციის ხარისხისათვის, რომელიც 1934 წელს დაიწყო, გახდა მასობრივი მოძრაობა და სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმით — „ფრიადოსნობით" გამოიხატა. მოძრაობა წარმოების წარჩინებულის სახელისათვის, რაც დაძაბულ შრომას მოითხოვდა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში ჩაისახა. ამ საწარმოს მუშაობა განაზოგადა გაზეთმა „პრავდამ" (1935 წლის აპრილი), რომელიც მუშათა კლასის ყურადღებას ამახვილებდა პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე. „ფრიადოსანთა" მოძრაობა ფართოდ გავრცელდა საქართველოს მრეწველობაში. თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროთა კრებებმა 23 — 25 აპრილს მიიღეს გადაწყვეტილება გამოშვებული პროდუქცია საამქროების მიხედვით შეეფასებინათ „ფრიადზე", „კარგზე" და „დამაკმაყოფილებლად". ამ მიზნით ქარხნის ერთ-ერთ საამქროში შეიმუშავეს საინსტრუქციო ბარათები გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესაფასებლად [1].

„ფრიადოსანთა" მოძრაობა სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმას წარმოადგენდა. დამკვრელ მუშათა „ფრიადოსნებად" გადაქცევა იყო მუშათა კლასის საბრძოლო ამოცანა სოციალისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე.

ტექნიკის ათვისების წარმატებებმა, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომმა განვითარებამ მოამზადა წანამძღვრები წარმოების ნოვატორთა მოძრაობის წარმოშობისა და გავრცელებისათვის. ამ მოძრაობის დაწყების ინიციატორი დონბასის ქვანახშირის მაღაროს „ცენტრალური ირმინოს" მნგრეველი ა. სტახანოვი იყო, რომელმაც 1935 წლის 30 აგვისტოს მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, რითაც 14-ჯერ გადააჭარბა დაწესებულ ნორმას.

საქართველოს მოწინავე მუშებმა აიტაცეს ა. სტახანოვის თაოსნობა, მათ შორის პირველმა სტახანოველმა ტყიბულში გ. გორგიძემ გეგმა შეასრულა 800 პროცენტით, ხოლო ჭიათურის მანგანუმის მაღაროს მნგრეველმა ვ. სამხარაძემ 1935 წლის ოქტომბერში მოანგრია 51 ტონა მანგანუმის მადანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ტონისა. ტ. ფოფხაძემ საწარმოო დავალება 673 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. მათი მაგალითისამებრ ჭიათურის მრავალი მაღაროელი ჩაება დავალებათა გადაჭარბებისა და სარეკორდო შრომისნაყოფიერებისთვის ბრძოლაში.

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 25 апреля 1935 г.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელმა ღ. ჭიჭინაძემ 1935 წლის ოქტომბერში გადააჭარბა ორთქლმავლის ნაწილების ჭედვის საკავშირო რეკორდს (ერთ ცვლაში ორი რეილის ნაცვლად გამოჭედა რვა) და პირველ ქართველ სტახანოველთა რიგებში ჩადგა. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ამავე ქარხნის მჭედელმა კ. ილურიძემ.

სტახანოვური მოძრაობის დაწყებამ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშათა საწარმოო აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ 1935 წლის 15 ოქტომბერს დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციას საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად შეემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებანი ქარხანაში სტახანოვური მუშაობის ახალი მეთოდების დასანერგად[1].

1935 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა სსრ კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი, ყველა მუშის, ინჟინრის, ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი მოწოდებით — გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება მუშაობის სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის.

ხელმძღვანელი პარტიული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანოების მიმართვა-მოწოდებანი ხელს უწყობდნენ სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ ეტაპზე დასახული ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად მუშათა კლასის მობილიზაციას, მუშათა მასებს უსახავდნენ ამ ამოცანების გადაჭრის კონკრეტულ გზებს.

სტახანოველთა პირველმა სრულიად საკავშირო თათბირმა (1935 წლის 17 ნოემბერი) უდიდესი როლი შეასრულა სტახანოვური მოძრაობის შემდგომ განვითარებაში. ი. ბ. სტალინი, იძლეოდა რა სტახანოვური მოძრაობის წყაროებისა და მნიშვნელობის ღრმა ანალიზს, აღნიშნავდა, რომ სტახანოვური მოძრაობა „წარმოადგენს ისეთ მოძრაობას, რომელიც ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს, აჭარბებს მთელ რიგ შემთხვევაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას და, ამრიგად, ქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას“ [2].

1935 წლის დეკემბერში საქართველოს კპ (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ ჩატარებულმა თათბირმა დაადასტურა, რომ სტახანოვურმა მოძრაობამ მოიცვა თბილისის სამრეწველო საწარმოები. გამომჟღავნდა ამასთანავე სტახანოვური მოძრაობის შეფერხების ფაქტებიც. დაბრკოლებანი ზოგჯერ წარმოების ცუდი ორგანიზაციით იყო გამოწვეული ან ზოგიერთ სამეურნეო მუშაკის წინააღმდეგობითაც. თათბირმა მითითება მისცა სა-

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 16 октября 1935 г.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 623.

წარმოთა ხელმძღვანელებს და პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის და ამასთან დაკავშირებით წარმოებისადმი ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნისათვის. ახლებურად, უნდა მოწყობილიყო ნედლეულითა და მასალით სამრეწველო საწარმოთა და ცალკეული საამქროების მომარაგება, მოწყობილობათა სრულფასოვანი შეკეთება[1].

სტახანოვურად მუშაობის შესახებ მოწოდებამ გამოხმაურება პოვა ტრანსპორტზე. კრივონოსული მოძრაობა ისევე ფართოდ გავრცელდა ტრანსპორტზე, როგორც სტახანოვური მოძრაობა მრეწველობაში. კრივონოსელის საპატიო სახელის მოპოვება ათობით და ათასობით რკინიგზელისათვის საბრძოლო ამოცანად იქცა. ამის უტყუარი მაჩვენებელი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სტახანოველ-კრივონოსელთა პირველი შეკრება (1935 წლის 5 დეკემბერი), რომელსაც 300-მდე მოწინავე რკინიგზელი დაესწრო. ამ შეკრების მიმართვამ ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა მუშისადმი, მუშა-ქალისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისადმი, რესპუბლიკის მუშათა კლასის ახალი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია.

სტახანოველთა რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ 1935 წლის ბოლოსათვის იგი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გაშლილი, იწყებოდა მისი გადაქცევა მასობრივ მოძრაობად.

საქართველოს მრეწველობაში, ისე როგორც სხვაგან, სტახანოვური მეთოდებით მუშაობის მასობრივ მოძრაობად გადაქცევის კონკრეტულ ფორმას 1936 წლის დასაწყისიდან წარმოადგენდა სტახანოვური ხუთდღიურებისა და ათდღიურების ჩატარება.

სტახანოვური ხუთდღიურებისა და ათდღიურების მოსამზადებელ ღონისძიებას წარმოადგენდა სტახანოვური დღეების ორგანიზაცია. სტახანოვურმა დღემ, რომელიც პირველად თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში მოეწყო 1935 წლის 30 დეკემბერს, გამოავლინა მთელი რიგი ხარვეზები, მაგრამ ამასთანავე ნათელყო მთელი ქარხნის სტახანოვურად მუშაობის უდიდესი შესაძლებლობაც. 1936 წლის 13 იანვარს ქარხანაში დაიწყო სტახანოვური ხუთდღიური. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების გავრცელებას. ხუთდღიურის პერიოდში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა დამკვრელებმა და საამქროებმა. ხუთდღიურის წარმატებით ჩატარებამ შესაძლებელი გახადა სტახანოვური ათდღიურისა და სტახანოვური თვის ორგანიზაცია ქარხანაში.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით აღინიშნა სტახანოვური ხუთდღი-

---

[1] Газ. «Тифлисский рабочий», 5 декабря 1935 г.

ურები თბილისის აბრეშუმსაქსოვ და ბამბის სართავ ფაბრიკებში, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, ტრამვაის სახელოსნოებში და სხვ. პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ სტახანოვური ხუთდღიურებისა და ათდღიურების ჩატარების ორგანიზატორებს.

წარმატებით ტარდებოდა რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში სრულიად საკავშირო სტახანოვური ათდღიური 1936 წლის 15 მარტიდან, იგი აღინიშნა განსაკუთრებით რაციონალიზატორული მუშაობის გაძლიერებით. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში სტახანოვური ათდღიურის განმავლობაში 18 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს, რომელთა ნაწილი დაინერგა წარმოებაში[1]. სტახანოვური ათდღიურის განმავლობაში, რომელიც 1936 წლის მარტში ჩატარდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, 104-მდე გაიზარდა სტახანოველთა რიგები[2].

თბილისის ტრამვაის სახელოსნოებში, სტახანოვურმა ბრიგადამ პასუხად მოსკოვის ფაბრიკის „პარიზის კომუნის" სტახანოველთა მიერ წამოყენებული ლოზუნგისა — სტახანოვური მოძრაობის წლისთავი გადაექციათ შრომისნაყოფიერების ამაღლების ახალი რეკორდების დღედ, წერილით მიმართა თბილისის საწარმოების სტახანოველებს, სადაც მიუთითებდნენ სტახანოვურად მუშაობის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ 1936 წლის დასაწყისში სტახანოვური ხუთდღიურებისა და ათდღიურების ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი სახელოსნოებში შრომისნაყოფიერების ამაღლებას და ამასთან დაკავშირებით ხელფასის ზრდას თითქმის 2-ჯერ.

1936 წლის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა, რომელთაც ჩამორჩენა ჰქონდათ გეგმის შესრულებაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჭიათურის მანგანუმის მაღაროელთა კოლექტივი, რომელმაც უდიდესი მიღწევები მოიპოვა სტახანოვური მოძრაობის გაშლის შედეგად. ტრესტ „ორჯონიკიძექვანახშირის" კრივოიროგის მაღაროელებთან შეჯიბრებაში ტყიბულელმა მაღაროელებმა მ. ფურცხვანიძემ, ალ. კასრაძემ, გ. გორგიძემ და სხვ. ცნობილი მეშახტის სემივოლოსის მრავალსანგრევიან ბურღვის მეთოდის გამოყენებით მნიშვნელოვნად გაადიდეს ქვანახშირის ამოღება. გაიზარდა წარმოების სიმძლავრე, რასაც ხელი შეუწყო ახალი ტექნიკის ათვისებამ და სამთო სამუშაოების სწრაფმა მექანიზაციამ. სტახანოვურ მოძრაობაში ებმებოდნენ მუშათა ახალი ჯგუფები. 1936 წლის სექტემბრისათვის ჭიათურის მანგანუმის წარმოება 800-მდე სტახანოველსა და 700-მდე დამკვრელს ითვლიდა.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 2306, ფურც. 10 — 12.

[2] Газ. «Тифлисский рабочий», 26 марта 1936 г.

1936 წელს რესპუბლიკის საწარმოებში მოპოვებული მიღწევები დამაჯერებლად მეტყველებდნენ სტახანოვური მოძრაობის გაშლის დიდ მნიშვნელობაზე. მრეწველობის პროდუქციის მოცულობა წინა წელთან შედარებით 29,1 პროცენტით გაიზარდა[1]. უკვე 1936 წელს გადაჭარბებით შესრულდა მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 604 მილიონ მანეთამდე გაზრდის ვალდებულება; ხოლო მსუბუქმა მრეწველობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იძლეოდა მხოლოდ 2 მილიონი მანეთის პროდუქციას, 1936 წელს გამოუშვა 118 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის ზრდას ხელი შეუწყო მუშაობის სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვამ. სტახანოვური მოძრაობის გაშლით ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში შრომისნაყოფიერება ამაღლდა 50,7 პროცენტით 1935 წელთან შედარებით. ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში — 33 პროცენტით, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში — 45,8 პროცენტით[2].

1937 წელს საქართველოს მუშათა კლასის წინაშე იდგა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეორე ხუთწლედის დასრულების ამოცანა. ამისათვის საჭირო იყო წინა წლების მთელი გამოცდილების ფართოდ გამოყენება, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, სტახანოვური მოძრაობის გაშლის საფუძველზე მრეწველობის ცალკეული დარგის ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1937 წლის 15 იანვარს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში 1937 წლის საწარმოო პროგრამის საუკეთესოდ შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა, რომ „მეორე სტახანოვურ წელს საქართველოს მრეწველობაში არ უნდა დარჩეს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო, არც ერთი მუშა, რომელიც ნორმებს არ ასრულებდეს"[3].

1937 წელს საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა წარიმართა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად. მრეწველობის ცალკეული დარგის განვითარებას 1937 წელს საფუძვლად დაედო ხელმძღვანელი ორგანოების მითითებანი მეორე ხუთწლედის განმავლობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის კონკრეტული გზების შესახებ.

მეორე ხუთწლედის პერიოდში წარმოების ნოვატორთა აქტივო-

---

[1] ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1937, № 2, გვ. 31.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 32.

ბა გამოიხატა წარმოების რაციონალიზაციისა და მუშათა გამომგონებლობის გაფართოებით.

საკ. კპ (ბ) XVII ყრილობამ მიუთითა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის უდიდეს მნიშვნელობაზე ტექნიკის ათვისებაში, ახალი საწარმოო რეზერვების აღმოჩენასა და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში. მუშათა გამომგონებლობის ერთთვიურები და გამომგონებელთა საღამოები, რომელიც რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ტარდებოდა, ხელს უწყობდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. გამომგონებლურ საქმიანობაში ებმებოდნენ კვალიფიციური მუშები. 1934 წელს გამომგონებელთა საქართველოს საზოგადოების 4684 წევრიდან მუშა იყო 3594. მუშათა მიერ 1930 წელს შემოტანილი იყო 252 და 1935 წელს 3445 რაციონალიზატორული წინადადება[1]. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა ის სახსრები, რომელსაც იძლეოდა ამა თუ იმ გამოგონებისა და წინადადებების წარმოებაში დანერგვა. მარტო თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 1934 წელს შეადგინა 29 ათასი მანეთი, 1935 წლის პირველ ნახევარში კი — 66 ათასი მანეთი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის შრომითი აქტივობის აღმავლობამ, სტახანოვური მოძრაობის წარმოქმნამ და განვითარებამ განაპირობეს მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება.

§ 3. კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება

საბჭოთა ქვეყანაში წარმატებით გადაწყდა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ამოცანა — წვრილ, ინდივიდუალურ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა მსხვილ სოციალისტურ მიწათმოქმედების რელსებზე.

ჩვენი ქვეყნის განვითარების შემდგომ პერიოდში მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის ხაზით ძირითად ამოცანას წარმოადგენდა: კოლმეურნეობათა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, მიწათმოქმედების მექანიზაციის ძირითადად დამთავრება, აგროტექნიკის დანერგვა, მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტიულობის ამაღლება.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ამო-

---

[1] Газ. Тифлисский рабочий», 25 октября 1935 г.

ცანა ჯერ კიდევ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმმა დააყენა. პლენუმმა მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებასთან ერთად პარტიულ ორგანიზაციებს ძირითად ამოცანად დაუსახა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, კოლმეურნეობებში ყველა სამუშაოს მოწყობა სანარდო სისტემის საფუძველზე. იწონებდა რა კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვის ახალ ფორმას — შ რ ო მ ა დ ღ ე ს, როგორც კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვისა და შემოსავლის განაწილების საუკეთესო ფორმას, ამასთან პლენუმი მოითხოვდა, კოლმეურნეობებში კოლმეურნის შრომა, მისი ხარისხის გათვალისწინებით აღრიცხულიყო, ხოლო შემოსავლის (ნატურალური და ფულადი) განაწილება მომხდარიყო კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით.

ამასთანავე პლენუმმა მოითხოვა, რომ შექმნილიყო მუდმივი შემადგენლობის საწარმოო ბრიგადები. კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნა-განვითარებას, ხოლო შემდეგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პოლიტგანყოფილებების ჩამოყალიბებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, წარმოადგენდნენ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ კერებს, უზრუნველყოფდნენ მათ სამოქმედო რაიონებში მდებარე კოლმეურნეობათა მომსახურებას მიწათმოქმედების ყველა დარგში. ამით ისინი თანდათანობით გახდნენ კოლმეურნეობათა ყველა საწარმოო პროცესის ორგანიზატორები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, კოლმეურნეობებთან ერთად, პასუხისმგებელნი იყვნენ სახელმწიფოს წინაშე საკოლმეურნეო წარმოების ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, კულაკური ელემენტებისაგან მათი გაწმენდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პოლიტგანყოფილებების შექმნას, რომელთა ჩამოყალიბებას პარტია 1932 წლის შემოდგომიდან შეუდგა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საბჭოთა მეურნეობებთან ერთად წარმოადგენდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და კოლმეურნეობებზე საბჭოთა მეურნეობების გავლენის განუწყვეტელი გაძლიერების მთავარ ბერკეტებს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი სამეურნეო-ორგანიზაციული გავლენა მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო სისტემაში და გახდნენ მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზატორები. პოლიტგანყოფილებების მუშაობის ფართოდ

გაშლის საფუძველზე, როგორც მოსალოდნელი იყო, განხორციელდა პარტიული ხელმძღვანელობის დაახლოება კოლმეურნეობებთან, სოფელთან.

საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისა და მისი შემდგომი აღმავლობის საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობებმა. დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი საკავშირო ყრილობა შედგა მოსკოვში 1933 წლის თებერვალში. ყრილობის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობის დარგში შეძენილ მოწინავე გამოცდილებათა განზოგადება და გავრცელება.

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე (მოსკოვი, 1935 წლის თებერვალი), მიღებული და განხილული იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელიც 1935 წლის 17 თებერვალს სათანადო განხილვის შემდეგ დაამტკიცა საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და მისცა მას კანონის სახე.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებამ დიდი მაორგანიზებელი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, საკოლმეურნეო შრომაში სანარდო სისტემის დანერგვასა და შრომადღის როლის ამაღლებაში. ყოველივე ამან განამტკიცა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, განავითარა საკოლმეურნეო, კოლექტიური წარმოება და კოლმეურნე გლეხებში მტკიცედ დანერგა შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება და მათი საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა-განვითარება წარმოადგენდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პირობას კოლმეურნეობებში ახალი წევრების მიზიდვისათვის. ამ მიზნით გამოიყენეს 1934 — 1935 წლებში ადგილობრივი საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. ამ კამპანიის მსვლელობაში გამოვლინდა საბჭოთა გლეხობის მაღალი პოლიტიკური მოწიფულობა; ერთპიროვნული გლეხები, ხედავდნენ რა კოლმეურნეობათა წარმატებებს, ტოვებდნენ თავიანთ ინდივიდუალურ მეურნეობას და სრული ნებაყოფლობით ებმებოდნენ კოლექტიურ შრომაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარება რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა.

საერთოდ, საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრებული იყო და მთავარი ღონისძიებანი მიმართული იყო მარცვლეულის პრობლემის გადაჭრისაკენ. საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებუ-

ლი; 1932 წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა მხოლოდ 36,1 პროცენტი, რომელთა სარგებლობაში იყო სათესი ფართობის 29,6 პროცენტი. ამასთანავე მარცვლეულის პრობლემა საქართველოში არ წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ძირითად საკითხს, აქ მწვავედ იდგა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარების საკითხი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემა. ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება და მისი სოციალისტური გარდაქმნა მეორე ხუთწლედის განმავლობაში ხდებოდა სამი მთავარი მიმართულებით: 1. მეურნეობის სოციალისტური ფორმების — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უპირატესი ზრდის; 2. ტექნიკური და სუბტროპიკულ-ციტრუსოვან კულტურათა განვითარებისა და 3. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერებისა და სხვადასხვა აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების მიმართულებით.

ამრიგად, საქართველოში იშლებოდა და ირღვეოდა საწარმოო ძალთა განვითარების შემფერხებელი წვრილგლეხურ მეურნეობათა ძველი საწარმოო ურთიერთობანი. მის ნაცვლად იქმნებოდა და მტკიცდებოდა ახალი, სოციალისტური ურთიერთობანი, რომლებიც ფართო გასაქანს აძლევდნენ სოფლის საწარმოო ძალების განვითარებას. სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი სოფლის მეურნეობაში იქმნებოდა სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობებისა და წვრილგლეხურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად გაერთიანების გზით.

საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური მეურნეობები, რომლებიც მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებს წარმოადგენდნენ, შესაძლებლობას იძლეოდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვათა ფართოდ გამოყენებისა. გარდა ამისა, იგი ქმნიდა რთული მანქანა-იარაღების მომსახურე პერსონალს — ტექნიკურად მომზადებულ მუშებს, რაც ხელს შეუწყობდა სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებასა და განვითარებას.

საბჭოთა მეურნეობების განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ. ამ დადგენილებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე სახავდა საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების მაქსიმალური გაფართოების ამოცანებს. მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებების გზით (ბურით მომარაგება, სამრეწველო ნაწარმით დასაქონლება, შეღავათიანი სესხები და სხვ.) ჩაის მეურნეობის დარგში სერიოზული ამოცანა იდგა — მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიას ძირითადად უნდა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა კავშირის მთლიანი მოთხოვნი-

ლება ჩაიზე. გარდა ამისა, დღის წესრიგში იდგა მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობების სწრაფი მშენებლობის ამოცანა[1].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთში იქმნებოდა მარცვლეულისა და მეცხოველეობის დიდი გიგანტი, საბჭოთა მეურნეობები; საქართველოშიც მათი მიბაძვით ცდილობდნენ შეექმნათ დიდი საბჭოთა მეურნეობები — გიგანტები. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში ძირითადად მრავალწლიანი, ძალზე შრომატევადი ნარგავების — ვენახის, ხეხილის, ჩაის, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა, ვერ გაამართლა გიგანტური საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკამ.

საქართველოს კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები შესაძლებლობას იძლეოდა სხვადასხვა სახეობის კულტურის განვითარებისათვის, მაგრამ გამოსაყენებელ სავარგულთა სიმცირე ფრიად ზღუდავდა ამ შესაძლებლობას. ამიტომ მიზანშეწონილი იყო მეტად რენტაბელური და საკავშირო მნიშვნელობის კულტურათა განვითარება. ასეთი იყო ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ეს გარემოება დავიწყებულ იქნა და მრავალი სხვადასხვა წვრილი საბჭოთა მეურნეობები შეიქმნა პირველ ხუთწლედში. ასე მაგალითად, 1932 წლის მონაცემებით საქართველოში არსებობდა „საქთამბაქოს“ ტრესტის ორი საბჭოთა მეურნეობა 13,1 ათასი ჰექტარი მიწით, საქართველოს ცხენთსაშენის სამი საბჭოთა მეურნეობა 6,1 ათასი ჰექტარი მიწით, მეღორეობის ცხრა საბჭოთა მეურნეობა 10,2 ათასი ჰექტარი მიწით, საქზეთის ტრესტის ხუთი საბჭოთა მეურნეობა 27,7 ათასი ჰექტარი მიწით.

1932 — 1936 წლების განმავლობაში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელდა რიგი ასეთი წვრილი, არარენტაბელური საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია, რის შედეგადაც საქართველოს კოლმეურნეობებს 20 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა გადაეცა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1936 წელს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ-ში ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის, მუშათა მომარაგების განყოფილების და კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების მეურნეობის ლიკვიდაციის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების ზედმეტი მიწის ჩამოჭრისა და მის ხარჯზე კოლმეურნეობათა მიწების გადიდების შესახებ“. ეს დადგენილება წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომლის საფუძველზე საქართველოში მოახდინეს სხვადასხვა საწარმოო მიმართულების ბევრი საბჭოთა მეურნეობის ლიკვიდაცია, ხოლო ბევრ საბჭოთა მეურნეობას ჩამოეჭრა მიწის ზედმეტი ნაკვეთი. ამის შედეგად საქარ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 4 ნოემბერი.

თველოს კოლმეურნეობებმა უვადო, ანუ სამუდამო სარგებლობაში მიიღეს 111 737 ჰექტარი მიწა, ხოლო გრძელვადიანი კრედიტების მეშვეობით შეისყიდეს ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობებიდან და სხვა მეურნეობებიდან 6 960 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 62 ათასი ცხვარი, თხა და ღორი. 1937 წლის დასაწყისისათვის საქართველოში დარჩა 121 საბჭოთა მეურნეობა, ისინი ძირითადად შეესაბამებოდნენ საქართველოს ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებს და ჰქონდათ საკავშირო მნიშვნელობა. ამით საქართველოს საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ხაზით.

1936 წლის ბოლოსათვის საქართველოში არსებობდა ჩაის საწარმოო მიმართულების 15 საბჭოთა მეურნეობა 15 768 ჰექტარი საერთო ფართობით, მევენახეობა-მეღვინეობის 16 საბჭოთა მეურნეობა 11544 ჰექტარი მიწით; ხეხილის ხუთ საბჭოთა მეურნეობას 1 794 ჰექტარი ფართობი ეკავა, რამის სამ საბჭოთა მეურნეობას 1 093 ჰექტარი, სატყეო-ტექნიკურ ოთხ მეურნეობას — 1 427 ჰექტარი მიწა. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა იყო ერთი 1 645 ჰექტარი ფართობით, მეცხოველეობის ხაზით იყო ცხრა საბჭოთა მეურნეობა 100 ათას ჰექტარზე მეტი ფართობით[1].

საქართველოს სოფელში სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის შექმნაში, როგორც უკვე ითქვა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებას. 1932 წლის ბოლოს საქართველოში იყო 3 425 კოლმეურნეობა, მათ შორის 30 კომუნა, 2 887 არტელი და 508 მიწის ზიარად დამმუშავებელი ამხანაგობა. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 165 671 გლეხური მეურნეობა, ანუ გლეხურ მეურნეობათა 36,1 პროცენტი, კოლმეურნეობათა სათესი ფართობი 242,2 ათას ჰექტარს შეადგენდა, რაც საერთო სათესი ფართობის მხოლოდ 29,6 პროცენტს უდრიდა.

მეორე ხუთწლედში მაღალი იყო გლეხთა მისწრაფება კოლმეურნეობებში გაერთიანებისაკენ, განსაკუთრებით კი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ნაყოფიერი მუშაობის, პოლიტგანყოფილებათა მიერ პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მიღების შედეგად. 1936 წლის ბოლოს, საქართველოში უკვე არსებობდა 4 334 კოლმეურნეობა 371 819 გლეხური მეურნეობით, რაც შეადგენდა გლეხურ მეურნეობათა 75,8 პროცენტს[2]. ასე ხდებოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1936 წლის 1 სექტემბერი.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 5, საქ. 6844, ფურც. 64.

ამრიგად, 1936 წლის ბოლოსათვის საქართველოში ძირითადად დამთავრებული იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მეურნეობის სოციალისტურ ფორმებს — საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს, სადაც წარმოებითი ურთიერთობა სოციალისტური ხასიათის იყო და ქმნიდა პირობას საწარმოო ძალების ახალი მძლავრი განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის წარმატებები, საკოლმეურნეო წყობილების ზრდა და განვითარება კიდევ უფრო ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. კლასობრივ მტრებს — კულაკებს და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს, ყოფილ ხუცებს, ყოფილ თავად-აზნაურებს და ა. შ. — გააფთრებული იერიში მიჰქონდათ საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ. ამისათვის ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შექმნა საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის ხაზის გამრუდებამ. ამ გამრუდებათა გამოყენება სცადეს კლასობრივმა მტრებმა თავიანთ სასარგებლოდ. ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი თვითდინებას მიენდო, რაც კლასობრივმა მტრებმა საბჭოთა ხელისუფლების სისუსტედ მიიჩნიეს. ამ პერიოდში კლასობრივი მტრები აშკარად არ ილაშქრებდნენ კოლმეურნეობების წინააღმდეგ, პირიქით, ცდილობდნენ შესულიყვნენ კოლმეურნეობებში, მოწყობილიყვნენ „თბილ ადგილებზე" მოანგარიშეებად, სამეურნეო ნაწილების გამგეებად, საწყობის გამგეებად, შიგნიდან მოეხდინათ კოლმეურნეობის გახრწნა, შეეტანათ არევ-დარევა საკოლმეურნეო ანგარიშწარმოებაში და სხვ.

ანტისაბჭოთა ელემენტები, ეფარებოდნენ რა კოლმეურნეთა ზოგიერთ შეუგნებელ ნაწილს, აქეზებდნენ გლეხებს საზოგადოებრივი, საკოლმეურნეო ინტერესების წინააღმდეგ, ცდილობდნენ შიგნიდან გაეხრწნათ კოლმეურნეობანი, ჩაეშალათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, მშრომელ გლეხებში დაეთესათ უკმაყოფილება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისადმი, დაესუსტებინათ და დაერღვიათ საბჭოთა წყობილების საფუძველი — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი. მაგრამ კომუნისტურმა „პარტიამ პოლიტგანყოფილებათა შემწეობით ამხილა და კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ძირითადად გააძევა ანტისაბჭოთა, ანტისაკოლმეურნეო, მესაბოტაჟე და მავნებლური ელემენტები, კულაკები და მოკულაკონი, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიპარნენ და „მიმპარავი მუშაობით" ცდილობდნენ შიგნიდან დაეშალათ ისინი"[1].

კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცება და კოლ-

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ტ. III, გვ. 363.

მეურნეობებში მშრომელ გლეხთა ახალი ლტოლვა განაპირობა აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 20 მაისის დადგენილებამ საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ. ამ დადგენილებით კოლმეურნეთა მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრებოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, მაშინ როდესაც ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საკოლმეურნეო ბაზრებიდან მიღებული შემოსავალი იბეგრებოდა არა უმეტეს 30 პროცენტისა. დადგენილება ამავე დროს ითვალისწინებდა, რომ საკოლმეურნეო ბაზარზე არ უნდა ყოფილიყვნენ დაშვებული კერძო ვაჭრები და გადამყიდველები.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლამ გააფართოვა საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, გააუმჯობესა მუშების მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, გლეხებისა კი — სამრეწველო ნაწარმით. ამასთანავე ის გახდა შემოსავლის დამატებითი წყარო კოლმეურნეობებისათვის, რაც ხელს უწყობდა მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საკოლმეურნეო ვაჭრობამ დააჩქარა ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა ახალი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ, შეზღუდა ზოგიერთი მერყეევი გლეხის გასვლა კოლმეურნეობებიდან.

სახელმწიფო გადასახადები იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ბერკეტი, რომელიც, ერთი მხრივ, აჩქარებდა ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა კოლმეურნეობებში შესვლას, ხოლო, მეორე მხრივ, ზღუდავდა კულაკური მეურნეობის განვითარებას, შემდეგ კი იწვევდა მის მეურნეობრივ განადგურებასა და ლიკვიდაციას.

1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა წინა წლების კანონთან შედარებით. კოლმეურნეობებში გადასახადის გაანგარიშება უნდა მომხდარიყო საგაზაფხულო ნათესების მიხედვით, გადასახადის მტკიცე განაკვეთებით. ის კოლმეურნეობები, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებდნენ მოსავლიანობის გეგმას, სანიმუშოდ დააყენებდნენ აღრიცხვიანობის საქმეს შეღავათებს ღებულობდნენ გაანგარიშებული გადასახადის 25 პროცენტის რაოდენობით. კოლმეურნე გლეხობა გადასახადს მტკიცე განაკვეთით იხდიდა, რომელიც მერყეობდა 20 — 30 მანეთს შორის.

ერთპიროვნული მშრომელი გლეხობა იბეგრებოდა ნორმატიული მეთოდით. დასაბეგრ შემოსავალში ჩაითვლებოდა როგორც სოფლის მეურნეობიდან, ასევე არასამიწათმოქმედო შემოსავლები სხვადასხვა საწარმოდან და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან.

კულაკური მეურნეობა, როგორც წესი, ინდივიდუალური წესით იბეგრებოდა. თუ კულაკური მეურნეობის შემოსავალი ათას მანეთს არ აღემატებოდა, გადასახადს 350 მანეთის რაოდენობით იხდიდა, თუ მეტი

იყო, მაშინ კულაკი პროგრესული განაკვეთით დაიბეგრებოდა, მათი დაბეგვრის მაქსიმალური განაკვეთი 70 პროცენტს უდრიდა. განკულაკებული მეურნეობები, რომელთაც ფარული შემოსავალი, კაპიტალი, ქონება არ გააჩნდათ, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მსგავსად იბეგრებოდნენ, შეღავათებით არ სარგებლობდნენ. ეს გადასახადი, ისე როგორც სხვა, კლასობრივი პრინციპით იყო აგებული.

კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა 1934 წლიდან. ამ წელს საშუალოდ თითოეული კულაკური მეურნეობის ფაქტიური შემოსავალი საფინანსო ორგანოების მიერ განსაზღვრული იყო, 1637 მანეთს შეადგენდა, გადასახადების საერთო ჯამი — 5 374 მანეთს, ე. ი. 3,3-ჯერ მეტს[1].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებთან ერთად გადასახადებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულაკურ მეურნეობათა ჯერ შეზღუდვის, შემდეგ კი ლიკვიდაციის საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღება საქართველოს კოლმეურნეობების მიერ წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. მან მნიშვნელოვნად განამტკიცა მათი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობა.

კოლმეურნეობათა ძირითად წარმოების საშუალებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი მიწას ეკავა. მიწის ერთი ნაწილი წარმოადგენდა კოლმეურნეობის წევრთა სარგებლობაში მყოფი მიწის განსაზოგადოების შედეგს, ხოლო მეორე მიღებული ჰქონდა სახელმწიფოსაგან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 7 ივლისის დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო არტელზე სახელმწიფო აქტებით მიწების უვადო (სამუდამო) სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ დაიწყო მიწების გადაცემა კოლმეურნეობებისათვის. ამ დადგენილების გამოცემიდან ერთი წლის მანძილზე, ე. ი. 1936 წლის 1 აგვისტოსათვის სახელმწიფო აქტები მიწით სარგებლობაზე მიეცა 1156 კოლმეურნეობას. 1937 წლისათვის სახელმწიფო აქტით გაფორმებული იყო 738 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

თუ განვიხილავთ კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობას 1932 — 1937 წლების მანძილზე, შემდეგ სურათს მივიღებთ[2]: 1932 წელს 3425 კოლმეურნეობის სარგებლობაში იყო 492,2 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, რაც შეადგენდა მიწის საერთო ფონდის 7,1 პროცენტს. მიწის ამ საერთო ფართობში ნათესი ფართობი 242,4 ათას ჰექტარს, ანუ გლეხურ

---

[1] ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1957, გვ. 96.

[2] ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მიწის ფონდი, თბ., 1961, გვ. 179 — 194.

მეურნეობათა სარგებლობაში მყოფი ნათესი მიწის 29,6 პროცენტს უდრიდა. კოლმეურნეობაში გაერთიანებულ ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 1,5 ჰექტარი, ხოლო ერთ კოლმეურნეობაზე — 70,8 ჰექტარი ნათესი მიწის ფართობი.

1937 წელს 4366 კოლმეურნეობის სარგებლობაში გადაცემული იყო სახელმწიფო აქტებით უვადო, ანუ სამუდამო სარგებლობაში 2 664 ათასი ჰექტარი მიწის საერთო ფართობი, რაც შეადგენდა საქართველოს სსრ მიწის საერთო ფონდის 38,2 პროცენტს. კოლმეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწებიდან ვარგისი იყო 2408,5 ათასი ჰექტარი, აქედან ამუშავებდნენ 1100,7 ათას ჰექტარს, საიდანაც სახნავს 907,9 ათასი ჰექტარი ეკავა, ბოსტანს — 21,2 ათასი ჰექტარი, ხოლო მრავალწლიან ნარგავებს — 171,6 ათასი ჰექტარი. 1932 — 1937 წლების მანძილზე კოლმეურნეობების სარგებლობაში მყოფი მიწების ოდენობა ოთხჯერ გადიდდა: სახნავი — თითქმის სამნახევარჯერ, მრავალწლიანი ნარგავები — 8,4-ჯერ, ბოსტნეული — თითქმის 45-ჯერ[1]. ეს მონაცემები გვიდასტურებენ საკოლმეურნეო მიწის ფართობის ზრდას, რაც კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის საკითხებს: შრომის, მოსავლისა და შემოსავლის აღრიცხვას და განაწილებას. ეს საკითხები მეტად რთული იყო, რადგან კოლმეურნეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სახელმწიფო სოციალისტური საწარმოსაგან და ამიტომ იქ გამოყენებული შრომის ორგანიზაციისა და შემოსავლის განაწილების ფორმები არ გამოდგებოდნენ კოლმეურნეობებისათვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრი ახლად შექმნილი კოლმეურნეობა შრომის არასწორი ორგანიზაციისა და მოსავლის არასწორი განაწილების გამო სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა.

საკოლმეურნეო წყობილების განვითარების, კოლმეურნეობათა ეკონომიური განმტკიცების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო კვალიფიციური საკოლმეურნეო კადრების ნაკლებობა. საქართველოს კოლმეურნეობებს აკლდათ არა მარტო სპეციალისტები — მოანგარიშეები, აგრონომები და ვეტექიმები, არამედ აკლდათ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმის გამგეები და სხვ., რომელნიც აღჭურვილი იქნებოდნენ სათანადო ცოდნით და შესაძლებლობა ექნებოდათ მტკიცედ და საქმის ღრმა ცოდნით წარემართათ კოლმეურნეობების, ბრიგადის თუ ფერმის საქმიანობა.

---

[1] ნ. ი ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს სსრ მიწის ფონდი, გვ. 191.

საკოლმეურნეო კადრების მომზადების მიზნით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1934 წელს მოაწყო 25 რაიონული საკოლმეურნეო სკოლა სიღნაღის, გურჯაანის, გორის, ზესტაფონის, ქუთაისის, ამბროლაურის, ცაგერის, ვანის, სამტრედიის, აბაშის, სენაკის, ცხაკაიას, მარტვილის, ჩოხატაურის, ბათუმის, ახალქალაქის, სოხუმის, ბორჩალოს, ხაშურის, ლაგოდეხის, თელავის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, თბილისსა და თბილისის რაიონებში; აგრეთვე სამხრეთ-ოსეთში. ამ სკოლების წლიური კონტინგენტი 2 640 კაცით იყო განსაზღვრული. სკოლები მუდმივმოქმედი იყვნენ. მსმენელებს ღებულობდნენ წელიწადში ორჯერ თებერვალსა და სექტემბერში. ეს სკოლები ამზადებდნენ კოლმეურნეობათა მოანგარიშეებს, ბრიგადირებს, ფერმის გამგეებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

საკოლმეურნეო სკოლებში ძირითადად იგზავნებოდნენ დამკვრელი კოლმეურნეები, რომელთაც შრომადღეები ეწერებოდათ მათი აკადემიური მოსწრების შესაბამისად. ამ სკოლებში პირველი კონტინგენტი მიღებულ იქნა 1934 წლის თებერვალში 1267 კაცის რაოდენობით. მათ შორის მოანგარიშეთა განყოფილებაზე 691 კაცი, ბრიგადირების — 469 კაცი, ფერმის გამგეების — 79 კაცი და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების — 68 კაცი[1]. შემდეგ წელს დამატებით გაიხსნა მეცხოველეობის ბრიგადირების მოსამზადებელი განყოფილება. 1936 წლისათვის რაიონულ საკოლმეურნეო სკოლებში მიღებულ და მომზადებულ იქნა 2790 კაცი. მათ შორის 600 მოანგარიშე, 1250 ბრიგადირი, 200 ფერმის გამგე, 390 მეცხოველეობის ბრიგადირი და 350 კოლმეურნეობის თავმჯდომამარე[2]. რაიონული საკოლმეურნეო სკოლები უზრუნველყოფდნენ მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას საქართველოს კოლმეურნეობებისათვის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე ორგანიზატორები გახდნენ.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას ადასტურებს მის მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა გეგმების წარმატებით შესრულება და შრომადღეებზე მეტი ანაზღაურების გაცემა. 1934 წელს და შემდეგ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა შრომის უკეთესი ორგანიზაციისა და აგრონომიული ღონისძიებების სრულად გატარების შედეგად აამაღლეს მთელი რიგი კულტურების მოსავლიანობა, მიიღეს მეტი მოსავალი, რის შედეგადაც არა მარტო მთლიანად უზრუნველყვეს მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, ასევე ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, არამედ

---

1 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 660, საქ. 4073. ფურც. 9—11.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 5900, ფურც. 22.

მნიშვნელოვანი რაოდენობის ფულადი შემოსავლისა და მოსავლის ნატურით გაცემაც კოლმეურნეებზე შრომადღეების მიხედვით.

1931 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლიდან შრომადღეების მიხედვით განაწილებული იყო 18 მილიონი მანეთი, რაც შეადგენდა კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის 58 პროცენტს. ერთი შრომადღის ღირებულება 1 მან. 20 კაპიკს უდრიდა. 1935 წელს კი კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც შრომადღეების მიხედვით გაანაწილეს, 144 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1936 წელს კი 145 800 მანეთს, რაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის 62 — 63 პროცენტს უდრიდა, ერთი შრომადღის ღირებულება ნატურით მიცემული ნაწილის სახელმწიფო დამზადების ფასზე გაანგარიშებით 3 მან. 32 კაპიკს შეადგენდა[1].

კოლმეურნეობათა ორგანიზაციული განმტკიცების შედეგად გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, მათი განსაზოგადოებული ფონდები, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული დონე. 1931 წელს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 32 523 ათას მანეთს უდრიდა, 1933 წელს — 79243 ათას მანეთს, 1935 წელს — 230 მილიონს, ხოლო 1936 წელს — 234 მილიონ მანეთს.

კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის ზრდის შესაბამისად გაიზარდა გადარიცხვები განუყოფელ ფონდში. 1931 წელს კოლმეურნეობებმა ამ ფონდში გადარიცხეს 3 114 ათასი მანეთი, 1935 წელს—21 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს—27,7 მილიონი მანეთი. განუყოფელ ფონდში გადარიცხვისა და საერთოდ კოლმეურნეობათა ზრდის შესაბამისად გაიზარდა კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ფონდები. ამ ფონდების ღირებულება 1934 წლის 1 იანვრისათვის 88 მილიონ მანეთს უდრიდა, 1937 წლის 1 იანვრისათვის — 371 მილიონ მანეთს, ე. ი. გაიზარდა 4,26-ჯერ.

საქართველოს სსრ მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. მაგალითად, თეთრი წყაროს, ზუგდიდის, მახარაძის, ქობულეთის, სოხუმის, გაგრის და სხვ. რაიონების რიგ კოლმეურნეობათა შემოსავალი მილიონ მანეთს აღემატებოდა. 1936 წელს საქართველოში მილიონერი კოლმეურნეობა იყო ცხრა, 1937 წელს კი 13. ზოგ კოლმეურნეობაში შრომადღეზე განაწილდა 10 მანეთზე მეტი. ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობამ „წითელი დროშა“ 1936 წელს ერთ შრომადღეზე გაანაწილა 14 მან. 86 კაპ., ბათუმის რაიონის კოლმეურნეობამ, „ახალი ცხოვრება“ — 14 მან. 95 კაპ., გაგრის რაიონის „ზარია ვოსტოკას“ სახელობის კოლმეურნეობამ — 15 მან. 72 კაპიკი.

ეს მონაცემები ადასტურებენ, რომ მეორე ხუთწლედის მანძილზე

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1936 წლის 1 სექტემბერი.

საქართველოს სოფელი საკოლმეურნეო გახდა, კოლმეურნეობები მეურნეობრივად გაძლიერდნენ, ორგანიზაციულად განმტკიცდნენ და უზრუნველყოფდნენ კოლმეურნეთა შეძლებულ ცხოვრებას, აშკარა იყო კოლმეურნეობათა უპირატესობა წვრილგლეხურ, ინდივიდუალურ მეურნეობებთან შედარებით.

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლისადმი პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დახმარებამ, პოლიტიკური და ეკონომიური ზემოქმედების ბერკეტების სწორად გამოყენებამ, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის განხორციელებამ თავისი შედეგი გამოიღო: სოფლის მეურნეობა აღიჭურვა პირველი ხარისხის ტრაქტორებით და სოფლის მეურნეობის სხვა მძლავრი მანქანა-იარაღებით, მინერალური სასუქებით, აგროტექნიკური პერსონალით, ახალი სოციალისტური საკოლმეურნეო კადრებით და სხვ. საკოლმეურნეო სოფელს უკვე შეეძლო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმატებით გამოყენება და დანერგვა. კოლმეურნე გლეხობა გადაიქცა მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურად, კოლმეურნეობები კი, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, მსხვილ სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობებად.

ეს იყო საქართველოს სსრ მშრომელი გლეხობის დიდი გამარჯვება, რომელიც განხორციელდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერით და ხელმძღვანელობით. საქართველოს სოფელში მომხდარი სოციალისტური რეკონსტრუქციის შედეგად შექმნილი ახალი საწარმოო ურთიერთობანი ფართო შესაძლებლობას ქმნიდა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის, კოლმეურნე გლეხთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

§ 4. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები

ა. სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობა

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ბევრად გაუმჯობესდა მრეწველობის განვითარების პირობები; გაიზარდა მრეწველობის ტექნიკური აღჭურვილობა. ამას ხელს უწყობდა როგორც საკავშირო მრეწველობის განვითარება, რომელიც ამარაგებდა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებს, ისე რესპუბლიკის მრეწველობის მძლავრი აღმავლობა, რის შედეგადაც მანქანათმშენებლობამ აითვისა ბევრი ახალი მანქანა, რომელთა დიდი ნაწილი ადრე საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. ასე მაგალითად, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ აითვისა

აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანებისა და მათი სათადარიგო მოწყობილობათა წარმოება, ორმაგი და სამმაგი მოქმედების ჩაის როლერების, ჩაის საშრობი ღუმელების და სხვადასხვა სისტემის დამხარისხებელი, აბრეშუმის ძაფსახვევი მანქანების ახალი სისტემების წარმოება; აგრეთვე აბრეშუმის საქსოვი მანქანები „შერერ", „ბრიუგერ" და „შვეიტერ" (ეს მანქანები პირველად საქართველოს მრეწველობამ აითვისა საბჭოთა კავშირში). გ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ აითვისა წნეხები „მობილი", „მაიფერდი", ღვინის ტრიერები და სხვ., სულ—16 სახეობის მანქანა ღვინის მრეწველობისათვის. საქართველოს მრეწველობისათვის საჭირო მანქანებს ამზადებდნენ აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ამრიგად, საქართველოში განვითარდა მანქანათმშენებლობა, რაც რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა.

საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლები ახალ ხუთწლედში ბევრად უფრო დიდი რაოდენობით აწვდიდნენ მრეწველობას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს. მათი რაოდენობის ზრდას ფაბრიკა-ქარხნებში ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბევრი სპეციალისტი სამმართველოებიდან სამუშაოდ საამქროებში და მაღაროებში გადაიყვანეს, რის შედეგადაც მათი რიცხვი ფაბრიკა-ქარხნებში უკვე ხუთწლედის პირველ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე მაგალითად, ტყვარჩელმშენებლობაზე 1932 წელს 97 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი იყო, ხოლო ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი 130 გახდა[1]. გ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში 1930 წელს ყოველ 100 მუშაზე 7,8 ინჟინერი მოდიოდა, ხოლო 1933 წელს — 18. ასევე გაიზარდა მაღალი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალი ტყიბულში, ჭიათურასა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

გაიზარდა მუშათა რიცხვიც, არსებული ცნობების მიხედვით საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში მუშათა საერთო რაოდენობა 1930 წლიდან 1934 წლამდე გაიზარდა 40,5 პროცენტით. აქედან მძიმე მრეწველობაში — 40,4, მსუბუქ მრეწველობაში — 48.6, კვების მრეწველობაში — 43,9, პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდა შრომისნაყოფიერებაც. მძიმე მრეწველობაში — 44,7 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 21,1, სატყეო მრეწველობაში — 118,9, კვების მრეწველობაში — 121,4 პროცენტით[2]. ეს იყო, ერთი მხრივ, იმის შედეგი, რომ მუშათა დიდმა ნაწილმა აიმაღლა თავისი კვალიფიკაცია როგორც თვით წარმოებაში, ისე მრავალრიცხოვან წრეებსა და სასწავლებლებში.

---

[1] «Материалы к отчету правительства ЗСФСР», Тиф., 1935, стр. 24.

[2] იქვე.

ფაბრიკა-ქარხნების აღჭურვილობისა და შრომისნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო საწარმოთა ენერგოშეიარაღება, რაც სწრაფად იზრდებოდა.

საქართველოს ელექტროსადგურები, როგორც ცნობილია, მათ შორის ზაჰესი, მისი აგების პირველ წლებში ფაბრიკა-ქარხნების სიმცირის გამო საკმაოდ დატვირთული არ იყო. შემდეგ, განსაკუთრებით მეორე ხუთწლედში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ამ დროს ელექტროსადგურების გამომუშავებული ენერგია ვერ აკმაყოფილებდა მასზე არსებულ მოთხოვნილებას.

ელექტრომრეწველობის განვითარების თავისებურება რევოლუციამდე მდგომარეობდა იმაში, რომ არსებობდა მხოლოდ მუდმივი დენის წვრილი ელექტროსადგურები. მათი ენერგიის გადაცემა შორეულ მანძილზე არ წარმოებდა და შეუძლებელიც იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოში დაიწყო მძლავრი ელექტროსადგურების აგება, შესაძლებელი გახდა ცვალებადი ელექტროდენის გადაცემა შორეულ მანძილზე შესაფერი ელექტროქსელის საშუალებით. ამის გამო მაღალი ძაბვის ელექტროქსელი ამიერკავკასიაში 1931—1934 წწ. თითქმის ორჯერ გაიზარდა, 685 კილომეტრიდან 1295,5 კილომეტრამდე.

ზემოავჭალის და რიონის ელექტროსადგურები გაერთიანებულ იქნა ერთ ენერგოკვანძში და მომსახურებას უწევდა რამდენიმე რაიონს (თბილისს, კასპს, ზესტაფონს, ქუთაისს, ტყიბულს, ჭიათურას და რკინიგზის ტრანსპორტს). აბაშის ელექტროსადგური კვებავდა ახალ-სენაკის, ფოთის, ხონის, სამტრედიის, აბაშის, ნოსირის საწარმოებს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზის ელექტრიფიკაციას, 1931 — 1934 წლების მანძილზე ეს ღონისძიება განხორციელდა რკინიგზის მთელ ხაზზე თბილისიდან ზესტაფონამდე, სულ 192 კილომეტრზე. რკინიგზის გადაყვანას ელექტროწევაზე დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი შესაძლებლობას იძლეოდა დაგვეზოგა დიდძალი ნავთობი, ბევრად გაგვედიდებინა და დაგვეჩქარებინა ტვირთის გადაზიდვა. ელექტრიფიკაცია იწვევდა ლიანდაგისა და მოძრავი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ამაღლებდა რკინიგზის მეურნეობის ტექნიკას, რკინიგზელთა მრავალრიცხოვანი არმიის ტექნიკურ ცოდნასა და კულტურას.

ელექტრიფიკაცია საქართველოში, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. 1934 წელს დამთავრდა რიონჰესის აგება, ორჯერ გადიდდა ზაჰესის სიმძლავრე, აიგო აგარისა და ტყვარჩელის თბოსადგურები, და სხვ.

მაგრამ რესპუბლიკის მრეწველობა და კომუნალური მეურნეობა მაინც განიცდიდა ელექტროენერგიის ნაკლებობას, რასაც იწვევდა ელექტრო-

სადგურთა მშენებლობის გაჭიანურება, მაშინ, როდესაც სწრაფად იზრდებოდა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა ელექტრომშენებლობის დასაჩქარებლად. 1934 — 1935 წლებში შენდებოდა აჭარისწყლის, სოხუმის, ხრამისა და ალაზნის ჰიდროელექტროსადგურები. ფართოვდებოდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებისა და ტყვარჩელის დიდი რაიონული თბოსადგურები.

1935 წლის დასაწყისში ამიერკავკასიაში 15 სადგური შენდებოდა 366 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრით. აქედან სომხეთზე მოდიოდა 86,4 ათასი კილოვატი, აზერბაიჯანზე — 90,2 და საქართველოზე — 189,4 ათასი კილოვატი[1].

ელექტრომრეწველობის სწრაფი განვითარება საქართველოში შესაძლებელი გახდა ქვეყნად სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრებისა და მისი გეგმიურად წარმართვის შედეგად. მეურნეობის ამ დარგში მიღწეულმა წარმატებებმა ნათელყვეს, თუ რა მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო ელექტრიფიკაციას სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დიდი ისტორიული ამოცანის განხორციელებაში.

ქვანახშირის ერთადერთი საბადო, საიდანაც ხდებოდა სათბობის ამოღება მეორე ხუთწლედამდე, იყო ტყიბული. იგი ვერ აკმაყოფილებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას და ამიტომ ქვანახშირი დიდი რაოდენობით სამხრეთ რუსეთიდან, კერძოდ დონბასიდან შემოჰქონდათ, 1931 წლიდან ტყიბულის ქვანახშირის წარმოება მნიშვნელოვნად მატულობს. 1934 წელს იგი თითქმის სამჯერ იზრდება 1930 წელთან შედარებით და 241 ათას ტონას აღწევს, ნაცვლად 27 ათასი ტონისა 1930 წელს.

ქვანახშირის ამოღების გადიდება ხდებოდა სამუშაოთა მექანიზაციისა და კაპიტალდაბანდებათა ზრდის შედეგად. 1932 წელს ტყიბულის შახტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციისათვის გაღებული იყო 2500 ათასი მანეთი, 1934 წელს კაპიტალდაბანდებამ აქ 3280 ათას მანეთს მიაღწია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშათა რაოდენობა. თუ 1931 წელს აქ მუშაობდა 864 კაცი, 1934 წელს — 1921 კაცი.

გაუმჯობესდა ტყიბულის მუშათა მატერიალური მდგომარეობა და საბინაო პირობები. აგებულ იქნა 19 მრავალბინიანი და 30 სტანდარტული სახლი, გადიდდა მიწის ქვეშ მომუშავეთა ხელფასი, გაიზარდა გამომუშავებაც. 1934 წელს თითოეულ მუშაზე მოდიოდა 15,9 ტონა ქვანახშირი, ნაცვლად 9,4 ტონისა 1930 წელს.

---

[1] «Материалы к отчету правительства ЗСФСР», стр. 58.

მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, მაღაროები მაინც ვერ ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს. ამის უმთავრესი მიზეზი იყო: სამუშაოთა ჯერ კიდევ დაბალი მექანიზაცია და მუშახელის დენადობა.

ტყიბულის მაღაროები ვერ აკმაყოფილებდნენ საქართველოსა და მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნილებებს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტყვარჩელისა და სხვა ახალი საბადოების ამუშავებას.

ტყვარჩელის მაღაროების მშენებლობა 1928—29 წელს დაიწყო, საბადოებს წლიურად უნდა მოეცა 1200 ათასი ტონა ნახშირი, სამუშაოებზე დაიხარჯებოდა 80 მილიონი მანეთი. აქედან 1933 წლის 1 იანვრამდე დახარჯული იყო 38,4 მილიონი მანეთი, 1934 წელს გათვალისწინებული იყო 17 მილიონი მანეთის დაბანდება.

აღსანიშნავია ახალციხის საბადოები, რომელთა ნაწილობრივი ექსპლოატაცია დაიწყო 1933 წელს.

ჭიათურის მანგანუმის საბადოები ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. მისი ექსპორტი მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამო 1931—1932 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, დაეცა მისი წარმოებაც. ასე მაგალითად, თუ 1931 წელს ამოღებული იყო 1646,2 ათასი ტონა, 1932 წელს ამოღებულ იქნა მხოლოდ 642,5 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, მაგრამ სამამულო მეტალურგიის განვითარების შედეგად კვლავ დაიწყო მანგანუმის მოპოვების სწრაფი ზრდა-განვითარება, უკვე 1933 წელს ამოღებულ იქნა 877,3 ათასი ტონა ნედლეული, ხოლო მომდევნო 1934 წელს მანგანუმის მადნის ამოღება კიდევ უფრო გადიდდა და 1335,9 ათას ტონას მიაღწია[1].

პირველ ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი მანგანუმის წარმოებაში შეადგენდა სულ 11 მილიონ მანეთს, მეორე ხუთწლედში ეს თანხა ბევრად გაიზარდა და მარტო 1933—1934 წლებში წარმოების გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე დაიხარჯა 16,4 მილიონი მანეთი, ანუ 5 მილიონ მანეთზე მეტი, ვიდრე მთელ პირველ ხუთწლედში.

მანგანუმის მრეწველობას დიდ დახმარებას უწევდა გ. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარი იყო. იგი კარგად იცნობდა მაღაროელთა მძიმე შრომას და ითვალისწინებდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამთო სამუშაოთა მექანიზაციას. 1933 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით „ჭიათურაში სამთო სამუშაოთა მექანიზაციისა და მადნის ამოღების მნიშვნელოვნად გადიდების შესახებ“ იგი ავალებდა ტრესტს სამი თვის განმავლობაში მოემზადებინა მაღაროები სამთო სამუშაოების მექანიზაციაზე გადასაყვანად. ამავე ბრძანებით „გრუზენერგოს“

---

[1] «Материалы к отчету правительства ЗСФСР», стр. 60.

ევალებოდა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა ზესტაფონიდან ჭიათურამდე დაემთავრებინა 1934 წლის თებერვლამდე, რომ ამ დროს შესაძლებელი ყოფილიყო მოწყობილობათა მონტაჟის დაწყება.

იმავე წლის 7 დეკემბერს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარიატმა კვლავ განიხილა საკითხი ჭიათურის მრეწველობის შესახებ და მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ მანგანუმის მოპოვებისა და ქარხნებზე მიწოდების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენას (ამოღების გეგმა შესრულებული იყო 83 პროცენტით, ხოლო გადაზიდვისა — მხოლოდ 57 პროცენტით). ამასთან დაკავშირებით, კომისარიატმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახა, კერძოდ, ტექნიკური შეიარაღების, მუშათა მომარაგების გაუმჯობესებისა და საბინაო მშენებლობის დაჩქარების ხაზით[1].

საქართველოში ელექტრომრეწველობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფერომანგანუმის წარმოების მოწყობა ზესტაფონში. ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1931 წელს. 1933 წელს ქარხანამ უკვე მისცა ქვეყანას პირველი პროდუქცია — ფერომანგანუმი.

ზესტაფონის ქარხნის აგებით შესაძლებელი გახდა, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, ფეროშენადნობის წარმოების მოწყობა, რაც ძალზე საჭირო იყო საკავშირო მრეწველობისათვის. ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა სწრაფად აითვისეს რთული წარმოება და სამშობლოს მისცეს მაღალი ხარისხის ნაწარმი. 1934 წლის მაისში ზესტაფონს ეწვია სპეციალისტთა ბრიგადა აკადემიკოს ნ. კურნაკოვის მეთაურობით. იგი გაეცნო ქარხნის პროდუქციას და მაღალი შეფასება მისცა მას. ნ. კურნაკოვმა აღნიშნა, რომ „პროდუქცია კარგია და სავსებით აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას". მანვე განაცხადა, რომ ბრიგადამ შეაგროვა „ძვირფასი მასალა წარმოების შესახებ, რომელიც ახალია საბჭოთა კავშირისათვის და შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივებს შლის"[2].

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ზემო სვანეთში გაფართოვდა საკავშირო მნიშვნელობის ხე-ტყის დამმუშავებელი წარმოება. სვანეთის მდიდარი ტყის მასივების ბაზაზე ზუგდიდში აშენდა ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც 1939 წლის 24 იანვარს ამუშავდა.

1933 წლიდან დაიწყო სვანეთის ოქროს საბადოთა დამუშავება, რაშიც დასაქმებული იყო 1500-მდე სვანი ოქროსმაძიებელი გლეხი. ოქროს სარეწავმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ეკონომიურ განვითარებაში.

1935 — 1939 წლებში ყორულდაშში აშენდა საკავშირო მნიშვნელო-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941)», стр. 361.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 5741, ფურც. 1.

ბის დარიშხანის მადნის გადამმუშავებელი მეტალურგიული კომბინატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამთო ინჟინერი ა. ჩხეტიანი, შემდეგ ინჟინერ-გეოლოგი ბ. გუჯეჯიანი. კომბინატთან აღმოცენდა სვანეთში პირველი კეთილმოწყობილი სამრეწველო დასახლება. 1939 წელს ამუშავდა კომბინატის პირველი რიგი, რომელშიც დასაქმებული იყო 1500 სვანი მუშა. ეს იყო სამრეწველო მუშათა კლასის მნიშვნელოვანი რაზმი სვანეთში.

მეორე ხუთწლედის დასაწყისშივე (1933 — 1934 წწ.) მნიშვნელოვნად გაფართოვდა საქართველოს მრეწველობა პირველ ხუთწლედთან შედარებით. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 1933 წელს უდრიდა 308,6 მილიონ მანეთს, 1934 წელს — 348,2 მილიონ მანეთს, რაც 16-ჯერ აღემატება 1913 წლის მთელი პროდუქციის ღირებულებას. ელექტროენერგიის გამომუშავება 1933 წელს უდრიდა 157 მილიონ კილოვატს, 1934 წელს — 238,3 მილიონ კილოვატს. კაპიტალური დაბანდებები მრეწველობასა და ელექტრიფიკაციაში შეადგენდა 1933 წელს 149 მილიონ და 1934 წელს — 207 მილიონ მანეთს.

მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 1933 წელს მიაღწია 59,8 პროცენტს[1], მაგრამ ამ საერთო წინსვლასთან ერთად მრეწველობის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი დარგი გეგმებს ვერ ასრულებდა. ასე მაგალითად, ტყიბულის მაღაროებიდან 1933 წელს ამოღებული იყო 180 ათასი ტონა ქვანახშირი, 60 ათასი ტონით უფრო ნაკლები, ვიდრე წინა წელს, ტყის მრეწველობის პროდუქცია 1933 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 12,7 პროცენტით. მსუბუქ მრეწველობაში წლიური გეგმა შესრულდა 83,6 პროცენტით, მომარაგების სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1933 წლის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 84,5 პროცენტით, აბრეშუმის მრეწველობამ 1934 წლის გეგმა შეასრულა 88,1 პროცენტით.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მრეწველობის განვითარებაში მთელი რიგი სერიოზული მიზეზებით იყო გამოწვეული, მათი დაძლევა მოითხოვდა დროს, დიდ მატერიალურ სახსრებს, დაძაბულ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას.

მრეწველობაში ჯერ კიდევ სუსტი იყო გეგმიანობა, რიგი ობიექტების დაგეგმვის დროს დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები, რაც იწვევდა მშენებლობის დაგვიანებასა და მნიშვნელოვან გადახარჯვებს. მაგალითად, დიდი ობიექტის — ტყვარჩელის მაღაროების — მშენებლობა 1933 წლამდე მიმდინარეობდა გენერალური გეგმისა და საბოლოო პროექტის გარეშე. ასეთივე მდგომარეობა იყო ზოგ სხვა მშენებლობაზე, რაც იწვევდა ზედმეტ ხარჯებს, აგვიანებდა მშენებლობას, აძვირებდა მას.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 4965, ფურც. 1 — 35.

შემდეგი სერიოზული სიძნელე იყო მუშახელის ნაკლებობა და მუშების დიდი დენადობა. ბევრ შემთხვევაში ნახევარზე მეტი მუშა იცვლებოდა წლის განმავლობაში. ასე მაგალითად, ტყიბულის მაღაროებში 1933 წელს 6 თვის განმავლობაში წარმოებიდან წავიდა 1633 და მოვიდა 1542 კაცი[1].

ასეთივე სურათი იყო ბევრ სხვა საწარმოში. აბრეშუმის მრეწველობაში აკლდათ მუშახელის 11,9 პროცენტი. აქაც ადგილი ჰქონდა მუშახელის დიდ დენადობას: ქუთაისის ფაბრიკაში გამოიცვალა მუშების თითქმის მთელი შემადგენლობა, სამტრედიის ფაბრიკაში — 64 პროცენტი, თელავისა და ხონის ფაბრიკებში — 60 პროცენტი[2].

მუშების დიდ დენადობას, რაც აფერხებდა მრეწველობის განვითარებას, თავისი მიზეზები ჰქონდა. ერთ-ერთი იყო მუშების საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა. მწვავედ იდგა ბინების საკითხი. მართალია, სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავდა ბინების მშენებლობაზე, მაგრამ მაინც ვერ აუდიოდა სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას. ამ საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას თითქმის არავითარი საბინაო ფონდი არ მიუღია მემკვიდრეობით, არა მარტო იმ სამრეწველო ობიექტებზე, რომლებიც ახლა შენდებოდა (ტყვარჩელი, გუმბრი და სხვ.) არამედ ისეთ სამრეწველო ცენტრებშიც კი, სადაც საწარმოები რევოლუციამდეც არსებობდნენ — ტყიბული, ჭიათურა და სხვ. აქ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე კეთილმოწყობილი ბინები თითქმის სრულიად არ იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებელი ორგანიზაციები ხშირად ვერ ითვისებდნენ სახელმწიფოს მიერ მშენებლობაზე გაღებულ თანხებს. ეს იყო შედეგი არა მარტო მშენებელი ორგანიზაციების სისუსტისა, არამედ საშენი მასალის სიმცირის, მშენებელთა დაბალი კვალიფიკაციისა და დაბალი სამშენებლო ტექნიკისა.

ფაბრიკა-ქარხნებში არადამაკმაყოფილებელი იყო მუშებისა და მუშა-ქალების მომსახურება. საკმაო რაოდენობით არ იყო საბავშვო ბაღები და საბავშვო სახლები, რაც აძნელებდა ქალების მიზიდვას წარმოებაში. ბევრგან არ იყო მოგვარებული საზოგადოებრივი კვების საქმე.

საწარმოო გეგმების შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა პროფკავშირის, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუსტი მუშაობა. მუშათა კლასის ძველი კადრები ვერც რიცხობრივად და ვერც ხარისხობრივად ვერ აკმაყოფილებდნენ სწრაფად მზარდ ინდუსტრიას. მუშების დენადობის შეწყვეტა, ან მკვეთრი შემცირება, მათი კვა-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. III, საქ. 4965, ფურც. 1 — 35.
[2] იქვე.

ლიფიკაციის ამაღლება ახალი ტექნიკის შესაბამისად საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

ამ ამოცანის გადაწყვეტას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდათ, რამაც თვალსაჩინოდ გააუმჯობესა მრეწველობის მუშაობა და უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ამ წამყვანი დარგის ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

ბ. სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განვითარება

სოფლის მეურნეობა მეორე ხუთწლედში შედარებით სწრაფად ვითარდებოდა, განსაკუთრებით სუბტროპიკული და სხვა ძვირფასი კულტურების ხარჯზე. აი ზოგიერთი მაჩვენებელი: ჩაის პლანტაციების ფართობი 1932 წელს 32,2 ათას ჰექტარს უდრიდა, აქედან 8,93 ათასი ჰექტარი ეკუთვნოდა საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო 1934 წლის 1 სექტემბრისათვის ჩაის ფართობი გაიზარდა 34,7 ათას ჰექტარამდე, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა 9,43 ათას ჰექტარამდე. აღსანიშნავია, რომ ჩაის მეურნეობის რაიონებში კოლექტივიზაციაც უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე სხვა რაიონებში. 1934 წლის ბოლოს ჩაის რაიონებში იგი 55 პროცენტს შეადგენდა. საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა კოლმეურნეობათა გამსხვილება, 1931 წელს საქართველოში თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 44, ხოლო 1934 წელს — 55 კომლი.

იზრდებოდა კოლმეურნეობათა შემოსავალი. 1932 წელს 1 ოჯახზე საშუალოდ მოდიოდა 342 მანეთი, ხოლო 1933 წელს — 517 მან. (აქ არ შედის ის პროდუქტები, რომლებსაც კოლმეურნეები შრომადღეებზე იღებდნენ).

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებასთან დაკავშირებით განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი და მასთან ერთად სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შეიარაღება მანქანა-იარაღებით, იზრდებოდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, განსაკუთრებით სპეციალური და ტექნიკური კულტურების რაიონებში. 1931 წელს სულ იყო მანქანა-ტრაქტორთა 23 სადგური[1]. 1933 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საქართველოს 3481 კოლმეურნეობიდან მომსახურებას უწევდნენ 1938 კოლმეურნეობას, ანუ 40 პროცენტს.

თანდათანობით ძლიერდებოდა სოფლის მეურნეობისადმი სახელმწი-

---

[1] „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 345.

ფოს მხრივ დახმარება, მზრუნველობა. 1931 წლიდან 1934 წლამდე სოფლისადმი დახმარების ხარჯები ამიერკავკასიაში უდრიდა 487 მილიონ მანეთს; აქედან საქართველოს სოფელზე მოდიოდა 347,3 მილიონი მანეთი. ამიერკავკასიაში სოფლისადმი დახმარებისათვის გამოყოფილი თანხები შემდეგნაირად განაწილდა: საბჭოთა მეურნეობებს გამოეყოთ 266,9 მილიონი მანეთი, კოლმეურნეობებს — 134 მილიონი მანეთი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს — 18,9 მილიონი მანეთი. დანარჩენი 27,5 მილიონი მანეთი დაიხარჯა სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ სხვა ღონისძიებებზე.

1930 წლამდე საქართველოში სრულიად არ ტარდებოდა გეგმიური თესლბრუნვა, იგი დაიწყო სოფლად სოციალისტური ფორმების დამკვიდრების შედეგად. 1935 წელს განხორციელდა თესლბრუნვა 350 კოლმეურნეობაში 100 ათას ჰექტარ მიწაზე. მინერალური სასუქები შეიტანეს მთელ ფართობზე, რომელიც 5770 ჰექტარს შეადგენდა; თამბაქოს პლანტაციების ქიმიზაცია გაიზარდა 1931 წლის 2 პროცენტიდან 43 პროცენტამდე 1934 წელს. ხორციელდებოდა აგრეთვე თესლის გასუფთავება, მზრალად ხვნა და რიგი სხვა ღონისძიება, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა. ასე მაგალითად, ხორბლის მოსავალი თუ 1931 წელს უდრიდა ჰექტარზე საშუალოდ 7,2 ცენტნერს, 1933 წელს მიაღწია 9,1 ცენტნერამდე, ქერისა შესაბამისად გაიზარდა 8,2 ცენტნერიდან 9,7 ცენტნერამდე, სიმინდისა — 3,5 ცენტნერიდან 9,8 ცენტნერამდე[1].

საქართველო არის თამბაქოს ძირითადი მწარმოებელი ამიერკავკასიაში, მასზე მოდიოდა თამბაქოს მთელი ფართობის დაახლოებით 80 პროცენტი. პირველ ხუთწლედში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა თამბაქოს ფართობის გადიდებას, სუსტი იყო ბრძოლა მოსავლიანობისათვის. ამის შედეგად მკვეთრად შემცირდა მოსავლიანობა, გაუარესდა მისი ხარისხიც. 1933 წლიდან გაძლიერდა ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუშაოთა მექანიზაციასა და სასუქების ფართოდ გამოყენებას. 1933 წელს საქართველოს თამბაქოს რაიონებში, აფხაზეთის ჩათვლით, მუშაობდა ხუთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. გაიზარდა სასუქების გამოყენებაც. ამის შედეგად გადიდდა თამბაქოს საჰექტარო მოსავლიანობა 1931 წლის 5,03 ცენტნერიდან 1933 წელს 7,2 ცენტნერამდე, გაუმჯობესდა თამბაქოს ხარისხი, წარმატებით განხორციელდა სახელმწიფო დამზადების გეგმები.

საქართველო ჩაის წარმოების უმთავრესი რაიონია საბჭოთა კავშირში და დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

---

[1] «Материалы к отчету правительства ЗСФСР», Тб., 1935, стр. 104.

ზრუნვა ჩაის მეურნეობის განვითარებისათვის დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში, მაგრამ პირველი ათი წლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა უმეტესად ჩაის პლანტაციების გაფართოებას. საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის ცნობილ დადგენილებაში დასახა საქართველოში ჩაის მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები. ამის შემდეგ, 1932 წლიდან, დაიწყო ჩაის მეურნეობის სწრაფი განვითარება. პლანტაციების გაფართოების ტემპი შემცირდა, მაგრამ გაიზარდა ჩაის მოსავლიანობა და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. 1934 წელს ჩაის პლანტაციის საერთო ფართობმა მიაღწია 35 ათას ჰექტარამდე, გაიზარდა მოსავლიანობაც. 1932 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოიკრიფა 701 კილოგრამი ჩაის ნედლი ფოთოლი, 1934 წელს — 1200 კილოგრამი, ხოლო 1935 წელს — 1400 კილოგრამი. შესაბამისად იზრდებოდა საერთო მოსავალიც[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიღწევებს მაღალი შეფასება მისცა, და აღნიშნა, რომ მიღწეული წარმატებების შედეგად „საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარგარეთიდან ჩაის წარმოების საქმეში“.

ჩაის მრეწველობის წარმატებებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მთელი რესპუბლიკისათვის. საქართველოს ბევრ რაიონში ჩაი გახდა წამყვანი კულტურა და კოლმეურნეების კეთილდღეობის მთავარი წყარო. 1934 წელს ჩაი მოჰყავდათ რესპუბლიკის 17 რაიონში. აქ ჩაის მაღალი მოსავლისათვის იბრძოდა 60 ათასი კოლმეურნის ოჯახი.

ჩაის მეურნეობის გაფართოებამ გამოიწვია ჩაის მრეწველობის განვითარება. გაიზარდა ჩაის ფაბრიკების რიცხვი, 1931 წელს საქართველოში 11 ჩაის ფაბრიკა იყო, 1933 წელს კი 25.

ჩაის წარმოებაში განუხრელად იზრდებოდა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა, ფართოვდებოდა საბჭოთა მეურნეობების პლანტაციები, სადაც 1934 წელს 9287 კაცი მუშაობდა[2].

მეორე ხუთწლედში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ციტრუსების მეურნეობას. 1931 წელს ციტრუსოვანთა პლანტაციებს ეკავათ 1546 ჰექტარი, ხოლო 1934 წელს — 32,018 ჰექტარი. 1933 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 80 მილიონი ცალი ნაყოფი. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევი იყო აგროტექნიკის დანერგვა. მინერალური სასუქების ფართო გამოყენება, სანერგეების გაფართოება და სხვა ღონისძიებების გატარება ციტრუსოვანთა პლანტაციების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

---

[1] «Материалы к отчету правительства ЗСФСР», стр. 109.

[2] იქვე, გვ. 114.

ახალი ხუთწლედის პირველსავე წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მეხილეობამ და მევენახეობამ.

მებაღეობის აღდგენა-განვითარება საქართველოში დაიწყო 1931 წლიდან. 1931 წლიდან 1934 წლის გაზაფხულამდე გაშენდა 8090 ჰექტარი ახალი ბაღი. მებაღეობის განვითარებას ხელს უშლიდა სუსტი ბრძოლა ხეხილის მავნებლებთან და სანერგეების დაზიანება (სკრა, ბრეთი, ქარელი და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თხილის, ლეღვის, ბროწეულისა და სხვა სამხრეთული კულტურების გაშენებას, რისთვისაც ტარდებოდა სანერგეების მოწყობა და სხვა საჭირო ღონისძიების განხორციელება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი უკავია მევენახეობას. ეს ძვირფასი და უძველესი კულტურა მძიმე სენმა — ფილოქსერამ დააზიანა. ბრძოლა ფილოქსერას წინააღმდეგ, მევენახეობის აღდგენისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო, მაგრამ გარდატეხა მხოლოდ 1932 წელს მოხდა, როცა კოლმეურნეებმა ახალი ფართობების ათვისებას მიჰყვეს ხელი და გაძლიერდა ბრძოლა ფილოქსერას წინააღმდეგ. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1934 წელს ვენახების ფართობმა 39,869 ჰექტარს მიაღწია.

მევენახეობის განვითარებას და მისი კულტურის ამაღლებას თავიდანვე ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მეურნეობის ამ დარგში ბლომად იყო საბჭოთა მეურნეობები. მევენახეობის უფრო სწრაფ განვითარებას აფერხებდა ფილოქსერას საწინააღმდეგო საშუალებების სიმცირე, კერძოდ, ვენახის ნამყენი ძირის — ამერიკული ვაზის უკმარობა. 1931 წლამდე ეს ვაზი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, თანაც მისი დიდი ნაწილი (30 — 40 პროცენტი) გამოუსადეგარი იყო. საკმარისი რაოდენობით არ იყო შაბიამანი და სხვა ქიმიური საშუალებები.

არსებული ნაკლოვანებების დაძლევისა და მეხილეობა-მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 2 ივლისის დადგენილებას „ამიერკავკასიაში მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების შესახებ“[1]. ამ დადგენილებამ გამოავლინა ნაკლოვანებები და სოფლის მეურნეობის ამ დარგების შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა დასახა.

მეცხოველეობა, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დაწყების დროს კულაკური საბოტაჟის გამო მძიმედ დაზარალდა. მავნებლების შედეგად მსხვილი რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შემცირდა 1931 წლის 1630,2 ათასიდან 1,527,5 ათა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1934 წლის 27 ივლისი.

სამდე 1933 წელს, ანუ 20,8 პროცენტით; ცხენებისა — 1778,6 ათასიდან 1447,4 ათასამდე, ანუ 39,8 პროცენტით; ღორებისა — 383,7 ათასიდან 295,5 ათასამდე, ანუ 40,3 პროცენტით. მობრუნება აღმავლობისაკენ, თუმცა ნელი ტემპით, დაიწყო 1934 წლიდან, როცა მსხვილი რქოსანი საქონლის სულადობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9,5, ცხენისა — 7,5, ღორისა — 70,0 პროცენტით. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა მეცხოველეობის განსაზოგადოებული სექტორის ზრდა, რაც საკოლმეურნეო წყობის თანდათანობითი განმტკიცების მაჩვენებელი იყო. რესპუბლიკის მეცხოველეობის ბაზის განმტკიცებას ემსახურებოდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, მაგრამ ეს საქმე სერიოზულ სიძნელეებს აწყდებოდა და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. საბჭოთა მეურნეობებს არ გააჩნდათ საკმაო რაოდენობის ბინები და საკვები, რაც დიდ დანაკარგებს იწვევდა.

8. საბჭოთა საქართველო — ორდენოსანი რესპუბლიკა. ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცება

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მეორე ხუთწლედში ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. აღმავლობის გზით მიმავალი საქართველო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგში ჩადგა, ქართველი ხალხის მიერ დიდი და თავდადებული მუშაობით მოპოვებულმა წარმატებებმა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა — 1935 წლის მარტში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საქართველო რიგ სხვა რესპუბლიკასა და ოლქთან ერთად ლენინის ორდენით დააჯილდოვა „სოფლის მეურნეობაში და აგრეთვე მრეწველობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის რიგი წლების მანძილზე“.

ამავე დროს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკა, რომელსაც აგრეთვე თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. საბჭოთა საქართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოებამ დიდი სიხარული და მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია: ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები იღებდნენ ახალ ვალდებულებებს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

1936 წლის 25 თებერვალს შესრულდა 15 წელი, რაც საქართველოს

მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა დაამხეს და თვითონ აიღეს ძალაუფლება ხელში, საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში შევიდნენ და მტკიცედ დადგნენ სოციალისტური საზოგადოების აგების გზაზე. ამ მოკლე ისტორიული პერიოდის განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის საზოგადოებრივი და სამეურნეო წყობა.

„თავის არსებობიდან 15 წლის მანძილზე, — ნათქვამია საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მილოცვაში,— საბჭოთა საქართველო სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. მისი მზარდი მრეწველობა, მისი მზარდი სოფლის მეურნეობა იძლევიან ისეთ ძვირფას პროდუქტებს, როგორიცაა: მანგანუმი, იშვიათი ლითონები, ციტრუსოვანი კულტურები, ჩაი, ღვინო, თამბაქო, ბამბა, სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს მუშათა, კოლმეურნეთა, ყველა მშრომელის კულტურული დონე და მათი კეთილდღეობა“[1]. მიმართვაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავ ენერგიულად იმუშავებენ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმტკიცებისათვის. იბრძოლებენ ეროვნული საბჭოთა კადრების შექმნისათვის, შრომის მაღალი სოციალისტური ნაყოფიერებისათვის, სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მაღალი მოსავლიანობისათვის, საბჭოთა საქართველოს მუშათა, მუშა ქალთა, კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და მშრომელი ინტელიგენციის შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის[2].

ქართველი ხალხის ზეიმს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი გამოეხმაურა. საქართველოში იმ დღეებში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი კ. ვოროშილოვი, უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე გ. პეტროვსკი და ბევრი სხვ. მათ მხურვალე სალამი გადასცეს ქართველ ხალხს მოძმე საბჭოთა ხალხების მშრომელებისაგან.

კ. ვოროშილოვმა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ლენინის ორდენი გადასცა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს, თავის სიტყვაში ვრცლად დაახასიათა საქართველოს მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში 15 წლის მანძილზე: „კულტურული მიღწევები მაღალნიჭიერი ქართველი ხალხის, რომელიც სოციალიზმის საქმისათვის იყენებს ყველაფერს ძვირფასს თავის უძველე-

---

[1] Газ. «Правда», 24 февраля 1936 г.

[2] იქვე.

სი კულტურის საგანძურიდან, კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. ქართველი ხალხის კულტურული ძალები წარმატებით მუშაობენ არა მარტო თავის ქვეყანაში, მათ ბევრი ძვირფასი რამ შეაქვთ საბჭოთა კავშირის მშენებლობის ყველა სფეროში"[1].

ქართველი ხალხის დიდი წარმატებების ამბავი შორს გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს, მან გაამხნევა და გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მილიონობით მშრომელს. „საბჭოთა საქართველოს მუშებო და გლეხებო, — წერდა გერმანიის მუშათა კლასის ხელმძღვანელი ვილჰელმ პიკი გერმანიის კომპარტიისა და ამ დროს ფაშისტურ საპატიმროში მყოფი ტელმანის სახელით, — დიდია თქვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ამით დიდია ის დამსახურება, რომელიც თქვენ ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში მიგიძღვით, მაგრამ კიდევ უფრო გრანდიოზულია ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

გაბედულად იარეთ წინ სოციალიზმის გზით. ძლევამოსილად გააჩაღეთ სტახანოვური მოძრაობა ფაბრიკებში, სოფლად. მზად იყავით, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეთ იმპერიალისტურ ყაჩაღებს, რომლებსაც სურთ კვლავ დაგადგათ თქვენ კაპიტალისტური ექსპლოატაციის და ნაციონალური ჩაგვრის უღელი"[2].

1936 წლის 19 მარტს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოაწყო საქართველოს დელეგაციის მიღება კრემლში. აქ აღინიშნა ქართველი ხალხის წარმატებები სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. გაზეთი „პრავდა" მოწინავეში მიუთითებდა, რომ საქართველოს მიღწევები იმის შედეგია, რომ ქართველი ხალხი მტკიცედ დადგა დიდი ოქტომბრის დროშის ქვეშ და უყოყმანოდ გაჰყვა რუსეთის სახელოვან მუშათა კლასს.

„ქართველი ხალხი აღიარებს, — წერდა „პრავდა", — რომ მან მიაღწია გამარჯვებასა და აყვავებას იმით, რომ აღფრთოვანებული იყო რუსი ხალხის გმირული მაგალითით, მიაღწია მისივე შემწეობით და ძმური დახმარებით. საქართველოს ხალხი ხმამაღლა იძახის: „გაუმარჯოს რუსეთის გმირ პროლეტარიატს"[3].

მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრში — გერმანიაში — ფაშისტური რეჟიმი დამყარდა და თანდათან იზრდებოდა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პროგრესული ძალების სიმპათიები საბჭოთა ქვეყნისადმი. ისინი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ახალი ცხოვრების მშენებელთა წარმატებებს, იწონებდნენ საბჭოთა ხალხების მეგობრულ ურთიერთობას, ცდი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1936 წლის 25 თებერვალი.
[2] იქვე.
[3] იქვე, 24 თებერვალი.

ლობდნენ ახლო გაცნობოდნენ ახალი ცხოვრების მშენებელთა საქმიანობას.

ამ დროს საბჭოთა რესპუბლიკებს უცხოეთიდან მრავალი პროგრესული მოღვაწე და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დელეგაცია ეწვია. მათგან ბევრი საქართველოშიც ჩამოვიდა. 1933 წელს საქართველოს ესტუმრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი — საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მარსელ კაშენი. მან თავის გამოსვლებში პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა კრებებზე განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოსა და სხვა საბჭოთა ხალხების მიღწევების დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა და ახალი წარმატებები უსურვა მათ.

ცოტა უფრო გვიან საქართველოს ესტუმრა ფრანგი გლეხების დელეგაცია, რომელიც ინტერესით გაეცნო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და კოლმეურნეობის ყოფა-ცხოვრებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ბულგარეთის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის ჩამოსვლას. ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი საბჭოთა კავშირს ეწვია. 1934 წლის 9 ივლისს დიმიტროვი ბათუმში ჩამოვიდა თავის დედასა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცნობილი ვეტერანის დიმიტრი ბლაგოევის ქალიშვილთან ერთად. მას შეხვედრები ჰქონდა ბათუმის, ბორჯომისა და სხვა ქალაქების მუშებთან, დიდი ინტერესით სწავლობდა ხალხთა ისტორიას და ეროვნულ ურთიერთობას ამიერკავკასიაში, რომელსაც მან „ეროვნებათა მოზაიკა“ უწოდა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო საკოლმეურნეო მშენებლობას. მას ცხოველი მიწერ-მოწერა ჰქონდა კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან.

თავის პასუხში ამიერკავკასიის კოლმეურნეთა ბრიგადირების წერილზე გ. დიმიტროვი მიუთითებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შორის ძმური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის. იგი აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიის კოლმეურნეები კონკრეტულად უჩვენებდნენ აღმოსავლეთის და ბალკანეთის ხალხებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების პირობებში... არის შესაძლებელი სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ძმური თანამშრომლობა, მათი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება“[1].

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს პერიოდი მდიდარი იყო აგრეთვე სხვა

---

[1] Газ. «Заря Востока», 17 июля 1934 г.

დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, რომლებიც მსოფლიოს ყურადღებას იპყრობდა. ასეთი იყო გმირობა საბჭოთა მფრინავების ვოდოპიანოვის, კამანინის, ლიაპიდევსკის, მოლოკოვისა და სლეპნევის, რომლებმაც თვითმფრინავებით იხსნეს გემ „ჩელიუსკინის" ეკიპაჟი ო. შმიდტის მეთაურობით. სახელოვან მფრინავებს ამ უმაგალითო ოპერაციისათვის, პირველებს ჩვენს ქვეყანაში, მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. საქართველოს მშრომელები აღტაცებით გამოეხმაურნენ ჩელიუსკინელთა გმირობას. მუშებისა და ინტელიგენციის ბევრმა კოლექტივმა მიულოცა მათ ისტორიული გამარჯვება. მათი სახელი მიეკუთვნა საქართველოს დედაქალაქის ახალ მოედანს და ხიდს. მალე გმირი ჩელიუსკინელები თბილისს ეწვივნენ და მშრომელებთან ბევრი გულთბილი შეხვედრა ჰქონდათ[1].

ამ პერიოდში საბჭოთა მთავრობამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ბევრი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს, რაც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებას. ამ ამოცანის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებდა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1934 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა დელეგაცია. იგი გაეცნო სამხრეთ ოსეთისა და ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეთა მუშაობას და უკრაინელ კოლმეურნეთა გამოცდილება გაუზიარა. ამ შეხვედრების დროს დამყარებული მეგობრული ურთიერთობა შემდეგ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა, მოძრაობაში უკრაინისა და საქართველოს სხვა კოლმეურნეებიც ჩაებნენ. უაღრესად მტკიცე და სამაგალითო გამოდგა საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობისა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის შეჯიბრება, რომელმაც კარგად გაუძლო დროის გამოცდას და ხალხთა შორის მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითი გახდა.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა განაპირობა საქართველოს ქალაქების რეკონსტრუქციის დაწყება.

რევოლუციამდე ქალაქის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით მის განაპირა რაიონებს, სადაც უმთავრესად მუშები ცხოვრობდნენ, სიბნელე და სიღატაკე ახრჩობდა. ექსპლოატატორული წყობილება — კერძო საკუთრების არსებობა მიწაზე, შენობებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე — შეუძლებელს ხდიდა ქალაქის კეთილმოწყობას. ამ დროს ყველაფერი კერძო მოგების ინტერესებს ემორჩილებოდა. ქალაქის კეთილმოწყობაზე არავინ ფიქრობდა. „ქალაქის მამები", როგორც მაშინ ირონიულად უწოდებდნენ, ქალა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1934 წლის 9 — 11 სექტემბერი.

ქის თვითმმართველობაში მოკალათებული ექსპლოატატორული კლასების წარმომადგენლები, თანამდებობას თავის კერძო ინტერესებისათვის იყენებდნენ. ქალაქის კეთილმოწყობისაკენ მიმართული ყველა ცდა, ჩვეულებრივად მესაკუთრეების, დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ქალაქის გეგმიანი მშენებლობა და კეთილმოწყობის ფართო ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა მიწა, სახლები, ფაბრიკა-ქარხნები და ქალაქის მთელი კომუნალური მეურნეობა საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

მრეწველობის სწრაფი ზრდისა და ხელისუფლების შეუნელებელი ზრუნვის შედეგად საქართველოს ქალაქებმა სავსებით იცვალეს სახე. განსაკუთრებით სწრაფ და ყოველმხრივ აღმავლობას განიცდიან საქართველოს ქალაქები 1933 წლიდან.

საქალაქო მეურნეობის მძლავრი მშენებლობა მომზადებული იყო ქვეყნის მთელი წინა პერიოდის განვითარებით. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებამ, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ფართოდ გაშლამ ქალაქების სწრაფი ზრდა გამოიწვია. ბევრი ახალი ფაბრიკა-ქარხანა აშენდა, მრეწველობის ახალი მძლავრი კერა შეიქმნა, გაიზარდა მუშათა რაოდენობა. მსოფლიო ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომის პერიოდში ძალზე დაზიანდა ქალაქები, ნოიშალა და დაეცა საქალაქო მეურნეობა. ამ დროს ქალაქებსაც იგივე ბედი ეწია, რაც სახალხო მეურნეობის სხვა უბნებს. სახალხო მეურნეობის აღდგენა სოფლის მეურნეობიდან დაიწყო, მას ფეხდაფეხ მიჰყვა მრეწველობა, მისი შემდგომი წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას ქალაქების აღდგენა-განვითარება წარმოადგენდა. ქალაქების კეთილმოწყობა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების დიდი ამოცანის განუყოფელი ნაწილია და საბჭოთა ადამიანზე კომუნისტური პარტიის გამუდმებულ ზრუნვას გამოხატავს.

საკითხი საბჭოთა კავშირში საქალაქო მეურნეობის მშენებლობის შესახებ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმმა განიხილა. პლენუმმა აღნიშნა, რომ „სსრ კავშირის საქალაქო მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობას, მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მასების მზარდი მოთხოვნილებანი"[1] და დასახა საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის ვრცელი ღონისძიება. „იმ წარმატებებმა,— ნათქვამია დადგენილებაში,— რომლებსაც პარტიამ და მუშათა კლასმა მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში, ყველა აუცილებელი პირობა შექმნეს საქალაქო

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 168.

მეურნეობის — ახალ სოციალისტურ საწყისებზე მშრომელთა მილიონიანი მასების ყოფაცხოვრების გარდაქმნის ამ უმნიშვნელოვანესი ბაზის — გადაჭრით გაუმჯობესებისათვის"[1].

1933 წლის 22 სექტემბერს ეს საკითხი განიხილა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და თბილისის საქალაქო საბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა და ვრცელი დადგენილება მიიღო ქალაქის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე ფართო მუშაობა გაიშალა როგორც თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქების რეკონსტრუქციისათვის.

დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით მეორე ხუთწლედში გაიზარდა საქალაქო მეურნეობის მშენებლობის დაფინანსება, რაც გამოიხატა ქალაქების ბიუჯეტის ზრდით. 1933 წელს თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების ბიუჯეტი 60,4 მილიონ მანეთს უდრიდა, მომდევნო წელს იგი 74,4 მილიონ მანეთს შეადგენდა, ხოლო 1936 წელს 129 მილიონ მანეთს გადააჭარბა[2].

მეორე ხუთწლედში ქალაქის ბიუჯეტი პირველ ხუთწლედთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და ნაცვლად 135,7 მილიონი მანეთისა 511,5 მილიონ მანეთს შეადგენდა[3]. ასევე ბევრად გაიზარდა რესპუბლიკის სხვა ქალაქების ბიუჯეტი. ყოველივე ამის შედეგად მეორე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და კეთილმოწყობილი გახდა საქართველოს ქალაქები. ხელისუფლების მზრუნველი ხელი პირველყოვლისა თბილისს დაეტყო. ფაბრიკა-ქარხნებით დაფარულ ინდუსტრიულ უბნებად იქცნენ მისი განაპირა რაიონები—ღრმა-ღელე, წინათ ქალაქიდან მოწყვეტილი მოუწყობელი რაიონი, თბილისის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო კერად გადაიქცა. აქ აგებულ იქნა ს. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, რომელიც საბჭოთა კავშირის მრეწველობას რთულ ლითონსაჭრელ ჩარხებს აწვდის. აქვეა ავტოსარემონტო ქარხანა და დიდი სატრიკოტაჟო კომბინატი, აგრეთვე მაუდ-კამვოლის დიდი ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო", ჩაის საწონი ფაბრიკა, შამპანური ღვინოების კომბინატი, ქარხანა „ცენტროლიტი" და სხვა მრავალი მსხვილი საწარმო.

მნიშვნელოვნად გაიზარდა და გარდაიქმნა ქალაქის მეორე რაიონი—ნავთლუღი. ფეხსაცმელების დიდი ფაბრიკა, ხორცის კომბინატი, მარგარინის ქარხანა, მაკარონის ფაბრიკა, ბეტონიტის ქარხანა და ბევრი სხვა უახლესი ტექნიკით შეიარაღებული, კარგად მოწყობილი საწარმო ამშვენებს წინათ სუსტად დასახლებულ და სავსებით მოუწყობელ ამ რაიონს.

---

[1] „სსკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 173.

[2] „საბჭოთა საქართველოს XX წელი" (სტ. კრ.). ობ., 1941, გვ. 296.

[3] იქვე.

თბილისი საქართველოს ინდუსტრიული ცენტრია, მისი მრეწველობის ხვედრითი წონა მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს მთელ მრეწველობაში 42 პროცენტს აღემატებოდა. თბილისში არსებული ფაბრიკა-ქარხნების დიდი უმრავლესობა ხუთწლედის განხორციელების პერიოდში შეიქმნა. ამავე დროს მოხდა წინათ არსებული, უმთავრესად, პატარა და უმნიშვნელო ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია. ასეთი რეკონსტრუქციის შედეგად თანამედროვე ტიპის მსხვილ და უახლესი ტექნიკით შეიარაღებულ მოწინავე საწარმოებად გადაიქცნენ ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა — ყოფილი რკინიგზის მთავარი სახელოსნო, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა და ზოგიერთი სხვა საწარმო.

დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქის გალამაზებისა და კეთილმოწყობისათვის. შეიქმნა მშვენიერი სანაპირო ქუჩა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი გახდა. აიგო ჩელიუსკინელების სახელობის „დიდი ხიდი, რომელმაც ვაკე და რიგი სხვა რაიონები უმოკლესი გზით დაუკავშირა რკინიგზის სადგურს.

ქალაქი ბევრმა ახალმა დიდმა და არქიტექტურულად კარგად გაფორმებულმა შენობამ დაამშვენა. ჩელიუსკინელების ხიდთან აიგო დიდი ასბინიანი სახლი; რუსთაველის პროსპექტზე 1937 წლის ნოემბერში დამთავრდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მშვენიერი შენობა და აგრეთვე მთავრობის სასახლის შენობა. ჩელიუსკინელების ხიდის ახლოს აიგო სახელმწიფო ცირკის დიდი შენობა, გ. ორჯონიკიძის სახელობის პარკის ახლოს ააგეს სტადიონი, რომელიც იმ დროს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი იყო საბჭოთა კავშირში. მთაწმინდის პლატოზე გადაიშალა ფართო, მწვანე ნარგავებით დამშვენებული, კარგად მოწყობილი პარკი — მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილი.

განუხრელად იზრდებოდა ქალაქის მეურნეობა, მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა მოსახლეობის კომუნალური მომსახურება. გაუმჯობესდა ტრანსპორტი, მოხდა ტრამვაის მეურნეობის მთლიანი რეკონსტრუქცია. 1937 წელს დაიწყო მუშაობა ახალი ტიპის ტრანსპორტმა — ტროლეიბუსმა.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თბილისი რესპუბლიკის უდიდესი კულტურული ცენტრია, აქ განლაგებულია სახელმწიფო უნივერსიტეტი და მრავალი სხვა უმაღლესი სასწავლებელი, წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, მუზეუმები, საჯარო ბიბლიოთეკა. თბილისი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი კერაა. აქ ცნობილი ქართული თეატრების გარდა მუშაობენ რუსული, სომხური, აზერბაი-

ჯანული თეატრები და ბევრი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

თბილისი — ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს სამეურნეო, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი — უკვე ამ დროს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი უმშვენიერესი ქალაქია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისის გარდა სახე იცვალა სხვა ქალაქებმაც, ბევრი ახალი სამრეწველო კერა შეიქმნა, მრავალი ახალი დასახლებული ადგილი გაჩნდა.

დიდი სისწრაფით განვითარდა ქუთაისი — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ცენტრი, რომელიც რევოლუციამდე მოუწყობელი, უმთავრესად უსაქმური თავადაზნაურობით და მეფის მოხელეებით დასახლებული საგუბერნიო ქალაქი იყო, რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. მისი მოსახლეობა 1920 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა. ქალაქში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ერთი საწარმო არ იყო, ბევრი კარგად მოწყობილი ფაბრიკა-ქარხანა აიგო. 1934 წლის ივლისში დამთავრდა ქუთაისის ახლოს რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მან ქალაქი გაანათა. მრავალრიცხოვან საწარმოებს უხვად მისცა იაფი ელექტროენერგია. აბრეშუმის კომბინატმა, სამკერვალო და საგრენაჟო ფაბრიკებმა, ტყავისა და ლითოფონის ქარხნებმა, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გუმბრინისა და ბარიტის გადამმუშავებელმა ფაბრიკებმა და სხვა საწარმოებმა ქუთაისს მკვეთრად გამოხატული ინდუსტრიული სახე მისცა. ქალაქის საწარმოებში 1939 წელს 30 ათასამდე მუშა-მოსამსახურე იყო, რაც აღემატებოდა რევოლუციამდე საქართველოს მთელ მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობას.

ქუთაისი მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად გადაიქცა. აქ გაიხსნა ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ბევრი საშუალო და დაწყებითი სკოლა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ლამაზ და კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა ბათუმი, საბჭოთა აჭარის ცენტრი. მას ფართო და სუფთა ქუჩები, მრავალსართულიანი სახლები, ლამაზი ზღვისპირა ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, სუბტროპიკულ კულტურათა მშვენიერი ნარგაევები ამშვენებენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ ააგეს ნავთის გადამმუშავებელი დიდი ქარხნები, მანქანათსაშენებელი ქარხანა და ბევრი სხვა საწარმო. ბათუმი, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ნავსადგურით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამრეწველო ცენტრი გახდა. აქ აგრეთვე ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება მოეწყო. გაიხსნა შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მრავალრიცხოვანი საშუალო და დაწყებითი სკოლა.

სოხუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი, შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცა, თბილი ჰავა, სუბტროპიკული მცენარეებით გამწვანებული მშვენიერი ბაღნარი, კარგად მოწყობილი სუფთა და მუდამ მზიანი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები ათასობით იზიდავს მშრომელებს საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ქალაქში ბევრი კარგად მოწყობილი ფაბრიკა-ქარხანა აშენდა. მრავალი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულება შეიქმნა, დაიწყო სოხუმის დიდი ელექტროსადგურების აგება, 1936 წელს დამთავრდა შავი ზღვის რკინიგზის ნაწილი სოხუმამდე. ქალაქი რკინიგზის ხაზით დაუკავშირდა თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონებს.

ცხინვალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი, რევოლუციამდე პატარა, მოუწყობელი დასახლებული ადგილი იყო, მცხოვრებთა რიცხვი აქ 2 ათასს ძლივს აღწევდა. საბჭოთა ხელისუფლების შეუნელებელი ზრუნვისა და მშრომელთა დაუღალავი შრომის შედეგად ცხინვალი თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა.

რკინიგზის ლიანდაგით გორი-ცხინვალი ქალაქი საქართველოს რკინიგზის მთავარ მაგისტრალს შეუერთდა. ცხინვალში ააგეს ხე-ტყის დამმუშავებელი დიდი კომბინატი, ელექტროსადგური და სხვა საწარმოები. ქალაქში აგრეთვე მოეწყო პედაგოგიური ინსტიტუტი, კ. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ახალი სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

გორი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, ქართლის გული, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვან კულტურულ და სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. კარგად მოწყობილი საწარმოები, პედაგოგიური ინსტიტუტი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დრამატული თეატრი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ამშვენებენ მას.

დიდი მშენებლობა გაიშალა **ფოთში**. წინათ დაჭაობებული და მოუწყობელი, მალარიით „განთქმული" ქალაქი, რომელსაც ყოველწლივ აზიანებდა მდინარე რიონი, დიდი მელიორაციული და სამშენებლო მუშაობის ჩატარების შედეგად ციტრუსოვანი ბაღებით გარემოცულ, ჯანსაღ და კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა.

გაიზარდა ჭიათურა-მანგანუმის ქალაქი. დაწინაურდა ქალაქი ზესტაფონი (ყოფ. ყვირილა). აქ აშენდა ფეროშენადნობთა დიდი ქარხანა, შამპანური ღვინოების ქარხანა და სხვა საწარმოები. კეთილმოწყობილი მსხვილი სამრეწველო ცენტრი გახდა ტყიბული. ხუთწლედების მანძილზე გაიზარდა და მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად გადაიქცა ტყვარჩელი ქვანახშირის ერთ-ერთი უდიდესი საბადო ამიერკავკასიაში.

სახე იცვალა საქართველოს სხვა ქალაქებმაც. თელავი, ზუგდიდი, მა-

ხარაძე და სხვა წინათ მძინარე, ყოველგვარ მრეწველობას მოკლებული სამაზრო ქალაქები ფაბრიკა-ქარხნების მხიარულმა გუგუნმა გამოაღვიძა. ისინი განვითარებული კომუნალური მეურნეობის, მოასფალტებული ქუჩების, კარგად მოწყობილი პარკების, ნათელბინიანი სახლების, მრავალრიცხოვანი სკოლების, კლუბებისა და თეატრების სოციალისტურ ქალაქებად გადაიქცნენ.

§ 5. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები. სოციალიზმის გამარჯვება. ახალი კონსტიტუციის მიღება

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმა ბევრად აღემატებოდა პირველ ხუთწლედს, ისიც წარმატებით და დროზე ადრე შესრულდა. მეორე ხუთწლედის შესრულების შედეგად საბჭოთა საქართველომ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მკვეთრად შეიცვალა ქვეყნის სოციალური სტრუქტურა.

ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად მრეწველობაში დაბანდებული თანხა ორნახევარჯერ აღემატებოდა პირველი ხუთწლედის კაპიტალურ დაბანდებას და შეადგენდა 2783,5 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1120,9 მილიონი მანეთისა პირველ ხუთწლედში. მარტო 1937 წელს, ხუთწლედის უკანასკნელ წელს, იგი შეადგენდა 567,2 მილიონ მანეთს.

სამრეწველო კომისარიატებს უნდა მოეცათ ხუთწლედში 1783 ათასი მანეთის პროდუქცია, ეს გეგმა გადაჭარბებით იყო შესრულებული 1937 წლის პირველ ნახევარში; ამ დროისათვის აღნიშნული კომისარიატების საწარმოთა პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 1813 მილიონ მანეთს.

მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 2,1-ჯერ და მიაღწია ნაცვლად 503 მილიონი მანეთისა (1932 წელს) 1047 მილიონ მანეთს (1937 წელს). მრეწველობის მძლავრი აღმავლობა კარგად აისახა მისი წამყვანი დარგების განვითარებაში. მანგანუმის წარმოება გაიზარდა 388,8 ათასი ტონიდან 1650,4 ათას ტონამდე, ე. ი. 4,2-ჯერ, ქვანახშირისა — ორჯერ.

მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპები, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია წინათ ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონებისათვის. ეს ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის, რომელიც მიზნად ისახავდა უზრუნველეყო შედარებით ჩამორჩენილი რაიონებისა და მხარეების ისეთი ტემპით სამეურნეო და კულტურული განვითარება, რომ ისინი დაწეოდნენ საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო განვითარებულ მხარეებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი — 97,2 პროცენტი — შექმნილი იყო საბჭოთა ხელისუფლე-

ბის დროს აგებულ, ახ ძთლიახად რეკოხსტრუირებულ ფაბრიკა-ქარხნებში. 1932 წელს ამ სახის საწარმოებში დამზადებული იყო 330,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც რესპუბლიკის მთელი სამრეწველო პროდუქციის 78,1 პროცენტს შეადგენდა, მეორე ხუთწლედის ბოლოს 1937 წელს ახალ საწარმოებში დამზადებული პროდუქცია უკვე აღწევდა მთელი პროდუქციის 97,1 პროცენტს. საბჭოთა კავშირში 1913 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 7,5-ჯერ, საქართველოში კი 26,5-ჯერ.

განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. ამ დროს დამთავრდა და მწყობრში ჩადგა რიონჰესის მეორე რიგი, აწჰესი და სხვ. ამის შედეგად ელექტროენერგიის გამომუშავება 4,2-ჯერ გაიზარდა და 119,7 მილიონ კილოვატსაათიდან 504 მილიონ კილოვატსაათს მიაღწია[1]. საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში საერთოდ. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირში მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ელექტროენერგიის გამომუშავება გაზრდილა 16-ჯერ, საქართველოში კი 28-ჯერ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დიდ ელექტროსადგურებთან ერთად რესპუბლიკაში შენდებოდა ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროსადგურები, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და ახალი ელფერი შეჰქონდა მოსახლეობის კულტურული და კომუნალური მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებაში. 1937 წელს საქართველოში მუშაობდნენ ლენტეხის, ლიხაურის, ბახვის, ონის, შოვის, რიცეულის, ვანისა და ზნაურის ელექტროსადგურები. მთავრდებოდა მესტიის, ხაიშის, დვირის, ღორეშას, კინჩხის, ცაგერის, ადიგენის, ასპინძის, ბარისახოს, ლენინგორის, ჯავისა და სხვა ელექტროსადგურების მშენებლობა.

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ო ფ ე ლ ი. საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების შედეგად ხუთწლედის ბოლოსათვის კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა საკოლმეურნეო წყობილება საქართველოში. მარტო 1937 წელს კოლმეურნეობაში შევიდა 16877 მეურნეობა. 1938 წლის დასაწყისში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 382 051 გლეხური მეურნეობა, რაც მთელი გლეხური მეურნეობის 77,7 პროცენტს შეადგენდა[2]. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრად გაიზარ-

---

[1] «Итоги выполнения пятилетнего плана развития народного хозяйства СССР», М., 1939, стр. 52—53.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), ობ., 1939, გვ. 32.

და კოლმეურნეობების ფულადი და საერთო შემოსავალი; 1936 წელს საქართველოში იყო ექვსი მილიონერი კოლმეურნეობა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1937 წელს მათი რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა და 13-ს მიაღწია[1].

თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოციალისტური მრეწველობა უკანასკნელ წლებში უფრო დიდი რაოდენობით აძლევდა სოფელს ახლად ათვისებულ რთულ მანქანებს. 1934 წელს სოფლად მუშაობდა 33 მტს, ხოლო 1937 წლის დასასრულს საქართველოში 48 მანქანა-ტრაქტორის სადგური იყო 4500-ზე მეტი ტრაქტორითა და 363 კომბაინით[2].

გაიზარდა ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. 1933 წელს ნათესი ფართობი რესპუბლიკაში 807,5 ათას ჰექტარს უდრიდა, ხუთწლედის ბოლოს, 1937 წელს კი 865,3 ათასი ჰექტარი შეადგინა[3]. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში საერთოდ. 1937 წელს ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები შეადგენდნენ საბჭოთა კავშირში 7 პროცენტს, მათი სათესი ფართობები — მხოლოდ 0,1 პროცენტს. საქართველოში ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები 22,3 პროცენტს აღწევდნენ და მათი სათესი ფართობის 17,2 პროცენტი ეჭირათ.

მეორე ხუთწლედში საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპები საქართველოში მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საერთო-საკავშირო ტემპებს, რაც საკოლმეურნეო მშენებლობის სრულ გამარჯვებაზე მიუთითებდა, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ მთლად დამთავრებული არ იყო. საქართველოს ზოგი, უმეტესად მთაგორიანი რაიონი, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რესპუბლიკის სხვა რაიონებს, 1937 წლის ზაფხულის ცნობის მიხედვით ახალციხის, დუშეთის, ბორჯომის, ყარაიაზისა და ზოგ სხვა რაიონში გლეხობის ნახევარიც არ იყო გაერთიანებული კოლმეურნეობაში. აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობაში ირიცხებოდა სულ 160661 მეურნეობა, ჯერ კიდევ გაერთიანებული არ იყო 64720 მეურნეობა, დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობაში ითვლებოდა 213 283 მეურნეობა, ხოლო 51634 მეურნე გაერთიანებული არ იყო; რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო სულ 373 944 მეურნეობა, არ იყო გაერთიანებული 116 354 მეურნეობა.[4].

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1939, გვ. 32.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1937 წლის 16—24 მაისი.

[3] «Народное хозяйство Грузинской ССР» (ст. сб.), Тб., 1957, стр. 105.

[4] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 666—668.

მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა საქართველოს უძველესი და კარგად განვითარებული კულტურა, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მძიმედ დააზიანა ფილოქსერამ, დიდი ხნის განმავლობაში დაცემის გზით მიდიოდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ვრცელი ღონისძიებების შედეგად მევენახეობა მკვეთრად მობრუნდა აღმავლობისაკენ.

მევენახეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის 1936 წლის 28 ივლისის დადგენილებამ „საქართველოს რესპუბლიკაში მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის განვითარების შესახებ"[1]. ამ დადგენილებით დაისახა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოსავლიანობის ამაღლებას, ვენახის შამპანური ჯიშების გაფართოებას, ფილოქსერასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლას.

დასახული გეგმების განსახორციელებლად სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევდა კოლმეურნეებს, აძლევდა გრძელვადიან სესხებს, ეხმარებოდა სანერგე მასალის მიწოდებით და სხვ. ამ ზრუნვის შედეგები მევენახეობას პირველსავე წლებში დაეტყო. ორი წლის განმავლობაში გაშენდა 2952 ჰექტარი ახალი ვენახი, მაგრამ გეგმა მაინც არ სრულდებოდა. ამის მიზეზი იყო ვაზის სადედეების (ამერიკული ვაზის) არადამაკმაყოფილებელი მოვლა და მათი სიმცირე. მიუხედავად ამისა, მეორე ხუთწლედში ბევრად უფრო გაიზარდა და განმტკიცდა ხელმძღვანელობა და ზრუნვა სოფლის მეურნეობაზე. ამ დროს სახელმწიფო თანხების დაბანდება სოფლის მეურნეობაში ორნახევარჯერ უფრო მეტი იყო პირველ ხუთწლედთან შედარებით და შეადგენდა 559,9 მილიონ მანეთს, ნაცვლად 217 მილიონი მანეთისა[2].

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორე ხუთწლედში სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებზე გაცემული სესხის რაოდენობა. სესხის სახით 1933 წელს გაიცა 10,7 მილიონი მანეთი, 1935 წელს 43,6 მილიონი მანეთი, 1936 წელს 65,9 მილიონი მანეთი. ეს ხელს უწყობდა კოლმეურნეობების ეკონომიურ განმტკიცებას.

კოლმეურნეთა შრომის მატერიალურ წახალისებასთან ერთად, მეორე ხუთწლედში დიდი ადგილი ეთმობა მორალურ ფაქტორებს, ამ დროს ბევრ მოწინავე კოლმეურნეობას და სოფლის მეურნეობის მუშაკს მიეკუთვნა მთავრობის მაღალი ჯილდო. 1935 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებით ამიერკავკასიის სფსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სამეურნეო-ორგანიზაციულ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისა და სახელმწიფოს დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის სიგელით დაა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1936 წლის 8 სექტემბერი.

[2] „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.", გვ. 349.

ჯილდოვა 30 კოლმეურნეობა, მათ შორის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (აფხაზეთის ასს რესპუბლიკა). კუმურდოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ახალქალაქის რაიონი), ძიმითის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტი" (მახარაძის რაიონი), ორსანტიას ა. გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა (ზუგდიდის რაიონი), ქვემო ქედის კოლმეურნეობა (სიღნაღის რაიონი) და სხვ. იმავე ბრძანებულებით დააჯილდოვეს კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და მოწინავე კოლმეურნეების დიდი ჯგუფი; მათ შორის ქვემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე ქავთარაძე, სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ჯგუბურია, საკოლმეურნეო მოძრაობის ცნობილი ორგანიზატორი კობა ჩოხელი; რომელიც მაშინ მეცხვარეობის ფერმის გამგე იყო ზემო ქედის კოლმეურნეობაში (სიღნაღის მაზრა) და, როგორც ბრძანებულებაშია აღნიშნული, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობის განვითარებაში. კოლმეურნეობის ბევრი მუშაკი, რომლებმაც თავი ისახელეს ამ დროს, შემდგომში კიდევ უფრო დაწინაურდა[1].

მეორე ხუთწლედში სსრ კავშირში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიება საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად მოხდა ზოგი ძალზე დიდი მეურნეობის დაწვრილერთეულება (მაგალითად, ცნობილი საბჭოთა მეურნეობის „გიგანტის" ბაზაზე ექვსი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა). გაძლიერდა მათი მომარაგება მანქანებით. საბჭოთა მეურნეობების მიწების ნაწილი მეზობელ კოლმეურნეობებს გადაეცა. ჩატარებული მუშაობა ხელს უწყობდა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას. 1936 წელს ანალოგიური ღონისძიებები საქართველოშიც განხორციელდა.

საბჭოთა მეურნეობებს, როგორც თანამიმდევრული სოციალისტური ტიპის მსხვილ საწარმოებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში. ამ მეურნეობების დანიშნულება იყო: დაენერგათ შრომის ინდუსტრიალური მეთოდები, ქვეყნისათვის მიეცათ იაფი პროდუქცია, კოლმეურნეობებისათვის გამხდარიყვნენ მისაბაძი მაგალითი და ამით ხელი შეეწყოთ როგორც ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების, ისე კავშირის განმტკიცებისათვის სოფელსა და ქალაქს შორის.

ითვალისწინებდა რა საბჭოთა მეურნეობების დიდ დანიშნულებას, საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურ დახმარებას უწევდა მათ, დიდძალ თანხებს ანდომებდა მათ დაფინანსებას, ასე მაგალითად, 1936 წლის აგვისტომდე ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებზე გაწეული ხარჯები შეად-

[1] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 604.

გენდა 8260 ათას მანეთს, ლაითურის მეურნეობაზე — 6222 ათას მანეთს, ოჩხამურის მეურნეობაზე — მილიონ მანეთს. ბევრ სხვა მეურნეობაზე დახარჯული იყო 4 — 5 მილიონი მანეთი და უფრო მეტიც. სახელმწიფო აიარაღებდა მათ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ზრუნავდა ხელმძღვანელი კადრების აღზრდაზე, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დამაკმაყოფილებლად მაინც ვერ მუშაობდა. ასეთი მეურნეობების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში. ამ დროს გლეხობის საკითხში დაშვებულ სხვა შეცდომებს დაერთო შეცდომები საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში.

ეს იმის შედეგი იყო, რომ დასახეს საბჭოთა მეურნეობების ქსელის გაფართოების არარეალური გეგმა, ბევრ შემთხვევაში არ ითვალისწინებდნენ ბუნებრივ პირობებს, აწყობდნენ მეურნეობებს დასახლებული ადგილებიდან დაშორებით. ზოგ ახალ მეურნეობას არ ჰქონდა წყალი. ვარგისი გზები, ზოგჯერ, ითვისებდნენ მცირემიწიანი კოლმეურნეობების სათეს ფართობებს. ეს მეურნეობები არ იყვნენ რენტაბელური, სახელმწიფოსაგან მოითხოვდნენ დიდ სახსრებს, ცხადია, ასეთი მეურნეობები ვერ გახდებოდნენ სამაგალითო, ვერ შეძლებდნენ განემტკიცებინათ სოფლად მეურნეობის სოციალისტური საწყისები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში მიუთითა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებულ შეცდომებზე.

ამ მითითებათა საფუძველზე დაიწყო ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, მაგრამ მუშაობა მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად, ძალზე ნელი ტემპით, რაზედაც კვლავ მიუთითა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მოითხოვა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

1934 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში საბჭოთა მეურნეობების საერთო რაოდენობა 284 ერთეულს უდრიდა, მათ 285,4 ათასი ჰექტარი მიწა ჰქონდათ, ამ მეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება დაახლოებით 262 მილიონ მანეთს შეადგენდა.

საქართველოს მთავრობის წარდგენით საბჭოთა კავშირის მთავრობამ გააუქმა 163 საბჭოთა მეურნეობა, ზოგ სხვა საბჭოთა მეურნეობასაც ჩამოეჭრა მათი მიწების ნაწილი, ამ მიწებიდან 111,7 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობებს გადაეცა. სათესი იყო 27,2 ათასი ჰექტარი, საბალახოები— 52,5 ათასი ჰექტარი, ტყე — 13,8 ათასი ჰექტარი, ბაღები და ვენახები — 1,9 ათასი ჰექტარი და სხვა ეკავათ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს.

გაუქმებული მეურნეობების დანარჩენი ფართობი 12,2 ათასი ჰექ-

ტარის რაოდენობით გადაეცა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, სკოლებსა და ა. შ.

კოლმეურნეობებს მათი საწარმოო ბაზის განმტკიცების მიზნით მიეყიდათ გაუქმებული საბჭოთა მეურნეობების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის უდიდესი ნაწილი, ხოლო გამოსყიდვის გაადვილების მიზნით მათ მიეცათ გრძელვადიანი სესხი საჭირო რაოდენობით.

ამ ღონისძიებას, რომელიც საგრძნობლად აფართოებდა კოლმეურნეობების მიწათსარგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობის ეკონომიური აღმავლობის, მათი შემოსავლიანობის გადიდებისათვის.

ჩატარებულ ღონისძიებას, რომელიც გამოხატავდა საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას კოლმეურნე გლეხობის მიმართ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე თვით საბჭოთა მეურნეობებისათვის, იგი მათ ხელსაყრელ პირობას უქმნიდა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელების შემდეგ საქართველოში დარჩა 121 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის ჩაის მეურნეობა იყო 15, ციტრუსების— 16, მევენახეობის — 16, მებაღეობის — 5, სატყეო-ტექნიკური — 4, მეცხენეობის — 4, მესაქონლეობის — 5.

გაუქმებული საბჭოთა მეურნეობის მანქანა-იარაღები (ტრაქტორები, ავტომანქანები, კომბაინები) მთლიანად გაღაეცა დარჩენილ მეურნეობებს, რაც აძლიერებდა მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვან და წამყვან დარგში ინდუსტრიული შრომის დანერგვა-განვითარებას, ქმნიდა პირობებს იმ ნაკლოვანებების დასაძლევად, რაც ჯერ კიდევ გააჩნდათ საბჭოთა მეურნეობებს.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის კულტურა, წარსულს ჩაბარდა ძველი სოფელი, გაფართოვდა კულტურულ დაწესებულებათა ქსელი, სკოლები, კულტურის სახლები, კლუბები, რადიო. საქართველოს რაიონებში ბევრი ელსადგური აიგო, ილიჩის ნათურის შექმა საქართველოს შორეული სოფლებიც კი გაანათა.

მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის წარმოებულ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს, კოლმეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილში დაბალი იყო შრომისნაყოფიერება, ცოტა როდი იყო ისეთი, რომელთაც არ ჰქონდათ გამომუშავებული შრომადღეების აუცილებელი მინიმუმი. იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეობაში არ ნაწილდებოდა ფულადი შემოსავალი, ადგილი ჰქონდა უხეშ დამახინჯებებს შრომადღეების ანაზღაურების დროს, დიდი თანხები იხარჯებოდა კოლმეურნეობების ადმინისტრაციული აპარა-

ტის შენახვაზე და სხვ. ასე მაგალითად, 695 კოლმეურნეობაში, რაც კოლმეურნეობების 16 პროცენტს უდრიდა, 1937 წელს ფულადი შემოსავალი არ განაწილებულა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებდა ხელმძღვანელი მუშაკების ხშირი ცვლა. მაგალითად 48 საბჭოთა მეურნეობის დირექტორიდან ერთი წლის მანძილზე 46 დირექტორი გამოიცვალა[1]. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას ხელს უშლიდა აგრეთვე ხელმძღვანელი კადრებისა და განსაკუთრებით სპეციალისტების — მექანიზატორების, მოანგარიშეების — ნაკლებობა. მაგალითად, სიღნაღის რაიონში, სადაც 90 კოლმეურნეობა იყო, 64 მოანგარიშე მუშაობდა, თელავის რაიონის 99 კოლმეურნეობას მხოლოდ 70 მოანგარიშე ჰყავდა, ხარაგაულის 72 კოლმეურნეობას — 62 მოანგარიშე. ზოგ რაიონში უკეთესი მდგომარეობა იყო, მაგრამ ამ სპეციალისტების ნაკლებობა თითქმის ყველგან იგრძნობოდა, მით უმეტეს, რომ ბევრ მოანგარიშეს საჭირო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდა[2]. საჭირო სპეციალისტების მოსამზადებელი რესპუბლიკური და რაიონული ორგანიზაციები აწყობდნენ სკოლებსა და მოკლევადიან კურსებს, 1935 წლის ზაფხულში ამ ორგანიზაციების საშუალებით მზადდებოდა 1050 კაცი.

საგზაო მშენებლობა და მიმოსვლის საშუალებათა განვითარება, რევოლუციამდელ საქართველოს სამეურნეო განვითარების დაბალი დონე, სოფლის დაბალი კულტურა უგზოობაში ვლინდებოდა. ქვეყანას, სადაც ბევრი მთაგორიანი რაიონია, მიმოსვლის განვითარებული საშუალებები არ გააჩნდა, მისი სხვადასხვა ნაწილი ერთიმეორესთან დაკავშირებული იყო ვიწრო ბილიკებით, ნახევრად დანგრეული ვიწრო გზებით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობასთან ერთად ფართოდ გაიშალა საგზაო მშენებლობა. მდინარეებზე აიგო ხიდები, გაყვანილ იქნა ახალი გზატკეცილები, რომელთა საშუალებითაც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონი ერთიმეორეს დაუკავშირდა. 1940 წელს გზატკეცილებისა და გაუმჯობესებული გზების სიგრძე 12 ათას კილომეტრს აღწევდა. გაფართოვდა და გაუმჯობესდა რკინიგზის ქსელი. განსაკუთრებით სწრაფად გაიშალა რკინიგზის მშენებლობა 1935 წლიდან. ამ წელს დამთავრდა ბროწეულა-გუმბრინ-წყალტუბოს შტო. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა გორსა და ცხინვალს შორის, აგრეთვე შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა. ეს რკინიგზა სიგრძით 350 კილომეტ-

---

[1] „საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში", გვ. 130.
[2] «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР», стр. 591.

რი მიდიოდა ახალსენაკიდან სადგურ ტუაპსემდე. იგი 700 კილომეტრით და უფრო მეტად ამოკლებდა გზას საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის რაიონებს შორის, მას აგრეთვე დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. მომსახურებას უწევდა სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონებს და მტკიცედ აკავშირებდა საქართველოს რაიონებს შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე ნავსადგურებთან (სოხუმი, ოჩამჩირე და სხვ.). საქართველოს რკინიგზების საერთო სიგრძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფართოდ განვითარდა საავტომობილო ტრანსპორტიც. კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. გაიზარდა სამეურნეო ურთიერთობა ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის.

მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დიდი წარმატებების, სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული ელემენტების ლიკვიდაციის შედეგად განუხრელად იზრდებოდა. მზარდი სოციალისტური მრეწველობა, სოფლად მეურნეობის დიდი შრომატევადი დარგების განვითარება დიდი რაოდენობით მოითხოვდნენ მუშახელს, აჩქარებდნენ უმუშევრობის ლიკვიდაციას. პირველი ხუთწლედის ბოლოს მთლიანად მოისპო უმუშევრობა. სწრაფად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. 1928 წლიდან 1937 წლამდე მათი რაოდენობა ორნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, 143 ათასიდან 362 ათასს მიაღწია.

მეორე ხუთწლედში ქვეყნის სამეურნეო წინსვლასთან ერთად თითქმის ორჯერ გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი. 1932 წელს ივი უდრიდა 1702 მან., 1937 წელს — 3322 მანეთს. სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მუშათა წლიური ხელფასი შემდეგნაირად გაიზარდა: ფაბრიკა-ქარხნებში 1461 მანეთიდან 3323 მანეთამდე, სარეწაო კოოპერაციაში — 2070 მანეთიდან 3346 მანეთამდე, მშენებლობაში — 1901 მანეთიდან 2287 მანეთამდე, საბჭოთა მეურნეობაში — 1050 მანეთიდან 2258 მანეთამდე, განათლების მუშაკთა — 1621 მანეთიდან 4156 მანეთამდე, ჯანმრთელობის მუშაკთა — 1550 მანეთიდან 2875 მანეთამდე, ხელოვნების მუშაკთა — 2066 მანეთიდან 3625 მანეთამდე და ა. შ.[1]. ამ მონაცემებიდან ჩანს: ა) ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა, დაახლოებით 70—120 პროცენტით, ბ) სხვადასხვა დარგის მუშაკთა ხელფასის ერთიმეორესთან დაახლოება, გ) სახალხო მეურნეობისა და კულტურის უფრო მნიშვნელოვანი, ან წინათ ხელფასის მხრივ უფრო ჩამორჩენილი დარგების მუშაკთა ხელფასის უპირატესი ზრდა. ამათ მიეკუთვნებიან მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების, გა-

[1] «История индустриализации Грузинской ССР, (1926—1941 гг.)», стр. 567.

ნათლების დარგისა და აგრეთვე, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები. ამ უკანასკნელთა ხელფასი ხუთწლედის მანძილზე ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, თუმცა იგი სხვებთან შედარებით მაინც უფრო დაბალია. ეს, როგორც ჩანს, იმის შედეგია, რომ ამ დარგის მუშაკთა დიდ ნაწილს პირადი მეურნეობაც გააჩნდათ და ამდენად მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ.

სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა ზრდა შემდეგ სურათს იძლევა: 1932 წელს საქართველოში 338 846 მუშა-მოსამსახურე იყო, 1937 წელს მათმა რიცხვმა 362147-ს მიაღწია. საინტერესოა მუშა-მოსამსახურეთა ზრდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. იგი მკვეთრად გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საერთო მიმართულებას. ასე მაგალითად, მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გაზრდილა 42695 კაციდან 72074 კაცამდე, კომუნალურ მეურნეობაში — 5343-დან 11 341-მდე, სახალხო განათლებაში — 22 976-დან 49 064-მდე, ჯანმრთელობის დაცვის დარგში 14 965-დან 49 064-მდე. საბჭოთა მეურნეობებში — 43 500-დან 26 186-მდე. სამაგიეროდ, შემცირდა სარეწაო კოოპერაციაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა 5673 კაციდან 2992 კაცამდე, ცოტაოდენ შემცირდა აგრეთვე სახელმწიფო აპარატისა და ადმინისტრაციული დაწესებულების მუშაკთა რაოდენობაც[1].

გაფართოვდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, გადიდდა სახელმწიფოს ხარჯები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. რევოლუციამდე ასეთი ხარჯები სრულიად უმნიშვნელო იყო, თითოეულ ადამიანზე 35 კაპიკს არ აღემატებოდა, ხოლო 1940 წელს სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯები მოსახლეობის თითოეულ სულზე 65 მანეთს შეადგენდა. ამავე დროს სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი შვიდჯერ, ხოლო ექიმებისა 13-ჯერ გაიზარდა.

სახალხო მეურნეობის წარმატებებისა და ჯანმრთელობის დარგის მუშაკთა ახალი მრავალრიცხოვანი კადრის მომზადების შედეგად მეორე ხუთწლედში შესაძლებელი გახდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა 1937 წელს 170,3 მილიონ მანეთს მიაღწია, აქედან 29,6 მილიონი მანეთი კაპიტალურ მშენებლობაზე მოდიოდა[2]. 1937 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში 174 საავადმყოფო იყო 7836 საწოლით, ხოლო 1938 წლის დასაწყისში მოსახლეობას მომსახურებას უწევდა 262 საავადმყოფო 10.864 საწოლით. საავადმყოფოები და საექიმო პუნქტები

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 566.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის XI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 55.

მოეწყო არა მარტო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, არამედ ბევრ სხვა მსხვილ დასახლებულ პუნქტებში და სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ინფექციური დაავადებისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას. მარტო 1937 და 1938 წლებში სახელმწიფომ მალარიასთან ბრძოლის საქმეს მოანდომა 23,4 მილიონი მანეთი, 1938 წელს რესპუბლიკაში 360 დისპანსერი, პროფილაქტიკური პუნქტი და სხვა მალარიის საწინააღმდეგო დაწესებულება მუშაობდა.

ამ ღონისძიებებმა შესაფერი შედეგიც გამოიღო. მალარიით დაავადება, რაც დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, თითქმის სრულიად მოისპო.

საქართველოს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები ფართოდ იქნა გამოყენებული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მოსაწყობად. გაიშალა საკურორტო მშენებლობა, დიდი ყურადღება მიექცა წყალტუბოს, ბორჯომის, აბასთუმნის, გაგრისა და სხვა ძველი კურორტების კეთილმოწყობას, ბევრი ახალი დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი აშენდა. ძველ კურორტებს — შოვს, ჯავას, მენჯს, საირმეს ბევრი სხვა ახალი კურორტი მიემატა. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდძალი ხარჯები გასწია კურორტების კეთილმოწყობაზე. 1937 წელს კურორტების მშენებლობაზე დაიხარჯა 22 მილიონი მანეთი. ამ დროს საქართველოში 130 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი იყო, 11 ათასი საწოლით. საქართველო საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის მძლავრ სამჭედლოდ გადაიქცა. რესპუბლიკის კურორტები თავის თბილი ჰავით, მდიდარი ბუნებითა და ძვირფასი სამკურნალო წყლებით ათასობით იზიდავდნენ დამსვენებლებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. 1938 წელს საქართველოს კურორტებზე 105 ათასი დამსვენებელი იყო.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად განუხრელად და სწრაფად იზრდებოდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ოქტომბრის რევოლუცია პირველი რევოლუცია იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც არა მარტო მოსპო მშრომელთა პოლიტიკური ჩაგვრა, არამედ მოსპო ექსპლოატაცია, განუზომლად აამაღლა ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობა და საქვეყნოდ ნათელყო, თუ რას შეუძლია მიაღწიოს მუშათა კლასმა, როცა ის თვითონ ეუფლება სახელმწიფო ხელისუფლებას. „ჩვენი რევოლუცია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციას, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ხუნდები და თავისუფლება მისცა ხალხს, არამედ ისიც მოასწრო, რომ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა“[1].

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 628.

მშრომელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოეწყო ფართო ქსელი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა: თეატრები, კლუბები, წიგნთსაცავ-სამკითხველოები, კინო, რადიო.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გარდაიქმნა მთელი საქართველო. ახალ მწვერვალებს მიაღწია ქვეყნის მეურნეობამ და კულტურამ. მის წინაშე წინსვლისა და გამარჯვებების კიდევ უფრო ბრწყინვალე პერსპექტივები გადაიშალა, განუზომლად გაიზარდა კომუნიზმის გზით მიმავალი ქართველი ხალხის ნდობა და სიყვარული კომუნისტური პარტიისადმი. ექსპლოატატორული კლასების მოსპობამ ძირფესვიანად მოშალა ეროვნებათა შორის წინააღმდეგობის ყოველგვარი საფუძველი, განამტკიცა მეგობრობა დიად საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის. უძლეველ ძალად გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმი. ცნობილია, რომ მუდამ დიდი იყო ქართველი ხალხის სიყვარული მშობლიური ქვეყნისადმი. მაგრამ საბჭოთა პატრიოტიზმი არის ყველაზე მაღალი გრძნობა, რაც ქართველ ხალხს განუცდია თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე. ეს არის არა მარტო უსაზღვრო ერთგულება მამულისადმი, არამედ უპირველესად განუზომელი სიყვარული კომუნისტური პარტიის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შექმნილი ახალი, მანამდე არნახული საზოგადოებრივი წყობილებისადმი. თითოეული ქართველი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების შვილები, მზადაა უდიდესი თავდადებით დაიცვას ხანგრძლივი ბრძოლებითა და დაუღალავი შრომით მოპოვებული თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, დაიცვას თავისი დიდი სოციალისტური სამშობლო.

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღება. სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ და 1936 წლის 5 დეკემბერს ახალი კონსტიტუცია მიიღო. 1924 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუცია იქნა მიღებული, 1936 წლამდე საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. ამ ხნის განმავლობაში მოსპობილ იქნა კაპიტალიზმი მეურნეობის ყველა სფეროში და ის პირობები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შეესაძლებლობას.

გაიმარჯვა სოციალიზმმა. პირველად მსოფლიოს ისტორიაში გაიმარჯვა იმ საზოგადოებრივმა წყობილებამ, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები.

ახალმა კონსტიტუციამ, რომელსაც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია ეწოდა, სრულად ასახა ქვეყნის შიგნით შექმნილი ახალი ვითარება. კონსტიტუცია აღიარებს, რომ სსრ კავშირი მუშებისა და გლე-

ხების სახელმწიფოს წარმოადგენს, მისი პოლიტიკური საფუძველია მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო ეკონომიური საფუძველი — წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება.

კონსტიტუცია საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომი განვითარებაა. იგი აკანონებს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ საარჩევნო უფლებას ფარული კენჭისყრით. „ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში, — ამბობდა ი. ბ. სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე, — ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთ საერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება... და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალი კონსტიტუციის შექმნა“[1].

1937 წლის 12 დეკემბერს, დიდი ზეიმით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები. კომუნისტური პარტია არჩევნებში გამოვიდა უპარტიოებთან ბლოკში. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად წამოყენებული იყვნენ საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო შვილები, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 96,8 პროცენტმა, აქედან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 98,6 პროცენტმა. საბჭოთა კავშირის პირველი მოწვევის დეპუტატებად ქართველმა ხალხმა აირჩია ძველი ბოლშევიკები, ხალხის საქმისათვის თავდადებული მებრძოლები მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ი. ვაცეკი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ნ. მუსხელიშვილი, ცნობილი ქართველი მწერალი შ. დადიანი, წითელი არმიის ერთ-ერთი მშენებელი, კავკასიის არმიის სარდალი ნ. კუიბიშევი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები ვ. სამხარაძე, დ. ჭიჭინაძე, ა. წიკლაური, უ. ახუბა, ა. გურგენიძე და სხვ.[2].

სსრ კავშირის კონსტიტუციით საქართველოს სს რესპუბლიკა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა და სომხეთის სს რესპუბლიკა, რომლებიც მანამდე ამიერკავკასიის ფედერაციაში იყვნენ გაერთიანებული, უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა.

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 717.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 14 დეკემბერი.

1922 წლიდან, როცა ამიერკავკასიის რესპუბლიკები ფედერაციაში გაერთიანდნენ, 1936 წლამდე აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებმა უდიდესი ცვლილებები განიცადეს. ამიერკავკასიის ფედერაციამ არსებობის 14 წლის მანძილზე შეასრულა თავისი ისტორიული როლი. მან უზრუნველყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეურნეობის აღდგენა და სწრაფი განვითარება, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის ურყევი მეგობრობის განმტკიცებას. შექმნა პირობები ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ფედერაციის არსებობის წლებში, ამიერკავკასიის რესპუბლიკები ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცნენ მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად.

აზერბაიჯანში განვითარდა ნავთის მრეწველობა, საქართველოში მანგანუმის, ქვანახშირის, სამშენებლო და მრეწველობის სხვა დარგები. სომხეთში შეიქმნა და განვითარდა ქიმიური, სპილენძისა და სამშენებლო მრეწველობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე მანქანათმშენებლობას, შეიქმნა მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი მძლავრი საწარმოები (საფეიქრო, თამბაქოს, კონსერვების, ღვინო-კონიაკის და სხვ.), რომლებიც ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მუშაობდნენ.

რესპუბლიკების ინდუსტრიულ განვითარებას საფუძვლად დაედო მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც შეიქმნა თეთრი ნახშირის უხვი ენერგიის ფართოდ გამოყენების საშუალებით.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზარდა მრეწველობის, მათ შორის მსხვილი ინდუსტრიის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. 1936 წელს იგი შეადგენდა 72 პროცენტს. გაიზარდა საქართველოს მრეწველობის ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის მრეწველობაში.

დიდ წარმატებებს მიაღწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობამ. გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობამ. ამ დროს კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხობის თითქმის 80 პროცენტი. ახალი წესდების გატარების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა.

დიდი ადგილი დაიჭირა სპეციალური და ტექნიკური კულტურების მეურნეობამ, გაიზარდა ბამბის, ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ტუნგოსა და სხვა კულტურების ფართობი. მათი მოსავალი ბევრად სჭარბობდა ამიერკავკასიის მოთხოვნილებას.

განვითარდა ამიერკავკასიის ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. შეიქმნა ეროვნულ უმაღლეს სასწავ-

ლებელთა ფართო ქსელი, სადაც წარმოებდა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში.

ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის დარგების განვითარების საპატიო საქმეს.

განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლების სოციალური საფუძვლები. გაიზარდა მუშათა კლასი, მისი ხელმძღვანელი როლი. განმტკიცდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგია. ექსპლოატატორული კლასების მოსპობამ სოციალური საფუძველი გამოაცალა ბურჟუაზიულ და სხვა მტრული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიას, განაპირობა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატების ლიკვიდაცია. განმტკიცდა ამიერკავკასიის ხალხების — ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების უშუალო ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

ამიერკავკასიის ხალხების სამეურნეო კავშირურთიერთობა გასცილდა ამიერკავკასიის ფარგლებს, მათი მზარდი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ნავთი, მანგანუმი, ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ხილი, ბამბა და ბევრი სხვა დიდი რაოდენობით მიდიოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში. ამავე დროს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან იღებდა მრეწველობის ნაწარმებს, მათ შორის მანქანა-იარაღებს მზარდი ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობისათვის.

ეს პირდაპირი სამეურნეო და კულტურული ურთიერთობანი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებთან და მხარეებთან, წარმოშობილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საფუძველზე, ქმნიან ახალ, წინანდელთან შედარებით განსხვავებულ, ისტორიულ ვითარებას. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაქმნა და მათი შესვლა უშუალოდ სსრ კავშირში, ამ რესპუბლიკების მეურნეობის და კულტურის შემდგომი წინსვლისა და ახალი აღმაველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიღებული იყო 1922 წლის თებერვალში საბჭოების I ყრილობაზე. ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში სულ ერთი წლის ისტორია ჰქონდა. ხუთი წლის შემდეგ, 1927 წელს, საბჭოების სრულიად საქართველოს IV ყრილობამ მეორე კონსტიტუცია მიიღო. ის შემუშავებული იყო 1924 წელს მიღებული საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის შესაბამისად. ამ ხნიდან 1937 წლამდე საბჭოთა საქართველომ დიდი ცვლილებები განიცადა. აქაც, ისე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, გაიმარჯვა სო-

ციალიზმმა, საბოლოოდ მოსპობილ იქნენ კაპიტალისტური ელემენტები. ამის შესაბამისად უნდა შეცვლილიყო კონსტიტუციაც. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე შემუშავდა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის შესამუშავებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1936 წლის 25 ივნისს აირჩია საკონსტიტუციო კომისია. ახალი კონსტიტუციის პროექტი განიხილა და დაამტკიცა სრულიად საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ 1937 წლის 13 მარტს.

საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა. იგრძნობოდა საბჭოთა კავშირზე ფაშისტური სახელმწიფოების მხრივ თავდასხმის საფრთხის ზრდა. ყრილობა მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს კიდევ უფრო განემტკიცებინა ქვეყნის ბრძოლისუნარიანობა და მტკიცე იმედს გამოთქვამდა, რომ მტრის გეგმები უეჭველად ჩაიფუშებოდა. „ჩვენ გვჯერა და გვწამს, — ამბობდა თავის მოხსენებაში ყრილობაზე ფ. მახარაძე, — რომ ფაშისტები ვერ მიაღწევენ თავის მიზანს, პირიქით მომავალი ომი, თუ მას ფაშისტური სახელმწიფოები მოახვევენ თავზე საბჭოთა კავშირს, იქნება იმათი დასამარება“[1].

1938 წლის 12 ივნისს ჩატარდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, მასში მონაწილეობა მიიღო 1 883 608 ამომრჩეველმა, 99,2 პროცენტმა, ამათგან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1 871 391 ამომრჩეველმა — 99,6 პროცენტმა. რის შედეგადაც რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აირჩიეს ყველა 437 დეპუტატი[2].

პირველი მოწვევის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში კომუნისტები იყვნენ 75,5 პროცენტი, უპარტიოები — 24,5, მუშები — 33, გლეხები — 23, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების მუშაკები და მოსამსახურეები — 44, ქალები — 24,9 პროცენტი[3].

არჩევნების შედეგები კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იყო კომუნისტური პარტიისა. აქ გამოვლინდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი.

საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება ახალი საზო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 18 თებერვალი.

[2] იქვე, 1938 წლის 14 ივნისი.

[3] „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია“ (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1938, გვ. 28 — 29.

გადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და მათ, ჭეშმარიტად, დიდი გაბარჯვება მოიპოვეს.

ქართველი ხალხის ამ დიდ შემოქმედებით მოღვაწეობას თავიდანვე დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიოს პროგრესული ადამიანები, ევროპისა და ამერიკის მშრომელები, რომელთა შეცდომაში შესაყვანად ცოტა როდი იმუშავა ქართულმა კონტრრევოლუციურმა ემიგრაციამ, მაგრამ მისი მეცადინეობა — შეცდომაში შეეყვანა ევროპისა და ამერიკის მშრომელები საქართველოს შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებით, — ზედიზედ იფუშებოდა, მაშინ, როდესაც ევროპისა და ამერიკის მშრომელთა დელეგაციები უშუალოდ ეცნობოდნენ საქართველოში, ამ გლეხურ ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის თვალწარმტაც პრაქტიკასა და მდიდარ გამოცდილებას.

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში საქართველოს ეწვია პროგრესული კულტურისა და რევოლუციური მოძრაობის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის აღსანიშნავია: ანრი ბარბიუსი, სუნ იატ-სენის მეუღლე სუნ ძინ-ლინი[1], კლარა ცეტკინი[2], მარსელ კაშენი[3], გიორგი დიმიტროვი[4] და სხვები. ამავე პერიოდში ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომასა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიულ გამოცდილებას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ევროპისა და ამერიკის მშრომელთა დელეგაციები. 1926 წელს საქართველოს ეწვია: ბელგიის, გერმანიის, საფრანგეთის მუშათა დელეგაციები და ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია[5]. 1927 წელს საქართველოს მშრომელებს ეწვია: ამერიკის, გერმანიის, ბელგიის მუშათა დელეგაციები და გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია[6]. 1928 წელს საქართველოს ეწვია კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) VI კონგრესის მონაწილე დელეგატთა ჯგუფი[7], ხოლო 1933 წელს—საფრანგეთის გლეხთა დელეგაცია[8], უკრაინიდან ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა დელეგაცია და ა. შ.[9].

თავიანთ სამშობლოში დაბრუნებული უცხოელთა დელეგაციის წევრები აღფრთოვანებით მოუთხრობდნენ მშრომელებს ქართველი ხალხის

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 5 ოქტომბერი.

2 იქვე, 1924 წლის 30 სექტემბერი.

3 იქვე, 1933 წლის 6 მარტი.

4 იქვე, 1934 წლის 12 ივლისი.

5 იქვე, 1926 წლის 6. 27 აგვისტო, 29 სექტემბერი და 14 ოქტომბერი.

6 გაზ. „კომუნისტი", 1927 წლის 26 აგვისტო, 27 ოქტომბერი, 1 ნოემბერი, 26 ნოემბერი.

7 იქვე, 1928 წლის 11 — 14 სექტემბერი.

8 იქვე, 1933 წლის 20 ნოემბერი.

9 იქვე, 26 მაისი — 1 ივნისი.

სოციალური და ეროვნული აღორძინების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ. ქართული ემიგრაციისა უკვე აღარავის სჯეროდა. ამანაც განაპირობა ქართული ემიგრანტული „მთავრობის" დაშლა საფრანგეთში.

§ 6. ქართველი სოციალისტური ერი

ა. ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საერთო სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფუძველზე ჩამოყალიბდნენ სოციალისტური ერები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან და წარმოადგენენ ერების სრულიად ახალ ტიპს.

ერის ტიპი, ე. ი. ერის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი სახე განისაზღვრება: 1. საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების, გაბატონებული წარმოების წესის ბუნებით; 2. ერის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის რაოდენობით; 3. ერის სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურით, შინაკლასობრივი ურთიერთობით; 4. სახელმწიფოს შიგნით ერთა შორის ურთიერთობით; 5. მსოფლიოს ხალხებთან ეროვნული კავშირურთიერთობის ხასიათით; 6. ეროვნული კულტურის სოციალური შინაარსით; 7. ერის განვითარების მიმართულებითა და პერსპექტივებით.

ბურჟუაზიული ერი კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების პროდუქტია. სოციალისტური ერი კი სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი დიდებული ნაყოფია. ბურჟუაზიული ერის ხელმძღვანელი ძალაა ბურჟუაზია თავისი ნაციონალისტური პარტიებით. სოციალისტური ერი წარმოიშობა და ვითარდება მუშათა კლასისა და მისი ინტერნაციონალისტური, კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ბურჟუაზიული ერი ხასიათდება შინაგანი კლასობრივი ანტაგონიზმით, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის შეურიგებელი ბრძოლით და ერთა შორის შუღლით, კონკურენციითა და დაპყრობითი ომებით. სოციალისტური ერი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ხალხთა შორის ძმური თანამეგობრობის განსახიერებაა.

ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები ერთიმეორისაგან ძირეულად განსხვავდებიან აგრეთვე თავიანთი სულიერი სახით, რომელიც სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული და ფსიქოლოგიური მოვლენების რთული კომპლექსია. კაპიტალიზმის პირობებში ერის

კულტურაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბურჟუაზია. მაგრამ ყოველ ბურჟუაზიულ ერში გაბატონებულ კაპიტალისტურ კულტურას დიამეტრალურად უპირისპირდება „დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“[1]. მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია ერის კულტურა ერთიანი, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო მისი სოციალისტურ ერად გარდაქმნა და განვითარება დაიწყო 1921 წლის თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ.

ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნა და განვითარება განაპირობეს იმ ძირითადმა კანონზომიერებებმა, რომლებითაც ხასიათდება საერთოდ ყოველი პროლეტარული რევოლუცია. ამ კანონზომიერებათაგან მთავარია: კომუნისტური პარტიის მეთაურობით მუშათა კლასის ხელმძღვანელობა მშრომელი მასებისადმი, მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირისა და მეგობრობის განმტკიცება, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, წარმოების ძირითად საშუალებებზე კაპიტალისტური საკუთრების ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სოციალისტური გარდაქმნა, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება სოციალიზმისა და კომუნიზმის მიმართულებით, კულტურული რევოლუციის განხორციელება, ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია, ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის მოგვარება, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა შინაური და გარეშე მტრების ხელყოფისაგან, გამარჯვებული მუშათა კლასის სოლიდარობა ყველა ქვეყნის რევოლუციურ მასებთან.

ეს კანონზომიერებანი საქართველოში გამოვლინდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ თავისებურებებში. ცარიზმისა და კაპიტალიზმის, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ჩამოყალიბდა რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების რევოლუციური თანამშრომლობა. ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი ტრადიციები, რომლებიც აადვილებდნენ ქართველი ერის სოციალისტურ გარდაქმნასა და განვითარებას. მაგრამ იყო სერიოზული სიძნელეებიც. ცარიზმის ხანგრძლივმა კოლონიურმა პოლიტიკამ, სამ წელ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 10.

ზე მეტი ხნის განმავლობაში მენშევიკური დიქტატურის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობამ საქართველოში დატოვა მძიმე მემკვიდრეობა, რომლის დაძლევისათვის ბრძოლის პროცესში აუცილებელი იყო სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე გვაფრთხილებდა შეგვეგნო შექმნილი „მდგომარეობის... თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით", ბრმად კი არ გადმოგვეღო რუსეთის ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად გაგვეაზრებინა „მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები", ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა გამოგვეყენებინა „1917 — 1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები"[1].

ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი მოიცავს ორ ძირითად ეტაპს. პ ი რ ვ ე ლ ი ე ტ ა პ ი ეს არის 1921 — 1925 წლები. ამ ეტაპზე მიმდინარეობდა ქართველი ერისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული ჯგუფისა და ეროვნების ძირეული, სოციალისტური გარდაქმნის პირველდაწყებითი პროცესი, რაც განაპირობა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში ერის ხელმძღვანელობას ჩამოაცილა ბურჟუაზია მისი ნაციონალისტური პარტიებით და ქართველი ერის, მთელი საქართველოს მშრომელების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად გადააქცია მდიდარი რევოლუციური გამოცდილებით შეიარაღებული მუშათა კლასი, საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით შეიარაღებული ინტერნაციონალისტური, კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

1921 — 1925 წლებში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, წარმოების ძირითადი საშუალებების სოციალისტური ნაციონალიზაციის, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე აღდგენისა და სოციალისტური წარმოების წესის წარმოშობის, ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტისა და ხალხთა მეგობრობის დამყარების საფუძველზე შეიქმნა ახალი ტიპის ეროვნული კავშირურთიერთობანი, მომზადდა მტკიცე სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული საფუძვლები ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის სრული სოციალისტური გარდაქმნისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მ ე ო რ ე ე ტ ა პ ი ა 1926 — 1937 წლები, რომლებიც ხასიათდება

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397, 399.

ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, როგორიც არის: ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუციის ფართოდ გაშლა, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარება, ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ინტერესების გამომხატველი ანტილენინური ჯგუფების საბოლოო ლიკვიდაცია. სოციალიზმის სრული გამარჯვება. ყოველივე ამან საქართველოში განაპირობა ქართველი ერისა და სხვა ხალხების ძირეული, სოციალისტური გარდაქმნა და სწრაფი განვითარება.

1926 — 1937 წლებში მიმდინარეობდა არა უბრალო განგრძობა ქართველი ერის მიერ შეძენილი იმ ახალი ნიშანდობლივი თვისებებისა, რომლებიც წარმოიშენენ 1921 — 1925 წლებში, არამედ მათი შემდგომი განვითარება, გამდიდრება და თვისებრივი სრულყოფა. სოციალიზმის სრული გამარჯვების შედეგად საბოლოოდ მოისპო ექსპლოატატორული კლასები ერის შიგნით, სრულიად ახალ, წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საფუძველზე განვითარდა და გაიზარდა საქართველოს მუშათა კლასი და ხარისხობრივად გაუმჯობესდა მისი შემადგენლობა, წარმოიშვა ძველი გლეხობის კლასისაგან ძირეულად განსხვავებული კოლმეურნე გლეხობა, ჩამოყალიბდა ახალი ინტელიგენცია, სოციალისტურად გარდაიქმნა და განვითარდა ქართველი ერი.

ქართველი სოციალისტური ერის, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ერების ცხოვრებაში ახალი, მ ე ს ა მ ე ე ტ ა პ ი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლის შედეგად.

სოციალიზმის გამარჯვების გამო ჩვენი ქვეეყნის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობიდან (1939 წლის აღწერის მასალების მიხედვით) მთლიანად გამოირიცხნენ ექსპლოატატორული კლასები, მთელი მოსახლეობის ნახევარს გადააჭარბა მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობამ; 47,2 პროცენტს მიაღწიეს კოლმეურნეებმა და კოოპერირებულმა შინამრეწველებმა, 2,6 პროცენტამდე შემცირდნენ ინდივიდუალური გლეხები და არაკოოპერირებული შინამრეწველნი. შემდეგში კი მთლიანად გაქრა არაკოოპერირებული სექტორი.

სოციალიზმის სრული გამარჯვებით გამოწვეული ძირეული ცვლილებები საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში განისაზღვრება არა მარტო ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციით, არამედ იმ ღრმა რევოლუციური გარდაქმნებით, რომლებიც განიცადეს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციამ.

საზოგადოების სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის რევოლუციური გარდაქმნის მთავარი მამოძრავებელი და წამყვანი ძალა იყო და არის მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელი და წარმმართ-

ველი როლის შესასრულებლად სავსებით მოამზადებული აღმოჩნდა კომუნისტური პარტიის უდიდესი აღმზრდელობითი, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად.

მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდის — საბჭოთა კავშირის — მუშათა კლასის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმია საქართველოს მუშათა კლასი, რომელმაც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრში მდგომ რუსეთის პროლეტარიატთან ერთად განვლო სამი რევოლუციის სკოლა. ამ ისტორიული ბრძოლების პროცესში მუშები გულმოდგინედ ითვისებდნენ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, სწავლობდნენ მშრომელი მასებისა და მთელი ერისადმი ხელმძღვანელობის მეთოდებს.

გამარჯვებულმა საქართველოს მუშათა კლასმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კომუნისტური პარტიის მეთაურობით მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირში მოსპო ექსპლოატატორული კლასები და ძველი, ბურჟუაზიული წყობილება, ძირეულად გარდაქმნა მთელი საზოგადოება სოციალისტურ საფუძველზე და ამით გარდაქმნა თავისი თავიც. თუ რევოლუციამდელ საქართველოში მუშათა კლასი ექსპლოატაციასა და ეროვნულ-კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა, სოციალიზმის გამარჯვების შედეგად იგი გახდა მთელი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მშენებელი. კაპიტალისტური წარმოების წესის რევოლუციურმა შეცვლამ სოციალისტურით განაპირობა საქართველოს მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდა და თვისებრივი გაუმჯობესება, ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნასა და განვითარებას მოჰყვა უმუშევრობისა და მოჯამაგირეობის სრული ლიკვიდაცია, საქართველოს მუშათა კლასის ყოველმხრივი განმტკიცება. წარმოებაში ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვამ შეამსუბუქა ფიზიკური შრომა და შექმნა პირობები მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, დაუსწრებელი სწავლების განვითარებამ საწარმოო-ტექნიკური სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობამ უზრუნველყო საქართველოს მუშათა კლასისა და, საერთოდ, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის მასობრივი ამაღლება.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მთელი სსრ კავშირის მუშათა კლასთან ერთად, როგორც მისი ერთ-ერთი მოწინავე შემადგენელი ნაწილი, საქართველოს მუშათა კლასი უკვე აღარ წარმოადგენს პროლეტარიატს.

ქართველი სოციალისტური ერის დიდმნიშვნელოვანი სოციალური ძალა მუშათა კლასის შემდეგ არის კოლმეურნე გლეხობა. საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთელ სსრ კავშირში, მემამულე-თავადაზნაურობის, კულაკობის, ვაჭრებისა და მევახშეების ლიკვიდაციამ მოსპო მშრომელ გლეხთა ექსპლოატაცია. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით, წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებისა და კოლექტიური შრომის გაბატონების საფუძველზე შეიქმნა კოლმეურნე გლეხობის კლასი, რომელიც სოციალისტური ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი კლასია და რომელიც მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა გარდაქმნამ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა მშრომელი გლეხობის ადგილი საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში და პრინციპულად განასხვავა იგი ძველი, ბურჟუაზიული საზოგადოების გლეხობისაგან. მუშათა კლასისა და გლეხობის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ამ კლასების ურთიერთდამოკიდებულება ყოველმხრივ გაუმჯობესდა, მათ შორის ურთიერთკავშირი ურღვევ მეგობრობად განვითარდა.

კოლექტიური შრომის, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მონაპოვართა წარმოებაში დანერგვის ბაზაზე შექმნილმა ახალმა, სოციალისტურმა ყოფიერებამ თანდათანობით შეცვალა გლეხობის ფსიქოლოგია, კოლმეურნეებს გამოუმუშავდათ სოციალისტური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკუთრებისა და შრომისადმი, სხვადასხვა ერის მშრომელებისადმი, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი.

მშრომელი ინტელიგენცია საბჭოთა საზოგადოების მნიშვნელოვანი სოციალური ფენაა. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია. რევოლუციამდელი ინტელიგენცია უპირატესად თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიული კლასებიდან იყო გამოსული და მათ ინტერესებს ემსახურებოდა, საბჭოთა წყობილების პირობებში კი საქართველოს ინტელიგენცია ორგანულად იყო და არის დაკავშირებული მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, მთელ საბჭოთა საზოგადოებასთან და ერთგულად ემსახურება სოციალიზმის აშენებასა და განმტკიცებას.

საქართველოს სსრ ინტელიგენციის შემადგენლობაში შევიდნენ ძველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში გამოწრთობილი და სოციალიზმის მშენებლობის პროცესში აღზრდილი ახალი მრავალრიცხოვანი და მაღალკვალიფიციური კადრები.

ამრიგად, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენციასრულიად ახალ სოციალურ ჯგუფებად გარდაიქმნენ და ახალი, სოციალისტური გახდა ქართველი ერიც.

პოლიტიკურ თანასწორობასთან ერთად, რაც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, ქართველმა ერმა მიაღწია მთელი სსრ კავშირის მოწინავე სოციალისტურ ერებთან ფაქტიურ თანასწორობას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ქვეყნის ცხოვრებაში სოციალიზმის განუყოფლად გაბატონებას კანონზომიერად მოჰყვა მთელი საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა და განვითარება, ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება.

ქართველი სოციალისტური ერის ასეთი აღმავლობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი არ ემყარებოდეს ისეთ ურყევ საფუძვლებს, როგორიც არის: წარმოების სოციალისტური წესი, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემა, მთელი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტური პარტიის განუყოფელი ხელმძღვანელობა, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი იდეოლოგია, საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, სოციალისტური დემოკრატიზმი და სსრ კავშირის სოციალისტურ ერთა ჭეშმარიტად ძმური, ურღვევი თანამეგობრობა.

სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობა. სოციალისტური ერი ყოველგვარი ჩაგვრისაგან თავისუფალი, სხვა ერებთან თანასწორუფლებიანი, სუვერენული ერია და ასეთი ერისათვის საკუთარი სოციალისტური სახელმწიფოებრიობა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნისა და განმტკიცების მთავარი იარაღია. ამიტომ იგი მტკიცე საფუძველი გახდა ქართველი ერის სოციალისტური გარდაქმნის, მისი მძლავრი განვითარებისა და აყვავებისათვის.

ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გადაწყვეტას საქართველოში, ამიერკავკასიასა და მთელ სსრ კავშირში. საქართველოს სსრ შემადგენლობაში აფხაზეთისა და აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბებამ და ყველა ეროვნული უმცირესობისათვის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფამ შექმნა პირობები როგორც ქართველი ერის, ისე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული ჯგუფისა და ეროვნებების სოციალისტური გარდაქმნისა და განვითა-

რებისათვის, რაც წარმატებით განხორციელდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის პირობებში. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკამ თავისი არსებობის 14 წლის მანძილზე უზრუნველყო ეროვნული მშვიდობა და ყოველმხრივ ხელი შეუწყო ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი სოციალისტური ერების ჩამოყალიბებას, ამიერკავკასიაში მცხოვრები ყველა ხალხის სოციალისტურ გარდაქმნასა და განვითარებას, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ საბჭოთა კავშირში უშუალოდ შემავალ მოკავშირე რესპუბლიკებად გადაქცევასა და მათი ეროვნული სახელმწიფოების შემდგომ სრულყოფას.

მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების, მისი შემდგომი განვითარების გარეშე. საბჭოთა ხალხები სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბდნენ არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, არამედ ურთიერთგანუყრელ კავშირსა და ინტერნაციონალურ თანამშრომლობაში.

სავსებით კანონზომიერია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განუხრელად მიმდინარეობს სოციალისტური ერების განვითარებისა და ურთიერთდაახლოების პროცესი, საქართველო ვითარდება როგორც მრავალეროვანი საბჭოთა რესპუბლიკა.

ქართველი სოციალისტური ერის ჩამოყალიბება სსრ კავშირის ერთერთ მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკაში — საქართველოში — სოციალიზმის გამარჯვების კანონზომიერი შედეგია, მაგრამ ერის სოციალური გარდაქმნისა და განვითარების ეს ობიექტური, ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა არა სტიქიურად, არამედ შეგნებულად, კომუნისტური პარტიის განუხრელი ხელმძღვანელობით, ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, ნაციონალ-უკლონისტების, ტროცკისტ-ბუხარინელთა და კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადამხრელთა წინააღმდეგ მწვავე ბრძოლის პირობებში. კომუნისტური პარტია მუდამ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდა და ზრდის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელებს. სწორედ კომუნისტური პარტიის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და მის სახელთან არის ორგანულად დაკავშირებული ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ჩამოყალიბება, მათი განვითარება, აყვავება და ურთიერთდაახლოება.

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი იდეებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების კანონების ცოდნით შეიარაღებული კომუნისტური პარტია სრულ გასაქანს აძლევს მშრომელთა შემოქმედებით ძალებს, წარმართავს სოციალისტური ერების ცხოვრებაში წარმოშობილი ყველა მო-

წინავისა და პროგრესულის განვითარებას, იბრძვის ძველი წყობილების მავნე, დრომოჭმული ზნე-ჩვეულებებისა და კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან ადამიანთა საბოლოო განთავისუფლებისათვის. კომუნისტური პარტიის როლი გადამწყვეტია სოციალისტური ერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მათს აყვავებასა და ურთიერთდაახლოებაში.

ბ. ცვლილებები ქართველი ერის ძირითად ნიშნებში

ბურჟუაზიული ერის სოციალისტურ ერად ძირეული გარდაქმნის მიუხედავად, რჩება ერის ძირითადი ნიშნები, ხდება მხოლოდ მათი შემდგომი განვითარება ახალ საფუძველზე. ერის ისეთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიც არის ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც ეროვნულ კულტურაში ვლინდება, მხოლოდ სოციალიზმისა და კომუნიზმის ეპოქაში აღწევენ სრულ განვითარებას.

ენის ერთობა. ერის არსებობა და განვითარება შეუძლებელია ენის ერთობის გარეშე. ენაში ვლინდება ხალხის ვინაობა, მისი ისტორია, თანამედროვეობა და მომავლის პერსპექტივები. ერის „გული და სული— ენაა" (ი. ჭავჭავაძე). ერის ნიშანთაგან ენა ყველაზე აშკარად განასხვავებს ერთ ერს მეორისაგან. ერის სპეციფიკა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სწორედ ენის მეშვეობით.

ეროვნული ენა ხალხის სალაპარაკო და ლიტერატურული ენის უმაღლესი ფორმაა. მას ექვემდებარებიან და ამდიდრებენ დიალექტები, სხვა ერის ენიდან მიღებული სიტყვები და ტერმინები. კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ „ერთიან ეროვნულ ენაში დიალექტების კონცენტრაციაზე" და ამ პროცესის განვითარების დიდ მნიშვნელობაზე. ეს კონცენტრაცია გამოწვეული იყო „ეკონომიური და პოლიტიკური კონცენტრაციით"[1].

ენის მნიშვნელობაზე ფ. ენგელსი წერდა: „როგორც კი მოხდა ენების მიხედვით ხალხთა ჯგუფების გამიჯვნა... ეროვნებებმაც იწყეს ერებად განვითარება"[2].

საერთო ენისა და ტერიტორიის, როგორც ერის ისეთი ძირითადი ნიშნების საკითხმა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ერის არსებობა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ბევრ ნაწარმოებში პოვა გაშუქება. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1903 წელს სტატიაში „ბუნდის მდგომარეობა პარტიაში" ეხებოდა ამ საკითხს და ასაბუთებდა, რომ ერი წარმოუდგენელია ისეთი ძირითადი ნიშნების გარეშე, როგორიც არის საერთო ენა და

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 3, стр. 427.

[2] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956, გვ. 188 — 189.

ტერიტორია. „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; — წერდა ვ. ი. ლენინი, — ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი სავაჭრო ბრუნვისა, მოსახლეობის თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებისა ყველა ცალკე კლასად"[1].

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ენის ერთობას სოციალისტური ერის განვითარებისა და აყვავებისათვის. მშრომელ მასებს ყველაზე უკეთ და ფართო მასშტაბით სწორედ მშობლიურ ენაზე შეუძლიათ სამეურნეო და კულტურული განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაუფლება, მათი ცხოვრებაში გამოყენება და ყოველივე ამის საფუძველზე ეროვნული ენის გამდიდრება, ყოველმხრივ სრულყოფა.

ქართულმა ენამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გზა განვლო. ამჟამად იგი ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა ერის — ქართველი სოციალისტური ერის — მაღალგანვითარებულ ეროვნულ, მდიდარ ლიტერატურულ ენას წარმოადგენს. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრი განვითარების, ახალი ყოფისა და კომუნისტური მორალის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ყოველმხრივ გამდიდრდა, ახალი სიტყვებითა და ტერმინებით შეივსო ქართული ენა.

ეროვნული ენა იცვლება, ვითარდება ერის საზოგადოებრივ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ წინსვლასთან ერთად. ეროვნული ენის განვითარების ტემპი, მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრების დონე დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ტემპზე. თავის მხრივ, განვითარებული და მდიდარი ეროვნული, ლიტერატურული ენა დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ წინსვლაზე, ხალხის მასების ცოდნისა და განათლების დონის ამაღლებაზე. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშობლიური ენების დაუბრკოლებლივ განვითარებას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არასოდეს უნახავს თავისი მშობლიური ენის ისეთი ყოველმხრივი განვითარება და გამდიდრება, როგორც სოციალიზმის ეპოქაში. ქართულ ენაზე მუშაობენ პარტიული, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციები, ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლები, ტექნიკუმები და უმაღ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 483.

ლესი სასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემია და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, თეატრები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ქართულ ენაზე იბეჭდება შრომები უმაღლეს მათემატიკაში, ტექნიკის, ფიზიკისა და ქიმიის, მედიცინის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ქართულად დიდი ტირაჟით გამოდის და ვრცელდება მასებში მარქსიზმ-ლენინიზმისა და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, მეცნიერული და მხატვრული თხზულებანი, გაზეთები, ჟურნალები და ყოველგვარი სახელმძღვანელოები. ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და ფართოდ გავრცელებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სკოლების სიმრავლეს, რომ სკოლის გარეშე საბჭოთა საქართველოში ბავშვი არ რჩება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ჯერ კიდევ 1950 წელს წერდა: „ყოველი წლის სექტემბერს „დედა ენას“ ხელში იღებს და ქართული წიგნის მკითხველთა წრეს ემატება ასი ათასამდე ქართველი ბავშვი“[1].

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ენის განვითარებამ მიაღწია ისეთ მიჯნას, რომ მისი შემდგომი წინსვლა შეუძლებელი იყოს, მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ქართველი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „იმ ერს, რომელიც თავის სამწერლო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს, რადგან მას ამისთვის სხვა აუცილებელი საჭირო იარაღი არ აბადია: ენა ერის სტიქიური სულიერი ბუნებისა და ძალის გამოხატულებაა და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი... ყოველი ქართველი, რომელსაც თავისი ერისათვის კეთილი სურს და იმის ნატვრაშია, რომ ქართველი ერი წინანდებურად სხვა უმაღლესად განვითარებულ ერებს გვერდში ამოუდგეს და კაცობრიობის შემოქმედების მონაწილედ გახდეს, მოვალეა ქართული ენის... განვითარებას ხელი შეუწყოს“[2].

ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს ე რ თ ო ბ ა. ერი ყალიბდება ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა მხოლოდ ხანგრძლივად ერთად ცხოვრების შედეგად. ხანგრძლივად ერთად ცხოვრება კი შეუძლებელია საერთო ტერიტორიის გარეშე. ამიტომ ტერიტორიის ერთობა ერის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

მართალია, ტერიტორიის ერთობას, გეოგრაფიულ გარემოს, არ შეუძლია განსაზღვროს საზოგადოებრივი წყობილების სოციალ-ეკონო-

---

1 „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, თბ., 1950, გვ. 005.

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1956, გვ. 156.

მიური ხასიათი და ერის ტიპი, მაგრამ იგი საზოგადოების. ერის ცხოვრებაში ასრულებს ისეთ როლს, რომლის შეცვლა არაფერს არ შეუძლია, რადგან საზოგადოების, ერის წარმოშობა და განვითარება ხდება გარკვეულ ტერიტორიაზე, ბუნებასთან ბრძოლაში და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისათვის შრომაში.

ტერიტორიის ერთობა იმ ბუნებრივი პირობების ერთობლიობაა, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები. ტერიტორია, მიწა-წყალი, ნიადაგი, ჰავა, ბუნებრივი სიმდიდრენი, ფლორა და ფაუნა, ერთი სიტყვით, გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს საზოგადოების, ერის მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ და მუდმივ ობიექტურ პირობას. ტერიტორიის ერთობა ყოველგვარი ტიპის ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების აუცილებელი ბუნებრივი პირობაა. ბურჟუაზიული ერის სოციალისტურად გარდაქმნის დროს ტერიტორიის ერთობის ხასიათში დიდი ცვლილებები ხდება. ტერიტორიაზე ადამიანთა ცხოვრებას, მათს შრომითს საქმიანობასა და საბრძოლო მოღვაწეობას ახალ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით ცვლილებები შეაქვს მიწისა და ბუნებრივი სიმდიდრეების საკუთრების ფორმაში, ხოლო ეს ცვლილებები, თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების, ერის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე, ერის ფსიქიკურ წყობასა და მის ეროვნულ ხასიათზე, რომელიც კულტურის ერთობის თავისებურებებში ვლინდება.

ქართველი სოციალისტური ერის პატრიოტიზმს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ წარსულში ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ქართველი ხალხი თავისი წარმოშობიდანვე თავდადებით იცავდა სამშობლოს. სამშობლოსათვის შრომისა და მისი თავდაცვის სიმძიმე განსაკუთრებით მშრომელებს აწვათ. ისინი ყოველთვის მედგრად იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე, მაგრამ მიწასა და მის წიაღისეულზე, ძირითად საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და ექსპლოატატორული კლასების მიერ ჩაგვრის პირობებში მშრომელთა პატრიოტიზმი არ შეიძლება ყოფილიყო ისე ძლიერი და ყოვლისშემძლე, როგორიც იგი გახდა სოციალიზმის გამარჯვების, მიწების ნაციონალიზაციის, საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების, ექსპლოატატორული კლასებისა და ყოველგვარი მჩაგვრელების ლიკვიდაციის შედეგად. ქართველ და ყოველ სოციალისტურ ერს სოციალიზმის პირობებში გაცილებით მეტად, უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, რადგან ერის სიმდიდრენი ექსპლოატატორთა საკუთრებას კი არა, მთელი საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს. მუშათა კლასისათვის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციისათვის სწორედ სოციალიზმის პირობებში ერწყმის ერთმანეთს სამშობლო და საზოგადოებრივი წყობილება. სოცი-

ალიზმმა გარდაქმნა ერების საცხოვრებელი ტერიტორია, საზოგადოებრივი ყოფა და იგი იქცა მშობლიურ საზოგადოებრივ წყობილებად. ამიტომ სოციალისტური, კომუნისტური პატრიოტიზმი განსაკუთრებული თვისების, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმია.

ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში მოწესრიგებულია ეროვნულ ტერიტორიათა საზღვრები. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივი ზღუდეები და საბაჟოები, მოძმე რესპუბლიკათა საზღვრებზე არ დგანან ჯარის ნაწილები და ა. შ. (როგორც ეს არის კაპიტალისტურ სამყაროში). ყოველი საბჭოთა ერის ტერიტორიული ერთობა მთელი სსრ კავშირის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია, რითაც გარანტირებულია მისი ფაქტიური დამოუკიდებლობა და კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან ხელშეუხებლობა. ეს ჩვენი სოციალისტური ერების ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უშრეტი წყაროა.

ტერიტორიის ერთობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობა, ურომლისოდ შეუძლებელია საზოგადოების, ადამიანთა ეროვნული ერთობის არსებობა და განვითარება. სოციალიზმის პირობებში საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი რაციონალური განლაგების შედეგად წარმოიშვნენ ახალი ქალაქები, სამრეწველო და კულტურული ცენტრები, სოციალისტურად გარდაიქმნენ და გაიზარდნენ ძველი ქალაქები და სოფლები, შესაძლებელი გახდა მთიანი, ნაკლებად გამოსაყენებელი სოფლებიდან მცხოვრებთა გადაყვანა და მათი დასახლება უფრო ხელსაყრელ ადგილებში. ყოველივე ეს ხელს უწყობს ბარისაგან მთის მოსახლეობის ჩამორჩენილობის საბოლოო დაძლევას და ქართველი სოციალისტური ერის მონოლითური ერთიანობის განმტკიცებას.

ამრიგად, ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს ე რ თ ო ბ ა იყო და კვლავ რჩება ერის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად. მაგრამ ტერიტორიის ერთობა, ისევე როგორც ცალკე აღებული ენის ერთობა, თავისთავად ჯერ კიდევ არ იძლევა ერს. ერის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა აგრეთვე ხალხის შინაგანი ეკონომიური შეკავშირება, ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთ მთელად გაერთიანება, რაც შეუძლებელია ეკონომიური ცხოვრების ერთობის გარეშე.

ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ე რ თ ო ბ ა. ერის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ეკონომიური ცხოვრების ერთობის დიდ როლზე ვ. ი. ლენინი წერდა ჯერ კიდევ 1894 წელს თავის ნაშრომში „რანი არიან“ „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. მასში აღნიშნულია, რომ რუსი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო ფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაციის, სასაქონლო წარმოების განვითარების საფუძველზე ოლქებისა და

სამთავროების ერთ მთელად შეერთების, მცირე ადგილობრივი ბაზრების ერთ სრულიად რუსეთის ბაზრად კონცენტრაციის პროცესთან.

ეკონომიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის წერილში ს. გ. შაუმიანისადმი (1913 წ. დეკემბერი), სადაც ლაპარაკია ეკონომიკისადმი ფსიქოლოგიის დაქვემდებარებულ როლზე ეროვნულ საკითხში.

ამასვე მეტყველებს ვ. ი. ლენინის კატეგორიული მოთხოვნა: „ნაციონალური საკითხი დაყენებული უნდა იქნას ისტორიულად და ეკონომიურად"[1]. და შემდეგი სიტყვები: „საჭიროა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ისე რომ ამასთან ამ ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის განმტკიცებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს"[2].

ეროვნული ჩაგვრის სრული მოსპობისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინი ეკონომიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და, ამასთან ერთად, ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა მთელი პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას. „ეკონომიკას რომ ემყარება, სოციალიზმი სრულიადაც არ ამოიწურება მარტო ეკონომიკით. ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად საჭიროა საძირკველი — სოციალისტური წარმოება, მაგრამ ამ საძირკველზე საჭიროა კიდევ სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაცია... გარდაქმნის რა კაპიტალიზმს სოციალიზმად, პროლეტარიატი ეროვნული ჩაგვრის სრული მოსპობის შესაძლებლობას ქმნის; ეს შესაძლებლობა „ინამდვილედ იქცევა „მხოლოდ"— „მხოლოდ"!— მაშინ, როდესაც ყველა დარგში სრული დემოკრატია განხორციელდება"[3].

ამრიგად, სავსებით კანონზომიერია, რომ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები წარმოადგენენ ბურჟუაზიული ერის სოციალისტურ ერად გარდაქმნის ძირითად საფუძველს.

კაპიტალიზმმა ბოლო მოუღო საქართველოს სამთავროებად დანაწილებას, ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და სამეურნეო კარჩაკეტილობას, მაგრამ მაინც მემკვიდრეობად დაგვიტოვა პატრიარქალური და წერილი სასაქონლო მეურნეობის ელემენტები. სოციალიზმმა გაცილებით უფრო მყარი და თვისებრივად ახალი ეკონომიური ცხოვრების ერთობა შექმნა საქართველოს შიგნით და ორგანულად დაუკავშირა ერთმანეთს არა მარტო საქართველოს რაიონები, არამედ მთელი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები. საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მეურნეობის სოციალისტური სისტემის განუყოფლად გაბატონებამ ყოველმხრივ განამტკიცა საქართველოს ყველა კუთხისა და რაიონის ერთობა და საქარ-

---

[1] В. И. Ленин, ПСС, т. 24, стр. 385.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 483 (ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 412 — 413.

თველო აქცია ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, რომელსაც მოჰყვა ქართველი ბურჟუაზიული ერის ეკონომიური ცხოვრების ერთობა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე, კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმის პირობებში, — სოციალიზმმა შექმნა ერის თვისებრივად ახალი ეკონომიური ცხოვრების ერთობა, დამყარებული საზოგადოებრივი საკუთრებისა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის საფუძველზე, რომელიც გამორიცხავს კლასის მიერ კლასის ექსპლოატაციას და ერის მიერ ერის ჩაგვრას.

ქართველი ერის, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ერების, ეკონომიური ცხოვრების ერთობა თავისი შინაარსით ძირეულად შეიცვალა სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. მან მიიღო თვისებრივად ახალი, სოციალიზმამდელ ეკონომიურ ცხოვრებასთან შედარებით პრინციპულად განსხვავებული შინაარსი კაპიტალიზმის ლიკვიდაციის, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების, სოციალისტური წარმოების წესის წარმოშობისა და დამკვიდრების, საქართველოს შიგნით ეკონომიურ რაიონებს შორის და მთელი სსრ კავშირის მასშტაბით შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად.

წარმოების განლაგებას საქართველოში, როგორც სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, საფუძვლად უდევს ლენინური პრინციპები: 1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოების ისეთი განლაგება, როგორიც უზრუნველყოფს მისი ყველა ეკონომიური რაიონის, ავტონომიური ნაწილებისა და ეროვნულ უმცირესობათა კუთხეების მაქსიმალურ განვითარებას და მთელი სსრ კავშირის ძლიერების ზრდას; 2. მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებთან და მომხმარებლებთან არარაციონალური გადაზიდვების შემცირება; 3. სოციალისტური მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება ეკონომიურ რაიონებში, მათ შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული და მიზანშეწონილი შრომის დანაწილების გათვალისწინება; 4. ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური განლაგებისა და ურთიერთდაახლოების გზით; 5. სოციალისტური ერების თანამეგობრობის, ძმური თანამშრომლობის ყოველმხრივი განმტკიცება და განუხრელი განვითარება.

თუ რევოლუციამდელ საქართველოში ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა განლაგებული იყო ისე, რომ 1913 წლისათვის მისი ხვედრითი წონა შეადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში (სამხრეთ ოსეთის ჩათვლით) 77,4 პროცენტს, დასავლეთ საქართველოში (აჭარისა და აფხაზეთის ჩათვლით) 22,6 პროცენტს, სოციალიზმის მშენებლობის პე-

რიოდში ეს თანაფარდობა შეიცვალა, დასავლეთ საქართველოს მრეწველობის წილმა საგრძნობლად იმატა. ეს მოხდა დასავლეთ საქართველოში მძიმე ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის, მსუბუქი მრეწველობის ფართოდ განვითარებისა და მანქანათმშენებლობის, ელექტრომეტალურგიის, მრავალსახოვანი კვების მრეწველობის შექმნის შედეგად.

სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც არის მარცვლეულის წარმოება, მეღვინეობა, მებაღეობა-მეხილეობა, მეთამბაქოეობა და მეცხოველეობა ვითარდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მაგრამ არის ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც ყველგან ვერ ხარობს. მაგალითად, შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა დამახასიათებელია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ხოლო ჩაი, ციტრუსები და სხვები — დასავლეთ საქართველოსათვის.

თანამედროვე საქართველოს ყველა ქალაქი, ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონი, ავტონომიური ნაწილები, ბარი და მთა ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და წარმოადგენენ ერთ განუყოფელ მთელს, რაც განაპირობებს ქართველი სოციალისტური ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის საერთო სოციალ-ეკონომიურ, იდეურ-პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას.

საქართველოს სსრ ეკონომიური ცხოვრების ერთობის განვითარებაში რკინიგზებთან, ახალ და რეკონსტრუირებულ საავტომობილო გზატკეცილებთან, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ სახმელეთო, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტთან ერთად დიდ როლს ასრულებს კავშირგაბმულობა. ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიოს, ტელევიზიისა და კავშირურთიერთობის სხვა საშუალებების განვითარების შედეგად საქართველოს სსრ ყველა ქალაქი და სოფელი, ფაბრიკა და ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, სახელმწიფო-საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი განვითარების შედეგად საბჭოთა საქართველო არა მარტო შინაგანად არის მტკიცედ, მონოლითურად შეკავშირებული, არამედ განუყრელი ნაწილია მთელი სსრ კავშირისა, რომლის მეშვეობით იგი ძმურ თანამშრომლობაშია სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან, აგრეთვე ეკონომიურ და კულტურულ კავშირშია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. ამჟამად 70-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საუკეთესო ნაწარმი.

საქართველოს სსრ აწვდის რუსეთის სფსრ და სსრ კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს: მანგანუმს, ფეროშენადნობებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, თუჯს, ფოლადს, შავი მეტალურგიის ნაგლინს, სატვირთო ავტო-

მანქანებს, ელმავლებს, მიწასაწოვ დანადგარებს, მრეწველობისათვის სხვადასხვა სახის მოწყობილობას, ქვანახშირს, გუმბრინს, მარმარილოს, ჩაის, ციტრუსებს, ღვინის ნაწარმს, ხილეულს, ტუნგოსა და ეთერის ზეთს, თამბაქოს, კონსერვებს, მინერალურ წყალს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, ფეხსაცმელს და ა. შ., ხოლო საქართველო რუსეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან იღებს: ტრაქტორებს, კომბაინებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ლოკომოტივებს, ვაგონებს, ტროლეიბუსებს, ავტობუსებს, შავ და ფერად ლითონებს, საბურღავ და სანგრევ მანქანებს, ამწევ ონკანებსა და მექანიზმებს, ნავთობის პროდუქტებს, ქიმიურ და რეზინის ნაწარმს, მინერალურ სასუქებს, მარცვლეულს, შაქარს, მარილს, ხე-ტყის მასალებს და ბევრ სხვა სახის პროდუქციას.

ასეთი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება განამტკიცებს სოციალისტური ერების ძმურ თანამეგობრობას და ყოველმხრივ ხელს უწყობს ქართველი სოციალისტური ერის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას.

საქართველოს სსრ ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკის ორგანული ნაწილია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი სოციალისტური ერის განვითარებისა და სხვა საბჭოთა ერებთან მისი ყოველმხრივ დაახლოებისათვის.

ამრიგად, ეკონომიური ცხოვრების ერთობა, რესპუბლიკის შიგნით მზარდი ეკონომიური შეკავშირება და სოციალისტურ ერებს შორის ძმური თანამშრომლობის სულ უფრო მეტად განმტკიცების აუცილებლობა იყო და რჩება ერის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად.

მაგრამ ენის, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ერთად გაერთიანებულ ადამიანთა სულიერი სახის თავისებურებანი. ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი სახითაც, რაც ეროვნული კულტურის თავისებურებებით გამოიხატება.

ამიტომ ფსიქიკური წყობის ერთობა, რომელიც უმთავრესად და ყველაზე ნათლად ეროვნული კულტურის ერთობაში ვლინდება, ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

ერის ფსიქიკური წყობის ერთობა ყალიბდება თანდათანობით ხალხის ისტორიის მთელ მანძილზე და საბოლოოდ მკვიდრდება ერის კონსოლიდაციასთან ერთად. ეს არის ერის შეგნებაში მატერიალური ცხოვრების, ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობების თავისებურებათა აღქმა, სულიერ განცდათა ერთობლიობა როგორც ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ასახვის შედეგი. ფსიქიკური წყობის ერთობა ვლინდება ერის მოღვაწეობაში, ეროვნული კულტურის თავისე-

ბურებებში და თავის მხრივ იგი უკუზემოქმედებას ახდენს ერის ცხოვრებასა და მის განვითარებაზე.

ერის ფსიქიკური წყობა კანონზომიერ კავშირშია ერის შემადგენელი კლასების ფსიქოლოგიასთან, მაგრამ მისი გაიგივება კლასობრივ ფსიქოლოგიასთან არ შეიძლება. კლასების ფსიქოლოგიას კლასობრივი ხასიათი აქვს. ფსიქოლოგია, იდეოლოგია ბურჟუაზიულიც არის და პროლეტარულიც. მარქსიზმ-ლენინიზმი ინტერნაციონალური იდეოლოგიაა ყველა ქვეყნის პროლეტარებისათვის განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა, ერის ფსიქიკური წყობა კი, იმის მიუხედავად, რომ იგი სხვადასხვა კლასისაგან შედგება, საერთო ეროვნულ ხასიათს, თავის ინდივიდუალურ ეროვნულ ნიშნებს შეიცავს.

სავსებით კანონზომიერია, რომ ძველი, ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის შედეგად ძირეულადვე იცვლება ფსიქოლოგია იმ სოციალური ჯგუფებისა, რომლებიც შეადგენენ ერს. ერის ფსიქიკური წყობის ერთობა კი თავისი გამძლეობის, ყოფის ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებათა სიმტკიცის გამო შედარებით ნელა, მაგრამ არსებითად ისიც ძირეულად იცვლება.

მართალია, თავისთავად ფსიქიკური წყობა დამკვირვებლისათვის რაღაც მიუწვდომელი რამ არის, მაგრამ რამდენადაც იგი უმთავრესად საერთო კულტურის თავისებურებებით გამოიხატება, მისაწვდომია და შეუძლებელია მისი უგულებელყოფა.

ქართველი ერის ფსიქიკური წყობის ერთობის სპეციფიკა განაპირობეს საქართველოს იმ ისტორიულმა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა, კულტურულმა და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებმა. რომლებშიც ქართველ ხალხს უძველესი დროიდან მოუხდა ცხოვრება, მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებისათვის რთულ შრომასა და მძიმე ბრძოლების საუკუნეებში ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული ხასიათი.

ერის ფსიქიკური წყობის სპეციფიკა მის ფსიქიკურ ნიშან-თვისებათა სტრუქტურაში, მათს ურთიერთკავშირშია, ისეთ ორიგინალურ შეხამებაშეთანაწყობაშია, რომ ცალკეულ ერს ესა თუ ის ფსიქიკური თვისება აქვს წინა პლანზე წამოწეული და სწორედ ეს განასხვავებს ფსიქიკურად ერთ ერს მეორისაგან, აძლევს მას ნიშანდობლივ თავისებურებას, თავის საკუთარ სახეს. ამიტომ არის, რომ „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულისთქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება"[1].

ქართველი ერის ფსიქიკურ წყობაში, მის ყოფიერებასა და ზნე-ჩვეულებებში ღრმად დამკვიდრებული ზემოაღნიშნული, აგრეთვე სხვა ნიშ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 97.

ნები თავისებური სპეციფიკით ვლინდება მის მრავალმხრივ საქმიანობაში და ეს გამოიხატება ქართული კულტურის ერთობით, რომელიც განსხვავდება სხვა ერების კულტურისაგან. ეს თვისებრივი განსხვავებაა და სწორედ ამით შეაქვს ქართველ ერს თავისი წვლილი საერთო-საკაცობრიო კულტურაში.

ასევე ითქმის სხვა ერების წვლილზეც. ი. ბ. სტალინი 1948 წლის 7 აპრილს ფინეთის მთავრობის დელეგაციის მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, რომ ყოველ ერს,— სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს — თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს“[1].

მაგრამ კულტურის ეროვნული თავისებურებები ვლინდება აგრეთვე ხელოვნების ისეთი სახეებით, როგორიც არის ფერწერა, არქიტექტურა, მუსიკა, ხალხური ცეკვები და სხვა, სადაც გამოსახვის საშუალებაა არა ენა, არამედ ფერები, მოძრაობა. როცა უსმენ მუსიკას, ძნელი არაა გაარჩიო, მაგალითად, ქართული მუსიკა რუსული ან აზერბაიჯანული, სომხური ან სხვა ეროვნული მუსიკისაგან, რადგან მუსიკაში ვლინდება ხალხის ეროვნული ხასიათის ნიშნები, რომლებიც გაგრძნობინებენ ეროვნულ სპეციფიკას.

მუსიკის ეროვნული სპეციფიკა ვლინდება სიმღერის შესრულების თავისებურებაშიც. დიდი რუსი მწერალი ი. ს. ტურგენევი მოთხრობაში „მომღერლები“ წერდა რუსული სიმღერის თავისებურებაზე, რომელშიც „გაისმის და სუნთქავს ადამიანის რუსული, მართალი, მხურვალე სული და ისარივით ესობა გულს, ტკბილად ჩამოჰკრავს მის რუსულ სიმებს“[2]. რუსი მომღერლის „ხმის ყოველი ბგერისაგან, — განაგრძობს მწერალი, — რაღაც თვალუწვდენელი სიფართის სიო მოჰბერდა, თითქოს თქვენ წინ ნაცნობი ტრამალი გადაიშალა, დაუსრულებელ სივრცეში ჩაკარგული“.

მუსიკისა და სიმღერის ეროვნული სპეციფიკა შესანიშნავად გამოსახა ქართველი ერის დიდმა მოამაგემ ი. ჭავჭავაძემ: „ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს... იგი უტყვი პოეზიაა, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ — განსაზღვრული, სიტყვით არ — გამორკვეული, — იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულის. ეს კვნესა, ეს ძახილი ქარ-

---

[1] ჟურნ. „ბოლშევიკი“, 1948, № 4. გვ. 2.

[2] И. Тургенев, Собр. соч. т. I, М., 1949, стр. 183—184.

თველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენა-მეტყველება. ქართველი, როცა ჰკვნესის, სხვა-რიგად, სხვა ხმით, სხვა კილოთი ჰკვნესის, ვიდრე ფრანგი ანუ გერმანელი; ქართველი როცა ჰხარობს სულ სხვა-რიგადა ჰხარობს და სიხარულის გამოთქმაც სულ სხვა-რიგია... როცა ქართველი იძახის: „ვაი, ვიშ"; ჩვენ, ქართველებს, მთლად და სავსებით გვესმის ეს ბგერა ქართველის გულის ძარღვისა, ასე თუ ისე ძლიერად ნატკენისა და განწონილისა. სხვა ერის კაცი ვერ გაიგებს: ამას ამავე შემთხვევისათვის სხვა მწყობრი აქვს ხმებისა, რომელიც ჩვენ, ქართველებისათვისაც ისევე გაუგებარია, როგორც მისთვის ჩვენია გაუგებარი, თუ ან იმას ჩვენთვის ყური არ შეუჩვევია ან ჩვენ მისთვის. ამიტომაც ერთის ერის სიმღერა რომ მეორეს მოეწონოს, უნდა მისთვის გასაგები იყოს, და რომ გასაგები იყოს, ისე უნდა შეაჩვიოს ყური, როგორც ენა მეტყველებს"[1].

ქართული მუსიკის, სიმღერებისა და ცეკვების ეროვნული სპეციფიკა კარგად არის ცნობილი მთელ სსრ კავშირსა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

1958 წელს მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფ. რ. ზახაროვი წერდა: „საბჭოთა კავშირის ხალხურ მრავალეროვან და მდიდარ ქორეოგრაფიაში საქართველოს ცეკვებს საპატიო ადგილი უჭირავს. მათში, როგორც სხვა ხალხების ცეკვებში, განსახიერებულია ეროვნული ხასიათის საუკეთესო ნიშნები, აზრები, გრძნობები და განცდები"[2].

ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ქართული ცეკვების ეროვნულ ღირსებას გამოჩენილი რუმინელი ბალეტმეისტერი ტილდა ურსიანუ. იგი წერს: „საერთოდ ქართული ცეკვები ძლიერ გამომხატველი, მოხდენილი, ზეიშური, სიამაყით აღსავსეა, ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით. ეს არის ძლიერი, თავისუფალი, დიდად ნიჭიერი ხალხის სიამაყე. ეს ძალა და მისი ხასიათი სწორად გამოხატულია ტემპერამენტიან ცეკვებში. როცა ქართველები ცეკვავენ, მთელი სცენა იწვის, დუღს და ამავე დროს ცეკვებში იგრძნობა დიდი თავშეკავება. ამ გარეგნული თავშეკავებისა და შინაგანი ცეცხლის შეხამება გამოხატავს ხასიათს ხალხისას, რომლის მუსიკა ჩვენ— რუმინელებს — არ შეიძლება არ გვიყვარდეს. იგი ჩვენთვის ახლოა, გასაგები, ძვირფასია"[3].

ეროვნული სპეციფიკა მჟღავნდება ოდნავ შესამჩნევ ნიუანსებშიც. ცნობილია, რომ დიდი რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის სიდიადე არის არა

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 146—147.
[2] «Декада грузинского искусства и литературы в Москве», 1958, стр. 246.
[3] იქვე.

მხოლოდ მისი მდიდარი, შესანიშნავად გამომხატველი ენა. არამედ ცხოვრებისეული სურათების გასაოცარი ოსტატობით შექმნა, რუსი ერისა და სხვა ხალხთა წარმომადგენლების ეროვნული ხასიათის ზუსტი გამოსახვა. ცნობილია, მაგალითად, რომ თავისი რომანის „ომი და მშვიდობა“ მხატვრული გაფორმება ლ. ტოლსტოიმ მხატვარ მ. ბალაშოვს მიანდო. წარმოდგენილი სურათებიდან მწერალს არ მოეწონა ილუსტრაცია „პეტრე ბაგრატიონი ბრძოლის ველზე“ და მ. ბალაშოვს მიმართა „ბაგრატიონი ქართველია და ნაბადი გვერდზე უნდა ჰქონდეს მოხურული. ცხენზე მისი, როგორც ქართველის ჯდომა უნდა იყოს არა იძულებითი, არამედ ოდნავ გვერდზე, უზანგებში ფეხების წვერებით“[1].

ცხენზე ჯდომის ასეთი ჩვეულება ქართველს გამოუმუშავდა საქართველოსა და კავკასიის მთაგორიან პირობებში ბრძოლის გამოცდილების ტრადიციებით. აქ მხედარს მეტი სიფრთხილე მართებს. მას ცხენიც მკვირცხლი ჰყავს და ჭენების დროს ფეხი რომ დაუცდეს და დაეცეს, მუდამ მზად უნდა იყოს გადმოსახტომად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მხედარს ფეხები წაქცეული ცხენის ქვეშ მოჰყვეს. რუსს კი ცხენზე ჯდომის სხვაგვარი ჩვევა აქვს. მაგალითისათვის ავიღოთ ვ. მ. ვასნეცოვის სურათი „გოლიათები“, სადაც სამშობლოს გმირ დამცველთა სახეები გამოხატულია ისე, რომ სურათი წარმოადგენს რუსი ხალხის მხედრული მამაცობის, მისი ძალისა და დიდების თავისებურ განსახიერებას. ამ სურათის მიხედვით რუსეთის უზარმაზარ ვაკეზე აღზრდილი ადამიანი გულდამშვიდებით ზის ცხენზე. მას ცხენიც დინჯი ჰყავს და ისე ღრმად აქვს ფეხების ტერფები უზანგებში, რომ შიში არა აქვს ცხენის წაფორხილების და გადმოხტომისათვის მუდამ მზადყოფნაც არ ესაჭიროება[2].

ქართველი სოციალისტური ერი საბოლოოდ ძლევს მავნე გადმონაშთებს, ინარჩუნებს და ავითარებს პროგრესულ ტრადიციებს, ამდიდრებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში შეძენილ ზნეობას, კომუნისტურ მორალს. საქართველოში ნამყოფი უნგრელი ჟურნალისტი დერდა ჩაპა წერდა: „იშვიათად შეხვდებით ძველი და ახალი ტრადიციების ურთიერთპატივისცემის ისეთ ჰარმონიას, ამ სიტყვის ყველაზე კეთილშობილური გაგებით, როგორიც ეს არის საქართველოში“[3].

ქართველი და ყველა სხვა სოციალისტური ერის ფსიქიკური წყობის შემდგომი განვითარების ურყევი იდეოლოგიური საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი. საბჭოთა ადამიანებისათვის ამ საერთო იდეოლოგიურ საფუძველზე შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებში, პროლეტარული რევოლუციის, სოციალიზმისა

---

[1] «Декада грузинского искусства и литературы в Москве», 1958, стр. 246.

[2] Журн. «Нева», 1856, № 8, стр. 169.

[3] Газ. «Известия», 3 августа 1967 г.

და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ისტორიული ბრძოლების პროცესში ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა ისეთი იდეურ-პოლიტიკური ნიშან-თვისებები, რომლებიც ერთნაირად დამახასიათებელია რუსი და უკრაინელი, ქართველი და ყველა საბჭოთა ერისათვის. ასეთი ნიშან-თვისებებია: საბჭოთა პატრიოტიზმი — სოციალისტური სამშობლოს, სსრ კავშირისა და კომუნისტური პარტიის, საზოგადოებრივი საკუთრების უსაზღვრო სიყვარული; სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხთა მეგობრობა, ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური სოლიდარობა; კომუნიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა; მშვიდობისმოყვარეობა, იმპერიალიზმისადმი სიძულვილი — მზადყოფნა ყოველგვარ დამპყრობთა და აგრესორთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის; უნარი — არ დაეცენ სულით მძიმე განსაცდელის ჟამს და არ გამედიდურდნენ მიღწეული წარმატებებით; სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი როგორც მამაცობის, დიდებისა და გმირობის საქმისადმი, აქტიურობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, ბრძოლა კომუნისტური შრომის დანერგვისა და ფართოდ გავრცელებისათვის; მზადყოფნა — წარმატებით განახორციელო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილება და მოწოდება.

ქართველი სოციალისტური ერი თავისი განვითარებითა და მოძმე ერებთან სულ უფრო მეტად დაახლოებით ამდიდრებს საბჭოთა ადამიანის საერთო-ეროვნული სიამაყის კეთილშობილურ გრძნობას, რომელიც „უზარმაზარი, ტევადი, თავისი შინაარსით უდიდესი გრძნობაა. იგი უფრო ღრმა და ფართოა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის შემადგენელი ხალხებიდან თვითეულის ბუნებრივი ეროვნული გრძნობები. მან შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, რაც კი რამ შექმნილა მილიონობით საბჭოთა ადამიანის გარჯით, ვაჟკაცობით, შემოქმედებითი გენიით“[1].

ჩვენ მიერ განხილული ქართველი ერის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შინაარსში მომხდარი ცვლილებები, ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ყოველმხრივი განვითარება, მოძმე საბჭოთა ერებთან ერთად ქართველი სოციალისტური ერის აყვავება ნათლად ადასტურებს ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის სისწორეს, რომელსაც მოჰყვა სსრ კავშირში სოციალისტური ერების ჩამოყალიბება და მძლავრი განვითარება, მათი ურღვეული თანამეგობრობა და უმაგალითო ძმური თანამშრომლობა, ინტერნაციონალური ურთიერთდაახლოება და ერთიანობა.

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, თბ., 1972, გვ. 81.

თავი მეხუთე

საბჭოთა საქართველო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში (1938 — 1941 წწ.)

§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისა და სოციალიზმის მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად დაიწყო საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი პერიოდი — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძირითადი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის ამ ახალ ეტაპზე განსაზღვრა საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობამ.

საწარმოო ფონდების, წარმოების იარაღებისა და საწარმოო ნაგებობათა სოციალისტური საკუთრება მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოო ფონდის 98,7 პროცენტს შეადგენდა. წარმოების სოციალისტური სისტემა განუყოფლად ბატონობდა სსრ კავშირის მთელ სახალხო მეურნეობაში: მრეწველობის საერთო პროდუქციაში მისი წილი შეადგენდა 99,8 პროცენტს, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ჩათვლით — 98,6 პროცენტს, საქონელბრუნვაში — 100 პროცენტს[1].

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელდა კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. გადაწყვეტილ იქნა ისეთი მთავარი სამეურნეო ამოცანა, როგორიც იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრება.

---

1 „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 469.

წარმატებების მიუხედავად საბჭოთა ქვეყანა ერთ სულ მოსახლეზე უფრო ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდა, ვიდრე მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები.

ბუნებრივია, რომ ახალი პერსპექტიული გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა, რასაც ითვალისწინებდა კიდეც სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტი. პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით წინასწარ გამოქვეყნდა თეზისების სახით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ (1939 წლის თებერვალი) შეაჯამა თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები რესპუბლიკაში, ერთსულოვნად მოიწონა იგი და დასახა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები[1].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდი შნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობას, რომელიც 1939 წლის მარტში ჩატარდა. ყრილობამ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა (1938 — 1942 წლებში), რომლის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სსრ კავშირისათვის. საბჭოთა ხალხის უახლოეს ამოცანად დასახული იყო ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაგვესწრო ევროპის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის[2].

მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიულ განვითარებას, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. 1942 წელს ნავარაუდევი იყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების თითქმის ერთიორად გადიდება 1937 წელთან შედარებით. კაპიტალურ დაბანდებათა ის ოდენობა, რაც გეგმით დასახული იყო მესამე ხუთწლედში, დაახლოებით უდრიდა პირველ და მეორე ხუთწლედებში გაწეულ მთელ კაპიტალდაბანდებათა თანხას. მესამე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო თავდაცვითი მრეწველობის განვითარება, სათბობის, ელექტროენერგიისა და წარმოების სხვა დარგებში დიდი სახელმწიფო რეზერვების შექმნა. დასახული იყო დუბლიორ საწარმოთა მშენებლობა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში — ურალში, ვოლგისპირეთში, ციმბირსა და შუა აზიაში. გეგმა ითვალისწინებდა ქვანახშირისა და მეტალურგიის ბაზის გაფართოებას

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, საქ. 9390.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 475.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ნავთობის ბაზის შექმნას ვოლგასა და ურალის შუა რაიონში, მარცვლეულისა — სსრ კავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში[1].

ამრიგად, საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ აღნიშნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვების ფაქტი — სოციალისტური საზოგადოების ძირითადად აშენება და დასახა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ამოცანები.

„ახლა, როდესაც სსრ კავშირი ჩამოყალიბდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, — აღნიშნულია საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციებში, — როდესაც მან ძირითადად დაამთავრა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია და მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოების ტექნიკის დონის მხრივ ევროპის ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაზე წინ დგას, — ახლა ჩვენ შეგვიძლია პრაქტიკულად მთელი სიგრძე-სიგანით დავაყენოთ და კიდევაც უნდა დავაყენოთ და განვახორციელოთ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტა"[2].

ამისათვის ყრილობა სახავდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ტექნიკური შეიარაღების შემდგომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და, პირველ რიგში, მანქანათმშენებლობის, მთელი მძიმე მრეწველობის განვითარებას.

მესამე ხუთწლედში დასახული იყო სამრეწველო პროდუქციის 1,9-ჯერ გადიდება, პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა კი 14 პროცენტით. ამასთან ერთად აუცილებელი იყო სახალხო მეურნეობის ისეთი ზრდა და საქონელბრუნვის ისეთი განვითარება, რომ მესამე ხუთწლედის განმავლობაში შესაძლებელი ყოფილიყო სახალხო მოხმარების გადიდება 1,5 — 2-ჯერ[3].

უმნიშვნელოვანესი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, მრეწველობის შემდეგ, ეჭირა სოფლის მეურნეობას, უწინარეს ყოვლისა, საკოლმეურნეო წარმოებას. 1940 წელს კოლმეურნეობები ყველა გლეხური კომლის 96,9 პროცენტს აერთიანებდნენ. მათ ხელში იყო ნათესი ფართობების 99,9 პროცენტი. კოლმეურნეობებს ემსახურებოდა 7 ათასი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ჩვენს ქვეყანაში 4 ათასზე მეტი საბჭოთა მეურნეობა იყო. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობდა 531 ათასი ტრაქტორი და 182 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 228 ათასი სატვირთო ავტომობილი, 1400 ათასზე მეტი ტრაქტორისტი, კომბაინერი და შოფერი ემსახურებოდა მანქანების ამ უდიდეს პარკს[4].

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", გვ. 617.

[2] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 475.

[3] იქვე, გვ. 476.

[4] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", გვ. 634.

ომამდელ წლებში პარტიამ განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლების განსამტკიცებლად.

მიწათმოქმედებაში სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამ გააძლიერა საბჭოთა სახელმწიფოს მგეგმავ-მარეგულირებელი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მაგალითად, გეგმიანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობამ მკაფიოდ იჩინა თავი ტექნიკური კულტურების ნათესების გაფართოებით. ამ კულტურების ფართობი 1941 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად (4,9 მილიონი ჰექტარიდან 11,8 მილიონ ჰექტარამდე).

მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანების შესაბამისად აუცილებელი იყო ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მთელი მასის კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, მუშათა, სოციალისტური საზოგადოების ამ მოწინავე და ხელმძღვანელი ძალის, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება. ქალაქად საყოველთაო საშუალო სწავლებისა და სოფლად საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების განხორციელება, კინოთეატრების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სამკითხველოების ქსელის გადიდება, ამასთან სტაციონარული და სხვა ხმოვანი კინოდანადგარების ფართო ორგანიზაცია[1].

მესამე ხუთწლედში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის ფორმირებას.

მესამე ხუთწლიანი გეგმა მუშებისა და სოფლის მშრომელების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის სახავდა რიგ ამოცანას, როგორიცაა: პირველი მოხმარების საგანთა გადიდება, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის ზრდა 37 პროცენტით, სახელმწიფო ხარჯების მატება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე; კოლმეურნეთა შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა; საბინაო მშენებლობის გაძლიერება ქალაქებსა და მუშათა დაბებში; ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი სრულყოფა; საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივი განვითარება, სახალხო შემოსავლის ზრდა 1.8-ჯერ[2] და ა. შ.

ამრიგად, მესამე ხუთწლიანი გეგმა თავისი ამოცანებით არსებითად განსხვავდებოდა პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმებისაგან. მაშინ საქმე ეხებოდა სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების აშენებას, მესამე ხუთწლედისათვის კი სოციალისტური საზოგადოება ძირითადად უკვე აშენებული იყო. საბჭოთა კავშირი შევიდა ახალ ხანაში, უკლასო

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III; გვ. 503 — 504.

[2] იქვე, გვ. 503 — 506.

სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკამ მეორე ხუთწლედში სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე მოიპოვა გამარჯვება. ამ წარმატებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდა დიდი ამოცანების დასახვა მესამე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სსრ კავშირში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებსა და მხარეებში საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას; პარტიის XVIII ყრილობის რეზოლუციებში აღინიშნა, რომ აუცილებელია ეროვნული რესპუბლიკებისა და მხარეების მეურნეობის და კულტურის შემდგომი აღმავლობა მესამე ხუთწლედში საწარმოო ძალების განლაგების ძირითადი ამოცანების შესაბამისად.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს მესამე ხუთწლიანი გეგმა, ისევე როგორც წინა ხუთწლიანი გეგმები, ითვალისწინებდა მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე სსრ კავშირში საერთოდ.

მესამე ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების საგრძნობი ზრდა, საქართველოს მსხვილ მრეწველობას 1942 წელს დაახლოებით 1,8-ჯერ მეტი პროდუქცია უნდა გამოეშვა, ვიდრე 1937 წელს[1].

ამ დავალების შესაბამისად იყო გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება.

თუ მეორე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობაში წლიური კაპიტალდაბანდება 516 მილიონ მანეთს უდრიდა, მესამე ხუთწლედში იგი 768 მილიონ მანეთამდე გაიზრდებოდა, ე .ი. ზრდა 50 პროცენტს აღემატებოდა. ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 14,7 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 8,9 პროცენტით, კვების (რესპუბლიკურ) მრეწველობაში — 12,3 პროცენტით[2].

ცალკეული დარგების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმით დაისახა შემდეგი ამოცანები: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა მისი ენერგეტიკული ბაზის ჩამორჩენა. 1937 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს სულ 413,5 მილიონი კილოვატსაათი ენერგია, მაშინ როდესაც ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება შეადგენდა 541 მილიონ კილოვატსაათს. მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდებოდა მოთხოვნილება ელექ-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, № 1—2, გვ. 75; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 10517, ფურც. 82.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1938 წლის 27 მარტი.

ტროენერგიაზე და 1942 წლისათვის მას უნდა მოეცა 1500 მილიონი კილოვატსაათი.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე სოხუმჰესის მშენებლობის დამთავრება, ტყვარჩელის ნახშირის ბაზაზე 24 ათასი კილოვატიანი რაიონული თბოსადგურის, მცირესიმძლავრის კომუნალური და დარგობრივი ელექტროსადგურების მშენებლობა და რეკონსტრუქცია[1].

მძიმე მრეწველობის დარგში არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის გარდა, გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ახალი მსხვილი საწარმოების მშენებლობის დამთავრება და ექსპლოატაციაში გადაცემა, რომელთა მშენებლობა მეორე ხუთწლედში დაიწყო.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის ქვანახშირის მრეწველობას.

ვ. ი. ლენინი მრეწველობის ამ დარგის მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა: „ქვანახშირის მრეწველობის გარეშე არავითარი თანამედროვე მრეწველობა, არავითარი ფაბრიკები და ქარხნები არაა წარმოსადგენი. ნახშირი ნამდვილი პურია მრეწველობისათვის, ამ პურის გარეშე მრეწველობა არ მოქმედებს, ამ პურის გარეშე რკინიგზის ტრანსპორტი განწირულია ყოვლად უმწეო მდგომარეობისათვის და ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღსდგება; ამ პურის გარეშე ყველა ქვეყნის მსხვილი მრეწველობა იშლება, ირღვევა, პირველყოფილ ბარბაროსობას უბრუნდება"[2].

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ახლად შექმნილი და რეკონსტრუირებული დარგები ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებდნენ ქვანახშირის მრეწველობას. ქვანახშირის ამოღება 1942 წლისათვის 5-ჯერ უნდა გაზრდილიყო 1937 წელთან შედარებით და მიეღწია 2,2 მილიონ ტონამდე[3].

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობით უზრუნველყოფაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ნავთობის მრეწველობას. გათვალისწინებული იყო 1942 წლისათვის სულ მცირე 200 ათასი ტონა ნავთობის პროდუქტების მიღება[4]. დიდი ამოცანები ჰქონდა დასახული ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას. სასაქონლო პროდუქციის გადიდება გათვალისწინებული იყო 1937 წლის 1650 ათასი ტონიდან 2500 ათას ტონამდე 1940 წელს[5].

---

[1] ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 55.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 602.
[3] ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 2, გვ. 56.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ხუთწლედში გათვალისწინებული იყო ფეროშენადნობთა ქარხნის 19 ღუმელის სრული დატვირთვით ამუშავება, ფეროშენადნობი ქარხნის გაფართოებისათვის—29,6 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება[1]. თუ ქარხანამ 1937 წელს მოგვცა 40 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედში მისი პროდუქციის ღირებულება ერთიორად უნდა გაზრდილიყო, ძირითადი საამქროების პროდუქცია კი 320 პროცენტით.

მძიმე მრეწველობის წამყვანი რგოლია მანქანათმშენებლობა. ამიტომ მესამე ხუთწლედში დიდი ამოცანები იყო დასახული მისი განვითარებისათვის. წინა ხუთწლედებში მიღებულმა გამოცდილებამ და მაღალკვალიფიციური კადრების შექმნამ ნიადაგი მოამზადა საქართველოში დაზგათმშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა ჩაის მრეწველობისათვის მანქანათმშენებლობა. საქართველოს მანქანათსაშენ ქარხნებს 1938 წელს უნდა გამოეშვათ მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების პროდუქცია 3,3 მილიონი, ხოლო 1942 წელს უკვე 12,6 მილიონი მანეთის რაოდენობით[2].

ქიმიური მრეწველობა მეორე ხუთწლედში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი საწარმოთი — თბილისის ქიმიური კომბინატით, რომელიც 1937 წელს უშვებდა 1112 ათასი მანეთის პროდუქციას. მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო მრავალი ახალი სახის ქიმიური პროდუქციის გამოშვება და ახალ საწარმოთა მწყობრში ჩაყენება.

მესამე ხუთწლედში საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობაში აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად აუცილებელი იყო 923,5 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდება, მათ შორის ძირითად დარგებში: ქვანახშირის მრეწველობაში — 126,2 მილიონი, ნავთობმოპოვების — 327 მილიონი, მანგანუმის — 88 მილიონი, ქიმიური — 206,1 მილიონი, მანქანათმშენებლობაში — 43.9 მილიონი და საშენი მასალების მრეწველობაში — 48 მილიონი მანეთისა[3].

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას, კვების ძირითადი პროდუქტების წარმოება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკათა ხუთწლიან გეგმებში. ეს მითითება საქართველოს კვების მრეწველობის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს ავალებდა თავიანთი მუშაობა იმგვარად გარდაექმნათ, რომ მაქსიმალურად გაედიდებინათ მაღალხარისხოვანი პროდუქტების გამოშვება.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 14 თებერვალი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2512, საქ. 55, ფურც. 27; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 441, საქ. 36, ფურც. 21.

[3] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 5293, ფურც. 13.

მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო რესპუბლიკაში კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება 82,4 პროცენტით, სულ უნდა გამოეშვათ 562,6 მილიონი მანეთის პროდუქცია[1]. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გაფართოებულიყო ასორტიმენტი და გაუმჯობესებულიყო ხარისხი.

პირველ და მეორე ხუთწლედში მოპოვებულმა წარმატებებმა მტკიცე ბაზა შეუქმნეს მ ს უ ბ უ ქ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს შემდგომ განვითარებას. ხუთწლედში დასახული იყო მსუბუქი მრეწველობის გაფართოება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, ნაწარმის ასორტიმენტის გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოო პროცესების მექანიზაცია, მრეწველობის საწარმოო ფონდების მაქსიმალური გამოყენება და სხვ.

საერთო-სამრეწველო პროდუქციის მოცულობას მესამე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა შეედგინა 104 981 ათასი მანეთი, ნაცვლად 1937 წლის 57 784 ათასი მანეთისა. მუშების რიცხვი გაიზრდებოდა 5 875 კაციდან 8 453 კაცამდე[2].

კაპიტალური სამუშაოების ხაზით გათვალისწინებული იყო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, ბათუმისა და სოხუმის ტყავის ქარხნების, თბილისის სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობის დამთავრება, ზუგდიდის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მშენებლობა და ამ დარგის ზოგიერთ სხვა საწარმოთა გაფართოება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდა-განვითარებასთან ერთად წლითიწლობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის მითითებათა შესაბამისად რესპუბლიკური დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებას 1942 წლისათვის უნდა შეედგინა 89 180 ათასი მანეთი (1926 — 1927 წწ. უცვლელი ფასებით), ნაცვლად 1937 წლის 49 022 ათასი მანეთისა.

ხუთწლიან გეგმაში ყურადღება ექცეოდა მრეწველობის განლაგების საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. ახალი ობიექტების განლაგების დროს გათვალისწინებული იყო მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებთან.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელი პირობა იყო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს ა და კ ა ვ შ ი რ გ ა ბ მ უ ლ ო ბ ი ს განვ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 5293, ფურც. 83—84.

[2] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 10. გვ. 20.

ვითარება. სარკინიგზო მშენებლობის ხაზით დაგეგმეს შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის დამთავრება, გორი-სტალინირის შტოს მშენებლობა, ტყიბულის რკინიგზის შტოს რეკონსტრუქცია, ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი შტოს გადაკეთება ფართოლიანდაგიან ხაზად და სხვ. ამ მხრივ კაპიტალდაბანდების საერთო თანხა ხუთწლედში შეადგენდა 445,2 მილიონ მანეთს[1].

მესამე ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანები ისახებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. სსრ კავშირის ამოცანა — უახლოეს პერიოდში მიგვეღო 7—8 მილიარდი ფუთი პური — რესპუბლიკას ავალებდა გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა გაეფართოებინა პურეულის ნათესების ფართობი და გაედიდებინა მოსავლიანობა[2].

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩაის კულტურის განვითარებას. საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 21 დეკემბრის დადგენილების „1937 — 1940 წლებში სუბტროპიკული კულტურების განვითარების გეგმის შესახებ“ შესაბამისად ჩაის კულტურის ფართობი უნდა გაზრდილიყო 50 ათას ჰექტარამდე[3].

ჩაის მწვანე ფოთლის საერთო პროდუქცია გაიზრდებოდა 1937 წლის 27 254 ტონიდან 1941 წელს 70 743 ტონამდე, ანუ 160 პროცენტით[4].

ციტრუსების ფართობს 1942 წლისათვის გეგმით უნდა მიეღწია 23 ათასი ჰექტარისათვის, 1937 წლის 6 ათასი ჰექტარის ნაცვლად[5].

მევენახეობის განვითარების ღონისძიებანი შემუშავებულ იქნა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 28 ივლისის დადგენილებით, რომლის მიხედვითაც ვენახების ფართობს 1940 წლისათვის უნდა შეედგინა 60 ათასი ჰექტარი.

1942 წლის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა უნდა გაზრდილიყო 2,1 მილიონამდე, ცხვრისა — 2,2 მილიონამდე, ღორისა — 1 მილიონ სულამდე[6]. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მათი რაოდენობა განსაზოგადოებულ სექტორში.

დიდი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო სოფლის მეურნეობის

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 5293, ფურც 223.

[2] იქვე, გვ. 166.

[3] იქვე. გვ. 178.

[4] ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1939, № 2, გვ. 63.

[5] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი, ფ. 600, საქ. 5293, ფურც. 180.

[6] იქვე, ფურც. 191; მუშა-მოსამსახურეთა საკუთრებაში მყოფი და დამხმარე მეურნეობების პირუტყვის გამოკლებით.

მექანიზაციის დარგში. თუ მეორე ხუთწლედის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 44 მტს-ი 1635 ტრაქტორით, მესამე ხუთწლედში დაგეგმილი იყო 25 ახალი მტს-ის მოწყობა. მნიშვნელოვნად დიდდებოდა სატრაქტორო პარკი. აგრეთვე ხუთწლედში არსებითად უნდა ამაღლებულიყო მემინდვრეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე[1].

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, საკოლმეურნეო სოფლის კეთილდღეობის ზრდა საჭიროებდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიცირების აუცილებლობას. გეგმა ითვალისწინებდა საქართველოს 135 ათასი გლეხური მეურნეობის ელექტრიფიცირებას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის ჭაობის დაშრობას და მეურნეობისათვის ვარგისი ფართობების გადიდებას. კაპიტალდაბანდება პირველი რიგის სამუშაოებზე, მეორე რიგის სამუშაოთა პროექტის შედგენის გათვალისწინებით, ხუთწლედში შეადგენდა 193,1 მილიონ მანეთს. ხოლო დაშრობილი ჭაობების ტერიტორიის ათვისებისა და იქ საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო 214 მილიონი მანეთი[2].

სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებასთან ერთად საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო კ ულ ტ ურ ი ს ა და ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს სწრაფი ამაღლება. ხუთწლედში უნდა განხორციელებულიყო საყოველთაო საშუალო სწავლება ქალაქად და შვიდწლედის ფარგლებში სოფლად. დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლამდელი აღზრდის საქმეს.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დიდი წარმატების, სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული ელემენტების ლიკვიდაციის შედეგად განუხრელად უმჯობესდებოდა მ შ რ ო მ ე ლ თ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა. მესამე ხუთწლედს უნდა უზრუნველეყო მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭირო საქონელზე, პროდუქტებზე, საცხოვრებელ ფართობზე[3]. ბინათმშენებლობაზე უნდა დახარჯულიყო 60 მილიონი მანეთი. მესამე ხუთწლედში ექსპლოატაციაში შევიდოდა 610 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება მოითხოვდა ფართო მოხ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფურც. 191; მექანიზაციის მაჩვენებლები მოტანილია საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით.

[2] იქვე, ფ. 600, საქ. 5293, ფურც. 165, 216.

[3] „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. III, გვ. 502.

მარების საქონლის გამოშვების გაფართოებას. საერთო საქონელბრუნვის მოცულობა (საზკვებასთან ერთად) ხუთწლიანი გეგმით უდრიდა 6600 მილიონ მანეთს, ნაცვლად 2441 მილიონი მანეთისა 1937 წელს, ფართოდ ვითარდებოდა ვაჭრობა სოფლად[1].

საბჭოთა ხელისუფლების მუდმივი საზრუნავი იყო ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. ამ მიზნისათვის მესამე ხუთწლედში საავადმყოფოს საწოლების რაოდენობა დიდდებოდა 15 237-მდე, ნაცვლად 7 782-სა 1937 წელს. ფართოედებოდა ჯანდაცვის სხვა დაწესებულებათა ქსელიც, მატულობდა ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების რაოდენობა. ჯანმრთელობის დაცვის ხაზით კაპიტალური დაბანდება 80,6 მილიონ მანეთს უდრიდა, ნაცვლად 53,4 მილიონი მანეთისა მეორე ხუთწლედში.

კაპიტალური დაბანდება საკურორტო მშენებლობაში ნავარაუდევი იყო 41,3 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს თანხა ხმარდებოდა რაგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ფიზკულტურელთა რაოდენობა 1942 წლისათვის დაახლოებით 200 ათას კაცს მიაღწევდა, ნაცვლად 106 ათასი კაცისა 1937 წელს.

მესამე ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო მრავალი სხვა ღონისძიება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე ეს ხდებოდა წინა ხუთწლედებში.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებას.

§ 2. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა

სოციალიზმის დროს მასების შრომითი აქტივობა, შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება ვლინდება სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყეს. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?" ხაზს უსვამდა შრომითი შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებლობისათვის.

მესამე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება კომუნისტური პარ-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 600, საქ. 5293, ფურც. 259.

ტიისა და საბჭოთა ხალხის პირველხარისხოვან საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. პარტია წარმართავდა მასების შრომით და შემოქმედებით აქტივობას. ნერგავდა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალ ფორმებს, ეხარს უჭერდა ნოვატორთა პატრიოტულ წამოწყებებს.

მესამე ხუთწლედში სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები სისტემატურად ივსებოდა წარმოების მოწინავეებით. მაღლდებოდა მუშათა კლასის შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთო კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდასთან, სოციალისტური შეჯიბრებისა და ნოვატორული მოძრაობის შემდგომ გაშლასთან.

სოციალისტური შეჯიბრება იყო სოციალისტური წარმოების სწრაფი განვითარების, ტექნიკური პროგრესის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის საფუძველი.

მაგრამ სოციალისტური შეჯიბრების დიდი მნიშვნელობა თავიდან სწორად არ ესმოდა ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკს. ბევრი მათგანი ცდილობდა დაყრდნობოდა ცალკეულ რეკორდსმენებს, ამოფარებოდა მათ წარმატებებს. ნოვატორული მოძრაობის ასეთი მანკიერი პრაქტიკა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით „მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკების სტახანოველთა მიმართვის შესახებ"[1]. აფრთხილებდა იმ პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური და სისტემატური ხელმძღვანელობის ნაცვლად იოლ გზას ირჩევდნენ და კმაყოფილდებოდნენ ცალკეული რეკორდების დამყარებით.

აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე საქართველოს პარტიულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში მთელი თავიანთი საქმიანობა დაუქვემდებარეს სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა მასების უფრო ფართოდ ჩაბმის ამოცანებს, რის შედეგად გამრავლდა ნოვატორთა რიგები და წარმოიშვა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმები.

სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის შედეგად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა. დღითი დღე იზრდებოდა სტახანოველთა რიგები. თუ 1937 წელს ქარხანაში იყო 135 სტახანოველი, 1938 წელს კი 181, რაც მუშა-მოსამსახურეთა 64 პროცენტს შეადგენდა. მალე ქარხანა გადავიდა კოლექტიურ სტახანოველობაზე.

1937 წელს სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ

---

[1] Газ. «Правда», 29 декабря 1937 г.

ქარხანაში 1172 სტახანოველი და 651 დამკვრელი იყო, 1938 წლისათვის სტახანოველთა რიცხვი 1602-მდე გადიდდა, ხოლო დამკვრელებისა — 1127 კაცამდე. სტახანოვურ მოძრაობაში ავანგარდული როლი ეჭირათ კომუნისტებს და კომკავშირელებს. 1602 სტახანოველიდან პარტიის წევრი იყო 365 და 231 კომკავშირელი[1].

მშრომელთა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის სტიმული გახდა მესამე ხუთწლიანი გეგმის საერთო-სახალხო განხილვა, რომლის მსვლელობაში ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება როგორც თვით სამრეწველო საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს შორის.

1938 წელს, პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდში გაფართოვდა სტახანოვური მოძრაობა, გაჩნდა ყრილობის სახელობის დამკვრელური და სტახანოვური (ნოვატორული) ბრიგადები. პირველი ასეთი ბრიგადები წარმოიქმნენ ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, ჭიათურის მაღაროებში[2].

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის სტახანოველმა მნგრეველმა მ. კვირიკეიშვილმა ქვანახშირის ნგრევის რეკორდი დაამყარა. 1938 წ. 26 დეკემბერს მან, გეგმით გათვალისწინებული 15 ტონის ნაცვლად, მოანგრია 99 ტონა, დღიური ნორმა 660 პროცენტით შეასრულა და 151 მანეთი გამოიმუშავა. ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში ოსტატმა ს. ქათამაძემ 1939 წლის 1 თებერვალს, ნაცვლად 14 ტონისა, მოანგრია 31,6 ტონა (225 პროც.), 2 თებერვალს 49,7 ტონა (355 პროც.), 3 თებერვალს — 50,7 ტონა (362 პროც.).

ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროში კომუნისტ შ. ფურცხვანიძის ბრიგადამ ექვსი თვის გეგმის შესრულება XVIII პარტყრილობის გახსნისათვის იკისრა და მართლაც 300 — 400 პროცენტით ასრულებდა ყოველდღიურ გეგმას[3]. ტრესტ „ტყიბულქვანახშირის" სისტემაში 1938 წელს 397 სტახანოველი და 301 დამკვრელი იყო. 1939 წელს კი 509 სტახანოველი და 204 დამკვრელი[4].

მნიშვნელოვნად უმჯობესდებოდა მეშახტე სტახანოველთა მატერი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1938 წლის 14 ნოემბერი.

[2] ტყიბულში თავი ისახელეს ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ნოვატორები ა. დარსაიძე და დ. გვენეტაძე. ჭიათურის მაღაროების მეხუთე უბნის ცვლა (ხელმძღვანელი ა. ქამუშაძე, ცვლის წევრები — სტახანოველები ს. ცერცვაძე, ა. ცუცქირიძე, შ. ზაქაშვილი) გეგმებს 200—270 პროცენტით ასრულებდა.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 11 თებერვალი.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11299, ფურც. 17.

ალური მდგომარეობა, იზრდებოდა მათი გამომუშავება. სტახანოველმა ი. ზვერევიჩმა 1938 წლის ნოემბერში გამოიმუშავა 1 010 მანეთი. ხოლო 1939 წლის მარტში — 1 541 მანეთი. ორდენოსანმა ს. მოისეენკომ 1938 წელს ოქტომბერში მიიღო 1 100 მანეთი, 1939 წლის იანვარში — 2 963 მანეთი. საშუალო ხელფასი თვეში თითოეულ მუშაზე 1937 წელს შეადგენდა 323 მანეთს, 1938 წელს — 402 მანეთს, ხოლო 1939 წლის პირველ კვარტალში — 528 მანეთს[1].

ჭიათურის მანგანუმის ტრესტის საწარმოებში 1938 წელს მუშაობდა 4 772 კაცი, რომელთაგან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 3 794, ე. ი. 79,5 პროცენტი. აქედან სტახანოველი იყო 1 043 კაცი, დამკვრელი — 1 462. ამრიგად, სტახანოველები და დამკვრელები შეადგენდნენ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა 66 პროცენტს[2]. მათში დიდ როლს კომკავშირელები ასრულებდნენ, რომელთა რიცხვი 150 კაცს შეადგენდა[3].

ფეროშენადნობის ქარხანას 1938 წლისათვის ჰყავდა 473 სტახანოველი. მათ შორის გამოირჩეოდნენ ა. მარქანაშვილი, გ. გიორგაძე, ბ. მგელაძე, ტ. კირკიტაძე, ნ. ქათამაძე, ი. ებანოიძე, ვ. გვალია, რ. საღარეიშვილი. სტახანოვური შრომის ნიმუშების გამოჩენისათვის მთავრობამ ქარხნის მოწინავე მუშაკები დააჯილდოვა ორდენებითა და მედლებით[4].

მესამე ხუთწლედის პირველი წელი აღინიშნა პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადებით, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ყველა კოლექტივი.

ფართო გაქანება მოიპოვა წინასაოქტომბრო შეჯიბრებამ. მასში ერთერთი პირველი ჩაება თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა. ქარხნის საერთო პარტიულ კრებაზე, რომელზეც განიხილებოდა ყრილობის მოხსენებათა თეზისები, სტახანოველმა მ. გეწაძემ თავისი ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა დაემყარებინა შრომისნაყოფიერების გაზრდის ახალი რეკორდი და მართლაც, 14 თებერვალს ბრიგადამ ყველა წინანდელ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

პარტიის XVIII ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის საწარმოთა კოლექტივები.

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 1 თებერვალი.

2 პარტიული არქივი (თბილისი, ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, საქ. 9941, ფურც. 7.

3 იქვე, ფურც. 9.

4 გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 1 აპრილი.

წარმატებით შეხვდნენ პარტიის XVIII ყრილობას თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და თავმორთულობის სამკერვალო ფაბრიკის მუშები. მათ შორის იყვნენ ოთხდაზგოსანი მქსოველი თ. გიგოლაშვილი, მქსოველები თ. მელიქაძე, ო. ივანოვა, ვ. არუთინოვა, ლ. ხაჩიკიანი, თ. გრიგალაშვილი და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გაუსწრო ჩელიაბინსკისა და „ზაპოროჟსტალის“ ქარხნების კოლექტივებს. ასე მაგალითად, თებერვლის პირველი დეკადის გეგმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 151 პროცენტით შეასრულა, ხოლო ჩელიაბინსკის — 87,9 და „ზაპოროჟსტალმა“ — 80,9 პროცენტით.

წინასაყრილობო შეჯიბრება ფართოდ გაიშალა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრის — ქუთაისის საწარმოებში. აქ მუშაობდა 30 ათასამდე სამრეწველო მუშა[1]. საწარმოო კოლექტივებმა არა მარტო აიღეს კონკრეტული ვალდებულებები, არამედ შეასრულეს კიდეც ისინი. მაგალითად, რიონჰესის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თებერვალში გამოემუშავებინა 12 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 18 თებერვლისათვის გამოიმუშავა 10 135 ათასი კილოვატსაათი.

პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანად გადაიქცა. ბრძოლის პროცესში გაჩნდა მასობრივი შრომითი შეჯიბრების ფორმა — მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორი იყო მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშათა კოლექტივი.

მოსკოველებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები და ყველას უჩვენეს, თუ რისთვის უნდა ებრძოლათ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. მათ იკისრეს გადაჭარბებით შეესრულებინათ მესამე ხუთწლედის მეორე წლის მეოთხე კვარტალის დავალება, შესაბამისად შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, გაედიდებინათ შრომის წლიური ნაყოფიერება 16 პროცენტით, ნაცვლად გეგმიური 11 პროცენტისა; მიეღწიათ სათბობისა და ელექტროენერგიის ზეგეგმითი დაზოგვისათვის, უფრო ფართოდ დაენერგათ მრავალი დაზგის მომსახურება, რომელიც შრომისნაყოფიერების გაზრდის დიდ რეზერვს წარმოადგენდა[2]. მრავალი დაზგის მომსახურება, პროფესიების შეთავსება — ეს იყო სტახანოვური ინიციატივის ახალი გამოვლინება.

საქართველოს მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელ ქარხანა „კრასნი პრო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 9 დეკემბერი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 3 ოქტომბერი.

ლეტარის" კოლექტივის წერილს. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები. აქ გამოსული სტახანოველები, დამკვრელები, ინჟინერ-ტექნიკოსები მხურვალედ მიესალმებოდნენ და ერთსულოვნად იწონებდნენ ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშაკთა ინიციატივას. ისინი პირობას იძლეოდნენ, რომ პირნათლად გაანაღდებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს[1].

საქართველოს სამრეწველო კოლექტივები დიდი საწარმოო ენთუზიაზმით ჩაებნენ ამ შეჯიბრებაში. 31 მარტს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მიიღო გადაწყვეტილება მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. კოლექტივი კისრულობდა წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესრულებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს შმიდტის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც პირნათლად შეასრულა წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, მაშინვე გამოეხმაურა ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მოწოდებას. ქარხნის კოლექტივი ჩაება მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა 1939 წლის გეგმის შესრულება 15 დეკემბრისათვის. აქედან გამომდინარე წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულება იკისრეს ცალკეულმა საამქროებმა.

მაღალი შრომითი წარმატებანი მოიპოვა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ელექტროშემდუღებელმა ზ. ნადირაძემ 3 ოქტომბერს ორთქლმავლის ორი ცილინდრი შეადუღა. ეს სამუშაო მან ნაცვლად 63 საათისა, 6 საათში გააკეთა და გამოიმუშავა 201 მანეთი. მ. გეწაძის ბრიგადამ 4 ოქტომბერს დაამზადა ორთქლმავლის საცეცხლური კარები, რითაც დავალება 350 პროცენტით შეასრულა. სანიმუშოდ მუშაობდა ელექტროშემდუღებელი საამქროს ბრიგადირი ალ. ბერიაშვილი. მან 3 ოქტომბერს ორი დგუში დაამზადა და დავალება 500 პროცენტით შეასრულა, 4 ოქტომბერს კი გამომუშავების 600 პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია[2].

„კრასნი პროლეტარის" კოლექტივის მოწოდებას მაღალი ვალდებულებების აღებით უპასუხა აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა, ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის მუშებმა წარმატებით განახორციელეს წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. 31 მარტისათვის გეგმის გადამეტებით ამოღებული იყო

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 3 ოქტომბერი.

[2] იქვე, 8 ოქტომბერი.

2 256 ტონა ქვანახშირი. შახტის კოლექტივმა ახალი ვალდებულება იკისრა — 5 დეკემბრისათვის შეესრულებინა წლიური გეგმა და 5 პროცენტით შეემცირებინა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება.

ოქტომბრის დღეებში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა მიმართა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველებს, მუშა-მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს ფართოდ გაეშალათ წინასაოქტომბრო შეჯიბრება და გამოეცხადებინათ დღესასწაულამდე დარჩენილი დრო სტახანოვურ დღეებად[1].

მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის შედეგად ზაჰესის კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა 12 ოქტომბრისათვის შეასრულა.

1939 წლის საწარმოო გეგმები წარმატებით შეასრულეს მანქანათმშენებელმა ქარხნებმა. სტახანოველები გეგმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებდნენ[2]. გ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ საშუალო წლიური ნორმა შეასრულა 162 პროცენტით[3]. ნორმები საშუალოდ 1,7-ჯერ გადაჭარბებით სრულდებოდა 26 კომისრის სახელობის, კალინინის სახელობის ლითონის კონსტრუქციათა და სპილენძის საგლინავ ქარხანაში[4].

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობაში ჩატარებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეფასებისას ცენტრალური შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილებით „საქნავთის" ტრესტის ბურღვის კანტორის კოლექტივს 1940 წლის მეორე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და კავკასიის ნავთობის სარეწთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

1939 წლის 1 ოქტომბრისათვის მძიმე მრეწველობის ცხრა სამშენებლო უბანზე — ხრამჰესის, სოხუმჰესის, აწჰესის, ჭიათურა-საქარის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის, ტყიბულჰესის და სხვ. 2 573 მუშიდან 963 სტახანოველი (29,9%) და 718 დამკვრელი (19,3%) იყო[5]. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კოლექტივები სხვა საწარმოებთან შედარებით ჩამორჩენილთა რიგებში იმყოფებოდნენ. 1940 წლის მეოთხე კვარტალში იმავე სისტემის საწარმოთა ჯგუფში, რომელშიც 7 199 კაცი

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 10 ოქტომბერი.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2512, აღწ. I, საქ. 122, ფურც. 10 — 35.

[3] იქვე, საქ. 121, ფურც. 113—115.

[4] იქვე, საქ. 192, ფურც. 42.

[5] საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 43 ა, საქ. 109, ფურც. 47.

მუშაობდა, სტახანოველი იყო 2 370 კაცი, ანუ 32,9 პროცენტი, 1941 წლის პირველ კვარტალში კი 5 384 მუშიდან სტახანოველები და დამკვრელები შეადგენდნენ 40 პროცენტს[1].

საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 29 ათასი კაცი მუშაობდა, 1940 წლის 1 იანვრისათვის სტახანოველი იყო 12 800 კაცი, ე. ი. 44,8 პროცენტი[2].

მრავალი სტახანოველი გამოჩნდა მსუბუქ მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში 1937 წლის 1 იანვრისათვის ნოვატორთა რაოდენობა შეადგენდა მუშა-მოსამსახურეთა 27,9 პროცენტს, 1938 წლის 1 აპრილისათვის — 42,3 პროცენტს, ხოლო 1940 წლის 1 ნოემბრისათვის — 56,7 პროცენტს[3]. ზოგიერთ საწარმოში მათი რაოდენობა 55 პროცენტზე მეტი იყო[4]. სტახანოველთა და დამკვრელთა შრომითი წარმატებების შედეგად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა აითვისეს 64 ახალი სახეობის პროდუქცია[5].

ნოვატორული მოძრაობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას მესამე ხუთწლედში წარმოადგენდა ის, რომ ამ დროს იწყება სტახანოვური ბრიგადებისა და ცვლების შექმნა, ინდივიდუალურ შეჯიბრებასთან ერთად სტახანოვური კოლექტივების შეჯიბრება.

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივით მესამე ხუთწლედის სახელობის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პარალელურად გაიშალა შეჯიბრება შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

მოსკოვის საიარაღო ქარხნის კოლექტივმა მიმართა საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა მუშას, მუშა-ქალს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალების ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ: „ჩვენ მოწოდებით მივმართავთ ჩვენი სამშობლოს მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა მუშაკს მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას, ბოლშევიკური მუშაობით უზრუნველყონ შრომისნაყოფიერების ზრდის დარგში მესამე ხუთწლედის დავალებათა ოთხ წელში შესრულება. ეს გაამრავლებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას და დააჩქარებს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებას“[6].

---

1 საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 43ᵃ, საქ. 185, ფურც. 724.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VIII, საქ. 10455, ფურც. 13.

3 იქვე, საქ. 11273, ფურც. 10.

4 А. Л. Гуния, Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тб., 1961, стр. 496.

5 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VIII, საქ. 10463, ფურც. 174.

6 Газ. «Правда», 2 января 1940 г.

მოსკოვის იარაღის დაწამზადებელი ქარხნის კოლექტივის მიერ დასახული ამოცანა — ოთხ წელში შეესრულებინათ შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმა — სავსებით შეიძლებოდა მიღწეულიყო საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოებშიც.

წლიური დავალება შრომისნაყოფიერების ზრდის ხაზით საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში 11 თვის განმავლობაში 11,5 პროცენტით იყო გადამეტებული, კერძოდ, გ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში — 14, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ და კამოს სახელობის ქარხანაში — 16,2 პროცენტით.

საქართველოს სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა აიღეს ვალდებულებები 1940 წლის სამეურნეო გეგმის ვადაზე ადრე შესრულების, საწარმოო რესურსებისა და შესაძლებლობების აღრიცხვის, მათი მოლიანად გამოყენებისა და ამის საფუძველზე შრომისნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. შეჯიბრების მონაწილენი ავლენდნენ რეზერვებს, გადადიოდნენ მრავალ დაზგაზე მუშაობისა და პროფესიათა შეთავსების მეთოდზე. ფართოდ ვითარდებოდა მუშათა და ინჟინერთა რაციონალიზატორული ინიციატივა, რაც მიმართული იყო წარმოების ტექნიკისა და კულტურის ამაღლებისაკენ.

შრომის ასეთი შედეგები ქმნიდა იმის საფუძველს, რომ საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა კოლექტივებს თავიანთი შესაძლებლობებისა და არსებული რეზერვების გამოყენებით შეეძლოთ 1941 წლისათვის მიეღწიათ შრომისნაყოფიერების ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილი დონისათვის.

შრომისნაყოფიერების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლის ფართოდ გაშლა შეიძლებოდა მხოლოდ სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმებისა და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, სტახანოვური შრომისა და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების ყოველდღიური აღრიცხვის, მოწინავეთა წახალისებისა და ჩამორჩენილთათვის დახმარებისა და მზრუნველობის გზით.

დონბასის სტალინის სახელობის „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტის მაღაროელებმა წინადადებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშაკს — სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის, მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების ახალი ვითარების შესაბამისად გადასინჯვისა და სტახანოვური მოძრაობის მეხუთე წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

საქართველოს საწარმოებში ჩატარდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა გადასინჯვა, ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობე-

ების გამოვლინება. თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში ჩატარებულმა საწარმოო თათბირებმა გამოამჟღავნეს, რომ საწარმოს უამრავი შესაძლებლობანი გააჩნდა, რომლებიც სათანადოდ არ იყო გამოყენებული.

მესამე ხუთწლედისათვის დამახასიათებელი იყო ნოვატორული მოძრაობის ახალ სახეობათა წარმოშობა-განვითარება მრეწველობასა და ტრანსპორტზე. ნოვატორთა მოძრაობა გადაიქცა წარმოების რაციონალიზაციისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად საშუალებად. მისი განვითარება დაკავშირებული იყო წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვასთან, მოწყობილობათა და დაზგების მწარმოებლურობის გადიდებასთან. ამის საფუძველზე მესამე ხუთწლედში წარმოიშვა ნოვატორული მოძრაობის ახალი სახეობა — მ რ ა ვ ა ლ - დ ა ზ გ ო ს ნ ო ბ ა[1], რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პარტიის XVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდში, მოსკოვისა და ურალის მანქანათმშენებელი ქარხნებისა და ხარკოვის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშების ინიციატივით.

მრავალდაზგოსნობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა პროფესიათა შეთავსება, ე. ი. მომიჯნავე პროფესიების დაუფლება. მრავალდაზგოსანი ნოვატორი ემსახურებოდა ერთდროულად სახარატო, საბურღავ თუ სხვა სახის დაზგას. ეს კი მისგან მოითხოვდა დაუფლებოდა სხვადასხვა სპეციალობას.

მრავალდაზგოსნობა და პროფესიათა შეთავსება ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში, ახალი ეტაპი ტექნიკის ათვისებაში.

მრავალდაზგოსნობა და პროფესიათა შეთავსება ფართოდ გავრცელდა პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ. მრავალდაზგოსანთა მოძრაობას მთელ ქვეყანაში გამოეხმაურნენ. ბევრი მრავალდაზგოსანი მუშაობდა საქართველოს საწარმოებშიც. მესამე ხუთწლედის მრავალდაზგოსანთა შორის ერთ-ერთი პირველები იყვნენ ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის გამამდიდრებელი ფაბრიკის სტახანოველები. მათ მოუწოდეს გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა სტახანოველს მიებაძათ მათი მაგალითისათვის.

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალდაზგელები ერთდროულად 4 — 5 დაზგას ემსახურებოდნენ და აღწევდნენ გეგმის შესრულების მაღალ მაჩვენებლებს, პროდუქციის მაღალი ხარისხის

---

[1] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, შრომის სოციალისტური ფორმების განვითარება საქართველოს სსრ მრეწველობაში, თბ., 1966, გვ. 21.

შენარჩუნებით. მრავალდაზგელი ხარატი მ. მამაგეიშვილი ერთდროულად 5 დაზგას ემსახურებოდა და გეგმას 400 — 500 პროცენტით ასრულებდა, 1500 — 1800 მანეთამდე ხელფასს იღებდა.

მრავალდაზგოსნობასთან უშუალო კავშირში წარმოიშვა მოძრაობა მუშების რამდენიმე პროფესიის შეთავსებისათვის და სხვადასხვა სპეციალობის დაუფლებისათვის.

მრავალდაზგელთა მოძრაობა პირველად მანქანათმშენებლობის მოწინავე ქარხნებში დაიწყო, შემდგომში იგი ვრცელდებოდა სხვა დარგის საწარმოთა მუშებს შორისაც. ამ ეტაპზე გაჩაღდა ბრძოლა მუშა-უნივერსალების მომზადებისათვის, ისეთი მუშებისა, რომლებსაც შეეძლოთ წარმოების ყველა უბანზე მუშაობა. ნოვატორული შრომით თავი გამოიჩინა რესპუბლიკის საწარმოთა ბევრმა მრავალდაზგოსანმა. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ლურსმნის საამქროს ბევრი ნოვატორი და სტახანოველი ერთდროულად ექვს დაზგაზე მუშაობდა და გეგმას ერთიორად აჭარბებდა. თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის საიარაღო საამქროს მუშა ი. საქულოვი ერთდროულად სამი ტიპის დაზგაზე მუშაობდა, ზედმიწევნით ჰქონდა ათვისებული სამი პროფესია[1].

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მრავალდაზგოსნობის განვითარებას, რომლის აუცილებლობის შესახებ საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმით იყო მითითებული. ყრილობამ დაავალა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩადგომოდნენ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საწარმოო აქტივობას მესამე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ფართო დახმარება აღმოეჩინათ სოციალისტური შეჯიბრების, სტახანოვური მოძრაობის, მრავალდაზგოსანთა მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის, აგრეთვე პროფესიათა შეთავსების პრაქტიკის გაფართოებისათვის[2].

მრავალდაზგოსნობამ მრეწველობის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო პირველსავე წლებში. მაგალითად, აბრეშუმის მრეწველობამ 1939 წლის გეგმა, ნოვატორ-მრავალდაზგოსნების წარმატებათა შედეგად, 20 დეკემბრისათვის შეასრულა — სახელმწიფოს მისცა 47 181,5 ათასი მანეთის პროდუქცია.

მესამე ხუთწლედის დამდეგიდან სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაფართოების მაჩვენებელი იყო პროფესიათა შეთავსება და მრავალდაზგოსნების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა მოძრაობის სწრაფი განვითარება.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 4 ოქტომბერი.

[2] „საქართველოს კპ. (ბ) XIII ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1940, გვ. 447.

ახალი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე ამაღლდა შრომისნაყოფიერება, გადიდდა მრეწველობის პროდუქციის გამოშვება იმ დარგებშიც კი, სადაც ადგილი ჰქონდა მუშათა რიცხვის შემცირებას. მაგალითად, საქართველოს სსრ მსხვილ ლითონდამმუშავებელ მრეწველობაში მუშათა საშუალო რიცხვი 1940 წელს ერთი მეოთხედით ნაკლები იყო 1937 წელთან შედარებით, მაგრამ ამ დარგის პროდუქცია ამავე წლების მონაცემებით 39,3 პროცენტით გაიზარდა. 1940 წელს რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 33,3 პროცენტით სჭარბობდა 1937 წლის მაჩვენებლებს, რაც არსებითად შრომისნაყოფიერების ამაღლების შედეგად იქნა მიღწეული, ხოლო მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია 1940 წელს 1937 წელთან შედარებით 45,1 პროცენტით გაიზარდა[1].

მრავალდაზგოსნობა, პროფესიების შეთავსება, ჩქაროსნული მოძრაობა წარმოადგენდა ნოვატორობის განვითარების ახალ ორგანიზაციულ ფორმებს. რკინიგზის ტრანსპორტზე ასეთ ახალ სახეობად გადაიქცა ლენინური მოძრაობა — ორთქლმავლის ყაირათიანი ექსპლოატაციისა და მისი სამსახურის გახანგრძლივებისათვის. თუ რკინიგზის ტრანსპორტზე სტახანოვური მოძრაობის პირველმა წამომწყებმა პ. კრივონოსმა და მისმა მიმდევრებმა დაამსხვრიეს ძველი ტექნიკური ნორმები და გვიჩვენეს რა დიდი რეზერვები მოეპოვებოდა სოციალისტური ტრანსპორტის საორთქლმავლო მეურნეობას, ლუნინი და ლუნინელები უფრო შორს წავიდნენ. ისინი მაღალი სისწრაფით ატარებდნენ მძიმე მატარებლებს, ამასთან ერთად გამონახეს ლოკომოტივის სამსახურის გახანგრძლივების საშუალებანი.

ლუნინელები ათავისუფლებდნენ საორთქლმავლო დეპოებს მრავალი ისეთი სახის სარემონტო სამუშაოებისაგან, რომელთაც ზეინკლები და საკომპლექსო ბრიგადები ასრულებდნენ და ამით ასეული ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევდნენ სახელმწიფოს. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლუნინურ მოძრაობას, შეიძლება დავრწმუნდეთ თბილისის საორთქლმავლო დეპოს პრაქტიკიდან. იქ ლუნინურ მეთოდზე გადასვლის შედეგად სრულიად გაუქმდა პერიოდული შეკეთების საამქრო. დეპოში ამ მოძრაობის ინიციატორი მემანქანეების ლუგოვოისა და მსხილაძის ბრიგადამ აწევით შეკეთებაში ელმავლის დაუყენებლად გაირბინა 220 ათასი კილომეტრი, მოსპო პერიოდული და აწევითი რემონტი და ამით საწარმოს 25 ათასი მანეთის ეკონომია მისცა[2].

გამრავლდა სამეურნეო ანგარიშზე გადასულ ორთქლმავალთა რი-

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 430 — 431.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 13 ივნისი.

ცხვი. გაჩაღდა ბრძოლა საწვავი მასალის ეკონომიისა და მძიმე მატარებელთა სწრაფი ტარებისათვის.

ლუნინური მეთოდის გამოყენება ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ამაღლებას, მანქანებისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებას, მრეწველობასა და ტრანსპორტზე ახალი წარმატებების მიღწევას.

ამ პერიოდში მუშახელის ნაკლებობის ლიკვიდაციისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ქ ა ლ თ ა შ რ ო მ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ამ მრეწველობასა და ტრანსპორტზე. ამ მხრივ მისაბაძი გახდა მაგნიტოგორსკელი ქალების შესანიშნავი ინიციატივა. ლუდმილა პოდსევალოვამ მოუწოდა ქალიშვილებს ემუშავათ შიდა საქარხნო ტრანსპორტზე. იგი და 16 ქალიშვილი, რომლებმაც მის მაგალითს მიბაძეს, მემანქანეების თანაშემწეები გახდნენ, ხოლო ტატიანა იპოლიტოვამ დაიწყო მუშაობა მეფოლადის თანაშემწედ.

ლ. პოდსევალოვამ და ტ. იპოლიტოვამ აქტივისტ ქალთა ჯგუფთან ერთად მოწოდებით მიმართეს დიასახლისებს— მაგნიტოგორსკის მეტალურგთა, მშენებელთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ცოლებს დაეწყოთ მუშაობა ქარხანაში, მაგნიტოგორსკის ახალ მშენებლობებზე, რომლებიც მუშახელს საჭიროებდა. „ქალმა მამაკაცის თანაბრად უნდა დაიკავოს ყველა საპასუხისმგებლო უბანი, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — მარტენი, ბრძმედი, ავტომობილი, ორთქლმავალი, ტურბინა, ხიდური ამწე და ელექტროჯალამბარი ისევე დაგვემორჩილება ჩვენ, როგორც მამაკაცებს"[1].

ეს რეზერვები საშუალებას იძლეოდა შეგვევსო მრეწველობა და ტრანსპორტი ახალი მუშახელით და შესაძლებელი გახდებოდა ომის პირობებში მამაკაცების შრომა ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში შეცვლილიყო ქალის შრომით.

1939 წლის 25 სექტემბერს ტყიბულის მაღაროებში 18 დიასახლისი მივიდა შახტში სამუშაოდ, მაღაროელი ქალები თ. ლანჩავა, შ. არსენიძე, თ. ობოლაძე. კ. ბაკურაძე, ო. ძოწენიძე და სხვები სოციალისტური შრომის საუკეთესო მაგალითს იძლეოდნენ.

მრავალი მოწინავე ქალი მუშაობდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში. ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანაში მუშა ქალები შ. ცუცქირიძე და შ. ბერიძე საუცხოოდ დაეუფლნენ მანგანუმის სარეცხ დაზგას და ყოველდღიურ გეგმას 150 — 200 პროცენტით ასრულებდნენ. სტახანოვური შრომის შესანიშნავ მაგალითს იძლეოდნენ აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე მ. კერესელიძე, ლ. სამხარაძე, მ. სრედიჩენკო და სხვ.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 26 სექტემბერი.

ბელი ქარხნის მუშა ქალების თათბირმა 1939 წლის 25 სექტემბერს მიმართა საბჭოთა საქართველოს ყველა ქალს მოწოდებით — აქტიურად ჩაბმულიყვნენ შრომით საქმიანობაში. მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენი მზარდი სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტ კადრებს მოითხოვს, ახალი საწარმოო კადრების მომზადებისათვის დაუშრეტელ რეზერვს წარმოადგენდნენ საბჭოთა ქალები.

ამხანაგო დიასახლისებო, მუშათა და მოსამსახურეთა ცოლებო, დებო და ქალიშვილებო! ამხანაგო კოლმეურნე ქალებო! ჩვენ მოგმართავთ თქვენ მოწოდებით: წავიდეთ სამუშაოდ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში!“[1].

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს სტახანოველი ხარატი ქალი ნ. ნატროშვილი წერდა: „პირველად ქარხანაში რომ მოვედი, დაზგაზე წარმოდგენაც კი არ ვქონდა, მაგრამ მალე დავეუფლე ჩემს საქმეს და გამომუშავების პროცენტიც მაღლა იწევდა. ისე კარგად შევისწავლე დაზგის მუშაობა, რომ ახლა უკვე სხვებსაც ვასწავლი. ქალი დაზგასთან დიდი ძალაა. ამხანაგო დიასახლისო ქალებო, მოდით ჩვენთან ქარხანაში, ხელიხელჩაკიდებული ვიმუშაოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ახლა უკვე წარსულს ჩაბარდა ცრუ, მავნე „თეორია“, თითქოს ქალს არ შეუძლია იმუშაოს მანქანაზე, დაზგაზე, დიდი სისწრაფით წაიყვანოს ორთქლმავალი, მაღლა, შორს და სწრაფად იფრინოს თვითმფრინავით“[2].

ფეროშენადნობთა ქარხნის ძირითად სადნობ საამქროში ლითონის ალაგებაზე მომუშავეთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. მათ შორის იყვნენ რ. რობაქიძე, ა. პეჩენსკაია, პ. კრიპნიჩენკო, ლ. გრიცენკო, ო. მირონოვა და სხვ. ქალები აგრეთვე მუშაობდნენ ელექტროშემდუღებლებად, ამწეებზე, ლაბორატორიებში და სხვ.

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშათა კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა ქალების მოწოდებას. 2 ოქტომბერს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე გამოსულმა სტახანოველმა მუშა ქალმა ფ. ზაზანიამ ვალდებულება აიღო სამუშაოდ ერთი დაზგიდან ორ დაზგაზე გადასულიყო და დავალება გადაჭარბებით შეესრულებინა. ასეთივე ვალდებულება იკისრა მოწინავე ქალმა მ. ბარაბაძემ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირში ნოვატორული მოძრაობის განვითარება მეორე და მესამე ხუთწლედში სწრაფად მიმდინარეობდა. მასში ჩაბმული იყო მშრომელთა ფართო მასები.

---

[1] ვაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 30 სექტემბერი.

[2] იქვე.

მუშათა კლასის შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელია.

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის განვითარება დაკავშირებული იყო მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარება-გაფართოებასთან. ეს მოძრაობა წარმოადგენდა ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებს შორის კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად პირობას.

გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების წინადადებათა დანერგვით შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთული მანქანებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა იმპორტის შემცირება.

გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობას 1931 — 1938 წლებში ხელმძღვანელობდა გამომგონებელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება. 1938 წელს ეს საზოგადოება გაუქმდა, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრა პროფესიული კავშირების საწარმოო-მასობრივ კომისიებს და პროფსაბჭოს საწარმოო განყოფილებას. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში 1938 წელს წამოაყენეს 46 წინადადება. აქედან დაინერგა 20, რითაც წარმოებამ დაზოგა 113 074 მანეთი[1]. 1939 წელს ქარხნის ერთ-ერთ საამქროში 11 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა მხოლოდ 7, მაგრამ ქარხანამ დიდი ეკონომიური და ტექნიკური ეფექტი მიიღო. ამავე ქარხანაში 1940 წელს 47 წინადადებიდან დაინერგა 14. ამის შედეგად საშუალო წლიური ეკონომია უდრიდა 151 957 მანეთს, ანუ წინა წელთან შედარებით 26,4 ათასი მანეთით მეტს[2]. კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში რაციონალიზატორების წინადადებით ორჯერ დაჩქარდა სახარატო დაზგის დეტალების მოხსნა[3].

1940 წელს გ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში 56 წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 35, წლიურმა ეკონომიამ 80 549 მანეთი შეადგინა[4]. ამავე წელს მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის რაციონალიზატორებმა. 166 წინადადებიდან დაინერგა 99, რის შედეგად ქარხანამ დაზოგა

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 441, საქ. 37, ფურც. 7.

[2] იქვე, საქ. 51, ფურც. 13.

[3] Газ. «Заря Востока», 4 апреля 1939 г.

[4] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 304, აღწ. 16, საქ. 36, ფურც. 335.

390 711 მან., რაციონალიზატორებს პრემიის სახით მიეცათ 58,4 ათასი მანეთი[1].

1941 წელს რაციონალიზატორებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელ ქარხანაში, სადაც 7 წინადადებიდან დაინერგა 5, სახელმწიფოს მიეცა 59 ათასი მანეთის ეკონომია[2].

მესამე ხუთწლედში რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობისაგან მიღებული ეკონომიური ეფექტი 1,5-ჯერ აღემატებოდა მეორე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს.

გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა, რაც მშრომელთა შემოქმედებითი შრომისა და აქტივობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა, ომისწინა ხუთწლედში მასობრივ მოძრაობად გადაიქცა. გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის უდიდესი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოისატებოდა, რომ მასში გამოვლინდა შრომისადმი ახლებური, სოციალისტური დამოკიდებულება. გამომგონებლები და რაციონალიზატორები იყვნენ მუშათა კლასის მოწინავე რაზმისა და საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები.

გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის მასობრივ მოძრაობად გადაქცევამ ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ სოციალიზმი ქმნის ნამდვილად ხელსაყრელ პირობებს მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის.

* * *

მუშათა კლასმა დიდი როლი შეასრულა სოფლადაც შრომის სოციალისტური ფორმების განვითარებაში. სოფლის მშრომელებისადმი მუშათა კლასის დახმარების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა სოფელზე სამრეწველო საწარმოთა და საბჭოთა დაწესებულებების შეფობა.

სოფელზე ქალაქის შეფობის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. შეფობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების, სოფელზე პოლიტიკური გავლენისა და კულტურული დახმარების მოქნილი ფორმაა. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ მთელი ჩვენი ძალაუფლება მოვახმაროთ იმას, რომ ქალაქის მუშა ნამდვილად გავხადოთ კომუნისტური იდეების გამტარებლად სოფლის პროლეტარიატში... ურთიერთობის დამყარება ქალაქის მუშებსა და სოფლის

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 304, აღწ. 16, საქ. 36, ფურც. 408.

[2] იქვე, აღწ. 18, საქ. 146, ფურც. 61 — 67.

მუშაკებს შორის... ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა"[1].

ამ დიად საქმეში ინიციატივა ეკუთვნოდა მოსკოვისა და საბჭოთა რუსეთის სხვა სამრეწველო ქალაქების ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამ თაოსნობას გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასი. მან დიდი როლი შეასრულა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

საშეფო ორგანიზაციებმა სოფლად ჩაატარეს უდიდესი სამუშაოები, 1923 — 1935 წლებში, ე. ი. საშეფო ორგანიზაციების არსებობის პერიოდში, სოფლად ამ ორგანიზაციების მიერ გაიგზავნა 4 984 სარემონტო ბრიგადა, რომლებშიც 43 140 კაცი იყო. ამ ბრიგადებმა შეაკეთეს 483 446 სასოფლო-სამეურნეო იარაღი, გადასცეს სოფელს 3 900 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ინვენტარი[2].

მუშათა კლასის დახმარებით ომამდელ ხუთწლედებში გლეხობის შრომითი აქტივობა სისტემატურად მაღლდებოდა. გლეხობამ ბევრი ისწავლა მუშათა კლასისაგან. განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა იყო მუშათა კლასის ყველა პატრიოტული წამოწყების გადამტანი და ორგანიზატორი სოფლად.

სოფლისადმი დახმარება მესამე ხუთწლედში ძირითადად ხორციელდებოდა პროფკავშირების მეშვეობით. პროფკავშირები ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს უკეთ მოეწყოთ საკოლმეურნეო სამუშაოები, შეეკეთებინათ ინვენტარი, ამზადებდნენ კვალიფიციურ კადრებს, სოფლად გზავნიდნენ სპეციალისტებს, აღმრიცხველებს, ტექნიკოსებს, განათლების მუშაკებს. პროფკავშირებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს სოფლად სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მესამე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების· მუშა-მოსამსახურეების სოციალისტური შეჯიბრება.

ჯერ კიდევ საკ. კპ (ბ) XVI ყრილობაზე ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „შეჯიბრებაში არა ნაკლებ ღირსშესანიშნავად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი სოფლადაც ვრცელდებოდა და უკვე მოედო ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს"[3]. იმ პერიოდისათვის სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მხოლოდ იწყებოდა. მესამე ხუთწლედის დასაწყისში კი უკვე არ იყო ისეთი

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 548 — 549.

2 სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 819, საქ. 2487, ფურც. 8.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, „სოციალისტური შეჯიბრების შესახებ", თბ., 1946, გვ. 171.

კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც თავისი დამკვრელები და სტახანოველები არ ჰყოლოდა.

მესამე ხუთწლედში სოციალისტურმა შეჯიბრებამ სოფლად კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და მასობრივი გახდა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ წარმოშვა ასფუთოვანთა შესანიშნავი მოძრაობა მარცვლეულის, ხუთასოვანთა — მეჭარხლეობის, ოცდაათოვანთა — ბამბის მოყვანის რაიონებში და ა. შ.

სტალინგრადის ოლქის ბრიგადირთა ინიციატივით დაწყებული ასფუთოვანთა მოძრაობა წარმოადგენდა სოფლად სტახანოვური მოძრაობის განვითარების ახალ ეტაპს. ბრიგადისა და კოლმეურნეობის საერთო ფართობიდან ჰექტარზე 100 ფუთი მარცვლეულის მოყვანა ნიშნავდა, რომ გადაგვეწყვიტა პარტიის საბრძოლო დავალება საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად რვა მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღების შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრება მტკიცედ მკვიდრდებოდა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში.

ღირსშესანიშნავი იყო თაოსნობა ცალკეული რაიონების კოლმეურნეგლეხობისა, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით მაგალითს იძლეოდნენ, ხელს უწყობდნენ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მთელ რესპუბლიკაში.

1937 წლის აპრილში მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, აგრონომებმა, აგროტექნიკოსებმა და სტახანოველმა კოლმეურნეებმა მიმართეს საქართველოს ყველა მეჩაიე რაიონის მშრომელებს: „წელს ჩვენმა რაიონმა სახელმწიფოს უნდა მისცეს 6 200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ჰექტარზე საშუალოდ უნდა მიიღოს 2 000 კილოგრამი მოსავალი, პირველი ხარისხის ფოთლის საერთო რაოდენობა უნდა აიყვანოს 73 პროცენტამდე.

მახარაძის რაიონის ჩაის მეურნეობის სტახანოველები — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები, აგროტექნიკოსები და ბრიგადირები ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიმდინარე წლის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ვიწვევთ მეჩაიეობის ყველა რაიონს“[1]. მახარაძელებმა ასეთივე მოწოდებით მიმართეს საქართველოს მეჩაიეებს 1938 წელსაც[2].

მახარაძელ მეჩაიეებს ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის წევრები. ამ კოლმეურნეობაში იმ დროს 26 სტახანოველი და 67 დამკვრელი იყო.

საქართველოს ჩაის რაიონებში მრავალი მოწინავე მეჩაიე შრომობ-

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 27 აპრილი.

2 იქვე, 1938 წლის 22 მაისი.

და. მათი სახელები მთელ ქვეყანაში გასდა ცნობილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. სარსანია. 1938 წელს მან ჩაის კრეფის საკავშირო რეკორდი დაამყარა და 1915 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობიდან მარტო ფულად მიიღო 15 920 მანეთი. მისი გამოცდილება ფართოდ ინერგებოდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში[1].

ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის ამაღლების მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1938 წლის ივნისს მიიღო დადგენილება ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკების მუშა-ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის გაშლის ღონისძიებათა შესახებ[2].

1938 წლის 25 — 26 ივლისს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად იმსჯელა ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის გაფართოების, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობისა და ლენინური კომკავშირის XX წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრებისათვის ხელმძღვანელობის შესახებ.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარების საფუძველზე უზრუნველეყოთ ყველა კომკავშირელისა და კავშირგარეშე ახალგაზრდის ჩაბმა საკ. ალკკ XX წლისათვის სახელობის სოცშეჯიბრებაში და ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოეჩინათ მათთვის[3].

ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში 1939 წლის 1 იანვრისათვის უკვე 7 134 მუშიდან 2 089, ანუ 29,3 პროცენტი სტახანოველი იყო[4].

ცნობამ საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელებში. ზუგდიდის რაიონის მოწინავე კოლმეურნეები, სტახანოველები ჩაებნენ პარტიის XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი საწარმოო ვალდებულებანი აიღეს.

ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება გორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის. მათ დაწესებულ ვადაზე ადრე

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1938 წლის 30 ივნისი.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 6, საქ. 8984, ფურც. 222.

[3] ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", 1938, № 7, გვ. 7—9.

[4] ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის არქივი, ფ. 1, საქ. 425, ფურც. 11.

შეასრულეს ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა. წინასაყრილობო სოცშეჯიბრებაში მაღალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე აღბულაღის რაიონის ასურეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეებმაც და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლუქსემბურგის მტს-ის კოლექტივი[1].

ხაშურის კ. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნ. ბერიშვილის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 1938 წელთან შედარებით 30 პროცენტით გაედიდებინა მარცვლეულის მოსავალი. სტახანოვური რგოლის ხელმძღვანელმა ს. ძიძიგურმა ვალდებულება აიღო ჰექტარზე 400 ცენტნერი ჭარხალი მოეყვანა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტახანოველ მ. გელიზაშვილის რგოლი[2].

წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში. მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კომინტერნისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობები[3]. შეჯიბრების ავანგარდში იყვნენ კოლხიდმშენის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და აგრონომები.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მის პოპულარიზაციაში დიდ როლს ასრულებდა პრესა.

რესპუბლიკის სოფლებში გაიშალა მუშაობა 1941 წლის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. 14 მარტს სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ მიმართა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების სოფლის მშრომელებს 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. მათ გამოწვევა მიიღეს და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები მაღალი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის[4].

ანალოგიური წინადადებით მიმართა მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ყველა კოლმეურნეს. საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებსა და სპეციალისტებს[5].

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფართოდ ინერგებოდა სოციალისტური შეჯიბრება. დამკვრელობა, სტახანოვური მეთოდით მუშაობა. კოლმეურნეობებში სწრაფად იზრდებოდა სტახანოველთა რაოდენობა. იქმნებოდა სტახანოველთა ბრიგადები, რომლებიც დიდ წარმატებებს აღწევდნენ. ამ წარმატებებს უჩვენებდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 4 თებერვალი.
[2] იქვე, 5 თებერვალი.
[3] იქვე, 6 თებერვალი.
[4] იქვე, 1941 წლის 20 მარტი.
[5] იქვე.

* * *

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების მთავარი წყაროა შეგნებულობა და გმირობა მუშათა კლასისა, რომელსაც მხარს უჭერენ და თანაუგრძნობენ მშრომელთა სხვა ფენები[1].

კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მათი პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას.

მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ აამაღლა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რაც უმთავრესად ვლინდებოდა პოლიტიკურ კამპანიებსა და ღონისძიებებში მასობრივი მონაწილეობით.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნებმა, რომლებიც ჩატარდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, მთელ მსოფლიოს უჩვენა საბჭოთა წყობილების ძლიერება. ისტორია არ იცნობდა პოლიტიკური შეგნებულობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის სხვა ასეთ მაგალითს.

უნდა აღინიშნოს, რომ 30-იან წლებში სტალინის პიროვნების კულტის შექმნამ განაპირობა მთელ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის ხელყოფა, პარტიული და საბჭოთა ცხოვრების ლენინური ნორმების მიჩქმალვა, საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები და უდანაშაულო ადამიანთა მიმართ დაუსაბუთებელი რეპრესიები. ასეთ ვითარებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო ბერია, რომლის მითითებითაც ბევრი გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე დაუსაბუთებლად მოყვა რეპრესიებში. ყოველივე ამან სამართლიანად შეაშფოთა საბჭოთა ადამიანები და ჩვენი ქვეყნის ყველა მეგობარი, გაახარა მხოლოდ სოციალიზმის მტრები მთელ მსოფლიოში.

მშრომელთა პოლიტიკურ და შრომით აქტივობას, დიად სოციალისტურ მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები, რომელთა რიგებიც განუწყვეტლივ იზრდებოდა. თუ 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს პარტორგანიზაციაში ირიცხებოდა 39 397 კომუნისტი, 1941 წლის 1 იანვრისათვის უკვე მასში 98 853 კომუნისტი იყო გაერთიანებული. აქედან მუშე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 150.

ბი — 34 468, გლეხები — 28 272, მოსამსახურეები — 36 113. პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა გაიზარდა 2 543-ით[1]. კომუნისტები იყვნენ წარმოების ნოვატორების ავანგარდში.

მესამე ხუთწლედის მანძილზე დიდი მნიშვნელობის პარტიულ-პოლიტიკური მოვლენები იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XI (1938 წ. ივნისი), XII (1939 წ. თებერვალი), XIII (1940 წ. მარტი) ყრილობები. მათი მომზადება და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში.

პარტიის XI ყრილობამ შეაჯამა რესპუბლიკის მეორე ხუთწლედის შედეგები და დასახა სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ახალი პერსპექტივები, საქართველოს კომუნისტური პარტიის XII ყრილობამ განიხილა თეზისები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და დასახა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები.

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი ორი წლის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობამ, რომელმაც ნათელყო ქართველი ხალხის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული თვალსაჩინო წარმატებები სახალხო მეურნეობის განვითარებაში და შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის ვრცელი პროგრამა.

საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნისათვის ბრძოლაში და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ლენინური კომკავშირი. მის რიგებში ამ დროს ითვლებოდა 276 ათასზე მეტი წევრი[2]. საქართველოს ალკკ XIII, XIV და XV ყრილობებმა დიდი ამოცანები დასახეს საქართველოს კომკავშირის წინაშე.

საქართველოს კომკავშირი გაიზარდა რიცხობრივად, თვისებრივად გაუმჯობესდა მისი შემადგენლობა. ახალგაზრდობა უდიდეს არმიას წარმოადგენდა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში.

საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს კომკავშირის, მთელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობა.

პროფესიული კავშირები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ საწარმოებში მუშათა კლასის საწარმოო მაჩვენებლების ასამაღლებლად, ზრდიდნენ მათში შრომით ენთუზიაზმს და აძლიერებდნენ მუშათა პოლიტიკურ აქტივობას.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში შექ-

---

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 734.

[2] საქართველოს კომკავშირის ისტორია, თბ., 1968, გვ. 257.

ცნა პირობები ახალი, სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ერებს შორის დამყარდა პრინციპულად ახალი ურთიერთობა თანასწორობის, თანამშრომლობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე, რაც სოციალიზმის მშენებლობის აუცილებელი პირობა გახდა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხის ძმური თანამეგობრობის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენდა სოციალისტური შეჯიბრება. მასში მონაწილეობდნენ მოძმე რესპუბლიკების ასეულობით საწარმოს კოლექტივები.

სოციალისტური შეჯიბრების წლებში მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის ფორმები და მეთოდები მთელ ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ ეროვნულ რესპუბლიკებში ერთნაირი იყო, რაც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საერთო კანონზომიერებით იყო განპირობებული. ამან ნათელი გამოხატულება პოვა მოძმე რესპუბლიკების მონათესავე სამრეწველო კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში (1929 წლის აპრილიდან). ერთ-ერთი პირველთაგანი ასეთ შეჯიბრებაში ჩაება თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი როსტოველ და ხარკოველ კოლეგებთან.

1929 წლის მაისის ბოლოს ჭიათურის მაღაროელებმა ნიკოპოლელი კოლეგები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. ეს იყო მოძმე რესპუბლიკების მონათესავე საწარმოთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელთა მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობას, რომელიც სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა სოციალისტური მშენებლობის წლებში.

მესამე ხუთწლედის წლებში, დაახლოებით 1938 წლის შუა ხანებიდან, სოციალისტურმა შეჯიბრებამ მოძმე რესპუბლიკების საწარმოებს შორის დიდი გაქანება მიიღო. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა უკრაინისა და საქართველოს მუშათა კლასის საწარმოო თანამშრომლობასა და მეგობრობას.

1938 წლის დეკემბერში ი. ბ. სტალინის სახელობის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი. ურთიერთშეჯიბრებაში ჩაებნენ სხვა საწარმოთა კოლექტივებიც (მაგალითად, რიონჰესისა და დნეპრჰესის, 26 კომისრის სახელობისა და კიევის ჩარხსაშენებელი ქარხნების კოლექტივები). 1939 წლიდან დაიწყო უკრაინისა და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შეჯიბრება[1].

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 304, აღწ. 15, საქ. 86, ფურც. 2.

სამამულო ომის წინა პერიოდში გაიშალა და შემდგომ ტრადიციად გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრება დონბასისა და ტყვარჩელის მეშახტეებს შორის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXI წლისთავზე ქ. კიევიდან საქართველოში მომავალი უკრაინის დელეგაცია საქართველოს მუშების კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისადმი მისალმებაში წერდა: „უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას, რომელიც თანდათანობით მტკიცდება, ისტორიული ფესვები აქვს. ცარიზმის შავბნელ დროს, როდესაც ცეცხლითა და მახვილით სისხლში ახრჩობდნენ ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობას, გაისმა დიდი უკრაინელი რევოლუციონერი პოეტის ტარას შევჩენკოს მრისხანე ხმა... ჩვენ მოვდივართ მზიურ საქართველოში იმისათვის, რათა ვუამბოთ ქართველ ხალხს უკრაინელი ხალხის შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მოპოვებულია პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენ გვაქვს უკრაინელი ხალხის დავალება... კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ კოლმეურნეობათა, საწარმოთა, რაიონთა სოციალისტური შეჯიბრება. უკრაინელმა ხალხმა მოგვცა დავალება გავაფართოოთ სოციალისტური შეჯიბრება თითოეული ქარხნის, ფაბრიკის, მაღაროს, კოლმეურნეობის გადაქცევისათვის თავდაცვის მიუვალ ციხესიმაგრედ. სიყვარულითა და სიამაყით მოვდივართ ჩვენ მზიურ კოლხეთში, თქვენთან, ძვირფასო ძმებო“[1].

სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს შორის დღითი დღე ფართოვდებოდა და ამოცანად ისახავდა სტახანოვური მუშაობის გამოცდილების მასობრივ ურთიერთგაზიარებას[2]. სწორედ ამ ხანებში ქართველმა მეშახტეებმა საქართველოში მოიწვიეს ა. სტახანოვი.

უკრაინის სსრ სტალინოს ოლქის ქ. ორჯონიკიძის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივი თავის 1938 წლის 27 ნოემბრის წერილში წერდა საქართველოს მეშახტეებს, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ყველა სტახანოველს, მუშებს, მთელ კოლექტივს: „ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის გიწვევთ თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით... შევამციროთ ქვანახშირის თვითღირებულება... აღვზარდოთ ახალი კადრები“[3].

ასეთივე წერილით მიმართეს ვოროშილოვგრადის ოლქის სერგოვსკის რაიონის მეშახტეებმა ტყვარჩელელ კოლეგებს. ტყიბულის მეშახტეე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 6 ნოემბერი.
[2] იქვე, 22 დეკემბერი.
[3] გაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 2 ივლისი.

ბიც დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ ამ მოწოდებებს და მიიღეს კიდეც გამოწვევა.

ტყიბულელები ეწვივნენ უკრაინელ კოლეგებს, რომლებთანაც ჩაბმულნი იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ სტუმრობამ კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა. ქართველ სტუმრებს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს. მრავალი შეხვედრა მოეწყო წარმოების მოწინავეებთან, პარტიულ მუშაკებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან. ქართველი სტუმრები გაეცნენ საწარმოო კოლექტივების მუშაობას. შეჯამდა შეჯიბრების შედეგები. მათ ერთობლივად იკისრეს ვალდებულება ფართოდ გაეშალათ მესამე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და წლიური გეგმები შეესრულებინათ 12 დეკემბრისათვის[1].

ტყიბულის მეშახტეთა დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო ქ. ორჯონიკიძის, გორლოვკის, სტალინოს მექანიზებული, უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული შახტების მუშაობას და ამით მდიდარი გამოცდილება შეიძინა. გამომგზავრებისას ტყიბულის მეშახტეებმა აღნიშნეს, რომ მათ შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ორი მოძმე — უკრაინელი და ქართველი — ხალხების ურყევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციას წარმოადგენდა[2].

დიდი სამამულო ომის წინა წლებში ფართოდ გაიშალა ამ ორი მოძმე რესპუბლიკის რკინიგზელთა შორის სოციალისტური შეჯიბრება. 1938 წლის თებერვალში კიევის ორთქლმავალვაგონშემკეთებელმა ქარხანამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

1939 წლის 22 ივნისს თბილისში ჩამოვიდა სტალინის სახელობის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა დელეგაცია ამიერკავკასიის რკინიგზელებთან სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად[3]. ამ შეჯიბრებამ დიდი როლი შეასრულა სარკინიგზო ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

1939 წლის ივლისში რკინიგზის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით ჩრდილო დონეცკის რკინიგზის კოლექტივის ინიციატივით დაიწყო რკინიგზელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება[4]. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა დონეცკელთა მოწოდებას.

1939 წელს უკრაინელებმა და ქართველმა რკინიგზელებმა წარმატე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 9 მაისი.
[2] იქვე, 12 მაისი.
[3] იქვე, 2 ივლისი.
[4] იქვე, 12 ივლისი.

ბით შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს გეგმას.

სამამულო ომის წინა წლებში აგრეთვე ფართოდ გაიშალა საქართველოსა და უკრაინის ნავთობის მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება.

ტრესტ „საქნავთის“ მუშაკთა აქტივმა 16 აგვისტოს უკრაინელი კოლეგების წერილთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს ნავთობის მრეწველობის ყველა მუშაკს გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება ორი მოძმე რესპუბლიკის მენავთობეებს შორის[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინისა და საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც დაიწყო 1939 წლის თებერვლიდან. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში ამ დროისათვის მუშაობდა 26 ათასზე მეტი სტახანოველი. ამ შეჯიბრების შედეგებზე მეტყველებს ის, რომ 1939 წ. პირველ ნახევარში ათვისებულ იქნა ფართო მოხმარების პროდუქციის 33 ახალი სახეობა, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15-ისა, თითქმის ორჯერ გადიდდა შრომისნაყოფიერება და სხვ[2].

სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების საწარმოებთან უფრო ფართო მასშტაბით გაიშალა 1940 წელს. 8 იანვარს უკრაინის სსრ სტალინოს ტრესტ „სტალინუგოლის“ მეშახტეებმა მოუწოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა მეშახტეს, რომ თითოეულ მეშახტეს ქვანახშირის თვიური ამოღება აეყვანა 90 ტონამდე, შრომისნაყოფიერება გაეზარდა 1937 წელთან შედარებით 36,9 პროცენტით, ხოლო თითოეული სანგრევის ნაყოფიერება აემაღლებინა 12 ათას ტონამდე თვეში[3].

დონბასელთა მოწოდებამ ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ მეშახტეებში. ტყიბულის მეშახტეებმა „ორჯონიკიძეუგოლის“ ტრესტისა და „კრასნი ოქტიაბრის“ შახტის კოლექტივებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების ხელმოსაწერად დონბასში 1940 წლის 1 თებერვალს გაგზავნეს დელეგაცია[4].

1940 წლის 13 თებერვალს ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველთა შეკრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა „ნიკოპოლმანგანუმის“ ტრესტის მაქსიმოვის სახელობის მაღაროს კოლექტივისადმი, რომლითაც წინადადებას იძლეოდა დადებულიყო ორი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 21 აგვისტო.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 304, აღწ. 15, საქ. 86. ფურც. 2 — 4.

[3] გაზ. „კომუნისტი“, 1940 წლის 10 იანვარი.

[4] იქვე, 8 თებერვალი.

ვე მაღაროს კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1940 წლისათვის[1].

გამოცდილების ურთიერთგაზიარების შედეგად ჭიათურელებმა შეძლეს დაენერგათ მუშაობის სტახანოვური მეთოდები, მიეღწიათ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის.

შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების სისტემატური, საქმიანი შემოწმება. გახშირდა დელეგაციების ურთიერთგაცვლა. ჯერ კიდევ 1938 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის ზეიმის დღეებში კოლმეურნეების მოწვევით საქართველოს ესტუმრა უკრაინის მშრომელთა დელეგაცია. 1940 წელს უკრაინის მშრომელებმა მიიპატიჟეს საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები ოქტომბრის დღესასწაულის ზეიმის დღეებში, რათა შეემოწმებინათ სოციალისტური შეჯიბრების მინდინარეობა. 1 ნოემბერს 50 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გაემგზავრა კიევში. მასში შედიოდნენ საქართველოს გამოჩენილი ადამიანები — მოწინავე კოლმეურნეები და მაღაროელები, მწერლები და მეცნიერები: გ. კიკნაძე — საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი (დელეგაციის ხელმძღვანელი), დ. ყიფშიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; მწერლები: ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე; ქართული თეატრისა და კინოს საუკეთესო წარმომადგენლები: ა. ვასაძე, ნ. ვაჩნაძე, თ. ჭავჭავაძე, დ. გამრეკელი; საკოლმეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ნოვატორები: მ. ორაგველიძე, ვ. ჯაბუა, ქ. სარსანია, დ. ტაკიძე; პარტიული და საბჭოთა მუშაკები: კ. ბეჭვაია, ვ. ჩიქავა; პედაგოგები: პ. კაპანაძე, ლ. შალამბერიძე, გ. ფიფია და სხვ.

დელეგაციამ უკრაინაში თითქმის ერთ თვეს დაჰყო. იქ ისინი შეხვდნენ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. 22 ნოემბერს მოეწყო მათი შეხვედრა უკრაინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან.

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ცალკეული ჯგუფები ესტუმრნენ უკრაინის დიდ სამრეწველო ცენტრებს, დონბასის მეშახტეებს, მოწინავე კოლმეურნეობებს, დაათვალიერეს მეტალურგიის გიგანტები, დიდი ფაბრიკა-ქარხნები, ისტორიული ადგილები[2].

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის წევრების შეხვედრები უკრაინელ მშრომელებთან, ინტელიგენციასთან, პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებთან გადაიქცა ქართველი და უკრაინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 14 თებერვალი.

[2] იქვე, 20 ნოემბერი.

1941 წლის 30 აპრილს ბაქოს ნავთობის მრეწველობის წარჩინებულმა სტახანოველებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქართველი მენავთობეები. საუკეთესო სტახანოველთა შეჯიბრება, წერდნენ ბაქოელები, დაგვეხმარება მესამე ხუთწლედის დიად დავალებათა შესრულებაში[1]. ქართველმა მენავთობეებმა აიღეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი და სთხოვეს ბაქოელ მეგობრებს ჩამოსულიყვნენ სტუმრად, გაცნობოდნენ სარეწებს და საძიებო უბნებს, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება, გაცნობოდნენ ქართველ სტახანოველთა მუშაობას[2].

რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობის საუკეთესო დადასტურება იყო.

ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს გლეხობამ ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მშრომელებთან.

ამ წლებში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს სსრ მახარაძისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეთა შეჯიბრებამ უკრაინის სსრ გენიჩესკისა და ტალალაევსკის რაიონების მშრომელებთან. სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით დაიწყო, თანდათან ფართო ხასიათი მიიღო.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეებმა 1938 წლის აპრილში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს გენიჩესკელი კოლმეურნეები. დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა მიიღეს მახარაძელ კოლმეურნეების გამოწვევა და ჩაებნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ოქტომბრის XXI წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებლად საქართველოში ჩამოვიდა გენიჩესკელ კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელიც გაეცნო სოფელ შრომისა და საქართველოს სხვა მოწინავე კოლმეურნეობათა მუშაობას და გადაიღო მოწინავე გამოცდილება[3].

მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს შორის სოციალისტური შეჯიბრება შრომითი აღმავლობის მძლავრი სტიმული იყო. საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა ერთმანეთს უზიარებდა წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, სამეცნი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941, 30 აპრილი.

[2] იქვე, 11 მაისი.

[3] იქვე, 1938 წლის 6 ნოემბერი.

ერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მეთოდებსა და გამოცდილებას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობისათვის ერთობლივ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა საბჭოთა ხალხების მეგობრობა. სულ უფრო მტკიცე და მრავალფეროვანი ხდებოდა საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების ხალხთა თანამშრომლობა.

§ 3. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი შედეგები

ა. მრეწველობა და ტრანსპორტი

1938 — 1940 წლებში საქართველოში დამთავრდა მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საწარმოების მშენებლობა. აღსანიშნავია ახალი მძლავრი შახტები ტყიბულსა და გელათში, აგრეთვე ზაჰესის უკანასკნელი აგრეგატი, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, ინგურის ქაღალდის კომბინატი, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი, ჩაის ახალი ფაბრიკები და სხვ. ამ წლებში რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა 26 პროცენტით გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში ფართოდ ვითარდებოდა ადგილობრივი და კოოპერატიული მრეწველობაც. ამ დარგის სამრეწველო საწარმოთა გაფართოებასთან დაკავშირებით წვრილ საწარმოთა რაოდენობა 1940 წელს 1937 წელთან შედარებით გაიზარდა 2,1-ჯერ[1].

მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი ორი წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების წინაშე XVIII ყრილობის მიერ დაყენებულ ამოცანათა განხორციელების მიმდინარეობა შეაჯამა საქართველოს კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ და დასახა ღონისძიებანი მათი ვადამდე შესრულებისათვის.

მესამე ხუთწლედის პირველი წელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი გამარჯვებებით აღინიშნა. სოციალისტური მრეწველობის საწარმოებმა 885 840 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, რაც გეგმის 99,2 პროცენტს შეადგენდა[2].

მრეწველობის სწრაფ განვითარებას ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საწარმოთა დარგობრივი მართვის განმტკიცებამ. მრეწველობის სხვადასხვა დარგს კავშირში ხელმძღვანელობდა 20 დარგობრივი სახალხო კომისარიატი[3].

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 428 — 429.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1940, გვ. 10.

[3] «История СССР», М., 1957, стр. 507—508.

მესამე ხუთწლედში, ისევე როგორც წინა ხუთწლედებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მრეწველობის განვითარებას, რაც დიდად იყო დამოკიდებული სათბობისა და ენერგეტიკული ბაზის გაფართოებაზე.

განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ქვანახშირის მოპოვების გადიდებას. ამიტომ ეს საკითხი დადგა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. მაგალითად, 1938 წლის 21 მაისს ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად „ტყიბულქვანახშირის" ტრესტმა ქვანახშირის ამოღების 1938 წლის გეგმა 18 დეკემბრისათვის შეასრულა, წლის ბოლომდე კი მოპოვებულ იქნა 260 660 ტონა. 1939 წლის გეგმაც (310 ათასი ტონის რაოდენობით) წარმატებით შესრულდა, ქვანახშირის ამოღება 1938 წელთან შედარებით გადიდდა 19 პროცენტით[1].

გაიზარდა ქვანახშირის ამოღება ტყვარჩელშიც. 1939 წელს ტრესტმა „ტყვარჩელქვანახშირმა" პირველად შეასრულა საწარმოო გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 220 ათასი ტონისა, ამოღებულ იქნა 237 400 ტონა. 1938 წელთან შედარებით ზრდა 43 პროცენტს შეადგენდა.

ᲒᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ დგებოდა ახალი შახტები. მაგალითად, 1939 წლის ნოემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა შახტი გელათში, 60 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური სიმძლავრით.

მესამე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სწრაფად ვითარდებოდა რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობაც. 1938 წელს საექპლოატაციოდ გადაეცა ზაჰესის ახალი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 12 000 კილოვატს უდრიდა.

მშენებლობის დაწყებიდან 5 წლისთავზე, 1938 წლის 21 დეკემბერს, დამთავრდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის საერთო სიმძლავრე შეადგენდა 100 ათას კილოვატს. თბოსადგური ჩართულ იქნა საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ქსელში. იგი აიგო ტყვარჩელის ქვანახშირის მყარ საწარმოო ბაზაზე. თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგურ სამტრედიის 110 ათასი კილოვატი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1938 წლის ნოემბერში.

1939 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 4 ათასი კილოვატის სიმძლავრის თბილისის თბოელექტროცენტრალის პირველი აგრეგატი.

საქართველოს სსრ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1940 წლის 1 იანვრისათვის 178 000 კილოვატს მიაღწია, ე. ი. ორი წლის განმავლობაში 43,5 პროცენტით გაიზარდა. 1939 წელს გამოიმუშავეს დაახ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I. საქ. 11299, ფურც. 15; გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 24 ოქტომბერი.

ლოებით 700 მილიონი კილოვატსაათი ენერგია. ამასთან, საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 588,1 მილიონი კილოვატსაათი ენერგია. საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა რიონჰესს, რომელმაც 1939 წელს სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა[1].

1939 წელს ამოიღეს 19,3 ათასი ტონა ნავთობი[2]. გატარდა ღონისძიებები ნავთობის ახალი რესურსების აღმოსაჩენად.

1938 წლის 21 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქნავთის" მუშაობის გაუმჯობესების შესახებ[3]. 1938 წელს „საქნავთმა" ნავთობის მოპოვების გეგმა შეასრულა 155,5 პროცენტით. გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ბრძანებით ტრესტ „საქნავთის" მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და ხელმძღვანელების ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა „მძიმე მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების „ფრიადოსნის" ნიშნით და „მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქების სიგელით"[4].

მანგანუმის მადნის ამოღების გეგმა 1938 წელს შესრულდა მხოლოდ 85,2 პროცენტით, ხოლო 1939 წლის გეგმა — 88,1 პროცენტით[5]. გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მექანიზაციის დაბალი დონე, შრომის სუსტი ორგანიზაცია და მუშათა არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, რაც იწვევდა მუშახელის დიდ დენადობას.

მესამე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მანქანათმშენებლობის განვითარებას, რაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი 1938 წელს აერთიანებდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების 10 საწარმოს. აქედან წმინდა მანქანათსაშენი იყო ხუთი საწარმო, ხოლო ლითონდამუშავებელი ოთხი. კიროვის სახელობის დაზგათსაშენებელი და ბათუმის ჩაის მანქანათსაშენებელი ქარხნები, აგრეთვე „ცენტროლიტი", რომელიც ძირითადად ამზადებდა მანქანათსაშენებელი ქარხნებისათვის სამანქანო დაზგების სხმულებს, საკავშირო დაქვემდებარების

---

1 „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობა", (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 33; პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 136, საქ. 13, ფურც. 4.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 1092, ფურც. 42.

3 იქვე, საქ. 7929, ფურც. 18 — 19.

4 იქვე, საქ. 9870, ფურც. 36 — 37.

5 იქვე, საქ. 10920, ფურც. 42.

საწარმოებს წარმოადგენდნენ. 1936 წელს მიღებული გადაწყვეტილებით თბილისის ს. კიროვის სახელობის ქარხანა, რომელიც ნავთობის მრეწველობისათვის სპეციალურ მოწყობილობას ამზადებდა, გადავიდა დაზგათმშენებლობაზე[1].

მესამე ხუთწლედში ქარხანას დაევალა სამხედრო მრეწველობისათვის სპეციალური დაზგების ათვისება და სერიული წარმოება. ომის დაწყებამდე ქარხანამ აითვისა 16 დასახელების ასეთი ახალი დაზგა.

მანქანათმშენებლობის ძირითად დარგს, დაზგათმშენებლობასთან ერთად, შეადგენდა სამშენებლო დაზგათმშენებლობა. მ. კალინინის სახ. მექანიკური ქარხანა უშვებდა ლითონის ფართო მოხმარების საგნებს, ხოლო 1938 წელს პირველმა საბჭოთა კავშირში აითვისა და გამოუშვა ქვის საღარავი და საჭრელი დაზგა, ხოლო 1939 წელს დაიწყო ქვის სახეხი დაზგის ათვისება[2].

საქართველოს აბრეშუმისა და საფეიქრო მანქანათმშენებლობა კონცენტრირებული იყო 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. 1938 წელს ქარხანამ გამოუშვა 8 170 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 14,9 პროცენტით აღემატებოდა 1937 წელს გამომუშავებულ მთლიან პროდუქციას[3].

დამზადებული მანქანები იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის საფეიქრო გიგანტებისათვის.

1940 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. საბჭოთა კავშირში საფეიქრო მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარების შედეგად 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ამ პროდუქციის გამოშვება რამდენადმე შემცირდა. ქარხანამ თანდათანობით დაიწყო სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო მშენებლობისათვის ახალი მანქანა-დანადგარების წარმოებაზე გადასვლა[4].

ხილის გადამუშავებისა და მეღვინეობისათვის მანქანა-დანადგარებს ძირითადად გ. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა ამზადებდა.

მესამე ხუთწლედში ჩაის მრეწველობისათვის მანქანათწარმოება ძირითადად კონცენტრირებული იყო ბათუმის სპეციალურ მანქანათსაშენებელ ქარხანაში, რომელიც 1936 წელს ამუშავდა. იგი წარმოადგენდა ამ დარგის ერთადერთ უდიდეს ქარხანას სსრ კავშირში.

ჩაისა და მეღვინეობის მანქანათმშენებლობის გარდა მესამე ხუთ-

---

[1] Л. А. Анзенштат, С. А. Чихачев, Очерки по истории станкостроения СССР, М., 1957, стр. 237.

[2] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2512, აღწ. I, საქ. 121, ფურც. 204, 232; საქ. 192, ფურც. 42.

[3] იქვე, ფ. 2512, საქ. 21, ფურც. 76.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 156, საქ. 1-ბ, ფურც. 22.

წლედში თანდათანობით ვითარდებოდა კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების წარმოება.

მანქანათმშენებელმა ქარხნებმა აითვისეს ისეთი მანქანა-დანადგარების გამოშვება, რომლებიც წინათ საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან შემოგვქონდა და შეძლეს თავიანთი პროდუქცია მიეწოდებინათ სხვა ქვეყნებისათვის.

ამრიგად, საქართველოს მანქანათმშენებლობა მეორე და მესამე ხუთწლედში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად[1].

მანქანათმშენებლობის განვითარებამ საბჭოთა მეტალურგიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დააყენა ფეროშენადნობთა წარმოების საკუთარი ბაზის შექმნა.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი პროდუქცია და მესამე ხუთწლედში აითვისა ისეთი პროდუქციის გამოშვება, როგორიცაა სილიკომანგანუმი, სილიკოკალციუმი და სხვ. ქარხანაში ამუშავდა მოლიბდენის საამქრო, საცდელი საამქრო, რომელიც უშვებდა მეტალურ მანგანუმს, მეტალურ ქრომს, მცირე ნახშირბადიან ფერომანგანუმს. ქარხანამ 1938 წლის დავალება 83,5 პროცენტით შეასრულა[2].

1938 წლის 24 დეკემბერს ამუშავდა ინგურქაღალდკომბინატი. მისი საზეიმო გახსნა მოხდა 1939 წლის 21 იანვარს. კომბინატის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 12,5 ათას ტონა ხარისხოვან ქაღალდს შეადგენდა.

სატყეო მრეწველობის საწარმოებმა 1939 წელს გეგმა 108,3 პროცენტით შეასრულეს. პროდუქციის გამოშვება 1938 წელთან შედარებით 5,2 პროცენტით გაიზარდა.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1938 წლის გეგმა 23 დეკემბრისათვის შეასრულა 105,7 პროცენტით და გამოუშვა 230,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 218 მილიონი მანეთისა[3]. მნიშვნელოვნად გაზარდეს პროდუქციის გამოშვება ჩაის, ღვინის, თამბაქოს, ლუდისა და ლიმონათის, საშაქარლამო და თევზის მრეწველობის საწარმოებმა.

მესამე ხუთწლედის პირველი წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა. 1939 წელს წინა წელთან შედარებით პროდუქციის გამოშ-

---

[1] ა. კ ო ბ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი), გვ. 692 — 694.

[2] Архив Госплана Грузинской ССР, Опись отдела сводного народнохозяйственного плана, д. 56, л. 36.

[3] იქვე, ფურც. 6.

ვება გადიდდა 20,5 პროცენტით, ბევრმა საწარმომ არსებითად გარდაქმნა მუშაობა. მაგალითად, თუ აბრეშუმსაქსოვმა, მაუდისა და აბრეშუმსახვევ-ბა ფაბრიკებმა 1938 წლის საწარმოო გეგმა 91 პროცენტით შეასრულეს, 1939 წლისათვის გეგმის შესრულებას 105,2 პროცენტით მიაღწიეს.

ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვებაში დიდი როლი ეკუთვნოდა სარეწაო კოოპერაციას, რომელმაც 1938 წლის გეგმა მთელ სისტემაში 111,5, ხოლო 1939 წლის გეგმა 131,5 პროცენტით შეასრულა. 1939 წლის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 353,3 მილიონი მანეთის პროდუქცია[1].

ამრიგად, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებმა წარმატებები მოიპოვეს მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მრეწველობის პროდუქციის ოდენობა 1939 წელს 18,6 პროცენტით აღემატებოდა 1938 წლის დონეს, ხოლო სარეწაო კოოპერაციამ 1938 წლის დონესთან შედარებით წლიური გეგმა 39,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულა[2].

1924 — 25 წწ. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა შეადგენდა 13,2 პროცენტს. 1940 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის სამ მეოთხედზე მეტს სამრეწველო პროდუქცია წარმოადგენდა.

მსხვილი სოციალისტური მრეწველობის საერთო პროდუქცია 1938 წლისათვის, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1913 წელთან შედარებით 22-ჯერ. თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა მრეწველობამ 1939 წელსაც[3]. საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ახალი საწარმოები: შამპანური ღვინოების საკავშირო მნიშვნელობის კომბინატი, ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა და სხვ.

1939 წელს საქართველოს მრეწველობის მთელი პროდუქცია საბჭოთა წყობილების წლებში აშენებულ და რეკონსტრუირებულ საწარმოებზე მოდიოდა. ამასთან, აღნიშნული პროდუქციის 80,6 პროცენტს საბჭოთა წყობილების პერიოდში აშენებულ საწარმოებში ამზადებდნენ.

პარტიის XVIII ყრილობამ სერიოზული ამოცანები დასახა სარკინიგზო მშენებლობის გაშლის, არარაციონალური გადაზიდვების მაქსიმალურად შემცირებისა და მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანის გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზელებს სერიოზული მუშაობა უნდა ჩაეტარებინათ.

---

[1] Архив госплана Грузинской ССР, Опись отдела сводного народнохозяйственного плана, д. 56, л. 77.

[2] ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, № 1—2, გვ. 71—75.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 16 თებერვალი.

1940 წლის 28 ივლისს გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობის განხორციელებით საბჭოთა სამხრეთ ოსეთის განვითარების ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე იმავე წელს ასიგნებული 10 მილიონი მანეთი აითვისეს მხოლოდ 38 პროცენტით. მუშაობის გაშლის მიზნით 1940 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება, სადაც გათვალისწინებული იყო მშენებლობის მუშახელით, საჭაპანო ტრანსპორტით, ინსტრუმენტებითა და კადრებით უზრუნველყოფის საკითხები[1].

მესამე ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზამ არსებითი ხასიათის წარმატებებს მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა ვაგონების სადღეღამისო დატვირთვა, ტექნიკური და კომერციული სისწრაფე, შემცირდა ვაგონების მოცდენა.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რკინიგზის 88 მოწინავე მუშაკი დააჯილდოვეს ორდენებითა და მედლებით. ამიერკავკასიის რკინიგზას მიეკუთვნა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა.

სწრაფად ვითარდებოდა მესამე ხუთწლედში კავშირგაბმულობის საშუალებანი. თუ 1913 წელს საქართველოში კავშირგაბმულობის მხოლოდ 108 დაწესებულება არსებობდა, 1937 წელს მათი რიცხვი 507-მდე გაიზარდა[2]. ხოლო 1939 წლის დასასრულისათვის საქართველოში იყო კავშირგაბმულობის 650 განყოფილება. საქალაქო-სატელეფონო სადგური იყო 77, სარაიონო სატელეფონო სადგური — 265, რადიომაუწყებლობის კვანძი — 71, სატელეგრაფო აპარატი — 402, რადიოსადგური — 4 და სხვ.

ჯერ კიდევ მეორე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მზარდი სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადებას, მუშების კვალიფიკაციისა და მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას.

საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის კადრებზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ძირითად წყაროს წარმოადგენდა უმაღლესი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლები, რომელთა ქსელი ყოველწლიურად ფართოვდებოდა. 1940 წელს საქართველოში ითვლებოდა 21 უმაღლესი სასწავლებელი 28,5 ათასი სტუდენტით. 1940 — 41 სასწავლო

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 9, საქ. 11761, ფურც. 93—95.
[2] «Грузинская ССР за 20 лет», стр. 79.

წელს არსებობდა 192 ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებელი 26,1 ათასი მოსწავლით[1].

1928 — 1940 წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 29 295 სპეციალისტი. უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების საშუალო წლიური ზრდის ტემპი მესამე ხუთწლედის პერიოდში სამჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა პირველ ხუთწლედში კადრების გამოშვების ტემპებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1000 მომუშავეზე მოდიოდა უმაღლესი, საშუალო და არასრული საშუალო განათლების 163 კაცი, მათ შორის 1000 მუშაზე — 124, მოსამსახურეზე — 703, კოლმეურნეზე — 36[2].

ამრიგად, რესპუბლიკის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში ომამდელი ხუთწლედების მანძილზე მიღწეულ იქნა დიდი წარმატებები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ ყურადღება გაამახვილა მრეწველობის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებებზე. განსაკუთრებით აღნიშნა მუშახელის დიდი დენადობა, უმთავრესად მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, აგრეთვე მშენებლობაში. ამის მიზეზი იყო სუსტი ხელმძღვანელობა, შრომის დაბალი დისციპლინა, ზოგიერთ საწარმოსა და მშენებლობაზე შინაგანი რესურსების არასრულად გამოყენება, ეკონომიისათვის ბრძოლის შესუსტება, სტახანოვური, მრავალდაზგოსანთა მოძრაობისა და შრომის სხვა სოციალისტური ფორმების სუსტად გაშლა.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველოში ომამდელ ხუთწლედებში სამრეწველო მშენებლობის ტემპები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში.

მესამე ხუთწლედის სამნახევარი (1938 — 1941 წწ. ივნისი) წლის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას თითქმის იმდენივე თანხები შოხმარდა, რაც მთელ მეორე ხუთწლედში და მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულის 86 პროცენტს მიაღწია. ამავე წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდეს 2 717 მილიონი მანეთი (შესაბამისი ფასებით), რაც მეორე ხუთწლედის მთელ კაპიტალდაბანდებათა 93,4 პროცენტს შეადგენდა[3]. აღსანიშნავია, რომ კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით ერთი მე-

---

[1] «Советская Грузия к 50 летию Великой Октябрьской социалистической революции, Тб., 1967, стр. 218, 229.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 38.

[3] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 425, 428.

სამედი ახალ ინდუსტრიულ მშენებლობას მოხმარდა. კაპიტალდაბანდებამ მრეწველობაში მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში შეადგინა 793,8 მილიონი მანეთი, აქედან მარტო 1940 წელს — 306,9 მილიონი მანეთი[1].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამის სწრაფ განხორციელებაზე მიუთითებს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის ზრდა: 1927—28 წლებამდე ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით ფაქტიურ ღირებულებაში მან შეადგინა 136,6 მილიონი მანეთი, პირველ ხუთწლედში — 786,8, მეორე ხუთწლედში — 2581,7, ხოლო მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში — 2 343,0 მილიონი მანეთი, სულ 1921 — 1940 წლებში — 5 848,1 მილიონი მანეთი. აქედან მარტო მრეწველობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 3 122,5 მილიონი მანეთი[2].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაღალ ტემპებს მკაფიოდ ადასტურებდა სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური გამოშვების განუხრელი ზრდა: პირველ ხუთწლედში პროდუქციის საშუალო წლიურმა გამოშვებამ შეადგინა 246,5 მილიონი მანეთი, მეორე ხუთწლედში — 1 104 მილიონი მანეთი[3].

საქართველოს სსრ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მოსახლეობის ერთ სულზე (1926 — 1927 წწ. უცვლელი ფასებით) თუ 1933 წელს შეადგენდა 181,7 მანეთს, 1940 წელს აღწევდა 392,2 მანეთს, ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქცია შესაბამისად — 18 და 331,8 მანეთს[4].

უაღრესად შინაარსიანი და მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებით მდიდარი იყო ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი 1940 წელი. იგი იყო სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის არნახული აღმავლობის ხანა. ამ წელს მსხვილი მრეწველობის მიერ გამოშვებულმა საერთო პროდუქციამ (1926 — 1927 წლების უცვლელი ფასებით) შეადგინა 1 209,1 მილიონი მანეთი[5], საკავშირო რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქციამ — 516 464 ათასი მანეთი[6], სამრეწველო კოოპერაციისა და ინკოოპის საწარმოთა პროდუქციამ — 151,442 ათასი მანეთი[7], წვრილი მრეწველობის პროდუქციამ — 200,9 მილიონი მანეთი[8].

---

1 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 647, ფურც. 100.
2 იქვე, ფურც. 101.
3 ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, № 2, გვ. 13.
4 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წწ.", თბ., 1947, გვ. 289.
5 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14ა, ნაწ. 3, საქ. 647, ფურც. 21.
6 იქვე, ფურც. 24.
7 იქვე, ფურც. 25.
8 იქვე, ფურც. 26.

საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1940 წელს, 1913 წელთან შედარებით, გაიზარდა 10,2-ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი 2,5-ჯერ[1]. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ხუთწლედების მანძილზე მსხვილი მრეწველობა.

რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 1940 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 26,9-ჯერ გადიდდა[2].

1940 წელს სსრ კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 8,5-ჯერ[3], ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქცია დაახლოებით 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს[4]. მაშასადამე მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი საქართველოში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად სწრაფი იყო, ვიდრე საერთოდ სსრ კავშირში.

საქართველოს მაჩვენებლები სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებითაც მაღალი იყო. ასე მაგალითად, რსფსრ-მ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაადიდა 8,7-ჯერ, უკრაინის სსრ — 7,3, ბელორუსიის — 8,1, სომხეთის — 8,7, ტაჯიკეთის — 8,8, ყაზახეთის — 7,8, ყირგიზეთის — 9,9, თურქმენეთის — 6,7, აზერბაიჯანის — 5,9 და უზბეკეთის — 4,7-ჯერ[5].

წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1940 წელს შეადგენდა 40,4 პროცენტს[6], ლითონდამმუშავებელი ქარხნების პროდუქციის ფულადი გამოხატულება კი 151,5 მილიონ მანეთს[7]. ამდენად ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში 12,5 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს მრეწველობის სუსტ ადგილს ენერგომომარაგება წარმოადგენდა. მესამე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტროენერგეტიკული მეურნეობა მნიშვნელოვნად განვითარდა. ამ წლებში ექსპლოატაციაში შესული მსხვილი ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე (52 ათასი კვტ) სჭარბობდა ცალ-ცალკე აღებულ ზაჰესის (36,8 ათ. კვტ) და რიონჰესის (48,0 ათ. კვტ) სიმძლავრეს და 1913 წელს

---

[1] «Страна Советов за 50 лет», (ст. сб.) М., 1967, стр. 318.

[2] „კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ", თბ., 1946, გვ. 4; ჟურნ. „ბოლშევიკი", 1941, № 2, გვ. 112.

[3] «Народное хозяйство СССР», (стат. сб.), М., 1956, стр. 45.

[4] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წწ.", გვ. 20.

[5] «СССР в цифрах в 1967 (Краткий стат. сб.), М., 1968, стр. 54.

[6] „საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), გვ. 397.

[7] „კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 — 1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ", გვ. 4.

საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეზე 6,5-ჯერ მეტი იყო[1]. ელექტროენერგიის გამომუშავების 1940 წლის გეგმა 11 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა და გამომუშავებულ იქნა 742 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია[2]. მაგრამ რესპუბლიკა მაინც ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ 1940 წლის ბოლოს 180,6 ათას კვტ-ს მიაღწია. შეიძლება ითქვას ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენებული ელექტროსადგურები 37,5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლეოდნენ, ვიდრე 1913 წელს არსებული სიმძლავრეები.

საქართველოს მრეწველობის ბევრ დარგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ასეთი იყო, მაგალითად, მანგანუმის მრეწველობა, რომლის მუშაობაზედაც ბევრად იყო დამოკიდებული შავი მეტალურგიის საწარმოთა მიერ დავალების შესრულება. ფეროშენადნობის ქარხანა საჭირო ნედლეულს აწვდიდა მანქანათმშენებლობას, თავდაცვით მრეწველობას და სხვ. 1940 წელს მოპოვებულ იქნა 1 448,7 ათასი ტონა მანგანუმის მადანი. ჭიათურის მაღაროელები მაღალხარისხოვანი მადნით ამარაგებდნენ სსრ კავშირის მეტალურგიულ ქარხნებს.

1940 წელს მანგანუმის სასაქონლო პროდუქციის გამოსავალი 1939 წელთან შედარებით გადიდდა, მაგრამ მანგანუმის მადნის მოპოვების წლიური გეგმა არ შესრულებულა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საკმაოდ არ იყენებდნენ მექანიზმებს და მოწყობილობას, დაბალი იყო შრომისნაყოფიერება და არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ბრძოლა მადნის დანაკარგების აღმოფხვრისათვის.

ქვანახშირი ამოიღეს 625 ათასი ტონა. ტყიბული იძლეოდა საქართველოში ამოღებული მთელი ქვანახშირის 61,7 პროცენტს, ტყვარჩელი— 38,3 პროცენტს. ტყიბულის ქვანახშირის აუზში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მექანიზაცია. 1937 წელს ხელით ამოღების ხვედრითი წონა 20,7 პროცენტს უდრიდა, 1940 წლისათვის ამოღება მთლიანად მექანიზებული იყო.

ყოველწლიურად იზრდებოდა ქვანახშირის მრეწველობაში ჩაბმული სამრეწველო პერსონალის, კერძოდ, მუშების რაოდენობა. ტყიბულის შახტებში დასაქმებული მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა რაოდენობა 1940 წელს, 1937 წელთან შედარებით, გადიდდა თითქმის 21 პროცენტით. მათ შორის მიწისქვეშ მომუშავე მუშებისა — 28,6 პროცენტით, სან-

---

[1] Н. М. Ткешелашвили, Очерки развития промышленности Советской Грузии, стр. 323.

[2] «Достижения Советской власти за 40 лет в цифрах», М., 1957, стр. 127—128.

გრებში მომუშავე მუშებისა — 26,6 პროცენტით. ანალოგიურ ვითარებას ადგილი ჰქონდა ტყვარჩელის შახტებშიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახკომსაბჭომ 1941 წლის 3 ივნისს განიხილეს საკითხი „საქ. სს რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შესახებ", აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 12 ნოემბრის დადგენილებისა და ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის 1940 წლის 21 ნოემბრის ბრძანების შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ახალი შახტების მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დასახეს რიგი ღონისძიება რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის[1].

1938 — 1940 წლების მანძილზე ნავთობის ამოღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1940 წელს მოპოვებულ იქნა 41,2 ათასი ტონა ნავთობი. ჭაბურღილების რემონტის გეგმა შესრულდა 128 პროცენტით. საექსპლოატაციო ბურღვის სისწრაფე გეგმის გადამეტებით გაიზარდა 18,3 პროცენტით, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმა შესრულდა 116,2 პროცენტით. ექსპლოატაციაში შევიდა შირაქ-მირზაანის ნავთსადენი და მირზაანის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ამუშავებდა ბაქოს ნავთობს ექსპორტისა და შიდა მომსახურებისათვის. მარტო 1940 წელს ნავთობის მრეწველობაში დააბანდეს 47 790 ათასი მანეთი[2].

ასრულებდა რა პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს ადგილობრივმა მრეწველობამ მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. 1940 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,3 პროცენტით შესრულდა 28 დეკემბრისათვის. მათ შორის რესპუბლიკურ საწარმოთა მიერ 101,3 პროცენტით, 1939 წელთან შედარებით ზრდა შეადგენდა 20,1 პროცენტს.

წარმატებები იყო მოპოვებული ფართო მოხმარების საგნების გამოშვების საქმეშიც. გამოშვებულ იქნა 14,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 1938 წლის 8837 ათასი მანეთისა. აითვისეს 25 ახალი სახის პროდუქციის წარმოება[3].

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР, (1926—1941 гг.)», стр. 801—805.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 22 მარტი.

[3] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг.)», стр. 799, 800.

მთელმა რიგმა ქარხნებმა და სამრეწველო საწარმოებმა 1940 წლის გეგმის შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, თბილისის გ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა 5 500 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და სტახანოვური მოძრაობის გაფართოების საფუძველზე 1 დეკემბრისათვის გეგმა 100,5 პროცენტით შესრულდა, წლის ბოლოსათვის კი 113 პროცენტით. ქარხანაში 153 სტახანოველი, 17 დამკვრელი და 12 მრავალდაზგოსანი იყო[1].

მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შრომითი აქტივობის შედეგად რესპუბლიკის მანქანათმშენებლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს 1941 წლის პირველი ნახევრის გეგმების შესრულებაშიც. ზოგიერთმა საწარმომ წლიური დავალების 80 პროცენტი ხუთ თვეში შეასრულა. ამის შედეგად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობამ ნახევარი წლის გეგმა გაანაღდა 104,9 პროცენტით და სახალხო მეურნეობას მისცა, 16,8 მილიონი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის განვითარებაში. ბარიტის საბადოების (ქუთაისის რაიონი) ბაზაზე 1939 წელს ამუშავდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელიც უშვებდა თეთრ საღებავს — ლითოფონს, რასაც ფართოდ იყენებდნენ გემთმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოში არსებული მინერალურ-ლითონური ნედლეულის საბადოები. მოეწყო მთელი რიგი სამთო საწარმოები, რომლებიც თავისი პროდუქციით ამარაგებდნენ საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობის დარგებს. მაგალითად, ბარიტის წარმოება, დამუშავება ანდეზიტისა, ამოღება ლითოგრაფიული ქვისა და ა. შ.

კვების მრეწველობის მშენებლობასა და მისთვის სანედლეულო ბაზის შექმნაში სამი ხუთწლედის მანძილზე დაბანდდა 381 მილიონი მანეთი.

1940 წელს საქართველოს კვების მრეწველობამ გამოუშვა (1926—1927 წლების უცვლელი ფასებით) 360 მილიონი მანეთის პროდუქცია. ეს 14,6-ჯერ აღემატებოდა 1927 — 28 წლების მონაცემებს[2].

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის პროდუქციის გამოშვება. ააგეს და აამუშავეს ჩაის 35 ფაბრიკა, რომლებმაც 1940 წელს გამოუშვეს 10 961 ტონა ბაიხაო ჩაი[3]. ამ სახის ჩაის წარმოება 1913 წელთან შედარებით 43-ჯერ გაიზარდა. აგურა ჩაის წარმოებისათვის ქ. ზუგდიდში მთავრდებოდა ჩაის საწნეხი ფაბრიკის მშენებლობა. ჩაის წარმო-

---

[1] «История индустриализации Грузинской ССР (1926—1941 гг)», стр. 757, 762.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 25 თებერვალი.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, საქ. 647, ფურც. 28 — 29.

ების ნარჩენების ბაზაზე ბათუმში მოეწყო საკავშირო მნიშვნელობის კოფეინის პირველი ქარხანა. თბილისში აშენდა ჩაის გადამწონი ფაბრიკა.

დიდი მუშაობა ჩატარდა მეღვინეობის სანედლეულო ბაზის გასაფართოებლად და ოდითგანვე განთქმული ქართული ღვინოების სამრეწველო დამუშავების ორგანიზაციისათვის. თბილისის შამპანკომბინატი, რომლის პირველი რიგი 1939 წელს ამუშავდა, უშვებდა 4,0 მილიონ ბოთლ შამპანურს.

ხილისა და ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის გადასამუშავებლად აიგო მთელი რიგი საკონსერვო ქარხნები გორში, ქუთაისში, ბათუმში და სხვაგან, რომლებმაც 1940 წელს გამოუშვეს 29,1 მილიონი პირობითი ქილა სხვადასხვა კონსერვი.

საქართველოს სსრ თამბაქოს ფაბრიკებმა 1940 წელს გამოუშვეს 4 632,9 მილიონი ცალი პაპიროსი. ააგეს მთელი რიგი საფერმენტაციო ქარხნები ხარისხოვანი თამბაქოს გადასამუშავებლად.

სამრეწველო საფუძველზე დაიწყო პურის ცხობა. თბილისში ააგეს პურის ორი მექანიზებული ქარხანა. ამასთან, მთელ რიგ რაიონულ ცენტრებში მოეწყო მექანიზებული პურსაცხობები. თბილისში მოქმედებდა მექანიზებული წისქვილ-კომბინატი მძლავრი ელევატორით.

ხორცისა და რძის მრეწველობის დარგში ჩატარდა მნიშვნელოვანი მუშაობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად. პროდუქციის გამოშვებამ 1940 წელს მიაღწია 23,3 მილიონ მანეთს.

საქართველოში სწრაფად ვითარდებოდა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა. ახლად შეიქმნა მთელი რიგი ტექნიკურად შეიარაღებული დარგები.

რესპუბლიკის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა მარტო 1940 წელს გამოუშვეს 465 მილიონამდე მანეთის პროდუქცია, ანუ 18-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს.

კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მოცულობა მოითხოვდა სამშენებლო მასალათა სათანადო ბაზის შექმნას. ააგეს კასპის ცემენტის ქარხანა. 1940 წელს ამუშავდა მშრალი წნეხვის ახალი მექანიზებული ქარხანა 14,0 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრისა.

სარეწაო კოოპერაცია, რომელიც სამრეწველო წარმოების სხვადასხვა დარგს მოიცავდა, ვითარდებოდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოების ხაზით. ხუთწლედების განმავლობაში შექმნილმა საწარმოებმა 1940 წელს გამოუშვეს 291,0 მლნ მანეთის სხვადასხვა ნაწარმი (1932 წლის ფასებით), ძირითადად ფართო მოხმარების საქონელი.

1940 წელს რესპუბლიკის მრეწველობის მუშათა საერთო რაოდენობაში, ხვედრითი წონის მხრივ, პირველი ადგილი ეჭირა კვების მრეწ-

ველობას, რომლის მუშები შეადგენდა 20.0 პროცენტს, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის მუშათა კონტინგენტი — 16 პროცენტს[1].

1940 წელს საქართველოს რკინიგზების საექსპლოატაციო სიგრძემ უკვე 1 133 კილომეტრს მიაღწია, ნაცვლად 1913 წლის 723 კილომეტრისა. მათ შორის ელექტრიფიცირებული იყო 275 კმ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის შესაბამისად გაიზარდა გადაზიდვები, შეიცვალა მათი სტრუქტურა. 1940 წელს გაიგზავნა 5 240 ათასი ტონა ტვირთი, მიღებულ იქნა 8 191 ათასი ტონა[2]. გადაზიდვათა საერთო მოცულობამ (ტვირთის გაგზავნა და მიღება) 13,4 მილიონ ტონას მიაღწია.

თვალსაჩინოდ განვითარდა საავტომობილო ტრანსპორტიც. 1940 წლის ბოლოსათვის საავტომობილო გზების სიგრძე ახალი მშენებლობის შედეგად უკვე აღწევდა 13,6 ათას კილომეტრს (მკვრივი საფარით — 8,1 ათასი კილომეტრი), ნაცვლად 1938 წლის 10,7 ათასი კილომეტრისა. გაუმჯობესდა საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა. ტრანსპორტის განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სისტემატურ ზრუნვაზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ 1928 — 1940 წლებში საქართველოს სსრ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 483,8 ათასიდან 7 500 ათას ტონა-კილომეტრამდე გაიზარდა, ხოლო მგზავრების გადაყვანა 13 889 ათასიდან 118 000 ათას მგზავრ-კილომეტრამდე[3]. 1940 წელს საავტომობილო ტრანსპორტმა გადაზიდა 371,7 ათასი ტონა ტვირთი და გადაიყვანა 17 მილიონი მგზავრი[4].

სწრაფად ვითარდებოდა კავშირგაბმულობაც. 1940 წელს საქართველოში უკვე ითვლებოდა 663 ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის დაწესებულება, მათ შორის — 519 სოფლად, რომელთა მიერ გაიგზავნა 165,7 მილიონი სხვადასხვა ამანათი. რესპუბლიკაში მუშაობდა 24,2 ათასი ტელეფონის აპარატი, მათ შორის სოფლის ადგილებში 2,2 ათასი. ტელეფონიზაცია სოფლის საბჭოებში უდრიდა 79,9 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობებში — 90,8 პროცენტს და კოლმეურნეობებში — 9,5 პროცენტს. მშრომელებს მომსახურებას უწევდა 67 ათასი რადიომიმღები წერტი, მათ შორის 13 ათასი სოფლად. აგრეთვე 55 ათასი სატრანსლაციო რადიოწერტი[5].

1940 წლის 12 სექტემბერს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და

---

1 «Советская Грузия по ленинскому пути», (ст. сб.), Тб., 1970, стр. 107.
2 «Советская Грузия за 40 лет», (ст. сб.), Тб., 1961, стр. 61.
3 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1971, № 4, გვ. 65.
4 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1921—1967 წწ.", გვ. 443.
5 «Советская Грузия по Ленинскому пути», стр. 111, 112.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ“. 14 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სახკომსაბჭომ იმსჯელა ამის შესახებ. მშენებლობის ადგილად შეარჩიეს კავთისჭალის (ახლანდელი რუსთავის) ტერიტორია[1].

პარტიის XVIII სრულიად საკავშირო კონფერენციამ (1941 წ. თებერვალი) აღნიშნა მრეწველობასა და ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და პარტორგანიზაციების წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა განუხრელი განხორციელება უზრუნველყოფდა ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის ახალ, მძლავრ აღმავლობას. იმისათვის, რომ ეკონომიკის განვითარებაში სსრ კავშირი დაწეოდა და გაესწრო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, აუცილებელი იყო წარმოების კულტურის ყოველმხრივი ამაღლება და მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა.

კონფერენციამ დაავალა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ 1941 წელს არც ერთ ოლქში, ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში არ უნდა დარჩენილიყო ჩამორჩენილი საწარმო, რომ გეგმა უნდა შეესრულებინა უკლებლივ ყველა ქარხანას, ფაბრიკას, შახტსა და რკინიგზას.

კონფერენციამ დაგმო გეგმების შესრულებაში იერიშობანა, რაც იწვევდა გრაფიკის დარღვევას. საწარმოებს გეგმები უნდა შეესრულებინათ ყოველთვიურად, კვარტალურად, წლიურად, თანაბრად, გეგმის მიხედვით, წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მტკიცედ დაცვით, ამასთან გეგმის შესრულებაში აუცილებელი იყო არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები, არამედ ხარისხობრივიც[2].

საჭირო იყო პარტიულ ორგანიზაციებს ყურადღება გაემახვილებინათ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საქართველოს საწარმოებშიც. მაგალითად, ს. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ჩარხი, რომელიც 1940 წელს გამოუშვეს, მხოლოდ 1941 წლის იანვრის მიწურულს აიწყო. ხშირი იყო შემთხვევა, როცა დაზგის ნაწილები მზადდებოდა, დაზგა აიწყობოდა, ხოლო მისი ტექნოლოგია და ნახაზები შემდეგ ზუსტდებოდა. ისეც ხდებოდა, რომ ტექნოლოგია, რაც დოკუმენტებში იყო ჩაწერილი, არ ეთანხმებოდა იმას, რაც ფაქტიურად სამუშაო ადგილზე ტარდებოდა. ამის შედეგი იყო წუნდე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 8, საქ. 10657, ფურც. 81—85.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1941 წლის 5 მარტი.

ბული პროდუქციის გამოშვება. წენით გაპოწვეული ზარალი ქარხანაში 1940 წელს 128 ათას მანეთს უდრიდა[1]. ასეთივე შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თბილისის თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანა „ცენტროლიტში". ეს ქარხნები ვერ უზრუნველყოფდნენ სათანადო წარმოებებს თუჯისა და ფოლადის სხმულით. ქარხნებს სათბობისა და ელექტროენერგიის გადახარჯვებიც ჰქონდათ.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ[2], რომელიც მიეძღვნა კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხილვას, აღნიშნა, რომ ნაკლოვანებანი მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობაში, რომლებიც ხაზგასმით ითქვა XVIII სრულიად საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, მთლიანად შეეხებოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო კომისარიატების მუშაობასაც. მრავალ საწარმოში ცუდად იყო დაყენებული აღრიცხვა, ირღვეოდა ტექნოლოგიური დისციპლინა, ადგილი ჰქონდა პროდუქციის არათანაბარ გამოშვებას, იერიშობანას.

სოხუმის პარტიული აქტივის კრებამ დაადასტურა, რომ ის ნაკლოვანებანი, რაზედაც მიუთითებდა საკ. კპ (ბ) XVIII კონფერენცია, ახასიათებდა აფხაზეთის საწარმოთა მუშაობასაც. მრეწველობის რიგმა დარგებმა: ქვანახშირის, თევზის მრეწველობამ და ტყავფეხსაცმლის საწარმოებმა 1940 წლის გეგმები ვერ შეასრულეს. სოხუმის სარეწაო არტელ „კიმში" საოცრად იყო გაბერილი შტატები. არტელში 11 კაცი მუშაობდა, ხოლო გამგეობაში ითვლებოდა 24 მოსამსახურე, ე. ი. აპარატი ერთიორად აჭარბებდა მუშათა რაოდენობას[3].

ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის XVIII პარტიულმა კონფერენციამ მთელი პარტიის დიდმნიშვნელოვან საქმედ გამოაცხადა. ამ საქმეში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებითა და ნუდმივი კონტროლით[4].

პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა გააჩაღეს საქართველოს სარაიონო, საქალაქო და საოლქო რკინიგზის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

XVIII პარტიულმა კონფერენციამ სერიოზული ამოცანები დასახა შრომისნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში და ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ მიმართულებით ბრძოლა საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებე-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 6 მარტი.
[2] Газ. «Заря Востока», 15 марта 1941 г.
[3] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 19 მარტი.
[4] Газ. «Правда», 24 марта 1941 г.

ლი ამოცანა იყო. ნედლეულის, სათბობის, ინსტრუმენტის, ელექტროენერგიის უყაირათოდ ხარჯვა-გამოყენება მნიშვნელოვნად ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას. ამ მხრივ ბევრი ნაკლი ჰქონდა საქართველოს სამრეწველო საწარმოებს. მაგალითად, საქენერგოს მონაცემებით 1940 წელს მარტო მსხვილ საწარმოებში 5,5 მლნ კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯეს.

პარტიის თბილისის კომიტეტის 1941 წლის აპრილის პლენუმმა განიხილა ქალაქის მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი ქარხნების მუშაობის შედეგები, აღნიშნა, რომ პარტიის XVIII კონფერენციის შემდეგ მუშაობა საგრძნობლად სწორდება. ამასთან პლენუმმა მიუთითა ზოგიერთ საწარმოში ტექნიკური მოწყობილობის, მასალისა და ელექტროენერგიის არარაციონალურად გამოყენების ფაქტებზე და დასახა მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ნაკლოვანებების მიუხედავად 1938 — 1940 წლებსა და 1941 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ მკვეთრად გამოსახული ინდუსტრიული ხასიათი მიიღო. ეს იყო უდიდესი თვისებრივი ნახტომი, რომლის შედეგადაც საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა[1].

კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ომამდელ ხუთწლედებში აფხაზეთის მშრომელებმა მოიპოვეს უდიდესი წარმატება სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. 1921 — 1940 წლებში სამრეწველო წარმოება აფხაზეთში გადიდდა 360-ჯერ[2]. აშენდა ახალი შახტები, ელსადგურები, თამბაქოს ფაბრიკა, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, ნავსადგურთა მოწყობილობის ქარხანა, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის რიგი საწარმოები.

აფხაზეთის მრეწველობის განვითარების ტემპი გაცილებით უფრო ინტენსიური იყო საქართველოს საერთო ინდუსტრიული წარმოების განვითარების ტემპთან შედარებით. ამის შედეგად საბჭოთა აფხაზეთის მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკაში 1928 — 29 წელს დაახლოებით 0,9 პროცენტს უდრიდა, 1940 წელს უკვე 5,5 პროცენტს შეადგენდა. ამავე წელს საბჭოთა აფხაზეთის მთელი მრეწველობა საქარ-

---

[1] ა. კოჭლავაშვილი, საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა, გვ. 19.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 4 მარტი.

თველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის 6,4 პროცენტს იძლეოდა[1].

სახელმწიფო მრეწველობამ (საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოთა ჩათვლით) საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1940 წელს შეასრულა 92,8 პროცენტით, ანუ გამოუშვა 66,5 მილიონი მანეთის პროდუქცია (1926—27 წწ. უცვლელი ფასებით). სარეწაო კოოპერაციამ კი საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა (1932 წლის ფასებით), სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საწარმოთა ჩათვლით, შეასრულა 93,4 პროცენტით, რაც შეადგენდა — 25 მილიონ მანეთს[2]. სახელმწიფო მრეწველობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მრეწველობაში 1939 წელთან შედარებით 1940 წელს ზრდა შეადგენდა 2.2 პროცენტს, ხოლო სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციის სამრეწველო საწარმოებში ადგილი ჰქონდა შემცირებას 12,7 პროცენტით[3].

საბჭოთა აჭარაში 1938 წლის 1 იანვრისათვის მუშაობდა 38 სამრეწველო საწარმო და სარეწაო კოოპერაციის 58 არტელი. 1938—1939 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა სსრ კავშირში პირველი ციტრუსების კომბინატი, ტუნგოს ქარხანა, ძირითადად დამთავრდა აწჰესის მშენებლობა. მთავრდებოდა ლუდის ქარხნის მშენებლობა. ადგილობრივი მრეწველობის ხაზით ექსპლოატაციაში შევიდა ყინულის ქარხანა, ურეხისა და ოჩხამურის კრამიტის ქარხნები, დაიწყო სპილენძის მადნის მოპოვება[4], გაფართოვდა ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მწარმოებლურობა. ეს საწარმო 1932 წელს გამოიმუშავებდა 94 მილიონამდე მანეთის პროდუქციას, რაც შეადგენდა საქართველოს მთელი სამრეწველო პროდუქციის 18,6 პროცენტს[5].

1940 წელს აჭარის მრეწველობამ გამოუშვა პროდუქცია, რომლის ღირებულება თითქმის 135-ჯერ ჭარბობდა 1921 წლის მაჩვენებლებს. ამ პერიოდისათვის აჭარაში უკვე იყო 50 კარგად მოწყობილი საწარმო, რომელთა უმეტესობა ხუთწლედების პერიოდში შეიქმნა. ამ ქარხნებმა აითვისეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მოწყობილობის წარმოება. მაგალითად, ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა აითვისეს ჩაისა და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მანქანებისა და სხვა მოწყობილობის წარმოება.

1940 წელს აჭარის მრეწველობაში (კოოპერატიულ-საზოგადოებ-

---

1 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.“, გვ. 243.

2 გაზ. „კომუნისტი“, 1941 წლის 4 მარტი.

3 პარტიული არქივი (სოხუმი), ფ. 2, აღწ. 2, საქ. 415, ფურც. 324—327.

4 პარტიული არქივი (ბათუმი), ფ. 1, აღწ. 4, საქ. 1, ფურც. 18—19.

5 Г. Н. Джиджейшвили, К истории социалистического строительства Аджария 1921-1937 гг. (Автореферат к. д.), Тб., 1966, стр. 12.

რივ ორგანიზაციათა საწარმოების გამოკლებით) მუშაობდა 6000 მუშა. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 234 მილიონ მანეთს[1].

საბჭოთა წყობილების გამარჯვებამდე სამხრეთ ოსეთი საქართველოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხეს წარმოადგენდა. აქ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო მსხვილი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა. 1940 წელს ექსპლოატაციაში შევიდა, სსრ კავშირში პირველი, წნელისის ტალკის დამმუშავებელი ქარხანა. აღმოაჩინეს ტყვიისა და თუთიის მდიდარი საბადოები და დაიწყო სამუშაოები მათი სამრეწველო დამუშავებისათვის.

1940 წელს სოციალისტური სექტორი უკვე მოიცავდა საქართველოს მთელ მრეწველობას, რომელიც 14,6 ათასამდე საწარმოს შეადგენდა. რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 803 ლითონსაჭრელი დაზგა, 119 ათასი ტონა ცემენტი, 7,6 მილიონი მეტრი ქსოვილი, 3,9 მილიონი ცალ ტრიკოტაჟის ნაწარმი, 8,7 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 13,1 ათასი ტონა შაქარი, 11,5 ათასი ტონა ხორცი, 29,1 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 1,7 მილიონი დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 1,7 მილიონი ბოთლი შამპანური ღვინო, 11,1 ათასი ტონა პირველადი გადამუშავების ბაიხაო ჩაი და ბევრი სხვა პროდუქცია[2].

შრომისნაყოფიერება რესპუბლიკის მსხვილ მრეწველობაში ომამდელი ხუთწლედების მანძილზე 3,6-ჯერ გადიდდა. ეს მიღწეული იყო სამუშაო დღის მნიშვნელოვნად შემცირების პირობებში. 1913 წელთან შედარებით შრომისნაყოფიერება გადიდდა ხუთჯერ[3].

სამრეწველო პროდუქციის უმთავრესი სახეების წარმოებამ ნატურალური გამოხატულებით ერთ სულ მოსახლეზე 1940 წელს შეადგინა: ქვანახშირი 171 კგ, ელექტროენერგია — 203 კვტსაათი, ცემენტი 32 კგ, ბამბის ქსოვილი (მზა) 0,1, შალის ქსოვილი 0,5 და აბრეშუმის ქსოვილი 1,4 მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი 2,4 წყვილი, საკონდიტრო ნაწარმი 2,6 კგ, კონსერვი 8 პირობითი ქილა, ყურძნის ღვინო 0,4 დეკალიტრი, მინერალური წყლები 6,6 ლიტრი, პირველადი გადამუშავების ბაიხაო ჩაი 3,0 კგ, პაპიროსი და სიგარა 1,2 ათასი ცალი[4].

მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპების მიუხედავად, საბჭოთა საქართველოს 1941 წლის სამრეწველო პროდუქცია მეტი შემოჰქონდა, ვიდრე გაჰქონდა. გატანილი და შემოტანილი პროდუქციის შედარების მაჩვენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის მონაცემებით შეადგენდა: მძიმე მრეწველობის პროდუქციის გატანა 13,6

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 18 მარტი.

[2] «Достижения Советской власти за 40 лет в цифрах», стр. 127—128.

[3] «Советская Грузия за 20 лет (ст. сб.), Тб., 1941, стр. 33.

[4] «Советская Грузия по Ленинскому пути» (ст. сб.), стр. 51.

პროც., შემოტანა — 29,7, შესაბამისად ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობაში 2,1 და 7,5, მსუბუქ მრეწველობაში — 30,7 და 38,7, კვების მრეწველობაში — 53,6 და 24,1 პროცენტს[1].

1940 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის 84 პროცენტი სახელმწიფო მრეწველობაზე მოდიოდა, ხოლო 16 პროცენტი — კოოპერაციულ მრეწველობაზე[2].

მრეწველობის საერთო პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა ასეთი იყო: ელექტროენერგეტიკას ეჭირა 1,1, სათბობ მრეწველობას — 4,1, შავ მეტალურგიას — 2,4, ქიმიურსა და ნავთობქიმიურს — 0,6, მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას — 5,9, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელ და ქაღალდის მრეწველობას — 6,1, საშენი მასალების — 1,7, მსუბუქ მრეწველობას — 22,9, კვების — 52,1 და დანარჩენ სხვა დარგებს — 3,1 პროცენტი[3].

საერთოდ მესამე ხუთწლედში ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ ინდუსტრიულ განვითარებაში დიდი წარმატება მოიპოვა.

ახორციელებდა რა ვ. ი. ლენინის მითითებას ჩამორჩენილ რესპუბლიკათა ეკონომიკის მოწინავე სამრეწველო რაიონების დონემდე აყვანის აუცილებლობისა და პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებას საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგების შესახებ, საბჭოთა მთავრობამ 1938 — 1940 წლებში დიდი თანხები დახარჯა შუა აზიის, ბელორუსიის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების სამრეწველო განვითარებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის წლებში გაიზარდა შრომისნაყოფიერება, რომელიც ვ. ი. ლენინის სიტყვებით „ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წარმოების გასამარჯვებლად“[4]. ბელადის ამ მითითებამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა იმ პერიოდში, როდესაც დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა და დაიწყო მისი შემდგომი განვითარება.

შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების დენადობის შემცირება უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულა იმან, რომ 1938 წლის 20 დეკემბრიდან შემოღებულ იქნა ერთიანი „შრომის წიგნაკები“[5].

---

[1] ი. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, საქართველოს სამეურნეო თანამშრომლობა სხვა რესპუბლიკებთან (ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1961, № 5, გვ. 49).

[2] Советская Грузия по ленинскому пути» (ст. сб.), стр. 45.

[3] იქვე, გვ. 46 — 47.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 499.

[5] «Директивы КПСС и Советского правительства по хозяйственным вопросам», т. 3, М., 1958, стр. 544. ამ დრომდე საწარმოთა მუშაკების აღრიცხვა წარმოებდა შრომითი სიების საფუძველზე.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მუშა-მოსამსახურეთა დენადობის შემცირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას: „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“[1]. ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა სოციალიზმის მშენებლობის შემდგომ წარმატებათა მოპოვებაში და იგი სავსებით შეესაბამებოდა მშრომელთა მოთხოვნებს, მათ ინტერესებს.

პარტია ფართოდ იყენებდა მორალური წახალისების საშუალებებსაც. 1938 წელს მრეწველობის მთელ რიგ დარგებში დაწესდა „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშანი. მორალური წახალისების ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოციალისტური შრომის გმირის წოდების შემოღება[2]. იგი დააწესეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 27 დეკემბრის ბრძანებულებით.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების შემოღებასთან ერთად დაწესდა მედლები: „შრომითი წარჩინებისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“.

მესამე ხუთწლედის პერიოდში მრეწველობისა და ტრანსპორტის წამყვან დარგებში შრომის ორგანიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის მიიღეს და გაატარეს კიდევ მრავალი სხვა ღონისძიება.

1938 წლის ნოემბერში სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით შემოიღეს ქვანახშირის შახტებში საგანაწესო სისტემა, რაც უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილის მომზადებასა და მიღება-ჩაბარების სწორ ორგანიზაციას, ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებას.

საგანაწესო სისტემის შემოღება მიმდინარეობდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა აქტიური მონაწილეობით. მათთან ერთად განხილული იყო ის ღონისძიებანი, რომლებიც საგანაწესო სისტემის საფუძველზე უზრუნველყოფდნენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და ქვანახშირის მოპოვების ამაღლებას. ამასთან, დაამტკიცეს ინსტრუქცია შახტებში საგანაწესო სისტემის ორგანიზაციისა და ცვლის დაწესებისას სამუშაოთა მდგომარეობის გამორკვევის წესის შესახებ[3].

---

[1] Газ. «Правда», 29 декабря 1938 г.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 29 დეკემბერი.

[3] იქვე, 26 ნოემბერი.

1940 წლის მაისში საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ", რომლის მიხედვით, ოსტატი არის წარმოების მეთაური, იგი უშუალოდ აწყობს საწარმოო პროცესს და ხელმძღვანელობს მას. ოსტატი ეკუთვნის იმ პატარა და საშუალო ხელმძღვანელთა რიცხვს, რომლებზედაც ი. ბ. სტალინი ამბობდა მეტალურგებისა და მაღაროელების მიღებაზე კრემლში, 1937 წ. ოქტომბერში: „ისინი, ეს პატარა და საშუალო ხელმძღვანელები, ჩვენ ათიათასობით გვყავს, ისინი თავმდაბალი ადამიანები არიან. ისინი არ მიძვრებიან წინ. ისინი თითქმის შეუმჩნეველნი არიან. მაგრამ სიბრმავე იქნებოდა ვერ შეგვემჩნია ისინი, ვინაიდან ამ ადამიანებზეა დამოკიდებული წარმოების ბედი მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაშასადამე, მათზეა დამოკიდებული ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელობის ბედიც"[1].

ოსტატის გადაქცევა თავის უბანზე სრულუფლებიან სამეურნეო ხელმძღვანელად გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა. დაგმობილ იქნა ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელის მხრივ ოსტატის როლის შეუფასებლობა. „სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები, — ნათქვამია ზემოაღნიშნულ დადგენილებაში, — მოითხოვენ წარმოებაში ოსტატის როლის გადაჭრით განმტკიცებას. ოსტატს უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო უფლება იმისათვის, რათა წარმატებით განახორციელოს თავისი მოვალეობანი, როგორც წარმოების უშუალო ორგანიზატორმა"[2].

დადგენილებით ოსტატი ხდებოდა სრულუფლებიანი ხელმძღვანელი წარმოების იმ უბანზე, რომელიც მას ებარა და პასუხს აგებდა დავალების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ამასთან, ოსტატი ღებულობდა არა მარტო დიდ უფლებებს, არამედ სათანადო ანაზღაურებასაც თავისი შრომისათვის. მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნების ოსტატთა ხელფასი გადიდებულ იქნა და კვალიფიციური მუშის საშუალო ხელფასზე უფრო მაღალი იყო. გარდა ამისა, ოსტატი კარგი მუშაობისათვის, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხელფასის ფონდის ეკონომიისათვის ღებულობდა პრემიას[3].

საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებმა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მუშათა კადრების დენადობის შემცირებისათვის გარკვეული შედეგები მოგვცა, მაგრამ მუშათა დენადობა კვლავ დიდი იყო. შექმნილი რთული საერთაშორისო ვითარება, ჩვენ ქვეყანაზე იმპერიალის-

---

[1] Газ. «Правда», 31 октября 1937 г.

[2] იქვე, 1940 წლის 28 მაისი.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 27 ივნისი.

ტური ქვეყნების თავდასხმის საფრთხის გაძლიერება მოითხოვდა ამ მიმართულებით კიდევ დამატებით ღონისძიებათა გატარებას.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარდგინების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებას რვასაათიან სამუშაო დღეზე გადასვლისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ[1]. ამ დადგენილებით სამუშაო დღის ხანგრძლივობა ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოსა და დაწესებულებაში გადიდდა ერთი საათით. დაშვებული იყო გამონაკლისი იმ მუშებისათვის, რომლებსაც ჯანმრთელობისათვის მავნე, მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

აიკრძალა მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, აგრეთვე თვითნებურად გადასვლა ერთი საწარმოდან მეორეში ან ერთი დაწესებულებიდან მეორეში.

საწარმოს დირექტორს და დაწესებულების უფროსს უფლება ჰქონდა და მოვალე იყო ნება დაერთო მუშისა და მოსამსახურისათვის წასულიყო საწარმოდან ან დაწესებულებიდან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვითნებურად წავიდოდნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებიდან ან დაწესებულებებიდან, სამართალში იქნებოდნენ მიცემულნი. საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაოს გაცდენისათვის, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები სამართალში მიეცემოდნენ და სახალხო სასამართლოს განაჩენით ისჯებოდნენ იძულებითი შრომით სამუშაო ადგილის მიხედვით[2].

რვასაათიან სამუშაო დღეზე გადასვლას საბჭოთა ხალხი მოწონებით შეხვდა. მუშები, მოსამსახურეები მხარს უჭერდნენ პროფკავშირთა მოწოდებას და პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეს ღონისძიებანი გამოწვეული იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებით.

მიესალმებოდნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას, მუშები, მოსამსახურეები და ინტელიგენცია მოითხოვდნენ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას საწარმოებში. მხარს უჭერდნენ იმის აუცილებლობას, რომ სასტიკად ყოფილიყვნენ დასჯილნი შრომის დისციპლინის დამრღვევნი, თვითნებურად საწარმოთა მიმტო-

---

[1] Газ. «Правда», 28 мая 1940 г.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 27 ივნისი.

ვებლები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით დიდ ზარალს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას და ძირს უთხრიდნენ ქვეყნის თავდაცვით ძლიერებას[1].

ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება. ქარხნის კოლექტივმა გამოიანგარიშა, რომ მთავრობის ამ ღონისძიებების გატარებით წელიწადში სამშობლოს დამატებით მისცემდნენ მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქციას.

ბრძანებულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიტინგები შედგა თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, მაუდ-კამვოლის, აბრეშუმსაქსოვ, ფეხსაცმლის, თბილისის ხის დამმუშავებელ ფაბრიკებში და სხვა საწარმოებში[2].

საქართველოს მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები არა მარტო იწონებდნენ დადგენილებას, არამედ იღებდნენ კონკრეტულ საწარმოო ვალდებულებებსაც. ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის სტახანოველმა კ. დიაკონიძემ იკისრა ვალდებულება — 19 ტონის ნაცვლად ყოველდღიურად მოენგრია 35 — 40 ტონა ქვანახშირი. შახტის კოლექტივმა ვალდებულება აიღო, რომ ივნისის ბოლომდე ქვეყნისათვის გეგმის ზევით მიეცა 5000 ტონა ქვანახშირი.

ჰიათურის კ. ვოროშილოვის სახელობის მაღაროს სტახანოველებმა იკისრეს ქვეყნისათვის მიეცათ მეტი მანგანუმის მადანი და ყოველდღიური დავალება 200 პროცენტით შეესრულებინათ.

რესპუბლიკის მრავალი საწარმო წარმატებით ასრულებდა საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის დავალებას მრეწველობის ყველა დარგში პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ. მაგრამ ზოგიერთ საწარშოში, მათ შორის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში და სხვ. ხშირად ირღვეოდა სტანდარტები, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო სუსტი ტექნიკური კონტროლით, საწარმოთა ხელმძღვანელების დაუდევრობით და უყურადღებობით.

სწორედ ასეთი სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ იყო მიმართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“[3].

ბრძანებულება აწესებდა, რომ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1940 წლის 28 ივნისი.

[2] იქვე.

[3] Газ. «Правда», 17 августа 1940 г.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება ითვლებოდა სახელმწიფოს საწინააღმდეგო მავნებლობის თანაბარ დანაშაულად, რისთვისაც სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსები მიცემული იქნებოდნენ სამართალში და ისჯებოდნენ 5-დან 8 წლამდე პატიმრობით.

სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნას. მისი ამოცანა იყო დაემყარებინა უსასტიკესი კონტროლი სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ღირებულების აღრიცხვასა და ხარჯვაზე, მისი მეშვეობით უნდა უზრუნველყოფილიყო მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მას უნდა აემაღლებინა ჩვენი ადმინისტრაციული და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელთა და მუშაკთა პასუხისმგებლობა იმ შუშაობისათვის, რომელსაც ისინი ეწეოდნენ, აღეზარდა მათში მზრუნველი დამოკიდებულება სახელმწიფო სახსრებისადმი[1]. 1940 წლის 31 ოქტომბერს ამ მიზნით შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატიც.

სახელმწიფო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებას. ამ საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეეძლო დამხმარე მებოსტნეობა-მერძევეობის მეურნეობებს. დაიწყო მათი ფართოდ დანერგვა მოსკოვის ოლქის გლუხოვოს ბამბეულის კომბინატის კოლექტივის ინიციატივით[2].

გლუხოველთა მოწოდებამ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების საწარმოების მუშაკთა შორის მხურვალე გამოხმაურება პოვა.

საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება დიდად იყო დამოკიდებული მუშახელით მათ უზრუნველყოფაზე. საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობამ კოლმეურნეობების წინაშე დააყენა ამოცანა სოციალისტური მრეწველობისათვის გაეწიათ დახმარება. ყრილობის ამ დავალების განხორციელებას მიეძღვნა ის ინიციატივა, რომელიც გამოიჩინეს კრასნოდარის მხარის შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეებმა და კომლეურნე ქალებმა, რომლებმაც მოუწოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობას გამოეყოთ მუშახელის გარკვეული რაოდენობა მზარდი სოციალისტური მრეწველობისათვის: „უზრუნველვყოთ მრეწველობა საჭირო მუშახელით, რომელიც ჭარბად მოიპოვება კოლმეურნეობებში. ამით ჩვენ მივაღწევთ, — წერდნენ შჩერბინოვსკელები, — მრეწველობის შემდგომ ზრდას, ფართო

[1] Газ. «Правда», 7 сентября 1940 г.

[2] იქვე, 12 სექტემბერი.

მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, იმ საქონლისა, რომლის მოთხოვნილებაც კოლმეურნე გლეხობაში წლითიწლობით იზრდება"[1].

საქართველოს სსრ კოლმეურნეობები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს შჩერბინოვსკაიას რაიონის კოლმეურნეთა მოწოდებას.

ამ ღონისძიებით ჩვენმა მრეწველობამ ახალი შევსება მიიღო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ სრულად ვერ უზრუნველყოფდა მრეწველობის მოთხოვნილებას მუშახელზე. საჭირო იყო უფრო ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1940 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ. ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ იმავე 2 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან დააარსა „შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო". აგრეთვე მიიღო დადგენილება „სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ". ამ ღონისძიებებს უდიდესი სახელმწიფოებრივი და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენი მრეწველობის შემდგომი გაფართოების ამოცანა მოითხოვდა, რომ შახტები, მაღაროები, ტრანსპორტი, ფაბრიკები, ქარხნები სრულიად უზრუნველყოფილიყო მუშახელით. ამრიგად, სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას წარმოადგენდა.

1940 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოწყობის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკაში ეწყობოდა 10 სახელოსნო სასწავლებელი, სადაც 2800 კაცი ისწავლიდა, ერთი სარკინიგზო — 300 მოსწავლისათვის და ცხრა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა 1600 მოსწავლისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო შრომითი რეზერვების სამმართველოს საწარმოო-ტექნიკურ ბაზად გადაეცა კამოს სახელობის დაზგათსაშენი ქარხანა.

ამრიგად, კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების ერთ-ერთ

---

[1] Газ. «Правда», 30 марта 1939 г.

ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, მავრამ ვინაიდან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდნენ სახალხო მეურნეობას კვალიფიციური მუშახელით, საწარმოებსა და მშენებლობებზე ფართო განვითარება პოვა საწარმოო-ტექნიკური სწავლების ქსელმა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (ტექმინიმუმის კურსები, სტახანოველთა სკოლები და სხვ.).

ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულებას „ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში ინჟინერთა, ოსტატთა, მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ“.

ბრძანებულება ხელს უწყობდა კვალიფიციური კადრების ორგანიზებულ გადანაწილებას, აგრეთვე ახალ საწარმოებში და ახალ მშენებლობებზე, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში განლაგებულ საწარმოებში მუდმივი კადრების შექმნას.

ასეთივე დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „მოწყობილობის და მასალების სხვებისათვის მიყიდვის, გადაცემისა და გაცემის აკრძალვისა და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის შესახებ“.

ეს ბრძანებულება უზრუნველყოფდა მატერიალურ ფასეულობათა განიავებისაგან დაცვას.

სამუშაო დღის გახანგრძლივებამ, საწარმოებში კადრების დენადობის შემცირებამ და მუშათა კლასის შემოქმედებითმა აქტივობამ, რაც ვლინდებოდა სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმაში, უზრუნველყვეს რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ კავშირში, სამრეწველო პროდუქციის სწრაფი ზრდა.

შრომისნაყოფიერების ზრდა ხელს უწყობდა სოციალიზმის მატერიალური ბაზის გაფართოებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ამრიგად, შრომის სწორი ორგანიზაციით, მტკიცე შრომის დისციპლინის დამკვიდრებით, საწარმოო კონტროლის გაძლიერებითა და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლით რესპუბლიკის საწარმოებმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს.

ბ. სოფლის მეურნეობა

მრეწველობის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას ეჭირა უმნიშვნელოვანესი ადგილი. ამიტომ სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა იყო ჩამორჩენილი წვრილგლეხური

სოფლის მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა. პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ეს ამოცანა მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის წარმატებით გადაწყვიტეს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება გახდა კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საფუძველი. წესდებამ დააკანონა კოლმეურნეობაში გლეხურ მეურნეობათა წარმოების ძირითადი საშუალებების განსაზოგადოება. იგი კარგად ახამებდა კოლმეურნეთა პირად ინტერესებს მის საზოგადოებრივ ინტერესებთან[1].

საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის საფუძველზე.

მესამე ხუთწლედის მარტო პირველი ორი წლის განმავლობაში დაბანდდა 441.6 მილიონი მანეთი, პირველ და მეორე ხეთწლედებში კაპიტალდაბანდებების 57,1 პროცენტი, 1940 წელს კი — 306,1 მილიონი მანეთი, ე. ი. იმავე ხუთწლედების კაპიტალდაბანდების 69,3 პროცენტი[2].

1938 წლისათვის კოლმეურნეობებს ეჭირათ მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის 72,3 პროცენტი, ჩაის — 80 პროცენტზე მეტი, თამბაქოს ნარგავების — 75,5, ჭარხლის ნათესების — 100 პროცენტი.

1939 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 4254 კოლმეურნეობა. 406 659 კომლიდან კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 377 414 კომლი, 855 379 შრომისუნარიანი წევრით. კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილი იყო 126 301 კაცი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას უწევდნენ 1 736 კოლმეურნეობას[3].

1940 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 4 283 კოლმეურნეობა 459 821 კომლით. მარტო 1939 წელს კოლმეურნეობებში შევიდა 53 515 კომლი. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 92,3 პროცენტი[4].

იზრდებოდა არა მარტო კოლმეურნეობათა რაოდენობა, არამედ დიდდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაც.

---

[1] „ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწათმოწყობის შესახებ", თბ., 1935.

[2] პირველ ხუთწლედში დაბანდებული იყო 217 მილიონი მანეთი, მეორეში—560 მილიონი მანეთი (იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტ. არქივი, ფ. 29, ტ. 18. გვ. 25).

[3] სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილების არქივი, ფ. 1, საქ. 2, ფურც. 1.

[4] სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო განყოფილების არქივი, საქ. 4, ფურც. 1.

კოლმეურნეობათა განმტკიცების ნათელი მაჩვენებელი იყო კოლმეურნეთა შემოსავლის განუხრელი ზრდა. თუ 1938 წელს საქართველოში იყო 19 მილიონერი კოლმეურნეობა, 1939 წლის ბოლოსათვის მათი რაოდენობა 37-მდე გაიზარდა.

1938 წელს კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 366 მილიონი მანეთი, 1939 წელს კი 458 მილიონ მანეთზე მეტი. გადიდდა მოსავალიც. 1939 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალი აღწევდა 5 821 021 ცენტნერს, ნაცვლად 1937 წელს მიღებული 5 143 518 ცენტნერისა[1].

1938 — 1940 წწ. კოლმეურნეობათა ანგარიშებში განუყოფელი ფონდი გაიზარდა 218,9 მილიონი მანეთით, ხოლო გრძელვადიანი კრედიტების თანხა იმავე წლებში უდრიდა 330,9 მილიონ მანეთს[2]. განუყოფელი ფონდების ზრდას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც იყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების ძირითადი პირობა.

მაღალ ანაზღაურებას ღებულობდნენ მოწინავე კოლმეურნეები. წითელწყაროს რაიონის „წითელი არმიის" სახელობის კოლმეურნეობაში 1939 წელს კოლმეურნეებმა მიიღეს შრომადღეზე ერთ ფუთზე მეტი მარცვალი. ნატანების კოლმეურნეობაში ზოგიერთი კოლმეურნის ოჯახმა 1300-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 15 ათას მანეთამდე, 200 ფუთზე მეტი მარცვლეული და სხვ. პროდუქტები, ხოლო ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობაში — 8 ათას მანეთზე მეტი ფულად, 180 ფუთი მარცვლეული და სხვ. პროდუქტები.

საქართველოს კოლმეურნეებმა 1939 წელს შრომადღეზე საშუალოდ მიიღეს 2 მან. 30 კაპ. ფულად, 3,4 კილოგრამი მარცვლეული და აგრეთვე სხვა პროდუქტები[3].

რესპუბლიკაში წარმატებით სრულდებოდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის დადგენილება „შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". თუ ციტრუსების პლანტაციებს 1936 წლის 1 იანვრისათვის ეჭირათ 3 280 ჰექტარი, 1940 წლის 1 იანვრისათვის მათი ფართობი გაიზარდა 17 122 ჰექტარამდე.

---

1 ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ. (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 123).

2 საქართველოს სას.-სამ. ბანკის წლიური ანგარიშების მასალებიდან (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ", გვ. 448).

3 გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 11 თებერვალი.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე 1938—1939 წლებში გაშენდა დაახლოებით ათასი ჰექტარი ახალი ვენახი და 1940 წლისათვის მისმა საერთო ფართობმა მიაღწია 48 381 ჰექტარამდე. სწრაფად ვითარდებოდა რესპუბლიკაში მეხილეობაც. ხილის ბაღების ფართობი საქართველოში 1938—1939 წლების განმავლობაში 6 625 ჰექტარით გაიზარდა და 1940 წლის 1 იანვრისათვის 66 337 ჰექტარს მიაღწია. მისი დიდი ნაწილი კოლმეურნეობებს ეკუთვნოდა. მასთან ერთად სულ უფრო მეტ ფართობს იკავებდა სუბტროპიკული მეხილეობა. მას უკვე 1940 წლის 1 იანვრისათვის ეჭირა 2 536 ჰექტარი, მაშინ როდესაც 1938 წელს მხოლოდ 843 ჰექტარზე იყო გაშენებული.

მესამე ხუთწლედში სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა მკვეთრად აამაღლეს მოსავლიანობა. ქისტაურელების მოწინავე მეთოდების გავრცელების მეოხებით გაზაფხულის გამოკვების ერთ კოლოფ თესლზე პარკის საშუალო გამოსავალი რესპუბლიკაში 1939 წელს უდრიდა 44,1 კილოგრამს, რაც 3,3 კილოგრამით ჭარბობდა 1937 წლის გამოსავლიანობას. 1939 წელს დამზადდა 4 147,7 ტონა პარკი — 637,4 ტონით მეტი, ვიდრე 1937 წელს. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა 344 მეაბრეშუმე და 60 სპეციალისტი.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მარცვლეულის მეურნეობა. 1939 წელს მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეკავათ 654 500 ჰექტარი, ანუ 21 400 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1938 წელს.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს. 1939 წლის 8 ივლისს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. 1939 წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა პარტიისა და მთავრობის ეს უმნიშვნელოვანესი დირექტივები და დასახა მისი განხორციელების ღონისძიებები.

1939 წლის 8 ივლისის დადგენილების განხორციელების საფუძველზე 1940 წელს რესპუბლიკაში უკვე ითვლებოდა მეცხოველეობის 8 310 ფერმა.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები წარმოადგენდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაციის, მისი ტექნიკურად შეიარაღების საქმეში პარტიის დასაყრდენს, სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას. ამიტომ კომუნისტური პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა მესამე ხუთწლედში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განმტკიცებას.

1939 წლის 13 იანვარს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი „მარცვლეული კულტურების ხაზით მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარიცხვის წესის შესახებ“ და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ“. აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ტიპიური ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან დასადებად. ეს დადგენილებები წარმოადგენდნენ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტებს, მიმართულს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მტს-ების მაორგანიზებელი როლის გაძლიერებისაკენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადებას. 1939 წელს მომზადდა და გადამზადდა სპეციალურ სკოლებსა და კურსებზე 1 449 ტრაქტორისტი, 119 კომბაინერი, 288 შოფერი და სხვ.

ამრიგად, მესამე ხუთწლედის პირველ ორ წელში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა საქართველოს სოფლის მეურნეობამ: კოლმეურნეობებში გაიზარდა ნათესი ფართობი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, მკვეთრად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რაოდენობა, რომელთაც არ ჰქონდათ გამომუშავებული შრომადღეები დაწესებული ოდენობით. გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქცია, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი (142 მილიონი მანეთით — 316 მლნ მანეთიდან 458 მლნ მანეთამდე).

მაგრამ, მიუხედავად წარმატებებისა, სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნდა. ბევრ კოლმეურნეობაში დაბალი იყო შრომისნაყოფიერება. კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებდა შრომადღეების გამომუშავების დაწესებულ ნორმას, მცირე იყო კოლმეურნეობის შემოსავალი და შრომადღის ანაზღაურება. საერთოდ რესპუბლიკის მასშტაბით კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხობის 92 პროცენტი, მაგრამ ზოგ რაიონში ამ მხრივ ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ერთგვარ ჩამორჩენას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოწინავე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების დანერგვა საკავშირო მასშტაბით პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებასთან ერთად წარმოადგენდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ქმედით საშუალებას. მოწინავე გამოცდილების დანერგვის ერთ-ერთი ფორმა იყო მოსკოვში მოწყობილი გრანდიოზული სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

1939 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოდან მონაწილეობდა: 496 კოლმეურნეობა, საკოლმეურნეო მეცხოველეობის 59 ფერმა, 31 საბჭოთა მეურნეობა, ერთი მტს-ი და სოფლის მეურნეობის 3 487 ნოვატორი.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის გამოფენის მონაწილეთა შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვა სამი კოლმეურნეობა და ერთი საბჭოთა მეურნეობა: ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ამავე მეურნეობებს გამოფენის მთავარმა კომიტეტმა პირველი ხარისხის დიპლომები მიაკუთვნა. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭა სულ 107 მეურნეობას, ოქროსა და ვერცხლის დიდი და პატარა მედლები მიეცათ 429 მოწინავეს. დიპლომებთან და მედლებთან ერთად სოფლის მეურნეობის მოწინავეებს ჯილდოდ მიეცათ 21 მსუბუქი ავტომანქანა, 52 მოტოციკლეტი და 825 ათასი მანეთი.

გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით 1939 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 2 345 კოლმეურნეობა, 4 890 ბრიგადა, 3 459 რგოლი, შვიდი მტს-ი, 24 საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის 213 ფერმა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის 12 524 ნოვატორი.

1940 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა 7 924-მდე გაიზარდა. მონაწილეთა შორის იყვნენ 1010 მეურნეობა და ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის 6914 მოწინავე, სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკი.

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1940 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს სოციალისტური მეურნეობის 166 მოწინავე ორგანიზატორი დააჯილდოვა ოქროსა და ვერცხლის მედლებით. პირველი ხარისხის დიპლომები მიეკუთვნათ ზუგდიდისა და ლაგოდეხის რაიონებს, ოთხ მტს-ს, მეხილეობის ერთ საბჭოთა მეურნეობასა და ექვს კოლმეურნეობას, მეორე ხარისხის დიპლომი მიენიჭა 41 საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას.

ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვეს კასპის რაიონის სოფელ რგვალიჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი ს. ქეთიშვილი, რომელმაც 1938 — 1939 წლებში ჰექტარზე საშუალოდ 899 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. გოგიტიშვილი, რომელ-

მაც ორი წლის განმავლობაში სრულ მსხმოიარე ხეზე საშუალოდ 900 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი მოკრიფა[1].

ამრიგად, 1939 — 1940 წლების გამოფენის მონაწილეთ საგამოფენო კომიტეტმა მიღწეული წარმატებებისათვის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები მიანიჭა 155 კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, მტს-ს და სხვ. ოქროსა და ვერცხლის დიდი და პატარა მედლებით დააჯილდოვეს გამოფენის 643 მონაწილე. დიპლომებთან და მედლებთან ერთად დაჯილდოებულთ გადაეცათ 34 მსუბუქი ავტომანქანა, 87 მოტოციკლეტი და ფულად 1 011 ათასი მანეთი[2].

მთავარი საგამოფენო კომიტეტის ცნობების თანახმად 1941 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის 6 392 მოწინავე[3].

რესპუბლიკაში განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 1940 წელს 513 მილიონ მანეთამდე მიაღწია[4]. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ (მიწათმოქმედება და მეცხოველეობა), 1965 წლის შესაბამისი ფასებით შეადგინა 417,7 მილიონი მანეთი და 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 252 პროცენტით[5].

1940 წელს კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობაში აღწევდა 306,1 მლნ მანეთს, მთელი განსაზოგადოებული ფონდი — 809 481 ათას მანეთს, ხოლო კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1940 წლის 1 იანვრისათვის — 762 287 ათას მანეთს[6].

მეურნეობის სოციალისტური სექტორის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების — ზრდის შესაბამისად გაიზარდა განსაზოგადოებული სექტორის ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, განვითარდა მეცხოველეობაც. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მთელ ნათეს ფართობში შეადგენდა 88,2 პროცენტს. სულ საქართველოს სსრ ყველა კატეგორიის მეურნეობის სათესი ფართობი 1940 წელს უდრიდა 896 ათას ჰექტარს. აქედან კოლმეურნეობებზე მოდიოდა 780,6 ათასი ჰექტარი. მარტო მარცვლეულ კულტურებს 645 ათასი ჰექტარი ეჭირა. ტექნიკური კულტურების საერთო ფართობში, რო-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 5 იანვარი.

[2] იქვე, 4 იანვარი.

[3] იქვე, 18 მაისი.

[4] იქვე, 4 იანვარი.

[5] „საქართველოს სსრ მოკლე ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი", პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 90.

[6] ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1962, გვ. 97, 98.

მელიც 51,6 ათას ჰექტარს უდრიდა, კოლმეურნეობების ნათესების ხვედრითი წონა 96,1 პროცენტს შეადგენდა[1].

1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში იყო 4 199 კოლმეურნეობა 465 560 მეურნეობით. 1940 წლის 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაში იყო 3812,3 ათასი ჰექტარი მიწა; აქედან კოლმეურნეობებს ეკუთვნოდათ 3 610 ათასი ჰექტარი, მათ შორის სახელმწიფო აქტებით 4 042 კოლმეურნეობას მიმაგრებული ჰქონდათ 3 მილიონ ჰექტარამდე.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა სარგებლობაში იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 465,6 ათასი ჰექტარი მიწა — უპირატესად ზამთრის საძოვრები, აქედან კოლმეურნეობების სარგებლობაში — 385 ათასი ჰექტარი ფართობი; გარდა ამისა, მშრომელი გლეხობის დროებით სარგებლობაში იმყოფებოდა სახელმწიფო მიწის 328 ათასი ჰექტარი.

მშრომელი გლეხობის მიწათსარგებლობა 1940 წლისათვის გაზრდილი იყო 1113,4 ათასი ჰექტარით (2 806,7 ათას ჰექტარამდე ნაცვლად 1937 წლის 1643,3 ათასი ჰექტარისა)[2]. ომამდელი ხუთწლედების განმავლობაში მთელ რიგ კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლიანობა და მთლიანი პროდუქცია.

ამასთან ერთად, გადიდდა ნათესი ფართობებიც. ასე მაგალითად, თუ 1932 წელს ნათესი ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგენდა 851,6 ათას ჰექტარს, უკვე 1940 წელს იგი უდრიდა თითქმის 896 ათას ჰექტარს[3]. ნათესი ფართობები განსაკუთრებით იზრდებოდა განსაზოგადოებულ სექტორში.

1940 წელს კოლმეურნეობებმა მარცვლეული კულტურები აიღეს 360 492 ჰექტარზე, სიმინდი — 270 ათას ჰექტარზე, შემოდგომაზე რესპუბლიკაში დაითესა 244 369 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები და მზრალად მოიხნა 168 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.

ყველა კატეგორიის მეურნეობაში მიღებული იყო სულ 537,5 ათასი ტონა მარცვლეულის მოსავალი და საშუალო საჰექტარო მოსავალმა ძლიერი გვალვების შედეგად შეადგინა მხოლოდ 6,6 ცენტნერი. შესაბამისად თამბაქოს მოსავალმა შეადგინა 12,7 ათასი ტონა, მოსავლიანობამ 6,1 ცენტნერი, კარტოფილის — 138,8 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 54

---

1 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.“, გვ. 433.

2 ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მიწის ფონდი, გვ. 174.

3 „საბჭოთა საქართველოს 13 წელი“, გვ. 62—63; იხ. აგრეთვე ეკონომიკის ინსტიტუტის ფონდი 29, ტ. 5, გვ. 12.

ცენტნერი, ბოსტნეულის — 103,8 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 71 ცენტნერი, ხილის — 113 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 32,3 ცენტნერი, ყურძნის — 150 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 28,1 ცენტნერი, ციტრუსების — 29,8 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 43,8 ცენტნერი, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის — 51,3 ათასი ტონა, მოსავლიანობამ — 22,9 ცენტნერი[1].

როგორც ვხედავთ, მარცვლეულის მეურნეობის განვითარების საქმეში ადგილი ჰქონდა მოსავლიანობის შემცირებას როგორც ერთპიროვნულ მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მარცვლეული კულტურების ნაცვლად აშენებდნენ მრავალწლიან კულტურებს.

ამ ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახკომსაბჭომ დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი. გადაწყდა მარცვლეული კულტურების ფართობის გადიდება 40 ათასი ჰექტარით, ხოლო საშუალო მოსავლისა — 12,5 ცენტნერამდე. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო მარცვლეულის მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად მოწინავე კოლმეურნეობათა მიერ დაგროვილი გამოცდილების გამოყენება[2].

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად თავისებურებას ამ პერიოდში წარმოადგენდა მთელი რიგი მრავალწლიანი ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გაშენება. მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდებასთან ერთად განვითარდა მრავალწლიანი, ძვირფასი, იშვიათი, სუბტროპიკული კულტურები, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი, ეკონომიურად განამტკიცა საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

1940 წლისათვის ჩაისა და ციტრუსოვანთა, ვენახის, ხილისა და ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გადიდდა. ჩაის ფართობმა შეადგინა 49 637 ჰექტარი. ჰექტარზე საშუალო მოსავალმა მიაღწია 2 276 კილოგრამამდე. ჩაის ფოთლის საზღაურად კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მიიღეს 85 576 700 მანეთი. ციტრუსოვანთა კულტურებმა შეადგინა 25 600 ჰექტარი. სახელმწიფოს ჩაბარდა 423,8 მილიონი ცალი ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი და სხვ. ვენახის ფართობმა შეადგინა 69,9 ათასი ჰექტარი, ხეხილის ბაღების ფართობმა — 84 348 ჰექტარი[3].

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაღჩე-

---

[1] «Советская Грузия по ленинскому пути» (ст. сб.), стр. 85.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1941 წლის 19 თებერვალი.

[3] «Грузинская ССР за 20 лет», стр. 41, 57, 61.

ული და სხვ. კულტურების ნათესი ფართობები. კოლმეურნეობებში ასევე გადიდდა ვენახის ხვედრითი წონაც.

დაიწყო სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგის — მეცხოველეობის — აღმავლობა. პირუტყვის სულადობა ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა: რქოსანი პირუტყვის — 31,6 პროცენტით, ცხენების — 38,1, ცხვრებისა და თხების — 6,7, ღორების — 112.5 პროცენტით. გაიზარდა საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობაც. 1941 წლის დამდეგს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 9500 ფერმა იყო. პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად კოლმეურნეობებში შეიქმნა საჯიშე ფერმები. საკვები ბაზის გასაძლიერებლად იზრდებოდა საკვები კულტურის ნათესები, შემოღებულ იქნა საკვების დასილოსება. ტარდებოდა ღონისძიებანი საბალახოებისა და საძოვრების არსებითად გაუმჯობესებისათვის.

პირუტყვის რაოდენობა 1941 წლის 1 იანვრისათვის უდრიდა (ათას სულობით): მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (კამეჩების ჩათვლით) 1607, მათ შორის: ძროხა და ფურკამეჩი — 575, ღორი — 615, თხა და ცხვარი 194, ცხენი 165,2[1].

საქართველოს 150 ათასამდე კოლექტიური მეურნეობა ჩაბმული იყო მეაბრეშუმეობაში. აბრეშუმის პარკის საერთო მოსავალმა 3 579 ტონა შეადგინა, ე. ი. გეგმის 92,4 პროცენტი. 6 საგრენაჟო ქარხანაში ყოველწლიურად მზადდებოდა 150 ათასამდე კოლოფი აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ჰიბრიდული და წმინდა ჯიშის თესლი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ ღონისძიებებს მეფუტკრეობის განვითარებისათვის. 1940 წლის 30 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეფუტკრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ[2].

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე საფუძველი იყო სოფლის მეურნეობისა და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლება. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი იყო მიღწევები მესამე ხუთწლედში.

ტრაქტორებისა და კომბაინების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ებში. გადიდდა მათი სიმძლავრე, რაც შესაძლებლობას იძლეოდა კოლმეურნეობათა უკეთ მომსახურებისათვის. 1940 წელს ტრაქტორებით მომსახურება ეწეოდა რესპუბლიკის 1786 კოლმეურნეობას,

---

1 «Советская Грузия по Ленинскому пути», стр. 89.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1940, № 12, გვ. 6—8.

ე. ი. 42,5 პროცენტს. მტს-ები მომსახურებას უწევდნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობების ყველა ნათესი ფართობის 70 პროცენტზე მეტს.

სოციალისტურ მიწათმოქმედებაში მანქანების სრული დატვირთვით და ეფექტურობით გამოყენება ხელს უწყობდა შრომისნაყოფიერების ზრდას, მიწის დამუშავების კულტურის ამაღლებას და მოსავლიანობის გადიდებას.

პირველ და მეორე ხუთწლედებში, როგორც ცნობილია, ამოაშრეს 17 ათასი ჰექტარი ჭაობი, მესამე ხუთწლედის ორი (1938 — 1939) წლის განმავლობაში ამ მიზნით დაიხარჯა 21,3 მილიონი, ხოლო 1940 წელს — 10 მილიონი მანეთი[1].

მთავრობის 1939 წლის 4 მარტის დადგენილებით აიკრძალა ამოშრობის შედეგად მიღებულ მიწებზე თვითნებურად დასახლება. დაწესდა, რომ კოლხიდის დაბლობზე გადმოსახლებას აწარმოებდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, მას შემდეგ. რაც გადმოსახლებულთა კონტინგენტს დაამტკიცებდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო[2].

რესპუბლიკის სარწყავი ქსელი 2153 სხვადასხვა არხსა და კოლექტორს მოიცავდა, რომელთა საერთო სიგრძე 7 ათას კილომეტრს (წვრილი და სამეურნეო ქსელის ჩაუთვლელად) აღწევდა. მაშველის, ტირიფონის, ალაზნის, დიღმისა და მთელი რიგი სხვა საინჟინრო-სარწყავი სისტემა შესაძლებლობას აძლევდა სოციალისტურ მიწათმოქმედებას დამატებით გამოეყენებინა ასეული ათასი ჰექტარი ნოყიერი მიწა.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე საქართველო ომამდელ ხუთწლედებში გადაიქცა ინდუსტრიულ რესპუბლიკად. ამ პერიოდში კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ჩვენი მიწათმოქმედების ერთადერთი ფორმა გახდა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა. სოფლად მსხვილი, კოლექტიური, სოციალისტური მეურნეობის შექმნასთან ერთად გულისხმობდა საბჭოთა მეურნეობების მასობრივ მშენებლობას.

საქართველოში ფართოდ გაიშალა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედიდან, რაც კოლექტივიზაციის მომზადების ერთ-ერთ აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენდა. საბჭოთა

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტ. ფონდი 29, ფ. 48, ტ. 16, გვ. 25.

[2] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", № 8, 1939, გვ. 133 — 134.

მეურნეობები ეწყობოდა საქართველოს ყველა რაიონსა და კუთხეში. იქმნებოდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო გაჯანსაღების მიზნით მათი რაოდენობის შემცირების შემდეგ, 1940 წელს საქართველოში სულ დარჩა 76 საბჭოთა მეურნეობა[1]. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში — 15 ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ციტრუსების — სამი, ციტრუსებისა და სუბტროპიკების — 21 საბჭოთა მეურნეობა და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში იყო მევენახეობის 20, ხეხილის — 6 სპეციალიზებული, მეცხოველეობის — ექვსი და მთელი რიგი სხვა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მოიცავდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგს[2].

საბჭოთა მეურნეობები დიდ როლს ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობის საქმეში.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, — ნათქვამი იყო საკ. კპ (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციაში,— ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი ნამდვილად გადაქცეულ იქნან მაღალნაყოფიერ, მაღალრენტაბელურ მეურნეობებად, რომელნიც იქნებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მაგალითი, მისი მაღალი მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მაგალითი; გადიდდეს პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მოწყობის გზით“[3].

ხუთწლიანი გეგმით მნიშვნელოვანი ამოცანები იყო დასახული საქართველოს მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების წინაშე. ეს ამოცანები ჩამოაყალიბა საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1936 წლის 28 ივლისის დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარებისა და ღვინის წარმოების ხარისხობრივად გაუმჯობესების შესახებ“[4].

მესამე ხუთწლედის პირველ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს „შამპანკომბინატის“ და „საქართველოს კონსერვტრესტის“ საბჭოთა მეურნეობებმა. „შამპანკომბინატის“ საბჭოთა მეურნეობების საერთო ფართობი 1941 წლისათვის უდრიდა 1165,8 ჰექ-

---

[1] «Сельское хозяйство Грузинской ССР» (стат. сб.), ч. I, Тб., 1967, стр. 14.

[2] ა. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ. (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1962, გვ. 114).

[3] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. III, გვ. 488.

[4] საქართველოს სსრ სამტრესტის არქივი, ფ. 1, საქ. 1910, ფურც. 3—7.

ტარს, ხოლო „საქართველოს კონსერვტრესტის“ სისტემის მეურნეობების საერთო ფართობი — 922 ჰექტარს.

ხუთწლედში სათანადო ყურადღება ეექცეოდა ტუნგოს კულტურის განვითარებას. 1937 წელს ტუნგოს მოსავალი უდრიდა 24 ტონას, ხოლო 1940 წელს — 1044 ტონას.

ხუთწლედში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია „ლიმონ-მანდარინის“ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა. 16 ასეთ მეურნეობას 1940 წლისათვის ეკავა 1796 ჰექტარი, მანდარინის მოსავალი თუ 1937 წელს შეადგენდა 14,839 ათას ცალს, 1940 წელს გაიზარდა 76,359 ცალამდე, ხოლო ლიმონი — 246 ათასი ცალიდან, 2165 ათას ცალამდე. ფორთოხლის მოსავალი 1937 წლის 339 ათასი ცალიდან 1944 წელს გადიდდა 1227 ათას ცალამდე[1].

1940 წელს ორ საბჭოთა მეურნეობას მაღალი საწარმოო. მაჩვენებლებისათვის მიეკუთვნა I ხარისხის დიპლომი და დიდი ოქროს მედალი, ხოლო II ხარისხის დიპლომი და მცირე ოქროს მედალი წილად ხვდა რვა საბჭოთა მეურნეობას[2].

მეცხოველეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებები პირუტყვის სულადობის ზრდასა და ჯიშობრივ გაუმჯობესებაში. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა 1934 წლიდან 1938 წლამდე კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეღავათიან ფასებში მიჰყიდეს 4727 ძროხა და დეკეული, 13,219 ღორი, 94 637 ცხვარი და ბატკანი[3].

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების და, განსაკუთრებით, მეცხოველეობის ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებას, რომლითაც უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა გადაეცა საქართველოს სსრ მიწსახკომს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო ბაზად. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1941 წელს ჩამოყალიბდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებული მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გადაიქცნენ საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან რაზმად. მის რიგებში 18 ათასზე მეტი კაცი ითვლებოდა.

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1946 წწ.“, გვ. 154.
[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 11371, ფურც. 2 — 10.
[3] გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 8 ივლისი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმატებები მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა მეურნეობების განვითარებამ, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებამ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სავსებით შეიცვალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სახე.

აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებაში, მთელი სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში. წვრილგლეხური მეურნეობების ნაცვლად აღმოცენდნენ და განმტკიცდნენ მსხვილი კოლექტიური მეურნეობები. სუბტროპიკული კულტურების ფართობმა მიაღწია 43 ათას ჰექტარს, ჩაის კულტურას ეკავა 9093 ჰექტარი, ციტრუსების პლანტაციებს — 6644 ჰექტარი, ვენახს — 3000 ჰექტარი, თამბაქოს — 11 430 ჰექტარი, დაინერგა სრულიად ახალი კულტურები — გერანი, ტუნგო, ლუფა და სხვ. 1940 წელს კოლექტივიზაცია დამთავრდა აფხაზეთში და 262 კოლმეურნეობაში გაერთიანდა 35,9 ათასი მეურნეობა, რაც გლეხური მეურნეობის საერთო რაოდენობის 93,8 პროცენტს შეადგენდა[1].

1940 წელს აფხაზეთში მუშაობდა ხუთი მტს-ი. ნათესებისა და ნარგავების ფართობი 92 100 ჰექტარს უდრიდა, ნათესი ფართობი კი შეადგენდა 45,4 ათას ჰექტარს, მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი კულტურების — 30,6 ათას ჰექტარს, კოლმეურნეობების ძირითადმა ფონდებმა მიაღწია 104,0 მილიონ მანეთს[2].

აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეთა ნაწილი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა 1939 და 1940 წლებში დააჯილდოვა დიპლომებით, დიდი და პატარა ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

აჭარაში დაქუცმაცებული, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი კოლექტიური მეურნეობები.

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე აჭარაში 18 საბჭოთა მეურნეობა მუშაობდა. აჭარის სოფლის მოსახლეობის 18 ათასი კომლი, ანუ 97,5 პროცენტი გაერთიანდა 212 კოლმეურნეობაში. მათ სამუდამო სარგებლობაში ჰქონდათ 141,065 ჰექტარი მიწა 7783 ჰექტარი სათესი ფართობით.

---

1 „საქართველოს ისტორია", ტ. III, 1960, გვ. 166.

2 „აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობა. (სტატისტიკური კრებული)", სოხუმი, 1957, გვ. 26, 44, 53.

1940 წლის დამლევს აჭარაში იყო 5391 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ჩაის შვიდმა ფაბრიკამ 19 004 ათასი მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვა. ციტრუსების საერთო ფართობი უდრიდა 7766 ჰექტარს. 1939 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 315 352 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი და მიეყიდა 33 963 კგ აბრეშუმის პარკი. კოლმეურნეობებს ჰქონდათ 418 ფერმა და ჰყავდათ 17 222 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 41 500 ათასი მანეთი. საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობდა 200 აგრონომი, 255 აგროტექნიკოსი, 40 ვეტერინარი და სხვ.[1].

სოციალისტური გარდაქმნების შედეგად შეიცვალა სამხრეთ-ოსეთის სოფლების სახე, განმტკიცდა გამარჯვებული საკოლმეურნეო წყობა. 1940 წელს სამხრეთ ოსეთში კოლექტივიზაცია დამთავრდა და კოლმეურნეობებში გაერთიანდა გლეხობის 99,4 პროცენტი. კოლმეურნეობების განკარგულებაში იყო 34 093 ჰექტარი სათესი ფართობი. ბაღებისა და ვენახების ფართობი 3 ათას ჰექტარს აღწევდა. დიდად გაიზარდა პირუტყვის სულადობა. 1940 წლის ბოლოს ის შეადგენდა 250 590 სულს. მარტო საკოლმეურნეო ფერმებში 91 426 სული პირუტყვი იყო.

1940 წელს ოლქის 35 კოლმეურნეობამ და სოფლის მეურნეობის 74 მოწინავემ მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე 1941 წელს სერიოზული ამოცანები იდგა. გათვალისწინებული იყო გაზაფხულსა და შემოდგომაზე მარცვლეული კულტურების დათესვა 633 800 ჰექტარზე, ბოსტნეულის — 11 800, კარტოფილის — 18 000, კულტურული ბალახების — 68 800 ჰექტარზე; ციტრუსოვანი კულტურების გაშენება — 3 570 ჰექტარზე, ჩაის — 2 100, ვენახის — 6 230, ხეხილის ბაღების — 4 850, ბამბუკის — 500 ჰექტარზე და სხვ. წყალთა მეურნეობის ხაზით ჩასატარებელი მშენებლობის ხარჯების მოცულობა დამტკიცებული იყო 52 700,0 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან მარტო კოლხეთის ჭაობის დაშრობაზე უნდა დახარჯულიყო 33 მილიონი მანეთი. ფართო სამუშაოები იყო დაგეგმილი სარწყავ არხთა მშენებლობის ხაზით.

დიდი მუშაობა იშლებოდა საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოსაწყობად. მარტო ჩაის ფაბრიკებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე მშენებლობისათვის 1941 წელს უნდა დახარჯულიყო 33 მილიონი მანეთი. ციტრუსოვანთა გადამმუშავებელი და კვების მრეწველობის ხაზით, აგრე-

---

[1] „აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა (სტატისტიკური კრებული)", ბათუმი, 1958, გვ. 21, 33, 39; გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 18 მარტი.

თვე მეღვინეობის გადამმუშავებელი მრეწველობის განსავითარებლად გათვალისწინებული იყო 22 მილიონი მანეთი[1].

ასეთ ვითარებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის სწორად შედგენას, გამომუშავების ნორმების დაწესებას სამუშაოთა შეფასების სანარდო სისტემის საფუძველზე, მუდმივ საწარმოო საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობას და მუშახელის სწორად განაწილებას ბრიგადების მიხედვით, შრომის სწორ აღრიცხვასა და ანაზღაურებას, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი ფონდების გამოყოფას, კოლმეურნეობის ბრიგადირის, როგორც კოლმეურნეობაში ცენტრალური ფიგურის, როლის ამაღლებას, კოლმეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას.

საკოლმეურნეო წყობილებამ არსებითად შეცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურა: საქართველო გადაიქცა სსრ კავშირის ერთადერთ მხარედ, სადაც სამრეწველო მასშტაბით გაშენდა და სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ევკალიპტი, ვენახისა და ხეხილის ძვირფასი ჯიშები, მაღალხარისხოვანი თამბაქო, კეთილშობილი დაფნა, ეთერზეთოვანი კულტურები. საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურება სწორედ ამ კულტურების სამრეწველო განვითარებით აიხსნება. მაღალმწარმოებლური კულტურის დანერგვისა და განვითარების შედეგად გაძლიერდა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიური ბაზა. კოლმეურნეობებს მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცა 3 241 301 ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება მიმდინარეობდა მტს-ების გაძლიერებასთან, მათი ორგანიზაციული, აგროტექნიკური ხელმძღვანელობისა და ტექნიკური მომსახურების მძლავრ ცენტრებად გადაქცევასთან დაკავშირებით, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება უშუალო კავშირში იყო საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებასთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება განსაზღვრავდა კოლმეურნეობათა საწარმოო მიმართულებას. ეს მრავალფეროვნება აგრეთვე ხელს უწყობდა მუშახელის გამოყენებას და წელიწადის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით მის შედარებით თანაბარ დატვირთვას. ამასთან, მკვეთრად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, გაიზარდა შრომის-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1941 წლის 4 ივნისი.

ნაყოფიერება, ამაღლდა შრომის დისციპლინა, მტკიცედ დამკვიდრდა საანარდო სისტემა. შრომადღე საკოლმეურნეო წარმოებაში კოლმეურნეობათა მონაწილეობის განმსაზღვრელი ძირითადი საზომი ერთეული გახდა, გადიდდა შრომადღეების გამომუშავება, ამასთან გაიზარდა კოლმეურნე ქალთა მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუდმივი საწარმოო ბრიგადების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. სწრაფი ტემპით ინერგებოდა შრომის რგოლური სისტემა. რგოლების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უკეთ ორგანიზაციას, მოცემული საწარმოო დავალების დროულად, მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულებას. შრომისუნარიან კოლმეურნეთა სწორ გამოყენებას და მათი შრომისნაყოფიერების გადიდებას.

კოლმეურნეობებში რგოლების ორგანიზაცია ხელს უწყობდა გაუპიროვნების ლიკვიდაციას და ყველა პირობას ქმნიდა რგოლის წევრთა მიერ თითოეული ნაკვეთის, ნარგავისა და ნათესის დიფერენცირებულ-ინდივიდუალური მოვლისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოიშვა და განვითარდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები. იზრდებოდა სტახანოველთა რაოდენობა. სტახანოვური მოძრაობა გახდა შეჯიბრების ძირითადი ფორმა კოლმეურნეობებში. სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველებმა შრომისნაყოფიერების გადიდების მაღალ შედეგს მიაღწიეს. საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის სტახანოველთა და მოწინავეთა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები 1939 — 1940 წლებში აღინიშნა მაღალი ჯილდოებით. მათ მიიღეს 88 ოქროს, 486 ვერცხლის დიდი და პატარა მედალი.

ყოველწლიურად იზრდებოდა საქართველოს კოლმეურნეობათა ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება. მტკიცდებოდა და დიდდებოდა საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი საკუთრება.

აღნიშნულ წარმატებებს განაპირობებდა კოლმეურნეობების გამოცდილ სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფა. საქართველოს ჰყავდა აგრონომთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, ვეტექიმთა მთელი არმია. მარტო საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემის ხაზით 2 640 აგრონომი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი მუშაობდა.

სამი წლის განმავლობაში (1937 — 1939 წწ.) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და ზოოვეტინსტიტუტმა გამოუშვეს 1 625 სპეციალისტი. უკვე 1940 წელს ორივე ინსტიტუტში 2 507 სტუდენტი სწავლობდა[1].

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 10 იანვარი.

მესამე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწორად განაწილება-გამოყენება, საჭირო იყო მათი წასვლა უშუალოდ წარმოებაში სამუშაოდ, სათანადო გამოცდილების მისაღებად და კოლმეურნეობებისათვის კვალიფიციური ხელმძღვანელობის გასაწევად. ითვალისწინებდა რა ამას, კომუნისტური პარტია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გზავნიდა სპეციალისტებს, საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს.

ამრიგად, მესამე ხუთწლედში საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ გაიმარჯვა. ეს მოხდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე და წარმოადგენდა ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგს. საქართველოს, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, კოლმეურნე გლეხობა გახდა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი და მტკიცე დასაყრდენი.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საკოლმეურნეო წყობილებამ სოფლად გზა გაუხსნა საწარმოო ძალების ახალ მძლავრ აღმავლობას. წვრილ და დაქსაქსულ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად სოფლად შეიქმნა მრავალდარგოვანი მსხვილი კოლექტიური მეურნეობანი.

კოლმეურნეობების სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცებისათვის ბრძოლაში იზრდებოდა და იწრთობოდა პარტიული ორგანიზაციები სოფლად, 1941 წლის დასაწყისში კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში ითვლებოდა 1947 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. რაზმავდნენ რა თავიანთ გარშემო სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ისინი განუხრელად აღწევდნენ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებას. პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი საერთოდ რესპუბლიკაში 1939 წლის 1 იანვრიდან 1941 წლის 1 ივლისამდე 2 543 ორგანიზაციით გაიზარდა[1].

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიამ ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება ეროვნულ რაიონებში მიმდინარეობდა საერთო კანონზომიერების საფუძველზე. მაგრამ ამ საერთო კანონზომიერების ფარგლებში, სხვადასხვა რაიონში მეურნეობის გარდაქმნის ტემპებსა და

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", გვ. 734.

ფორმებში ადგილი ჰქონდა არსებით განსხვავებას, რაც ადგილობრივი პირობებით განისაზღვრებოდა.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა საბჭოთა სოფლის კლასობრივი სტრუქტურა. საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველი გლეხობა კულტურისა და შეძლებული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ გამოიწვია გლეხის არა მარტო ყოფა-ცხოვრების შეცვლა, არამედ მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნაც. მან, როგორც მ. კალინინი აღნიშნავდა, „გააფართოვა მისი ჰორიზონტი, უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანად აქცია იგი"[1]. საქართველოს გლეხობამ მტკიცედ დაუკავშირა თავისი ცხოვრება სოციალიზმს, საკოლმეურნეო წყობილებას.

ამრიგად, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ მოსპო კაპიტალისტური წყობა, რითაც გლეხობის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ფენები გაანთავისუფლა კულაკური ექსპლოატაციისაგან. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივმა საკუთრებამ და კოლექტიურმა შრომამ, მექანიზაციის განუხრელად გაფართოებამ შრომისნაყოფიერების გადიდების, მშრომელი გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების ფართო შესაძლებლობები შექმნა. სოციალიზმი, რომელმაც დიდი სამამულო ომის წინა წლებში ძირითადად გაიმარჯვა ქალაქად და სოფლად, გახდა სახალხო მეურნეობის ერთიანი ყოვლისმომცველი სისტემა.

„საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ პარტია მუდამ ასრულებდა ვ. ი. ლენინის ანდერძს,— ნათქვამია კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობაზე, — საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ყველა ეტაპზე პარტია თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, განამტკიცებდა მუშათა და გლეხთა კავშირს. მუშათა კლასი აქტიურად იბრძოდა სოციალიზმის განმტკიცებისათვის სოფლად, უდიდეს დახმარებას უწევდა და უწევს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებასა და განმტკიცებას"[2].

კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ და ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინებამ უზრუნველყო უდიდეს სიძნელეთა გადალახვა და მშრომელი გლეხობის მასობრივი გაერთიანება კოლმეურნეობებში, გასაქანი მიეცა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას. კოლმეურნე გლეხობა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წამყვანი ძალა გახდა.

---

[1] მ. ი. კალინინი, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, თბ., 1944, გვ. 39.

[2] „ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვება, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის მასალები", თბ., 1969, გვ. 5.

საბჭოთა ქვეყანაში წარმატებით იქნა გადაჭრილი სოციალისტური რევოლუციის ისტორიული ამოცანა — მილიონობით წვრილმესაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაქცევა კოლექტიურ, სოციალისტურ მეურნეობად, რაც უძნელესი ამოცანა იყო მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ. ეს იყო ნამდვილი რევოლუცია. კოლექტივიზაციამ საბჭოთა ხელისუფლებას შეუქმნა მტკიცე სოციალური ბაზა სოფლად, განამტკიცა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირი.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით ისტორიაში პირველად დამკვიდრდა სოფლად ახალი წარმოებითი ურთიერთობა, შეიქმნა და განმტკიცდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა.

საკოლმეურნეო წყობილების ისტორიული როლის შესახებ ლ. ი. ბრეჟნევი კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე აღნიშნავდა: „პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო და მისი მთავარი საფუძველი მუშათა და გლეხთა კავშირი, უზრუნველყო რეალური პირობები იმისათვის, რომ გლეხებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წარმოების მართვაში, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში.

ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ სოციალიზმისა და კომუნიზმის სამსახურში ჩააყენა მსხვილი წარმოების სარგებლიანობა, შესაძლებლობა მოგვცა სოფლის მეურნეობა განგვევითარებინა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი თვალსაზრისით საკოლმეურნეო წყობილებამ არა მარტო თავიდან ააცილა მშრომელ გლეხობას ექსპლოატაცია და სიღატაკე, არამედ საშუალება მოგვცა სოფლად დაგვემყარებინა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კლასობრივი განსხვავების სრულ დაძლევას საბჭოთა საზოგადოებაში“[1].

* * *

სოფლად საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი იყო. პარტიამ ამ ახალ ეტაპზე გაატარა მრავალი ღონისძიება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორ-

---

1 გაზ. „კომუნისტი“, 1969 წლის 26 ნოემბერი.

განოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციას, ანაზღაურების წესისა და მატერიალური დაინტერესების საკითხებს.

1938 წლის 19 აპრილს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორი განაწილებისა" და კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ"[1]. ეს დადგენილება ითვალისწინებდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის დონის შემდგომ ზრდასა და კოლმეურნეობათა განმტკიცებას. იმავე წლის 22 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

1938 წლის ივნისის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენის წინასწარი შედეგები და ამავე დროს კიდევაც დასახა ახალი პრაქტიკული ღონისძიებები საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის საქმეში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა დიდი ზიანი მიაყენეს საკოლმეურნეო წყობილებას. ზოგიერთ რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეებს კოლმეურნეობებიდან რიცხავდნენ, უმეტეს შემთხვევაში სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის ან შრომის დისციპლინის სხვა დარღვევისათვის. ასეთი პრაქტიკა დაგმო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის დადგენილების შესრულების სისტემატურ შემოწმებას ახდენდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. იგი ამყღავნებდა დაშვებულ შეცდომებს, ყურადღებას აქცევდა დადგენილების ზუსტად და განუხრელად განხორციელებას ყველა რაიონში, ყველა კოლმეურნეობაში[2].

კოლმეურნეობებმა ერთსულოვნად მოიწონეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ".

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 7931, ფურც. 2.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობა" (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1938, გვ. 31—36.

დადგენილება მიმართული იყო იმ ანტისაკოლმეურნეო მოქმედების აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობაში. დადგენილება გმობდა კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს, რაც გამოიხატებოდა კოლმეურნეობების მიწების დატაცებასა და საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გაფართოებაში.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დამახინჯების ფაქტებს საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული პირები გაურბოდნენ კოლმეურნეობაში მუშაობას, მაგრამ სარგებლობდნენ კოლმეურნის ყველა უფლებით.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა საკ. კპ (ბ) ცკ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „1939 წლის მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ", რომელიც სასტიკად გმობდა ადგილებზე დაშვებულ შეცდომებს პურის მოსავლის აღებისა და დამზადების საქმეში.

1939 წლის 22 ივნისს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 27 მაისის დადგენილების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწებისა და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საყანე მიწა (გარდა საკარმიდამო მიწისა) დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის განისაზღვრა ნახევარი ჰექტარით, ხოლო აღმოსავლეთისა და აჭარის ზოგიერთი რაიონისათვის — ერთ ჰექტარამდე.

საქართველოს სსრ ყველა რაიონში ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა (იმ მიწის ჩათვლით, რომელიც შენობებს ეჭირა განისაზღვრა 2000 კვ. მეტრით). ერთპიროვნულ მეურნეობათა როგორც საყანე, ისე საკარმიდამო ყველა ზედმეტი მიწა ემატებოდა საკოლმეურნეო მიწებს და უმთავრესად ხმარდებოდა კოლმეურნეობათა მიწის საკარმიდამო ფონდის შევსებას[1].

საკოლმეურნეო მიწების განიავებისაგან დაცვის საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის ივნისის პლენუმმა[2]. დადგენილება გმობდა ასეთ ანტისაკოლმეურნეო და ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას, რომელსაც დეზორგანიზაცია შეჰქონდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში, სახელს

---

[1] „საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებელი", № 9, 1939, გვ. 306.

[2] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1939, № 5, გვ. 2—6.

უტეხდა კოლმეურნეობებს. ამ დადგენილებამ კოლმეურნეობებში აამაღლა შრომისნაყოფიერება, შექმნა მტკიცე დისციპლინა, ახალი ძალით წასწია წინ საკოლმეურნეო მშენებლობა.

დადგენილების შესაბამისად ჩატარდა მიწების ხელახალი აზომვა. გამოირკვა, რომ საქართველოში 135 955 საკოლმეურნეო კომლს ეჭირა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დაწესებულ ნორმაზე მეტი 42 748 ჰექტარი მიწა. 81 180 ერთპიროვნულ მეურნეს და სხვა პირებს, რომლებიც კოლმეურნეობებში არ მუშაობდნენ, აღმოაჩნდათ მეტი მიწა 72 563 ჰექტარის რაოდენობით. კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 115 311 ჰექტარი მიწა[1]. ჩატარდა კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწების ზუსტი გამიჯვნა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისაგან. მოხდა მრავალნაკვეთიანობის ლიკვიდაცია და სხვ.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის დადგენილებით შრომისუნარიანი კოლმეურნეებისათვის დაწესდა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ კოლმეურნეთა ერთი ნაწილი გამოიმუშავებდა რა ძალიან მცირე შრომადღეებს, შემდეგ თავს არიდებდა საკოლმეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება გამიზნული იყო სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წასახალისებლად და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად[2].

1939 წლის სექტემბერში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიამ მიიღო ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. კანონი აწესებდა ახალ საშემოსავლო გადასახადს კოლმეურნეობათა საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ შემოსავალზე და გადასახადისაგან ათავისუფლებდა კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეებით მიღებულ შემოსავალს. აღნიშნული კანონი ხელს უწყობდა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას და შრომისნაყოფიერების ამაღლებას.

საკოლმეურნეო მიწათსარგებლობაში მტკიცე წესრიგის დამყარებამ და თითოეული შრომისუნარიანი კოლმეურნისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესებამ დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის ამაღლებას, კოლმეურნეობათა კიდევ უფრო განმტკიცებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდას.

საკოლმეურნეო წყობილების განვითარების, კოლმეურნეობათა სა-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 27 მაისი.

[2] Н. Шевцов, Коммунистическая партия в борьбе за упрочение и развитие социалистического общества, за постепенный переход к коммунизму (1937 г. июнь 1941 г.), М., 1958, стр. 64.

მეურნეო განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და მათი შესყიდვის წესის გაუმჯობესებას. ეს ახალი წესი ჩამოყალიბებული იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 11 აპრილის დადგენილებაში „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში“[1].

ყველა კოლმეურნეობა ვალდებული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა მასზე მიმაგრებული მიწის ფართობის ყოველი ჰექტარის მიხედვით. ამ დადგენილებით გაუქმდა არსებული წესი, რომლითაც კოლმეურნეთა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება წარმოებდა ამ კულტურების თესვის გეგმის მიხედვით, ახალი კანონი გატარდა 1940 წლიდან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ახალი წესი არა მარტო უზრუნველყოფდა დამზადების სისტემაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, არამედ აძლიერებდა კოლმეურნეობათა ინიციატივას და წარმოადგენდა მძლავრ ბერკეტს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ დადგენილების განხორციელების ღონისძიებანი დასახა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის მაისის პლენუმმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემა მუდამ იდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ყურადღების ცენტრში. ეს გამოწვეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკითაც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის, ციტრუსებისა და მევენახეობის განვითარებას მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ კომუნისტური პარტია ყველა ღონისძიებას იღებდა მათი სწრაფი აღმავლობისათვის.

1940 წლის 25 აპრილს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“[2]. დადგენილებაში აღნიშნული იყო ის სერიოზული წარმატებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის ზრდის დარგში.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1940 წლის 15 აპრილი.

[2] ეურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1940, № 9, გვ. 7 — 20.

ეს დადგენილება 1940 წლის მაისში განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 1940 — 1944 წლებისათვის ციტრუსების, ჩაის, ვენახის, ევკალიპტის ნარგავების, ბამბუკის, კეთილშობილი დაფნისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენების გეგმების შედგენის შესახებ[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ლიმონისა და ფორთოხლის გასაშენებლად გამოსადეგ მიწებზე სხვა მრავალწლოვანი კულტურების გაშენების აკრძალვის შესახებ"[2]. 2 ივნისს საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა დაამტკიცა 1940 — 1944 წლებში ციტრუსოვანი კულტურების განლაგების რაიონობრივი გეგმა და დაისახა ციტრუსოვანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 11 ივნისს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის 1940—1942 წლების გეგმის შესახებ". ამ ღონისძიების მიზანი იყო ჩაის ფოთლის მზარდი მოსავლის გადამუშავების უზრუნველყოფა 1940—1942 წლებში. ამ დადგენილებით დიდად ფართოვდებოდა ჩაის ფაბრიკების ქსელი. ამისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის" კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სამ წელში შეადგენდა 88 730 ათას მანეთს[3].

ციტრუსების დაცვისა და მოსავლიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 26 ივნისს მიიღეს დადგენილება სუბტროპიკულ რაიონებში ქარსაცავი ზოლების მოწყობის შესახებ. დამტკიცდა 1940 — 1943 წლებში ქარსაცავი ზოლების შექმნა 5 300 კილომეტრზე[4].

საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს მეორე მნიშვნელო-

---

[1] სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი), ფ. 2394, საქ. 29, ფურც. 103 — 104.

[2] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", 1940, № 12, გვ. 163.

[3] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", 1940, № 12, გვ. 205 — 215.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. 8, საქ. 10600, ფურც. 24—25.

ვანი დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ[1].

თუ 1930 წელს ხეხილის ნარგავებს ეჭირა 5 500 ჰექტარი, 1940 წელს ხეხილის ბაღების საერთო ფართობმა შეადგინა 16 873 ჰექტარი, მათ შორის კოლმეურნეობებში — 8 212 ჰექტარი. ვენახების ფართობი 1930 წლის 1 023 ჰექტარიდან გაიზარდა 6 042 ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებში — 2 286 ჰექტარამდე.

წლითიწლობით იზრდებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. მოეწყო 13 მტს 666 ტრაქტორით, 114 კომბაინითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები, გაუმჯობესდა კოლმეურნეობათა აგრონომიული მომსახურება.

1940 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხურ მეურნეობათა 92 პროცენტზე მეტი. ამასთან ერთად, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ აღნიშნეს, რომ ქართლის რაიონების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამოყენებული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, რომლებსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მაღალხარისხოვანი ხილითა და მეღვინეობის პროდუქციით მშრომელთა მომარაგების საქმეში.

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა: 1945 წლისათვის ქართლის რაიონებში ხეხილის ნარგავების ფართობის აყვანას 45 ათას ჰექტარამდე, რისთვისაც 1941 — 1945 წლების განმავლობაში უნდა გაშენებულიყო ახალი ხეხილი 28 ათას ჰექტარ ფართობზე. 1945 წლის დამლევისათვის ვენახების ფართობი კოლმეურნეობებში აყვანილი უნდა ყოფილიყო 10 658 ჰექტარამდე, რისთვისაც 1941 — 1945 წლების განმავლობაში შენდებოდა 8 372 ჰექტარი ახალი ვენახები. ასევე დიდდებოდა ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის ფართობები.

დადგენილება ითვალისწინებდა, შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლისა და დამუშავების გაუმჯობესების გზით, 1945 წლისათვის ჰექტარზე ჭარხლის საშუალო მოსავლის აყვანას 300 ცენტნერამდე.

1945 წლისათვის მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა უნდა გაზრდილიყო არა ნაკლებ 13 ცენტნერამდე და სიმინდისა — 20 ცენტნერამდე ჰექტარზე.

სერიოზული ღონისძიებები დაისახა საკოლმეურნეო სოფლის კე-

---

[1] ჟურნ. „ბოლშევიკი", 1940, № 10, გვ. 15—31.

თილმოწყობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და აგროტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ დადგენილების სარეალიზაციოდ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის ნოემბრის პლენუმმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი[1].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების შესრულების საქმეში დიდი როლი შეასრულეს საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. 1940 წლის დეკემბერში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგში სპეციალურად იდგა ამ დადგენილების განხორციელებაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

პლენუმმა კონკრეტული ამოცანები დაუსახა ქართლის რაიონების კომკავშირის რაიკომებსა და პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს. კომკავშირის რაიკომებსა და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებს უნდა მიეღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ გამოევლინებინათ და მხარი დაეჭირათ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივისათვის[2].

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დისციპლინის ამაღლების ამოცანას ემსახურებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 17 ივლისის ბრძანებულება იმ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობდნენ. ამ ბრძანებულებით ტრაქტორისტებზე, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებსა და მათ თანაშემწეებზე და კომბაინერებზე, როგორც მტსის შტატის მუშებზე, მთლიანად ვრცელდებოდა 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება „რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ"[3].

კოლმეურნეობათა მწარმოებლური ძალების ამაღლების ნელი ტემპების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ნაკლოვანებები წლიური ანგარიშების შედგენასა და მოსავლის განაწილების წესში. ხშირად ჭიანურდებოდა მოსავლის განაწილება, ბევრი იხარჯებოდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შენახვაზე და სხვ.

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. VII, საქ. 10488, ფურც. 4—10.
[2] ჟურნ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი", 1940, № 12, გვ. 11—13.
[3] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 29 აგვისტო.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 21 დეკემბერს მიიღეს დადგენილება კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების თავის დროზე შედგენისა და მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

პარტიულ ორგანიზაციებსა და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებოდათ შეესწავლათ ყოველი კოლმეურნეობის საფინანსო წლის შედეგები; განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სასოფლო-სამეურნეო გეგმების შედგენის, შრომის ორგანიზაციის, საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების სწორი დაკომპლექტებისა და გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა თავის დროზე დამტკიცებისათვის[1].

სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო მორწყვის ორგანიზაცია და სარწყავი არხების სისტემის ფართოდ განვითარება. 1941 წლის 10 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის შესახებ. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ისე ენერგეტიკული რესურსების გადიდებისათვის.

სამგორის მიწების მორწყვა ქმნიდა პირობებს მყარი სოფლის მეურნეობისათვის — სამრეწველო მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და პროდუქტიული მეცხოველეობის ფართოდ განვითარებისათვის თბილისის გარეუბნების კოლმეურნეობათა მიწებზე.

ამასთან, მორწყვის შედეგად შესაძლებლობა იქმნებოდა ქართლის მცირემიწიანი რაიონებიდან გლეხების გადასახლებისა სამგორის ველის ახლად ათვისებულ მიწებზე[2].

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღება პირველ რიგში მიქცეული იყო სოფლის მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი და ძირითადი დარგის განვითარებისაკენ, როგორიც არის მეცხოველეობა. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი მესამე ხუთწლედში ამ მიმართულებით იყო 1941 წლის თებერვალში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე"[3].

---

[1] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", 1940, № 2, გვ. 16—20.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 9, საქ. 11432, ფურც. 5—8.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 22 თებერვალი.

მნიშვნელოვანი იყო ღონისძიებებიც, რაც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის და მათ შორის მეაბრეშუმეობის აღმავლობისათვის.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 13 მარტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს შესაბამისი დადგენილება მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის, დასახეს კონკრეტული ამოცანები თუთის პლანტაციების გაშენების დარგში[1].

საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საქმეში ისტორიული გარდატეხის როლი უნდა შეესრულებინა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას „საქართველოს სს რეპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ". ამ დადგენილებით ბოლო ეღებოდა გათანაბრებას კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში, რაც უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა სუბტროპიკული, ტექნიკური, მარცვლეული და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. რჩევა ეძლეოდა კოლმეურნეობებს, რომ 1941 წლიდან ბრიგადებისა და რგოლების წევრებისათვის დამატებით მიეცათ გეგმის ზევით მიღებული (მაჩვენებლების მიხედვით) პროდუქციის ნაწილი[2].

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილების გატარების ღონისძიებანი შეიმუშავა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის აპრილის პლენუმმა[3].

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1941 წლის ივნისში მიიღო კიდევ ერთი საყურადღებო დადგენილება „კოლმეურნეობებში მეცხოველეობისათვის საკვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ", რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი, უფრო სწრაფი განვითარებისათვის[4].

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა აუცილებელი პირობა შექმნეს საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

---

[1] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", 1940, № 17, გვ. 211 — 220.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 19 მარტი.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 9, საქ. 11413.

[4] ვაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 7 ივნისი.

კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის მინიმუმის დაწესებამ და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებაზე გადასვლამ უზრუნველყო საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობის განუხრელი ზრდა და მისი პროდუქტიულობის გაზრდება.

ამრიგად, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები ქმედით ღონისძიებებს ატარებდნენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, რაზმავდნენ კოლმეურნე გლეხობას ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განუხრელად განხორციელებისათვის, რის შედეგადაც საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

§ 4. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა

საზოგადოების საწარმოო ძალთა მძლავრ განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ამაღლებას თან მოჰყვა მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდა.

სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის პირობებში ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება გამოიხატა ეროვნული შემოსავლისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის, კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის ზრდაში, საქონელბრუნვის გაფართოებაში, საბინაო მშენებლობის გაშლაში, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაში.

დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ეროვნული შემოსავალი სსრ კავშირში 1940 წელს 1937 წელთან შედარებით 96,3 მილიარდი მანეთიდან 128,3 მილიარდ მანეთამდე გადიდდა. სახალხო მეურნეობაში ხელფასის ფონდი კი ამ წლებში 1,5-ჯერ გაიზარდა[1]. საცალო საქონელბრუნვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში 126 მილიარდიდან 175 მილიარდ მანეთამდე გადიდდა.

მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის თვალსაჩინო მაჩვენებელს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელფასის დონე, რომელსაც სოციალიზმის პირობებში განსაზღვრავენ არა სტიქიური ფაქტორები, არამედ საწარმოო ძალთა განვითარების მდგომარეობა.

1937 წლის 1 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისა და ტრანსპორტის დაბალხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასის გა-

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია", გვ. 639.

დიდების შესახებ". ხელფასი გაუდიდდათ აგრეთვე რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებს. საერთოდ წლიური საშუალო ხელფასი ერთ მომუშავეზე 1937 წლიდან 1939 წლამდე 3 330 მანეთიდან 3 800 მანეთამდე გაიზარდა. 1937 წელს მუშის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 573 მანეთს შეადგენდა, 1938 წელს კი იგი უკვე 690 მანეთს აღწევდა[1].

1932 — 1940 წლებში მუშის საშუალო წლიური ხელფასი 2,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და შეადგინა 4 023 მანეთი, ხოლო ხელფასის ფონდი გადიდდა თითქმის ხუთჯერ და 1939 წელს შეადგინა 406 მილიონი მანეთი, მაშინ, როდესაც იგი 1932 წელს უდრიდა 82,7 მილიონ მანეთს[2].

1939 წელს მუშის თვიური ბიუჯეტი შეადგენდა 180 მანეთსა და 81 კაპიკს. მუშის ოჯახის შემოსავალში მთავარი ადგილი ეჭირა ოჯახის უფროსის ხელფასს, აგრეთვე სოციალური დაზღვევის გზით მიღებულ დახმარებას, პენსიებს და სხვა შემოსავალს პირადი მეურნეობიდან. მუშის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი თვიურად, 1939 წლის გამოკვლევის მიხედვით, შეადგენდა 179 მანეთსა და 63 კაპიკს[3].

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმმა 1941 წლის აპრილში პროფკავშირების წინაშე მდგარ სხვა ამოცანებთან ერთად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ხელფასის მოწესრიგებას საწარმოებში. აღინიშნა, რომ ხელფასი შრომისნაყოფიერების თანმიმდევრული და სისტემატური ზრდის საფუძველი და მუშათა მატერიალური წახალისების ძირითადი პრინციპი უნდა გახდეს.

მესამე ხუთწლედში სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდა საქართველოს მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, კულტსაყოფაცხოვრებო საგნებზე და ა. შ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო მუშა-მოსამსახურეთა რიგების ზრდა. მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა 1939 წელს 1937 წელთან შედარებით 358,7 ათასი კაციდან 440 ათას კაცამდე გაიზარდა. 1940 წლისათვის კი იგი შეადგენდა 454 ათას კაცს[4].

განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შე-

---

1 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1938, № 2, გვ. 15.

2 «Грузинская ССР за 20 лет», стр. 39.

3 ЦГА НХ СССР, ф. 1562, оп. 195, д. 3, л. 13; მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, მუშის ბიუჯეტის შესახებ, („საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები"), თბ., 1970, გვ. 229 — 230.

4 «Грузинская ССР за 20 лет», стр. 39.

მოსავალი. თუ 1938 წელს საქართველოში 19 იყო მილიონერი კოლმეურნეობა, 1939 წლისათვის უკვე გვქონდა 37 კოლმეურნეობა, რომლებმაც მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს[1]. 1939 წელს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალმა შეადგინა 5 821 021 ცენტნერი, ხოლო ფულადმა შემოსავალმა — 458 059 ათასი მანეთი. 1940 წელს — 524 მილიონი მანეთი, მარცვლეულმა — 3 979 324 ცენტნერი. მესამე ხუთწლედის მესამე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა შრომადღეზე საშუალოდ მიიღეს 2 მან. და 30 კაპ. ფულად, 3,4 კგ მარცვლეული და სხვა პროდუქტები[2].

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით სოციალური და კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნებული 590,4 მილიონი მანეთიდან, რაც დაიხარჯა 1937 წელს, 1939 წელს გაიზარდა 813,6 მილიონ მანეთამდე. აქედან ჯანმრთელობის დაცვაზე დაიხარჯა 204,4 მილიონი მანეთი, ანუ 17,6 პროცენტი და სოციალურ უზრუნველყოფაზე — 63,2 მილიონი მანეთი, ანუ 5,5 პროცენტი.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება დამოკიდებული იყო საქონელბრუნვისა და სახელმწიფო ვაჭრობის გაფართოებაზე. სახელმწიფო ვაჭრობას 1937 წელს უკვე გაბატონებული ადგილი ეკავა საცალო საქონელბრუნვაში, მისი წილი შეადგენდა 67 პროცენტს, გაფართოვდა სავაჭრო ქსელი, გაუმჯობესდა მშრომელთა მომარაგება სურსათ-სანოვაგითა და სამრეწველო საქონლით. 1938 წელს მოსახლეობამ 1937 წელთან შედარებით დაახლოებით 100 მილიონი მანეთით მეტი სამრეწველო საქონელი შეიძინა. პროდუქციის გამოშვება 1938 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა კვების მრეწველობის საწარმოებში — 16,5, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში — 9,5, სარეწაო კოოპერაციაში — 18,4 პროცენტით.

კიდევ უფრო გაფართოვდა საქონელბრუნვა 1939 — 1940 წლებში, 1939 წელს იგი 1937 წელთან შედარებით გადიდდა 2529,6 მილიონი მანეთიდან 3 117,0 მილიონ მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა 25,6 პროცენტით[3]. საცალო ვაჭრობის ბრუნვამ 2 820 მილიონ მანეთს მიაღწია. 1940 წლისათვის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით გაიზარდა 3 325 მილიონ მანეთამდე. საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1940 წელს სახელმწიფოებრივი ვაჭრობის ხაზით შეადგინა 2295 მილიონი მანეთი, ამასთანავე სახელმწიფოებრივი ვაჭრობის წილი საქონელბრუნვაში გაიზარდა 69 პრო-

---

[1] ა. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1935 — 1940 წწ. (ეკონომიკის ინსტ. შრომები, ტ. VIII, 1962, გვ. 123.).

[2] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 11 თებერვალი.

[3] ეურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, № 6, გვ. 16—17.

ცენტამდე. საქონელბრუნვის საერთო რაოდენობიდან ქალაქურ ვაჭრობაზე მოდიოდა 2 361 მილიონი მანეთი, ხოლო სოფლის ვაჭრობაზე — 964 მილიონი მანეთი. სწრაფად ვითარდებოდა საქონელბრუნვა სოფლად. 1937 — 1939 წლებში იგი გადიდდა 703 მილიონი მანეთიდან 1023 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 45,5 პროცენტით. ამასთანავე გაიზარდა სავაჭრო წერტეებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა რაოდენობა[1].

დიდი ყურადღება ექცეოდა საკოლმეურნეო ვაჭრობას, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობასა და კეთილმოწყობას. 1939 წლის 29 ივლისს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ამ საკითხზე სპეციალური დადგენილება: „თბილისში საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სახკომსაბჭომ გაატარა საკოლმეურნეო ბაზრებზე წესრიგის დამყარების ღონისძიებანი და შესაბამის ორგანოებს დაავალა მიეღოთ ზომები საკოლმეურნეო ბაზარზე საკოლმეურნეო ვაჭრობის გასაფართოებლად. ამასთან უნდა უზრუნველეყოთ კოლმეურნეობათა სტაციონარული სავაჭრო ქსელი ხორცით, რძის პროდუქტებითა და ხილ-ბოსტნეულით[2].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დასახეს და გაატარეს რიგი ღონისძიება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, 1939 წლის 3 მარტის დადგენილებით საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს დაევალათ ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა კოოპერაციის მუშაკებისათვის ვაჭრობის კულტურის ამაღლებასა და სოციალისტური სოფლის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებაში[3].

მესამე ხუთწლედში სოფლად მიმდინარეობდა სამომხმარებლო კოოპერაციის გაფართოება. 1938 — 1939 წლებში შეიქმნა 57 ახალი სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოება და 16 რაისამომხმარებლო კავშირი. მარტო 1939 წელს სოფლად დამატებით გაიხსნა 670 სავაჭრო წერტი. სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს 3 ათასზე მეტი მუშაკი. ორი წლის მანძილზე კურსებსა და სკოლებში მომზადდა ვაჭრობის 2500-მდე მუშაკი.

საქონელბრუნვის მაჩვენებლებს თუ ავიღებთ ვაჭრობის სახეობის მიხედვით, დავინახავთ, რომ 1940 წელს საქონელბრუნვა საცალო ვაჭრობის ხაზით შეადგენდა 2 795 მილიონ მანეთს. საქონელბრუნვამ საზოგადოებრივი კვების ხაზით მიაღწია 530 მილიონ მანეთს. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ხვედრითმა წონამ საერთო საქონელბრუნ-

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.“, გვ. 440.

[2] „საქართველოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული“, 1939, № 17, გვ. 286 — 288.

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ან. I, ნაწ. 7, საქ. 9466, ფურც. 116—119.

ვაში შეადგინა 10 პროცენტი. საცალო საქონელბრუნვა 1940 წელს 1928 წელთან შედარებით საქართველოში გაიზარდა 21-ჯერ[1].

1940 წელს რესპუბლიკის საბჭოთა ვაჭრობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 50 ათას კაცს აღემატებოდა, მოქმედებდა სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების 7642 მაღაზია და ფარდული და საზოგადოებრივი კვების — 1812 საწარმო.

საქართველოს მოსახლეობა სავაჭრო ორგანიზაციების რაოდენობის მხრივ უკეთ იყო უზრუნველყოფილი. ასე მაგალითად, მოსახლეობის 10 ათას სულზე საქართველოში მოდიოდა 21 სავაჭრო წერტი, აზერბაიჯანში — 23, სომხეთში — 21, რსფსრ — 21, ბელორუსიაში — 20, მოლდავეთში — 15, ლიტვაში — 14, საშუალოდ სსრ კავშირში — 21. 1940 წელს საქართველოში თითოეული სავაჭრო დაწესებულება მომსახურეობას უწევდა 467 კაცს, აზერბაიჯანში — 426, სომხეთში — 473, რსფსრ— 477, უკრაინაში — 445, ბელორუსიაში — 494, მოლდავეთში — 668, ლიტვაში — 696, ხოლო საშუალოდ სსრ კავშირში — 471 კაცს[2].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ზომებს ღებულობდნენ პირველი მოთხოვნილების საქონლით მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილებისათვის. ამას მოწმობს ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდებისათვის საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 9 იანვრის დადგენილება[3].

სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად წლითიწლობით მატულობდა საკოლმეურნეო ვაჭრობა. ხორცის, კვერცხის, ბაღჩეულის შემოზიდვა 1940 წელს 2-ჯერ აღემატებოდა 1934 წლის მაჩვენებლებს: ფრინველის, ბოსტნეულის, ხილის — 3-ჯერ, ხოლო რძის ნაწარმის, ღვინის, კარტოფილის — 4,5 — 6-ჯერ.

ცეკავშირის სისტემამ დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც საქონელბრუნვის გაფართოების, ისე ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესების დარგში. მეპაიეთა რიცხვი 1940 წელს შეადგენდა 1031 ათას კაცს, სავაჭრო წერტებისა — 3504 ერთეულს, საქონელბრუნვა 1941 წლის პირველ ნახევარში ერთ მილიარდ მანეთს აღემატებოდა[4].

მესამე ხუთწლედში მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო ასიგნებები

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 440.

[2] იქვე, გვ. 440—441.

[3] „საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული", 1941, № 10, გვ. 111—117.

[4] ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1941, № 2, გვ. 63—65.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. 1938 წელს დაიხარჯა 175,3 მილიონი მანეთი. მარტო სამედიცინო პროფილაქტიკური დაწესებულებების დასაფინანსებლად 1938 წელს დაიხარჯა 101,1 მილიონი მანეთი, 1939 წელს — 111,3 მილიონი მანეთი[1]. 1940 წელს ეს ხარჯები შეადგენდა 116,1 მილიონ მანეთს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში დაიხარჯა 73,4 მილიონი მანეთი[2].

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელიც. 1939 წელს საქართველოში მოქმედებდა 280-ზე მეტი სამკურნალო დაწესებულება 11 718 საწოლით. სოფლად მუშაობდა 711 საექიმო პუნქტი (1938 წელს იყო 633 პუნქტი), 1940 წელს — 314 საავადმყოფო, 7,7-ჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ საქართველოში.

ყოველ 10 000 სულ მოსახლეზე მოდიოდა 36 საავადმყოფო, რესპუბლიკაში 1940 წელს მოქმედებდა სულ 1 545 სამკურნალო ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 834 საფერშლო-ამბულატორიული დახმარების დაწესებულება (საფერშლო, საფერშლო-სამეანო და სხვ. პუნქტები)[3].

ჩამოყალიბდა მთელი რიგი სამკურნალო დაწესებულება: ტუბდისპანსერები, მალარიის საწინააღმდეგო სადგურები, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, მუდმივი და სეზონური ბაგები და სხვ.

ბევრ სოფელში სამკურნალო დაწესებულებებისათვის აშენდა ახალი ტიპიური შენობები. არ იყო არც ერთი ისეთი რაიონი, მთიანი რაიონების ჩათვლით, სადაც არ აშენებულიყო რომელიმე სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება.

კაპიტალურ დაბანდებებთან ერთად იზრდებოდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე. თუ რევოლუციამდე ერთ სულზე გაწეული დანახარჯები 35 კაპ. უდრიდა, 1940 წელს მან 65 მანეთი შეადგინა[4].

განუხრელად იზრდებოდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. თუ 1938 წელს საქართველოში მუშაობდა 3 220 ექიმი, 1940 წლისათვის მათმა რიცხვმა 4 858 კაცს მიაღწია. საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა უდრიდა თითქმის 9,5 ათას კაცს[5].

ექიმებით მოსახლეობის უზრუნველყოფით საქართველომ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. ყოველ

---

1 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.", გვ. 446.
2 იქვე, გვ. 446—447.
3 „საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული"), გვ. 173 — 174.
4 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1940, №2, გვ. 29.
5 Достижения Советской власти за 40 лет в цифрах, стр. 305.

10 000 სულ მოსახლეზე 1940 წელს მოდიოდა 12,8 ექიმი და 26,6 საშუალო სამედიცინო პერსონალი.

განხორციელდა ორგანიზებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ[1]. 1938 — 1939 წლებში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე დაიხარჯა 24,5 მილიონი მანეთი, რის შედეგად მალარიით დაავადებულთა რაოდენობა 1937 — 1939 წლებში ერთიორად და კიდევ უფრო მეტად შემცირდა.

გადამჭრელი ზომები მიიღეს საშიშ დაავადებათა წინააღმდეგ. 1939 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის.

დიდი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგებას. 1938 წლის მარტში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის გაფართოებაზე.

დიდ წარმატებებს მიაღწია სამედიცინო მეცნიერებამ. 11 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწარმოებდა ნაყოფიერ მუშაობას და ეძებდა გზებს საბჭოთა მედიცინის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. აღსანიშნავია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 29 იანვრის დადგენილება „ბავშვთა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"[2].

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხერთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1937 წლისათვის აფხაზეთში იყო ტროპიკულ სნეულებათა და ფიზიოთერაპიული ინსტიტუტები, 31 საავადმყოფო 1260 საწოლით, 163 ამბულატორიული ტიპის სამკურნალო, 18 საექიმო პუნქტი და სხვ. რევოლუციამდელი პერიოდის 10 ექიმის ნაცვლად მეორე ხუთწლედის ბოლოს აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში 386 ექიმი მუშაობდა. 1940 წლის დასასრულს საავადმყოფო დაწესებულება იყო 40-მდე და საწოლების რაოდენობამ მიაღწია 1380-მდე[3].

აფხაზეთის კურორტები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყოველთვიურად ემსახურებოდა სსრ კავშირის ათეულ ათასობით მშრომელს.

მეფის ხელისუფლების დროს აჭარის მოსახლეობას სამედიცინო

---

[1] თბილისის საქალაქო არქივი, ფ. 23, № 1, საქ. 40, ფურც. 14—15.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 9, საქ. 1144, ფურც. 5—6.

[3] „აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობა (სტატისტიკური კრებული)", სოხუმი, 1967, გვ. 105, გაზ. „კომუნისტი", 1937 წლის 4 მარტი.

მომსახურებას უწევდა ერთი საავადმყოფო, სამი კერძო აფთიაქი ბათუმში და სამი საექიმო პუნქტი სხვადასხვა რაიონში.

1941 წლისათვის აჭარაში მუშაობდა 102 სამედიცინო დაწესებულება, 12 საავადმყოფო 877 ავადმყოფის და 173 სამშობიარო საწოლით, მუდმივი ბაგები — 1722 ადგილით. მუშაობდა 253 ექიმი, აქედან სოფლად — 172.

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავზე სამხრეთ ოსეთში მუშაობდა 141 სამედიცინო დაწესებულება, 75 ექიმი, 182 საშუალო მედპერსონალი. 1940 წელს ჯანმრთელობის დაცვაზე გამოყოფილი იყო 6 მილიონი მანეთი, რის შედეგადაც ექსპლოატაციაში შევიდა ბავშვთა და ქალთა კონსულტაცია, კურორტი ნაგუთნი, ბავშვთა სანატორიუმი ჯავაში. ომის წინა წელს ოლქის ქალაქებში მუშაობდა სამი საავადმყოფო 310 საწოლით, შვიდი — სოფლად 140 საწოლით, ხუთი — სამშობიარო სახლი, ბაგები და ჩვილ ბავშვთა სახლი — ცხრა, საექიმო უბანი — 26. ოლქში მუშაობდა 68 ექიმი და 180 საშუალო მედპერსონალი.

რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის წლებში გრძელდებოდა ინტენსიური საკურორტო მშენებლობა. რესპუბლიკის ბევრ კურორტს საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა. 1938 — 1939 წლების განმავლობაში კურორტების კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 51 მილიონი მანეთი. სულ ომამდელ ხუთწლედებში — 201 მილიონი მანეთი. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საწოლების რაოდენობა 1939 წელს 14 ათასამდე გაიზარდა. მარტო ამ წელს საქართველოს სანატორიუმებში მკურნალობდა და ისვენებდა 60 539 კაცი. დასასვენებელ სახლებში კი 44 940 კაცი. 1939 წელს საქართველოში მოქმედებდა 130 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, რომლებშიც დაისვენა და იმკურნალა 210 ათასზე მეტმა ავადმყოფმა და დამსვენებელმა, ხოლო 1940 წელს 140 კურორტმა მომსახურება გაუწია ნახევარ მილიონზე მეტ კაცს.

საკავშირო მნიშვნელობის მრავალი კურორტის გარდა, მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების კერებად გადაიქცა ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი.

სახალხო ჯანმრთელობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ნათელი გამოხატულება პოვა დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირებასა და მოსახლეობის ზრდაში. 1940 წელს მოსახლეობის 1000 კაცზე დაბადებულთა რიცხვმა შეადგინა 27,4, გარდაცვალებულთა — 8,8, ე. ი. ბუნებრივი ზრდა ყოველ 1000 სულ მოსახლეზე უდრიდა 18,6-ს[1].

რესპუბლიკაში გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური მომსახუ-

---

[1] „საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატ. კრებული), გვ. 172.

რება. ამ დარგში 1938 — 1939 წლებში დაბანდდა 58 696 ათასი მანეთი, საბინაო და სასტუმროთა მშენებლობაში კი 19 930 ათასი მანეთი.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენდა 16 წყალსადენი, მათ შორის: ფოთში, სტალინირში, ხაშურში, ბორჩალოში, ზესტაფონში, მახარაძეში, მცხეთაში და სხვ. თუ 1913 წელს წყალსადენი ჰქონდა ხუთ ქალაქს, 1940 წელს რესპუბლიკაში უკვე 22 ქალაქს გააჩნდა წყალსადენი. გარდა ამისა, წყალსადენის სიგრძე ამავე პერიოდში გადიდდა 148.6 კილომეტრიდან 613,4 კილომეტრამდე. ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება გაიზარდა 11-ჯერ[1]. ააგეს და ექსპლოატაციაში შევიდა სოფლის მრავალი ახალი წყალსადენი. ორი წლის განმავლობაში აგრეთვე ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 14 ახალი აბანო.

1938 — 1939 წლებში ფართოდ წარმოებდა საბინაო მშენებლობა, მარტო საქალაქო საბჭოებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 27 680 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამასთან „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტების ხაზით ექსპლოატაციაში შევიდა 20 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

1921 წლიდან 1941 წლის იანვრამდე სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ააშენეს 159 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის 1933 — 1937 წლებში — 643 ათასი[2]. მესამე ხუთწლედის სამნახევარი წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ აშენდა 1576 ათასი კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინები, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა და საბინაო კოოპერაციის მიერ — 496 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი[3].

1938 — 1939 წლებში ააშენეს სასტუმროები რესპუბლიკის დედაქალაქში, აგრეთვე სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და თელავში.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ქალაქების კეთილმოწყობა. ქუჩების მოასფალტება და მოკირწყვლა, პარკებისა და ბაღების მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კომუნალურ და საბინაო მშენებლობას თბილისში, გორში, სოხუმში, სტალინირში, ბათუმში, ფოთსა და ქუთაისში.

დიდი მუშაობა გაჩაღდა ქ. თბილისის განაშენიანებისათვის. თბი-

---

[1] „კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, თბ., 1946, გვ. 5.

[2] М. В. Натмеладзе, Н. И. Стуруа, Из истории рабочего класса Грузии, Тб., 1961, стр. 108.

[3] «Советская Грузия по ленинскому пути», стр. 133.

ლისში მრეწველობის ახალი დარგების შექმნამ განაპირობა ქალაქის კეთილმოწყობისათვის გაჩაღებული მუშაობის დაჩქარება. დამთავრდა ტრამვაის მეურნეობის რეკონსტრუქცია. ტრამვაის საექსპლოატაციო ქსელის სიგრძე 1939 წელს 81,9 კილომეტრამდე გაიზარდა. ტრამვაის პარკი 226 ვაგონს ითვლიდა, რომელსაც წლის განმავლობაში 179,9 მლნ მგზავრი გადაჰყავდა. 1937 წელს გაიხსნა ტროლეიბუსების პირველი პარკი. შემდგომ წლებში ახალი რიგის ხაზები აშენდა და მათ 1939 წელს 17,3 მილიონი მგზავრი გადაიყვანეს. ექსპლოატაციაში შევიდა ახალი წყალსადენი, რომლის სიმძლავრე 90 ათას კუბმეტრ წყალს შეადგენდა დღე-ღამეში. 1941 წელს დამთავრდა ნატახტარის მეორე რიგის მშენებლობა, რამაც წყლის მიწოდება ქალაქისათვის წამში 180 ლიტრით გაადიდა[1]. ამ პერიოდისათვის ქალაქს ეძლეოდა 131 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მწყობრში ჩადგა თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. კაპიტალური დაბანდება ელექტრომეურნეობაზე, გარდა თბოელექტროცენტრალის მშენებლობისა, შვიდ მილიონ მანეთს აღემატებოდა.

დიდი სამუშაოები განხორციელდა ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობისათვის და ახალი სანაპირო ქუჩების მშენებლობისათვის. მარტო გზების, ხიდებისა და სანაპირო ქუჩების მშენებლობაზე კაპიტალურმა დაბანდებამ 52 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ორი წლის მანძილზე მოაასფალტეს 62 400 კვ. მეტრი ქუჩის ფართობი და გააშენეს 800 ჰექტარი ახალი მწვანე ნარგავები. მოეწყო საბჭოთა კავშირის გმირთა ახალი მოედანი, იქვე აშენდა ასბინიანი საცხოვრებელი სახლი და სახელმწიფო ცირკის შენობა, ჩელიუსკინელების სახელობის ხიდი. ფუნიკულიორის პლატოზე გაშენდა კულტურისა და დასვენების დიდი პარკი. დამთავრდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და მთავრობის სასახლის მშენებლობა, მოეწყო კომკავშირის ხეივანი, აშენდა ბალნეოლოგიური კურორტი და მრავალი სხვა ნაგებობა.

1938 — 1939 წელს მარტო არსებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტიდან გაცემულ იქნა 22 მილიონი მანეთი. ქალაქის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ბიუჯეტმა 1939 წელს 165 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტმა კი 50 მილიონი მანეთი შეადგინა[2]. თბილისის საბინაო ფონდი 1940 წლის დამდეგისათვის შეადგენდა 4 609 ათას კვ. მეტრს[3].

ქალაქის ინდუსტრიულ განვითარებასთან ერთად გაიზარდა მუშათა

---

[1] „თბილისის ისტორია“ (რედაქტორი — შ. მესხია, აეტორები: შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე), თბ., 1958, გვ. 528 — 529.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1939 წლის 22 სექტემბერი.

[3] „თბილისის ისტორია“, გვ. 528 — 529.

კლასის არა მარტო რაოდენობა, არამედ ამაღლდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონეც. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაშლის შედეგად 1939 წელს თბილისის მცხოვრებთა რიცხვმა 519,9 ათას სულს მიაღწია[1].

სერიოზული მუშაობა ტარდებოდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრების სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის კეთილმოწყობისათვის. სოხუმი გადაიქცა შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად. ორი წლის მანძილზე მარტო ქ. სოხუმის საბინაო კომუნალურ მეურნეობაზე დაიხარჯა 8800 ათასი მანეთი, აიგო ახალი სასტუმრო, სახკომსაბჭოს ადმინისტრაციული სახლი, პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა, რამდენიმე სკოლა, საცხოვრებელი ბინები. დაიწყო სოხუმის მსხვილი ელექტროსადგურის მშენებლობა. ქალაქში აშენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა.

ქ. ბათუმი დაამშვენა განიერმა და სუფთა ქუჩებმა, ზღვის სანაპირო ხეივანმა, შესანიშნავმა სუბტროპიკულმა ნარგავებმა, ახალმა საზოგადოებრივმა და საცხოვრებელმა შენობებმა.

ნავთობგადამმუშავებელი და მანქანათმშენებელი ქარხნებისა და ბევრ სხვა საწარმოთა ექსპლოატაციაში შესვლამ ბათუმი საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს სამრეწველო ცენტრად და საბჭოთა კავშირის მსხვილ საზღვაო ნავსადგურად აქცია. ბათუმში აგრეთვე გაიხსნა ბევრი სასწავლო და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება: შ. რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტი, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მრავალი დაწყებითი და საშუალო სკოლა.

ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — რევოლუციამდე იყო პატარა დაბა ორი ათასი მცხოვრებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქად. ცხინვალში ააგეს ხისგადამმუშავებელი დიდი კომბინატი, ელექტროსადგური და სხვ. გაიხსნა დრამატული თეატრი, კ. ხეთაგუროვის სახელობის პედინსტიტუტი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სკოლები და ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

შეიცვალა საქართველოს სხვა ქალაქების სახეც. ქუთაისი გახდა საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრი. გაიზარდნენ და დამშვენდნენ ქალაქები ფოთი, გორი, ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი, თელავი, ზუგდიდი, მახარაძე, ზესტაფონი, კასპი და სხვ. აქ გაკეთდა მოასფალტებული ქუჩები, კეთილმოწყობილი პარკები, ნათელი საცხოვრებელი სახლები, მრავალრიცხოვანი სკოლები, კლუბები, თეატრები და კინოთეატრები. საბ-

---

[1] „თბილისის ისტორია", გვ. 524.

ჭოთა საქართველოს ქალაქების მოსახლეობა სწრაფად და განუხრელად იზრდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს მთიანეთის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ ცხენით შემოიარა სვანეთი და აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია ზემო სვანეთში გზატკეცილის გაყვანა. მისი თაოსნობითა და ენერგიული ხელშეწყობით 1927 წელს მშენებლებმა სვანეთის მშრომელთა მონაწილეობით ჯვარსა და მესტიას შორის გაიყვანეს სასაპალნე ცხენის სავალი გზა. მაგრამ ეს გზა ვერ უზრუნველყოფდა სვანეთის სწრაფ განვითარებას. ამიტომ ფ. მახარაძის თაოსნობითა და საკავშირო მთავრობის ფინანსური დახმარებით, 1929 წელს დაიწყო ზემო სვანეთის საავტომობილო გზის გაყვანა. მშენებლობაში დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ადგილობრივი მშრომელები. გზის მშენებლობა დამთავრდა 1936 წელს და მესტიაში პირველად შევიდა ავტომობილი.

1934 წლის 21 აგვისტოს მესტიის მახლობლად სახელდახელოდ მომზადებულ მოედანზე პირველად დაეშვა სვანეთში თვითმფრინავი. ერთი წლის შემდეგ ქუთაის-მესტიას შორის გაიხსნა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა, რომლის პირველი რეისი განახორციელა ცნობილმა ქართველმა მფრინავმა, შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირმა შალვა ჭანკოტაძემ.

ამრიგად, ზემო სვანეთი საავტომობილო და საჰაერო გზებით დაუკავშირდა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებს, რამაც ხელი შეუწყო ამ მდიდარი და ულამაზესი კუთხის ყოველმხრივ სწრაფ აღმავლობას.

1921 წლიდან 1940 წლამდე საქართველოს კაპიტალურ დაბანდებათა თანხა კომუნალურ მეურნეობაში უდრიდა 408,2 მილიონ მანეთს[1].

მესამე ხუთწლედის სამნახევარ წელიწადში სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების კაპიტალურმა დაბანდებამ (შესადარი ფასებით) საბინაო მშენებლობაზე (ინდივიდუალური მშენებლობის გარდა) შეადგინა 27,8 მილიონი მანეთი, ხოლო სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, სამეცნიერო, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაზე — 81,9 მილიონი მანეთი[2].

მესამე ხუთწლედში ინტენსიურად ფართოვდებოდა საქართველოს სსრ ტრანსპორტის ყველა სახის მუშაობა, განსაკუთრებით იზრდებოდა სამგზავრო ავტოტრანსპორტის ქსელი.

მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის სა-

---

[1] «Грузинская ССР за 20 лет», стр. 93—94.

[2] „საბჭოთა საქართველოს 40 წელი" (სტატ. კრებული, გვ. 114.

ხელმწიფო ბიუჯეტი. თუ მეორე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა უდრიდა 2875,6 მილიონ მანეთს, მესამე ხუთწლედის მხოლოდ სამი წლის განმავლობაში მან შეადგინა 3 507,5 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვნად გადიდდა საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტიც: 1938 წელს იგი უდრიდა 613,9 მილიონ, 1939 წელს — 684,6 მილიონ, ხოლო 1940 წელს — 728,2 მილიონ მანეთს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მეორე სესიის დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტს შეუერთდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი და ამის შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი საშუალებები მიიღო — 1939 წელს 48 507 ათასი მან. და 1940 წელს — 58 776 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი მესამე ხუთწლიანი გეგმის სამი წლის განმავლობაში შეადგენდა 3 648 987 ათას მანეთს. ამავე წლებში კი ხარჯების მოცულობა 3 507 460 ათას მანეთს. ამრიგად, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი მესამე ხუთწლედში სრულდებოდა შემოსავლის გადამეტებით, რაც წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის აღმავლობის შედეგს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის 1938 — 1940 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3,3 მილიარდი მანეთი[1].

საბჭოთა ქვეყანაში საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები შეადგენდა 1938 — 1940 წლებში 176,3 მილიონ მანეთს, აქედან შრომის ინვალიდებისა და სხვათა პენსიები — 153,3 მილიონ მანეთს და პერსონალური პენსიები — 11,5 მილიონ მანეთს.

ომამდელ წლებში მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაფართოვდა შემნახველ სალაროთა ქსელი, განსაკუთრებით სოფლად. 1938 წელს საქართველოში არსებობდა 336 შემნახველი სალარო (მათ შორის სოფლად 214), 1939 წელს — 473 (სოფლად 339), 1940 წელს — 638 (სოფლად 405).

მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად იზრდებოდა ანაბრების მუდმივი ნაშთი და ანაბრის საშუალო ოდენობა რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში. მაგალითად, 1938 წელს მუდმივი ანაბრების ნაშთი უდრიდა 99,5 მილიონ მან., 1940 წელს — 125 მილიონ მანეთს[2].

სერიოზული მიღწევებით ხასიათდებოდა საქართველოს სახელმწიფო

---

1 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ.", გვ. 445—446.

2 „საბჭოთა საქართველოს 40 წელი" (სტატ. კრებული), გვ. 184.

დაზღვევის მუშაობა. მისი შემოსავალი და ხარჯები თვალსაჩინოდ გაიზარდა გასულ პერიოდთან შედარებით. შემოსავალი დაზღვევის ყველა სახის მიხედვით უდრიდა 1938 წელს 34,7 მილიონ მან., 1939 წელს — 34,9 მილიონ, ხოლო 1940 წელს — 51,7 მილიონ მანეთს. ხარჯები იმავე წლებში შესაბამისად შეადგენდა 27,6 მილიონ, 33,4 მილიონ და 41,2 მილიონ მანეთს[1].

დაძაბული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფო ბევრს აკეთებდა ხალხის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მესამე ხუთწლედში მატერიალური წარმოების აღმავლობის საფუძველზე ფართოდ განვითარდა საბჭოთა ვაჭრობა, ბინათმშენებლობა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, ამაღლდა საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში საბოლოოდ მოისპო უმუშევრობა და სამუშაოთი უზრუნველყვეს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა.

საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად წარმატებით ხორციელდებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ მისი შესრულება სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში შეფერხდა, ქართველმა ხალხმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავისი ძალები წარმართა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

---

[1] „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921 — 1967 წწ.", გვ. 447.

§ 1. სახალხო განათლება

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში განაპირობა არა მხოლოდ ახალი ეკონომიური სისტემისა და ახალი პოლიტიკური წყობილების დამკვიდრება, არამედ ახალი ტიპის კულტურის შექმნაც: სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების თვისებრივად ახალი დონე, ახალი ადამიანის აღზრდა.

საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებამ გამოიწვია თავისი შინაარსით უღრმესი, სოციალური მნიშვნელობით და შედეგებით უდიდესი გადატრიალება ხალხის სულიერ ცხოვრებაში: მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნა რევოლუციური თეორიის საფუძველზე, შეიცვალა მშრომელთა ფართო მასების ფსიქოლოგია, ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება, გამოიზარდა ინტელიგენციის ეროვნული კადრები, განვითარდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ახალი კულტურის განვითარების მატერიალური საფუძველი შექმნა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა მასობრივი უწიგნურობის მოსპობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მშრომელთა კულტურული განვითარება, მათი სულიერი განახლება და აღზრდა. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა“[1].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სამი თვის შემდეგ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 72.

საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი რესპუბლიკის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. დეკრეტის ძალით „ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემის მიზნით" რესპუბლიკაში 14 — 50 წლის ასაკის ყველა მცხოვრები, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვალდებული იყო შეესწავლა იგი წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საგანგებო კომისიის მიერ გახსნილ სკოლებში. განათლების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს უფლება ეძლეოდათ შრომის ბეგარის წესით წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად გამოეყენებინათ ყველა ნასწავლი ადამიანი და მისი შრომა აენაზღაურებინათ განათლების მუშაკთა ხელფასის ნორმებით. უწიგნურობის წინააღმდეგ ფართოდ იყენებდნენ პარტიულ და კომკავშირულ უჯრედებს, პროფესიულ კავშირებს, ქალთა შორის მომუშავე კომისიებსა და სხვ. წერა-კითხვის შემსწავლელებს სამუშაო დრო უმცირდებოდათ ორი საათით, სრული ხელფასის შენარჩუნებით[1].

საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო საზოგადოებრივი კომიტეტი მ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. აბაშელი, გ. ახვლედიანი, ს. ბუაჩიძე, ს. თოდრია, მარიამ ორახელაშვილი, ლ. სუხიშვილი, მ. ტოროშელიძე, აგრეთვე სახელმწიფო და კულტურის სხვა მოღვაწენი. წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მიზნით მობილიზებული იყო კულტურისა და განათლების დარგის 6000 მუშაკი, 5000 აგრონომი, ექიმი, 5000 კომკავშირელი, ნებაყოფლობითი საზოგადოებათა აქტივისტები[2].

საყოველთაო წიგნიერებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა წერა-კითხვის სალიკვიდაციო საზოგადოება „წერკუმსმა", რომელიც ნებაყოფლობით საწყისებზე ჩამოყალიბდა 1921 წელს საზოგადოებრივ, სამეურნეო, პროფკავშირულ, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან. 1926 წლიდან მას ეწოდებოდა საზოგადოება „წერა-კითხვა". მან მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მცირემცოდნეთათვის, აგრეთვე კლუბები, სახალხო სახლები, ბიბლიოთეკები და ქოხსამკითხველოები. უშვებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების სახელმძღვანელოებს და პოპულარულ ლიტერატურას მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის.

---

[1] «Борьба за упрочение Советской власти в Грузии» (Сборник документов и материалов), Тб., 1959, стр. 501—502.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3159, ფურც. 311.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას არაქართველი ეროვნებებით დასახლებულ რაიონებში, სადაც უწიგნურთა რიცხვი მეტად დიდი იყო, განსაკუთრებით ქალთა შორის. აზერბაიჯანელ, ქურთ, ბერძენ, ოს მოსახლეთათვის სპეციალურად მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ფართოდ გაიშალა წერა-კითხვის ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება საწარმოებში, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 1921—1930 წლებში საქართველოში წერა-კითხვა შეისწავლა დაახლოებით ნახევარმა მილიონმა კაცმა[1], რამდენიმე ათეულმა ათასმა ქალმა და მამაკაცმა დაამთავრა მცირემცოდნეთა სკოლა. 1932 წლის 30 აპრილს თბილისი გამოცხადდა წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეთა ქალაქად[2]. მომდევნო წლებში რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად მოისპო.

საბჭოთა ხელისუფლების არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო განათლებისა და აღზრდის ახალი, სოციალისტური სისტემის შექმნა. ვ. ი. ლენინს სახალხო განათლების საქმე მიაჩნდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის უკვე პირველსავე წლებში ამ სარბიელზეც უმოკლეს ისტორიულ ვადაში მიაღწია უდიდეს წარმატებებს. შენდებოდა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო სკოლა, მუშავდებოდა ახალი სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები. დიდი მუშაობა გასწიეს განათლების ახალი კადრების მომზადებისათვის. განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები სკოლების მატერიალური და სასწავლო ბაზის გასაუმჯობესებლად, ფართო ფრონტით წარმოებდა სასკოლო მშენებლობა.

სასკოლო განათლების დარგში საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას საფუძვლად დაედო პარტიის საპროგრამო მოთხოვნები, ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოცხადებული დიადი იდეები.

საქართველოს რევკომის ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო 1921 წლის 15 აპრილისა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული დეკრეტით აიკრძალა რელიგიურ მოძღვრებათა სწავლება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ, აგრეთვე კერძო სკოლაში, სადაც ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნები[3]. რევკომის სხვა დეკრეტით „სასწავლო აღმზრდე-

---

[1] უ. ობოლაძე, საახლხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1961, გვ. 67.

[2] ი. ჭანტურია, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1956, გვ. 307.

[3] «Борьба за упрочение Советской власти в Грузии», стр. 499.

ლობითი მუშაობის გარდასაქმნელად, მის გასაერთიანებლად და გასაახლებლად ახალი პედაგოგიკისა და სოციალიზმის საფუძველზე", ყველა დაწყებითი, დაბალი, საშუალო სკოლა, ყველა ტიპის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო, ღია და დახურული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, აგრეთვე სკოლამდელთა აღზრდისა და სკოლისგარეშე განათლების დაწესებულებანი გადავიდა განათლების სახალხო კომისარიატის განმგებლობაში.

ყველა ტიპის სკოლაში დაწესდა სავალდებულო სწავლება მშობლიურ ენაზე.

ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს მოსახლეობის განათლების დარგში საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა რუსეთის იმპერიაში. ეს აიხსნება ქართველი ხალხის ძველი კულტურით, მოსახლეობის ლტოლვით განათლებისაკენ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მოღვაწეობით. მაგრამ რევოლუციამდელ საქართველოში სახალხო განათლება საერთოდ დაბალ დონეზე იდგა, რადგან მეფის მთავრობა დევნიდა დედაენაზე სწავლებას, მოსახლეობის ნახევარზე მეტი უწიგნური იყო. ყოველ ათი ათას მცხოვრებზე მოდიოდა სამ მასწავლებელზე ნაკლები. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდას. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით უკვე 1921 — 1922 წლებში სასკოლო ქსელი გადიდდა 103 ერთეულით, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა — 18 პროცენტით[1].

სასკოლო ქსელი განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპით იზრდებოდა ავტონომიურ რესპუბლიკებში, მაღალმთიანი და არაქართველი მოსახლეობის რაიონებში, სადაც რევოლუციამდელ პერიოდში სასკოლო განათლება ძალზე ჩამორჩენილი იყო. მთელ სამხრეთ ოსეთში, მაგალითად, არ იყო არც ერთი საშუალო სკოლა, არსებობდა 23 სამრევლო სკოლა, რომლებშიც ირიცხებოდა მხოლოდ 1812 მოსწავლე[2]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარის სკოლებში სწავლობდა მხოლოდ 787 აჭარელი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ირიცხებოდა დაწყებით სკოლებში. 1878 წლიდან 1918 წლამდე ბათუმის გიმნაზია დაამთავრა მხოლოდ ხუთმა აჭარელმა[3]. უკეთესი მდგომარეობა არც აფხაზეთში იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი უწიგნური იყო. აფხაზეთში არსებობდა მხოლოდ

---

1 ი. ჭ ა ნ ტ უ რ ი ა, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, ვვ. 33.

2 ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1961, № 1.

3 იქვე, 1957, № 11.

ერთი საშუალო სკოლა და მასაც არ ჰქონდა სიმწიფის ატესტატის გაცემის უფლება[1].

უკვე პირველსავე საბჭოურ სასწავლო წელს (1921 — 22 წწ.) სამხრეთ ოსეთში დაარსდა — 22, აჭარაში — 80, აფხაზეთში — 177 ახალი სკოლა. იმავე პერიოდში საქართველოს მაღალმთიან რაიონებში გაიხსნა 12 საშუალო სკოლა[2]. თუ რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით მთლიანად საქართველოში 1921 — 22 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 33 პროცენტით, აფხაზეთში იგი გადიდდა 68, ხოლო სამხრეთ ოსეთში 345 პროცენტით[3].

1923 წლის 28 იანვარს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიამ, ხოლო იმავე წლის სექტემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილეს საკითხი სახალხო განათლების მდგომარეობისა და განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საერთო ამოცანების შესაბამისად შეიქმნა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფტექნიკური განათლების ერთიანი სისტემა. დასახეს და განახორციელეს რიგი ღონისძიება სკოლების მატერიალური და სასწავლო ბაზის გასაუმჯობესებლად, შეიქმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს სერიოზული ყურადღება დაუთმო საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1924 წლის მაისში. ყრილობამ აღნიშნა სახალხო განათლების არასაკმაოდ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სოფლად, სასკოლო ქსელის, აგრეთვე მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა და დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჯერ კიდევ 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა პირველი მუშათა ფაკულტეტი, რომელიც მუშა ახალგაზრდობას ამზადებდა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. საქართველოს კომუნისტური პარტიის III ყრილობაზე გ. ორჯონიკიძემ თქვა: „მენშევიკების დროს არავინ არ ფიქრობდა მუშათა ფაკულტეტების შესახებ, ახლა კი ჩვენთან 1712 კაცი სწავლობს ამ ფაკულტეტზე“[4].

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ პედაგოგიური კადრების მომზადებას, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, პროფესიული დაოსტატების

---

[1] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1957, № 11.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 202.

სრულყოფას და მატერიალურ უზრუნველყოფას. უკვე 1921—22 სასწავლო წელს დაარსდა 9 პედაგოგიური ტექნიკუმი (თბილისში, გორში, ხონში, ბოდბეში, ცხინვალში, ახალსენაკში, ზესტაფონში, ოზურგეთსა და ჯიხაიშში)[1].

1933 წლამდე ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო სპეციალური სკოლების მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1934 წელს თბილისში, გორსა და ბათუმში დაარსდა სამასწავლებლო ინსტიტუტები, რომლებიც შემდგომ გადაკეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტებად.

მასწავლებელთა იდეურ პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის პარტიის მზრუნველობაზე მეტყველებდა საქართველოს კპ III ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „კულტურის განვითარება, რაც ახლა ქართული სინამდვილის საყოველთაოდ აღიარებულ მოვლენად იქცა, უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ იგი ემსახურებოდეს მუშათა კლასისა და გლეხთა უფართოესი მასების უშუალო ინტერესებს და მოთხოვნებს. ამ მიზნით პარტიამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ თავის გავლენას დაუმორჩილოს სკოლა და მასწავლებელთა კადრები, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლობა"[2].

1925 წლის იანვარში გაიმართა საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა პედაგოგთა დასარაზმავად კომუნისტური პარტიის გარშემო. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ისინი პარტიის ერთგული თანაშემწენი იყვნენ მასებში კომუნიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მასწავლებელთა მეორე ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1931 წლის მარტში. ყრილობაზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. მამულია, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და სხვა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი დიადი მიღწევაა საყოველთაოსავალდებულო სწავლების განხორციელება. ახასიათებდა რა სავალდებულო სწავლებას, როგორც უმნიშვნელოვანეს სახალხო საქმეს, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1903 წელს წერდა: „მხოლოდ ყ ვ ე ლ ა ბ ა ვ შ ვ ი ს

---

[1] მ. ს ი მ ო ნ ი ა, პედაგოგიური განათლება საქართველოში 1921—1941 წწ. თბ., 1957, გვ. 42.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 976, ფურც. 547.

უფასო და სავალდებულო სწავლება იხსნის ხალხს, ნაწილობრივ მაინც, დღევანდელი სიბნელისაგან"[1].

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იდგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი გახდა სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი ზრდის, სოციალისტურ რელსებზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგად.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 აგვისტოს დადგენილება ითვალისწინებდა 8,9 და 10 წლის ასაკის ბავშვთა და 11 — 15 წლის მოზარდთა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1930 — 1934 წლებში. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების რესპუბლიკური კომიტეტი. ანალოგიური კომიტეტები მუშაობდნენ აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. სასოფლო საბჭოებთან დაარსდა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების ხელშემწყობი კომისიები.

1930 — 1932 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თოთხმეტჯერ განიხილა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხი. მნიშვნელოვან წარმატებებთან ერთად ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანიც: ასაკგადაცილებულთა არადამაკმაყოფილებელი ჩაბმა სწავლებაში, არაქართული ეროვნებებით დასახლებულ რაიონებში სკოლების არასაკმაო უზრუნველყოფა მასწავლებელთა კადრებით, სუსტი მეთოდური ხელმძღვანელობა, სასკოლო მშენებლობის ჩამორჩენა ბევრ რაიონში და სხვ.

1931 წლის თებერვალში საყოველთაო სწავლების განხორციელების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების VI ყრილობამ. მან დასახა ღონისძიებანი რესურსების მობილიზაციისათვის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად, ასაკგადაცილებულთა სწავლებაში ჩასაბმელად და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებლად.

მაგრამ სასკოლო მშენებლობის დარგში კვლავ რჩებოდა სერიოზული ნაკლოვანებანი. მათ შორის მთავარი იყო ის, რომ სკოლის მუშაობის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 500.

შინაარსი, სწავლისა და აღზრდის სისტემა ვერ უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების საკმაო სიღრმით მიღებას, მეცნიერების საფუძვლების სათანადო დაუფლებას. დაწყებით და საშუალო სკოლებში ინერგებოდა ეგრეთ წოდებული „ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდი“ და „კომპლექსური სისტემა“, რის შედეგადაც მთელი სასწავლო პროცესი თავდაყირა იქნა დაყენებული: პედაგოგის როლი შეზღუდული იყო, სისტემატური მეცადინეობა შეცვალა ცალკეულმა „სოციალისტურმა დავალებებმა“, ბავშვთა საწარმოო შრომა დაუმორჩილდა უმთავრესად სამეურნეო და არა სასწავლო-აღმზრდელობით მიზნებს.

საქართველოს მოწინავე მასწავლებლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ენერგიულად იბრძოდნენ სწავლების „კომპლექსური“ და „ლაბორატორიულ-ბრიგადული“ მეთოდის წინააღმდეგ. მათ მიაჩნდათ, რომ ეს სისტემა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებდა მოსწავლეთა მიერ მათემატიკის, მშობლიური და რუსული ენების, ლიტერატურისა და სხვა წამყვანი საგნების ათვისებაზე[1].

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებამ „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ“. ამ პარტიულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ დაწყებით და საშუალო სკოლაში სასწავლო მუშაობის ძირითადი ფორმა უნდა იყოს გაკვეთილი მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფში, მტკიცე სასწავლო ცხრილით. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაგმო სწავლების ეგრეთ წოდებული „ლაბორატორიულ-ბრიგადული“ მეთოდი, მოითხოვა, რომ მოსწავლეებს მიეღოთ მეცნიერების საფუძვლების სისტემატიზებული ცოდნა, პარტიულ ორგანიზაციებს და სახალხო განათლების ორგანოებს დაავალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის არსებითად გაუმჯობესება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ და რესპუბლიკის მთავრობამ აქტიური მუშაობა გააჩაღეს სახალხო განათლების სისტემის სრულყოფისათვის. 1932 წლის პირველი იანვრიდან რესპუბლიკის სკოლებში სწავლება უკვე მიმდინარეობდა ახალი, გადამუშავებული პროგრამების მიხედვით. შემუშავდა სასკოლო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი. სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაში აქტიურად ჩაებნენ მაღალკვალიფიციური ავტორები, მეცნიერები, მოწინავე, გამოცდილი პედაგოგები, მწერლები.

სკოლებში სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის

---

[1] ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1957, № 12, გვ. 33.

დადგენილების საფუძველზე გადამუშავდა დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამები, სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა.

სასკოლო განათლების საბჭოურ სისტემაში ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულმა ენამ და ლიტერატურამ. მდიდარ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, ლიტერატურის გაკვეთილებს მიეცა რევოლუციური შინაარსი, ხოლო ლიტერატურულ მოვლენებს — მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიურ საფუძველზე ახსნა. შემუშავდა ქართული ენისა და ლიტერატურის სრულყოფილი პროგრამები, სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები.

სერიოზული წარმატებები მოიპოვეს რუსული ენის სწავლებაში.

გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები, რუსული ენის სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის.

რუსული ენის მასწავლებლებით სკოლების უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვნად გადიდდა მისაღებთა კონტინგენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, აგრეთვე რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

არანაკლები ყურადღება ეთმობოდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, უცხო ენებისა და სხვა საგნების სწავლებას.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი სპორტული სკოლა თბილისში დაარსდა 1934 წელს. რესპუბლიკის სკოლებში ფართოდ ვითარდებოდა სპორტის მრავალი სახე.

საქართველოს, ისე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, სასკოლო ცხოვრებაში ახალ ეტაპს წარმოადგენდა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 15 მაისის დადგენილება დაწყებითი და საშუალო სკოლის სტრუქტურის შესახებ. ამ დადგენილებით შეიქმნა სკოლის ძირითადი ტიპები: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო. გაუქმდა სკოლების დაყოფა კონცენტრებად, ჯგუფებმა მიიღეს კლასების სახელწოდება. საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედები და საკოლმეურნეო ახალგაზრდობის სკოლები გადაკეთდა ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო შვიდწლიან სკოლებად.

სამამულო ომის წინ საქართველოში უკვე განხორციელებული იყო საყოველთაო სავალდებულო სწავლება შვიდწლიანი სკოლის ფარგლებში.

საქართველოს საბჭოთა სკოლის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეებმა მარიამ ორახელაშვილმა, ე. ბედიამ, კ. ჭკუასელმა, გ. კიკნაძემ, გ. თავზიშვილმა, დ. ლორთქიფანიძემ, შ. სიხარულიძემ, მ. ზანდუკელმა, დ. ყიფშიძემ, კ. ქაცარავამ, გ. გოგუაძემ, თ. ჭუმბურიძემ, ა. ხარაბაძემ, ლ. ციხის-

თავმა, მ. ლომინაძემ, ნ. სმოლნიაკოვამ, ვ. ხუროძემ, ვ. ჯაფარიძემ, ვ. ძიძიგურმა, ტ. ტყემალაძემ, დ. პარკაძემ, ნ. ბოცვაძემ, ე. ბურჭულაძემ, ვ. ქობულიამ, მ. თაქთაქიშვილმა, ს. იაშვილმა, მ. ბურჭულაძემ, აგრეთვე ბევრმა მოწინავე სახალხო მასწავლებელმა.

საბჭოურმა წყობილებამ წარმოქმნა ახალი ინტელიგენცია — ხალხის ორგანული ნაწილი, რომელიც მთელი არსებით, თავდადებით ემსახურება კომუნიზმის დიად იდეალებს.

ახალი, სახალხო ინტელიგენციის აღზრდა შეიძლებოდა პირველ ყოვლისა მუშათა და გლეხთა წიაღიდან სახალხო მეურნეობის, ტექნიკის, კულტურის ყველა დარგის სპეციალისტების ფართოდ მომზადებით. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომლის გახსნა მრავალი წლის შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლებმა შეძლეს 1918 წლის 26 იანვარს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაიქცა რესპუბლიკაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ყველაზე მსხვილ და წამყვან ცენტრად. წლითიწლობით იხსნებოდა ახალი ფაკულტეტები, კათედრები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, კაბინეტები, ლაბორატორიები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოიქმნენ მეცნიერულ-ტექნიკური ძალების, სახალხო ინტელიგენციის კადრების მომზადების მძლავრი კერები.

1922 წელს უნივერსიტეტთან დაარსდა პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებით: სამშენებლო, მექანიკური და სამთო. პოლიტექნიკური ფაკულტეტის პირველი გამოშვება 1928 წელს შეადგენდა სულ 10 ინჟინერს.

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ პარტიამ დასახა ამოცანა: უმოკლეს ვადაში გარდაგვექმნა ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარულიდან — მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. ამისათვის საჭირო იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადება. პირველი ხუთწლედის შესრულება მოითხოვდა მრეწველობის უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური ინჟინრებითა და ტექნიკოსებით.

ამ ამოცანის შესაბამისად 1928 წელს უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი გადაკეთდა ინსტიტუტად. საქართველოში პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრების მომზადებისა და რესპუბლიკაში ტექნიკური მეცნიერების განვითარებისათვის. ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდანვე მის საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ა. რაზმაძე, ნ. მუს-

ხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. თვალჭრელიძე, ა. ჯანელიძე, ა. დიდებულიძე, ა. ბენაშვილი, ბ. ჭიჭინაძე და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერები.

ინჟინერ-ტექნიკოსების კვალიფიციური კადრების მომზადებასთან ერთად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერულმა ძალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების თითქმის ყველა პრობლემის გადაჭრაში. მათ შექმნეს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურა და სახელმძღვანელოები სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის, მეტალურგიული, ქიმიური, სამთამადნო, ენერგეტიკული, მანქანათსაშენებელი მრეწველობის დარგში.

სპეციალისტებით სწრაფად მზარდი თანამედროვე მსხვილი მრეწველობის უზრუნველყოფასთან ერთად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებები და რესპუბლიკის მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების, სოფლის მეურნეობაში უახლესი ტექნიკისა და აგრონომიული მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვის ინტერესები პირველი რიგის ამოცანად სახავდა სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

1929 წლის ნოემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო აგრონომიული ფაკულტეტი და მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ხუთი ფაკულტეტით: მევენახეობის, მევენახეობისა და მებაღეობის, ზოოტექნიკური, სატყეო, კოლექტიური მიწათმოქმედების.

შემდგომში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ჩაის მრეწველობის, მევენახეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის, მცენარეთა დაცვის, მემინდვრეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, მეცხოველეობის, აგრეთვე მეთამბაქოეობის, მემინდვრეობის, მევენახეობის, მებაღეობის საცდელი სადგურები.

1930 წლიდან მაღალკვალიფიციური ეროვნული სამედიცინო კადრების მომზადება დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა, რომელიც წარმოიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე.

ძირითადად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მიერ აღზრდილი კადრებით დაკომპლექტდა რესპუბლიკის ყველა 25 სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, აგრეთვე თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც 1935 წელს დაარსდა.

საქართველოს კომუნისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა

დიდ ყურადღებას უთმობდნენ აგრეთვე შემოქმედებითი ინტელიგენციის კადრების მომზადებას..

უკვე 1921 წელს თბილისში გაიხსნა 5 ახალი მუსიკალური სასწავლებელი[1]. 1922 წლიდან მუშა და გლეხმა ახალგაზრდობამ შესაძლებლობა მიიღო მუსიკალურ განათლებას დაუფლებოდა საქართველოს პირველ და მეორე კონსერვატორიებში, სადაც სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი. კონსერვატორიებთან მოეწყო მუსიკალური მუშათა ფაკულტეტები. 1924 წელს, როცა რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა პირველი და მეორე კონსერვატორიების გაერთიანება, თბილისის კონსერვატორიის დირექტორად მიწვეულ იქნა კომპოზიტორი მ. ი. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხის შემოქმედებითი თანამშრომლობის განვითარებაში.

მუსიკალურ-ვოკალური კადრების მომზადების კერას წარმოადგენდა თბილისის საოპერო სტუდია, რომელიც შეიქმნა 1924 წელს რეჟისორების აკაკი ფაღავას, კოტე მარჯანიშვილისა და დირიჟორ ივანე ფალიაშვილის აქტიური მონაწილეობით.

სახვითი ხელოვნების ეროვნული კადრების მომზადებას საფუძველი დაუდო ქართველი ხალხის ისტორიაში პირველმა უმაღლესმა სამხატვრო სასწავლებელმა — თბილისის სამხატვრო აკადემიამ, რომელიც გაიხსნა 1922 წლის მაისში. მისი დამაარსებლები და პირველი პედაგოგები იყვნენ სახვითი ხელოვნების ღვაწლმოსილი ოსტატები გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, მ. თოიძე, ა. მრევლიშვილი, ე. ლანსერე, ი. შარლემანი, ა. ციმაკურიძე, დ. კაკაბაძე, ნ. კანდელაკი და სხვ. იმავე წელს გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის თაოსნობით დაარსდა სახალხო სამხატვრო სტუდია, ხოლო შემდგომ წლებში — სამხატვრო სასწავლებლები თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში გრაფიკის, ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებებით. თბილისის სამხატვრო აკადემიისა და ზემოჩამოთვლილი სამხატვრო სასწავლებლების მიერ აღზრდილი კადრები წარმოადგენდნენ საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნების ძირითად ბირთვს.

1931 წელს თბილისში შეიქმნა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც რესპუბლიკაში ფიზკულტურის განვითარების მეთოდური ცენტრი გახდა. მზარდი ფიზკულტურული მოძრაობის კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით 1936 წელს თბილისისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან, ხოლო ორი წლის შემდეგ თბი-

---

[1] საბჭოთა საქართველოს თეატრალური ხელოვნება. ღირსშესანიშნავი თარიღები", თბ., 1946, გვ. 7.

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. 1936 წელს თბილისში დაარსდა ფიზკულტურის ტექნიკუმი. ხოლო ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში — სპორტული სკოლები.

ომამდელი ხუთწლედების პერიოდში საქართველოში ფართო გასაქანი პოვა საშუალო სპეციალურმა განათლებამ. 1928 — 1932 წლებში საქართველოს სპეციალურმა საშუალო სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გამოუშვეს 12 215 კაცი[1], მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგების სპეციალისტები, აგროტექნიკოსები, ზოოტექნიკოსები, პედაგოგები, მედიცინის მუშაკები. შემდგომ წლებში საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება ერთიორად გაიზარდა. საშუალო სპეციალური სასწავლებლები უზრუნველყვეს ჯეროვანი სასწავლო-მატერიალური ბაზით. ტექნიკუმებთან მოეწყო სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები და მსხვილი მეურნეობები.

ამრიგად, საბჭოთა წყობილებამ საქართველოში ყველა პირობა შექმნა მშრომელთა ფართო მასების კულტურული განვითარებისათვის (საყოველთაო სწავლება, უწიგნურობის მოსპობა, მასობრივი საშუალო-სპეციალური განათლება და ა. შ.). ფართოდ გაიშალა სასკოლო მშენებლობა, პედაგოგიური კადრების მომზადება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა. საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ წარმატებებთან განუყრელადაა დაკავშირებული ეროვნული ინტელიგენციის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

§ 2. მეცნიერება

საქართველოში მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უზრუნველყო ყველა პირობა მეცნიერების განვითარებისათვის. რესპუბლიკაში შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი. უკვე 1922 წელს დაარსდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლებიც უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემების დამუშავებასთან ერთად ამზადებდნენ ახალგაზრდა მეცნიერულ კადრებს.

საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — ამავე დროს იყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურის განვითარებაში.

შესანიშნავი ქართველი მეცნიერების ანდრია რაზმაძის, ნიკოლოზ

[1] „საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული)", გვ. 43.

მუსხელიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის ინტენსიური მოღვაწეობის შედეგად საქართველოში შეიქმნა მძლავრი მათემატიკური სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათემატიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში.

სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა ახალი მიმართულება შექმნა მათემატიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგში — დრეკადობის თეორიაში. მისი გამოკვლევათა შედეგები, თავმოყრილი მონოგრაფიებში, მრავალჯერ გამოიცა ჩვენში და საზღვარგარეთ.

ნ. მუსხელიშვილის თაოსნობით 1933 წელს თბილისში დაარსდა მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც ა. რაზმაძის სახელს ატარებს.

ძირითადი პროფესიით ინჟინერ-მეტალურგი გიორგი ნიკოლაძე (1888—1931 წწ.), იყო შესანიშნავი გეომეტრი. 1928 წელს მან პარიზში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ალგებრული გეომეტრიის პრობლემებზე. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა საცდელი ელექტრომეტალურგიული ქარხანა. ამ ქარხანა-ლაბორატორიაში დაგროვილი მეცნიერულ-ტექნიკური მონაცემები საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი მსხვილი მეტალურგიული საწარმოს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აშენებას.

მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ი. ვეკუამ, ვ. კუპრაძემ, ლ. გოკიელმა, შ. მიქელაძემ, დ. დოლიძემ, ვ. ჭელიძემ და სხვა ქართველმა მეცნიერებმა.

ფიზიკის მეცნიერებაში გამოკვლევები ძირითადად წარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვალსაჩინო მეცნიერი ალექსანდრე დიდებულიძე. შემდგომ წლებში, როცა წამოიზარდნენ ქართველ ფიზიკოსთა ახალი კადრები, მუშაობა გაჩაღდა თანამედროვე ფიზიკის თითქმის ყველა მიმართულებით. ქართულ ენაზე გამოიცა ფიზიკის სახელმძღვანელოები, ჯერ თარგმნილი, ხოლო შემდეგ ორიგინალური.

1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შეიქმნა ახალი კათედრები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, კაბინეტები და სახელოსნოები, რომლებიც აღჭურვილ იქნენ უახლესი მოწყობილობებით. იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაოდ მოწვეულ იქნა ლენინგრადის გეომაგნიტიზმის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. რ. ხუციშვილი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა თეორიული ფიზიკის დარგში.

1933 წელს შეიქმნა გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისის მაგნიტური ობსერვატორია, რომელიც უძველესთაგანია მსოფლიოში, შევიდა მაგნიტურ ობსერვატორიათა მსოფლიო ქსელში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ინტენსიურად

განვითარდა ასტრონომია. მეცნიერების ამ დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან გულმოდგინედ მუშაობდა პროფესორი ალექსანდრე ბენაშვილი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ასტრონომიული აზროვნების განვითარებას და ასტრონომიული ტერმინოლოგიის შექმნას.

1932 წელს მთა ყანობილზე, ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე დაარსდა სსრ კავშირში და ევროპაში პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელიც აღჭურვილ იქნა თანამედროვე დასამზერი ტელესკოპებით და სხვ. მოწყობილობებით.

ქიმიის მეცნიერების დარგში კადრების მომზადებისა და კვლევის მუშაობის დაწყებისათვის ნიადაგი მოამზადეს სახელოვანმა ქართველმა მეცნიერებმა ვასილ პეტრიაშვილმა და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და მისმა პირველმა რექტორმა პ. მელიქიშვილმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე 70 წლის ღვაწლმოსილი მეცნიერი დაუშრეტელი ენერგიით ჩადგა ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში, მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ქიმიის კათედრები და ლაბორატორიები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში[1].

პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქიმიურ მეცნიერებათა დარგში ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პროფესორები ი. მოსეშვილი, ნ. ციციშვილი, მ. ბექაია, ა. ნიკოლაძე, ვ. კაკაბაძე და სხვ.

ქიმიის დარგში მეცნიერული მუშაობის შემდგომ განვითარებასა და კადრების მომზადებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს ქიმიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც 1929 წელს დაარსდა. რიგი წლების განმავლობაში ინსტიტუტის დირექტორი იყო აკადემიკოსი ლ. ვ. პისარჟევსკი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ფართო მუშაობა გაიშალა რესპუბლიკაში ქიმიის მეცნიერების განვითარებისათვის.

საბჭოთა საქართველოში ენერგეტიკის პრობლემათა გადაჭრასა და ინჟინერ-ენერგეტიკოსთა კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფესორმა ბ. ჭიჭინაძემ.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერების ა. ჯანელიძისა და ა. თვალჭრელიძის მიერ შექმნილმა ქართულმა გეოლოგიურმა სკოლამ გეოლოგიური მეცნიერება გაამდიდრა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნე-

---

[1] Н. С. Цицишвили, П. И. Старосельский, Жизнь и деятельность Петра Григорьевича Меликишвили, Тб., 1955, стр. 83.

ლობის მონაცემებით. 1925 წელს ა. ჯანელიძის, ა. თვალჭრელიძისა და კ. გაბუნიას თაოსნობით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის გ. ორჯონიკიძის მტკიცე მხარდაჭერის მეოხებით, დაარსდა საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი, რომელმაც კვლევით მუშაობაში მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

1924 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ხოლო უნივერსიტეტის სისტემაში — კარტოგრაფიული ინსტიტუტი. გეოგრაფიის განვითარება და მეცნიერ-გეოგრაფთა კადრების აღზრდა საქართველოში უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესორ ა. ჯავახიშვილის სახელთან. 1926 წელს მან გამოსცა გეოგრაფიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. იგი არის აგრეთვე ავტორი კაპიტალური შრომებისა გეომორფოლოგიის, ფიზიკური გეოგრაფიის, გეოგრაფიული კარტოგრაფიის დარგში. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით გამოიცა საქართველოს პირველი გეოგრაფიული ატლასი, კავკასიისა და საქართველოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული, ფიზიკური, ეკონომიური, სასწავლო რუკები.

საქართველოში ბოტანიკური მეცნიერების განვითარების დარგში დიდი ღვაწლი მიუძღვით ზ. ყანჩაველს, დ. სოსნოვსკის, ნ. კეცხოველს, ლ. ყანჩაველს, ლ. ჯაფარიძეს.

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო მუშაობის შედეგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარცვლეულის, კურკოვანი ხილისა და ვაზის კულტურის ახალ სახეობათა გამოყვანა; მევენახეობისა და მეღვინეობის აღდგენა სამხრეთ საქართველოში — მესხეთში; ძველად საქართველოს ცალკეულ მიკროორაიონებში გავრცელებული და შემდგომში თითქმის დავიწყებული ვაზის ჯიშების აღდგენას; ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის ბუჩქის, ტუნგოს ხის და ვაზის დაცვა დაავადებისა და მავნებლებისაგან; ახალი მეთოდების გამომუშავება ვაზის მყნობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შექმნა; სამეცნიერო კადრების მომზადება, სახელმძღვანელოებისა და სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა.

ფიზიოლოგიური მეცნიერების ჩასახვა და განვითარება საქართველოში დაკავშირებულია აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელთან. მან დაწერა ფიზიოლოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, შექმნა მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა ნერვ-კუნთის, ზურგის ტვინისა და თავის ტვინის, დიდი ტვინის ქერქის, ცხოველთა ფიზიოლოგიის დარგში, რომლებიც გამოიცა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ბერიტაშვილის გამოკვლევებს თავის ტვინის მოქმედების შესახებ. ამ ყველაზე რთული და

სრულყოფილი ორგანოს ძირითად კანონზომიერებათა შესასწავლად მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ცოცხალ ქსოვილებში ელექტრული პროცესების გამოკვლევის მეთოდი, შექმნა ორიგინალური მიმართულება დიდი ტვინის ქერქის ფიზიოლოგიის შესწავლაში. ი. ბერიტაშვილის გამოკვლევებმა ფართო აღიარება პოვეს მთელი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში.

ფიზიოლოგიის მრავალი პრობლემა დაამუშავა ვ. ვორონინმა.

ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებას რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი დ. გედევანიშვილის, ს. ნარიკაშვილის, ა. ბრეგაძის შრომებმა.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტსა და რესპუბლიკის სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებებში დამუშავებული მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართველ მეცნიერთა მიღწევები ქირურგიის დარგში (გ. მუხაძე, ნ. კახიანი, ა. მაჭავარიანი, ი. ჯანელიძე, კ. ერისთავი, ე. ზაქარაია, ე. ფიფია, ნ. ანთელავა), გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში (მ. წინამძღვრიშვილი, ნ. ყიფშიძე), ფსიქოპათოლოგიასა და ფსიქიატრიაში (მ. ასათიანი, ა. ზურაბაშვილი), მეანობასა და გინეკოლოგიაში (ი. თიკანაძე, ე. სობესტიანსკი, პ. შუშანია, ბ. ღოღობერიძე), ნერვულ სნეულებათა, ინფექციური და სხვა სენის შემცირებაში.

ქართველმა მედიკოსებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტუბერკულოზის ოპერატიული მკურნალობის დარგში.

საქართველოში პირველად საბჭოთა კავშირში მოეწყო ბაქტერიოფაგის წარმოება.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა ხალხური მედიცინის შესწავლას. მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემულია ძველი ქართული მედიცინის ძეგლები.

ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით ნაყოფიერი და მრავალმხრივი გახდა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა. კლასიკური (ლათინური, ბერძნული), ევროპული და აღმოსავლური ენების ღრმა ცოდნის, დიდი ნიჭის, ერუდიციისა და გასაოცარი შრომის უნარის მეოხებით ივ. ჯავახიშვილმა თავის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ფართოდ გამოიყენა მრავალი, ადრე ხელმიუწვდომელი ისტორიუ-

ლი წყარო. აღმოაჩინა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის იშვიათი ძეგლები და შექმნა ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ეკონომიკის, სამართლის, მუსიკის ისტორიის, ქართული პალეოგრაფიის დარგებში.

თავისი კაპიტალური შრომებით „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია", „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია", „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა", რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაწერა ივ. ჯავახიშვილმა, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე დარგებს, ნათელყო საქართველოს ისტორიის წყაროთა სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

საქართველოს ისტორიის პრობლემებზე ნაყოფიერად მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მშრომელთა ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე ფილიპე მახარაძე. პასუხსაგებ პოსტებზე დიდ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად იგი სერიოზულ მეცნიერულ კვლევას ეწეოდა XIX—XX საუკუნეების საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ძირითად საკითხებზე. 1931 — 1933 წლებში ფ. მახარაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას ეკუთვნის შრომები „საქართველო XIX საუკუნეში", „1905 — 1907 წლების რევოლუცია ამიერკავკასიაში", „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში", „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის", რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს XIX—XX საუკუნეების ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი.

ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა შესანიშნავმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ. ისტორიულ წყაროებზე, ლინგვისტიკურ მონაცემებზე, ძველ აღმოსავლურ ცნობებზე, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით თავის კაპიტალურ შრომებში („გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში", „საზოგადოებრივი კლასების და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში", „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე", „არაბობა საქართველოში" და სხვ.) მან ახლებურად დააყენა და გადაწყვიტა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, მონათმფლობელური და ფეოდალური ურთიერთობის არაერთი კარდინალური საკითხი.

საქართველოს პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული განვითარების, ისტორიოგრაფიისა და ისტორიული გეოგ-

რაფიის საკვანძო საკითხების მარქსისტულ-ლენინურ დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის თვალსაჩინო ქართველ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს.

XIX—XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემათა შესასწავლად ნაყოფიერი მუშაობა გასწია პროფესორმა გიორგი ხაჭაპურიძემ. მის გამოკვლევებში გაშუქებულია რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხები.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარგში საყურადღებო და საინტერესო მუშაობას ეწეოდნენ პროფესორები მ. პოლიევქტოვი, ი. ცინცაძე, ა. ფირცხალაიშვილი.

დიდად დასაფასებელია შესანიშნავი მკვლევარის სიმონ ხუნდაძის ღვაწლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის დამუშავებაში. მის სამეცნიერო კვლევის არეში შედიოდა აგრეთვე ქართული ლიტერატურისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედება. იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობის შესწავლით და, როგორც თავისი დროის მებრძოლი მეცნიერი, აშუქებდა ქართული სოციალისტური კულტურის განვითარების სხვადასხვა საკითხს.

საქართველოს ისტორიისა და საერთოდ ქართველოლოგიის დარგში დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს. მის ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლიან სპეციალისტები საქართველოს ადრინდელი ფეოდალური ხანისა და ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის შესწავლისას. მასვე ეკუთვნის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქართული და უცხოური ძეგლების მეცნიერული პუბლიკაცია.

1932 წელს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის სექციის ბაზაზე, რომელიც 1922 წლის დეკემბრიდან არსებობდა, შეიქმნა პარტიის ისტორიის ინსტიტუტი. მას დაეკისრა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ინსტიტუტმა გამოავლინა და შეაგროვა მრავალი დოკუმენტი და მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დარგში, აგრეთვე კომუნისტური და რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შეგროვილია ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი არალეგალური ლიტერატურა (პერიოდიკა, ბროშურები, პროკლამაციები). გამოიცა მონოგრაფიები საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნისტური და რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ.

რევოლუციური მოძრაობისა და საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ბევრი აქტუალური საკითხი დაამუშავა ისტორიკოს-მარქსისტთა რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.

ძველი ქვეყნების, შუა საუკუნეების, ახალი ისტორიისა და საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების ისტორიის საკითხებს მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს პროფესორებმა: ა. წერეთელმა, გ. ნათაძემ, ა. ნამორაძემ, გ. გოზალიშვილმა.

ქართულ ენაზე გამოიცა ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის, შუა საუკუნეების, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, მონოგრაფიები, ისტორიული დოკუმენტების კრებულები.

საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვითარდა არქეოლოგიური მეცნიერება. დიდ არქეოლოგიურ მუშაობას ეწეოდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი და სხვ. 1936 წლიდან არქეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებს თავი მოუყარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა განყოფილებამ. მას სათავეში ჩაუდგა პროფ. გ. ნიორაძე, რომელიც ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და წამყვანი მეცნიერი იყო.

ქართველ ტომთა მატერიალური კულტურის, სოციალური ყოფისა და რელიგიის ისტორიის შესასწავლად ფრიად ნაყოფიერ და სასარგებლო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ეთნოგრაფები პროფესორ გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მყარ ნიადაგზე დადგა ფილოსოფიური მეცნიერება, რომელიც ვითარდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის დამკვიდრებისა და ფართოდ გავრცელების, იდეალისტური და მეტაფიზიკური თეორიების დაძლევისა და დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის განვითარების მიმართულებით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი წლებიდანვე იწყება ფილოსოფიურ მეცნიერებათა სწრაფი განვითარება. აღსანიშნავია შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძისა და სერგი დანელიას დამსახურება. მათ პირველებმა გაკაფეს გზა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში დიდი და ნაყოფიერი ფილოსოფიური კვლევა-ძიებისათვის. ამ მუშაობაში 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად ჩაებნენ: კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, კოტე გორდელაძე, კონსტანტინე კაპანელი, ივანე ვაშაყმაძე, გიორგი მუშიშვილი, პეტრე შარია, ლევან გოკიელი და სხვები. ქართველ ფილოსოფოსთა ეს პირველი თაობა წარმატებით ამუშავებდა ფილოსოფიის შემდეგ ძირითად პრობლემებს: მარქსიზმის განვითარების ლენინური ეტაპი, დიალექტიკური და ისტორიული

მატერიალიზმის საკითხები, ქართული, რუსული და მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ისტორიის, ესთეტიკის, ლოგიკის პრობლემები[1].

ქართველ ფილოსოფოსთა ამავე თაობის ღვაწლია უმაღლესი ფილოსოფიური განათლების ორგანიზაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ფილოსოფიური სექციის, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი ფილოსოფიური ფაკულტეტის სახით, რომლის ბაზაზედაც შემდეგში მათივე ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფილოსოფიის ინსტიტუტი.

1927 წელს დაარსდა სამეცნიერო ფსიქოლოგიური საზოგადოება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციაში. საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო პროფესორი დ. უზნაძე. მისი ფუნდამენტური შრომები „ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი", „ფსიქოლოგია", „განწყობის ფსიქოლოგია" ქართველ ფსიქოლოგთა შემდგომ გამოკვლევათა საფუძველი გახდა.

თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა ქართველმა საბჭოთა ენათმეცნიერებამ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა თბილისის უნივერსიტეტში. კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო აგრეთვე საენათმეცნიერო საზოგადოება (1923 — 1929 წწ.) და ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი), რომელიც 1936 წელს დაარსდა. ამ სამეცნიერო დაწესებულებებში დამუშავდა ქართულისა და მონათესავე ენების სტრუქტურისა და ლექსიკის, ენათა გარკვეული ჯგუფების გენეტიკური ურთიერთობის, ზოგადი ენათმეცნიერების, დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხები. გამოიცა ძველი ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, შეიქმნა გრამატიკის სახელმძღვანელოები, თარგმნითი, ტერმინოლოგიური, ორთოგრაფიული, უცხო სიტყვათა, დიალექტოლოგიური ლექსიკონები, დადგინდა ქართული ენის ნორმები.

ქართული ენის გენეზისის, გრამატიკული წყობისა და ლექსიკის შესწავლაში დიდი როლი შეასრულა პროფესორმა აკაკი შანიძემ, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობს 1919 წლიდან. ფართო აღიარება პოვეს მისმა ფუნდამენტურმა შრომამ, სახელმძღვანელოებმა და მონოგრაფიებმა.

პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ დაამუშავა ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხები. მან საფუძველი დაუდო ქართული ენის სინტაქსური წყობის, ქართული სალიტერატურო ენისა და იბერულ-კავკასიური ენების შედარებით — ისტორიულ შესწავლას. პროფ. ა. ჩიქობავა

---

1 შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, შალვა ნუცუბიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) თბ., 1969; გ. კ ა რ ტ ო ზ ი ა, სერგი დანელია, თბ., 1970; ედ. კ ო დ უ ა, კოტე ბაქრაძე, თბ., 1972; «Психологические исследования, посвященные 85-летию со дня рождения Д. Н. Узнадзе под редакцией А. С. П р а н г и ш в и л и, Тб., 1973 и т. д.

კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის აღიარებული შემქმნელი და ხელმძღვანელია.

პროფესორ გიორგი ახვლედიანის სახელთანაა დაკავშირებული ზოგადი ენათმეცნიერების, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხების დამუშავება, კვლევა-ძიება ძველი ინდური (სანსკრიტი), გერმანული, სლავური, ირანული, ოსური ენების შესასწავლად რუსული ენის სახელმძღვანელოებისა და უცხო ენების ლექსიკონების შედგენა.

მაღალი შეფასება მიიღეს პროფესორების ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის, ვ. ბერიძის, ს. ჟღენტის და სხვ. ნაშრომებმა ქართველურ ენათა აგებულების, გრამატიკის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ფონეტიკის სხვადასხვა საკითხებზე.

ფართოდ გაიშალა მეცნიერული მუშაობა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად. განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებდა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება. დაიწერა ბევრი საინტერესო ნაშრომი, რომლებშიც „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები ახლებურად იქნა გაშუქებული. მეცნიერულად დამუშავდა და გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა ძეგლი.

ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხებს საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს თვალსაჩინო მკვლევარებმა პროფესორებმა ალ. ცაგარელმა, მ. ჯანაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ს. გორგაძემ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესორმა კორნელი კეკელიძემ თავის კაპიტალურ შრომებში სისტემაში მოიყვანა და თანმიმდევრულად გააშუქა ძველი ქართული ლიტერატურის, კულტურისა და აზროვნების განვითარების ბევრი კარდინალური საკითხი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა, მისი განვითარების დაწყებითი ეტაპები, ენა და ალფაბეტი, ლიტერატურული მოღვაწეობის ისტორიული პერიოდები და ცენტრები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ძველი ქართული კულტურის მრავალმხრივი საერთაშორისო კავშირი. მან მეცნიერულად შეისწავლა და გამოაქვეყნა ბევრი ისტორიული ძეგლი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მეტად საყურადღებო საკითხები არის გაშუქებული ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის, ი. აბულაძის, ვ. კოტეტიშვილის, მ. ზანდუკელისა და სხვა ქართველ მეცნიერთა შრომებში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თანამედროვე ქართული

საბჭოთა ლიტერატურული პროცესის განვითარების, მისი იდეურ-ესთეტიკური საფუძვლების ანალიზს. ბევრი რამ გაკეთდა ლიტერატურის თეორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დასამუშავებლად.

მოძმე ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების დამუშავებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, პროფესორებმა ლ. მელიქსედ-ბეგმა, ს. დანელიამ, ი. აბულაძემ.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლასა და გამოქვეყნებას. გაზეთ „კომუნისტის" და „კოლექტივიზაციის" ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა ხალხური ლექსები, სიმღერები, ანდაზები, არაკები, ზღაპრები, რომელთა შინაარსი განაპირობა საბჭოთა სინამდვილემ.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიას, ენებისა და კულტურის მეცნიერულ შესწავლას. პროფესორ გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით შეიქმნა სემიტოლოგიის (არაბული, არამეული, ებრაული, აქადური ენები) ძლიერი სკოლა. გ. წერეთელმა გაშიფრა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არმაზის წარწერები, რითაც შესაძლებელი გახადა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოს (იბერიის) სახელმწიფო წყობილების, პოლიტიკური ისტორიისა და კულტურული ცხოვრების მთელი რიგი საკითხების გარკვევა.

მნიშვნელოვანია პროფესორ სერგი ჯიქიას გამოკვლევები თურქოლოგიაში. მისი ნაშრომები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" და „თურქული ლექსიკური ელემენტები ქართულში" პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ XVI საუკუნის საქართველოსა და თურქეთის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესასწავლად.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა (1917 წლიდან) გრიგოლ წერეთელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ა. იერუშტულტთან ერთად დაამუშავა და 1925 — 1935 წლებში ხუთ ტომად გამოსცა პაპირუსების მდიდარი კოლექცია, რომელიც ინახებოდა რუსეთისა და საქართველოს საცავებში. ამ გამოცემას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ სპეციალისტები მთელ მსოფლიოში.

გეგმაზომიერი და სისტემატური შესწავლის საგანი გახდა ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, კედლისა და დაზგური მხატვრობის (დეკორატიული ანუ გამოყენებითი), ხელოვნების ისტორია.

პროფესორმა გიორგი ჩუბინაშვილმა გამოავლინა და მეცნიერულად დაასაბუთა ქართული საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების ბევრი ძეგლი, დაადგინა ქართული ხუროთმოძღვრების დასაწყისი ეტაპები IV საუკუნიდან.

გ. ჩუბინაშვილმა და შ. ამირანაშვილმა ხუროთმოძღვრული ძეგლე-

ბის, ძველი ქართული ჰედური ხელოვნების ნიმუშების, არქეოლოგიური გათხრების მონაცემებისა და ძველ ხელნაწერთა ღრმად შესწავლის საფუძველზე დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ხელოვნების ბევრი დარგის განვითარების მხრივ საქართველო შუასაუკუნეობრივი ევროპის ბევრ სახელმწიფოზე წინ იდგა.

დიდი მუშაობა გაიშალა მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერების, საქართველოსა და ამიერკავკასიაში სახალხო მეურნეობისა და ეკონომიური აზრის განვითარების შესწავლის დარგში.

პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის და გიორგი ვეხტმანის ხელმძღვანელობით გამოიზარდნენ ეკონომიურ მეცნიერებათა პირველი სპეციალისტები საქართველოში. ეკონომიური მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობდნენ ფ. მახარაძე (XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორია), კ. ორაგველიძე, ბ. რამიშვილი, ა. ერქომაიშვილი, პ. გუგუშვილი, ს. ბერაძე, ი. ბაჯაძე (პოლიტიკური ეკონომია, სახალხო მეურნეობისა და ეკონომიური აზრის ისტორია), კ. მეგრელიძე (საქონელმცოდნეობა), ნ. ქოიავა, ა. გოკიელი, ა. კაკაბაძე (ფინანსები და კრედიტი), შ. გოგებაშვილი (კოოპერაცია), ი. მიქელაძე (სახალხო მეურნეობის დაგეგმვა), ნ. იაშვილი (სოფლის მეურნეობის ეკონომიკა), ლ. კარბელაშვილი, გ. გამყრელიძე (სტატისტიკა).

პროფესორმა პაატა გუგუშვილმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია XIX—XX საუკუნეების საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, აგრარულ ურთიერთობათა, მრეწველობის, ვაჭრობის, კრედიტის, ფულის მიმოქცევის, ზოგად სოციოლოგიურ პრობლემათა კვლევის დარგში. მას ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო გამოკვლევები საქართველოში საზოგადოებრივი აზრის, საგამომცემლო საქმისა და ჟურნალისტიკის განვითარების საკითხებზე.

1933 წელს შეიქმნა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც ნაყოფიერად მუშაობდნენ პროფესორები გიორგი თავზიშვილი, დავით ლორთქიფანიძე და სხვა მეცნიერი პედაგოგები. გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პედაგოგიური წერილები, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური თხზულებანი, იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერები. შეიქმნა მარქსისტული პედაგოგიკის ქრესტომათია და მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემაზე და ქართული პედაგოგიური აზრის ისტორიის საკითხებზე.

1935 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, ხოლო 1941 წლის თებერვალში დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც თავდაპირველად ითვლებოდა 16 ნამდვილი წევრი გ. ახვლედიანი, ი. ბერიტაშვილი, კ. ზავრიევი,

ფ. ზაიცევი, ა. თვალჭრელიძე, კ. კეკელიძე, ნ. კეცხოველი, ტ. კვარაცხელია, ნ. მუსხელიშვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, გ. ხაჭაპურიძე, ს. ჯანაშია, ა. ჯანელიძე.

მეცნიერების განვითარებაში, ეროვნული მეცნიერული კადრების აღზრდასა და მეცნიერულ კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ისე როგორც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, საბჭოთა საქართველოს დიდი დახმარება გაუწიეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულმა რესპუბლიკამ და სხვა მოძმე რესპუბლიკებმა.

ამრიგად, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგად საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარებამ მიიღო სისტემატური, გეგმაზომიერი ხასიათი. შეიქმნა სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი. ქართველმა მეცნიერულმა ძალებმა სოციალისტური წყობილების არსებობის პირველი წლებიდანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოური მეცნიერების განვითარებაში.

§ 3. საგამომცემლო საქმე, პრესა, რადიომაუწყებლობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, დიდ ისტორიულ მანძილზე, სამი საუკუნის განმავლობაში გამოიცა სულ 6 ათასამდე სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი უდრიდა ერთ მილიონ ეგზემპლარს. საბჭოთა საქართველოში მარტო ოცი წლის განმავლობაში, დიდ სამამულო ომამდე, გამოიცა 24 ათასამდე სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი აღემატება 94 მილიონ ეგზემპლარს[1].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით რესპუბლიკის ფარგლებში მოხდა ყველა სტამბის, ასოთჩამომსხმელი საწარმოსა და ლითოგრაფიის ნაციონალიზაცია.

1921 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, რომელმაც გეგმაზომიერი მუშაობა გააჩაღა მასობრივ-პოლიტიკური, სასწავლო, სამეცნიერო, მხატვრული ლიტერატურის გამოსაცემად.

წლითიწლობით ფართოვდებოდა და ახალი მანქანებით, ჩარხებითა და შრიფტით მდიდრდებოდა პოლიგრაფიული მრეწველობა. პოლიგრაფიული წარმოების კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის მიზნით დაარსდა სპეციალური სკოლა.

---

1 40 лет установления Советской власти в Грузии, Материалы празднования, Тб., 1961, стр. 42.

სახელმწიფო გამომცემლობასთან ერთად ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელიც უმთავრესად უშვებდა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოცემა და ფართოდ გავრცელება.

უკვე 1922 — 1924 წლებში ქართულად ითარგმნა და მასობრივად გამოიცა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", კ. მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში", „გოთას პროგრამის კრიტიკა", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", ფ. ენგელსის „კომუნიზმის პრინციპები", ლუდვიგ ფოიერბახი" და მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა სხვა უკვდავი ქმნილებანი.

რესპუბლიკის იდეურ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო 1930—1934 წლებში კ. მარქსის „კაპიტალის" სამივე ტომის გამოცემა (მთარგმნელი დ. ონიაშვილი, რედაქტორები მ. ტოროშელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ბ. რამიშვილი).

ცნობილია, რომ „კაპიტალი" რუსულად ითარგმნა გერმანულ ენაზე მისი გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ. თვით კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ეს ნაწარმოები არსად ისე არ ვრცელდებოდა, როგორც რუსეთში. პირველი ერი, რომელმაც „კაპიტალი" თარგმნა, იყო რუსი ერი[1]. „რუსეთში „კაპიტალს" ყველაზე მეტად კითხულობენ და აფასებენ"[2], — წერდა კ. მარქსი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებს შორის რუსული ენის შემდეგ „კაპიტალი" პირველად ქართულად ითარგმნა უშუალოდ დედნიდან.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოჩენილი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწის მალაქია ტოროშელიძის როლი ქართულ ენაზე მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოცემის საქმეში. „კაპიტალის" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებების რედაქტირება მას დაევალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით[3].

1922 — 1938 წლებში ქართულად ითარგმნა და გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ჩვიდმეტი ტომი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ გამოცემათა რედაქტორობა დააკისრა მამია ორახელაშვილს.

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Письма о «Капитале», М., 1952, стр. 205.
[2] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XXVII, стр. 100.
[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 3472, ფურც. 25.

ცალკე წიგნებად გამოვიდა ვ. ი. ლენინის ბევრი ნაწარმოები.

1932 წლიდან ვ. ი. ლენინის თხზულებათა თარგმნასა და გამოცემას ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან შექმნილი სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ ფ. მახარაძე, კ. ორაგველიძე. ნ. კიკნაძე, ე. ბედია, ი. ვაშაყმაძე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის ქართულ ენაზე გამოქვეყნება მთლიანად დამთავრდა ომის შემდგომ წლებში.

რესპუბლიკის გამომცემლობებმა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები ცალკე წიგნებად გამოუშვეს სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

გამოიცა აგრეთვე მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებთა თემატიკური კრებულები.

მასობრივი ტირაჟით გამოიცა და გავრცელდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა — ი. ბ. სტალინის, მ. ი. კალინინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის ნაწარმოებები.

წლითიწლობით იზრდებოდა შრომების გამოცემა კომუნისტური პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. გამოვიდა ორიგინალური წიგნები, რომლებშიც ასახულია რესპუბლიკაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარება.

საბჭოთა წყობილებამ ფრთები შეასხა ქართველი ხალხის მძლავრ შემოქმედებით ძალებს, შექმნა მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ყოველმხრივ განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მრავალჯერ და დიდი ტირაჟით გამოიცა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა, თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლების, აგრეთვე რუსული და მსოფლიო ლიტერატურის, სსრ კავშირის, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა და პროგრესულ მწერალთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

მდიდარი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა და ქართველ საბჭოთა მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები რუსულ ენაზე მათი თარგმნისა და დიდი ტირაჟით გამოცემის შედეგად შევიდა მთელი საბჭოთა ხალხის კულტურულ საგანძურში და მისაწვდომი გახდა მრავალი მილიონი მკითხველისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს რუსულ ენაზე უშვებდა გამომცემლობა „ზაკნიგა“. შემდგომში მხატვრული ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემისათვის შეიქმნა სპეციალური გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“. ქართული მხატვრუ-

ლი ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები უდიდესი ტირაჟით გამოსცეს აგრეთვე მოსკოვის გამომცემლობებმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისთანავე მუშაობა გააჩაღა მისმა გამომცემლობამ, რომელმაც ათასობით წიგნი და ბროშურა გამოსცა მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის კანვითარების სხვადასხვა საკითხზე. სამეცნიერო ლიტერატურას უშვებდნენ აგრეთვე რესპუბლიკური გამომცემლობები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები.

შეუნელებელი ყურადღება ეთმობოდა ლიტერატურის გამოცემას ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის. ამ მიზნით 1927 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით[1], სახელმწიფო გამომცემლობასთან შეიქმნა ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორი, ხოლო 1938 წელს დაარსდა საბავშვო ლიტერატურის სპეციალური გამომცემლობა, რომელმაც ინტენსიური მუშაობა გააჩაღა სკოლამდელი, უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდობის ლიტერატურის შექმნისათვის. ამ ლიტერატურის ძირითადი შინაარსი გახდა საბჭოთა სინამდვილე, თანამედროვე თემა. ეართო ადგილი დაეთმო კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურისა და მეცნიერულ-პოპულარული წიგნების გამოცემას.

დიდად განვითარდა საგამომცემლო საქმე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოში საბჭოთა წყობილების განმტკიცებასთან ერთად განუხრელად იზრდებოდა და ვითარდებოდა პრესა. 1913 წელს საქართველოში გამოდიოდა 15 გაზეთი. თითოეული მათგანის ერთჯერადი ტირაჟი არ აღემატებოდა 2000 ეგზემპლარს. მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოს ყველა გაზეთის ტირაჟი ძლივს აღწევდა 25 ათას ეგზემპლარამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უკვე პირველსავე წელს გამოსვლა დაიწყო 44 გაზეთმა, რომელთა ტირაჟი უდრიდა 109 ათას ეგზემპლარს და 47 ჟურნალმა და ჟურნალის ტიპის გამოცემამ, რომელთა საერთო ტირაჟი განისაზღვრებოდა 241,2 ათასი ეზემპლარით[2].

საბჭოთა საქართველოს უძველესი და ყველაზე გავრცელებული გაზეთი „კომუნისტი" წარმოიქმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ბობოქარ დღეებში. მისი პირველი ნომერი გამოვიდა ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს, 1920 წლის 3 ივნისს.

„კომუნისტმა", — წერდა „პრავდა", — თავისი აღმოცენების პირველსავე დღეებიდან გააჩაღა ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების განმ-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2255, ფურც. 15.

[2] იქვე, საქ. 2656, ფურც. 35.

ტკიცებისათვის, ამხელდა მენშევიკების გამცემლურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, რაზმავდა მშრომელებს მენშევიკური მთავრობის დასამხობად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად[1].

„კომუნისტის" მუშაობას მისი დაარსების პირველ ხანებში იდეურად და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდნენ გ. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი.

„დემოკრატიული" საქართველოს მენშევიკი ხელისუფალნი ყოველმხრივ დევნიდნენ ბოლშევიკურ გაზეთს. უკვე ათი ნომრის გამოსვლის შემდეგ აკრძალეს გაზეთი, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ, 1920 წლის 18 ივნისს იგი გამოვიდა ახალი სახელწოდებით „საქართველოს კომუნისტი", თუმცა ამ სახელწოდებითაც მან ცოტა ხანს იარსება. 17 ივლისს გაზეთი კვლავ აკრძალეს. საქართველოს ბოლშევიკების თხოვნით საქმეში ჩაერია ს. კიროვი, რომელიც იმ ხანად რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო საქართველოში. მან მენშევიკური მთავრობისაგან მოითხოვა რსფს რესპუბლიკასთან დადებული საზავო ხელშეკრულების იმ პუნქტის შესრულება, რომლის ძალითაც ხდებოდა კომუნისტური პარტიისა და მისი ორგანოს ლეგალიზაცია. მუშები გაფიცვებს აწყობდნენ თავიანთი გაზეთის აკრძალვის გამო პროტესტის ნიშნად. მენშევიკები იძულებული გახდნენ დაეშვათ გაზეთის აღდგენა. 25 ივლისს იგი კვლავ გამოვიდა შეცვლილი სახელწოდებით „ახალი კომუნისტი".

„კომუნისტის" ფურცლებზე გ. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი და საქართველოს კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი საქართველოს მშრომელებს მოუწოდებდნენ დამხოთ მენშევიკური მთავრობა, დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიის გარშემო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთი გამოვიდა თავისი სახელწოდებით. იგი გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღორძინებისა და აყვავებისათვის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. გაზეთმა დიდი როლი შეასრულა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1921 წლის 8 მაისს გაზეთებში „კომუნისტი" და „პრავდა გრუზიი" გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილი „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს". ლენინის ბრძნული რჩევა-დარიგება საფუძვლად დაედო საქართველოს ახალი პრესის მთელ მუშაობას და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების პროპაგანდას.

---

[1] Газ. «Правда», 3 июля 1940 г.

მეორე წამყვანი რესპუბლიკური გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ შეიქმნა როგორც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ორგანო. მისი პირველი ნომერი გამოვიდა თბილისში 1922 წლის 20 ივნისს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნიდან ორი თვისა და რვა დღის შემდეგ. გაზეთის პირველი რედაქტორები იყვნენ მ. ორახელაშვილი და ა. მიასნიკოვი.

ს. კიროვი აღნიშნავდა, რომ „ზარია ვოსტოკამ“ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის ბრძოლაში“[1].

„ზარია ვოსტოკამ“, ისე როგორც საქართველოს მოელმა პრესამ, აქტიური ბრძოლა გააჩაღა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინდუსტრიის ახალი კერების შექმნისათვის, ნავთობის, მანგანუმის მადნის, ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის, კულტურის აყვავებისათვის.

1936 წლის დეკემბერში, როცა საბჭოების VIII ყრილობის მიერ მიღებული ახალი კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში, „ზარია ვოსტოკა“ გარდაქმნა საქართველოს რესპუბლიკურ გაზეთად.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში დაარსდა რესპუბლიკური გაზეთები „პროლეტარი“ (შემდეგში „სოვეტაკან ვრასტანი“) — სომხურ ენაზე, „სოვეტ გიურჯისტანი“ — აზერბაიჯანულ ენაზე. ადგილობრივი მოსახლეობის ენებზე გამოსვლა იწყეს საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა.

რესპუბლიკაში შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული გაზთი: ორი კომკავშირული, ერთი პიონერული, ერთი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურული, პედაგოგიური, სპორტული გაზეთები.

გაზეთების მუშაობის ცენტრში ყოველთვის იდგა სოციალისტური მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის თემა. თვის მუშაობაში გაზეთების რედაქციები ფართოდ იზიდავდნენ მუშა დ გლეხ კორესპონდენტებს.

მუშსოფლკორთა მოძრაობის განვითარებისადმი დიდ მზრუველობას იჩენდნენ გ. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. ისინი ხშირად ხვდებოდნენ მუშსოფლკორებს, მოხსენებებით გამოდიოდნენ მათთან. 1928 წლის 28 ივლისს თბილისის გაზეთების მუშაკებსა და მუშკორებს მეგობრულად ესაუბრა და მთელი რიგი რჩევა მისცა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ა. მ. გორკიმ.

---

[1] Десять тысяч номеров газеты «Заря Востока», стр. 8.

საკავშირო, რესპუბლიკური და საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე აუცილებელი ინფორმაციით გაზეთებისა და რადიოს უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე შეიქმნა საქართველოს დეპეშათა სააგენტო. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით იგი ასრულებდა ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო ფუნქციებს, ხოლო 1936 წლის დამლევიდან, როცა ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა, ეს საინფორმაციო ორგანო კვლავ რესპუბლიკური სააგენტო გახდა.

რესპუბლიკაში შეიქმნა სპეციალური ჟურნალები ბავშვებისათვის, ახალგაზრდობისათვის, ქალებისათვის, მეცნიერთათვის, მწერლებისათვის, მედიცინის მუშაკებისათვის, ხელოვნების მოღვაწეებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ყველა მშრომელის იდეურ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ჟურნალ „ბოლშევიკის" (შემდეგში „საქართველოს კომუნისტის") დაარსება, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1929 წელს. იგი გახდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდის ტრიბუნა. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა სპეციალური სტატიები, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისადმი, შუქდებოდა პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების შედეგები, პარტიის ბრძოლა ანტილენინურ მიმართულებათა, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ. დიდი ადგილი დაიკავა პარტიული მშენებლობის, პარტიულ-ორგანიზაციული და საგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების განზოგადებამ.

1924 წელს დაარსდა ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „მნათობი". მისი პირველი რედაქტორი იყო თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ქართველიშვილი. შემდგომ წლებში ჟურნალს რედაქტორობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. კახიანი და გ. ყურულაშვილი.

პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან ჟურნალი თანმიმდევრულად იცავდა და იცავს ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს, შეურიგებლად იბრძოდა და იბრძვის მხატვრულ შემოქმედებაში აპოლიტიკურობის, ფორმალიზმისა და უიდეობის წინააღმდეგ.

ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები. ჟურნალმა მნიშვნელოვა-

ნი ადგილი დაუთმო საბჭოთა სინამდვილის ამსახველ მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტიკას, კრიტიკას და ბიბლიოგრაფიას.

ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხების კულტურის დაახლოებაში. მან ქართველ მკითხველს გააცნო რუსული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, სხვა რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებები.

1923 წელს გამოვიდა ჟურნალი „მშრომელი ქალი" (შემდეგში „საქართველოს ქალი"). მისი წინამორბედი იყო ჟურნალი „ტრუჟენიცა ზაკავკაზია", რომელიც თავისი პირველი ნომრის მოწინავე წერილში წერდა: „მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ქალი სიბნელეში იყო, დამცირებასა და შეურაცხყოფას განიცდიდა, მწარე ცრემლებს ღვრიდა და თავბედს იწყევლიდა.

და აი მოვიდა მშრომელთა ხელისუფლება, საბჭოთა წყობილება. ამიერიდან შენ განთავისუფლდი, შენ მონა აღარ ხარ, გამოდი და აშენე შენი ახალი ბედნიერი ცხოვრება".

გამოვიდა ჟურნალები აგრეთვე რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ ენებზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბიუროს სხდომებზე სისტემატურად იხილავდა გაზეთების რედაქციების ანგარიშებს, ყოველდღიურად წარმართავდა მათ მუშაობას. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაგან მოითხოვდა გაზეთებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, ღონისძიებათა დასახვას და განხორციელებას პრესის ორგანოების იდეური შინაარსისა და ლიტერატურული დონის ამაღლებისათვის.

პარტიული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგად რესპუბლიკურმა, საოლქო, რაიონულმა და საუწყებო გაზეთებმა უკეთ იწყეს აქტუალური საკითხების გაშუქება, ამაღლდა მათი როლი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, გაიზარდა მუშსოფლკორთა რაოდენობა და განმტკიცდა რედაქციების კავშირი მათთან, პარტიული კომიტეტები იხილავდნენ გაზეთების კრიტიკულ გამოსვლებს და სახავდნენ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოციალისტური კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა რადიომიმღები და რეპროდუქტორი, რომლებმაც მტკიცე ადგილი დაიკავეს საქართველოს მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში.

საქართველოში 1925 წელს ამუშავდა რადიოგადამცემი სადგური. გადაცემა წარმოებდა კვირაში ორჯერ — შაბათობით და კვირაობით. 1926 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ყოველდღიური გადაცემები. უფრო გვიან, 1928 წელს, მწყობრში ჩადგნენ რადიოგადამცემი კვანძები ბათუმ-

სა და სამტრედიაში. ერთი წლის შემდეგ რესპუბლიკაში უკვე მუშაობდა 21 რადიოკვანძი და 3650 რადიომიმღები. 1937 წელს ამუშავდა მძლავრი გადამცემი კვანძი ხუთი სტუდიით.

რესპუბლიკური გადაცემები წარმოებდა თბილისიდან ოთხ ენაზე: ქართულად, რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. გადაცემებში აქტიურად მონაწილეობდნენ საუკეთესო მწერლები, ჟურნალისტები, მსახიობები.

რადიო მნიშვნელოვან ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა ხუთწლედების დავალებათა შესასრულებლად, მსმენელებს მოუთხრობდა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა ცხოვრებასა და შრომაზე.

დიდი ყურადღება ეთმობოდა საკოლმეურნეო სოფელს. ეწყობოდა სპეციალისტების კონსულტაციების გადაცემები აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის დარგში. მიკროფონთან სისტემატურად გამოდიოდნენ და ერთბანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ წარმოების მოწინავე ადამიანები.

რადიოგადაცემათა მრავალმხრივ პროგრამებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულ ხალხურ სიმღერებს, მუსიკის კლასიკოსებისა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალურ შემოქმედებას. ეთერში ხშირად ისმოდა მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა გამოსვლები.

საბჭოთა წყობილების პირობებში საგამომცემლო საქმე, პრესა, რადიომაუწყებლობა გახდა საზოგადოების სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მასების განვითარებისა და აღზრდის უძლიერესი საშუალება. გამომცემლობათა, გაზეთების, ჟურნალების, რადიოს მუშაობის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებთან განუყოფელ კავშირში.

§ 4. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი კერები გახდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა რესპუბლიკაში წარიმართა ვ. ი. ლენინის ფუძემდებელ მითითებათა და კომუნისტური პარტიის დადგენილებათა საფუძველზე.

ვ. ი. ლენინი დიდ როლს აკისრებდა კულტურულ-საგანმანათლებლო

დაწესებულებებს ხალხთა მასების იდეური და ორგანიზაციული დარაზმვისა და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. იგი აღნიშნავდა, რომ წარსული გადმონაშთები შეიძლება აღმოფხვრილ იქნას მუდმივი, შეუპოვარი, ფართო საგანმანათლებლო მუშაობით[1].

ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად პარტიის X ყრილობამ დაადგინა: „პარტიის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკორუს ხალხთა მშრომელ მასებს... განავითარონ თავის ქვეყანაში პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე"[2].

ამ ამოცანების შესაბამისად რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დიდ მუშაობას ეწეოდნენ კომუნისტური იდეოლოგიის, საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის დარგში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაცია. ყველა უწყების, დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბიბლიოთეკა ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახდა, გაერთიანდა ერთიან საბიბლიოთეკო ქსელში და დაექვემდებარა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს. წიგნის მსხვილი კერძო კოლექციები სახელმწიფო საკუთრება გახდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მსხვილი საბიბლიოთეკო დაწესებულება გახდა კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკაში თავი მოუყარეს ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ძვირფას კოლექციებს, უნიკალურ ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს, მრავალი ათეული წლის გაზეთებისა და ჟურნალების კომპლექტებს, გამოცემებს ცოდნის ყველა დარგში, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის ნაწარმოებებს.

მსხვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკები შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდმა ერთ მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 470.
2 „სკკპ რეზოლუციებში", ნაწ. I, გვ. 719.

ფართოდ განვითარდა პარტიულ, საზოგადოებრივ და საუწყებო ბიბლიოთეკათა ქსელი. ფართოდ გაიშალა მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი. 1913 წელს საქართველოში იყო სულ 25 მასობრივი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნების ფონდი შეადგენდა 8 ათას ეგზემპლარს, 1940 წელს მათი რიცხვი შეადგენდა 1598 ერთეულს, ხოლო წიგნების ფონდი 1745 ათას ეგზემპლარს[1].

რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში შეიქმნა სასკოლო ბიბლიოთეკა.

1938 წლიდან ბიბლიოთეკების კვალიფიციურ მუშაკთა კადრების მომზადება დაიწყო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

დიდი ყურადღება ეთმობოდა მასობრივი პროპაგანდისა და გონივრული დასვენების სხვა კერებსაც. დამახასიათებელია, რომ სოციალისტური საქართველოს ერთ-ერთი პირველი კარგი ნაგებობა იყო პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი, იგი აშენდა 1923 წელს თბილისში, ლენინის რაიონში. კლუბები, კულტურის სასახლეები და სახლები აშენდა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქებში. დიდად გაიზარდა საკლუბო დაწესებულებათა ქსელი სოფლად.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ხალხური შემოქმედების — პოეზიის, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის, თეატრალური, სახვითი და დეკორაციული ხელოვნების, ქარგვის, ქსოვის განვითარებამ და პოპულარიზაციამ.

1936 წელს თბილისში გაიხსნა ხალხური თვითმოქმედების სახლი. იქ სისტემატურად ეწყობოდა ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენა, რომლებშიც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ხევსურული, თუშური, ფშავური მხატვრული ქსოვა-ქარგვის ოსტატების ნამუშევრებმა, საუცხოო შეხამებული ფერებით, მდიდარი კოლორიტით და ორნამენტით შემკობილმა ქალისა და მამაკაცის კოსტიუმებმა. არანაკლები წარმატება ხვდა წილად ხის მხატვრული დამუშავების, კერამიკისა და ჭედურობის ნიმუშებს.

მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხალხური ხელოვნების ოლიმპიადებმა. პირველი ასეთი ოლიმპიადა მოეწყო ქუთაისში 1927 წელს. ოლიმპიადები გაიმართა თბილისში 1929, 1934, 1937, 1938 წლებში. ეს დათვალიერებები წარმოადგენდნენ ხალხური ხელოვნების ჭეშმარიტ ზეიმს. მათ გამოავლინეს ნი-

---

1 „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1961 წელს“ (სტატ. კრებული), თბ., 1963, გვ. 488 — 489.

ჭიერ მომღერალთა, მოცეკვავეთა მრავალი კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ საკავშირო ასპარეზზე და მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში სწრაფად განვითარდა სამუზეუმო საქმე.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1922 წლის 20 ივნისის დადგენილებით საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას დაუბრუნა სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, რომლებიც გატანილი იყო მეფის მთავრობის მიერ და ინახებოდა რუსეთის საცავებში[1].

მთავრობის დადგენილების შესასრულებლად შეიქმნა სპეციალური კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების კომისარიატისა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიის სხდომების მოწვევა მიენდო რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენელს განათლების საკითხების დარგში დ. ა. ჯგუშიას და მის მოადგილეს ნ. ი. ჟორდანიას. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხრივ აკადემიკოსები ნ. ი. მარი, ს. თ. ოლდენბურგი, ვ. ვ. ბარტოლდი, აგრეთვე ი. ნ. მარი — ნიკო მარის ვაჟი; საქართველოდან კ. ს. კეკელიძე, ა. გ. შანიძე, პ. ი. ინგოროყვა, შ. ი. ამირანაშვილი, ს. ნ. კაკაბაძე.

კომისიის დადგენილებით საქართველოს დაუბრუნდა ქართული წარმოშობის განძეულობა, ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერები, ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშები, რომლებიც ინახებოდა ლენინგრადში.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის ასახვის დარგში დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა. მისი წინამორბედი იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების „კავკასიის მუზეუმი", რომელიც ჯერ კიდევ 1865 წელს დაარსდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს მუზეუმი, რომელიც პირველი იყო მთელ კავკასიაში, ძირეულად გადახალისდა და გამდიდრდა. მისი ფონდი შეივსო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი კულტურული და მეცნიერული ექსპონატებით.

მუზეუმში სისტემატურად ეწყობოდა ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური, საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების გამოფენები. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა მუზეუმის კოლექციის შესავსებად, ეწყობოდა არქეოლოგიური, ისტორიულ-საყოფაცხოვრებო ექსპედიციები, ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკისა და ბუნების, საარქივო და ლიტერატურული წყაროების შესასწავლად.

---

1 შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968, გვ. 3.

დიდი ღვაწლი დასდეს მუზეუმს გამოჩენილმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა ი. ჯავახიშვილმა, გ. წერეთელმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, დ. არაყიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ა. თვალჭრელიძემ, ა. ჯანელიძემ, ივ. კაჭარავამ, ი. აბულაძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ინგოროყვამ, გ. ნიორაძემ, ა. ბარამიძემ, ბ. კუფტინმა, გ. ჩიტაიამ, ს. მაკალათიამ, ვ. ბარდაველიძემ, დ. კაპანაძემ, ა. აფაქიძემ, დ. სოსნოვსკიმ და სხვ.

მუზეუმის ზოოლოგიური გამოფენის დათვალიერების დროს მაქსიმ გორკიმ შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „თუ ყველა განყოფილება ასე მოეწყო მუზეუმში, საქართველოს მუზეუმი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საბჭოთა კავშირში“. აკადემიკოსი ე. ტარლე წერდა: „თუ კიდევ რაიმე იყო საჭირო იმის დასასაბუთებლად, რომ ქართველი ხალხი ერთ-ერთი დიდი უძველესი კულტურის ხალხია, ამის საბუთად გამოდგება მუზეუმი, რომელიც მე დღეს აღფრთოვანებით დავათვალიერე“[1].

საქართველოს მშრომელთა იდეურ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის გახსნა 1938 წლის 18 ივნისს.

ფილიალში თავმოყრილია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ყველა ძირითადი ექსპოზიცია — ხელნაწერთა ასლების დიდი რაოდენობა, წიგნები, ბროშურები, გაზეთები, ფურცლები, დოკუმენტური ფოტოსურათები და მასალები, ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეტაპებს. ფილიალის დარბაზებში გამოფენილი დოკუმენტები თვალნათლივ ასაბუთებენ ვ. ი. ლენინის პირად ურთიერთობას ქართველ ბოლშევიკებთან, მის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებაში.

1934 წელს დაარსდა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც თავისი ექსპოზიციის სიმდიდრით და მეცნიერულ-ისტორიული მნიშვნელობით საკავშირო მნიშვნელობის ერთ-ერთი მსხვილი მუზეუმი გახდა. მუზეუმმა დიდი მუშაობა გასწია ეროვნული, რუსული და საზღვარგარეთული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ფართო პოპულარიზაციის დარგში. მისი უნიკალური კოლექცია, კერძოდ, ბექა და ბეშქენ ოპიზარის, გ. მაისურაძის, გ. გაბაშვილის, ა. მრევლიშვილის, ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის, მ. თოიძის და სხვ. ქმნილებანი, ფართოდ გახდა ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

მუზეუმის ფონდი შეივსო მოკავშირე რესპუბლიკათა ხელოვნების

---

[1] აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, თბ., 1956, გვ. 14.

ძეგლებით, მათ შორის XII საუკუნის რუსეთის ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების ოსტატთა ნაწარმოებებით. შეძენილია ს. უშაკოვის, კ. ბრიულოვის, ი. რეპინის, ვ. სურიკოვის სურათები, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების (იტალია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, გერმანია, ირანი, ჩინეთი და სხვ.) ხელოვნების ძვირფასი ექსპონატები.

1929 წლიდან გამოჩენილ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტისა და მასალის შეკრებას, დამუშავებას და ექსპოზიციას ემსახურება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი.

ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს მემორიალურმა მუზეუმებმა: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმებმა ყვარელსა და საგურამოში, აკაკი წერეთლისა — სოფელ სხვიტორში, ვაჟა-ფშაველასი — ჩარგალში, ეგნატე ნინოშვილისა — ჩირგვეთში, ვლადიმერ მაიაკოვსკისა — მაიაკოვსკში და სხვ. ეს მუზეუმები გახდნენ აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერები.

რესპუბლიკის მუზეუმების ყველაზე დიდმა ჯგუფმა — მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა შეაგროვეს და გამოფინეს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის სამუზეუმო მასალები, რომლებშიც ასახეს რესპუბლიკის ოლქების, ქალაქების, რაიონების წარსული და აწმყო. თვალსაჩინოდ უჩვენეს სოციალ-ეკონომიური გარდაქმნანი, რაც განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მრავალმხრივ პოლიტიკურ-მასობრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ქალაქების კულტურისა და დასვენების პარკები.

1935 წელს გაიხსნა ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც სისტემატურად ეწყობოდა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენები, იმართებოდა ხალხური შემოქმედების მასობრივი დღესასწაულები, ფესტივალები, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კონცერტები. ამ პარკში 1935 წელს პირველად საბჭოთა კავშირში მოეწყო საბავშვო რკინიგზა, რომელიც დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა პოლიტექნიკურ აღზრდაში.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მშრომელთა დასვენების საუკეთესო კერა გახდა ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი მთაწმინდის პლატოზე, რომელიც 1938 წელს გაიხსნა.

კულტურისა და დასვენების პარკები, რომლებშიც დიდი რაოდენობით გაშენდა მწვანე ნარგავები, საქართველოს ქალაქების მშვენება გახდა.

§ 5. ლიტერატურა

ახალმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ მყარი ნიადაგი შეუქმნა ქართული ლიტერატურის განვითარებას, უზრუნველყო უდიდესი გარდატეხა მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების დარგში.

20 — 30-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესი ხასიათდება თითქმის იმავე მოვლენებით, რომლებიც ნიშანდობლივია ამ პერიოდის რუსული და სხვა მომძე ხალხების ლიტერატურებისათვის.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დასაყრდენი 20-იან წლებში იყვნენ: ა) მხატვრული ინტელიგენციის ის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელთაც, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, გადაჭრით გაწყვიტეს კავშირი ძველ სამყაროსთან, აღიარეს ახალი იდეურ-ესთეტიკური მრწამსი, აქტიურად ჩაებნენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში; ბ) ლიტერატურის რევოლუციური ძალები, რომლებიც ერთგულად იცავდნენ ახალი ხელოვნების შექმნის, პროლეტარული ლიტერატურის განვითარების პრინციპებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე; გ) მწერალთა ახალი კადრები, რომელნიც ხალხის წიაღში წარმოიშვნენ და ახალი ყოფის ხელსაყრელ პირობებში იზრდებოდნენ, ყალიბდებოდნენ, მტკიცდებოდნენ.

ამასთან ერთად, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველ ეტაპზე საქართველოს კომუნისტურ პარტიას მწვავე ბრძოლა უხდებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და დეკადენტურ მიმართულებათა იდეური დაძლევისათვის.

20-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის, ისევე როგორც სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურისათვისაც, დამახასიათებელი იყო ცალკეულ ლიტერატურულ გაერთიანებათა თუ დაჯგუფებათა თანაარსებობა, რასაკვირველია, მძაფრი ურთიერთკრიტიკის პირობებში. ეს დაჯგუფებანი გამოხატავდნენ გარკვეული საზოგადოებრივი ფენების თუ წრეების მხატვრულ-ესთეტიკურ განწყობილებებს.

ამ დროს ჩვენში ფართოდ იყვნენ ცნობილი თვალსაჩინო ლიტერატურული გაერთიანებანი: „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური ასოციაცია“, „მემარცხენეები“, „არიფიონი“. თითოეულ ამ გაერთიანებას თუ ჯგუფს თავისებურად ესმოდა ახალი ქართული ლიტერატურის ამოცანა, მისი შემდგომი განვითარების გზა. რასაკვირველია, ბევრი სახელოვანი მწერალი თავისი შემოქმედებით, მხატვრული ხედვით ვერ ეტეოდა საკუთარი ჯგუფის თუ გაერთიანების ჩარჩოებში და ქმნიდა ისეთ თვალსაჩინო ტილოებს, რომლებიც ცილდებო-

დნენ ამა თუ იმ ჯგუფის მხატვრულ-ესთეტიკური კრედოს ფარგლებს.

ამ ლიტერატურულ დაჯგუფებებში შემავალმა თვალსაჩინო მწერლებმა შემდგომ, საბჭოთა სინამდვილის ზეგავლენით, დაძლიეს თავიანთი მცდარი იდეურ-ესთეტიკური კონცეფციები და სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი, ქართული საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები გახდნენ (კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი — ეგრეთ წოდებული „აკადემიური ჯგუფიდან"; ყოფილი „ცისფერყანწელები" — პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი და სხვ.; ქართველ ფუტურისტთა ყოფილი წარმომადგენლები — სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, დემნა შენგელაია, ბესო ჟღენტი, დავით გაჩეჩილაძე, ლევან ასათიანი და სხვ., „არიფიონელები" — შალვა დადიანი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე და სხვ.). მათ მიერ შექმნილი მაღალმხატვრული, მაღალიდეური ნაწარმოებები საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდს შეემატა. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომლის რიგებშიც შედიოდნენ: იაკინთე ლისაშვილი, იონა ვაკელი, სანდრო ეული, ალიო მაშაშვილი-მირცხულავა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი მდივანი, ბორის ჩხეიძე და სხვ. თავდაპირველად ლიტერატურაში პარტიის პოლიტიკის განხორციელების საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ შემდგომ რაპპის ფილიალად გადაიქცა, ვულგარულად ეპყრობოდა კლასიკურ მემკვიდრეობას და ვერ ხედავდა მნიშვნელოვან ძვრებს, რაც საბჭოთა ინტელიგენციაში მოხდა.

ქართული ლიტერატურის, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ლიტერატურის, განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს პარტიის ცნობილმა გადაწყვეტილებებმა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ (1922 წ.) აუცილებლად ჩათვალა შექმნა ისეთი ლიტერატურისა, რომელიც დაეხმარებოდა ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში და მიმართული იქნებოდა ახალი ადამიანის აღზრდისაკენ. ყრილობამ ხაზგასმით მიუთითა მხატვრული ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობაზე მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში.

კომუნისტური პარტიის XII ყრილობას 1923 წელს უკვე შეეძლო აღენიშნა მნიშვნელოვანი ზრდა მხატვრული ლიტერატურისა, რომელიც გადაიქცა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად.

მხატვრული ლიტერატურის საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე პარტიის XIII ყრილობამ, რომელმაც დასახა მშრომელთა ფართო ფენებისათვის მასობრივი მხატვრული ლიტერატურის შექმნის ამოცანა. პროლეტარული ლიტერატურის განვითარებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაძლიერებას რომ მოითხოვდა, პარტია ამასთანავე მიუთითებდა ძველი მხატვრული ინტელიგენციისათვის სისტემატური მხარდაჭერის აუცილებლობაზე. პარტიას თითოეული მწერლის მოვალეობად მიაჩნდა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა, ზრუნვა იმისათვის, რომ ძველი თაობის მწერლებს დაეძლიათ ბურჟუაზიული ცრურწმენანი, დაენახათ და შეეცნოთ ახალი ცხოვრების შენების დიადი პროცესი.

ყრილობის დოკუმენტებში, ისე როგორც ჩვენი პარტიის მიერ განხორციელებულ შემდგომ ღონისძიებებში, ახალი განვითარება პოვა ლიტერატურის პარტიულობის ლენინურმა მოძღვრებამ. პარტია მუდამ სელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის იმ ისტორიული მითითებებით, რომ ლიტერატურა, ხელოვნება ხალხის ინტერესებისათვის, სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას უნდა ემსახურებოდეს, მტკიცედ იცავდეს ჩვენი პარტიული იდეოლოგიის პრინციპებს; ამასთანავე „ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“[1].

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციაში აღნიშნული იყო ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებსა და ოლქებში ეროვნული ლიტერატურისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობა. ეს იყო შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის განვითარების, სსრ კავშირის ყველა ხალხის საერთო კულტურული დონის სწრაფი ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა.

„საქართველოს პირობებში, — წერდა გ. ორჯონიკიძე აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, — პარტია უკვე მუშაობდა იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ დადგენილებას. მათ, ვინც გულწრფელად იდგა საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ჩვენ ვაძლევდით ყოველგვარ საშუალებას გამოეჩინათ თავისი ნიჭი და შემოქმედება... ჩვენ გავუშლით ფართო გზას ქართულ მწერლობას, თეატრს, მუსიკას, მეცნიერებას, მხატვრობას“[2].

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე დიდი გავლენა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 36 — 37.

[2] ჟურნ. „დ რ ო შ ა“, 1925, № 2, გვ. 19 — 20.

მოახდინა საქართველოს მწერალთა პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1926 წლის 21 — 23 თებერვალს. მიმდინარე მომენტისა და მწერალთა ამოცანების შესახებ ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ცნობილმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემ ფ. მახარაძემ. თვალსაჩინო მწერლების ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა გამოსვლები იმის მკაფიო დამადასტურებელი იყო, რომ ქართული ლიტერატურის ოსტატები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესში.

საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობამ 1928 წლის მარტში საჭიროდ ჩათვალა ცალკეული ლიტერატურული ჯგუფებისა და ასოციაციების საქართველოს საბჭოთა მწერლობის ერთიან ფედერაციაში გაერთიანება.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზაზე დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტს წარმოადგენდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებით გაუქმდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და შეიქმნა საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირი. ანალოგიური ცვლილება ვანხორციელდა ხელოვნების სხვა დარგებშიც. ეს მოასწავებდა ახალ საფეხურს ლიტერატურულ ძალთა კონსოლიდაციის ისტორიაში და ფართო შემოქმედებით პერსპექტივას უსახავდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას.

1934 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა მოკავშირე რესპუბლიკების ლიტერატურათა, მთელი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებაში. ყრილობამ მოისმინა მოხსენებები როგორც მთლიანად საბჭოთა ლიტერატურის, ასევე მთელი რიგი რესპუბლიკების, მათ შორის ქართული ლიტერატურის (მომხსენებელი მ. ტოროშელიძე) მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. მწერალთა I ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში მაქსიმ გორკი მიუთითებდა საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალურ ხასიათზე, მის უდიდეს როლზე ახალი სოციალისტური კულტურის შექმნაში, სოციალიზმის მშენებლობაში.

მწერალთა I საკავშირო ყრილობამ ერთხმად აღიარა სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა ლიტერატურის მეთოდად. ამ მეთოდზე დაყრდნობით საბჭოთა მწერლებმა შექმნეს სოციალისტური ლიტერატურის ბევრი კლასიკური ნიმუში. სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა ფართო აღიარება პოვა საზღვარგარეთის პროგრესულ ლიტერატორთა შორისაც.

20 — 30-იან წლებში ძლიერ აღმავლობას განიცდის ქართული პ რ ო ზ ა, ისევე როგორც პოეზია და დრამატურგია. ამ პერიოდში განვითარდა

და დაიხვეწა თანამედროვე ქართული რომანის ფორმა და შეიქმნა ქართული საბჭოთა პროზის კლასიკური ნიმუშები. „მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არასოდეს გვქონია პროზაული ჟანრის ისეთი სიუხვე, როგორიც საბჭოთა ეპოქაში. პროზის აღორძინება განსაკუთრებით დაიწყო 1925 წლიდან"[1].

20-იან წლებში კვლავ მოღვაწეობენ დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე სამწერლო ასპარეზზე გამოსული სხვა ქართველი პროზაიკოსები, რომლებმაც თავიანთი უკანასკნელი ნაწარმოებებით მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ქართული საბჭოთა პროზა.

პირველი ორი ათწლეულის ქართულ პროზაში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდნენ ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ალექსანდრე ქუთათელი, რაჟდენ გვეტაძე, აკაკი ბელიაშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, ბორის ჩხეიძე, იაკინთე ლისაშვილი, პავლე საყვარელიძე, გერცელ ბააზოვი, სევასტი თალაკვაძე, დავით სულიაშვილი, ელიზბარ ზედგენიძე (პოლუმორდვინოვი), სოლომონ თავაძე, პარმენ ლორია, მარიამ გარიყული, საფო მგელაძე და სხვ.

აღნიშნული პერიოდის ქართული საბჭოთა პროზის მთავარი თემებია: ახალი ადამიანის — ახალი სინამდვილის გმირის — დამკვიდრება; ძველი ყოფის მსხვრევა, ახალი ცხოვრების შენება და ის უდიდესი ძვრები, რასაც ეს პროცესი იწვევს ადამიანთა ფსიქიკაში; კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად; პარტიის, კომუნისტის როლი ახალი ყოფის შენებაში; სამშობლო და საბჭოთა პატრიოტიზმი; მსოფლიო რეაქციის ძალების, ომის გამჩაღებელთა მხილება; ჩვენი ხალხის მახლობელი თუ შორეული რევოლუციური წარსული; საქართველოს ისტორია, ხალხისა და გმირის ადგილი ამ ისტორიაში.

ახალი ყოფის დამკვიდრება, დრომოჭმული ძველის რღვევა და დაუნდობელი განადგურება, ახალი გმირის მოსვლა ცხოვრებაში და ხალხის ძალების შემოქმედებითი ინიციატივის უდიდესი აღმავლობა, როგორც ეპოქის მთავარი მოვლენები 20 — 30-იანი წლების ქართული პროზის ბევრი ნაწარმოების მთავარ თემად და გამოხატვის საგნად იქცა. მათ შორის ყველაზე მკვეთრად და მკაფიოდ ამ პრობლემებმა მაღალხატოვანი განხორციელება პოვეს ისეთ ფართოდ აღიარებულ რომანებში, როგო-

---

[1] ს. ჭილაია, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა, თბ., 1954, გვ. 107.

რიცაა კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, კ. ლორთქიფანიძის „კოლ-ხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“.

„მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიამ გვიჩვენა, ერთი მხრივ, ახალი იდეების მატარებელი და ამ იდეათა მატერიალურ ძალად გარდამ-ქმნელი ადამიანების, ხოლო, მეორე მხრივ, გარდასული დროის, დამარ-ცხებული კლასების უკანასკნელ წარმომადგენელთა ბედი. ამ ასპექტით არის აქ წარმოსახული ერთმანეთს დაპირისპირებული ორი სამყარო და გახსნილია მათი სასტიკი ბრძოლის გრანდიოზული სურათი. ფართო ეპი-კური ქარგის ამ რომანში ნაჩვენებია 20—30-იანი წლების საქართველოს სოფლის განვითარების ტენდენცია და სხვადასხვა იდეური მიზანსწრაფ-ვისა თუ სოციალური მდგომარეობის ადამიანთა ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რომანისტის განსაკუთრებული დამსახურება ის არის, რომ მან უჩვენა ხალხის მასების ძალა, გახსნა მისი აუცილებელი გამარჯვების კანონზომიერება.

ახალი გმირის — ეპოქის ახალი ადამიანის — მეტად კოლორიტული სახე განახატოვნა კ. ლორთქიფანიძემ ცნობილ რომანში „კოლხეთის ცისკარი“. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაზე მკაფიოდ არის გაცხადე-ბული ტიპიური ხვედრი მთელი თაობისა, ვისი ბედიც სულ სხვაგვარად წარმართა ახალმა სინამდვილემ: მან ცხოვრების ბატონ-პატრონად აქცია ძველად მონური და უბადრუკი ცხოვრებისათვის განწირული ეს თაობა. უდიდესი სულიერი ევოლუციის ეს პროცესი რომანში ასახულია განსა-კუთრებული მხატვრული ძალითა და დამაჯერებლობით. „კოლხეთის ცის-კარი“ XX საუკუნის ქართველი ახალგაზრდა კაცის, 20—30-იანი წლე-ბის ქართული სოფლის ცხოვრების მეტად ორიგინალურად გააზრებული მხატვრული მატიანეა და ამ თემისადმი მიძღვნილი ყველა სხვა ფართო პლანის ნაწარმოებებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მასში მკვეთრად არის გახსნილი მთელი ახალი გარემოცვის, პარტიისა და ხალხის როლი ახალი გმირის სულიერ ევოლუციაში, ახალი სულიერი ორგანიზაციის ჩამოყალი-ბებასა და დამკვიდრებაში.

კ. ლორთქიფანიძის რომანის დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქ-ტი, რომ იგი თარგმნილია და გამოცემული სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. რომანმა საზღვარგარეთელი მკითხველის დიდი ყურადღება დაიმ-სახურა; მას შემდეგ, რაც პარიზში ფრანგულ ენაზე გამოიცა, იგი ითარ-გმნა დასავლეთ ევროპის სხვა ხალხთა ენებზეც.

სხვა კუთხით მიუდგა ახალი სინამდვილის გმირის ხასიათის გახსნას ლ. ქიაჩელი თავის ცნობილ რომანში „გვადი ბიგვა“. ლ. ქიაჩელის რომა-ნი ეძღვნება 20 — 30-იანი წლების ქართულ სოფელში მომხდარ ძირ-ფესვიან გარდაქმნას, ძველი ყოფის გადმონაშთთა თანდათანობითს დაძ-ლევას ადამიანთა შეგნებაში, იმ უდიდესი გარდაქმნის პროცესს, რასაც

ადამიანი განიცდის სოციალისტური ყოფის გავლენით. ეს არის რთული პროცესი ძველი ფსიქიკის მსხვრევისა და ახლის ზეიმისა. რთულ სიტუაციაში მოქცეული ქართველი გლეხის ხასიათს რომ ამოხსნის, რომანისტი გვიჩვენებს, თუ რა ძნელად დასაძლევია ინდივიდუალისტისათვის ძველი ყოფის ჩვევები, ახალი საზოგადოებრივი ძალების რა ძლიერი გავლენა უნდა განიცადოს ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანტიჰუმანური მორალის გავლენით აღზრდილმა ადამიანმა, რათა საბოლოოდ განიწმინდოს წარსულის ჭუჭყისაგან და ახალ საზოგადოებაში ცხოვრების ესოდენ აუცილებელი სულის სისპეტაკე შეიძინოს.

„გვადი ბიგვა", ისევე როგორც „კოლხეთის ცისკარი", ფართოდ ცნობილი რომანი გახდა მრავალმილიონიანი საბჭოური და საზღვარგარეთელი მკითხველისათვისაც. იგი თარგმნილი და გამოცემულია მოკავშირე რესპუბლიკათა ხალხებისა და რიგ უცხოურ ენებზე.

20—30-იან წლებში ქართველმა პროზაიკოსებმა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები უძღვნეს საქართველოს მრავალფეროვან ცხოვრებას, კლასთა ბრძოლას, ახალი სინამდვილის რევოლუციურ გარდამქმნელ ძალას, ქართველი ხალხის მახლობელ წარსულს, უცხოეთში გახიზნული ქართველი ემიგრაციის ბედს. აქ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია: ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე", „თავსაფრიანი დედაკაცი", „მოქანდაკე", მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ქალის ტვირთი", „გივი შადური"; „თეთრი საყელო", „მართალი აბდულაჰ"; კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი"; „დიდი იოსები", „ტაბუ"; ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა"; „თავადის ქალი მაია", „სისხლი", „ალმასგირ კიბულან"; დ. შენგელაიას „ბათა ქექია"; „სანავარდო", „გურამ ბარამანდია", „თებერვალი"; ა. ქუთათელის „პირისპირ"; კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა", „ხავსი"; ს. კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე", „ფერფლი", „სვანური მოთხრობები"; პ. ჩხიკვაძის „სართულები", „ამხანაგი ბუთხუზი"; რ. გვეტაძის „ჭიაკოკონა", „თეო"; ნ. მიწიშვილის „ეპოპეა"; მიხ. მრევლიშვილის „შიში"; ა. ბელიაშვილის „ზვავი", „ახალგაზრდები"; პ. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები"; ი. ლისაშვილის „კეცხოველი"; გ. ბააზოვის „ფეთხაინი"; ე. ზედგინიძის (პოლუმორდვინოვი) „იღვიძებენ მთები" და სხვ.

მ. ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნებში" მწვავედ დასვა ჩვენი სინამდვილისათვის „ზედმეტი", ყოფილი ადამიანის პრობლემა, რომელიც ესოდენ ნიშნეული იყო 20-იანი წლების პროზისათვის. მისი თეიმურაზ ხევისთავი — ძველი პრივილეგირებული წოდებისა და არისტოკრატიული ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენელი — სრულიად უნაყოფო და უუნარო პიროვნებაა ახალ გარემოცვაში, სადაც იგი ბოლოს იღუპება. კიდეც. ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე იმ ავანტიურისტთა და გაიძვერათა ტიპიური

წარმომადგენელია, რომელნიც წარმოქმნა კრახის პირად მისულმა თვითმპყრობელურმა რუსეთმა. ლ. ქიაჩელის მაია („თავადის ქალი მაია"), დ. შენგელაიას ჭილაძეები („სანავარდო") თავიანთი ტრაგიკული ბედით ენათესაებიან თეიმურაზ ხევისთავს (მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები") თუ კონსტანტინე სავარსამიძესა და თარაშ ემხვარს (კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი" და „მთვარის მოტაცება").

ახალი სოციალისტური აღმშენებლობის პათოსის, ახალი მშენებელი ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს გახსნა სცადეს თავიანთ ნაწარმოებებში პ. ჩხიკვაძემ („სართულები"), ი. ლისაშვილმა („ვარდნილი"), ბ. ჩხეიძემ („ფერო"), მ. გვასალიამ („სურამი"), რ. ქორქიამ („გრიგალი") და სხვ. მიუხედავად ამ ნაწარმოებთა თვალსაჩინო სქემატურობისა, მათში დახატულია საქართველოს ინდუსტრიალიზაციის დიდი პროცესის შემოქმედ ადამიანთა, მშენებელთა, სოფლის გარდამქმნელ გმირთა აქტიური განწყობილებანი და უსაზღვრო ენთუზიაზმი, საქართველოს მთლიანი გარდაქმნის დიადი პროცესის ცალკეული სურათები.

20 — 30-იანი წლების ლიტერატურაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის რევოლუციური წარსულის ასახვას. ნ. ლორთქიფანიძის რომანში „ბილიკებიდან ლიანდაგზე" ნაჩვენებია რევოლუციური შეგნებულობის ზრდა ქართველ მუშათა და გლეხთა შორის. რომანისტმა ნათელყო ქართველ რევოლუციონერ პროლეტართა დამრაზმველი როლი თვითმპყრობელობისა და ადგილობრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რევოლუციაში ქართველი ქალის ადგილი და როლი აიღო თავისი რომანის — „ქალის ტვირთი" — ძირითად თემად მ. ჯავახიშვილმა. აღნიშნული რომანი მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია, რომელშიც მახლობელი რევოლუციური წარსულია ასახული. მართალია, ეს მან ვეღარ მოახერხა ისეთივე ძალით, როგორც „არსენა მარაბდელში", მაგრამ „ქალის ტვირთს" გარკვეული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში; იგი 900-იანი წლების დიდი რევოლუციური ძვრების ამსახველი რეალისტური ტილოა. ი. ლისაშვილმა თავისი ისტორიული რომანი „კეცხოველი" მიუძღვნა ცნობილი ქართველი რევოლუციონერის— ლადო კეცხოველის ბრძოლასა და ტრაგიკულ დაღუპვას, დიდ ქართველ რევოლუციონერთა თავდადებულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოში მენშევიზმის ბატონობის ხანა, ბრძოლა ამ ბატონობის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება აისახა ა. ქუთათელის ცნობილ ეპოპეაში „პირისპირ", რომლის პირველი და მეორე წიგნები 30-იან წლებში დაიწერა. რომანში მკვეთრი გამოხატვა პოვა ქართველი ბოლშევიკების ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. რომანი გააზრებულია როგორც ფართო ეპიკური ტილო საქარ-

თველოს ცხოვრებისა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წ. 25 თებერვალი). რომანისტმა რეალისტურად დახატა ძველი არისტოკრატიული ინტელიგენციის ხრწნის შეუჩერებელი პროცესი და გვიჩვენა ამ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების გადმოსვლა პროლეტარული რევოლუციის მხარეზე.

რევოლუციური წარსულის ეპიკური ასახვის ცდა განხორციელებულია ქართველ პროზაიკოსთა ისეთ ნაწარმოებებშიც, როგორიცაა რ. გვეტაძის „ჭიაკოკონა“, პ. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები“, პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯები“, ე. ზედგენიძის (პოლუმორდვინოვი) „რკინის ძმები“ და სხვ.

ოციანი წლების დასასრულს ქართულ საბჭოთა რომანისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დ. შენგელაიას ნაწარმოებმა „ბათა ქექიამ“. ეს არის რომანი, უპირველეს ყოვლისა, ერის ბედზე. მასში გახსნილია ხალხის მდიდარი ეროვნული ყოფა, მისი დაუდგროველი სული, რევოლუციური შემართება, მისი გუშინდელი და დღევანდელი ცხოვრება. რომანის მთავარი გმირი — ქართველი გლეხი ბათა და მთელი მისი გარემომცველი სამყარო, განსაკუთრებული კონცენტრაციის ძალით გამოხატავს ქართველი ხალხის რთულ ცხოვრებას XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე.

გასული საუკუნის ბოლო პერიოდს ეხება დ. შენგელაიას მეორე რომანი „ირმის ნახტომი“, მიძღვნილი ძველი თბილისის ყოფისადმი, ამქარ-ხელოსანთა ცხოვრებისადმი. ქართველი ინტელიგენციის, ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთობის პრობლემას მიუძღვნა დ. შენგელაიამ რომანი „შთაგონება“.

საერთოდ, ისტორიულმა თემატიკამ ახლებური გახმიანება და ჟღერადობა პოვა 20 — 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, თუმცა მწერლობის ძირითად ამოცანად ყოველთვის რჩებოდა თანამედროეობის ასახვა. წარსულისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების უარყოფამ და ამ საკითხში პარტიის სწორმა პოლიტიკამ საშუალება მისცა ქართველ მწერლებსაც ბევრი მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები შეექმნათ ქართველი ხალხის მდიდარ ისტორიულ წარსულზე. ამ დროს განეკუთვნება ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, შ. დადიანის „გიორგი რუსი“.

მ. ჯავახიშვილი სწორად განმარტავდა ისტორიულ თემებზე მომუშავე შემოქმედის ამოცანას, როდესაც ამბობდა: „საქმე ისტორიულობა კი არ არის, არამედ მხატვრის თვალი, მიდგომა და იდეა, რომელიც ხავსმო-

დებულ ქვასაც კი ფასსა სდებს და ალაპარაკებს"[1]. ამ სიტყვებით ხაზგასმულია ეგრეთ წოდებული ისტორიული ნაწარმოების აქტუალობის, მისი იდეური გამიზნულობის, ისტორიული ფაქტებისადმი მიდგომის სწორი კუთხის არჩევის აუცილებლობა.

მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი" ახალი სიტყვაა ქართული კლასიკური ეპიკური ფორმის განვითარებაში. მწერალმა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ამოხსნა XIX საუკუნის ქართველ გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ხასიათი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს რომანი სახალხო გმირზე შექმნილი ხალხური პოეტური ეპოსისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მასში გახსნილია სოციალური ბრძოლის მასობრივი ხასიათი. ფართო ისტორიული ქარგა, ფაქტების, ამბების, მოვლენების სიუხვე, მრავალი ადამიანის ბედის ხატოვანი ჩვენება, ხალხის დიდი მასების შემოყვანა მოქმედებაში — ყოველივე ეს მრავალპლანიანი ფართოეპიკური ტილოს ხასიათს აძლევს ამ ნაწარმოებს.

ქართველი ხალხის უფრო შორეული წარსული აიღეს გამოხატვის საგნად კ. გამსახურდიამ და შ. დადიანმა თავიანთ რომანებში „დიდოსტატის მარჯვენა" და „გიორგი რუსი". ეს უკანასკნელი თამარის ეპოქის მოვლენათა თავისებური ხატოვანი გააზრებაა. „დიდოსტატის მარჯვენა" კი ასახავს XI საუკუნის დასაწყის პერიოდს, როდესაც საქართველო უკვე იჭერდა მძლავრი ცენტრის ადგილს აღმოსავლეთში და უჩვეულო ძალით იწყებდა აყვავებას მისი კულტურა. კ. გამსახურდიამ ამ რომანში მეტად დახვეწილად წამოაყენა შუასაუკუნეობრივი ქართული ეროვნული ცხოვრების ბევრი აქტუალური პრობლემა: ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის, ხალხის როლი და ადგილი ფეოდალურ სახელმწიფოში, მისი შვილების უკვდავი ისტორიული ღვაწლი, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება, ფეოდალური სისასტიკე, ქვეყნის მმართველისა და ხალხის ურთიერთობა, პიროვნების როლი ისტორიაში, ადამიანის დაუოკებელი ნება ურთულესის დაძლევისა. მაგრამ რომანის ძირითადი თემაა ქართველი ხალხის კულტურული წარსულის მნიშვნელობისა და მასშტაბების ხატოვანი ამოხსნა.

20 — 30-იანი წლების ქართული პროზის აღმავლობას მოწმობს ს. კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე", „ფერფლი" და „სვანური მოთხრობები", კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია", „დიდი იოსები", შ. დადიანის „ურდუმი", რ. გვეტაძის „ლაშაური საღამოები", ნ. მიწიშვილის „ეპოპეა", ა. აბაშელის ფანტასტიკური მოთხრობა „ქალი სარკეში", დ. სულიაშვილის „ჩიკორი", „მეორე დღე" და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს 30-იანი წლების ერთი დამახასიათებელი

---

[1] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1936 წლის 20 აპრილი.

ტენდენციაც, რომელმაც განსაკუთრებით პროზისა და პოეზიის დარგში პოვა თავისი მკვეთრი გამოხატულება. ეს არის მოძმე ხალხთა ცხოვრების ასახვა ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ პროზაში გამოირჩევა კ. ლორთქიფანიძის „ბელორუსული მოთხრობების“ ციკლი, კ. გამსახურდიას „უკრაინის თემიდი“, რ. გვეტაძის „ბელორუსული ნოველები“. ამ დიდი მხატვრული შთაგონებითა და სიყვარულით დაწერილ ნაწარმოებებში ასახულია ბელორუსი და უკრაინელი ხალხების ცხოვრება, ნაჩვენებია მათი უტეხი ნება რევოლუციურ ბრძოლებში და თავდადება ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის.

20 — 30-იანი წლების ქართული პროზა წარმოადგენს იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ განვითარების რა ფართო შესაძლებლობა მისცა ქართულ ლიტერატურას, მთლიანად ქართულ კულტურას საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორ გაამდიდრა მან ლიტერატურა თემატიკურად და როგორ გააძლიერა მწერალთა ინტერესი აქტუალური პრობლემატიკისადმი. პროზის ყველა სახემ: რომანმა, მოთხრობამ, ნოველამ, ნარკვევმა, მემუარული ხასიათის ნაწარმოებებმა ამ პერიოდში ისეთი განვითარება პოვეს, როგორც წინათ არასოდეს. მაგალითად, ამ პერიოდს განეკუთვნება ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, რ. გვეტაძის, ა. ბელიაშვილის, შ. დადიანის, ა. გაწერელიას და სხვ. შესანიშნავი ნოველები; კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, ტ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ი. მოსაშვილის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას, ს. ფაშალიშვილის, ლ. ასათიანის, ა. ჭყონიას, რ. ქორქიას, ლ. მეტრეველის, ს. წვერავას, ა. ჩაჩიბაიას და სხვ. ნარკვევები. ამ პერიოდში გამოქვეყნდა გამოჩენილი ქართველი კლასიკოსის დ. კლდიაშვილის, გ. ლასხიშვილის, ი. მანსვეტაშვილის და სხვათა მემუარები.

20 — 30-იანი წლები ქართული საბჭოთა პ ო ე ზ ი ი ს აღმავლობა-განვითარების ფრიად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ამ პერიოდში მოხდა პოეტური ძალების გაერთიანება მოწინავე შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის — ნიშნით.

ამ ხანის პოეზიას ტონს აძლევს რევოლუციისა და განახლების შთაგონებული ტრუბადურის გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გენია. „სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ პოეტურ მაჯისცემას, როგორც ქართველი ლექსის დიდმა ნოვატორმა და ხელოვანმა“[1].

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე უდიდესი პოეტური გზნებით ებმება ახალი ცხოვრების შენებაში, იბრძვის ისეთი ხელოვნებისათვის, რომელიც გა-

---

[1] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ეტიუდები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 161.

მოხატავს რევოლუციური მასების განწყობილებას, ეხმარება მათ ახალი ყოფის დამკვიდრებასა და გამარჯვებაში. იგი ამ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა ლიტერატურის ფრონტზე.

სწორედ ამ დროს გაისმის გ. ტაბიძის მოწოდება: „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის“[1]; „ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“[2]; „თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო, შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე... ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა?.. აირჩიეთ ორში ერთი: განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას!“[3].

გ. ტაბიძე არ განეკუთვნებოდა ოციანი წლების არც ერთ ლიტერატურულ ჯგუფს. ეს მოვლენა ძნელი ასახსნელი როდია: ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის მრავლისმომცველი პრობლემური ხასიათის შემოქმედებისათვის, მისი ფართო რეზონანსის პოეტური სტილისათვის მოუთმენელი იყო იმდროინდელი ცალკე ჯგუფისა თუ სკოლის იდეურ-ესთეტიკური და თემატიკური ჩარჩოები. ეს ფაქტი უსათუოდ განაპირობებს გ. ტაბიძის შემოქმედების განუსაზღვრელად ფართო დიაპაზონს.

გ. ტაბიძის შემოქმედების მთავარი თემებია: ოქტომბრის რევოლუცია და მისი ბელადი — ლენინი, ახალი სამყაროს ორგანიზატორი — კომუნისტური პარტია, თავისუფალი საქართველო და მისი ხალხის ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანი — ეპოქის გმირი, სამშობლო, პატრიოტიზმი, ადამიანის რთული სულიერი ორგანიზაცია, ლირიკული განცდები... ისეთ შესანიშნავ ქმნილებებში, როგორიცაა „ოქტომბრის სიმფონია“ („ქუჩებში ქუხდნენ ორატორები“), „ჯონ რიდი“, დიდი ციკლები — „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ და „პაციფიზმი“, ეგრეთ წოდებული პარიზული ციკლი, „ჩვენი ეპოქა ცეცხლის ფერია“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, „სტანსები“, „ქალაქი წყალქვეშ“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“ და სხვ. გ. ტაბიძე გვევლინება ახალი ეპოქის ჭეშმარიტ მხატვრად, მის შთაგონებულ მემატიანედ. მის ამ პერიოდის ლექსებში აღქმული და განხატებულია ახალი საქართველოს მშენებლობის გრანდიოზული სურათი, ამ მშენებლობის ყველა ისტორიული ეტაპი, ადამიანის სულიე-

---

[1] ჟურნ. „ლ ო მ ი ს ი“, 1922, № 1.
[2] გაზ. „პ ო ე ზ ი ი ს დ ღ ე“, 1922 წელი.
[3] „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1.

რი გარდაქმნისა და მატერიალური სამყაროს ცვლილებების უდიდესი ისტორიული პროცესი.

ცხოვრების რევოლუციურად გარდამქმნელმა ახალმა გმირმა, ძველის მსხვრევისა და ახლის შენების პათოსმა ძირითადი ადგილი დაიკავა პოეტური სიტყვის ისეთი გამოჩენილი ოსტატების შემოქმედებაში, როგორიც არიან იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გიორგი ქუჩიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ილო მოსაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე და სხვ.

ახალი, სოციალისტური სინამდვილის ასახვაში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა პოეზიის ახალგაზრდა ძალებმა — ალიო მირცხულავამ (მაშაშვილი), კარლო კალაძემ, ირაკლი აბაშიძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, გიორგი კაჭახიძემ, გიორგი შატბერაშვილმა, ალექსანდრე გომიაშვილმა, ლადო ასათიანმა, მირზა გელოვანმა, ალექსანდრე საჯაიამ, იოსებ ნონეშვილმა, სევერიან ისიანმა, მაყვალა მრევლიშვილმა, რევაზ მარგიანმა, ალიო ადამიამ, კალე ბობოხიძემ, ალეკო შენგელიამ და სხვ.

ამავე დროს განაგრძობენ მოღვაწეობას რევოლუციამდელი პოეტები, ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული სკოლის“ წარმომადგენლები — დუტუ მეგრელი, ვ. რუხაძე, ს. თავაძე და სხვ.

რა მოტივები გამსჭვალავს ამ დროის ქართულ პოეზიას, რა პრობლემებს ასახავს იგი? ეს არის: საბჭოთა სინამდვილე და მისი დამამკვიდრებელი გმირი — ბრძოლისა და შრომის ადამიანი, ახალი იდეოლოგიის დამკვიდრება ადამიანთა შეგნებაში — ახალი ფსიქიკის ჩამოყალიბება, კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე, პერსპექტივაში ხილული სინამდვილე, ჩვენი პარტია, სამშობლო, მისი დღევანდელი დღე, წარსული და მომავალი, ქართველი ერის ბედი...

20 — 30-იანი წლების ქართული ლირიკის მთავარი გმირია ახალი ადამიანი, ვისაც გამოარჩევს: მიზნის ცოდნა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში უშუალო მონაწილეობა; იმის შეგნება, რომ იგი თვით განაგებს საკუთარ ბედს; იმის ცოდნა, რომ ყველაფერი, რასაც ჰქმნის, მისი და ახალი საზოგადოების კეთილდღეობას ხმარდება. ამ პათოსით იყო გამსჭვალული გ. ტაბიძის „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“, ა. მირცხულავას (მაშაშვილი) „დამკვრელი ბრიგადები“, ა. გომიაშვილის „ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“, გ. ლეონიძის „გმირი და პოეტი“, ი. გრიშაშვილის „ნარინჯიანო“, ს. ჩიქოვანის „გმირის ძიება ნატაჩიოში“, ი. აბაშიძის „შეიქმენ გმირი“ და ა. შ.

ქართული პოეზია ახალი შინაარსით გამსჭვალავს „გმირის“ ცნებას.

გმირს იგი ხატავს და ადიდებს, როგორც ახალი სულიერი სამყაროს ადამიანს, ხოლო ამ სულიერი სამყაროს შექმნას აღიქვამს როგორც ახალი იდეების, ქალაქისა და სოფლის ახალი სინამდვილის უშუალო გავლენის რთულ პროცესს.

ქართულ პოეზიას მნიშვნელოვანწილად გამსჭვალავს პატრიოტული მოტივი, რომელმაც გაშუქებისა და განცდის ახლებური ასპექტი პოვა. ამ პერიოდის ისეთი ლექსები, როგორიცაა გ. ტაბიძის „სამშობლოს“ და „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, ი. გრიშაშვილის „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“ და „ჩემი თბილისი“, გ. ლეონიძის „ოლე“ და „მცხეთის მთებში“, ა. აბაშელის „სამშობლოსადმი“, ა. მირცხულავას „სამშობლო“ და ი. მოსაშვილის „ჩემო ქვეყანავ“, გ. ქუჩიშვილის „აღორძინებული საქართველო“ და გ. ცეცხლაძის „სამშობლო მბარე“, ლ. ასათიანის „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, კ. კალაძის, გ. აბაშიძის, ა. გომიაშვილის, გ. შატბერაშვილის და სხვ. პატრიოტული ლექსები პოეტური ღაღადისია ახალ საქართველოზე, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გულწრფელი გაცხადებაა. სიამაყისა და სიყვარულის როგორი წრფელი გრძნობით, დიდი შთაგონებით და ექსპრესიით არის დაწერილი მაგალითად ლ. ასათიანის ცნობილი ლექსი „სალაღობო“.

სამშობლოს უდიდესი სიყვარულით არის ნაკარნახევი მთელი რიგი ქართველი პოეტების ლექსები, რომლებშიც გამოხატულია ომისაგან ქვეყნის, ხალხის დაცვის იდეა. გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, გ. ქუჩიშვილის, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, გ. კაჭახიძის, ა. აბაშელის, კ. კალაძის, ა. საჯაიას, მ. გელოვანის, მ. ბარათაშვილის, ვ. გორგაძის, ვ. ჟურულის, კ. ბობოხიძის, გ. ჯაბუშანურისა და სხვ. ლექსებში საბჭოთა არმია წარმოსახულია სამშობლოს ერთგულ დამცველ ძალადაც და ახალი ადამიანის ფორმირების სკოლადაც.

20 — 30-იანი წლების ეპოქამ მოგვცა აგრეთვე სოციალისტურ რევოლუციაზე, რევოლუციურ წარსულზე, სამოქალაქო ომზე, პარტიაზე შექმნილი ბევრი ჩინებული ნიმუში პოეტური შემოქმედებისა (გ. ტაბიძის „ოქტომბრის სიმფონია“, „ჯონ რიდი“, „ლენინის ხსოვნას“, პ. იაშვილის „ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძისა“, ა. აბაშელის „ოქტომბრის ქუხილი“, ვ. გაფრინდაშვილის „ოქტომბრის სტრიქონები“, ა. მირცხულავას „კეცხოველი“, ი. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“, ნ. ბიწიშვილის „ახალი მოედანი“, გ. ქუჩიშვილის „ფიცი ლენინზე“, ტ. ტაბიძის „დაღესტნის გაზაფხული“, გ. ლეონიძის „საქართველოს ბოლშევიკებს“, დ. გაჩეჩილაძის „კრემლის საათი“, ლ. ასათიანის „ლენინის ტომი“ და სხვ.). მთელ რიგ ამ წყების ლექსებში დიდი მხატვრული ოსტატობით, პოეტური შთაგონებითა და რეალისტურ-რომანტიკული მანერების ურთიერთშერწყმით

არის დახატული რევოლუციისა და პარტიის დიდი ბელადის — ლენინის სახე. აღნიშნული ლექსები გამოხატავენ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, მსოფლიოს ხალხთა უსაზღვრო სიყვარულს დიდი ლენინისადმი, ოქტომბრის უდიდეს მისიას და მისი საქმის უკვდავებას.

სოციალისტური სინამდვილის დამკვიდრებას სოფლად, ადამიანთა ახალ ურთიერთობებს უძღვნა ი. გრიშაშვილმა „ერთი დღე სოფელში", ა. აბაშელმა „დილა სოფლად", პ. იაშვილმა „ზემოური რთველი", გ. ქუჩიშვილმა „ახალსოფლელი ბიჭი", ი. აბაშიძემ „ოდიშის პლანტაციები", ს. ჩიქოვანმა „სამეგრელოს საღამოები", ი. მოსაშვილმა „ალაზნის პირას", გ. აბაშიძემ „ძველი იმერლები ახალ იმერეთში", გ. კაჭახიძემ „ის უბანი და ის კარმიდამო", ვ. გაბესკირიამ „სურათები" და სხვ. ახალი სოფლის თემამ თავისებური პოეტური გამოხატვა პოვა აგრეთვე ბუნების გარდაქმნისადმი, კერძოდ, კოლხეთის განახლებისადმი მიძღვნილ მთელ რიგ ლექსებში.

ქართული საბჭოთა პოეზიისათვის ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის პრობლემა ყოველთვის იყო ერთ-ერთი ძირითადი, ტონის მიმცემი თემა. მაგრამ მან სწორედ ოცდაათიანი წლების ლიტერატურაში დაიკავა მეტად თვალსაჩინო ადგილი. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაღალიდეურ გამსჭვალულობას, ლიტერატურასა და ხელოვნებაში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებისა და უფრო ადრინდელი პერიოდის ნაციონალური შეზღუდულობის სიმპტომთა საბოლოო დაძლევას. ტ. ტაბიძის ცნობილი ციკლი „სომხეთში", ი. გრიშაშვილის „მტკვარი და არეზი", „აზერბაიჯანის პოეტებს", გ. ტაბიძის „ეროვნებათა მარში", გ. ლეონიძის „მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი", ი. აბაშიძის „ბაღდადი — მაიაკოვსკი", პ. იაშვილის „უკრაინელი ქალის სიმღერა", ვ. გაფრინდაშვილის „შევჩენკოს პორტრეტის წინ", მარიჯანის „დილა დნეპრზე", ა. საჯაიას „სომხეთში", ს. ეულის „ტარას შევჩენკოს", რ. გვეტაძის „სიმღერები ბელორუსიაზე" და ქართველი საბჭოთა პოეტების მრავალი სხვა ლექსი აღბეჭდილია მოძმე ხალხებისადმი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის უსაზღვრო გრძნობით, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი გულგაშლილობითა და იმის შეგნებით, რომ საბჭოთა ხალხების ბედნიერი მომავლის ერთ-ერთი გარანტია სწორედ მათი ურღვევი მეგობრობაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცესი ლიტერატურაში ცალმხრივი როდი იყო. საქართველოსა და მის ხალხს ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნეს რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა, აზერბაიჯანელმა, სომეხმა და სხვ. მწერლებმა. საკმარისია დავასახელოთ ნ. ტიხონოვის ცნობილი ციკლი „ლექსები კახეთზე", ბ. პასტერნაკის, მ. ბაჟანის. ი. სელვინსკის, მ. ლუგოვსკოის, ნ. ზაბოლოცკის, ბევრი სომეხი და აზერბაიჯანელი პოეტის ლექსები და

ნათელი გახდება ინტერნაციონალური თემებითა და მოტივებით თითოეული საბჭოთა ლიტერატურის გამდიდრების ერთობლივი პროცესი.

საერთოდ, სხვადასხვა ხალხების ცხოვრების ასახვის ტენდენცია 20—30-იანი წლების ლიტერატურაში ისე ძლიერია, რომ იგი მოიცავს ევროპის თუ აზიის, მთელი მსოფლიოს ადამიანების ყოფის, სოციალური მდგომარეობის მეტად საჭირბოროტო, აქტუალურ პრობლემებს. გ. ტაბიძის შესანიშნავი პარიზული ციკლის გარდა უნდა დავასახელოთ ა. მირცხულავას „რიქშა“, ა. გომიაშვილის „ისევ ეძახიან გერმანიას“, ვ. გაფრინდაშვილის „დიმიტროვს“, ტ. ტაბიძის „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო“, ნ. მიწიშვილის „ესპანეთის ხალხს“, ა. აბაშელის „გერმანიაში“, ი. აბაშიძის „ბარათი ესპანელ მებრძოლთ“ და ა. შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართული პოეტური ეპოსის განვითარების ახალი საფეხური, რომელიც სწორედ 20—30-იან წლებში იქნა მიღწეული. „კლასიკური ეპოპეის მსგავსად, საბჭოთა პოემის საფუძველს ჩვენი დროის დიდი სოციალური ძვრები, ხალხის ცხოვრების ისტორიული მოვლენები შეადგენენ; მოვლენები, რომელნიც ღრმა გავლენას ახდენენ ხალხის ბედზე, მის შემდგომ ცხოვრებაზე. საბჭოთა პოემაში მოქმედებს ხალხი — შემოქმედი და მშენებელი ახალი სოციალისტური ცხოვრებისა“[1].

ახალ ადამიანთა სახეები დახატა ა. მირცხულავამ პოემაში („ენგური“). მასში ნაჩვენებია საქართველოს მუშათა კლასის ახალი თაობის უჩვეულო შრომითი ჰეროიზმი, ახალი სულიერი სამყარო, ადამიანის ახალი დამოკიდებულება შრომისადმი.

კ. ჭიჭინაძემ დაწერა პოემა „მარინა რასკოვა“, რომელშიც გახსნა საბჭოთა ქალების ლეგენდარული გმირობის დიდი პათოსი.

ქართველი ხალხის რევოლუციურ წარსულს, მისი მამაცი შვილების თავდადებას წარმოგვისახავს ბევრი მნიშვნელოვანი პოეტური ფართო ტილო. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ გ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“, ი. მოსაშვილის „ბაზალეთი“ და სხვ.

გ. ლეონიძის პოემებში ასახულია, ერთი მხრივ, XIX—XX საუკუნის ქართლის ყოფა და ხალხის რევოლუციური, გაუტეხელი სული და ნებისყოფა, ხოლო, მეორე მხრივ, სამშობლოს ალეგორიული სახის — ქართველი დედის ისტორიული ხვედრი, კოლხეთის ბედი („ფორთოხალა“).

განახლებულ კოლხეთს უძღვნეს თავისი პოემები კ. ჭიჭინაძემ („რიონის აპოლოგია“) და ტ. ტაბიძემ („რიონი-პორტი“).

ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსის განვითარებაში მნიშვნელოვანი

---

[1] ბ. ჟ ღ ე ნ ტ ი, თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ., 1949, გვ. 253.

წვლილი შეიტანეს გ. ტაბიძემ, კ. კალაძემ, ი. აბაშიძემ, ი. ვაკელმა, ი. მოსაშვილმა, გ. აბაშიძემ, გ. ცეცხლაძემ, ლ. ასათიანმა, მ. გელოვანმა, ფ. ნაროუშვილმა, ა. საჯაიამ, ვ. უბილავამ, გ. ჯაბუშანურმა, ვ. ჟურულმა, ვ. დარასელმა, შ. ამისულაშვილმა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორი ათწლეულის მანძილზე ქართული კულტურის უჩვეულო წინსვლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო ეროვნული დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ი ს განვითარება.

ამ პერიოდს განეკუთვნება ქართული საბჭოთა დრამატურგიის მთელი რიგი კლასიკური ნიმუშების შექმნა. ვითარდება დრამატურგიის თითქმის ყველა სახე, განსაკუთრებით კი — დრამა და კომედია.

ქართული დრამატურგიისათვისაც ნიშანდობლივია თანამედროვე ცხოვრების რთული პრობლემების ხატოვანი გააზრება. ესენია: ახალი იდეოლოგიისა და რწმენის ადამიანთა შეჯახება ძველი ყოფის ნიშან-თვისებათა მატარებელ ადამიანებთან; ახალი გმირის ფორმირების რთული სულიერი პროცესი; ხალხი და ხელმძღვანელი; ქალაქისა და სოფლის სოციალისტური თანაცხოვრების დამკვიდრება; ბრძოლა მავნებლობასთან, ბიუროკრატიზმთან, ძველი ყოფის გადმონაშთებთან და ა. შ.

შალვა დადიანის პიესა „კაკალ გულში“ ერთ-ერთი პირველი ქართული კომედიაა, რომელიც დაუნდობლად ამხელს საბჭოთა აპარატის ნაკლს, ბიუროკრატიზმს, აშიშვლებს ძველ გადმონაშთთა მატარებელი ადამიანების ანტისაზოგადოებრივ მორალს. „თეთნულდი“ კი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი პირველი ტრაგედია იყო მთელ საბჭოთა დრამატურგიაში. მასში აისახა ახალი ცხოვრების ადამიანთა ბრძოლა პატრიარქალური ყოფის ტრადიციებთან, ამ ტრადიციათა დაუნდობელი რღვევა. პიესაში „ნაპერწკლიდან“ შ. დადიანმა გააცოცხლა საქართველოს რევოლუციური წარსული და საქართველოს მუშათა კლასის, მისი პარტიის, მისი მოწინავე ადამიანების ბრძოლის მეტად შთამბეჭდავი სურათები შექმნა. პიესებით „ჩატეხილი ხიდი“ და „ნინოშვილის გურია“ შ. დადიანმა წარმატებით განახორციელა XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა — ი. ჭავჭავაძისა და ე. ნინოშვილის ნაწარმოებთა გასცენიურების ცდა.

ქართული თეატრის აღორძინებაში მეტად თვალსაჩინო როლი შეასრულა სანდრო შანშიაშვილის პიესებმა. მისი სოციალური დრამა „ჰერეთის გმირები“ წარმოსახავს ქართველი გლეხობის ბრძოლას ფეოდალების წინააღმდეგ, მასების რევოლუციურ შემართებას. თავის დროზე განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ს. შანშიაშვილის პიესამ „ანზორი“. დრამატურგმა გადმოაკეთა ვ. ივანოვის ცნობილი პიესა „ჯავშნოსანი მატარებელი 14 — 69“, მაგრამ მასში იმდენი ცვლილება შეიტანა და ისე დააახლოვა ჩვენს სინამდვილეს, რომ იგი მრავალი წლის მანძილზე გაჰყვა ქართული თეატრის ორიგინალურ რეპერტუარს. ასევე რევოლუციური

წარსული აიღო გამოხატვის საგნად ს. შანშიაშვილმა დრამაში „არსენა“, რომლითაც ჩინებულად დახატა სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის მონუმენტური ფიგურა, ქართველი გლეხკაცის ბუნტარი ბუნება, მისი სტიქიური ამბოხება თვითმპყრობელობისა და ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ, გახსნა ამ ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათი. XVII საუკუნის საქართველოს რთული ვითარება და გამოჩენილი ქართველი სარდლისა და მოღვაწის ტრაგედია აისახა ს. შანშიაშვილის პიესაში „გიორგი სააკაძე“, ხოლო პიესით „სამნი“ იგი შეეცადა უკვე ჩვენი დროის სინამდვილის განხატებას; ამ ნაწარმოების თემაა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობა.

პოლიკარპე კაკაბაძემ ჯერ კიდევ ახალი საქართველოს პირველ წლებში შექმნა რევოლუციური დრამა „ლისაბონის ტუსაღები“. ამის შემდეგ იგი წერს „ყვარყვარე თუთაბერს“, სადაც გაშიშვლებულია მენშევიზმის ბატონობის ანტიხალხური ბუნება, ნაჩვენებია მისი სრული გაკოტრება და დამარცხება. კომედიის მთავარი გმირის, ცხოვრების ზედაპირზე შემოთხვევით ამოტივტივებული უქნარა ყვარყვარე თუთაბერის სახეში შერწყმულია უსაფუძვლო ფანტაზიორობაც, ცნობიერებაც, დესპოტიზმიც, უვიცობაც, უბადრუკობაც და მენშევიზმის პერიოდის „მოღვაწისათვის“ დამახასიათებელი ბევრი სხვა მანკიერებაც.

თავის მეორე კომედიაში „კოლმეურნის ქორწინება“, რომელიც უკვე ოცდაათიან წლებში შეიქმნა, პ. კაკაბაძემ ასახა საკოლმეურნეო ყოფა, აჩვენა სოფლის ცხოვრება, გახსნა სხვადასხვა მდგომარეობისა და განწყობილების ადამიანთა სულიერი სამყარო. ამ პიესების შექმნა მკაფიოდ მოწმობდა ქართული კომედიოგრაფიის უჩვეულო განვითარებას, მის ახალ საფეხურს, იმას რომ ქართული საბჭოთა კომედია გადაიქცა თანამედროვე ქართული დრამატურგიის ძლიერ ჟანრად.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კ. კალაძის პიესებს — „როგორ“ და „ხატიჯე“, რომლებიც 20 — 30-იან წლებში დაიწერა.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნის, კოლექტივიზაციის პერიოდში მწვავე კლასობრივი ბრძოლის, ახალი სულის ადამიანების ფორმირების პრობლემებს ასახავენ ა. მირცხულავას „განგაში“ და პ. სამსონაძის „სალტე“.

ქართველ დრამატურგთა შემოქმედების მრავალფეროვნებას, თანამედროვე თუ წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემებისადმი მათი ყურადღების გამახვილებას მოწმობს ისეთი დრამატული ნაწარმოებები, როგორიცაა: შ. დადიანის „შავი ქვა“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, „გრაფის ქვრივი“, ს. შანშიაშვილის „ფოლადური“, ი. ვაკელის „შური“, „შამილი“, კ. კალაძის „სახლი მტკვრის პი-

რას“, გ. მდივნის „ალკაზარი“, „სამშობლო“, ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, უ. ჩხეიძის „გიორგი საკაძე“, გ. ბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „იცკა რიჟინაშვილი“, გ. შატბერაშვილის „დუშმანი“, ლ. გოთუას „ერეკლე მეორე“, ს. მთვარაძის „შლეგი“, გ. ნახუცრიშვილის, ნ. აზიანის, გ. ბერძენიშვილის და სხვ. პიესები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში უჩვეულოდ განვითარდა საბავშვო ლიტერატურა. ახალი ძალით გაიშალა შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართველი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელისა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ბავშვთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში.

ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ნინო ნაკაშიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, მარიამ ალექსიძემ (მარიჯანმა), ანა ხახუტაშვილმა, ნიკოლოზ ჩაჩავამ, ილია სიხარულიძემ, მაყვალა მრევლიშვილმა, როდიონ ქორქიამ და სხვ., რომელთა ნაწარმოებებიც გამსჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი პათოსით, დიდაქტიკური სულისკვეთებით და გარკვეულ როლს ასრულებენ ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში.

რუსული და უცხოური ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმნა საქართველოში ყოველთვის ითვლებოდა საპატიო საქმედ. უკვე ომამდელი წლების პერიოდში საქართველოში ითარგმნა და გამოიცა გრიბოედოვის, გოგოლის, ტოლსტოის, ჩეხოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ტურგენევის, კრილოვის, ა. ოსტროვსკის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, გორკის ნაწარმოებები.

ითარგმნა და გამოიცა ა. ს. პუშკინის თითქმის ყველა ნაწარმოები. გამოვიდა აგრეთვე მისი რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეული აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ვ. მაიაკოვსკის ქმნილებანი ქართულად თარგმნეს პოეზიის შესანიშნავმა ოსტატებმა გალაკტიონ ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ალიო მირცხულავამ, ირაკლი აბაშიძემ, ილო მოსაშვილმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, მიქელ პატარიძემ და სხვ.

უკვე ომამდელ წლებში ქართულ ენაზე გამოიცა ფ. გლადკოვის „ცემენტი“, ა. ფადეევის „განადგურება“, მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და რუსი საბჭოთა მწერლების ბევრი სხვა ნაწარმოები.

სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურიდან ქართულად გამოიცა ტ. შევჩენკოს, ლ. უკრაინკას, ა. კორნეიჩუკის, პ. ტიჩინას, მ. რილსკის, ი. კუპალას, ი. კოლასის, ჯამბულის, ა. იანის, სულეიმან-სტალსკის, შოლომ-ალეხეიმის, ო. თუმანიანის, ხ. აბოვიანის, ა. ისააკიანის, მ. ახუნდოვის, ს. ვურღუნის, კ. ხეთაგუროვისა და სხვა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები.

ქართული პოეზიის ქმნილებანი რუსულ ენაზე შესანიშნავად თარგმნეს ცნობილმა რუსმა პოეტებმა პავლე ანტოკოლსკიმ, ვლადიმერ დერჟავინმა, ევგენი დოლმატოვსკიმ, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, ალექსანდრე კოჩეტკოვმა, მიხეილ ლუკონინმა, ალექსანდრე მეჟიროვმა, ბორის პასტერნაკმა, ნიკოლოზ ტიხონოვმა, კორნეი ჩუკოვსკიმ და სხვებმა.

უკრაინულ ენაზე ქართველი პოეტების ლექსების საუცხოო თარგმანი მოგვცეს მიკოლა ბაჟანმა, მაქსიმ რილსკიმ, პავლო ტიჩინამ, ვლადიმერ სოსიურამ, ანდრეი მალიშკომ.

მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიტერატურული კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებაში. ქართველ მკითხველებს შესაძლებლობა მიეცათ მშობლიურ ენაზე გაცნობოდნენ აზერბაიჯანის კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებს.

ნაყოფიერად მუშაობდნენ ქართველი და სომეხი ლიტერატორები ორი მოძმე რესპუბლიკის კულტურული კავშირ-ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. დაწყებული ოციანი წლებიდან ქართულ და სომხურ ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა ქართული და სომხური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

ლიტერატურის ყველა ჟანრის განვითარებასთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწია ლიტერატურულმა კრიტიკამ, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეობამ. ფართო მუშაობა გაჩაღდა როგორც ძველი და ახალი პერიოდების ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის, ასევე თანამედროვე, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საკვანძო პრობლემების დამუშავების, მისი გზებისა და ტენდენციების გარკვევის, მისი იდეური შინაარსის გაძლიერებისა და მხატვრული დონის ამაღლებისათვის. შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები ძველი და XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში, გამოქვეყნდა თვალსაჩინო ნაშრომები საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებსა, ლიტერატურის თეორიისა და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრობლემებზე.

ლიტერატურის ისტორიის კვლევაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, გრ. წერეთელმა, ა. შანიძემ, პ. ინგოროყვამ, შ. ნუცუბიძემ, ვ. კოტეტიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. ბარამიძემ, ს. დანელიამ, იუსტ. აბულაძემ, გ. წერეთელმა, მ. ზანდუკელმა, ილ. აბულაძემ, ს. კაკაბაძემ, კ. ჭიჭინაძემ, მ. გოგიბერიძემ, ს. ხუნდაძემ, გ. ქიქოძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ლ. ასათიანმა და სხვ. საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები ფ. მახარაძემ, მ. ტოროშელიძემ, ვ. ბახტაძემ, ბ. ელენტმა, გ. ჯიბლაძემ, შ. რადიანმა, ბ. ბუაჩიძემ, დ. ბენაშვილმა, გ. ნატროშვილმა, პ. ქიქოძემ, ა. გაწერელიამ, ა. დუდუჩავამ, ს. ჭილაიამ, ლ. კალანდაძემ, ვ. წუ-

ლუკიძემ, გ. თავზიშვილმა, გ. ლომიძემ, მ. დუდუჩავამ, გ. აბზიანიძემ, ე. ქარელიშვილმა და სხვ. ახალი ძალით გაიშალა მუშაობა ქართული ფოლკლორის მეცნიერული კვლევის დარგში, რასაც მტკიცე საფუძველი შეუქმნა მდიდარი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშის ჩაწერა-გამოცემამ. ქართული ფოლკლორისტიკის დარგში თვალსაჩინო მუშაობა შეასრულეს ა. შანიძემ, ვ. კოტეტიშვილმა, მ. ჩიქოვანმა, ქ. სიხარულიძემ, ე. ვირსალაძემ და სხვ.

20 — 30-იანი წლების საქართველოს ლიტერატურულ, მთელ კულტურულ ცხოვრებაში ბევრი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომლებიც განაპირობებდნენ ეროვნული სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებას და, ამასთანავე, წარმოადგენდნენ ამ ზრდის აქამდე არნახული დიდი მასშტაბების ბრწყინვალე დადასტურებას. ასეთი მოვლენები იყო: ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1937 წლის დასაწყისში, რომელიც მთელი ქართული კულტურის ტრიუმფად გადაიქცა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავის იუბილე 1937 წელს, რაც უდიდეს ეროვნულ ზეიმს წარმოადგენდა. თვალსაჩინოდ გაძლიერდა ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, რისი ბრწყინვალე დადასტურებაც იყო: საქართველოში უკრაინის კულტურის დეკადა 1931 წელს; რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი მწერლების მრავალრიცხოვან დელეგაციათა ყოფნა; მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ანრი ბარბიუსის და მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მწერალთა ჩამოსვლა საქართველოში და ა. შ.

ამავე პერიოდის ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე როგორც საქართველოში მომუშავე სხვა ეროვნებათა მწერლების ორგანიზაციული გაერთიანება, მათი ცალკე სექციების შექმნა, ასევე აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის მწერალთა განყოფილებების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის აღმავლობა. სოხუმელმა, ბათუმელმა, ქუთაისელმა და ცხინვალელმა მწერლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებებით გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა.

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1941 — 1945 წლების დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იმის ნათელი დადასტურებაა, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ ლიტერატურას არა მარტო შეუქმნეს სწრაფი, თანმიმდევრული ძლიერი განვითარების ყველა პირობა, არამედ უზრუნველყვეს კიდეც ამ პირობათა განხორციელება.

ქართული ლიტერატურა, რომელიც ვითარდებოდა პარტიულობის ლენინური პრინციპებისადმი ერთგულების ნიშნით, მთელი თავისი ზე-

მოქმედებითი ძალით ემსახურებოდა ხალხს, გამოხატავდა მის მისწრაფებებსა და ინტერესებს, გამარჯვების ნათელი რწმენით აღანთებდა მას ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. იგი ყოველთვის წარმატებით ასრულებდა ეპოქის მიერ მისთვის დაკისრებულ საპატიო და უდიდეს ამოცანას, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაორგანიზებელი და აღმზრდელი ძალა.

§ 6. ხელოვნება

ა. თეატრი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე კომუნისტურმა პარტიამ და რესპუბლიკის მთავრობამ დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ თეატრს სასიცოცხლო ძალა შემატა, მისცა მას ახალი შინაარსი, ახალი ამოცანები დაუსახა.

უკვე 1921 წლის მარტში დაარსდა პირველი საბჭოური ორგანო, რომელიც ხელოვნების საკითხებს განაგებდა — განათლების სახალხო კომისარიატის მთავარი სამხატვრო კომიტეტი. კომიტეტის თეატრალური ნაწილის გამგედ დაინიშნა მწერალი, დრამატურგი და რეჟისორი შალვა დადიანი, მუსიკალური ნაწილის გამგედ — კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, ლიტერატურული ნაწილის გამგედ — პოეტი ალექსანდრე აბაშელი.

1921 წლის 9 მარტს დაარსდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირი, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ვალერიან გუნია.

საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ხელოვნების მოღვაწეებს. საქართველოს რევკომის 1921 წლის 30 მარტის დადგენილებით თეატრებში დაბრუნდნენ არმიაში გაწვეული მსახიობები, მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილებანი კულტურის მოღვაწეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

1921 წლის 25 ნოემბერს თბილისის ახალ სახელმწიფო დრამატულ თეატრს რევკომის დადგენილებით მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი, ხოლო მომდევნო წელს სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა კოტე მარჯანიშვილი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი აღმავლობა.

ამ დროისათვის კ. მარჯანიშვილი უკვე სახელმოხვეჭილი რეჟისორი იყო. რუსულ, უკრაინულ და ლატვიურ სცენებზე მუშაობის მდიდარი

გამოცდილება, შეხვედრები და შემოქმედებითი მეგობრობა მ. გორკისთან, კ. სტანისლავსკისთან, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინთან, მ. ანდრეევასა და რუსეთის კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან, ურთიერთობა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სახელოვან კოლექტივთან — კ. მარჯანიშვილს ხდიდა ქართული თეატრის დიდ რეფორმატორად. მას კარგად ესმოდა იმხანად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა აზრი და მნიშვნელობა თეატრისათვის. იგი მტკიცედ იდგა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციაზე, მასაც შეეძლო მაიაკოვსკისებურად ეთქვა: „ჩემი რევოლუცია!“. მან არაერთხელ დაადასტურა ეს საქმით, პრაქტიკულად.

როდესაც საქართველოში დაბრუნებას იგონებდა, კ. მარჯანიშვილი წერდა: „მე აქ (საქართველოში, — რედ.) საბჭოთა რუსეთიდან ჩამოვედი“. ეს სიტყვები სიამაყითა და საზეიმო განწყობილებით იყო ნათქვამი. აქვე კ. მარჯანიშვილი ახასიათებდა მენშევიკების ბატონობის ხანას და გულისტკივილით ლაპარაკობდა, თუ როგორ ცდილობდნენ მენშევიკები ქართული თეატრი რუსული კულტურის გავლენისაგან გამოეთიშათ. „ცდილობდნენ თეატრი და აგრეთვე, მთელი ქართული კულტურა გაეთავისუფლებინათ ყოველივე იმისაგან, რაც განასახიერებდა რუსეთს — არ უწევდნენ ანგარიშს, რომ სხვა იყო მეფის რუსეთი, ხოლო კომუნისტური, საბჭოთა რუსეთი კი სრულიად სხვა“.

კ. მარჯანიშვილი იყო კიევის თეატრების კომისარი, მუშაობდა მოსკოვის ცენტროთეატრში, რევოლუციურ პეტროგრადში ყოფნის წლებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული პეტროგრადის საბჭოსთან, უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ბალტიის ფლოტის პოლიტსამმართველოსთან.

კ. მარჯანიშვილის შემოქმედებითი გამარჯვება — 1919 წელს კიევში განხორციელებული დადგმა „ფუენტე ოვეხუნა“ და სამოქალაქო ომის წლებში პეტროგრადის ქუჩებსა და მოედნებზე მის მიერ მოწყობილი გრანდიოზული მასობრივი სანახაობა შევიდა საბჭოთა თეატრის ისტორიაში, როგორც ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნების, ახალი სამყაროს თეატრის პირველი საბრძოლო სიტყვა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რეჟისორის პოლიტიკური შეგნების ჩამოყალიბებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას.

კ. მარჯანიშვილს თეატრი არასოდეს გადაუქცევია თვითმიზნად. მან შეძლო თეატრის საზეიმო ხასიათის გადაქცევა დიდი პროგრესული იდეის, თანამედროვეობის ამსახველი აზრის გამომხატველად. ახალგაზრდა საბჭოთა თეატრს პირველ ხანებში არ გააჩნდა თანამედროვეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. სახელდახელოდ დაწერილი პიესები თუ მასობრივი სააგიტაციო დღესასწაულები ვერ გასწევდა რეალისტური დამაჯერებლობით, მხატვრული განზოგადებებითა და მაღალი იდეურო-

ბით აღჭურვილი დიდი დრამატურგიის მაგივრობას. თეატრი, წარსულის რეალისტური კულტურის მონაპოვრის, მებრძოლი, უბერებელი კლასიკოსების მოშველიებით ცდილობდა გაეცა პასუხი თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე. მოსკოვის მცირე თეატრის დიდებული ცდები, რომელსაც იმ წლებში ა. სუმბათაშვილ-იუჟინი ედგა სათავეში, კ. სტანისლავსკის, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, პეტროგრადის ალექსანდრასა და დიდი დრამატული თეატრების ხელმძღვანელობის ძიებები მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საქმეში ცხადყოფდა, რომ კლასიკის ახლებური გააზრებით, მასში სოციალურ-მამხილებელი მოტივების გაძლიერებით, შეიძლება ამაღლებული, მწვავედ თანადროული, კრიტიკული და მამხილებელი პათოსით აღსავსე სცენური ტილოების შექმნა. და შემთხვევითი როდი იყო, რომ საბჭოთა თეატრის პირველი დიდი, პრინციპული გამარჯვებები სწორედ კლასიკური პიესების დადგმასთან იყო დაკავშირებული. კიევში განხორციელებული „ცხვრის წყაროს“ ცნობილ დადგმას ამ საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. თეატრის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც პირველი საბჭოთა სპექტაკლი.

კ. მარჯანიშვილს ესმოდა, რომ საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თეატრს სჭირდებოდა ძლიერი, მხნე, ოპტიმისტური სულისკვეთების პიესა. კიევში ლოპე დე ვეგას პიესის დადგმის მაგალითმა რეჟისორს უკარნახა სწორი არჩევანი.

1922 წელს კ. მარჯანიშვილის მიერ ქართულ თეატრში დადგმულ სპექტაკლ „ცხვრის წყაროში“ შერწყმული იყო რევოლუციური ჰეროიკა და მგზნებარე საზეიმო განწყობილება. რეჟისორი იდეისა და ხასიათების ღრმა გააზრებით ცხოვრებისეულ სიმართლეს წარმოგვიდგენდა. ხალხის ბრძოლა და სიმამაცე ძალადობისა და ტირანიის წინააღმდეგ იყო მთავარი და ძირითადი თემა, რომელმაც განაპირობა ქართული თეატრისა და მაყურებლისათვის თვისებრივად ახალი თეატრალური ნაწარმოების შექმნა, რომელშიც იგრძნობოდა რევოლუციური ეპოქის სული, ან როგორც თვითონ კ. მარჯანიშვილი ამბობდა: „ახალი სული, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მსოფლიო“[1].

„ცხვრის წყაროს“ დადგმა ხალხის ეროვნული სულის გამომხატველი იყო. იგი წარმოადგენდა სცენისა და მაყურებელთა სრული სულიერი ერთიანობის მაგალითს და ამკვიდრებდა ჰუმანიზმის ზოგადსაკაცობრიო იდეებს, რითაც ჰეშმარიტ ინტერნაციონალურ ეღერადობას აღწევდა.

ლოპე და ვეგას პიესის შემდეგ მარჯანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დადგა კლასიკური პიესები: გ. ერისთავის „გაყრა“, მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, შექსპირის „ვინძორის

---

[1] Сб., «Котэ Марджанишвили. Творческое наследие», Тб., 1958, т. I, стр. 132.

მხიარული ქალები“ და „ჰამლეტი“. ამაეე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“.

ეს იყო კლასიკური დრამატურგიის ახლებურად წაკითხვა. ყველა დასახელებულ სპექტაკლში კ. მარჯანიშვილი კლასიკური მემკვიდრეობის საშუალებით თანმიმდევრულად განაგრძობდა თეატრთან თანამედროვე მაყურებლის დაახლოების ხაზს.

ამ ტენდენციას ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატავდა „ჰამლეტი“. ამ პიესის დადგმით შესანიშნავად გამოჩნდა ქართული რეალისტური თეატრის საუკეთესო დემოკრატიული ტრადიციები. კ. მარჯანიშვილი შექსპირის ჰეშმარიტად თანამედროვე არსს არა ზედაპირული ხასიათის ფორმალურ ხერხებში ეძებდა, არა რაიმე სცენურ აღმოჩენებში, რომლებიც ეფექტურად ამოკვეთავდნენ შექსპირისეულ დრამატურგიული ხერხების მრავალფეროვნებას, მას ეს არსი მოქმედების თანამედროვე გააზრებით და ყოვლისმომცველი სიღრმით სურდა ამოეკითხა.

უშ. ჩხეიძის ჰამლეტი რაღაც მაგიური ძალით იპყრობდა მაყურებელს, მისი სულის განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. როდესაც მსახიობი-მოქალაქე ჰამლეტს თამაშობდა, მას არ შეეძლო თავის ეპოქას განზე გადგომოდა. მისი შთაგონებული თამაში იყო ეპოქის, მაყურებლის ფიქრების გამომხატველი. მისი მგზნებარე სინდისი იქცეოდა ეპოქის სინდისად. თვით ჰამლეტი — უ. ჩხეიძე იყო დროის მსაჯული.

რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის მოსვლამ განაპირობა ქართული თეატრის მთელი შემოქმედებითი ძალების გაერთიანება. ამ წლებში მის მხარდამხარ იღვწოდნენ რეჟისორები ალ. წუწუნავა, აკ. ფალავა, მ. ქორელი, ალ. ახმეტელი, კ. ანდრონიკაშვილი. თეატრში სამუშაოდ მარჯანიშვილმა მოიზიდა მხატვრები ვ. სიდამონ-ერისთავი, ირ. გამრეკელი, ნ. უშინი, კ. ზდანევიჩი, ლ. გუდიაშვილი. მაგრამ თეატრისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მსახიობთა მთელი პლეადის დაბადება. მარჯანიშვილს ესმოდა, რომ ახალი თეატრისთვის ბრწყინვალე საფუძველს წარმოადგენს შემოქმედთა ახალგაზრდა თაობა. ფაქიზად, მზრუნველობით ზრდიდა იგი ახალგაზრდობას, აწინაურებდა მას ახალი ხელოვნებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე. სულ მოკლე ხანში ქართული საბჭოთა თეატრის წამყვან მსახიობებად იქცნენ თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, ც. წუწუნავა, ე. დონაური, უშ. ჩხეიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. დავითაშვილი, შ. ღამბაშიძე, მიხ. გელოვანი, ალ. ჟორჟოლიანი, ემ. აფხაიძე.

რაც არ უნდა დაედგა კ. მარჯანიშვილს, რაც არ უნდა ეთამაშათ მის მოწაფეებს — ახალგაზრდა თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს — ყოველთვის ახერხებდნენ თავიანთი შემოქმედება თანამედროვეობის სამსახურში ჩაეყენებინათ. ქართველი მაყურებლისათვის ახლობელი იყო ლაუ-

რენსია—ჭავჭავაძისა და ფრონდოზო—დავითაშვილის მგზნებარე და შეუპოვარი ვაჟკაცობა, მენგო — ვასაძის სიცოცხლის სიყვარულის უძლეული ძალა, ჰამლეტი — ჩხეიძის მშფოთვარე სული, ანჯაფარიძის — ოფელიას პოეტურობა, ლაერტ — ხორავას რაინდული სული.

პარტიის XII ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „აუცილებელია პრაქტიკული ფორმით დაისვას საკითხი თეატრის გამოყენებისა კომუნიზმისათვის ბრძოლის იდეების სისტემატური მასობრივი პროპაგანდისათვის. ამ მიზნით აუცილებელია მოვიზიდოთ სათანადო ძალები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე და გავაძლიეროთ მუშაობა სათანადო რევოლუციური რეპერტუარის შესაქმნელად და შესარჩევად, ამასთან უნდა გამოვიყენოთ პირველ რიგში მუშათა კლასის ბრძოლის გმირული მომენტები“[1].

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება პირდაპირ შეესაბამებოდა პარტიის ამ გეზს.

ქართული თეატრის იდეურ-მხატვრული პოზიცია, მისი კავშირი რევოლუციურ ეპოქასთან საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებიდან განაპირობებდა შემოქმედებითი კოლექტივის მტკიცე კავშირს ქართულ მწერლობასთან.

კ. მარჯანიშვილის პირადმა და შემოქმედებითმა მეგობრობამ შ. დადიანთან, პ. კაკაბაძესთან, ს. შანშიაშვილთან, პ. იაშვილთან, ტ. ტაბიძესთან, ი. გრიშაშვილთან, ვ. გაფრინდაშვილთან და სხვებთან დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის სახის ჩამოყალიბებაში. ამის შედეგად გაჩნდა სცენაზე ს. შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები“, რომელიც შექმნილი იყო მარჯანიშვილის პიესის „ძველი ცაცხვის ზღაპრის“ გადმოქართულებით (იგი ჩეხი მწერლის ა. ირასეკის რომანის ინსცენირებას წარმოადგენდა). პიესაში ასახულია ქართველი გლეხობის გმირული ბრძოლა ფეოდალური უღლის წინააღმდეგ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული წარმოდგენა გამსჭვალული იყო რევოლუციური სულისკვეთებით, აგრძელებდა „ცხვრის წყაროს“ ტრადიციას და რამდენადმე განაპირობებდა რუსთაველის სახელობის თეატრის სტილს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის თვალსაჩინო ნაწარმოებს წარმოადგენდა პ. კაკაბაძის „ლისაბონის ტუსაღები“, რომლის დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრში განახორციელა რეჟისორმა დ. ანთაძემ.

1922—1926 წლებში ქართული საბჭოთა თეატრის მსახიობთა კადრებს ამზადებდა თბილისის დრამატული სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი რეჟისორი და თეატრმცოდნე ა. ფაღავა. ამავე პერი-

---

1 „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 957.

ოდში ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები გამოზარდა აგრეთვე მოსკოვში სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვახტანგ მჭედლოვის (მჭედლიშვილის) მიერ დაარსებულმა ქართულმა დრამატულმა სტუდიამ.

1926 წელს დაარსდა რუსული მუშათა თეატრი და ეგრეთ წოდებული კოოპერაციის თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მიხეილ ჭიაურელი და დავით ძნელაძე. შემდგომში ამ თეატრის ბაზაზე შეიქმნა მუსიკალური კომედიის თეატრი.

გამოცოცხლდა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ჭიათურის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის, ოზურგეთის, სიღნაღის, თელავის თეატრების შემოქმედებითი საქმიანობა.

საზოგადოების დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით იყო გარემოცული სომხური და აზერბაიჯანული თეატრალური კოლექტივები და მათი მსახიობები მ. ბეროიანი, ფ. ბჟიკიანი, ა. ლუსინიანი, ა. აბარიანი, მ. მოჯორიანი, ი. ისპაჰენლი, ნ. ბეიბუტოვა, გ. ნაზარლი და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს, რომელიც თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით ხელს უწყობს რუსული და ქართული კულტურის კავშირის შემდგომ გაღრმავებასა და განმტკიცებას. აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობენ ჩვენი მაყურებლებისათვის კარგად ცნობილი მსახიობები: ეკ. სატინა, ლ. ვრუბლევსკაია, ა. სმირანინი, კ. მიუფკე, ნ. ბურმისტროვა, თ. ბელოუსოვა, ი. რუსინოვი, ვ. ზახაროვა, მ. პიასეცკი და სხვ.

ქართველი მაყურებლისათვის რუსული სცენური ხელოვნების ახალი მიღწევების გაცნობასა და რუსული და ქართული თეატრების შემოქმედებითი თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა 1923—1927 წლებში მოსკოვის სამხატვრო თეატრის (კ. სტანისლავსკის ხელმძღვანელობით), მცირე თეატრის, ვ. მეიერხოლდის თეატრის, კამერული თეატრის, ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრის სეზონურმა გასტროლებმა.

რესპუბლიკების თეატრების მუშაობას, მათს რეალისტური გზით განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. 1927 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თეატრებს დაავალა „რეპერტუარების შედგენისას კურსი აიღონ როგორც ქართული, ისე რუსული რევოლუციური დრამატურგიის ნაწარმოებებთა მაქსიმალურ გამოყენებაზე“[1].

კ. მარჯანიშვილთან ერთად ქართული საბჭოთა თეატრის განვითარე-

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქმე 2258, ფურც. 83.

ბაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დიდი ტემპერამენტისა და შემოქმედებითი ინიციატივის ხელოვანმა, ნიჭიერმა რეჟისორმა ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელმა, რომელიც რუსთაველის თეატრს ხელმძღვანელობდა 1926 — 1935 წლებში.

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გარკვეულ ნახტომს, მისი წინსვლის საეტაპო მომენტს წარმოადგენდა ა. ახმეტელის მიერ რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული ბ. ლავრენეევის „რღვევა“ და ს. შანშიაშვილის „ანზორი“. ორივე დადგმა რევოლუციას მიეძღვნა. ორივეში სამართლიანობისათვის, სამყაროს გარდაქმნისათვის მებრძოლი ხალხის გმირული, შეუპოვარი სახე ცოცხლდებოდა. „რღვევაში“ ესენი იყვნენ მეზღვაურები, „ანზორში“ კი პარტიზანები.

ა. ახმეტელს ესმოდა თანამედროვეობასთან კავშირის აუცილებლობა და მტკიცედ ატარებდა რეპერტუარში როგორც ქართველი, ასევე რუსი საბჭოთა ავტორების პიესების დამკვიდრების პრინციპს. თეატრმა დადგა კ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“ და „ქართა ქალაქი“, ა. მირცხულავას „განგაში“, ს. შანშიაშვილის „სამნი“, შ. დადიანის „თეთნულდი“, პ. სამსონაძის „სალტე“, ლ. სლავინის „ინტერვენცია“, ვ. შკვარკინის „ნაბიჭვარი“ და სხვა. ვერც ერთი ამ პიესათაგანი ვერ გაუტოლდებოდა „რღვევასა“ და „ანზორს“, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ გააჩნდა მაღალი მხატვრული ღირსებები. თეატრიც ყოველთვის როდი ახერხებდა დაეძლია არასრულყოფილი დრამატურგიული მასალით გამოწვეული სიძნელეები. მაგრამ თეატრის მუშაობაში აშკარად ჩანდა თანამედროვე თემასთან დაახლოების ტენდენცია. ხსენებული წარმოდგენებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ა. ახმეტელისა და აკ. ვასაძის მიერ დადგმული შ. დადიანის ტრაგედია „თეთნულდი“, ამაღელვებელი მოთხრობა რელიგიურ გადმონაშთებთან და პატრიარქალურ ცრურწმენასთან ბრძოლასა და ახლის გამარჯვებაზე. „თეთნულდი“ იყო საბჭოთა თეატრის მიერ თანამედროვე მასალაზე ტრაგედიის შექმნის პრობლემის გადაწყვეტის პირველი ცდა. ტრაგიკული თემა თეატრის მიერ ოპტიმისტურად იყო გადაწყვეტილი. ეს ოპტიმიზმი ხდიდა წარმოდგენას რევოლუციური თანამედროვეობისათვის განსაკუთრებით თანახმიერს. პირველად საბჭოთა თეატრში ამ წარმოდგენაში იყო გამოყენებული ქორო, როგორც გამომსახველობითი საშუალება. მისი დანიშნულება ანტიკური ქოროს როლს მოგვაგონებდა.

მაგრამ მიუხედავად დიდი წარმატებისა, რუსთაველის სახელობის თეატრში შეიმჩნეოდა ტენდენციები, რომლებიც დასს დადგმის გარეგნული მხარით გატაცებისაკენ უბიძგებდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სპექტაკლი „ლამარა“. სამართლიანად აღნიშნავდა მაშინდელი პრესა, რომ „გადაჭარბებული რიტმიზაცია, მოძ-

რაობის მუსიკალური ორგანიზაცია, მოკლებული სიუჟეტურ და ლოგიკურ გამართლებას, აცლის, უკარგავს სცენურ მოქმედებას კონკრეტულ შინაარსს"[1].

თანამედროვე საბჭოთა თეატრმცოდნეობამ შეძლო განესხვავებინა ის ზოგჯერ, გაუმართლებელი, რაც ახასიათებდა ახმეტელის ძიებების არსს და საბჭოთა რევოლუციური თეატრის შექმნისაკენ მის ჭეშმარიტ სწრაფვას. ასე იყო თუ ისე, მის რეჟისორულ პრაქტიკაში გამოვლინებული ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ა. ახმეტელი თავისებურად ავითარებდა მარჯანიშვილისეულ ტრადიციებს და ქმნიდა სცენურ ტილოებს, რომლებმაც საბოლოოდ განაპირობეს რუსთაველის სახელობის თეატრის, როგორც გმირულ-რომანტიკული მიმართულების, გმირული ხასიათების თეატრის ხასიათი და სტილი.

ეს ტენდენცია ყველაზე უფრო მკვეთრად გამოჩნდა ა. ახმეტელის ბრწყინვალე სპექტაკლში „In Tirannos!", ფ. შილერის ტრაგედიის „ყაჩაღების" მეორე სახელწოდების არჩევით ა. ახმეტელმა ხაზი გაუსვა თავისი ჩანაფიქრის მებრძოლ, შემტევ სულისკვეთებას და შექმნა რომანტიკული, ემოციური, მონუმენტური სპექტაკლი (მხატვარი ირ. გამრეკელი). ამ წარმოდგენას ქართული თეატრის ისტორიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, ხოლო აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის მიერ კარლ და ფრანც მოორების განსახიერება სამართლიანად არის აღიარებული სრულყოფილების ნიმუშად.

1928 წელს კ. მარჯანიშვილმა ქუთაისში დააარსა ახალი თეატრი. ამ თეატრის გარშემო მან შემოიკრიბა ქართველი მწერლები — დრამატურგები, პროზაიკოსები, პოეტები, კრიტიკოსები და მთარგმნელები. კ. მარჯანიშვილს სჯეროდა მათი, აფასებდა მათ, როგორც თეატრის საიმედო ძალას. მწერლებიც სიყვარულითა და ერთგულებით პასუხობდნენ კ. მარჯანიშვილს. ძველებურად მხარში ედგა შ. დადიანი, თეატრისათვის თავის საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნიდა პ. კაკაბაძე, საგანგებოდ ახალი თეატრისათვის წერდნენ პიესებს პროზაიკოსები დ. შენგელაია და ა. ქუთათელი, პოეტი კ. კალაძე, დრამატურგები გ. ბააზოვი და დ. ჩიანელი (დ. ჩხეიძე), თეატრალური მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი. ბევრი რამ გააკეთეს თეატრისათვის პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ვ. გაფრინდაშვილმა, კ. მაყაშვილმა, კრიტიკოსებმა ს. ამაღლობელმა და ბ. ჟღენტმა. კ. მარჯანიშვილის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მწერლებთან საფუძვლად დაედო თეატრალური კოლექტივის ჭეშმარიტ აყვავებას.

ახალი ქართული თეატრის შემოქმედებით წარმატებებს დიდად შეუწყეს ხელი მხატვრებმა პ. ოცხელმა, დ. კაკაბაძემ, ლ. გუდიაშვილმა,

---

[1] Газ. «Заря Востока», 12 февраля 1928 г.

ე. ლანსერემ, ი. შარლემანმა, თ. აბაკელიამ, ელ. ახვლედიანმა, კომპოზიტორებმა თ. ვახვახიშვილმა, კ. მელვინეთ-უხუცესმა, ა. ბალანჩივაძემ, შ. მშველიძემ, დირიჟორმა ალ. გველესიანმა, ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა და სხვებმა.

ქუთაისის თეატრის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ელ. დონაური, უშ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, ალ. ჟორჟოლიანი, დ. ჩხეიძე, რეჟისორი დ. ანთაძე და სხვ. რევოლუციამდელი ქართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს განაგრძობდნენ უფროსი თაობის მსახიობები ელ. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე, ზ. გომელაური.

კ. მარჯანიშვილი ახალგაზრდულ ძალებში ხედავდა სტიმულს თეატრის სასიცოცხლო ტონუსის ასამაღლებლად. მსახიობები ს. თაკაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, გ. შავგულიძე, აკ. კვანტალიანი, პ. კობახიძე, მ. დავითაშვილი, ხ. ჭიჭინაძე, ალ. გომელაური, ალ. ომიაძე, მ. სარაული, ბ. გამრეკელი, თ. ჩარკვიანი, გრ. კოსტავა, რეჟისორები გრ. სულიაშვილი, ვ. აბაშიძე, ე. ღოღობერიძე, ს. ჭელიძე — ძნელია ყველა იმ ხელოვანის ჩამოთვლა, რომლებიც მაშინ ამ თეატრის ეგრეთ წოდებულ „მეორე თაობას“ შეადგენდა.

ახალი თეატრი ძირითადად თანამედროვე დრამატურგიას ეყრდნობოდა. ქუთაისის თეატრში 1928 — 1930 წლებში დადგმული ოცდაშვიდი პიესიდან ცხრამეტი საბჭოთა ავტორების კალამს ეკუთვნის. ამ რიცხვის მიღმა იყო რეჟისორის დაუსრულებელი ძიება თეატრში თანამედროვე დრამატურგთა მიზიდვისათვის, მისი მუდმივი ზრუნვა, ღრმა რწმენა, რომ ჭეშმარიტი წინსვლა თანამედროვე დრამატურგიის გარეშე შეუძლებელია.

კ. მარჯანიშვილი ყოველთვის იბრძოდა თანამედროვე რეპერტუარისათვის. ამ პერიოდში მან დადგა ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, შ. დადიანის „კაკალ გულში“, კ. კალაძის „ხატიჯე“, დ. შენგელაიას „თეთრები“ და სხვ. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად პ. კაკაბიძის პიესას „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელიც მტკიცედ შევიდა რესპუბლიკის ბევრი თეატრის რეპერტუარში. 1929 წელს მარჯანიშვილი ქმნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლს (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“). ამ სპექტაკლში ბრწყინვალედ შეესხა ფრთები კ. მარჯანიშვილის ოცნებას სინთეზურ თეატრზე.

ქართული საბჭოთა თეატრისათვის უცხო იყო ეროვნული კარჩაკეტილობა. ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობა მოძმე რესპუბლიკებთან ამდიდრებდა ეროვნული კულტურის საგანძურს და ხელს უწყობდა მის ფართოდ გამოსვლას საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე.

ქართულ თეატრში წარმატებით განხორციელდა რუსი და უკრაინე-

ლი დრამატურგების პიესები: ნ. პოგოდინის „პოემა ნაჯახის შესახებ“, ა. აფინოგენოვის „შიში“, ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“ და „პური“, ი. ოლეშას „სამი ბღენძი“, მ. კულიშის „კომუნა ველზე“ და ი. მიკიტენკოს „ანათეთ, ვარსკვლავნო!“.

1930 წლის აპრილში ქუთაისის თეატრმა, რომელსაც კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა, გასტროლები გამართა უკრაინასა და მოსკოვში. ეს იყო ქართული თეატრის პირველი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ. იმავე წლის ივნისში რუსთაველის სახელობის თეატრმა ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის თეატრალური ხელოვნების ოლიმპიადაში, რომელიც მოსკოვში მოეწყო, ხოლო შემდეგ საგასტროლოდ ეწვია უკრაინის მაშინდელ დედაქალაქს — ხარკოვს. საქართველოს ორი წამყვანი თეატრის გასტროლები საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული თეატრის მიერ მოპოვებულ წარმატებათა თავისებური დემონსტრაცია, მისი მაღალი იდეური და მხატვრული სიმწიფის მაჩვენებელი იყო. „ანზორის“ ერთ-ერთ წარმოდგენას, რომელიც რუსთაველის თეატრმა უჩვენა მოსკოვში, დაესწრნენ პარტიის XVI ყრილობის დელეგატები. მომთხოვნი მაყურებელი აღტაცებული დარჩა სპექტაკლით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრალური ხელოვნების ოლიმპიადის ჟიურის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „რუსთაველის სახელობის თეატრი განსაკუთრებით თვალსაჩინო და ბრწყინვალე მოვლენაა მსოფლიო თეატრალური კულტურის დარგში“[1].

გასტროლებმა მოსკოვსა და უკრაინაში გარკვეული თვალსაზრისით შეაჯამა ორივე თეატრის ძიებები შემოქმედებითი გზის დასაწყისში. ქუთაისის თეატრის გასტროლების დროს ა. ლუნაჩარსკი წერდა: „ვესალმები ძვირფას სტუმრებს საქართველოდან და მადლობა გვინდა გადავუხადოთ ხელოვნების იმ მშვენიერ ყვავილისათვის, რომელიც მათ ჩამოგვიტანეს და რომელსაც გაფურჩქვნა ხვდა წილად“[2]. რუსთაველის თეატრის გასტროლების შემდეგ კი იმავე ა. ლუნაჩარსკიმ განაცხადა: „რუსთაველის თეატრმა განაცვიფრა მოსკოვი. მასთან ერთად ვფიქრობ მეც, რომ იგი მსოფლიოს მოწინავე თეატრების გვერდით იკავებს ადგილს“[3].

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად საქართველოს თეატრების მუშაობაში შეინიშნებოდა ნაკლოვანებანი და შეცდომები. კერძოდ, სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადის ჟიურის გადაწყვეტილებაში რუსთაველის სახელობის თეატრის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ზოგჯერ ეროვნული მომენტები სჭარბობს კლასობრივს, რაც განსაკუთრებით ახა-

[1] Журн. «Советский театр», 1930, № 9—10, стр. 9.

[2] Сб. «Котэ Марджанишвили, Творческое наследие»», т. I, стр. 379.

[3] Газ. «Вечерняя Москва», 2 мая 1930 г.

სიათებს „ლამარას“. თეატრს ბოლომდე არ აღმოუფხვრია ფორმალიზმის ელემენტები“[1].

1930 წელს საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი ქუთაისიდან გადმოიტანეს თბილისში. კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრს მიენიჭა მისი დამაარსებლის სახელი.

1933 წლის 2 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა თეატრების მუშაობის საკითხი. მოპოვებულ შემოქმედებით წარმატებებთან ერთად აღინიშნა ზოგიერთი თეატრის გატაცება ახალი დადგმების რაოდენობით სპექტაკლების იდეურ-მხატვრული დონის ერთგვარი გაუარესების ხარჯზე. თეატრებს წინადადება მიეცათ რეპერტუარი შეედგინათ კლასიკური დრამატურგიით, ისტორიულ-რევოლუციური პიესებით და სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ თემებზე მიძღვნილი ნაწარმოებებით. წამყვან თეატრებს დაევალა გასტროლების უფრო ხშირად მოწყობა რესპუბლიკის ქალაქებსა და სასოფლო რაიონებში. დაისახა აგრეთვე საჭირო ღონისძიებანი თეატრების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების როლის ასამაღლებლად შემოქმედებით მუშაობაში[2].

გადიოდა წლები, ღრმავდებოდა ადამიანის კონტაქტი გარემოსთან, ცხოვრება სულ ახალსა და ახალ კონფლიქტებს ბადებდა, ხელოვანთაგან მოვლენებში აქტიურ ჩარევას მოითხოვდა. ცხოვრებასთან შერწყმის ამ პროცესში მძლავრდებოდა, ვაქკაცდებოდა თეატრალური ხელოვნება. ზედიზედ გამოჩნდა ახალი მხატვრული ქმნილებები. ისინი მთელი სირთულით ასახავდნენ ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნებს, სოციალისტური მშენებლობის გმირულ ეპოპეას, უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ხანმოკლე, მაგრამ ისტორიული მასშტაბის თვალსაზრისით გრანდიოზულ პერიოდში.

მოვლენების გაქანება, მათი ეპოქალური ხასიათი ბუნებრივად ბადებდა დრამატურგებისა და თეატრების მიდრეკილებას ამ ცხოვრების შესატყვისი, ჟღერადი, მძლავრი ინტონაციებით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნისადმი.

თანამედროვე საბჭოთა დრამატურგიასთან თეატრის კონტაქტის განმტკიცების ხაზი ესტაფეტასავით გადაეცა მარჯანიშვილისა და ახმეტელისაგან საქართველოს ორი წამყვანი თეატრის ხელმძღვანელთა მომდევნო თაობას — მარჯანიშვილის სახელობის თეატრში უშ. ჩხეიძის და დ. ანთაძის. რუსთაველის სახელობის თეატრში კი — ა. ხორავასა და აკ. ვასაძეს. შემოქმედებითი კოლექტივების სათავეში ჩადგომიდანვე ცდილობდნენ

---

[1] Журн. «Советский театр», 1930, № 9-10, стр. 9.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 4845, ფურც. 205.

ისინი მასწავლებლების მიერ ნაანდერძევი ტრადიციების განვითარებას, წინ წაწევას და საკუთარი მაგალითით უწყობდნენ ხელს ქართული თეატრის რეალისტური საფუძვლების განმტკიცებას.

როგორც მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრის სცენაზეც გამოჩნდა მსახიობთა ახალი შემოქმედებითი ძალები: ნ. ალექსიმესხიშვილი, ნ. ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, თ. წულუკიძე, ბ. შავიშვილი, ე. და მ. ლორთქიფანიძეები, გ. საღარაძე, გ. სარჩიმელიძე, ს. ჯაფარიძე, მ. ჯაჯანაშვილი, ა. თოიძე, თ. თარხნიშვილი, ბ. ზაქარიაძე, რ. ბერიძე და სხვ.

ქართული თეატრის შენების საქმეში სხვადასხვა წლებში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: ვ. ყუშიტაშვილმა, დ. ანთაძემ, აკ. ვასაძემ, ალ. თაყაიშვილმა, დ. ალექსიძემ, ა. ჩხარტიშვილმა, შ. აღსაბაძემ, გ. ჟურულმა, კ. პატარიძემ, ს. ჭელიძემ, პ. ფრანგიშვილმა, ვ. ტაბლიაშვილმა და სხვებმა. ყოველი მათგანი ცდილობდა სცენაზე წამყვან თემად საბჭოთა სინამდვილე დაემკვიდრებინა.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის ბრძოლის საერთო პროგრამით გაერთიანებული ქართველი რეჟისორები დგამენ პიესებს, რომლებშიც ჩვენი თანამედროვის სახე ახალ ელერადობას იღებს. თეატრში მოდის გმირი — ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანი — კოლმეურნე, მუშა, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი.

ოცდაათიანი წლების ბოლოსათვის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგმებოდა ა. აფინოგენოვის „შორეული", ი. ვაკელის „შური", ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი", რომლებიც ახალ საბჭოთა ინტელიგენციაზე მოგვითხრობს. ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიისათვის ღრმა და პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პ. კაკაბაძის ბრწყინვალე კომედიის „კოლმეურნის ქორწინების" დადგმას. წარმოდგენაში მთელი თავისი მრავალფეროვნებით იყო წარმოსახული საკოლმეურნეო სოფელი, შექმნილი იყო თეატრალური გამომსახველობით უჩვეულოდ კოლორიტული სახეები. მათ შორის გამოირჩეოდა ს. თაყაიშვილი, ახალგაზრდა კოლმეურნე ქალის გვირისტინეს როლში, აკ. კვანტალიანის ხახული, ს. ზაქარიაძის ჯიბილო და განსაკუთრებით, გ. შავგულიძის მიერ შექმნილი ხარიტონის მძაფრად სატირული, გროტესკული სახე — ქართული საბჭოთა თეატრის საუკეთესო ქმნილებათაგანი.

რეპერტუარის თანამედროვეობისათვის დიდი მუშაობა გასწია რუსთაველის სახელობის თეატრმა. რეალიზმთან თეატრის მარადიული კავშირი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა სპექტაკლებში „პლატონ კრეჩეტი" (რეჟ. შ. აღსაბაძე), სადაც საბჭოთა ინტელიგენტი-ექიმის ჩინებული სახე შექმნა აკ. ხორავამ, იგივე აკ. ხორავამ „არსენაში" (რეჟ. აკ. ვასაძე) მებრძოლი გლეხის დიდებული სახე განასახიერა. ეს ორი წარმოდგენა სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის დრამატურგიული მასალით

თეატრის მაღალ მოქალაქეობრივ პათოსს, მის მიერ თანამედროვეობის მწვავე პრობლემების ზუსტ გაგებას ამკვიდრებდა.

ქართული თეატრი აფართოებდა თავის იდეურ-მხატვრულ შესაძლებლობებს, აღრმავებდა და სრულყოფდა თანამედროვეთა სახეებზე მუშაობის მეთოდებს, რითაც ოცდაათიანი წლების დასასრულისათვის მეტად რთული ამოცანის განხორციელება, სცენაზე რევოლუციის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის სახის შექმნა შეძლო. ქართველმა მსახიობებმა ი. მჟავიამ, პ. კობახიძემ, ზ. გომელაურმა, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობმა კ. მიუფკემ, რუსული თეატრის გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნეს ბელადის სახე.

1936 წლის შემოდგომაზე რუსთაველის სახელობის თეატრმა მოსკოვში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე უჩვენა სანდრო შანშიაშვილის პიესა „არსენა", რომელსაც ბრწყინვალე წარმატება ხვდა წილად. ფესტივალის დამთავრების შემდეგ, 1936 წლის 5 სექტემბერს სსრ კავშირის მთავრობამ რუსთაველის სახელობის თეატრი დააჯილდოვა ლენინის ორდენით. თეატრის ხელმძღვანელებს და წამყვან მსახიობებს აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძეს საბჭოთა თეატრის პირველ ცამეტ მოღვაწეთა შორის მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

არა მხოლოდ რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედების, არამედ მთელი საბჭოური აქტიორული ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალს წარმოადგენდა შექსპირის „ოტელოს" დადგმა 1937 წელს (მთავარ როლებს ასრულებდნენ აკ. ხორავა და აკ. ვასაძე, რეჟისორი შ. აღსაბაძე, მხატვარი ირ. გამრეკელი). ამ წარმოდგენის ყოველი სპექტაკლი ჭეშმარიტი თეატრალური დღესასწაული იყო. მან არა მარტო შეიწოვა შექსპირის თეატრის მსოფლიო ტრადიციები, არამედ წინ წასწია კიდეც იგი. სპექტაკლის სიძლიერე მისი განზოგადების ძალაში იყო.

ქართული თეატრალური კულტურისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ოციანი წლების ბოლოს რესპუბლიკაში შექმნილი ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრები და აგრეთვე თოჯინების ქართული და რუსული საბავშვო თეატრები.

კ. სტანისლავსკი ყოველთვის ამბობდა — ბავშვებისათვის უნდა ითამაშო ისე, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უკეთესადო. საქართველოს საბავშვო თეატრებს კარგად ახსოვდათ დიდი რეჟისორის ეს ნაანდერძევი. ისინი თავის მაყურებელს აცნობდნენ ქართული, რუსული და უცხოეთის კლასიკის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, საბჭოთა დრამატურგების პიესებს. თავისი საუკეთესო სპექტაკლებით, რომლებიც დრამატურგებთან: გ. ნახუცრიშვილთან, ს. მთვარაძესთან და სხვებთან მჭიდრო მეგობრობით შეიქმნა, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ნორჩებს უნერგავდა სიცოცხლის სიყვარულს, ჩვენი ხალხის წარსულისა და აწმ-

ყოსადმი ღრმა ინტერესს. განსაკუთრებული წარმატებით იდგმებოდა წარმოდგენები „კომბლე“, „სურამის ციხე“, „რომეო და ჯულიეტა“, „ბორის ძნელაძე“ (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი); „ბიძია თომას ქოხი“, „ტომ სოიერის თავგადასავალი“, „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, „ცისფერი და ვარდისფერი“ (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი) და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საბავშვო თეატრის სცენაზე აღიზარდნენ მსახიობები: გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, მ. ერგნელი, მ. ბუბუტეიშვილი, ო. ბელენკო, გ. აბაშიძე, ვ. არეშიძე, გ. დარისპანიშვილი, დ. ცხაკაია, ალ. კირკიტაძე, შ. ცუცქირიძე, ჩ. კიროვა, ა. იუდინი, ო. ორიოლი, პ. რომანოვი, თ. პაპიტაშვილი, ე. აგალაროვა და სხვ. საქართველოში საბავშვო თეატრების დაარსებისათვის დიდი შრომა გასწიეს: ალ. თაყაიშვილმა, ნ. მარშაკმა, კ. ვაისერმანმა, გრ. მიქელაძემ და სხვებმა. მოზარდ მაყურებელთა თეატრში სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ რეჟისორები: ვ. ტოვსტონოგოვი, გ. ჟურული, გრ. ლაღიძე, ს. ვაჩნაძე, რ. შაფთოშვილი.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულ თეატრს აყვავების ხანა დაუდგა. აღმავლობის გზაზე მან გადალახა ნაკლოვანებანი და სიძნელენი და მრავალეროვან საბჭოთა კულტურაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

ბ. კინემატოგრაფია

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში კინოფილმების წარმოებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. 1921 წლამდე აქ შექმნილი კინემატოგრაფის პროდუქციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დოკუმენტური კინონარკვევი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც 1912 წელს გადაიღო პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვ. ამაშუკელმა, და იმ დროისათვის ა. დიღმელოვის მიერ საკმაოდ ოსტატურად შესრულებული კინოქრონიკა „ვასილიევის, უტოჩკინის და ქებურიას პირველი გაფრენები“. აღსანიშნავია აგრეთვე ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „ქრისტინეს“ ეკრანიზაცია. ამ პირველი და ერთადერთი რევოლუციამდელი ეროვნული მხატვრული კინოფილმის დადგმა განახორციელა ცნობილმა ქართველმა თეატრალურმა მოღვაწემ ალ. წუწუნავამ.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 11 ივლისის დეკრეტით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კინოთეატრი და გამქირავებელი კანტორა ხალხის საკუთრებად გამოცხადდა. განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა კინოსექცია, რომელიც ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოური კინოფილმების წარმოებას.

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში მოვიდნენ დიდი აქტიორული კულტურის მქონე, მაღალ შემოქმედებით ტრადიციებზე აღზრდილი მსახიობები და რეჟისორები ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ცეცილია წუწუნავა, ალექსანდრე იმედაშვილი, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე წუწუნავა, კოტე მარჯანიშვილი და სხვები, რომლებმაც იმთავითვე იგრძნეს კინემატოგრაფიის დიდი მხატვრული და ტექნიკური შესაძლებლობა, განიმსჭვალნენ მისადმი ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით. თავიანთი ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი და უნარი ორგანულად დაუკავშირეს ხელოვნების ამ ახალი დარგის შემოქმედებით პრინციპებს და ამით ხელი შეუწყვეს მის შემდგომ ზრდას და განვითარებას.

1921 წლის ნოემბერში განხორციელდა საქართველოში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის „არსენა ჯორჯიაშვილის" დადგმა. მისი სცენარი შალვა დადიანთან ერთად დაწერა ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ივანე პერესტიანმა. ფილმი გადაიღო ოპერატორმა ალექსანდრე დიღმელოვმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ალისა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვები. ეს იყო ორიგინალური კინოდრამატურგიული ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი ფილმი, რომელშიც გარკვეეით ჩანდა ეროვნული თავისებურება.

ფილმმა „არსენა ჯორჯიაშვილი" ბიძგი მისცა იმავე ხანებში შექმნილიყო მეორე ასევე ღრმა სოციალური მოტივების შემცველი, მხატვრულად უფრო ძლიერი და სრულყოფილი სურათი „სურამის ციხე", რომელიც დანიელ ჭონქაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივზეა აგებული. ფილმი თითქმის იმავე შემოქმედებითმა კოლექტივმა დადგა.

„სურამის ციხე" პირველი ქართული საბჭოთა ფილმია, რომელიც შორს გასცდა სამშობლოს საზღვრებს და წარმატებით მიდიოდა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ეკრანებზე.

1923 წელს გამოვიდა „წითელი ეშმაკუნები" (სცენარი პ. ბლიახინისა, რეჟისორი ივ. პერესტიანი, ოპერატორი ა. დიღმელოვი) — ამ პერიოდისათვის მთელ საბჭოთა კავშირში პოპულარული ფილმი. იგი რევოლუციური მგზნებარებით ასახავს საოცარ თავგანწირულობას, რომელსაც მშრომელი მასები და მათი მამაცი შვილები ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად იჩენდნენ სამოქალაქო ომში.

ჟურნალი „სოვეტსკი ეკრანი" წერდა: „წითელი ეშმაკუნებით" „სახკინმრეწვმა" აჩვენა ჩვენს რეჟისორებს, თუ როგორ უნდა დაიდგას საბჭოთა ფილმები. ბევრი დაგვეთანხმება თუ ვიტყვით, რომ „წითელი ეშმაკუნები" დღემდე განუმეორებელია. რეჟისორმა პერესტიანმა ამ ფილმში სამოქალაქო ომის მთელი სული და გული ჩააქსოვა" „წითელმა ეშმაკუ-

ნებმა“ საფუძველი ჩაუყარა სათავეადასავლო ჟანრს საბჭოთა კინემატოგრაფიაში. ამ შესანიშნავი ფილმისათვის „სახკინმრეწვის“ მუშაკებმა ქალაქ ვლადიმირის საფეიქრო ფაბრიკის „კომუნისტური ავანგარდის“ მუშათა კოლექტივისაგან გარდამავალი დროშა მიიღეს საჩუქრად.

1923 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კინოსექციის ნაცვლად შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანიზაცია — სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციო საზოგადოება „სახკინმრეწვი“. მან შეიმუშავა ფილმების გამოშვებისა და გავრცელების მტკიცე პროგრამა, ხელში აიღო მის მიერ გამოშვებული ფილმების გაქირავების საქმე როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ხელშეკრულება დადო საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა ფირმასთან კინოსურათების გაცვლა-გამოცვლისა და შესყიდვის თაობაზე.

საქართველოს, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, კინოხელოვნების შემდგომ იდეურ-მხატვრულ ზრდას დიდად შეუწყო ხელი პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებამ, რომლის სპეციალურ ნაწილში კინოს შესახებ ნათქვამი: იყო „კინო პარტიის ხელში უნდა გახდეს კომუნისტური განათლებისა და აგიტაციის მძლავრი საშუალება“[1].

20-იან წლებში გამოშვებულ ქართულ ფილმებს შორის აღსანიშნავია „დაკარგული საუნჯე“ (რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი), „სამი სიცოცხლე“ (რეჟისორი ივ. პერესტიანი), „ქარიშხლის წინ“ (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი), „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ (რეჟისორი ივ. პერესტიანი), „ვინ არის დამნაშავე?“ (რეჟისორი ალ. წუწუნავა), რომლებიც რეალისტურად ასახავდნენ ჩვენი ხალხის წარსულს. მაყურებელს ნათლად აჩვენებდნენ ძველი ცხოვრების შავბნელ სურათებს, აღაგზნებდნენ მას ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ფილმ „სამი სიცოცხლის“ შესახებ ა. ვ. ლუნაჩარსკი წერდა: „სურათი დიდი ყურადღებით ვნახე და ძალიან მომეწონა, მე მგონია არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ცხოვრების მწარე სინამდვილით, ყოფითი მასალით და წარმტაცი დრამატიზმით, აგრეთვე კინოტექნიკის თვალსაზრისითაც, ეს ფილმი არამც თუ უტოლდება საუკეთესო საზღვარგარეთულ ნაწარმოებებს, რომელთაგანაც იგი გამოირჩევა თავისი რეალიზმით, არამედ შორს იტოვებს მთელ რიგ საბჭოთა კინონაწარმოებებსაც“[2].

ბევრ ფილმებში ბრწყინვალე საშემსრულებლო ხელოვნებით გამოირჩეოდა პოპულარული მსახიობი ნატო ვაჩნაძე, რომელმაც ხალხის საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებისათვის დიდი

---

[1] „სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. II, გვ. 95.

[2] ა. ვ. ლ უ ნ ა ჩ ა რ ს კ ი, ქართული ხელოვნების შესახებ, თბ., 1965, გვ. 65.

მნიშვნელობა ჰქონდა მასში ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობას. მან გარს შემოიკრიბა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის არტისტული ძალები, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბევრი ქართული ფილმის მხატვრული სრულყოფა. კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი ფილმებიდან სცენური მოქმედების ორიგინალური გადაწყვეტისა და რეჟისორული ხელოვნების მხრივ მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება მოიხვეჭეს სურათებმა „ქარიშხლის წინ", „სამანიშვილის დედინაცვალი" (დ. კლდიაშვილის რომანის მიხედვით), „კომუნარის ჩიბუხი" (ი. ერენბურგის ნოველის ეკრანიზაცია), „კრაზანა" (ე. ვოინიჩის რომანის მოტივებზე), „ამოკი" (სტ. ცვაიგის ნოველის სიუჟეტზე) და პირველმა სრულმეტრაჟიანმა ქართულმა საბავშვო ფილმმა „გოგიმ".

თავისი არსებობის პირველ წლებში (დაახლოებით 1927 წლამდე) ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ გამოუშვა სულ 50-ზდე ფილმი[1].

ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებით ზრდას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ კინოს განვითარების საკითხებზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი[2].

1928 წლის მარტში მოსკოვში გაიმართა პირველი სრულიად-საკავშირო პარტიული თათბირი კინემატოგრაფიის საკითხებზე, რომელმაც ფართოდ განიხილა კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარების ყველა საკითხი. იმავე წლის მარტში ანალოგიური ღონისძიება განახორციელა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. საჭირო გახდა სახკინმრეწვის განმტკიცება ხელმძღვანელი კადრებით, ხელოვნების მონათესავე დარგებიდან გამოცდილი კადრების ჩაბმა კინემატოგრაფიაში და კონტროლის გაძლიერება ფილმების წარმოების ყველა პროცესზე. სახკინმრეწვთან შეიქმნა სამხატვრო საბჭო, რომელსაც დაეკისრა დასადგმელი კინოფილმების რეპერტუარისა და სასაწარმოო გეგმების შედგენა[3].

ამ პერიოდში ქართულ კინემატოგრაფიაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები მიხეილ ჭიაურელის, ნიკოლოზ შენგელაიას, სიკო დოლიძის, ლეო ესაკიას, დავით რონდელის, მიხეილ გელოვანის, სიკო ფალავანდიშვილის, გიორგი მაკაროვის სახით. ახალგაზრდულ ენთუზიაზმთან და შრომის მაღალ კულტურასთან ერთად მათ მოიტანეს

---

[1] «30 лет Советской кинематографии», М., 1950, стр. 10.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 2014, ფურც. 61.

[3] იქვე, საქ. 2739, ფურც. 20.

თანამედროვე ცხოვრების ღრმად შეგრძნების უნარი, მხატვრული გამომსახველი ფორმების განუწყვეტელი ძიების სურვილი და სიყვარული.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალი თაობის მგზნებარე შემოქმედებითი სიტყვა იყო რეჟისორ ნ. შენგელაიას მიერ ა. ყაზბეგის მოთხრობის მოტივების მიხედვით 1928 წელს დადგმული ფილმი „ელისო". იგი მკვეთრად გამოირჩეოდა რეჟისორული ხელოვნებითა და ოსტატობით, მძაფრი ემოციური კინემატოგრაფიული ხერხების გამოყენებით.

ისეთ ფილმებთან ერთად, როგორიც არის ს. ეიზენშტეინის „ძველი და ახალი", ვს. პუდოვკინის „ჩინგის-ხანის შთამომავალი", ა. დოვჟენკოს „არსენალი" და იმდროინდელი სხვა საუკეთესო საბჭოური კინოსურათები, ქართული სტუდიის ნაწარმოები „ელისო" 1929 წელს დიდი წარმატებით აჩვენეს შტუტგარტის საერთაშორისო კინოგამოფენაზე.

თანამედროვე ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს აგრეთვე წარსულში ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერი მომავლისათვის მშრომელი მასების გმირული ბრძოლების დამახასიათებელ ეპიზოდებს შესანიშნავი მხატვრული ძალით და ნათელი ფერებით გვისურათებდნენ ფილმები „საბა" და „ხაბარდა" (რეჟისორი მ. ჭიაურელი), „ახალგაზრდობა იმარჯვებს" (რეჟ. მ. გელოვანი), „ჯანყი" (რეჟ. ა. წუწუნავა), „საკანი № 79" (რეჟ. შ. ბერიშვილი).

განუხრელად იზრდებოდა და ვითარდებოდა დოკუმენტური კინემატოგრაფია, რომელიც ფართოდ აშუქებდა საბჭოთა საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

ქართული დოკუმენტური კინოს ოსტატებმა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ: მ. კალატოზიშვილი, შ. ხუსკივაძე, ე. სუპატაშვილი, შ. გელაშვილი, ლ. პუში, ნ. ღოღობერიძე, ირ. კანდელაკი, რ. ლაპინსკი და სხვები, ფირზე აღბეჭდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები, მშრომელთა აღფრთოვანებული შეხვედრები წითელი არმიის მებრძოლებთან და სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენები.

1928 წელს საქართველოს დოკუმენტური კინემატოგრაფიის შემოქმედებითი კადრები გაერთიანდა სახკინმრეწვის ახლადშექმნილ სპეციალურ დოკუმენტურ-ქრონიკული ფილმების სექტორში, რომელსაც ხელმძღვანელობდა შემდეგში ფართოდ ცნობილი კინორეჟისორი სიკო დოლიძე. ამ დროიდან სისტემატური გამოსვლა დაიწყო პერიოდულმა ქრონიკულ-დოკუმენტურმა კინოჟურნალმა.

ქართული დოკუმენტური კინოს მოღვაწენი აქტიურად ჩაებნენ პარტიისა და ხალხის ბრძოლაში ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ქმნიდნენ რესპუბლიკის მუშათა

კლასისა და კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომის ამსახველ სხვადასხვა ჟანრის კინოსურათებს.

ამავე ხანებში საფუძველი ეყრება მხატვრულ კინონარკვევებს, რომლის პირველ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს ფილმები „მიწა გვეძახის", „ამხანაგი ტელმანი", „ზემოქმედის კომუნა" და სხვ.

ეს ფილმები თემატურ მრავალფეროვნებასა და აქტუალობასთან ერთად ხასიათდებოდა ახალი მხატვრული ფორმების ძიებით. მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, მათში ნათლად ჩანდა შემოქმედებითი სიმართლე და გამომსახველობითი ხერხების სრულყოფისაკენ მისწრაფება.

ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ იმავე პერიოდში შექმნილი ეგრეთ წოდებული „კულტურფილმები", რომლებსაც ფაქტიური მასალის დოკუმენტურ სიზუსტესთან ერთად შემეცნებითი ხასიათის მიზანდასახულებაც ჰქონდა. ეს იყო პირველი ქართული საბჭოთა სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, რომლებიც მაყურებელს მოუთხრობდა მალარიით დაავადებაზე, საქართველოს კურორტების სამკურნალო თვისებებზე, ჩვენი ქვეყნის ბუნების თავისებურებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ქართული კინემატოგრაფიის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველ პერიოდს რომ ვეხებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ხარვეზები, სიძნელეები და შეცდომები, რომლებიც ჩვენი კინოხელოვნების ზოგიერთ შემოქმედებით მუშაკსა და მის მხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებდა. თბილისის კინოსტუდიის ფილმები ზოგჯერ მხარდამხარ ვერ მიჰყვებოდა ეპოქის ძახილს, ჩვენი ქვეყნის წინსვლის, მისი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ტემპებს, იყო მხატვრული და იდეური ჩავარდნები, ფორმალიზმის, ნატურალიზმისა და სხვა მავნე მიმდინარეობათა რეციდივები („ტანია ომში", „მზიური ბილიკით", „საერთო საცხოვრებელი", „ბრმა", „მხარე განსაცდელში" და სხვ.).

რევოლუციური კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩამოყალიბების გარკვეულ პერიოდში მნიშვნელოვან და სასარგებლო როლს ასრულებდა, მაგრამ შემდეგ იგი გადაიქცა კინოხელოვნების განვითარების ხელის შემშლელ ორგანიზაციად. ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მოწინავე მუშაკები მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით იბრძოდნენ მისი მავნე ტრადიციების წინააღმდეგ, სოციალისტური რეალიზმის, როგორც ერთადერთი სწორი შემოქმედებითი მეთოდის, დაუფლებით და მომარჯვებით გზას იკაფავდნენ შემოქმედებითი ზრდისაკენ.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის, მათ შორის კინემატოგრაფიის ახალ აღორძინებას საფუძვლად დაედო პარტიის

ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ცნობილი დადგენილება ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მოსპო ჯგუფობრიობა და საბჭოთა კინოს შემოქმედებითი ძალები გააერთიანა პარტიის ხელმძღვანელობით და გადაშალა უმაგალითო შესაძლებლობანი კინოხელოვნების ასაყვავებლად სოციალისტური რეალიზმის გზაზე.

ქართველი კინომუშაკების პირველი შემოქმედებითი პასუხი პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებაზე იყო სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი ჯვაროსნები" (1933 წელი). ეს ნაწარმოები, რომელშიც შესანიშნავად არის ნაჩვენები საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ინტერესები, რეალურად არის ასახული გლეხობის ცხოვრებაში მომხდარი გარდაქმნები, ქართული საბჭოთა კინოხელოვნების იდეური და მხატვრული ზრდის მკაფიო მაჩვენებელი იყო.

ხმოვანი კინოს წარმოქმნამ დიდად გაზარდა ნაწარმოების ვმირების ხასიათის უფრო ღრმად გახსნის, ფილმის იდეური შინაარსის ჩვენების შესაძლებლობანი. კინოს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა მუსიკა და სიმღერა. პირველი ქართული ხმოვანი ფილმი „შაქირი", რომელიც გ. მდივნის სცენარის მიხედვით დადგა რეჟისორმა ლ. ესაკიამ, მიეძღვნა ძველი ყოფის დაშლის, კოლექტივიზაციის თემას.

1933 წლის დეკემბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ სახკინმრეწვის მუშაობაში შეინიშნება მობრუნება სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ თემებზე მხატვრული ფილმების დადგმის მხრივ, დამკვიდრდა სცენარების შექმნაში მწერალთა მოზიდვის პრაქტიკა. მნიშვნელოვნად ამაღლდა კომუნისტების ხელმძღვანელი როლი კინოწარმოებაში, გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს კინემატოგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი შემოქმედებითი მუშაკების მიერ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის უკეთ დაუფლების მიზნით[1].

კინოხელოვნების განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის მეოხებით მკვეთრად გადიდდა თანამედროვეობის ამსახველი კინოფილმების რაოდენობა და გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

იდეური სიღრმით, მხატვრული კინემატოგრაფიული ხერხებით და გააზრებით გამოირჩეოდნენ ფილმები „ჟუჟუნას მზითევი", „ნახვამდე", „უკანასკნელი მასკარადი", „დარიკო", „არსენა", „ნარინჯის ველი",

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, საქ. 4862, ფურც. 143.

„ფრთიანი მღებავი“, „ქაჯეთი“, „დაკარგული სამოთხე“, „დიადი განთიადი“, „დაგვიანებული სასიძო“, „კოლხიდის ჩირაღდნები“, „მეგობრობა“ და სხვ.

ამ ფილმებში, რომლებიც ქართული კინემატოგრაფიის დიდ შემოქმედებით წარმატებებს მოწმობდნენ, საუკეთესო სახეები შექმნეს ნატო ვაჩნაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ხორავამ, ალექსანდრე ჟორჟოლიანმა, სერგო ზაქარიაძემ, შალვა ღამბაშიძემ, ნუცა ჩხეიძემ, თამარ ცაცი-შვილმა, უშანგი ჩხეიძემ, სპარტაკ ბაღაშვილმა, აკაკი კვანტალიანმა, დუდუხანა წეროძემ, მიხეილ გელოვანმა, ბათუ კრავეიშვილმა, აკაკი ხინთიბიძემ, ალექსანდრე ომიაძემ და სხვ.

გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ქართული კინემატოგრაფია, რომელსაც თავისი განვითარების გზაზე ზოგიერთი შეფერხება ჰქონდა, ახლა ავსებს დანაკლისს. მისი გზა სწორია. იგი ცდილობს სხვადასხვა ჟანრით ასახოს ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, აგრეთვე წარსული, რათა ჩვენს მეშასა და გლეხს წარმოდგენა მისცეს იმაზე, თუ როგორი საბრძოლო გზაა განვლილი. აქტუალური თემატიკა, თემატიკა ბრძოლისა და რევოლუციისა, ასეთია ქართული კინემატოგრაფიის წინსვლის საფუძველი“[1].

ფილმების „არსენას“ და „დიადი განთიადის“ რეჟისორს მიხეილ ჭიაურელს, მსახიობებს სპარტაკ ბაღაშვილს და მიხეილ გელოვანს მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო. პრემია.

სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა აგრეთვე ფილმი „ნარინჯის ველი“.

ორიგინალური კინოსცენარების შესაქმნელად საქართველოს კინემატოგრაფიაში ნაყოფიერად მუშაობდნენ მწერლები და კინოდრამატურგები პოლიკარპე კაკაბაძე, აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი მდივანი, გრიგოლ ჩიქოვანი, კარლო გოგოძე, ვლადიმერ კარსანიძე; რეჟისორები: ნიკოლოზ შენგელაია, სიკო დოლიძე, დავით რონდელი, კოტე მიქაბერიძე, შაქრო ბერიშვილი, დიომიდე ანთაძე, ლეო ესაკია და სხვები.

ომამდელ წლებში ქართულ კინემატოგრაფიას შეემატნენ რეჟისორთა ახალი კადრები: კ. ანდრონიკაშვილი, კ. პაპინაშვილი, გ. გრძელიშვილი, ვ. ვალიშვილი, გ. გუნია, შ. ჩაგუნავა, ა. მამულაშვილი, ვ. ალავიძე, შ. ხომერიკი, ა. გაბუნია, შ. მარტაშვილი, რომლებმაც ღირსეული წელილი შეიტანეს საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ 1938 წელს თბილისის სტუდიასთან გაიხსნა კინომსახიობთა სკოლა, რომელმაც მთელი რიგი ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი გამოზარდა.

---

[1] Газ. «Правда». 12 октября 1934 г.

1940 წლამდე თბილისის კინოსტუდიამ სულ გამოუშვა 150-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი ფილმი[1]. დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკათა სტუდიების მიერ გამოშვებული ფილმების ქართულ ენაზე დუბლირებას.

საქართველოში პირველი ნახატი ფილმი გამოუშვეს 1930 წელს, ხოლო 1935 წელს თბილისში ჩამოყალიბდა ნახატი ფილმების სპეციალური სტუდია, რომელიც მეორე იყო საბჭოთა კავშირში (მოსკოვის მულტსტუდიის შემდეგ). ჩვენში კინოხელოვნების ამ დარგის განვითარებას დიდი ამაგი დასდო ნიჭიერმა რეჟისორმა, მხატვარმა და ორგანიზატორმა ვ. მუჯირმა. 25 წლის მანძილზე მან შექმნა მრავალი მულტიპლიკაციური ფილმი, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი მხატვრული ოსტატობით გამომსახველი ფორმების სიმდიდრით.

კინოფიკაციის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1938 წელს რესპუბლიკის მთავრობასთან ამ დარგის სპეციალური სამმართველოს შექმნამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კინოთეატრების რაოდენობა ერთეულობით ითვლებოდა. 1940 წლისათვის აქ მუშაობდა ასეულობით კინოთეატრი, ათასამდე უძრავი და მოძრავი კინოდანადგარი. კინო — ყველაზე მასობრივი სანახაობა ხელოვნების ყველა დარგს შორის — რესპუბლიკის მშრომელთა კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

გ. მუსიკა

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუსიკალური ხელოვნების დარგში განხორციელებულ პირველ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია: თბილისის საოპერო თეატრისა და თბილისის კონსერვატორიის ნაციონალიზაცია; სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან სამუსიკო განათლების განყოფილების დაარსება (ხელმძღვანელი მ. ბალანჩივაძე); დროებითი კომისრის თანამდებობის დაწესება, რომელსაც დაევალა „რესპუბლიკაში არსებული სამუსიკო იარაღისა და ქონების აღრიცხვა და დაცვა" (კომისარი — ჩელოს დამკვრელი ილია აბაშიძე); საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის ჩამოყალიბება (თავმჯდომარე — ვალერიან გუნია) და სხვ.

20-იანი წლების დასაწყისიდან რესპუბლიკაში საგრძნობლად გაცხოველდა მუსიკალურ-საზოგადოებრივი საქმიანობა. მუსიკის ხელოვნება მძლავრად იდგამდა ფესვებს მშრომელთა მასებში. მუსიკის სხვადასხვა

---

[1] «30 лет Советской кинематографии», стр. 42.

დარგისადმი მისწრაფება დღითიდღე იზრდებოდა. საკონცერტო-პროპაგანდისტულ მუშაობას გეგმაზომიერი, ორგანიზებული ხასიათი მიეცა. დაარსდა მუშათა კლუბები, სახალხო მუსიკალური სტუდიები, მხატვრული თვითმოქმედების წრეები და ანსამბლები. ხალხური შემოქმედება და მუსიკალური თვითმოქმედება ფართო გაქანებას პოულობდა. ამ დარგის ინტენსიურ განვითარებაზე მეტყველებდა ქართული მხატვრული თვითმოქმედების მიღწევები ამიერკავკასიის ხალხთა თვითმოქმედი ხელოვნების პირველ ოლიმპიადაზე თბილისში (1927 წ.) და მხატვრული თვითმოქმედების პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე მოსკოვში (1932 წ.). ამ დარგში მზარდი წარმატების მიზეზი, გარდა არნახული ხელსაყრელი პირობებისა, უმთავრესად ქართველი ხალხის დამახასიათებელ მუსიკალობაში, მის მდიდარ შემოქმედებითსა და საშემსრულებლო ტრადიციებში უნდა ვეძიოთ.

20-იანი წლებიდან მოყოლებული ხალხური სამუსიკო ხელოვნება ახალი სიმღერებით გამდიდრდა. ახალმა სოციალ-ეკონომიურმა წყობამ, შრომისადმი სოციალისტურმა დამოკიდებულებამ, ადამიანთა ახლებურმა ეკონომიურმა ურთიერთობებმა და საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობამ სულ სხვა შინაარსით გამდიდრებული სიმღერები წარმოშვა.

ქართულ ხალხურ სიმღერას ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში გამოუჩნდნენ მესვეურნი. ესენია: ლადო აღნიაშვილი, იოსებ რატილი, ფილიმონ ქორიძე, მ. ბალანჩივაძე, კ. ფოცხვერაშვილი, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ჩხიკვაძე და სხვანი. მათ მიერ გაწეული შრომა ხალხური სიმღერების შეგროვების, დამუშავებისა და პოპულარიზაციის დარგში ღირსეულად დააფასა მადლიერმა შთამომავლობამ. ზოგმა მათგანმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე განაგრძო ეროვნული კულტურის ამ მნიშვნელოვან სფეროში მოღვაწეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დ. არაყიშვილი, როგორც ქართული სამუსიკო ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი — მეცნიერი. იგი შემდეგშიც ნაყოფიერად მუშაობდა ქართული რომანსისა და სიმფონიის დარგში.

არანაკლებ ძვირფასია ღვაწლი ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა და ლოტბართა უფროსი თაობისა, რომელმაც ასობით და ათასობით ადამიანებს შეაყვარა ქართული ხალხური მუსიკა და თავისი კეთილშობილური შემოქმედებითი საქმიანობის არაერთი ღირსეული განმგრძობი აღზარდა. ასეთ გამოცდილ ლოტბართა რიცხვს მიეკუთვნებიან: სანდრო კავსაძე, ძუკუ ლოლუა, სამუელ ჩავლეიშვილი, ავქსენტი მეგრელიძე, ვარლამ სიმონიშვილი, ლევან მაღალაშვილი, რემა შელეგია, კირილე პაჭკორია, ეკატერინე და მარო თარხნიშვილები, კიწი გეგეჭკორი, არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილები, იოსებ მუკბანიანი, მიხეილ ხავთასი, ვლადიმერ ბერძენიშვილი და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში მუსიკის შესწავლისადმი მისწრაფებამ ისეთი ძალით იჩინა თავი, რომ საჭირო გახდა ახალი სასწავლო დაწესებულებების დაარსება. უკვე 1921 წელს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, თბილისში ხუთი სახალხო მუსიკალურ-ვოკალური სასწავლებელი, ხოლო რიგ რაიონულ ცენტრებში — მუსიკალური სკოლები და სასწავლებლები გაიხსნა. შემოიღეს მუსიკალური განათლების ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა უმაღლეს მუსიკალურ განათლებას.

დიმიტრი არაყიშვილის თაოსნობით დაარსდა თბილისის მეორე კონსერვატორია (1921 წ.). პირველ წელსვე ამ კონსერვატორიაში 600-მდე სტუდენტი ჩაირიცხა. თუმცა მეორე კონსერვატორიამ მხოლოდ ორი წელი იარსება (1923 წელს იგი პირველ კონსერვატორიას შეუერთდა), მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუსიკალური ცოდნის გავრცელების დარგში.

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით უფროსი თაობის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს—კომპოზიტორებს, ლოტბარებს, რეჟისორებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო ქართველიშვილი, ვანო ფალიაშვილი, სანდრო კავსაძე, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა, ალექსანდრე წუწუნავა, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფაღავა, კოტე ანდრონიკაშვილი და სხვები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღესვე (1921 წ. 26 თებერვალი) თბილისის საოპერო თეატრში რიცხვმრავალი აუდიტორიისათვის შესრულდა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი".

დიდი წარმატებით იდგმებოდა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" და სხვა ქართული ოპერები.

განახლებულმა საოპერო თეატრმა შემოიკრიბა რესპუბლიკის საუკეთესო არტისტული ძალები, რომელთა ნაყოფიერმა მუშაობამ ახლო მომავალში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. საოპერო და საბალეტო სპექტაკლები რესპუბლიკაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა.

1921 — 22 წლის სეზონში საბალეტო დასი გახდა დამოუკიდებელი მხატვრული ერთეული. ამიერიდან თბილისის საოპერო თეატრი ვითარდებოდა როგორც ოპერისა და ბალეტის თეატრი. სახალხო სახლთან პარალელურად მუშაობდა სახელმწიფო სახალხო ოპერა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი იყო ცნობილი მომღერალი ქალი, შემდგომში თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ოლღა ბახუტაშვილი-შულგინა.

1922 წლიდან საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორად მოიწვიეს სა-

ხელმოხვეჭილი დირიჟორი ივანე ფალიაშვილი. მისი და რეჟისორების ა. ფალავას და კ. მარჯანიშვილის ინიციატივით 1924 წელს დაარსდა საოპერო სტუდია. მისი ძალებით ქართულ ენაზე დაიდგა ჩიბაროზას „საიდუმლო ქორწინება", ლეონკავალოს „ჯამბაზები" და ნაწყვეტები ვერდის „რიგოლეტოდან".

თბილისის საოპერო თეატრი, ოციანი წლების მანძილზე, ქართული მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. გარდა იმისა, რომ იგი ხელს უწყობდა ეროვნული საოპერო და საბალეტო კადრების ზრდასა და დახელოვნებას, განახლებული საოპერო თეატრი ქართველი კომპოზიტორებისათვის მძლავრ შემოქმედებით სტიმულს წარმოადგენდა. ნაწილობრივ ამით აიხსნება საოპერო ნაწარმოებთა სიჭარბე 20-იანი წლების ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

ამ პერიოდში შექმნილი ქართული ოპერები არსებითად წარსულის მუსიკალურ-დრამატურგიული ტრადიციების მეტად თუ ნაკლებად ხარისხოვან გაგრძელებას წარმოადგენდნენ. ასეთებია მ. ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი" და ზ. ფალიაშვილის „დაისი" და „ლატავრა".

რევოლუციამდელ ქართულ მუსიკას მძიმე პირობებში უხდებოდა არსებობა. ნიჭიერ ქართველ მუსიკოსს, კომპოზიტორი იყო იგი თუ შემსრულებელი, საგრძნობლად შეზღუდული ჰქონდა შემოქმედებითი წინსვლისა და ეროვნული ხელოვნების აღორძინებისათვის ხელისშემწყობი შესაძლებლობანი. მეტწილად ამით აიხსნება ის, რომ მელიტონ ბალანჩივაძემ, ჯერ კიდევ 1896 წელს დაწყებული ოპერა „თამარ ცბიერის" დამთავრება მხოლოდ 30 წლის შემდეგ შეძლო. საბჭოთა მთავრობის დახმარებით მას შესანიშნავი პირობები შეექმნა დიდი ხნის შემოქმედებითი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ოპერაზე მუშაობაში მ. ბალანჩივაძეს ეხმარებოდნენ ლიბრეტოს ავტორი კოტე ფოცხვერაშვილი, რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა და თავისი ვაჟი, კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე. აკაკი წერეთლის პოემის სიუჟეტზე შექმნილი ოპერა „თამარ ცბიერი" დიდი წარმატებით დაიდგა 1926 წლის აპრილში.

მაღალი მხატვრული ღირსებისაა ზაქარია ფალიაშვილის ლირიკულ-დრამატული ოპერა „დაისი" (1923 წ.). ეს მისი მეორე. უაღრესად მნიშვნელოვანი ქმნილებაა ეროვნული საოპერო ხელოვნების დარგში. ერთიანი მუსიკალურ-დრამატურგიული ხაზის განუწყვეტელმა განვითარებამ, ხალხურმა სასიმღერო საფუძვლებმა, ოსტატურ ორკესტრობასთან ერთად, „დაისს" საოპერო მუსიკის უკვდავ ქმნილებათა შორის საპატიო ადგილი დაუმკვიდრა.

წლების მანძილზე „დაისი" იდგმებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში — მოსკოვში, ლენინგრადში, სარატოვში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში (უკრაინულ ენაზე), ერევანში (სომხურ ენაზე), ალმა-

ათაში (ყაზახურ ენაზე), ბაქოში (აზერბაიჯანულ ენაზე) და ა. შ. არა მარტო ოპერა მთლიანად, არამედ რიგი სოლო ნომრებისა, შესანიშნავი საორკესტრო შესავალი და ბრწყინვალე ეროვნული ცეკვა „ქართული“ დიდი ხანია შესულია საკავშირო საკონცერტო რეპერტუარში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გასული 20 — 30-იანი წლების მანძილზე არ დაწერილა „დაისის“ მსგავსი ოპერა, რომელიც ასევე გამოირჩეოდეს ჭეშმარიტი ხალხურობით, რეალისტურობით, ნათლად გამოკვეთილი ეროვნულობით და ემოციური მიმზიდველობით. ეს არა მარტო ზაქარია ფალიაშვილის დიდი ნიჭის ნათელი გამოსხივებაა, არამედ ქართული და საერთოდ მთელი საბჭოთა მუსიკის ბრწყინვალე გამარჯვებაც არის.

„თამარ ცბიერის“ და „დაისის“ წარმატებით სცენურ განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საოპერო ხელოვნების ოსტატებმა: დირიჟორებმა ივანე ფალიაშვილმა და ს. სტოლერმანმა, რეჟისორებმა — ა. წუწუნავამ და კ. მარჯანიშვილმა, მხატვრებმა — ვ. სიდამონ-ერისთავმა და ი. გამრეკელმა, ბალეტმაისტერებმა — დ. ჯავრიშვილმა და ი. სუხიშვილმა, მომღერლებმა — ვ. სარაჯიშვილმა, ს. ინაშვილმა, გ. ვენაძემ, ლ. ისეკიმ, ვ. შარაშიძემ, ნ. ქუმსიაშვილმა, ე. პოპოვამ.

ქართული მუსიკალური კულტურის ზრდასთან ერთად მტკიცდებოდა მისი შემოქმედებითი კავშირი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნებასთან. მოსკოვის ექსპერიმენტულ თეატრში 1924 წელს, ა. წუწუნავას თაოსნობით და რეჟისორობით, დაიდგა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“ (რუსულ ენაზე). შემდგომში, ქართული საოპერო ხელოვნების ეს ბრწყინვალე ნაწარმოები, დამსახურებული წარმატებით იდგმებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, ტაშკენტის, ოდესის, ბაქოს, ერევნისა და რიგ სხვა საბჭოთა ქალაქების სცენებზე.

1930 წელს თბილისის ოპერის თეატრის დასი ერევანს ეწვია, სადაც „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისთან“ ერთად, წარმოდგენილი იყო „ჯამბაზები“ და „კარმენი“. ერევნის საზოგადოებრიობამ მხურვალედ მიიღო ეს სპექტაკლები.

ერთი წლის შემდეგ, ხარკოვის საოპერო თეატრის სცენაზე, უკრაინულ ენაზე (მ. ბაჟანის თარგმანი) დაიდგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. დადგმა ეკუთვნოდა ა. ფაღავას, მხატვრობა — ს. ნადარეიშვილს, სპექტაკლს დირიჟორობდა ა. ვაისბერგი. მთავარ როლებს ასრულებდნენ ცნობილი უკრაინელი მომღერლები. ამ დადგმის საპასუხოდ, 1932 წლის 7 იანვარს, თბილისის სცენაზე დაიდგა უკრაინული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის — ნ. ლისენკოს გმირულ-პატრიოტული ოპერა „ტარას ბულბა“.

იმავე წლის 21 მაისს, თბილისის სცენაზე პირველად ამიერკავკასი-

აში დიდი წარმატებით განხორციელდა სომხური მუსიკის კლასიკოსის ა. სპენდიაროვის შესანიშნავი ოპერა „ალმასტის“ დადგმა (ქართული თარგმანი ვ. ხმალაძისა). ეს საოპერო სპექტაკლები ხელს უწყობდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ მუსიკალურ კულტურათა დაახლოებას და შემოქმედებითი მიღწევების ურთიერთგაზიარებას.

გარდა ქართული ოპერისა, ხალხურ სასიმღერო-საგენდო ხელოვნების ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენდა პირველი ქართული კანტატები. მათ შორის აღსანიშნავია მ. ბალანჩივაძის „დიდება ზაჰესს“ — გუნდისა, სიმფონიური და სასულე ორკესტრებისათვის და ზ. ფალიაშვილის „საზეიმო კანტატა“, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავისადმი. პირველი მათგანი შესრულდა 1927 წელს ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურისა და მასთან აღმართულ ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით. ამ ნაწარმოების დადებითი თვისებაა მუსიკალური სახეების ადვილმისაწვდომობა და ნათლად გამოხატული ეროვნული კოლორიტი. ზაქარია ფალიაშვილის „საზეიმო კანტატა“ (ს. შანშიაშვილის ტექსტი) პირველად 1927 წლის 10 ნოემბერს შესრულდა საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის წინ. ეს ნაწარმოები არაერთხელ იქნა ახმოვანებული საოპერო თეატრში და სიმფონიურ კონცერტებზე.

ამ ნაწარმოებების პრაქტიკული მხატვრული მნიშვნელობა ის არის, რომ მათ საძირკველი ჩაუყარეს თანამედროვე თემატიკაზე აგებულ ეროვნულ კანტატას.

ქართული ვოკალური მუსიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჟანრს მიეკუთვნება რომანსი. ჩვენში ამ ჟანრის პიონერია მელიტონ ბალანჩივაძე, რომლის რომანსებს „შენ გეტრფი მარად“ და „ოდესაც გიცქერ“ დღემდე არ დაჰკარგვია მსმენელებზე ემოციური ზეგავლენის ძალა. ასევე პოპულარულია ანდრია ყარაშვილის „დავრდომილი სნეული“ და „ისევ შენ“, ია კარგარეთელის „მშვენიერთა ხელმწიფავ“ და „არაგვო“, ვიქტორ დოლიძის „ახ ტურფავ“, კოტე ფოცხვერაშვილის „ლალე“ და „ინდი-მინდი“, თამარ შავერზაშვილის „ლერწამი“ და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი არაყიშვილის სარომანსო ლირიკა. ამ დარგში მას შექმნილი აქვს ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“, „შემოღამება“, „ურმული“ და მრავალი სხვა. ყველა ზემომოყვანილ და სტილისტურად მსგავს რომანსებსა და სიმღერებში გაბატონებულია ნაზი სატრფიალო ლირიკა, იშვიათად — ნათელი სევდა. ამ რომანსების მუსიკალური ენა, როგორც წესი, ძველი თბილისის ქალაქური სიმღერების ინტონაციურ, რიტმულ და ჰარმონიულ ბუნებას ენათესავება.

1928 წელს საქართველოში დაარსდა პროლეტარულ მუსიკოსთა ასოციაცია, რომლის აქტიური წევრები იყვნენ შ. აზმაიფარაშვილი,

ა. ბუკია, რ. გაბიჩვაძე, გ. კილაძე, შ. მშველიძე, გ. ტოროშელიძე და სხვ. მას არ შეუზღუდავს თავი უმთავრესად მასობრივი სიმღერების შექმნით, ვინაიდან ცოცხალ ინტერესს იჩენდა ინსტრუმენტული მუსიკისადმი. მაგრამ მის საქმიანობაში ადგილი ჰქონდა კლასიკური მემკვიდრეობის (განსაკუთრებით ზაქარია ფალიაშვილის საოპერო შემოქმედების) აშკარა დაუფასებლობას, ასოციაციის მიმართ კრიტიკის მიუღებლობას და მუსიკალური კულტურის ყოველ დარგში თავისი გავლენის გავრცელების ცდას.

საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე ეს ორგანიზაცია გაუქმებულ იქნა.

ქართველი კომპოზიტორები დიდ ინტერესს იჩენდნენ ინსტრუმენტული მუსიკის მიმართ. ისეთი ნაცადი ჟანრები, როგორიცაა ოპერა, რომანსი, ცალფა და საგუნდო სიმღერა აღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ იდეურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. 1923 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება". იგი აერთიანებდა როგორც დასრულებულ პროფესიონალ-მუსიკოსებს, ისე უმთავრესად თბილისის კონსერვატორიის ქართველ სტუდენტობას. ამ „საზოგადოებამ" უაღრესად პროგრესული როლი შეასრულა მუსიკის შესწავლის, პროპაგანდისა და სწრაფი განვითარების საქმეში.

„საზოგადოებასთან" ჩამოყალიბდა სიმებიანი ორკესტრი, რომელიც 1925 წელს სიმფონიურ ორკესტრში გადაიზარდა. მას სათავეში ჩაუდგა ივანე ფალიაშვილი. ამ ორკესტრის კონცერტები საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. ორკესტრის მონაწილენი იონა ტუსკია, გრიგოლ კილაძე, შალვა თაქთაქიშვილი, ვანო გოკიელი, მიხეილ ძიძიშვილი და სხვანი დროგამოშვებით დირიჟორობასაც ეწეოდნენ. ზოგმა მათგანმა მალე კომპოზიციაშიც სცადა თავისი ძალები. ასე წარმოიშვა პირველი ქართული საორკესტრო ნაწარმოებები, რომლებიც უმთავრესად ხალხურ თემებზე აგებულ სიუიტას ან მცირე ფორმის პროგრამულ საორკესტრო პიესას წარმოადგენდნენ. თუმცა მათზე ადრე დ. არაყიშვილს ჰქონდა დაწერილი სიმფონიური ოდა „ჰიმნი ორმუზდს", ვ. დოლიძეს — საორკესტრო ფანტაზია „ივერიადა", ხოლო ზ. ფალიაშვილს — ექვსნაწილიანი „ქართული სიუიტა", მაგრამ მხატვრული ღირსებებისა და ეროვნული მუსიკალური ენის სიახლისა და ერთფეროვნების მხრივ ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა ადრინდელი პიესები მკვეთრად გამოირჩეოდნენ იმისაგან, რაც მანამდე საორკესტრო მუსიკის დარგში იყო შექმნილი. ამის საუკეთესო მაგალითია გ. კილაძის პირველი სიუიტა (1925 წ.), შემდგარი ოთხი ნაწილისაგან (გამოირჩევა „ნანა" და „სახუმარო"). მისივე სიმფონიური სურათი „ლილე" (1925 წ., სვანური სიმღერის მასალა), ი. ტუსკიას „ჩელა" (1926 წ.) სიმებიანი კვარტეტისათვის (შემდგომ გადამუშავებული სიმებიანი-

ორკესტრისათვის), მისივე სიმფონიური სურათი „ღვენობა“ (1930 წ.). გ. კილაძის I სიუიტა და ი. ტუსკიას „ჩელა“ დღემდე წარმატებით სრულდება სიმფონიურ კონცერტებზე, ო. თაქთაქიშვილის პირველი სიმებიანი კვარტეტი (1930 წ.), უშუალო ემოციურობისა და ხალხური სასიმღერო მასალის მოხდენილად გამოყენების გამო, სამართლიანად ითვლება ამ ჟანრის ფუძემდებლურ ნაწარმოებად ქართულ კამერულ მუსიკაში. პირველი კვარტეტი დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა დამსახურებული პოპულარობით.

20-იანი წლებიდან მოყოლებული დრამატული თეატრების დადგმებში ფართო გამოყენებას პოულობს მუსიკა. კ. მარჯანიშვილი და ა. ახვლედელი თავის სპექტაკლებში შესამჩნევ ადგილს უთმობდნენ მუსიკას, რომელიც სერიოზულ ფუნქციებს ასრულებდა გმირთა ხასიათების, მათი ემოციური განწყობილებების ხატოვნად გამოსახვაში. მუსიკა დრამაში განიხილებოდა არა როგორც „ხმოვანი დეკორაცია“, არამედ როგორც სპექტაკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ეს კი ქართველ კომპოზიტორებს რიგ სერიოზულ შემოქმედებით ამოცანებს უსახავდა, რომელთა ჯეროვანი გადაწყვეტა ხელს უწყობდა მათი პროფესიული ოსტატობის ზრდას, რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის დაუფლებას. ეპვმიეტანელი დამსახურება ხვდა წილად დრამატული თეატრებისათვის დაწერილი მუსიკის ავტორებს: ვანო გოკიელს („ყაჩაღები“, „ანზორ“, „ქართა ქალაქი“), იონა ტუსკიას („არსენა“, „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“, „შემოდგომის აზნაურები“, „ლამარა“), ანდრია ბალანჩივაძეს („არსენას ლექსი“, „სამი ბღენძი“, მუშა ახალგაზრდობის თეატრის სპექტაკლები), თამარ ვახვახიშვილს („ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“, „მშენებელი სოლნესი“), კოტე მეღვინეთუხუცესს და სხვებს.

ამრიგად, ქართული საბჭოთა მუსიკის პირველი პერიოდი მრავალი ღირსშესანიშნავი მიღწევით აღინიშნა: ფართოდ გაიშალა მუსიკალური კულტურის მშენებლობა, რომელიც წარიმართა ეროვნული კლასიკური სკოლის პროგრესულ მონაპოვართა ათვისებისა და ახალი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების ძიების გზით; შემუშავდა და განმტკიცდა მუსიკალური ცხოვრების ახალი ფორმები, რაც ხელოვნების ფართო მასობრივ-საგანმანათლებლო ამოცანებს უპასუხებდა. ამ პერიოდში დასრულდა ეროვნული კლასიკური მუსიკალური სკოლის ფორმირება („თამარ ცბიერი“, „დაისი“) და მომზადდა ქართული საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარების ნიადაგი. 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაწინაურდა ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც ღირსეულად განაგრძო მათ წინამორბედთა მიერ დაწყებული ეროვნული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განუხრელი ზრდის პროცესი. ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ვადამწყვე-

ტი როლი შეასრულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, რომელიც გმობდა საბჭოთა მუსიკისათვის იდეურად უცხო ტენდენციებს. ქართული მუსიკა აღმავლობის გზას დაადგა.

სოციალიზმის გამარჯვებამ განაპირობა ძირეული გარდაქმნები საბჭოთა ხალხების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის მუსიკაშიც. ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ეროვნული სამუსიკო კულტურის განვითარებას, თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა მხატვრულად განზოგადებულ, რეალისტურად ასახვას.

რესპუბლიკაში გაფართოვდა მუსიკალური განათლების ქსელი. ახალი სამუსიკო სკოლები გაიხსნა რაიონებში. უმაღლესი სკოლის ახალი წესდების საფუძველზე გარდაიქმნა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტრუქტურა (1938 წ.). ფართო გაქანება მიიღო ხალხურმა მხატვრულმა შემოქმედებამ. მუსიკისადმი მოსახლეობის მისწრაფებამ გამოხატულება პოვა მრავალრიცხოვან საგუნდო წრეებისა და ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ჩამოყალიბებასა და მათს საკონცერტო გამოსვლებში. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახელი გაითქვა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა. პირველს სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორეს — კირილე პაჭკორია. მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების I დეკადაზე (1937 წ. იანვარი) წარმატებით გამოსვლის შემდეგ მოხდა ამ ანსამბლების გაერთიანება. სხვადასხვა დროს მას სათავეში ედგა გ. კოკელაძე, შ. მშველიძე, ვ. ცაგარეიშვილი, გ. ჩხიკვაძე (ქორეოგრაფი — ჯანო ბაგრატიონი). საქართველოში ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართო პოპულარიზაციაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ვლ. ბაბილუას, ივ. აბაშიძეს, ს. ბაქრაძეს, ს. გველესიანს, ტ. ხუხუას, ბ. ღოღობერიძეს, ნ. ხვიტიას, ა. ქარსელაძეს, ა. მარღანიას (აფხაზეთი), ა. ფარცხალაძეს (აჭარა) გ. გალაევს (სამხრეთ-ოსეთი), ნ. ჩაჩიბაიას, დ. ჭკუასელს, ვ. მახარაძეს და სხვ.

1936 წელს დაარსდა ხალხური შემოქმედების სახლი, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა გასწია ხალხური სიმღერების ჩაწერისა, ნოტებზე გადაღებისა და გამოცემის მხრივ.

ხალხური სასიმღერო ხელოვნება კვლავინდებურად წარმოადგენდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების მყარ საფუძველს, მის უშრეტ წყაროს. უფროსი თაობის კომპოზიტორები უმთავრესად მიმართავდნენ ქართლ-კახურ ფოლკლორს და ძველ ქალაქურ საყოფაცხოვრებო მუსიკას მისთვის დამახასიათებელი მელოდიკური, რიტმული და ჰარმონიული მიმოქცევებით. ახალი თაობის კომპოზიტორებმა ამ ორ წყაროსთან ერთად

გამოიყენეს ხალხური სიმღერის სხვა დიალექტური განშტოებანი — გურული, სვანური, აჭარული, მეგრული, აფხაზური, თუშ-ფშავ-ხევსურული, მოხევური, ოსური და სხვ. ამით ეროვნული პროფესიული მუსიკა გამდიდრდა ახალი გამომსახველი საშუალებებით, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მოგვიანო პერიოდის მუსიკალურ ნაწარმოებებში.

30-იან წლებში მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ორიგინალური ნიჭის ახალგაზრდა კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ. მისი პირველი ნაწარმოებები — „თუშის ქალები", „ოროველა" და მკვეთრი ორიგინალობით და ვაჟკაცური სულისკვეთებით გამორჩეული სიმღერა-ბალადა „გახა წიკლაური" მოწმობდა ავტორის მჭიდრო შემოქმედებით კავშირს მთიელთა ხალხურ სიმღერასთან. შ. მშველიძის შემოქმედებითი „დებიუტი" ეროვნული სიმფონიური მუსიკის სფეროში ორი მცირე ფორმის ნაწარმოებით დაიწყო. პირველი მათგანია — სიმფონიური ოდა „აზარი" (1933 წ.), აგებული აფხაზური ხალხური გმირულ-ეპიკური სიმღერის მასალაზე, მეორე—შთაგონებული სიმფონიური ელეგია „ფშაური" (1933 წ.), რომელშიც ავტორმა გამოიყენა მხატვრულად განზოგადებული ფშაური სიმღერებისათვის დამახასიათებელი კილო-ინტონაციური თავისებურებანი. პროფესიულ მუსიკაში გურულ-აჭარული მეომრული ცეკვის გამოყენების ერთ-ერთი პირველი ნიმუშია მშველიძის სიმფონიური ცეკვა „ხორუმი" (1934 წ.). აღსანიშნავია ამავე მუსიკალურ სათავეებთან დაკავშირებული ალექსი ფარცხალაძის „აჭარული სიუიტა" (1936 წ.) და ორი აჭარული ცეკვა (1937 წ.), საორკესტრო მუსიკის ახალი გამომსახველი საშუალებებით გამდიდრების ცდას წარმოადგენდა იონა ტუსკიას „მარში-გროტესკი", სიმფონიური პოემა „გველისმჭამელი" (ვაჟა ფშაველას მიხედვით) და ცეკვა „ქართული", შექმნილი 1937 წელს. ვანო გოკიელის საორკესტრო სიუიტაში გამოყენებულია ნაწყვეტები მისი ქორეოგრაფიული პოემიდან „ვეფხისტყაოსანი". სიმფონიურ კონცერტებზე დღემდე სრულდება ორი საუკეთესო ნომერი ამ სიუიტიდან: „მზის ამოსვლა" (სვანური „ლილეს" მუსიკალურ მასალაზე) და „ტარიელი წყლის პირას".

1937 წელს დაიწერა გრიგოლ კილაძის სიმფონიური პოემა „განდეგილი" ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით. კომპოზიტორმა დიდი პოეტის ქმნილების ფილოსოფიური შინაარსის თანადროულად გადაწყვეტის სამაგალითო მუსიკალური ნიმუში მოგვცა.

„განდეგილის" შემდეგ ქართული სიმფონიური მუსიკის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური". ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა გააფართოვა და გაამდიდრა მელოდიკურ-ინტონაციური და კილო-ჰარმონიული მიმოქცევების წრე. „ზვიადაურის" ძირითადი იდეაა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება. ამ

ნაწარმოების მუსიკალურმა ენამ საგრძნობი გავლენა იქონია ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაზე.

აღსანიშნავია იონა ტუსკიას სიმფონიური პოემა „მაეზოლეუმთან“ (1940 წ.). იგი ქართული პროგრამული სიმფონიური მუსიკის პირველი ნიმუშია, რომლის იდეური შინაარსი შთაგონებულია ვ. ი. ლენინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით.

საბჭოთა კულტურის ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა ქართული ხელოვნების I დეკადა მოსკოვში 1937 წლის 5—14 იანვარს. ყოველი საოპერო სპექტაკლი, რომელიც დიდი თეატრის სცენაზე იმართებოდა, ბიცხვმრავალი აუდიტორიის მხურვალე მოწონებას იმსახურებდა. ცენტრალური პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველ ოსტატთა გამოსვლებს. მოსკოველებსა და უცხოელ სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, აგრეთვე მეჩონგურეთა ჯგუფმა (ავქსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით), რომლის მიერ შესრულებული „სულიკო“ ბალე მთელ საბჭოთა კავშირს მოედო.

დეკადის დღეებში თავი ისახელა ქართველ ნიჭიერ მომღერალთა ბრწყინვალე პლეადამ, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი, ლ. კავსაკე, ე. სოხაძე, ნ. ცომაია, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, ნ. ხარაძე, მ. ნაკაშიძე, ე. გოსტენინა, მ. ყვარელაშვილი, გ. გრიგორაშვილი, ვ. სამაშურიძე, ზ. სვანიძე, შ. ცირღილაძე, ვ. შარაშიძე, შ. ქუთათელაძე, ე. ლოლუა, გ. ვენაძე და სხვ. თავი ისახელეს აგრეთვე ბალეტის მსახიობებმა ლ. გვარამაძემ და ი. სუხიშვილმა, რეჟისორებმა ა. წუწუნავამ და შ. აღსაბაძემ, ბალეტმაისტერმა დ. ჯავრიშვილმა, დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უნიჭიერესი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის დიდი დამსახურება, რამაც თბილისის საოპერო თეატრის ბრწყინვალე სპექტაკლებში იჩინა თავი.

საკავშირო მთავრობის 1937 წლის 14 იანვრის დადგენილებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. მთავრობის მაღალი ჯილდოები, საპატიო წოდებები და ძვირფასი საჩუქრები მიიღეს დეკადის მონაწილეებმა. დეკადამ არა მხოლოდ შეაჯამა ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის მიღწევები განვლილი თხუთმეტი (1921 — 1936 წწ.) წლის მანძილზე, არამედ მას შემდგომი ზრდისა და განვითარების ნათელი პერსპექტივები დაუსახა.

თბილისის საოპერო სცენაზე 20-იანი წლების დამლევსა და 30-იან წლებში იდგმებოდა რუსული საბჭოთა ოპერები და ბალეტები. მათ შორის გამოირჩეოდა ი. ძერჟინსკის ოპერა „წყნარი დონი“ და რ. გლიერის ბალეტი „წითელი ყაყაჩო“. ამ ნაწარმოებების წარმატებით წახალისებულ ქართველ კომპოზიტორებს შორის შალვა თაქთაქიშვილმა პირველმა

სცადა თანამედროვეობის თემაზე ეროვნული საბჭოთა ოპერის შექმნა. 1940 წლის 29 აპრილს დაიდგა მისი ლირიკულ-ფსიქოლოგიური ოპერა „დეპუტატი“.

იმავე 1940 წლის 19 ოქტომბერს შედგა აკაკი ანდრიაშვილის 4-მოქმედებიანი გმირულ-რომანტიკული ოპერა „კაკო ყაჩაღის“ პრემიერა. ლიბრეტისტმა (გ. იმედაშვილი) და კომპოზიტორმა ჟანრულ-საყოფაცხოვრებო და დრამატული სცენების ჩართვით გააფართოვეს ი. ჭავჭავაძის ცნობილი პოემის სიუჟეტური ჩარჩოები. ამ ოპერის შეუნელებელ წარმატებაზე მოწმობს ექვს მომდევნო სეზონში მისი დადგმა.

ადრინდელ საბჭოთა ოპერებს მიეკუთვნება იონა ტუსკიას ლირიკულ-დრამატული ოპერა „სამშობლო“. მასში ასახულია დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა ცხოვრება, მათი შრომითი პათოსი და მხურვალე პატრიოტიზმის გრძნობა. „სამშობლოს“ მუსიკა ხასიათდება ეროვნულობით, მღერადობით, დრამატული ეპიზოდების ფსიქოლოგიური დაძაბულობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით 1940 წლის 26 თებერვალს დაიდგა გრიგოლ კილაძის ისტორიულ-რევოლუციური ოპერა „ლადო კეცხოველი“ (ლიბრეტო შ. დადიანის და შ. აღსაბაძისა). ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ბიოგრაფიული ფაქტები მგზნებარე რევოლუციონერის — ლადო კეცხოველის ცხოვრებიდან. კომპოზიტორმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მასობრივ სცენებს, რომელთა შორის გამოირჩეოდა საგუნდო ეპიზოდები.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საბჭოთა ოპერა, რომლებიც 30-იან წლებში დაიწერა, საოპერო სცენას დიდხანს არ შერჩენია, მათი წარმოქმნა მაინც საგრძნობ შემოქმედებით სტიმულად იქცა. მომდევნო წლებში ქართველ კომპოზიტორებს ამ მიმართულებით მუშაობა არ შეუწყვეტიათ.

რევაზ გაბიჩვაძის ორატორია „ვეფხისტყაოსანი“ (1938 წ.) ამ ჟანრის პირველი ნიმუშია ქართულ მუსიკაში.

1936 წელს ანდრია ბალანჩივაძემ შექმნა პირველი გმირულ-რომანტიკული ბალეტი „მზეჭაბუკი“ (ლიბრეტო გ. ლეონიძისა). ორი წლის შემდეგ იგი, გადაკეთებული „მთების გულად“, წარმატებით დაიდგა ჯერ ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე (დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელი ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარი ს. ვირსალაძე), ხოლო 1940 წლის 2 ნოემბერს — თბილისის საოპერო სცენაზე (დადგმა ს. სერგეევისა). აქედან მოყოლებული, ამ ეროვნულ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ჟანრს შემდგომი წინსვლის ფართო გზები დაესახა.

გამოჩენილი საბჭოთა ბალერინა გალინა ულანოვა აღნიშნავდა:

„მთების გულმა საბჭოთა საბალეტო სპექტაკლის შექმნაში გარდამავალი ეტაპის როლი შეასრულა“[1]. ცნობილი უზბეკი მოცეკვავის ს. იშანტურაევას დამოწმებით „მთების გული“ იყო პირველი კლასიკური ბალეტი უზბეკურ სცენაზე. მას დიდი წარმატება ჰქონდა... პირველი წარმატებით ფრთებშესხმულმა ჩვენმა ოსტატებმა თვით მოჰკიდეს ხელი ეროვნული ბალეტის შექმნას. ასე წარმოიშვა არსებითად პირველი უზბეკური კლასიკური ბალეტი „გულიანდომი“, რომელიც დადგა უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტმა თამარ ხანუმმა[2].

ეროვნული საბალეტო კადრების მომზადების ნამდვილ კერად იქცა თბილისის ოპერიხა და ბალეტის თეატრთან ბალეტმაისტერ დავით ჯავრიშვილის თაოსნობით 1934 წელს დაარსებული სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდია შვიდწლიანი სასწავლო გეგმით. ეს სასწავლებელი კლასიკურ ბალეტთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული ცეკვების შესწავლას და ამ ხაზით სპეციალისტების მომზადებას. ამრიგად, მომავალი ქართული ბალეტის საფუძველი საშემსრულებლო ძალების მხრივ უზრუნველყოფილი იყო.

ქართული საბჭოთა ბალეტის ჩასახვასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უნიჭიერეს მოცეკვავეს, ბალეტმაისტერსა და პედაგოგს ვახტანგ ჭაბუკიანს. ეროვნულ საბალეტო ხელოვნებაში მან შემოიტანა დიდი ხელოვანის შემოქმედებითი წვა, რომანტიკული გაქანება, ვაჟკაცური იერი და გმირული სულისკვეთება. ვ. ჭაბუკიანმა მოგვცა სრულყოფილი ნიმუშები კლასიკური ბალეტის ტრადიციების ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ნიადაგზე გადმონერგვისა. ამით მან არა მარტო ჩამოაყალიბა ეროვნული საბალეტო ხელოვნება, არამედ მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ისტორიაში ახალი ფურცლები ჩაწერა.

ქართული ბალეტის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე ნიჭიერმა მხატვარმა სოლომონ ვირსალაძემ. მან დიდებულად გადაჭრა თეატრალური მხატვრის მეტად რთული ამოცანა, რაც არამარტო უჩვეულო საბალეტო სპექტაკლის დეკორაციულ გაფორმებაში გამოისახა. რაც მთავარია, ვირსალაძემ შექმნა ისეთი კოსტიუმები, რომლებიც ეროვნულიც იყო, არ ეწინააღმდეგებოდა წარსულის ყოფაცხოვრებითი ჩაცმულობის ტრადიციებს და, ამასთანავე, არ ბოჭავდა მოცეკვავეთა მოძრაობას კლასიკურ და სახასიათო ცეკვებში.

საბჭოთა თემატიკაზე აგებულ პირველ ბალეტს წარმოადგენდა შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“, რომლის პრემიერა შედგა 1938 წლის 30 აპრილს. მის მუსიკაში აღინიშნებოდა ცალკეული მოხდენილი ნომრები,

---

[1] Журн. «Искусство и знание», 1939, № 4, стр. 23.

[2] იქვე, გვ. 81.

მაგრამ კომპოზიტორმა მთლიანად ვერ შეძლო დამაჯერებელი მხატვრული სახეების შექმნა.

ქართული ვოკალურ-სიმფონიური ციკლის პირველ ნიმუშს წარმოადგენს ვანო გოკიელის ამ ჟანრის ნაწარმოები — „სიყვარულზე“ (1939 წ.), რომელიც დაწერილია პოეტების ი. აბაშიძისა და გრ. ცეცხლაძის ლექსების მოტივების მიხედვით. ამ ოთხნაწილიან ნაწარმოებში კომპოზიტორმა გადმოსცა სიყვარულის მაღალი, კეთილშობილური გრძნობა.

30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ქართულ ინსტრუმენტულ კონცერტს. აღსანიშნავია ა. ანდრიაშვილის (1934 წ.) და ნ. გუდიაშვილის საფორტეპიანო კონცერტები.

1936 წელს ა. ბალანჩივაძის მიერ შექმნილი საფორტეპიანო კონცერტი № 1 ორკესტრის თანხლებით წარმოადგენს ამ ჟანრის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. იმ დროს იგი საკმაო წარმატებით სარგებლობდა ცნობილი პიანისტების — ა. კამენსკის, ლ. ობორინისა და დირიჟორ ფ. შტიდრის შესრულებით. აღსანიშნავია აგრეთვე შ. თაქთაქიშვილის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1932 წ.).

კამერული ინსტრუმენტული მუსიკის დარგში შეიქმნა: შ. თაქთაქიშვილის მეორე სიმებიანი კვარტეტი (1932 წ.), რომელიც მეტი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა, ვიდრე მისივე პირველი კვარტეტი და საიოლონჩელო პიესა „ურმული“ („მწუხარება“); ნ. ნარიმანიძის ერთნაწილიანი „რაფსოდია“ სიმებიანი კვარტეტისათვის (1937 წ.) აფხაზურ თემაზე და მისივე მეორე სიმებიანი კვარტეტი (1939 წ.), რომელსაც ხალასი ეროვნული კოლორიტი და გამოთქმის უშუალობა ახასიათებს; თ. შავერზაშვილის „საბავშვო სიუიტა“ (1938 წ.) სიმებიანი კვინტეტისა და სასულე ინსტრუმენტებისათვის და სხვ.

კამერულ საფორტეპიანო პიესებს შორის ხანგრძლივი წარმატებით სარგებლობდა ა. მაჭავარიანის „სკერცო“ (1939 წ.) და „ხორუმი“ (1940 წ.), ა. ბალანჩივაძის „სამაია“ (1940 წ.), ვ. გოკიელის საფორტეპიანო ტრანსკრიპციები: „ლილე“ და „ტარიელი წყლის პირას“ (1938 წ.), თ. შავერზაშვილის „საბავშვო მუსიკალური სურათები“ (1939 წ.), რომელზედაც ნორჩი პიანისტების არაერთი თაობა აღიზარდა. იგივე ითქმის ნ. გუდიაშვილის „პოემასა“ (1939 წ.) და რ. გაბიჩვაძის „არიაზე“ (1936 წ.). ეს საიოლინო პიესები ფორტეპიანოს თანხლებით ხშირად სრულდებოდა კამერულ კონცერტებსა და სამუსიკო სასწავლებელთა საღამოებზე.

30 — 40-იან წლებში ფართო პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული სამშობლოსა და პარტიისადმი მიძღვნილ გ. კილაძის, ი. ტუსკიას, შ. მშველიძისა და რ. გაბიჩვაძის მასობრივ სიმღერებს.

ამრიგად, 30-იან წლებში ქართული საბჭოთა მუსიკა შემოქმედებითი მიღწევების მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი გამოდგა. ეროვნული მუ-

სიკის იდეურად გამდიდრებისა და კომპოზიტორთა პროფესიული ოსტატობის ზრდა საბჭოთა საქართველოს მთელი ეროვნული კულტურის საერთო აღმავლობასთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. ვოკალურ ჟანრებთან ერთად (ოპერა, რომანსი, სიმღერა), განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი ინსტრუმენტული მუსიკისადმი, რომელიც მანამდე ქართული მუსიკალური ხელოვნების ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. კილაძის „განდეგილი" და შ. მშველიძის „ზვიადაური" — ორი სიმფონიური პოემა, რომლებმაც საგრძნობი როლი შეასრულეს სიმფონიური მუსიკის განვითარებაში. ამავე პერიოდის ღირსშესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული".

30-იანი წლების დამლევს გამოცოცხლება დაეტყო საკონცერტო მუშაობას. 1937 წელს 12 ივნისს თბილისში გაიმართა ნორჩ მუსიკოსთა ოლიმპიადა, რომელმაც დიდი რაოდენობით გამოამჟღავნა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობა. ამ ოლიმპიადამ ის პრაქტიკული შედეგი გამოიღო, რომ 1938 წელს თბილისის კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი, რომელიც შემდგომ ზ. ფალიაშვილის სახელობის სკოლა-ათწლედში გადაიზარდა.

1937 წლის 8 ნოემბერს თბილისში მოეწყო ხალხური სიმღერისა და ცეკვის რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელმაც ცხადყო მხატვრული თვითმოქმედების ინტენსიური ზრდა საქართველოს ყველა რაიონში.

1938 წლის 12 აპრილს ლენინგრადში გაიმართა ქართული მუსიკის დიდი კონცერტი, რომელზეც შეასრულეს ა. ბალანჩივაძის, ი. ტუსკიას, გ. კილაძის და შ. მშველიძის ნაწარმოებები. ამ კონცერტმა მაყურებელთა და პრესის მაღალი შეფასება მიიღო. აღსანიშნავია ასეთივე მასშტაბის ქართული მუსიკის კონცერტი, რომელიც გაიმართა 1938 წლის 22 აპრილს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. გარდა იმისა, რომ ასეთი გამოსვლები მკაფიოდ ადასტურებდნენ ქართული საბჭოთა მუსიკის განუხრელ განვითარებას, ისინი მძლავრ შემოქმედებით სტიმულს აძლევდნენ ეროვნულ კომპოზიტორებს.

30-იანი წლების ქართული მუსიკალური ენა ახალი მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებებით გამდიდრდა. განახლებული ქვეყნის დაძაბული მაჯისცემის ზეგავლენით ქართულ მუსიკაში შეიჭრა და განმტკიცდა მკვეთრი, ენერგიული რიტმი, დიდი შინაგანი დინამიკა. კომპოზიტორები ცდილობდნენ ეპასუხათ მშრომელთა გაზრდილი მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებებისათვის, რაც ხელს უწყობდა მუსიკალური მეტყველების შემდგომ დემოკრატიზაციას. მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა და სწორი გზისაგან გადახვევებისა, ქართულ მუსიკაში მტკიცდებოდა სოციალისტური რეალიზმი — საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი შემოქმედებითი მეთოდი.

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაშიც არსებითი გარდატეხა მოხდა 1921 წლის 25 თებერვლის ისტორიული აქტის შედეგად. ქართველი ხალხის ახალმა ცხოვრებამ ეროვნული მხატვრული კულტურის ამ სფეროშიც ახალი ეპოქა წარმოშვა.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს 1922 წლის 14 მაისს პირველი ეროვნული უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის — საქართველოს სამხატვრო აკადემიის დაარსება (თავდაპირველად ასე ეწოდებოდა თბილისის სამხატვრო აკადემიას). ეს იყო ჭეშმარიტად დიდი მოვლენა, რომელმაც არსებითი როლი შეასრულა ქართული სახვითი ხელოვნების მთელ შემდგომ ისტორიაში. აქ ძირითადი სპეციალური საგნების სწავლებას სათავეში ჩაუდგნენ სახელგანთქმული ქართველი ოსტატები გიგო გაბაშვილი და იაკობ ნიკოლაძე, მაშინ თბილისში მომუშავე ცნობილი რუსი მხატვრები ევგენი ლანსერე და იოსებ შარლემანი და სხვ. კერძოდ, ფერწერის კლასებს (სახელოსნოებს) ხელმძღვანელობდნენ გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე და ე. თათეოსიანი, რომლებიც რეალისტური სულისკვეთებით ზრდიდნენ სტუდენტებს. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ გ. გაბაშვილს. ამ შესანიშნავი პედაგოგის ხელმძღვანელობით ქართული საბჭოთა ფერწერის არაერთი ამჟამად ცნობილი ოსტატი დაეუფლა რეალისტური ოსტატობის საიდუმლოებას.

რეალისტური პრინციპები ედო საფუძვლად ქანდაკებისა და გრაფიკის სწავლებასაც. პირველს ხელმძღვანელობდა თანამედროვე ქართული ქანდაკების მამამთავარი ი. ნიკოლაძე, ხოლო მეორეს — ი. შარლემანი და ე. ლანსერე.

მთელი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო სამხატვრო სტუდიამ, რომელიც დაარსდა მოსე თოიძის ხელმძღვანელობით 1922 წლის იანვარში (დაიხურა 1928 წელს). ეს იყო ერთადერთი სამხატვრო სასწავლებელი — სტუდია საქართველოში, რომელიც დახმარებას უწევდა თვითშემოქმედ მუშებსა და გლეხებს, ავლენდა მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს და ამზადებდა მათ სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად. ამავე დროს სტუდია მუშაობას ეწეოდა ხელოვნების პროპაგანდისათვის, ხელოვნების დაახლოებისათვის ხალხთან და ხალხისა — ხელოვნებასთან სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში გამოფენათა სისტემატურად მოწყობით, ლექციებისა და საუბრების ჩატარებით და სხვ.

ქართული საბჭოთა ხელოვნების ფორმირებასა და წინსვლას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე სამხატვრო გამოფენების სისტემატურმა მოწყობამ, „მონუმენტური პროპაგანდის" ფართოდ გაშლამ და სხვა არაერთი ანალოგიური ღონისძიების განხორციელებამ.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესი შინაგანად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურის შესანიშნავ ტრადიციებთან, განსაკუთრებით ახალი ქართული მხატვრობისა და ქანდაკების დიდ რეალისტურ ტრადიციებთან. ამასთან, ეს კავშირი განპირობებულია არა მარტო აღნიშნული ტრადიციების კრიტიკული ათვისებით, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ძირითადად ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ფუძემდებლები იყვნენ ახალი ქართული სახვითი ხელოვნების უშესანიშნავესი წარმომადგენლები გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე და მოსე თოიძე. არსებითად ამ დიდ ოსტატებს ხვდა წილად გადაეშალათ ჩვენი ეპოქის ქართული პლასტიკური ხელოვნების ისტორიის პირველი ფურცლები, თავიანთი როგორც შემოქმედებითი, ისე პედაგოგიური მოღვაწეობით. თანამედროვე ქართული ქანდაკებისა და მხატვრობის მრავალფეროვან პროცესს ძირითადად ამ ღვაწლმოსილმა ოსტატებმა მისცეს მხატვრული მიმართულებაც. მათ, ა. მრევლიშვილის, ა. ციმაკურიძის, ნ. ფიროსმანიშვილის, დ. კაკაბაძისა და რევოლუციამდე მოღვაწე სხვა რეალისტ მხატვრებთან ერთად, მტკიცე ნიადაგი მოამზადეს თვით ამ პროცესის აღმოცენებისათვის.

საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ქართული ფერწერის პირველ მნიშვნელოვან ქმნილებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გ. გაბაშვილის „ავტოპორტრეტსა“ (1922 — 1925 წწ.) და ნ. ნიკოლაძის პორტრეტს (1925 — 1926 წწ.). ეს ტილოები, მიუხედავად იმისა, რომ ხასიათდებიან ისეთი მაღალი ღირსებებით, როგორიც ნიშანდობლივია მხატვრის სახელგანთქმული ნაწარმოებებისათვის, მაინც უაღრესად საყურადღებო ქმნილებებს წარმოადგენენ. უპირველესად ეს ითქმის „ავტოპორტრეტის“ შესახებ, რომელიც აშკარად ავლენს ფერთა დიდი რეალისტი არტისტის ხელწერასა და ოსტატობას.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მ. თოიძის სურათები „ავწიოთ ინდუსტრია“ და „მრისხანე ბატონის“ ახალი ვარიანტი, ხოლო უფრო მეტად ეტიუდების მთელი სერია, ა. ციმაკურიძის მიერ თბილისის თემაზე შექმნილი პეიზაჟები, რომლებიც ცნობილი ქართველი პეიზაჟისტის უკეთეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნიან, ვ. სიდამონ-ერისთავის „გურიის გლეხთა აჯანყება“ (1925 წ.) და „ბატონყმობის უღელქვეშ“ (1925 წ.), აგრეთვე შ. ძნელაძისა და სხვა ახალგაზრდა მხატვრების რამდენიმე ნამუშევარი.

ხელოვანთა ასეთი სიმრავლით არ ხასიათდებოდა ქართული საბჭოთა ქანდაკების ფორმირების დასაწყისი. აქ კვლავ მხოლოდ ი. ნიკოლაძე მოღვაწეობს, რომელიც, შთაგონებული თავისი ხალხის ახალი ცხოვრებითა და ინტერესებით, გატაცებით მუშაობს, მრავალრიცხოვან რეალისტურ პორტრეტებს ქმნის. მათ შორის 1922 წელს გამოქანდაკებული სა-

ხეებიდან გამოირჩევიან პროფ. პ. მელიქიშვილის, პოეტ ვ. გაფრინდაშვილისა და სხვ. პორტრეტები. გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე რ. ლუქსემბურგის პორტრეტი (იდგა ფედერაციის, ახლანდელ ლენინის მოედანზე), ესკიზები „პარიზის კომუნის გმირები", „თავისუფალი საქართველო" და სხვა. 1923 წელს მოქანდაკე ამთავრებს ალ. წულუკიძისა და ფ. ენგელსის პორტრეტებს (ორივე დაიდგა ქუთაისში), ხოლო 1924 წელს კამოს ძეგლს (დაიდგა თბილისში პუშკინის ბაღში). 1925 წელს ი. ნიკოლაძის სახელოსნოში იბადება ვ. ი. ლენინის პორტრეტი, რომელიც მოქანდაკის პირველ დიდ თემატიკურ ნაწარმოებს წარმოადგენდა და ბელადის რეალისტური სახის შექმნის ერთ-ერთ პირველ დიდმნიშვნელოვან ცდას მთელ საბჭოთა ხელოვნებაში, ამიტომ ამ ნაწარმოებმა ფართო გამოხმაურება პოვა, ხოლო მოქანდაკეს რამდენჯერმე მოუხდა მისი გამეორება მარმარილოში.

1925 წელს ი. ნიკოლაძე ამთავრებს ვ. ი. ლენინის მონუმენტს, რომელიც ქუთაისში დაიდგა. 1922 წელს ი. ნიკოლაძის იუბილის დღეს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ აღიმართა 1915 წელს გამოძერწილი აკაკის ბრწყინვალე პორტრეტი, რომელიც დღემდე ითვლება ჩვენი დედაქალაქის სკულპტურულ მშვენებად. ერთი წლის შემდეგ კი კომუნარების ბაღში დაიდგა ე. ნინოშვილის ბიუსტი, რომელიც შეიქმნა 1910—1911 წლებში და მოქანდაკის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებად არის აღიარებული. ყველაფერი ეს არა მარტო გზას უნათებდა ქართული ქანდაკების შემდგომ განვითარებას, არამედ „მონუმენტური პროპაგანდის" ლენინური გეგმის ფართო მასშტაბით განხორციელებას წარმოადგენდა.

ქართული საბჭოთა მხატვრობისა და ქანდაკების ეს პირველი წარმატებანი, აგრეთვე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრები, უპირატესად დემონსტრირებული იყო 1926 წელს ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელსაც „ახალი თბილისი" ეწოდა. არსებითად ეს იყო ქართული საბჭოთა ხელოვნების პირველი გამოფენა (მონაწილეობდნენ მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, ა. ციმაკურიძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, დ. გველესიანი, თბილისში მომუშავე რუსი მხატვარი ვ. კროტკოვი და სხვ.). 1927 წელს ქართველ ხელოვანთა როგორც ძველი და საშუალო თაობა, ისე აკადემიის სტუდენტები და სამხატვრო სტუდიის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო გამოფენაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა „სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების" სახელწოდებით.

1927 წელს ქართველ მხატვართა საზოგადოება აწყობს რ. გველესიანის, ა. ბერიძისა და სხვა რევოლუციამდელ რეალისტ მხატვართა გამოფენას, ხოლო შემდეგ გ. გაბაშვილის ინდივიდუალურ გამოფენას, რომლებმაც

დიდად შეუწყო ხელი კლასიკური რეალისტური მხატვრობის ტრადიციების დაცვასა და პროპაგანდას.

მომდევნო წლებში კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ძლიერდება ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ფრონტი: ქართული ქანდაკების მამამთავრის გვერდით დგება ნიკოლოზ კანდელაკი, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა თბილისის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილი ახალგაზრდობა (შ. მამალაძე, ა. ქუთათელაძე, ს. ნადარეიშვილი, კ. სანაძე, ტ. სესიაშვილი), სისტემატურად ეწყობოდა სხვადასხვა ხასიათის გამოფენები.

ამ პერიოდში ქართულ ხელოვნებაშიც ვლინდება თანამედროვეობისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება, სხვადასხვა ხასიათის ცალმხრივი თეორიები და შემოქმედებითი პრაქტიკა. ამ ნაკადის უაღრესად თავისებურ და პირველ თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენდა ლადო გუდიაშვილის ინდივიდუალური გამოფენა, რომელიც 1926 წლის 25 აპრილს გაიხსნა რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

ლ. გუდიაშვილის გამოფენაზე ექსპონირებული იყო მხატვრის ადრინდელი შემოქმედებითი კრედოს გამომსახველი ნაწარმოებები, შექმნილი პარიზში 1919 — 1925 წლებში, აგრეთვე ოთხი სურათი, დაწერილი პარიზიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ. მთელი გამოფენა ლ. გუდიაშვილის დიდი ტალანტის, ფაქიზი შემოქმედებითი ნატურისა და მაღალი პროფესიული დახელოვნების დემონსტრაციას წარმოადგენდა. მხატვრის თითქმის ყოველი ქმნილება კომპოზიციის შესანიშნავი ოსტატობით და მკვეთრად ინდივიდუალური ფერწერითი წარმოსახვით ხასიათდებოდა. ამავე დროს, გამოფენა ნათელს ხდიდა იმასაც, რომ მხატვრის შემოქმედებითი ხედვა არა მარტო აშკარად გამოხატულ სუბიექტივისტურობას ემყარებოდა, არამედ მკაცრად შეზღუდულ თემატიკასაც, მხოლოდ ძველი თბილისის კინტოების ბოჰემური ცხოვრების, ტიტველი ქალისა და სხვა ნეიტრალური, ეპოქის მღელვარე სულისკვეთებისაგან სავსებით გამოთიშული მოტივებით ისაზღვრებოდა. არსებითად თემატიკა აქ მხატვრული ამოცანების მსახური იყო, ისეთი თემატიკური მოტივები იყო შერჩეული, რომლებიც მეტ საფუძველს იძლეოდნენ ადამიანების არაბუნებრივი (სტილიზებული, პირობითი) ფიგურებითა და სახის ნაკვთებით, უყურადღებოდ და ძირითადად მელანქოლიური ან ბოჰემური გამომეტყველებით წარმოსახვისათვის. წლების განმავლობაში მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, ხოლო პარიზში ათასგვარი მოდური „სიახლეებით" გარემოცული ხელოვანი, რომელსაც ადრეც თავისებური შემოქმედებითი კრედო ახასიათებდა, აცდა ჭეშმარიტი რეალიზმის გზას.

არსებითად განსხვავებული იყო დ. კაკაბაძის შემოქმედებითი გზა როგორც საერთოდ, ისე კერძოდ პარიზში მუშაობის პერიოდშიც. პა-

რიზს გამგზავრებამდე, XX საუკუნის ქართული მხატვრობის ეს ერთ-ერთი უშესანიშნავესი წარმომადგენელი რეალისტურ ეროვნულ ტილოებს ქმნის, რომლებიც მაღალი ოსტატობით, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხელწერითა და ღრმად გააზრებული წარმოსახვით ხასიათდებიან („იმერეთი, დედაჩემი", იმერეთის პეიზაჟები, ავტოპორტრეტი და სხვ.). მაგრამ ევროპული „მემარცხენე" მოდერნისტულ-დეკადენტური ხელოვნების გავლენამ მოდური ექსპერიმენტებით შეცვალა ეს ჭეშმარიტი გზა. ახლა მხატვარი უსაგნო და უაღრესად სუბიექტივისტური წარმოსახვით — ხის, თუნუქის, მუყაოსა და შუშის ნაჭრების შეხამებით ან მხოლოდ ფერთა ნებისმიერ — თვითმიზნური აღქმით ცდილობს ჩასწვდეს „ახალი ხელოვნების საიდუმლოებას". ამ ექსპერიმენტს ფრანგული კუბიზმის, გერმანული ექსპრესიონიზმისა და იტალიური ფუტურიზმის შემოქმედებით პრინციპთა გარკვეული ერთობლივი გავლენა ედო საფუძვლად.

დ. კაკაბაძე პარიზიდან 1927 წელს დაბრუნდა. მისი პარიზის პერიოდის ნამუშევრების გამოფენა 1928 წელს მოეწყო თბილისში. ეს გამოფენა არსებითად აშკარა ანტირეალისტური სულისკვეთებით ხასიათდებოდა. იგი უპირისპირდებოდა არა მარტო საქართველოს ეროვნული ვითარების ახალ მოთხოვნებს, არამედ თვით მხატვრის ადრინდელ შემოქმედებასაც. აქ არ იყო წარმოსახული არც ადამიანები, არც ცხოვრება, არც მაღალი აზრი და იდეები. ნაწარმოებები ან უსაგნო და თვითმიზნურ ფერწერას ან თუნუქის, სარკის, ფიცრისა და მუყაოს შეღებილი ნაჭრების უაღრესად პირობით, მექანიკურ შეხამებას წარმოადგენენ. მხოლოდ პარიზული ჩანახატები და იქვე შექმნილი ისეთი შედარებით ადრინდელი ნაწარმოებები მოიცავდნენ ამა თუ იმ სიმკვეთრის რეალისტურ ტენდენციებს, როგორიცაა „წურბელების გამყიდველი" და „ბანანებით მოვაჭრე".

ყველაფერი ეს სავსებით ცხადს ხდის, რომ 20-იანი წლების მეორე ნახევრის ქართულ სახვით ხელოვნებაში მკვეთრად ძლიერდება რეალიზმთან დაპირისპირებული ნაკადი, რომლის გამოხატულებად 1926 წლამდე მხოლოდ ფუტურისტული ფერწერა გვევლინებოდა. ამ უკანასკნელს კ. ზდანევიჩი უკვალავდა გზას ჯერ კიდევ 1910-იანი წლების მეორე ნახევარში თავისი და სხვა რუს „მემარცხენე" მხატვართა ნაწარმოებების გამოფენების მოწყობით. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ქართულ მწერლობაში ფუტურიზმის წარმოშობასთან ერთად მხატვრობაშიც ვლინდება რამდენიმე ახალგაზრდა მხატვრის გატაცება ამ დეკადენტური მიმართულებით. მათ შორის აღსანიშნავია ირაკლი გამრეკელი, რომელიც თავის პირველ ნაწარმოებებსა და კრიტიკულ წერილებში ყველაზე უკიდურესად ავლენდა „მემარცხენე" მხატვრობის პრინციპებს,

თუმცა 20-იანი წლების მეორე ნახევარში თანდათან ჩამოსცილდა ამ გზას და განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის განვითარებაში.

ცალკე უნდა გამოიყოს ელენე ახვლედიანის შემოქმედებითი მოღვაწეობა 20-იან წლებში. ეს მრავალმხრივ შესანიშნავი ოსტატი ორი წლის განმავლობაში თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა გ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით. 1924 წელს იგი მიემგზავრება იტალიაში, ხოლო იქიდან პარიზში, სადაც აკადემიაში აგრძელებს სწავლას. 1927 წელს ე. ახვლედიანი ბრუნდება თბილისში და მართავს თავის ნამუშევართა გამოფენას. აქ ექსპონირებულ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი გარკვევით გამოხატავდა ფრანგული მოდერნისტული ფერწერის ერთგვარ გავლენას, მაგრამ უმრავლესობა რეალისტური ინდივიდუალურობის ძიებით, ფაქიზი გემოვნებითა და სავსებით ჩამოყალიბებული ოსტატობით გამოირჩეოდა. ამ ციკლის ტილოებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა: „მუშათა უბანი პარიზში“, „პარიზის კუთხე“, „ზამთარი კახეთში“, „ძველი თბილისი“, „ქართლი“ და სხვ. სწორედ ეს ჯანსაღი საწყისი დაედო საფუძვლად მხატვრის შემოქმედების შემდგომ განვითარებას.

რეალიზმთან დაპირისპირებული შემოქმედებითი სულისკვეთება თანდათან სამხატვრო აკადემიაშიც შეიჭრა. 1928 წელს აქ მუშაობას იწყებენ დ. კაკაბაძე. ლ. გუდიაშვილი, რომლებიც თვალსაჩინო გავლენას ახდენენ სტუდენტობაზე.

მაგრამ ყოველივე ამან ვერ შეანელა ახალი რეალისტური ხელოვნების განვითარება და მასში რევოლუციური იდეების დამკვიდრების პროცესი. რეალისტი ოსტატები 20-იანი წლების მეორე ნახევარშიც არაერთ შესანიშნავ ნაწარმოებს ქმნიან, რომელთა შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს: ლ. მესხიშვილისა და ე. ნინოშვილის, ი. ნიკოლაძისეული პორტრეტები, გ. გაბაშვილისა და მ. თოიძის ეტიუდები, გ. მესხის, ქ. მაღალაშვილის, ნ. კანდელაკის, ა. ციმაკურიძის, ვ. სიდამონ-ერისთავისა და სხვ. ნამუშევრები. ამასთან, აღსანიშნავია აკადემიაში აღზრდილი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნინო წერეთლის, გიორგი სესიაშვილის (რომელმაც ჯერ კიდევ 1924 წელს მიიღო პირველი პრემია ვ. ი. ლენინის მონუმენტის ესკიზისათვის), შალვა მამალაძის, ვანო პატარიძის, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის ვახტანგ კოტეტიშვილის, თამარ აბაკელიას, ლადო გრიგოლიას, რუბენ თავაძის, სილოვან კაკაბაძის, კოტე მერაბიშვილის, ირაკლი თოიძის, აპ. ქუთათელაძის, ივანე ვეფხვაძის, სამსონ ნადარეიშვილისა და სხვათა შემოქმედებითი აქტივობა. მათ სახელებთან არაერთი საყურადღებო რეალისტური პორტრეტისა და სხვა ჟანრის ნაწარმოების შექმნაა დაკავშირებული ქართული ფერწერისა და ქანდაკების განვითარების ამ გარკვეულ შინაგან წინააღმდეგობათა მომცველ და თავისებურ ძიებათა ხანაში.

1929 წელს დაარსდა „რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია“ („რევმასი“), რომელიც რუსეთის რევოლუციურ მხატვართა ასოციაციის ფილიალს წარმოადგენდა. ამ ასოციაციამ, რომელშიც შედიოდნენ: მ. თოიძე, ა. ციმაკურიძე, გ. მესხი, ი. ვეფხვაძე, ი. კროტკოვი და სხვ., თბილისში გამართა რამდენიმე გამოფენა და აგრეთვე გამოყო საგანგებო ბრიგადები მუშათა მხატვრულ წრეებში სამუშაოდ. თუმცა ეს გამოფენები არ იდგნენ სათანადო მხატვრულ დონეზე, არ ხასიათდებოდნენ საბჭოთა სინამდვილის ღრმა მხატვრული განსახიერებით, აგრეთვე გარკვეული შეზღუდულობითა და ცალმხრივობით ხასიათდებოდა ასოციაციის შემოქმედებითი პრინციპებიც, მაგრამ „რევმასის“ მოღვაწეობას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა ქართულ ხელოვნებაში რევოლუციური იდეებისა და ახალი თემატიკის დამკვიდრებისათვის.

ერთი წლის შემდეგ — 1930 წლის 8 თებერვალს — დაარსდა ქართველ მხატვართა ახალი გაერთიანება „ქართველ რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია“ („სარმა“), რომელშიც „რევმასის“ წევრთა უმრავლესობაც გაერთიანდა. იგი თავის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერდნენ მ. თოიძე, ი. თოიძე, ს. ნადარეიშვილი, ა. ქუთათელაძე, კ. სანაძე, ს. მაისაშვილი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, დ. წერეთელი, ლ. ლემონჯავა და სხვ., აღნიშნავდა, რომ „ქართველ მხატვართა საზოგადოება“ ვერ პასუხობს ქართული სახვითი ხელოვნების წინაშე მდგომ ამოცანებს“. თვით ეს ამოცანები კი შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული ამ დოკუმენტში: „ხელოვნება ყველა თავისი შემადგენელი ნაწილით უნდა იყოს მასის ფსიქიკისა და ნებისყოფის ორგანიზატორი, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე. თანამედროვე რევოლუციური მხატვარი ისეთი ოსტატი უნდა იყოს, რომელიც თავისი სპეციფიკური მხატვრული იარაღით შეძლებს ოქტომბრის რევოლუციის იდეების ფართო პროპაგანდას, დაეხმარება მშრომელ მასას კულტურული დონის აწევაში, გაამახვილებს სოციალიზმის მშენებელი პროლეტარიატის იდეოლოგიურ-კლასობრივ შეგნებას და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას“. ამიტომ „სტატიურობას, უსახო ნატურალიზმს, პასიურ ჭვრეტას უნდა დავუპირისპიროთ დინამიურობა, მოვლენათა პერსპექტიული ათვისება, აქტიური კლასობრივი მიზანდასახულობა. ჩვენი კურსი პროლეტარული რეალიზმისაკენ არის აღებული“. მაგრამ ეს შეხედულებები, რომლებიც იმ დროისათვის მოკლებული არ იყო პროგრესულობას, დეკლარაციის სხვა ნაწილში არა მარტო ვერ პოულობენ სათანადო განვითარებას, არამედ არსებითად უარყოფილიც კი არის. „საკვლევით ნორმალურად და საჭიროდ მიგვაჩნია, — ნათქვამია აქვე, — ჩვენი გაერთიანების შიგნით ფორმალური სხვადასხვაობა; ახალი სტილის ძიება-ჩამოყალიბებაში სასურველია და ჯანსაღი მოვლენაა ფორმალური შეჯიბრი

ჩვენი ორგანიზაციის შიგნით“, ხოლო თვით ეს „ფორმალური შეჯიბრი“ მათ იმდენად ფართოდ ჰქონდათ წარმოდგენილი, რომ „სარმაში“ შედიოდნენ ლ. გუდიაშვილი და დ. კაკაბაძეც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი პოლიტიკური რწმენით ამ დროს უკვე ახალი ცხოვრების სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი და ახალ, საბჭოთა თემებზედაც მუშაობდნენ, საკუთრივ შემოქმედებითი მსოფლგაგების, მეთოდისა და სტილის მხრივ, ჯერ კიდევ მაინც პარიზის პერიოდის პოზიციაზე იდგნენ. ამავე დროს, ასოციაციამ ზურგი შეაქცია ქართული რეალისტური ფერწერის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ გ. გაბაშვილი და ა. მრევლიშვილი. ყველაფერი ეს სავსებით ნათელს ხდის, რომ „სარმა“ არ წარმოადგენდა გარკვეული თანმიმდევრული პრინციპების საფუძველზე მდგომ შემოქმედებით გაერთიანებას. ამას ადასტურებდა „სარმას“ 1930 წლის გამოფენაც. მართალია, ეს გამოფენა თემატიკის აქტუალობით მკვეთრად გამოირჩეოდა ქართული ხელოვნების ყველა სხვა ადრინდელი გამოფენისაგან, მაგრამ თვით ამ ახალი თემების განსახიერება უმეტესად ფორმალიზმის ან ნატურალიზმის არსებითი ნიშნებით ხასიათდებოდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ მოასწავებდა ახალი ეპოქის დასაწყისს მთელი საბჭოთა მხატვრული კულტურის ისტორიაში.

ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში ამ ახალი პერიოდის დასაწყისი, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა საქართველოს მხატვრების პირველი ყრილობის მოწვევით (1933 წლის 5 იანვარი). ყრილობამ სოციალისტური რეალიზმი აღიარა საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემოქმედებით მეთოდად და ჩამოაყალიბა საქართველოს საბჭოთა მხატვრების ერთიანი კავშირი. ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მხატვრული კულტურა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ქმნიდა, კლასიკური მემკვიდრეობის ყველაზე კანონიერი მემკვიდრე იყო და რომ ამ დიდი საფუძვლის გარეშე მას არ შეეძლო განვითარება. ბუნებრივია, ყველაფერი ეს იმ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა, რომელიც ვ. ი. ლენინმა შემდეგი სახით განსაზღვრა კ. ცეტკინთან საუბარში: „რაც ლამაზია, უნდა შევინარჩუნოთ, ნიმუშად გავიხადოთ იგი, დავეყრდნოთ მას, თუნდაც იგი „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭუშმარიტად მშვენიერს, უარი ვთქვათ მასზე, როგორც შემდგომი განვითარების ამოსავალ პუნქტზე, განა იმიტომ, რომ იგი „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს ახალია?“ უაზრობაა, სრული უაზრობაა.

აქ ბევრია თვალთმაქცობა და, რა თქმა უნდა, შეუგნებელი მოწიწება დასავლეთში გაბატონებული მხატვრული მოდის წინაშე"[1].

პარტიის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ ახალი ძალა შემატა ქართველ ხელოვანთა მრავალრიცხოვან კოლექტივს. ღვაწლმოსილმა მხატვარმა ა. მრევლიშვილმა 1933 წელს შექმნა ესკიზი „დასვენების დღე", რომლითაც მონაწილეობა მიიღო გამოფენაში „პირველი ხუთწლედი მხატვრობაში". ეს იყო ა. მრევლიშვილის უკანასკნელი ნაწარმოები (მხატვარი იმავე წელს გარდაიცვალა).

1934 წლის დასაწყისში აღნიშნულ იქნა მხცოვანი მხატვრის გ. გაბაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი. მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მისი ნაწარმოებების საიუბილეო გამოფენა.

გ. გაბაშვილის სახელოსნოში 1934 — 1936 წლებში მრავალი ახალი ნაწარმოები იბადება: „შემზარავი სიწყნარე", „საძოვარზე", „მზადება ბრძოლისათვის ხევსურეთში" და სხვ. ამავე დროს მხატვარი მუშაობას იწყებს საკავშირო გამოფენის „სოციალიზმის ინდუსტრიის" საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაკვეთილ სურათზე საბჭოთა აპარის ცხოვრებიდან, რომელსაც „მოსავლის დღესასწაული" უწოდა. მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა — 1936 წლის 30 ოქტომბერს გ. გაბაშვილი უეცრად გარდაიცვალა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან უფრო მრავალფეროვანი ხდება მოსე თოიძის შემოქმედებითი მოღვაწეობაც. მის ნაწარმოებთა შორის უპირატესად ყურადღებას იქცევს რამდენიმე ე. წ. „თემატიკური" (ისტორიულ-რევოლუციური) სურათი, სტახანოველ კიკნაძის პორტრეტი (1935 წ.), „ბედნიერი ცხოვრება" (1936 წ.) და სხვ. საერთოდ მ. თოიძის შემოქმედების უძლიერეს მხარედ როგორც ამ პერიოდში, ისე შემდეგაც, რჩება თემატიკურ-იდეური აქტუალობა. შეიძლება ითქვას, რომ მ. თოიძემ ძველი თაობის მხატვრებიდან ყველაზე თვალსაჩინოდ გამოავლინა ახლის გრძნობა, საბჭოთა იდეებისა და თემატიკის დამკვიდრებისათვის აქტიური ბრძოლის სახით.

განსაკუთრებულ შემოქმედებით აღმავლობას განიცდის ი. ნიკოლაძე როგორც თემატიკის მრავალფეროვნებისა და იდეურობის, ისე მხატვრული ოსტატობის მხრივ. ამ პერიოდის მთელი ქართული სახეითი ხელოვნების ყველაზე მაღალმხატვრულ მონაპოვარს სწორედ მისი შემოქმედება წარმოადგენს. პირველად უფრო მკვეთრად 1936—1937 წლებში შექმნილი შ. რუსთაველის პორტრეტებში გამოიხატა მოქანდაკის ეს დიდი შემოქმედებითი წარმატება. უპირატესად ეს ითქმის გენიალური

---

[1] „ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ", თბ., 1957, გვ. 609.

მგოსნის პორტრეტი — ბარელიეფის ეგრეთ წოდებული ოვალური ვარიანტის შესახებ, რომელსაც ფართო გავრცელება ხვდა წილად. ასეთივე დიდი მხატვრულ-სახეობრივი ღირსებებით ხასიათდება ი. ჭავჭავაძის პორტრეტი (ბარელიეფი), რომელიც წიწამურის ობელისკს ამშვენებს.

ი. ნიკოლაძის მიერ 1932 — 1940 წლებში შექმნილი არაერთი სხვა ნაწარმოებიც იქცევს ყურადღებას. ასეთია მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ბარელიეფები (1934 — 1936 წწ.), მ. გორკის ძეგლის ესკიზი (1938 წ.), გ. ტაბიძის პორტრეტი (ეტიუდი, 1939 წ.), შ. დადიანის პორტრეტი (ეტიუდი, 1941 წ.) და სხვ. ყველაზე სრულად კი ამ წლებში ი. ნიკოლაძის ტალანტი და ოსტატობა გამოვლინდა „დიად ჭაბუკში" (1939 წ.). ეს იყო არა მარტო თვით მოქანდაკის შემოქმედებითი ევოლუციის, არამედ საერთოდ მთელი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების ამ პერიოდის უძლიერესი ქმნილება. მასში ბრწყინვალე ოსტატობითა და შთამაგონებელი მხატვრული სიმართლით არის განსახოვნებული ჭაბუკი რევოლუციონერის მტკიცე ნებისყოფა, განსაკუთრებული ინტელექტუალური სულიერი სამყარო, სიბრძნე და ადამიანური ინდივიდუალობა.

1933 წლიდან თითქმის ყოველწლიურად იმართებოდა თბილისში სამხატვრო გამოფენები, რომლებიც თანდათან უფრო მრავალფეროვანი თემატიკით და პროფესიული ოსტატობით ხასიათდებოდნენ. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ არსებითად 1933 — 1940 წლებში ხდება თბილისის სამხატვრო აკადემიაში პირველი ათი წლის განმავლობაში აღზრდილთა შემოქმედებითი დავაჟკაცება და ფორმირება, ხოლო ზოგი მათგანი სრულიად დამსახურებულად იხვეჭს მაღალნიჭიერი რეალისტი ოსტატის სახელს. ამავე პერიოდში შემოქმედების ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

1933 წელს მხატვართა კავშირმა მოაწყო გამოფენა „პირველი ხუთწლედი სახვით ხელოვნებაში", რომლის ძირითად თემატიკურ მოტივს შეადგენდა საბჭოთა ხალხის შრომა და ბრძოლა.

ერთი წლის შემდეგ — 1934 წლის მაისში — გაიხსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. არსებითად ამ გამოფენაზე აისახა ქართველი მხატვრების პირველი შემოქმედებითი წინსვლა, მოპოვებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე. აქ ექსპონირებულ ახალ ნაწარმოებთა თვალსაჩინო ნაწილი ყურადღებას იპყრობდა წარმოსახვის მეტი სიღრმით და მხატვრული ოსტატობის უფრო მაღალი დონით, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო წინა წლების გამოფენებზე წარმოდგენილი ქმნილებებისათვის.

მომდევნო წლებში ქართული სახვითი ხელოვნება არაერთი ჭეშმარიტი ოსტატობით შესრულებული და ღრმად იდეური ნაწარმოებით მდიდრდება. ქართველი ოსტატები არა მარტო ამდიდრებდნენ თავიანთ შემოქმედებით ძიებას მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნების მიღწევების გათვალისწინებით, არამედ მათ თვითონაც შეჰქონდათ თავიანთი წვლილი საბჭოთა ხალხების ხელოვნების ოქროს ფონდში, აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ხელოვნების აღმავლობასა და წინსვლაში.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომამდელ წლებში ერთნაირად ვითარდებოდა ქართული სახვითი ხელოვნების ყველა დარგი ან ამა თუ იმ დარგის ყველა ჟანრი. მართალია, მხატვრობა გაცილებით უფრო მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, მაგრამ საერთო მხატვრული სიძლიერით მაინც ქანდაკება იდგა წინა პლანზე, ხოლო ამ უკანასკნელის ჟანრებს შორის — პორტრეტი, რომლის განსაკუთრებული წარმატებანი ძირითადად ი. ნიკოლაძის სახელთან იყო დაკავშირებული. შემდეგ კი მოდიოდა ფერწერა და გრაფიკა. ამასთან ფერწერაში უპირატესი გამოხატულება პოვა ე. წ. თემატიკურმა სურათმა. უკანასკნელის თემატიკა, შემოფარგლული უმთავრესად საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიით, ქანდაკებაშიც განსაკუთრებული სიმკვეთრით აისახა.

1936 წელს თბილისში გაიხსნა ამ ხასიათის ნაწარმოებთა საგანგებო გამოფენა, რომელიც შემდეგ გადაიტანეს მოსკოვსა და ლენინგრადში. მან დიდი გამოხმაურება პოვა მთელ საბჭოთა კავშირში.

აღნიშნული თემატიკა პირველად 20-იანი წლების მეორე ნახევარში გამოვლინდა ქართულ ფერწერაში, ხოლო ფართო მასშტაბით 1934 — 1936 წლებში დამკვიდრდა. მ. თოიძემ, ა. ქუთათელაძემ, უ. ჯაფარიძემ, ს. ნადარეიშვილმა, კ. სანაძემ, კ. გრძელიშვილმა და სხვა მხატვრებმა ამ ხასიათის რამდენიმე უდავოდ საყურადღებო ნაწარმოებები შექმნეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უჩა ჯაფარიძის მრავალფიგურიანი კომპოზიცია „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით" (აღინიშნა სახელმწიფო პრემიით).

უ. ჯაფარიძე 20-იანი წლების ბოლოს გამოდის შემოქმედების ასპარეზზე. მისი პირველი ნაწარმოებები გარკვეული მიბაძვით, სტილიზებითა და პირობითობით ხასიათდებოდნენ. 30-იანი წლების დასაწყისიდან მხატვარი სავსებით თავისუფლდება ამ გატაცებისაგან. კერძოდ, მთლიანად რეალისტური მანერითაა შესრულებული მისი „პირველი თვითმფრინავი რაჭაში" (1935 წ.) და „მოგზაურობა" (1936 წ.). 1937 — 1939 წლებში უ. ჯაფარიძის მოლბერტზე სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად იბადება კიდევ უფრო მაღალი ოსტატობით, ღრმა ემოციური წარმოსახვითა და ფსიქოლოგიური დახასიათებით შესრულებული

ჟანრული ტილოები: „სიყრმის მეგობრები“, „ახალგაზრდა კოლმეურნე“, „ბაზრის კუთხე“, აგრეთვე „პატარა ჯიხვი“ და სხვა.

ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის ფუძემდებელი აპოლონ ქუთათელაძეა. ეს თემატიკა განსაკუთრებით ძლიერად გამოვლინდა მის შემოქმედებით ევოლუციაში 1933 წლიდან. პირველად იგი უფრო მეტად სამოქალაქო ომის ამსახველ კომპოზიციებზე მუშაობდა. მეტ წარმატებას აღწევს მხატვარი უფრო გვიან შექმნილ იმ თემატიკურ ნაწარმოებებში, რომელთა მწვერვალია „ბათუმის მუშების პოლიტიკური დემონსტრაცია 1902 წ.“ (1936 — 1938 წწ.). ეს ტილო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თავისი ტონალობით, კომპოზიციითა და ტიპების წარმოსახვით.

გარკვეულ იდეურ-მხატვრული ღირსებებით ხასიათდება ქართველი მხატვრების მიერ ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე შექმნილი არაერთი სხვა ნაწარმოებებიც.

1933 — 1940 წლებში მნიშვნელოვნად ვითარდება ფერწერის ისეთი ჟანრები, როგორიცაა პორტრეტი, პეიზაჟი და საყოფაცხოვრებო მხატვრობა. ამ მხრივ, უ. ჯაფარიძისა და მ. თოიძის ტილოებთან ერთად, აღსანიშნავია ა. ციმაკურიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, შ. მამალაძის, კ. სანაძის, ს. მაისაშვილის, კ. გრძელიშვილის, თ. აბაკელიას, შ. მაყაშვილის, კ. ხუციშვილის, ა. გიგოლაშვილის, ვ. ჯაფარიძისა და სხვა მხატვართა ნაწარმოებები.

ვ. სიდამონ-ერისთავის ამ ციკლის ტილოებიდან გამოირჩევა „ბაქოს ინდუსტრიალური პეიზაჟი“ (1935 წ.) და „დაძმობილება ფრონტზე“ (1938 წ.). ამასთან ვ. სიდამონ-ერისთავი 1938 — 1939 წლებში მუშაობდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის მთავარ მხატვრად. პავილიონი მან გააფორმა მაღალი მხატვრული გემოვნებითა და დეკორაციული ოსტატობით. აქ მხატვარმა ფართოდ გამოიყენა ის დიდი გამოცდილება, რომელიც მან თეატრალურ-დეკორაციული ფერწერის დარგში ხანგრძლივი და მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად შეიძინა.

მეტად საინტერესო შემოქმედებითი ევოლუციით ხასიათდება ქართული საბჭოთა ფერწერის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი კ. სანაძე. ეს უაღრესად ნიჭიერი კოლორისტი საბოლოოდ ძლევს მისი ადრინდელი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მიმბაძველობას, სქემატურობასა და პირობითობას. მისი „მეთევზეები მთვარიან ღამეში“, „ბახმარო“, თემატიკური ტილოები და რიგი სხვა, უპირატესად პორტრეტული ნაწარმოებები მკვეთრად გამოვლენილი შემოქმედებითი ინდივიდუალობით, უაღრესად შთამბეჭდავი და პოეტურ-ემოციური კოლორიტით ხასიათდებიან.

ქ. მაღალაშვილის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ე. ახვლედიანის ს. რიხტერის, შ. დადიანისა და სხვ. პორტრეტები. ამ ტილოებზე, კოლო-

რიტი უფრო მეტყველია, პლასტიკური და ემოციური, ხოლო კომპოზიცია უფრო ნათელი და ორგანული, ვიდრე ეს მხატვრის აღრინდელ ნაწარმოებებს ახასიათებდა. ამასთან, ხელოვანის ფუნჯი აქ ადამიანის შინაგან სამყაროსაც უფრო მეტი სიღრმით გადმოსცემს.

ი. თოიძის შემოქმედება განსაკუთრებით ნაყოფიერია 30-იანი წლების მეორე ნახევარში. მისი ამ პერიოდის ნამუშევრები ყურადღებას იქცევენ როგორც თემატიკის მრავალფეროვნებით, ღრმა იდეური შინაარსითა და რეალისტური წარმოსახვით, ისე ნახატისა და კომპოზიციის ოსტატობით, მხატვრული სახეების სიცხადითა და ბუნებრივობით. მან ამ პერიოდში რიგ ეგრეთ წოდებულ „თემატიკურ სურათებსა" და ისეთ პატრიოტულ ტილოებთან ერთად, როგორიცაა „სამშობლოსათვის" (1938 წ.) შექმნა პორტრეტების მთელი სერია. უკანასკნელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს „მხატვრის მეუღლის პორტრეტი" (1938 წ.), „ჰამაკში" (1939 წ.) და „მთვარიან ღამეში" (1939 წ.). ამ ნაწარმოებებში, უფრო მეტად ფსიქოლოგიური განწყობის ხაზგასმის მეშვეობით, მკვეთრადაა გამოვლენილი ნატურის ხასიათი და ადამიანური ინდივიდუალობა, მხატვარი ხაზგასმით წარმოსახავს გამომეტყველებას, პოზას, მოძრაობას, ხოლო ყველაფერი ეს ორგანულად არის შერწყმული პორტრეტული ხასიათის რეალისტურ გახსნასთან.

30-იანი წლების მეორე ნახევარში შექმნილ პორტრეტებს შორის აღსანიშნავია ავრეთვე ნიჭიერი მხატვრის დ. გველესიანის „ი. ნიკოლაძე თავის სახელოსნოში".

ცნობილ პეიზაჟისტ ა. ციმაკურიძის ტილოებზე ძირითადად მისი მშობლიური კუთხის — ქვიშხეთისა და ავრეთვე ბორჯომის ხეობის ბუნება პოულობს გარდასახვას. ხელოვანი ძარღვიანი და ფართო მონასმებით ქმნის ნაირმეტყველი ფერწერითი წარმოსახვის მომცველ რეალისტურ პეიზაჟურ სახეებს: „აგარაკზე" (1934 წ.); „ბორჯომის ხეობა" (1936 წ.), „ქვიშხეთი" (1938 წ.), „აკ. წერეთლის სახლი" და სხვ.

შ. მამალაძე, კინომხატვრობაში წარმატებით მუშაობასთან ერთად, რამდენიმე მეტად საინტერესო ლირიკული ხასიათის პეიზაჟს ქმნის.

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ევოლუცია განიცადა ამ პერიოდში ე. ახვლედიანმა. იგი ახლა სავსებით ჩამოყალიბებულ რეალისტ ოსტატად გვევლინება და არაერთ უაღრესად მიმზიდველ და მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობით აღბეჭდილ შესანიშნავ ტილოს ქმნის. აღსანიშნავია ამ მხრივ „ჩელიუსკინელთა მოედნის ხედი" (1936 წ.), „აგარაკი აბასთუმანში" (1937 წ.), „ქართული ნატურმორტი" (1938 წ.) და სხვ.

სავსებით ჩამოყალიბებულ პროფესიულ ოსტატობას აღლენენ თავიანთ მრავალმხრივ საინტერესო ტილოებზე ვ. ჯაფარიძე, შ. მაყაშვილი, კ. გრძელიშვილი და ლ. ლემინჯავა. საყურადღებო ნაწარმოებებს ქმნიან

აგრეთვე ი. მამალაძე, კ. ხუციშვილი, ვ. შერპილოვი, გ. ჯაში, მ. თარიშვილი, გ. გულისაშვილი, ნ. როინიშვილი, ა. მაყაშვილი და სხვა იმ თაობის ახალგაზრდა მხატვრები, რომლებიც 1931 წლის შემდეგ გამოვიდნენ შემოქმედების ასპარეზზე.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ლ. გუდიაშვილისა და დ. კაკაბაძის შემოქმედებით ევოლუციაზე 1933 — 1941 წლებში.

დ. კაკაბაძის შემოქმედებითი გზა, საბჭოთა ფერწერის განვითარების აღნიშნულ პერიოდში, არსებით გარდატეხას განიცდის: მხატვარი შედარებით ადვილად ძლევს დეკადენტური ხელოვნების გავლენას და მთელი თავისი არსებით ცდილობს თავისი ფუნჯის ბედი დაუკავშიროს საბჭოთა ხელოვნების გენერალურ გზას. მხატვრის ეს გულწრფელი სწრაფვა უაღრესად მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. პირველი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებიც ნათლად გამოხატავენ ამ პროცესს, შექმნილია 1933 წელს „რიონჰესის“ თემაზე (აკვარელი). ერთი წლის შემდეგ კი დ. კაკაბაძე წერს იმერეთის პეიზაჟის ამსახველ სამ შესანიშნავ ტილოს, რომლებშიც სავსებით ყალიბდება მხატვრის რეალისტური შემოქმედებითი კრედო. ამ ტილოებზე ახალი ელფერითა და დიდი ოსტატობით გაცოცხლდა ის თავისებური მოტივები, რომლებიც დამახასიათებელი იყო დ. კაკაბაძის შემოქმედებისათვის პარიზის პერიოდამდე.

1939 წელს მხატვარი მოგზაურობს სვანეთში. აქ იქმნება სვანეთის შესანიშნავი ბუნებისა და ისტორიული ძეგლების ამსახველ ნაწარმოებთა მთელი სერია (აკვარელი, გუაში), რომლის ერთი ნაწილი, არა მარტო სავსებით რეალისტურია, არამედ დიდი ოსტატობითაც ხასიათდება.

ყველა ეს შესანიშნავი ღირსების მქონე პეიზაჟი იმის ცხადყოფაა, რომ მხატვარი ახლა თავის ნაწარმოებებს ქმნიდა, როგორც საბჭოთა ხელოვნების სასიცოცხლო ინტერესებით გამსჭვალული შემოქმედი.

უფრო რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესთან გვაქვს საქმე ლ. გუდიაშვილის შემოქმედებით ევოლუციაში. თემატიკისა და იდეური სწრაფვის მხრივ ეს დიდი მხატვარიც სავსებით იმსჭვალება საბჭოთა ხელოვნების ამოცანების სულისკვეთებით. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში შექმნილი ნაწარმოებები („დაუთრგუნავი ჩინეთი“, „კულაკი კოლმეურნეობის კანტორის წინ“ და სხვ.). მაგრამ საკუთრივ შემოქმედებითი კონცეფციის (სტილის) მხრივ ლ. გუდიაშვილმა ვერ შეძლო არსებითი გარდაქმნა, თუმცა რიგ მის ნაწარმოებში მაინც თვალსაჩინოდ იგრძნობა რეალისტური ელფერი (გაცილებით უფრო მეტი სიახლოვე სინამდვილესა და მხატვრულ სიმართლესთან, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო მისივე ადრინდელი ქმნილებებისათვის). უმთავრესად ეს ითქმის ისეთი ნაწარმოებების შესახებ, როგორიცაა „ფეროს

ბაქანი შორაპანში“ (1934 წ.), „ყაზბეგის ანდეზიტი“, „ახალი მცხეთა“, „ლოჟაში“, „სულო ბოროტო“, „ბარათაშვილის პორტრეტი“ და სხვ.

ომამდელ წლებში განსაკუთრებით განვითარდა ქართული გრაფიკაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს ახალი ქართული ხელოვნებისაგან არ მიუღია ისეთი დიდმნიშვნელოვანი ტრადიციები, როგორიც მიიღო საბჭოთა ფერწერამ და ქანდაკებამ. ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი, თ. აბაკელია, დ. ქუთათელაძე, ლ. გრიგოლია, ვ. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე, ი. თოიძე, ს. კეცხოველი და რიგი სხვა მხატვრებისა, არაერთი ღირსშესანიშნავი ქმნილებით ამდიდრებენ ჩვენს გრაფიკულ ხელოვნებას (წიგნის გაფორმება, ილუსტრაცია და დაზგური გრაფიკა, ქართული მხატვრული შრიფტის შექმნის შესანიშნავი ცდები). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი მუშაობა, რომელიც ქართველმა გრაფიკოსებმა გასწიეს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემებზე. პოემის აკადემიური გამოცემა შესანიშნავად გააფორმეს ვ. გრიგოლიამ და ვ. ქუთათელაძემ, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ილუსტრაციები და გენიალური პოეტის გრაფიკული პორტრეტები შექმნეს ი. თოიძემ, ლ. გუდიაშვილმა, თ. აბაკელიამ და ს. ქობულაძემ.

დიდმნიშვნელოვანი წარმატებებით ხასიათდება ქართული ქანდაკება. ნ. კანდელაკის შემოქმედებითმა ინდივიდუალობამ და პროფესიულმა ოსტატობამ მკვეთრი გამოხატულება პოვა ნ. ქუმსიაშვილის, ლ. გუდიაშვილისა და სხვა პორტრეტებში. სავსებით ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ნ. წერეთლის ოსტატობა და ინდივიდუალური მანერა. ეს უაღრესად საინტერესო და ნიჭიერი მოქანდაკე საკმაოდ მრავალრიცხოვან პორტრეტებს ქმნის, რომელთა შორის ყველაზე მეტად ს. ინაშვილის პორტრეტი იქცევს ყურადღებას.

ნათელი მხატვრული წარმოსახვითა და იდეური გააზრებით ხასიათდება რუბენ თავაძის ნამუშევრები, განსაკუთრებით ზ. ფალიაშვილის მონუმენტური ფიგურა, რომელმაც პირველი პრემია დაიმსახურა კომპოზიტორის ძეგლზე გამოცხადებულ კონკურსზე.

მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ კ. მერაბიშვილი და ს. კაკაბაძე. პირველი რამდენიმე პორტრეტთან ერთად, რომელთა შორის პირველ რიგში გ. დიმიტროვის პორტრეტი უნდა აღინიშნოს, ქმნის შ. რუსთაველის ძეგლის ესკიზს, რომელმაც პირველი პრემია დაიმსახურა 1937 წელს გენიალური პოეტის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში. იგი დაიდგა შ. რუსთაველის სახელობის მოედანზე (აღინიშნა სახელმწიფო პრემიით). ს. კაკაბაძე უმთავრესად თემატიკურ სახეებზე მუშაობს. აღსანიშნავია მისივე კომპოზიცია „შეძლებული კოლმეურნე“, ი. ბერიტაშვილისა და ს. ჯანაშიას პორტრეტები და სხვა ნაწარმოებები.

თამარ აბაკელია, რომელიც ადრე უპირატესად ფერწერასა და გრაფიკაში მუშაობდა, ქანდაკებაშიც დიდმნიშვნელოვან წარმატებას აღწევს: ქმნის უაღრესად პლასტიკურ მონუმენტურ კომპოზიციას, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრიზს ამშვენებს.

ვ. თოფურიძემ ძირითადად ლ. კეცხოველისა და შ. რუსთაველის პორტრეტებში გამოავლინა თავისი ნიჭი და პროფესიული ოსტატობა. ამავე პერიოდში მან შექმნა სკულპტურული კომპოზიცია „კოლმეურნის ბედნიერი ოჯახი". კეცხოველის პორტრეტი დაიდგა კომუნარების ბაღში, ხოლო „კოლმეურნის ბედნიერი ოჯახი" საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის წინ. აღსანიშნავია აგრეთვე ამავე მოქანდაკის ლენინის ძეგლის ესკიზი (1938 წ.), რომელიც მიღებული იყო საკავშირო კონკურსის ჟიურის მიერ.

შ. მიქატაძე, რომელიც 40-იანი წლებიდან ცნობილი ხდება როგორც შესანიშნავი მონუმენტალისტი, ძირითადად ყურადღებას იქცევს თავისი ვაჟის პორტრეტით (1939 წ.), რომელიც ოსტატობითა და ღრმა ლირიკული სახეობრივი წარმოსახვით არის შესრულებული.

საგანგებოდ აღნიშვნას იმსახურებს აგრეთვე ახალგაზრდა მოქანდაკის გიორგი ცომაიას შ. რუსთაველის პორტრეტი (1937 წ.), ელენე მაჩაბლის, ვილელან მიზანდარისა და სხვა ახალგაზრდა მოქანდაკეთა ცალკეული ნამუშევრები. ამრიგად, თუ 1921 — 1932 წლებში ჩვენი ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი იყო ახალი, საბჭოთა თემატიკისა და რევოლუციური იდეების თანდათან დამკვიდრება, სხვადასხვა შემოქმედებით პრინციპთა გამოვლინება და მათთან ბრძოლა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ ხდება შემოქმედებითი ძალების გაერთიანება, არარეალისტური ტენდენციების დაძლევა და ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების ფართოდ განვითარება სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე.

1932 — 1940 წლები იყო უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული ხანა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიისა, რომელიც გამოიყოფა არა მარტო თვისებრივად ახალი თემატიკურ-იდეური და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით, არამედ იმითაც, რომ ამ პერიოდში მოხდა მრავალრიცხოვან ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითი ფორმირება და დავაჟკაცება, სახვითი ხელოვნების ყველა დარგის მხატვრული დონის თვალსაჩინოდ ამაღლება. არსებითად სწორედ ამ პერიოდში იქცა ქართული მხატვრული კულტურის ეს დარგი სოციალისტური კულტურის აღმავლობის ერთ-ერთ გამოხატულებად და ახალი საზოგადოების მშენებელი ხალხის სულიერი ცხოვრების ორგანულ ნაწილად.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების პირველი ნაბიჯები მეტად გაუბედავი, ზოგჯერ მცდარიც იყო. კაპიტალისტური საზოგადოებისაგან მემკვიდრეობად მიღებულ არქიტექტურულ ნაგებობათა დიდ ნაწილს ფორმალიზმი, ეკლექტიკა ახასიათებდა, ხოლო ძველი ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და ახალი საბჭოთა არქიტექტურის ნაგებობათა შორის მემკვიდრეობითი კავშირი ჯერ კიდევ არ იყო მოძებნილი. ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა არქიტექტურის ახალი თვისების წარმოშობასა და განვითარებაზე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ქართული არქიტექტურის ჩამოყალიბება და განვითარება. ამ დროიდან ქართულმა საბჭოთა ხუროთმოძღვრებამ ერთიანი სახალხო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დიდი სამუშაოები გაჩაღდა რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისისა და სხვა ქალაქების კეთილმოწყობისა და არქიტექტურული რეკონსტრუქციისათვის.

1923 წელს თბილისში აშენდა პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი ლენინის რაიონში, გაჩაღდა მშენებლობა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ რაიონებში — საბურთალოზე და განსაკუთრებით ვაკეში, სადაც ისახებოდა მთავარი მაგისტრალის — უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულება. რეკონსტრუქცია განიცადეს ცენტრალურმა რაიონებმაც.

1926 — 1932 წლებში აშენდა საცხოვრებელი სახლები ზაჰესის მუშათა დასახლებაში, ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები ორჯონიკიძის სახელობის რაიონში („ფიქრის გორა") სტამბის მუშებისათვის, საქალაქო ტრანსპორტის მუშებისათვის (ტრამვაელებისათვის), რკინიგზელებისათვის სადგურის ქუჩაზე და ლენინის რაიონში, მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის დიდუბეში, დამკვრელთა და სპეციალისტთა სახლები საბურთალოზე და ა. შ.

ოციან წლებში დიდი ყურადღება ეთმობოდა მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს. ამიტომ მასობრივი საცხოვრებელი შენობების არქიტექტურაში სჭარბობდა გაუბრალოებული ფორმებისა და ხერხების ერთგვაროვნება.

თბილისისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა ქალაქების საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის განვითარებაზე დადებითი გავლენა იქონია მოსკოვის მუშათა საბინაო მასივების აგების გამოცდილებამ.

მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა (უმთავრესად ბინების არახელსაყრელი დაგეგმვა, ძირითადად მარტო უტილიტარული ამოცანის გადაწყვეტა და ა. შ.), მთლიანად საქართველოში 1926 — 1928 წლების

·საბინაო მშენებლობა წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს. მუშათა დაბების ერთიანი დაგეგმვა, რომელიც მშრომელთა ყოფა-ცხოვრების ორგანიზებას ახდენდა, ითვალისწინებდა რეგულარულ განაშენიანებას შიდაკვარტალური კეთილმოწყობის ელემენტებით.

დიდი სამუშაოები გაჩაღდა სამრეწველო და საზოგადოებრივ ნაგებობათა ასაშენებლად. 1926 წელს დაიწყო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მშენებლობა, ზოოლოგიური პარკისათვის მოედნის ათვისება. 1928 — 1930 წლებში შენდება პურის პირველი ქარხანა, რეკონსტრუქციას განიცდის საქართველოს მუზეუმის შენობა, იგება ვეტერინარიის ინსტიტუტის, ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს (ახლა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის) შენობა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ახალი კორპუსი, საქართველოს სახკინმრეწვის, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისა და გამომცემლობისა და მრავალი სხვა შენობა.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა. დიდი შემოქმედებითი ამოცანების გადაუწყვეტლად შეუძლებელი იყო შექმნილიყო არქიტექტურა, რომელიც დააკმაყოფილებდა ახალი ადამიანის — სოციალისტური საზოგადოების მშენებლის მზარდ მოთხოვნილებებს, გაალამაზებდა მის ცხოვრებას.

საბჭოთა არქიტექტურას პირველ ეტაპზე შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა უხდებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეციდივებთან, ხელოვნებასა და არქიტექტურაში ყოველგვარ ფორმალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ჩასახვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა არქიტექტორთა კადრების მომზადებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის სულ იყო ორ ათეულამდე არქიტექტორი, რომლებმაც სპეციალური განათლება ოქტომბრის რევოლუციამდე მიიღეს. არქიტექტორთა ამ მცირე ჯგუფს წილად ხვდა ახალი, სოციალისტური წყობილების პირობებში პირველად მოეკიდა ხელი თბილისის რეკონსტრუქციის, არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის დიდი საქმისათვის.

საბჭოთა ეპოქის შესაფერისი არქიტექტურული ნაგებობის შექმნა მოითხოვდა ხალხური მონუმენტური ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობის ღრმად შესწავლას, ამ მემკვიდრეობიდან ყოველივე პროგრესულის, ძვირფასის ამორჩევას და პრაქტიკაში შემოქმედებითად გამოყენებას.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ უფროსი თაობის ხუროთმოძღვრები და ახალგაზრდებიც ხშირად მიმართავდნენ ეროვნულ მემკვიდრეობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა ხუ-

როთმოძღვრების ჩამოყალიბებისათვის, არქიტექტურაში რეალისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

პირველი, თუმცა მეტად გაუბედავი, ცდა ახალი ეპოქის არქიტექტურული ნაგებობის შესაქმნელად ეკუთვნით ხუროთმოძღვრებს გ. ტერმიქელოვსა და ა. კალგინს, რომლებმაც დააპროექტეს საქართველოს პავილიონის შენობა 1923 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მოსკოვში. პავილიონის არქიტექტურაში ჯერ კიდევ მეტად არასრულყოფილი ფორმით თავი იჩინა ავტორთა მისწრაფებამ გამოეყენებინათ საქართველოს ხალხური სამშენებლო მხატვრული ტრადიციები, სახელდობრ, XIX საუკუნის ხალხური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული მოტივები.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის (ზაჰესი) კომპლექსი (1923 — 1927 წწ., ავტორები ა. კალგინი, მ. მაჭავარიანი, კ. ლეონტიევი), რომელიც რეალისტური ხუროთმოძღვრების პირველი ნაგებობაა.

ზაჰესის კაშხალთან აღიმართა რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ი. ივანოვი-შადრი, არქიტექტორი — ს. ჩერნიშოვი).

ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში მისი განვითარების პირველ ეტაპზე ახალი გზების ძიების დადებით მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი ფასადის არქიტექტურული რეკონსტრუქცია (1929 წელი, არქიტექტორი ნ. სევეროვი).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის რეკონსტრუქციამ ხელი შეუწყო ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებას, რადგან აქ ახლებურად, შემოქმედებითად იქნა გამოყენებული ეროვნული მემკვიდრეობის პროგრესული ფორმები, ელემენტები და ხერხები.

პირველ ეტაპზე ზოგიერთი არქიტექტორი ვერ გაერკვა საბჭოთა არქიტექტურის შემოქმედებით ამოცანებში და ფორმალიზმის ტყვეობაში მოექცა. მათ მიერ ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენება ხშირად შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, საბჭოთა სინამდვილეში წარსული ეპოქების არქიტექტურული ფორმებისა და სახეების მექანიკური გადმოტანით ვლინდებოდა.

საცხოვრებელი სახლი, რომელიც აგებული იყო თბილისში 1928 — 1929 წლებში ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყართან არქ. ვ. იაკუბოვიჩის მიერ, თავისი არქაული ფორმით, მოუხერხებელი ბინებით, ვიწრო კარ-ფანჯრებით ფეოდალური ეპოქის ციხესიმაგრეს უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე საბჭოთა ადამიანის საცხოვრებელს (ამჟამად ამ ადგილზე აგებულია საქართველოს ფილარმონიის ახალი საკონცერტო

დარბაზი). ორანაკლები არქაიზმითა და ფორმალიზმით გამოირჩევა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობა (1929 — 1930 წწ., არქიტექტორი მ. ბუზ-ოღლი). ამ შენობის არქიტექტურაში ავტორმა მექანიკურად გაიმეორა ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმები და მოტივები, შენობის კედლის სიბრტყეები გადააქცია დეკორაციად, ნაგებობის მიზანშეწონილობა, ფუნქციონალური მხარე დაუმორჩილა არქიტექტურულ ფორმას.

შემოქმედებითი ამოცანების ფორმალისტური გაგების, სტილიზატორობის, ქართული და დასავლეთევროპული არქიტექტურის ძველი ფორმების მექანიკური გადაღების, ეკლექტიკის მაგალითებია თბილისში საცხოვრებელი სახლები კ. მარქსის მოედანზე (1935 წელი. არქ. გ. ხიმშიაშვილი) და პლეხანოვის პროსპექტზე № 147 (1935, არქ. მ. კალაშნიკოვი).

რესპუბლიკის ქალაქების არქიტექტურული რეკონსტრუქციის ამოცანის გადაწყვეტისათვის და ქართული საბჭოთა არქიტექტურის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის კეთილმოწყობის შესახებ საკითხის განხილვას სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე 1932 წლის 1 ოქტომბერს.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარების მეორე ეტაპი (1933 — 1940 წწ.) ხასიათდება შენობათა და ნაგებობათა ხარისხობრივი დონის ამაღლებით, არქიტექტორთა პროფესიული დაოსტატების ზრდით. ეროვნული მემკვიდრეობის ფორმებისა და ხერხების შედარებით ღრმა ათვისებით.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელმძღვანელო მითითებებმა: პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 16 მაისის დადგენილებამ „ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისათვის მუშაობის შესახებ“, ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის გადაწყვეტილებამ „მოსკოვის საქალაქო მეურნეობისა და სსრ კავშირის საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ“, სსრ კავშირის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 10 ივლისის დადგენილებამ „ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“ და ა. შ.

კონსტრუქტივიზმის გავრცელების პერიოდში ადგილობრივ პრესაში („კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „რაბოჩაია პრავდა“ და სხვ.) დაიწყო კამპანია ეგრეთ წოდებული ახალი სოციალისტური ყოფის, სახლი — კომუნების დასანერგავად. არასწორად, გაუბრალოებულად განმარტავდნენ რა პარტიის მითითებას სოციალისტურ საწყისებზე ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის შესახებ, ცალკეული ავტორები პრესაში თავიანთ გამოსვლებში ქადაგებდნენ მცდარ აზრებს, მოითხოვდნენ ყოფა-ცხოვრების დაუყოვნებლივ განსაზოგადოებას, ინდივიდუალური ბინებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შეწყვეტას.

კომუნისტურმა პარტიამ 1931 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებით სასტიკად დაგმო ამ ცრუთეორეტიკოსთა ფანტასტიკური და მეტისმეტად მავნე ლაყბობა, რომელიც ფაქტიურად ყოფა-ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის თვით იდეის დისკრედიტაციას ახდენდა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებებმა, ახალი სამრეწველო კერების შექმნამ განაპირობა ქალაქების სწრაფი ზრდა, დაბებისა და რაიონული ცენტრების გადაქცევა სოციალისტურ ქალაქებად, ახალი სამრეწველო ცენტრების მშენებლობა.

საქართველოს დედაქალაქში — თბილისში — დიდი არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოები გაჩაღდა. წინათ, არქიტექტურული დაგეგმარების კომპლექსური პროექტის უქონლობის დროს, თბილისის გაშენება წარმოებდა სტიქიურად, ხშირად ცუდად და უცოდინრად. საქართველოს კპ თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს გაერთიანებულმა პლენუმმა 1933 წლის სექტემბერში თავის რეზოლუციაში „საქალაქო მეურნეობის შესახებ“ აღნიშნა, რომ აუცილებელია ქალაქის დაგეგმარების პროექტის ერთ-ერთი ვარიანტის დამტკიცების შემდეგ თბილისის საბჭოსთან საგეგმარო-არქიტექტურული ბიუროს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის ცალკეული რაიონებისა და უბნების დეტალური პროექტების შედგენას.

თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომელიც შეადგინა ქალაქების დაგეგმარების ხარკოვის ინსტიტუტმა თბილისის საბჭოს ტექნიკურ განყოფილებასთან ერთად 1933 — 1935 წლებში, საზოგადოებრიობის ფართო განხილვის ობიექტად იქცა. საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირის პირველმა კონფერენციამ 1934 წლის დეკემბერში ინჟინერ-მშენებლებისა და მხატვრების მონაწილეობით დეტალურად განიხილა თბილისის დაგეგმარების პირველი გენერალური გეგმა (ავტორები — არქიტექტორები ი. მალოზიომოვი, ზ. ქურდიანი, ვ. გოგავა).

იმის მიუხედავად, რომ ქალაქის დაგეგმარების პროექტს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა (რეკონსტრუქციის ხანგრძლივი ვადები, რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მისი განხორციელების რეალობას, მოედნებისა და მნიშვნელოვანი მაგისტრალების არქიტექტურის პრიმიტიულ-გაუბრალოებული გადაწყვეტა და ა. შ.), იგი არ კარგავდა თავის მნიშვნელობას როგორც დოკუმენტი, რომელიც თბილისის არსებობის ისტორიაში პირველად ითვალისწინებდა საბჭოთა ქალაქთდაგეგმარების მეცნიერულ ბაზაზე მის გეგმაზომიერ განვითარებას. თბილისში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, პირველად ისტორიაში მოიხსნა დასახლების კლასობრივი ხასიათი, დაიგეგმა სოციალისტური ტიპის კვარტალები და რაიონები. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რე-

კონსტრუქციის წარმატებათა შედეგად შეიცვალა ჩვენი ქალაქების სახე.

მეორე და მესამე ხუთწლედების პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ გადაუდებელ ამოცანად დასახა მასობრივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ასრულებდნენ რა პარტიის მითითებას, საქართველოს არქიტექტორებმა გააჩაღეს ბრძოლა საცხოვრებელი ბინების მწვავე ნაკლებობის დასაძლევად, მცირესართულიან საცხოვრებელ სახლებთან ერთად შენდებოდა მრავალსართულიანი შენობები. ამ პერიოდში მიმდინარეობდა რესპუბლიკის ქალაქების ინტენსიური არქიტექტურული რეკონსტრუქცია და განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მათი შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

ომამდელ წლებში დიდი სამუშაოები შესრულდა საქართველოს მთელი რიგი ქალაქების რეკონსტრუქციისათვის, კურორტების მშენებლობისათვის, ფართოდ გაჩაღდა მშენებლობა სოფლად. ამ პერიოდში შედგა ქალაქების: სოხუმის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, შ. თულაშვილის მონაწილეობით), ბათუმის (არქ. ლ. სუმბაძე, ბ. ლორთქიფანიძე), ფოთის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი, ვ. კედიას მონაწილეობით), ცხინვალის (არქ. ლ. ვართანოვი), ქუთაისის (არქ. ა. ნიკოლაიშვილი), კურორტების: წყალტუბოს (არქ. ნ. სევეროვი, ი. მამრაძე), ბორჯომის (არქ. გ. ტერ-მიქელოვი) და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმარების პროექტები.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ქალაქების: ტყიბულის, ჭიათურის, გორისა და სხვა ინდუსტრიული ცენტრების კეთილმოწყობას. სოხუმში აშენდა ადმინისტრაციული სახლის პირველი კორპუსი (1939 წ., არქ. ვ. შჩუკო), ბათუმში — სასტუმრო (1939 წ., არქ. ა. შჩუსევი), ცხინვალში — ადმინისტრაციული შენობა (1937 წ., არქ. მ. შავიშვილი), ქუთაისში — სასტუმრო (1935 წ., არქ. მ. ჩხიკვაძე), გორში — პედაგოგიური ინსტიტუტი (1937 წ., არქ. მ. ნეპრინცევი, ნ. ფარემუზოვა) და თეატრი (1935 წ., არქ. შ. თავაძე, მ. ჩხიკვაძე) და ა. შ.

1935 — 1938 წლებში რესპუბლიკის რაიონებში ტიპიური პროექტებით აიგო 500-ზე მეტი სასკოლო შენობა. დაიწყო ზაჰესის მეორე რიგის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის, მთავრობის სახლის, ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობის, პირველი რიგის სანაპიროს, როგორც კეთილმოწყობილი სატრანზიტო მაგისტრალის, ჩელიუსკინელთა ხიდის მშენებლობა. ფართოდ გაჩაღდა სამუშაოები კალინინის აღმართის რეკონსტრუქციისათვის და ა. შ. ეს აღმართი (ამჟამად ნ. ბარათაშვილის სახელობის აღმართი) გაფართოვდა 8-დან 24 მეტრამდე, რითაც შედარებით ნორმალური პირობები შეიქმნა 26 კომისრის სახელობის სამრეწველო რაიონის (ყოფ. ავლაბრის) ქალაქის ცენტრთან დასაკავშირებლად. მარჯვენა სანაპიროს აგების შედეგად კ. მარქსის სახელობის ხიდის რაიონში ამოშრობილ იქნა მდინარე მტკვრის მარ-

ჯვენა ტოტი, რომელიც წინათ ნაგვის საყრელ ადგილს, ანტისანიტარიისა და მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. ზოოპარკის რაიონში ბორცვების ჯაჭვის გაკვეთამ, ჩელიუსკინელთა ხიდის მშენებლობამ, აგრეთვე ლენინის ქუჩის ახალი უბნის გაყვანამ ხელი შეუწყო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას — ვაკისა და საბურთალოს რაიონების ქალაქის მარცხენა ნაპირის ნაწილთან და სადგურთან შეერთებას. შეიქმნა საბჭოთა კავშირის გმირთა ახალი მოედანი, რეკონსტრუქცია განიცადეს ვ. ი. ლენინის, კ. მარქსის მოედნებმა, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებმა. ამ მაგისტრალებიდან აღებულ იქნა ტრამვაის ხაზი. რუსთაველის პროსპექტი დამშვენდა ახალი მონუმენტური ნაგებობით.

ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის სახლის პირველი კორპუსი, რომელიც აიგო 1933 — 1938 წლებში პროფ. ვ. კოკორინის პროექტით, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა, რომლის პროექტის ავტორი იყო გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვარი აკადემიკოსი ა. შჩუსევი.

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენდა „დინამოს“ სტადიონის ნაგებობა, რომელიც განხორციელდა 1934 — 1938 წლებში არქ. ა. ქურდიანის პროექტით.

საქართველოს ზოგიერთი არქიტექტორი 1935 — 1940 წლებში თავის შემოქმედებაში უპირატესობას ანიჭებდა მსოფლიო კლასიკას და საცხოვრებელ, საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურის გადაწყვეტისას იყენებდა მხოლოდ კლასიკის პრინციპებს, ხერხებსა და ფორმებს. ამგვარად აგებულ შენობათა რიცხვს მიეკუთვნებიან: წიგნის სასახლე (1939 წ., არქ. ნ. ბარათაშვილი და გ. მიქაელიანი), საცხოვრებელი სახლი რუსთაველის პროსპექტზე (1939 წ., არქ. ს. ყუბანეიშვილი, ა. ქურდიანი და გ. მელია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიის კორპუსი (1940 წ., არქ. მ. შავიშვილი), თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობა (1940 წ., არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი და ვ. ურუშაძე) და სხვ.

ამ ნაგებობებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა ცალმხრივი მიდგომა კლასიკური არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოყენებისადმი, ეროვნული მემკვიდრეობის შეუფასებლობა ან უგულებელყოფა, ადგილობრივ გეოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა თავისებურებათა, აგრეთვე საინჟინრო-სამშენებლო საქმის მიღწევათა არასაკმაო გათვალისწინება.

თითქმის ამავე პერიოდში საქართველოს არქიტექტურულ პრაქტიკაში ჩნდება მაგალითები, როცა არქიტექტორები ცდილობენ კლასიკა შეუხამონ ქართული ხუროთმოძღვრების ხერხებსა და მოტივებს. ასე შენდებოდა, სახელდობრ, დიდი საცხოვრებელი კომბინატი, ეგრეთ წო-

დებული „ასბინიანი სახლი“ საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე (1938 წ., არქ. მ. კალაშნიკოვი, არქ. ნ. სევეროვის მონაწილეობით), საცხოვრებელი სახლი ბარათაშვილის ქუჩაზე (1941 წ., ს. დემჩინელი, გ. ჯანდიერი და ა. ქურდიანი), რომლებშიც მოცემულია თანამედროვე საცხოვრებელი სახლის საინტერესო ინტერპრეტაცია ძველი თბილისის ღია აივნების ხერხის გამოყენებით, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა (1939 წ., არქ. ნ. სევეროვი), თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობა (1937 წ., არქ. ი. ჟიტკოვსკი, ბ. კარბინი, მ. კალაშნიკოვი), ფუნიკულიორის ზედა სადგური მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში (1938 წ., არქ. ზ. და ნ. ქურდიანები) და სხვ.

საბჭოთა არქიტექტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1939 წელს მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობას. საქართველოს სსრ პავილიონი (1939 წ., არქ. ა. ქურდიანი, გ. ლეჟავას მონაწილეობით) იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საგამოფენო ნაგებობად ითვლებოდა.

მეორე და მესამე ხუთწლედების მანძილზე თბილისმა მკვეთრად იცვალა სახე. ამ პერიოდში ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა არქიტექტორთა შემოქმედებითმა შეჯიბრებებმა, აგრეთვე მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების გამოჩენილ ოსტატთა მონაწილეობით კონკურსების მოწყობამ. ყველა ეს კონკურსი უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სოციალისტური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან.

§ 7. ფიზკულტურა და სპორტი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართოდ განვითარდა ფიზკულტურა და სპორტი — ხალხის საერთო კულტურის შემადგენელი ნაწილი. ფიზიკურმა კულტურამ სახელმწიფო აღიარება პოვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სპორტის ეროვნული სახეების განვითარებას. მრავალმა ათასმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო საშუალება ჩაბმულიყვნენ ფიზკულტურის წრეებში, რომლებმაც აქტიური მუშაობა გააჩაღეს 1923 წლიდან. ფიზკულტურულ მუშაობას დიდ ყურადღებას უთმობდნენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

1923 წელს საქართველოში შეიქმნა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელ საქმიანობას მშრომელთა ფიზიკური აღზრდის დარგში. შემდგომ წლებში ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის ადგილობრივი საბჭოები. 1927 წლიდან ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მეთაურობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლავრენტი ქართველიშვილი.

1923 წლამდე საქართველოში სპორტის ძირითადი საბე იყო ტანვარჯიში, შემდეგ წლებში რესპუბლიკაში ფეხი მოიკიდა ფეხბურთმა, მძლეოსნობამ, ჭიდაობამ, სიმძიმეების აწევამ, კრივმა და სხვ. სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრებები სპორტის ამ სახეობებში, გაუჯობესდა ფიზიკური აღზრდა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განმტკიცებასა და სასწავლო-მეთოდური მუშაობის გარდაქმნას დიდად შეუწყო ხელი პარტიის XV კონფერენციის გადაწყვეტილებამ (1926 წ.).

1927 წლიდან გახშირდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დიდი მასშტაბის ღონისძიებას წარმოადგენდა ფიზიკური კულტურის რესპუბლიკური დღესასწაული 1928 წლის ივნისში, რომელიც წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის სპარტაკიადას. სრულიად საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს რაიონების 650 ფიზკულტურელი. სპარტაკიადამ დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას. ამის შემდეგ თბილისში მოეწყო ამიერკავკასიის სპარტაკიადა. შეიქმნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ჩატარებულ საკავშირო სპარტაკიადაში 1928 წელს.

ამ პერიოდში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზიკური კულტურის წრეების რაოდენობა. გახშირდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, განმტკიცდა საქართველოს სპორტსმენთა კავშირი მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან. ასე მაგალითად, 1929 წლის სექტემბერში თბილისელი ჩოგბურთელები ხარკოვში შეხვდნენ უკრაინელ სპორტსმენებს, მთელი რიგი ასპარეზობები ჰქონდათ ქართველ სპორტსმენებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების სპორტსმენებთან. ქართველი სპორტსმენები ეჯიბრებოდნენ საზღვარგარეთელ სტუმრებსაც. 1929 წელს საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ ფრანგი მუშა-ველოსიპედისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ველოშეჯიბრებაში ქალაქის პირველობაზე. იმავე წელს თბილისის ფეხბურთელთა გუნდმა „მესტრანმა“ მიიღო გერმანელ მუშა ფეხბურთელთა გუნდი. რესპუბლიკაში სახელი გაითქვეს თბილისისა და ბათუმის ფეხბურთელთა გუნდებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ა. ჟორდანია, ა. გონელი, ვ. ამბოკაძე, ნ. ანიკინი, გ. გიორგაძე, ა. პაპკოვი და სხვ. გამოჩენილი სპორტსმენები.

მოსწავლეთა შორის სპორტის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა პიონერთა და მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპარტაკიადამ, რომელიც მოეწყო მოსკოვში 1929

წელს. ამ სპარტაკიადაში საქართველოს კალათბურთელ გოგონათა გუნდმა (ქ. ქუთაისი) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სხვადასხვა შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიოდნენ მძლეოსნები გიორგი შხვაცაბაია, აპოლონ ოჩიგავა; ტანმოვარჯიშენი გიორგი რცხილაძე, ნიკოლოზ მეიფარიანი, ლევან ყანჩაველი; მოჭიდავე მიხეილ თიკანაძე და სხვები.

ქართველი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ პირველ სრულიად საკავშირო სპარტაკიადაზე, რომელიც მიეძღვნა პირველ ხუთწლიან გეგმას.

1930 წლიდან სამრეწველო საწარმოებში ჩამოყალიბდა ფიზკულტურული კოლექტივები. ფიზკულტურული მოძრაობა ვითარდებოდა აგრეთვე სოფლად. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალური მეცადინეობის გარდა მოზარდი თაობის აღზრდა ხორციელდებოდა კლასგარეშე და სასწავლო-სექციური მუშაობის საშუალებით. ხშირად ეწყობოდა სასკოლო სპარტაკიადები, ფიზკულტურული დღესასწაულები და შეჯიბრებები.

საქართველოში, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, ფიზკულტურული მუშაობის შინაარსის, ფორმისა და მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ერთიანმა კომპლექსმა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", რომელიც შემოღებულ იქნა 1931 წელს ლენინური კომკავშირის თაოსნობით. ამ კომპლექსს წარმატებით ეუფლებოდა მრავალი ათასი ქართველი ფიზკულტურელი.

რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახეს ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნისა და სასწავლო-სპორტული მუშაობის გასაძლიერებლად. მნიშვნელოვნად გადიდდა საბიუჯეტო ასიგნებანი ფიზკულტურისა და სპორტის გასავითარებლად.

„მშთ" კომპლექსის I საფეხურის შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა 1931 წლის ივლისში მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელშიც ხაზგასმული იყო „მშთ"-ს კომპლექსის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაევალათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება, სპორტულ ნაგებობათა, მშენებლობის დაჩქარება, ფიზკულტურული კადრების მომზადების ხარისხის ამაღლება, „მშთ"-ს კომპლექსის დარგში სახელმწიფო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა.

ფიზკულტურული ორგანიზაციების სასწავლო-სპორტული მუშაობის გარდაქმნამ „მშთ" კომპლექსის საფუძველზე კარგი შედეგები გამოიღო

როგორც სპორტის მასობრივობის ზრდის, ისე სპორტულ-ტექნიკურ მიღწევათა ამაღლების დარგში.

1931 წელს თბილისში გაიხსნა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1933 წელს — ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი საშუალო კვალიფიკაციის მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მოსამზადებლად, ხოლო 1955 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი, რომლის ბაზაზე შემდგომში დაარსდა თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი.

მოეწყო ფიზკულტურის დარგში ექიმთა მოსამზადებელი კურსები, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დაარსდა ფიზკულტურის კათედრა.

საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებებმა განაპირობეს სოფლის ახალგაზრდობის ჩაბმა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. შეიქმნა ფიზიკური კულტურის ახალი კოლექტივები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხშირად ეწყობოდა ფიზკულტურის დღესასწაულები, ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, კროსები და სხვ. სოფლად ფიზკულტურული მუშაობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ქალაქების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეფობას უწევდნენ სოფლის კოლექტივებს. სოფლად აშენდა სტადიონები, მოედნები, საჭიდაო დარბაზები და სხვა ფიზკულტურული ნაგებობანი.

სპორტის კლასიკურ სახეობებთან ერთად ფართოდ განვითარდა ეროვნული ხალხური სახეობები — ქართული ჭიდაობა, ლელო, მარული, თარჩია, დოღი, ყაბახი, ისინდი და სხვ.

1935 წელს საქართველოში დაარსდა მთელი რიგი ახალი სპორტული სკოლები. სულ მალე სკოლათა რაოდენობამ 67-ს მიაღწია, ხოლო მოსწავლეთა რიცხვმა — 2 878-ს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 1200 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 60000 კაცი. გარდა ამისა არსებობდა 146 ბავშვთა ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც 12294 მოსწავლე მეცადინეობდა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სპორტსმენების ტექნიკურ მიღწევათა დონე. მარტო 1935 წელს დამყარებულ იქნა 21 საკავშირო რეკორდი. გარდა ამისა, საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივებმა მოიპოვეს ამიერკავკასიის პირველობა თხილამურებში, კალათბურთში, ჩოგბურთში, ველოსპორტში, სროლაში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში.

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ გან-

ვითარებას დიდად შეუწყო ხელი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ჩამოყალიბებამ (1936 წ.).

გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა რიცხვი. გაიხსნა „დინამოს“ სტადიონი თბილისში, წყლის სადგური მცხეთაში, ჩოგბურთის კორტები თბილისში და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოდ ითვლება. მარტო 1936 წლამდე საქართველოს ალპინისტებმა იერიშით აიღეს კავკასიონისა და პამირის ასზე მეტი მწვერვალი. მრავალი ასვლების პროცესში რესპუბლიკაში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ალპინიზმის გამოჩენილი ოსტატები — გიორგი ნიკოლაძე (საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი), სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ივანე მარი და სხვ.

რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს კომკავშირს. კომკავშირი მტკიცედ იბრძოდა საბჭოთა ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის, სპორტულ მოძრაობაში ყოველგვარი ბურჟუაზიული და ანტისაბჭოთა გავლენის სრული აღმოფხვრისათვის.

ომამდელ პერიოდში მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რცხილაძე. ა. ჯორჯაძე. ელ. გოკიელი, დ. იოსელიანი. ფართოდ გაითქვეს სახელი ტანმოვარჯიშეებმა გ. ბაბილოძემ, ლ. ყანჩაველმა, ნ. თაყაიშვილმა: მოჭიდავეებმა ა. მეკოკიშვილმა, შ. ჩიხლაძემ, ლ. ძეკონსკიმ, ა. ჭელიძემ, ვ. მაჩკალიანმა, თ. მაყაშვილმა; მძლეოსნებმა ნ. დუმბაძემ, გ. ათანელაშვილმა, ბ. დიაჩკოვმა; მოკრივეებმა ლ. ღუდუშაურმა, გ. ვართანოვმა, ა. ნავასარდოვმა, შ. გორგასლიძემ, ა. ბაქრაძემ; ძალოსნებმა მ. ჟღენტმა, მ. კასიანიკმა, ვ. კალმახელიძემ, პ. გუმაშიანმა; ფეხბურთელებმა ბ. პაიჭაძემ, შ. შავგულიძემ, ა. დოროხოვმა, გ. გაგუამ, მ. ბერძენიშვილმა, გ. ჯეჯელავამ და სხვ.

უფროსებს არც ნორჩი სპორტსმენები ჩამორჩებოდნენ. 1940 წელს საქართველოს მოსწავლეებს 26 საკავშირო რეკორდი და პირველი ადგილი ეკუთვნოდათ. რესპუბლიკაში მუშაობდა 31 სპორტული სკოლა, სადაც 600 სასწავლო ჯგუფი მეცადინეობდა. ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილებამ ბავშვთა შორის ფიზკულტურული მუშაობის დარგში ფართო აღიარება პოვა.

1941 წლის იანვრისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა 2465 ფიზკულტურული კოლექტივი, ფიზკულტურელთა რიცხვი 87000 კაცს აღემატებოდა.

ფიზკულტურა და სპორტი ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

• • •

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადებში აღადგინეს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და მენშევიკური პარტიის ანტიხალხური, კონტრრევოლუციური დიქტატურის შედეგად გაპარტახებული სახალხო მეურნეობა.

საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელეს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია. კულტურული რევოლუციის წარმატებებმა უზრუნველყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნა.

საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში განხორციელდა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმა. გაიმარჯვა სოციალიზმმა.

საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განმტკიცება-განვითარებას, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლას. მაგრამ საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეწყვიტა ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

ს ა ძ ი ებ ე ლ ი

ა. პირთა სახელები

აბაკელია, თ. 888, 922, 928, 931
აბაშელი, ა. 823, 861, 872—875, 881
აბაშიძე, გ. 872—875, 894
აბაშიძე, ვ. 889
აბაშიძე, ი. 852, 861, 872—874, 876, 902, 910, 915
აბაშიძე, ტ. 889
აბზიანიძე, გ. 880
აბოვიანი, ხ. 878
აბრამოვიჩი, რ. 54
აბულაძე, ა, 594
აბულაძე, ი. 843, 844, 858, 879
აბულაძე, იუსტ. 879
აბშილავა, ა. 44. 348, 369
აგალოვა, ე. 894
აგაჯანოვი, მ. 48
ადამია, ა. 872
ადლეიბა, ა. 48
ავაქოვი, ა. 338, 339, 341
აზიანი, ნ. 878
აზმაიფარაშვილი, შ. 907, 912
ათანელიშვილი, ა. 52
ათანელაშვილი, გ. 944
აიზენშტადტი, ლ. 755
აკოპიანი, ა. 114
ალექსიძე, დ. 892
ალექსიძე (მარიჯანი), მ. 878
ალექსი-მესხიშვილი, ნ. 892
ალიხანოვი, ვ. 209
ამაღლობელი, ს. 888
ამაშუკელი, ვ. 894
ამბროსი (ბესარიონ ხელაია), 192
ამბოკაძე, ვ. 941
ამირანაშვილი, შ. 844, 857, 858
ამირანაშვილი, პ. 912
ამირეჯიბი, კ. 284
ამირეჯიბი, შ. 199, 284
ამისულაშვილი, შ. 876
ანდრეევა, მ. 882
ანდრიაშვილი, ა. 913. 915
ანდრონიკაშვილი, კ. 199, 884, 901, 904
ანდრონიკაშვილი, ლ. 203
ანდღულაძე, დ. 912
ანთაძე, დ. 885, 889, 891, 892. 901
ანთელავა, ა. 838
ანიკიანი, ნ. 941
ანისიმოვი, ი. 453
ანტოკოლსკი, პ. 879
ანტონოვი, ზ. 883
ანჯაფარიძე, ვ. 884, 885, 889, 895, 901
არაყიშვილი, დ. 833, 858, 903, 904, 907, 908
არეშიძე, ვ. 894
არსენიძე, შ. 736
არუთინოვი, ბ. 621
არუთინოვა, ვ. 728
ასათიანი, ლ. 861, 870—873, 876, 879
ასათიანი, მ. 838
აფაქიძე, ა. 858
აფინოგენოვი, ა. 890, 892
აფხაიძე, ემ. 884
აფხაიძე, შ. 872
აქირთავა, ნ. 315, 318, 319, 322
აღსაბაძე, შ. 912, 913
ახალაია, ი. 40, 47, 70
ახვლედიანი, გ. 203, 281, 285, 823, 843, 845
ახვლედიანი, ე. 888, 922, 928, 929, 931

ახმეტელი, ა. 884, 885—889, 909
ახობაძე. ე. 48
ახსაბაძე, შ. 892, 893
ახუბა. უ. 687
ახუნდოვი, ბ. 878

ბაზოვი, გ. 864, 856, 878. 888
ბაბილოძე, გ. 944
ბაბილუა, ვლ. 910
ბაბუნაშვილი. ზ. 48
ბაგრატიონი. ბ. 712
ბაგრატიონი. ჯ. 910
ბაკაევი, ი. 326
ბაკურაძე, კ. 736
ბალანჩივაძე, ა. 869, 905, 907, 909, 913. 915, 916
ბალანჩივაძე, მ. 351, 881. 902. 903. 905
ბალაშოვი, მ. 712
ბაქანი, მ. 874, 879, 906
ბარაბაძე, მ. 737
ბარათაშვილი, მ. 873
ბარათაშვილი, ნ. 938
ბარათაშვილი, ნ. 939
ბარამია, ლ. 44
ბარამიძე, ა. 843, 858, 879
ბარბიუსი, ა. 271, 691, 880
ბარგჰორნი, ფ. 54
ბარდაველიძე, ე. 858
ბარნოვი, ვ. 281, 863
ბარტოლდი, ვ. 857
ბაუმბაუერი, ო. 56
ბაუჟაძე, ა. 46
ბაქრაძე, ა. 944
ბაქრაძე, ბ. 51
ბაქრაძე, ვ. 322, 323
ბაქრაძე, თ. 892
ბაქრაძე, კ. 841
ბაქრაძე, ს. 910
ბალაშვილი, ს. 901
ბახტაძე, ვ. 879
ბახტაძე, უ. 47, 69
ბახუტაშვილი-შჩედრინა, ო. 903
ბაჯაძე, ი. 51, 353, 845
ბედია, ე. 243, 830, 848
ბეკნაზაროვი, ა. 896
ბელენკო, ო. 894
ბელიაშვილი, ა. 861, 864, 866, 869, 870, 901
ბელინსკი, ბ. 878
ბენაშვილი, ა. 832. 836
ბერაძე, ს. 845
ბერია, ლ. 622
ბერიაშვილი, ალ. 729
ბერიტაშვილი, ივ. 203, 285, 509, 837, 838, 845, 931
ბერიშვილი, ნ. 743
ბერიშვილი, შ. 898. 901
ბერიძე, ა. 919
ბერიძე, ე. 843
ბერიძე, ლ. 45, 58, 353
ბერიძე, შ. 736
ბერლინიესი, ჯ. 56
ბერძენიშვილი, გ. 878
ბერძენიშვილი, ვ. 903
ბერძენიშვილი, მ. 944
ბერძენიშვილი. ნ. 41, 49, 50. 840. 858
ბეკაია, მ. 836
ბემქენაძე, ქ. 633
ბეუვაია, კ. 750
ბზეკალავა, ა. 330
ბლაგოევი, დ. 668
ბლიახინი, ბ. 895
ბობოხიძე, კ. 872, 873
ბოლქვაძე, ვ. 79, 110, 243
ბოცვაძე, ნ. 831
ბოკორიშვილი, ი. 28
ბრაუნთალი, ი. 53
ბრეგაძე, ა. 838
ბრეგაძე, გ. 47
ბრეჟნევი, ლ. 713
ბრიანი, ა. 190, 318
ბრიეულოვი, კ. 858
ბროიტიგამი, ო. 56
ბუაჩიძე, ბ. 879
ბუაჩიძე, ს. 823
ბუბუტეიშვილი, მ. 894
ბუდიონი, ს. 220
ბუზ-ოღლი, მ. 936
ბუკია. ი. 908
ბურკულაძე, ე. 831
ბურკულაძე, მ. 831
ბუხარინი, ნ. 93, 101, 109, 162, 508, 510, 512—514, 522
ბუხნიკაშვილი, გ. 888
ბაბაშვილი, გ. 833, 858, 917, 919, 922. 924, 925

გაბესკირია, ვ. 874, 878, 892
გაბრჩვაძე, რ. 908, 913, 915
გაბუნია. გ. 243, 901
გაბუნია, კ. 364, 837
გაგუა. გ. 944
გაზარიანი, პ. 319, 322. 324
ვაისტერი. ა. 453, 455, 466.
გალაეეი. გ. 910
გალესტიანი, ფ. 40
გამეზარდაშვილი, კ. 282
გამრეკელი, ბ. 889
გამრეკელი, დ. 750, 912
გამრეკელი, ირ. 884, 888, 893, 906. 921
გარიყული, მ. 864
გამსახურდია, გ. 45
გამსახურდია, კ. 852, 861, 864, 866, 868—870
გაფრინდაშვილი, ე. 861, 872—875, 878, 885, 888. 919
გამყრელიძე, გ. 130, 845
გაჩეჩილაძე, დ. 861, 872
გაწერელია, ა. 870, 879
გეგელაშვილი. შ. 898
გეგეჭკორი, ა(ს). 9, 79, 95, 208, 242, 304. 517, 679, 784
გეგეჭკორი, გ. 284, 903
გედევანიშვილი, დ. 838
გედევანიშვილი, გ. 284
გელიზაშვილი, მ. 743
გელოვანი, მ. 872, 873, 876, 884, 897, 898, 901
გენკინა. ე. 92
გერცენი. ა. 878
გეწაძე. მ. 727, 729
გეხტმანი, გ. 203
გვარამაძე, ლ. 912
გვარამაძე, ნ. 284
გვალია. ვ. 727
გვასალია, ი. 322
გვასალია, მ. 867
გველესიანი, ალ. 889
გველესიანი, გ. 52
გველესიანი, დ. 919, 929
გველესიანი. მ. 45
გველესიანი, რ. 919
გველესიანი, ს. 910
გვენეტაძე, დ. 726

გვეტაძე, რ. 864, 866, 868—870, 872, 874
გვრიტიშვილი, დ. 59, 817
გიგოლაშვილი, ა. 928
ვიგოლაშვილი, თ. 728
გიორგაძე. ა. 79, 96, 319
გიორგაძე, გ. 727, 941
კიორგაძე, ს. 843
გლადკოვი, რ. 316
გლადკოვი, ფ. 878
გლეზერმანი, გ. 453
გლიერი, რ. 912
გოგავა, გ. 937
გოგებაშვილი, ი. 845
გოგებაშვილი, შ. 845
ვოგია, ბ. 243. 623
გოგიბერიძე, მ. 659, 841
გოგიტიშვილი, ს. 784
გოგიჩაიშვილი, ფ. 285, 845, 857
გოგოლი, ნ. 878
გოგოძე, კ. 901
გოგოხია, დ. 43, 45, 49
გოგუაძე, გ. 830
გოზალიშვილი, გ. 841
გოთუა, ლ. 878
გოთუა, პ. 521
გოკიელი, ა. 845
გოკიელი, ელ. 944
გოკიელი, ვ. 908, 909, 911, 915
გოკიელი, ლ. 835, 841
გომელაური, ალ. 889
გომელაური, ვ, 194
გომელაური, ზ. 889, 893
გომიაშვილი, ალ. 861, 872, 873, 875
გონელი, ა. 941
გონჩაროვი, 520
გორგასლიძე, თ. 329
გორგასლიძე, შ. 944
გორგაძე, ვ. 873
გორგაძე, ს. 281
გორდელაძე, კ. 522, 841
გორგილაძე, ვ. 284
გორგიძე, გ. 636, 639
გორკი, მ. 19, 349, 851, 858, 863, 878 880, 881, 926
გოსტენინა, ე. 912
გოცირიძე, ნ. 889

ბოძიაშვილი, ე. 889
გრიბოედოვი, ა. 878
გრიგალაშვილი, თ. 728
გრიგოლაშვილი, გ. 912
გრიგოლია, დ. 931
გრიგოლია, ლ. 922
გრიშაშვილი, ი. 844, 852, 861, 872—874, 878, 879, 885, 888
გრიცენკო, ლ. 737
გრძელიშვილი, გ. 901
გრძელიშვილი, კ. 927, 928, 929
გუგუშვილი, პ. 50, 119, 382, 845
გუდიაშვილი, ლ. 884, 888, 920, 922—924, 930, 931
გულისაშვილ, ა. 339, 340
გულისაშვილი, გ. 930
გუმაშიანი, პ. 944
გუნია, ა. 52, 731
გუნია, ვ. 881, 895, 902
გურგენიძე, ა. 687
გურვიჩი, მ. 455
გუჯეჯიანი, ბ. 659

დადიანი, შ. 687, 861, 864, 868—870, 876, 877, 881, 885, 887—889, 895, 913, 926, 928
დაეითაშვილი, გ. 884, 885
დავითაშვილი, მ. 889
დათეშიძე, ნ. 40, 45
დანელია, ს. 841, 842, 844, 879
დანილოვი, ვ. 452
დარასელი, ვ. 876
დარახველიძე, ე. 519
დარისპანაშვილი, გ. 894
დარსაიძე, ა. 726
დევდარიანი, გ. 519
დევდარიანი, გ. 96, 99, 220
დევდარიანი, ს. 190, 195, 337, 338, 521
დემეტრაშვილი, თ. 209
დემნიჩელი, ს. 940
დერდა პაჩა, 712
დერეავინი, ვ. 879
დიაკონიძე, კ. 776
დიასამიძე, დ. 48, 49, 284, 499
დიასამიძე, ლ. 284
დიაჩკოვი, ბ. 944
დიდებულიძე, ა. 203, 832, 835
დიმიტროვი, გ. 668, 691, 931
დოლბელოვი, ა. 894, 895
დოვეენკო, ა. 898
დოლიძე, ა. 243, 244, 315
დოლიძე, დ. 835
დოლიძე, ვ. 892, 904, 907, 908
დოლიძე, ს. 897, 898, 900, 901
დოლმატოვსკი, ე. 879
დონაური, ე. 884, 889
დონდუა, ვ. 49
დოროხოვი, ა. 944
დუდეჩავა, ა. 879
დუდუჩავა, ვ. 880
დუმბაძე, ლ. 89, 111, 303, 306—308, 318, 319, 322, 329
დუმბაძე, მ. 49, 817
დუმბაძე, ნ. 944

ებანოიძე, ი. 727
ეედოკიმოვი, გ. 308, 324, 326
ეზუგბაია, ვ. 253
ეიზენშტეინი, ს. 898
ელიავა, შ. 9, 73, 79, 86, 87, 96, 99, 102, 106, 158, 185, 234, 243, 319, 332, 351, 519, 548
ენგელსი, ფ. 65, 404, 700, 847, 848, 919
ენუქიძე, ა. 99
ერგნელი, მ. 894
ერემოვი, გ. 47, 68, 69
ერენბურგი, ი. 896
ერისთავი, გ. 883
ერისთავი, კ. 839
ერისთავ-ხოშტარია, ა. 864
ერქომაიშვილი, ა. 86, 522, 845, 903
ერქომაიშვილი, ვ. 903
ესაიაშვილი, ვ. 47
ესაკია, ლ. 897, 900, 901
ეული, ს. 861, 874
ეშბა, ე. 106, 184, 326

ვაისბერგი, ა. 906
ვაისერმანი, კ. 894
ვაკელი, ი. 861, 876, 877, 892
ვალიშვილი, ვ. 901
ვაჟა-ფშაველა, 859, 911
ვარდანიანი, სტ. 243
ვარძიელი, ი. 243, 244
ვარდინი, ი. 326
ვართანოვი, გ. 944

ვართანოვი, ლ. 938
ვასნეცოვი, ვ. 712
ვასაძე, ა. 750, 884, 885, 887, 888, 891—893
ვაშაყაძე, ი. 841, 848
ვაშაძე, გ. 99
ვაჩნაძე, ნ. 750, 896, 901
ვაჩნაძე, ს. 894
ვაჩიბერიძე, დ. 200
ვაცეკი, ი. 95, 687
ვაწაძე, ა. 284
ვახვახიშვილი, თ. 889, 909
ვახტანგოვი, ე. 886
ვეკუა, ი. 57, 835
ვენაძე, გ. 906, 912
ვერდი, ჯ. 905
ვერემენიჩევი, ი. 453
ვეფხვაძე, ივ. 922, 923
ვეშაპელი, გ. 209
ვეხტმანი, მ. 845
ვირაპი, პ. 322
ვირსალაძე, ე. 880
ვირსალაძე, ს. 913, 914
ვოინიჩი, ე. 897
ვოიკოვი, პ. 308
ვორონინი, ვ. 838
ვოროშილოვი, კ. 666, 743, 776
ვურღუნი, ს. 878

ზაბოლოცკი, ნ. 874, 878
ზავრიევი, კ. 845
ზაზანია, ფ, 737
ზაიცევი, ფ. 846
ზალუცკი, პ. 303, 326
ზანდუკელი, მ. 830, 843, 879
ზაქარაია, ე. 838
ზაქარიაძე, ბ. 892
ზაქარიაძე, გ. 48
ზაქარიაძე, ს. 889, 901
ზაქაშვილი, შ. 726
ზახაროვი, რ. 711
ზდანევიჩი, კ. 884, 921
ზედგენიძე, ე. 864, 866, 868
ზვერევიჩი, ი. 727
ზინოვიევი, გ. 20, 93, 162, 308, 310, 311, 313, 314, 317, 320, 321, 322, 324, 325, 327
ზურაბაშვილი, ა. 838

თავაძე. რ. 922
თავაძე, ს. 864, 872
თავაძე. შ. 938
თაეზიშელი, გ. 830, 845, 880
თათარაშვილი, ა. 319, 623
თათარაშვილი, მ. 930
თათეოსიანი, ე. 917
თალაკვაძე. ს. 99, 329, 864
თანიაშვილი, ვ. 282
თარხანოვი, ო. 326
თარხნიშვილი, ე. 903
თარხნიშვილი, თ. 892
თარხნიშვილი, მ. 903
თაქთაქიშვილი, მ. 831
თაქთაქიშვილი, შ. 908, 909, 912, 914, 915
თაყაიშვილი, ალ. 892, 894
თაყაიშვილი, ნ. 944
თაყაიშვილი, ს. 889, 892
თეეზაია, ბ. 195, 337, 338, 521
თეეზაძე, გ. 51, 69
თეთვაძე, შ. 49, 268
თეეოსიანი, გ. 830, 845, 880
თვალიაშვილი, თ. 894
თვალჭრელიძე. ა. 364, 365, 832, 836, 837, 846, 858
თიკანაძე, ი. 838
თიკანაძე, მ. 942
თოდრია, ს. 79, 99, 110, 234, 823
თოიძე, ა. 892
თოიძე, ირ. 922, 923, 929, 931
თოიძე, მ. 833, 858, 917—919, 922, 923. 925, 927, 928
თოიძე, ლ. 47, 49, 69, 330, 514, 517, 522
თოფურიძე, დ. 336, 337
თოფურია, ვ. 843
თოფურიძე, ვ. 932
თოფურიძე, ქ. 43
თულაშვილი, შ. 938
თუმანიანი, ო. 878
თუმანოვი, ა. 184, 308, 319, 324
თუმანოვი, ს. 322

ია ნი, ა. 878
იაკოვლევი, ი. 453
იაკოვცევსკი. ვ. 453

ბაკუბოვიჩი, ვ. 935
იაშვილი, კ. 316
იაშვილი, ნ. 649, 650, 786, 845
იაშვილი, პ. 861, 863, 872—874, 878, 885
იაშვილი, ს. 831
იერუშტულია, ა. 844
ივანოვა, ო. 728
ივანოვი, ვ. 876
ივანოვი-შადრი, ი. 935
იზოტოვი, ნ. 633
ილურიძე, კ. 291, 637
იმედაშვილი, ალ. 889, 895
იმედაშვილი, გ. 913
ინაშვილი, ს. 904, 906, 931
ინგოროყვა, პ. 843, 857, 858, 861, 879
იორამაშვილი, ნ. 158
იოსელიანი, დ. 944
იპოლიტოვა, ტ. 736
იპოლიტოვ-ივანოვი, მ. 833
ირასეკი, ა. 885
ისააკიანი, ა. 878
ისეცკი, ლ. 906
ისიანი, ს. 872
იუგოვი, ა. 53
იუდინი, ა. 894
იშანტურაევა, ს. 914

კავრისკი, ვ. 453, 455, 466
კავსაძე, ლ. 912
კავსაძე. ს. 903, 904, 910
კაკაბაძე, ა. 52, 170, 284, 597, 845
კაკაბაძე, დ. 929, 921, 923
კაკაბაძე, ვ. 284, 836
კაკაბაძე, პ. 877, 885, 888, 889, 892, 901
კაკაბაძე, ს. 857, 879
კაკაბაძე, სილ. 922, 931
კალანდაძე, ა. 244
კალანდაძე, ბ. 284, 303, 306, 307, 319, 322, 329
კალანდაძე, ლ. 879
კალანდაძე, ც. 48
კალაშნიკოვი, მ. 936, 940
კალაძე, აკ. 522
კალაძე, კ. 861, 872, 873, 876, 377, 888
კალაძე, კ. 889
კალგინი, ა, 935
კალინინი, მ. 103, 219, 291, 304, 310, 350 — 352, 725, 729, 730, 738, 755, 797, 848
კალიახელიძე, ვ. 944
კამანინი, ნ. 669
კამენსკი, ა. 915
კამო (პეტროსიანი), 732, 738, 776, 778 919
კანდელაკი, ირ. 898
კანდელაკი, ნ. 920, 922, 931
კანტერე, ე. 44
კაპანაძე, დ. 858
კაპანაძე. თ. 48
კაპანაძე, პ. 750
კაპანელი, კ. 841
კარანაძე, გ. 322
კარბელაშვილი, ლ. 182, 845
კარბინი, ბ. 940
კარგარეთელი, ი. 904, 907
კარი, ე. 54
კარიჭაშვილი, დ. 843
კარსანიძე, ელ. 901
კარტოზია, ბ. 842
კასიანიკი, მ. 944
კასრაძე. ალ. 639
კაშენი მარსელ 668, 691
კაციტაძე, ა. 284
კაჭარავა, დ. 220
კაჭარავა, ვ, 194
კაჭარავა. ივ. 858
კაჭარავა, ი. 43, 46, 47, 51, 59, 479, 481
კაჭარავა, მ. 329
კაჭახიძე, გ. 872, 873, 874
კახეთელიძე, ვ. 51
კახიანი, მ. 9, 41, 79, 96, 102, 111, 186, 199, 203, 205, 234, 281, 286, 304, 319, 334, 335, 338, 516, 529, 549, 543, 547, 852, 897
კახიანი, ნ. 838
კედია, ვ. 938
კეკელიძე, დ. 45
კეკელიძე, კ. 285, 509, 843, 846, 879
კეკელიძე, ს. 857
კერესელიძე, მ. 736
კეცხოველი, ლ. 867, 913, 932
კეცხოველი, ნ. 837, 846
კეცხოველი, ს. 931
კვანტალიანი, ა. 889, 892, 901

კვანტალიანი, ე. 304, 519
კვარაცხელია, მ. 243
კვარაცხელია, ტ. 846
კვირიკაშვილი, მ. 726
კვირიკაძე, არტ. 341
კვირკველია, ბ. 86
კიკვიძე, ა. 46, 50
კიკნაძე, გ. 750, 830
კიკნაძე, ნ. რ. 184, 303, 306, 307, 319, 322, 348
კილაძე, გ. 908, 909, 911, 913, 915, 916
კილაძე, ვ. 194
კინწურაშვილი, ა. 49, 68
კირკიტაძე, ალ. 894
კირკიტაძე, ტ. 727
კიროვა, ჩ. 894
კიროვი, ს. 60, 90, 96, 97, 99, 102, 111, 519, 626, 627, 754, 755, 767, 848, 850, 851, 913
კირშონი, ვ. 890
კირშონი, კ. 887
კლდიაშვილი, დ. 864, 870, 887
კლდიაშვილი, ს. 861, 864, 866, 869, 870, 997
კლემანსო, ჟ. 314, 318
კოდუა, ე. 842
კოდუა, ი. 51, 294
კოკაია, ა. 329
კოკელაძე, გ. 910
კოკორინი, ვ. 939
კოლარცი, ვ. 54, 57
კოლასი, ვ. 54, 57
კოლასი, ი. 878
კონკესტი, რ. 54, 56
კონსტანტინიდი, ნ. 40
კორინთელი, ნ. 284
კორნეიჩუკი, ა. 878
კოსტავა, გ. 889
კოსტანიანი, კ. 529
კოსტროვი, 517
კოტეტიშვილი, ვ. 843, 879, 880, 922
კოჩეტკოვი, ა. 879
კოჩეტკოვსკი, ე. 132
კოპლავაშვილი, ა. 40, 45, 46, 51, 58, 358, 585, 756. 769
კოპლავაშვილი, ე. 287
კოპლამაზაშვილი, რ. 58, 391, 453, 481
კრავეიშვილი, ბ. 901
კრივანოსი, პ. 735
კრიპნიჩენკო, პ. 737
კრიცმანი, ლ. 453, 455
კროტკოვი, ვ. 919, 923
კრიჟაშვილი, ი. 209
კუბანინი, მ. 453
კუიბიშევი, ვ. 187, 310, 609, 618
კუიბიშევი, ნ. 687
კულიში, მ. 890
კუპალა, ი. 878
კუპრავა, ა. 44, 46, 48, 49, 401, 428
კუპრაშვილი, გ. 894
კუპრაძე, ვ. 835
კურნაკოვი, ნ. 658
კუფტინი, ბ. 841, 858
ლაბარტყავა, ნ. 520
ლადარია, ვ. 321
ლავრენტევი, ბ. 886
ლაკობა, ნ. 79, 106, 316, 393
ლანსერე, ე. 833, 917
ლანჩავა, თ. 736
ლაპინსკი, რ. 898
ლასხიშვილი, გ. 870
ლაფანაშვილი, გ. 319, 322, 324
ლაფაჩი, ნ. 892
ლაღიძე, გრ. 894
ლაშევიჩი, მ. 326
ლაშქარაშვილი, 198
ლევქთაძე, ს. 194
ლემონჯავა, ლ. 923
ლენინი, ვ. ი. 6—11, 13, 14, 17, 31—34, 40, 45, 47, 57, 59, 61, 62, 65, 66, 69, 70, 73—77, 82—84, 86, 89, 90, 93, 94, 96, 97, 99, 101—103, 105, 110—113, 123—125, 137, 153, 163, 171, 172, 174, 181, 186, 189, 223, 224, 230, 231, 235, 240, 256, 258, 261, 264, 274, 283, 285, 297, 302 323, 329, 331, 336, 348, 350, 393 395, 396, 398, 400, 403, 406, 439, 441, 457, 458, 459, 467, 470, 473, 475, 478, 481, 485, 527, 571, 586, 607, 608, 611, 679, 693, 694, 700, 701, 704, 705, 719, 724, 726, 728, 729, 736, 739, 740, 744, 749, 772, 776, 796, 797, 822, 824, 827, 828,

848, 850, 852, 854, 855, 858, 862, 874, 893, 907, 912, 919, 922, 924, 925, 932, 935
ლეონიძე, გ. 852, 861, 872—875, 878, 879, 913
ლეონკავალო, რ. 905
ლეონტიევი, კ. 935
ლექავა, ა. 400
ლექავა, გ. 940
ლექავა, შ. 417
ლერმონტოვი, მ. 878
ლესინგი, გ. 710
ლიაპიდევსკი, ა. 669
ლიბერმანი, ი. 274
ლისაშვილი, ი, 861, 864, 866, 867
ლისენკო, ნ. 906
ლობოვი, ხ. 620
ლოლუა, ე. 912
ლოლუა, ძ. 903
ლომაშვილი, ფ. 120, 391, 402, 552, 554
ლომთათიძე, ქ. 843
ლომინაძე, ბ. 517, 518, 519
ლომინაძე, მ. 831
ლომიძე, გ. 880
ლოპე დე ვეგა, 883
ლორთქიფანიძე, ბ. 938
ლორთქიფანიძე, გ. 190
ლორთქიფანიძე, დ. 319, 322, 324, 329, 830, 845
ლორთქიფანიძე, ე. 892
ლორთქიფანიძე, ი. 40, 194
ლორთქიფანიძე, კ. 759, 861, 864—866, 870—872, 901
ლორთქიფანიძე, მ. 892
ლორთქიფანიძე, ნ. 864, 866, 867, 870
ლორია, პ. 864
ლუგოვსკი, მ. 874
ლუკონინი, მ. 879
ლუნაჩარსკი, ა. 890, 896
ლუქსემბურგი, რ. 919

მაიაკოვსკი, ვ. 19, 96, 102, 859, 878, 880
მაისაშვილი, ს. 923, 928, 931
მაისურაძე, დ. 48, 58, 858
მაისუროვი (მაისურაძე), ლ. 284
მათიკაშვილი, შ. 243, 244
მაკალათია, ს. 858
მაკაროვი, გ. 897
მალიმკო. ა. 879
მალოზიოკოვი, ი. 937
მამაგეიშვილი, მ. 734
მამალაძე, ი. 930
მაკალაძე, შ. 920, 922, 928
მაკრაძე, ი. 938
მამფელია, ს. 41, 96, 252, 319, 322, 518, 519, 551, 827
მამუჩაშვილი, არ. 281
მამუჩაშვილი, გ. 281
მანსვეტაშვილი, ი. 870
მანუილსკი, დ. 95, 97
მარგიანი, რ. 872
მარდალეიშვილი, იე. 234
მარი, ივ. 944
მარი, ი. 857
მარი, ნ. 857
მარიჯანი (ალექსიძე), ვ. 874
მარტაშვილი, შ. 901
მარტინოვი, ა. 195
მარქანაშვილი, ა. 727
მარქსი, კ. 64, 65, 404, 700, 743, 847, 848, 855
მარლანია, ა. 910
მარშაკი, ნ. 894
მარჯანიშვილი, კ. 881—884, 886, 889, 890, 891, 895—897, 904—906, 909
მაღალაშვილი, ლ. 903
მაღალაშვილი, ქ. 922, 928
მაღლაკელიძე, ს, 40
მაყაბეილი, ა. 930
მაყაშვილი, თ. 944
მაყაშვილი, კ. 888
მაყაშვილი, შ. 928, 929
მაშაშვილი (მირცხულავა), ალ, 750, 861, 872, 873, 875, 877, 878, 887
მაჩაბელი, ე. 932
მაჩაიძე, ბ. 282, 378
მაჩკალიანი, ვ. 944
მაკავარიანი, ა. 838, 915
მაკაეარიანი, დ. 889
მაკაეარიანი, მ. 935
მაკარაძე, ა. 361
მახარაძე, ვ. 910
მახარაძე, ნ. 50
მახარაძე, ფ. 9, 40, 41, 70, 79, 93, 96, 101, 109—111, 125, 195, 206, 207,

234, 235, 243, 247, 304, 316, 341, 350, 351, 356, 397, 424, 449, 450, 519, 530, 533, 544, 548, 666, 687, 690, 819, 827, 839, 845, 848, 850, 863, 879
ბეალობლიშვილი, გ. 243, 244, 251, 623
ბგელაძე, ბ. 727
ბგელაძე, დ. 281
ბგელაძე, ზ. 864
ბდივანი, ბ. 86, 87, 89, 99, 100, 109, 111, 173, 184, 330
ბდივანი, გ. 881, 878, 900, 901
ბევრელი, დ. 872
ბევრელიძე, ა. 903, 912
ბეგრელიძე, კ. 845
ბეიერხოლდი, ვ. 886
ბეიფარიანი, ნ. 942
ბეკოკიშვილი, ა. 944
ბელაძე, ბ. 398
ბელია, გ. 939
ბელიქაძე, თ. 728
ბელიქიშვილი, გ. 49, 51
ბელიქიშვილი, ბ. 836, 919
ბელიქსედბეგი, ლ. 844
ბელიქ-ფაშაევი, ო. 284, 350
ბელქაძე, ვ. 51
ბელქაძე, ი. 47, 51, 59
ბეყიროვი, ა. 879
ბერაბიშვილი, კ. 922, 923
ბერკვილაძე, ვ. 47, 48, 69,
ბესხი, გ. 922, 923
ბესხია, შ. 49, 817
ბესხიშვილი, ლ. 922
ბეტრეველი, ა. 544
ბეტრეველი, ლ. 870
ბეღვინეთუხუცესი, კ. 889, 909
ბეცხვარიშვილი, გ. 281
ბეძმარიაშვილი, მ. 329
ბეძმარიაშვილი, ს. 317
ბთვარაძე, ს. 878, 893
ბიასნიკოვი, ა, 851
ბიზანდარი, ვ. 932
ბიკიტენკო, ი. 890
ბილიერანი, ა. 191
ბილიუკოვი, ბ. 96
ბირონოვა, ო. 737
ბიროტაძე, ლ. 319, 322, 324
ბირცხულავა, ი. 46, 420, 501, 505
ბიულერი, ს. 52
ბიუფკე, კ. 893
ბიქაბერიძე, კ. 901
ბიქაელიანი, გ. 939
ბიქატაძე, შ. 932
ბიქელაძე, ბ. 284, 350
ბიქელაძე, გ. 894
ბიქელაძე, ე. 912
ბიქელაძე, ვ. 520
ბიქელაძე, ი. 51, 772, 845
ბიქელაძე, შ. 835
ბიქოიანი, ა, 620
ბიწიშვილი, ნ. 319, 864, 866, 869, 875
ბოგილევსკი, ს. 96
ბოისენკო, ს. 727
ბოლიერი, ე. 883
ბოლოკოვი, ვ. 669
ბოლოტოვი, ვ. 310, 517
ბოსეშვილი, ი. 836, 870, 872—874, 876, 878
ბეკავია, ი. 893
ბრეველიშვილი, ა. 281, 833, 858, 918, 924, 925
ბრეველიშვილი, მ. 864, 866, 872, 878
ბუკბანიანი, ი. 903
ბურალოვი, ნ. 326
ბუსხელიშვილი, ნ. 203, 285, 509, 687, 831, 834, 835, 846
ბუშიშვილი, გ. 319, 841
ბუჯირი, ვ. 902
ბუხაძე, გ. 838
ბღვიმელი, შ. 878
ბშველიძე, შ. 889, 908—911, 915, 916
ბჭედლოვი, ვ. 886

ნადარეიშვილი, ვ. 329
ნადარეიშვილი, ს. 906, 920, 922, 923, 927
ნადირაშვილი, ლ. 46, 416
ნადირაძე, ზ. 729
ნადირაძე, კ. 872
ნავასარდოვი, ა. 944
ნაზარეტიანი, ა. 529
ნათაძე, გ. 203, 509, 841
ნათმელაძე, მ. 40, 43, 44, 51, 290, 503, 582, 610, 809, 816
ნაკაშიძე, მ. 912

ნაკაშიძე, ნ. 878
ნამორაძე, ა. 841
ნარიკაშვილი, ს. 838
ნარიმანიძე, ნ. 915
ნარიმანოვი, ნ. 96
ნაროაშვილი, ფ. 876
ნატროშვილი, გ. 879
ნატროშვილი, ნ. 737
ნაუმოვი, კ. 453
ნახუცრიშვილი, გ. 878, 893
ნეკრასოვი, ნ. 878
ნემჩინოვი, ვ. 453
ნემიროვიჩ-დანჩენკო, 882, 883
ნეპრინცევი, მ. 938, 939
ნიკოლაიშვილი, ა. 938
ნიკოლაძე, ა. 836
ნიკოლაძე, გ. 203, 283, 284, 832, 835
ნიკოლაძე, გ. 944
ნიკოლაძე, ი. 833, 858, 917—919, 922, 925—927
ნიკოლაძე, ნ. 20, 284, 285
ნინოშვილი, ე. 859, 876, 894, 919, 922
ნინუა, დ. 40
ნიორაძე, გ. 841, 858
ნიუთი, ი. 56
ნოდია, ვ. 199
ნონეშვილი, ი. 872
ნოუვი, ა. 56
ნუსინოვი, ი. 453, 455, 466
ნუცუბიძე, ა. 51, 130, 409, 781, 790, 810
ნუცუბიძე, ნ. 194
ნუცუბიძე, შ. 203, 285, 841, 842, 843, 879

ობოლაძე, ა. 193, 194
ობოლაძე, თ. 736
ობოლაძე, ი, 633
ობოლაძე, უ. 824
ობორინი, ლ. 915
ოკუჯავა, მ. 89, 99, 101, 111, 303, 306, 308, 313, 319, 329, 330
ოკუჯავა, ნ. 319, 322
ოლდენბურგი, თ. 857
ომიაძე, ალ. 889, 901
ონიაშვილი, დ. 847
ოპიზარი ბექა, 858
ოპიზარი ბეშქენ, 858
ორაგველიძე, კ. 57, 845, 848
ორაგველიძე, მ. 750
ორახელაშვილი, მ. 9, 40. 41, 68, 70, 79, 96, 126, 159, 306, 315, 336, 339, 351, 410, 498, 517, 519, 847, 850, 851
ორახელაშვილი, შარ. 96, 221, 281, 322, 823, 830
ორიოლი, ო. 894
ორჯონიკიძე, გ. 9, 10, 13. 32, 33, 40, 41, 48, 59, 68. 73—75, 79, 84, 85, 88—90, 94, 96, 97, 99, 100—102. 106, 108, 110, 129, 137, 139, 141, 162, 163, 173—176, 182, 186, 188, 190, 201, 207, 251, 263, 303, 313, 316. 328, 329, 610, 611, 620, 626, 654, 657, 672, 730, 732, 738, 755, 764, 784, 826, 837, 843, 850, 851, 859, 862
ოტროესკი, ა. 875
ოქუაშვილი, ა. 79, 99, 329
ოჩიგავა, ა. 942
ოცხელი, ბ. 888

პაიპსი, რ. 89
პაიჭაძე, ბ. 944
პატარიძე, ვ. 922
პატარიძე, კ. 892
პატარიძე, მ. 878
პაპკოვი, ა. 941
პარკაძე, დ. 831
პასტერნაკი, ბ. 874, 879
პაჭკორია, კ. 903, 910
პევცოვი, ი. 620
პერესტიანი, ივ. 895, 896
პერეუშინი, ბ. 210, 287
პეტრიაშვილი, ვ. 836
პეტროესკი, გ. 666
პეტროსიანი, ა. 308, 326
პეჩენსკაია, ა. 737
პიატაკოვი, ი. 308, 326
პიკი ვილჰელმ, 667
პიპინაშვილი, კ. 901
პისარჟევსკი, ლ. 836
პლეხანოვი, გ. 856
პლიევი, ბ. 48, 491
პლოტკინოვი, კ. 169
პოგოდინი, ნ. 889

პოლუეკტოვა, ლ. 736
პოლუექტოვი, მ. 509, 840
პოლუმორდვინოვი, ე. (ელიზბარ ზედგენიძე) 864, 866, 868
პოპოვა, ე. 906
პრიკერი, ლ. 45
პუანკარე, რ. 191
პუდოვკინი, ვ. 898
პუში, ლ. 898
პუშკინი, ა. 878, 919

შვანია, გ. 48, 49, 59, 197, 501
ქიტკოვსკი, ი. 940
ქორდანია, ა. 941
ქორდანია, ნ. 5, 189, 196, 198, 199, 336, 511, 857
ქოქიკაშვილი, კ. 319
ქორქოლიანი, ალ. 884, 889, 901
ქუთელი, გ. 892, 894
ქუთელი, ვ. 873, 876
ქუკოვა-იუდინა, ქ. 54
ქლენტი, ბეს. 861, 875, 879, 888
ქლენტი, ბ. 944
ქლენტი, თ. 46, 158, 389, 392, 484, 553, 560, 563
ქლენტი, ს. 843

რადეკი, კ. 308, 324, 326
რადიანი, შ. 879
რაზმაძე, ა. 831, 835
რაზმაძე, ან. 285, 509, 834
რაკოვსკი, ქრ. 326
რამიშვილი, ბ. 845, 847
რამონი, რ. 56
რასულ-ზადე, 244, 245
რატიანი, პ. 49
რატილი, ი. 903
რეპინი, ი. 859
რეზვიაშვილი, ვ. 44
რილსკი, მ. 878, 879
რიხტერი, ს. 928
რობაქიძე, რ. 737
როგავა, გ. 200
როინიშვილი, ნ. 930
რომანოვი, პ. 894
რონდელი, დ. 897, 901
როსტიაშვილი, ა. 194
რუსთაველი, შ. 673, 818, 881, 883, 885, 925, 932
რუხაძე, არჩ. 343, 344, 401, 453, 469
რუხაძე, ვ. 872
რუკუტაკი, ი. 310, 316—318
რეხილაძე, გ. 942, 944

საბაშვილი, პ. 99
სალოვი, ვ. 394
სალტიკოვ-შჩედრინი, მ. 878
სამსონაძე, პ. 887
სამხარაძე, ვ. 636, 687
სიმხარაძე, ლ. 736
სანაძე, კ. 920, 923, 927, 928
სანდერსი (ნიკურაძე) ა. 5[illegible]
სანიკიძე, პ. 193, 194
სარაული, მ. 889
სარაჯიშვილი, ვ. 904, 906
სარსანია, ქ. 827
სარუხანოვი, გ. 453
სარჩიმელიძე, გ. 892
სატუნელი, ს. 939
საქულოვი, ი. 734
საღარაძე, გ. 892
საღარეიშვილი, რ. 727
საყვარელიძე, ი. 194
საყვარელიძე, პ. 864, 866, 868
საჯაია, ალ. 872—874, 876
სეევრცოვი, ნ. 935, 938, 940
სელვინსკი, ი. 874
სერგეევი, ს. 913
სერებრიაკოვი, ლ. 308
სესიაშვილი, გ. 922
სესიაშვილი, დ. 194
სესიაშვილი, ტ. 920
სვანიძე, ა. 79, 86, 99
სვანიძე, ზ. 912
სვანიძე, ნ. 243
სეერდლოვი, ვ. 340
სიდამონიძე, უ. 47, 48
სიდამონ-ერისთავი, ვ. 884, 906, 918, 919, 922, 928
სიმონია, მ. 827
სიმონიშვილი, ვ. 903
სიხარულიძე, ი. 878
სიხარულიძე, ქ. 880
სიხარულიძე, შ. 830
სლავიანი, ლ. 887
სლეპნევი, მ. 669
სმილგა, ი. 308, 324, 326

სმირნოვი, ი. 326
სმოლნიაკოვა, ნ. 831
სობესტიანსკი, ე. 838
სოკოლნიკოვი, გ. 99
სოლოვიანი, მ. 316
სორდენი, პ. 56
სოსიურა, ვ. 879
სოსნოვსკი, დ. 837, 858
სოხაძე, ე. 912
სპენდიაროვი, ა. 907
სრედიჩენკო, მ. 736
სტალინი, ი. ბ. 9, 19, 28, 33, 69, 79, 82, 84—86, 89, 90, 94, 97, 98, 100, 102, 103, 109, 110, 111, 114, 159, 186, 188, 189, 200, 230, 231, 240, 253, 262, 263, 271, 280, 284, 303, 305, 310, 311, 317, 320, 327, 330, 331, 345, 349, 388, 390, 391, 394, 395, 398, 404, 422, 423, 450, 451, 454, 495, 498, 516, 517, 527, 529, 538, 544, 547, 548, 551, 552, 563, 564, 567, 614, 637, 672, 679, 685, 686, 687, 710, 725, 726, 727, 729, 732, 733, 736, 737, 740, 746, 748, 774, 776, 784, 789, 848, 859, 926, 927, 931
სტანისლავსკი, კ. 882, 883, 893
სტაროსელსკი, ვ. 836
სტახანოვი, ა. 636, 747
სტოლერმანი, ს. 906
სტრუმილინი, ს. 153, 453
სტურუა, გ. 41, 304, 316, 520
სტურუა, დ. 48, 49
სტურუა, ვ. 9, 79, 94, 96, 102, 129, 202, 234, 304
სტურუა, ნ. 44, 50, 816
სულაქველიძე, კ. 195
სულიაშვილი, დ. 864, 869
სუმბათაშვილ-იუჟინი, ალ. 882, 883
სუმბათაშვილი, გრ. 889
სუმბაძე, ლ. 938
სუმბაძე, ნ. 47, 68
სუნ იატ-სენი, 691
სუნ ძინ-ლინი, 691
სუპატაშვილი, ე. 898
სურგულაძე, ა. 50, 817
სურიკოვი, ვ. 859
სუხანოვი, ი. 894
სუხომლინი, ვ. 54
სუხიშვილი, ი. 906, 912
სუხიშვილი, ლ. 158, 243, 351, 519, 823
ტაბიძე, გ. 852, 870—876, 878, 926
ტაბიძე, ტ. 861, 870—875, 885
ტაბლიაშვილი, ვ. 892
ტაკიძე, დ. 750
ტარლე, ე. 858
ტელმანი, ე. 667
ტერმიქელოვი, გ. 935, 938
ტიჩინა, პ. 879
ტიხონოვი, ნ. 874, 879
ტოკარევსკი, ე. 93, 96, 114
ტოლერი, ე. 889
ტოლსტოი, ლ. 711, 712, 878
ტოროშელიძე, გ. 908
ტოროშელიძე, მ. 79, 86, 560, 823, 847, 863, 879
ტოტოჩავა, კ. 45
ტროცკი, ლ. 20, 89, 93, 109, 110, 162, 184, 186, 187, 325, 327, 330, 331
ტურგენევი, ი. 710, 878
ტესკია, ი. 908, 909, 911—913, 915, 916
ტყეშალაძე, ტ. 831
ტყეშელაშვილი, ნ. 52, 59, 256, 354, 356, 370, 383, 762
შბილავა, ე. 876
უზნაძე, დ. 285, 509, 841, 842, 846
უკრაინკა, ლ. 878
ურსიანუ ტილდა, 711
ურუშაძე, ა. 319
ურუშაძე, ვ. 939
უშაკოვი, ს. 859
უშინი, ნ. 884
ფადეევი, ალ. 878
ფალიაშვილი, ივ. 351, 833, 904—908
ფალიაშვილი, ზ. 833, 903—908, 931
ფარემუზოვა, ნ. 938
ფარცხალაძე, ა. 910, 911
ფაღავა, ა. 833, 884, 885, 904—906
ფაშალიშვილი, ს. 870, 897
ფიროსმანიშვილი, ნ. 918
ფირცხალაიშვილი, ა. 840
ფიფია, გ. 750
ფიფია, ე. 838

ფოიერბახი, ლ. 847
ფოფხაძე, ტ. 636
ფოცხვერაშვილი, კ. 903, 905, 907
ფრანგიშვილი, ა. 842
ფრანგიშვილი, თ. 329
ფრანგიშვილი, პ. 892
ფრუნზე, მ. 98, 103
ფურცხვანიძე, მ. 639
ფურცხვანიძე, შ. 726
ფუტკარაძე, ი. 47

ქავთარაძე, ბ. 284
ქავთარაძე, ი. 679
ქავთარაძე, ს. 79, 86, 96, 99, 106, 308, 324, 326
ქათამაძე, ნ. 727
ქათამაძე, ს. 726
ქამუშაძე, ა. 726
ქარელიშვილი, ე. 880
ქართველიშვილი, ლ. 41, 234, 321, 425, 519, 852, 940
ქართველიშვილი, ნ. 904
ქარსელაძე, ა. 910
ქაცარავა, კ. 830
ქეთიშვილი, ს. 784
ქიაჩელი, ლ. 852, 861, 864—867, 870
ქიქოძე, ა. 895
ქიქოძე, გ. 861, 879
ქიქოძე, პ. 879
ქობულაძე, ს. 931
ქობულია, ვ. 831
ქოიავა, ნ. 845
ქორელი, მ. 884
ქორიძე, დ. 463
ქორიძე, ფ. 903
ქორქია, რ. 867, 870, 878
ქუთათელაძე, ა. 927
ქუთათელაძე, დ. 931
ქუთათელაძე, ვ. 931
ქუთათელაძე, შ. 912
ქუთათელი, ალ. 864, 866, 867, 888, 920, 923
ქუმსიაშვილი, ნ. 90, 912, 931
ქურდაძე, ვ. 244
ქურდიანი, ზ. 284, 937, 940
ქურდიანი, ნ. 940
ქუჩიშვილი, გ. 872, 873, 874
ქუჩულორია, დ. 244

ღამბაშიძე, შ. 884, 889, 901
ღლონტი, თ. 79, 319
ღოღობერიძე, ბ. 838, 910
ღოღობერიძე, ე. 889
ღოღობერიძე, ლ. 41, 96, 99, 285, 514, 519, 541—543, 548, 550
ღოღობერიძე, ნ. 898
ღუდუშაური, ლ. 944

ყაზბეგი, ალ. 898
ყანდარელი, ვ. 209
ყანჩაველი, ზ. 837
ყანჩაველი, ლ. 837, 942, 944
ყარაშვილი, ა. 907
ყაუხჩიშვილი, ს. 840, 843, 858, 879
ყვარელაშვილი, მ. 912
ყიფიანი, დ. 356
ყიფშიძე, დ. 750, 830
ყიფშიძე, ი. 284
ყიფშიძე, ნ. 838
ყუბანეიშვილი, ს. 939
ყურულაშვილი, გ. 351, 620, 852
ყუშიტაშვილი, ვ. 892

შავგულიძე, გ. 889, 892
შავგულიძე, შ. 944
შავიშვილი, ბ. 892
შავერზაშვილი, თ. 907, 915
შავიშვილი, მ. 938, 939
შალამბერიძე, ლ. 750
შანიძე, ა. 842, 843, 846, 857, 879, 880
შანშიაშვილი, ს. 861, 872, 876, 877, 885—887, 893, 907
შარაშიძე, დ. 53
შარაშიძე, ვ, 40, 906, 912
შარია, პ. 841
შარია, ს. 46
შარიქაძე, ს. 44
შარლემანი, ი. 833, 888, 917
შატბერაშვილი, გ. 872, 873, 878
შაუმიანი, გ. 705
შაფთოშვილი, რ. 894
შევჩენკო, ტ. 878
შევცოვი, ნ. 801
შელეგია, რ. 903
შელია, კ. 43, 48
შენგელაია, დ. 861, 864, 866, 868, 870, 888, 889

შენგელაია, ნ. 897, 898, 901
შენგელია, ა. 872
შენგელია, ი. 284
შერპილოვი, ვ. 930
შექსპირი, უ. 883, 884
შილერი, ფ. 888
შკვარკიანი, ვ. 887
შმიდტი, ო. 669
შოლოხოვი, მ. 878
შტიდრი, ფ. 915
შტოკლი, გ. 54
შუმილოვი, მ. 291, 390
შუშანია, პ. 838
შჩუკო, ვ. 938
შჩუსევი, ა. 938, 939
შხვაცაბაია, გ. 942

ჩავლეიშვილი, ს. 903
ჩაიკოვსკი, პ. 904
ჩანტლაძე, ა. 51
ჩანტლაძე, ლ. 329
ჩაპლინი, ჩ. 519
ჩარკვიანი, თ. 889
ჩარკვიანი, კ. 51, 159, 350, 514, 586
ჩაფიძე, ნ. 44, 349
ჩაჩავა, ნ. 878
ჩაჩიბაია, ა. 870
ჩაჩიბაია, ნ. 910
ჩაჩიკაშვილი, ნ. 330
ჩახვაძე, ზ. 453
ჩემბერლენი, ო. 318
ჩერნიშევსკი, გ. 878
ჩერნიშოვი, ს. 935
ჩერნომორსკი, მ. 354
ჩერქეზიშვილი, ელ. 889, 895
ჩეხოვი, ა. 878
ჩიანელი(ჩხეიძე), დ. 888
ჩიროვსკი, ნ. 53
ჩიტაია, გ. 841, 858
ჩიქავა, ვ. 750
ჩიქავა, ი. 43
ჩიქავა, ლ. 51, 363
ჩიქობავა, ა. 702, 842, 846
ჩიქობავა, ნ. 47
ჩიქოვანი, გ. 901
ჩიქოვანი, ვ. 366
ჩიქოვანი, მ. 880
ჩიქოვანი, ს. 861, 863, 872—874, 888
ჩიჩერინი, გ. 220
ჩიხაჩოვი, ს. 755,
ჩიხლაძე, შ. 944
ჩოგოვაძე, გ. 159
ჩოდრიშვილი, მ. 9, 79, 96
ჩოლოყაშვილი, ქ. 193, 198
ჩომახიძე, სპ. 184
ჩოხელი, კ. 410, 425, 679
ჩუბინაშვილი, გ. 203, 841, 844, 846, 858
ჩუკოვსკი, კ. 879
ჩხარტიშვილი, ა. 892
ჩხარტიშვილი, ს. 48, 59, 376, 377, 380, 733
ჩხეიძე, ბ. 861, 864, 867
ჩხეიძე, გ. 284
ჩხეიძე, დ. 889
ჩხეიძე, ნ. 895, 901
ჩხეიძე, უ. 878, 884, 885, 889, 891, 901
ჩხენკელი, ა. 191, 281
ჩხეტია, ვ. 200
ჩხეტია, შ. 59
ჩხეტიანი, ა. 659
ჩხიკვაძე, გ. 910
ჩხიკვაძე, ზ. 903
ჩხიკვაძე, მ. 938
ჩხიკვაძე, პ. 861, 864, 866—868
ჩხიკვიშვილი, ბ. 199

ცაგარეიშვილი, ვ. 910
ცაგარელი, ალ. 843
ცაგარელი, ვ. 425
ცენტერაძე, ბ. 199
ცერცვაძე, ს. 726
ცეტკინი, კ. 691
ცეცხლაძე, გ. 873, 876, 878, 915
ცეცხლაძე, ი. 633
ცვაიგი, ს. 897
ციმაკურიძე, ა. 833, 918, 919, 922, 923, 928, 929
ცინცაძე, ი. 840
ცინცაძე, კ. 86, 89, 100, 101, 109, 111, 184, 303, 306—308, 316, 319, 322, 324, 327, 328, 350
ცირღილაძე, შ. 912
ციციშვილი, თ. 901
ციციშვილი, ნ. 836
ციხისთავი, ლ. 830

ცნობილაძე, ლ. 633
ცომაია, გ. 932
ცომაია, ნ. 912
ცუცქირიძე, ა. 726
ცუცქირიძე, შ. 736, 894
ცხაკაია, დ. 894
ცხაკაია, მ. 9, 40, 79, 96, 99, 102, 195, 229, 304, 313, 351, 500, 519, 581, 593, 687, 823
ცხოვრებაშვილი, ე. 294, 390

ძეკონსკი, დ. 944
ძერჟინსკი, ი. 912
ძერჟინსკი, ფ. 95, 124, 155, 177, 310, 311, 636
ძიძიგური, ვ. 831
ძიძიგური, ს. 743
ძიძიშვილი, მ. 908
ძნელაძე, ბ. 194, 220
ძნელაძე, დ. 886
ძნელაძე, შ. 918
ძოწენიძე, ო. 736
ძოწენიძე, ტ. 633

წვერავა, ს. 870
წერეთელი, ა, 841, 859, 905
წერეთელი, გრ. 844, 858, 879
წერეთელი, დ. 923
წერეთელი, ვ. 284
წერეთელი, ი. 54
წერეთელი, კ. 47
წერეთელი, ნ. 922, 931
წეროძე, დ. 901
წივწივაძე, ვ. 329
წიკლაური, ა. 687
წინამძღვრიშვილი, მ. 838
წულუკიძე, ა. 673, 737
წულუკიძე, გ. 284, 339
წულუკიძე, თ. 892
წულუკიძე, პ. 99
წუწუნავა, ალ. 884, 894—896, 898, 904—906, 912, 919
წუწუნავა, ც. 884, 895

ჭაბუკიანი, ვ. 913, 914
ჭავჭავაძე, თ. 750, 884, 885, 889
ჭავჭავაძე, ი. 700, 709—711, 845, 859, 876, 911, 913, 926
ჭანკოტაძე, გ. 366
ჭანტურია, ი. 824, 825
ჭელიძე, ა, 944
ჭელიძე, ვ. 835
ჭელიძე, ს. 889, 892
ჭიაბრიშვილი, ა. 198
ჭიაურელი, მ. 866, 895, 897, 898, 901
ჭილაია, ს. 864, 879
ჭიჭინაძე, ბ. 158, 283, 284, 338, 341, 350, 832, 836
ჭიჭინაძე, დ. 637, 687
ჭიჭინაძე, კ. 861, 872, 875, 879
ჭიჭინაძე, ხ. 889
ჭკუასელი, დ. 910
ჭკუასელი, კ. 830
ჭონქაძე, დ. 885
ჭუმბურიძე, ა. 338, 342—344, 520, 521
ჭუმბურიძე, თ. 830
ჭყონია, ა. 870

ხავთასი, გ. 903
ხამაშურიძე, ვ. 912
ხარაბაძე, ა. 830, 835
ხარაძე, ე. 836
ხარაძე, ნ. 912
ხასია, ბ. 51, 418. 568
ხაჩიძე, ა. 39
ხაჩიძე, დ. 54
ხაჩიკიანი, ლ. 728
ხაპაპურიძე, გ. 41, 43, 281, 840, 846
ხახუტაშვილი, ა. 878
ხეთაგუროვი, კ. 674, 818, 878
ხეცურიანი, გ. 281
ხვედელიძე, ს. 238
ხვიტია, ნ. 910
ხიდაშელი, შ. 842
ხინთიბიძე, ა. 901
ხმალაძე, ვ. 907
ხორავა, ა. 884, 885, 888, 891—893, 901
ხოშტარია, ა. 173
ხრიაშჩევა, ა. 453, 455
ხუნდაძე, ს. 79, 281, 840, 879
ხუროძე, ვ. 831
ხუსკივაძე, შ. 898
ხუტულაშვილი, ვ. 329
ხუციშვილი, კ. 928, 929
ხუციშვილი, რ. 835
ხუხია, ი. 329
ხუხუა, ტ. 910

ჯაბუა, ვ. 750
ჯაბუშანური, გ. 873, 876
ჯავახია, ი. 329
ჯავახაძე, გ. 518
ჯავახიშვილი, ა. 203, 509, 837
ჯავახიშვილი, ივ. 41, 58, 203, 285, 509, 702, 838, 839, 841, 858, 879
ჯავახიშვილი, მ. 199, 852, 863—865, 887—870
ჯავრიშვილი, დ. 906, 912
ჯამბული (ჯამბულ ჯაბაევი), 878
ჯანაშია, ს. 41, 839, 841, 846, 857, 858, 931
ჯანაშვილი, მ. 843
ჯანდიერი, გ. 940
ჯანელიძე, ა. 364, 832
ჯანელიძე, ა. 836, 837, 846, 858
ჯანელიძე, ი. 838
ჯაოშვილი, ვ. 51
ჯაფარიძე, ა. 944
ჯაფარიძე, ალ, 944
ჯაფარიძე, ვ. 234, 831, 929
ჯაფარიძე, ლ. 837
ჯაფარიძე, ს. 892, 944
ჯაფარიძე, უ. 858, 927, 928
ჯაფარიძე, შ. 589
ჯაში, გ. 930
ჯაში, გ. 411
ჯაჯანაშვილი, მ. 892
ჯგუბურია, გ. 679
ჯგუშია, დ. 857
ჯეჯელავა, გ. 944
ჯიბლაძე, გ. 870, 879
ჯიბლაძე, ვ. 51, 59, 214
ჯიბლაძე, ს. 190
ჯიქია, ვ. 48, 620
ჯიქია, ს. 844
ჯიჯეიშვილი, გრ. 416
ჯიჯეიშვილი, მ. 43, 44, 45, 58, 226
ჯორჯაძე, ა. 944
ჯუღელი, ვ. 199
ჯუღელი, ს. 99, 621
ჯღამაძე, რ. 319, 322, 324

ჰარიმანი, ა. 271, 354, 583

ბ. გეოგრაფიული სახელები

აბასთუმანი, 349, 418, 606, 685
აბაშა, 11, 159, 316, 456, 460, 461, 465, 586, 651, 655
აგარა, 655
ადიგენი, 676
ავჭალა, 586
აზერბაიჯანი, 11, 32, 90, 91, 93, 96—98, 114, 164, 165, 199, 361, 435, 535, 627, 654, 656, 687—689, 699, 751, 761, 812, 850, 851
აზია, 55, 191
ათარა, 784
ალაზანი, 137, 656, 769
ალგეთი, 365
ალმა-ათა, 905
ამბროლაური, 651
ამიერკავკასია, 6—14, 16, 19, 24, 32, 36, 39, 40, 47, 48, 50, 53, 54, 57, 58, 60, 79—105, 108, 111, 127, 133, 141, 146, 148, 150, 159—162, 164—170, 172, 173, 175, 176, 180, 182, 184, 185, 186, 188, 196, 203, 208, 210, 229—231, 239, 240, 257, 263, 265, 271, 274, 280, 300, 303, 313, 319, 320, 325, 330, 332, 339, 341, 348, 351, 357, 358, 388, 414, 427, 435, 438, 439, 440, 443, 445, 451, 452, 493, 516, 524, 525, 535, 536, 544, 552, 555, 557, 574, 583, 586, 587, 588, 593, 596, 611, 616, 618, 620, 622, 623, 627, 630, 634, 638, 644, 654—656, 662, 664, 668, 674, 678, 680, 687—689, 698, 699, 748, 757, 758, 767, 851, 852, 903, 906, 927, 941
ანაკლია, 182
ასპინძა, 676
ასურეთი, 743
აფენი, 430
აფრიკა, 55
აფხაზეთი, 12, 36, 39, 40, 46, 48, 50, 103, 105, 107, 114, 160, 228, 243, 247 316, 343, 346, 352, 364, 365, 369, 375, 398, 401, 408, 411, 420, 428, 439, 443, 444, 447, 448, 459,

465, 477, 484, 491, 492, 495, 545, 557, 558, 628, 662, 665, 674, 679, 683, 698, 769, 792, 814, 825, 826, 880, 910, 941
აღბულაღი, 743
აშშ, 56, 371, 586, 691, 715
აწყური, 349
აჭარა, 13, 36, 39, 40, 43, 46, 48, 105, 106, 114, 133, 238, 243, 247, 267, 279, 364, 375, 408, 439, 443, 444, 459, 477, 484, 486, 491, 492, 498, 520, 545, 550, 586, 615, 628, 633, 698, 769, 770, 792, 793, 800, 814, 815, 825, 826, 880, 910, 911,
აჭარისწყალი, 656
ახალაფონი, 606
ახალსენაკი, 588, 655, 682, 827
ახალქალაქი, 182, 192, 251, 316, 349, 651, 679
ახალციხე, 182, 192, 251, 348, 449, 364, 418, 545, 592, 617, 657, 677, 758
ახმეტა, 365, 757
ახტალა, 606
აჯამეთი, 418

ბათუმი, 13, 71, 78, 88, 106, 158, 161, 164, 171, 173, 174, 181, 182, 189, 190, 192, 218, 269, 275, 276, 279, 353, 356, 366, 375, 377, 379, 416, 518, 585, 589, 591, 602, 603, 615, 617, 620, 633, 640, 651, 652, 656, 673, 721, 727, 730, 754, 755, 763, 765, 815, 816, 818, 825, 827, 833, 834, 853, 856, 886, 938, 941
ბალკანეთი, 668
ბანძა, 322
ბარისახო, 676
ბაქო, 95, 279, 349, 352, 356, 365, 377, 438, 608, 729, 751, 763, 906
ბაღდადი, 200, 365, 542
ბაღჩისარაი, 327
ბახვი, 676
ბახმარო, 606
ბელგია, 356, 691
ბელორუსია, 99, 101—103, 761, 772, 812
ბერლინი, 209
ბოდბე, 486, 827
ბოლნისი, 418
ბომბორი, 492
ბორჩალო, 113, 251, 572, 651, 816
ბორჯომი, 158, 192, 198, 276, 365, 606, 617, 668, 677, 685, 758, 938
ბროწეულა, 682
ბულგარეთი, 668

ბაგრა, 606, 652, 685
გალი, 316, 364
გარდაბანი, 363, 429, 493
გარეკახეთი, 542
გეგეჭკორი, 159
გელათი, 752, 753
გერმანია, 32, 135, 667, 691, 756, 859
გენიჩესკი, 669, 751.
გენუა, 191, 192,
გლუხოვო, 877
გორი, 41, 115, 126, 202, 25·, 355, 363, 411, 456, 460, 461, 465, 477, 494, 518, 540, 541, 547, 651, 674, 722, 742, 758, 765, 816, 818, 827, 886, 938
გორლოვსკი, 748
გრაკალი, 418
გუდაუთი, 316, 364
გუმბრა, 585, 660, 682
გუმისთა, 352
გურია, 191—193, 198, 200, 321, 329, 343, 356, 477, 550
გურჯაანი, 251, 456, 460, 461, 465, 651

დაღესტანი, 32, 850
დაშქესანი, 339, 340
დვაბზუ, 202
დვალიშვილები(სოფელი), 200
დვირი, 676
დიდიკუონი, 316
დიდუბე, 357
დიმი, 418
დიღომი, 418, 789
დმანისი, 493
დნეპროპეტროვსკი, 751
დოესი, 418
დონბასი, 278, 636, 656, 732, 747, 749, 750

დუშეთი, 216, 219, 322, 324, 456, 460, 461, 465, 677

ევროპა, 7, 56, 61, 164, 171, 199, 203, 284, 691, 715, 716
ელდარი, 137
ენგური, 11, 658
ერევანი, 197, 377, 608, 905, 906
ესპანეთი, 859

ვანი, 200, 202, 304, 542, 651, 676
ვარშავა, 285, 308, 509
ველისციხე, 348,
ვოლგა, 716
ვოლგისპირეთი, 715
ვოლხოვი, 621
ვოროშილოვგრადი, 747

ზემო აეკალა, 158, 655
ზემო სვანეთი, 251, 351
ზესტაფონი, 379, 542, 584, 588, 640, 651, 655, 658, 674, 728, 743, 756, 816, 818, 827, 835
ზნაური, 676
ზუგდიდი, 126, 200, 202, 218, 251, 366, 477, 540, 561, 603, 617, 652, 658, 674, 679, 721, 741, 742, 751, 764, 784, 818, 886

თბილისი, 11, 12, 33—35, 41, 45, 60, 67, 68, 71, 74, 78, 88, 90, 91, 93, 94, 95, 97, 101, 102, 118, 158, 164, 169, 181, 182, 184—188, 192, 195, 197, 200, 203, 208, 218, 219, 251, 263, 265, 279, 285, 288, 289, 300, 303, 304, 306, 330, 350, 353, 355, 357, 358, 359, 362, 376, 379, 386, 414, 416, 417, 448, 449, 485, 493, 496, 509, 518, 525, 536, 540—542, 550, 576, 584, 585, 586, 591, 592, 602, 603—605, 608, 609, 617, 619, 621, 630—639, 651, 653, 655, 669, 670, 671, 673, 674, 720, 721, 725, 727—730, 733—736, 746, 748, 755, 757, 764, 765, 768, 769, 776, 777, 806, 811, 814, 816, 818, 824, 826, 833—836, 851, 854—856, 902—904, 906—908, 912, 916, 917, 919, 920, 923, 940, 941, 943

თეთნულდი, 887
თეთრიწყარო, 652
თელავი, 41, 113, 193, 199, 202, 321, 359, 495, 519, 586, 651, 660, 674, 682, 816, 818, 886
თელეთი, 515
თურქეთი, 80, 88, 105, 184
თურქესტანი, 358, 361
თურქმენეთი, 661

იაროსლავლი, 198
იმერეთი, 477, 921
ინგირი, 742
ინგლისი, 191, 198, 303, 349, 361, 691, 756
ინგური, 752
ირანი, 859
იტალია, 356, 358, 859, 922

კავთისხევი, 346
კავკასია, 6, 8, 12, 40, 55, 82, 84—88, 106, 107, 159, 172, 190, 191, 199, 571, 712, 730
კაკაბეთი, 499
კანნა, 191
კარდანახი, 486
კასპი, 275, 353, 379, 519, 585, 655, 765, 784, 818
კახეთი, 113, 159, 198, 251, 346, 356, 477, 485, 486, 499, 540, 541, 547, 548, 549, 753
კიევი, 746, 747, 748, 882, 883, 905, 906,
კინჩხი, 676,
კოდორი, 316
კოლხეთი, 11, 137, 418, 441, 572, 723, 747
კოლხიდა, 385, 789, 874
კონსტანტინოპოლი, 330
კრასნოდარი, 777
კუმურდო, 679

ლაგოდეხი, 343, 429, 651, 652, 781, 784
ლაითური, 680
ლანჩხუთი, 592, 651
ლაჯანური, 11
ლენინგორი, 676
ლენინგრადი, 280, 281, 303, 349, 419,

626, 632, 835, 857, 902, 905, 906, 913, 916, 927
ლენტეხი, 676
ლიტვა, 812
ლიხაური, 676
ლიხნი, 492
ლონდონი, 308
ლუქსემბურგი, 316, 743

მაგნიტოგორსკი, 736
მაიაკოვსკი, 859
მარელისი, 158
მარტვილი, 202, 316, 651
მაშველი, 572, 789
მახარაძე, 652, 675, 679, 741, 743, 751, 784, 816, 818
მენჯი, 685
მესტია, 676, 819
მეჯვრისხევი, 364
მთიულეთი, 477
მისაქციელი, 322
მოლდავეთი, 812
მოსკოვი, 7, 32, 97, 98, 101, 174, 181, 279, 280, 281, 288, 303, 329, 330 349, 350, 419, 517, 524, 542, 573, 608, 636, 643, 711, 725, 728, 731, 732, 733, 740, 777, 783, 863, 882, 883, 886, 890, 902, 903, 905, 906, 916, 919, 927
მოწამეთი, 585
მტკვარი, 11, 586
მუხრანი, 542
მუხროვანი, 364
მცხეთა, 351, 353, 365, 542, 816, 944

ნაგუთნი, 815
ნავთლუღი, 588, 671
ნარაზენი, 679
ნატანები, 160, 781, 784
ნატახტარი, 323, 817
ნიკოპოლი, 355, 377, 746
ნიენედნეპროვსკი, 746
ნოსირი, 655
ნოქალაქევი, 316
ნუხა, 361

ოდესა, 905, 906
ოზურგეთი, 94, 115, 126, 158, 160, 200, 251, 369, 477, 486, 548, 586, 651, 669, 827, 886
ონი, 349, 417, 676
ორსანტია, 679, 784
ორჯონიკიძე, 747, 748
ოსეთი, 105, 669, 698
ოქუმი, 678, 679
ოჩამჩირე, 683, 784
ოჩხამური, 680, 770, 784

პავლოდარი, 330
პარიზი, 64, 65, 80, 190, 203, 209, 835, 865, 920, 921, 922, 924
პატრიკეთი, 200
პეკინი, 308
პეტროგრადი, 882, 883
პოლონეთი, 285, 379, 509

რაჭა, 115
რაჭა-ლეჩხუმი, 251
რგვალიჭალა, 784
რიონი, 674
რიცეული, 676
როკითი, 418
როსტოვი, 318, 377
რუსეთი, 5—8, 11—13, 16, 60—62, 66, 67, 69—75, 77, 81—83, 91, 96—98, 106, 112, 114—116, 118, 119, 128, 135, 138, 146, 161, 164, 167, 169, 176, 181, 191, 219, 227, 256, 274, 277, 286, 329, 357, 366, 391, 400, 453, 467, 475, 521, 573, 586, 627, 645, 656, 667, 683, 694, 707, 708, 711, 712, 740, 751, 761, 812, 844, 846, 857
რუხი, 741

საგურამო, 859
საირმე, 685
სამგორი, 441, 806
სამეგრელო, 343, 683
სამურზაყანო, 418
სამტრედია, 158, 304, 352, 359, 529, 542, 585, 586, 651, 655, 660, 854
სამხრეთ-ოსეთი, 13, 103, 105—107, 228, 243, 248, 375, 428, 439, 443, 444, 459, 484, 491, 492, 545, 628, 651, 674, 758, 769, 771, 792, 793, 814,

815, 818, 825, 826, 828, 849, 860, 910, 941
საპაიეაო, 200
სარატოვი, 905
საფრანგეთი, 80, 190, 191, 668, 691, 756, 847, 859
საქარა, 730
საქართველო, 5—10, 12—27, 29—54, 56—61, 63, 64, 66—80, 83—91, 93—108, 110, 112—117, 119, 120, 122, 124, 125—131, 134—136, 138—140, 143, 146, 148, 151, 152, 154, 156, 157, 159—165, 167, 168, 170, 172—176, 179—185, 188—198, 201, 203, 207—210, 212, 214, 216—222, 224—229, 232—235, 238—240, 242—248, 251—253, 256, 257, 261, 263, 265, 267—280, 282, 283, 285—291, 293, 295—300, 303, 306, 308, 315, 320, 322, 323, 332—336, 339, 340, 342, 345—352, 356—363, 365—371, 373—376, 378, 380, 382, 384—389, 391, 393, 395—400, 407, 412, 414, 416, 421, 424, 426, 429—464, 467, 470—472, 474, 476—481, 484—490, 494—497, 500—503, 506, 509—511, 513—521, 524—531, 533—537, 539—543, 545, 546, 548—550, 552—555, 557—560, 562, 566—569, 571—582, 584—589, 593, 594, 596—599, 604—607, 609, 610, 612—617, 620—628, 630, 633—635, 637, 640, 644—647, 649—659, 661—664, 666—681, 683, 685—691, 693, 696—699, 703—709, 712, 714, 715, 718, 720, 722, 723, 728—730. 732—735, 737, 740—747, 749—751, 753—756, 758, 759, 761—767, 769—772, 776—778, 780—786, 788—800, 802, 803, 806, 807, 809, 811—815, 819—821, 826, 835, 844, 846, 850—853, 855—857, 860, 863, 881, 902, 907, 910, 917, 927, 940, 944
ხენაკი, 115, 126, 201, 202, 251, 316, 322, 366, 477, 585, 651
სვანეთი, 191, 192, 198, 200, 658, 659, 819
სვერდლოვსკი, 906
სვირი, 200, 202
სიღნაღი, 113, 193, 202, 651, 679, 682, 743, 886
სომხეთი, 11, 32, 84, 90, 91, 97, 98, 164, 165, 435, 535, 654, 656, 687—689, 699, 761, 772, 812, 850, 851
სოხუმი, 36, 41, 71, 161, 317, 321, 366, 456, 460, 461, 589, 591, 602, 603, 615, 651, 652, 656, 674, 683, 721, 768, 816, 819, 833, 834, 886
სტამბოლი, 173, 191
სტალინგრადი, 741
სტალინირი, 722, 758, 816, 818
სტალინო, 747—749
სურამი, 366, 585
სუფსა, 430
სხვიტორი, 859

ტალალაევსკი, 751
ტაშკენტი, 906
ტაჯიკეთი, 761
ტირიფონი, 572, 789
ტობანიერი, 200
ტუაფსე, 588, 682
ტყვარჩელი, 45, 279, 339, 340, 356, 373, 375, 379, 588, 616, 655—657, 659, 660, 674, 719, 747, 753, 762, 763, 818, 856
ტყიბული, 147, 152, 276, 304, 339, 356, 377, 380, 509, 676, 639, 640, 654—657, 660, 674, 722, 726, 729, 736, 747—749, 752, 753, 763, 776, 818, 856

ულაბნო, 791
უზბეკეთი, 761
უკანეთი, 200
უკრაინა, 97—99, 101—103, 124, 277, 279, 357, 509, 573, 608, 666, 669, 691, 746, 747, 750, 751, 761, 812, 890
ურალი, 715, 716, 733
ურეხი, 770
უხუთი, (სოფელი) 200

ფოთი, 161, 182, 316, 321, 350, 352, 365, 366, 589, 591, 602, 655, 674, 816, 818, 886, 988
ფრეიბურგი, 203
ფშავ-ხევსურეთი, 191, 192, 410

ქართლი, 198, 674, 804, 805, 806
ქედი, 133
ქვემოქედი, 486, 679
ქისატიბი, 365
ქობულეთი, 152, 364, 572, 606, 652
ქსანი, 418
ქუთაისი, 7, 41, 71, 115, 118, 158, 195, 200, 251, 279, 304, 316, 322, 329, 352, 355, 359, 361—363, 365, 379, 416, 477, 509, 542, 547—549, 586, 588, 591, 602, 615, 651, 655, 660, 673, 721, 728, 752, 764, 765, 816, 818, 819, 834, 856, 880, 886, 890, 891, 919, 939, 941, 942

ღორეშა, 673
ღრმა-ღელე, 671

ყაზახეთი, 330, 761
ყათახი, 338
ყანდაურა, 418
ყანობილი, 836
ყარაიაზი, 137, 542, 572, 677
ყარსი, 88
ყვარელი, 429, 859
ყვირილა, 674
ყირგიზეთი, 761
ყორულდა, 658

შავი ზღვა, 161, 588, 617, 674, 682, 689, 722, 781, 818
შინდისი, 364
შირაქი, 430, 616, 763
შოვი, 349, 417, 676, 685
შორაპანი, 115, 133, 200, 218, 251, 316, 355
შრომა, 669, 751, 781, 784
შროშა, 147, 365
შუა აზია, 715, 722
შულავერი, 363
შჩერბინევსკაია, 777, 778

ჩარგალი, 859
ჩელიაბინსკი, 728
ჩინეთი, 308, 320, 509, 859
ჩირგვეთი, 859
ჩოხატაური, 202, 651
ჩრდილო დონეცკი, 748
ჩრდილოეთ-კავკასია, 199

ცაგერი, 651, 676
ციმბირი, 715
ცხაკაია, 600, 651
ცხინვალი, 41, 158, 418, 615, 674, 818, 827, 833, 938

ძიმითი, 679

წითელწყარო, 781
წნელისი, 771
წნორი, 588
წყალტუბო, 588, 606, 682, 685
წყალწითელა, 588

ჭალა, 355, 495
ჭიათურა, 123, 199—201, 256, 265, 271 273, 276, 282, 339, 353—355, 371 — 376, 377, 380, 509, 578, 610, 621, 634, 636, 639, 654, 655, 657, 660, 674, 719, 722, 726, 727, 730, 733, 736, 746, 749, 762, 776, 818, 856, 886
ჭომა, 351

ხაიში, 676
ხარაგაული, 682
ხარბინი, 379
ხარკოვი, 280, 281, 318, 349, 733, 890, 905, 906
ხაშური, 518, 588, 651, 743, 816
ხევსურეთი, 399
ხერსონი, 669
ხონი, 304, 352, 348, 359, 360, 542, 586, 592, 655, 660, 827
ხრამი, 11, 656
ხულო, 498

ჯავა, 676, 685, 815
ჯიხაიში, 827
ჯუმათი, 202
ჯურუყვეთი, 202

ჰოლანდია, 859

შემოკლებათა განმარტება[1]

„სკკპ რეზოლუციებში...“ — სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.

ჟურნ. „უწყებები...“ — ჟურნ. „უწყებები, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა“.

ჟურნ. „მოამბე...“ — ჟურნ. „მოამბე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა“.

„პარტიული არქივი (თბილისი)“ — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი.

„პარტიული არქივი (სოხუმი)“ — საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივი.

„პარტიული არქივი (ბათუმი)“ — საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივი.

„სოციალისტური მშენებლობის არქივი (თბილისი)“ — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

„სოციალისტური მშენებლობის არქივი (სოხუმი)“ — აფხაზეთის ასსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

«ЦПА ИМЛ» — Центральный партийный архив Института марксизма-ленинизма при ЦК КПСС.

«ЦГАНХ» — Центральный государственный архив народного хозяйства СССР.

---

[1] წიგნში გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები (უმეტესად გამოქვეყნებული) სრული სახელწოდებითაა აღნიშნული მხოლოდ პირველი დამოწმებისას, შემდეგ, ყველა შემთხვევაში — შემოკლებულად. შემოკლების ფორმა ნაჩვენებია მათი პირველი დამოწმების დროს.

სარჩევი

შესავალი 5

§ 1. საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმა და მისი განხორციელების ძირითადი ეტაპები (ი. კაჭარავა) 5

§ 2. ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია (ა. ათანელიშვილი, ქ. თოფურიძე, ი. კაჭარავა) 32

თავი პირველი. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921—1925 წწ.) (ი. კაჭარავა) 59

§ 1. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა 59

§ 2. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება. სსრ კავშირის შექმნა 80

§ 3. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება 111

§ 4. სოფლის მეურნეობა 125

§ 5. მრეწველობა და ტრანსპორტი 143

§ 6. ფინანსები და ვაჭრობა 164

§ 7. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია 182

§ 8. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა და მასების პოლიტიკური აქტივობა 209

თავი მეორე. სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ საქართველოში (1926 — 1929 წწ.) 227

§ 1. ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება (ი. კაჭარავა) . . 227

§ 2. კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ და მისი განხორციელების პირველი ღონისძიებანი (ა. კოპლავაშვილი) . . . 253

§ 3. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება და ახალი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ფორმირება (ა. კოპლავაშვილი) 275

§ 4. მუშათა კლასის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში (ა. კოპლავაშვილი) 296

§ 5. კომუნისტური პარტიის ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის წინააღმდეგ საქართველოში (ი. კაჭარავა) 301

§ 6. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პირველი შედეგები (ა. კოპლავაშვილი) 346

§ 7. სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (ა. კოპლავაშვილი) 371

§ 8. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა (ა. კოპლავაშვილი) . . 381
§ 9. კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ (ა. კოპლავაშვილი) 387

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. სოციალიზმის მთლიანი ფრონტით შეტევა და საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში (1929—1932 წწ.) 434
§ 1. ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება (ი. კაჭარავა) 434
§ 2. საბჭოთა სოფლის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა საკოლმეურნეო მშენებლობის წინა ხანაში (ი. კაჭარავა) 452
§ 3. საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი (ა. კოპლავაშვილი) . . 482
§ 4. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ (ი. კაჭარავა) . . 506
§ 5. საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებისათვის (ი. მირცხულავა) 522
§ 6. საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება და სახალხო მეურნეობა სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში (ი. კაჭარავა) . . . 537
§ 7. მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა. მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა (ი. კაჭარავა) 597

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. საქართველოს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში (1933—1937 წწ.) 613
§ 1. სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის მიღება, მასების მობილიზაცია მისი განხორციელებისათვის (ნ. მახარაძე) . 613
§ 2. სოციალისტური შრომის ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება მრეწველობაში (მ. ნათმელაძე) 630
§ 3. კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება (თ. ჟღენტი) 641
§ 4. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პირველი შედეგები (ნ. მახარაძე) 653
§ 5. მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები. სოციალიზმის გამარჯვება. ახალი კონსტიტუციის მიღება (ნ. მახარაძე) 675
§ 6. ქართველი სოციალისტური ერი (გ. ბრეგაძე) 692

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე. საბჭოთა საქართველო სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების პერიოდში (1937—1941 წწ.) (ი. ჩიქავა) 714
§ 1. მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები 714
§ 2. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა 724
§ 3. მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი შედეგები . . . 752
§ 4. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა 808

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე. ქართული საბჭოთა კულტურა 822
§ 1. სახალხო განათლება (დ. მაისურაძე) 822
§ 2. მეცნიერება (დ. მაისურაძე) 834
§ 3. საგამომცემლო საქმე, პრესა, რადიომაუწყებლობა (დ. მაისურაძე) . 846
§ 4. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა (დ. მაისურაძე) . . . 854
§ 5. ლიტერატურა (გ. მერკვილაძე) 860
§ 6. ხელოვნება 881

ა. თეატრი (ე. გუგუშვილი) 881
ბ. კინემატოგრაფია (კ. გოგოძე) 894
გ. მუსიკა (პ. ხუჭუა) 902
დ. სახვითი ხელოვნება (მ. დუდუჩავა) 917
ე. ხუროთმოძღვრება (ნ. ჯაში) 933
§ 7. ფიზკულტურა და სპორტი (გ. სიხარულიძე) 940
ს ა ძ ი ებ ე ლ ი 946
შემოკლებათა განმარტება 967

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი ვ. ლ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქაუთარაძე
კორექტორები: ლ. არჩვაძე, ნ. თაეაძე,
ლ. გულიაშვილი
გამომშვები ა. საკაძე

გადაეცა წარმოებას 8/X-74. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-76. საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×97 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 75.33+ჩაკერა 4.34. სალრ.-საგამომც. თაბახი 62.16.
უე 07250. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 205.
ფასი 4 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7.
Тбилисская книжная фабрика государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7